

ს. ჯიქია

# გურჯინჯანის ვიღწიეთის ღირი ლავთარი

წიგნი III  
გ ა მ მ კ ვ ლ ე ე ე

1. ხელნაწერის აღწერილობა
2. უნივერსუმი ტექსტის გეოგრაფიისა  
და ტოპონიმიკისათვის

რედაქტორი—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი პროფ. გ. წერეთელი

**ს ა რ ჩ ე შ ი**

წინასიტყვაობა	07
Предисловие	011
შემოკლებანი	015
1. ხელნაწერის აღწერილობა	1
2. გეოგრაფიული და ტოპონიმიკური შენიშვნები	19
შესავალი	21
I. ახალციხის ლიეწ	42-241
1) მზეარის ნაპიეწ	42
2) ჩრდილის ნაპიეწ	67
3) უდის ნაპიეწ	84
4) ქეებლიანის ნაპიეწ	111
5) აწყურის ნაპიეწ	121
6) ალთუნკალჯას ნაპიეწ	153
7) ოცხის ნაპიეწ	162
8) ასპინძის ნაპიეწ	177
9) კაქარაქის ნაპიეწ	209
II. ხერთვისის ლიეწ	242-302
10) ხერთვისის ნაპიეწ	242
11) ტყე-ჯავახეთის ნაპიეწ	265
12) ბუზმარეთის ნაპიეწ	299
III. ახალქალაქის ლიეწ	303-378
13) აკშეპირის ნაპიეწ	303
14) თმოგვის ნაპიეწ	360
15) ნიალისყურის ნაპიეწ	369
IV. ჩრდილის (ჩილდირის) ლიეწ	379-431
16) ჯანბაზის ნაპიეწ	379
17) ქანარბელის ნაპიეწ	410
18) მგელციხის ნაპიეწ	426
V. ფოცხოვის ლიეწ	432-468
19) მზეარის ნაპიეწ	432
20) ჩრდილის ნაპიეწ	455
VI. პეტრეს ლიეწ	469-495
21) პეტრეს ნაპიეწ	469
22) ქაშეთის ნაპიეწ	489

VII. დიდი არტანის ლივნი .....	496-557
1(23). შზვარის ნაპიდე	496
2(24). ჩრდილის ნაპიდე.	520
3(25). ტყე-ნაპიდე .....	528
VIII. ფანაკის ლივნი .....	558-591
4(26). ფანაკის ნაპიდე .....	558
5(27). ქამხისის ნაპიდე	575
6(28). ფანასკერტის ნაპიდე	581
გეოგრაფიული ხასიათის მინაწერები .....	592
საძიებლები	604-660
ა) პირთა სახელები .....	604
ბ) გეოგრაფიული სახელები .....	612

## წინასიტყვაობა

XVI საუკუნის უნიკალური თურქული ხელნაწერი ძეგლის „გურჯისტანის ვილჰელმის დიდი დავთრის“ გამოცემა ჩვენ დავიწყეთ რამდენიმე წლის წინეთ. აქამდე გამოქვეყნებულია: I წიგნი—თურქული ტექსტი ქართულ-რუსული წინასიტყვაობითა და ტექსტუალური ხასიათის შენიშვნებით (XX + 17 + 516 გვ. + 15 ტაბულა)<sup>1</sup>. II წიგნი — ქართული თარგმანი წინასიტყვაობით ქართულსა და რუსულ ენებზე და შენიშვნებით სქოლიოებში (XV + 503 გვ.)<sup>2</sup>. წინამდებარე III წიგნი შეიცავს გამოკვლევას ხელნაწერის აღწერილობისა და ძეგლის გეოგრაფიული და ტოპონიმიკური საკითხების შესახებ.

თავდაპირველად განხრახული იყო, რომ ძეგლის ფილოლოგიური დამუშავება დაგეგმთავრებინა III წიგნით. მაგრამ მასალის დიდი მოცულობის გამო III წიგნში მოხერხდა მხოლოდ ორი თავის მოთავსება; ესენია: 1. ხელნაწერის აღწერილობა (გვ. 1-18) და 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (გვ. 19-603). გამოკვლევის დანარჩენი თავები, როგორცაა: ძეგლის ენობრივ თავისებურებათა მიმოხილვა (ფონეტიკა—ქართული ონომასტიკური მასალის გადმოცემა თურქულ ტრანსკრიფციაში, ძეგლის ლექსიკა, განსაკუთრებით კი სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და გეოგრაფიული ტერმინების კომენტარიები, სიხაჯათის დამწერლობა და მისი პალეოგრაფიული თავისებურებანი ჩვენს ძეგლში და სხვ.), თურქული დავთრების შედგენის ტექნიკა, „გურჯისტანის ვილჰელმის“ აღმინისტრაციული დაყოფა და მისთანანი, წარმოდგენილი იქნება IV წიგნში, რომელიც ჩვენ ძირითადად დამთავრებული გვაქვს და, ვფიქრობთ, გამოქვეყნებული იქნება ახლო მომავალში.

წინამდებარე წიგნში მოთავსებულსა და განხილულ მასალას გარკვეული მნიშვნელობა აქვს სამცხე-საათაბაგოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკია შესასწავლად. ჩვენ გვჭონდა შევთხვევა ალგვენიშნა, რომ საქართველოს არც ერთი კუთხისათვის არ მოგვეპოვება, სამწუხაროდ, „დავთრის“ მსგავსი წყარო, რომელიც გეოგრაფიისათვის ასეთ მდიდარსა და ამომწურავ

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. თბილისი, 1947 წ. რეცენზია იხ.: L. Fekete. Arbeiten der grusinischen Orientalistik auf dem Gebiete der türkischen und persischen Paläographie und die Frage der Formel s ö z ü m i z. Acta Orientalia Hung., T. VII, Fasc. 1. ბუდაპეშტი, 1957 წ., გვ. 1-10; აგრეთვე: M. Guboglu. Quarante ans d'études orientales en URSS (1917-1957). Studia et Acta Orientalia, I, ბუქარესტი, 1958 წ., გვ. 292.

<sup>2</sup> იგივე გამოცემლობა. თბილისი, 1941.

ცნობებს შეიცავდეს<sup>1</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს „საგეოგრაფიო მიმოხილვას“ ამყარებდა „ქართულ საისტორიო წყაროებზე“ და ამ წყაროებში აქა-იქ გაბნეული და შემთხვევით მოხსენებული თითო-ოროლა გეოგრაფიული პუნქტის შესახებ ცნობებს დიდი გულმოდგინებით აგროვებდა, რომ (VII-XII საუკუნეების) „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია“ დაეწერა<sup>2</sup>. ბუნებრივია, განსვენებული მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას, რადგანაც, წერდა ის, „ვისაც სურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“<sup>3</sup>. ჩვენს „დავთარში“ კი სამცხე-საათაბაგოს ამ გარკვეული მონაკვეთისათვის („გურჯისტანის ვილანჯეთისათვის“) გეოგრაფიული მასალა (ძირითადად მაინც დასახლებული პუნქტები) მოცემულია სისტემატურად და ამომწურავად. და ეს მასალა მეტად ძვირფასია იმისათვის, ვისაც სურს დეტალურად შეისწავლოს საქართველოს ამ ფრიად მნიშვნელოვანი კუთხის მოსახლეობა და მიწა-წყალი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართველი ხალხის ერთი დიდი ნაწილი<sup>4</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის მნიშვნელოვანი ნომენკლატურული მასალის ამოკითხვა და დადგენა წარმოებდა ე. წ. სიძაქათის ძლიერ რთულ<sup>5</sup> დამწერლობის თავისებურებათა და ქართული საკუთარი სახელების თურქული ტრანსკრიფციით გადმოცემის ფონეტიკურ კანონზომიერებათა შესწავლის საფუძველზე. ცნობილია, რომ არაბულ-თურქული დამწერლობა თვით თურქული ფონეტიკურა სინამდვილის ასახვაში ხასიათდება დიდი დეფექტურობით. მათ უფრო დიდ სირთულესთან გვაქვს საქნე „დავთარში“, სადაც მოცემულია ცდა უპარესად სპეციფიკური ქართული ბგერების გადმოცემისა არაბულ-თურქულ ტრანსკრიფციაში. ავტორს მოუხდა ნეტად შრომატევადი მუშაობის ჩატარება „დავთარში“ ფიქსირებული ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელის ამოცნობისათვის. „დავთარის“ საქმაოდ ბევრი ადგილის გასახსნელად აუცილებელი შეიქნა შესაბამისი მასალების შესწავლა ჩვენს ძველი

<sup>1</sup> გურჯისტანის ვილანჯეთის დიდი დავთარი, I, გვ. VIII; იქვე, II, გვ. XIII; აგრეთვე: Пространный реестр названий Гюрджистан (авторедат). თბილისი, 1956, გვ. 4.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 1.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე. „გურჯისტანის ვილანჯეთის დიდი დავთარის“, ვითარცა მეცნიერების სხვადასხვა დარგისათვის პირველხარისხიანი წყაროს, საერთო დახასიათებას ჩვენ აქ არ ვიძლევი. ამ თვალსაზრისით ძველის საქმაოდ ვრცელი შეფასება მოცემულია I და II წიგნების წინასიტყვაობებში და აგრეთვე ჩვენს ავტორეფერატში — Пространный реестр названий Гюрджистан, თბილისი, 1956.

<sup>5</sup> ამაზე იხ. G. Jacob, Hilfsbuch für Vorlesungen über des Osmanisch-Türkische 4. Teil. Bibliografischer Wegweiser. ბერლინი, 1917, გვ. 35. სიძაქათის ხელზე იხ. შესანიშნავი გამოკლევა: L. Fekete, Die Siyaqat-Schrift in der türkischen Finanzverwaltung, ტ. I და II. ბუდაპეშტი, 1955.

მწერლობის ძეგლებში, ძველ ქართულ პრესაში, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და განსაკუთრებით კი საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის მრავალრიცხოვანსა და დოკუმენტებით მდიდარ ფონდებში და სხვ. მიუხედავად ამისა, როგორც მკითხველი დაინახავს, მართალია ძლიერ წყირე, მაგრამ რამდენიმე სახელწოდება „დავთარში“ წარმოდგენილი გეოგრაფიული პუნქტებისა ჯერჯერობით მაინც ამოცნობილი არ არის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წიგნში წარმოდგენილი ძიებები სამცხე-საათაბაგოს გეოგრაფიულ ნოწენკლატურაზე ინტერესმოკლებული არ არის. როგორც მკითხველი წიგნში დაინახავს, მრავალი ქართული გეოგრაფიული სახელი წარმოუდგენლად დამახინჯებულია ან გადათარგმნილია სხვა ენაზე (მაგალითად, სიხრუჯ ← ქართული ცხროკა, ზაქერზინ ← ქ. ზაქარწმინდა, ზურზუნა ← ქ. ძურძნა, ზინზალ ← ქ. წინწალი, ზოლორზა ← ქ. წყორძა, კურთკალა ← ქ. მგელციხე<sup>1</sup> და სხვა მრავალი). საქართველოს სხვა კუთხეში ამ თვალსაზრისით ჩვენ ნათელი სურათი გვაქვს. მაგრამ სამცხე-საათაბაგომ პოლიტიკურ გართულებათა შედეგად საუკუნეების მანძილზე დიდი და გამანადგურებელი, ეროვნულად დამაკნინებელი მთელი რიგი ძნელბედობანი განიცადა. ამ გართულებათა შედეგი იყო მოსახლეობის გადათურქება და გამაჰმადიანება, ემიგრაცია და იმიგრაცია, უცხო ენათა გამოცხადება ოფიციალურ ენებად (რომლებზედაც ქართული ონომასტიკონი მუდამ შერყენილად იყო ასახული)<sup>2</sup> და სხვ. წიგნში მოცემულია ცდა ქართული ეროვნული გეოგრაფიული სახელების აღდგენისა, ადგილმდებარეობის გარკვევისა იმ პუნქტებისათვის, რომლებიც ცნობილია ჩვენს ძველ მწერლობასა და ნატიანეებში, მაგრამ ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. ამ მხრივ მკითხველი დაინახავს წიგნში საკმაოდ ვრცელ სტატიათა მთელ რიგს; რომელშიც მოცემულია ცდა ამა თუ იმ პუნქტის სპეციალური ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისა. ასეთებია პუნქტები: მეიდან (გვ. 85), ძინძე-უტყუსუბანი (გვ. 101), ცხროკა (გვ. 115), ზღუდერი (გვ. 134), საკანაუე (გვ. 140), დემოთია (გვ. 148), ოცხე (გვ. 162), ზურზელი (გვ. 177), შოროთა (გვ. 204), აკშეპირი (გვ. 303), ხორენია (გვ. 320), ფარვანა (გვ. 345), ჩამქვრალი (გვ. 386), ქვაკაცნი (გვ. 393), პეტრეს ნაჭიდე (გვ. 469), არტაანი (გვ. 496), მგლინაი (გვ. 528) და სხვ. მრ. აქვე მოცემულია სოფლისათვის დამახასიათებელი სხედასხვა ცნობა და ყველაფერი ეს იმდენად რამდენადაც ეს ხელს უწყობს, რომ XVI საუკუნის „დავთარში“ აღწერილი ესა თუ ის პუნქტი დაუკავშირდეს დღეს არსებულ ან ისტორიულად ცნობილ პუნქტებს. ამ სფეროსათვის განკუთვნილი ახალი მასალების აღმოჩენა ან ადგილებზე სპეციალური კვლევის ჩატარება, რა თქმა უნდა, ძლიერ შეუწყობს ხელს აცილებულ იქნეს ის ამჟამად გარდაუვალი ხარვეზები, რომლებიც ამ წიგნს უთუოდ მოეპოვება.

<sup>1</sup> თითოეული მათგანი უფრო ვრცლად იხ. აქვე.

<sup>2</sup> ამიჲ შესახებ იხ. აგრეთვე: ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძის შენიშვნა საისტორიო რუკაზე, „ჩვენი მეცნიერება“, № 11-12, თბილისი, 1924 გვ. 129.

დასასრულს, სასიამოვნო მოვალეობად მიზანია აღვნიშნო, რომ ნეტად დაველებული ვარ აკად. ა. შანიძისაგან და პროფესორების ე. დონდუასა და ვლ. ფუთურიძისაგან, რომლებიც მუდამ დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ ძეგლის გამოცემისადმი და მუშაობის პროცესში იძლეოდნენ საყურადღებო შენიშვნებს. დიდად დავალებული ვარ აგრეთვე დოც. ალ. ასლანაკაშვილისაგან, რომელმაც დიდი შრომა გასწია თანდართული რუკის შედგენაში. დიდი დახმარება გამიწიეს აგრეთვე ამხანაგებმა ელენე ტაბატაძემ, ნიკო ნათენაძემ და პეტრე მაზნიაშვილმა, რომლებიც ადგილებიდან მაწვდიდნენ საგულისხმო ცნობებს პუნქტების სახელწოდებისა და მდებარეობის შესახებ. ასეთი ცნობები ჩვენთვის მოუწოდებია სხვა ამხანაგებსაც, რომლებიც შესაბამის ადგილას ყველა მოხსენებულს გვყავს.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე გულისხმიერი დამოკიდებულება ამ წიგნისადმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მუშაკებისა, რომლებიც ძლიერ უწყობდნენ ხელს, რომ ეს წიგნი კარგად გამოცემულიყო.

ავტორი

1958 წ. 30 სექტემბერი,  
თბილისი.



## ПРЕДИСЛОВИЕ

Издание уникального турецкого рукописного памятника *Defter-i mufassal-i vilāyet-i Gürcüstan*—Пространный реестр вилайета Гюрджюстан нами было предпринято несколько лет тому назад. До настоящего времени опубликованы: книга I. Турецкий текст с предисловием на грузинском и русском языках и примечаниями текстуального характера (XX+17+516 стр.+15 таблиц)<sup>1</sup>, книга II. Перевод с грузинским и русским предисловием и примечаниями (XV+503 стр.)<sup>2</sup>. Предлежала III книга содержит описание рукописи и исследование по вопросам географии и топонимики текста.

Вначале было намечено закончить филологическую обработку памятника третьей книгой. Но ввиду большого объема материала, в III книге удалось поместить только 2 следующие главы: 1. Описание рукописи (1-18 стр.) и 2. Заметки по географии и топонимике текста (19-603 стр.). Остальные разделы исследования, как-то: обзор языковых особенностей памятника (фонетика—передача грузинского ономастологического материала в турецкой транскрипции, лексика памятника, в особенности комментарии социально-экономических, политических и географических терминов, письмо *сыйġкат* и его палеографические особенности в нашем памятнике и др.), техника составления турецких *дефтер'ов* (реестров), административное деление «Вилайета Гюрджюстан» и т. п., будут представлены в IV книге, которая в основном уже закончена и будет опубликована в недалеком будущем.

Рассмотренный в предлежащей книге материал имеет определенное значение для изучения исторической географии и топонимики Самцхе-Саатабаго (Южной Грузии). Мы имели случай отметить, что ни для одной провинции Грузии мы, к сожалению, не располагаем источником, который, подобно нашему «дефтеру», содержал бы исчерпывающие свед-

<sup>1</sup> Издание Академии наук Грузинской ССР. Тбилиси, 1947 г. Рецензия: L. Fekete, *Arbeiten der grusinischen Orientalistik auf dem Gebiete der türkischen und persischen Paläographie und die Frage der Formel sōzumız*. Acta Orientalia Hung., T. VII, Fasc. 1. Budapest, 1957 г., стр. 1-10; а также: M. Guboglu, *Quarante ans d'études orientales en URSS (1917-1957)*. Studia et Acta Orientalia, I, Bucarest, 1958, стр. 292.

<sup>2</sup> В том же издании, Тбилиси, 1941 г.

ния по географии края<sup>1</sup>. Академик И. А. Джавахишвили главу «Историческая география Грузии» писал на основании грузинских исторических источников. Он с большим усердием собирал разбросанные по разным источникам, случайно привлекаемые в них отдельные сведения о географических пунктах с тем, чтобы на основе этих данных сделать обзор географических фактов (VI—XII вв.)<sup>2</sup>. Естественно, что покойный ученый придавал большое значение изучению исторической географии Грузии, ибо, писал он, «Кто желает ясно представить себе значение происшедших событий и ход развития жизни грузинского народа, он прежде всего должен изучить географию соответствующего времени»<sup>3</sup>. А в нашем «Реестре» для определенной части Самухе-Саатабаго («Вилайэта Гюрджюстан») географический материал (в основном по населенным пунктам) дается систематически и исчерпывающе, что служит ценным подспорьем всякому, кто желает детально изучить население и территорию, на которой жил и творил свою историю грузинский народ<sup>4</sup>.

Следует отметить, что расшифровка и конъектура весьма важного для исторической географии и топонимики Грузии номенклатурного материала производилась на основе изучения особенностей известного своей сложностью письма сийякат<sup>5</sup> и фонетических закономерностей передачи в турецкой транскрипции грузинских собственных имен.

Известно, что арабско-турецкая письменность характеризовалась дефектами в части передачи фонетической действительности самого турецкого языка. Тем более осложняется это дело в «Реестре», где имеется попытка передать чрезвычайно специфические грузинские звуки средствами арабско-турецкого практического алфавита. Автору пришлось выполнить весьма трудоемкую работу для того, чтобы раскрыть названия некоторых пунктов, описанных в «Реестре». Для расшифровки некоторых мест «Реестра» необходимо было изучение соответствующих материалов по древней грузинской письменности, старой грузинской прессе, произведениям народной словесности и особенно многочисленным и богатым до-

<sup>1</sup> Пространный реестр Гюрджюстанского вилайэта, I, Тбилиси, 1947, стр. XIV; также: Пространный реестр вилайэта Гюрджюстан (автореферат), Тбилиси, 1956, стр. 4.

<sup>2</sup> И. Джавахишвили, История грузинского народа, II, Тбилиси, 1948, стр. 1 (за груз. яз.).

<sup>3</sup> Там же.

<sup>4</sup> Там же. Общую характеристику «Пространного реестра вилайэта Гюрджюстан», как источника первостепенной важности по различным отраслям науки, мы здесь не даем. Довольно детальная оценка этого памятника дана в предисловиях к I и II книгам, а также в нашей автореферате—Пространный реестр вилайэта Гюрджюстан (Тб., 1956).

<sup>5</sup> Об этом см. G. Jacob, Hilfsbuch für Vorlesungen über das Osmanisch-Türkische, 4. Teil. Bibliografischer Wegweiser. Берлин, 1917, стр. 35. О самом почерке сийякат см. замечательный труд: L. Fekete, Die Siyaqat-Schrift in der türkische n Finanzverwaltung. Будапешт, 1955.

куменгами фондов Центрального Исторического Архива Грузии и др. В единичных случаях содержащиеся в «Реестре» географические названия, пока что, остаются неразгаданной. Представленные в этой книге размышления по географической номенклатуре, мы думаем, не лишены интереса. Много грузинских географических названий вероятно искажены, переведены на чужой язык и т. п. (например: Сихрудж ← груз. Схроча, Закерэши ← гр. Закардиния, Зурзуна ← гр. Дзурдана, Знизал ← гр. Цингал, Зогорза ← гр. Цхордза, Курткала ← гр. Мгелцихе и т. д.). При изучении географической номенклатуры других провинций Грузии специалист не встречает почти никаких препятствий. Но Самцхе-Саатабаго неоднократно переживал большие политические потрясения, в результате чего, как известно, произошли отуречение и омусульманение населения, эмиграция и иммиграция, смена грузинского, как официального языка чужими языками (на которых грузинский ономастикон передавался всегда с искажениями)<sup>1</sup> и др. В книге сделана попытка, помимо восстановления грузинских национальных географических названий, произвести локализацию тех пунктов, которые упомянуты в «Реестре» и нашей древней письменности и летописях, по которым мы недосчитываемся на современной карте Грузии. Здесь же даны характеризующие тот или иной пункт различные сведения, и всё это постольку, поскольку эти сведения необходимы для приведения в соответствие номенклатурных данных как они представлены в «Реестре», с одной стороны, и в исторических памятниках и географической действительности, с другой.

*Автор.*

30 сентября 1958 г.  
г. Тбилиси.

---

<sup>1</sup> Об этом см.: И. Джавахишвили, Замечания С. Квквбадзе об «Исторической карте (Грузии)». Сб. «Чвени Мещинереба», № 11-12, Тбилиси, 1924, стр. 129 (на груз. яз.)



## უ მ მ რ კ ლ ე ბ ა ნ ი

დავთარი — გურჯისტანის ვილანჯეთის დიდი დავთარი.

დეჯანი — გურჯისტანის ვილანჯეთის დიდი დავთარი-ს თურქული ხელნაწერი, დაცული საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქულ კოლექციაში, № 1.

ვახუშტი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941 წ.

სცია — საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (ფ. — ფონდი, ს. — საქმე).

АПГА — Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурнии и Адчаре. СПб., 1878 г.

К. Зиссерман { Сборник материалов для описания Тифлисской губернии,  
კ. ზისერმანი { под редакцией правителя оной К. Л. Зиссермана, т. I,  
вып. I. Тифлис, 1870 г.

ЗКОНРГО — Записки Кавказского Отд. Имп. Русского Географического общества. Тифлис.

ИКОИРГО — Известия Кавказского Отд. Имп. Русского Географического общества, Тифлис.

История военных действий... — История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах. СПб., 1836.

МАК — Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Имп. Московского Археологического Общества...

МИЭБГКЗК — Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского Края.

Свод — Карсская область. Свод статистических данных, извлеченных из семейных списков населения Кавказа. Тифлис, 1889 г.

СМИЭБГКЗК — Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского Края.

СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

Специальная { Специальная карта Европейской части СССР, с при-  
карта სპეცრუკა { легающими государствами (80).

Description — დეოლოგიაჲული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვლზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტის-

გაბ. Description géographique de la Géorgie, par le Tsarévitch Wakhoucht, publiée d'après l'original autographe, par M. Brosset. S.-Pétersbourg, 1842.

—EI—Enzyklopaedie des Islām.

GOR—v. Hammer Joseph, Geschichte des Osmanischen Reiches. Pesth.

GOW—Babinger Franz, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig, 1927.

Rapports...—Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848, par M. Brosset, 2-de livraison. St.-Pétersbourg, 1850.

---

# 1. სელნაწერის აღწერილობა





ხელნაწერის წარმომავლობა. თურქული ხელნაწერი წიგნი „გურჯისტანის ვილჯეთის დიდი დავთარი“ — *دفتر فصل ولایت کورجستان* (Defter-i müfassal-i vilâyet-i Gûrcüstân), რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში გამოვიდა<sup>1</sup>; ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში — თურქულ ხელნაწერთა ფონდი, № 1<sup>2</sup>.

თვით მუზეუმში წერილობითი ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ წელს, ვისგან და საიდან შემოვიდა ეს ხელნაწერი, არ მოიპოვება. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ცნობით ოცდაათიან წლებში „გურჯისტანის ვილჯეთის დიდი დავთარი“ ს ხელნაწერი მიუტანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილ ანტიკვარს, ახალციხელ ებრაელს მ. ჩარუხჩევს. უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის აკად. ივ. ჯავახიშვილის განკარგულებით ხელნაწერი შეუძენია უნივერსიტეტშივე არსებულ ხელნაწერთსაცავს. შემდეგში უნივერსიტეტის ხელნაწერთა ფონდი შეუერთდა უნივერსიტეტის შენობაშივე მოთავსებული საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდს. ხოლო უფრო გვიან ეს გაერთიანებული ფონდი გადატანილ იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და აღინიშნება A ლიტერით<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. გურჯისტანის ვილჯეთის დიდი დავთარი, წიგნი I — ტექსტი. თბილისი, 1947, გვ. XX+17+516+XV ტაბულა და წიგნი II — თარგმანი. თბილისი, 1941, გვ. XV+503.

<sup>2</sup> დაბეჭდილი დავთრის ორთავე წიგნში (იხ. I, გვ. VII, XIII და II; გვ. VII, X), აგრეთვე ჩვენ წერილებში *Турецкая рукопись Музея Грүзии «Пространыаын реестр Грүзინского вилаета»* („სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე“, ტ. I, № 6, თბილისი, 1940, გვ. 483) და „სოფ. დღივის ლოკალიზებისათვის ჯავახეთში“ („საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. VII, № 3, გვ. 152). ეს ხელნაწერი ნაჩვენებია 478 ნომრით. ეს ნომერი ხელნაწერს მართლაც ორჯერ აქვს დასმული ლურჯი ფანქრით: თავიდან ცარიელი და დაუნომრავი გვერდის შუა ადგილას დაწებულ ქალაღზე და ბოლოში დართული, აგრეთვე ცარიელი და დაუნომრავი ფურცლის მეორე გვერდზე იმავე ფანქრით. მაგრამ გაირკვა, რომ გურჯისტანის ვილჯეთის დიდი დავთარი 478 ნომრით არსად არ არის აღრიცხული და ამდენად ხელნაწერისათვის ამ ნომრის მიკუთვნებას საფუძველი არა აქვს. მუზეუმის თურქულ ხელნაწერთა ახლახან ჩატარებულ აღწერისას ეს ხელნაწერი აღრიცხულ იქნა № 1-ად და ამიერიდან იგი ამ ნომრით იქნება დასახელებული.

<sup>3</sup> ამ ფონდების შესახებ იხ.: ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბილისი, 1945, გვ. 039; ლ. ქუთათელაძე, ნ. კასრაძე, ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ფონდი, წიგნში: საქ. სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთსაცავების გზამკვლევი, თბილისი, 1952, გვ. 98, 99 და შემდეგ.

ხელნაწერის ახალციხურ წარმოშობილობას ადასტურებს „გურჯისტანის ვილნაჟეთის დიდი დავთარი“ II წიგნზე 1941 წ. დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩვენი ხელნაწერი ინახებოდა „ახალციხის სამაზროს რუსულ არქივში, საიდანაც ის გაეტანა ერთ ახალციხელ ბეგს. ამ ბეგის შვილისშვილმა ლ. ერისთავმა 1925 წელს ხელნაწერი შეაძლია საქართველოს ცენტრარქივს და შემდეგ მიყიდა თბილისის უნივერსიტეტს“<sup>1</sup>.

გვეი არ არის, რომ ჩვენი „დავთარი“ ახალციხიდანაა ჩამოტანილი. ისევე როგორც სხვა მის შემდეგდროინდელი დავთრები, ჩვენი „დავთარიც“ პირველ ხანებში შენახული უნდა ყოფილიყო ახლად შემოერთებულ ყ. ახალციხის საფაშოში დაწესებული „დროებითი სამმართველოს“ კანცელარიაში. თურქობის დროის ასეთი „დავთრები“ ახალციხეში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგაც დიდხანს იყო გამოყენებული როგორც იურიდიული დოკუმენტი სხვადასხვა საჩივრის, სამიწათმფლობელო და მიწათსარგებლობის შესახებ საქმეების გარჩევისა და სხვადასხვა გადასახადის დაკანონების დროს. რადგანაც ამის შესახებ უფრო დაწვრილებით IV წიგნში გვექნება ლაპარაკი, ჩვენ აქ მოვიტანთ ერთი დოკუმენტიდან ამონაწერს, საიდანაც ჩანს, რომ „დავთარი“ ინახებოდა ახალციხის რუსული „დროებითი სამმართველოს“ კანცელარიაში და რომ „დავთარს“ ძალა ჰქონდა რუსული ხელისუფლების დროსაც: საქ. სსრ ცენტრარქივში დაცულია 1835 წლის საქმე, რომელშიც ახალციხის საფაშოს უფროსი გენერალ-მაიორი ორანსკი თავის ხელქვეითს, ახალქალაქის კომენდანტს წერს: По книге Джабег<sup>2</sup>, хранящейся в Ахалцихском Областном Правлении, значится, что пустопорожня деревня, состоящая в Ахалкалакском санджаке, Лепяс заключает в себе 9.000 ахчей, а Бурва 18.000 ахчей<sup>3</sup>. О чем Вашему Высокоблагородию в разрешение рапорта от 14 августа за № 820 давая знать, подтверждаю о скорейшем выполнении предписания моего от 10 августа...<sup>4</sup> და სხვ.

ზომა. „დავთარი“ ძირითად ნაწილში მაინც საცხრილო და საანგარიშო ხასიათის მასალის (გეოგრაფიული პუნქტებისა და მოსახლეობის სია, სხვადასხვა გადასახადის რაოდენობა და ღირებულება ციფრებში და სხვ.) შემცველი დოკუმენტია. ასეთი ხასიათის მასალა განლაგებას ვერტიკალური მიმართულებით უფრო მოითხოვს, ვიდრე ჰორიზონტალური. ამიტომაც, ვფიქრობ, საერთოდ „დავთრების“ ფორმატისათვის დამახასიათებელი დიდი სიგრძე და მცირე განივ<sup>5</sup>. ჩვენი ხელნაწერის სიგრძე 42 სმ-ია, ხოლო სიგანე — 14 სმ. ასეთია ზომა როგორც ყდის ორთავე ნახევრისა, ისე ხელნაწერის.

<sup>1</sup> კ. ს.-ს, გურჯისტანის ვილნაჟეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თურქული ტექსტის თარგმანი, „ნათობი“, № 9, 1941, გვ. 160.

<sup>2</sup> „ჯაბა“, როგორც IV წიგნში ვნახეთ, ჩვენი დავთრის ხალხში გავრცელებული სახელია.

<sup>3</sup> ეს სოფლები დავთარშიც ამდენივე (9 000 და 18 000 ახჩა) თანხითაა დაბეგრული (იხ. I, 256, II, 251 და I, 259, II, 254).

<sup>4</sup> სცია, ფ. 1012, ს. 12, გვ. 1რ.

<sup>5</sup> იხ. ხელნაწერის სურათი დავთრის I წიგნში, გვ. VII-ის წინ.

ფურცლების მიხედვითაც (იხ. მაგალითისათვის გვ. 21, 153, 203, 379, 391, 403 და ა. შ.). ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც, აქა-იქ შეინიშნება ფურცელი, რომელსაც ოდნავად ნაკლები სიგრძე აქვს. ასეთია მაგალითად, გვ. 3, 5, 9, 231, 233, რომელთა სიგრძე 41,5 სმ-ია, ან არადა 41 სმ-იანი სიგრძის 229-ე გვერდი.

ხელნაწერი საკმაოდ სქელი წიგნია. იგი შედგება 490 გვერდისაგან. ამ სათვალავში არ შედის პირველი და უკანასკნელი ცარიელი ფურცლები. გვერდებზე ტექსტი თანაბარი მოცულობით არ არის მოცემული. ზოგი გვერდი შევსებულია მეტად, ზოგი ნაკლებად. ეს მეტნაკლებობა ძირითადად სიგრძის მიხედვით 30-35 სმ-ში ქანაობს; სიგანით კი ტექსტი უმთავრესად მაინც ერთი ზომისაა—10 სმ, თუმცა იშვიათ შემთხვევაში 10,5 სმ-იც გვხვდება. ტექსტის ზომის თვალსაზრისით დავასახელებთ რამდენიმე გვერდს: გვ. 390—27,5×10, გვ. 5, 7, 9 და სხვ.—30×10, გვ. 399—30,5×10, გვ. 408—30,5×9,5, გვ. 419, 430, 486—32×10, გვ. 391—32,5×10, გვ. 404—33×10, გვ. 137—34×10,5, გვ. 488—34,5×10, გვ. 463—35×10, გვ. 201, 287—35×10;5, გვ. 237, 363—35,5×10,5 და ასე შემდგომ.

სტრიქონთა რაოდენობის შესახებ ხელნაწერში ხელნაწერში თითოეულ გვერდზე სტრიქონთა რაოდენობა შეპირობებულია ტექსტის ხასიათით და სწორედ ამიტომ საერთოდ გვერდებზე თანაზომიერება დაკული არ არის. „დავთრის“ საკანონმდებლო ნაწილში<sup>1</sup>—კანუნნამეში, სადაც ერთფეროვანი და გაბზული ტექსტებია, ჩვენ გვაქვს 23-23 სტრიქონი (გარდა არასრული მე-10 გვერდისა, რომელშიც 14 სტრიქონია). სხვაგვარი აგებულების სტრიქონები გვაქვს „დავთრის“ იმ ნაწილში, რომელშიც „გურჯისტანის ვილაჟეთის“ დასახლებული პუნქტებისა და სხვა საგადასახადო ობიექტების სია გვაქვს მოცემული მათზე შეწერილი გადასახადების ჯუშლის ჩვენებით ახნებში. ეს მასალა დალაგებულია სტანდარტული წესით, რომელიც ზუსტადაა დაკული ყველგან მთელი „დავთრის“ მანძილზე. მასალის თანამიმდევრობა ასეთია: ჯერ მოცემულია გარკვეულ ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლის რიცხითი ნომერი, შემდეგ „სოფელი“ ან სხვა რომელიმე გეოგრაფიული ცნების—„ტბა“, „მდინარე“ და სხვ. აღმნიშვნელი სიტყვის, ასე ვთქვათ, „იდეოგრამა“, შემდეგ ამ პუნქტის (საგადასახადო ობიექტის) სახელი; მას მისდევს „ჯუშმალ“ სიტყვის „იდეოგრამა“ და ბოლოს მოცემულ პუნქტზე შეწერილ გამოსაღებთა ჯუშმალი ციფრებით. ყველა ეს მასალა სტრიქონში დალაგებულია ვერტიკალურად, ასე ვთქვათ, სართულებად, რომელშიც მასალათა გარკვეული თანამიმდევრობა ზუსტადაა დაკული. ცხადია, ასეთ სტრიქონს უფრო მეტი ადგილი სჭირდება, ვიდრე, მაგალითად, ჩვეულებრივი ტექსტის სტრიქონს<sup>2</sup>.

დაახლოებით ასეთივე მოცულობის ადგილი უჭირავს სტრიქონებს „დავთარში“ დეტალური აღწერილობის ნაწილებშიც<sup>3</sup>, სადაც რამდენადმე სხვა

<sup>1</sup> იხ. დედანი, გვ. 4-10, I წიგნი—ტაბულები: II ა, ბ; III ა, ბ; IV ა, ბ და V ა.

<sup>2</sup> იხ. დედანი, გვ. 12-22 და 378-383; აგრეთვე I წიგნში, ტაბულა V ა და ტაბ. XI ა.

<sup>3</sup> იხ. დედანი, გვ. 26-376 და 390-490; აგრეთვე I წიგნში, ტაბ. X ა და ბ, ტაბ. XI ა, ტაბ. XV ა და სხვ.

ხასიათის მასალაა<sup>1</sup> განლაგებული იმავე წესით, რომელზედაც ჩვენ ახლა გვქონდა ლაპარაკი. ცხადია, „დავთრის“ ამ ნაწილში სტრიქონთა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე კანუნნამეში. აქ ჩვეულებრივად სტრიქონთა რაოდენობა სრულ გვერდზე 17-17-ია<sup>2</sup>; განსაკუთრებულ შემთხვევებში და იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება 18-18 სტრიქონიანი გვერდები<sup>3</sup>. მე-14 გვერდზეც 18 სტრიქონია, რადგანაც მე-6 სტრიქონის შემდეგ ჩამატებულია გაუთვალისწინებელი სტრიქონი.

ხელნაწერში ზშირალაა ძირითადი ტექსტისადმი მიწერილი შენიშვნები. ეს მინაწერები საერთოდ ისე შეკუმშულადაა ნაწერი, რომ ზოგ მათგანს „სართულბიან“ სტრიქონზე მეტი ადგილი არც უჭირავს და „დავთრის“ ამ ნაწილში სტრიქონთა საერთოდ მიღებულ რაოდენობას მაინცდამაინც არ არღვევს. მაგალითად, 322-ე გვერდზე 13 მინაწერია, 323-ე—8; მაგრამ პირველზე თითქოს 17 სტრიქონია, მეორეზე კი—16 (მინაწერს, რომელიც თავისდათავად 3, 4 ან 5 სტრიქონისაგან შედგება, მოცულობით თითქმის სხვა „სართულიან“ სტრიქონებზე დიდი ადგილი არ უჭირავს და ამ კონტექსტში დოკუმენტის შემდგენლის მიერ თითქოს ერთ სტრიქონად არის ნავარაუდევო. ზოგჯერ კი მინაწერი დიდი მოცულობისაა, ან ერთ გვერდზე ჩვენ გვაქვს რამდენიმე მინაწერი<sup>4</sup>. ასეთ შემთხვევაში გვერდებზე სტრიქონთა რიცხვი სხვადასხვანაირია და სტანდარტულებისაგან მკვეთრად განსხვავებული.

საწერი მასალა. ა) მელანი. „დავთარი“ დაწერილია საერთოდ შავი მელანი. მელანი ისეთი კარგი კონსისტენციისაა, რომ ნაწერს ჩვენ დრომდე შენარჩუნებული აქვს მოკერილი შავი ფერი და ძირითადი ტექსტი დღევანდლამდე მოღწეულია მეტად მკაფიო დაწერილობით. რამდენიმე ადგილას „დავთარში“ გვხვდება უფრო გვიანდელი მინაწერები. ასეთებია მაგალითად, ღელნის 51-ე<sup>5</sup>, 241-ე<sup>6</sup>, 382-ე-383-ე<sup>7</sup> გვერდების მინაწერები, რომელთა მელანიც აგრეთვე შავია, ოღონდ საკმაოდ მკრთალი და თვალსაჩინოდ განსხვავებული ძირითადი ტექსტის საწერი მასალისაგან. ძეგლის 446-ე გვერდზე ჰიჯრის 1230 (=1814-1815) წლის მინაწერის მელანი კი, მართალია, მკრთალი შავი ფერის არაა, მაგრამ მაინც განსხვავებულია ჩვეულებრივი ტექსტის მელნისაგან.

ხელნაწერისათვის გამოყენებულია აგრეთვე წითელი მელანი. ჩვეულებრივი ტექსტისაგან გამოსაყოფი და ხაზგასასმელი სიტყვა ან სიტყვები ნაწერია ღია ფერის წითურით. წითურითაა, მაგალითად, ნაწერი „დავთრის“ საკანონმდებლო ნაწილის სათაური ولايت كورجستان, აქვე კანონთა

<sup>1</sup> დავთრის შედგენის ტექნიკურ მხარეზე ჩვენ სპეციალურად გვქნება ლაპარაკი IV წიგნში; ამიტომ აქ სტრიქონების აღწერის შესახებ დეტალებს არ გამოვეყივით.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, გვ. 245, 247, 250, 251-2, 262-3, 266-7 და სხვ.

<sup>3</sup> მაგ., გვ. 244, 280, 298, 456 და სხვ.

<sup>4</sup> მაგ., გვ. 28, 45, 53, 265 და სხვ.

<sup>5</sup> დავთარი, I, გვ. 50.

<sup>6</sup> იქვე, 262.

<sup>7</sup> იქვე, 408, 410.

კრებულში „ნუხლის“ აღმნიშვნელი არაბული **ص** სიტყვა, რომელიც დაუნომ-რავად ცხრამეტჯერ გვხვდება (დედნის გვერდების მიხედვით): მე-4 გვ-ზე—ერთჯერ, მე-5-ზე—ხუთჯერ, მე-6-ზე—ოთხჯერ, მე-7-ზე—ორჯერ, მე-8-ზე—ოთხჯერ, მე-9-ზე—ერთჯერ და მე-10-ზე—ორჯერ.

გარდა ამისა, წითურითაა ნაწერი ყველგან არაბული რიცხენიშნები, რომელიც სარაიონო ადმინისტრაციული პუნქტის, ან კიდევ სოფელთა და სხვა საგადასახადო ობიექტთა სათვალავის აღმნიშვნელია. ასეთი რიცხენიშნები ჩვენ გვხვდება „დავთრის“ თითქმის მთელ მანძილზე — როგორც გეოგრაფიულ პუნქტთა სიებში (დედნისეული გვ. 12-23, 378-382), ისე ძირითად ტექსტში, სადაც ჩვენ გვაქვს სოფელთა ე. წ. დაწვრილებითი აღწერილობანი (გვ. 26-372, 390-490).

წითურითაა ჩაწერილი სათანადო ადგილებში აგრეთვე შეცდომით გამორჩენილ საგადასახადო ობიექტთა სახელები თავიანთი ჯუმლებით: მე-19 გვერდზე 69-სა და 71 ნომრებს შუა ჩაწერილია — **حاصل 'مورج خيت واسطه' — ٧٠** . . . = '70. შუა მურჯახეთი, ჯუმალი — 3.000'. შეცდომა რომ შემუშნევიათ, გაუსწორებიათ და გამოტოვებული სოფელი სტრიქონს ზემოთ ჩაუწერიათ სინგურით, რათა უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო ეს შესწორება. ამავე გვერდზე ამგვარადვე ჩაწერილია 1-სა და 3 ნომრებს შუა შემთხვევით გამორჩენილი № 2 საგადასახადო ობიექტი—ჩაირი. ასევე სინგურითაა ჩაწერილი 382-ე გვერდზე 24-სა და 26 ნომრებს შუა გამორჩენილი 25-ე საგადასახადო ობიექტი **٣٣٠—حاصل... بر و بر جفتك** 'მამული ერთი და ერთი... ჯუმალი—340'.

მოწითალო მელნითაა შესრულებული 103-ე გვერდზე ალთუნ-ყალის რაბათის აღწერილობისადმი დართული შენიშვნა, თითქოს, ლუკას ქაიხოსროს შესახებ ისევე, როგორც 129-ე გვერდზე 21-ე პუნქტისადმი („კოხტის ციხის რაბათზე“) მიწერილი შენიშვნა მისი მფლობელის იმავე ლუკას ქაიხოსროს შესახებ<sup>1</sup>.

241-ე გვერდზე ჰიჯრით 1200 (=1786) წლის მინაწერში, რომელიც მკრთალი შავი ფერითაა შესრულებული (იხ. ზემოთ), ბნლ-ჰავსა და საქორწინო გამოსაღების შესახებ შენიშვნა წითურითაა ნაწერი თავისი საჯუმლო რიცხვით (10 000 ახჩა—ბნლ-ჰავსა და საქორწინო გამოსაღებთა თანხის ნახევარი და 262 000 ახჩა—საერთო ჯუმალი (I, 262<sub>ახ</sub>)).

ბ) ქ ა ლ ლ დ ი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ლ. ა. შერვაშიძის მოწმობით, ჩვენი „დავთრის“ ქალაღი ვენეციური წარმოშობისაა<sup>2</sup>. ქალაღი ყველგან ერთნაირია. იგი ძალიან მკვრივია. ქალაღის ჰვირნიშანზე გამოხატულია ლუზა წრეში, რომლის ზემოთ მოყვანილია ჯვარისებრი ფიგურა. ნ. პ. ლიხაჩევის მიერ ასეთი ჰვირნიშანი დადასტურებულია XVI საუკუნის ერთ ფურცელზე, რომელიც ჩადებული ყოფილა მოსკოვის სინო-

<sup>1</sup> იხ. დავთარი, წიგ. I, 110, 139; იქვე „შენიშვნები ტექსტის მიმართ“ მე-7 გვერდზე შესატყვისი განმარტებები; აგრეთვე II 112 და იქვე სქოლიო.

<sup>2</sup> საერთოდ ქალაღის ჰვირნიშნების ამოცნობასა და დახუსტებაში დახმარება გამიწია ლ. ა. შერვაშიძემ.

დალური ბიბლიოთეკის № 148 ხელნაწერში (1386 წლის გ. ამარტოლის ქრონიკა)<sup>1</sup>. ოლონდ ჩენი ქალაღლის ქვირნიშანი დეტალებში ოღნავ განსხვავებულობას იჩენს: წრის ზემოთ გამოყვანილ ჯვარს ქვემო ნაწილში დამატებითი ფიგურაც აქვს. საერთოდ კი ასეთი ქვირნიშანი XVI საუკუნეში ყოფილა ცნობილი და, ამგვარად, მისი მონაცემები სრულ ჰარმონიაში იმყოფება „დავთარში“ მოცემულ თარიღთან, რომელიც 1595 წლით არის განსაზღვრული<sup>2</sup>.

ხელნაწერის შემოსილობა და დაცულობა. ხელნაწერი ჩასმულია მუყაოს სქელ ყდაში, რომელსაც ზემოდან გადაკრული აქვს მოყავისფრო ტყავი. ყდის პირველსა და უკანასკნელ გვერდებზე შუა ადგილას, ტყავის ზედაპირზე გამოსახულია ჩაქდუღულად პლასტიკური ხელობით შესრულებული ელიფსის ფორმის მცენარის ორნამენტი. აკად. შ. ამირანაშვილის მოწმობით ასეთი ორნამენტი მეტად დამახასიათებელია „დავთრის“ დაწერის ეპოქისათვის (XVI საუკუნე).

ყდის ბოლოების გარშემო გადაკეცილი ტყავი უკვე გაცვეთილია და ზოგან მუყაო ფენებადაა დაშლილი. მუყაოს ყდის შემდგომი რღვევისაგან დასაცავად მის მეორე და მესამე გვერდებზე, განსაკუთრებით მარჯვენა და მარცხენა კუთხეებზე ზემოთ და ქვემოთ გადაუკრავთ მოწითალო ფერის ტყავი. ყდის მეორე და მესამე გვერდებზე მუყაოს მთელ სიგრძე-სიგანეზე გადაკრული აქვს უკვე XIX საუკუნის ფერადი ქალაღდი. გარდა ამისა, ყდის მეორე და მესამე გვერდების მთელ სიგრძეზე ამ ფერად ქალაღდს ყუასთან დაწებებული აქვს აგრეთვე ახალი წარმოშობის ქრელნახატისანი ქალაღდი დაახლოებით 5 სანტიმეტრის განისა, რომლის მეორე ნახევარიც ხელნაწერის პირველ და უკანასკნელ დაუნომრავ ფურცლებზე გადადის. ეს ქრელი ქალაღდი ყდის გადასაკეც ადგილზე ხმარებისაგან უკვე გახეულია. ხელნაწერის ყუაზე დაწებებულია თეთრი ქსოვილის ნაჭერი, რომელზედაც ძაფით დაკერებულია ხელნაწერის შემადგენელი რვეულები. ხელნაწერის ყუას ამ მატერიის ნაჭერზე გადაკრული აქვს წითელი ფერის ტყავი, რომლის ბოლოები უკვე მოცვეთილია იმდენად, რომ ყდის პირველი გვერდის ზემო და ქვემო ნაწილებიდან მთლიანად გადამძვარა და შემდეგში ეს გადამძვარალი და ბოლომოცვეთილი ტყავი პირდაპირ ხელნაწერის პირველ გვერდზე დაუწებებიათ ზემოდან. ყდის მეოთხე გვერდზე ქვემო ნაწილში გადაკრული ტყავი ამოხეულია შუაში მცირეოდენად, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ—საგრძნობლად. ხელნაწერის პირველი დაუნომრავი ფურცლის recto გვერდის მარცხენა აშის მთელ სიგრძეზე დაცრეცისაგან დასაცავად დაწებებულია თეთრი ქალაღდი, რომელიც ზოგან უკვე ამძვარალია. ეს (პირველი) დაუნომრავი ფურცელი შუაზე გადახეულია და ამ გადახეულ ადგილას დაწებებული აქვს თეთრი ქალაღდი, რომელზედაც შემდეგში დაუწერიათ თითქოს ხელნაწერის

<sup>1</sup> Н. П. Лихачев, Палеографическое значение бумажных водяных знаков, часть II, Предметный и хронологический указатели, СПб, 1899, гл. 423, №3967 და часть III, Албом снимков, гл. Т. СXXX, № 808. /

<sup>2</sup> დავთარი, I, გვ. 5 და II, გვ. 6.

სააღრიცხვო ნომერი (478)<sup>1</sup>. Verso გვერდზედაც შუა წელის ქვემოთ გახეულ ადგილას დაწებებულია ქალაღი.

კუსტოსები. ხელნაწერის გვერდები თავდაპირველად დანომრილი არ ყოფილა. სამაგიეროდ ხელნაწერის მთელ მანძილზე, თავიდან ბოლომდე, გატარებულია კუსტოსის (კუსტოდის) სისტემა, რომელიც ძველ ხელნაწერ (და, ზოგჯერ, ნაბეჭდ) წიგნებში საერთოდ პაგინაციის მაგიერობას ეწვევა. კუსტოსი დაწერილია verso გვერდების მარცხენა ქვედა კუთხეში, საიდანაც ტექსტი ახალ ფურცელზე გადადის. მასალობრივად კუსტოსი წარმოადგენს ჩვეულებრივ მომდევნო recto გვერდის პირველ ერთ, ან პირველ ორ სიტყვას. მაგალითად, დედნის 38-ე გვერდზე კუსტოსად ნახმარია ერთი სიტყვა *حاصل* 'ჯუმალი', მე-40 გვერდზე — *سوليس* '[სოფ.] სხვილისი', 62-ე გვერდზე — *مرحك* 'ოსპი', 358-ე გვერდზე — *اسنج* 'ისფენჯი' და სხვ. კუსტოსად ორორი სიტყვაა მოტანილი, მაგალითად, დედნის შემდეგ გვერდებზე: მე-14 — *قرية* 'სოფელ ადიგენი' (*قرية* 'სოფელ' სიტყვა „დაეთარში“ საერთოდ შემოკლებითაა მოცემული ისე, რომ თავკიდური *ق* ასო მოხაზულია სრულად, ხოლო მისი მომყოლი *ر* და სხვა ასოები წაგრძელებულ ხაზში ივარაუდება). მე-16 — *قرية* 'სოფ. ტოლოში', 22-ე — *ساحية* 'პეტრეს რაიონი', 58-ე — *رسم* 'გამოსაღები იალაღზე', 60-ე — *رسم* 'გამოსაღები ფუტყარზე' და სხვ. ხშირია აგრეთვე სამსიტყვიანი კუსტოსი: მე-4 გვერდზე — *بر* 'თუ მიწას დახნავს და დათესავს', 52-ე გვერდზე — *ولد* 'ბოლო ან სიტყვა კარგად არ ჩანს' 'გოგონა ძე მისი', მე-200 გვერდზე — *ولد* 'პაპუნა დოლენჯის ძე', 106-ე გვ. — *قرية* 'სოფ. ზემო ენთელი' და სხვ. არის აგრეთვე ოთხი სიტყვისაგან შემდგარი კუსტოსი, მაგალითად: მე-6 გვერდზე — *و* 'და სხვა თიმარის მფლობელის...'. 322-ე გვერდზე — *اسباب* 'წისქვილი აპარონის ხელში' და სხვ. ერთ შემთხვევაში კი საკუსტოსო ნიშნად მთელი ხუთსიტყვიანი წინადადებაა მოტანილი (მე-8 გვერდზე) — *فصل* 'თავი (18) თუ ვინმე სისხლს დააქვევს...' და სხვ.<sup>2</sup>

ხელნაწერის საკუსტოსო ადგილზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ „დაეთარის“ ქვემო აზიები, შეიძლება ცალკე რეულების შეკერვისა და აკინძვის დროს, ჩამოუჭრიათ. ჩამოჭრის დროს „დაეთარის“ ქვემო ნაწილში კუსტოსი ზოგან ისეა დაზიანებული, რომ მისი კვალი სრულებით გამჭრალია. მაგალითად, ხელნაწერის 254-ე, 268-ე, 270-ე, 280-ე, 282-ე, 286-ე და სხვა გვერდებზე. ზოგჯერ საკუსტოსო სიტყვის ერთი ნაწილი ჩამოჭრას გადაჩენილია; მაგალითად: 128-ე გვერდზე *حاصل* სიტყვაში მესამე *ص* ასოს ნახე-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 3, მეორე სქოლიო.

<sup>2</sup> საკუსტოსო ნიშნის ასეთი მრავალსიტყვიანობა ჩვენ არ შეგვხვედრია. ჩვეულებრივად კუსტოსში ერთი სიტყვა, ან არადა სიტყვის ერთი მარცვალია ხოლმე. იხ. მაგალითად, *Путешествие Ибн-Фадляна на Волгу, М.—Л., 1939, ტაბ. 208 და 210 6; აგრეთვე იქვე, გვ. 24.*

ვარი ჩამოჭრილია; ასევე 118-ე და 122-ე გვერდებზე იმავე სიტყვის უკანასკნელი კ ასოს ბოლო წაჭრილია; 154-ე გვერდზე საკუსტოსო **سكس** სიტყვაში **ك** ასო სრულებით არ არის, ხოლო 262-ე გვერდზე იმავე სიტყვის პირველი ასოს—ელიფის მხოლოდ თავილა ჩანს; 264-ე და 272-ე გვერდებზე ჩამოჭრის შემდეგ გადარჩენილია **ك** სიტყვის პირველი ; ასო და სხვ.

ჩამოჭრის დროს ხშირად კუსტოსი რომ ზიანდებოდა იქიდანაც ჩანს, რომ 288-ე გვერდზე ქვემო აშია ჩამოუჭრიათ, მაგრამ ჩამომჭრელის უყურადღებობით სწორედ კუსტოსის ადგილი ნაწილობრივად გადარჩენილია (იკითხება მომდევნო გვერდის პირველი—**ك** სიტყვის თავიკიდური ; ასოს ზედა ნაწილი და მეორე — **ك** (სოფ. ქაბორია) სიტყვის პირველი **ك** ასოს თავი.

სარაიონო პუნქტების „საძიებელი“. ერთხელ შედგენილ დაეთარს დაეთარსა რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა გააწიო. იგი შემდეგშიც საქირო იყო, რადგანაც „ახალი დაეთარი“ (**دفتر جدید**) დგებოდა ხოლმე „ძველი დაეთარის“ (**دفتر عتيق**) საფუძველზე<sup>1</sup>. „ახალ დაეთარში“ საკმაოდ ხშირად ვხვდებით მითითებებს „ძველი დაეთარის“ სათანადო ადგილებზე<sup>2</sup>. ამიტომაც არის, ალბათ, რომ ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, დაეთარს ძალიან უფროთხილდებოდნენ და ცდილობდნენ დაეცვათ იგი ადრე დაწლისა და დაფხრეწისაგან. „დაეთარი“ ჩასმულია მაგარ და ტყავადაკრულ ყდაში, ზოგჯერ გაცვეთისაგან დასაცავად ფურცლების გადაკეცვის ადგილას ქვემოდან ქალაღები აქვს დაწებებული (იხ. მაგალითად, გვერდები: 114-115, 112-117, 110-119, 108-121 და სხვ.). ასევე ქალაღებია გადაკრული, მაგალითად, 17-18 და 19-20 გვერდების ქვემო და ზემო აშიებზე და სხვ.

„დაეთარის“ ხელნაწერისადმი მომხმარებელთა ერთხილ დამოკიდებულებაზე მიუთითებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ „დაეთარში“ თავიდან ბოლომდე გარკვეულ ადგილებში გატარებული ყოფილა აბრეშუმის ძაფისაგან გაკეთებული ზონრების ან, შეიძლება, ფოჩების სისტემა, რომლის დანიშნულებაა დაიცვას ხელნაწერის გვერდები ზედმეტი ვადაფურცლისაგან. საქმე ისაა, რომ თითოეული რაიონის (ნაჭიგის) აღწერის დასაწყისში მარჯვენა ან მარცხენა აშიაზე (იმისდა მიხედვით, თუ რომელ გვერდზე — recto-ზე თუ verso-ზე—იწყება ამა თუ იმ სარაიონო ადმინისტრაციული პუნქტის აღწერა) გაკეთებულია აბრეშუმის ძაფით ამოკერილი სამკუთხედი, საიდანაც, ალბათ, ძაფებისაგან ნაგრეხი ზონარია ან, შეიძლება ფოჩი გარეთ იყო გამოშვებული<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, ამ ზონრებით ან ფოჩებით, ძლიერ ადვილდებოდა სათანადო რაიონისა და შემდეგ სათანადო სოფლის აღწერილობის მო-

<sup>1</sup> საერთოდ დაეთარებზე სპეციალურად IV წიგნში.

<sup>2</sup> მაგ., ისეთი სტრუქტურული გამოთქმები, როგორცაა: **دفتر عتيق و جينج** 'თანადი ძველი დაეთარისა' (დაეთარი, I, გვ. 341, II, გვ. 333 და სხვ.).

<sup>3</sup> იხ. დაეთარის I წიგნში XIIa, XIIIa და XV მ ტაბულების აშიებზე ამ სამკუთხედის გამოხატულება.



ძებნა<sup>1</sup>. „დავთარში“ შეტანილი 28 რაიონის აღწერილობის დასაწყის ადგილებზე ადგილად შეინიშნება აბრეშუმის ძაფით ამოქარგული 2 სმ სიგრძის სამკუთხედი, ოღონდ ამ სამკუთხედად ნაკერი ადგილიდან გამომავალი ზონარი (თუ ფოჩი?) უკვე ყველგან მოწყვეტილია და ჩვენ დრომდე არ შენახულა. ორ ადგილას, სახელდობრ 120-ე (ასპინძის რაიონი) და 224-ე გვერდებზე (თმოგვის რაიონი) ძაფის ნაშთი საესებით გამქრალა, მაგრამ ნემსით დაჩხვლეტილი სამკუთხედის ფიგურა დარჩენილია. ნაშთების მიხედვით ასეთი ზონარების (თუ ფოჩების) სამკუთხედის ფორმისა და ძაფით ამოყვანილი ძირები დღესაც დაცულია შემდეგ გვერდებზე: 26-ე (შვარის რ-ნი ახალციხის ლივში), 38 ე (ჩრდილის რ-ნი ახალციხის ლივში), 52-ე (უღის რ-ნი), 78-ე (ქობლანის რ-ნი), 82-ე (აწყურის რ-ნი), 103-ე (ალთუნყალა'ს რ-ნი), 110-ე (ოცხის რ-ნი), 120-ე (ასპინძის რ-ნი), 137-ე (ქაქარაქის რ-ნი), 159-ე (ხერთვისის რ-ნი), 176-ე (ტყიანი ჯავახეთის რ-ნი), 195-ე (ბუზმარეთის რ-ნი), 199-ე (აქშიპირის რ-ნი), 224-ე (თმოგვის რ-ნი), 230-ე (ნიალისყურის რ-ნი), 242-ე (ჯანაზის რ-ნი), 261-ე (ქანარბელის რ-ნი), 274-ე (მგელციხის რ-ნი), 278-ე (შვარის რ-ნი ფოცხოვის ლივში), 296-ე (ჩრდილის რ-ნი ფოცხოვის ლივში), 310-ე (პეტრეს რ-ნი), 316-ე (ქაშეთის რ-ნი), 322-ე (ფანაკის რ-ნი), 346-ე (ქიამხისის რ-ნი), 353-ე (ფანასკერტის რ-ნი), 378-ე (არტაანის ლივში შემავალ რაიონთა და სოფელთა სია), 390-ე (შვარის რ-ნი არტაანის ლივში), 427-ე (ჩრდილის რ-ნი არტაანის ლივში) და 447-ე (ტყიანი რ-ნი იმავე ლივში).

როგორც დავინახეთ, ერთ ადგილას — 378-ე გვერდზე აბრეშუმის ზონარისათვის (ფოჩისათვის) სამკუთხედი ამოკერილია აგრეთვე არა რაიონის აღწერილობის დასაწყის ადგილას, არამედ არტაანის ლივში შემავალ რაიონთა და დასახელებულ პუნქტთა სიის დაწყებისას<sup>2</sup>.

ამრიგად, „დავთარში“ სულ (28+1) 29 ზონარი (ფოჩი) ყოფილა. ორი ზონრისაგან (ფოჩისაგან) ძაფი სრულებით არაა დარჩენილი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანარჩენი 27 ზონრისათვის აბრეშუმის მასალა წითელი ფერისაა 16 სამკუთხედზე, ხოლო ლურჯი ფერისა—11-ზე.

ხელნაწერის აღრიცხვა ახალციხის საფაშოს შემოერთების შემდეგ. რუსული მმართველობის დამყარებისას ახალციხის საფაშოს კანცელარიაში დარჩენილი დოკუმენტები სათანადო წესით აღურციხავთ და დაუცავთ. ამის მაჩვენებელია პოდპოლკ. ოგარევისა და ხალაუტინის ხელმოწერით „დავთარში“ გაკეთებული სააღრიცხვო ხასიათის შენიშვნები.

<sup>1</sup> მე არ ვიცი, თუ რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან ჩვენი „დავთარის“ „ფოჩები“ იმ „ბაწრულის მსგავს ნიშანთან“, რომელიც შენიშნულია 1578 წ. კუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში“ და რომელზედაც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ოველი სოფლის სახელს აწიხავ უზის ბაწრულის მსგავსი ნიშანი წითელისა და შავის მელნით ნახატი, რომ მკითხველმა აღვიდა შეამჩნიოს, სად იწყება სოფლის სახელი“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბილისი, 1930, გვ. 72).

<sup>2</sup> იხ. დედანი, გვ. 378.

ხელნაწერის პირველ გვერდზე, რომელიც რუსი მოხელისათვის უკანასკნელ გვერდს წარმოადგენდა (საერთოდ ხელნაწერის ან სხვა დოკუმენტის გვერდთა რაოდენობის დამადასტურებელი ცნობა უკანასკნელ გვერდზე იწერება), შემდეგი მინაწერია: В сей книге (называемой по-турецки Духана) перенумерованных и скрепленных двести сорок пять листов.

Председатель Ахалцихского Правления

Подполковник Огарев

ქვემოთ დაახლოებით შუა გვერდზე: Секретарь Халютин.

ამ მინაწერში ყურადღებას იქცევს ჯ ა ბ ა სიტყვა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ახალციხის საფაშოში „დაეთრის“ სახელი ყოფილა. ჩვენ ეს სიტყვა IV წიგნში დაწვრილებით გვექნება განხილული. მინაწერის ქვეშ ხელისმომწერი პოდპოლკოვნიკი ოგარევი საარქივო მასალების მიხედვითაც ახალციხის საფაშოში ახლად ჩამოყალიბებული რუსული მმართველობის უფროსია. 1830 წლის ერთ ქართულ საბუთს ხელს აწერს „ახალციხის ნაჩალიკი Подполковник Огарев“<sup>1</sup>. იქვე ქართულ საბუთში მისი გვარი, ალბათ შეცდომით, ასე იხსენიება: „წინა მყოფის ნაჩალიკათ უფალი აგაროვის ბრძანებით“<sup>2</sup>. 1833 წლის ერთ საბუთში ოგარევი იხსენიება აგრეთვე როგორც „ყოფილი უფროსი“: „...при бывшем начальнике Пашалыка подполковнике Огареве“<sup>3</sup>. საქართველოს არქივში ჩვენ შეგვხვდა აგრეთვე 1837 წლის ქართული საბუთი, რომელშიც წერია: „სულთანის ბარათი იმ სოფლებისა არის წარდგენილი ჩვენგან იმავე (ახალციხის დროებითი) სასამართლოსა [=სამმართველოს—ს. ჯ.] წინა მყოფი საფაშოისა პოდპოლკოვნიკი ოგარევის დროს“<sup>4</sup>.

მინაწერის ქვეშ მეორე ხელისმომწერია ახალციხის სამმართველოს მდივანი ხალაუტინი (Халютин). საქ. ცენტრალური ისტორიული არქივის 1842 წლის „საქმეებში“ ი. ხალაუტინი იმავე (ი. ი. მდივნის) თანამდებობაზე იხსენიება ორგანიზაციაში Тифлисская Комиссарнатская Комиссия მე-8 კლასის თანამშრომლის წოდებით, ხოლო იმავე საქმის 28-ე გ. გვერდზე ის არის სეკრეტარე 7-го класса<sup>5</sup>. ვინაიდან ეს საარქივო „საქმე“ ახალციხის საფაშოს განეკუთვნება, ვფიქრობ, აქ მოხსენებული ი. ხალაუტინი და „ახალციხის სამმართველოს“ „მდივანი ხალაუტინი“ (რომელსაც, როგორც ქვემოთ გაიჩვენება, ჰქვია ივან) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. ეს მით უფრო, რომ ეს ორი საბუთი ერთი წარმოშობისაა არა მარტო ტერიტორიულად (საქართველო), არამედ ქრონოლოგიურადაც არ არიან დაშორებული (1829 და 1842 წწ.).

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 73, გვ. 2 გ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 1 გ.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 7 გ.

<sup>4</sup> იქვე, ს. 64, გვ. 28 გ.

<sup>5</sup> იქვე, ს. 65, გვ. 27 გ.

თვით ამ ხალაუტინის ხელმოწერის სწორად წაკითხულობა არავითარ-  
 ექვს არ იწვევს, რადგანაც სავსებით გარკვევით დაწერილი ეს გვარი რამ-  
 დენიმეჯერ გვხვდება თვით „დაეთარშივე“. საქმე ისაა, რომ „დაეთარის“  
 ხელნაწერის მთელ მანძილზე, დაწყებული 490-ე გვერდიდან (ე. ი. ხელნაწე-  
 რის ბოლოდან, რომელიც მისი პირველი დამნომრავის გაგებით პირველი  
 გვერდი იყო) მე-2 გვერდამდე (დამნომრავის გაგებით წიგნის ბოლომდე) თი-  
 თოეული, არაბული დამწერლობის მიხედვით recto გვერდზე შუა ადგილის  
 ქვემოთ, მარჯვნივ იწყება და ბოლოდან პირველ 24 გვერდზე შემდეგი წარ-  
 წერაა: Секре-тарь Ахал-ших-ско-го об-ласт-но-го Прав-ле-ния 10-го клас-  
 са Иван Ва-силъ-ев сын Ха-лю-тин. ეს წარწერა ცოტაოდენი ცვლილებით  
 როგორც შინაარსის, ისე სიტყვათა დამარცვლის თვალსაზრისით (მაგალი-  
 თად, შემდეგში მამის სახელი „Васильев сын“ არ იხსენიება, секретарь სი-  
 ტყვა დამარცვლილია არა секре-тарь, არამედ се-кре-тарь, შვიდადაშიგ მდივნის  
 სახელიც არ არის მოტანილი და სხვ.) გრძელდება, როგორც ზემოთ ითქვა,  
 ხელნაწერის ყველა გვერდზე. ასეთი წარწერები მხოლოდ რუსი მოხელის  
 recto გვერდებზეა, რომლებიც ჩვენს verso გვერდებს შეესატყვისება. ხელნა-  
 წერის მე-2 ცარიელ გვერდზე (პირველი დამნომრავის მიხედვით უკანასკნელ  
 245 ფურცელზე) სათანადო ადგილას მთლიანად წერია სიტყვა Правление,  
 რადგანაც პირველი დამნომრავის ნუმერაცია აქ მთავრდება; ეს სიტყვა და-  
 მარცვლილიც არ არის.

თითოეულ გვერდზე ხალაუტინის მიერ გაკეთებული ეს წარწერა უნდა  
 იყოს აგრეთვე ერთგვარი ნუმერაცია, რომელიც მაშინ პრაქტიკაში იყო და  
 რომელიც საერთოდ მიზნად ისახავდა დოკუმენტის დაცვას.

პა გ ი ნ ა ც ი ა. ხელნაწერი დანომრილი იყო „არაბული“ ციფრით ფურ-  
 ცლების მიხედვით. ეს დანომრვა შესრულებულია უკვე რუსი მოხელის მიერ  
 ახალციხის საფაშოს შემოერთების შემდეგ. ამახ ცხადყოფს როგორც ერთ-  
 ნაირი მელანი, ისე ციფრების მოხაზულობის შედარება საალრიცხო შინაარ-  
 სის რუსულ ტექსტთან, რომელიც ხელნაწერის პირველ გვერდზე (და სხვაგა-  
 ნაც) მოიპოვება და რომელზედაც ლაპარაკი იყო ცოტათი ზემოთ.

მაგრამ აქ აღსანიშნავია ის, რომ ხელნაწერის პაგინაცია დაწყებულია  
 მარცხნიდან, ე. ი. წიგნის ბოლოდან და თავდება მის პირველ გვერდზე. „ახალ-  
 ციხის საოლქო სამმართველოს“ მოხელემ ჩანს, არ იცოდა, რომ არაბული  
 დამწერლობა მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული და რომ არაბული წიგნის  
 დასაწყისი რუსული წიგნის ბოლოს ხდება. რადგანაც ხელნაწერის ასეთი  
 უკულმა დანომრვა ძველის გამოცემა-დამუშავებისას შექმნიდა საკმაოდ დიდ  
 უხერხულობას, ჩვენ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მაშინდელი  
 (1937 წ.) გამგის პავლე ინგოროყვას ნებართვით ხელნაწერს ახალი პაგინა-  
 ცია გაუუკეთეთ და მისივე თანხმობით დავნომრეთ როგორც recto, ისე verso  
 გვერდები.

რუსი მოხელის მიერ ბოლოდან დაწყებით დანომრილია 246 ფურცელი,  
 რაც 492 გვერდს შეადგენს. ხელნაწერის ბოლო (სამმართველოს მოხელისა-  
 თვის პირველი) ცარიელი ფურცელი აგრეთვე უნომროა. ჩვენ მიერ გაკეთე-

ბული ნუმერაციის მიხედვით კი ხელნაწერში 490 გვერდია (245 ფურცელი). ჩვენ ბოლო ფურცლის გარდა არ დანომრეთ აგრეთვე პირველი ცარიელი ფურცელი, რომელსაც რუსი მოხელის მიერ დასმული აქვს 246 ნომერი. ამიტომაც ხელნაწერი ჩვენი სათვალავით ორი გვერდით (ერთი ფურცლით) ნაკლები, თუმცა ხელნაწერში გვერდების რაოდენობის ჩვენებისას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ოფიციალური პირები 245 ფურცელს ადასტურებენ და უკანასკნელ (ჩვენი პირველ) ფურცელს, დანომრვისდა მიუხედავად, სათვალავში არ აგდებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერის ბოლოში ცარიელი ფურცლის verso გვერდზე ზემოდან თითქოს ბეჭდურად გამოყვანილია რომაული ციფრი XLIX. იგივე ციფრი, ვგონებ, ლურჯი ფანქრით გადმოწერილია პირველ გვერდზე, ხალაუტინის ხელმოწერის ქვემოთ. ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ნომერი საბუთების იმ კოლექციისა, რომელიც, შეიძლება აღწერილ იქნა პასკევიჩის დროს ახალციხის საფაშოს შემოერთებასთან დაკავშირებით<sup>1</sup>.

წ ა რ წ ე რ ა ყ დ ის პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე \ და ხ ე ლ ნ ა წ ე რ ის დ ა თ ა რ ი ლ ე ბ ა. ყდის პირველ გვერდზე ზემოდან დაწებებულია მთელი სიგანით 13 სმ სიგრძის წარწერიანი თეთრი (აწ უკვე გაყვითლებული) ქაღალდი. ამ დაწებებული ქაღალდის ზემო და ქვემო ბოლოები და მარცხენა მხარე დაზიანებულია. განსაკუთრებით ეს ითქმის მარცხენა ნახევარზე, რომლის შუა ნაწილი, უფრო მეტად ზემოდან, ირიბად ამოგლეჯილია<sup>2</sup>. ამის გამო ამ ქაღალდზე მოთავსებული წარწერის მთლიანად წაკითხვა არ ხერხდება. ტექსტის პირველი ნაწილის—„კანუნნამეს“ ხელითვე შესრულებული ეს წარწერა ოთხსტრიქონიანია, რომელიც აქვე მოგვყავს:

1) دفتر مفصل ولايت كورجستان[ان]....

2) بميرميران الواقع في غره: حا

3) من شهر البرخ (?)

4) عطا... ارضا (?) .....

1) გურჯისტანის ვილნაეთის დიდი დავთარი ... (დებთერი-ი მუჭასასალ-ი ვილნაეთ-ი გურჯუსთან). ამ სტრიქონში უკანასკნელი ო ასოსა და შემდეგ

<sup>1</sup> გურჯისტანის ვილნაეთის დიდი დავთრის ხელნაწერის მოკლე აღწერილობა და მისი შინაარსის შესახებ ზოგიერთი ცნობა მოცემულია აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა-ცაგების გზამკვლევაში (მეცნ. კანდ. შ. ბურჯანაძის მიერ; თბილისი, 1952), გვ. 295-299. აქვე დაბეჭდილია ხელნაწერის 3 გვერდის ფოტოპირები: დედნის მე-4 გვერდის ნახევარი (ერთთორდად გადიდებული სახით), მე-5 და 83-ე გვერდები (ერთთორდად შემცირებული სახით). სხვათა შორის, უკანასკნელი (83-ე) გვერდის ფოტოპირის კლიშე შეცდომით თავდაყირაა დაბეჭდილი (გვ. 298, მარჯვენა სვეტი).

გარდა I და II წიგნის ქართულ-რუსული წინასიტყვაობებისა, გურჯისტანის ვილნაეთის დიდი დავთრის შინაარსობლივი დახასიათება მოცემული გვაქვს აგრეთვე 1948 წელს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის პლენარულ სხდომაზე წაკითხული მოხსენების თეზისებში თქმულზე: Пространственный реестр Гурджистанского княжества и его значение для науки: სამეცნიერო სესია (1948, 31.V—5.VI); მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 45—48.

<sup>2</sup> იხ. დავთარი, წ. I, VI და VII გვერდებს შუა ტაბულაზე მოთავსებული ხელნაწერის სურათი.

კიდევ თითქოს ერთი სიტყვის ადგილი ჩამოხეულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი „დავთარის“ ს რ უ ლ ი ს ა თ ა უ რ ი ამ სახით მხოლოდ ხელნაწერის ყდაზე დაწებებულ ამ ქალაღზეა მოცემული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დედნის მე-10 გვერდზე „კანუნნამეს“ ტექსტს<sup>1</sup>, სადაც „დავთარის“ სახელი შემოკლებულად არის ნახსენები (... *دائر مفصلة* — დეჭთერ-ი მუქას-სალდა 'დიდ დავთარში...'), ხელნაწერს თავფურცელი არა აქვს და სხვაგანაც ტექსტში შემდგომ მისი სრული სათაური არსად მოცემული არ არის.

2) მეორე სტრიქონის პირველი სიტყვა *ميرميران* — ბიზმირან ამ შემთხვევაში ნიშნავს 'ბეგლარბეგს'<sup>2</sup>, რომელსაც ფაშის წოდება და თანამდებობა აქვს. აქ იგულისხმება „დავთარის“ შედგენის დროის ფაშა-ბეგლარბეგი, რომლის უშუალო განკარგულებითა და ზედამხედველობით შედგენილ იქნა „დავთარი“. არაბული ნაწილაკი *ب* (*bi*) აქ ნიშნავს — 'ით', ან 'მიერ'; *ميرميران* — ბიზმირმირან

= 'ბეგლარბეგით', ან 'ბეგლარბეგის მიერ'. რაც შეეხება არაბ. *واق* სიტყვას, აქ ის უნდა ნიშნავდეს 'მომხდარი', 'შესრულებული', 'შედგენილი'<sup>3</sup>. არაბ. *غز* -- ლურჯე ('თვის პირველი რიცხვი') სიტყვის შემდეგ ქალაღი მოხეულია, მაგრამ ამ ადგილას აშკარად ირჩევა *ح* ასოს თავი, რომელიც ქვემოთ დახრილია *ح*-ის გამოსაყვანად (თუმცა ეს უკანასკნელი ჩამოწყვეტილია). აქვე ზემოთ დატულია ელიფის თავი. ვფიქრობ, აქ უნდა გვექონდეს სამი პირველი ასო *الاول* — ჯემზა-ზნ-ლ-ევეელ სიტყვისა, რომელიც მეხუთე თვის სახელია მაჰმადიანური წლისა. მეექვსე თვე ჯემზა-ზნ-ლ-ახირე აქ არ უნდა იგულისხმებოდეს, რადგანაც ხელნაწერის პირველ ნაწილში — კანუნნამეში სწორედ ჯემზა-ზნ-ლ-ევეელია თარიღად დასახელებული.

3) მესამე სტრიქონში კარგად ირჩევა *من شهر* — მინ შექჰურ (არაბ. *شهر* მრ. *شهور* 'თვე') 'თვეთაგან', 'თვისა' და ასოები ელიფი და ლამი (Al არტიკლი), რომლებიც ზემოდან ჩარკობილი არიან ჰე (e) ასოში ზუსტად ისეთივენაირად, როგორც ეს გვაქვს „კანუნნამეს“ ბოლოში<sup>4</sup>. Al არტიკლისა და ჰე ასოს შემდეგ ირჩევა აგრეთვე ჯიმ'ის თავი და ამრიგად აქ უნდა გვექონდეს *الجرى* (ელ-ჰიჯრე) სიტყვა.

4) ყველაზე უფრო დაზიანებულია მეოთხე სტრიქონი, რომელშიც შეიძლება გაირჩეს ცალკეული ასოები და სიტყვის ნაწილაკი, რომელთა კონიექტურა ჯერჯერობით საკმაოდ რთულია.

ამოკითხული სიტყვების კვალობაზე თარგმანი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: 1) გურჯისტანის ვილჰეთის დიდი დავთარი...

<sup>1</sup> დავთარი, წ. I, გვ. 5.

<sup>2</sup> *ش. ش. سامی - قاموس ترکی* . გვ. 1441. ამ სიტყვაზე უფრო დაწვრილებით IV წიგნში.

<sup>3</sup> მდრ. ამავე სიტყვის მეორე თემის მასდარი — *توقیع* — თეკე<sup>3</sup>, რომელიც ფირმანზე 'სულთნის მონოგრაფულად გამოყვანილ ხელმოწერას' და თვით 'სულთნის სიგელს, ფირმანს' ნიშნავს; იხ. *ش. سامی* . გვ. 452.

<sup>4</sup> იხ. დედანი, გვ. 10, მე-14 სტრიქონში და დავთარი, წ. I, ტაბ. V2.

2) ბეგლარბეგის მიერ (ე. ი. ბეგლარბეგის განკარგულებით) შედგენილი პირველ რიცხვში ჯემაზნი-ლ-ევეელის

3) თვესა ჰიჯრისა .

4)

ამ მინაწერში წლის აღმნიშვნელი სიტყვა დაზიანებულია. მაგრამ მინაწერისთვისაც „კანუნნამეს“ ბოლოში<sup>1</sup> მოხსენებული 1003 წელი უნდა ვივარაუდოთ. ასეთ შემთხვევაში აქ მოცემული დათარიღება უფრო ზუსტია: ჰიჯრის 1003 წლის ჯემაზნი-ლ-ევეელის პირველი შეესატყვისება ჩვენი წელთაღრიცხვის 1595 წლის 12 იანვარს. „დავთრის“ კანუნნამეში კი მოცემულია ჯემაზნი-ლ-ევეელის ۱۰۰۳ — ევან-ლი, რაც 'პირველ რიცხვებს' ნიშნავს<sup>2</sup>.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს კ ო მ პ ო ზ ი ც ი ა . ხელნაწერში მოთავსებული მასალა ერთფეროვანი არ არის. შინაარსის მიხედვით ეს მასალა სამ ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს. ყველა ეს ნაწილი საბუჯრო „დავთრის“ მიზანდასახულობის საქმეში ერთმანეთს ავსებს. ეს ნაწილებია:

1. ولايت كورستان — „გურჯისტანის ვილაჰეთის კანონთა-წიგნი“. ეს ე. წ. კანონთა-წიგნი შეიცავს კანონებს მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის, სხვადასხვა ვადასახადის, ბაზარზე შემოტანილ საქონელზე ბაგის დადების, სისხლის სამართლის დანაშაულობათა და სხვათა შესახებ<sup>3</sup>. ასეთი „კანონთა-წიგნი“ წამძღვარებული ჰქონდა, როგორც ჩანს, საერთოდ ყველა დავთარს. აქ მოტანილი კანონები ამოკრებილი იყვნენ ოსმალთა სახელმწიფოს კანონთა წიგნებიდან. „დავთრებში“ მოთავსებული ეს კანონები შეფარებული იყო მოცემული ვილაჰეთის, ვთქვათ, სოფლის მეურნეობის სპეციფიკასთან და, საერთოდ, ადგილობრივ პირობებთან. ცნობილ თურქოლოგს J. v. Hammer-ს თავის ოსმალთა სახელმწიფოს ორგანიზაციისა და მმართველობის შესახებ ფუნდამენტურ ნაშრომში მოყავს მოკლე შინაარსი ყველა იმ კანუნ-ნამესი, რომელიც, ალბათ, მის მიერ შესწავლილ სხვადასხვა ვილაჰეთისა და სანჯაყის „დავთარს“ უძღოდა წინ<sup>4</sup>.

II ნაწილად შეიძლება გამოიყოს ე. წ. დანომრილი სია საგადასახადო ობიექტებისა (სოფლები, მდინარეები, ტბები და სხვ.) მათზე შეწერილი ვადასახადების ჯუმლის ჩვენებით. ასეთი ხასიათის მასალა „დავთარში“ ორ ადგილას გვხვდება — გვ. 12-23 (ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრეის და სხვა ადმინისტრაციული ერთეულები) და გვ. 378-383 (არტაანი-ტაო),

<sup>1</sup> იხ. დავთარი I, გვ. 5.

<sup>2</sup> დათარიღებაზე უფრო ვრცლად IV წიგნში.

<sup>3</sup> დედნის გვ. 4-10; „დავთარი“ I, 1-5, აგრეთვე ტაბულები II, III, IV a—b და Vა; II, 1-6; „დავთრის“ კანუნნამეს შესახებ აგრეთვე: წ. I, გვ. XI და XVI, II, გვ. VIII და XIV და ჩვენი „Пространный реестр Государственного вилаета“ и его значение для науки, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1948, გვ. 48.

<sup>4</sup> J. v. Hammer, Des osmanischen Reichs Staatsverfassung und Staatsverwaltung, ვენა, 1815, I—გვ. 251, 253, 254, 301, 321-322 და სხვა. საერთოდ „დავთრის კანუნნამეზე“ სპეციალურად IV წიგნში.

III და ყველაზე უფრო ვრცელი და ძირითადი „დავთარში“ ის ნაწილია, რომელიც ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის (საგადასახადო ობიექტის) დეტალურ აღწერილობას შეიცავს. კაცმა რომ თქვას, საკუთრივ „დიდი დავთარი“ ხელნაწერის სწორედ ეს ნაწილია. ამ ნაწილში მოცემულია გარკვეული თანამიმდევრობით<sup>1</sup> (სანჯაყების, რაიონებისა და სოფლების მიხედვით) სოფელთა ან სხვა პუნქტთა სახელები: თუ პუნქტი დასახლებულია, ამას მოსდევს მოსახლეთა კომლის მეთაურების სახელები, პუნქტზე შეწერილი გადასახადის ფულადი ჯუმალი; შემდეგ მოსდევს გადასახადთა თითოეული სახეობის ჩამოთვლა და სხვ. ამ მთავარ ნაწილს უკირავს გვ. 26-377 და 384-490 (აქედან რამდენიმე გვერდი ცარიელია).

ჩვენ ცალკე ნაწილად არ გამოვყოფთ ძირითადი ტექსტისადმი მინაწერებს, რომლებიც დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი უმთავრესად სწორედ ამ მესამე ნაწილში<sup>2</sup>. ეს მინაწერები გაფანტულია „დავთარის“ (უმთავრესად III ნაწილის) სხვადასხვა ადგილას და მოკლებულია დამოუკიდებელ „ტერიტორიას“. ეს მინაწერები ორგანულად დაკავშირებულია სათანადო ტექსტთან და შეიცავენ ამ ტექსტებში წარმოდგენილი ცნობების შესახებ ახსნა-განმარტებებსა და დაზუსტებებს.

ზუსტი აგებულება „დიდი დავთარისა“ მაინც ასეთია: წიგნის თავსა და ბოლოში თითო-თითო ტექსტისაგან თავისუფალი ფურცელი. გვ. 1-ლი (რუსი მოხელის მიხედვით უკანასკნელი), რომელზედაც ჩვენ გვაქვს ოგარევისა და ხალაუტინის დადასტურება „დავთარში“ მოთავსებულ ფურცელთა რაოდენობისა (В сѣи книге... და სხვ.).

გვ. 2—ცარიელია,

გვ. 3—გვერდის თითქმის მთელ სიგრძეზე გამოყვანილია სულთნის თულრა<sup>3</sup>,

გვ. 4-10—კანუნ-ნამეს ტექსტი,

გვ. 11—კვლავ თულრა,

გვ. 12-23—საგადასახადო ობიექტების სიები,

გვ. 24—ცარიელია,

გვ. 25—კვლავ (მდარე ხელოვნებით შესრულებული) თულრა,

გვ. 26-257—დაწერილებითი აღწერილობა (= საკუთრივ „დიდი დავთარი“),

<sup>1</sup> ამასთანავე ერთად უნდა შეინიშნოს, რომ „დავთარში“ აღმინისტრაციული ერთეულები ყოველთვის გეოგრაფიული თანამიმდევრობით დალაგებული არ არის. მაგალითად პეტრეს ლივან (=თანამედროვე ბორჯომის ხეობა) და ფოცხოვის ლივან, რომელთაგან პირველი სამცხეს აკრავს უშუალოდ ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბოლო მეორე მისი უშუალო გაგრძელება სამხრეთის მიმართულებით, აღწერილია და აღწერის მასალები მოთავსებულია არა ახალციხის ლივანთან, არამედ ჩრდილის (ჩილდირის) ლივან შემდეგ (იხ. „დავთარი“ — დედანი, გვ. 21, 276; I, გვ. 17, 300; II, გვ. 19, 294). გარდა ამისა, არტანისა და ტაოს რაიონების მასალებიც არ არის თანამიმდევრულად მოცემული, რაც ჩვენ მოკლედ უკვე აღვნიშნეთ „დავთარის“ II წიგნში (გვ. 332, სქოლიო 2); უფრო ვრცლად კი ეს ამბავი განხილული გვაქვს ქვემოთ (იხ. აქვე, ფანაკის ლივან).

<sup>2</sup> იხ. მაგალითისათვის დედნის გვ. 28, 41, 45, 323, 324 და სხვ. I, გვ. 21, 38, 42, 342, 343 და სხვ. II, გვ. 24, 40, 46, 334, 335, 337 და სხვ.

<sup>3</sup> თულრის შესახებ სპეციალურად IV წიგნში.

- გვ. 258-260—ცარიელია,  
 გვ. 261-308 — დაწვრილებითი აღწერილობა („დიდი დავთრის“ გაგრძელება),  
 გვ. 309—ცარიელია,  
 გვ. 310-317 — საგადასახადო ობიექტთა დაწვრილებითი აღწერილობა („დიდი დავთრის“ გაგრძელება),  
 გვ. 318-321 — ცარიელია,  
 გვ. 322-372 — საგადასახადო ობიექტთა დაწვრილებითი აღწერილობა („დიდი დავთრის“ გაგრძელება),  
 გვ. 373-377—ცარიელია,  
 გვ. 378-383—საგადასახადო ობიექტების სიები,  
 გვ. 384-389—ცარიელია,  
 გვ. 390-490 — საგადასახადო ობიექტთა დაწვრილებითი აღწერილობა („დიდი დავთრის“ გაგრძელება).

ამრიგად „დავთარში“ გვ. 2, 24, 258, 259, 260, 309, 318, 319, 320, 321, 373, 374, 375, 376, 377, 384, 385, 386, 387, 388 და 389, ე. ი. სულ 21 გვერდი ცარიელია. ვფიქრობ, ეს შემთხვევითი ამბავი არ არის. ეს ცარიელი გვერდები საკირო იყო იმ დამატებებისა და ცვლილებათათვის, რომელთა აღნუსხვა „დავთარში“ აუცილებელი ხდებოდა „დავთრის“ მოქმედების საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში (ვთქვათ, რომელიმე ბეგლარბეგის სიკვდილის გამო მისი მამულის სათანადოდ უფლებამოსილი პირისათვის გადაცემა და სხვ.). მაგალითად, დედნის ნახევრად ცარიელ 241-ე გვერდზე 1786 წელს შესრულებული მინაწერი მამირვანის სანჯაუბეგისადმი კუთვნილი მამულებისა და შემოსავლის შესახებ<sup>1</sup>, დამატებითი ცნობები ოლთისის ლივან სოფლებისა და მათზე შეწერილი გადასახადების რაოდენობის შესახებ<sup>2</sup>, ან არადა დედნის 445-ე გვერდზე 1814 წლის მინაწერი იმის შესახებ, რომ მავანი და მავანი სოფელი ბაბა იბრაჰიმ ფაშის წარდგინებით ებოძა ვინმე მუსტაფას და სხვ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> დავთარი, I 262, II, 257.

<sup>2</sup> დედანი, გვ. 382-383; I 408-410; II, 399-402.

<sup>3</sup> I 470, ტაბულა XV-ა; II 460.



## 2. გეოგრაფიული და ტოპონიმიკური შენიშვნები



## შესავალი

ჩვენ უკვე რამდენიმე შემთხვევა გვქონდა, მართალია მოკლედ, მაგრამ ხაზგასმით გველაპარაკა „გურჯისტანის ვილაჰეთის დიდი დავთრის“ იმ მნიშვნელობაზე, რომელიც მას აქვს, სხვათა შორის, სამცხე-საათაბაგოს გარკვეული ნაწილის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის შესასწავლად<sup>1</sup>. როგორც თვით „დავთრის“ სახელწოდებიდანაც ჩანს („დიდი დავთარი“ —

Defter-i mufassal; არაბ. **مفصل** სიტყვა 'დაწვრილებით', 'დეტალურს' 'ერცელს' ნიშნავს ქართულად 'დიდ დავთარ'ად ვთარგმნეთ<sup>2</sup>), ეს ძეგლი „გურჯისტანის ვილაჰეთის“ დასახლებული გეოგრაფიული პუნქტების სრული სიის შემცველია გარკვეული დროისათვის (XVI ს-ის ბოლო), რადგანაც ის შედგენილია ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით თურქ მოხელეთა მიერ საქართველოს ამ კუთხის ოფიციალური აღწერის შედეგად. აღწერა, რა თქმა უნდა, ტარდებოდა ფისკალური მიზნებით და, ამდენად, რომელიმე დასახლებული პუნქტი, თუ რაინე შემოსავლის მქონე დაუსახლებელი საგადასახადო ობიექტი — ტბები, მდინარეები (თევზის ქერა), იალალი და სხვ. ან, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი უწოდებს, საგეოგრაფიო-საგადასახადო ერთეული<sup>3</sup>, „დავთარში“ სავალდებულო წესით უნდა ყოფილიყო შეტანილი. მართლაც და, ამ თვალსაზრისით ძნელად თუ წარმოიდგინება „დავთრის“ თანამედროვე თუ უფრო მოგვიანო ეპოქის საქართველოს რომელიმე კუთხისათვის უკეთესი ძეგლი, რომელშიც ასე ამომწურავად და თანამიმდევრულად (გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით დალაგებულად) წარმოდგენილი იყოს მხარის გეოგრაფიული (ძირითადად, დასახლებული) პუნქტები. „დავთარში“ არ არის გამოტოვებული უმცირესი დასახლებული პუნქტებიც კი, მაგალითად, ერთკომლიანი სოფელი სამწუბი (I 261; II 256), ორკომლიანი სოფლე-

<sup>1</sup> იხ. ჩვენ: 1. Турецкая рукопись Музея Грузии «Пространственный реестр Грузинского владения», Сообщения Грузинского филиала АН СССР, т. 1, № 6, Тбилиси, 1940, стр. 485; 2. რამდენიმედ შეცვლილი და შეესებოდა სახით იგივე სტატია რუსულ წინასიტყვაობად დართული აქვს „გურჯისტანის ვილაჰეთის დიდი დავთრის“ II წიგნს, თბილისი, 1941, გვ. XIII; 3. ამავე „დავთრის“ I წიგნისათვის წამძღვარებული ქართულ-რუსული წინასიტყვაობა, თბილისი, 1947, გვ. IX და XV და 4. Пространственный реестр Грузинского владения и его значение для науки, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1948 (31.V—5.VI). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1948, გვ. 45-48.

<sup>2</sup> შტრ. გარკვეულ ნაწილში ანალოგიური ძეგლის სათაურია: „ფეხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“, გამოცემა ს. კაპაბიძისა, თბილისი, 1914.

<sup>3</sup> საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, თბილისი, 1930, გვ. 79.

ბი—კულიკაში (I 227; II 224), კიმოთისმანი (I 339; II 331) და სხვ. როგორც ზემოთაღ აღინიშნა, ფრიად საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ „დავთარში“ ყველგან აღწერილია ეამთა<sup>1</sup> სიავის გამო გაუკაცრიელებული სოფლებიც, ე. წ. „ცარიელი რე<sup>2</sup>ვა<sup>3</sup>საგან“ სოფლები, რომელთა რიცხვი 300-ს აღწევს<sup>4</sup>.

გარდა სოფლებისა (დასახლებულისა თუ დაუსახლებელისა) „დავთარში“ აღნუსხულია აგრეთვე ტბები—მაგალითად, საღამოსი, ფარანისა, ხანჯლისა და სხვ. (I 238 - 239; II 234 - 235). მდინარეები, მაგალითად, მტკვარი (I 147; II 148), დიდი ხორენია (I 242; II 238), ჯაყის-წყალი (I 312; II 305), ზადელის წყალი (იქვე) და სხვ. „დავთარში“ რეგისტრირებულია აგრეთვე: ა რ ხ ე ბ ი — ჩრდილის ტბისა (I 270; II 265), სოფ. ფექარშნისა (I 279; II 274) და სხვ., საყან ადგილები, ანუ ს ა თ ე ს ვ ე ლ ე ბ ი —ახალკეთი (I 171; II 170), ქულე (II 115), გოგაშენი (I 247; II 243), ქორეთი (I 132; II 133), ზემო ფალა და ნადარბაზი (I 303; II 297), შოროთა (II 148), ზედა ყველი (I 313; II 306); ზოგჯერ თითოეულ სოფელთან რამდენიმე სათესველია ჩამოთვლილი სხვადასხვა სახელით: მაგალითად, სოფ. ყაბანთან—ოთხი სათესველია (I 375; II 367), სოფ. ოლთათაბთან — რვა სათესველია (I 381; II 373) და სხვ., ი ა ლ ა დ ე ბ ი — მთა კისირისა (I 270; II 265), საქანელა (I 322; II 315), პატარა ყარა-ჩინარის მთისა (I 488; II 476) და სხვ., ე კ ლ ე ს ი ე ბ ი — ქულესი (I 113; II 115), შვიდი ეკლესია (I 209; II 206), ზარხვის (I 80; II 83), მოლისა (I 50; II 54), და სხვ., მ ო ნ ა ს ტ - რ ე ბ ი — სოფ. აგარასთან (I 108; II 110), ყველის მონასტერი (I 307; II 300), „სოფ.“ მონასტერი (I 156; II 156) და სხვ., ჩ ა ი რ ე ბ ი — (I 158; II 158), (I 378; II 370), მეიდან (I 383; II 375), უკან მოთილი (I 514; II 502) და სხვ. ხშირად დასახელებულ სოფელთან ნაჩვენებია ამ სოფლის უბნებიც თავ-თავიანთი სახელებით და ზოგჯერ ეს ძლიერ დაწვრილებითაც არის მოცემული. მაგალითად, აწყურის რაიონის სოფ. დგვართან ჩამოთვლილია მისი ექვსი უბანი, ხოლო ამავე სოფლის, ალბათ, ყოფ. უბანი—ტაძრისი ცალკეა აღწერილი (I 93; II 96). სოფელ ოჯორჯალთან სახელდებულად იხსენიება შვიდი უბანი (I 46; II 51) და სხვ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას. თავის კაპიტალურ ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“ (ტომი II, თავი I, საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII - XII ს. ქ. შ., გვ. I - 69) ზან მთელი თავი მიუძღვნა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. ამ თვალთახედვით ზან დაამუშავა მთელი ძველი ქართული მწერლობა, საბუთები და წარწერები VII - XII საუკუნეთა ფარგლებში. ძეგლებიდან ამოწერილი ცნობების საფუძველზე შე-

<sup>1</sup> იხ. მაგალითისათვის გვ. I 334-340; II 326-332. I 249; II 245 და სხვ. გაუკაცრიელებულ სოფელთა ვგოდენ დიდი რიცხვი მკაფიოდ ახასიათებს იმ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელიც დამპყრობლების მიერ ტარდებოდა სამცხე-საათაბაგოში (იხ. ამის შესახებ. М. Д. Бердзишавил, Грузинская СС Республика, Исторический очерк, БСЭ (II издание), т. 13, стр. 43).

სწავლილია საქართველოს ცალკეული პროვინციების მდებარეობა, მათი საზღვრები და ამ პროვინციებში შემავალი ყველა გეოგრაფიული ობიექტი, რომელზედაც მასალა მოიპოვებოდა ამა თუ იმ ძეგლში. ამდენად, რა თქმა უნდა, ეს ნაშრომი სრული არ არის, რადგანაც მისი ავტორის მუშაობა შეპირობებული იყო ამა თუ იმ ძეგლსა და წყაროში დაცული შემთხვევითი ხასიათის ცნობებით. შრომაში ცალ-ცალკეა განხილული ადგილები, „რომელთა შესახებ ცნობები საისტორიო მწერლობაში, საბუთებში და წარწერებში მოიპოვება“<sup>1</sup>. ამასთანავე ერთად ჩვენნი დიდი მეცნიერი წერს, რომ „ზოგიერთი კუთხის შესახებ დაწერილებითი ცნობები გვაქვს, როგორც, მაგალითად, რაქის სოფლების სახელები ნიკორწმინდის XI ს. სიგელის წყალობით, ხოლო ძალიან ცოტა ცნობებია სამოქალაქოსა, საეგროსა ან კიდევ გურიის მოსახლეობის შესახებ, რასაკვირველია, თავისდათავად ეს არაფერს ამტკიცებს. პირველსავე ახალს აღმოჩენილს საბუთს შეუძლია უხვად შეაქვსო ჩვენი ცნობები თითოეული კუთხის შესახებ“<sup>2</sup>. განსვენებულ მეცნიერს აქ მხედველობაში ჰქონდა, სხვათა შორის, აღმოჩენა სწორედ ისეთი პირველწყაროებისა, როგორცაა ჩვენი „დავთარი“, რომელიც სამცხე-საათაბაგოს ერთი სექტორისათვის (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ტაო) სრული სახით შეიცავს ძვირფას მასალას ამ კუთხის თითოეული გეოგრაფიული პუნქტის შესახებ. ამის გარდა, „დავთარის“ მასალები შესაძლებლობას იძლევა ამა თუ იმ პუნქტის ლოკალიზაციისა, რომლის შესახებ ჩვენს ძველ მწერლობაში საკმაო ცნობები არ არის (მაგალითად, ცხოქა-კ. კეკელიძე, „ს. ზარზმელის ცხოვრება“, გვ. 137, დღივი — ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, II, 55, მახაროვანი — იქვე, გვ. 54 და სხვ. მრ.).

ამ კუთხის გეოგრაფიული შესწავლისათვის უთუოდ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „დავთარში“ გარკვეული სისტემის მიხედვით ჩვენ გვაქვს „გურჯისტანის ვილანჯეთის“ ადმინისტრაციული დანაწილება. ვილანჯეთი დაყოფილია სანჯაყებზე (ლივანჯებზე), სანჯაყი — ნაჰიჯეებზე, ხოლო ამ უკანასკნელებში რამდენიმე სოფელი შედის<sup>3</sup>. დასაბეგრავე ობიექტების — გეოგრაფიული პუნქტების ჩამოთვლა მოცემულია მსხვილი და წვრილი ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში, რაც ძლიერ უწყობს ხელს ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის ადვილად მოძებნასა და მდებარეობის დაზუსტებას.

ძალიან ხშირად ამა თუ იმ პატარა ან ნაკლებად ცნობილი, ან კიდევ უკვე გაუქაცრიელებული სოფლის აღწერისას მითითებულია, რომ ის მდებარეობს სხვა რომელიმე უფრო ცნობილ, ან უფრო მსხვილ გეოგრაფიულ პუნქტთან, რაც კიდევ უფრო აადვილებს ამ პუნქტის მიგნებას და საკი-

<sup>1</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 50.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. განსაკუთრებით გვ. I 6-18, 402-410; II 7-21, 393-402; „გურჯისტანის ვილანჯეთის ადმინისტრაციულ დანაწილებაზე“ სპეციალურად IV წიგნში.

როების შემთხვევაში მისი ადგილმდებარეობის დადგენას (მაგალითისათვის იხ.: I 299 და II 292-293 სოფლები № 8, 9, 10 და 11).

ახლა თავისდათავად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არის გადმოცემული სამცხე-საათაბაგოს ამ ნაწილის ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა თურქულ ტრანსკრიფციაში. ეს საკითხი ჩვენ სპეციალურად განხილული გვაქვს ჩვენი ამავე შრომის IV წიგნში<sup>1</sup>. ამიტომ აქ გაკერით მინდა შევნიშნო, რომ საერთოდ ერთი ენის ენობრივი მასალის გადმოცემა მეორე ენის გრაფიკული საშუალებებით გარკვეული რიგის დაბრკოლებებს ხვდება. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა ენის ფონეტიკური განსხვავებულობით შეპირობებული მეტნაკლები ოღროჩოღრობა, რა თქნა უნდა, ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს. ეს გარემოება განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენ ძეგლში, რომელიც დაწერილია თურქის მიერ და რომელშიც ქართული სახელები გადმოცემულია ამ მიზნისათვის ნაკლებად შესაფერისი თურქული ანბანით. ამ მხრივ „დავთრის“ თურქი შემდგენელი ორგვარი სიძნელის წინაშეა: ერთი მხრით, თურქული ტრადიციული ანბანი-არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გადმოსცეს ქართული ხმოვნები და სპეციფიკური თანხმოვნები და, მეორე მხრით, თურქისთვის მეტად გასაჭირია სწორად აღიქვას თურქულისათვის უცხო მრავალთანხმოვნიან კომპლექსთაგან შემდგარი სიტყვები. ეს გარემოება, უთუოდ რამდენიმედ ჩრდილს აყენებს ჩვენ ძეგლს, რადგანაც იგი იწვევს ქართული საკუთარი სახელების დამახინჯებას, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქართული სახელების გადათურქებას. და მართლაც, ზოგ შემთხვევაში ქართული გეოგრაფიული (და სხვა) საკუთარი სახელი ისეა გადაგვარებული და შერყენილი, რომ მისი პირვანდელი ეროვნული სახეობის აღდგენა ზოგჯერ რთული საქმეა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ერთი ძველი ქართული სოფლის სახელი „ცხროკა“, რომელიც სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“<sup>2</sup> გვხვდება და რომლის ადგილმდებარეობა ცნობილი არ იყო<sup>3</sup>. „დავთარში“ კი ქვაბლიანის ხეობაში აღწერილია სოფ. سبخروخ „სიხრუჯ“ (I 8, 84; II 9, 87). ჩვენთვის დიდხანს გაუგებარი იყო, თუ რომელ გეოგრაფიულ პუნქტს აღნიშნავდა ეს სიტყვა. შემდგომში ქართული სახელების თურქული ტრანსკრიფციით გადმოცემის წესების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ეს „სიხრუჯ“ი სწორედ და უდავოდ „ცხროკა“ სიტყვის საესებით კანონზომიერად გადათურქებული ფორმაა<sup>4</sup>. ასევე გაჭირდა رحار დაწერილობაში. ამოკითხული ყოფილიყო ქართული სოფლის სახელი „წინწალი“ (I 267; II 262) აგრეთვე ძლიერ დაშორებულია სინამდვილეს, მაგალითად, სოფ. ქვაკაცნისა

1 იხ. IV წიგნში: ქართული საკუთარი სახელების გადმოცემა თურქულ ტრანსკრიფციაში.

<sup>2</sup> ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I, იოანე საბანისძე, II, ბასილ ზარზმელი, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1935, გვ. 154.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 137. აგრეთვე: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 53.

<sup>4</sup> ამის შესახებ გრცლად იხ. აქვე, „ცხროკა“ ქვაბლიანის ნჰიგე, სოფ. № 13.

და სოფ. მგლინავის სახელების გადმოცემა  $\text{سواكس}^1$  და  $\text{سواكس}^2$  დაწერილობებით და სხვ.

ამასთანავე ერთად უნდა ითქვას სიმაართლე, რომ „დავთარის“ შემდგენელი დიდი მონდომებით ცდილობს შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახოს საკუთარი სახელები ამ ოფიციალურ დოკუმენტში. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „დავთარში“ ჩვენ ხშირად სავსებით სწორი ფორმები გვაქვს ჩაწერილი იმ გეოგრაფიული სახელებისა, რომლებიც შემდეგში დროთა სიავის გამო ისე გადასხვაფერდა, რომ, თუ „დავთარი“ არა, ამ სახელების ქართული ეროვნული ფორმის აღდგენა გარკვეულ შემთხვევაში შეუძლებელი შეიქნებოდა. ვიმეორებ, „დავთარის“ შემდგენელი, იგივე ალწერის ჩაბტარებული თურქი მოხელე უთუოდ პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება გეოგრაფიულ და ადამიანთა საკუთარი სახელების ზუსტად ფიქსირებას. მას უსათუოდ ესმის, რომ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელშიც არაზუსტად ჩაწერილ გეოგრაფიულ თუ ადამიანთა საკუთარ სახელებს გადასახადების აკრეფისა, თუ სხვა სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ჩატარებისას შეუძლიათ გამოიწვიონ სხვადასხვაგვარი გაუგებრობა. მაგალითად, თურქის საარტიკულაციო ბაზისათვის ძნელად დასაძლევე ისეთი ქართული სიტყვები როგორცაა „ჩამქვრალა“, „ლრტილა“, „კლდე“, „უტყუსუბანი“, „სხვილისი“ და სხვა, ჩვენ ვფიქრობთ, „დავთარის“ შემდგენლის განსაკუთრებული მცდელობის შედეგად, შეიძლება ითქვას, ჩინებულად არის ტრანსკრიბირებული (შესაბამისად— $\text{جاسورال}$ —I 15, 268; II 17, 263,  $\text{غرد}$ —I 201; II 199,  $\text{قله}$ —I 6, 29; II 3,  $\text{اوداغوسوبان}$ —I 74; II 77,  $\text{سوخليس}$ —I 37; II 41 და სხვ.). ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევეია ის გარემოებაც, რომ „დავთარი“ შემდგენელია „გურჯისტანის ვილაჟეთის“ ოსმალთა მიერ დაპყრობის პირველ წლებში, როდესაც ადგილობრივი ეროვნული ტოპონიმთა სავსებით შეუბღალავი იყო. და რომ ქართული ენობრივი მასალის გადმოსაცემად თურქული დამწერლობის საკმაოდ დიდი ტექნიკური დეფექტიანობა არა, ადგილობრივი ტოპონიმთა „დავთარში“ ჩვენ უნდა გვეკონოდა შედარებით შეუცვლელი სახით.

ოსმალთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი იწყება ადგილობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყვნა, მაგალითად, სომხეთის გეოგრაფიული სახელებისა. ეს კარგა ხანია შენიშნა აკად. ნ. მარმა, რომელიც ნაწილობრივად თურქიზებული Баш-Шурагея-ის შესახებ წერს: ...искажённая в устах пришлого народа, турок, форма местного народного Ширакен<sup>3</sup> და კიდევ ... в «Алагезе», названии известной горы, налицо случай отуречения сохраненного армянами более древнего названия «Арагац»<sup>4</sup>. ეროვნუ-

<sup>1</sup> „ქვეყანა“ სოფლის შესახებ: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 41, თბილისი, 1950, გვ. 197-201; აგრეთვე, აქვე, ჯანაბის ნაწილად, სოფ. № 21.

<sup>2</sup> „მგლინავ“ სოფლის შესახებ იქვე, გვ. 195-197 და აქვე, ტყე-ნაწილად (დიდი არტანის ლივან) სოფ. № 2.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, Надпись Сардуря II, сына Аргистия, в Даш-Керпи на Чалдырском озере, «Записки Кавказского Музея, серия В, 1, პეტროგრადი, 1919, გვ. 5-6.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 13-14.

ლი გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყენას ჩვენში ხელს უწყობდა: 1. ოს-მალთა დაპყრობის შედეგად ადგილობრივი ქართული მოსახლეობის შემცირება (გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი შიდა საქართველოში გადასახლდა: „დაეთარში“ 300-მდე გაუქცარიელებული სოფელია აღნუსხული)<sup>1</sup>, 2. ოფიციალურენად თურქულის შემოღება და საერთოდ ადგილობრივი მოსახლეობის გამათურქებელი პოლიტიკის გატარება<sup>2</sup>, 3. პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების შემდეგ მოსახლეობის (გამაჰმადიანებული ქართველების) ფანატიკურად განწყობილი ნაწილის კიდევ მასიური გადასახლება ოსმალეთში<sup>3</sup>, 4. ამავე ხანებში (გასული საუკუნის 30-იან წლებში) არზრუმიდან სომხების მასიურად გადმოსახლება და მათი დამკვიდრება უმთავრესად ჯავახეთის ტერიტორიაზე და, საერთოდ, „ვილანეთში“ არაქართული ეროვნული ელემენტების ზრდა (ქურთები, ბერძნები, თურქები), 5. ოფიციალური ენის, თურქულის შეცვლა რუსულით (არაბული დამწერლობით შესრულებული საბუთებიდან ძლივძლივობით და უკვე შერყენილად ამოკითხული ქართული სახელები რუსული ან სომხური დამწერლობით გადმოცემისას კიდევ ცვლილებას განიცდიდნენ და სხვ.). სამცხე-საათაბაგოში საქმაოდ ძლიერ იმიგრანტულ ნაკადს დაემატა კიდევ ძირითადი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადათურქება და ქართულმა გეოგრაფიულმა ნომენკლატურამ ამ ტერიტორიაზე ხმარებული სხვადასხვა სისტემის ენათა ფონზე საგრძნობი ტრანსფორმაცია განიცადა. სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში გადატეხილი ქართული სახელი ისე გადასხვაფერდა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად გაკირდება ხოლმე მისი ეროვნული სახეობის აღდგენა<sup>4</sup>.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი თრიალეთ-წალკისა და აგრეთვე ჯავახეთის გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა მივიწყებისა (მცირე გამოჩალიცით) და ახლებით შეცვლის მიზეზად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თურქეთიდან გადმოსახლებულმა სომხებმა, ბერძნებმა და თურქებმა ახალი დასახლების ადგილებზე (წალკა და ჯავახეთი) ოსმალეთიდან გადმოიტანეს სომხური, ბერძნული და თურქული სახელწოდებები<sup>5</sup>. შეიძლება ეს მოსაზრება სწორი იყოს წალკის მიმართ, მაგრამ ჯავახეთში გეოგრაფიული ნომენკლატურა, დასახლებული პუნქტებისა მაინც, ახლაც უთუოდ ქართულია (სხვა.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1946, გვ. 324; დავთარში გაუქცარიელებული სოფლები, იხ. განსაკუთრებით: II, გვ. 233-235, 327-330 და სხვ.

<sup>2</sup> Турецкая рукопись Музея Грузии „Пространяный реестр Грузинского вилайета“, Собрания Грузинского филиала АН СССР, т. 1, № 6, Тбилиси, 1940, стр. 48;

<sup>3</sup> მაგალითისათვის იხ.: სცია, ფ. 47, ს. 57, გვ. 41გ (სოფ. მეიდნის მოსახლეობა, მაგალითად, მთლიანად ოსმალეთს გადასახლდა, იხ. აქვე „სოფ. მეიდანი“—უღის ნ53ივე, სოფ. № 2.

<sup>4</sup> არაბულიზურ სახელთა არაბულ ტრანსკრიფციაში გადმოცემის შედეგად დამახინჯებზე იხ. აგრეთვე: Путешествие Ибн-Фадлана за Волгу, под редакцией акад. И. Ю. Крачковского, М.-Л., 1939, стр. 37-38.

<sup>5</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმების შესწავლისათვის, კრებულში „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბილისი, 1934, გვ. 34.



საქმეა ქართული ნომენკლატურის არმენიზაცია და თითო-ოროლა, თითქოს, ახალი სახელი, მაგ., „კათნატუ“ ხანჩალის სოფლსაბჭოში და სხვ.). ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ჯავახეთის გეოგრაფიული სახელწოდებები საესე-ბით ემთხვევა „დავთარში“ ფიქსირებულ სახელწოდებებს („დავთარის“ დროს კი, XVI ს-ში, ტოპონიმიკა, რა თქმა უნდა, წმინდა ქართული იყო). ჯავახეთში გადმოსახლებული სომხები ბინადრდებიან პირდაპირ ახლად მიტოვებულ სოფლებში, რომლებშიც საყოფაცხოვრებო ნაგებობანი უკვე იყო და რომლებსაც, რა თქმა უნდა, თავისი სახელწოდებანი უკვე ჰქონდათ და ახალი სახელის შერქმევის აუცილებლობა მაინცდამაინც არ იყო.

ამგვარად დამახინჯებული ქართული გეოგრაფიული სახელი „გურჯისტანის ვილჰეთის“ ტერიტორიაზე იმდენია და ერთი და იგივე სახელი ზოგჯერ იმდენაირადაა შერყენილი, რომ ამ დამახინჯებათა და ცვლილებათა ხასიათისა და მიზეზების კვლევა ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანდა. ამ თვალსაზრისით უამრავი მასალაა განსაკუთრებით საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის იმ „საქმეებში“, რომელიც „ახალციხის საფაშოს“ განეკუთვნება (1829 წლიდან მოყოლებული), სხვადასხვა მსხვილ და წვრილმასშტაბიან რუკაზე და სხვაგანაც. ეს დამახინჯებანი და ცვლილებები, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შეპირობებულია იმით, თუ როგორ გადატყდა ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა სხვადასხვა, ქართულის არამონათესავე ენობრივ წრეებში; ან არადა, ზოგჯერ როგორ ამოიკითხა ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელმა მოქალაქემ თურქული (ოფიციალური ენა ამ კუთხეში 1829 წლამდე) საბუთებიდან ძირითადად უხმოვოდ და დიაკრიტული ნიშნების გარეშე შესრულებულ დამწერლობაში ესა თუ ის სახელი. მაგალითად, ჯავახეთის ცნობილი ისტორიული სოფლების მურჯახეთის (დიდი, პატარა და შუა მურჯახეთი)<sup>1</sup> სახელი ისე უხეშადაა დამახინჯებული, რომ შეუძლებელია კაცმა მასში „მურჯახეთი“ დაინახოს. საარქივო მასალებში, სხვათა შორის, გვხვდება Мурхатер<sup>2</sup>, რაც, რა თქმა უნდა, „დავთარის“ და მის მსგავს თურქულ დოკუმენტებში დიაკრიტული ნიშნების გარეშე მოცემული (სიჰნათი) مورخات<sup>3</sup> დაწერილობის გამოძახილია (მეოთხე და მეხუთე ასო უნიშნოდ შეიძლება „ხ“ც იყოს და „ჯ“ც, „პ“ც იყოს და „ჩ“ც). სოფ. ქვაბიჯვარი (I 77; II 80) საარქივო საბუთებში Капн-увар და Капнйувар-ად არის წარმოდგენილი<sup>4</sup>. სოფ. ზანაეის სახელი (I 58; II 62) გააზრებულია Занови სიტყვად<sup>5</sup>, სოფ. გოკიასი კი (I 193; II 191) — Кокия-დ<sup>6</sup>, ზოგან „ლორძე“ (I 62; II 66) Гурза-დაა აღქმული<sup>7</sup>, „შუარწყალი“ (I 306; II 300), Шаварзигаль-ად<sup>8</sup>, გიორგიშმინდა (I 249; II 245) — Коргачминда-დ<sup>9</sup>, წყისე (I 56; II 60) — Шыхисე<sup>9</sup> და სხვ.

<sup>1</sup> დავთარი, I 235, 240; II 231, 236.

<sup>2</sup> სტია, ფ. 1491, ს. 487, გვ. 7v.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 47, ს. 57, გვ. 76r და 8r; ფ. 70, ს. 24, გვ. 3r.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 13r.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 47, ს. 75, 7v, 36r.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 17r. <sup>7</sup> იქვე, გვ. 20r.

<sup>8</sup> იქვე, ფ. 47, ს. 9, გვ. 1r და ფ. 47, ს. 76, გვ. 4v. <sup>9</sup> იქვე, ფ. 47, ს. 57, გვ. 13r.

მართალია, სარჩივო მასალებში ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა მნიშვნელოვანწილად სასტიკად შეცვლილია და შერყენილი, მაგრამ, ამასთანავე ერთად ამ მასალებში დაცულია ბევრი სწორი ფორმა, ან ისეთი ფორმა, რომლისაგან აღვილია ქვეშარიტი ფორმის აღდგენა. კანცელარიის მოხელეები ცხოვრობდნენ ადგილებზე, დადიოდნენ გამოსაძიებლად და სხვადასხვა ობიექტის დასათვალისწინებლად სოფლებში და ადგილებზე იწერდნენ ხოლმე ამ სახელებს.

სხვადასხვა მეტყველებაში სხვადასხვაგვარად გადატეხილი გეოგრაფიული სახელის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ქართული სახელი „სხვილისი“ (I 37; II 41), რომელმაც სომხურად Сухлис<sup>1</sup> და Сухлис-ი<sup>2</sup>, ხოლო თურქულად Sülis-ი<sup>3</sup> მოგვცა. სოფლის სახელი „ორტილა“, რომელიც, როგორც დავინახეთ, „დავთარში“ შედარებით კარგად არის გადმოცემული (داغتر), შემდეგში თურქულსა და სომხურ მეტყველებაში „იხტილა“ || „იხტილა“ დიკა<sup>4</sup> და ასე შემდეგ.

ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში დიდხანს გაურკვეველი იყო ჯავახეთის ისტორიული სოფლის დღევანდელი ზუსტი ადგილმდებარეობა<sup>5</sup>. „დავთარში“ „დღევანდელი“ ზუსტი ტრანსკრიფციით გადმოცემამ (داغتر I 16, 294; II 18, 287) ჩვენ საშუალება მოგვცა სპეციალური ძიების შედეგად დაგვედასტურებინა, რომ ჯავახეთში ამჟამად „ტილიფ“ || „ტილიფი“ აღ ცნობილი სოფელი სწორედ ის სოფ. დღევანდელია, რომლის მდებარეობა აქამდე უცნობი იყო. ექვმიუტანლად გაირკვა, რომ „ტილიფ“ || „ტილიფი“ ისევე, როგორც კანონზომიერი ფონეტიკური ტრანსფორმაციაა ქართული „დღიფ“ სიტყვისა არზრუმიდან ვადმოსახლებულთა მეტყველებაში<sup>6</sup>. ასევე „დავთარის“ ჩვენების თანახმად გამოირკვა, რომ სპეცრუკებზე ჩრდილის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე ძლიერ შერყენილად აღნუსხული Закарзай პუნქტი სინამდვილეში ქართული ზაქარწმინდა სოფელია<sup>7</sup> და ასე შემდეგ.

ასეთივე ხასიათისაა ის დამახინჯებები, რომელიც ჩვენ გვაქვს სამხედრო ტოპოგრაფთა მიერ შედგენილ მსხვილმასშტაბიან რუკებზე. ამ რუკებმა, რომლებიც XIX-XX საუკუნის მანძილზე გამოდიოდნენ, უსათუოდ დიდი როლი ითამაშეს სათანადო ქვეყნების (კერძოდ სამცხე-საათაბაგოს) გეოგრაფიულად

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 16, გვ. 76r და სხვ.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 77, ს. 2, გვ. 3v და სხვ.

<sup>3</sup> ჩემი დიალექტოლოგიური მასალებიდან.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ. ტერიტ. დაყოფა, თბილისი, 1949, გვ. 20; Спецкарта Европейской России, 98, М., 1921 და სხვაგვანა ყველაზე.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 55, 67.

<sup>6</sup> იხ. ჩვენი: სოფ. დღივის ლოკალიზებისათვის ჯავახეთში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 3, თბილისი, 1946, გვ. 149-152. დღევანდელი იხ. აგრეთვე აქვე, ჩილდირის ლიფა, ქანარწმინდის ნჰიფი, სოფ. № 22.

<sup>7</sup> Спец. карта Европейской России, 80, М., 1921; აგრეთვე: „Турецкая рукопись: Музея Грузии Пространный реестр Грузинского вилайета“, Сообщения Груз. филиала АН СССР, ტ. I, № 6, თბილისი, 1940, გვ. 486; აგრეთვე აქვე იხ. „ზაქარწმინდა“, სოფ. № 18, ნჰიფი № 16 (ჯანაბისა).

შესწავლის საქმეში. ოლონდ სამცხე-საათაბაგოს ნაწილში განსაკუთრებით იგრძნობა ქართული გეოგრაფიული სახელების შერყვნა იმის გამო, რომ კარტოგრაფების ინფორმატორები ან უკვე გადაგვარებული აბორიგენები იყვნენ, ან არადა არაქართულად მეტყველი გადმოსახლებულები. ეს დამახინჯებული სახელები შემდეგ პრაქტიკაში ინერგებოდა, თვით ქართველთავე მეტყველებაში იღვამდა ფეხს და ერთგვარ კანონიზაციას პოულობდა ისეთ დიდ ავტორიტეტთა შრომებში და რუკებზე, როგორებიც იყვნენ აკად. ნ. მარი, აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ექ. თაყაიშვილი და სხვ. ანალოგიურ შემთხვევასთან დაკავშირებით თავის დროზე ასეთ დამახინჯებებზე ყურადღება გაამახვილა აკად. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც შენიშნა, რომ „სახელები ხშირად ისეა დამახინჯებული, რომ უცბად აღამიანი დამახინჯებულის ნამდვილ სახეს ვერც კი მიჰხედება“<sup>1</sup>. მრავალი მაგალითიდან ჩვენ ორიოდეს მოვიტანთ: ქართული სახელები ქართული სოფლებისა „ძურძნა“ და „წინწალი“<sup>2</sup> სამცხე-საათაბაგოს ყველა რუკაზე აღნუსხულია Зурдзана-დ და Чинцаал-ად<sup>3</sup>. ეს სახელები ასევე აქვთ დაწერილი ექ. თაყაიშვილს<sup>4</sup>, ივ. ჯავახიშვილს<sup>5</sup>, ნ. მარს<sup>6</sup> და სხვაგანაც. ამავე დროს ორივე ეს გეოგრაფიული პუნქტი ნახსენებია ჩვენს ძველ მწერლობაში „ძურძნასა“ და „წინწალის“ სახით<sup>7</sup>, ხოლო „ზურზუნა“ და „ზინჯალი“, როგორც ფონეტიკის შესახებ სპეციალურ თაემი გვეჩვენება გარჩეული (IV წიგნი), კანონზომიერად გადათურქებული სახეობაა წყაროებში დადასტურებული ქეშმარიტი ქართული ფორმისა: ძურძნა და წინწალი.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ თურქები დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებს, როგორც წესი, ხელუხლებლად ტოვებდნენ<sup>8</sup>. ოლონდ ეს კია, რომ მოცემული არათურქული სახელი ფონეტიკურად გადათურქდებოდა ხოლმე; მაგალითად, ბერძნულმა Brusa-მ თურქულში Bursa მოგვცა, აგრეთვე Felibe ← Philippopoli, Edirne ← Adrianopolis, Küstendže ← Constantza<sup>9</sup>, ქართული „ახალციხე“ → Ahisha და სხვ.

<sup>1</sup> საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბილისი, 1930, გვ. 128.

<sup>2</sup> დაეთარი, I 264, 267; II 259, 262.

<sup>3</sup> Спецкарта Европейской России, № 11, 1921 (ჩრდილის ტბის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით).

<sup>4</sup> Материалы по археологии Кавказа, XII, გვ. VII (Зинцаал-ისათვის, სხვათა შორის, ერთხელ Цинцаал-იც არის ნახვებები, იქვე).

<sup>5</sup> საქართველოს ისტორიული რუკა ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1923.

<sup>6</sup> Надпись Сардур II, сына Арштития, в Даш-Керти на Чалдырском озере, Записки Кавказского Музея, Серия В, I, стр. 26.

<sup>7</sup> „ცხოვრება საქართველოსა“ = Chronique. Géorgienne. M-it de la Bibliothèque du Roi, Paris, 1829, p. 17, ფრანგ. თარგმ. Brosset-სი, 1831, p. 17 (ლითოგ. გამოცემა საახლო საზოგადოებისა); შტრ. ექ. თაყაიშვილის გამოცემა „სამი ისტორიული ქრონიკა“, გვ. 98.

<sup>8</sup> იხ. Leon Lamouche, La transformation turque des noms de lieux slaves dans les anciennes provinces ottomanes. P. Boyer-ისადმი მიძღვნილ კრებულში, პარიზი, 1925, გვ. 33. <sup>9</sup> იქვე, გვ. 36.

ამავე დროს სხვადასხვა ადგილას დასტურდება თურქების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივი გეოგრაფიული სახელების თარგმნის შემთხვევები. ჯერ კიდევ 1898 წ. პროფ. ვ. სპირნოვმა საესებით მართებულად დაუპირისპირა სტამბოლის ერთ-ერთი ცნობილი უბნის „გალატა“ს სახელი ბერძნულად—Γαλατος) რუსულ მატრიანეში სტამბოლის იმავე უბნისათვის ხმარებულ Суд სიტყვას („судитъ Суду“ და „пожаръ вестъ Суд“). საქმე ისაა, რომ თურქებს თარგმნილი უნდა ჰქონდეთ ბერძნული სახელი უბნისა (γλατα→) Γαλατος; თურქულად: Süd 'რძე'; ეს თურქულად თარგმნილი სახელწოდება შემდეგში რუსებს Суд-ად გადაუღიათ. მართლაც, ევლია ჩელების მოწმობით სტამბოლის ამ უბანში კონსტანტინე მეფეს ჰქონია სარძევე ფერმა—Γαλατος, რაც შემდეგში ამ უბანს დარკმევეა სახელად, ხოლო თურქებს Süd-ად (= რუს. Суд) უთარგმნიათ<sup>1</sup>. ასევე ბერძნულიდან თარგმნილად მიაჩნიათ ტრაპიზონის ერთ-ერთი კარიბჭის სახელი „სუთ-ხანე“ (თურ.-სპარ. Süd-hane)<sup>2</sup>. აკად. ნ. მარიც აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს. რომ თურქები, მაგალითად, სომხეთის ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელებს თარგმნიდნენ: «в одних случаях употребительные в речи турок термины оказываются простым переводом армянских названий»<sup>3</sup>. იგივე ნ. მარი შენიშნავს საერთოდ სომხურ ტოპონიმიკაში თურქული ფენის არსებობას: სევანის ტბას და მდ. ახურიანს თვით სომხები თურქულად „გოგჩა“სა (←თ. გök—'ლურჯი', 'ციხფერი'+თ. çay 'წყალი') და „არფა-ჩაი“ს (თ. arpa 'ქერი'+თ. çay 'მდინარე', 'წყალი') უწოდებენ. შეიძლება ამ შემთხვევაში ჩვენ გვექონდეს თურქული თარგმანი დღეს უკვე მივიწყებული სომხური სახელებისა. მასვე მოჰყავს სომხური გეოგრაფიული სახელების თურქულად თარგმნი უდავო მაგალითიც: ძველი ანისის ეპოქის სომხური სახელი „სარნ-ალბიურ“ ახლა თურქული თარგმანით „სოუქ-ბულად“ად (= 'ცივი წყარო') არის ცნობილი<sup>4</sup>.

ფრანგ მეცნიერს L. Lamouche-საც მოჰყავს რამდენიმე ფაქტი თურქების მიერ გეოგრაფიული სახელების თარგმნისა ბალკანეთში. თურქებმა Kazan სიტყვა შეარქვეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ქალაქ Kotel-ს (= 'ქვაბი'; Kazan ზუსტი თურქული შესატყვისია სლავური котел სიტყვისა); იქვე Bijelopolje თარგმნილ იქნა Ak ova-დ (თ. ak—'თეთრი'+თ. ova 'მინდორი', 'ვაკე') და სხვ.<sup>5</sup> დადასტურებულია აგრეთვე ბერძნების მიერ საქართველოში

<sup>1</sup> В. Д. Смирнов, Турецкие легенды о святой Софии и о других византийских древностях, Петербург, 1898, გვ. 96; შდრ. Ф. И. Успенский, Очерк из истории Трапезундской империи, Ленинград, 1929, გვ. 10.

<sup>2</sup> ფ. И. Успенский, იქვე.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, Надпись Сардура II, сына Аргишттия, в Даш-Керпи на Чалдырском озере: Записки Кавказского музея, серия В, I, Петербург, 1919, გვ. 25.

<sup>4</sup> Н. Я. Марр, К вопросу о топонимике Крыма, Известия Таврического общества истории, археологии и этнографии, т. I, Симферополь, 1927, გვ. 2 (ცალკე ამონაბეჭდი).

<sup>5</sup> L. Lamouch, La transformation turque des noms de lieux slaves dans les anciennes provinces ottomanes, P. Boyer-ისადმი მიძღვნილი კრებული, გვ. 33.

გეოგრაფიული სახელების თარგმნა. პროფ. ს. ყუბხიშვილის მიხედვით ბერძენ-ბიზანტიელთა პრაქტიკაში ეს ამბავი იშვიათი მოვლენა არ არის: „ჩიპოს“ — ‘ცხენის წყალი’, „ბოას“ — ‘ყვირილა’, „ნესოს“ — ‘ისულა’ და სხვ. ბერძნული სახელწოდება როდოპოსისი — Ροδοπαις; ქართული ვარდიციხე ან ვარდიქალაქის თარგმანი უნდა იყოს<sup>1</sup>.

აკად. ნ. მარი თურქობამდელროინდელი გეოგრაფიული ნომენკლატურის შესასწავლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადგილობრივ გადათურქებულ სახელებსაც. თუ ერთ შემთხვევაში, ამბობს ნ. მარი, თურქული სახელწოდებები ადგილობრივი გეოგრაფიული სახელების უბრალო თარგმანს წარმოადგენს, სხვა შემთხვევაში ჩვენ დაცული გვაქვს ფონეტიკურად ძველი ადგილობრივი სახელები. ხდება ისიც, რომ მოცემული სახელწოდებები აღქმულია თურქული ხალხური ეტიმოლოგიით, რომელშიც თურქულად გააზრიანების შედეგად მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები გვაქვს ხოლმე<sup>2</sup>. სხვათა შორის, ჩვენს „დაეთარში“ მოიპოვება ამ უკანასკნელი შემთხვევის მაგალითებიც: „ზედა ვარძიაში“, მაგალითად, „ზედა“ სიტყვა გააზრებულია არაბ-თურქულ ასჯ-დ („დაეთარი“, I 14, 243).

ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში და თვით ე. წ. „გურჯისტანის ეილშაფეთში“ც მოგვეპოვება მაგალითები ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურის თარგმნისა. ვახუშტის შენიშნული აქვს, რომ „...დასავლით არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი-ბოლაზის ქეობა ანუ საქართველოს-ყელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ, მიერ ეამით უწოდეს სახელი ესე“<sup>3</sup>. დ. ბაქრაძის გაგებით «Гурджи-богаз, по замечанию Вахушта, есть турецкий перевод грузинского საქართველოს ყელი...»<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრითაც ამ შემთხვევაში „გურჯი ბოლაზი“ ქართულის თარგმანია: „...ეს სახელი ჰქონდა ამ გზას მარტო ქართულად კი არა, სომხურადაც (ნ. მარი, Илечение Иерусалима, ТР, IX, გვ. 58) და აწინდლამდისაც შენახულია მხოლოდ თურქულად ნათარგმნი „გურჯი ბოლაზის“ სახით<sup>5</sup>, ან კიდევ „გზა ქართლისა“ ან „საქართველოს ყელისა“, რომელსაც თურქებმა „გურჯი-ბოლაზი“ უწოდეს“<sup>6</sup>. ქართული „ყელი“ და თურქული „ბოლაზ“ ხიფაჯ — შინაარსობლივად სავსებით ემთხვევიან ერთურთს როგორც ანატომიური, ისე გეოგრაფიული გაგებით და შესაძლებელია აქ მართლაც თურქულ თარგმანთან გვექონდეს საქმე<sup>7</sup>. ასევე ქართულ ცხრა წყაროს

<sup>1</sup> ს. ყუბხიშვილი, გეორგია, III, თბილისი, 1936, გვ. 309.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Надпись Сардура, сына Аргинштия, в Даш-Керни... გვ. 25.

<sup>3</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 141.

<sup>4</sup> Д. Баκραдзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 75.

<sup>5</sup> ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 66.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 63; შდრ. მ. ჯანაშვილი, მუსხეთი, თბილისი, 1915, გვ. 5.

<sup>7</sup> თუმცა რამდენიმედ საეკვოდ მენუენება მაინც, რომ ქართველებს თავიანთი სახელი შეერქვათ ამ ულელტეხილისათვის. შეიძლება სომხებმა შეარქვეს ასე და შემდეგ თურქებმა თარგმნეს.

თარგმანი უნდა იყოს дахкус пунгар-ი, რომელშიც ჩვენ გვაქვს თურქ-dokuz 'ცხრა' და თურქულივე pınar 'წყარო'<sup>1</sup>.

ვ. კობტონაშვილიც აღნიშნავდა ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურის თურქულად თარგმნის ფაქტებს: «ყველა სოფელი ჩილდირში ქართული სახელწოდებით ყოფილა, მაგრამ, რადგან დიდხანს ეს ადგილები თათრის ხელშია და თათრებით დასახლებული, ზოგიერთი სოფლის სახელი თათრულად გადათარგმნიათ და დღემდე ქართული სახელი შერჩენილა. ასე, მაგალითად, ქართველები... ამბობენ «სოფელი თეთრა-ციხე», თათრები ეძახიან იალ[ჯა]-ყალას» და სხვ.<sup>2</sup>

ქართული გეოგრაფიული სახელის „ოქროს-ციხე“ს თარგმანია უდავოდ თურქული 'ალთუნ-კალ-ა' (Altun-kal-a<sup>3</sup>). ექვთიმე თაყაიშვილით: К северу от Дчүлєби находятся развалины некогда сильной крепости Окрос-цихе, или Алтун-кала<sup>4</sup>.

ასევე ქართულიდან თარგმნილი გეოგრაფიული სახელთაგანია „დავთრის“ داور قلعه ჩრდილის ლივანში<sup>5</sup>, ეს არის ქართული ციხე 'მგელციხე' (თურქ. kurd = 'მგელი', ხოლო არაბ. قلع — kal'a = 'ციხე'). რომ ჩვენი „დავთრის“ داور قلعه იგივეა, რაც ქართული 'მგელციხე' იქიდანაც ჩანს, რომ ექ. თაყაიშვილით: Мгел-цихе значит Волчья крепость, тоже самое означает и турецкое название Курт-кала. Обширная крепость Мгел-цихе расположена на левом берегу Куры, почти напротив Цхаростави<sup>6</sup>. სწორედ ამ ადგილსაა ნაჩვენები „დავთარში“ 'მგელციხე'.

„დავთრის“ შედგენის დროისათვის ჯერ კიდევ თარგმნილი არ არის ცნობილი 'ქაჯის-ციხე', რომელიც ტრანსკრიბირებულია كاجس قلعه<sup>7</sup>. მაგრამ შემდეგში „ქაჯისციხე“ც თარგმნილ იქნა და იხსენიებოდა ვითარცა 'შაითან-კალა': ...несколько ниже селения Рабат, находится хорошо сохранившаяся крепость Каджис-цихе, нареименованная татарами в Шайтан-кала. В переводе как Каджис-цихе так и Шайтан-кала одинаково означают «Чертова крепость»<sup>8</sup>. ამის თარგმანი უნდა იყოს აგრეთვე გერმანული Teufelschloss, რომელიც Hammer-ის მიერ დასახლებულია ჩილდირთან<sup>9</sup> და სხვ.

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 16, გვ. 123v.

<sup>2</sup> ვ. კობტონაშვილი, მოგზაურის დღიურიდან, „ივერია“, 1894, № 155.

<sup>3</sup> დავთარი, I 109; II 112.

<sup>4</sup> Зарямский монастырь, его реставрация и фрески, СМОМПК, 35, Тифлис, 1905, стр. 109.

<sup>5</sup> დავთარი, I 296; II 289.

<sup>6</sup> Христианские памятники, Экскурсия Е. Такайшвили 1902 г. Материалы по археологии Кавказа, вып. XII, стр. 59.

<sup>7</sup> I 278; II 272.

<sup>8</sup> Е. Такайшвили, დასახლებული ნაშრომი, გვ. 58; აგრეთვე: პროფ. ლ. მელიქიძე-ბეგი, Крепость Каджети, «Заря Востока» № 113 (4134), 20.V.1937.

<sup>9</sup> J. v. Hammer, Geschichte des osmanischen Reiches, II, გვ. 480. საინტერესოა, რომ Hammer-ის ამ ისტორიის თურქულ თარგმანში შესატყვის ადგილას شیطان قلعهა კი არა, ابلیس قلعهა გვაქვს. მართალია არაბ. ابلیس და شیطان ერთი და იგივე მნიშვნე-

როგორც ივ. ჯავახიშვილმა და ექ. თაყაიშვილმა აღნიშნეს, კოლას პროვინციაში „ღორთ კილისად“ წოდებული გეოგრაფიული პუნქტის სახელი თურქული თარგმანია „ლაერა ოთხთა ეკლესიათა“სი<sup>1</sup> (თურქ. dört kilise = ქართ. 'ოთხი ეკლესია') და სხვ. ქვემოთ თითოეული ასეთი შემთხვევა ჩვენ სპეციალურად გვაქვს შესწავლილი და აქ გეტს არ გაევაგრძელბთ.

შრომის ამ ნაწილში ჩვენ ვცდილობთ შეძლებისდაგვარად მოვიძიოთ დროთა ვითარებაში შერყენილი გურჯისტანის ვილჯეთის ეგოდენ ვრცლად წარმოდგენილი გეოგრაფიული ნომენკლატურის თავდაპირველი ქართული სახეობა თვით „დავთრისა“ და სხვა წყაროების მოშეგლებით და, სადაც და რამდენადაც შესაძლებელია, დავაზუსტოთ ადგილმდებარეობა იმ გეოგრაფიული პუნქტებისა, რომლებიც ისტორიულ ვითარებათა ნეოხებით (ქვეყნის დაპყრობა, მასიური გადასახლებები და სხვ.) დღეს უკვე აღარ არსებობენ, მაგრამ იხსენიებიან ძველ წერილობით ძეგლებში, ან არადა მათი კვალი ნანგრევების სახითაა<sup>2</sup> დარჩენილი. გზადაგზა ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის შესახებ ზოგჯერ მოცემულია საყურადღებო ისტორიული მასალა, რომელიც რამდენიმედ შუქს ფენს ამ პუნქტის მდებარეობის ან დასახლებულობის რომელიმე საკითხს<sup>3</sup>. ზოგჯერ მოცემულია ხალხური სიტყვიერებიდან ამოკრეფილი შესაფერისი დახასიათება ან ცნობა გარკვეული პუნქტის სახელის შესახებ<sup>4</sup>. თითოეულ პუნქტზე ამ თვალსაზრისით ჩატარებული კვლევის მოკულობას განსაზღვრავს, რა თქმა უნდა, ამ პუნქტის შესახებ არსებული და ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა; აგრეთვე ისიც, თუ რამდენად საჭიროებს ესა თუ ის პუნქტი კომენტარებს. საერთოდ კი შრომის ამ ნაწილის მთავარი მიზანია „დავთარში“ აღრიცხული გეოგრაფიული პუნქტის იდენტიფიკაცია ამჟამად ცნობილ ან ახლა არარსებულ, მაგრამ ისტორიულად დადასტურებულ სოფელთან, ან ნასოფლართან.

რა თქმა უნდა, თითოეული გეოგრაფიული პუნქტის ისტორია ჩვენ აქ არ შეგვეძლო მოგვეცა. ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გეოგრაფიული პუნქტის ისტორიულ ასპექტში განსახილველად საჭირო გამოცდილება ჩვენ არ გვექონდა და, მეორე, ზოგიერთი პუნქტის შესახებ იმდენი მასალაა საარქივო საბუთებში, ძველ და ახალ ეურნალ-გაზეთებსა თუ ძველ ქართულ მწერლობაში, რომ ჩვენი შრომის მარტო ეს ნაწილი გადაიზრდებოდა, შეიძლება, ტომებში.

დღობის სიტყვებია, მაგრამ მთარგმნელს არ ცოდნია, რომ ამ ციხეს: 'შეგან-კალჯა ერქვა: იხ. 'جدى عطا—بنجى جلد'، مترجمى محمد عطا، دولت عثمانى تاريخى، 1332(=1913), გვ.61.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ვრის ისტორია, II, გვ. 56; ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოღთისში და ჩაქლღი, პარიზი, 1938, გვ. 12.

<sup>2</sup> მაგალითად, ქვემოთ პარაგრაფები სოფ. ცხრუკაზე, სოფ. მგლინაზე, სოფ. დღივსა და სხვ.

<sup>3</sup> მაგალითად, სოფ. მეიდანზე როცა ლაპარაკი, წოდებულია ცნობები მეიდანის მდებარეობის, მისი მფლობელების, გაუკაცრიელებისა და სხვათა შესახებ (იხ. ქვემოთ სოფ. „მეიდანის“, უდის ნჰიფი, № 2).

<sup>4</sup> იხ. მაგალითად, პარაგრაფები სოფ. მეიდანზე, სოფ. ყურზე და სხვ.

ამასთანავე ერთად აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის“ ტერიტორიაზე მდებარე გეოგრაფიული პუნქტების განხილვისას ჩვენ მიერ მოწოდებული ცნობები განისაზღვრება მხოლოდ „დავთარში“ აღრიცხული პუნქტებით. გეოგრაფიულ პუნქტებს, რომლებიც „დავთარში“ ამა თუ იმ მიზეზით არ არიან აღრიცხული, ჩვენ არ ვიხილავთ. ამ მხრივ, პირველად ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ბოგდანოვკის რაიონის დუხაბორებით დასახლებული სოფლები: გორელოვკა, ეფრემოვკა, ორლოვკა, სპასოვკა, ბოგდანოვკა<sup>1</sup> და სხვ. ჩვენ არ ვიცით ეს სოფლები ნასოფლარებზეა გაშენებული, თუ საესეებით ცარიელ ადგილზე. გარდა ამისა, ადიგენის რაიონში არსებობდა სოფ. ქატარაული, სოფ. დაშქერფი ჩილდირთან, ახალციხის რაიონში სოფ. შინაძე და სხვ., რომლებიც „დავთარში“ არ ჩანან. შეიძლება ესენი „დავთარის“ შემდეგ გაჩენილი პუნქტები იყოს. ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი შეიძლება ცალკე გამოიყოს.

გამოყენებული მასალის მიმოხილვა. დამახინჯებული ტოპონიმიკის ქართული სახეობის აღსადგენად საჭირო იყო უპირველესად ყოვლისა ქართული მასალები, რომლებიც ქართული დამწერლობით და ქართველის მიერ იქნებოდა ჩაწერილი. ოსმალთა შემოსვლის დღიდან ამ მხარეში ოფიციალურ ენად იყო თურქული, ხოლო 1829 წლიდან — რუსული; ამიტომ ქართულ ენაზე საბუთები ძლიერ ცოტაა. ამ თვალთახედვით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ უნდა ყოფილიყო ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც ქართული გეოგრაფიული სახელები წარმოდგენილია კრისტალიზებული სიწმინდით. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ მოსახლეობის გადათურქების შემდეგ სამცხე-საათაბაგოში ტოპონიმიკა ადგილობრივ მეტყველებაშიც შეიბღალა და ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და სხვა ზოგი ქართული ძეგლი რომ არა, ძლიერ გაქირდებოდა ამოცნობა ისეთი ქართული გეოგრაფიული სახელებისა, რომელთა შედგენილობაში ჩვენ გვაქვს სპეციფიკური ქართული ბგერები და ბგერათა კომპლექსები. თურქული დაწერილობა, მაგალითად, ისეთი გეოგრაფიული სახელებია, როგორცაა *جندج*<sup>2</sup>, *كوهنج*<sup>3</sup>, *سبخوج*<sup>4</sup>, *كلناو*<sup>5</sup>, *كواس*<sup>6</sup> და სხვ., ე. ი. (შესაბამისად) ქვინტა<sup>7</sup>, კვანჯლა<sup>8</sup>, ცხრაქა<sup>9</sup>, მგლინავი<sup>10</sup>, ქვაკაცნი<sup>11</sup> — ამ თვალსაზრისით სასურ-

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1949, გვ. 25.

<sup>2</sup> დავთარი, I 27, II 30.    <sup>3</sup> იქვე, I 32, II 36.    <sup>4</sup> იქვე, I 84, II 87.

<sup>5</sup> იქვე, I 404, 472; II 395, 461.    <sup>6</sup> იქვე, I 15, 272; II 17, 267.

<sup>7</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენაშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 124.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 125.

<sup>9</sup> ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, II, ბასილ ზარხმელი, „ცხოვრება სერაპიონ ზარხმელისა“, პროფ. ე. კვეციძის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1935, გვ. 154.

<sup>10</sup> სუმატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონანთა შესახებ, გამოცემა VII, ტექსტი გამოსცა საქ. სსრ მეცნ. აკად. ნაშედილმა წერგმა ექ. თაყაიშვილმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 27, თბილისი, 1949, გვ. 65.

<sup>11</sup> სამი ისტორიული ზრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა, ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითისა), გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 83.



ველ შედეგს ვერ მოგვეცემდა და ამდენად ზენი „დავთრის“ ასეთი ადგილები ამოსაშინფრავად ქართულ წყაროებს და, მათ შორის, ვახუშტის „აღწერასაც“ დიახაც რომ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამასთანავე ერთად უნდა ითქვას, რომ ვახუშტის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სამწუხაროდ და ცნობილი მიზეზის გამო (სამცხე-საათაბაგო უკვე ოსმალთა ხელში იყო), ამ მხარეს აგვიწერს ძლიერ მოკლედ და მის „აღწერაში“ გეოგრაფიული პუნქტების დიდი უმრავლესობა დასახელებული არაა. ეს „იმ დროს, როდესაც ქართლი იმდენად ვრცლად არის განხილული, რომ თითქმის არც ერთი მცირეოდენად შესანიშნავი სოფელი და ნასოფლარიც კი უყურადღებოდ დატოვებული არ არის“. ეს იმიტომ, რომ „მესხეთი მის დროს ოსმალეთს ეპყრა და ვახუშტს ეს მხარე პირადად ნანახი არ ჰქონდა“<sup>1</sup>. ამას გარდა, რადგანაც სახელოვან მეცნიერს საშუალება არ ჰქონდა თვითონ ენახა სამცხე-საათაბაგო ან იქიდან უშუალოდ მიეღო ცნობები, მისი შრომის სათანადო ნაწილში აქა-იქ შეცდომებსაც კი ვხვდებით<sup>2</sup>.

გეოგრაფიული სახელების დასამუშავებლად ჩვენ სხვა საისტორიო წყაროებსაც ვიყენებდით. მაგალითად, „სამი ისტორიული ქრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა), გამოცემული ვრცელის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ“ (თბილისი, 1890), იგივე რუსულად, განსაკუთრებით Хроника Месхийской Псалтыри (СМОМПК, 28), რომელსაც დართული აქვს საინტერესო კომენტარები. „ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან ზეცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი მეორე. ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან“ (პეტერბურგი, 1851), „ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით“ (თბილისი, 1942) და სხვ.

საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაზე მომუშავე გვერდს ვერ აუვლის, რა თქმა უნდა, აკად. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ტომებს, განსაკუთრებით კი II ტომს, რომლის I თავში სპეციალურად განხილულია „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII-XII ს. ქ. შ.“ (გვ. 1-69). ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალებს შეიცავენ აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილის შრომები: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Моск. Археологического об-ва (т. XII), Зарэмский монастырь, его реставрация и фрески... კრებულში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, ნაკვეთი 35 (თბილისი, 1905). არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს (პარიზი, 1938) და სხვ. მრავალი ლიტერატურა სამცხე-საათაბაგოს შესახებ,

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წ. 1, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თბილისი, 1945, გვ. 330; მისივე საქართველოს ეკონ. ისტორია, I, გვ. 306; Д. Бакрадзе, АПГА, გვ. 17.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე; ივ. თაყაიშვილი, Материалы по археологии Кавказа, XII, გვ. 57, 58 და სხვაგანაც (ამაზე ჩვენც გვიქნება ლაპარაკი ქვემოთ შესაბამის ადგილას).

ჩვენ გამოყენებული გვაქვს და თავ-თავის ადგილას დასახელებულიც რომ აქ თითო-თითოდ არ ჩამოვთვალოთ.

ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობა საკმაოდ წინ წასწია აგრეთვე საარქივო მასალებმა, რომელთა შესწავლასა და ამოწერას ჩვენ საკმაოდ დიდოდრო მოვანდომეთ. «გურჯისტანის ვილანეთის დიდ დავთარს» გამოსაცემად რომ ვამზადებდით, ჩვენთვის ეს საარქივო მასალა უცნობი იყო და მას ჩვენ მივაკვლიეთ უკანასკნელ წლებში III-IV წიგნზე მუშაობის დროს.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფონდები, რომლებიც განეკუთვნებიან 1829 წლის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით დაბრუნებულ სამცხე-საათაბაგოს პროვინციებს<sup>1</sup>. საინტერესო მასალას შეიცავს, მაგალითად, ახალციხის დროებითი საოლქო სამმართველოს (Ахалцихское временное областное правление) ფონდი № 47<sup>2</sup>. ამ ფონდში გვხვდება საბუთები სხვადასხვა ენაზე (რუსული, თურქული, ქართული და სხვ.) და მცირე რაოდენობით ადგილობრივ გეოგრაფიულ-ნომენკლატურაზე ცნობების შემცველი ქართული საბუთებიც. აქვეა ცნობები სოფ. შეიღნისა და მისი მფლობელების—ხურციძეთა შესახებ და სხვა. საყურადღებო ცნობებს შეიცავს ხერთვისის საუბნო სამმართველოს (Хертовисское участковое управление) ფონდი № 73<sup>3</sup>. აქ ზოგჯერ (მაგალითად, 1859 წლის საქმე № 158-ში) წარმოდგენილია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მეტად ზუსტი ცნობები ე. წ. ხერთვისის უბანში შემაჯავლი გეოგრაფიული პუნქტების მდებარეობის შესახებ. აქვე ქართულ დამწერლობაში მოცემულია მეტად საინტერესო გეოგრაფიული სახელები. საინტერესოა აგრეთვე ამავე ფონდის საქმე № 35-ის მასალები, «ახალქალაქისა და ქვაბლიანის საუბნო სამმართველოს» ფონდები № 74 და 70<sup>4</sup> და სხვ.

ბორჯომის ხეობის გეოგრაფიულ პუნქტთა შესახებ ცნობები მოიპოვებო. «ბორჯომის სახაზინო მამულის საქმედ» (Боржомское казенное имение) სახელდებულ № 352 ფონდში<sup>5</sup>.

ახალქალაქის სანჯაყის დასახლებულ პუნქტთა, განსაკუთრებით კი ხორენია-ჯვარინას შესახებ მეტად ფასიულ მასალას შეიცავს ფონდი № 1012<sup>6</sup> (Управление коменданта ахалкалакской крепости).

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ახალციხის საფაშოში (Ахалцихский. Пашалык) შემავალ გეოგრაფიულ პუნქტთა ორი სია, რომელთაგან ერთი ახალციხის საოლქო სამმართველოს (Ахалцихское областное правление) ფონდშია დაცული<sup>7</sup> და დასათაურებულია: Выписка из книги Джабы о числе

<sup>1</sup> Адрианопольские мирные договоры, Дипломатический словарь, I, М., 1948, стр. 27.

<sup>2</sup> იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, მეგზური, ა. იოვიძის რედაქციით, თბილისი, 1947, გვ. 98.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 143.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 227.

<sup>7</sup> სცა, გვ. 47, ს. 20. მითითებისას—პირველი სია.

деревень, состоящих в Ахалцихском Пашалыке<sup>1</sup> (1832 წ.). მეორე სია კი მოიპოვება „ახალციხის სანჯაყის მმართველის (Управляющий Ахалцихским санджаком) ფონდში<sup>2</sup> (1837 წ.) და დასათაურებულია Список деревням санджаков Ахалцихского Пашалыка с показанием числа Акчы<sup>3</sup>.

პირველი სიის სათაურში ნათქვამია, რომ ის ამოწერილია „ჯაბა“ს წიგნიდან; მეორე სიას კი წინ უძღვის მიმოწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს არის выписка... с имеющегося перевода книги джабы о числе деревень в каждом санджаке состоящих<sup>4</sup> და სხვ. ირკვევა, რომ ახალციხის საფაშოს დასახლებული პუნქტების ეს ორივე სია გადმოწერილია ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გადმოთარგმნილია „ჯაბა“ს წიგნიდან, ე. ი. „გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი დაეთრის“ სათანადო ადგილიდან. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. ეს სიები გადაღებული უნდა იყოს „გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი დაეთრის“ იმ ნუსხიდან, რომელიც ჩვენ გამოვეციით და რომელიც ამჟამად ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ამ შრომის იმ თავში, რომელსაც „ხელნაწერის აღწერილობა“ ჰქვია, ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენს „დაეთარს“ ახალციხეში ერქვა Джаба და იგი ინახებოდა „ახალციხის დროებით საოლქო სამმართველოში“<sup>5</sup>. რომ ორთავე ამ სიების წყარო ჩვენი „დაეთარია“ იქიდანაც ჩანს, რომ ორთავე არქივისეულ სიასა და ჩვენი „დაეთრისადმი“ წამძღვარებულ სიაში<sup>6</sup> ჩვენ გვაქვს სრული თანხვედნილობა გეოგრაფიული ნომენკლატურის თანამიმდევრობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ე. წ. მეორე სიაში თითოეული გეოგრაფიული სახელის პირდაპირ მოცემულია სათანადო პუნქტზე შეწერილი გადასახადის ჯუმალი, რომელიც აგრეთვე საკვებით ემთხვევა ჩვენი „დაეთრის“ იმავე პუნქტებზე შეწერილი ჯუმალების ოდენობას<sup>7</sup>. მართალია, ამ მხრივ იშვიათ შემთხვევაში შეინიშნება არათანხვედნილობაც. მაგალითად, მეორე სიის მე-9<sup>ვ</sup> გვერდზე სოფ. ზემო მოხისათვის ჯუმალი ფიქსირებულია 3 000 ახჩის რაოდენობით, „დაეთარში“ კი ორთავე ადგილას (ე. ი. სიაშიცა და ძირითად ტექსტშიც) ნაჩვენებია 30 000 ახჩა<sup>8</sup>; აგრეთვე 20 000 ახჩის ნაცვლად სოფ. ტოლოშის გადასახადთა ჯუმლად ნაჩვენებია 2 000 ახჩა<sup>9</sup>; სოფ. საკულდიას ჯუმალი 3 750 ახჩის ნაცვლად ნაჩვენებია 3 700<sup>10</sup> და სხვ. ასეთ სხვაობათა ძლიერ იშვიათი შემთხ-

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 5r-23v.

<sup>2</sup> სტია, ფ. 77, ს. 23, გვ. 9r-14v.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 9r, მითითებისას—მეორე სია, ე. წ. I და II სიებს ჩვენ სტრიქონშივე მივუთითებთ და ფონდების დაუსახლებლად მართო გვერდებს ვუჩვენებთ.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, გვ. 11, 12.

<sup>6</sup> დაეთარი, გვ. I 6-18; II 7-20.

<sup>7</sup> შდრ. სტია-ს ფ. 77, ს. № 23-ში დაცული გეოგრაფიული პუნქტების სია ჩვენი დაეთრის სიას (I 6-18; II 7-20 გვერდებზე).

<sup>8</sup> სტია, ფ. 77, ს. 23, გვ. 9v და დაეთარი, II 8, 74.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 11v და დაეთარი, II 13, 179.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 12v და დაეთარი, II 15, 232.

ვევები, ვფიქრობ, გამოწვეულია გადამწერის უყურადღებობით და უნებლიედ დაშვებული შეცდომების შედეგი უნდა იყოს. ამრიგად, ქრუსული მმართველობის დამყარების პირველ ხანებში საგადასახადო ობიექტთა სია გადმოიღებოდა ხოლმე „ჯაბა-დავთრიდან“, რადგანაც ამ დროს სოფლებისა და მოსახლეობის შესახებ საჭირო ცნობების შემცველი სხვა სააღწერო მასალა არ იყო. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს რუსული სიები „დავთრიდან“ ძლიერ დაუდევრად დააგადმოღებული. „სიების“ გადამწერ რუს მოხელეს გეოგრაფიულ სახელთა ამოსაკითხავად შეეძლო მიემართა ადგილობრივ მკვიდრთათვის, რომელთაც თურქული დამწერლობაც იცოდნენ და ადგილობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურაც. მაგრამ ამ „სიებში“ მაინც დიდი შეცდომები და უხეში დამახინჯებები გვაქვს. „სიების“ სწორად ჩაწერილ სახელებს მე საჭიროებისამებრ ვიყენებ. ამასთანავე ერთად „სიებში“ დამახინჯებულ სახელებს შეძლებისდაგვარად ვასწორებ, რადგანაც ეს მაინც ოფიციალური სიაა და შეიძლება კაცი შეცდომაში შეიყვანოს.

არქივისეულ „საქმებში“ ზოგი სანჯაყის (ასპინძა, ქაქარაქი) სოფლებისათვის მოცემულია საყურადღებო დეტალები სოფლის რელიეფისა და მდებარეობის შესახებ, დასახელებულია ამა თუ იმ სოფლის წყარო, გორაკი, ხევი და სხვ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ აქ ასეთი, ასე ვთქვათ, დამატებითი ხასიათის მასალას ვაწვდით მკითხველს ისე, როგორც ის „საქმეში“ წერია და კომენტარებისაგან თავს ვიკავებთ. არადავთრისეულ დამატებით მასალაზე კიდევ ახსნა-განმარტების მიწოდება ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

ცენტრალურ საისტორიო არქივში ჩემ მიერ მიკვლეულ ფონდებში ძლიერ ცოტა მასალაა არტაანისა და ოლთისის ოლქების გეოგრაფიული პუნქტებისა და სხვათა შესახებ. „ვილნაეთის“ ეს კუთხე იმავე 1829 წ. კვლავ დაუბრუნდა ოსმალეთს<sup>1</sup> და 1878 წლამდე კვლავ ოსმალთა ხელში იყო. ამდენად ამ პერიოდის მასალები არქივში არც იყო მოსალოდნელი. მაგრამ არტაანისა და ოლთისის ოლქებზე 1878 წლის შემდეგდროინდელი ცნობებიც ძლიერ ცოტა აღმოჩნდა (მაგალითად, ფონდი № 415, საქმე № 12, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის და კიდევ რამდენიმე სხვა ძლიერ მზარდი და წმინდა სტატისტიკური მასალა). ამ მიზეზით ჩვენი „დავთრის“ ე. წ. დიდი არტაანისა და ფანაჯის სანჯაყების ექვს რაიონში (მზვარის, ჩრდილის, ტყის, ფანაჯის, ქამხისისა და ფანასკერტისა)<sup>2</sup> შემავალი გეოგრაფიული პუნქტები მასალის სიმცირის გამო მეტად მოკლედაა განხილული და ჯეროვანად შესწავლილი არ არის. ჩვენ ამ კუთხის შესახებ მასალების ძიებას განვაგრძობთ და, თუ ასეთი აღმოჩნდა, ვფიქრობთ დამატებითი მასალა ამ პუნქტების შესახებ სხვა დროს და ცალკე გამოვაქვეყნოთ. ამჟამად კი გურჯისტანის ვილნაეთის“ ამ სექტორისათვის მცირე მასალა გვაქვს და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ წინამდებარე წიგნში ტაო-არტაანის მხარეთა ხვედრითი წონა მცირეა.

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 4 (2.XI.1829).

<sup>2</sup> დავთარი, I 340-516; II 332-503.

ქვემოთ სათანადო პუნქტების განხილვისას, ყველა აქ მოხსენებული (და ზოგი აქ მოუხსენებელი) ფონდი შესაბამისად მითითებულია.

„დაეთარში“ წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელების დასამუშავებლად ჩვენ გამოვიყენეთ აგრეთვე ადგილობრივი ხალხური ზეპირსიტყვაობის მასალები. ასეთ მასალებს ჩვენ დიდი ნდობით ვეკიდებოდით, რადგანაც ვფიქრობთ, რომ ფოლკლორულ მასალებში საქართველოს ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის სახელი სწორად იქნებოდა ასახული. მაგალითად, სოფლის სახელების „ზეელი“<sup>1</sup> და „ყური“<sup>2</sup> დასადგენად ჩვენ გამოვიყენეთ პროფ. ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი ლექსი („რუსთავს აყვავდა გვირილა, ვაი მოუვა ზველსაო, ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახაშენსაო“); სოფლების ადიგენისა და მეიდნის შესახებ ცნობები აღმოჩნდა ვინმე მესხის მიერ შეკრებილ და გამოცემულ ხალხური სიტყვიერების მასალებში<sup>3</sup>. რამდენადმე გამოვიყენეთ აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვაობის მასალები, რომლებიც დაბეჭდილია ილ. მაისურაძის წიგნში „მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე“<sup>4</sup>. ზოგი რამ ჩვენ მიერ ადგილზე ჩაწერილი თურქული დიალექტოლოგიური მასალებიდანაც გამოვიყენეთ და სხვ. (ყველაფერი ეს თავ-თავის ადგილას მითითებულია).

„დაეთარში“ გეოგრაფიულ სახელთა ამოკითხვისას ჩვენ ესარგებლობდით აგრეთვე სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსის მიერ დამუშავებული და გამოცემული რუკებით. სამხედრო მიზნებისათვის შედგენილმა ამ რუკებმა დიდი როლი ითამაშეს შესაბამისი კლთხის ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეში საერთოდ. კერძოდ ჩვენს შემთხვევაში რუკის მონაცემები ძლიერ უწყობდა ხელს დიაკრიტული ნიშნების გარეშე ძნელად გასარჩევი არაბული დამწერლობით შესრულებული გეოგრაფიული სახელების ამოკითხვისა და მათი იდენტიფიკაციის საქმეს რუკებზე ასახულ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებებთან. ასეთი რუკებიდან შეიძლება დავასახელოთ: 1. Спец. карта Европейской России. Московский картоиздательский отдел—80-98 (Граница РСФСР с Турцией и Персией по мирному договору, 1921), 2. იგივე, 98; 117, 3. Военно-топографическое управление. 5-ти верстная карта Кавказа с прилегающими частями Персии и Туршии, Д7 და რამდენიმე 4. Карта [атлас] Кавказского края, составленный при военно-топографическом отделе Кавказского Военного Округа (в 1:420.000 настоящей величины), Тифлис, 1869, ფურც. С. 4 და სხვ.

გარდა ამისა, ჩვენ გამოყენებული გვაქვს სხვადასხვა გამოცემისადმი დართული და ცალკე გამოსული სხვა რუკებიც; მაგალითად, 1. აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოსული „საქართველოს ისტორიული რუ-

<sup>1</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1938, გვ. 125 (იხ. აქვე სტატიები სოფ. ზეელისა და ყურის შესახებ).

<sup>2</sup> ხალხური ლექსები (სამეცხეთაში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ): „ჩახალ-ოღლი“, ძველი საქართველო. ტ. III, თბილისი, 1913-1914, გვ. 245.

<sup>3</sup> თბილისი, 1949.

კა“ (თბილისი, 1923), 2. სამცხის (№ 1) რუკა, რომელიც დართული აქვს ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ს ქართულ-ფრანგულ ტექსტს Description géographique de la Géorgie, par le Tsarévitch Wakhoucht, publiée par M. Brosset, პეტერბურგი, 1842 წ., ვახუშტის ატლასები და სხვ.

წინამდებარე შრომის ამ მონაკვეთის დამუშავებისათვის უთუოდ ჰქონდა მნიშვნელობა 1933 წელს აგვისტოს თვეში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ექსპედიციას ჯავახეთში. ექსპედიცია შედგებოდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პროფ. ნ. ბერძენიშვილისა (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და ამ სტრიქონების დამწერისაგან. ექსპედიციის მიზანი იყო შესწავლა ადგილზე ამ კუთხის ტოპონიმიკური მასალისა, რაც ძლიერ შეუწყობდა ხელს „დავთრის“ ძლიერ რთული დამწერლობით შესრულებული გეოგრაფიული სახელების ამოკითხვას (ამას გარდა, პროფ. ნ. ბერძენიშვილი აგროვებდა ადგილობრივ ეპიგრაფიკულ მასალას). ექსპედიცია ადგილზე მუშაობდა ერთი თვე საქმაოდ მძიმე პირობებში (სატრანსპორტო და სხვა ხასიათის სიძნელეები). ექსპედიციამ ვერ მოახერხა, რა თქმა უნდა, ჯავახეთის მთლიანად მოვლა. ექსპედიცია ხშირად ვერ ღებულობდა ადგილზე ზუსტ ცნობებს გეოგრაფიული ნომენკლატურის (ნასოფლარების, ნაქალაქარების, იალაღებისა და სხვა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა) შესახებ. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჯავახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ადგილობრივი მკვიდრი არ არის, გადმონასახლებია ვასული საუკუნის 30-იან წლებში არზრუმიდან. მაინც, ვიმეორებ, ამ ექსპედიციის მასალებმა დიდი გარკვეულობა შეიტანეს ზოგი საკითხის დამუშავებაში<sup>1</sup>, რაც ქვემოთ, სათანადო ადგილებში ყველგან აღნიშნულია<sup>2</sup>. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ამ ექსპედიციამ ჩაუყარა საფუძველი „დავთრის“ გამოცემის საქმეს.

სხვათა შორის, ადგილობრივ ტოპონიმიკურ მასალასაც ვაკვირდებოდით ჩვენ აგრეთვე ადიგენის რაიონში, სადაც ჩვენ მივლინება გვქონდა 1936-სა (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტიდან) და 1943 წელს (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტიდან) თითო თვით ადგილობრივი დიალექტების შესასწავლად.

ამრიგად, სპეციალურად ტოპონიმიკის შესწავლის თვალსაზრისით ჩვენ, სამწუხაროდ, ადგილზე მუშაობა ვერ ჩავატარეთ ახალციხის, ბორჯომისა და ასპინძის რაიონებში (ექსპედიციის მუშაობის დროს ამ რაიონის სოფელთაგან ვიყავით მხოლოდ შემდეგ ადგილებში: ნაქალაქევი, ხიზაბავრასა და საროში). შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ადიგენის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ადგილზე შესწავლის

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, ქვემოთ პარაგრაფები სოფლების დღივის, ზრესკისა და სხვათა შესახებ.

<sup>2</sup> ეს ექსპედიცია ივულისებება ხოლმე, როცა ჩვენ ქვემოთ ვწერთ „ჯავახეთში მოგზაურობის დროს“, ან მოვყავს ცნობები „დღიურიდან“.

საქმეში. ჩვენ არაფერს ვლაპარაკობთ „გურჯისტანის ვილმეთის“ იმ რაიონებზე, რომლებიც ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში არიან. ასეთებია: ფოცხოვის პროვინციაში— მზეარისა და ჩრდილის რაიონები<sup>1</sup>, ე. წ. დიდ არტაანში—მზეარის, ჩრდილისა და ტუის რაიონები<sup>2</sup> და ტაოში—ფანაის, ქამხისისა და ფანასკერტის რაიონები<sup>3</sup> (ამ რაიონებში ჩვენ არ ვყოფილვართ).

გეოგრაფიული პუნქტები ქვემოთ ჩვენ განხილული გვაქვს „დაეთარში“ მათი დალაგებულობისდა მიხედვით. ამა თუ იმ გეოგრაფიულ პუნქტთან ერთი ნომრის ქვეშ მოხსენებული და მასზე მიწერილი წერილი საგადასახადო ობიექტები, როგორცაა: ვენახი, საძოვარი, ჩაირი, მდინარე, პატარა წყალი, საყანე მიწა, ცალკეული ადგილი სოფელთან, სოფლის შემადგენელი უბნები, სოფლის უფრო დიდი ნაწილები (ზემო, ქვემო) და სხვა, რასაც საკუთარი სახელი აქვს, განხილულია იმავე პუნქტის ნომრის ქვეშ მოცემულ ერთიან საგადასახადო ერთეულთან ერთად. სამწუხაროდ, ასეთ გეოგრაფიულ სახელთა დიდი უმრავლესობა ამოკითხული არ არის, რადგანაც რუკებზე და სხვა წყაროებში მათ შესახებ ჩვეულებრივად არაერთი ცნობა არ მოიპოვება. მომავალში ასეთები ადგილზე უნდა იქნეს შესწავლილი; მათი სახელები როგორც მნიშვნელოვანი ენათმეცნიერული მასალა უნდა გაირკვეს. გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც ადრე იხსენიება, მაგრამ შენდევში დამოუკიდებელი ნომერი აქვს, განხილულია თავის ადგილას. ერთი და იმავე სახელის მატარებელი გეოგრაფიული პუნქტები, რომლებსაც „ზემო“ და „ქვემო“, ან „დიდი“ და „პატარა“ და სხვ. მსაზღვრელები აქვთ დართული, განხილულია ერთ ადგილას, პირველი ხსენებისას, ხოლო შემდეგში მითითებულია ეს ადგილი.

შრომის ამ მონაკვეთს ჩვენ ვურთავთ „გურჯისტანის ვილმეთის“ რუკას, რომელიც გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დოც. ალ. ასლანიკაშვილმა შეადგინა. რუკაზე აღნიშნულია ყველა ის გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც იხსენიება „დაეთარში“ და რომლის ადგილმდებარეობის დადგენა ჩვენ შეეძლებოდა რომელიმე რუკის ან სხვა მონაცემის მიხედვით. თუ რომელიმე ნაკლებად ცნობილი პუნქტი რუკაზე აღნიშნულია, აქ ამ პუნქტზე მსჯელობისას უსათუოდ დასახელებულია სათანადო წყარო. რუკაზე გამოყოფილია ურთიერთისაგან ლივანები (სანჯაყები) და რაიონები (ნაჰიეები).

<sup>1</sup> დაეთარი, II 294-326.

<sup>2</sup> იქვე, 403-503.

<sup>3</sup> იქვე, 326-392.

# I. ახალციხის ლიხა

## 1. მზვარის ნაშთი

1. ახალციხის ციხის რაბათი<sup>1</sup> — قرية رباط قلعة اخخه (I 6, 8, 9, 19, 21, 22, 33, 50, 53 და სხვ.; II 7, 9, 11, 24, 37, 47, 54, 55, 57 და სხვ.). „ახალციხე“<sup>2</sup> სიტყვა თურქულად თარგმნილი არ არის, მაგრამ საგრძნობლად გადათურქებულია. თურქული ენის საარტიკულაციო ბაზისის შესაბამისად „ახალციხე“ სიტყვამ უმთავრესად მაინც ორი ერთმანეთისაგან რამდენიმედ განსხვავებული ფორმა მოგვცა اخخه და اخقه — ახხსა და ახესა. ასე გვხვდება ეს სიტყვა თურქულ წყაროებსა და თურქულ ენაში საერთოდ, მაგალითად, ცნობილი თურქი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი Katib Çelebi (Ḥağğī Chalifa—1609-1657) ამ სახელწოდებას ორ<sup>3</sup> ვარიანტში გვაძლევს اخخه اخقه دايكر نام — ახხსა, მეორე სახელი — ახესა<sup>4</sup> (მაგრამ რუკაზე ამავე ავტორს მხოლოდ اخقه აქვს აღნიშნული<sup>5</sup>). Evliyā Çelebi-ს (1611—1679) ახალციხის კანონიერ თურქულ სახელად اخخه შიამნია, მაგრამ მას მოჰყავს აგრეთვე „ადგილობრივ დიალექტებში“ ხმარებული სხვა ფორმებიც: اخخه, آخرقه და آخه<sup>6</sup>. M. J. Saint-Martin-იც თურქულ ფორმად اخخ-ს (მისივე ტრანსკრიფციით—Akheshkeh) თელის<sup>7</sup>. J. v. Hammer-ი თითქმის ყველგან Achiska ფორმას ხმარობს<sup>8</sup>, მაგრამ ზოგჯერ პარალელურად სხვა ფორმასაც იძლევა: Achiska oder Achaldschik<sup>9</sup>. Achiska-ზე Hammer-მა სამართლიანად შენიშნა, რომ ეს არის der türkische [ე. ი. გადათურქებული] Name der auf den Karten als: Akhaltzikh geschrieben erscheinen den georgischen Festung<sup>10</sup>.

<sup>1</sup> „რაბათ“ სიტყვაზე იხ. IV წიგნში.

<sup>2</sup> გარდა ამისა, დღეს ახალციხეს სახელწოდებით დასახლებული პუნქტები ცნობილია: კასპის რ-ნის ახალციხის სასოფლო საბჭოში, ყაზბეგის რ-ნის ახალციხის სასოფლო საბჭოში და დუშეთის რ-ნის ზეობის სასოფლო საბჭოში (საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1949, გვ. 162; В. Довпаев, Р. Шмерлинг. Военно-грузинская дорога, თბ., 1956, გვ. 48).

<sup>3</sup> كتاب جهان نما لكاتب جلیبی — სტამბოლი, 1145 (=1732), გვ. 408.

<sup>4</sup> იქვე, 431-სა და 432 გვერდებს შორის მოთავსებული რუკა.

<sup>5</sup> سياحة سياحی، اولى، جلیبی، ტ. II, სტამბოლი, 1314 (=1896-1897), გვ. 321.

<sup>6</sup> Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie, I, Paris, 1818, გვ. 77.

<sup>7</sup> GOR, ტ. IV, გვ. 723 და სხვაგანაც.

<sup>8</sup> იქვე, ტ. II, გვ. 481, აგრეთვე რუკაზე 304-სა და 305 გვერდებს შუა და სხვაგან.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 866.



აკად. ვ. ბართოლდიც თურქულ ფორმებად Akhiskā || Akhiskha-ს (= اخك || اخك) თელის და სხვ. აკად. ვ. ბართოლდი ამასთანავე ერთად იძლევა „ახალციხე“ სიტყვის ევროპულ და რუსულ ფორმებსაც — Akhalčikh, Akhaltsikh; აღნიშნავს აგრეთვე, რომ იგი ქართული ციხეა და რომ der Name bedeutet im georgischen „neue Festung“<sup>1</sup>.

„ახალციხე“ სიტყვის ქართულობის შესახებ, მიუხედავად ამ არაორაზროვნობისა, აქ ერთი რამე მაინც იქცევა ყურადღებას. Saint-Martin-ი „ახალციხეზე“ რომ სტატიას იწყებს, „ახალციხის“ სახელი მოჰყავს ჯერ სომხურ-ფრანგულ (Ախელსკայ Akheltskha), შემდეგ თურქულ-ფრანგულ (اخك Akheskheh), დაბოლოს, ქართულ-ფრანგულ ტრანსკრიფციაში (ახალ ციხე Akhal-tsikhe), რომელსაც დართული აქვს ასეთი განმარტება: c'est-à-dire, la nouvelle forteresse<sup>2</sup> [ე. ი. „ახალი ციხე“]. ვფიქრობ, შრომის ამ ადგილიდან არ ჩანს, რომ S.-Martin-ი „ახალციხე“ს სომხურ სიტყვად თვლიდეს. ფრანგულ თარგმანს „la nouvelle forteresse“ ავტორი, თითქოს, აიდენტიფიცირებს „ახალციხის“ სახელწოდების უკანასკნელ, ქართულ ვარიანტთან. მაგრამ მაინც მე მგონია, რომ Saint-Martin-ის შრომის ეს ადგილი უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ შემდგომმა ავტორებმა, ზოგჯერ „ახალციხე“ სომხურ სიტყვად მიიჩნიეს.

J. v. Hammer-ს მოჰყავს სამცხე-საათაბაგოს გეოგრაფიული სახელების შესახებ სხვადასხვა ავტორის მონაცემები და, სხვათა შორის, Saint-Martin-ის შრომაზე ლაპარაკისას შემდეგს შენიშნავს: Eben da kommt auch der armenische Name Achiska's oder Akhalzich's, d. i. des neuen Schlosses, als Acheltscha vor<sup>3</sup>. აქაც, თითქოს, ლაპარაკია „ახალციხე“ სიტყვის სომხურ ვარიანტზე (armenische Name)—„ახელცხა“ზე, რომელსაც შემდეგ მოსდევს ამ სახელწოდების თურქულ-ქართული ვარიანტები გერმანული თარგმანით („des neues Schlosses“). მაგრამ სენ-მარტენის შემდეგ ჰამპერ-ის მიერაც პირველად სომხური სახელწოდების დასახელება როგორც, თითქოს, „ახალციხის“ სახელწოდებებს შორის ამოსავალი ვარიანტისა, კვლავ აბუნდოვანებს საკითხს და შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ სენ-მარტენის გაუყენით ჰამპერს თავის შრომის 867-ე გვერდზე Acheltscha („ახელცხა“) სომხურ სიტყვად ჰქონდეს მიღებული (იქვე, 866-ე გვერდზე ჰამპერი, როგორც ვნახეთ, ახალციხეს „ქართულ ციხედ“ ასხენებს. იხ. ზემოთ).

მე ვფიქრობ, ორი ზემოდასახელებული შრომაა წყარო იმ მცდარი განმარტებისა, რომელსაც „ახალციხე“ სიტყვას აძლევს ცნობილი თურქი ლექსიკოგრაფი ზამს-ედ-დინ სამი ფრანგურ, რომლის მიხედვით, თურმე, „ახალციხე“

<sup>1</sup> El, I, გვ. 242 შტრ. Fr. Babinger-ის: „Hasan b. Jūsuf Stammt aus Achalčich (türk. Achisqa, Achis'cha)“—GOW, გვ. 303.

<sup>2</sup> Saint-Martin-ი დასახელებული ნაშრომი, იქვე.

<sup>3</sup> GOR, II, გვ. 867 (თარგმანი: აიქვე [ე. ი., Saint-Martin-ის შრომაში—ს. ჯ.] გვხვდება აგრეთვე სომხური სახელწოდება Achiska-სი ან Akhalzich-ისა, ე. ი. „ახალციხე“სი [des neuen Schlosses]—„ახელცხა“).

«ارمنی لسانده (اخالجیح) یکی قامه دیمکدر» — (სომხურ ენაზე „მენი კალყე“ს — „ახალ ციხეს“) ნიშნავს)¹.

უკვე ჩამოთვლილ ვარიანტთა გარდა, სახელწოდება „ახალციხის აღსანიშნავად სხვა ფორმებიც შეიძლება შეგვხვდეს. ევლიან ჩელებიმ, როგორც ზემოთ დავინახეთ, გარდა ძირითადი اخی ფორმისა, ჩამოთვალა კიდევ آخ، آخرفه და آخرفه Hammer-ს ერთგან ნახმარი აქვს Achasska². გვხვდება აგრეთვე АХАЦЛИК ფორმითაც³ და სხვ.

ქართულ „ახალციხე“ში თურქულისათვის უცხოა ც აფრიკატი, რომელიც ყველა ვარიანტში შეცვლილია ს თანხმოვნით. „ახსხა || ახსკა“ში ლ თანხმოვნის დაკარგვა შეიძლება გამოწვეულია იმავე ფაქტორით, რომელიც უკვე ცნობილია თურქული ენის ისტორიაში და სწორედ ლ თანხმოვნის ამოვარდნას შეეხება. მაგალითად, oturmak ‘ჯდომა’ ზმნამ თანამედროვე თურქულში oturmak მოგვცა, geltirmek ‘მოტანა’ ზმნამ კი — getirmek ზმნა და სხვ.⁴ („ახალციხე“ → اخی-ში ი ხმოვნის ამოვარდნასაც აქვს, თითქოს, საფუძველი; მაგალითად, hepisi ‘ყველა’ გვაძლევს hepisi ფორმას⁵. ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის, თუ რამ გამოიწვია „ახალციხე“ სიტყვის მეორე მარცვლის ა ლია ხმოვნის დაიწროება „ახსხა“ში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს „დავთარში“ ყველგან გვაქვს اخی — „ახსხა“ ფორმა, რომელიც XVI საუკუნის თურქულისათვის და ისიც აღმოჩნდა ანატოლიაში სავსებით ბუნებრივია. „ახალციხე“ სიტყვის ორთავე „ხ“ თანხმოვნის გადმოცემა თურქული ადგიქვატური خ თანხმოვნით ამ დროს და ამ ადგილას სავსებით შესაძლებელია⁶. ოღონდ, თანამედროვე სალიტე-

¹ سامی فراشری — قاموس الاعلام — სტაპოლი, 1306 (= 1889), გვ. 45-46. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე შამს-ედ-დინ სამს-ს თავის ამ ე. წ. „ისტორიულ-გეოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ ქალაქ ახალციხეზე მოთავსებული აქვს ორი სტატია: ერთი — اخی ახისხა-ზე („ახალციხის“ თურქული ფორმა) და მეორე — اخیجیح ან اخیجیک — Akhaltsikh ან Akhalsiké-ზე („ახალციხის“ ფრანგული ფორმის გადათურქებული სახეობა). ოღონდ ისე, რომ „ახისხა“ და „ახალჩიხ“ ავტორს ორ სხვადასხვა ქალაქად მიანიჭა. მისი ცნობით „ახისხაში“ 30 000 მცხოვრებია, ხოლო „ახალჩიხში“ — 15899; „ახისხას“ რუსების მიერ დაბრუნების თარიღად ნაჩვენებია 1244 წ. ჰიჯრით (= 1829), ხოლო „ახალჩიხის“ დაბრუნების თარიღად — ჩვენი წელთაღრიცხვით 1829 წ. ორთავე სიტყვის შესახებ ცნობები ავტორს ამოღებული აქვს სხვადასხვა წყაროდან (აღბათ თურქულიდან და ფრანგულიდან), მაგრამ ცნობათა უმეტესობა მაინც ერთგვარი და საერთოა „ორთავე“ ქალაქისათვის. მიუხედავად ამისა ავტორი მაინც ვერ ახერხებს „ახისხა“ - „ახალჩიხ“ სიტყვათა იდენტურობის და „ახისხა“ს და „ახალჩიხ“ს ორ სხვადასხვა ქალაქად მიჩნევს (იქვე).

² ევლიან ჩელები, II, გვ. 321.

³ GOR, II, გვ. 463.

⁴ ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, სისტორიო კრებულე, I, თბილისი, 1928, გვ. 68.

⁵ J. Dony, Grammaire de la langue turque (dialecte osmanli), პარიზი, 1920, გვ. 97.

⁶ იქვე, გვ. 95.

⁷ ასევე დავთარში გადმოცემული „ქაჯისციხე“ სიტყვა كاججیح — ქაჯისხე (I 278 II 272).

რატურო თურქულში უკანაენისმიერი ხ სპირანტი არტიკულაციურად დასუსტების შედეგად უდრის კ-ს<sup>1</sup>. ამიტომაც, რომ დღევანდელ თურქულში  $\text{خ}$ -მ  $\text{Ahisha}$  მოგვცა<sup>2</sup>.

რაც შეეხება  $\text{خ}$ -ს მეორე ვარიანტ  $\text{خه}$  ფორმას, აქ ჩვენ მაინც რაღაც ფონეტიკური კანონზომიერება უნდა გვქონდეს. საქმე ისაა, რომ ნასესხებ სიტყვაში უკანასკნელი მარცვლის სპირანტი  $\text{خ}$  თურქულში ხშულს გვაძლევს ხოლმე. მაგალითად, ცნობილმა ქართულმა გეოგრაფიულმა სახელმა 'ბორჩხა'მ თურქულში  $\text{Borçka}$  მოგვცა<sup>3</sup>; მდ. კოროხის სახელი  $\text{Kâtib Çelebi}$ -ს  $\text{قاجار}$ -ად (ე. ი.  $\text{خ}$ -ს ნაცვლად  $\text{ق}$ ) აქვს ფიქსირებული<sup>4</sup> და სხვ. რამდენიმედ ეს კანონზომიერება ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში შენიშნა ლ. ზაგურსკიმ. იგი წერდა, რომ თურქებმა ახალციხეს  $\text{АХИСКА}$  შეარქვესო. როგორადაც არ უნდა აიხსნას, წერს ლ. ზაგურსკი,  $\text{АХИСКА}$  თურქული დამახინჯებაა „ახალციხე“ სიტყვისა ისევე, როგორც ქართული სოფლის სახელი „ფერისციხე“ გადათურქებულ მოსახლეობაში  $\text{Периска}$ -დ წარიმოიქმისო<sup>5</sup>.

ჩვენ დავინახეთ, რომ ახალციხის გადათურქებული სახელწოდებიდან უფრო ძველი დამთავარი, ჩანს,  $\text{خ}$ -აა („დავთარი“, ქვთიბ ჩელები, ეელიძე ჩელები და სხვ.). ახალციხის თურქების მიერ დაპყრობის ხანებში (1578 წ.):  $\text{خ}$  ასოთი გამოხატული თანხმოვანი სრულფასოვანი „ხ“ უნდა ყოფილიყო თუ გნებავთ იმიტომაც, რომ ახალციხესა და საერთოდ სამცხე-საათაბაგოში ვრცელდებოდა აღმოსავლეთ ანატოლიის მეტყველება, რომელშიც „ხ“ თანხმოვანი დღესაც ცოცხალია.  $\text{خ}$  — „ახსხა“ საგან  $\text{خه}$  და  $\text{خه}$  ფორმათა მიღება, ე. ი. ერთ შემთხვევაში ბოლო მარცვლისეულისა, ხოლო მეორე შემთხვევაში ორთავე სპირანტის გახშულება ( $\text{خ} \rightarrow \text{ق}$ ), ვფიქრობ, შეპირობებულა სალიტერატურო თურქული ენის ფონეტიკური ნორმების ზეგავლენით. საქმე ისაა, რომ თურქულ დიალექტებში სიტყვის შუასა და განსაკუთრებით, ბოლოში უკანაენისმიერი ხშული  $\text{k}$  ( $\text{ق}$ ) უსათუოდ  $\text{خ}$ -თი გამოხატულ თანხმოვანს გვაძლევს<sup>6</sup>. ამდენად  $\text{خه}$  ფორმა ყოველთვის ასოციაციას იწვევ-

<sup>1</sup> J. Deny, დასახლებული ნაშრომი, გვ. 82.

<sup>2</sup> Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945, გვ. 20.

<sup>3</sup> Д. А. Магазаник, დასახელ. ლექსიკონი, გვ. 83. აგრეთვე სსრკ სახომსტაქოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამმართველოს მიერ 1945 წელს გამოცემულ საქსრ რუსულ რუკაზე Борчка წერია (ასევე თურქულ რუკებზეც).

<sup>4</sup>  $\text{خه}$  — გვ. 431.

<sup>5</sup> Л. Загурский, Поездка в Акалшикский уезд. Записки КОИРГО, т. VIII, т. 2, 1873, გვ. 13 (შენიშნა); დავთარი, I 10, 137; II 11, 138, ფერისციხე  $\rightarrow$   $\text{پرستی}$  — შდრ. ერთი ახალციხელი ავტორის ნიშნს აღმნიშნელი სიტყვა:  $\text{عبدالله افندي اخقوي مؤلفين فهرستی}$  —  $\text{احمد رمزی}$  —  $\text{مفتاح الكتب}$  —  $\text{اسامی مؤلفین فهرستی}$  — სტამბოლი, 1928, გვ. 147 (=  $\text{خه}$ -დღესად ეფენდი ახისკაენ).

<sup>6</sup> Н. Дмитриев, Материалы по османской диалектологии, Фонетика «карамаджког» языка, Записки Коллегии Востоковедов, IV, Ленинград, 1930, гв. 115.

და დიალექტურ ფორმებთან და ქმნიდა ტენდენციას თითქოსდა დიალექტური გ მისი ლიტერატურული ექვივალენტით — ც-ით შეცვლილიყო. ამ ნიადაგზე უნდა იყოს ახალციხე → اخخه → اخقه და ااقه, ბორჩხა → بورچخه → Борчка, ქორხი → جوروق → جوراق || جوراق და სხვ.

საინტერესოა, რომ სამცხე-საათაბაგოს ზოგი გეოგრაფიული ნომენკლატურა ქართველებშიც იკიდებდა ფეხს თავისი გადათურქებული სახით. აკად. ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად, ეხება ომან მდივანბეგი ხერხეულიძის თხზულებაში „მეფობა ირაკლი მეორისა“ უცხო ენობრივ ელემენტებს და შენიშნავს: „გასაოცარია აგრეთვე, რომ ომან მდივანბეგი „ახალციხეს“ მაგიერ „ალსიხას“ წერს (იქვე, ჩუბ. 478, 491 და 493; ქიქ. 246, 264 და 266), ამიტომ შეიძლება ადამიანს ფეიქრა კიდევ, იქნებ ჩვენი მემკვიდრე ამ შემთხვევებში სპარსული, ან ოსმალური წყაროებით სარგებლობდაო, მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზია: თუმცა გასაკვირველი-კია, მაგრამ ეტყობა ომან ხერხეულიძე ახალციხეს ისევე უძახდა, როგორც თურქები უძახდნენ“<sup>1</sup>. ჩანს, ქართული „ახალციხე“ სახელწოდების გადათურქებული „ახსხხა“ ფორმა ისევ გადმოქართულებით და „ალსიხას“ ფორმით უხმარიათ.

„დაეთარღა“ ახალციხე ივარაუდება როგორც: 1. „გურჯისტანის ვილჯეთის“ მმართველის—ვალნს რეზიდენცია; 2. ვილჯეთის შემადგენელი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის—ლივანს ცენტრი<sup>2</sup>, 3. ლივანს შემადგენლობაში შემავალი უურო მცირე ადმინისტრაციული ერთეულის — რაიონის (= ნაჰიე) ცენტრი<sup>3</sup> და 4. გარკვეული რაოდენობის კომლის შემცველი დასახლებული პუნქტი—كجج—კარაე (=სოფელი)<sup>4</sup>, რომელიც, როგორც საგადასახადო ერთეული, დაბეგრლია დაწესებული გამოსაღებით.

„დაეთარღა“ არ არის ნათქვამი, რომ ახალციხე „გურჯისტანის ვილჯეთის“ ადმინისტრაციული ცენტრია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ახალციხე ვალნს რეზიდენციაა იმთავითვე, როგორც ეს აღნიშნული აქვს ვახუშტისაც: „აწ მჯდომარებს ფაშა მუნ, რომელსა უწოდებენ საქართველოსანი კვალად ათაბაგადვე, ხოლო ოსმალნი ახალციხის ფაშად, და უპყრავს ამას სრულიადი სამცხე-საათაბაგო“<sup>5</sup>. ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ალბისა (1578 წ.)<sup>6</sup> და „გურჯისტანის ვილჯეთის ჩამოყალიბების დროიდანვე ისევე, როგორც მანამდე „მათი (ე. ი. სამცხის ათაბაგების)

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიხანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თბილისი, 1945, გვ. 378.

<sup>2</sup> لواء أخخه—დაეთარი, I 19.

<sup>3</sup> لواء كوني أخخه—I, იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 125; ახალციხეზე იხ. აგრეთვე ე. შილდელი; ახალციხე და საფარის მონასტერი, „იგორია“, 1894, №№ 116, 117.

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1946, გვ. 320.

საჯდომი ადგილი ქალაქი ახალციხე იყო<sup>1</sup>. ასევე პირველობდა ახალციხე შემდეგშიც<sup>2</sup>. გარდა ამისა, „ახალციხე“ სიტყვას „დაეთარში“ ზოგჯერ წინ წამძღვარება წყ. სიტყვა და წერია *سفس اخخا*, რაც ნიშნავს „თვით, საკუთრივ ახალციხეში“, „თავად ახალციხეში“<sup>3</sup>; ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ამ შემთხვევაში ვეკუთხის შემწირველი მირ-მირანი (ე. ი. ბეგლარბეგი) ხიდირ ფაშა, რომელიც, ალბათ, ახალციხეშივე მოღვაწეობს, ახალციხეში მდებარე მამულებს სწირავს „თვით ახალციხისავე“ წმინდა ჯამიყ-ს. ასევეა აგრეთვე მეორე შემთხვევაშიც (I 53; II 57), როდესაც იგივე მირ-მირანი „თვით ახალციხეში მდებარე წმინდა ჯამიყ-ის საპირობებებზე დასახარჯავად“ სწირავს მამულს. მე მგონია, „თვით“ (سفس) აქ იმასაც ნიშნავს, რომ მირ-მირანის რეზიდენციაშივე მდებარე ჯამიყ-ზეა ლაპარაკი.

საერთოდ კი ჩვენი „დაეთარის“ მიხედვით „გურჯისტანის ვილაფეთი“ თვით „დაეთარშიც“ და მთლიანად თურქულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურასა და, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ, თურქულ ოფიციალურ საბუთებში ცნობილია „ჩილდირის (ჩრდილის) ვილაფეთად“<sup>4</sup>. უთუოდ სპეციფიკური ვითარებაა ეს, რომ ოსმალეთის იმპერიის ამ ერთ-ერთ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულს — ვილაფეთს (ან ემალეთს) ეწოდება ჩილდირის (ჩრდილის) ვილაფეთი და არ არის ცნობილი თავისი ადმინისტრაციული ცენტრის „ახალციხის“ („ახჯსხას“) სახელით. ამ ვითარებას ყურადღებას აქცევდა ჯერ კიდევ ევლიაზ ჩელები (1611-1679), რომელიც ჩამოთვლის „ახალციხე“ სიტყვის სხვადასხვა გადათურქებულ ვარიანტებს და იქვე შენიშნავს *قطر خانة سادساہدہ چلدیر* (მაშასადამე, ახალციხეს ასეთი და ასეთი სახელები ჰქვია) ‘ოლონდ სახელმწიფო დაეთარხანებში (და ამდენად ყველა ოფიციალურ საბუთში) იწერება ხოლმე «ჩილდირის ემალეთის მფლობელი ესა და ეს ფაშაო»<sup>5</sup>. მაშასადამე, ევლიაზ ჩელები აქ გახაზავს იმ ფაქტს, რომ ვილაფეთის მთავარი ქალაქის (ახალციხის) სახელები თურქულად ესა და ეს არისო, მაგრამ ოფიციალურ მიმოწერებას და საბუთებში ეს ვილაფეთი „ახალციხის (ახჯსხას) ვილაფეთად“ კი არა, „ჩილდირის (ჩრდი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 295; აგრეთვე: ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, IV, თბილისი, 1948, გვ. 108.

<sup>2</sup> „Ахалцих, составляющий средоточие сил и управления Пашалыка“ (История военных действий, I, 65).

<sup>3</sup> დაეთარი, I 21, 53; II 24-25, 57.

<sup>4</sup> მაგალითად, დაეთარში რამდენიმე ადგილას ნათქვამია: „ჩილდირის მირ-მირანის ხიდირ ფაშისაგან...“ (I 21, 43, 53; II 24, 47, 57). ეს „ჩილდირის მირ-მირანი“, იგივე „ახალციხის ბეგლარ-ბეგია“, ე. ი. დაეთარში „გურჯისტანის ვილაფეთად“ წოდებული ადმინისტრაციული ერთეულის გამგე: „დაეთარში“, გარდა ამისა, პირდაპირ იხსენიება „ჩილდირის ვილაფეთის დაეთარის ქებულდ“ (I 22; II 25). „გურჯისტანის ვილაფეთზე“ აგრეთვე ლაპარაკი Hammer-თან: Die St[ath]alterschaft) Tschildir... (GOR, IV, გვ. 711). ჩვენ IV წიგნში ამ საკითხს უფრო ფართოდ განვიხილავთ „გურჯისტანის ვილაფეთის“ როგორც ადმინისტრაციულ-სამმართველო ერთეულის დახასიათებასთან დაკავშირებით.

<sup>5</sup> اولیا چلی سياحتنامهسی — II, გვ. 321.

ლის) ვილანეთად“ იწერებაო. ქაბთბ ჩელებიც (ჰაჯჯინ ხალნთა — 1609 - 1657) ვილანეთს ჩილდირის (ჩრდილის) ვილანეთს უწოდებს<sup>1</sup>, მაგრამ ახალციხის აღწერისას (اوصاف اخضا) პირდაპირ ამბობს, რომ (ჩილდირის) „ვილანეთის ტახტიაო“, ე. ი. ვილანეთის მთავარი ქალაქიაო<sup>2</sup>. J. v. Hammer-საც საქიროდ მიაჩნია ეს გარემოება საგანგებოდ აღნიშნოს და თქვას, რომ Die Statthalterschaft Tschildir wird auch die von Achiska genannt (= 'ჩილდირის ვილანეთი იწოდება აგრეთვე ახალციხის (ახისხას) ვილანეთად'<sup>3</sup>, ხოლო ამავე ავტორს რუკაზე მთელი ვილანეთის სახელად აღნიშნული აქვს Achiska od[er] Tschildir<sup>4</sup> (შდრ. აგრეთვე: Childir or Akhiskah...)<sup>5</sup>. Hammer-ის ამ განცხადებას მყარი საფუძველი არა აქვს: სახელწოდება „ახალციხის ვილანეთი“ არ გვხვდება. უთუოდ ვილანეთისა და ვილანეთის ცენტრის სახელწოდებათა სხვადასხვაობით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ, მაგალითად, 1803 წლის ქართულ საბუთებშიც აღნიშნულია ხოლმე „სრულიად ჩილდირისა და ახალციხის სარდარი ყიფიანი სელიმ-ალა...“<sup>6</sup>

„დაეთრის“ დასაწყისში, ასე ვთქვათ, ოფიციალურად ახალციხე كَرِه — karye-დ<sup>7</sup> არის ფიქსირებული. كَرِه კი „დაეთარში“ და, თუ გნებავთ, საერთოდ თურქულში 'სოფელს' ნიშნავს<sup>8</sup>. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ كَرِه სიტყვა აქ ტექნიკური გამოთქმაა, რომელიც აღნიშნავს ამ კუთხის ფისკალური მიზნით აღწერისას საგადასახადო ერთეულად (Steuereinheit) მიჩნეულ გეოგრაფიულ პუნქტს<sup>9</sup>. ამის შესაბამისად „დაეთარში“ كَرِه მე ყველგან „სოფელ“ სიტყვით მაქვს თარგმნილი და „სოფელი“ აქ ამ სპეციალური მნიშვნელობითაც უნდა გავიგოთ<sup>10</sup>. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალციხე იმ დროს (XVI საუკ.) ჩვეულებრივი სოფელი იყო. „დაეთარშივე“ შიგადაშიგ, სადაც ახალციხე მოხსენებულია არა როგორც საგადასახადო ობიექტი, იგი დასახელებულია قصبه — kasaba-დ, რაც უკვე 'ციხე-ქალაქს', 'გამაგრებულ ადგილიან ქალაქს', 'რომელიმე ოლქის მთავარ ქალაქს' ნიშნავს<sup>11</sup>, მაგალითად, 21, 53 და 54 გვერდებზე ახალციხე დასახელებულია.

<sup>1</sup> جهاننا — გვ. 408, 411; აგრეთვე რუკა 431 და 432 გვერდებს შუა.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 408.

<sup>3</sup> GOR, II, გვ. 866.

<sup>4</sup> იქვე, რუკა 304 და 305 გვერდებს შუა.

<sup>5</sup> Ch. Rieu, Catalogue of the turkish manuscripts in the British Museum, გვ. 112 (Harl. 3370).

<sup>6</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1910, გვ. 94-96.

<sup>7</sup> I 6, 19; II 7, 22.

<sup>8</sup> ش. سامی 'قاموس ترکی' — გვ. 1068.

<sup>9</sup> El, II, 838.

<sup>10</sup> დაწვრილებით ამის შესახებ IV წიგნში كَرِه სიტყვასთან.

<sup>11</sup> El, II, 838.

أخـسـخـ<sup>1</sup>, რაც უფრო მართებული იქნებოდა ჩვენ გვეთარგმნა „ქალაქად“ და არა „დაბად“<sup>2</sup>.

გარდა ამისა, „დავთარში“ „ახალციხე“ სიტყვას ტექსტის დასაწყისში წამძღვარებული აქვს სიტყვები  $\text{عـقـط سـط}$ —რაბანტ-ი-კალენ;  $\text{ط س ر}$  ნიშნავს ციხე-სიმაგრის მქონე იმ ადგილს, სადაც სახელმწიფო გამოსაღებით დაბეგრული სამოქალაქო მოსახლეობაა თავმოყრილი ( $\text{عـقـط}$ -კალენ = 'ციხე').

ახალციხესთან მინაწერებში იხსენიება:

ვენახი  $\text{وا وادك ا}$  ან, როგორც ახლა უფრო შესაძლებლად შეჩვენება,  $\text{وا وادك ا}$  უნდა იყოს სახელი იმ ადგილისა, რომელზედაც ვენახია გაშენებული. მფლობელის სახელი გარკვეულია.

შემდეგ იხსენიება ახალციხის რაბათის მცხოვრებთა მფლობელობაში მყოფი საძოვარი ადგილი. ნაჩვენებია ამ საძოვარი ადგილის მიჯნები შემდეგნაირად: იწყება საძოვარი მტკვრის ხიდიდან და თავდება გაოხრებულ სოფელ  $\text{سوحو}$ -ის მიჯნასთან. გარდა ამისა ნაჩვენებია აგრეთვე საძოვრის შუა წელში მდებარე მოსაზღვრე პუნქტები:  $\text{سورنخون}$ <sup>4</sup> („დავთარის“ I წიგნში შეცდომით დაბეჭდილია  $\text{سورنخون}$ , ხოლო II-ში  $\text{سورنخون}$ <sup>5</sup>. ამჟამად მე აქ წარმოდგენილი წაკითხულობა მიმაჩნია უფრო სწორად); შემდეგ ნაჩვენებია (დიაკრიტული ნიშნებით)  $\text{زوغورتو}$  მგვრამ ცხადი არაა სოფელია ეს, თუ სხვა რამე. რადგანაც ახალციხის მომდევნო სოფელს წყრუთი ჰქვია, შეიძლება აქ ჩვენ გვეპოვდეს ამ სახელიდან წარმომავალი სიტყვა „წყრუთულა“, რომელიც ერთვის ფოცხოვის ან ახალციხის წყალს მარცხენა მხრიდან, ერთი ვერსის სიშორეზედ ახალციხიდან...<sup>6</sup> ფონეტიკურად ეს სახელებით გამართლებულია, რადგანაც „წყურთულა“ სიტყვის მკვეთრები ჩვეულებრივად სათანადო რიგის მფლერებითაა გადმოცემული ( $\text{წ, ყ} \rightarrow \text{გ}$ ), ორ თავიკიდურ თანხმოვნებში ჩასმულია „უ“ ხმოვანი ( $\text{ყოგ}$ )<sup>7</sup>. უცნობია აგრეთვე ამავე კონტექსტში მოცემული პუნქტი  $\text{توما}$  (?).

იქვე მოხსენებულ იალალ  $\text{ابو بول}$ -ს ამოცნობა ვერ მოხერხდა.

მაშასადამე, თურქული ისტორიოგრაფიული ლიტერატურისა და თურქული საბუთების მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ქართულ გეოგრაფიულ სახელს „ახალციხე“ თურქულში უმთავრესად ორი გადათურქულებული ვარიანტი მოეპოვება:  $\text{اخسح}$ —ახსხა (უპირატესად) და  $\text{عقح}$ —ახსკა. თანამედროვე სალიტერატურო თურქულში უფრო დაპყვიდრებულად ჩანს სახელის  $\text{Ahıska}$  ფორმა.

<sup>1</sup> დავთარი, I 21, 43, 54.

<sup>2</sup> იქვე, II, გვ. 24, 47 და 57.

<sup>3</sup> დედანი, გვ. 28, I 22; II 25.

<sup>4</sup> დედანი, გვ. 28.

<sup>5</sup> დავთარი, I 22; II 25.

<sup>6</sup> ე. შილდლი, ახალციხე და საფარის მონასტერი, „ივერია“, 1894, № 114.

<sup>7</sup> დავთარი, I 22; II 25; დედანი, გვ. 28.

Saint-Martin-ის ზემოდასახლებული შრომა უნდა იყოს წყარო იმ შეცდომისა, რომელიც დაშვებულია შემდგომი ავტორების მიერ (Sams-ed-Din Sami Frašei, Hammer) „ახალციხე“ს შემადგენელ სიტყვათა სომხური წარმოშობილობის შესახებ. 𐌆𐌆𐌆-|𐌆𐌆𐌆| ქართული „ახალციხე“ სიტყვის ფონეტიკური კანონზომიერებით გადათურქულებული ფორმებია.

ახალციხე რეზიდენციაა ვაზლ-მმართველის „გურჯისტანის ვილაფეთისა“, რომელიც უმთავრესად „ჩრდილის (ჩილდირის) ვილაფეთად“ იყო ცნობილი. ვილაფეთის მთავარი ქალაქის — ახალციხის (ახსხას) სახელი, მიუხედავად Hammer-ის მოსაზრებისა, საერთოდ ვილაფეთს არ რქმევია.

„დავთარში“, როგორც ოფიციალურ დოკუმენტში, ახალციხისათვის ნახმარი „სოფელ“ (𐌆𐌆𐌆 = karye) სიტყვა საგადასახადო ერთეულის გამომხატველი ტექნიკური ტერმინია. სხვა შემთხვევებში ახალციხე „კასაბა“ა — „ციხე-ქალაქი“, ან არადა „ჩაბათი“ — „გამაგრებული გეოგრაფიული პუნქტი სამოქალაქო მოსახლეობით“.

2. სოფ. წყრუთი — 𐌆𐌆𐌆 (დედანი — გვ. 28, I 6, 22; II 7, 25). დღევანდელი ახალციხის რაიონში წყრუთის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>1</sup>. ბროსეს მიერ გამოცემულ ვახუშტის რუკაზე ფრანგული ტრანსკრიფციით სავსებით ზუსტადაა გადმოცემული: Tsarouti. უნდა აღინიშნოს, რომ „დავთარის“ მიხედვით სოფ. წყრუთი ერთია, საკმაოდ დიდი სოფელი 32 კომლით. ვახუშტის ხსენებულ რუკაზე კი ლიკანის წყალზე (?) წყრუთი ნაჩვენებია ორჯერ<sup>2</sup>. წყრუთ სიტყვის გადმოცემა და წარმოთქმა თურქისათვის ძნელია. მასში ორი სპეციფიკური ქართული ბგერაა (წ, ყ) და, გარდა ამისა, თურქულიათვის უჩვეულო თავმოყრა სამი თანხმოვნისა (წ, ყ, რ). ამისა და მიხედვით წყრუთ სიტყვა გადმოცემულია ზუსტად იმ კანონზომიერი საშუალებებით, რომელიც საერთოდ დგინდება აქ. სიტყვის თავში თანხმოვანთა თავმოყრა თავიდან აცილებულია (ვიწრო) ხმოვანთა ჩართვა-გადასმით 𐌆𐌆𐌆-ზულურთ; წ და ყ მკვეთრები გადმოცემულია შესაბამისი მჟღერებით ჯ და გ-ით. წყრუთ სახელწოდება საკმაოდ შერყენილია სხვადასხვა საბუთებში: I სიაში ჩვენ გვაქვს Цуррут<sup>3</sup>, ხოლო II სიაში — Цуррут<sup>4</sup>.

გვხვდება აგრეთვე Цхурт ფორმაც<sup>5</sup>. არაქართული მოსახლეობის გავლენით ადგილობრივი მკვიდრებიც შერყენილად წარმოსთქვამენ ამ სახელს: „წულრუთ“, „წყურთი“ და სხვ. ქართულ რუკებზე „წყურთა“ წერია; რუსულებზე მაგალითად — სსრკ სახკომსაბჭოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1949, გვ. 22.

<sup>2</sup> Description géographique de la Géorgie par le Tsarévitch Wakhoucht, გამოცემული M. Brosset-ს მიერ, პეტერბურგი, 1842, რუკა № 1; წყრუთია აგრეთვე ვინმე მესხის სტატიაში, „დროება“, 1879 წ., № 200.

<sup>3</sup> სკია, ფ. 47, ს. 20, გვ. 5r.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 77, ს. 23, გვ. 9r.

<sup>5</sup> История военных действий, I, 198, 302.



მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემულ რუკაზე სწორადაა ჩაწერილი (Цхпути). მიმოქცევაში ყოფილა აგრეთვე ვადარუსულებული, მაგრამ ქართულთან დაახლოებული ფორმა: Цхпути<sup>1</sup>.

3. სოფ. შორაბადი ადგილი წინუბანიტურთ, მეორე სახელი ზემოკლდე — شوراباد مع ملح زینسان نام دیگر زموکلده (დედანი 12, 29; I 6, 23; II 7, 26). ამემად ასა شورა მოხაზულობის „შორაბად“ად წაქითხვა არ მაქმაყოფილებს (თუმცა თეორიულად ასეთი წაქითხვაც დასაშვებია). პირველ შ თანხმოვანს დიაკრიტული ნიშანი დასმული აქვს, მაგრამ მე-5 თანხმოვანს არა აქვს და ამდენად ამ სიტყვის ამოქითხვა „შორათად“ის სახითაც შეიძლება (სხვა ვარიანტები: შოქურაპატ-ი, შოქურანად || ტ-ი და სხვ.). ასეთ წაქითხვას რამდენიმედ მხარს უჭერს I და II სიებში მოცემული Шорота და Шарата ვარიანტები<sup>2</sup>. მსგავსი პუნქტი ამ რაიონში ჯერჯერობით სხვაგან არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში „შორაბადი“ აქ არ უნდა გვექონდეს ისევე, როგორც არ შეიძლება ეს იყოს შორაბანი, რომელიც ვახუშტით თითქოს „ასპინძის-ჭევეს სათავეზედ“აა<sup>3</sup>. ექ. თაყაიშვილიმა, ფიქრობ, სამართლიანად შეიტანა ექვი ვახუშტის მიერ მოცემულ ამ სახელწოდების სისწორეში და გააიგივა ვახუშტის „შორაბანი“ „შორეთთან“<sup>4</sup>. ასა شورა-ის ერთ-ერთი სავარაუდებელი წაქითხვა „შორათად“ი, აგრეთვე სიებისეული ვარიანტები Шорота და Шарата სიტყვები მასალობრივად შორს არ არის „შორეთა“საგან, მაგრამ ტერიტორიულად ეს პუნქტები სხვადასხვა ადგილასაა (შორეთის მონასტერი ექ. თაყაიშვილით ახალქალაქის მახრის საზღვარზეა)<sup>5</sup>. მათი გაიგივება არ შეიძლება. ამდენად ასა شورა-ის სახელით აღნიშნული პუნქტი ახალციხის სანჯაყის მზვარის რაიონისა ჯერჯერობით გაურკვეველია როგორც მდებარეობის, ისე სახელწოდების სიზუსტის თვალსაზრისით.

ასა شورა-თან (?) დასახლებულია უბანი (الحا) წინუბანი, რომელსაც მეორე სახელად ზემოკლდე ჰქონია. شورა და შორა, დაწერილობანი, ვფიქრობ, „წინუბანი“ და „ზემო კლდე“ უნდა იყოს; სხვანაირად მათი ამოქითხვა ძნელია. „წინუბანი“ ასა شورა სოფლის ერთ-ერთი ნაწილია, რომელსაც, ცხადია, არაერთარი კავშირი არა აქვს აწყურის რაიონში (№ 27) დასახლებულ დამოუკიდებელ სოფელთან „წინუბანი“ ისევე, როგორც ამ უბნის მეორე სახელს ზემო კლდეს არა აქვს რა საერთო ამავე (მზვარის) რაიონში მდებარე სოფ. კლდესთან.

4. სოფ. ტატანისი — تاتانسان || تاتانسان (I 6, 23; II 7, 27; დედანი 12, 29). „ტატანის“ სიტყვის დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი არა აქვს, მაგ-

<sup>1</sup> სტია, ფ. 77, ს. 10, გვ. 35; ასევეა კ. ზისერმანთანაც (გვ. 13).

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 59 და იქვე, ფ. 77, ს. 23, გვ. 99.

<sup>3</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127; შტრ. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 151.

<sup>4</sup> Материалы по арх. Кавказа, XII, გვ. 10; ამაზე უფრო დაწერილებით იხ. ქვემოთ „სათესველი შორათა“ (ასპინძის ნაპიე, სათ. № 41).

<sup>5</sup> МАК, XII, გვ. 10. ამ პუნქტის შესახებ იხ. აქვე, ასპინძის ნაპიე, სათესველი № 41.

რამ მისი ამოკითხულობა სავესებით სწორია ისევე, როგორც ცხადია მისი ადგილმდებარეობაც (ახალციხის ჩრდილო-დასავლეთით. ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია). ქართული მკვებთრი ტ თანხმონენები კანონზომიერად თურქული ა ასოთია გადმოცემული. სოფ. ტატანისი ამჟამად ახალციხის რაიონში კლდის სასოფლო საბჭოში შედის<sup>1</sup>. „ღავთრის“ შედგენის დროს ტატანისი საკმაოდ დიდი სოფელია 30 კომლიანი მოსახლეობით, მაგრამ 1870 წ. მასში აღრიცხულია 13 კომლი. ტატანისი მდებარეობს ოკიზისწყალთან, ახალციხიდან 7 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>.

5. სოფ. ბოგა — *بوغا* (I 6, 24; II 7, 27). აკად. ივ. ჯავახიშვილი „ს. ზარზმელის ცხოვრებაში“ დასახელებულ სოფ. ბობხაზე ამბობს, რომ *ბობხა* (ცა სრან ზარზმელსა 19) ეთანასწორება, ალბათ, თანამედროვე რუკების *ბოლასა*<sup>3</sup>. თანამედროვე რუსულ რუკებზე მზვარის რაიონის ამ მონაკვეთზე *Богод*-დ აღნიშნული პუნქტი ქართულად *ბოლასარ* არის, *ბოგაა* და ამდენად *ბობხას* გაიგივებას *ბოგასთან* დიდი ფონეტიკური დაბრკოლება ხვდება<sup>4</sup>. ბოგა სოფელმა ჩვენ დრომდე მოაღწია, იგი დღევანდელი კლდის სასოფლო საბჭოში შედის (ახალციხის რაიონი)<sup>5</sup>. ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე ქართული ცნობა, სადაც ქართულად სწორედ *ბოგაა* (და არა ბოლა). ფიქსირებული: „თქდი ელისბარ ციციანოვი სხვებთან ერთად ფლობს სოფ. ზიკილიას და ელისბარ ციციანოვი საკუთრად სოფ. ბოგაში მიწებსა და ბაღებს“<sup>6</sup>; ერთ ხალხურ ლექსში კიდევ ნათქვამია:

პური კლდეს, ღვინო ბოგასა,  
თეგზი მე მთხოვე ტობასა,  
თუ გინდა ვაშლი წითელი,  
გალმა-გამოღმა წყორძასა<sup>7</sup>.

გარდა ამისა, ალ. ფრონელი თავის წიგნში ასახელებს ერთ *ბოგელ* მოქალაქეს<sup>8</sup>, რომელიც, ცხადია, ბოგა სოფლის მცხოვრებია.

ზემოდასახელებულ ორთავე სიაში და სხვა საარქივო მასალებში ამ სოფლის სახელად მოცემულია საკმაოდ დამახინჯებული *Бокха*<sup>9</sup>.

ამრიგად, დღევანდელი *ბოგა* „ღავთრის“ შედგენის დროს 7 კომლიანი სოფელი ყოფილა ახალციხის სანჯაყის მზვარის რაიონში; 1870 წ.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრ.-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1949, გვ. 21.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 13.

<sup>3</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 53.

<sup>4</sup> ბობხას შესახებ ჩვენ ქვემოთ გვაქვს ლაპარაკი.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>6</sup> სტია, ფ. 1491, ს. 487, გვ. 2r; ბოგაზე ბევრი ცნობა აგრეთვე: სტია, ფ. 41, ს. 44, გვ. 4r, 23r, 28r.

<sup>7</sup> ძველი საქართველო, საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზღვისკრებული, ტ. III, ექ. თავაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1913-1914 წწ., გვ. 299; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 74 (შეცდომით დაბეჭდილია „წყორძასა“).

<sup>8</sup> დიდებული მესხეთი, გორი, 1914, გვ. 47.

<sup>9</sup> სტია, ფ. 47. ს. 20, გვ. 5r და ფ. 77, ს. 23, გვ. 9r.

კი ბოგაში 16 კომლია აღნუსხული (ზისერმანი, 13). საქართველოს ისტორიულ რუკაზე ახალციხისა და სოფ. კლდის ჩრდილოეთით ბოგას ადგილას უთუოდ შეცდომითაა აღნიშნული სხვა გეოგრაფიული პუნქტი ბოგახა<sup>1</sup>, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

6. სოფ. აგარა — სოფ. ელიაწმინდასთან — *اگره نزد قره‌البادندان* (I 6, 24; II 7, 28). ეს აგარა რუკებზე ნაჩვენებია არაა და მისი ზუსტი ადგილმდებარეობა ჩვენ არ ვიცით. „დავთარში“ მითითებულია, რომ აგარა მდებარეობს ჩვენ დრომდე მოღწეულ სოფ. ელიაწმინდასთან (ახალციხის რაიონი, ელიაწმინდის სასოფლო საბჭო)<sup>2</sup>. აფიქრობ, სოფ. ელიაწმინდის ახლო სოფ. აგარის ნანგრევების მოძებნა და მისი მდებარეობის დადგენა დღესაც შესაძლებელია. „დავთარის“ შედგენის დროს აგარა 7 კომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 6 ათას ახჩად ღირებული გადასახადი.

„აგარა“, როგორც დასახლებულ პუნქტთა სახელწოდება, ძლიერ გავრცელებულია საქართველოში<sup>3</sup>. „აგარა“ და მისგან წარმონაქმნი „აგარაკი“ საზოგადო სახელებია და სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს მის საკუთარ სახელად ასე ფართოდ გავრცელებულობას. მართლაც, აგარა «სადგური (=სამყოფელი) საზაფხულო» (საბა). დასახლებულ ადგილთა სახელწოდება ბევრგან საქართველოში<sup>4</sup>. ამასვე ადასტურებს გ. ყაზბეგი: *Именем Агара в письменных памятниках Древней Грузии назывались отселки; этим объясняется почему под названием Агара известны несколько деревень в Аджаре, Шавше и Имерхеви*<sup>5</sup>. დღევანდელ საქართველოს ექვსი სოფელი შერჩა „აგარა“ სახელწოდებით: ორი აგარა ბათუმის რაიონში (თხილნარი და ჩაისუბნის სასოფლო საბჭოში), ერთი ახალციხის, ერთი ხულოს, ერთი ქარელისა (დაბა აგარა) და ერთიც ამბროლაურის რაიონებში<sup>6</sup> (ასევე ხუთი დასახლებული პუნქტი „აგარაკი“ ს სახელითაა ცნობილი)<sup>7</sup>

„გურჯისტანის ვილაჟეთში“ც „აგარა“დ სახელდებული პუნქტი ბევრია: 1. აქვანხილული სოფ. აგარა, რომელიც სოფ. ელიაწმინდასთან იხსენიება და ამდენად პირობით შეიძლება ს. ელიაწმინდის აგარა ვუწოდოთ („დავთარში“ [ძირითადი ტექსტი] სამჯერაა ნახსენები: ა) აგარა ელიაწმინდასთან, ბ) სოფ. წამალაუბანი სოფ. აგარასთან (II 36) და გ) სოფ. ელიაწმინდა,

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიული რუკა პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1923.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 22 (იხ. ელიაწმინდაზე ცნობები აქვე — № 20, ქართულ თანდართული რუკა).

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, პროფ. არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1950, გვ. 88.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმებიდან (აგარანი). საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, II, თბილისი, 1951, გვ. 45 (შენიშვნა).

<sup>5</sup> Г. Н. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии. Записки Кавказск. Отделения И. Р. Г. Об-ва, кн. X, Вып. I, Тифлис, 1876, გვ. 57.

<sup>6</sup> საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 155-156.

<sup>7</sup> იქვე.

აგარასთან (II 36). 2. სოფ. აგარა სოფ. თისელთან (II 95), აწყურის რაიონში შედის („დედარის“ მიხედვით) აწყურის აგარა; 3. სოფ. აგარა დედისიმედის წინუბანთან (II 106). ეს აგარა უკაცრიელი სოფელია ამავე ახალციხის სანჯაყის აწყურის რაიონში. „დედისიმედის წინუბანი“ ამავე აწყურის რაიონში 27-ე სოფლად აღრიცხული სოფ. წინუბანი უნდა იყოს (ამ სოფლის მინაწერის მიხედვით დედისიმედს აქ ჰქონია ვენახი და ბაღი; იხ. II 101). 4. სოფ. აგარა — სოფ. დემოთასთან (II 109) — ეს უკვე მესამე სოფელია „აგარას“ სახელწოდებით მარტო აწყურის რაიონში; ესეც უკაცრიელი. 5. ასპინძის რაიონში სოფ. ონლორასთან იხსენიება „აგარას“ სახელით სათესველი (II 135). 6. ამავე (ასპინძის) რაიონში 30-ე სოფლად ფიქსირებულია სოფ. აგარა, საკმაოდ დიდი სოფელი—31 კომლით. 7. ჭაქარაქის რაიონში აღრიცხულია 28-ე სოფლად აგარა (II 162). 8. ახალქალაქის სანჯაყის ნიალისყურის რაიონში დასახელებულია საკმაოდ დიდი—26 კომლიანი სოფელი—აგარა (II 249), რომელთანაც ამავე რაიონში იხსენიება სოფ. ცასკ (II 256); შესაძლებელია ეგევე „ნიალისყურის აგარა“ იგულისხმებოდეს იმ სოფ. აგარად, რომლის ახლო მდებარედ თმოგვის რაიონში იხსენიება სოფ. آيو و آند (II 245) და 9. ფოცხოვის სანჯაყის მზეარის რაიონში 31-ე სოფლად აღწერილია სოფ. აგარა 17 კომლით (II 307). ამრიგად, „დედარის“ შედგენის დროს მარტო „გურჯისტანის ვილაეთში“ 9 გეოგრაფიული პუნქტი გვაქვს „აგარას“ სახელწოდებით. როგორც გ. ყაზბეგსაც აქვს აღნიშნული, უეჭველია, სამცხე-საათაბაგოს სხვა რაიონებშიც იყო გავრცელებული „აგარა“ სახელი.

„აგარა“ სახელი საკმაოდაა დამახინჯებული რუსულ (და, ალბათ, სომხურ) საბუთებში. ორთავე სიებში, მაგალითად, ჩვენ გვაქვს Агара<sup>1</sup> და Агарь<sup>2</sup>.

თბილისის მიდამოებში მდებარე ისტორიული აგარა-ების მასალაზე „აგარა“ სიტყვის მნიშვნელობა ვრცლად აქვს შესწავლილი და განმარტებული პროფ. ნ. ბერძენიშვილს<sup>3</sup>.

7. სოფ. ზემო და ქვემო ხომა — سفلا و علیا خوما (I 6, 25; II 7, 28). ამგვარად ჩვენთვის საეცებით ნათელია, რომ ამ პუნქტის სახელი ხომაა (და არა ხუმა, როგორც ეს II წიგნშია დაბეჭდილი), რადგანაც, გარდა არქივისეული სიების ხომა-სი (იხ. ქვემოთ), კ. ზისერმანს ს. წინის ნაჩვენები აქვს ხომა-ს წყალზე მდებარედ (при р. Хомке). ბევრ საბუთში აგრეთვე მხოლოდ ხომა გვაქვს: ...пустошь Хома<sup>4</sup>. ზემო და ქვემო ხომა ერთსაგადასახადო ერთეულად არის დასახელებული. ალბათ, ზრდის შედეგად შემდეგში ზემო და ქვემო ხომა გაერთიანდა. ამ დროისათვის უკვე 30 კომ-

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 23, გვ. 9რ.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 47, ს. 20, გვ. 5რ.

<sup>3</sup> ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი). „მომომხილველი“, II, გვ. 35-60; აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 11.

<sup>4</sup> К. Зисерманн-ი, გვ. 2; სცია, ფ. 41, ს. 44, გვ. 3რ; სცია, ფ. 1044, ს. 15, გვ. 8რ სცია, ფ. 47, ს. 64, გვ. 8რ.

ლიანი სოფელია, რომელიც, როგორც მინაწერებიდან ჩანს (იხ. II 29), ვენახებითა და სხვა სამეურნეო ობიექტებით საკმაოდ მდიდარია. შემდეგში სოფ. ხომა გაუქარიელებულა, 1836-1838 წლების საბუთებში ხომა უკვე გაპარტახებულა (სცია, ფ. 1044, ს. 15, გვ. 8რ). არქივისეულ სიებში მე-7 ნომერთან იკითხება *Хома улия и сұхла* (I სია) და *Хома улия и сұхла*<sup>1</sup>. ხომა-დ წოდებული სოფლები რუკებზე არაა აღნიშნული და მათი ადგილმდებარეობის შესახებაც შეტად მწირი ცნობა გვაქვს. ამავე რაიონში შემავალ (№ 30, II გვ. 37) გოგეთუბან (თუ გოგოთუბან) სოფელზე ნათქვამია, რომ იგი (ს. გოგოთუბანი) მდებარეობს „ხომა და შურდო სოფლებს ზემოთ“<sup>2</sup>. აქედან ჩანს, რომ სოფ. ხომა შურდოსთან ახლო ყოფილა, ხოლო შურდოს მდებარეობა ცნობილია (იხ. თანდართულ რუკაზე); შურდო რუკაზე აღნიშნულია სოფ. ბოგის ზევით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აი, ამ შურდოსთან უნდა იყოს ზემო და ქვემო ხომა. საინტერესოა ადგილობრივი მკვიდრის ისკენდერის ჩვენება: ხომა ჩრმუჭი დეილან ღერ ვარ—‘არის ადგილი, რომელსაც ხომას აბანოს ეძახიან (აბანო მინერალური სამკურნალო წყლის გაგებით).

8. სოფ. წირა—*زیرا* (I 6, 26; II 7, 29). სოფ. წირა დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ახალციხის რაიონის წყრუთის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>. იხსენიება *История военных действий*-ში სოფ. წყრუთთან ერთად: *Цыра* და *Цхурут*<sup>4</sup> (*Цыра*-ში *ы* და *и* ხმოვნები ქართული სპეციფიკური წ თანხმოვნის რუსულად გადმოცემის კდის შედეგი უნდა იყოს). არქივისეულ პირველ სიაში დამახინჯებულადაა გადმოცემული—*Гира*, ხოლო მეორე სიაში—*Цира*<sup>5</sup>. სოფ. წირა მდებარეობს წყრუთთან ახლოს, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთით (იხ. თანდართული რუკა), ახალციხიდან 6 ვერსზე (ზი-სერმანი, 13).

9. სოფ. თურესი—(?) *طوريس* *ჭი*—“თურესის ამოკითხულობა დამაკმაყოფილებელი არ არის. 5 კომლიანი პატარა სოფელი ყოფილა. მის კვალს ვერ მივაგენით. არქივისეული სიების მიხედვით *Торнес*-ია (I სია) და *Тарнес*-ი (II სია)<sup>6</sup>. ერთ დოკუმენტშიც ამ რაიონში შემავალ სოფლებთან *Торняс*-ი იხსენიება<sup>7</sup>. ამ უკანასკნელი ვარიანტის მიხედვით შესაძლებელია დავეუშვათ, რომ ამ პუნქტის სახელი იყო *თორნისი* ან *თურნისი*. ამ შემთხვევაში მეოთხე ასო უნდა წავიკითხოთ არა *ჟ*-დ, არამედ *ი*-დ, რაც, რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია ისევე, როგორც ეს მეოთხე ასო შეიძლება იყოს *ნ* ან *ტ* (თურთისი, თურფისი და სხვ.).

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 20, გვ. 5რ და ფ. 77, ს. 23, გვ. 9რ [*улия* და *сұхла* (= *сұхла*)] არაბული სიტყვებია ‘ზემო’ და ‘ქვემო’ს ნიშნავს; მათ შესახებ სპეციალურად IV წიგნში.

<sup>2</sup> დავთარი, I 33; II 37.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 22.

<sup>4</sup> I, გვ. 298.

<sup>5</sup> სცია, ფ. 47, ს. 20, გვ. 5რ; იქვე, ფონდი 77, ს. 23, გვ. 9რ.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> სცია, ფ. 77, ს. 35, გვ. 2v.

10. სოფ. ქვინტა — *خاند* (I 6, 27; II 7, 30). დედანში (გვ. 32) პირველ ასოს დიაკრიტიული ნიშანი (წერტილი ქვემოთ) აქვს და ექვი არაა, რომ *خاند* მოხაზულობით აქ გადმოცემულია ქართული სოფლის სახელი „ქვინტა“ (ზედიზედ ორთანხმოვანიანობის თავიდან ასაცილებლად „ვ“ თანხმოვანი ამოვარდნილია; ქ და ტ მკვეთრები ჩვეულებრივად მეღერებითაა გადმოცემული). სოფ. ქვინტა დღევანდელი ახალციხის რაიონის ელიაწმინდის სასოფლო საბჭოში შედის (იხ. თანდართულ რუკაზე). ვახუშტის მიხედვით „ქვინტას არს მონასტერი“, რომელიც (მონასტერი) ვახუშტის დროსაც უქმი ყოფილა, ბროსესთან—*Delwinta*<sup>1</sup>.

ორთავე არქივისეულ სიაში საკმაოდ დამახინჯებულადაა მოცემული: *Чунта* (გვ. 5r და 9r). ქართულად „ქვინტა“ უნდა დაიწეროს და არა „ქვინთა“<sup>2</sup>.

სოფელ ქვინტაში იხსენიება უბნები: გოგეთუბანი (?), თელეთუბანი (?), ზიქეთუბანი(?) და ყურათუბანი — *و كوتوان* (?) *و زيانان* (?) (დედანი, გვ. 32). უბნების ეს სახელები მოცემულია დიაკრიტიული ნიშნების გარეშე (მხოლოდ მესამე უბნის სახელს—*خاند*-ს აქვს პირველსა და მეხუთე ასოზე წერტილები). ოთხივე სიტყვის მეოთხე ნახევარი—„უბან“ სიტყვა ყველგან სწორი უნდა იყოს („უბან“ სხვაგან ყველგან ასეთი მოხაზულობითაა მოცემული). საერთოდ, ვფიქრობ, პირველი და მეოთხე უბნის სახელი სწორად უნდა იყოს ამოკითხული (გოგეთუბანი, ყურათუბანი); დანარჩენი საეჭვოა. ერთ საბუთში აბასთუბნის სანჯაყში ქვინტასთან ნახსენები შვიდკომლიანი სოფელი *Куратубан*-ი უნდა იყოს სწორედ ეს პუნქტი, რომელიც XIX ს.-თვის დამოუკიდებელ სოფელში გადაიზარდა<sup>3</sup>. ეს ექვმიუტანლად დასტურდება მ. ბროსეს შრომიდან, სადაც ქვინტასთან ახლო ნახსენებია *le village de Qourath-Ouban* (=ქ. ყურათუბანი)<sup>4</sup>. საყურადღებოა, რომ ქართულ საბუთში ქვინტასთან ერთად იხსენიება ყურათუბანიც. 1870 წელს კ. ზისერმანიც ყურათუბანს აღწერს დამოუკიდებელ სოფლად, რომელშიც ნაჩვენებია 10 კომლი. ყურათუბანი მდებარეობს ახალციხიდან 9 ვერსზე, ახალციხე-აქარის ქედის ფერდობზე<sup>5</sup>.

11. სოფ. ანი—*آن* (I 6, 27; II 7, 31). ამგამადაც ახალციხის რაიონის ელიაწმინდის სასოფლო საბჭოში შედის (ქვინტა და ელიაწმინდასთან ერ-

<sup>1</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 124; შდრ. Дм. Бакрадзе, Кавказ, в древних памятниках христианства, 50; აგრეთვე M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie... II, გვ. 139; Граф. Уварова, Христианские памятники. Мат. по археологии Кавказа, IV, მოსკოვი, 1894, გვ. 93; К. Зиссерман, 13.

<sup>2</sup> სცია, ფ. 47, ს. 16, გვ. 107; ს. ცაიშვილი, ახალ მესხეთში, „სახალხო განათლება“, 23.IX.1948.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 47, გვ. 4v; იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 22r.

<sup>4</sup> მ. ბროსე, Rapports... II, გვ. 139; სცია, ფ. 47, ს. 16, გვ. 107.

<sup>5</sup> К. Зиссерман, გვ. 13.

თად)<sup>1</sup>. თანდართულ რუკაზე იხ. სოფ. ქვინტის დასავლეთით. ზისერმანის მიხედვით, ანი ახალციხიდან 8 ვერსის მანძილზეა; 1870 წ. ანში ირიცხება 27 კომლი<sup>2</sup>.

12. სოფ. ძირი — *جیر* (I 6, 28; II 7, 32). თურქულად „ძ“ თანხმოვანი *ჯ* ასოთია გადმოცემული ისევე, როგორც არქივისეული ორთავე სიის მიხედვითაც — *Зир* (გვ. 5r და 9r) რუსულადაც ასევეა ტრანსკრიბირებული. ცნობილ ერთვერსიან რუკაზე კი *Мзир* გვაქვს (*ძ* აფრიკატის ჩვეულებრივი გადმოცემა). რუკაზე იხ. სოფ. ქვინტის დასავლეთით.

13. სოფ. მიქელწმინდა — *میکلیندا* (I 6, 28; II 7, 32). ამოკითხულობა ექვს არ იწევს, ამჟამად ახალციხის რაიონის წყრუთის სასოფლო საბჭოში შედის (იხ. თანდართულ რუკაზე სოფ. წყრუთის ჩრდილოეთით). საინტერესოა, რომ ამ სიტყვაში წ თანხმოვანი გადმოცემულია არა ჩვეულებრივი *ქ* ასოთი, არამედ *ძ*-თი<sup>3</sup>. არქივისეულ სიებში *Микель Цминда* და *Микел Цаминда* გვაქვს (გვ. 5v და 9r). მიქელწმინდაში 1870 წ. მხოლოდ 1 კომლია (ქართველი მაჰმადიანი); ახალციხიდან 5 ვერსზე მდებარეობს<sup>4</sup>.

14. სოფ. ლალუტი — *لاولتی* (I 6, 29; II 7, 33). ლალუტი 14 კომლიანი სოფელი ყოფილა. წაკითხულობა ექვს არ იწევს; ბოლოკიდური *ა* ქართული სათანადო რიგის მკვეთრს უნდა გადმოსცემდეს. არქივისეულ ორთავე სიაში *Лалутин*-ი (გვ. 5v და 9r) გვაქვს. მდებარეობა არ ვიცით; იხსენიება მიქელწმინდა, კლდე და სეირ სოფელთა შორის. მისი მდებარეობის გასარკვევად ძიება ამ სოფლების მიდამოებში უნდა წარიმართოს.

15. სოფ. კლდე — *کله* (I 6, 29; II 7, 33). ამოკითხულობა სრულიად უდავოა. ოღონდ აქ უნდა აღინიშნოს ქართული მკვეთრი *კ* თანხმოვნის არაბული *ق* ასოთი გადმოცემა (ჩვეულებრივად, როგორც ვიცით, ქართული მკვეთრი სათანადო მგლეჩიანაა გადმოცემული. ერთ-ერთ საარქივო მასალაში „კლდე“ში მკვეთრი „კ“ ჩვეულებრივი მგლეჩი (=გ) ასოთია გადმოცემული *عشان شوازی اوغلی* (sic!) *اقصاوسى قله* — სოფ. კლდის ახსახალი ოსმან შაჰადე ოღლი<sup>5</sup>. ამჟამად კლდე კლდის სასოფლო საბჭოს მთავარი სოფელია<sup>6</sup>. ორთავე სიაში „კლდე“ს ნაცვლად შეცდომით *Млада* წერია (გვ. 5v და 9r). ვფიქრობ, თურქული წარმოთქმით აქ უნდა ყოფილიყო *Килде* ან *Килда*, ხოლო *К*-ს *М*-ით შეცვლა გრაფიკულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო.

კლდე დიდი სოფელია — 38 კომლიანი, ბალ-ვენახებიანი (ერთი ვენახი, სხვათა შორის, დედისიმედისაა)<sup>7</sup>.

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 22.

<sup>2</sup> К. Зисерман, გვ. 13.

<sup>3</sup> ამაზე სპეციალურად IV წიგნში.

<sup>4</sup> К. Зисерман, გვ. 13.

<sup>5</sup> სცია, ფ. 71, ს. 4, გვ. 7r.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>7</sup> დაეთარი, II, გვ. 34 (მინაწერები).

საინტერესოა ი. ნებიერიძის ცნობები სოფ. კლდეზე: „1837-სა წელსა რუსის ხელმწიფე ნიკოლაი პავლოვიჩი მობრძანდა ახალციხეს, და ხალხმან გაოხრებისათვის არზა მიართვეს, და მამაჩემამც მისცა არზა ჩემგან დაწერილი, წარტაცებისათვის სოფლის კლდიდან ჩვენი ორმოცდაათი თავის ცხვრისა...“<sup>1</sup>

შატბერდის ეკლესიის სამრეკლოს წარწერაში იხსენიება ვინმე აბესალმა კლდელი. ამის გამო აკად. ნ. მარს მოჰყავს „კლდის“ რუსული მნიშვნელობა და ამბობს, რომ აქ „კლდე“ გეოგრაფიულ სახელად უნდა გავიგოთ, რადგან ასეთი სიტყვები გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ხშირად გამოიყენებოდა. შემდეგ ნ. მარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ (შატბერდის) წარწერაში ნოხსენებული აბესალმა კლდელი წარმოშობით ცნობილი კლდე-ქარის ტიხიდან უნდა ყოფილიყო<sup>2</sup>. რადგანაც სამცხე-საათაბაგოში ჩვენ გვაქვს საკმაოდ მსხვილი გეოგრაფიული პუნქტი—სოფ. კლდე, ვფიქრობ უფრო მართებული იქნება ეს აბესალმა მივიჩნიოთ სოფ. კლდიდან წარმოშობილ მოქალაქედ „კლდე-ელად“. თუ იგი კლდე-ქარის მკვიდრი იყო, მას შეერქმეოდა „კლდექარელი“ და არა „კლდელი“.

ზემოთ სოფ. ბოგასთან დაკავშირებით მოყვანილ ხალხურ ლექსში კლდეც იხსენიება: „პური კლდეს, ღვინო ბოგასა...“<sup>3</sup>

16. სოფ. სვირი—سوير (I 6, 31; II 7, 35). დღეს კლდის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია. „დავთრის“ შედგენის დროს 19 კომლიანი სოფელი ყოფილა. დამახინჯებათა შორის აღსანიშნავია: Свирь<sup>4</sup>. გ. ბროსეს მიერ გამოცემულ რუკაზე Swéri გვაქვს<sup>5</sup>. 1870 წ. სვირში 47 კომლია აღრიცხული. იგი სოფელ შურდოსთანაა და ახალციხიდან 8 ვერსზე მდებარეობს<sup>6</sup>.

17. სოფ. შურდო—شوردو (I 6, 31; II 7, 35). პირველ ასოს დიაკრიტიული ნიშანი აქვს და ამდენად ამოკითხულობა სწორია, დღეს ახალციხის რაიონის ფერისის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია. პატარა, სამკოანი სოფელი ყოფილა. 1870 წ. შურდოში აღრიცხულია 14 კომლი. იგი ახალციხიდან 14 ვერსის მანძილზე მდებარეობს<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ი. ნებიერიძის მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგობიკების მოტაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ, ხ. ახვლედიანის კომენტარებით, ბათუმი, 1948, გვ. 21; Граф. Уварова, Христианские памятники, Мат. по арх. Кавк., IV, გვ. 91.

<sup>2</sup> Н. Марр, Георгий Мерчул. Жизнь св. Григория Хявлэтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с двумяком поездки в Шавшю и Кларджю, СПб., 1911, 144.

<sup>3</sup> ძველი საქართველო, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის კრებული, ტ. III, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1913-1914, გვ. 299; ს. მაკალათია, შესხეთ-ჯავახეთი-ჯვარდი 14.

<sup>4</sup> სცია, ფ. 77, ს. 47, გვ. 4v.

<sup>5</sup> Description-ისადმი დართული რუკა.

<sup>6</sup> К. Зиссерман, გვ. 13.

<sup>7</sup> იქვე.



18. სოფ. წამალაუბანი —  $\text{ساجاوا}$  (I 6, 32; II 7, 36) — პირველი და სწორად ამოკითხვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის  $\text{ج}$  ასო დიაკრიტული ნიშნითაა.  $\text{ج}$  ასოთი ჩვეულებრივად „წ“ თანხმოვანი გადმოიცემა ხოლმე და მომდევნო ასოთა ბგერითი მნიშვნელობისდა მიხედვით თითქოს უეჭველია, რომ აქ „წამალაუბანი“ (შეიძლება „წამალანთუბანი“) გვაქვს. გარდა იმისა, რომ სიტყვის მოხაზულობა ასეთ წაკითხვას სავსებით ეგუება, ჩვენ ვიცით, რომ აღამიანთა საკუთარ სახელად ქართულში არსებობდა „წამალ“ („წამალა“), საიდანაც ჩვენ გვაქვს გვარის სახელი „წამალაშვილი“, ხოლო „დავთარში“ „წამალაუბანი“ (ან „წამალანთუბანი“). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ სოფლის ერთ-ერთი მეკომურის — ვარძელის მამას რკმეგია წამალა, რომლის სახელიც შეიძლებოდა დარკმეოდა ან პუნქტს.

მიუხედავად იმისა, რომ „დავთარში“ ამ სიტყვის პირველი ასო გარკვევითაა დაწერილი და დიაკრიტული ნიშანიც აქვს ( $\text{ج}$ ), არქივისეული სიის შემდგენლებს ის შეცდომით  $\text{د}$  (დ) ასოდ ამოუკითხავთ და ორთავე სიაში ჩვენ გვაქვს  $\text{Давта-ყნი}$  (გვ. 5v და 9r).

წამალაუბანი „დავთარის“ შედგენის დროს პატარა სოფელია — სამკომლიანი. მისი მდებარეობა ცნობილი არ არის, მაგრამ „დავთარში“ საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ის სოფ. აგარასთანაა. ვფიქრობ, აქ იგულისხმება ამავე მზვარის რაიონში მოხსენებული სოფ. აგარა (აქვე, № 6), რომლის ადგილმდებარეობის საჩვენებლად მითითებულია დღესაც კარგად ცნობილი სოფ. ელიაწმინდა; წამალაუბან სოფლის ნაკვალები ამ ელიაწმინდის ახლოა მოსალოდნელი.

19. სოფ. ჩუნჩხელი? (თუ ჩუნჩხეთი? —  $\text{حورحاصل}$  (II - ში),  $\text{جورحاصل}$  (?) (I 6, 32; II 7, 36). წმივე მდგომარეობაა; სიტყვის შემადგენელ 7 ასოთაგან ხუთს (პირველს, მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს, მეექვსეს) მაინც უნდა ჰქონდეს დიაკრიტული ნიშანი. უამისოდ წაკითხვა უთუოდ ძლიერ რთულია. აქ შეიძლება ამოკითხულობის ბევრი სხვადასხვა ვარიანტი გვქონდეს, მაგრამ ყველაზე უფრო მაცდუნებელია ამ მოხაზულობის „ჩუნჩხელ“ად ამოკითხვა, რასაც რამდენიმედ მხარს უჭერს ორთავე სიის მონაცემები:  $\text{Чумчел}$  და  $\text{Чунчел}$  (გვ. 5v და 9r).

„დავთარის“ შედგენის დროისათვის ეს უკვე გაუქაცრიელებული სოფელია. მის ადგილმდებარეობაზე წერილობითი ცნობები, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, არ მოიპოვება.

20. სოფ. ელიაწმინდა —  $\text{ساجاوا}$  (I 6, 32; II 7, 36). სოფ. ელიაწმინდა ამ დროს გაუქაცრიელებულია და მისი მდებარეობა ნაჩვენებია სოფ. აგარასთან<sup>1</sup> ისევე, როგორც აგარის მდებარეობის გასარკვევად ნათქვამია, რომ ის სოფ. ელიაწმინდასთანაა<sup>2</sup>. სოფ. ელიაწმინდა მდებარეობს ახალციხის ჩრდილო-დასავლეთით 10-12 კმ-ის მანძილზე<sup>3</sup>. სოფ. ელიაწმინდა დღეს ელია-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ სოფ. აგარა, № 6.

<sup>2</sup> დავთარი, I 24; II 28.

<sup>3</sup> ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XIV საუკუნეებში, გვ. 195.

წმინდის სასოფლო საბჭოს ცენტრალური სოფელია (ახალციხის რაიონში), კ. ზისერმანით ელიაწმინდა მდებარეობს ტატანისთან ახლოს, ახალციხიდან 8 ვერსის მანძილზე. 1870 წ. მასში 4 კომლია<sup>1</sup>.

21. სოფ. წნისი — زینس (I 6, 32; II 7, 36). „დავთრის“ შედგენისას წნისი უკვე გაუჟაკრიელებული სოფელია. ვახუშტი ახსენებს წნისს, წნისის-ვევს და წნისს ზეით მონასტერს<sup>2</sup>; გარდა ამისა, დ. ბაქრაძით: Тинисский монастырь лежит влево у впадения Тинисис-цкали в р. Куру, на запад от сел. Ахури...<sup>3</sup> ზოგან ეს სიტყვა Цинисს-ს სახით არის ტრანსკრიბირებული: «сел. Цинисы, в 10 верстах от Ахура<sup>4</sup>» ან არადა: ...Црпихи и Цинси по ущелию Цинубанской речки<sup>5</sup>. სიებშიც Цинис-ი გვაქვს (გვ. 5v და 9r). დღეს წნისი კლდის სოფლსაბჭოში შედის<sup>6</sup>.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გავასწორო შეცდომა „დავთრის“ იმ მინაწერში, რომელიც სოფ. წნისს განეკუთვნება. მინაწერში სპეციალურად აღნიშნულია, რომ სოფ. წნისი ახალციხისა და აწყურის შუა გზაზეა, გადასასვლელზე და ამიტომ სოფ. წნისის მოსახლეობა თავისუფლდება საგანგებო გამოსაღებთაგან ამ გზის მოვლისა და შეკეთების მოსახლეობაზე დაკისრების სანუქფოდ<sup>7</sup>. ჩვენ კი ნათარგმნი გვაქვს წნისი „ახალციხესა და აწყურს შუა მდებარე გადასავლის თავზე არ მდებარეობს“<sup>8</sup>. შეცდომა გამოიწვია იმან, რომ ჩვენ ერთ-ერთი არქაული აბსოლუტივის مكن-مغين (نۛ აფიქსი დავთრის მასდარს) ფორმაში -ma უკუთქმითობის აფიქსად მივიჩნიეთ. სინამდვილეში კი ეს (واق اولمغين) მიზეზის გარემოების არქაული აბსოლუტივია (rābita-i-sebebiye „gérondif de cause“)<sup>9</sup>, რომელიც უნდა თარგმნილაყო: „ვინაიდან ხსენებული სოფელი წნისი ახალციხესა და აწყურს შუა გადასასვლელზე მდებარეობს“ და სხვ.

22. სოფ. კონჯლა — كوندجلا (I 6, 32; II 7, 36). თურქულში ვა კომპლექსი ო-ს გვაძლევს. ეს ადგილობრივ მცხოვრებლებსაც შენიშნული აქვთ. უდელი მოქალაქე გოგეშვილი მეუბნებოდა, რომ ქართულად „კვანჯლაა“, ხოლო „კონჯლა“ თურქულად არისო. ვახუშტის მიხედვითაც „კვანჯლა“<sup>10</sup>. „კვანჯლა“ სახელწოდება ძლიერ დამაბინჯებელია რუსულ ტრანსკრიფციაში: „...перед деревнею Куджига“<sup>11</sup>; სიებში Кончха გვაქვს (გვ. 5v და 9r), Кончга<sup>12</sup>, Конджга<sup>13</sup>, Кванджга (სწორი რუსული ფორმა)<sup>14</sup>, Конджле<sup>15</sup> და სხვ.

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 22; К. Зисерман, გვ. 13.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 124.

<sup>3</sup> Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 133.

<sup>4</sup> История военных действий... II, გვ. 25.

<sup>5</sup> Е. Такашвили, Христианские памятники, МАК, XII, გვ. 3.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერ. დაყოფა, 21. <sup>7</sup> დავთარი, I 32, II 36; დედანი, გვ. 37. <sup>8</sup> დავთარი, II 36.

<sup>9</sup> J. Deny, Grammaire de la langue turque (dialecte osmanli), პარიზი, 1920, გვ. 1046.

<sup>10</sup> ვახუშტი, გვ. 125; შდრ. აგრეთვე: ვინზე მესხი, ისტორიული მასალები, „დროება“, 1879, № 200.

<sup>11</sup> История военных действий... I, 307. <sup>12</sup> სცია, ფ. 77, ს. 8, გვ. 61.

<sup>13</sup> იქვე, 62. <sup>14</sup> იქვე, ფ. 77, ს. 47, გვ. 4v. <sup>15</sup> იქვე, ფ. 77, ს. 35, გვ. 2v.

უთოდ გრაფიკულ ნიდაგზე მონხდარი გაუგებრობა უნდა იყოს კ. ზისერმანის *Кванджга* ნაცვლად *Кванджга-სი* (*К. Зисерман, 20*).

კვანჯლა „დავთარში“ გაუკაცრიელებულადაა ნაჩვენები. 1870 წ. კვანჯლა იხსენიება როგორც *Выселок из Арджаны* (არჯანა იხ. ქვემოთ ჩრდილის რაიონში № 15), ე. ი. კვანჯლაში დაბინდრებული 2 კომლი არჯანიდან გადმოსახლებულა<sup>1</sup>. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ რუკაზე კვანჯლა ახალციხის ზემოთ, ახალციხესა და ფარებას შუა არის ნაჩვენები (იხ. თანდართულ რუკაზე).

23. სოფ. ქვემო ფარება — *غف بخاکس* (I 6, 32; II 7, 36). ფარება ორია: ქვემო—ახალციხის სანჯაყის შუაის რაიონში და ზემო—იმავე სანჯაყის უდის რაიონში შემაღალი (უდის რ-ნი, № 13, გვ. I 60; II 64). რუკებზე ახალციხის ზემოთ ბენარისკენ აღნიშნული ფარება (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემული რუკით—პარეხი, ბროსეს მიერ *Description*-ისადმი დართული რუკით *Pharékha*, სამხედრო სპეტრუკით *Пареха*) აქ აღწერილი ქვემო ფარება კი არა, სწორედ უდის ნაძიგში მოხსენებული ზემო ფარება უნდა იყოს, ხოლო ქვემო ფარება ცოტათი უფრო ქვემოთ, ახალციხისაკენაა; რუკებზე იგი აღნიშნული არ არის. გარდა ამისა, შემდეგში უნდა ყოფილიყო აგრეთვე შუა ფარებაც—*Орта Пареха* (თ. *орта* 'შუა'); 1841 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: *На отношение мое от 5-го VIII с. г... относительно неправильною владения духаншиком Довлат-беговым... землю под назв. Средняя Пареха. აქვე დაუსახლებელ პუნქტად იხსენიება... казенная пустопорожняя земля под назв. Пареха; საბუთებში იხსენიება აგრეთვე ფარეხები<sup>2</sup>.*

ამ სოფლისა (და ზოგი სხვა სოფლის) შესახებ ჩვენ ცნობები მოგვაწოდა თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა სოფ. ვალის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ამხ. რობერტ ღამბაშიძემ. მისი წერილიდან ირკვევა, რომ „ფარება [მას მხედველობაში აქვს ზემო ფარება] ნასოფლარია, ვალიდან დაახლოებით 4 კილომეტრზე მდებარეობს (სხვილისის მიმართულგბით). ამ ნასოფლარის ტერიტორია სამ ნაწილადაა გაყოფილი თავისი საყანეებიანად: ერთ ნაწილს ამუშავებს დ. ვალის მახარადის სახელობის კოლმეურნეობა, მეორეს—ქვემო სხვილისის კოლმეურნეობა და მესამე ნაწილს „ახალციხენაშირის“ ტრესტის დამხმარე მეურნეობა<sup>3</sup>.

ამასთანავე ერთად ამხ. რ. ღამბაშიძე მწერს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის წარმოთქმით სოფ. ფარებათა სახელი „ფარებაა“ და არა „პარება“ო. მეც ადიგენის რაიონში ზუშაობის დროს ამ სოფლის სახელად „ფარება“ ჩამიწერია. კ. ზისერმანსაც *Пареха* ქართულ ტრასკრიფციაში ფარეხად აქვს წარმოდგენილი<sup>4</sup>. ანდენად 1923 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიულ

<sup>1</sup> *К. Зисерман, გვ. 20.*

<sup>2</sup> *სტია, ფ. 72, ს. 99, გვ. 1.*

<sup>3</sup> რობერტ ღამბაშიძის კვრძო წერილიდან, რომელიც 1953 წ. 20 XII-თაა დათარიღებული.

<sup>4</sup> *К. Зисерман, გვ. 20*

არუკაზე ამ სოფლის სახელად მოცემული „პარება“ საეკვო უნდა იყოს<sup>1</sup>. ფ თანხმონითაა დაწერილი ამ სოფლის სახელი აგრეთვე ერთ საარქივო მასალაში: „ეს გამოგვეცხადა ფარეხელ ახსახალი შარიფ ალი ოლი(ს)“ და სხე.<sup>2</sup>

ადგილობრივი რელიეფური პირობებიც, ვეიქრობ, ნაკლებად ხელშემწყობია იმისათვის, რომ ჩვენს შემთხვევაში „ფარება“ სახელწოდების წარმოშობა დაუუკავშიროთ „პარება“ სიტყვას, რომელიც, როგორც საზოგადო სახელი, ნიშნავს „ადგილი კლდოანი და უვალი კაცთაგან“<sup>3</sup>. ჩვენს შემთხვევაში ამ სოფლის სახელი უთუოდ მოდის ფარეხ სიტყვისაგან, რომელიც ნიშნავს „საცხოვრეს“<sup>4</sup>.

24. სოფ. سحر (?)(I 6, 32; II 7, 37). როგორც „დაეთრის“ II წიგნის შენიშვნაშია (II, გვ. 37) ნათქვამი, ამ სიტყვის მოხაზულობა ძირითად ტექსტსა და ე. წ. სიაში ერთიმეორისაგან განსხვავდება. სიაში (დედანი, გვ. 12) უკანასკნელ ასოს, თითქოს ჯ (ლაინს), მოსდევს ჰე ო (ასო); ბოლოში ის მაგრად დაქერილ დიდ წერტილს ჰგავს (შდრ. დედნის იმავე გვერდზე ჩრდილის რაიონის № 14 სოფლის სახელი سحر, სადაც ა ასოს სწორედ ამგვარადვე აქვს გადაბმული ასეთი წერტილი ჰე ასოს გამოსახატავად). ტექსტში კი (დედანი, გვ. 37) თითქოს ასეთივე ასოს ჯ (ლაინის) ბოლო გაგრძელებულია ელიფად. დიახ, ასეთი განსხვავება მეტად თვალსაჩინოა, მაგრამ ამოკითხვის თვალსაზრისით ეს ორი ბოლოკიდური სხვადასხვა ასო განსხვავებას არ ქმნის: თურქულში ჰე (ه) ბოლოში ა-ხმოვნად წარმოითქმის, თუკი მოცემულ სიტყვაში უკანარიგის ხმოვნებია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში სიტყვის დასასრულს ჰე (ه) იქნება თუ ელიფი (و), მაინც ორივე ა ხმოვნად წარმოითქმის. ჩვენი დაკვირვება რომ სწორია იქიდანაც ჩანს, რომ ბოლოკიდურ ასოთა თვალსაზრისით სწორედ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს № 22 სოფ. კვანჯლის სახელწოდებასთან: სიაში ლაინის (ل) შემდეგ ჰე (ه) გვაქვს—كوهنج (იხ. დედანი, გვ. 12, 16), ხოლო ტექსტში ლაინის ელიფი მოსდევს—كوهنج (იხ. დედანი, გვ. 37, I 32). საერთოდ ამ სიტყვის ამოკითხვის ზოგ დეტალში ჩვენ ეხლა ცოტა სხვა აზრისა ვართ. მეხუთე ასო უურო (و) (ლაინი)-ია, ვიდრე ჯ ან ჰ ასოთა თავი (ასე გვაქვს დაბეჭდილი კითხვის ქვეშ „დაეთრის“ II წიგნში, გვ. 37; I-ში, გვ. 32, სწორად გვაქვს—و); სამაგიეროდ II წიგნის ბოლოკიდური ელიფი უფრო სწორი უნდა იყოს, ვიდრე I-ის ჰე (ه). „დაეთრის“ ორთავე წიგნში, ე. წ. სიებში (გვ. I 6, II 7) ამოკითხული მაქვს ბოლოკიდურ ასოდ ვავი (و), მაშინ როცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აქ უნდა იყოს ლაინი და ჰე (ه).

<sup>1</sup> შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 53.

<sup>2</sup> სცია, ფ. 76, ს. 4, გვ. 5.

<sup>3</sup> ილ. აბულაძე, ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის („დადონი“ და „პარებნი“). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 9, თბილისი, 1943, გვ. 939.

<sup>4</sup> ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 351.

აბოლოოდ მთელი სიტყვის მოხაზულობა ასე უნდა იყოს—სიგბში—*سجده* (დედანი, გვ. 12), ხოლო ტექსტში (დედანი, გვ. 37)—*سجده*. ვფიქრობ, ასეთი მოხაზულობის ამოკითხვა შესაძლებელია ასე: *سجده* ან *سجده*—ბობხლა←ბობხა. ამ შემთხვევაში მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ, თუ ტერიტორიულად დასაშვებია, ეს ამ დროისათვის უკვე გაუქარელებული სოფ. *سجده* შეიძლება იყოს „ს. ზარზმელის ცხოვრებაში“ ნახსენები ბობხა<sup>1</sup>, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ (იხ. აქვე „სოფ. ბოგა“), უმართებულად იყო გათანასწორებული „თანამედროვე რუკების ბოლასთან“<sup>2</sup> (ეს პუნქტი კი „ბოლა“ არ არის, სოფ. ბოგაა, რომელიც დღესაც არსებობს). მეორე ადგილას, სახელდობრ 181-ე გვერდზე იმავე ბასილ ზარზმელის თხზულებაში იხსენიება ბობლა „დაბისაგან ბობლა წოდებულისა“. „დაეთრის“ *سجده*—სთან ამ „ბობლა“ს იდენტიფიკაცია უშეძლებელი არაა?<sup>3</sup> *سجده* || *سجده*, მოხაზულობის ამოკითხვა რამდენიმე ვარიანტად შეიძლება, მაგრამ ამ ვარიანტების საიდენტიფიკაციო მასალა ჩვენ არაფერი გვაქვს და ამიტომ აქ შესაძლებელი წაკითხულობანი არ მოგვეყავს. უნდა შევნიშნოთ, რომ არქივისეული სიების შემდგენლები „დაეთარში“ ამ სიტყვის ამოკითხვისას უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით წასულან. მათ ეს სიტყვა Копчха-დ აქვთ ამოხსნილი (გვ. 5v, 9r), ე. ი. ზუსტად ისევე, როგორც აქვე № 22 სოფ. კვანჯლის სახელწოდება ამოუკითხავთ (Копчха—იხ. იგივე სიები, იქვე), რაც საეგზეთ მიუღებელია თუნდაც მართკო იმიტომ, რომ „კვანჯლის“ აღმნიშვნელი მოხაზულობის თავკიდური ასო ქართული კ მკვეთრი თანხმოვნის გადმოძეგმე ქ ნიშანია და *سجده*—ში თავკიდური ასო სრულებით სხვაა.

25. სოფ. ივლიტა, მეორე სახელი ორსულა (ორსოლა?)—*ایلیتہ اورسولا* (I 6, 32; II 7, 37; დედანი 12, 37). თურქულ დაწერილობაში, ალბათ, ორთანხმოვანიობის თავიდან ასაცილებლად „ვ“ თანხმოვანი ამოვარდნილია—*ایلیتہ* ხოლო „ტ“ მკვეთრი ჩვეულებრივი მედერი ა-თია გადმოცემული. არქივისეულ ორთავე სიაში ამ სოფლის სახელი შეცდომით ისევეა წაკითხული, როგორც ამას თურქული ტრანსკრიფცია გადმოსცემს—*Илѣта* (გვ. 5v და 9r), რაც უარყოფილი უნდა იქნეს. ივლიტა ახლაც ახალციხის რაიონის სხვილისის სოფლსაბჭოში შემავალი სოფელია, რომელიც ახალციხის ოდნავ ზემოთ ფოცხოვის წყლის მარცხენა ნაპირას მდებარეობს. საინტერესოა, რომ სოფ. ივლიტასთვის ნაჩვენებია მეორე სახელიც—*اورسولا*, რომელიც შეიძლება წაკითხულ იქნას „ორსულა“დ, „ორსოლა“დ, „ურსულა“დ და სხვ. შეიძლება სადმე ცნობილი იყოს ამ სოფლის მეორე სახელი, რომელიც, მგონია, უფრო ძველი უნდა იყოს. „ივლიტა“ კი უნდა იყოს შემდეგ შერქმეული სახელი, რომელზედაც ლ. ზაგურსკი წერს, რომ *Означенное предместье* (ე. ი. ივლიტა) названо по имени католической церкви, построенной в честь св.

<sup>1</sup> აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, II, ბასილ ზარზმელი, პროფ. ა. კველიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1935, გვ. 161.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, თბილისი 1948, გვ. 53.

<sup>3</sup> ა. კველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

Ивлиты (მ. ბროსეთი Ivilita)<sup>1</sup>. სოფ. ივლიტა ი. ნებიერიძესთანაც იხსენიება: „ივლიტელი ძუძუნა“, „ივლიტელი ჩენი მძახის“ და „ჯარი შეიკრიბა ივლიტას ღამით“<sup>2</sup>. ივლიტა ქალაქისპირა სოფლად არის მიჩნეული: ...не доходя загороднего селения Ивлиты<sup>3</sup> ან არაღა ...начиная с Ивлиты—маленького предместья прежнего города<sup>4</sup> და სხვ.

26. სოფ. მარიამწმინდა—ماریام (I 6, 33; II 7, 37). „დავთრის“ მეორე წიგნში ამ სოფლის სახელწოდება კითხვითი ნიშნის ქვეშაა მოცემული, მაგრამ შემდგომმა დაკვირვებამ და საარქივო მასალამ დაგვაჯერა, რომ ეს ნამდვილად სოფ. მარიამწმინდაა და უფრო გვიან გამოსულ პირველ წიგნში ჩვენ კითხვითი ნიშანი მოხსნილი გვაქვს. ორთავე არქივისეულ სიაში ჩვენ გვაქვს: Мариам Зминда (გვ. 5v) და Мариам Цминда (გვ. 9r). სოფ. მარიამწმინდის ადგილმდებარეობის შესახებ რაიმე ცნობა ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვეთ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ „დავთრის“ შედგენის დროისათვის უკვე გაუქპირებული სოფ. მარიამწმინდა ახალციხის სანჯაყის მზვარის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ პუნქტთა შორის უნდა ვეძიოთ.

ფიქრობ, რომ საარქივო მასალებში მოხსენებული Дача Мариамциминда ეს მარიამწმინდა უნდა იყოს<sup>5</sup>, თუმცა შემდეგში пустошь Мариам Цминда უკავშირდება ოცხის ნაჰიფეში შემავალ სოფ. ჩურჩუტოს<sup>6</sup>.

27. სათესველი سورور (I 33; II 37). „დავთრის“ სიაში (დენდის გვ. 12; I 6; II 7), როგორც II წიგნის შენიშვნაში გვაქვს ნათქვამი, سورور გვაქვს (ბოლოკიდური و აქ არ არის). ორთავე არქივისეულ სიაში Бороз-ი გვაქვს (გვ. 5v და 9r). „ბოროზი“ სხვაგან ვერსად დავადასტურეთ.

28. სათესველი قوبولا (დენანი, გვ. 12; I 6, 33; II 7, 37). მხოლოდ არქივისეული სიებიდან ვიცით, რომ ამ სათესველის სახელია Комнола (გვ. 5v) და Камнола (გვ. 9r). თუ ეს სწორია, მაშინ დიაკრიტული ნიშნებით ასე წარმოგვიდგება قوبولا—კონბოლია→კომბოლია→კომბოლა (?).

29. სათესველი ცხვარა (?), ამალღებანი (?) ჩაირითურთ და მუსარი ვარდ(ყვარა?) წყლითურთ—مزرعة سحارة مع چایر امطان و موصار مع اب-واردسوار (I 6, 33; II 7, 37; დენანი გვ. 38). აქ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელების დაწერილობა მოცემულია ყოველგვარი დიაკრიტული ნიშნე-

<sup>1</sup> Л. Загурский, Поездка в Ахалцхский уезд в 1872 г. Записки КОИРГО, кн. VIII, гв. 21; შდრ.: აღ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 43. ივლიტას ეკლესია სხვაგანაცაა ცნობილი: Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, гв. 81; შდრ. M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique... II, გვ. 140.

<sup>2</sup> ი. ნებიერიძის მოგონებანი... ბ. ახლედინის კომენტარებით, ბათუმი, 1948, გვ. 7, 11.

<sup>3</sup> История всяных действий... I, 285.

<sup>4</sup> Л. Исарлов, Письма о Грузии, гв. 2; შდრ. «Ивлита — Городная слободка» (სტია, ფ. 47, ს. 75, გვ. 4r).

<sup>5</sup> სტია, ფ. 223, ს. 2, გვ. 65r, ს. 1, გვ. 30r.

<sup>6</sup> იქვე, ს. 1, გვ. 53r, 66r.

მის გარეშე და ამდენად მათი წაკითხულობა საეკეოა. სათესველის სახელის აღმნიშვნელი სიტყვა سحر პირველი შეხედვით თითქოს „ცხვარა“ა (ქართული ც ს ასოთი გადმოიცემა ხოლმე); მაგრამ შეიძლება პირველი ასო „ს“ს გადმოსცემდეს, მეორე ასო خ არა და ج იყოს, მეხუთე ასო ج-ს („ძ“ ან „ზ“ს) წარმოადგენდეს. მაშინ سحر შეიძლება ამოვიკითხოთ როგორც „სიჯვა-ძა“, „სეჯვაძა“, „სიჯვაზა“, „სეჯვაზა“; თუ მეხუთე ასო ج ნიშანია, მაშინ გვექნება „სიჯვარა“ და სხვ. ჩვენ მოცემული გვაქვს წაკითხულობის ერთი ვარიანტი კითხვის ქვეშ. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია სხვანაირად წაკითხვაც (ყველა ვარიანტის ზოყვანა კი ძლიერ შორს წაგვიყვანდა). არქივისეულ ორთავე სიაში ამ სათესველის სახელად მოცემულია Сухара (გვ. 5V და 9P); ეს რანდენიმედ მხარს უჭერს ჩვენს „ცხვარა“ წაკითხვას, რადგანაც Сухара „ცხვარა“ს გადათურქულებული ფორმაა: „ც“ გადმოიცა „ს“ ასოთი, ხოლო „სხ“ ორ თანხმოვანს შუა „უ“ ვიწრო ხმოვანი ჩაჯდა.

სათესველ ცხვარასთან (?) დასახელებულია: 1. ჩაირი امغان, რომელსაც პირობით „ამალღებან“ად ვკითხულობ, 2. ჩაირი سحر—ვკითხულობ „მუსარ“ად, თუმცა შეიძლება ეს „მოსარ“იც იყოს, „მუსარ“|| „მოცარ“იც იყოს და 3. ارادسوار წყალი. ეს შეიძლება იყოს „ვარდცვარა“, ან „ვარდისცვარა“. ეს უკანასკნელი ვარიანტი ინიტომ, რომ „ც“ს „ს“ თანხმოვნით გადმოცემის შემდეგ ორ ერთნაირ თანხმოვანთაგან ერთი იკარგება (ზღრ. ფერის-ციხე → سحر)<sup>1</sup>.

30. სოფ. გოგეთუბანი — ხომა და შურდო სოფლებს ზემოთ كوكوتوبان (I 6, 33; II 7, 37). პირველი წიგნის ტექსტში (გვ. 33) შეცდომით დაბეჭდილია كوكوتوبان; ამავე წიგნის „სიაში“ (გვ. 6) სწორად—كوكوتوبان-ია დაბეჭდილი. არქივისეული სიები Кокатыбан წაკითხულობას იძლევა (გვ. 5V და 9P).

სიტყვის პირველ ნაწილში — كوك უკანასკნელ ასოდ გვაქვს ჰე (ჰ). რომელიც ა-დაც იკითხება. სიტყვის პირველ მარცვალში უკანარიგის ხმოვანია და ამ შემთხვევაში უფრო ა უნდა გვექონდეს. მაშასადამე, უფრო სწორი იქნება „გოგათუბანი“. საარქივო მასალების Кокатыбан-ი შეიძლება იმაზე მიგვითითებდეს, რომ ქართულად ეს სახელი იყო „კოკათუბანი“ და ქართული მკვეთრები თურქულში შეიძლება მტლერი „გ“ს ნიშნებით გადმოსცეს. გარდა ამისა, ასევე იქნებოდა გადმოცემული თუ ამ სოფელს „კოკათუბანი“ ან „გოკათუბანი“ ერქვა. ამრიგად, ჩვენ ამ სოფლის სახელად შეიძლება შემდეგი საყარაუდებელი ვარიანტები გვექონდეს: გოგათუბანი, კოკათუბანი, გოკათუბანი (შეიძლება სიტყვის პირველ ნახევარში ა-ს მაგივრად ე იყოს).

ადგილმდებარეობა ამ სოფლისა „დავთარშივე“ ნაჩვენებია „ხომა და შურდო სოფლებს ზემოთ“. ამათგან შურდო სოფლის მდებარეობა ცნობილია<sup>2</sup> და შურდოს ზემოთ შეიძლება ახლაც მოიძებნოს „გოგათუბან“ ნა-სოფლარი.

<sup>1</sup> დავთარი, I 10, 137; II 138.

<sup>2</sup> იხ. ზემოთ გვ. 54, 58 და თანდართულ რუკაზე.

მ. ბროსეს მიერ Description-ისადმი დართულ რუკაზე ახალციხესთან ახლო სამხრეთით ნაჩვენებია Gogoth-Oubani. ალ. ფრონელიც ასახელებს ახალციხესთან გოგოთუბანს<sup>1</sup>. ახლა ჩვენ გვიჭირს თქმა „დავთრის“ გოგეთუბანი || გოგათუბანია სწორი, თუ გოგოთუბანი? სოფ. გოგეთუბანი სოფ. შურდოსთან იხსენიება, ხოლო შურდო ახალციხიდან საკმაოდ შორსაა და სხვა მიმართულებითაც. თუ Gogoth-Oubani და გოგეთუბანი ერთი და იგივეა, მაშინ მ. ბროსეს მიერ Gogoth-Oubani-სადმი მიჩენილი აღგვილი სწორი არაა.

<sup>1</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გორი, 1914, გვ. 125.



# 1. ახალციხის ლივნი

## 2. ჩრდილის ნაპირი

1. სოფ. ვალე — والي (I 6, 33; II 7, 37). ვალე ისტორიულად საკმაოდ ცნობილი სოფელია. მდებარეობს ახალციხის ჩრდილოეთით დაახლოებით 12 კილომეტრის მანძილზე, ქობლიანისწყლისა და ფოცხოვისწყლის შესართავის ცოტათი ზემოთ<sup>1</sup>. იხსენიება „მესხური დავითნის“ ქრონიკაში: „პატრონი ბექა ვალი დამა გავაყენეთ“<sup>2</sup>. მ. ბროსეს მოჰყავს Wale-ს ეკლესიის წარწერა, რომელშიც, სხვათა შორის; ვალე სახელწოდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმაშიც გვხვდება: „ვალის ლეთის-მშობელი“<sup>3</sup>... „დავთრის“ შედგენის დროისათვის ვალე დიდი სოფელია—59 კომლიანი. ვფიქრობ, რომ ჩრდილის ნაპირის (რაიონის) ცენტრი სოფ. ვალე უნდა ყოფილიყო. დღეს ვალე დაბა ახალციხის რაიონში<sup>4</sup>.

ვალესთან დასახლებულია ჩაირი حدكسو (დედანი გვ. 39), რომელიც მდებარეობს წყალციხის ახლო<sup>5</sup>. ჩაირის სახელი მოცემულია დიაკრიტული ნიშნების გარეშე, ხოლო „წყალციხე“ سياتسو სიტყვაში პირველ ორ ასოს (ج და غ)-ს დიაკრიტული ნიშნები აქვს.

ვალესთან დაკავშირებით იხსენიება მდინარე (جر) ბორბოლა, რომელზედაც ნათქვამია, რომ ის სოფ. ორალიდან (იხ. ქვემოთ) მოდის. „ბორბოლა“ სიტყვას თურქულში დიაკრიტული ნიშნები აქვს და წაკითხულობა სწორი უნდა იყოს<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 27; აგრეთვე: Е. С. Тамашвили, Источники грузинских летописей. Тря хроника, СМОПК, 28, გვ. 209; აქვ. ვალის ეკლესიის წარწერის რუსული თარგმანი: Граф. Уварова, Христианские памятники, Mat. по арх. Кавказа, IV, გვ. 69.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა), თბილისი, 1890, გვ. 109.

<sup>3</sup> Rapports sur un voyage archéologique... II, პეტერბურგი, 1850, გვ. 128-129.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრ.-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 21; ვალეზე საუთი იხ. სცია. ფ. 47, ს. 73, გვ. 1რ.

<sup>5</sup> დავთარი, I 34, II 38.

<sup>6</sup> მდინარე ბორბოლას ახალციხის სამხრეთ-დასავლეთით ასახელებს ლ. მუსხელიშვილი (აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძის ძეთა საგვარეულო მატინე, თბ., 1941, გვ. 9. ამავე წელის დამაზინებელი სახელი უნდა იყოს Бахало, რომელიც სოფ. სამაკებთან დაკავშირებით ნახსენებია წიგნში СМИБГКЗК, III, გვ. 64.

ამ სოფელს უკავშირდება „დავთარში“ აგრეთვე წყალთბილა მდინარე (კრ.—„დავთარი“, I 34; II 39).

2. სოფ. საძეღი — სძს (I 6, 34; II 7, 39). დიაკრიტული ნიშნების უქონლობისდა მიუხედავად სიტყვის ამოკითხულობა ექვს არ იწვევს და მდებარეობაც გარკვეულია (იხ. აქვე რუკა). არქივისეულ სიგებში და სხვაგანაც სოფლის სახელი დამახინჯებულია: Садзи (გვ. 5v და 9r), Садзи<sup>1</sup> და სხვ. ვფიქრობ, ამ სოფლის ქართული და ძველი სახელი საძეღი-ა. ასე მაქვს ეს ჩაწერილი ადგილობრივ მკვიდრთაგან (ელენე ტაბატაძე), ასევეა ზოგ საარქივო მასალაში (მაგალითად, Садзели და Садзели)<sup>2</sup> და აგრეთვე მესხეთის ისეთი კარგი მკოდნის ნაწერებში, როგორც იყო ვინმე მესხი<sup>3</sup>. ამიტომ მე არ ვიცი რამდენად საფუძვლიანია მ. ბროსეს მიერ Description-ისადმი დართულ რუკაზე მოყვანილი Sasdzlo (=სასძლო) ფორმა<sup>4</sup>. ძნელია დავეთანხმოთ ზ. ქვინიძეს, რომელიც საძეღ სიტყვას ასე ხსნის: „სოფელს საძეღი მიტომ სწოდებია, რადგანაც ერთ დროს სოფელთან ხშირი ტყე ყოფილა და ადგილობრივ მცხოვრებთ ამ ტყიდგან უზიდავთ სახლისათვის ძეღები“<sup>5</sup>.

„დავთარის“ მიხედვით საძეღი დიდი, 57 კომლიანი სოფელია. დღეს საძეღი საძეღის სასოფლო საბჭოს მთავარი სოფელია, რომელიც აერთიანებს ხაკ, აბ, ორალ და ყულალის სოფლებს<sup>6</sup>.

სოფ. საძეღთან იხსენიება ჩაირი حمره توبان, რომელიც ჩვენ სწორად უნდა გვექონდეს ამოკითხული მახარათუბან-ად (I 36, II 40).

3. სოფ. არყისციხე, — არყისციხე უბნითა და მოდაგან სათესველითურთ — موداگان ارغیسی (I 6, 36; II 7, 40). „არყისციხე“ სწორად უნდა იყოს ამოკითხული. ქართული მკვეთრი ყ თანხმოვანი გადმოცემულია კანონზომიერად მელერი „ღ“ თანხმოვნით; „ციხე“ სიტყვის ც თანხმოვნის „ს“ (س) თანხმოვნით გადმოცემისას ერთმანეთს შეხვდა ორი س თანხმოვანი და ერთი მათგანი გამოვარდა ისევე, როგორც ეს გვაქვს ჩვენ ارغیسی-ში (ფერისხე) ← ფერისციხე<sup>7</sup>. არქივისეული სიგები მხარს უჭერენ ჩვენს ამოკითხულობას: Аркис цихе (გვ. 6r და 9r). ხშირად ვხვდებით ამ სოფლის სახელს ახალციხის სანჯაყის სამმართველოს ფონდში სხვადასხვა ვარიანტით: д. аркисных, Аркисных, Аргуса (ორჯერ), Аркисных Аркисных<sup>8</sup>, Hammer-ით — Arghissacha (GOR, II, 865) და სხვა. სადაც ქართული ყ კ თანხმოვნითაა გადმოცემული, იქ ჩვენ უნდა გვექონდეს ქართულის გადართუსულებული ფორმები, ხოლო სადაც r გვაქვს (Аргуса) — ეს თურქული ارغیسی გადართუსულებული ფორმაა (გ

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 47, გვ. 4v.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 77, ს. 8.

<sup>3</sup> ვინმე მესხი, „დროება“, 1879, № 200.

<sup>4</sup> Description géographique de la Géorgie... ბოლოს დართული რუკა — Sam-  
tzkhe, № 1.

<sup>5</sup> ისტორია ზურსიძის (ისარლოვი) გვარისა და შოთა (შოთა) რუსთაველი, თბ., 1904-  
ჯვარი 97.

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმინისტრ.-ტერიტორ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>7</sup> დავთარი, I 10, 137; II 138.

<sup>8</sup> სცია, ფ. 77, ს. 8, გვ. 64, 65, 66 და 69.

გადმოცემულია r-თი). ადგილობრივი მკვიდრის ელ. ტაბატაძის წარმოთქმით „აღუისციხე“ გვაქვს. კ. ვანს (შეიძლება კ. ზისერმანის გაუღენით, რომელიც Архисцихе-ს თარგმნის „крепость капила“<sup>1</sup>) არყისციხე არხისციხედ აქვს გაგებული და ეს არისო крепость, окруженная рвом, რაც სწორი არ უნდა იყოს, რადგანაც ჩვენ უკვე დაინახეთ, რომ ეს არყისციხეა და არა არხისციხე. საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის ეტიმოლოგია ამ სიტყვისა: „ციხესაც მითმეო რქმევია არყისციხე, რადგანაც მის გარშემო არყნალის ხეებიც მრავლად მდგარა“<sup>2</sup>.

ვფიქრობ ეს ის გეოგრაფიული პუნქტია, რომელზედაც ლაპარაკია მათიან<sup>3</sup> ქართლისაში: ბავრატ მეფე „წარმოემართა ლაშქრითა, გარდამოვლო [გზა] რკინის-ჯუარისა და შეკრბეს არყის-ციხეს“<sup>4</sup> და შემდეგ „და მიუტდა [ლიპარატ] უგრინულად არყის-ციხეს, და შეიბნენ“<sup>5</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით «ამის [ოცხის] ჩრდილოეთით მდებარეობდა „იწრონი რკინის ქევისანი“, — ერთადერთი პირდაპირი გზა დასავლეთ საქართველოთგან სამცხეში. ამ ხევის უმწვერვალეს ადგილზე იყო „რკინის ჯუარი“<sup>6</sup>. ოცხესთან ახლო მდებარე რკინის-ჯვრის გადასასვლელით დასავლეთიდან გადმოსული ლაშქარი მიდის ახალციხის ჩრდილის რაიონში მდებარე არყისციხეში (XI საუკუნე).

არყისციხე რუკებზე აღნიშნული არაა. მისი ადგილმდებარეობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს არქივისეული საბუთის ცნობას, რომ პატარა პამაჯიდან არყისციხემდე 2 ვერსია, ხოლო არყისციხიდან სოფ. ორალამდე აგრეთვე 2<sup>5</sup>.

ამავე ჩრდილის რაიონში 28 ნომრად სავადასახადო ობიექტად დასახელებულია „მამული კილაუხ კასიმისა“, რომელიც სოფელ არყისციხეში მდებარეობს. ამავე კილაუხ კასიმის ვენახი და სხვა იხსენიება მინაწერში აქვე (I, 40).

სოფ. არყისციხესთან დასახელებულია უბანი ამავე სახელწოდებით (II, 40) და სათესველი მოდაგანი (იქვე). საერთოდ სოფ. არყისციხე, როგორც მინაწერებიდან ჩანს (გვ. I 36-37; II 40, 41), ძალიან მდიდარი სოფელია ვენახებით, ბაღებით, ყანებითა და სხვა მამულებით. ნესაშე მინაწერში (გვ. I 36; II 41), ვფიქრობ, მოცემულია სახელწოდებები იმ ადგილებისა, რომლებზედაც მოშენებულია ბაღი, ვენახი და კიდევ ვენახი; სახელდობრ, ადგილები ლალაური, ნადირაული და კოსკო. ნადირაულ — اسكركو სიტყვაში პირველ ასოზე დიაკრიტული ნიშანი დასმულია და ამო-

<sup>1</sup> К. Зиссерман, 22; К. Ф. Гак, Опыт объяснения кавказских географ. названий... СМОМПК, 40, გვ. 16; ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ზურსიძის (ისარლოვი) გვარისა და შოთა (შოთ) რუსთაველი, თბილისი, 1904, გვ. 97.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 188; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 144 და ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელი, თბილისი, 1941, გვ. 19.

<sup>3</sup> იქვე. <sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 53.

<sup>5</sup> სტია, ფ. 71, ს. 49, გვ. 10რ.

კითხულია სწორად; ამდენად I წიგნში სათანადო ადგილს კითხვითი ნიშანი უნდა მოეხსნას. მიწაწერების ბოლოში დასახელებულია ჩაირი *چاير*; დიაკრიტიული ნიშანი მხოლოდ ორ ასოს აქვს.

4. სოფ. ზემო სხვილისი ქვემო სხვილისითურთ — *سخوليس عليا سفلا* (I 6, 37; II 7, 41). მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ვახუშტის რუკაზე *Skhvili* და საერთოდ ქართულ მასალაშიც სხვილი გვაქვს<sup>1</sup>. სხვილისი რომ ამ სოფლის ნამდვილი ქართული სახელია დასტურდება ხალხური ლექსით:

„ეს სიტყვები მაშინ მოსთქვა, ტბილის სულის ამოსვლასა:

წამილეთ, აი იქ დამმარხეთ, სხვილისის კლდის კანის გზასა“<sup>2</sup>.

სოფ. სხვილისის სახელი სხვადასხვა ენაზე მოუბარ წრეთა გეტყველებამო ძლიერ დამახინჯდა. ეს ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში შენიშნა ლ. ზაგურსკიმ, რომელიც შეგდეგს წერდა: «На первый раз я отправился в сел. Сухлис (на карте Вахушта „Схвилли“—это исковерканное турками грузинское слово сხვილისი (Схвилли). Означенное селение, находящееся в том месте, в котором суживается небольшая Ахалцихская котловина, служило не раз операционным базисом при движении турок на Ахалцих...»<sup>3</sup> იგივე ლ. ზაგურსკი სხვა წერილში ამ სოფელს *Сухлис-ს* ეძახის და ამბობს, რომ ის მდებარეობს თურქეთში მიმავალ სავაქრო გზაზე და წარმოადგენს ნინოზენლოვან სტრატეგიულ პუნქტს<sup>4</sup>. ჩვენ ზევრი გვაქვს მასალა, განსაკუთრებით საარქივო წარმონაულობისა, სადაც გვხვდება სხვილისის ასეთი დამახინჯებული ფორმები: *д. Сухлис*<sup>5</sup>, *Сухлис*<sup>6</sup> და სხვ. ვილაც ცდოლა *Сухлис-ი* გაეაზრებინა „სუ ქილისე“დ (...в сел. Су-килиссе)<sup>7</sup>. ორთავე სიაში *Сухлис* უნდა გვაქვს (გვ. 6r, 9r). ადიგენის რაიონში დიალექტოლოგიური მუშაობის წარმოებისას, ამ სოფლის სახელად მე ჩაწერილი მაქვს აგრეთვე გადათურქულებული ფორმა *Sülis* (*sülis-li-y-im*:—‘სულის-ელი ვარ’). ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას დღევანდლამდე დაცული აქვს ქართული სახელი „სხვილისი“ და ასევეა ის ოფიციალურ აღწერილობაში ფიქსირებული, როგორც სხვილისის სასოფლო საბჭოს ცენტრი (სხვილისი, იელიტა, ზემო სხვილისი)<sup>8</sup>. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული სხვილისი-დან სუქლისი არმენიზებული, ხოლო სულისი თურქიზებული ფორმაა.

<sup>1</sup> Description..., I რუკა; სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114v.

<sup>2</sup> ძველი საქართველო, ტ. III, განყ. II, თბილისი, 1913-1914, გვ. 238; შდრ. ვინზე მესხი, ისტორიული მასალები, „დროება“, 1879, № 200.

<sup>3</sup> Л. Загурскии, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Зап. КОИРГО, кн. VIII, გვ. 35.

<sup>4</sup> იგივე, Краткий очерк о поездке в Ахалцихский уезд в 1872 г., ИКОИРГО, II, № 2, Тифлис, 1873, გვ. 56.

<sup>5</sup> სტია, ფ. 77, ს. 2, გვ. 48; აგრეთვე იგივე ფონდი, საქმე 9, გვ. 4.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 77, ს. 2, გვ. 3v; ასევეა კ. ზისერმანთან (გვ. 21).

<sup>7</sup> История военных действий... I 296. <sup>8</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

სოფ. ზემო და ქვემო სხვილისის მინაწერში (გვ. I 38; II 42) იხსენიება იგივე წმინარე ბოზოლა, რომელიც ზემოთ სოფ. ვალესთანაა დასახლებული.

დასასრულ მოცემულია სხვილისებთან მდებარე ჩაირის სახელი, რომელსაც თითქოს ასეთი მოხაზულობა აქვს: *موح كركر*. მისი ამოკითხვა ვერ მოხერხდა (მე-7 ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს, იხ. დედანი, გვ. 41).

სხვილისი „დაეთარიდანა“ დიდ (30 კომლიან) და, მინაწერების შიხედვით, ევენახებიან ბაღებიან სოფლად ჩანს.

5. სოფ. ორალი *اورا* (I 6, 38; II 8, 42). ამგებად ახალციხის რაიონის საძვლესი სასოფლო საბჭოში შედის საძვლ, ხაკ, აბ და ყულალის სოფლებთან ერთად<sup>1</sup>. „დაეთარში“ აღნიშნულია 28 კომლიან საკმაოდ დიდ სოფლად, რომელშიაც, სხვათა შორის, მაწვეერელი ეპისკოპოსის მამულები ყოფილა (მინაწერი, I 38; II 42). ერთ-ერთი საარქიეო მასალიდან ჩანს, რომ სოფ. ორალი შემდეგში ჭაქარაქის სანჯაყში შედიოდა: *Деревня Ораи Исчирекского санджака*<sup>2</sup>.

6. სოფ. ზემო პატარა ბარალი *عيا كوچك ارا* (I 6, 39; II 8, 43). ბარალის სახელით ცნობილია კიდევ ამავე ნაჰიჯში (№ 9) სოფ. შუა დიდი ბარალი—*وسط بزرگ ارا* (I 6, 41; II 7, 45) და (№ 25) სოფ. ქვემო ბარალი — *ارال سفلی* (I 6, 50; II 7, 54). ამრიგად, ბარალის სახელით არსებულა სამი სოფელი: ზემო ბარალი, შუა და ქვემო ბარალი. შემდეგ, ალბათ, ზემო ბარალს დარქმევია აგრეთვე „პატარა“, ხოლო შუა ბარალს „დიდი“; თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ პარალელურად რქვეოდათ ამ სოფლებს ორ-ორი სახელი: „ზემო ბარალი“ და იგივე „პატარა ბარალი“, „შუა ბარალი“ და (იგივე) „დიდი ბარალი“ და ერთსახელიანი „ქვემო ბარალი“.

ბარალებზე ძალიან ძუნწი ცნობები გვაქვს. მართალია, „ზემო პატარა ბარალზე“ ორთავე არქივისეულ სიაში *Бураи кучик и улия* (= პატარა და ზემო ბურანი) და *Бураи кучик и улия* (გვ. 6გ და 9გ) გვაქვს, რაც „ბარალის“ შესაბამისი არ არის; მაგრამ, ჯერ ერთი, პირველი ასოს შემდეგ „უ“ ან „ო“ ხმოვანი „დაეთარში“ თითქმის ყველგან „ვაე“ითაა გადმოცემული: *شورادو*—შურადო (I 6, 31), *بوک*—ბოგა (I 6, 24), *کونجه*—კონჯლა (I 6, 32), *کوکری*—გურკელი (I 9), *روستا*—რუსთავი (I 10) და სხვ. მაშასადამე, ამ სიტყვაშიც უნდა გვქონოდა პირველი ასოს შემდეგ „ვაევი“; მეორე—(№ 9) სოფ. „შუა დიდი ბარალი“, ე. ი. იგივე სახელწოდება სიებში ასახულია როგორც *Браи Бузурк исат* (=დიდი შუა ბარალი. გვ. 6გ და 9გ) და „ქვემო ბარალისათვისაც“ სიებში გვაქვს: *Браи суфла* (=ქვემო ბარალი)<sup>3</sup>;

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>2</sup> სტია, ფ. 77, ს. 8, გვ. 40.

<sup>3</sup> სტია, ფ. 77, ს. 23, გვ. 94.

თუმცა პირველ სიაში სიყარაჲი ცყჲაჲა-ა<sup>1</sup>. სოფ. ანდრიაწმინდის მცხოვრებმა (ანდრიაწმინდა ბარალთან შორს არაა) ელენე ტაბატაძემ დამიდასტურა ჩემი ვარაუდი, რომ „ბარალი“ს სახელით ნასოფლარები არის.

ამრიგად, არ სიტყვის დაწერილობას არსად დიაკრიტიული ნიშანი არა აქვს და, ამდენად, ამ სიტყვის „ბარალად“ ამოკითხულობას კითხვითი ნიშანი ახლავს. ამეამად, ზემომოყვანილი მონაცემების მიხედვით ჩვენ ამ კითხვით ნიშნებს ვხსნით და ვფიქრობთ, რომ ამ პუნქტების სახელია „ბარალი“.

7. სოფ. ზემო პამაჯი— $\text{ქაჯს}$  (I 6, 39; II 8, 44). ამავე სახელით აქვე (№ 8) აღრიცხულია ქვემო პამაჯი— $\text{ქაჯს}$  (I 6, 40; II 8, 44). „პამაჯ“ში მკვეთრი „პ“ ჩვეულებრივად მტლერი ბ-თია გადმოცემული, ხოლო სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი იკვეცება. საინტერესოა, რომ „დაეთარში“ „პამაჯები“ ზემო ( $\text{ქაჯ}$ ) და ქვემო ( $\text{ქაჯ}$ ) პამაჯადაა აღრიცხული. თანამედროვე მოსახლეობაში და ოფიციალურადაც ეხლა ცნობილია „დიდი პამაჯი“ და „პატარა პამაჯი“, რომლებიც ახალციხის რაიონის პამაჯის სასოფლო საბჭოში შედიან (დიდი პამაჯი, პატარა პამაჯი, წინუბანი)<sup>2</sup>. ასევე „დიდ პამაჯად“ იხსენიებს ერთ-ერთ ამ სოფელს ი. ნებიერიძეც, რომლის მოგონებანი 1865-67 წლებითაა დათარიღებული<sup>3</sup>. მაგრამ „პამაჯებს“ რომ თავდაპირველად ზემო და ქვემო პამაჯი ერქვა იქიდანაც ჩანს, რომ История военных действий...-ში წერია: „«В селении Ашага-Памачи.»<sup>4</sup>; Ашага კი თურქულად (aşağı) „ქვემო“ს ნიშნავს. რადგანაც ეს წიგნი 1828 წლის ამბებს ასახავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს ჯერ კიდევ ზემო და ქვემო პამაჯი ყოფილა, ხოლო „დიდი“ და „პატარა“, შეიძლება, შემდეგ მოსულმა ახალმა (სომეურმა) მოსახლეობამ შეარქვა. სომეხთა ჩასახლება ამ რაიონებში (შორს რომ არ წავიდეთ) იმავე ი. ნებიერიძის ცნობით 1830 წელს მოხდა: „რამეთუ 1830 წელსა არზუმიდან (ქარნუ ქალაქიდან) გარდმოსახდნენ მრავალნი სომეხნი“...<sup>5</sup> „პამაჯების“ სახელწოდებაში ცვლილებაც, ალბათ, 1830 წლის შემდეგ მოხდა.

ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წარმოთქმით პამაჯა'ც გვაქვს (ანდრიაწმინდელი ელ. ტაბატაძე). არქივისეულ სიგეშიც ეს სახელწოდება ყველგან რამდენიმედ თავისებურადაა გადმოცემული: Памачк улия (და суфла)<sup>6</sup>. გვხვდება Бамадж ფორმითაც<sup>7</sup>. რუსულად Памач ფორმა გვხვდება<sup>8</sup> და Памачи-ц: «Затем на берегу незначительного источника, Памачи, лежит селение того же имени. От Памачи к большому селению Вала, дорога.

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 67.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>3</sup> ი. ნებიერიძე, მოგონებანი..., გვ. 5 («გაღესა და დიდ-პამაჯს» შუა). \* 1, 296

<sup>4</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>5</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, 67 და ფ. 77, ს. 23, 97.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 77, ს. 8, გვ. 5, 51 (1835 წ.).

<sup>7</sup> იქვე, ს. 9, გვ. 4.

идет на запад и отсюда на западе рисуются уже значительные вершины Тбили (на карте Гелинз)<sup>1</sup>...

8. სოფ. ქ ე ე მ ო პ ა მ ა ჯ ი (იხ. ზემოთ სოფ. ზემო პამაჯთან).

9. სოფ. შუ ა დ ი დ ი ბ ა რ ა ლ ი (იხ. ზემოთ № 6. სოფ. ზემო პატარა ბარალი).

10. სოფ. დ ი დ ი მ ე რ ე ქ ი — مرگ برز (I 6, 41, II 8, 45); ამის მომდევნო № 11-ის ქვეშ აღრიცხულია კიდევ ასეთივე სახელწოდების სოფ. (№ 11) პატარა მერექი — مرگ كوچك (I 7, 42; II 8, 47). ამ სოფელთა (აწ უკვე ნასოფლართა) შესახებაც ცნობები ძლიერ ცოტა გვაქვს. არქივისეულ ორთავე სიაში როგორც დიდ, ისე პატარა მერექის სახელად მოცემულია Марк Бузрук და Марк Кучник<sup>2</sup> (დიდი მარქი და პატარა მარქი). 1831 წლით დათარიღებულ ერთ საბუთში ამ სოფლის სახელი ასეთი დაწერილი: «принадлежашую мне Ахалинхского округа деревню Марак Бузрук<sup>3</sup>...». რადგანაც ადგილობრივი მკვიდრის ელ. ტაბატაძის მიხედვით მერექი ადგილის სახელია ამ რაიონში, მე შესაძლებლად მიმაჩნია მეტი უპირატესობა მივცე „მერექ“ ვარიანტს, ვიდრე „მარქ“ და „მარაქის“, თუმცა დაბეჯითებით რისიმე თქმა ამ მკირე და სხვადასხვანაირი მასალის საფუძველზე ძნელია. ყოველ შემთხვევაში ამ პუნქტის ნამდვილ სახელთან მაინც ახლოს უნდა ვიყოთ. I-სა და II წიგნში ამ სახელწოდებასთან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას.

დიდ და პატარა მერექში მნიშვნელოვანი სამეურნეო ობიექტებია: ვენახები მაწყვერელი ეპისკოპოსისა, სიმონ მეფის ასულისა და მანუჩარ ათაბაგის მეუღლის ელენის, აგრეთვე ცალნ ფაშისა და სხვათაღმი კუთვნილი ვენახები, საყანე ადგილები და სხვ.<sup>4</sup>

სოფ. დიდ მერექთან დასახლებულია ჩაირი სახელად مرى, რაც ქართულად „მერმი“ უნდა იყოს<sup>5</sup>.

11. პ ა ტ ა რ ა მ ე რ ე ქ ი — مرگ كوچك (იხ. ზემოთ № 10).

12. სოფ. ქ ე ე მ ო მ ა რ დ ა — مراد سفلا (I 7, 43; II 8, 48). ამავე სახელის მატარებელია (№ 14) სოფ. ზემო მარდა — مراد عليا (I 7, 44; II 8, 49). ამრიგად სოფ. მარდა ორი იყო: ქეემო და ზემო მარდა. ეს ორი მარდა აქვს მხედველობაში ვახუშტის, როცა ის „მარდა“ სახელს მრავლობითში სვამს: „ახალციხის-წყალს... მოერთვის ოლდამის-ქვეი მარდა ე ბ თ ა ნ“<sup>6</sup>. სოფ. წარდაების შესახებ საინტერესოა ალ. ფრონელის ცნობაც: „კარგა დიდი ნაწილი აზრუმელებისა დაბინავდა ახალციხის-წყლის მარჯვენა ნაპირზე,

<sup>1</sup> Предварительный отчет о путешествии д-ра Г. Радде по Кавказу летом 1867 г. Записки КОИРГО, кн. VIII, 53.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 6რ და ფ. 77, ს. 23, გვ. 9რ, ფ. 47, ს. 11, გვ. 20რ.

<sup>3</sup> სტია, ფ. 77, ს. 41, გვ. 8რ; აგრეთვე: სტია, ფ. 41, ს. 43, გვ. 2რ, ფ. 47, ს. 11, გვ. 21რ.

<sup>4</sup> დავთარი, I 42, 43; II 46, 47.

<sup>5</sup> იქვე, I 42; II 46.

<sup>6</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 125.

პირდაპირ ძველი ქალაქი ახალციხისა, სწორედ იქ, სადაც ძველად იყო ქართველთა სოფელი: მარდა, ურია მარდა, ჯანიანთ მარდა და მლაშის-ხევი-ამგვარად, დაახლოებით 1830 წელს, ქართველთა ნასოფლარებზე [ე. ი. „მარდა“ს სახელით ცნობილ სოფლებში. ხ. ჯ.] გაშენდა ახალი ქალაქი, დასახლებული აზრუმელი სომხებით. რომელსაც ეწოდება იგივე ძველებური სახელი ახალციხე<sup>1</sup>. ვახუშტის რუკაზეც ახალციხესთან სამი მარდაა აღნიშნული: 1. Marda, 2. Ouria Marda და 3. Djanianth-Marda<sup>2</sup>. ვინმე მესხის მიხედვით ყოფილა კიდევ ხეანა მარდა. რა დამოკიდებულებაშია ხეანამარდასხვა მარდაებთან არ ვიცი<sup>3</sup>. მაშასადამე, მარდაები მდებარეობდნენ ახალციხის ძველი ნაწილის „რაბათის“ გაღმა, მდინარის მარჯვენა ნაპირას. ამ „ქალაქის“ გაშენების შემდეგაც, დიდხანს მარდაები იხსენებოდნენ მაინც როგორც გარეუბანი: «... противу заречного селения Марды», ... пригородное селение Марда<sup>4</sup> ... и в предместии Марда<sup>5</sup>, «Правление сие еще в 1832 году, когда поручник Асатионов объявил покупку его у Дурсуна... сада на землях деревни Марда в предместии нового Ахалциха состоящей»<sup>6</sup>. საინტერესოა, რომ ბოლო ხანებში ისეთი შერწყმა მოხდა ორთავე მარდასი და ამათი კიდევ ქ. ახალციხესთან, რომ 1847 წელს ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწე ეძებს ვინმე მუსლიმან ბეგს, ალაღარს, ან კეთილსინდისიერ გლეხს, რომელმაც იცოდეს, თუ რა იყო მიჯნები Рсрхисн и Нижней Марды до вхлтия туркамн Ахалциха<sup>7</sup>. დღეს მარდა ქ. ახალციხის სამხრეთ ნაწილში მდებარე უბანია, სოფ. საძელისაქენ.

13. სოფ. აბი—آب (I 7, 44; II 8, 48). „დავთრის“ მიხედვით ახალქალაქის სანჯაყის აკშეპირის რაიონში კიდევ არის დასახლებული ამავე სახელწოდების ერთი გაუქაცრიელებული სოფელი აბი, რომელიც აბ-ი კო არა, იზლარი აღმოჩნდა (I 237; II 233; იხ. აკშეპირის რ-ნი, სოფ. № 46). სოფ. აბი ქ. ახალციხეს აკრავს; საძლის სასოფლო საბჭოში შედის საძელ, ხაკ, ორალ და ყულალის სოფლებთან ერთად<sup>8</sup>. ზოგან ეს სახელწოდებაც დამახინჯებულია; სარკივო მასალებში გვხვდება, მაგალითად, Аби<sup>9</sup>. სოფ. აბ-ში 1870 წ. 11 კომლია<sup>10</sup>.

14. სოფ. ზემო მარდა (იხ. ზემოთ—ლხ 12—სოფ. ქვემო მარდა).

15. სოფ. არჯანა—ارجانہ (I 7, 45; II 8, 50). არქივისეულ სიებშიც Арджана-а (გვ. 6r და 9v)<sup>11</sup>. ამოკითხულია სწორად, ადგილმდებარეობა დაღუს-

<sup>1</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 125.

<sup>2</sup> მ. ბროსე, Description..., სამცხის რუკა, № 1.

<sup>3</sup> „დროება“, 1879, № 171.

<sup>4</sup> История военных действий..., I, 285, 294.

<sup>5</sup> სცია, ფ. 77, ს. 21, გვ. 19.      <sup>6</sup> იქვე, ს. 41, გვ. 10v.

<sup>7</sup> იქვე, ფ. 73, ს. 86, გვ. 1r.

<sup>8</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>9</sup> სცია, ფ. 77, ს. 19, გვ. 18r.

<sup>10</sup> К. Зиссерман, 22.

<sup>11</sup> აგრეთვე: ფ. 77, ს. 16, გვ. 123v.



ტებულად არ ვიცი. აქ დასახელებულ სოფელთა მიდამოებში შეიძლება გავიყვანო არჯანის მღებარეობაც. ამავე ნაპიჯეს № 26 სოფ. საბზარაზე ნათქვამია, რომ ის სოფ. არჯანასთან მღებარეობს. მაგრამ ჩვენ არ ვიცი, რომ საბზარის ადგილმდებარეობაც (ოცხის ნაპიჯეში № 18-ად აღრიცხული სოფ. საბუზარა (საბუღარა) (I 127; II 129), ვგონებ, სხვა არის).

16. სოფ. ზემო ნიოხრები ქვემო ნიოხრებ უბნითურთ — *سفل نوخر* مع *محلہ نوخر* (I 7, 46; II 8, 50). „დაეთრის“ შედგენის დროისათვის ზემო და ქვემო ნიოხრები ერთ საგადასახადო ერთეულადაა აღრიცხული და ქვემო ნიოხრები ზემო ნიოხრების უბნადაა ნაჩვენები. გრაფინია უვაროვა 1891 წ. აქ უკვე ერთ სოფელს ხედავს და „ზემო“ სიტყვასაც არ ხმარობს. ოლონდ უვაროვას ჩაწერილი აქვს ასე: ... деревня *Нюхрѣ*, რაც შეცდომა უნდა იყოს. გარდა ამისა, ამ სახელწოდების კიდევ რამდენიმე ვარიანტი არსებობს: ე. წ. „ვეროპული რუსეთის სპეც. რუკაზე“ ამ სოფლის სახელად მოცემულია *Нюхрѣ*, კიდევ სხვა რუკაზე *Нюхрѣ*, ხოლო 1939 წელს გამოცემულ ქართულ რუკაზე „ნაოხრები“ წერია. საქ. სსრ უმაღლეს საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სტატისტიკური განყოფილების მიერ გამოცემულ წიგნში „საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ აგრეთვე „ნაოხრები“ გვაქვს<sup>1</sup>. არქივისეული ორთავე სიაც *Нюхрѣ*-ის გვაძლევს (გვ. 6r და 9v), მაგრამ სხვა საარქივო მასალაში *Нюхрѣ* გვაქვს<sup>2</sup>. მართალია *سفل نوخر* დაწერილობის წაკითხვა „ნაოხრებადაც“ შეიძლება, მაგრამ უთუოდ ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ სოფელს დაჟინებით „ნიოხრებს“ ეძახის. თუ „ნიოხრები“ სხვა ენობრივ კოლექტივში გადატანილი ქართული „ნაოხრები“ არ არის, მაშინ ჩვენ არა გვაქვს საფუძველი „ნიოხრები“ სწორ ფორმად არ მივიჩნიოთ და „ნაოხრები“ ქართულად გააზრების შედეგად მიღებულ ფორმად არ ჩავთვალოთ. თუმცა ანგარიშგასაწევია მ. ბროსეს მოსაზრება, რომლის მიხედვით სწორი და ნაწდელი ნაოხრები უნდა იყოს, ხოლო ნიოხრები კი ვულგარულია<sup>3</sup>. კ. ზისერმანსაც ქართულად ჩაწერილი აქვს *ნაოხრები*<sup>4</sup>. ჩვენ არ ვიცი, ვამთავრებულის თხზულებაში დასახელებული ნაოხრებ პუნქტი „დაეთრის“ ამ სოფელს ემთხვევა თუ არა: „ანტონი ნაოხრებლისძე ნათესავით მესხი“ (ნაოხრებლისძე←ნაოხრებლისძე←ნაოხრებელი←ნაოხრები)<sup>5</sup>. დღეს სოფ. ნიოხრები ახალციხის რაიონის წყალთბილის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია წყალთბილა, ჯულა და აბათხე სოფლებთან ერთად<sup>7</sup>.

<sup>1</sup> *Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшетия, Псковский участок. Путевые заметки, Графини Уваровой*, ч. II, Москва, 1891, გვ. 265. <sup>2</sup> გვ. 22.

<sup>3</sup> სტია, ფ. 77, ს. 8, გვ. 38.

<sup>4</sup> მ. ბროსე, *Rapports...* II, გვ. 131.

<sup>5</sup> К. Зиссерман, 20.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, თბილისი, 1928, გვ. 19.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 22.

17. სოფ. ოჯორჯალი უბნებით მისრათუბანი (?), მონასტერი, წარბას-უბანი, سامحہ, كوناك-ي, روعولہ, წინუბანი და სხვა — اوچورجال مع محلہ و مناستر و ذاريسويان مسرهتويان (?) و سامحہ و كوناك و روعولہ و زونيان و غيره (I 7, 47; II 8, 53). აქაც ჩვეულებრივად არც ერთი დიაკრიტიული ნიშანი არა გვაქვს. პირველად ადგილობრივმა მკვიდრმა ამხ. ანტონ მანველიშვილმა მაცნობა, რომ სოფ. ვალიდან სამხრეთით არის ნასოფლარი, რომელსაც ოჯორჯალი ჰქვიაო. ამის შემდეგ ძნელი არ იყო اوچورجال დაწერილობა „ოჯორჯალ“ად წაგვეკითხა. შემდეგში ჩვენ ერთ ხალხურ ლექსშიც წაავწყ-დით ამ სოფლის კვალს. ლექსს სათაურად აქვს „ოჯორჯლელი ხუცესი“ და იწყება ასე:

„მე ოჯორჯლელი ხუცესი ქალას ვიყავ მიმავალი,

ქორატს ქან-მგლებს გარდევყარე, დამიბნელდა ორივე თვალი“.

შემდეგში გამოვლენილმა საარქივო მასალებმაც დაადასტურეს, რომ სოფ. ოჯორჯლის სახელი სწორად იყო ამოკითხული: პირველ სიაში (გვ. 6რ) გვაქვს Оджорджали, ხოლო მეორეში შეცდომით Орджорджал-ია (გვ. 9v). 1831 წლის საბუთში Орджорджали (← Оджорджал) 6 კომლიან სოფლად ჩანს<sup>1</sup>. დაბა ვალის საშუალო სკოლის მასწავლებელს ამხ. რ. ლამბაშიძეს ჩვენ ვთხოვეთ ამ ნასოფლარის შესახებ მეტი ცნობები დაეძებნა და მოეწერა ჩვენთვის. მოგვყავს ეს ცნობები: „თვითონ გავემზავავე იმ ადგილას, რომელსაც ოჯორჯალს ეძახიან. ამ ადგილს ნასოფლარობა ძალიან ეტყობა. ადგილობრივი კოლმეურნეები ამბობენ, რომ მიწის დამუშავების დროს ხან ქვევარის ნამტვრევებს ხელებიან, ხან კიდევ სახლის ბალავარის ნაშთებს. ოჯორჯლად წოდებული ადგილი დაბა ვალიდან დაახლოებით 1-2 კილომეტრზე მდებარეობს სამხრეთის მიმართულებით. ამ ოჯორჯალზე ვადის ვალიდან სოფ. წყალთბილისკენ მიმავალი საურმე გზა<sup>2</sup>. გარდა ამისა, ჩვენი ეს სოფ. ოჯორჯალი „დაეთარში“ იხსენიება კიდევ ფოცხოვის ლივანს ჩრდილის რაიონში იმისათვის, რომ განსაზღვრონ ფოცხოვში შემავალი სოფ. წინუბნის მდებარეობა. აქ ნათქვამია: „სოფ. წინუბანი—სოფ. ოჯორჯალთან“ (I 333; II 326). მართლაც ფოცხოვის ჩრდილის უბანში შემავალი სოფ. წინუბანი რუკაზე ნაჩვენებია სწორედ იმ არემარეში<sup>3</sup>, სადაც ჩვენ ხელთ არსებული ცნობების მიხედვით უნდა ყოფილიყო სოფ. ოჯორჯალი. ამრიგად, ამ მონაცემების მიხედვით ადგილზე სავსებით შესაძლებელია სოფ. ოჯორჯლის მდებარეობის დაზუსტება.

„დაეთარის“ დროის ოჯორჯალი საკმაოდ დიდი სოფელია. მასში 22 კომლია და შეწერილი აქვს 10 000 ახჩის ღირებულების გადასახადი. მაგრამ უფრო საყურადღებო ისაა, რომ სოფ. ოჯორჯალს უნდა სჭეროდა შედა-

<sup>1</sup> ხალხური ლექსები (სამეცხეთაში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ), ძველი საქართველო, III, განყ. II, თბილისი, 1913-14, გვ. 271.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 75, გვ. 21v.

<sup>3</sup> ამხ. რ. ლამბაშიძის წერილიდან 1953 წლის 25.X-ის თარიღით.

<sup>4</sup> ვეროპ. რუსეთის სპეცრუკა 80 || 98 (ვალე-ნიოხრების სანახებში).

რებით ფართო ტერიტორია, რომელიც სულ ცოტა 7 უბნად მაინც იყო დაყოფილი. სულ ცოტა მეთქი ვამბობ ინიტომ, რომ 7 უბნის ჩამოთვლის შემდეგ ნათქვამია „და სხვაო“ (I 46; II 51). ჩამოთვლილია შვიდივე უბნის სახელწოდებანი, ოღონდ დიაკრიტული ნიშნების გარეშე. ყველა ამ სახელის ამოკითხვა არ ხერხდება; ზოგი რამ კი შეიძლება გაიარკვეს.

I. *مسرهوسان* — ამ სიტყვის მეორე ნაწილი (ვევ'იდან დაწყებული) უდავოდ ქართული „უბან“ სიტყვაა, ხოლო მეოთხე და მეხუთე ჰე (ه) და თე (ت) ასოებია, რომლებიც გადმოგვცემენ ო-ათ — ქართულ აფიქსის ისეთ ფორმებში როგორცაა: ყურ-ათ-უბანი<sup>1</sup>, გოგათუბანი<sup>2</sup> და სხვ. მაშასადამე, ჩვენი სიტყვა მიიღებს ასეთ სახეს — *مسرهوسان*. მაინც ძნელი გასარკვევია, რა არის *مسره*; შეიძლება ეს იყოს მისრ-ათ-უბანი ← მისრ-ათ-უბანი, მასრ-ათ-უბანი, მას-*[ხ]არა[ან]თუბანი* და სხვ.

II. *مسر* — ეს შეიძლება „მონასტერ“ად იქნეს ამოკითხული — *منستر*, თუმცა სხვაგან, მაგალითად, I 50 გვერდზე „მონასტერი“ ასეა ტრანსკრიბირებული: *مناستر*.

III. *دارساوسان* — სიტყვის მეორე ნაწილი აქაც ცხადად 'ს+უბან'ია; პირველი ნაწილი, ვფიქრობ ს*ارس* — წარბა'ა; მაშინ გვექნებოდა „წარბასუბანი“. უნდა აღინიშნოს, რომ უღის ნაპიჯეში არსებობს ასეთივე სახელწოდების სოფელი („დავითით“ წარბასუბანი ← წარბასთუბანი), რომელიც ახლოსაა ამ ჩვენ ოჯორჯალთან<sup>3</sup>.

IV. *سامحر* — გაურკვეველია.

V. *كوكو* — რალაც ეს სახელი თითქოს ძალიან მოგვაგონებს ფოცხოვის ლივანს ჩრდილის ნაპიჯეში № 32-ად აღრიცხულ ყუნღალ (?) პუნქტს (I 334; II 326); ოღონდ იქ ტრანსკრიბირებულია სხვანაირად. ყოველ შემთხვევაში სხვა მასალა *كوكو*-თან დასაკავშირებელი არაფერი გავაჩნია.

VI. *روغو* — ეს მოხაზულობა ძალიან მაედუნებელია იმისათვის, რომ აქ ამოვიკითხოთ „ვეროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ *Мажуга*-დ აღნიშნული<sup>4</sup>, ხოლო საარქივო მასალებში *ЖУГУГА* || *ЖУГУГА*-დ<sup>5</sup> მოხსენებული პუნქტის სახელი. მაშინ დიაკრიტული ნიშნებით გვექნებოდა *רוغو*; ოღონდ ამ „შუღულა“ს სახელით აღრიცხულია (გაუკაცრიელებული) სოფელი იმავე ფოცხოვის ლივანს ჩრდილის ნაპიჯეშიც, როგორც ამავე ნაპიჯეში შემავალი და სოფ. წყალთბილასთან მდებარე პუნქტი (II 325). დავიმახსოვროთ, რომ ეს უკანა-

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ. 56; შეიძლება „ყურათუბანი“ მოდიოდეს „ყურაანთუბანი“დან და სხვ.

<sup>2</sup> იხ. აქვე, გვ. 65, 66.

<sup>3</sup> „წარბასუბანზე“, დაწერილებით იხ. ქვემოთ, უღის ნაპიჯე, სოფ. № 38.

<sup>4</sup> იხ. Спеш. карта Европ. России.

<sup>5</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 23რ; ფ. 77, ს. 55, გვ. 15ვ.

სენელი (წყალთბილა) ახლოსაა ოჯორჯალთან<sup>1</sup>. აბათხეც და ნახორებ სოფლებთან ერთად დღევანდელი ახალციხის რაიონის წყალთბილის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფ. ჯულა ჩენი „დავთრის“ دواغوز—ქულულა - ჯულულა-ჯულა უნდა იყოს<sup>2</sup>.

VII. روسان—„დავთარში“ საკმაოდ ბევრი პუნქტი გვაქვს „წინუბან“ის სახელწოდებით ცნობილი. ყველა შემთხვევაში „წინუბანის“ დაწერილობა აქვე მოცემული სახისაა (დედანი, გვ. 307—აქ, სხვათა შორის, დიაკრიტული ნიშნებითაა روسان, გვ. 79—ასეთივე მოხაზულობის ასოები დიაკრიტული ნიშნებით, გვ. 92—აგრეთვე დიაკრიტული ნიშნებით; ესაა სოფ. გურკელთან მდებარე სოფ. წინუბანი და სხვ.). ეს—ოჯორჯლის ერთ-ერთი უბნის სახელიც უთუოდ „წინუბანი“ა. ჩენ ზემოთ ვნახეთ, რომ ქულულა || ჯულულა სოფ. ოჯორჯლის ერთ-ერთ უბანადა დასახელებული, ასეთი სახელწოდების პუნქტი იმავე დროს ფოცხოვის ლივან ჩრდილის ნაპიჯეში სოფლადაა აღწერილი<sup>3</sup>. ასევე ოჯორჯლის ერთ-ერთი უბნის „წინუბნის“ სახელით იმავე ფოცხოვის ლივან ჩრდილას ნაპიჯეში დასახელებულია „სოფ. წინუბანი“<sup>4</sup>. 1831 წ. საარქივო საბუთში წინუბანი 5 კომლიან სოფლად ჩანს<sup>5</sup>, როგორც სოფ. ქულულა || ჯულულა, ისევე სოფ. წინუბანი (ფოცხოვის ლივან, ჩრდილის ნაპიჯე) და წარბასუბანი (ახალციხის ლივან, ჩრდილის ნაპიჯე) რუკებზე აღნიშნულია დაახლოებით კვლავ ოჯორჯლის არემარეში. საერთოდ ახალციხის ჩრდილისა და ფოცხოვის ამვე სახელწოდების რაიონები მომიჯნავე რაიონებია, მაგრამ მე ახლა მიხედელება რაიმე ახსნა მივცე იმ გარემოებას, რომ ერთი და იგივე სახელწოდებისანი არიან, მართალია, ტერიტორიულად ძლიერ ახლო მდებარე, მაგრამ სხვადასხვა პუნქტები—ერთ შემთხვევაში სოფ. ოჯორჯლის უბნები და მეორე შემთხვევაში მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ფოცხოვის ჩრდილის რაიონის სოფლები.

18. სოფ. ჯორახეთი—جوراخت (I 7, 47; II 8, 52). ამ სიტყვას სრულად აქვს დასმული დიაკრიტული ნიშნები და, თითქოს, სწორადაა ამოკითხული. ძლიერ დამახინჯებულადაა ამ სოფლის სახელი წარმოდგენილი არქივისეულ ორთავე სიაში: Чоракетხ და Чоракет (გვ. 6r და 9v), რაც სრულებით არ შეესაბამება „დავთარში“ მოცემულ დაწერილობას (იხ. დედანი, გვ. 48).

19. სოფ. არჯულა—ارچولا (I 7, 48; II 8, 52). ეს არის ზემოდასახელებულ სპეკრუკახ სოფ. ორალთან ახლო აღნიშნული პუნქტი Арджула<sup>6</sup>. საესებით სწორადაა ამ სოფლის სახელი მოცემული აგრეთვე სიებში: Арджула (გვ. 6r, 9v).

<sup>1</sup> იხ. თანდართულ რუკაზე. საერთოდ წყალთბილაზე ქვემოთ იხ. ფოცხოვის ლივან, ჩრდილის ნაპიჯე, სოფ. № 25.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 22.

<sup>3</sup> დავთარი, II, გვ. 325.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 326.

<sup>5</sup> სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 21r. <sup>6</sup> იხ. თანდართულ რუკაზე.

20. სოფ. ჩაკი დულა(?) — جاكيدو (I 7, 48; II 8, 53). პირველ ასოს (ჯ) დიაკრიტული ნიშანი აქვს, მეოთხეს არა; მაგრამ აქ ორ თანხმოვანს შუა მოსალოდნელია ხმოვანი და ეს მოხაზულობა ხმოვნებში მოგვეცემდა -ს. ჩვენს ასეთ წაკითხვას მხარს უჭერს არქივისეული სიგები, რომლებშიც ამ სოფლის სახელად მოცემულია Чакидула (გვ. 6რ და 9ვ).

21. სოფ. توافين (?) [თავანდელე?] — (I 7, 49; II 8, 53). ეს სიტყვა დიაკრიტული ნიშნებითაა მოცემული. ეს დიაკრიტული ნიშნები აქ წარმოდგენილი სახით მაქვს გაგებული და თითქოს „თავანდელე[ე]“ს ზავვარ სახელს იძლევა. არქივისეულ სიაში ორივეგან გვაქვს Хаваინდ-ი (გვ. 6რ და 9ვ), რაც სწორი არ უნდა იყოს. განსაკუთრებით საში უქანასკნელი ასო ქც — ასეთ დაბოლოებიან სიტყვას სულ არ გულისხმობს.

22. სოფ. ხაკი — خاك (I 7, 49; II 8, 53). სოფ. ხაკი ახლანდელ ახალციხის რაიონში საძელის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>1</sup>. წიგნში „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა“ ჩვენ გვაქვს „ხაკი“, მაგრამ მე ყველგან ჩაწერილი მაქვს ხაკი. უფრო სწორი უნდა იყოს ხაკი, რადგანაც ვინმე მესხს, ამ უთხის მკვიდრსა და კარგ მცოდნეს, ხაკი უწერია<sup>2</sup>. საარქივო მასალებში ხშირად გვხვდება ამ სოფლის სახელი ჯერ ახალციხის სანჯაყში (Xak)<sup>3</sup>, ხოლო შემდეგ, მაგალითად, 1835 წელს, კაქარაქის სანჯაყში<sup>4</sup>.

23. სოფ. მონასტრის ეკლესია [შემდეგ ნათქვამია] — დიდი და პატარა ბარალის გარეშე — كوكچك و كرك از برال (I 7, 50; II 8, 54). მონასტერი თავისი საეკლესიო მამულით აღწერილია დამოუკიდებლად და სპეციალურად შენიშნულია, რომ სოფლები დიდი და პატარა ბარალის გარეშე არისო. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ეს სოფლები ცალკეა აღწერილი. ერთი კი საყურადღებოა აქ: ჩვენ არ ვიცით ბარალების მდებარეობა, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონასტრის ეკლესია და ბარალები ერთად ყოფილან. ამაზე მიუთითებს შენიშვნა იმის შესახებ, რომ გამოსაღები მონასტრის ეკლესიაზე ცალკეა შეწერილი და ბარალ სოფლებზე ცალკეო. რაც შეეხება „მონასტრის ეკლესიას“, აქ უნდა ივარაუდებოდეს ცნობილი საფარის მონასტერი, რადგანაც ამ მიდამოებში სხვა მამულიანი მონასტერი, რომელსაც შეწერილი აქვს 7000 ახჩა, არ უნდა ყოფილიყო. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ ბარალების მდებარეობის გასარკვევად ძიება საფარის ახლო უნდა წარიმართოს.

24. სოფ. მოლნის ეკლესია — مولنی (I 7, 50; II 8, 54). აქ უნდა მოვიგონოთ ერთი რამ (და ეს ზემოთ № 23 ობიექტსაც ეხება): მოლნის ეკლესია (და ზემოთ „მონასტრის ეკლესია“) სოფლად იმიტომ კი არ იხსენიება, რომ ეს ეკლესიები დამოუკიდებელი სოფლებია, არა. „სოფელი“

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>2</sup> ვინმე მესხი, ახალციხე, „კრებული“, 1900, № 1.

<sup>3</sup> სტია, ფ. 77, ს. 8, გვ. 18; K. Зиссерман, 22.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 29; აგრეთვე ფ. 77, ს. 47, გვ. 47.

(قره) აქ ტექნიკური ტერმინია საგადასახადო ერთეულის აღმნიშვნელი. მოლნის ან მოლნინის ეკლესიები სხვაგანაც ცნობილია: „მე მოლნინის ხუცის-შვილს მეღქმას დაძიწერია...“, „კაცთაგან მოლნინის ტერ-გაფრიელა...“, მოლნის ეკლესია თბილისშიც იყო, „შუა ბაზარში“. 1709 წლის ნათლისმცემლის მონასტრის ერთ საბუთში იხსენიება, მაგალითად, „მოლნინითა წამინდის გიორგის...“<sup>1</sup> არქივისეული სიების ვარიანტი МҮҢИИ || МҮҢИИ (გვ. 6V და 9V), ცხადია, სწორი არ არის. ანბ. მ. შერებაშვილმა მოლნის ეკლესია იელიტასთან ახლო უჩვენა. ვინმე მესხი მოლნისს ახალციხის გარეუბნად უჩვენებს: „მღვმერნი... აჰყარეს და გარეთუბნებში გარდასახლეს: მარდას, ხეანა მარდას, ქალასა, ლაშიხეეს, მოლნისს, საძელს, იელიტას, სხვილისს, კვანჯლას, წყრუთს, სვირს, ბოგას, ტატანისს, კლდესა და წნისსა...“<sup>2</sup>.

25. სოფ. ქვემო ბარალი — برال سفلی (I 7, 50; II 8, 54). უკვე გაუკატრიელებულია (საერთოდ „ბარალ“ სახელწოდების მქონე სოფლები იხ. ზემოთ №№ 6, 9).

26. სოფ. საბზარა — სოფ. არჯანასთან — صابزمره نرد ارجه (I 7, 50; II 8, 54). მესამე და მეოთხე ასოს დედანში დიაკრიტული ნიშნები აქვს (იხ. დედანი, გვ. 51) და „საბზარა“ დამაჯერებლად უნდა იყოს ამოკითხული, არქივისეული ორთავე სიაც ერთნაირად Саґзара-ს გვაძლევს (გვ. 6V და 9V).

27. موچارلی (?) (I 7, 50; II 8, 54; დედანი, 51). ცოტათი საეჭვოა მე-6 ასოს ამოკითხულობა; შეიძლება ის არ იყოს ლამი, რადგანაც მომდევნო حلی სიტყვაში მისი თავი უფრო მაღალია. არქივისეულ ორთავე სიაში წერია МҮҢИИ (გვ. 6V და 9V), რაც ბგერათა რაოდენობის მიხედვით მაინც არ არის შესაბამისი ამ დაწერილობისა.

28. ცალკე საგადასახადო ობიექტად აღრიცხულია სოფ. არყისციხეში (იხილე ზემოთ, ამავე ნაჰიფეს სოფ. № 3) მდებარე მამული კილაუზ კასიმისა قاسم اغوز (I 7, 50, II 8, 54). არქივისეულ სიებში ნოცემული ჩუ.ჩაკუჩ კასიმ-ი (გვ. 6V, 9V), რა თქმა უნდა, შეცდომაა; დიაკრიტული ნიშნების გარეშე მოცემული اغوز-ის მე-4 غ ასო უმართებულოდ კ-დ არის წაკითხული, ხოლო ز ასო მიღებულია p-დ.

აჩიკბაში — اچوقباشی (მინაწერი: დედანი, გვ. 51, I 50; II 54). ჩრდილის ნაჰიფეში მდებარე საგადასახადო ობიექტების აღრიცხვის შემდეგ „დაეთარში“ მოცემულია უფრო გვიანდელი მინაწერი, რომელშიც ლაპარაკია მესხეთიდან იმერეთში მიმავალ სავაჭრო გზაზე. ერთი გზა, როგორც ცნო-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, თბილისი, 1940, გვ. 347.

<sup>2</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древн. памятниках христианства, №6; მ. პოლივექტოვი და გ. ნათაძე, ძველი თბილისი, თბ., 1930, გვ. 17; ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვას სიმონურ ლექსთა. სრული კრებული, თბილისი, 1935, გვ. 34.

<sup>3</sup> ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. V, თბილისი, 1913, გვ. 19.

<sup>4</sup> „დროება“, 1879, № 171.

ბილია<sup>1</sup> აქედან ჩადიოდა ხანისწყლის ხეობით<sup>1</sup>. იმერეთი აქ იხსენიება **اشوق باش** — **Açuk-baş** (თანამედროვე წარმოთქმითა და ორთოგრაფიით **اشوق باش** — **Açik-baş**). ეს გახლავთ შედგენილი სიტყვა, სადაც **açik** თურქულად ნიშნავს 'ლია', ხოლო **baş** — 'თავი'; **açikbaş** ნიშნავს 'თავლია', 'თავმოხდილი'. ამავე მნიშვნელობისაა პარალელურად გავრცელებული და იმავე მნიშვნელობის მქონე მეორე, თურქული ენის თვალსაზრისით აგრეთვე კანონიერი შესიტყვება **اشوق باش** — **başiaçuk** — ბაშიაჩუკ (თანამედროვე წარმოთქმითა და ორთოგრაფიით — **باشی اچوق** — **başiaçik** 'თავი-მისი ლია', 'თავი-მისი მოხდილი', ე. ი. იგივე 'თავლია', 'თავმოხდილი', 'თავდაუხურავი'<sup>2</sup>).

ასეთი სახელწოდებითაა ცნობილი იმერეთი (და ზოგჯერ იმერლებიც) თურქულ ისტორიოგრაფიულ თუ სხვაგვარ ლიტერატურაში. ჯერ კიდევ XVI საუკუნის სახელმწიფო მოღვაწეს აჰმედ ფერინდუნ-ბეის (გარდაიცვალა 1583 წ.)<sup>3</sup> თავის სახელმწიფო სიგელთა და ოფიციალურ მიმოწერათა ცნობილ კრებულში მოყვანილი აქვს სტერეოტიპული ფორმულები, რომლითაც უნდა მიმართონ სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებს და, სხვათა შორის, **ა ჩ ი კ ბ ა - შ ი ს** (ე. ი. იმერეთის) მეფეს, რომელზედაც ის ამბობს: **اشوق باش ملكه** — **Açikbaş melikine** — ე. ი. 'აჩიკბაშის მეფეს'<sup>4</sup>.

XVI-XVII საუკ. თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი (1574-1650) ქუთაისისა და ვანის ქვეყანას (ე. ი. იმერეთს) **اشوق باش** — 'ბაში-აჩიკს' უწოდებს (მაშასადამე, ფეჩევის იმერეთის თურქული სახელწოდების მეორე ვარიანტი — 'ბაშიაჩიკი' აქვს ნახმარი)<sup>5</sup>.

სახელგანთქმული თურქი მოგზაური ევლიაჩ ჩელებნსთან იმერეთის სახელად იგივე 'აჩიკბაში' გვაქვს. ის წერს: **اشوق باش بکرینه** — 'სადადიანოსა და აჩიკბაშის (ე. ი. იმერეთის) ბეგებს...<sup>6</sup>, ხოლო ქვთბი ჩელებნსთან — **اشوق باش** და სხვ.

იმერეთის ეს თურქული სახელწოდება ვრცელდება სხვა ხალხებშიც. ამავე სახელწოდებითაა იმერეთი ცნობილი აგრეთვე არაბებთან, როგორც ეს ჩანს მაკარ ანტიოქიელის თხზულებიდან (**اشوق باش** ან **اشوق آچوق** 'აჩიკ-ბაშ ან

<sup>1</sup> История военных действий, I, გვ. 347.

<sup>2</sup> 'ش. سامی، قاموس ترکی، გვ. 23.

<sup>3</sup> Fr. Babinger, GOW, ლეიფციგი, 1927, გვ. 106.

<sup>4</sup> منشآت — مجموعہ منشات — II, فریدون بك — II, სტამბოლი, გამოცემულია 1274 წ. ჰიჯრით (= 1858 წ.), გვ. 13.

<sup>5</sup> تاریخ پجوى — II, სტამბოლი, 1866 წ., გვ. 45, აგრეთვე ჩენი: იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ, 'ენიმეკის მთაბზე, V-VI, თბილისი, 1940, გვ. 379.

<sup>6</sup> اولیا چلبی سياحتنامه سی، II, გვ. 320.

<sup>7</sup> حیا، نما، გვ. 406.

ბაში-აჩუკ<sup>1</sup>) და აგრეთვე სპარსელებთან: რადგანაც *جون باشی اجوق ليامين* 'ბაში-აჩუკი ქართლსა და დადიანს (= სამეგრელოს) შორის მდებარეობს' და სხვაგანაც<sup>2</sup>.

თურქების მეშვეობით გადასულად ჩანს იმერეთის ან სახელწოდების მეორე ვარიანტი—ბაშიაჩიკი აგრეთვე რუსულში. ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ რიგი მასალები, საიდანაც ჩანს, რომ იმერეთის სამეფოს რუსებიც „ბაშიაჩიკს“ ეძახდნენ: ... живет у зятя своего башачицкого<sup>3</sup> царя Александра, меретинской он же<sup>4</sup>.

ამასთანავე ერთად უნდა შეინიშნოს, რომ ეს თურქული სახელწოდება სხვადასხვანაირად გადატეხილა რუსულ წარმოთქმაში და მრავალი, ზოგჯერ ძლიერ გადამახინჯებული ვარიანტი გასჩენია: Башачик, Башакич, Башаки, Бошачик, Пашачюки<sup>5</sup>, ან კიდევ: Башачицкая, Башакицкая, Башакицкая, Башакичская, Башакичская, Бошачюжская და სხვ.<sup>6</sup> ავტორმა იცის, რომ Башачицкая სიტყვა ქართული სახელწოდება არ არის და იქვე განმარტავს: «в башачицкой земле, а по их, по-грузински в имерелской земле...<sup>7</sup> ან არადა, ... пошел из своей земли прочь в башачицкую землю. А та земля православная ж крестьянская вера, а по-грузински имя той земле Имерель...<sup>8</sup> სხვაგან, დიპლომატიურ მიმოწერებშიც იმერეთის მეფე ბაშაჩიკს იმ-დ იხსენიებოდა (მაგალითად, Георгий башачицкий), ხოლო იმერეთი Башачик-ად<sup>9</sup>.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თურქული სახელწოდებით და ამდენად თურქების მეშვეობით იცნობენ მომიჯნავე ქვეყნები ამ შემთხვევაში, ვთქვათ, იმერეთს. საქართველოს მეორე კუთხის—აქარის სახელიც რუსულში, მაგალითად, აგრეთვე თურქული ფორმითაა შესული—Аджара—თ. اجاره.

ამ დროს (XVI-XVIII სს.) კავკასიისა და რუსეთის (აგრეთვე სხვა მომიჯნავე ქვეყნების) ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა სინამდვილეში თურქული ენა ერთგვარი საერთაშორისო ენაა და, ამდენად, ბუნებრივია თურქული ენის როლი ზემოაღნიშნული თურქიზმების გავრცელებაში. აქად.

<sup>1</sup> لسانكاريوس البطاركة الانطاكية — من اخبار بلاد كرج — იხ. წიგნში: გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბილისი, 1949, გვ. 88 და მისივე, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 8.

<sup>2</sup> ვლ. ფუთურძე, მოკამედ თავების ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 388 და 411.

<sup>3</sup> აქ შეცდომით башакицкого წერია.

<sup>4</sup> М. Подиевков, Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию (1650-1652), Тифлис, 1926, 9.

<sup>5</sup> М. Подиевков, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615, 1640), Тбилиси, 1937, გვ. 46, 47, 116, 380.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 40, 41, 45, 46, 52, 55, 60, 61, 194, 305, 308, 334.

<sup>7</sup> იქვე, 40. <sup>8</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>9</sup> М. Броссе, Переписка, на иносранных языках, грузинских царей с российскими государями от 1659 г. по 1770 г., СПб, 1861, გვ. XXV.



ივ. ჯავახიშვილი ამ ხანებისათვის სამართლიანად ფიქრობს, რომ „საერთა-შორისო დიპლომატიურ ენად უნებლიეთ თურქული უნდა ქცეულიყო“<sup>1</sup>.

ჩვენ დაეინახეთ, რომ ეს ტერმინი იმთავითვე წარმოდგენილი იყო ორი—თურქული ენის მიხედვით—საესებით სწორი ვარიანტი: açıkbaş—აჩიკ-ბაში და başıaçuk || başıaçuk — ბაშიაჩიკ, ძველი წარმოთქმით başıaçuk — ბაში-აჩუკ. ეს უკანასკნელი ვარიანტი დადასტურებული გვაქვს აკაკი წერეთლის ცნობით ნაწარმოებში „ბაში-აჩუკი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება, თუ რატომ უნდა დარქმეოდათ იმერლებს „აჩიკბაში“ ან „ბაშიაჩიკი“, ე. ი. 'თაველია', 'თავმოხდილი'. ჯერ Hammer-მა შენიშნა, რომ Baschatschuk, d. i. offener oder blosser Kopf.<sup>2</sup> ასე უწოდებდნენ თურქები იმერლებს, რომლებიც თავზე ატარებდნენ პატარა ფაფანაკს, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ქუდი არ ეხურათ<sup>3</sup>. ეს განმარტებები, ვფიქრობ, საესებით ეხმაურებიან ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ ცნობას: „ხოლო იმერთა მცირეთ რაიზე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაქრისაგან, რომელი არა ბურვით, განა მდებარე არს თხემსა ზედა და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური“<sup>4</sup>; ან არადა: „... ოსმალნი და სპარსნი საყოველთაოდ ამ ქვეყანას [იმერთს] უწოდებენ ბაშაჩუხს, რომელ არს თავახდილი, უქუდობისათჳს რომელთა ჰბურავთ მცირე ნაქრისაგან ლართა, ვითარცა მდებარედ თავსა ზედა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბილისი, 1930, გვ. 128. ჩვენ ვფიქრობთ ამ საკითხს შეეხებოთ ვრცლად სხვა დროს და სხვა თემასთან დაკავშირებით.

<sup>2</sup> GOR, II, გვ. 481.

<sup>3</sup> გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 8.

<sup>4</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 32.

<sup>5</sup> თურქ. ბაშ-გ-აჩუკ → ბაშ-აჩუხ.

<sup>6</sup> ვახუშტი, გვ. 144.

# I. ახალციხის ლიჯა

## 3. უღის ნაჰიჯე

1. სოფ. უღის ციხის რაბათი — او اء مء طءء (I 7, 50; II 8, 55) — უღე ციხე-სიმაგრეიანი ადგილია და ნაჰიჯეს ცენტრი. „მდებარეობს მაღალ-გორაკზე მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირას“<sup>1</sup>. სოფ. უღეზე გაზეთ „ივერიაში“ შემდეგი ცნობაა: „ყველაზე შესანიშნავი სოფელი ქვაბლიანში უღეა, ძველად უღეს „დიდი მეიდანი“ რქმევია. ვახუშტიც თავის გეოგრაფიულ აღწერილობაში უღეს დიდ მეიდანს უწოდებს“<sup>2</sup>. ეს ცნობა სიმაართლეს არ შეესაბამება. ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ სოფ. მეიდანი სულ არ არის ნახსენები, ხოლო უღეზე ნათქვამია: „ხვანასა და უღეს შორის არს შთა“<sup>3</sup>. ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობებიდან არ ჩანს, რომ სოფ. დიდი მეიდანი და უღე ერთი და იგივე პუნქტი იყო. მ. ბროსეს მიერ Description-ისადმი დართულ რუკაზე კი Oudé, Didi Meidani და Meidani ცალ-ცალკეა ნაჩვენები ერთდროულ დამოუკიდებელ სოფლებად<sup>4</sup>. „დავთარშიც“ უღე (№ 1) და მეიდანი (№ 2) ცალ-ცალკეა აღწერილი<sup>5</sup>. სოფ. უღესთან და სოფ. მეიდანთან დაკავშირებულ ერთ თურქულ ხალხურ ლექსშიც „ოღრაბა მეიდანა... უღე გულისტანდურ“ — უღე და მეიდანი დამოუკიდებელ სოფლებად ჩანან<sup>6</sup>.

უღე XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელებისთანაც ნახსენებია — او<sup>7</sup>. დღეს უღე ადიგვნის რაიონში უღისავე სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელთა (არალი, წარბასთუბანი) ცენტრია<sup>8</sup>.

სოფ. უღის აღწერილობას დართული აქვს სამი მინაწერი (I 53; II 57).

<sup>1</sup> Граф. Уварова, Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшетия, Посковский участок, II, Москва, 1891, гл. 259 და Христианские памятники: МАК, IV, гл. 69.

<sup>2</sup> ა. ბარაკლაი, წერილი ქვაბლიანიდან, „ივერია“, 1894, № 7; კ. მერაბიშვილი, ახალციხის მახრა, „ივერია“, 1895, № 166; იმავე ავტორის: ისტორიული და არქეოლოგიური აღწერა სოფ. უღისა, „კვალი“, 1897, № 38, 39.

<sup>3</sup> გვ. 126.

<sup>4</sup> იმ. M. Brosset-ის მიერ Description géographique-ისადმი დართული № 1 რუკა..

<sup>5</sup> დავთარი, II 55-57. სოფ. მეიდანზე იმ. მომდევნო პარაგრაფი.

<sup>6</sup> ლექსი იმ. მომდევნო პარაგრაფში.

<sup>7</sup> اوليا چلبى سياختنامهسى II, გვ. 323-324.

<sup>8</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

შესამე მინაწერში იხსენიება ადგილის სახელები: ვენახი 3 ნაკვეთი ახალშენი, 2 ყანა ხოდაბუნი და 2 ჩაირი საბუღაური და ზემო ქალა.

2. სოფ. მეიდანნი (I 7, 53; II 8, 57); დედანში  $\text{سیدان}$  (გვ. 54) =  $\text{سیدان}$ . მიუხედავად დიაკრიტული ნიშნის უქონლობისა, ამ სახელის ამოკითხვას სიძნელე არ გამოუწვევია. ჯერ ერთი, აკად. მ. ბროსეს მიერ გამოცემულსა და ფრანგულად თარგმნილ ვახუშტის „ლეონრაფიული აღწერისათვის“ დართულ სამცხის რუკაზე უდესთან ახლო ნაჩვენებია Meidani და Didi Meidani<sup>1</sup>. „დაეთარს“ მიხედვით „მეიდან“-ის სახელწოდებით არსებობს მხოლოდ ერთი სოფელი. რის საფუძველზე აქვს მ. ბროსეს რუკაზე ნაჩვენები ორი მეიდანნი, ჩემთვის უცნობია. ამავე „დაეთარსში“ დიდი არტანის სანჯაყში აღწეუსხულია ამავე სახელის სოფელი მეიდანნი (დედნას გვ. 399, II 413). მართალია, დაწერილობა დიაკრიტული ნიშნების გარეშეა, მაგრამ მოხაზულობით იგი სავსებით თანამთხვეულია ამ „მეიდან“-სიტყვის დაწერილობისა.

„მეიდან“-ის დამაჯერებლად ამოკითხვას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ ხალხურმა ლექსმა, რომელიც მე ჩაწერილი მქონდა 1930 წ. ადიგენის რაიონში სამივლინებო მუშაობის დროს. ლექსში მოცემულია ქვაბლიანის ხეობის სოფელთა ერთგვარი დახასიათება. მოგვყავს ამ ლექსის ერთი ადგილი:

ოღრამა მე დანა,  
ყოხმიშტურ მერი,  
ონდან და სწლწმათ გეჩასინ, ტურნა!  
უღე გულისტანდურ, ყონასუნ, ტურნა!<sup>2</sup>

ქართულად: ნუ შეივლი მე დანს,  
რომლის ადგილებიც ყარს;  
მას გულდამშვიდებით გააღუარე, წეროვ!  
უღე ვარდნარია და იქ დაბინავდი, წეროვ!

ცხადია, ლექსში ლაპარაკია „დაეთარსში“ აღრიცხულ სოფელ მეიდანზე. „დაეთარსში“ სოფ. მეიდანნი იხსენიება სოფ. უღის შემდეგ; ამ ლექსშიც სოფ. მეიდანნი უპირისპირდება სოფ. უღეს.

მეორე ხალხურ (ქართულ) ლექსში სოფ. მეიდანნი იხსენიება სოფ. ადიგენთან (ადიგენი), რომელიც იმავე ქვაბლიანის ხეობაში მდებარეობს:

წამოვიდნენ, მთა გარდმოვლეს, ახლდათ სხვანიც ამათგარი.  
ადიგენს საუზმე ქამეს და მეიდანსა სამხარი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Description géographique de la Géorgie, par le Tsarévitch Wakhoucht, publiée... par M. Brosset, პეტერბურგი, 1842; ბოლოში რუკა (პირველი).

<sup>2</sup> ჯერ გამოუქვეყნებელი თურქული დიალექტოლოგიური მასალებიდან: 1930 წ., რვეული II, გვ. 95.

<sup>3</sup> ხალხური ლექსები (სამცხეთაში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ); „ჩახალ-ოღლი“ - აქელი საქართველო, ტომი III, თბილისი, 1913-1914, გვ. 245.

ლოც. ილია მაისურაძის მიხედვით, ს. უღეში ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი გადმოცემაა შენახული: „აქ (ე. ი. უღესთან ახლო) ვინცხა-მეიდან-ბეგი ყოფილა, მუდამ ლამაზ ქალებს თხოულობდაო. ლამაზ ქალს მშობლები მურს წაუსვამდნენო, ძველ ტანისამოსს ჩააცმევდნენ, რო ბეგს არ მოეწონოსო“<sup>1</sup>. აქ ერთი რამ უნდა შეინიშნოს. აქ და შემდეგშიც გვხვდება შესიტყვება „მეიდან-ბეგი“. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ მეიდან სოფლის კი არა, პირის სახელია (შდრ. ჰასან-ბეგი, სულეიმან-ბეგი და სხვ.). საქმე იმაშია, რომ ეს ქართული შესიტყვება არაა; იგი გადმოღებულია თურქულიდან, სადაც ჩვენ იზაფეთის კონსტრუქციით გამოხატული მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს: *Meşdan beg-i* = მეიდან ბეგ-ი = 'მეიდანი + ბეგი მისი, ე. ი. 'მეიდნის ბეგი'<sup>2</sup>. თურქულში ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი ნათესაობითში არ დაისმის, სახელი „მეიდანი“, როგორც ქვემოთ დავინახავთ, „მაიდნის“ სახითაც გვხვდება ისევე, როგორც აბაშის რაიონის ერთ სოფელს მეიდანოც (ეს უფრო მეგრულში) ქვია და „მაიდანიც“. ამრიგად, ხალხური ლექსებისა და გადმოცემის მიხედვით, დღეს უკვე არარსებული სოფ. მეიდანი თავის დროზე მნიშვნელოვანი სოფელი ყოფილა.

ამ ბუნქტის შესახებ პირველი ცნობა ჩვენ მოგვაწოდა სოფ. უღის მკვიდრმა ანხ. მ. შერაბიშვილმა. ამ ცნობის მიხედვით „ადგილი მეიდანო ან მაიდანო — დღეს ნასოფლარი — მდებარეობს უღის ჩრდილოეთით“. ვაღლის საშუალო სკოლის მასწავლებელმა რ. ლამბაშიძემ ამ სოფელზე მომწერა: „ნასოფლარი მეიდანი — სოფ. უღის ქვემოთ ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე მდებარეობს, მისგან დაახლოებით 2 კილომეტრზე. დღესაც ხმარებაშია სახელწოდებანი: „მეიდნის ხიდი“, „მეიდნის მინდორი“ (ადიგენელმა მოქალაქემ ჩამაწერინა: მეიდანა დეგირმანნარ, ბალჩაზარ ვარ 'მეიდანში წისქვილები და ბალები არისო')“.

შემდეგში ამ სოფლის შესახებ ბევრი მასალა აღმოჩნდა საქართველოს არქივში. მაგალითად, არქივში დაცულ საგადასახადო ობიექტთა ორთავე სიაში 60 ნომრის ქვეშ წერია: *Мейдань* და *Мейдан*<sup>3</sup>. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის 47-ე ფონდის („Ахалцихское Временное Областное Правление“) 57-ე „საქმე“ (1834-1836 წლები) თითქმის მთლიანად მეიდნისა და მისი მომიჯნავე სოფლების გარშემო არსებული საგადასახადო და მფლობელობის საკითხებს ეხება. ამასთანავე ერთად ეს „საქმე“ მეიდნისა და სხვა სოფლების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა. აქვეა

<sup>1</sup> ილ. მაისურაძე, მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე, თბილისი, 1949, გვ. 13.

<sup>2</sup> მეიდნის ბეგები ბურციძეები სხვაგანაც იხსენებინან; მაგალითად: „უღის [სოფ. უღ. ე. ბ. გ.] ბეიდნის [უნდა იყოს მეიდანოც. ს. გ.] ბეგი ხურსიძე 1815 წლებში...“ ბეიდნის [= მეიდნის] ბეგი ხურსიძე (იხ. ზ. კვიციანი, ისტორია ხურსიძის (ისარლოვი) გვარისა და შოთა (შოთა) რუსთაძელის, თბ., 1904, გვ. 86). ხურსიძე გადათურქულებული ხურციძეა, რომელიც ქართულ წყაროებში დადასტურებული ძველი ქართული გვარგუნული სახელია. არ არის მართალი. ზ. კვიციანი, როცა ამბობს: „ხურსიძე უფრო კანონიერად მიგვაჩნია“ (იქვე, გვ. 19).

<sup>3</sup> სცია ფ. 47, ს. 20, გვ. 67 და ფ. 77, ს. 23, გვ. 97

შოთაგებული სულთნის ბარათის პირი (თურქული) და მისი რუსული თარგმანი მეიდნისა და სხვა პუნქტთა შესახებ (38 რ და v). ამიტომ ძლიერ მოკლედ, მაგრამ მაინც საჭიროდ ვთვლი მოვიყვანო აქ ზოგიერთი მასალა.

1834 წელს მეიდნის ბეგის სულეიმან-ბეგის ძებნა, ნუჟმან-ბეგმა და გეჰმედ-ბეგმა, ახალციხის პროვინციის სამმართველოს წერილობით განუცხადეს, რომ მათ თავიანთი სურვილით შიჰყიდეს არზრუმიდან გადმოსახლებულს მე-14 კლასის (მოხელეს) გრიჟორ ტერ-სიმონოვ ქეშიშ-ოღლის 2 000 ვერცხლის მანეთად სოფლები მეიდანის, ბოლაჯური და არალი. აღნიშნული ბეგები თხოვენ სამმართველოს გასცეს ქეშიშ-ოღლის სახელზე სათანადო ნასყიდობის საბუთი. განცხადებასთან ერთად ხსენებულმა ბეგებმა წარმოადგინეს ხონტურის ბარათი (სიგელი, ფირმანი) შესახებ იმისა, რომ ეს სოფლები სულთანს მათთვის ჰქონდა ნაბოძები. ახალციხის სამმართველომ, როგორც ჩანს, ეს საქმე გამოსაძიებლად და მფლობელობის კანონიერების დასადგენად გადასცა ტიტულიარნი სოვეტნიკს ვინმე კარატეევს, რომელიც ძიების შედეგად სამმართველოს უდგენს მოხსენებით ბარათს. სხვა ბევრ ცნობათა შორის კარატეევის მოხსენებაში ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს შემდეგი: სოფელ მეიდანში, ბოლაჯურსა და არალში ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობაა (და არა მოსულები), ოღონდო, წერს კარატეევი, სოფ. მეიდნის მთელი მოსახლეობა საზღვარგარეთ (ე. ი. საოსმალოში) წავიდა; არალში 19 კომლია, ხოლო ბოლაჯურში 4 კომლი — კათოლიკე ქართველი. ხსენებულ ბეგებს (ნუჟმანსა და გეჰმედ ემინს) ამ სოფლებიდან მხოლოდ 2 წილი ეკუთვნით, ხოლო მესამე წილი მათი ძმის ასლან-ბეგისაა, რომელმაც ეს თავისი წილი მიჰყიდა ახალციხელ ვაჭარს თათეოზ ნაზაროვს. შემდეგ კარატეევი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ ეს სოფლები მეიდნის ბეგებს მემკვიდრეობის წესით დარჩათ თავიანთი წინაპრების, ქართველი თავადების ხურციძეებისაგან, რომლებმაც თურქების მიერ ამ პროვინციის დაპყრობისას მიიღეს მაჰმადიანობა და სულთნის ბარათი იმაზე, რომ ეს სოფლები შეადგენდა მათ ადგილ-მამულს. სულთნის ბარათში ამ სამი სოფლიდან მთავარ სოფლად იხსენიება მეიდანის, დანარჩენები კი როგორც მასთან მიწერილები. ამიტომ ამ სოფლების მფლობელები იწოდებოდნენ მიდნის ბეგებად (Миднанские беге).<sup>1</sup> შემდეგ ამ „საქმეშივე“ მოყვანილია სულთნის მიერ გაცემული ბარათების რუსული თარგმანები, რომლითაც დასტურდება, რომ მეიდანის და მისი ახლო-მახლო სოფლები იყო ხურციძე-ბეგებისა. მაგალითად, ჰიჯრით 1238 წელს (=1823) სულთნის მიერ გაცემულ ბარათში ნათქვამია, რომ სულეიმან-ბეგის-ძის (ხურციძის) აჰმედის უძეოდ გარდაცვალების გამო განსვენებულის წილი მამული ებოძოს მის ძმას ნუჟმან-ბეგს. აქვე ჩამოთვლილია ეს მამულები შემოსავლის რაოდენობის აღნიშვნით (ახჩებში): კობაშენი (4 000), მეიდანის (5 000 ახჩა, ე. ი. იმდე-

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 57, გვ. 1 რ, 6 რ და v, 41 რ და v. შესაძლებელია ხურციძეთა ეს შტო სოფ. მეიდანში ცხოვრობდა. სოფ. ჩორჩანი მეიდანსა და ადიგვენს შუა მდებარეობს — ადიგვნიდან აღმოსავლეთით 2 კილომეტრზე.

ნი, რამდენიც ნაჩვენებია ჩვენს „დაეთარში“, იხ. I, გვ. 58), ზემო ზანავი (4 000), ბოლაჯური (4 000), შუა ზანავი (4 000), არალი (4 000), წყისე (4 000), ჩორჩანი (4 000), საირმე (4 000), ლელოვანი (4 000)<sup>1</sup>. შემდეგ, მასალებში წარმოდგენილია დაწვრილებითი ძიების შედეგები; კერძოდ, დაკითხული არიან თვით ნუცმანი და მეჭმედ ემნ ბეგები. ჩვენებიდან ირკვევა, რომ 1834 წელს 26 წლის ყოფილა მაიდნის ბეგი ნუცმან-ბეგი, რომელიც ხელს შემდეგნაირად აწერს *میدان بك سليمان بك* (ნუცმან-ბეგი მეიდნის ბეგის სულეიმან-ბეგის-ძე. აქვე დასმულია ბე-ქელი, რომელზედაც წარწერილია *میدان* (ბექელის გაკეთების თარიღია 1246 წელი = 1830-1831 წ.). ჩვენებს აძლევს აგრეთვე *Миданский Бек* — *Махмед Эмин Бек*, 24 წლისა, ნუცმან-ბეგის მკვიდრი ძმა. თავისი ძმის ჩვენებს მეჭმედმა დასძინა, რომ ისინი ოთხი ძმა იყვნენ: ერთი ძმის (აჰმედის) საკედლის შემდეგ მისი წილი მამული დანარჩენმა ძმებმა თანაბრად გაიყვეს<sup>2</sup>.

შემდეგ 1834 წლის დეკემბერში ნუცმანი და მეჭმედ-ბეგები კვლავ მიმართავენ ახალციხის საოლქო სამმართველოს<sup>3</sup> თხოვნით, რომელშიც აცხადებენ, რომ მათ არ სურთ სოფ. მეიდანი და სხვა მამულები ქეშიშ-ოლლის მიჰყიდონ, ითხოვენ ჩამოართვან მას სულთნის ბარათი და სხვა საბუთები და ასეთები გადასცენ სომეხთა ეკლესიას, რომელსაც მათ მიჰყიდეს ეს მამული და მიიღეს კიდევაც მამულის ღირებულება 2 000 მანეთი ვერცხლით<sup>3</sup>.

ამავე მასალების მიხედვით, 1835 წლის 19 ივლისს ახალციხის საფაშოს უფროსი ახალციხის საოლქო სამმართველოს მოახსენებს, რომ ქობლიანელი ბეგი ნუცმანი თავისი ოჯახით საზღვარგარეთ გაიქცა, რაც ეცნობა საქართველოს მთავარმართველსო. შემდეგ ჩამოთვლილია ნუცმან-ბეგის კუთვნილი ქობლიანის ხეობასა და ახალციხის სანჯაყში მდებარე სოფლები, რომელიც დროებით თავის მფლობელობაში აიღო სამმართველომ იმ მიზნით, რომ შემდეგში ეს მამულები სახაზინო უწყებისათვის გადაეცა<sup>4</sup>.

სოფ. მეიდნის შესახებ ჩვენს „დაეთარსა“ და არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ :

1. სოფ. უდესთან ახლო, მის ჩრდილო-დასავლეთით არსებობდა სოფელი მეიდანი, რომელშიც „დაეთარის“ შედგენის დროს 19 კომლი იყო და რომელსაც შეწერილი ჰქონდა 5 000 ახჩად შეფასებული სხვადასხვა გამოსაღები.

2. 1830 წლებში სოფ. მეიდანი მთლიანად გაუჟაკრიელდა, რადგანაც მისი გამაჰმადიანებული და რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებული მოსახლეობა ოსმალეთს გადავიდა.

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 57, გვ. 13r

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24 r.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 32 r.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 66 r.

3. გასული საუკუნის 30-იან წლებამდე ქობლიანის ხეობის სხვა მრავალ მამულთან ერთად სოფ. მეიდნის მფლობელები ყოფილან სამცხე-საათაბაგოში ძველი დიდგვარიანი მემამულეების — სურციძე-ჩორჩანელების გამაჰმადიანებული შტოს უშუალო მემკვიდრენი — მეიდნის ბეგის სულეიმან-ბეგის-ძენი: ნუჰმანი, მკჰედ ემინი, აჰმედი (გარდაიცვალა 1823 წელს) და ასლან ბეგები<sup>1</sup>.

4. სამცხე-საათაბაგოს ოსმალთა მიერ დაპყრობისას სურციძე-ჩორჩანელებს მაჰმადიანობა მიუღიათ და ოსმალთა სულთანსაც არ დაუყოვნებია სათანადო სიგლით (ბარათით) ებოძა და (ოსმალური მიწათმფლობელობის წესების მიხედვით) შემომეტყიცებინა სურციძეთათვის ოდითგანვე მათდამი კუთვნილი მამა-პაპეული ადგილები.

5. 1835 წელს ნუჰმან-ბეგი სულეიმანის-ძეც (შეიძლება უკანასკნელი წარმომადგენელი მაჰმადიან სურციძე-ჩორჩანელების გვარეულობისა) გადაღის ოსმალეთში, ხოლო სოფ. მეიდანი და სხვა მათი მამულები სომხური (აღბათ ახალციხის) ეკლესიის მფლობელობაში რჩება.

3. სოფ. ზემო და ქვემო ორქოშანი — اورجو شان علیا و سفلی (I 7, 54; II 8, 58). დედანში (გვ. 54) ორქოშან სიტყვას ყველგან დიაკრიტული ნიშანი უზის (I წიგნში 54-ე გვერდზე შეცდომით اورجو شان-ია დაბეჭდილი; უნდა იყოს اورجو شان — ქართული კ თანამოვანი ح ასოთი გადმოიცემა). საარქივო მასალებში და ე. წ. სიგეშიც ეს სახელი დამახინჯებულია: Орджониун<sup>2</sup>, Орчашан<sup>3</sup>, Арчешанский<sup>4</sup> და სხვ. ორქოშანი მდებარეობს სოფ. მარელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფოცხოვის წყლის მარჯვენა სანაპიროზე. ადიგენის რაიონის მარელის სასოფლო საბჭოში შედიოდა მარელ, ხონა და წარბასთუბან სოფლებთან ერთად.

<sup>1</sup> სურციძეთა გვარეულობის მეორე შტო მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაში გადასულა და შემდეგში ცნობილი გახდა ისარლიშვილის გვარით. ამის შესახებ და საერთოდ სურციძეებზე საკმაოდ ბევრი ცნობა (სამწუხაროდ წყაროებზე მიუთითებლად) აქვს მოტანილი ხ. კიკინაძეს წიგნში „ისტორია ზურსიძის (ისარლივი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი“ (თბ., 1904). ხ. კიკინაძემვე აღნიშნა ისარლიშვილი საგვარეულო სახელის თურქული წარმომავლობა: „ამ დროის ახალციხის მცველთ, ანუ „ციხის თავთ“ ოსმალური სახელი ეწოდათ, ე. ი. „ციხისთავის“ მაგიერ „ისარლი“ ანუ „ისარლი ალასი“; შემდეგ ამ სურციძეებს გვარადაც-ი დაერქვათ ისარლიო (ისტორია ზურსიძის (ისარლივი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი, გვ. 51, 52). არაბულ-თურქულ حصار (hişār ‘ციხე’) სიტყვას სა-მართლიანად დაუკავშირა ისარლიშვილის გვარის სახელი აგრეთვე აკად. ნ. ბერძენიშვილმა (ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, „მიმოზილველი“, II, თბ., 1951, გვ. 58). მართლაც hişār (არაბ.) ‘ციხე’, hişārli (არაბ.-თურქ.) ‘მეციხოვნე’, ‘ციხისმფლობელი’; ფეოდალურ თურქეთში hişārli იყო თანამდებობის პირი, რომელიც ოსმალთა სასახლურ ზონაში ფლობდა მამულს, რისთვისაც მას ევალებოდა სასახლურ ციხის დაცვა და შენახვა (J. W. Redhouse, A turkish and english lexicon, 1921, გვ. 788; M. Z. Pakalin. Osmanlı tarih deyimleri ve terimleri sözlüğü, I, ნაკვეთი IX, სტამბოლი, 1950, გვ. 843).

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 6 v.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 77, ს. 47, გვ. 3v.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 77, ს. 27, გვ. 21 v, 22r.

4. სოფ. ირქა ადგილით *ايرک-کوک* (I 7, 55; II 8, 59); დედანშია *ايرک* (გვ. 55), რაც დიაკრიტული ნიშნით იქნება *ايرک*. ირქის შესახებ ადგილიდან მ. მერაბიშვილისა და ა. მანველიშვილისაგან ჩვენ ასეთი ცნობა მივიღეთ: „ირქა სოფელი არ არის, მარტო ეკლესიაა; ვალესთან ახლო მდებარეობს“. არქივისეულ პირველსა და მეორე სიაში 63 და 62 ნომრების ქვეშ ამ სოფლის სახელად აგრეთვე *Ирха* გვაქვს<sup>1</sup>. ირქას სწორად ამოკითხულობას ადასტურებს აგრეთვე არქივიზივე დაცული 1832 წლის ერთი ქართული საბუთი, რომელშიც წერია: „აკოფ ქაჩხუიოვს ჰქონია ირქისა ნასყიდობა..., რომელში ვალეს გლეხნი სთესენ და მოეთხოოს კუბჩა მაგა პრავლენიასგან“<sup>2</sup>. მართალია, „დაეთრის“ მიხედვით სოფ. ირქა უდის რაიონში შედის, მაგრამ ტერიტორიულად იგი ვალესთან ახლოა და საარქივო მასალა მას ვალეს უკავშირებს: ამ ხანებში (1832 წ.) საარქივო მასალების მიხედვით ირქაში უკვე ნოსახლეობა არ არის და ეს ნასოფლარი სოფ. ვალის სათესველი ადგილია<sup>3</sup>. „დაეთრის“ დროისათვის ირქა 5 კომლიანი სოფელია. მისი ადგილმდებარეობის გასარკვევად მნიშვნელოვანია „დაეთარში“ მინაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ ირქა ორქოშნის წყალთან ახლოსაა. „სოფელ ორქოშნიდან, ნათქვამია აქ, მომავალი მდინარით იხარგებლონ ხსენებული (ე. ი. ირქის) სოფლის მცხოვრებლებმა“-ო (II, 59). ირქასთან დასახლებულად უბნის სახელი *کوک* შეიძლება კოქები ან ქოქები იყოს.

5. სოფ. ბოლაჯური — *بولاجور* (I 7, 55; II 8, 60). დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ სიტყვის ამოკითხულობის სისწორე ექვს გარეშეა. სამიელნიებო მუშაობის დროს მე ამ სოფელში ვყოფილვარ და ადგილობრივი მოსახლეობის წარმოთქმის მიხედვით ჩაწერილი მაქვს ბოლაჯური. ასევეა ეს სახელი ალ. ფრონელთან<sup>4</sup>. გვხვდება ეს სახელი „ბოლაჯურის“ სახითაც და არა მარტო რუსულ საბუთებში, არამედ, ზოგჯერ, ქართულეშიაც. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ერთ „თბოენაში“ წერია: „სოფლებისა: ვალესა, არალ და უდესი ბოლაჯური თურთ...“<sup>5</sup> რუსულ საბუთებში უფრო ბევრია ქანინი ფორმები: *Боладжурь*<sup>6</sup>. სიგეში (გვ. 6 v და 9 v) ეს სახელწოდება დამახინჯებულია: *Буладжор*, *Буладжур*. შეცდომით აქვს ეს სახელწოდება ნახმარი აგრეთვე ექ. თაყაიშვილისაც. ის ყველგან *Баладжур*-ის წერს<sup>7</sup>, ხოლო უფაროვასთან *Баладжур*-იც კია<sup>8</sup>. ოფიციალურ სიაში

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 6 v და ფ. 77, ს. 23, გვ. 9 v.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 16, გვ. 77 v.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 34.

<sup>5</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, თბილისი, 1950, გვ. 62.

<sup>6</sup> სტია, ფ. 77, ს. 47, გვ. 3 v; К. Зиссерман, 16 და სხვ.

<sup>7</sup> Надпись на церкви в деревне Баладжур, СМОМПК, 35, გვ. 112.

<sup>8</sup> Граф. Уварова, Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшети, Псковский участок.



ამ სოფლის სახელად დაბეჭდილია ბოლაჯაური<sup>1</sup>, რასაც არაფერი უხუ-  
საფუძველი არა აქვს. არც ერთ საბუთში ბოლაჯაური არ არის და, რაც  
მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობა ამ სოფელს ბოლაჯაურს არ ეძახდა.  
ეს შეცდომა უნდა გასწორდეს.

დღეს სოფ. ბოლაჯური მდებარეობს ადიგენის რაიონში. ბოლაჯურის  
სასოფლო საბჭოს მთავარი სოფელია, რომელიც აერთიანებს შოლავერ და  
ქვემო ენთელ სოფლებს<sup>2</sup>. მდებარეობს სოფ. სმადის ახლო, მისი აღმო-  
საველეით<sup>3</sup>.

6. სოფ. წყისე — قيسية (I 7, 56; II 8, 60). ერთვერსიანი რუკის  
მიხედვით Цхисე; მდებარეობს უღის სამხრეთით. არქივისეულ ორთავე სიაში  
რალაც შეცდომითა და გაუგებრობით „წყისე“-ს მაგივრად (პირველ სიაში,  
გვ. 6v) Сагис-ყნан-ი და (მეორე სიაში, გვ. 9v) Сагис-ყнаг-ი გვაქვს.  
„წყისე“ სიტყვაში „წ“ და „ყ“ მკვეთრები სათანადო რიგის მგლეგრებით არ  
არის გადმოცემული, როგორც ეს „დავთარში“ საერთოდ მიღებულია. რუ-  
კებზე და კ. ზისერმანთან (გვ. 19) Цхисე-ა, ზოგან კი Цхисე-დაც<sup>4</sup> იწერება.  
Цхисე იხსენიება XIX საუკუნის 20-იანი წლების საბუთებში, სადაც მას შე-  
წერილი აქვს თანხა—4.000 ახჩა (ამდენითვეა ეს სოფელი დაბეგრული „დავ-  
თარში“)<sup>5</sup>. ადიგენის რაიონში „წყისე“-ს სახელით ორი სოფელი იყო ზემო  
და ქვემო წყისე; შედიოდა ზაზალოს სასოფლო საბჭოში.

7. სოფ. ქვემო მარელი — مزارع (I 7, 57; II 8, 61). „დავთარში“  
შედგენის დროს იყო აგრეთვე ზემო მარელი (I 7, 58; II 8, 62); ქვემო  
მარელში 22 კომლია, ხოლო ზემოში—12 კომლი. 1831 წელს აღნიშნულია  
Мария сучаг (= ქვემო მარელი, 5 კომლით) და Мария ула (3 კომლით)<sup>6</sup>.  
შემდეგ ხანებში, მაგალითად 1870 წელს, ცნობილი იყო ერთი მარელი<sup>7</sup>,  
რომელიც ბოლო ხანებში ადიგენის რაიონში იყო სასოფლო საბჭოს ცენტ-  
რი და რომელშიც ორკოშან, ხვანა და წარბასთუბან სოფლები შედიოდა.  
მეორე არქივისეულ სიაში, ვფიქრობ შეცდომით, Марела წერია (გვ. 3 v).  
(იხ. რუკაზე).

8. ზემო მარელი (იხ. ზემოთ).

9. სოფ. ზემო ზანავი ზანავის ეკლესიითურთ — علیا و زنا (I 7, 58; II 8,  
62); მომდევნო სოფელიც (№ 10) ამავე სახელის მატარებელია: შუა ზა-  
ნავი, რომლის მეორე სახელად მოყვანილია წინ-ზანავი — وسطا و زنا ე. ი.  
و زنا (I 7, 59; II 8, 63). ზემო ზანავი და შუა ზანავი თუ იყო, უნდა ვიფიქროთ,

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გვ. თაყაიშვილი, СМОНПК, 35, გვ. 112.

<sup>4</sup> Граф. Уварова, Христианские памятники. МАК, IV, მოსკოვი, 1894, გვ. 93; სცია-  
ფ. 77, ს. 27, გვ. 21 v და 22 r.

<sup>5</sup> სცია, ფ. 47, ს. 57, გვ. 38r, 38v.

<sup>6</sup> სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 17r.

<sup>7</sup> К. Зиссерман, 19.

4. ევემო ზანავიცი უნდა ყოფილიყო. მაგრამ „დავთარის“ დროისათვის ასეთი აღარაა, ხოლო ჩვენ დროში არც შუა ზანავია; არის მხოლოდ ერთი დიდი სოფელი — ზანავი, რომელიც ადიგენის რაიონში ზანავის სასოფლო საბჭოს ცენტრია<sup>1</sup>. არქივისეულ სიებში Занав ұлна (ұлна = „ზემო“<sup>2</sup>) და Занав и Сат (и Сат არაბ. سَطو სიტყვის დამახინჯება = „შუა“) გვაქვს (გვ. 6v და 9v). საარქივო მასალები ამ სოფლებისათვის სხვა ვარიანტის სახელწოდებასაც იძლევა. მაგალითად, ზემო ზანავი ერთგან Занави хянир-адаა<sup>3</sup> ნახსენები, ხოლო შუა ზანავი — Занави Сагир-ად<sup>4</sup>. ზოგჯერ რუსულ მასალებში გააზრების შედეგად Занави-ს ნაცვლად Занови გვაქვს. არქივის საბუთებში გვხვდება გასული საუკუნის 20-იან წლებში სულთნის მიერ გაცემული ბარათი, რომელშიც სხვა სოფლებთან (ჩოფაშენი, მეიდანნი...) ერთად იხსენიება ზანავები (ზანავი ზემო, ზანავი პატარა — кучук — შდრ. არაბ. «сагир» — და შუა)<sup>5</sup>. ზანავი მოხსენებულია სერაპიონ ზარზმელის «ცხოვრებაში» სოფ. ჩორჩანთან ერთად „...გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი შენ-იყენეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა“<sup>6</sup>.

10. სოფ. შუა ზანავი (იხ. ზემოთ: სოფ. ზემო ზანავი).

11. სოფ. გომაროტი (გომარო) — گومارو (I 7, 59, II 8, 63).

„დავთარში“ ამ სიტყვის ბოლოს ორთავე შემთხვევაში, ე. ი. სიაშიცა და ძირითად ტექსტში (იხ. დედანი გვ. 13, 59) ა (დ) თანხმოვანი წერია. ჩვენ ქართულად ა ასო „ტ“-დ წავიკითხეთ, რადგანაც ასეთი ბეკეთრები „დავთარში“ ჩვეულებრივად შესატყვისი რიგის მულერებით გადმოიციემა. შეიძლება, რა თქმა უნდა, „გომაროდ“იც წავიკითხოთ. მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ დღევანდელი წარმოთქმის მიხედვით ამ სიტყვის ბოლოში არავითარი თანხმოვანი არაა და ამ სოფელს გომარო'ს ეძახიან; ასევეა იგი აღნიშნული რუკებზე და ოფიციალურ სიებშიც მისი, როგორც ზანავის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლის სახელად გომარო გვაქვს<sup>7</sup>. არქივისეულ ორთავე სიაშიც ეს სახელი ბოლოკიდური თანხმოვნის გარეშეა მოცემული, ოღონდ აქ თავკიდური თანხმოვანი გაყრუებულია: Комаро (გვ. 6v და 9v). სხვა საარქივო მასალებში Комаро-ც არის აღნიშნული<sup>8</sup>.

12. სოფ. ლელოვანი — لولوان (I 7, 6; II 8, 64). სოფ. ლელოვანმა ჩვენ დრომდე მოაღწია; იგი დღეს ადიგენის რაიონში ლელოვნის სასოფლო

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>2</sup> ამ სიტყვებზე სპეციალურად IV წიგნში.

<sup>3</sup> სტია, ფ. 77, ს. 47, გვ. 3 v.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> სტია, ფ. 47, ს. 57, გვ. 38 r და v.

<sup>6</sup> აღრიხედელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. II ბასილ ზარზმელი, პროფ. დ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 154; შდრ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 53.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>8</sup> სტია, ფ. 77, ს. 47, გვ. 3v; აგრეთვე: К. Зиссерман, 16

საბჭოს ცენტრალური სოფელია<sup>1</sup>, რომელიც იჯარეთ და ყარათუბა-ითხუ-ლებს აერთიანებს. კ. ზისერმანით ლელოვანში 1870 წ. 31 კომლი იყო. — საძღებელია კ. ზისერმანი მართალი იყოს, როცა ლელოვანს თარგმნის სიტყვით Тростниковый<sup>2</sup>. ლელოვანი იხსენიება სულთნის ბარათში, რომლის თურქული ტექსტი და რუსული თარგმანი დაცულია არქივში<sup>3</sup>.

13. სოფ. ზემო ფარეხა მეშენეთ სათესველით (განხილულია ახალციხის ლეივს მზეარის რაიონში აღწერილ სოფ. ქემო ფარეხასთან; იხ. № 23, გვ. 61). არქივისეულ სიებში სოფ. ზემო ფარეხის სახელი რამდენიმედ დამახინჯებულია: Парахай улия (I სია, გვ. 6 v) და Порохай улия (II სია, გვ. 9 v).

14. სოფ. არალი — ارلی (I 7, 61; II 8, 65). დღეს ადიგენის რაიონის უღის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>4</sup>. იხსენიება ი. ნებიერიძესთან: „სოფლებში ზეელს, ორფოლას, არალს და უღეს საამხანაქოდ ყანები გვაქუს...“<sup>5</sup> Aralı გვხვდება აგრეთვე მ. ბროსესთან<sup>6</sup>. გასული საუკუნის 20-იანი წლების საბუთებში გვხვდება სულთნის ბარათი არალ ზე, რომელსაც, ისევე როგორც „დაეთარში“, შეწერილი აქვს 4000 ახნა<sup>7</sup>.

15. სოფ. ღორძე, მეორე ღორძე უბნითურთ — غورج (I 7, 62; II 8, 66). ქართული საარქივო საბუთიც ღორძეს ადასტურებს<sup>8</sup>. „დაეთარის“ შედგენისას საკმაოდ დიდი, 24 კომლიანი სოფელია; 1870 წელს კი ღორძეში მხოლოდ 5 კომლია (ზისერმანი, 19). ამჟამად ადიგენის რაიონის სამყურის სასოფლო საბჭოში შედის სამყურე, კახარეთ და ამხერთან ერთად<sup>9</sup>. არქივისეული სიების მიხედვით Горза с магалой (= არაბ. محلة — უბანი; გვ. 7 r) და Горза (გვ. 9 v). ერთეფისიან რუკაზე ღორძე სამყურესთანაა აღნიშნული.

16. სოფ. კორაშენი — كوراشين (I 7, 62; II 8, 66). ამ სახელწოდების დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და ამოკითხულობა სწორია. ოღონდ საეპეკო იყო თავკიდური კ ქართულ „კ“-ს გადმოსცემდა, თუ ქართულ „ყ“-ს. შემდგომი ძიებით თითქოს გაირკვა, რომ კ-ით აქ „კ“ უნდა იყოს გადმოსცემული. ამხ. ნიკო ნათენაძის ცნობით სოფ. ვალესა და არალს შუა არის ნასოფლარი კორაშენი. წახნელი ისკენდერის მიხედვითაც კორაშენ „არალდან აშალი, ვალეანენ არალზე არასუნდალურ“ კორაშენი —

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 18.

<sup>3</sup> სტია, ფ. 47, ს. 57, გვ. 38 r და v.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>5</sup> ი. ნებიერიძის მოგონებანი..., გვ. 27.

<sup>6</sup> Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie... ჰეტერბურგი, 1850, გვ. 131.

<sup>7</sup> სტია, ფ. 47, ს. 57, გვ. 38 r და v.

<sup>8</sup> სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114.

<sup>9</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

4. ქვემოთ, ვალესა და არალს შუა არის. არქივისეულ სიბეშიც Корпачевский გვაქვს (გვ. 7r და 9v). ამრიგად, მეორე წიგნის „ყორაშენი“ უნდა იკითხებოდეს „ყორაშენად“.

17. სოფ. კახარეთი — كاخارت (I 7, 63; II 8, 67). გასული საუკუნის 30-იანი წლების საარქივო მასალაში ქართულად კახარეთი წერია<sup>1</sup>. ერთეგრისიან რუკაზე კახარეთი სოფ. ლელოვანთანაა აღნიშნული. დღევანდელი ადიგენის რაიონის სამყურის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>. 1870 წელს კახარეთში 22 კომლია აღრიცხული (კ. ზისერმანი, 19).

სოფ. კახარეთთან იხსენიება ჩაირი چاير წყარო = ერბოწყარო (?)<sup>3</sup>

18. სოფ. ჩორჩანი — چورچان (I 7, 64; II 8, 68). დაწერილობა დიაკრიტული ნიშნების გარეშეა, მაგრამ უეჭველია, რომ ამ კონტექსტში ასეთი მონახულობა „ჩორჩანია“. სოფ. ჩორჩანი დიდგვარიან ხურციძეთა სამფლობელოა. ექ. თაყაიშვილით Те из членов этого рода, которые владели деревню Чорчаною в Коблчанском ушелье и крепостью Окрос-шихе (Ал-тун-кага), назывались Чорчанеями (у греков и армян Чордванеями или Чортванеями)<sup>4</sup>.

პროფ. ექ. თაყაიშვილს კიდევ აქვს მოყვანილი Чордванელი და Чортванელი ფორმები ბიზანტიური და სომხური წყაროებიდან<sup>5</sup>. ასეთივე ფორმებით ჩორჩანელ სიტყვა გვხვდება დ. ბაქრაძესთან<sup>6</sup>. ექ. თაყაიშვილს უთუოდ სამართლიანად აქვს ნათქვამი, რომ „ჩორდვანელ-ჩორთვანელ“ ფორმები სომხურ-ბიზანტიურია. მართლაც წარმოუდგენელია, რომ უდავოდ ქართული სოფლის ქართულმა ჩორჩან სახელწოდებამ ქართულში „ჩორჩანელი“-ს გარდა „ჩორდვანელ“ ან „ჩორთვანელ“ ფორმა მოგვეცეს. „დ“ და „თ“ დენტალების განვითარება „რ“ თანხმოვნის შემდეგ სომხური ფონეტიკის ნიდაგზე უნდა აიხსნას<sup>7</sup> და „ჩორდვანელ-ჩორთვანელ“ ფორმები სომხურიდან წარმოშობილად უნდა მივიჩნიოთ.

სოფ. ჩორჩანი „ოძრჯის წყლის დასავლეთით იყო“<sup>8</sup>. ამჟამად ჩორჩანი ადიგენის რაიონში ჩორჩანის სასოფლო საბჭოს ცენტრია<sup>9</sup> და მდებარეობს ახალციხე-ადიგენის გზაზე, ადიგენიდან აღმოსავლეთით ორ კილომეტრზე.

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.

<sup>3</sup> დედანი, გვ. 62. Эрсишаро (ქებალიანში), სცია, თ. 70, ს. 42, გვ. 8, 11, 12.

<sup>4</sup> Зарзский монастырь, его реставрация и фрески... СМОМПК, вып. 35, თბილისი, 1905, გვ. 33, 34, 78, 80 და შემდეგ.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>6</sup> Б. Бакрадзе, АПГА, გვ. 367.

<sup>7</sup> ჩვენ გვქონდა შემთხვევა შეგვეკრიბა მასალები იმის საილუსტრაციოდ, რომ სომხურში დენტალ „დ“ და „ტ“-ს შემდეგ ვითარდება „რ“ თანხმოვანი (დომენტრიოს, სიმინდრო და სხვ.; იხ. ჩვენი „შენიშვნები სიმიდ-სემიდალის შესახებ“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXI ს, გვ. 441. ვფიქრობ, შესაძლებელია პირიქითაც, ე. ი. „რ“ თანხმოვნის შემდეგაც ვითარდება დენტალი თანხმოვანი.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 53.

<sup>9</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 15.

19. სოფ. ყარათუბანი — قاراطوبان (I 7, 64; II 8, 68). ამოკითხულობა ეპქს არ იწვევს. ყარათუბანი ცნობილი სოფელია მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირას. აღიგენის რაიონში ყარათუბანი ლელოენის სასოფლო საბჭოში შედის<sup>1</sup>. უფაროვის ქალის მიერ დასახელებული Харатумани за Ахал-пашом ჩვენი ყარათუბანი უნდა იყოს<sup>2</sup>. Харатуман ზისერმანით ახალციხიდან 22-ე ვერსზე მდებარეობს; მასში ირიცხება (1870 წ.) 14 კომლი (გვ. 18).

20. სოფ. სამყარე — صامقورے (I 7, 65; II 8, 69). დიაკრიტული ნიშანი აქვს და ამოკითხულობა სწორია. ერთეფისიან რუკაზე და ზისერმანთან, ვეიქრობ, შეცდომით Самхре წერია (ზისერმანი, 19). არქივისეულ სიებში ეს სახელწოდება მეტად დამახინჯებულია: Самхори და Самгоры (გვ. 7 r და 9 v). საარქივო მასალებში Самхре და ქართულადაც სამყარე გვაქვს<sup>3</sup>. შეიძლება უფრო სწორი იყოს სამყურე; ასე წარმოთქვამს მას ადგილობრივი მოსახლეობა, ასეა აღრიცხული ოფიციალურ სიაში (სამყურის სასოფლო საბჭოს ცენტრია)<sup>4</sup> და „დავთრის“ დაწერილობაც ამას უჭერს მხარს; თუმცა ისიც შეიძლება დაეუშვათ, რომ სამყურეში უ ხმოვანი გადათურქულების ნიადაგზე იყოს ჩართული.

21. სოფ. ვალისონი — واليسون (I 7, 65; II 8, 69). როგორც ამხ. ნიკო ნათენაძემ ბაცნობა, ვალისონი ნასოფლარია აღიგენის რაიონში მოხე და დერცელ სოფლებს შუა. ვალისონ ნასოფლარის ადგილმდებარეობის დადგენა შეიძლება აგრეთვე იმითაც, რომ სოფ. ღაღვი (I 82; II 84) ნაჩვენებია სოფ. ვალისონთან, ხოლო ღაღვი, დერცელი და მოხე ურთიერთთან ახლო მდებარე სოფლებია. სიებში ეს სახელწოდება Валисун-ადაა მოცემული (გვ. 7 r და 9 v), მაგრამ უფრო სწორია ერთი საარქივო საბუთის მონაცემი: ... пустошь Валисон владения Атабекова Коблянскогo<sup>5</sup>...

22. სოფ. ხონა — خونا სათესველით — خونه (I 7, 66; II 8, 70). 26 კომლიანი დიდი სოფელია, რომელშიც 1870 წ. მხოლოდ 7 კომლია დარჩენილი (ზისერმანი, 19). ვახუშტი ამ სოფელს ხვანას ეძახის: „ხვანას ზეით“ და „ხვანასა და უდეს შორის“; ასევე ხვანა გვაქვს არქივისეულ ქართულ საბუთში<sup>6</sup>. ქართულ დიალექტებში „ვა“ კომპლექსმა შეიძლება „ო“ პროცესს („თქვა“ → თქო, ცხვარი → ცხორი და სხვ.). ამას გარდა, თურქიც „ვა“ კომპლექსს „ო“-დ აღიქვამს ხოლმე (მდრ. ქვაბლიანი → ქობლიანი).

<sup>1</sup> საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>2</sup> Граф. Уварова, Христианские памятники, Мат. по арх. Кавказа, IV, გვ. 93.

<sup>3</sup> პირველ წიგნში შეცდომით ეს სახელი ო ასოს გარეშე დაბეჭდილი, ე. ი. შესაშე ასო ჯამოვარდნილია; სიაში (I 7) სწორადაა დაბეჭდილი.

<sup>4</sup> სტია, ფ. 77, ს. 16, გვ. 123; იქვე, გვ. 126; იქვე, ს. 55, გვ. 6; იქვე, ფ. 47, ს. 80,

გვ. 114 r.

<sup>5</sup> საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.

<sup>6</sup> სტია, ფ. 223, ს. 2, გვ. 8 v.

<sup>7</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 126; სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114.

მე ადგილობრივ მოსახლეთაგან მსმენია, რომ „ხვანა“ ქართულადაა, ხოლო „ხონა“ არ არის ქართული, თურქულიაო. სივრცეში Хоня — გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ საარქივო მასალაში დამახინჯებულია Хуна-დ<sup>1</sup>. ხვანა || ხონა სოფ. მარელთან, ორკოშანთან და წარბასთებანთან მარელის სასოფლო საბჭოში შედიოდა.

ეს ჩვენი ხონა უნდა იყოს ჯვარის მონასტრის ალაპებში რომ იხსენიება: ამასვე დღესაც ქსენებ<sup>2</sup> დასწავლისაჲ მის რ<sup>3</sup>ი იქმნა ხონას დიდებლის მქლ მთავარანგელოზისა<sup>4</sup>. შესაძლებელია „ამირანდარეჯანიანი“-ს ავტორი მოსე ხონელი ამ ხონა სოფლიდან იყოს<sup>5</sup>. სოფ. ხონასთან დასახელებულია სათესველი خاورا; ნიკო ნათენაძის ცნობით ხონასთან არის ადგილი „დახურილა“-ს სახელითო; თუ ეს სწორია, მაშინ დიაკრიტული ნიშნები კარგად ჩაჯდება خاورا.

23. სოფ. დუნესი — ზარზმის ეკლესიასთან — دونس (I 7, 67; II 8, 70). დუნესი „დავთრის“ შედგენის დროს 7 კომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. დუნესზე მე ჩაწერილი მაქვს „დუნესტა ფეგლარ ვარ“ — ‘დუნესში ნანგრევებიოა’. ნიკო ნათენაძის ცნობით ეს არის ნასოფლარი სოფ. ზარზმის ზეით. ადგილობრივმა მკვიდრმა მ. შადიმანოვმა დაადასტურა ნასოფლარ დუნესის არსებობა და უფრო დააზუსტა მისი მდებარეობა: დუნესი გოდერძა და ზარზმას შუა ადგილას არისო; ზარზმელთა სათესველი ადგილია. ამის შემდეგ ზოპოვებული საარქივო მასალებით უფრო დაზუსტდა ამ ყოფილი სოფლის მდებარეობა: სოფ. ზარზმის მოსახლეობა ითხოვს მიეცეს მას დამატებით სათესველად ზარზმიდან 2 ვერსზე მდებარე ადგილი დუნესი<sup>6</sup>. შემდეგ კიდევ: Зарзская дача в пустоши Дунес да казенная оброчная статья «Дунес»<sup>7</sup>.

24. სოფ. დერცელი — دیرسل (I 7, 67; II 8, 71); თუმცა თურქულის გავლენით „დერსელ“-საც ეძახდნენ ამ სოფელს, მაგრამ ქართული და რუსული საბუთების მიხედვით დამაჯერებლად დასტურდება, რომ ამ სოფლის სახელი „დერცელია“. 1839 წლის ერთ საარქივო მასალაში ქართულად წერია: „და კიდევ ვკითხე მახლობელ სოფლის დერცელის მცხოვრებლებს...“<sup>8</sup> ერთვერსიან რუკაზედაც Дерсел-ია<sup>9</sup> არქივისეულ სივრცეში

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 45, გვ. 1 რ.

<sup>2</sup> ბ. მარი, ალაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა. Синодик Крестного монастыря в Иерусалиме. Грузинский текст с 16 палеографическими рисунками мзда Н. Марр, პეტერბურგი, 1914, გვ. XIII.

<sup>3</sup> სავრთოდ „ამირანდარეჯანიანიზე“ და მოსე ხონელზე იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მეწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 56-82.

<sup>4</sup> სცია, ფ. 223, ს. 7, გვ. 12 ო, 52 რ.

<sup>5</sup> სცია, ფ. 223, ს. 53, გვ. 2 რ; იქვე, ს. 7, გვ. 37 რ.

<sup>6</sup> სცია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114 რ.

<sup>7</sup> ასევე: სცია, ფ. 77, ს. 16, გვ. 123 და აგრეთვე შრომაში: Г. Казбек, Три жеслица в Түркенной Грузии, Записки КОИРГО, X, вып. I, თბილისი, 1876, გვ. 1, 3.

თურქიზებული ფორმებია *Дерсель* და *Дерсел* (გვ. 7 r და 9 v). დერცელი დღეს ადიგენის რაიონის მოხის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>1</sup>.

25. სოფ. საირმია — سايرميه (I 7, 68; II 8, 71). „დაეთარში“ საირმია-დ არის აღნუსხული ეს სოფელი, მაგრამ ეს შეცდომით უნდა იყოს. თანამედროვე მოსახლეობა მას „საირმე“-ს ეძახის. ერთვერსიან რუკაზე, ისევე როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულ რუკაზე ამ სოფლის სახელად ჩვენ საირმე გვაქვს. სოფ. საირმე კეკელის სასოფლო საბჭოში შედიოდა. არქივისეულ სიებში Саирма გვაქვს (გვ. 7 r და 9 v), ე. ი. ისევე როგორც დაეთარშია, რაც ზედმეტად მოწმობს იმას, რომ არქივისეული ორივე სიის ერთადერთი წყარო სწორედ „დაეთარია“. Саирме მოხსენებულა XIX ს-ის 20-იანი წლების ერთ ბარათში, რომლის თურქული პირი და რუსული თარგმანი ინახება არქივში (ამ ბარათის მიხედვით, საირმეს იმდენივე თანხა აქვს შეწერილი, რამდენიც „დაეთარში“ (4 000 აზჩა)<sup>2</sup>. ზისერმანსაც აქვს Саирме, რომელიც ახალციხიდან 29 ვერსზე მდებარეობს და რომელიც 1870 წელს 8 კომლს დაითვლის<sup>3</sup>.

26. სოფ. ჩორჩისი (?) — چورچيس (I 7, 68; II 8, 72). ორთავე *ჯ* ასო დიაკრიტულნიშნინა და, თითქოს, ამ სოფლის სახელი „ჩორჩისი“ უნდა იყოს, თუმცა მე-5 ასოს ნიშანი არა აქვს და ეს საეჭვოდ ხდის ასეთ ამოკითხვობას. არქივისეულ სიებში გვაქვს: Джорджис და Джорджис (გვ. 7 r და 9 v). შესაძლებელია ამ შემთხვევაში Дж (=ჯ) ასო ქართული მკვეთრი კ თანხმოვნის გადმოძეგმი იყოს. მაშინ გვექნება „ქორქისი“. სხვა მონაცემი არაფერი არა გვაქვს და საკმაოდ დიდი სოფელი (12 კომლიანია) ამოუცნობი გერჩება.

27. სოფ. სუმუხთუბანი — صومخوتان (I 7, 69; II 8, 72). სიტყვის პირველი ნაწილი ნიშნებიანია, ხოლო მეორე ნაწილი რომ „უბან“ სიტყვაა — ეს ექვს არ იწვევს. ამდენად ეს სახელი სწორად უნდა იყოს ამოკითხული. რუკებზე და სხვა ლიტერატურაში არ გვხვდება. არქივისეული სიების მიხედვით გვაქვს: Самхутубань (გვ. 7 r) და Соххутубан (გვ. 9 v). შემდეგში ჩვენ შეგვხვდა თურქული ნასყიდობის საბუთის რუსული თარგმანი, რომელშიც ამ პუნქტის სახელად მოცემულია Сумхутубань<sup>4</sup>. ამდენად შესაძლებელია სო-მეხთუბანი (II წიგნი) კი არა, სუმუხთუბანი (←სუმუხთა უბანი) იყოს.

28. სოფ. ხურო — خور (I 7, 69; II 8, 73). ერთვერსიან რუკაზე: Хуро, ადგილობრივ მკვიდრთა წარმოთქმით აგრეთვე: ხურო. Хуро-ს სახელწოდებითვე შედიოდა ეს სოფელი უღესთან და არალთან ერთად უღის სასოფლო საბჭოში. ქართულ თარგმანში (II წიგნი) „ხურო“ მაქვს იმიტოპ, რომ დედანშია خور. ბოლოკიდური „ასო, ან ე-დ იკითხება, ან ა-დ, მაგრამ ო ხმოვნად არასოდეს. ასეცაა (Хора) წაკითხული ეს ასო არქივისეულ

<sup>1</sup> საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 57, გვ. 38 r და v.

<sup>3</sup> К. Зиссерман, 17.

<sup>4</sup> სტია, ფ. 223, ს. 8, გვ. 12r.

სიებში (გვ. 7 რ და 9 v). მე შგონია აქ ძალაში შედის თურქული ფონეტიკური კანონი იმის შესახებ, რომ ღია ბაგისმიერი ო ხმოვანი თურქულში პირველ მარცვალს იქით არა გვაქვს<sup>1</sup>. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ აქ 'ხურო' خورو-დ არაა დაწერილი. ჩვენ მსგავსი მაგალითები კიდევ მოგვეპოვება: „კუმურდო“ სიტყვაში ბოლოკიდური ო ვავით არაა გადმოცემული<sup>2</sup> და სხვ. ხურო-დ უნდა გასწორდეს „დაეთრის“ სიაში (გვ. 8) და აგრეთვე II წიგნის 80-ე გვერდზე ხურა-დ გადმოცემული სახელი ამ სოფლისა. სოფელს მიწერილი აქვს მამული ٧١٠٠-ის სახელით, რომელიც ამოუკითხავი რჩება.

29. სოფ. ჩოფაშენი — چوفاشين (I 7, 70; II 8, 73). ნიკო ნათენაძისაგან მიღებული ცნობის მიხედვით ორკოშანსა და წარბასთუბანს შუა ერთ ნასოფლარს ეძახიან ჩოფაშენს. ეს ცნობა შემდეგში გამართლდა და ამდენად დედნისეული დაწერილობა چوفاشين (დედანი, გვ. 68) უნდა წაკითხულ იქნას چوفاشين — ჩოფაშენად. არქივისეულ სიებში ბ-ანიანი ფორმები გვაქვს: Чобашен (გვ. 7 რ) და უფრო დამახინჯებული Чобашен (გვ. 9 v). ხუთყერსიან რუკაზედაც (Р. Д.) Чобашен-ი გვაქვს. 1956 წელს უდელმა მკვიდრმა ლატიფმა ბარათაშვილმაც დაადასტურა, რომ ამ ნასოფლარის სახელი ჩოფაშენია. კობაშენი (II წიგნში) უნდა გასწორდეს ჩოფაშენად. XIX ს-ის 40-იან წლებში არსებობს Чолашинский пост.<sup>3</sup> 1870 წ. ჩოფაშენში საკორდონო პოსტია, სადაც 18 ყაზახ-რუსი ბინადრობს<sup>4</sup>.

30. სოფ. ავხერი — اوخير (I 7, 71; II 8, 74). არქივისეულ სიებშიც Avxer-ი გვაქვს (გვ. 7 რ, 9 v); ხუთ და ერთეერსიან რუკაზედაც Avxer-ია, მაგრამ ადგილობრივი მკვიდრები (მაგალითად, მ. მერაბიშვილი) „ამხერ“-ს უწოდებენ. საარქივო მასალაში ქართულად ამხერი იხვევ, როგორც თანამედროვე პრესაშიც ამხერ-ად იწოდება<sup>5</sup>. ვფიქრობ ამხერი უფრო ძველი ფორმაა, შემდეგში ბაგისმიერი სპირანტი „ვ“ თანხმოვანი შესცვალა ხშულმა ბაგისმიერმა „მ“ ბგერამ. საარქივო მასალებში ეს სახელი გვხვდება მეტათეზიანი ფორმით Ахир-ი<sup>6</sup>. თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით სოფ. ამხერი სამყურესა, კახარეთსა და ლორქესთან ერთად შედის სამყურის სასოფლო საბჭოში<sup>7</sup>.

31. სოფ. ზემო მოხე — ქვემო მოხე უბნითურთ — علی موخه (I 7, 71; II 8, 74). უნდა აღინიშნოს ერთი: ამ სოფლის აწინდელი სახელია მოხე. ადიგენის რაიონში არსებობს მოხის სასოფლო საბჭო, რომელშიც შედიან მოხე, დერცელ, კეხოვან, კიკიბო, ნამნიაურ და ციხისუბან სოფლები. მაგრამ

<sup>1</sup> Э. В. Севортян, Фонетика турецкого литературного языка, Москва, 1955, გვ. 38.

<sup>2</sup> დაეთარი, I, გვ. 225, II — كومورادی კუმურდი.

<sup>3</sup> სტია, ფ. 70, ს. 14, გვ. 10 რ.

<sup>4</sup> К. Зиссерман, 19.

<sup>5</sup> სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114 რ; „კომუნისტი“, 1945, 31. III-ის № 64, გვ. 2; შდრ. с. Ахери („Заря Востока“, 3. II. 1957).

<sup>6</sup> სტია, ფ. 77, ს. 27, გვ. 21 v, 22 რ.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.



ამ სახელის მოცემული დაწერილობა „დავთრის“ ე. წ. სიაში *موخير* (დედნის გვერდი 13, I 7, II 8) იკითხება მოხერა'დ, ხოლო „დავთრის“ ძირითად ტექსტში *موخر* გვაქვს, ე. ი. *خ*-ს შემდეგ *ى* ასო არ არის; წაიკითხება კი ისევე მოხერა-დ. ჩვენი უყურადღებობით ტექსტის ძირითად ნაწილში როგორც I, ისე II წიგნში გვაქვს დაბეჭდილი *مو* „მოხე“, უნდა კი იყოს, როგორც სასიო ნაწილშია (I 7; II 8) — „მოხერა“. ასეა „დავთრის“ მიხედვით. როგორ მივიღეთ თანამედროვე „მოხე“ „მოხერა“-საგან ძნელი სათქმელია. საარქივო სიებშიც შეკვეცილი ფორმით გვაქვს: *Мухей чина* (გვ. 7r, 9v); დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს *Мохей чина* (მ აქ სპარსულ იზაფეთში სახლერულ-მსახლერელის შემაერთებელი ხმოვნის რეფლექსია რუსულში). ერთვერსიან რუკაზე *Мохе* გვაქვს ისევე, როგორც მ. ბროსეტსთანაც ეგ სოფელი *Мохе*-დ იხსენიება<sup>1</sup>.

32. სოფ. კეხოვანი — *كخوان* (I 7, 72; II 8, 75). ერთვერსიან რუკაზეც *Кехован*-ია. დღეს კეხოვანი მოხის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>. ექ. თაყაიშვილთანაც *Кеховани*-ა<sup>3</sup>. არქივისეულ სიებში სწორად არაა ამოკითხული და მოცემულია *Кехван* (გვ. 7r, 9v). 1870 წელს კეხოვანში ნაჩვენებია 9 კომლი; მდებარეობა მისი განსაზღვრულია ახალციხიდან 35 ვერსზე<sup>4</sup>.

33. სოფ. ამხა — *عفا* (?) ადგილითა და *كوزار* სათესველით (I 7, 72; II 8, 75). დედანში — *عفا* (გვ. 69), დიაკრიტული ნიშნით *عفا*; ამოკითხულია ამხა-დ, მაგრამ რადგანაც ასეთი პუნქტი არც რუკებზე იყო და, „დავთრის“ ამოშიფრვაზე მუშაობის დროს, არც სხვა წყაროდან იყო რაიმე ცნობილი ამ სოფელზე, მისი სახელი კითხვითი ნიშნით დაიბეჭდა. ამეამად სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სოფლის სახელი ამხაა. ჯერ ერთი, არქივისეულ ორთავე სიაში წერია *Амха*<sup>5</sup>; გარდა ამისა, მეორე სიაში ვადასახადთა საერთო ჯუმალი ამ სოფლისათვის ნაჩვენებია 8 000 ახჩა, ე. ი. ზუსტად იმდენი, რამდენიც მას შეწერილი აქვს „დავთარში“ (II 75). 1848 წლის საარქივო მასალებში, მათ შორის ქართულ მასალებშიც, ამხა რამდენიმეჯერ იხსენიება, მაგრამ უკვე როგორც უკაცრიელი ადგილი, რომლის  $\frac{1}{3}$  ხაზინას, ხოლო  $\frac{2}{3}$  კიდევ შემამულეებს — დურსუნ-ბეგ სულეიმან-ბეგ-ოღლისა და იაკობ ქაჩხოვეს ეკუთვნით. როგორც „დავთარში“ სოფ. ამხა ნაჩვენებია სოფ. კეხოვნის (იხ. II, იქვე) შემდეგ, ისევე საარქივო მასალებშიც ამხა სოფ. კეხოვანთანაა დაკავშირებული: *При посту Кехованском скошено сено с урочища, называемого Амха...*<sup>6</sup> ან კიდევ *Кехованский пост имеет сенокосное место, называемое Амха*<sup>7</sup> ამრიგად, ორი

<sup>1</sup> M. Brosset, Rapports... II, გვ. 136.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>3</sup> Зарямский монастырь... СМОМПК, вып. 35, 112.

<sup>4</sup> К. Зиссерман, 18.

<sup>5</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 7r და ფ. 77, ს. 23, გვ. 9v.

<sup>6</sup> სტია, ფ. 70, ს. 24, გვ. 21 v.

<sup>7</sup> სტია, ფ. 70, ს. 14, გვ. 9 v.

სხედასხვა წარმოშობის წყაროს („დაეთარი“ და XIX საუკ. პირველი ნახევრის საარქივო მასალები) მიხედვით ამხა ჯერ სოფელია კეხოვნის ახლო-ხლო შემდეგ ნასოფლარი და კეხოვნის სათიბი ადგილი. ექ. თაყაიშვილის მიხედვით უფრო ზუსტდება ამხის მდებარეობა: Церковь таких же размеров в Амхской даче, недалеко от селения Кеховани ... сел. Амха выше Зарямс<sup>1</sup>. ამრიგად, სოფ. ამხა სოფ. კეხოვანთან ახლო ყოფილა (სოფ. კეხოვანი ადიგენის რაიონის მოხის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია ქვაბლიანის წყლის მარჯვენა ნაპირას) და, ამდენად, ამ ნასოფლარის ადგილმდებარეობის დაზუსტება ადვილია.

სოფ. ამხა „დაეთარის“ შედგენის დროს ათკომლიანი სოფელია. აკად. მ. ბროსეს სოფ. ახაშნის (თანამედროვე ასპინძის რაიონის სოფელი, II 134) სასაფლაოზე უპოვია ქვა წარწერით: „ქრისტე შეიწყალე ამ ხეველი თეოდორე ორთავე<sup>2</sup> ამინ“<sup>3</sup>. შესაძლებელია იფიქროს კაცმა, რომ აქ მოხსენებული თეოდორე სოფ. ამხიდან იყო. დაბრკოლებას ქმნის ის ამბავი, რომ „ამხა“-დან ამ ტიპის წარმონაქმნი „ამხელი“ უნდა ყოფილიყო, თუმცა შესაძლებელია „ამხეველი“ ფორმაც.

ამრიგად, „ამხა“ სახელწოდება სწორადაა ამოკითხული და I-სა და II წიგნში კითხვითი ნიშნები უნდა მოიხსნას.

სოფ. ამხასთან დასახელებულია عو უბანი და كوزو زار ساتესველი.

34. სოფ. ჩანჩაფური چانچانچ. (I 7, 72; II 8, 76). პირველისა და მეორე წიგნის დაბეჭდვის შემდეგ ამხ. ნიკო ნათენაძემ მაცნობა, რომ სოფ. მლაში მდამოებში მოიპოვება ნასოფლარი ჩანჩაფური-ო. სიტყვის მოხაზულობა სწორად იყო გაცემული და სათანადო დიაკრიტული ნიშნების დასმის შემდეგ ჩვენ გვაქვს چانچانچ (იხ. დედანი, გვ. 70). ამის შემდეგ ჩვენ შევისწავლეთ საკმაოდ ბევრი საარქივო მასალა, რომლებშიც ამ სოფლის სახელი ამგვარად გვაქვს: Джанджаңур და Джанджаңур (საარქივო სიები, გვ. 7 v და 9 v), აგრეთვე Чанчаңур<sup>4</sup>. ინტერესმოკლებული არაა ამ შემთხვევაში ასეთი ცნობაც, რომლითაც უფრო ზუსტდება ჩანჩაფურის ადგილმდებარეობა: Препровождая при сем прошение 12-ти домохозяев сел. Занав, Ахаджихского уезда, ходатайствующих об отводе им в надел участка «Чанчаңур»<sup>5</sup>. უფრო საინტერესო და სანდოა ერთი ქართული საბუთის მონაცემი: „ჩანჩაფურის თავობაზე ვკითხე მახლობელ სოფლელებს — პატარა სნაღლეებს“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Зарямский монастырь... СМОМПК, вып. 35, 112 და Граф. Уварова, МАК., გვ. 93.

<sup>2</sup> Sic!

<sup>3</sup> M. Brosset, Rapports... II, გვ. 150; შდრ. ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, 7-8.

<sup>4</sup> სცია, ფ. 77, ს. 47, გვ. 3 v; იქვე, ფ. 70, ს. 19, გვ. 48 r.

<sup>5</sup> სცია, ფ. 223, ს. 58, გვ. 1 r.

<sup>6</sup> სცია, ფ. 77, ს. 50, გვ. 2 r.

ამრიგად, ამ სოფლის სახელია ჩანჩაბური ან, შეიძლება უფრო მეტად, ჩანჩაფური. აქვე მოხსენებულ სოფელთა გარემოცვაში ჩანჩაფურის ნასოფლარის ლოკალიზება საეცებით შესაძლებელი საქმეა. 1848 და 1859 წლების საბუთებში სოფ. Чанчабурь || Чанчабур (при деревне Адигуи) უკაცრიელად იხსენიება<sup>1</sup>.

35. სოფ. დიდი მლაშე — كركر، ملاشہ (I 7, 73; II 8, 76). „დაეთარში“ აღრიცხულია აგრეთვე პატარა მლაშე (№ 51, I 8, 79; II 9, 81). დიდი მლაშე 12 კომლიანი სოფელია, პატარა მლაშე კი 4 კომლიანი. დღეს ადიგენის რაიონში მხოლოდ ერთი სოფელია მლაშე, რომელიც მლაშის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>. მდებარეობს სოფ. ადიგენის ზემოთ, ქვაბლიანის წყლის მარცხენა ნაპირას, ს. ზარზმის გამოღმა. არქივისეულ სიებში საკმაოდ შერყენილადაა მოცემული მლაშეების სახელი: Млаша Мурзук (უნდა იყოს Млаше-и Бозорг — 'დიდი მლაშე') და II სიაში Мулаша Мурзук (გვ. 7 v და 9 v), უფრო დამახინჯებულია პატარა მლაშის სახელი — Муласай кучук (გვ. 7 v და 10 r; უნდა იყოს Млаше-и Кучук).

36. სოფ. ზაზალო — زازالو (I 7, 73; II 9, 77). ერთეგრსიან რუკაზე — Зазало; მდებარეობს უღის სამხრეთ-დასავლეთით. იყო ზაზალოს სასოფლო საბჭოს ცენტრალური სოფელი (ზაზალო, ზემო წყისე და ქვემო წყისე). შესაძლებელია ქართულად ამ სოფლის სახელი ასე არ იყო, მაგრამ მე ვერ მივაკვლიე ქართულ წყაროს, რომ ნამდვილი სახელი დამედგინა. ადგილობრივ მოსახლეობაში ამ სოფლის სახელად „ზაზოლა“-ც გამოიგონია. 1870 წელს ზაზალო უკვე საკორდონო პოსტია<sup>3</sup>.

37. სოფ. ძინძე ადგილით უტყუსუბანი, ნათენათუბანი (?) და اسكاسان. زنى او داغوسان (I 7, 74; II 9, 77). ეს სახელი დედანში ძლიერ გარკვეული დაწერილობითა და დიაკრიტული ნიშნებითაა წარმოდგენილი — زنى - 'ზნზე' (დედანი, გვ. 71); იგი ძინძე-დ იკითხება. 1930 წელს მე შემთხვევა მქონდა ვყოფილიყავი ამ ადგილებში; „დაეთარში“ ნაჩვენები 16 კომლიდან ამ სოფელში დარჩენილიყო მხოლოდ 1 კომლი; დანარჩენები, როგორც ჩანს, გადასახლდნენ იქვე. ცოტათი ზემოთ, უტყუსუბნად წოდებულ უბანში, რომელიც აქ ძინძეს მაჰალლე-დ იხსენიება. გარდა იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ძინძეს ეძახის, ეს სახელი დამოწმებული გვაქვს ჩვენ აგრეთვე ბასილ ზარზმელის თხზულებაში: „მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძე დ სახელდებულსა“<sup>4</sup>. არქივისეულ სიებში ამ სოფლის სახელად გვაქვს Зинзи<sup>5</sup>, რაც زنى დაწერილობის პირდაპირი გადმოცემის შედეგია. „დაეთარის“

<sup>1</sup> სცია, ფ. 70, ს. 4, გვ. 9 v; იქვე, ფ. 70, ს. 60, გვ. 6 v.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>3</sup> სცია, ფ. 70, ს. 59, გვ. 3 r, K. Зиссерман, 19.

<sup>4</sup> ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I იონანე საბანისძე, II ბასილ ზარზმელი, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკლევით, თბილისი, 1935, გვ. 153.

<sup>5</sup> სცია, ფ. 47, ს. 20, გვ. 7 v და ფ. 77, ს. 23, გვ. 9 v.

წამკითხველმა ვერ გაითვალისწინა, რომ ამ შემთხვევაში *z* ქართული *d* თანხ-  
მოვანს გადმოსცემს, ხოლო *z* ბოლოკიდურ მდგომარეობაში ე-დაც იკითხება.

უფრო საინტერესოა ამ სოფელთან დაკავშირებული მეორე გეოგრა-  
ფიული სახელი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „უტყუსუბანს“ ეძა-  
ხის. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ხალხს სწორად დაუცავს ეს სიტყვა. ამის  
გახაზვა იმიტომაა საჭირო, რომ გააზრების შედეგად ზოგი მას „უთხის-  
უბანს“ ეძახის<sup>1</sup>, ზოგი კიდევ УРТИХ-УБАН-ს<sup>2</sup> და სხვ.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ამ პუნქტის სახელწოდება შემ-  
დეგი სახითაა წარმოდგენილი: მონასტრის საშენებლად სამცხეს მომავალი  
პირები... „ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჭევისასა, რო-  
მელ არს უტყუსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელდებულსა...“<sup>3</sup>  
დღევანდელი სოფ. უტყუსუბანი სწორედ „დასასრულსა“ იმ ხევისა, რომე-  
ლიც ზარზმასთან გამოეყოფა ქობლიანის ხეობას და მიემართება აჭარისაკენ  
(გოდერძის ულელტეხილსაკენ). გარდა იმისა, რომ ამ ხევს „უტყუს“ ხევი-  
რქმევია, ისიც ირკვევა, რომ სამცხეში მომავალი ძმანი გოდერძის ულელტე-  
ხილით გადმოსულან, ძინძე ამ ულელტეხილთან ყოფილა და ეს ხევი საერ-  
თოდ ზარზმად წოდებულ ადგილამდე X საუკუნეში დასახლებული ჯერ კი-  
დევ არ ყოფილა („რამეთუ უდაბნო იყო“). შემდეგში სწორედ ამ ადგილას  
სოფ. ძინძის ერთ-ერთ მაჰალეს (უბანს) დარქმევია „უტყუსუბანი“, რომელ-  
შიც 1859 წელს მხოლოდ 1 კომლი ირიცხება<sup>4</sup>. „უტყუს-ს ღიფთონგს ახალ  
ქართულში შეეძლო მოეცა „ეი“ მარცვალი<sup>5</sup> და ამდენად სწორი უნდა იყოს  
საარქივო მასალებში დაცული ამ ადგილის სახელები: УТКВИСУБАНСКИЙ, УТ-  
КВИСУБАН და ქართული საბუთის უტყვისუბანი<sup>6</sup>. შემდეგში თურქულად მეტ-  
ყველთა წარმოთქმით შეიძლებოდა „უტყუს“ სიტყვისაგან „უტყუსუბანი“ც მი-  
გველო. ამ სახელით (უტყუსუბანი) სოფელმა ჩვენ დრომდე მოაღწია. 1901 წ.  
უტყუსუბანში 10 კომლია აღრიცხული<sup>7</sup>. მეორე უბანს პირობით ნათენათ-  
უბნად ვკითხულობ, ხოლო მესამე უბნის სახელი ამოუკითხავად რჩება.

38. სოფ. წარბასთუბანი — *فرانسوبان* (I 7, 74; II 9, 78). ადგილობ-  
რივ მკვიდრთა წარმოთქმით ეს არის წარბასთუბანი. ერთვერსიან და  
სპეტ, რუკებზე და ზისერმანთან გვაქვს Царбастуман-ი<sup>8</sup>. „დავთრის“ ვა-

<sup>1</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 28; არავინ. ახალციხის ამბები, „ივერია“, 1901, № 127.

<sup>2</sup> Е. Такайшвили, Надпись на кресте в Уртхис-ушани и сведения о других памят-  
никах к западу от Зарэмы, СМОМПК, вып. 35, стр. 111-117.

<sup>3</sup> პართ. კ. კვციძე, დასახლებული ნაშრომი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 153.

<sup>4</sup> სცია, ფ. 70, ს. 59, გვ. 3 რ.

<sup>5</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 18.

<sup>6</sup> სცია, ფ. 77, ს. 27, გვ. 21 ვ, 22 რ; იქვე, ფ. 77, ს. 34, გვ. 8 რ; იქვე, ფ. 47, ს. 80, გვ. 114 რ.

<sup>7</sup> არავინ, ახალციხის ამბები, „ივერია“, 1901, № 127.

<sup>8</sup> К. Эссерман, 19.

რინტში თ თანხმობანი გამოვარდნილია შემთხვევით. არქივისეულ სიებში *Запретных* გვაქვს (გვ. 7 v და 9 v). ამ მონაცემების მიხედვითაც (თ თანხმობანი ყველგან არის) და უმთავრესად მაინც იმიტომ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ სოფელს „წარბასთუბანს“ ეძახის, შეიძლება ამ სოფლის სახელწოდებად დადგინდეს წარბასთუბანი (შდრ. ყარათუბანი, აბასთუბანი და სხვ.). ამდენად ოფიციალური სიის „წარბასთუმან“<sup>1</sup> ვარიანტი სწორი არ არის. დღეს წარბასთუბანი უღის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>2</sup>.

39. სოფ. კორტოხეთი — *کورخوخت* (I 7, 75; II 9, 78). ეს სიტყვა დიაკრიტული ნიშნებითაა და „კორტოხეთ“-ის წაკითხულობა ექვს არტოვებს. ამდენად საინტერესოა ამ სოფლის ჩვენ დრომდე ზოღწეული სახელი „კორტოხი“. ადგილობრივ მოსახლეობაში დღეს მხოლოდ „კორტოხია“. სოფ. კორტოხი ზედუბნის სასოფლო საბჭოში შედიოდა ღორთუბან, აფიეთ, გუგუნაურ და ზედუბანთან ერთად<sup>3</sup>. ერთვერსიან რუკაზედაც *Кортох*-ი წერია. ასევე *Кортох*-ი გვაქვს არქივისეულ ორთავე სიაში (გვ. 7 v და 9 v). „ეთ“ აფიქსი შემდგომ ხანებში დაკარგულია. თავის დროზე კორტოხი საკმაოდ მოზრდილი, 16 კომლიანი სოფელი ყოფილა.

სოფ. კორტოხეთთან იხსენიება ჩაირი *چاير* (I 76; II 79), რომლის ამოკითხვა ვერ ხერხდება დიაკრიტული ნიშნების უქონლობის გამო.

40. სოფ. ზართა — *زرتا* (I 7, 76, II 9, 79). ზართა დღეს ნასოფლარია ს. კულესა და ადიგენს შუა<sup>4</sup>. დიალექტოლოგიური მასალების კრებულში მიწერია: „ზართადა ვებლდნან მიღვთ ვარ იმიშ“ — „ზართაში უწინ ხალხი ყოფილა“<sup>5</sup>. არქივისეული ორივე სიაც *Зарта*-ს ადასტურებს (გვ. 7 v და 9 v). მოვიყვანთ ჩემ მიერ ჩაწერილ მეორე ცნობასაც: „ზართა ადიგენის ყარაშენდა, მეშანი ალთუ, თალალუხ, ფეგლარ ვარ. ქობლიან ჩაგნო დანესუნდაღურ“ — „ზართა ადიგენის პირდაპირაა (მალნარი) ტყის ქვემოთ, საყან ადიგლაა, ნანგრეეებია. ქვაბლიანისწყლის გაღმა მხარეს“. ერთ საბუთში კიდევ ადიგენის სათბ ადიგლად დასახელებულია *пг Зарта*. გასული საუკუნის ორმოციან წლებში გაუკაცრიელებული ზართა უკვე დაკანონებულია ადიგენის სათბად<sup>6</sup>.

ამრიგად, ზართა ნასოფლარის ლოკალიზება ადგილზე საყსებით იოლი საქმეა.

41. სოფ. ოსიძე (?) — *اوسيزه* (I 7, 76; II 9, 79). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს დასმული და თითქოს ამოკითხულობა სწორია. ამავე დროს კითხვითი ნიშანი გვაქვს დასმული, რადგანაც „ოსიძე“-ს სახელით სოფელი ან ნასოფლარი არ არის. სამაგიეროდ ადიგენს ზევით არის სოფელი ოსიეთი. ეს ოსიეთ სოფელი დღესაც ადიგენის რაიონში ადიგენის სასოფლო საბჭოში შედის<sup>7</sup>.

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> რუსული ოფიციალური სია.

<sup>4</sup> ადგილობრივი მკვიდრის მ. შ.ის ცნობა.

<sup>5</sup> რქეული № 1, გვ. 162, 1936.

<sup>6</sup> სცია, ფ. 70, ს. 17, გვ. 6 v.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

ფეიქრობ, რომ „დავთრის“ სოფ. ოსიძე და თანამედროვე ოსიეთი ერთი და იგივე პუნქტი უნდა იყოს. ეს მით უფრო, რომ გეოგრაფიულად ესენი ერთიმეორეს ფარავენ. შესაძლებელია მას ძველად მართლა „ოსიძე“ ერქვა, შემდეგში „ოსიეთი“ დაერქვა. ერთვერსიან რუკაზე Осиет-ია. არქივისეულ სიებში ეს სახელი მეტად დამახინჯებულია—Ошера (?) (გვ. 7 v, 9 v).

42. სოფ. წუქულეთი — زكوكلی (I 8, 77; II 8, 79). სიტყვას დიაკრიტული ნიშნები აქვს და ასოები უთუოდ კარგადაა ამოკითხული. ასეთი დაწერილობის წაკითხვის ერთი ვარიანტი „ზაკულეთი“ შეიძლება ყოფილიყო, რომ ჩვენ დამატებითი ცნობა არ მოგვეპოვა. ამ პუნქტის შესახებ ადიგენელმა ეთ. ი-იმ 1943 წელს ჩამაწერინა: „წუქულეთ ოსიეთის ალთენდალურ. შინდი ადიგონის თალალულიდურ. ონდა ფეგლარ ვარ“ — „წუქულეთი ოსიეთის ქვემოთაა. ამჟამად (სოფ.) ადიგენის საყანე ადგილებია. იქ ნანგრევები არის“. ამრიგად ამ მშენიერი ცნობით დგინდება, რომ „დავთარში“ აღნიშნული პატარა, ორკომლიანი სოფლის زكوكلی-ის ქართული სახელი ყოფილა წუქულეთი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას შეუნახავს. სიების ვარიანტი Зиккулет-ი სწორი არ არის (გვ. 7 v და 9 v). ამ ქართული წუქულეთის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს არქივისეული საბუთის Зиквлет, Закулет ან Циккулет სოფელი<sup>1</sup> (უკანასკნელი 1855 წ. უკვე გაუკაცრიელებულია). II წიგნის ზაკულეთი(?) უნდა გასწორდეს წუქულეთად.

43. სოფ. ავაზანა — جركن უბნითურთ — اسوازا (I 8, 77; II 9, 80). აღრიცხულია 4 კომლიან პატარა სოფლად. წაკითხულობა სწორია (დიაკრიტული ნიშნები აქვს). არქივისეულ სიებშიც Авазан-ია (გვ. 7 v და 9 v). სოფ. ავაზანა ნაჩვენებია სოფ. ხუროს მახლობლად. ავაზანა ნასოფლარის ძიება ხუროს მიდამოებში უნდა წარიმართოს.

სოფ. ავაზანასთან აღნიშნული جركن უბნის სახელი ამოუკითხავი დარჩა.

44. სოფ. ქვაბიჯვარი — كوابيچار (I 8, 77; II 9, 80). ექ. თაყაიშვილი ქვაბიჯვარს ასახელებს ზარზმის დასავლეთით და წერს: церковно-обычного типа, длиною 15 аршин, шириною 7—8 Кванджжваре<sup>2</sup>. უფრო სწორი უნდა იყოს, როგორც ექ. თაყაიშვილს აქვს, Кванджжвари. შუაში „ს“ თანხმოვნის დაკარგვა თურქულ ნიდაგზე უნდა იყოს მომხდარი. ერთვერსიან რუკაზეც Кванджжвари-ა. დ. ბაქრადეს Кванджжвари ნაჩვენები აქვს სოფ. დერცელთან<sup>3</sup>. ასევე დერცელთან და ლალეთან არის აღნიშნული ქვაბისჯვარი 1869 წელს შედგენილ სპეცრუკაზე<sup>4</sup>. არქივისეულ სიებში ამ

<sup>1</sup> სტია, თ. 70, ს. 42, გვ. 4 გ, 8 გ, 12 გ, 26 v, 30 გ.

<sup>2</sup> Е. Такайшвили, Зарэмский монастырь... СМОНПК, вып. 35, გვ. 112.

<sup>3</sup> იხ. რუკა, რომელიც დართული აქვს დ. ბაქრაძის ნაშრომს: Археологическое путешествие по Гурии и Аджаре.

<sup>4</sup> Карта (Атлас) Кавказского края, сост. при военно-топографическом отделе Кавк. Воен. Округа, Тифлис, 1869, С. 4; იხ. აგრეთვე თანდართულ რუკაზე.

პუნქტის სახელი სასტიკად დამახინჯებულია (Гуней джвал, გვ. 7 v და Гунаджвал, 9 v). გ. ყაზბეგი ახსენებს ...развалины Квандис-джварской церкви<sup>1</sup>. კ. ზისერმანს თავის აღწერილობაში 155-ე პუნქტად მოცემული აქვს Квандис-джварский пост, სადაც 23 სამხედრო მოსამსახურე ცხოვრობს. მდებარეობს ქვაბისჯვარი ახალციხიდან 50 ვერსის მანძილზე. მაშასადამე 1870 წ. ქვაბისჯვარი უკვე აღარ იყო სოფელი<sup>2</sup>.

45. სოფ. ხერთვისი — خرتوس (I 8, 78; II 9, 81). „დავთრის“ შედგენის დროს ხერთვისი უკვე გაუქარიელებულია და შედის უდის ნაჰიეში. 1878 წ. ხერთვისში აღწერილია 7 კომლი<sup>3</sup>. ხერთვისი ამჟამად თურქეთის ფარგლებშია; „ევროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ Хертвис-ი აღნიშნულია ერემისა და სათლელის სამხრეთ-დასავლეთით. ხერთვისის სახელწოდებით საქართველოში საკმაოდ ბევრი გეოგრაფიული პუნქტია ცნობილი. პროფ. ა. შანიძის გამოთვლით საქართველოში სახელწოდება „ხერთვისი“ 6 გეოგრაფიულ პუნქტს უკავშირდება<sup>4</sup>; მათ შორის ორი ხერთვისი „გურჯისტანის ვილანეთში“ მდებარეობს: აქ განხილული ხერთვისი და ჯავახეთის ხერთვისი. „ხერთვისის“ ეტიმოლოგია შესანიშნავად აქვს დადგენილი ა. შანიძეს 1922 წელს<sup>5</sup>. არქივისეულ სიებში (გვ. 7 v და 9 v) „ხერთვისი“ საშინლად დამახინჯებულია Хиртус-ად.

46. სოფ. სათლელი — ساتلا (I 8, 78; II 9, 81). ეს სოფელიც, როგორც ხერთვისი, ახალციხის ლევისა და უდის ნაჰიეში შემავალადაა „დავთარში“ აღწერილი, თუმცა იგი ფოცხოვის ტერიტორიაზეა. რომ სათლელი ფოცხოვის ტერიტორიაზეა იქიდანაც ჩანს, რომ დ. ბაქრაძე წერს: Поцхов включает в себе значительное количество церквей, большее частью лежащих в развалинах. Они имеются в Хсоти (ფოცხოვშია. ს. ჯ.), ... Сатлели<sup>6</sup>. უეაროვის ქალსაც სათლელი ფოცხოვში აქვს მოხსენებული: В одном из соседних ущелий в селении Сатлель церковь лежит совершенно в развалинах<sup>7</sup>. სათლელზე ცნობა აქვს აგრეთვე მ. თამარაშვილსაც<sup>8</sup>.

სათლელი, როგორც გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება, გვხვდება აგრეთვე შავშეთში. აქ ნ. მარი ასახელებს „სათლელ-რაბათს“<sup>9</sup>. შავშეთის

<sup>1</sup> Г. Казбек, Три месла в Туреккой Грузии, Записки КОИРГО, X, вып. 1, თბილისი, 1876, გვ. 3.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 18.

<sup>3</sup> სტია, ფ. 514, ს. 12, გვ. 76 v.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ნაშთები შესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების ხმოვნების წინ ქართულ ხმებში, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, II, თბილისი, 1922-1923, გვ. 262.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> Археологическое путешествие по Грузии и Аджаре, 67.

<sup>7</sup> Граф. Уварова, Кавказ — Абхазия, Аджария, Шавшети, Посковский участок, II, მოსკოვი, 1891, გვ. 267.

<sup>8</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 421.

<sup>9</sup> Г. Мерчул, Жизнь Св. Григория Хаялтийского... с дневником поездки в Шавшети и Кларджию, Петербург, 1911, გვ. 27.

სათლელს თურქი ლექსიკოგრაფი აჰმედ ვეფიკ-ფაშაც ახსენებს مع شوشاد. شادار. შავშეთი სათლელთან ერთად არტანუჯთან გაერთიანებული ყაზაა<sup>1</sup>. რუკებზე (მათ შორის „ევროპ. რუსეთის სპეცრუ-კახე“) Сатлелს ნაჩვენებია ერემას სამხრეთითა და ფოცხოვის ხერთვისის ჩრდილოეთით.

სოფ. სათლელი XVI ს-ში გაუქარიელებულა, მაგრამ XIX ს-ის ერთ-ერთ საარქივო საბუთში, სახელდობრ Перечневая ведомость-ში სათლელი აღრიცხულია 11, ხოლო 1878 წლის სხვა საბუთში 12 კომლიან და ფოცხოვის სანჯაყში შემავალ სოფლად<sup>2</sup>.

47. სოფ. ერემა — ایرمی (I 8, 78; II 9, 81). გაუქარიელებული სოფელია, რომელიც ზემოგანხილულ ხერთვისთანა და სათლელთან ფოცხოვის ტერიტორიაზე მდებარეობს. რუკებზე თუ სხვა წყაროებში ამ პუნქტის სახელად ყველგან ერემა<sup>3</sup>ა ნახმარი, თუმცა ایرمی თურქულად უფრო შეიძლება წავიკითხოთ როგორც „ირემი“, ვიდრე როგორც ერემა. შესაძლებელია ამ პუნქტის სახელი „ირემი“ იყო და შემდეგ გადამახინჯდა. ასეცაა, თუ რამე დაეჯერება, საარქივო სიებში: Премн (გვ. 7 v და 9 v). ადგილობრივი მკვიდრის — მ. ზერაბიშვილისაგან კი მე ჩაწერილი მაქვს — ერემი. ერემას უვაროვის ქალი ასე აღწერს: В горном ущелье за дер. Бадилла [ფოცხოვის სოფელი. ს. ჯ.] находится дер. Петобань [აგრეთვე ფოცხოვში. ს. ჯ.]... Выше, в глухом ущелье, заросшем хвойным и лиственным лесом, на одном из отрогов горы Джикаары, близ дер. Эрема, находится банши<sup>4</sup>. 1878 წლის ერთ საბუთშიც იხსენიება Эрем, რომელშიც აღრიცხულია 8 კომლი<sup>5</sup>.

48. სოფ. გორგამლაშე — گورگاملاش (I 8, 78; II 9, 81). პატარა, შვიდკომლიანი სოფელია, რომელსაც ჩვენ დრომდე არ მოუღწევია. ნ. ნათენაძის ცნობით იგი მდებარეობს ღალვსა და ნაშნიაურ სოფლებს შუა. მე ვერავითარი საბუთი ვერ ვნახე, რომ ეს ცნობა შემემოწმებინა. არქივისეული სიების ვარიანტი ამ სახელისა Корка Млаша და Корка Мулаша (გვ. 7 v და 9 v) სწორი არ უნდა იყოს.

49. იალალი თლილი — يالاق تليل (I 8, 79; II 9, 81). რუკებზე გოდერძის აღმოსავლეთით აღნიშნულია r(ora) Тлиял. ზარზნის მონასტრის აღწერისას უვაროვის ქალი ამბობს: Монастырская площадка образовалась у подошвы горы Эрво ихаро, отрога хребта Тилили<sup>6</sup>. თლილი „დაეთარში“ იალალად იხსენიება, მაგრამ ლ. ზავურსკი ამ მთაზე მოსახლეობასაც (შეიძ-

<sup>1</sup> لهجة عثمانی — გვ. 469.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 6; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

<sup>3</sup> Граф. Уварова, Кавказ — Абхазия, Аджария, Шавшетия, Посковский уастьок, II, მოსკოვი, 1891, გვ. 267.

<sup>4</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77 r.

<sup>5</sup> Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшетия, Поцховский уастьок, 175; Эрво ихаро—(ქართ.) ერბოწყარო.



ლება დროებით მოსახლეობას უჩვენებს: «жители горы Тлиль вносили положенное число баранков»<sup>1</sup>. არქივისეული სიების მონაცემი დაახლოებით სწორია. დოქტორ გ. რადეს მიხედვით: От Памачи к большому селению Вахэ дорога идет на запад и отсюда на западе рисуются уже значительные вершины Тлиля (на картах Телиль)<sup>2</sup>. გვხვდება ამ სახელის 'Тлиля და 'Тлиля ფორმებიც<sup>3</sup>.

50. ჩაირი حاح (I 8, 79; II 9, 81). ვეიქრობ, ამ სიტყვის აქ წარმოდგენილი დაწერილობა უფრო სწორია, ვიდრე დაბეჭდილებაში (I და II წიგნი), სადაც ص ასოსა და ბოლოკიდურ „-ასოს შუა კიდევ ერთი ასოა. ეს ჩაირი ნაჩვენებია სოფ. უღის რაბათთან. არქივისეულ სიებში ამ ჩაირის სახელი ამოკითხულია Хас Чаир-ად, რაც, შეიძლება, სწორი იყოს (გვ. 7 v და 10 v).

51. სოფ. პატარა მლაშე—დიდ მლაშესთან (I 8, 79; II 9, 81). (ამის შესახებ იხ. ზემოთ № 35, გვ. 101).

52. სოფ. არძნე—ارزني (I 8, 79; II 9, 82). ერთვერსიან რუკაზე — Арзие. არქივისეულ სიებსა და სხვა საარქივო მასალებში ეს სახელწოდება ძლიერ დამახინჯებულია: Арзани (გვ. 7 v), Орзаны (გვ. 10 v), Арзана<sup>4</sup> და სხვ. ადგილობრივ მოსახლეობაში მე „არძნე“-ც გამოვიგონია. ამას მხარს უჭერს ოფიციალურა სიის ვარიანტი „არძნე“<sup>5</sup>; ასევეა რუსულ ოფიციალურ სიაში და 1869 წელს გამოცემულ სპეცრუკაზე: Арзие<sup>6</sup>. დღეს სოფ. არძნე მლაშის სასოფლო საბჭოში შედის მლაშეს, ფლატესა და ზარზმასთან ერთად<sup>7</sup>. „დავთრის“ მეორე წიგნის „არზნე“ (გვ. 9, 82) უნდა გასწორდეს არძნე'დ.

53. სოფ. ყულები—სოფ. შუა ზანავთან, غولي (I 8, 80; II 9, 82). მართალია, ეს სოფელი შუა ზანავთან არის ნაჩვენები, მაგრამ შეიძლება ეს არ იყოს ზუსტი ცნობა. ამ სოფლის შემდეგ დასახელებულია 54-ე სოფლად გორგული; ხოლო ადგილობრივი მკვიდრის ვ. ი-ი-საგან მე ჩაწერილი მაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ გორგულიდან სოფ. მლაშის მიმართულებით, მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა მხარეზე ყოფილა ნასოფლარი ყულები. თურქის წარმოთქმაში ეს მოგვეცემა „ლულებ“-ს (غولي-ში მკვეთრი ყ ჩვეულებრივად შეღერი ლ ბგერითაა გადმოცემული, ხოლო ბოლოკიდური ი ხმოვანი-აგრეთვე ჩვეულებრივი ც-ით). غولي დაწერილობაში კ ასოს შემდეგ თითქოს ერთი კბილაკისებური ნიშანი არის რომელიღაც ასოსათვის, რომელიც

<sup>1</sup> Л. Загурский, Поездка в Ахалцхский уезд в 1872 г., გვ. 45.

<sup>2</sup> Предварительный отчет о путешествии д-ра Г. Раде по Кавказу летом 1867 года. Записки КОИРГО, кн. VIII, გვ. 53.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 25, გვ. 1.

<sup>4</sup> სცია, ფ. 77, ს. 45, გვ. 10 r.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>6</sup> Карта Кавказского Края, составленная при военно-топографическом отделе: Кавк. воен. округа, Тифлис, 1869, С. 4; Арзие-ა აგრეთვე კ. ზისერმანთან, გვ. 17.

<sup>7</sup> საქ. სსრ. აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

ჩვენ I-სა და II წიგნში უნიშნოდ დავტოვეთ. მაგრამ შემდგომ მოპოვებულმა მასალამ დაგვარწმუნა, რომ ეს *б* ასო უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ საარქივო მასალაში მითითებულია (ადიგვენთან): Урочище, называемое Кулеб при деревне Адигуны<sup>1</sup>. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიაკრიტული ნიშნით ეს დაწერილობა იქნება *كولى*, რაც სავსებით უზრუნველყოფს „ყულებ“ სახელწოდების გამოხატვას. ყულები ცნობილი ყოფილა შუა ზანავთან („დავთრის“ მიხედვით) და ადიგვენთან (საარქივო მასალებით). ყულების ნასოფლარის ლოკალიზებისათვის ჩემს დიალექტოლოგიურ მასალებში აღმოჩნდა კარგი ცნობა: ბუ სუ ქუჩქუ სუჟა ქულელა დიჟერუხ; ზანავინან ადიგონინ სინორი ბუდურ. ბუ სუ ქულენინ იჩინდან ოღრიჟერ — ფერსათ ტაღუნდან გალიჟერ, ყულეზდან, ქულედან ახიჟერ — ამ პატარა წყალს ქულელას ვეტყვიო. ზანავისა და ადიგენის მიჯნა ეგაა. ეს წყალი ქულეს გაივლის (შუაში), ფერსათის მთიდან მოდის, მოედინება ყულეზიდან, ქულედან<sup>2</sup>. ამრიგად, ადიგენი და ზანავი მომიჯნავე სოფლებია; აქვეა ქულე და აქვეა ყულეზიც. მომყავს კიდევ სხვა საბუთების ცნობა ყულების ლოკალიზებისათვის: ... Сенокосное место, называемое Гулеб, есть казенное, находящееся вблизи Адигуны; со временем Турецкого Правительства оно находится в пользовании Адигунского Дада-бека и тамошних жителей Мустафы Ахмед оглы, Раджаба Ахмед оглы и Ибрагима Ахмед оглы (ჩვენება ადიგენის მამასახლისისა იუნუს ყაზდ-ურ-რაჰმან ოღლისა)<sup>3</sup>; «Урочище, называемое Кулеб при деревне Адигуны — пространство земли в длину 60 и в ширину 35 сажень примерно; место сие кустарное, приносит в год доходу 8 ароб сена. Находится в пользовании подпоруч. Дада бека<sup>4</sup>. სოფ. ყულების (სამკომლიანი სოფელია) ლოკალიზება უნდა მოხდეს ამ სამ ზემოხსენებულ (შუა ზანავი, ადიგენი, ქულე) სოფელთა ზონაში.

ამით ჩვენ ვასწორებთ უღის ნაჰიჯეს 53-ე პუნქტის სახელის ამოკითხულობას და *كولى* დაწერილობას ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვკითხულობთ „ყულებ“-ად.

54. სოფ. გორგული — *گورگولی* (I 8, 80; II 9, 83). მდებარეობს მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირზე სარაიონო ცენტრის — ადიგენის პირდაპირ და შედის ადიგენის სასოფლო საბჭოში<sup>5</sup>. ადგილობრივად ამ სოფლის სახელი გორგულად წარმოითქმის და ამიტომ ამ სახელის სხვა ვარიანტები ვადამახინჯების შედეგი უნდა იყოს. ერთეულისიან რუკაზეა, მაგალითად, Коргуль, არქივისიულ სიებში — Коркул (გვ. 7 v, 10 r), Корколь<sup>6</sup>

<sup>1</sup> სცია, ფ. 70, ს. 15, გვ. 7 v.

<sup>2</sup> სცია, ფ. 71, ს. 8, გვ. 185 r.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 70, ს. 15, გვ. 7 v; აქ ყულებ ნასოფლარის შესახებ იხილეთ აგრეთვე: სცია, უ. 70, ს. 60.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>5</sup> სცია, ფ. 77, ს. 45, გვ. 10 r.

და სხვ. გვხვდება აგრეთვე სწორი სახელიც — *Горгун*<sup>1</sup>. კ. ზისერმანთან გვაქვს სოფ. *Коркун*, რომელშიც 1870 წელს აღრიცხულია 5 კომლი (გვ. 18).

55. სოფ. ზარზმის ეკლესია უბან *كركار* — *كركار* (I 8, 80; II 9, 83). „სოფელ“ სიტყვა, როგორც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი, ტექნიკური ტერმინია საგადასახადო ერთეულის აღსანიშნავად. ზარზმა ამ დროს სოფელი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც აქ, ალბათ, ნათქვამი „ზარზმის ეკლესია“. ეკლესიის მსახურები უნდა იყვნენ იმ ათი კომლას წევრები, რომელთათვისაც აქ დასახლებულია *كركار* უბანი.

არქივისეულ სიებში ზარზმის სახელი დამახინჯებულადაა წარმოდგენილი: *Килиса Зарзима* (გვ. 7 v) და *Килиса Зарзима* (გვ. 10). *كركار* სიტყვის, ზარზმასთან დასახლებული უბნის სახელწოდების ამოკითხვა არ ხერხდება; არ არის საამისო მასალა. შეიძლება იყოს „სასახლის კარი“, „სისხლისკარი“, „ცისკარის კარი“ და: სხვ. მრავალი. ზარზმა მდებარეობს ახალციხიდან დაახლოებით 30 კილომეტრზე, ქვაბლიანისწყლის მარჯვენა მხარეს, ახალციხე-ბათუმის გზაზე<sup>2</sup>.

ქართული სახუროთმოძღვრო ხელოვნების იშვიათ ძეგლზე — ზარზმის ეკლესიაზე, რომელზედაც საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიისათვის ფრიალ დიდი მნიშვნელობის წარწერებია დაცული, ჩვენ აქ არ შეეჩერდებით, რადგანაც ჩვენი საზოგადოებრიობა სათანადო ლიტერატურას კარგად იცნობს<sup>3</sup>.

56. სოფ. ტაძარი — ლელვანთან და ყარათუბანთან — *تاجار* (I 8, 81; II 9, 83). რადგანაც ქართული ტ მკვეთრი ა ასოთი გადმოიციემა, ხოლო ძ აფრიკატი ჯ ასოთი, *تاجار*-ი „ტაძარი“ უნდა იყოს. მართლაც, ადგილობრივ მე ჩაწერილი მაქვს ცნობა, რომ „ლელვანთან «ტაძარ» ნასოფლარი არის“ (მლაშელი მ. შ-ი). არქივისეული სიებიც ასეთ ვარიანტს უქერენ ნხარს: *Тазар* და *Тазарь* (გვ. 8 r და 10 r).

57. სოფ. *كركار* ახალშენ სათესველითურთ ფლატესთან (I 8, 81; II 9, 84). ამ სოფლის სახელის ამოშიფრვა დღესაც არ ხერხდება. ეს სოფელი ყოფილა სოფ. ფლატესთან ახლო. ფლატეს მიდამოების შესწავლა ვერ მოვახერხე. არქივისეული სიების მიხედვით ეს არის *Дирка Звел*-ი და *Дирка Звел*-ი (გვ. 8 r და 10 r). ამათი იდენტიფიკაციისათვის მასალა არა გვაქვს.

<sup>1</sup> სტია, ფ. 77, ს. 47, გვ. 3 v.

<sup>2</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 54. უფრო ვრცლად ზარზმის მდებარეობაზე: ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, თბ., 1955, გვ. 92.

<sup>3</sup> იხ. განსაკუთრებით: Е. Такайшвили, Зарэмский монастырь, его реставрация и фрески, СМОМПК, 35, თბილისი, 1905, გვ. 1-80; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, თბ., 1955, გვ. 91-137; ქართველი ერის ისტ., II, 53.

ამ სოფელთან იხსენიება ახალშენ სათესველი. ამ სოფელთან აღრიცხულია დაუნომრავად სათესველი არკ, რომელსაც ჩვენ კორდ-ად ვკითხულობთ.

58, სოფ. სმარზა — სოფ. ზართასთან — سمارزا (I 8, 81; II 9, 84). მე-5 ასოს (კ-ს) დიაკრიტული ნიშანი აქვს და ამ დაწერილობის სმარზა-დ წაკითხვა სწორი უნდა იყოს. გაუგებარია, რატომაა არქივისეულ სიებში — Смарза (გვ. 8 r და 10 r). სმარდა სოფელი დასახელებულია ზართა სოფელთან ახლო<sup>1</sup>, ხოლო ზართა, როგორც დავინახეთ, ადიგვენსა და კულევს შუა კლებარეობს. სმარზას ნანგრევებიც ამ კუთხეში უნდა დაიძებნოს.

---

<sup>1</sup> სოფ. ზართა იხ. ზემოთ, ამავე ნაქიყევი № 42, გვ. 103.

---

# I. ახალციხის ლიხნ

## 4. ქვაბლიანის ნაპატივ

1. სოფ. ლაღვი — სოფ. ვალისონთან — واذع (I 8, 82; II 9, 84). „დავთარში“ სოფ. ლაღვი ადგილმდებარეობის განსასაზღვრავად სოფ. ვალისონთანაა დასახელებული. სოფ. ვალისონმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია, ლაღვი — კი. ვალისონ ნასოფლარის მდებარეობის დასადგენად ახლა სოფ. ლაღვიზე ორიენტირებაა საჭირო (იხ. ზემოთ სოფ. ვალისონი, გვ. 95). ლაღვი ქვაბლიანის წყლის მარცხენა ზეგანზეა სოფ. დერცელის აღმოსავლეთით<sup>1</sup>, არქივში დაცულ 1839 წლის ერთ-ერთ ქართულ საბუთში ნათქვამია: „სოფლისა ლაღვისათვისა ც ვკითხე“<sup>2</sup>. 1923 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ ამ სოფლის სახელად „გაგვი“ წერია, რაც სწორი არაა და რუსული რუკებიდანაა გადმოღებული. პირველ არქივისეულ სიაში ამ სოფლის სახელი შედარებით სწორადაა — Гагв (გვ. 8 r), ხოლო მეორეში — Глов (გვ. 10 r). სხვაგან უფრო დამახინჯებულადაც იხსენიება; მაგალითად, ერთ-ერთ საარქივო მასალაში Гаго გვაქვს<sup>3</sup>. ე. წ. „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ ლაღვის ჩრდილოეთით მალა მთაზე ნაჩვენებია აგრეთვე ზედა ლაღვი ასეთი წარწერით: P. B. Зедарагв.

2. სოფ. გოდერძი — گودرذی (I 8, 82; II 9, 84). არქივისეულ სიებში Годерзи (გვ. 8 r, 10 r). ... в деревне Кодерзи, что в 50 верстах к западу от Ахалциха<sup>4</sup>. ბასილ ზარზმელის თხზულებაში ნათქვამია: „რამეთუ აღეპყევით პირსა მის მდინარისასა და მიეიწიენით ჳეესა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების...“<sup>5</sup> ეს გოდერძის ხევი იწყება ზარზმიდან და თავდება ე. წ. გოდერძის უღელტეხილთან. ს. გოდერძი (აწ ნასოფლარი) ხევის მარჯვენა ნაპირასაა, დაახლოებით უტყუესუნის პირდაპირ. „გოდერძ“ სახელწოდება საკმაოდ დამახინჯებული სახითაც გვხვდება:

<sup>1</sup> იხ. თანდართულ რუკაზე.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 50, გვ. 2 v.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 45, გვ. 10 v.

<sup>4</sup> История военных действий... II, 39; იხ. აგრეთვე: ექ. თაყაიშვილი, Надпись на кресте в Урткис-ублаи и сведения о других памятниках к западу от Зарзмы, СМОМПК, 35, გვ. 111-117 (Гагвская лача).

<sup>5</sup> ცოვრება სერაპიონ ზარზმელისა, ადრინდელი ფოთდაღური ქართული ლიტერატურა პროფ. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1935, გვ. 159; ზღრ. ქართველი ერის ისტ., II, 1948, 53.

„სპეტრუაზე“ — Голерс, საარქივო მასალაში Голерс<sup>1</sup> და სხვ. გოდერძი იყო ცენტრი სასოფლო საბჭოსი, რომელშიც ერთიანდებოდნენ გოდერძ, ზარზმა, უტყუსუბან და ქაცარაულ სოფლები<sup>2</sup>.

გარდა იმისა, რომ საარქივო მასალაში გვხვდება Голерс, რუკებზე. Голерс, ჩვენ 1932 წელს ჩაწერილ მასალებში ამ სოფლის სახელი გოდერს-ად არის ჩაწერილი. ვფიქრობ გოდერც → გოდერს ფორმა მომდინარეობს იმავე „გოდერძ“-იდან, სადაც „ძ“ აფრიატმა დახურულ მარცვალში „ც“ მოგვცა (შდრ. „ძალუტ“ ← ძალ უძს, ხანცთა ← ხანძთა და სხვ.), ხოლო ადგილობრივ მკვიდრთა ბეტყველების გადათურქულების შემდეგ „ც“-ს უნდა მოეთა „ს“ (გოდერძ → გოდერც → გოდერს); „გოდერძ“-ის გადათურქულებული ფორმა „გოდერზ“-იც უნდა ყოფილიყო.

3. სოფ. اسكرا — სოფ. გოდერძთან (I 8, 82; II 9, 85). ამოუკითხავად დავტოვეთ. გოდერძის ახლო ასეთი სახელწოდების პუნქტი ვერ დავადგინეთ. არქივისეულ სიგეში Анкас-ი (გვ. 8r და 10r) გვაქვს, მაგრამ დამაჯერებელი არაა. ეს წიგნი უკვე სტამბაში იყო, როცა არქივის მასალებში მე შევნიშნე Елказ-ად წოდებული გაუჟაცრიელებული პუნქტი, რომლის მომიჯნაველ-დასახელებულია სოფ. უტყისუბანი და საერთოდ გოდერძის მიდამოები. დედნისეულ დაწერილობაზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ აქ მეორე ასოდაქ (ლჰჰ-ი) შეიძლება იყოს; მაშინ ჩვენ გვექნება ელკას, საიდანაც შემდეგ შეიძლება არქივისეული Елказ ფორმაც მიგველო. ამდენად ამ ნასოფლარის სახელი ელკასი ელკეზი უნდა ყოფილიყო<sup>3</sup>.

4. სოფ. جدال (I 8, 82; II 9, 85). დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვს; მაინც მის ამოსაკითხავად მასალა ვერ მოვიპოვეთ. ძალიან მაკლდუნებელია მისი „ქიდალაძე“-დ წაკითხვა. ირქივისეულ სიგეში ამ სახელწოდების თვალაზრისით სრული გაუგებრობაა; ამ პუნქტის სახელად მოცემულია Сагери (გვ. 8r, 10r), რასაც არა აქვს არავითარი გამართლება; არც დაწერილობა იძლევა ასე წაკითხვის შესაძლებლობას, არც არის მოსალოდნელი, რომ სადგერი აქ იყოს (სადგერი ცნობილია ბორჯომის ხეობაში)<sup>4</sup>.

5. სოფ. ქორეთი (?) — كورت (I 8, 82; II 9, 85). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არ აქვს, მაგრამ ცალკეული ასოების მოხაზულობა უეჭველად შეესაბამება كورت სიტყვისათვის საჭირო ასოთა მოხაზულობას (იხ. დედანი, გვ. 78). ორ ბოლოკიდურ ც და ტ ასოებს ყველგან ასეთი მოხაზულობა აქვს — ერთი კბილაკი და შემდეგ ქვევით ჩაწეული სწორი ხაზი (შდრ. დედნის 79-ე გვერდზე ცნობილი სოფლის სახელ „აფიეთ“ სიტყვაში. ც და ტ ასოთა მოხაზულობა).

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 16, გვ. 79 წ.

<sup>2</sup> რუსული ოფიციალური სია დასახლებული პუნქტებისა.

<sup>3</sup> სცია, ფ. 70, ს. 42, გვ. 30 წ, 39 წ; აგრეთვე დედანი, გვ. 78.

<sup>4</sup> იხ. ქვემოთ, პეტრეს ლივან, ქაშეთის ნაპიფ, სოფ. № 1.

არქივისეულ სიებში ამ სოფლის სახელად მოცემულია Корик (გვ. 8 r და 10 r), რაც სწორი არ არის. ორი ბოლოკიდური ასოს მოხაზულობა  $\text{ت}$  (=ეთ)-ია და არა  $\text{س}$  ან  $\text{ص}$ .

6. სოფ. ძინძე?— $\text{ز.ز.م.}$  (I 8, 82; II 9, 85). დაწერილობას დართული აქვს დიაკრიტული ნიშნები; აქ ჩვენ გვაქვს წნზე || ა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ზ თანხმოვნით თურქები ძ ან წ თანხმოვანს გადმოსცემენ, მაშინ ეს უნდა იყოს ძინძე. ამავე სახელის სოფელი (ძინძე) უტყუსუბნად წოდებული უბნით<sup>1</sup> ჩვენ გვაქვს უდის ნაპიჯეში. ძინძე და უტყუსუბნის მდებარეობა და სახელთა ამოკითხულობის სისწორე დადასტურებული იყო ბასილ ზარზმელის თხზულებაში მოცემული დეტალებით<sup>2</sup>. ხოლო ამ ქვაბლიანის ნაპიჯეში დასახელებული „ძინძეს“ შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უდის ნაპიჯეში შემავალი სოფ. ძინძის სახელის დაწერილობა განსხვავდება ქვაბლიანის „ძინძის“ დაწერილობისაგან: ამ უკანასკნელში ბოლო თანხმოვანი „-თა“ გადმოცემული, ხოლო პირველ შემთხვევაში „-ით“. ამდენად, შესაძლებელია აქ „ძინძე“-ს სწორი ამოკითხულობა ექვის ქვეშ დავაყენოთ; ეს მით უფრო, რომ აქ შეიძლება „წინწა“-ც იქნას ამოკითხული, „ძინწა“-ც და სხვ. არქივისეული სიები, მაგალითად,  $\text{Зинца}$  ვარიანტს იძლევა (გვ. 8 r, 10 r).

7. სოფ. ზედუბანი (→ ზეთუბანი), სოფ. აფიეთთან —  $\text{س.ت.و.ز.}$  (I 8, 82; II 9, 85). რომ ამ სოფელზე სპეციალურად ნათქვამი არ იყოს, რომ ის აფიეთთან მდებარეობს, ამ დაწერილობას კაცი წაიკითხავდა „წინუბან“-ადაც. პირველ ორ ასოს დიაკრიტული ნიშანი დასმული აქვს (იხ. დედნის გვ. 79), მაგრამ მეორე ასოზე ორწერტილის ნიშანი მაინცდამაინც ორ წერტილს არ ჰგავს და, ამდენად, იგი შეიძლება  $\text{ز}$  თანხმოვანსაც აღნიშნავდეს. ამ შემთხვევაში კი ჩვენ გვექნებოდა  $\text{س.ت.و.ز.}$  = „წინუბანი“ და არა „ზეთუბანი“. სწორედ ასეა ეს ამოკითხული არქივისეული სიების შემდგენლების მიერ— $\text{Зинцунань}$  (გვ. 8 r და 10 r). მიუხედავად ამისა, ექვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ეს შეცდომაა და აქ ჩვენ გვაქვს „ზეთუბან“-ი ← „ზედუბანი“. სოფ. აფიეთთან ძლიერ ახლოს სწორედ სოფ. ზედუბანი მდებარეობს. თურქის წარმოთქმაში „ზედუბნის“ დ თანხმოვანი გაყრუებულია. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, რომ ქართულ მეღერებს საერთოდ ნაკლები მეღერობა ახასიათებს და, მაგალითად, რუსებზე და თურქებზე სტოვეებს ყრუ თანხმოვნის შთაბეჭდილებას<sup>3</sup>. კ. ზისერმანს  $\text{Зедурмань}$ -ი აქვს არძენსთან ნა-

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ. 101.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 58, 59. აგრეთვე ჩვენ: *Евлия Челеби о мшарельском и грузинском языках*, Сб. Советское языкознание, т. II, Ленинград, 1936, გვ. 124 და ველია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954, გვ. 250.

ჩვენები<sup>1</sup>. სოფ. ზედუბანი დღეს აღიგენის რაიონში ზედუბნის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც აერთიანებს ლორთუბან, აფიეთ და ზედუბან სოფლებს. „დავთრის“ II წიგნში მე-9 და 85-ე გვერდებზე „ზეუბანი“ უნდა გასწორდეს „ზედუბანად“.

8. სოფ. ღველი, სოფ. ლაღთან — *غولى* (I 8, 88; II 9, 85). დიაკრიტული ნიშანი არა აქვს, მაგრამ პირველი ასო ლინი უნდა იყოს (*غ* ასო ქართული ბგერის გადმოსაცემად საერთოდ გამოყენებული არ არის). უკვე გაუქვაც-რიელებული სოფელია; მისი მდებარეობის განსასაზღვრავად მითითებულია, რომ ის სოფ. ლაღთან არის. ამხ. ნიკო ნათენაძემ თავის დროზე მაცნობა, რომ ლაღთან მართლაც არის ნასოფლარი, რომელსაც „ღველ“-ს ეძახიან. შემდეგ არქივის ერთ საბუთში აღმოჩნდა *Ведомость о доходах с деревень Кобляннского участка, принадлежащих ... Байбуртским*. აქ პირდაპირ დასახელებულია სოფელი *Гвельн* (1845 წ.), რომელიც ქართულად მართლაც ღველი უნდა ყოფილიყო (თუ ეს სიტყვა გადათურქულებული—ვთქვათ „კველი“დან — არ არის)<sup>2</sup>. ამრიგად, ლაღთან ღველ ნასოფლარი უნდა მოიქებნოს. არქივისეულ სიებში ეს დაწერილობა შეცდომით *Гомал* არის ამოკითხული (გვ. 8 r, 10 r).

9. სოფ. *كندوان*, სოფ. ღველთან (I 8, 83; II 9, 85). გაუქვაცირელებული სოფელია; მეორე ასოს — *ن* („თ“)-ს დიაკრიტული ნიშანი აქვს, ხოლო დანარჩენ ასოთათვის ასეთი ნიშნების დასმა სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც მეორე ნაწილი ამ სიტყვისა უდრის „თ + უბან“. დიაკრიტული ნიშნების დასმულობისდა მიუხედავად პირველი ნაწილის ამოკითხვა მაინც რთულია ხმოვნის უქონლობის გამო. შეიძლება ეს იყოს „ქათამა[ან]თუბანი“. ყოველ შემთხვევაში ამ დაწერილობის *Биқат* უნდა იდ წაკითხვა უსაფუძვლოა (არქივისეული სიები, გვ. 8 r, 10 r).

10. სოფ. ლორთუბანი — სოფ. აფიეთსა და ზედუბანს შუა — *خورتوبان* (I 8, 83; II 9, 86). მდებარეობა სოფ. ლორთუბნისა საესებით გარკვეულია; იგი ზედუბნის სასოფლო საბჭოში შედის აფიეთთან და ზედუბანთან ერთად და წარმოადგენს ამ ზედუბნის სასოფლო საბჭოს ცენტრს<sup>3</sup>. ეს არის ცნობილი სოფელი ლორთუბანი. ამ სიტყვის პირველი მგლერი ლთანხმოვნის თურქულად ყრუდ არის აღქმული და ყრუ *خ*-ს ნიშნითაა გადმოცემული. მიზეზი ამისა იგივეა, ალბათ, რაც „ზედუბან“ სიტყვაში „დ“ თანხმოვნის ყრუ „თ“ თანხმოვნით გადმოცემისათვის იყო დასახელებული<sup>4</sup>, ე. ი. ქართულ მგლერს ხარისხობრივად ნაკლები მგლერადობა აქვს და თურქი მას ხშირად ყრუდ აღიქვამს. არქივისეულ სიებში რუსული ტრანსკრიფციით ამ სოფლის სახელი სწორადაა მოცემული: *Лортубан* (გვ. 8 r,

<sup>1</sup> К. Зиссерман, გვ. 17.

<sup>2</sup> სტოა, ფ. 70, ს. 42, გვ. 4 r (ამავე საბუთში ცოტათი ქვემოთ იხსენიება: *пустопорояная деревня Гвельн*, გვ. 30 r).

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ, გვ. 113.



10 რ). რა თქმა უნდა. „ლორთუბან“ რთული სიტყვის პირველ „ლორ“ კომპონენტთან არაფერი საერთო არა აქვს К. Ган-ის კუთრიოზულ ეტიმოლოგიას: „Гортубанъ грѣз. от гора = гора и убаши слагается среди гор, ханмов“<sup>1</sup>. ამ სიტყვის ასეთი მცდარი ეტიმოლოგია პირველად კ. ზისერმანმა წარმოადგინა: Гортубанъ გორთუბანი (слагается гор)<sup>2</sup>.

11. სოფ. კიკიბო — كيكيبو (I 8, 83; II 9, 86). „დავთრის“ დროისათვის უკვე გაუქარიელებულია. ამჟამად ადიგენის რაიონში მოხის სასოფლო-საბჭოში შემავალი სოფელია<sup>3</sup>. „კიკიბო“-ს დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს; მიუხედავად ამისა მისი ამოკითხულობა სრულიად უდავოა. საარქივო სიებიც საესებით სწორად გადმოსცემს ამ სოფლის საბელს — КИКИБИ (გვ. 8 რ, 10 რ). არქივის მასალებში КИКИБИ და КИКИБУВАРИ (=ქვაბიჯვარი) ერთად გვხვდება<sup>4</sup>.

12. სოფ. დიდი აფიეთი პატარა აფიეთითა და უბნებით — Диди (I 8, 83; II 9, 85). დედანში (იხ. გვ. 79) Дидი ორჯერ გვხვდება და ორივეჯერ ელიფს დაწერილი აქვს მედდა-ს ნიშანი; I წიგნში (გვ. 83) შეცდომით Дидი სიტყვა ამ ნიშნის გარეშეა დაბეჭდილი. დიდ აფიეთთან დასახელებულია პატარა აფიეთიც; ალბათ სოფელთა შერწყმის გამო აქ სახელით ჩვენამდე მოაღწია ერთმა სოფელმა. დღეს ადიგენის რაიონში სოფ. აფიეთი ლორთუბან და ზედუბან სოფლებთან ერთად შედის ზედუბნის სასოფლო საბჭოში<sup>5</sup>. „ათიოდე კილომეტრით არის დაშორებული სოფელი აფიეთი ადიგენის რაიონულ ცენტრს. იგი მთიან ზონაში მდებარეობს“<sup>6</sup>. არქივულ სიებში უხეშო შეცდომით აფიეთის ნაცვლად წერია Ентеа Буаурк (გვ. 8 რ, 10 რ); როგორც ქვემოთ დავინახავთ, სოფ. ენთელი ალთუნყალას ნაპიჯეში მდებარეობს<sup>7</sup>.

13. სოფ. ცხრუქა სათესველით دان (I 8, 84; II 9, 87). თურქულ დედანში ამ სიტყვას — دان ყველა დიაკრიტული ნიშანი აქვს და, ამდენად, ცალკეული ასოების ამოკითხულობა სრულებით საეჭვო არ იყო. „სიხრუჯი“-ს ამოკითხულობის, ასე ვთქვათ, თურქული სისწორე (თურქები ამ სიტყვას მართლაც ასე წარმოთქვამდნენ) შემდეგში დადასტურდა საქ. სსრ ცენტრარქივში დაცული საგადასახადო ოპიექტების ორთავე სიითაც, რომლებშიც ფიქსირებულია მე-13 ნომრით („დავთრისა“ და არქივისეული სიების ნომრები ერთა და იგივეა) Сихручи<sup>8</sup> (გადათურქულებულ

<sup>1</sup> Ган К. Ф., Опыт объяснения кавказских географических названий с предисловием, СМОМПК, XL, თბილისი, 1909, გვ. 39.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 17.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>4</sup> სტია, ფ. 70, ს. 24, გვ. 3 რ.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>6</sup> ვ. ფხაკაძე, გაზ. „კომუნისტი“, № 4 (7982), 6. 1. 1954.

<sup>7</sup> იხ. აქვე, ალთუნყალას ნაპიჯი, სოფ. № 2 და 12.

<sup>8</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 8 რ და ფ. 77, ს. 23, გვ. 10 რ.

„სიხრუჯ“-ში ბოლოციდური „ჯ“ შეიძლება გაყრუებულყო). მიუხედავად ასეთი სიცხადისა, დაბეჭდილ ქართულ თარგმანში ჩვენ მიერ ორივე ადგილას (II 9, 87) „სიხრუჯ“ სიტყვასთან კითხვითი ნიშანია დასმული. ასეთი გეოგრაფიული სახელი არც რუკებზე და არც სხვა წყაროებში არ ჩანდა.

„დავთრის“ III წიგნის ამ ნაკვეთზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია აკად. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ იმ ადგილმა, სადაც ავტორი ძველი წყაროების მიხედვით ჩამოთვლის სამცხის გეოგრაფიულ პუნქტებს და, სხვათა შორის, ასახელებს „ცხროკა“ს<sup>1</sup>. ცხროკა მოხსენებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, რომელშიც ნათქვამია: „ესევეთარი ესე კაცი იყოფვოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარი შენ-იყენეს. სანახება ჩორჩანისა და ზანავისასა. ხოლო უმრავლესთა ჟამთა ინადირობნი იგი ადგილთა მათ ცხროკა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათაჲ და სხუათა ნადირთა ველურთაჲ, და არეთა მათ ეშენა სახლი. რომელ, (უკუეთუ) ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ-ყვიან მას შინა სიბნელისათჳს ღამისა და უვალობისა და სიჭოხისა ტყეთაჲსა“<sup>2</sup>. ამ ამონაწერში საგულისხმოა, რომ 1. ცხროკა, როგორც გეოგრაფიული პუნქტი, ცნობილია ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში, 2. იხსენიება იგი გიორგი ჩორჩანელის სახელთან დაკავშირებით, როგორც მისი სანადირო ადგილი, 3. აქვე ცხროკასთან ერთად აღნუსხულია ქვაბლიანის ხეობაში (აწინდელი ადიგენის რაიონი) დღესაც არსებული და ისტორიაში ცნობილი პუნქტები ჩორჩანი და ზანაყი (პირველი მათგანი — ცნობილი ჩორჩანელების სამშობლო).

როგორც ივ. ჯავახიშვილს თავის დასახელებულ შრომაში, ისე კ. კეკელიძეს „ცხოვრებისადმი“ წამძღვარებულ გამოკვლევაში ცხროკას ადგილმდებარეობის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი. კ. კეკელიძე სამართლიანად აღნიშნავს ბ. ზარზმელის თხზულების დიდ მნიშვნელობას „სამცხის ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიული შესწავლის“ საქმეში და ამბობს, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოხსენებულ გეოგრაფიულ პუნქტთაგან „ზოგი დღესაც ცნობილია... ზოგი კი საძიებელი და აღმოსაჩენია“<sup>3</sup>.

საძიებელია სოფელი ცხროკაც, რომელზედაც შეიძლება ითქვას შემდეგი: ქართული საკუთარი სახელების თურქული ტრანსკრიფციით გადმოცემის ხერხების შესწავლის საფუძველზე საესებით გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ „დავთარში“ მოხსენებული სოფლის სახელი „სიხრუჯ“-ი (سخرج); „ცხროკა“-ს კანონზომიერად გადათურქულებული ფორმაა.

<sup>1</sup> ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 53.

<sup>2</sup> აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, II. ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, პოფ. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1935, გვ. 154.

<sup>3</sup> ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 137.

საკმე ისაა, რომ „ც“ აფრიკატი თურქულში არ არის და ნასესხებ სიტყვებში იგი ჩვეულებრივად „ს“ თანხმოვნით არის ხოლმე გადმოცემული (ცხროქა → სხროქა). ანლაუტში მისთვის უჩვეულო ორთანხმოვნიანობას თურქული თავიდან აიციდნენ ხოლმე რომელიმე ვიწრო ხმოვნის ჩართვით. ამ შემთხვევაში პირველ ორ თანხმოვანს შორის „ი“ ხმოვანია ჩასმული (სიხროქა). თურქულ სიტყვებში პირველი მარცვლის შემდეგ ღია ბაგისმიერი ხმოვანი (ო ან ო) ჩვეულებრივად არა გვაქვს და ნასესხებ სიტყვებში „ო“ „უ“-ს გვაძლევს (შდრ. ქ. თორთომ ი → თ. Tortum და სხვ.)<sup>1</sup>. მოვიღეთ: ცხროქა → სიხრუქა<sup>1</sup>. გარდა ამისა უკვე დადგენილია, რომ ქართული მკვეთრი, ამ შემთხვევაში „ქ“, თურქულში სათანადო რიგის მქდერით — „ჯ“-თი გადმოიცემა (ცხროქა → სიხრუჯა<sup>2</sup>). ქართული სიტყვების ბოლოკიდური ხმოვანი თურქულში ძალიან ხშირად იცეცება ხოლმე (ცხროქა → სიხრუჯ)<sup>3</sup>. მოვიგონოთ აქვე, რომ ორი და მეტი თანხმოვნით დაწყებულმა ქართულმა სახელებმა, როგორცაა „წრიობ“, „ღრტილა“, და სხვ., თურქულად „ზირიობ“ — *زیرجو* (II 104), „ღირტილა“ *دیرغ* (II 199) და მისთანები მოგვცა ისევე, როგორც ქართული „ცხუმ“-ი თურქობის დროს თურქულ ფონეტიკურ პირობებს შეგუებულ „სუხუმ“-ად იქცა (თურქულში არარსებულ „ც“ აფრიკატს „ს“ უნდა მოეცა, ხოლო თანხმოვანთა გამყარად ფუძისეული „უ“-ს მიმსგავსებით „უ“ ვიწრო ხმოვანი უნდა ყოფილიყო) და „ცხუმ“-ის ეროვნული ფორმა გადათურქულებულმა „სუხუმ“-მა სიტყვამ ხმარებიდან განდევნა<sup>4</sup>.

ახლა საინტერესოა შეძლებისდაგვარად გაირკვეს სოფ. ცხროქის ადგილმდებარეობა. ვახუშტი ცხროქას არ ასახელებს. ჯერჯერობით ს. ცხროქა ჩანს მხოლოდ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასა“ და „დაეთარში“. „ცხოვრებაში“ ნახსენებია ჩორჩანი და ზანაევი. პირველი მათგანი ქვაბლიანის ხეობაში, დღევანდელი ადიგენის სარაიონო ცენტრიდან აღმოსავლეთით ორი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, ხოლო ს. ზანაევი ადიგენიდან ჩრდილოეთით დაახლოებით ასეთივე მანძილზე. ეს გარემოებაც გვაეარაუდებინებს, რომ ჩორჩანელ უფალთათვის სანადირო ადგილი — ცხროქა იმავე ქვაბლიანის ხეობაში უნდა ყოფილიყო. მაგრამ „დაეთარის“ მონაცემები უფრო აზუსტებს ს. ცხროქას ადგილმდებარეობას. ს. ცხროქა „დაეთარში“ დღეს ცნობილ ან რუკებზე აღნიშნულ სოფელთა ასეთ გარემოცვაშია დასახელებული: ღალვი (1-ლი სოფელი, II 84), ზეთუბანი (= ზედუბანი, მე-7 სოფელი, II 85), ხორთუბანი (= ლორთუბანი, მე-10 სოფელი, II 86), კიკიბო (მე-11 სოფელი, იქვე), დიდი აფიეთი (მე-12 სოფელი, იქვე), ცხროქა 4 = თურქ. სიხრუჯი მე-13 სოფელი, II 87), ჭეჭლა (მე-14 სოფელი, იქვე),

<sup>1</sup> ამაზე უფრო ვრცლად IV წიგნის ფონეტიკურ ნაწილში.

<sup>2</sup> აქვე, ჭაბარაქის ნაპიჯი, სოფ. № 1 (ჭაბარაქი).

<sup>3</sup> იხ. IV წიგნის ფონეტიკის ნაწილში.

<sup>4</sup> ვფიქრობ, ნორმალურად ვერ ჩაითვლება ის გარემოება, რომ „სუხუმის“ სახელად დაკანონებული გვაქვს აშკარად გადაგვარებული (გადათურქულებული) „სუხუმ“-ი.

ქალა (მე-15 სოფელი — ქექლასთან, II მნ). ყველა აქ ჩამოთვლილი პუნქტი ქვაბლიანის წყლის ზემო წელში და ამავე წყლის მარცხენა ნაპირის ზეგანზე მდებარეობს. ცხადია, ამ სოფლების გარემოცვაში დასახლებული ცხროქა ც ამ ადგილას უნდა ყოფილიყო და ამ მიდამოებში დღეს, ალბათ, მისი ნანგრევების მოძებნაც არ გაჭირდება.

აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ ცხროქა აღნუსხულია ახალციხის მიდამოებში, ახალციხის ჩრდილო-დასავლეთით, სოფ. კლდის ხაზზე — სამხრეთით. ეს პუნქტი აწინდელი ახალციხის რაიონის ტერიტორიაზეა, ხოლო „დავთრის“ დროისათვის ახალციხის ლივანში შემავალი ადგილია. ყოველ შემთხვევაში ამ რუკაზე ცხროქა ოცხის წყლის გადმოღმაა, ამ წყლის მარცხენა სანაპიროს საკმაოდ დაშორებული. ხოლო ხელისუფალთა მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტში — „დავთარში“, როგორც დავინახეთ, ცხროქა ქვაბლიანის ნაპირს (რაიონს) განეკუთვნება და ქვაბლიანის ხეობის ზემო სანაპირში („ტყეთა სიჭოში“) უნდა ყოფილიყო. ამდენად, ცხადია, ცხროქასათვის ხსენებულ რუკაზე ამ ადგილის მიჩენა მართებული არ არის. და, საერთოდ, სოფ. ცხროქა აქ სრულებით არაა მოსალოდნელი. ვფიქრობ, ამ გაუგებრობის წყარო უნდა იყოს „სამცხის“ რუკა, რომელიც დართული აქვს აკად. მ. ბროსეს მიერ გამოცემულსა და ფრანგულად თარგმნილს ვახუშტის „გეოგრაფიას“. ამ რუკაზე სოფ. კლდის (Clidé) ხაზზე სამხრეთით ორჯერ აღნუსხულია სოფელი Tserouti<sup>1</sup>, რომელიც, შეიძლება, „ცხროქად“ მიიღეს. სინამდვილეში კი ეს არის სოფ. წყრუთი. ეს იქიდანაც ცხადი ხდება, რომ მ. ბროსეს ამ რუკაზე „წ“ ts ნიშნებით აქვს გადმოცემული, ხოლო დ-თი — ქართული „ყ“ თანხმოვანი (შდრ. იქვე Tsuisis tsqali = წნისის წყალი); „ცხროქისათვის“ საქირო ც და ხ თანხმოვნები კი, მაგალითად, გადმოცემული უნდა ყოფილიყო tz და kh ნიშნებით (შდრ. Akhal-Tzikhe = ახალციხე და სხვ.)<sup>2</sup>.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიხედვით“ X საუკუნის ცხროქა დასახლებულ პუნქტად არ ჩანს; იგი „სადგურია“ მონადირეთათვის, ღამის გასათევი ადგილი. „დავთრის“ შედგენის დროისათვის (XVI საუკუნის ბოლო) ცხროქა უკვე 4 კომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 1000 ახჩად შეფასებული ფულადი და ნატურალური გამოსაღები.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე საერთოდ ზანური წარმომავლობის ტოპონომიკური მასალის არსებობა<sup>3</sup>. ამ მხრივ „ცხროქა ც“ არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

<sup>1</sup> Description géographique de la Géorgie, par la Tsarévitch Wukhoucht, publiée... par M. Brosset. ს. პეტერბურგი, 1842, Samtzhkh-s I რუკაზე.

<sup>2</sup> იხ. ზემოთხსენებული ციტატა.

<sup>3</sup> მაგალითად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 21 („სამწყრის წყალი“); ა. შანიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი, II, ყარსი, ბანა, არტანუჯი, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოსვლის ორი წლისთავისადმი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1952, გვ. 10 (არტანუჯი-არტანუხუჯი).

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ „ცხროქა“ ზანური „ჩხოროქა“ ან „ჩხოროინქა“-ს გადაქართულებული ფორმა იყოს („ჩხოროქა“, „ჩხოროინქა“ ნიშნავს „ცხრაქას“, „ცხრა წყაროს“, შდრ. მეგრული „ჩხოროწყუ“, აგრეთვე აღმოსავლეთ გურიაში (საქამიასერზე) პატარა მდინარეს ჰქვია ჩხოროწყუ (ადგილობრივად წარმოთქვამენ: ჩ ხ ო ო ნ ქ უ ა ს ა ო <sup>1</sup>... ქართული „ცხრა წყარო“ და სხვ.). სიტყვის პირველ „ცხრო“ ნაწილში „ო“ ზანური ჩხოროდან უნდა იყოს შემორჩენილი. პირველი მარცვლის „ო“ კი დაკარგულა, რადგანაც ქართულისათვის, მეგრულის მრავალხმოვნიაანობის წინააღმდეგ, ზედიზედ ორი თანხმოვანი ჩვეულებრივი მოვლენაა. ზანური „ჩხორო“-ს შიშინა „ჩ“ მისი ქართული სისინა ბგერისნაცვალი „ც“ თანხმოვნითაა წარმოდგენილი. „ო“ ხმოვანს გაქართულება (მის ქართულ შესატყვის „ა“-ში გადასვლა) არ შეეხო, რადგანაც, მე ვფიქრობ, „ცხროქა“-ში „ჩხოროქა“-ს ნაწილობრივ ფონეტიკურ გადაქართულებასთან უნდა გვქონდეს საქმე და არა მის თარგმნასთან.

14. სოფ. ქეკლა  $\text{كركلا}$  უბნითურთ —  $\text{كركلا}$  (I 8, 84; II 9, 87). დიაკრიტული ნიშნების გარეშეა. რომ ასეთები ჰქონოდა, მაშინ, ალბათ,  $\text{كركلا}$  იქნებოდა; მკვეთრი კ თანხმოვანი თითქმის ყველგან სათანადო რიგის მკვლევრითაა გადმოცემული. 1930 წელს დიალექტოლოგიურ მასალათა შესაგროვებლად მივლინების დროს მე შემთხვევა მქონდა ამ სოფელში დავრჩენილიყავი რამდენიმე დღეს. ეს სიტყვა წარმოითქმის „ქეკლა“-დ; ადიგენის რაიონის სოფ. ქელასთან ერთად ქეკლის სასოფლო საბჭოში შეგავალი სოფელია<sup>2</sup>. არქივისეულ სიებში ოდნავად დამახინჯებულადაა შეტანილი —  $\text{Келла}$  (გვ. 8 r, 10 r), ხოლო ზისერმანს აღნუსხული აქვს სოფ.  $\text{Келла}$ , რომელშიც 1870 წ. 29 კომლია<sup>3</sup>.

სოფ. ქეკლასთან დასახლებული  $\text{كركلا}$  უბნის სახელი ამოუკითხავია.

15. სოფ. ქალა, სოფ. ქეკლასთან —  $\text{كالا}$  (I 8, 85; II 9, 88). ამ სოფლის სახელის თანამედროვე წარმოთქმა, მართალია, ქელა<sup>4</sup>, მაგრამ „დავთარში“ პირველი ხმოვნის შემდეგ დაწერილია ელიფი, რაც ად უნდა იკითხებოდეს. რაც შეეხება თანამედროვე ქელა ფორმას, ეს შეიძლება „ქეკლა“ სიტყვასთან ანალოგიით შემდეგში მომხდარი ფონეტიკური ცვლილება იყოს. არქივისეულ სიებშიც  $\text{Кала}$  გვაქვს (გვ. 8 r, 10 r). ს. ქალა (აწინდელი ქელა) ქეკლის სასოფლო საბჭოში შედის<sup>4</sup>.

17. სათესველი ჯუჯულაძე (?), სოფ. კიკიბოსთან —  $\text{كوكولادзе}$  (I 8, 85; II 9, 88). დიაკრიტული ნიშნები აქვს (დედანი, გვ. 81); სიტყვის გახმოვნება რთულდება. შესაძლებელია „ქუქულაძე“ იყოს. შესაძლებელია ისიც, რომ ეს სიტყვა არ იყოს ამ სათესველის, ე. ი. ამ ადგილის სახელწოდება, არამედ მისი მფლობელის სახელი იყოს. ფაქტი ისაა, რომ ის ცალკე

<sup>1</sup> ს. ჟღენტი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 8.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.

<sup>3</sup> К. Зиссерман, 17.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.

საგადასახადო ერთეულადაა აღრიცხული და აწერია 1 000 ახზად შეფასებული გადასახადი. არქივისეული სიების მონაცემი *Копиями* სწორი არ არის (დასმული დიაკრიტული ნიშნები მხედველობაში მიღებული არაა; გვ. 81, 10 რ).

17. სოფ. იჯარეთი — اجارت (I 8, 85; II 9, 88). დიაკრიტული ნიშნები დასმულია. „დავთრის“ დროს 20 კომლიანი, საკმაოდ მოზრდილი სოფელია; 1870 წელს კი მასში მხოლოდ 7 კომლია<sup>1</sup>. დღეს ლელოვან და ყარათუბანთან ერთად ლელოვნის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>. გრაფის ქალის უვაროვის მიხედვით სოფ. იჯარეთი (*Иджарет*) მდებარეობს ქობლიანის წყლის ნაპირას, უდიდან 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათის სასვლელებზე<sup>3</sup>. „სოფ. იჯარეთი მდ. ქობლიანის მარჯვენა მხარეს, ადიგენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, იმ ამწვანებული მთის კალთაზე, რომელზედაც თითქმის გადაბმით მისდევს ერთ-მანეთს სოფლები გორგული, ყარათუბანი, ლელოვანი და სხვ. რაიონის ცენტრიდან სოფლამდის სულ 2-3 კმ იქნება“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> К. Зиссерман, 18.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.

<sup>3</sup> Граф. Уварова, Христианские памятники, МАК IV, გვ. 69.

<sup>4</sup> ვ. ბერიძე, სამცხის ზეოთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, გვ. 203.

# I. ახალციხის ლივნი

## 5. აწყურის ნაჰიე

1. სოფ. აწყურის ციხის რაბათი — رباط قلعه اقسور (I 8, 86; dI 9, 89). აწყურ სიტყვის თურქულად გადმოცემულობაში სრული კანონზომიერება გვაქვს: სიტყვის ორივე მკვეთრი წ და ყ თანხმოვანი შესაბამისი რიგის მელერ ز და غ (=ზ და ლ) თანხმოვნებითაა აღნიშნული—اقسور. ასევეა ეგ სიტყვა ტრანსკრიბირებული XVII საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ჰაჯჯი ხალფა (=ქათიბ ჩელები)-ს მიერ, რომელიც აწყურზე შემდეგს ავბობს: اقسور بدير بوغازينك بر طرفندہ بوغازك اغزندہ تا بعدر اقسور, რომელიც მდებარეობს პეტრეს უღელტეხილის აქეთა მხარეზე, უღელტეხილის კალთებზე, მტკვარ მდინარეზე. იგი ოსმალთა მფლობელობაშია<sup>1</sup>. ამავე შრომიდან იცნობს აწყურს Hammer-ი, რომელთანაც აწყურზე ვეითხულობთ: Das Schloss Asghur (Dschihannuna, S. 409) kommt sonst als Atskhur, Atzgur und Atsar, und in russischen Berichten als Atzehkur vor...<sup>2</sup> ჰამერის მიერ მოყვანილ აწყურის სახელწოდებებში Asghur თურქული ვარიანტის اقسور-ის ტრანსკრიფცია უნდა იყოს, ხოლო Atskur-ში ქართული აწყური უნდა იყოს გადაცემული (ts=წ და kh=ყ). დანარჩენი ვარიანტებიც ქართული „აწყურის“ უცხოური დამახინჯებები უნდა იყოს. როგორც დიალექტური ფაქტი მე ჩაწერილი მაქვს აგრეთვე اقسور-ალურის უფრო გადათურქულებული ფორმა اقسور-ალურ.

„აწყური“-ს უფრო ძველი ფორმა უნდა იყოს „აწყვერი“, ან აწყუშრი<sup>3</sup> ან აწყუერი<sup>4</sup>: აქედან კიდევ მ-აწყვერ-ელ-ი და სხვ. არქივისეული სიებიც Auxsep ფორმას იძლევა (გვ. 8 v, 10r). ხალხური სიტყვიერების მასალების

<sup>1</sup> كانب جلی - جهان نما, გვ. 409.

<sup>2</sup> GOR, II, გვ. 866; აგრეთვე გვ. 865; 304-ე და 305-ე გვერდებს შუა მოთავსებულ რუკაზე და სხვ.

<sup>3</sup> სამი ისტორიული ქრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დაეითნისა), გამოცემული ვრცელი წინასიტყვიანით... ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 81, 86.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება—ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 187 (767.).

მიხედვით ადგილზე ხალხშიც დასტურდება აწყვერ ფორმა: „ა წ ყ ვ ე რ ს. მოვა წინა ჯარი“, აწყვერითგანა გარდავიდა, აწყვერის ციხეს შემოადგა<sup>1</sup>. რომ უცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ“-ში აწყურ ფორმა არ გვექონდეს<sup>2</sup>, კაცი იფიქრებდა, რომ აწყურ“-ი იურქობის შემდეგ გაჩენილი ფორმაა (ქართული -ვე კომპლექსის უ“-დ განარტივება; შდრ. 'ცხუმი' → გადათურქულბული 'სუხუმი', 'ძურინა' → თურქ. 'ზურუნა' და სხვ.). პ. Загурскии აწყურს „სა-ეპრო სოფელს“ ეძახის<sup>3</sup>. კ. ზისერმანით 1870 წ. აწყურის მოსახლეობა შედგებოდა 178 კომლისაგან<sup>4</sup>.

დღევანდელი ახალციხის რაიონში აწყური სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც სოფ. აწყურის გარდა აერთიანებს ტყემლანა და თისელ სოფლებს<sup>5</sup>.

2. სოფ. ორფოლა — اورفولا (I 8, 88; II 9, 91). არქივისეული სიების ვარიანტი ორწყაღ (გვ. 8 v, 10 r) სწორი არ არის. ადგილობრივი მკვიდრის ი. ნებეირიძის მოგონებებში წერია: „სოფლებში ზევლს, ორფოლას, არალს და უდეს სამხანაგოდ ყანები გვაქუს...“<sup>6</sup> სოფ. ორფოლა შედიოდა ახალციხის რაიონის საყუნეთის სასოფლო საბჭოში. კ. ზისერმანი ორფოლაში უჩვენებს 13 კომლს (1870 წ.); მდებარეობს ახალციხიდან 13<sup>1</sup>/<sub>2</sub> ვერსზე (გვ. 4). 1835-36 წწ. სოფ. ორფოლა ეკუთვნის მე-14 კლასის მოხელეს პოლოს მეფისოვს<sup>7</sup>.

3. სოფ. ბლორძა — بلورجا (I 8, 88; II 9, 91). დიაკრიტული ნიშნები დასული აქვს. ორ თავიანთ თანხმოვანს შუა ჩასმულია ხმოვანი ო. არქივისეულ სიებში შეცდომით — ხუაყრა-ა (გვ. 8 v, 10 r). შედიოდა ახალციხის რაიონის საყუნეთის სასოფლო საბჭოში. რუსულად ფიქსირებულია — блорджа<sup>8</sup>. „დავთრის“ შედგენის დროს პატარა, 6 კომლიანი სოფელია, ხოლო 1870 წ.—9 კომლიანი (კ. ზისერმანი, 4), მდებარეობს ახალციხიდან 18 ვერსზე (იქვე).

4. სოფ. ხიდეთი — خيدتي (I 8, 89; II 9, 92). დიაკრიტული ნიშნები აქვს და უკვე არავითარი ეჭვი არ გვრჩება მის სწორად ამოკითხულობაში. ორთავე არქივისეულ სიაშიც Хидети გვაქვს (გვ. 8 v, 10 r). II წიგნში ორთავე ადგილას (გვ. 8, 89) ამ სიტყვის შემდეგ კითხვითი ნიშანია, რაც უნდა

<sup>1</sup> ხალხური ლექსები (სამუსხეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ), „ძველი საქართველო“, III, თბილისი, 1913-1914, გვ. 241.

<sup>2</sup> Г. Мерчуа, Жизнь св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшю и Кларджю, Петербург, 1911, гв. კვ, მე; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 52.

<sup>3</sup> პ. Загурскии, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Записки КОИРГО, VIII, гв. 11. აწყურზე იხ. აგრეთვე: დ. ბაქრაძის Кавказ в древних иллиятиках христианства, 20, 21; Граф. Уварова, МАК, IV, гв. 89.

<sup>4</sup> К. Зиссерман, 1.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>6</sup> ი. ნებეირიძის მოგონებანი... ბათუმი, 1948, გვ. 27.

<sup>7</sup> სცია, ფ. 1044, ს. 2, გვ. 358.

<sup>8</sup> СМНЭБ'КЗК, I, გვ. 248; სცია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 29 v.



მოიხსნას. ასეთი სოფელი დღეს ცნობილი არაა. მდებარეობა უცნობია, მაგრამ ხრდეთ ნასოფლარის ძიება სოფ. ბლორძასა და ორფოლას მიდამოებში უნდა წარიმართოს.

5. გელა [ა]ნთუბანი სოფ. ბლორძასთან —  $\text{ג'ל'אנ'ת'וב'אנ'י}$  (I 8, 89; II 9, 92). თურქულად I წიგნში დაბეჭდილი მაქვს  $\text{ג'ל'אנ'ת'וב'אנ'י}$  (გელათუბანი, გვ. 89), მაგრამ აწუამად ასოთა მოხაზულობაზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ელიფის შემდეგ ორი კბილაკია გამოყვანილი: ერთია — ; სათვის და მეორე კი — ჰ-სათვის და, თითქოს, მართლაც „გელა [ანთუბანი“ გამოდის. ამ მხრივ. II წიგნში უფრო სწორედ არის ამ სოფლის სახელი წარმოდგენილი, ოღონდ კითხვითი ნიშანი ჩვენ ორთავე წიგნში გვაქვს დასმული და, ვფიქრობ, სამართლიანადაც. დიაკრიტული ნიშნები არ არის დასმული, თუმცა ასეთი დაწერილობის სხვანაირი წაკითხვა ძნელია. „დავთრის“ ე. წ. სიების ნაწილში (დედნის გვ. 14, „დავთარი“, I 8, II 9) ამ დაწერილობის შემადგენელი ასოები ოდნეად განსხვავდება ტექსტიკული მოხაზულობისაგან: იქ აშკარად  $\text{ג'ל'אנ'ת'וב'אנ'י}$  - ი (= გელასუბანი) გვაქვს. ასევე  $\text{ג'ל'אנ'ת'וב'אנ'י}$ -ადაა ფიქსირებული ამ პუნქტის (გაუკაცრიელებული სოფლის) სახელი არქივისეულ სიაშიც (გვ. 8 v, 10 r). სოფ. გელათუბნის ნანგრევების ძიება სოფ. ბლორძის არემარეში უნდა მოხდეს<sup>1</sup>. ბოლოსანებში მოპოვებულ 1835 წ. ერთ ქართულ საბუთში, რომელსაც მისი ფრიადი მნიშვნელობის გამო აქვე ვებეჭდავთ<sup>2</sup>, სოფ. თისელთან ახლო მდებარედ იხსენიება სოფ. გელათუბანი. ჩვენი გელა[ანთუბანი კი ნაჩვენებია ბლორძასთან. მაგრამ ბლორძა და თისელიც ახლოს არიან ერთმანეთთან (იხ. რუკა). ამიტომ, ვფიქრობ, საბუთის გელათუბანი და „დავთრის“ გელა[ანთუბანი ერთი და იგივე გეოგრაფ. პუნქტია და ამდენად ჩვენი ამოკითხულობაც მართლდება. კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას და ამ პუნქტის სახელად უნდა დადგინდეს გ'ელათუბანი ან გელათუბანი.

6. სოფ.  $\text{ג'ל'אנ'ת'וב'אנ'י}$  კოპეთი? —  $\text{ג'ל'אנ'ת'וב'אנ'י}$  (?) (I 8, 89; II 9, 92). ეს სოფელი „დავთრის“ შედგენის დროს დიდი სოფელი ყოფილა. 21 კომლიანად არის ნაჩვენები ისფენჯის გადამხდელთა რიცხვის მიხედვით, მაგრამ ფაქტიურად 20 კომლიანია. ასოთა მოხაზულობაზე (იხ. დედანი, გვ. 85) დაკვირვება საშუალებას იძლევა წავიკითხოთ აქ „კოპეთ“ სიტყვა. პირველი ორი ასო საე-სებით გარკვეულია —  $\text{ג'ל'}$ , რომელიც აქ შეიძლება წავიკითხოთ „კო“დ; შემდეგ ორი კბილაკია, რომელთაგან ერთი უნდა იყოს, ხოლო მეორე  $\text{ב'}$  (იოტი), რომელიც ამ შემთხვევაში „ბ“ ხმოვანს გადმოსცემს; ბოლოკიდური სტრიქონიდან ქვემოთ ჩაწეული სწორი ხაზი კი ჩვეულებრივად  $\text{ת'}$  თანხმო-

<sup>1</sup> პაველ ინგოროყვას სახსებით სწორად მიაჩნია ამ პუნქტის გელათუბანად ამოკითხვა. იხ. მისი: გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთე საჭუუნისა, თბილისი, 1954., გვ. 394.

<sup>2</sup> იხ. ამავე ნაწილში სოფ. № 25.

ენის გამოხატავს. ამრიგად მიღებულ „კოპეთ“ სიტყვას, ვფიქრობ, უთუოდ კავშირი აქვს იმ სოფლის სახელწოდებასთან, რომელმაც ჩვენ დრომდეც მოაღწია „კოპაძე“-ს სახელით. სოფ. „კოპეთ“-იც სწორედ ბლორძა და ორფოლა სოფლებთან ერთად იხსენიება ამ „დაეთარში“ და სოფ. კოპაძეც სწორედ იმავე ბლორძა და ორფოლასთან შედიოდა ახალციხის რაიონის საყუბნეთის სასოფლო საბჭოში<sup>1</sup>. ვფიქრობ აგრეთვე, რომ „დაეთარის“ დროის ასეთი დიდი სოფელი უკვალოდ არ უნდა დაქარგულიყო, ხოლო დროთა ვითარებაში კი სახელი შეიძლება მას ეცვალა, ან ორი სახელი ჰქონოდა: კოპაძე და კოპეთი<sup>2</sup>. ამრიგად, ამჟამად მე დამაჯერებლად მიმაჩნია ეს გარემოება და კოპაძე მოხაზულობა „კოპეთ“-ად უნდა იქნეს ამოკითხული და ეს კოპეთ სოფელი გაიდენტირებულ უნდა იყოს კოპაძე სოფელთან, რომლის მდებარეობა ახალციხის რაიონში გარკვეულია.

არქივისეული სიების მონაცემები ამ სოფლის სახელზე — Гупелъ (გვ. 8 v, 10 r) — უაზროა და არავითარი რეალური საყრდენი არ აქვს. კ. ზისერმანით კოპაძე 16 ვერსითაა დაშორებული ახალციხეს და მასში 5 კომლიანი მოსახლეობაა (გვ. 3).

7. სოფ. კვირიკეწმინდა — სარსან? كويكع ساتესველითურთ — كويكع (I 8, 90; II 9, 93). უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ „დაეთარის“ ე. წ. სიაში ამ სოფლის სახელი كويكع — კვირიკეწმინდა კი არ არის — كويكع — კვირიკე-ა (გვ. I 8, II 9, დედანი, გვ. 14). მაგრამ ამას, ვფიქრობ, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა: შეიძლება „დაეთარის“ ე. წ. სიაში შემოკლებულადაა მოცემული ეს სახელი, შეიძლება კიდევ ამ სოფელს „კვირიკე“-ც ერქვა და „კვირიკეწმინდა“-ც. ოღონდ არქივისეულ სიებში ამ სოფლის სახელად მოცემული Курка (გვ. 8 v და 10 r) პირდაპირ გასაოცარია. ამით მელანდება ის არასერიოზული დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდნენ ამ სიის შემდგენელი მოხელეები სათანადო წყაროს — დაეთარის მიმართ. ამ სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით უნდა შეინიშნოს აგრეთვე, რომ, როგორც ახლანდელმა დაკვირვებამ დამარწმუნა, كويكع -ში „წ“ თანხმოვანი კ ასოთი კი არაა გადმოცემული, როგორც ეს ჩვენ დაბეჭდილი გვაქვს (I 90), არამედ ჩვეულებრივად კ ასოთი.

გ. მერჩულის „ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“-ში მოხსენებულია კვირიკეწმინდა ორჯერ: „ალაშენებდა წმიდათა მათ მონასტერთა მათ მიერ ნეტუსა და კვირიკე წმიდისასა...“, „და კუალად მიიწინეს ნეტუს და კვირიკე წმინდას...“ ასეთივე კონტექსტში, ე. ი. ნეტქ'სთან დაკავში-

<sup>1</sup> იხ. საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის რუსული სია — Ахалцихский район.

<sup>2</sup> ორგანიზაციული ასეთი სახელები ამ ვილანეთში ჩვენ შემდეგაც გვიქნება (იხ. ჩუნ-ჩხა II ჩუნჩხელი, ბარალეთი II ბარალისი და სხვ.). საინტერესოა, რომ ახლანდელმა გამოცემულმა ინგოროვას წიგნშიაც: გ. მერჩულე — ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა (გვ. 395), „კოპაძე-კოპეთი“-ს შესახებ ასეთივე ახრია გამოთქმულია.

რებით ნახსენებია კ-ეთი, რომელიც ნ. მარისა და პ. ინგოროყვას მიხედვით, იგივე კვრიკე[წმინდა]¹.

სოფ. კვირიკეწმინდას (კვირიკეს) ჩვენ დრომდე არ მოუღწევია და მისი ადგილმდებარეობა ცნობილი არაა. როგორც სხვა შემთხვევებში „დავთრის“ სინამდვილიდან, აქაც სოფ. კვირიკეწმინდის მდებარეობის გასარკვევად ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ სოფელთა იმ წრეს, რომელშიც აღწერილია კვირიკეწმინდა; ადგილზე ამ ნასოფლარის ძიება უნდა ჩატარდეს კვირიკეწმინდასთან ჩამოთვლილ და ჩვენთვის მდებარეობაცნობილი შემდეგი სოფლების არე-მარეში: ორფოლა, ბლორძა, საყუნეთი, ტყემლოვანა და სხვ.²

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ნოპოვებელი საარქივო მასალა უფრო აზუსტებს კვირიკეწმინდის მდებარეობას. ერთ საბუთში ნაჩვენებია, თუ ახალციხის მაზრაში რომელი სოფელია მფლობელი ამა თუ იმ ვერანა ადგილებისა. იქ ნათქვამია: Сведения о земельных статьях, состоявших в бессрочном пользовании жителей селений Ахалцихского уезда: 6. Пустошь Квирикешинда у жителей селения Копалзе³. ამრიგად, კვირიკეწმინდა ნასოფლარი როგორც საყანე ადგილები სოფ. კოპაძის მცხოვრებთა მფლობელობაში ყოფილა. ეს ვითარება კი სავსებით განსაზღვრავს კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობას. სოფელთან დასახლებული სათესველი ნაწილობრივადაა ამოკითხული და ისიც პირობით.

8. სოფ. ტყემლოვანა — *აქლგა* (I 8, 91; II 9, 93). დიაკრიტული ნიშნები არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, აქ ჩვენ მოცემული გეაქეს სახელი იმ სოფლისა, რომელმაც ჩვენ დრომდე მოაღწია, შედის ახალციხის რაიონის აწყურის სასოფლო საბჭოში აწყურ და თისელ სოფლებთან ერთად და რომელსაც ამჟამად ტყემლოვანა ჰქვია⁴. ერთვერსიან რუკაზედაც ამ ადგილას *Ткемлана*-ა. მე ვფიქრობ, რომ ამ სოფლის ძველი სახელი იქნებოდა ტყემლოვანი, როგორც ეს „დავთარშია“ დადასტურებული, ხოლო მისი „ტყემლანა“-დ გამარტივება მერმინდელი ამბავი უნდა იყოს. თურქისათვის ძნელი გადმოსაცემია „ტყემლოვანა“. ჯერ ერთი, ორი ხშული თანხმოვანი აქვს თავკიდურად, მეორე, ორივე სპეციფიკური ქართული მკვეთრებია, რომელნიც ჩვეულებრივად სათანადო რიგის შეღერებითაა გადმოცემული (ტყ→ტა); უჩვეულოდ მეჩვენება „ე“ ხმოვნის ელიფით გადმოცემა სიტყვის.

¹ Г. Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Груз. текст. Введение, издание, перевод Н. Марра, პეტერბურგი, 1911, გვ. ლვ, ლზ, და ვ; აგრეთვე: საძიებელი გვ. 204; პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე — ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 394. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 32.

² კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობაზე უფრო დაწვრილებით: პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე — ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 394-395. პ. ინგოროყვა კვირიკეწმინდის მდებარეობის გასარკვევად იწველებს აგრეთვე ეპისკოპოსის მონაცემებს კვირიკეწმინდის შესახებ (იხ. იქვე).

³ სცია, ფ. 223, ს. 6, გვ. 52 რ.

⁴ საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

შუაში, მაგრამ ეს, უთუოდ, შედეგია აღმწერის მიერ ამ სიტყვის შეცდომით აღქმისა.

არქივისეულ სიებშიც Ткеманა (გვ. 8 v, 10 r) გვაქვს, რაც მოწმობს სიების შემდგენელთა უდიერ დამოკიდებულებას „დაეთრის“ მონაცემების მიმართ (ჩვენ ზემოთ გვეყონდა ლაპარაკი იმაზე, რომ არქივში დაცული სიების წყარო იგივე ჩვენი „დაეთარია“, ხოლო „დაეთარში“ ტყემლანაკი არაა, ტყემლოვანაა). ამ სოფლის სახელად გვხვდება აგრეთვე „ტყემლიან-ფორმა“<sup>1</sup>. კ. ზისერმანით ტყემლანაში 27 კომლია (1870 წ.) და მდებარეობს იგი ახალციხიდან 22 ვერსზე (გვ. 3).

9. სოფ. საყუნეთი — اسقونت (I 8, 91; II 9, 94). ვფიქრობ, რომ ქართულად საყუნეთია და არა საღუნეთი<sup>2</sup> და საკუნეთი<sup>3</sup>, ან Сахунет<sup>4</sup>, ან Саунети-ი (I სია, გვ. 8 v) და Сахунет-ი (II სია, გვ. 10 r). ამ სიტყვაში რომ „ლ“ თანმიმდევრული ყოფილიყო, იგი თურქული გ-თვე იქნებოდა გადმოცემული; კაფით კი ქართული „ყ“ გადმოიცემა ხოლმე. „საკუნეთი“ რომ იყოს, როგორც ეს ალ. ფრონელს აქვს ფიქსირებული, თურქულად იგი მქლერის ნიშნით — კ-ით აღინიშნებოდა. არ არის სარწმუნო ამ სიტყვის ეტიმოლოგია: «Дерення Сахунети, на р. Куре в Ахалцихском уезде—место божьяшинок»<sup>5</sup>. Божьяшинок ბოტანიკური ტერმინია და „კუნელს“ ნიშნავს<sup>6</sup>, მაგრამ „საკუნეთი“ ან „საკუნეთ“ სიტყვებში ჩვენ „კუნელ“ ძირი ხომ არა გვაქვს. კ. ზისერმანსაც (გვ. 3) ასეთი მცდარი ეტიმოლოგია აქვს.

თანამედროვე აღმინისტრაციული დაყოფის ნიხედვით საყუნეთი სხვა სოფლებისაგან დამოუკიდებლად ცალკე სასოფლო საბჭოა ახალციხის რაიონში<sup>7</sup>. „საკუნეთი — ეს კარგა მოზრილი სოფელი აწყურს აკრავს, ასე 5-6 ვერსი იქნება“<sup>8</sup>.

10. სოფ. აგარა -- სოფ. თისელთან — اكر (I 8, 92; II 9, 95). არქივისეულ სიებში შერყენილადაა ჩაწერილი: Агара (გვ. 8 v, 10 r). აგარა ამავე აწყურის ნაპირში კიდევ ორია: № 39 (აგარა დედისიძედის წინუბანთან) და № 48 (ს. დეპოთიასთან — № 54, აქვე). ეს აგარა ნაჩვენებია სოფ. თისელთან, ხოლო თისელი ტყემლანასთან ერთად აწყურის სასოფლო საბჭოში

<sup>1</sup> წერილი აწყურიდან, „იერია“, 1895, № 241; ს. ცაიშვილი, ახალ მესხეთში, გახ. „სახალხო განათლება“, 1948 წლის 23.IX-ის ხომბერში.

<sup>2</sup> ს. ცაიშვილი, იქვე.

<sup>3</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 45-46.

<sup>4</sup> Грэй. Уларова, Христианские памятники, Мат. по арх. Кавказа, IV, გვ. 89.

<sup>5</sup> E. Weidenbusch, Священныя рощи и деревья у Кавказских народов. Изв. КНРГО, V, № 3, 1878, გვ. 178.

<sup>6</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1937, გვ. 31.

<sup>7</sup> საქ. სსრ აღმ. ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>8</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 45-46; ურუა ზუსტად: ვ. ბერიკე. სამცხის არქიტექტურა XIII-XVI საუკუნეებში, გვ. 188.

შედის<sup>1</sup>. დღეს არარსებული ეს აგარა აწყურის სანახების ამ მონაკვეთზე უნდა ვეძიოთ.

11. სოფ. დვირი — دويری (I 8, 92; II 9, 95). „ამ ჭვეთ [ყვერბალისა და ლიჯანის ხეები] ზეით არს ქობის ჭევი. და არა დვირამდე ქართლისა“<sup>2</sup>; და ჭობასა შინა მტკვრისასა უმეტეს ჩქარი არს, ვიდრე დვირამდე, და დვირს ზეით აგრეთვე, ვითარცა ქართლსა შინა“<sup>3</sup>. ნ. ბერძენი-შვილით დვირი თორას ტერიტორიაზე მდებარეობდა<sup>4</sup>. დღეს დვირი ბორჯომის რაიონში დვირის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც დვირის გარდა ზორეთ, ქვაბახსევე და ქობისხევე სოფლებს აერთიანებს<sup>5</sup>. მდებარეობს იგი საკირისწყალზე, ახალციხიდან 31 ვერსზე (ზისერმანი, 3).

12. სოფ. დგვარი — دواگر — دگره توبان — ბერეკა[ან]თუბან (?), ممشولدی توبان — მემშვილდეთუბან (?), شادی توبان — შუდიდითუბან (?), پاری اوسان — ფაფარიუბან (?), کولیر اوسان — გოლემირაზუბან (?) და جوغ اوسان ქოლა-უბან II ჩოლაუბან (?) უბნებით — ტაძრის უბნის გამორიცხვით (I 8, 93; II 9, 96).

ს. დგვარი ბორჯომის რაიონში ტაძრისის სასოფლო საბჭოში შემაჯალი სოფელია ტაძრისთან და საკირესთან ერთად<sup>6</sup>, საინტერესოა, რომ ამ სოფლის სახელის ზოგჯერ Твар, ზოგჯერ კიდევ дуквар, ან კიდევ Двар, или дуквар, და Дварი დაწერილობაც გვხვდება<sup>7</sup>. შესაძლებელია კაცმა იფიქროს, რომ ამ სოფლის ძველი ქართული სახელი იყო არა დგვარი, არამედ მტკვარი. ცნობილია, რომ თურქის წარმოთქმაში თავიედური „მ“ თანხმოვანი იკარგება, ხოლო მკვეთრები სათანადო რიგის მქლეურებით გადმოიცემა — მტკვარი → დგვარი. რადგანაც თურქულში ორი თანხმოვნით სიტყვა არ შეიძლება დაიწყოს, ნასესხებ სიტყვაში ჩნდება ხმოვანთა გამყარი, როგორც ეს ამ შენთხევევაშიც არის — دواگر (=დუგ'არ), ხოლო მესამე „ვ“ თანხმოვანიც ამოვარდნილია. რუსულ საბუთებში Двар-სთან<sup>8</sup> ერთად ვხვდებით აგრეთვე ნამდვილ თურქულ Двар ფორმასაც<sup>9</sup>. ჰამერიც دواگر-ს კითხულობს Dukar-ად<sup>10</sup>, ხოლო რუკაზე Dukiar-ი აქვს<sup>11</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ქართული „მტკვარ“ ფორმისაგან საესებით ბუნებრივია თურქული

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 84.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>4</sup> ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, მიმოხილველი, II, გვ. 47; დვირზე იხ. აგრეთვე: სცია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 31 რ.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 28.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> გვხ. «Варя Востока», 1943, 17. X-ის № 217; სცია, ფ. 1044, ს. 11, გვ. 9 რ, 14 რ და

სხვაგან.

<sup>8</sup> სცია, ფ. 352, ს. 183, გვ. 28 რ.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 66 რ.

<sup>10</sup> GOR, II, გვ. 865.

<sup>11</sup> იქვე, 304 და 305 გვერდებს შუა ჩაყრული რუკა.

„ღუგ“არ“ — *دوغ*, ხოლო „ღგვარი“ ნაწილობრივად გადათურქულებულ ფორმა უნდა იყოს იმავე ქართველების წარმოთქმაში.

ვახუშტის მიერ შედგენილ გეოგრაფიულ პუნქტთა სიაში მართლაც დასახელებულია „მტკუარი“. მე მგონია აქ ეს სოფლის სახელია და სახელისწორედ ამ დგვარ სოფლისა; იგი მოცემულია სწორედ ისეთ კონტექსტში, როგორშიც დღევანდელი დგვარი შეიძლება ყოფილიყო მოხსენებული: ახალდაბა, ქიმერეთი, ყვიბისი, კორტანეთი, ნუა, მტკუარი, პეტრესციხე, ყვერბილი, კობისხევი და სხვ.<sup>1</sup> გარდა ამისა ვახუშტი ხელმეორედ დასახელებს მტკვარს, აგრეთვე ისეთი სოფლების გარემოცვაში, რომელშიც დღევანდელი დგვარი მდებარეობს: ტყემლოვანა (იხ. აქვე № 8), თისრევი (რომელიც ჩვენ „თისელი“ გვგონია; აქვე № 14), მოკტევი (აქვე, № 17), მტკვარი, დვირი (აქვე, № 11)<sup>2</sup>.

სოფ. დგვართან დასახელებულია მისივე შემადგენლობაში არსებული ექვსი უბანი. პირველი უბნის სახელია *دوغ*. დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ამ სახელწოდების მეორე კომპონენტი — ზოგადი სახელი „უბანი“, რომელსაც წინ ჩვეულებრივ უძღვის ხოლმე ქართული მრავლობითობის „ანთ“, ან „ან[თ]“ აფიქსი. ყველაზე უფრო მეტად არის შესაძლებელი, რომ ამ პირველი უბნის სახელი იყოს „ბერეკა [ან] თუბანი“. არ ვიცი, რა ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან ამავე აწყურის ნაჰიჯეს № 60-ად აღწერილი სოფ. ბერეკა[ან]თუბანი და ამ დგვარ სოფელთან ნახსენები ამავე სახელის მატარებელი უბანი. მეორე უბნის სახელად მოცემულია *دوغ* — აქ მესამე *دوغ* ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს და, ვფიქრობ, მისი წაკითხვა შეიძლება ასე — მე მშვილდე თუბანი. მესამე უბნის სახელის ამოკითხვა უფრო რთულია: მეორე *دوغ* ასო აქაც დიაკრიტული ნიშნით არის, მაგრამ პირველ ერთ კბილას ასეთი არა აქვს — შუღდი თუბანი (?). მეოთხე უბნის სახელწოდების პირველ კომპონენტს დიაკრიტული ნიშანი აქვს: *دوغ*, მაგრამ დამაჯერებელი წაკითხვა არც აქ გვაქვს — შეიძლება ეს იყოს ფაფარი თუბანი, ან „ფაფაქ[თ]უბანი (?). მეხუთე უბნის სახელწოდებასაც აქვს დიაკრიტული ნიშნები, მაგრამ არც მისი ამოკითხვა შეუძლებელია: *دوغ* უნდა უღრიდეს — გულე შირას თუბანი (?) (ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის — ს'ს გამეღერებით). მეექვსე უბნის სახელი ასე იკითხება: *دوغ* (დიაკრიტული ნიშნებითაა): შეიძლება ქართულად ეს იყოს — კოლა[ან]თუბანი და მისთანანი.

სოფ. დგვარის ამ უბნების ჩამოთვლის შემდეგ შენიშვნაა გაკეთებული, რომ უბანი ტაძრის ცალკეა გამოყოფილი და მისი შემოსავალი არ შედის დგვარის შემოსავლის ჯუშალში. საქ. ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულ 352-ე ფონდში, საქმე № 183 (გვ. 22 რ, 66 რ, 86 რ და სხვა).

<sup>1</sup> იხ. ვახუშტის სია (ინდექსი), გვ. 30 ვ, 1 სვეტი.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 32 რ, 1 სვეტი.

მრავალი მასალაა სოფ. დგვარსა და სოფ. ტაძრისის ურთიერთ ტერიტორიულ და სხვა დამოკიდებულებათა შესახებ.

არ ვიცი რა ვითარებას უნდა ასახავდეს ის ფაქტი, რომ დგვარ სოფლის შემადგენლობაში ამდენი უბანი შედის (მაშასადამე, იგი დიდი სოფელია) და მისი მოსახლეობა არ არის აღწერილი. არც ისაა ნათქვამი, რომ იგი „ცარიელია რეგენაჰსგან“, რომ დგვარი გაუქაცრიელებული არ არის იქიდანაც ჩანს, რომ მას შეწერილი აქვს საკომლო გადასახადი ისფენჯი (იხ. „დაეთარის“, I 93; II 96). ისფენჯისა და მარცვლეულზე გადასახადი საკმაოდ დიდი რაოდენობისაა—20 955 ახჩა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დგვარში მოსახლეობაც იყო და მას მოსავლიანი მიწებიც ბევრი ჰქონდა.

13. უბანი ტაძრისი — სოფ. დგვარის უბნების გამორიცხვით — *محلہ ازری* (I 8, 93; II 9, 96). „დაეთარის“ მიხედვით იმ დროს ტაძრისი, თითქოს, 3 კომლიანი უბანია სოფ. დგვარისა, მაგრამ აღრიცხულია ცალკე. ამეჟამად ტაძრისი დამოუკიდებელი სოფელია (იხ. თანდართულ რუკაზე) და ბორჯომის რაიონში იგი ტაძრისის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც აერთიანებს დგვარსა და საკირეს<sup>1</sup>. *محلہ ازری* დაწერილობაში ჩვეულებრივად „ტ“ მკვეთრი ა ასოთია გადმოცემული, ხოლო „ძ“ — ნიშნით. ამ დაწერილობას დასმული აქვს დიაკრიტული ნიშნები და ამოკითხულობა სავსებით უუქველია. ორთავე არქივისეულ სიაში „ტაძრის“ სახელწოდება ძლიერ დაუდევრადაა შეტანილი: *Матані* (ალბათ დამახინჯებული არაბ. *محلہ* — *ma-halle-i* = ‘უბანი’) *дараис* (გვ. 8 v, 10 r), ისევე, როგორც ხუთვერსიან სპეტ. რუკაზედაც შერყენილადაა ეს სახელწოდება დაწერილი: *Тадриис*-ს სახით.

„უცხოებად და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა“-ში ნათქვამია, რომ გიორგის „მამის მამეული“ იყო „ქეყანა, რომელსა სამცხე ეწოდების; ხოლო თვთ აღმოეცენა იგი ქუეყანასა თრიალეთისასა“<sup>2</sup>. შემდეგ გ. მთაწმინდლის ბიოგრაფიის ავტორი ახსენებს გიორგის უფროს დას თეკლას, რომელიც მშობლებმა „წარიყვანეს... სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების“<sup>3</sup>. შემდეგ ავტორი თვით გ. მთაწმინდელზე წერს, რომ „იგი შვიდი წლისა... მასვე ზემო ვსენებულსა მონასტერსა ტაძრისსა, დისა თვისსა თანა წარგზავნეს...“<sup>4</sup> ჩვენ მიერ აქ განხილულ გეოგრაფიულ პუნქტთან —

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 28.

<sup>2</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაქებით, თბილისი, 1901, გვ. 285.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 286.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 287; შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 189, 190; აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II (1948), გვ. 52; შდრ. ალ. ფრონელი: „ს. ტაძრისი, სადაც მეტად შესანიშნავი დედათა მონასტერი ყოფილა, ეხლა კი ცარიელი ნანგრევებია“ (დიდებული შესხეთი, გვ. 140); აგრეთვე, მ. ჯანაშვილი, შესხეთი, თბ., 1915, გვ. 22.

ტაძრისთან დაკავშირებით, რომლის ადგილმდებარეობა სავსებით ცხადია, უნდა ითქვას, რომ, ერთის მხრივ, ტაძრისის (აწყურის ნაპიჯეში შედის, ე. ი. სამცხის ტერიტორიაზე) და გ. მთაწმინდლის „მამის მამულის“ სამცხისა და, მეორე მხრივ, თვითონ გიორგის „აღმოცენების“ ადგილის— თრიალეთის ტერიტორიული სიახლოვე საბაბს გვაძლევს „დავთრის“ ტაძრისი (XVI საუკ.) და გ. მთაწმინდლის ბიოგრაფიაში ნახსენები ტაძრისი (XI საუკ.) ერთი და იმავე გეოგრაფ. პუნქტად მივიჩნიოთ. თვით სახელწოდება ტაძრ-ის-იც (შდრ. თბილ-ის-ი) შინაარსობრივად იმაზე მიუთითებს, რომ ამ ადგილას ყოფილა ტაძრები და, საერთოდ, სამონასტრო ორგანიზაცია, სადაც გ. მთაწმინდელს უნდა მიეღო პირველდაწყებითი განათლება.

„დავთრის“ შედგენის დროს ტაძრისში მხოლოდ სამი კომლია და იგი სოფელ დგვარის ერთ-ერთ უბნად (მაგრამ მაინც დამოუკიდებლად) არის აღწერილი. თვით დგვარი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდ, ექვსუბნიან სოფლად მოჩანს, მაგრამ მასში მოსახლეობა არ არის; ყოველ შემთხვევაში იგი აღწერილი არაა. უნდა ვფიქროთ, რომ, ალბათ, მდიდარ და კეთილნაშენ დგვარსა და ტაძრის სოფლებს ვამთა სიავისა გამო დიდი ძნელბედობა დაადგათ, დაინგრნენ და გაუკატრიელდნენ; ან მოსახლეობა დაიფანტა და აღწერა შეუძლებელი იყო. 1836-1838 წლებში ტაძრისი ცარიელი სოფელია, ხოლო 1870 წ. ტაძრისში (შეცდომით Тадриси) 16 კომლია აღრიცხული<sup>1</sup>.

14. სოფ. თისელი — تيسل (I 8, 93; II 9, 96). დედანში ამ დაწერილობას ნიშნები დასმული აქვს (გვ. 88) და ამოკითხულია ეს სახელი კარგად. По его [протоиерея Гамрекелова] словам Тисельский монастырь находится в 5-6 верстах к юго-востоку от Аухура, на правом берегу не-большой речки, в деревне Тисел...<sup>2</sup> დღეს ახალციხის რაიონში სოფ. თისელი აწყურთან და ტყემლანასთან ერთად შედის აწყურის სასოფლო საბჭოში<sup>3</sup>.

15. სოფ. უგარეთი — სოფ. ზედუბანთან — اوگارت (I 8, 94; II 9, 97). „დავთრის“ ე. წ. საგადასახადო ობიექტების სიაში (დედანი, გვ. 14) ამ სიტყვის ბოლოციდური ასო თითქოს უფრო ა ასოს გავს, ვიდრე უ-ს; ამიტომ I წიგნის ამ „სიაში“ ჩვენ დაბეჭდილი გვაქვს اوگارت (I, 8). სოფლის სახელი რომ უგარეთ-ია (და არა უგარედ-ი) იქიდან ჩანს, რომ ე. წ. „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ აწყურს ქვემოთ მტკვრის მარჯვენა ნაპირას აღნიშნულია პუნქტი Угарет (იხ. აგრეთვე რუკაზე), ამ ადგილას შეიძლება დღესაც იყოს ნასოფლარობის ნიშნები; „დავთრის“ დროს უგარეთი

<sup>1</sup> სტო, ფ. 1044, ს. 4, გვ. 31 v; К. Зиссерман, 23.

<sup>2</sup> Д. Накрадзе, АПГА, გვ. 136; მისივე: Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 23; აგრეთვე: Е. Такайшвили, Христианские памятники, МАК, XII, გვ. 5-7; Граф. Уварова, Христианские памятники, МАК, IV, გვ. 92; ვ. ბერიძე, სამცხის ზეოთმოდღერება XIII-XVI საუკუნეებში, თბ., 1955, გვ. 167, 168.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.



„უკვე გაუქცირებულა. 1836-1838 წლების საბუთშიც სოფ. Угарეთი-ცარიელი ჩანს<sup>1</sup>.

16. სოფ. ზედუბანი — زودبان (I 8, 94; II 9, 97). პირველ ასოს დიაკრიტიული ნიშანი აქვს და ეს უკვე გასაღებია სიტყვის სწორად ამოკითხვისათვის. გაუქცირებულნი პუნქტია; მისი მდებარეობა უცნობია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სოფ. უგარეთზე (იხ. ზემოთ) ნათქვამია, რომ ის ს. ზედუბანთან ახლოა. მაშასადამე, უგარეთი და ზედუბანი ერთმანეთთან ახლო მდებარე პუნქტები ყოფილან. რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უგარეთის მდებარეობა გარკვეულია (იხ. თანდართული რუკა), ზედუბნის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად ძიება უგარეთის მიდამოებში უნდა წარიმართოს. კ. ზისერმანი (გვ. 13) ზედუბანი ოკიზის-წყალთანაა (იხ. აქვე ს. № 25). ამ პუნქტის სახელის არქივისეული სიების ვარიანტი Зетубан (გვ. 8 v, 10 r) სწორი არ არის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის არსებობის ბოლო ხანებში შეიძლება მას ზედუბანიც ერქვა. 1870 წ. აღწერილობაში მოცემული Зетубანი, რომელშიც 8 კომლი მოსახლეა ნაჩვენები, შეიძლება იყოს „დავთრის“ ზედუბანი<sup>2</sup>.

17. სოფ. მოქცევი — موکو (I 8, 94; II 9, 97). სოფ. მოქცევი შედიოდა ბორჯომის რაიონის ტაძრისის სასოფლო საბუთში ტაძრისთან, დავართან და საკირესთან ერთად<sup>3</sup>. „მოქცევის ციხე უკანასკნელ გუშაგად ედგა ბორჯომის ხეობის დასასრულს და ზემო ქართლს“<sup>4</sup>. არქივისეული სიების Муксель-ს (გვ. 8 v, 10 r) არაერთი გამართლება არა აქვს.

18. სოფ. საკვირიკე — ساكويريكة (I 8, 95; II 9, 97). II წიგნში „საკვირიკე“ სიტყვასთან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას; ამეამად უკვე არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ ეს აქ მოხსენებულ სოფელთა სანახებში რუკებზე Саквирик-დ<sup>5</sup> (Саквирикე კორექტურული შეცდომაა) აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტია, ამ დროისათვის უკვე გაუქცირებულნი. ეს პუნქტი დადასტურებულია აგრეთვე პროფ. გ. ნიორაძის მიერ: „ინტერესს მოკლებული არ არის სოფ. საკვირიკეში აღმოჩენილი ვაზის სასხლავი

<sup>1</sup> სკია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 19 r.

<sup>2</sup> დავთრის საგადასახადო ობიექტთა სიაში (დედანი, გვ. 14), აღბათ. კალმის შეცდომაა, რომ زودبان („ზუდბან“) წერია. ასევეა, სხვათა შორის, დაბეჭდილი თურქულ I წიგნში, გვ. 8.

<sup>3</sup> К. Зиссерман, 13.

<sup>4</sup> იხ. ოფიციალური სია დასახლებული პუნქტებისა—„ბორჯომის რაიონი“; აგრეთვე რუკა.

<sup>5</sup> ს. ცაიშვილი, ახალ მესხეთში. გაზ. „სახალხო განათლება“, № 39. 23. IX. 1948.

<sup>6</sup> Спец. карта Европ. России (изд. корпусом военн. топографов) საკვირიკეს შესახებ იხ. აგრეთვე: პ. ინგოროყვა, გ. მეჩხრე — ქართული მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1934, გვ. 394.

რკინის დანა<sup>1</sup>. არქივისეულ სიებში ფიქსირებული ვარიანტი ამ სახელწოდებისა — Сакурки (გვ. 8 v) და Сакурка (გვ. 10 r) გაუგებრობის შედეგია.

19. სოფ. წნისი — جنس. «დაეთრისეულ» სიაში, თითქოს, جنس-ი (I 8, 95; II 9, 98). ეს დაწერილობა დიაკრიტული ნიშნებითაა წარმოდგენილი და, თითქოს, წაკითხვაც სწორი უნდა იყოს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. წნისი არის ახალციხის ლივანს მზვარის ნაჰიჯეში<sup>2</sup>, რომელიც: დღეს ახალციხის რაიონის კლდის სასოფლო საბჭოში შედის და კლდე, სვირ, ბოგა და ტატანის სოფელთა ზონაშია<sup>3</sup>, რაც დაახლოებით წინუბნის-წყლის ხეობას ემთხვევა; ხოლო საკვირიკეს, მოქცევის, უგარეთის, თისელისა და სხვათა მიდამოებში კი წნისის სახელით პუნქტის კვალს ვერ მივაკვლიე. შეიძლება ამოკითხულიც არ არის სწორად. საჭიროა დამატებითი მასალა-ვახუშტის მაერ ნაჩვენები წნისის-ხევზე მდებარე წნისის მონასტერი, უთუოდ, აწყურის წნისია, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს დ. ბაქრაძე: («აწყურის დასავლეთით წნისის მონასტერი»)<sup>4</sup>.

20. სოფ. ჯაბურე — جبوری (I 8, 95; II 9, 98). აქ მიითვებაა, რომ ეს პუნქტი სოფ. كوس-თან მდებარეობს. ეს უკანასკნელი პუნქტი კი ჩვენ კოპეთ-ად ამოვიკითხეთ და სოფ. კოპაძესთან გავიჯივეთ<sup>5</sup>. ამ დაწერილობას მთლიანად დასმული აქვს დიაკრიტული ნიშნები (დედანი, გვ. 90), მაგრამ მისი სწორად წაკითხვა მაინც არ ხერხდებოდა; ეს შეიძლება იყოს «კობოძე», «ჯობოძე», «ქაბუძე», «ჯაბუძე» და მისთანანი. არქივისეული სიები კი ამ პუნქტის სახელად გვაძლევს Джанур ვარიანტს (გვ. 9 r, 10 r). საქმე ისაა, რომ სიტყვის უკანასკნელ ასოზე — დასმულია წერტილი და ეს გარემოება უკვე გამორიცხავდა ამ დაწერილობის Джанур-ად ამოკითხვას, მაგრამ რამდენიმე საარქივო მასალამ ეს საკითხი სწორედ საარქივო სიების სასარგებლოდ გადაჭრა. მასალაში ლაპარაკია ჯერ სოფ. კოპაძეში მდებარე მამულებზე, ხოლო შემდეგ კი იხსენიება «пустопорожня деревня Джанур»<sup>6</sup> და ამავე ფონდში მეორეჯერაც იგივე დაუსახლებელი სოფელია დასახელებული, მაგრამ აქ არის არა Джанур, არამედ Джанурე და კიდევ Чанур[е]<sup>7</sup>. რადგანაც ეს საარქივო მასალა ადგილებზე ძიების შედეგად არის დამუშავებული, ვფიქრობ, იგი სანდოა და ამ სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო ჯაბურე, ოღონდ ამ შემთხვევაში სიტყვის მეოთხე ასოზე წერტილის დასმა კალმის

<sup>1</sup> პროფ. გ. ნოროძე, ვახ. «კომუნისტი», № 170 (7385), 1945, 26.VIII.

<sup>2</sup> იხ. აქვე, გვ. 60.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>4</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ. 124 და Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 133.

<sup>5</sup> იხ. ხემათ, გვ. 123 (№ 6).

<sup>6</sup> სტია, ფ. 72, ს. 88, გვ. 110 v; აგრეთვე სტია, ფ. 1044, ს. 15, გვ. 6 r, სტია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 18 v, 26 v.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 135 v, სტია, ფ. 71, ს. 47, გვ. 17 v; სტია, ფ. 1044, ს. 15, გვ. 9 r.

შედგომად უნდა ჩავთვალოთ. ბოლოკიდური ც კი ჩვეულებრივად ე ხმოვან-საც გამოხატავს. ამრიგად ეს ამოუკითხავი სახელი უკვე გარკვეულად უნდა ჩაითვალოს. როგორც „დაეთარში“, ისე არქივის მასალებში ეს სოფელი ბადელასთან და კოპაძესთან იხსენიება და იგი უთუოდ ამ მიდამოებში მდებარეობს<sup>1</sup>.

21. ბ ა დ ე ლ ა — ქ ა ს (I 8, 95; II 9, 98). დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, არც რუკებზეა აღნიშნული. არქივისეულ სიებში Баделя გვაქვს (9r, 10 r). Л. Загурский ასეთივე პუნქტს Баделя-ს ასახელებს თურქეთის საზღვარზე<sup>2</sup>. არქივში შემხვდა სხვა ცნობებიც ამ ზონაში მდებარე პუნქტების შესახებ და მათ შორის იხსენიება: «Урочище Баделя («о исключении этого участка в надел ходатайствуют поселяне селения Ткемлапа»), пустошь Баделя»<sup>3</sup>. ამ დამატებითი ცნობების საფუძველზე შეიძლება „დაეთარის“ II წიგნში (გვ. 99 და 9) „ბადელა“ სიტყვასთან კითხვითი ნიშანი მოიხსნას და დადგინდეს სოფ. ტყემლანასთან მდებარე ამ ნასოფლარის სახელად ბ ა დ ე ლ ა.

22. სოფ. უ რ წ ყ ა ვ ი — اورغواي (I 8, 96; II 9, 99). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვს. მისი პირველი ხმოვანი მე „ო“-დ შაქვს ამოკითხული, რაც ახლა, ახალი მასალის საფუძველზე, უნდა უარყოფილ იქნეს. გაირკვა, რომ ამ სოფლის სახელია უ რ წ ყ ა ვ ი (ჯ და გ ასოები წესისამებრ წ და ყ ქართულ მკვეთრებს გადმოსცემენ). „დაეთარის“ დროს ეს არის უკვე გაუპატივებული სოფელი, რომლის სახელზეა ჩვენ დრომდე მოაღწია. საქ. ცენტ. ისტორიულ არქივში დაცულია საქმე (Адела производителя работ по поземельному устройству государственных поселенцев в Закавказском крае), რომელშიც მოცემულია ცნობები ამა თუ იმ სოფლისადმი განკუთვნილი მიწებისა და მიჯნების შესახებ სოფელთა შორის. დასახელებულია მრავალი ცალკეული ნაკვეთები მიწისა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს მასალება აწყურის ზონაში მდებარე სოფლებზე. სწორედ აქ რამდენიმეჯერ იხსენიება მიწის ნაკვეთი (отрун) «Урхави»<sup>4</sup>, რაც, ვფიქრობ, სწორედ ჩვენ „დაეთარში“ 22-ე სოფლად აღრიცხული და შემდეგში ნასოფლარად და უბრალო მიწის ნაკვეთად ქცეული اورغواي უნდა იყოს. არქივისეული სიებიც ამას უკერს მხარს Урхав (გვ. 9 r, 10 r). ერთ ხანს ვფიქრობდი, რუკაზე ამ ზონაში აღნიშნული პუნქტი P. Д. Орацкаро შეიძლება „ურწყავი“-ს დაზიანიებული აღნიშვნა ყოფილიყო. ჩანს ეს არ მართლდება. Орацкаро-ს შესაბამისი „დაეთარში“ ვერაფერი ვნახე.

23. სოფ. ჯ ო რ ე ფ ი — جوراب (I 8, 96; II 9, 99). პირველი ჯ და მეოთხე ც ასო დიაკრიტული ნიშნებიანი მეგონა. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ეს მეორე

<sup>1</sup> სტია, ფ. 1044, ს. 15, გვ. 9 r.

<sup>2</sup> Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд, Зап. КОИРГО, VIII, გვ. 28. იხ. ქვემოთ უსტოვის ლივა, მხარის 653-ივე, სოფ. № 37.

<sup>3</sup> სტია, ფ. 223, ს. 20, გვ. 14 v, ფურც. 19; ფ. 1044, ს. 4, გვ. 29 v.

<sup>4</sup> სტია, ფ. 223, ს. 20, გვ. 12 v, 14 r, 16 r. მიწის ნაკვეთები იყო ზოლზე „ურწყავი“ და „სარწყავი“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, I, გვ. 141). შეიძლება ეს სიტყვები სოფლებსაც დარქმეოდა.

ნიშანი ც-ს კი არა, უკანასკნელ ასოს ეკუთვნის. უკანასკნელი ასო კი, რომელსაც ჩვენ ლანად (კ) ვკითხულობდით, უფრო ნიშანს ჰგავს და ქვემოთ ერთი წერტილიც აზისი უნდა იყოს (საერთოდ, ბოლოკიდური კ-ისა და ბ ასოთა მოხაზულობის გარჩევა ძალიან ძნელია: ორივე ქვემოთ აღმატებულად გასშული მოგრძო ხაზით გამოიხატება (იხ. დედანი, გვ. 90). ამრიგად, ეს მოხაზულობა ამაჟამად *بجور*-ად წარმოგვიდგება (კ და ბ ასოებს შუა-ნიშანი ხმოვნისათვის უნდა იყოს, სამი თანხმოვანი ზედიზედ არ შეიძლება; და თუ ხმოვანია, ეს არის ც, რომელიც აქ „ი“ ან „ე“დ უნდა წაიკითხოთ). *بجور*-ი კი უნდა იყოს სახელი იმ ნასოფლარისა, რომელიც იხსენიება ერთ-საბუთში: *Иустопорожнюю казенную деревню Джореп занимают цохтевские жители*; მეორეჯერ კიდევ *Чореп* იხსენიება წობტევთან დაკავშირებით<sup>1</sup>. არქივისეული სიგების *Чуреп* ვარიანტზე უფრო სწორი *Джореп* უნდა იყოს, რადგანაც საბუთი, რომელშიც ეს ვარიანტი გვხვდება, ეხება მეტად სერიოზულ, მიწათმფლობელობის საკითხს. ირკვევა, რომ ეს *ჯორეფ*: სახელი ამ მიდამოებში წყალსაც რქმევია... *ручей, называемый Джореп* და აგრეთვე... *лес, называемый Джорепским*<sup>2</sup>. სოფ. წობტევი, რომლის მცხოვრებთა მფლობელობაში ყოფილა ეს ნასოფლარი, სწორედ ამავე აწყურის ნაჰიეშია<sup>3</sup>.

24. სოფ. ზ ლ უ დ ე რ ი (I 8, 96; II 9, 99). დედანში გვაქვს *سوادج*; დიაკრიტული ნიშანი არა აქვს მხოლოდ მეხუთე ასოს, რომელიც უთუოდ ც-ია—ც თანხმოვნის გადმოძეგში. საარქივო სიგებში *Згудия* იმიტომბაა, რომ სიის შემადგენელმა ც ასო შეცდომით ი-ნად ამოიკითხა<sup>4</sup>. ამრიგად ჩვენ აქ ამოვიკითხეთ „ზლუდერი“ — *سوادج*, რაც ოთხი სავსებით გარკვეულად დაწერილი ასოს პირობებში არავითარ ექვს არ იწვევს.

„მესხური დაეითნის ქრონიკაში“ ორჯერ არის ნახსენები გეოგრაფიული პუნქტი ზ ლ უ დ ე რ ი. მოქმედება წარმოებს ახალციხის მიდამოებში. ლაპარაკია ურუმებთან ლაშქრობაზე: „პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე ლაშქარი შეიყარეს, წაივლეს, ურუმთ პირს მიუდგეს; პატრონი ყვარყვარე ცოტად უგუნებოდ იყო, ის ველარ წავიდა, ზ ლ უ დ ე რ ს ჩაველით“<sup>5</sup>. მეორეჯერ კი ზლუდერი ასეთ კონტექსტშია ნახსენები: „სათარიდან წამოვიდა პატრონი დედისიმედი მოაბითა, ღამით ეამსა ბ ზ ლ უ დ ე რ ს ჩამოვიდა“<sup>6</sup>. პროფ. ექ. თაყაიშვილი „მესხური დაეითნის ქრონიკის“ რუსული თარგმანის კომენტარში ამბობს, რომ სოფ. ზ ლ უ დ ე რ ი ვახუშტს მხოლოდ ქართლში,

<sup>1</sup> სცია, ფ. 72, ს. 88, გვ. 107 r; იქვე, ფ. 71, ს. 8, გვ. 24 v.

<sup>2</sup> სცია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 21 v; იქვე, გვ. 27 v.

<sup>3</sup> იხ. ქვემოთ ამავე ნაჰიეს სოფელი № 40.

<sup>4</sup> სცია, ფ. 47, ს. 20, გვ. 9 r; მეორე სიაშიც ასეა.

<sup>5</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის: მიერ, თბილისი, 1890, გვ. 96-97.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 108.

ლიახვის ხეობაში აქვს მოხსენებულო<sup>1</sup>. შემდეგ განაგრძობს: «В Самцхе-Саатабаго деревня под таким названием, очевидно, существовала, но в географическом описании Вахушта мы ее не находим»<sup>2</sup>.

ზ ლ უ დ ე რ ი მოხსენებული აქვს აგრეთვე დ. ბაქრაძეს მის მიერ აღწერილ ერთ-ერთ აქტში — „... ზ ლ უ დ რ ი ს ა და ქ ა შ უ ე თ ი ს მ თ ო რ ი მ წ მ ი ს ა თ ა ...“ ვფიქრობ, რომ კონტექსტის მიხედვით (... აწყურისა და ვარძიის ღმრთის მშობლისათა...) აქ ჩვენა ზღუდერზე უნდა იყოს ლაპარაკი<sup>3</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ „დაეთრის“ სოფ. ზ ლ უ დ ე რ ი, რომელიც ახალციხის სანჯაყსა და აწყურის რაიონში არის ნაჩვენები, „მესხური დავითნის ქრონიკაში“ ახალციხის (და აწყურის) სანახებში მდებარედ ნახსენები ზღუდერ სოფელია. „დაეთრის“ ამ ჩვენებამ სავსებით გაამართლა პროფ. ექ. თაყაიშვილის მოსაზრება, რომ სამცხე-საათაბაგოში ზღუდერის სახელწოდებით გეოგრაფიული პუნქტი უნდა არსებულებო.

„დაეთრის“ მიხედვით ზღუდერი საკმაოდ მოზრდილი სოფელია: მასში 22 კომლი მოსახლეა და აწერია 19 000 ახჩად შეფასებული ბეგარა (II, 99). სოფ. ზღუდერი რუკებზე არ არის აღნიშნული. ნასოფლარი ზღუდერი ჩვენ უნდა ვეძიოთ დღეს იმ მიდამოებში, რომელიც აკრავს სოფ. ზღუდერთან დასახლებულ შემდეგ გეოგრაფიულ პუნქტებს: ნასოფლარ ოკიზას, სოფ. ზიკილას, წინუბანს, გიორგიწმინდას, ჩოხტასა და სხვებს.

25. სოფ. ოკიზა — اوکيزا (I 8, 97; II 10, 100). ამ დაწერილობას დედანში დიაკრიტიული ნიშანი სულ არა აქვს (გვ. დედნისა—91). ამოკითხული იყო ძლიერ უმართებულოდ. ვაიროვა, რომ ეს „ოკირე“ კი არ არის — „ოკიზა“-ა; მასასადამე, ნიშნები დასმის შემდეგ იქნება — اوکيزا = „ოკიზა“. სოფ. ფერსას ზევით ნასოფლარი ოკიზას არსებობის შესახებ ცნობა პირველად ნიკო ნათენაძემ მოამწოდა (ზაგრამ I და II წიგნები უკვე დაბეჭდილი იყო). ნ. ნათენაძის მოწოდებული ცნობა სავსებით გაამართლეს შემდეგში მოპოვებულმა საარქივო მასალებმა. ჯერ ერთი, ორთავე არქივისეულ სიაში ჩვენ გვაქვს Окиза (გვ. 9 რ, 10 რ). გარდა ამისა, საარქივო საბუთებში წერია, რომ აზნაურ იაკობ ყანდინოვს აქვს მამული ჯაყისმანსა და ფერსაში და აგრეთვე მასვე ეკუთვნის დაუსახლებელი ადგილი — Окиза<sup>4</sup>. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამავე საბუთიდან ერთ ადგილს, სადაც მოცემულია ოკიზა ნასოფლარის დახასიათება როგორც ადგილმდებარეობის, ისე მისი სამეურნეო მნიშვნელობის მონაცემთა თვალსაზრისით: Из пустопорожного места Окиза,

<sup>1</sup> ვახუშტს დიდი ლიახვის ხეობაში მართლაც აქვს დასახლებული ზ ლ უ დ ე რ ი: აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 202.

<sup>2</sup> Е. Такайшвили, Источники грузинских летописей, Три хроники, III Хроника Месхიური псалтыри, СМОМІК, вып. 28, Тбилиси, 1900, გვ. 200.

<sup>3</sup> Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Ачхаре. СПб., 1878, გვ. 196. დ. ბაქრაძის მიერ რუსულად გადათარგმნილი ზეგუდრისკოე კი არ უნდა იყოს, არამედ Зегудерского.

<sup>4</sup> სტია, თ. 72, ს. 8 (1841 წ.), გვ. 2 რ.

принадлежащего нераздельно наследникам дворянина Якова Кандинова и жителю города Ахалциха Якову Качхоену, в коем пахотной земли на 4 сомары посева, леса дровяного и строевого в окружности 6 верст, имеющего границы: с одной стороны земли вышепоказанной деревни Перса, (с) другой — земли пустопорожнего места Анди(?)-Синри, (с) третьей казенной — лес Кошбер и с четвертой казенное пастбищное место Цхалцители, приносящее доход владельцам с распахиваемых жителями деревни Перса пахотных и сенокосных земель пятую часть урожая хлеба и сена...<sup>1</sup> შემდეგ ცოტათი ქვემოთ, სადაც დასახელებულია სოფ. ფერსის მომიჯნავე პუნქტები, იხსენიება ს ჩუვრთუთ (სტორონი) უსტოპორიჟნე მესტო ოკიზა<sup>2</sup>. ოკიზა-ძოვრეთ-გელათუბან სოფელთა ვითარების გასარკვევად უფრო მნიშვნელოვანია არქივში დაცული ქართული საბუთი, რომელსაც ჩვენ აქვე ვბეჭდავთ: „1835-ს წელსა ივნისის 5-ს დღეს ესე წერილი მოგეცი თქვენ გარდაცვალებულის აზნაურის იაკობ ყანდინოვის აპეკუნს კოლლეცკის სეკრეტარს ივანე ბაქრაძეს მას შა, რომელ სამის კუპჩით გვეკუთვნის ზე და გარდაცვალებულს ყანდინოვს სანახევროთ ახალციხის ფაშალიკში სოფლები და მამულები, ამათს რიცხვში აწყურის სანჯახში ფერსა, ძოვრეთ, ოკიზა, კიდეე გელათუბანი, მახლათუბანი და მაქსურათუბანი. ესე სამი თქმული არის თისელში დღებარე, რომელნიცა ესენი არიან იაკობ ყანდინოვთან სანახევრო. ამაზე თქვენ გაძღვე ნებას ნასყიდობათამებრ ესენიე ჩასწეროთ სანახევროთ აპეკუნურს ანაწერში. იაკობ ქაჩხოვეი“<sup>3</sup>. ამრიგად, სავსებით გარკვეულია „დაეთრის“ აწყურის ნაწიგეში დასახელებული პუნქტის, 5 კომლიანი სოფლის ოკიზის ადგილმდებარეობა. სოფელმა ოკიზამ ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. ხოლო ნასოფლარი ოკიზა მომიჯნავეა ჩვენ დრომდე მოღწეული ახალციხის რაიონში ფერსის სასოფლო საბჭოს ცენტრის სოფ. ფერსისა<sup>4</sup>. ამასთანავე ერთად უნდა შესწორდეს დაბეჭდილი او كتره (I 8, 97) او كتره და ოკირე (II 9, 100) ოკიზა-დ.

26. სოფ. ზიკილია — كزج (I 8, 97; II 10, 100). პირველი ორი ასო — ز და ج დიაკრიტულნიშნებიანია, მეხუთე ასოს არა აქვს ასეთი, მაგრამ ეს არ ქმნის დაბრკოლებას იმისათვის, რომ აქ ამოკითხულიყო ცნობილი სოფლის ზიკილიის სახელი. ვახუშტი ახსენებს „ზიკილიის კვეს“<sup>5</sup>, ხოლო И. Загурский ზიკილიის აღმართს<sup>6</sup>. დღეს ზიკილია

<sup>1</sup> სტია, ფ. 72, ს. 8, გვ. 28 v, 29 r. ეს საქმე დასათურებულია ასე: дело о доставлении сведений о имени умершего дворянина Якова Кандинова да датарированная 1841-1845 წწ.

<sup>2</sup> იგივე საქმე, გვ. 38 r.

<sup>3</sup> სტია, ფ. 1044, ს. 2, გვ. 83 r (აქვე საქმეს დართული აქვს „წერილის“ რუსული თარგმანი).

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>5</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 124. „ზიკილია“ სწორი არ არის (ს. ციხილი, ახალ ნესხეთში, „სახალხო განათლება“, 1948, 23.IX).

<sup>6</sup> И. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд; Зап. КЮИРГО, VIII, გვ. 11, აგრეთვე: სტია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 21 v.

ახალციხის რაიონში აგარა, წინუბანი და გურკელთან ერთად შედის აგარის სასოფლო საბჭოში<sup>1</sup>. ერთ საბჭოში წერია: „თქლი ელისბარ ციციანოვი სხვებთან ერთად ფლობს სოფ. ზიკილიას...“<sup>2</sup>

27. სოფ. წინუბანი — სოფელ გურკელთან — زونجان (I 8, 98; II 10, 101). მართლაც წინუბანი გურკელთან ახლო, მისი სამხრეთით მდებარეობს. რადგანაც „წინუბნის“ სახელით სოფელი „ვილჯეთში“ კიდევ არის. ამ წინუბანს ჩვენ პირობით შეიძლება დაეარქვათ აწყურის ან დედისიშედის (იხ. აქვე სოფ. № 39 — აგარა) წინუბანი. დღეს ეს წინუბანი აგარა, ზიკილია და გურკელთან ერთად ახალციხის რაიონის აგარის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>. ამ წინუბანზეა კ. ზისერმანი რომ ამბობს: ახალციხიდან 15<sup>1</sup>/<sub>2</sub> ვერსზე, ჩერ-შუკის, ე. ი. სამკურნალო წყლის ნაპირას მდებარეობს (გვ. 2). მისივე ცნობით 1870 წ. წინუბანში 50 კომლია (იქვე).

20. სოფ. ფერსა — فرسا (I 8, 99; II 10, 101). დღეს ახალციხის რაიონში ფერსა ამავე სახელწოდების სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც მუგარეთ, შურდო, გიორგიწმინდა და წობტეფ სოფლებს აერთიანებს<sup>4</sup> (იხ. თანდართულ რუკაზე). კ. ზისერმანით ს. ფერსა ახალციხიდან 12 ვერსზეა, რუკის-წყალზე, 12 კომლიანი მოსახლეობით (გვ. 3). ფერსა იხსენიება 1835 წ. ქართულ საბუთში როგორც აწყურის სანჯაყის სოფელი ძოვრეთ და ოკიზასთან ერთად<sup>5</sup>.

29. სოფ. გიორგიწმინდა — گورگی زمیندا (I 8, 99; II 10, 102). არქივისეულ სიებში — Горги минада (გვ. 9 რ, 10 v). ადგილობრივი მცხოვრების წარმოთქმით ჩაწერილი მაქვს „გიორგიწმინდა“-ც. დღეს. ს. გიორგიწმინდა ახალციხის რაიონში ფერსა, მუგარეთ, შურდო და წობტეფთან ერთად ფერსის სასოფლო საბჭოში შედის<sup>6</sup>. კ. ზისერმანით გიორგიწმინდაში 30 კომლია (1870 წ.) და მდებარეობს იგი ახალციხიდან 12 ვერსზე<sup>7</sup>.

ამ სოფლას ბოლო მინაწერში იხსენიება ჩაირი ارا، რომელიც არ დისველია — пустопорожнее место Ардис свели<sup>8</sup>.

30. სოფ. ჩობტა — چوختا (I 8, 100; II 10, 103). ვახუშტის „სიაში“ ამ სოფლის სახელად ჩობტა გვაქვს<sup>9</sup> და მართლაც ეს ასე უნდა იყოს, რადგანაც ქართულში ფშვინეიერ თანხმომვანს მკვეთრი მოსდევს ხოლმე (რექტორი, პუნქტი და სხვ.). ამდენად, „დავთრის“ II წიგნში ჩობტა (გვ. 10, 103) უნდა გასწორდეს ჩობტაზე. სოფ. ჩობტა ახალციხის რაი-

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>2</sup> სტია, ფ. 1491, ს. 487, გვ. 2 რ.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> სტია, ფ. 1044, ს. 2, გვ. 83 რ.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>7</sup> К. Зиссерман, 3.

<sup>8</sup> სტია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 32 რ.

<sup>9</sup> გვ. 31 რ.

ონში ფერსის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>1</sup>. ჩოხტა მდებარეობს ოკიზის-წყალზე, ახალციხიდან 13 ვერსზე; 1870 წ. ჩოხტაში 4 კომლია<sup>2</sup>.

31. სოფ. მუგარეთი — *مۇگارەت* (I 8, 101; II 10, 103). ერთვერსიან რუკაზე — *Mygarer*; „დავთრის“ დროს 11 კომლიანი პატარა სოფელია. დღეს ახალციხის რაიონის ფერსის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>. კ. ზისერმანის მუღარეთი სწორი არ არის; ქართული ლ თანხმოვანი ქ ნიშნით არსად არ გადმოიკემა. ზისერმანი 1870 წ. მუგარეთში 27 კომლს უჩვენებს<sup>4</sup>.

32. სოფ. ზერზანა (?) — *زەرزانا* (I 9, 101; II 10, 104). ეს დაწერილობა დედანში მთლიანად დიაკრიტული ნიშნებითაა წარმოდგენილი (გვ. 95) და მისი ამოკითხულობა ექვს არ იწვევს. მიუხედავად ამისა, მასალის უქონლობის გამო ძნელია გაირკვეს, თუ როგორ წარმოითქმოდა ის ქართულად. ჯ თანხმოვანი „დავთარში“ გამოხატავს ქართულ ზ, ძ და წ თანხმოვნებს. აქ ძნელია დაადგინო, თუ რომელი ჯ რომელ ქართულ ბგერას გამოხატავს (ძირზანა, ძირძანა, ძირწანა და სხვ.). ჯერჯერობით საორიენტაციო ქართული მასალა არ ჩანს. არქივისეულ სიებში *Зирзана* გვაქვს (გვ. 9 r, 10 v). პატარა, 3 კომლიანი სოფელია.

33. სოფ. წრიოხი — *زړيوخ* (I 9, 102; II 10, 104). ქართული მკვეთრი „წ“ თანხმოვანი წესისამებრ ჯ შეღერი თანხმოვნითაა გადმოკეპული, ხოლო „წრ“ თანხმოვანთა გასაყარად მათ შუა ჩასმულია „ი“ ხმოვანი. ექ. თაყაიშვილით *Дорога к Биети пролегает через лесовы Цриох и Цниси по устью Цинуханской речки...*<sup>5</sup> არქივისეულ სიებში თურქულის გავლენით გვაქვს *Цриох* (გვ. 9 r, 10 v). ადგილობრივი მკვიდრისგან ჩაწერილი მაქვს აგრეთვე მეორე გადათურქულებული ფორმაც „წრიოხ“. წრიოხი შედიოდა ახალციხის რაიონის აწყურის სასოფლო საბჭოში<sup>6</sup>.

34. სოფ. გურკელი სოფ. წინუბანთან — *گورکەلی* (I 9, 102; II 10, 105). სოფ. გურკელი აგარა, ზიკილია და წინუბან სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის აგარის სასოფლო საბჭოში შედის<sup>7</sup>. ჩაწერილი მაქვს, ვგონებ, დაზახინჯებული „კურკელ“ ფორმაც. „დავთრის“ დროს გურკელი 9 კომლიანი სოფელია. არქივისეულ სიაში ამ სოფლის სახელწოდება სწორად არაა მოყვანილი: *Горгил, Горгал* (გვ. 9 r, 10 v).

35. სოფ. ქორთა (?) — *گورثا* (I 9, 103; II 10, 105). „დავთარში“ აღრიცხულია 3 კომლიან სოფლად. დაწერილობის მეოთხე ასოს დიაკრიტული ნიშანი არა აქვს დასმული, რაც აძნელებს მის ამოკითხვას. არქივისეული

<sup>1</sup> იხ. ახალციხის რაიონის დასახლებულ პუნქტთა ოფიციალური სია.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 3.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.

<sup>4</sup> К. Зиссерман, 2.

<sup>5</sup> МАК, XII, გვ. 3.

<sup>6</sup> იხ. ახალციხის რაიონის დასახლებულ პუნქტთა სია.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 21.



ორივე სია ამ სოფლის სახელად იძლევა *Kopra*-ს (გვ. 9 r, 10 v). ჩვენც აქ „ქორთა“-ს ვვარაუდობთ, მაგრამ ამ ვარაუდის შემანაგრებელი რაიმე ფაქტი არ გავვაჩნდა და კითხვითი ნიშანი დავსვით.

ქართულში -თა სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ბევრია: მაგალითად, სხალთა, ბალანთა, ცაბაურთა. ჩხიკვათ<sup>1</sup> და სხე. ამდენად ამ შემთხვევაშიც არ არის გაპრობცხული, რომ „კოკ ნართლა“ „ქორთა“ სახელს გადმოგვცემდეს. წაკითხვის სხვა ვარიანტები, მაგალითად, „ქორია“, „ქორნა“, „ქორბა“, „ქორტა“ ნაკლებად შესაძლებელია.

საკითხის დასმის წესით აქ ნინდა მკითხველს მოვახსენო „ქორთა“-ს შესახებ ერთი ვარაუდი. გრიგოლ ხანძთელი „ცხოვრებაში“ ორჯეო იხსენიება გეოგრაფიული პუნქტი ქორთა („მაშინ თუთ წარვიდა ქორთას“ და „ვითარცა მიიწია ცქირი ქორთას“<sup>2</sup>). ამ ძეგლის გამომცემელი პ. ინგოროყვა ამ ქორთაზე შენიშნავს, რომ „ადგილმდებარეობა ზუსტად გარკვეული არაა“<sup>3</sup>. ქორთა (?) ნასოფლარის ადგილმდებარეობის გასარკვევად საჭიროა ორიენტირება ქორთასთან ნახსენებ მუგარეთ, წრიობ, გურკელ, ბიეთ და სხვა სოფლებზე.

ამრიგად, შესაძლებელია „დავთრის“ „კოკ პუნქტი სოფ. ქორთა (კოკო). იყოს და, შეიძლება, სწორედ ის ქორთა, რომელიც გ. ხანძთელის „ცხოვრებაში“-ა დასახელებული.

36. სოფ. ბიეთი — *بيت* (I 9, 103; II 10, 103). როცა II წიგნის ბეჭედა დაიწყო „ბიეთი“ ჯერ კიდევ არ მქონდა ამოკითხული. ამით აიხსნება, რომ II წიგნის ე. წ. საგადასახადო ობიექტთა სიაში (გვ. 10, № 36) ამოკითხვად დაბეჭდილია *د* (ბოლოკიდურად; *د* ასო შეცდომნაა) და ფრჩხილებში სავარაუდებლად „ტბეთ“ ვარიანტია მოცემული. შემდეგში ჩვენ სავსებით მართებულად დავუკავშირეთ ეს დაწერილობა ექ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი გეოგრაფიული პუნქტის „ბიეთ“-ის სახელს. ბიეთი ექ. თაყაიშვილთან იხსენიება დაკავშირებით იმ სოფლებთან, რომელთა შორისაც „დავთარში“ აღწერილია სოფ. *د*-ი. ამ გარემოებამ ჩვენ მოგვცა საშუალება ამ დაწერილობის სწორად ამოკითხვისა. არქივისეული I სიაე *Биет*-ს იძლევა (გვ. 9 r). ბიეთის მდებარეობა დაზუსტებულია. ექ. თაყაიშვილი წერს: Биет—великолепная церковь с красным куполом, в 6 верстах к северо-западу от Ацхур. Дорога к Биет и пролегает через деревни Цриох и Цикси по ущелью Цинубанской речки...<sup>4</sup> ექ. თაყაიშვილის შემდეგი შენიშვნა კიდევ უფრო აზუსტებს ბიეთის მდებარეობას: (Биетская) церковь расположена на скате, выше Цинубанских минеральных (серных) вод и окружена высо-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 61, 80.

<sup>2</sup> გ. მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, დედანი აღადგინა და გამოკლევად დაურთო პ. ინგოროყვამ, თბილისი, 1949, გვ. 119.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 204.

<sup>4</sup> МАК, XII, გვ. 3.

კიანი გორანი...<sup>1</sup> ამ წინუბნის ზინერალური წყლების მდებარეობა კი სადსე-  
პით დაზუსტებულია ხუთეგრისიან რუკაზე, სადაც წრიობს ზემოთ აღნიშნუ-  
ლი Ишубанские мин. воды.

სოფ. ბიეთმა ჩვენ დრომდე მოაღწია. უფრო მეტი: „დაეთრის“ შედგე-  
ნის დროს ერთი ბიეთი ყოფილა; ჩვენ დროში კი ახალციხის რაიონის აგა-  
რის სასოფლო საბჭოში აგარა, ზიკილია, წინუბანი და გურჯელ სოფლებთან  
ერთად შედიოდა Патара Бистის<sup>2</sup>. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „დაეთრის“  
შედგენის შემდეგ ჩვენ გვქონდა დ ი დ ი ბ ი ე თ ი ც, ხოლო ჩვენ დრომდე  
პ ა ტ ა რ ა ბ ი ე თ მ ა მოაღწია.

37. სოფ. საქანაფეს ციხის რაბათი უბნითურთ—سقا (I 9, 104;  
II 10, 106). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს; ცალკეული  
ასოები ასეა გააზრებული II წიგნში — سقا, ხოლო I წიგნში კი მეორე  
ასოდ غ-ნია შეცნობილი. შემდგომმა დაკვირვებამ და ასოთა მოხაზულობის  
უფრო დეტალურად შესწავლამ მე დამარწმუნა, რომ ამ შემთხვევაში მეორე  
ასო ლაინი (غ) კი არაა, კაფია (ق), შუათანა ق-ის თავს, როგორც დადას-  
ტურდა, იმდენი სივანე აქვს, რომ მისი შუათანა غ-ნად მიღება ადვილად  
შეიძლება. ამისათვის ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ განსახილველი დაწერილობა  
سقا (დედანი, გვ. 97), მაგალითად, იმავე ხელით დაწერილ غا سقا სიტყვას  
(დედანი, გვ. 87): ჩვენ დავინახავთ, რომ მეორე ასოთა თავები როგორც  
პირველ, ისე მეორე სიტყვაში თანაბარი სივანისა და გარშემოწერილობი-  
სა არის. ან არადა, 113-ე გვერდზე (დედანი) შეექვსე სტრიქონზე سقا,  
სიტყვის კაფის თავი გაცილებით უფრო განიერია, ვიდრე სხვაგან რომელიმე  
غ-ნის თავი. ამიტომ سقا დაწერილობაში მეორე ასო კაფი უნდა იყოს  
და მაშინ დიაკრიტული ნიშნების დასმით ეს მოხაზულობა ამ სახეს მიიღ-  
ებს: سقا; ამის წაკითხვა კი ამ ზონაში მდებარე გეოგრაფიული პუნქტების  
მიხედვით შეიძლება ს ა კ ა ნ ა ე-დ.

საქმე ისაა, რომ „მესხური დავითნის ქრონიკაში“, რომელშიაც მოქმედ  
პირთა სამოქმედო ასპარეზი უმთავრესად აწყური და მისი მიდამოებია,  
იხსენიება ციხე-სიმაგრე საქანაფე. „ქრონიკაში“ ნათქვამია: Маи з-го,  
в сѣдноту вечером, зарила в Саканапе Хосита, сын патрона Квар-  
кваре...<sup>3</sup> უფრო მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ამავე ძეგლის მეორე  
ცნობა: Патронесса Дедис-имеди и патрон Капхосро, сын патрона Квар-  
кваре, поселились в крепости Саканапе. Елиа Диасамидзе приставил

<sup>1</sup> იქვე, ბიეთზე რ. ახალი ნაშრომი ვ. ბერიძისა: სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, თბ., 1955, გვ. 156.

<sup>2</sup> დასახლებულ პუნქტთა თეოციალური სია. ამავე სახელით გეოგრაფ. პუნქტი ცნობილია ქართლში, მდინარე მეჯულის ზემოთ: დ. ბაქრაძე, Кавკას... 24.

<sup>3</sup> ეს „უბნითურთ“ სიტყვა II წიგნში შეტომით გამოტოვებულია.

<sup>4</sup> E. C. Такашвили, Хроника месхийской исаатрии, СМОМПК, 28, Тифлис, 1900, 33. 207.

Саванлишвили к Демотской крепости для измены...<sup>1</sup> ამრიგად, ირკვევა, რომ 1. ყვარყვარე ათაბაგის შვილი ხოსიტა ავად ხდება საკანაფეში, 2. იმავე ყვარყვარეს შვილი ქაიხოსრო თავისი მეუღლით დაბინადნენ საკანაფის ციხე-სიმაგრეში, სადაც მათი ოჯახის წევრი (ძმა ქაიხოსროსი) ცხოვრობდა. აქვე იხსენიება დემოთის ციხე, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი და რომელიც ამ აწყურის მიდამოებშია. ეს გეოგრაფიული პუნქტები (საკანაფე, დემოთი) აწყურთან ახლოსაა.

ჩვენ მიერ განხილული გეოგრაფიული პუნქტი **ახსა**, რომელიც **საკანაფე** უნდა იყოს, „დავთარში“ აღწერილია: ჯერ ერთი, როგორც **ახსა**-ის, ე. ი. საკანაფის ციხის რაბათი. ე. ი., ეს პუნქტი „დაეთარში“ ციხეა, ისევე როგორც ის მესხური „დავითის“ ქრონიკაშია მოხსენებული. მეორე— **ახსა** ე. ი., **ახსა** || საკანაფე აღწერილია აწყურის სანახების ისეთ პუნქტებთან, როგორცაა: (რიგის მიხედვით)—მუგარეთი, წრიოხი, გურკელი, ბიეთი, აგარა, წოხთები და სხვ. არქივისეულ სიებში ამ პუნქტის სახელი დამახინჯებულია, მაგრამ **Са** მარცვალი ორივეში კარგად ირკვევა (გვ. 9 r, 10 v).

ვფიქრობ, ეს ვითარება სრულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ **ახსა** დაწერილობაში ამოვიცნოთ **ახსა**, რომელიც ზემოხსენებულ ცნობილ გეოგრაფიულ პუნქტთა შორის იხსენიება და რომლის ადგილმდებარეობის დაზუსტება ადგილზე ამ მოწადინებების მიხედვით საესვებით შესაძლებელია.

ეს წიგნი უკვე სტამბაში იყო, როცა კ. ზისერმანის სტატისტიკურ კრებულში ჩვენ ვიპოვეთ ცნობა, რომლითაც საესვებით დასტურდება ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება **საკანაფე**-ს შესახებ. როცა კ. ზისერმანი ცნობებს იძლევა სოფ. წრიოხზე, შენიშვნების გრაფაში ის წერს: **Р а з р ы - ш е н и я к р е п о с т ь С а к а н а ф е**—<sup>1</sup>. მაშასადამე, სოფ. წრიოხთან (იხ. ზემოთ სოფ. № 33) ნაჩვენებია ერთი დანგრეული ციხე, სახელად **საკანაფე**.

38. სოფ. **صوحان** (?), (I 9, 104; II 10, 106). I-სა და II წიგნში **صوحان**-ია, ამოკითხვა ძნელდება; შეიძლება **صوحان**-იც იყოს. არქივისეულ სიებში ამოკითხულია **Сусан**-ად, მაგრამ ეს დამაჯერებელი არაა.

39. სოფ. **აგარა**— დედისიმედის წინუბანთან **اگر** (I 9, 104; II 10, 106). ამ დროს უკვე გაუკაცრიელებული სოფელია. აგარის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რომელია დედისიმედის წინუბანი. დედისიმედის წინუბანი უნდა რქმეოდა იმ წინუბანს, რომელიც ამავე აწყურის ნაჰიჯში 27-ე სოფლად და გურკელთან ახლო მდებარედ არის აღწერილი (II 101. იხ. თანდართული რუკა). ამ სოფ. წინუბნის მინაწერში იხსენიება დედისიმედის ვენახი და ბალი. ამ წინუბნის მდებარეობის განსასაზღვრავად ნათქვამია, რომ ის გურკელთანაა. უნდა ვფიქროთ, რომ აქ დასახლებულ

<sup>1</sup> Е. С. Такайшвили, Хроника мескийской псалтири, СМОИПК. 28, Тифлис, 1900, - 23. 213.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 2.

უკაცრიელ სოფელ აგარაში შემდგომ ხანებში მოსახლეობა გაჩნდა და ამჟამად იგი წინუბან, გურკელ და ზიკილია სოფლებთან ერთად აგარის სასოფლო საბჭოში შედის<sup>1</sup>. კ. ზისერმანიც ამ აგარას წინუბნის წყალზე და ზიკილიასთან ახლო (ააალციხიდან აგარა 15 ვერსზეა, ხოლო ზიკილია 13-ზე) უჩვენებს. მოსახლეობა ზისერმანის დროს (1870 წ.) ჯერ კიდევ მხოლოდ 3 კომლია<sup>2</sup>.

40. სოფ. წოხთები — زوختب (I 9, 104; II 10, 105). დაწერილობა დიაკრიტულნიშნებიანია და ყველა ასო გარკვეული. ქართული წმკვეთრი თანხმოვანი წესისამებრ ჯ ასოთია გადმოცემული. ამრიგად, „დავთრის“ მიხედვით ამ სოფლის სახელია წოხთები, დაახლოებით ასევეა არქივისეულ სიებში — Илхтен (გვ. 9r, 10v). ასეა დაბეჭდილი ეს „დავთრის“ ორთავე წიგნში და თანდართულ რუკაზედაც (იხ. ფერსასა და გურკელს შუა). ამავე დროს ირკვევა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ამ სახელს წოხტევი-ად წარმოთქვამენ. თავის დროზე მეც ჩამიწერია „წოხტევი“. „წოხტევი“-ა აგრეთვე ოფიციალურ წიგნში „საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ (გვ. 21) და სხვაგანაც<sup>3</sup>. „დავთრის“ წოხთები-ი, რომელშიც ბოლოკიდური სპირანტი გახშულებულია და „ხ“-ს შემდეგ ჩვენი მკვეთრი „ტ“ გაფშვინიერებული, უთუოდ თურქიზებული ფორმაა. ასე რომ, ამ სოფლის ქართულ სახელად წოხტევი უნდა იქნეს მიჩნეული.

დღეს წოხტევი ფერსა, მუგარეთ, შურდო და გიორგი-წმინდასთან ერთად ახალციხის რაიონის ფერსის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია, რომელიც „დავთრის“ დროს პატარა, 5 კომლიანი სოფელი ყოფილა. 1870 წლისათვის კ. ზისერმანს წოხტევიში 12 კომლი აქვს ფიქსირებული<sup>4</sup>.

41. სოფ. ბუსელთა — სოფ. წრიობთან — بوسه (I 9, 104; II 10, 107). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი სრულებით არა აქვს. მის ამგვარად ამოკითხვას ხელი შეუწყო იმ გაოგნებამ, რომ ხუთვერსიან და სხვა რუკებზე სწორედ, როგორც აქ არის ნაჩვენები, სოფ. წრიობთან ახლო — წრიობზე ოდნე ზევით — აღნიშნულია Р[азвалийны] М[естности] Буселтава, Мусель-тави, Мусел-тава. ვფიქრობ, რომ ეს არის სამი ვარიანტი ერთი და იმავე გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებისა, რომელსაც „დავთარში“ შეესაბამება بوسه დაწერილობა. ამ სამი ვარიანტიდან „დავთრის“ بوسه-ითან ყველაზე უფრო ახლოა Буселтава, რომელშიც „დავთრის“ შემდგენელმა ბოლოკიდური „ვა“ მარცვალი შეტდომით არ აღნიშნა. უნდა ყოფილიყო კი ბუსელთავა, ან შეიძლება, უფრო მოსალოდნელი ფორმა, ბოსელთავა, როგორც ეს არქივისეულ სიებშია „ვა“ მარცვლის გამოვარდნით —

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 2.

<sup>3</sup> მაგალითად. ს. ცაიშვილი, ახალ მესხეთში, „საალხო განათლება“, 1948 წლის 23.IX-ის ნომერი.

<sup>4</sup> К. Зиссерман, 2.

Босетла (გვ. 9 v, 10 v). ყოველ შემთხვევაში ამ სახელწოდების XI თავკიდურიანი ვარიანტები უთუოდ დამახინჯების შედეგი უნდა იყოს. „დაეთრის“ შედგენის დროს ეს სოფელი უკვე გაუჟაკრივებული იყო. ნ. მარს იმერხევისათვის ფიქსირებული აქვს გეოგრაფიული პუნქტის სახელი „ბოსელთა“<sup>1</sup>, ისევე როგორც ქსანთან ახლო არის სოფ. Босетла<sup>2</sup>. გამორიცხული არაა ის, რომ აქაც ჩვენ ამ პუნქტის სახელად გვქონდეს „ბოსელთა“.

42. სოფ. ფ ე ს ლ ე თ ი (?) — سلت (I 9, 104; II 10, 107). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები ყველგან დასმული აქვს. ფ ე ს ლ ე თ ად უნდა იკითხებოდნენ, თუმცა თურქული დიალექტოლოგიური მასალების რვეულში ჩაწერილი მაქვს: „ფერსათის (მთის) ქვემოთ ნასოფლარი აღგილია, რომელსაც „ბოსელეთი“ ჰქვია<sup>3</sup>. შეიძლება ეს მართლა ბ ო ს ე ლ ე თ ნასოფლარი იყოს. „ბოსელეთ“ სიტყვაში თავკიდური მგლეჩი ბ თურქის აღქმაში შეიძლება გადაურებულიყო (ქართული მგლეჩები ხარისხობრივად ნაკლები მგლეჩადობისა არის)<sup>4</sup>. არქივისეულ სიებში ამ პუნქტის სახელად მოცემული Тисель — დიდი გაუგებრობაა (გვ. 9 v, 10 v).

43. სოფ. კ უ დ ი ს ი (?) — كوديس (I 9, 105; II 10, 107). პატარა, 6 კომლიანი სოფელია. ასეთი რამ რუკებზე აღნიშნული არაა. არქივისეული სიები ამ პუნქტის სახელად Котис-ს იძლევა (გვ. 9 v, 10 v). 1857 წ. საბუთში სწორედ აწყურთან მოხსენებული პუნქტი Кудис-ი, ვფიქრობ. „დაეთრის“ ეს კოდის-ია და, შეიძლება, მისი ქართული სახელი კ უ დ ი ს ი იყო<sup>5</sup>. თისლის-წყალთან ნახსენები Г е л и с - ც - ყ - ც შეიძლება ამ სახელის — კ უ დ ი ს ი ს დამახინჯებული ვარიანტი იყოს<sup>6</sup>.

44. სოფ. ს ლ ე ს ა — უკან სლესა უბნიურთ — سلسا (I 9, 105; II 10, 107). „დაეთრის“ შედგენის დროს საკმაოდ მოზრდილი, 16 კომლიანი სოფელია. სოფ. სლესის მდებარეობა რუკებზე საესებით დაზუსტებულია. 5 ვერსიან რუკაზე აწყურს ქვემოთ სოფ. უგარეთთან აღნიშნულია P[აჰმადიანი] Kp[ენოსტი] С л а с о, მაგრამ ეს არ არის სწორი, რადგანაც სოფ. სლესა სხვა რუკებზე ყველგან მტკვრის მარცხენა მხარეზეა და არა მარჯვენა მხარეზე, როგორც ამ რუკაზეა აღნიშნული. ვახუშტი ახსენებს ს ლ ე ს ი ს - ქევს, რომელიც მტკვარს ერთვის<sup>7</sup>. ვახუშტის Description-ისადმი დართულ რუკაზე აწყურს ქვემოთ, მტკვრის მარცხენა მხარეს, Slésis-Tsqal-ზე სოფ. აგარის გასწვრივ, რომელიც სლესის-წყლის პარალელური ზიკილიის წყალზეა, ნაჩვენებია Slésa<sup>8</sup>. სლესის ციხეზე, რომელ-

<sup>1</sup> Житие Гург. Хандзнийского... Дневник, გვ. 46.

<sup>2</sup> სკია, გვ. 48, ს. 1158, გვ. 4 გ.: Свод стат. данных о землевладении в Тиф. и Кут. губ., тб., 1893, გვ. 102-118.

<sup>3</sup> 1936 წლის „მასალების რვეული“, გვ. 390.

<sup>4</sup> იხ. ჩვენი; ელია ჩელეტი ლაზებისა და ლაზურის შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1954, VI, გვ. 250-252.

<sup>5</sup> სკია, გვ. 71, ს. 47, გვ. 17 v.

<sup>6</sup> МИАНГКЗК, III, გვ. 59.

<sup>7</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 124.

<sup>8</sup> იხ. Description géographique de la Géorgie..., I რუკა; იხ. აგრეთვე თანდართული რუკა.

თანაც, უეჭველია, ივარაუდება სოფ. სლესის მდებარეობაც, შე მოვიყვანე კიდევ რამდენიმე ცნობას: „ბორჯომსა და ახალციხეს შუა, აპარა-იმერეთის ანუ შესხეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთის პერიფერიაზე მდებარეობს. სლესის ციხე, რომლის ზიდანობებში აღმოჩენილია ძველი დროის სასაფლაო“<sup>1</sup>. 1641 წლის ერთ-ერთ საარქივო საბუთში სოფ. ძოვრეთის (იხ. ქვემოთ სოფ. № 46) საზღვრად ქვაბთან (ქვაბი-ქვაბისხევი, იხ. ქვემოთ, № 49) ერთად დასახელებულია დაუსახლებელი სოფელი სლესა (с і стороны пустопорозжее место Кван, с другой — пустопорозжая деревня Слеса)<sup>2</sup>. აქიდან ისიც ჩანს, რომ 1841 წელს სოფ. სლესა უკვე გაუქაცრიელებულია.

„კათალიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს“-ში ნათქვამია „ავალის-შილთა და სლესართა აქუს ლონგისძენი სასაფლიოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“<sup>3</sup>. ცხადია სლესართა-ში ჩვენ უნდა გამოვყოთ სოფლის სახელი სლესა და -არ, -რ სუფიქსი, რადგანაც ჩვენ აქ ისეთივე ძველი ქართული სათვის დამახასიათებელი წარმოქმნა გვაქვს, როგორიცაა ოპიზა → ოპიზარი (= ოპიზ-ელ-ი), ან არადა მეგრული: ზუგიდ → ზუგიდ-არ-ფეი (= ზუგდიდელები), ხუნწ-ი → ხუნწ-არ-ფეი (= ხუნწელები) და სხვ.<sup>4</sup>.

დღმ. შაქრაძე ამ ამონაწერს რუსულად ასე თარგმნის: «Авалишвили и Слесари имеют вонгдазе с усыпальшею, монастырем и придворною церковью»<sup>5</sup>. უნდა იყოს კი «Авалишвили и слесинши, т. е. жители Слеса» და მერე როგორც არის. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ისეთივე წარმონაქმნი როგორც „ხერთუხარნი“-ა<sup>6</sup>, ე. ი. ხერთვისელები.

არქივისეულ სიებში სოფ. სლესის სახელი რამდენადმე დამახინჯებულია — Силис с Малюю (ე. ი. ძღღ = 'უბანი') და Силиса с Махлюю (გვ. 9 v, 10 v). 1923 წელს გამოცემულ „საქ. ისტორიულ რუკაზე სათანადო აღგილას აღნიშნულია „სლესი“, ნაცვლად „სლესა“-სი.

სოფ. სლესასთან ნახსენებია მისი უბანი უკან სლესა.

45. სოფ. كورسان (I 9, 106; II 10, 108). 2 კომლიანი სოფელია. შეიძლება ამოკითხულ იქნას სხვადასხვანაირად: გულისანი, კულისანი, გოლისანი, კოლისანი და მისთანანი. არქივისეულ სიებში ჩვენ გვაქვს К'иуеса (გვ. 9 v, 10 v). ჩვენ რუკებზე ან სხვა წყაროებსა და მასალებში ამ პუნქტის სახელი ვერ ვიპოვეთ.

<sup>1</sup> პროფ. გ. ნიორაძე, მტკვრის ხეობაში, გაზ. „კომუნისტი“, 1945, 26.VIII, № 170 (7385).

<sup>2</sup> სცია, ფ. 72, ს. 8, გვ. 29 v, 46 r.

<sup>3</sup> Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, Сиб., 1878, გვ. 79.

<sup>4</sup> -ა რ სუფიქსის შესახებ სპეციალურად: А. Шаяндзе, Два запо-кавказских суффикса в груз. и арм. языках, I. Суффиксы происхождения: -არ -არ в груз. языке. Записки Вост. Отд. И. Русского Арх. Об-ва, т. XXIII, 1916, გვ. 365-372.

<sup>5</sup> Д. Бакрадзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 82.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 80.

46. სოფ. ძოვრეთი — زوريت (I 9, 106; II 10, 108). დაწერილობა დიაკრიტული ნიშნებითაა (დედანი, გვ. 99). მიუხედავად ამისა ამ დაწერილობის „ზორეთ“-ად ამოკითხვა სწორი არ აღმოჩნდა. ერთ ჩემ ჩანაწერშიც ამ სოფელზე შემდეგი ცნობაა: „ზოვრეთ—აზღურდან აშალი“, — „ზოვრეთი — აწყურის ქვემოთაა“. მაგრამ რიგი საარქივო მასალის მოშველებით ირკვევა, რომ ამ სოფლის სახელს თავიკიდურ ასოდ „ძ“ თანხმოვანი უნდა ჰქონოდა. „ზორეთ || ზოვრეთ“ ში კი ჩვენ გვაქვს „ძ“-ს კანონზომიერი გადმოცემა თურქული ჯ ასოთი, ე. ი. ზორეთ-ზოვრეთი გადათურქულებული ფორმები უნდა იყოს ქართული სახელისა „ძოვრეთი“. საარქივო მასალებში ნათქვამია: «Из пустопорожнего места Дзюврет, принадлежавшего испраздленно населенникам...<sup>1</sup> и пустопорожние места Окнза и Дзюврет<sup>2</sup>. ამ „საქმეში“ რამდენიმეჯერ, მაგალითად, გვ. 50 რ, 62 რ და სხვ., იხსენიება ეს სოფელი და ყველგან Дзюврет-ად. ამდენად უნდა მივიღოთ, რომ ამ პუნქტს რქმევია „ძოვრეთი“<sup>3</sup>. „დაეთრის“ დროს იგი 10 კომლიანი სოფელია, 1841 წლის მასალებში უკვე გაუკაცრიელებულია და იხსენიება როგორც пустопорожнее место. არქივისეული სიების Зорует-ი სწორი არ არის (გვ. 9 v, 10 v). ძოვრეთის ადგილმდებარეობა საეხებით ირკვევა საარქივო მონაცემით, რომლის მიხედვით ძოვრეთი შემდეგ საზღვრებში ყოფილა: с одной стороны—пустопорожнее место Кван (=ქვაბისხევი) и с другой стороны пустопорожняя деревня Слеса (სლესა რუკაზე აღნიშნულია), с третьей (стороны)—река Кура и с четвертой—Гора<sup>4</sup>.

47. სოფ. ზათხა (?) — زاتخا (I 9, 107; II 10, 109). სიტყვას დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვს. იკითხება „ზათხა“-დ, მაგრამ გაურკვეველია ქართულად ასე გამოითქმოდა, თუ არა; საარქივო სიების მიხედვითაც Затха გვაქვს (გვ. 9 v, 10 v).

48. სოფ. აგარა — სოფ. დემოთიასთან (იხ. ქვემოთ № 54) — اگرا (I 9, 107; II 10, 109). დემოთიასთანაა ნაჩვენები; სხვა აგარა'ებისაგან გამოსარჩევად მას შეიძლება „დემოთიის აგარა“ დაერქვას.

49. სოფ. ქვაბი — كرابي (I 9, 107; II 10, 109). ეს სოფელი ახლა ქვაბისხევის სახელწოდებით ღვირ, ძოვრეთ და ქობისხევე სოფლებთან ერთად ბორჯომის რაიონის ღვირის სასოფლო საბჭოში შედის<sup>5</sup>. არქივისეულ სიაში ამ სოფლის სახელად ფიქსირებულია Кванний (გვ. 9 v) და Кванни (გვ. 10 r). მართლაც ამ დაწერილობაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ

<sup>1</sup> სტია, ფ. 72, ს. 8, გვ. 29 რ; ფ. 1044, ს. 4, გვ. 18. ამ პუნქტის სახელად ძოვრეთი ფორმა ჩვენ დაგვიდასტურა აგრეთვე პ. მახინიაშვილმა.

<sup>2</sup> სტია, ფ. 72, ს. 8, გვ. 38 რ.

<sup>3</sup> ეს ჩვენ დაწერილი გვექონდა, როდესაც არქივის მასალებში აღმოჩნდა ქართული საბუთი, რომელიც ჩვენ აქვე (იხ. ზემოთ გვ. 135—136, სოფ. № 25) სრულად დაგებულდ და რომელშიც ამ სოფლის სახელი ქართულად ძოვრეთადაა ჩაწერილი (სტია, ფ. 1044, ს. 2, გვ. 83 რ).

<sup>4</sup> სტია, ფ. 72, ს. 8, გვ. 27 v.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 28.

„დაეთარშიც“ ჩვენ كواينى = ქვაბნი გვაქვს (იხ. დედანი, გვ. 100). მეოთხე ასოდ რომ „ბ“-სათვის (ب) კბილაკი არის, მას კიდევ მოსდევს მეორე ასეთივე კბილაკი „ნ“ (ن) თანხმოვნის აღსანიშნავად. ამრიგად, „დაეთარის“ I და II წიგნში დაბეჭდილი كواينى უნდა გასწორდეს كواينى-დ, ხოლო II წიგნის „ქვაბნი“ კი — „ქვაბანი“-დ. ზოგ საარქივო მასალაში (მაგ., 1841 წ.) ქვაბნი გვაქვს: სოფ. ძოვრეთის საზღვრების დასახულებლად ნასოფლარ სლესასთან ერთად დასახლებულია пустопопoрoчaжeе мeстo K в a н<sup>1</sup>. „ქვაბნი“ რომ აქ „ქვაბისხევი“-ა იქიდან ჩანს, რომ ის მოხსენებულია ისეთი გეოგრაფიული პუნქტების გარემოცვაში, რომელნიც დღეს დვირის სოფლსაბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობენ (სლესა, ძოვრეთი და სხვ.). 1863 წლის ერთ საბუთში კი ამ სოფლის სახელად მოცემულია K o б н и х в (= ქვაბისხევი)<sup>2</sup>. 1870 წელს დაბეჭდილ ერთ ოფიციალურ წიგნში ამ სოფლის სახელად K o б н и х в -ი, ხოლო იქვე ქართულად ქობისხევი (← ქვაბისხევი) გვაქვს (ახალციხიდან 28 ვერსით დაშორებული და ზუთკომლიანი მოსახლეობით)<sup>3</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ „ქვაბისხევი“ ამ სოფელს შემდეგში დაერქვა, ამ მოსაზრებას ისიც ამავარებს, რომ ვახუშტის სიაში (გვ. 42 v) სოფ. სლესასა (აქვე, № 44) და დვირთან (აქვე, № 11), სადაც დღევანდელი სოფ. ქვაბისხევის დასახელება მოსალოდნელი, იხსენიება აგრეთვე „ქვაბი“. ასეთსავე კონტექსტში ვახუშტი მეორეჯერ იხსენიებს სოფ. ქ ვ ა ბ ს; სახელდობრ, სლესას, აწყვერსა (აქვე, № 1) და გიორგიწმინდასთან (აქვე, № 29) ერთად ნახსენებია „ქვაბი“ (გვ. 31 r). „ქვაბნი“ სახელწოდება შემდეგში, შესაძლებელია, გამარტივდა „ქვაბ“-ად ისევე, როგორც „ფოკანი“-მ „ფოკა“ და „განძანი“-მ „განძა“ მოგვცა. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში წერს: „ფერსათის მთისა გამომდინარე ქვაბის-ჯეეს...“<sup>4</sup> შეიძლება შემდეგში, როდესაც სოფელი უფრო გაიზარდა („დაეთარის“ დროს სოფ. ქვაბში 6 კომლია) და ხევის (ქვაბის-ხევის) მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა, მან „ქვაბისხევის“ სახელწოდება მიიღო. 1863 წლის ერთ საბუთში, მაგალითად, წერია: „... ინებეს გადასახლება ალიდვან ს. ქვაბისხევი დასახლება“<sup>5</sup>. სოფ. ქვაბის (ქვაბისხევის) მდებარეობა სავსებით ცნობილია: სოფ. დვირს ზემოთ, მტკვრის მარცხენა მხარეზე (იხ. თანდართული რუკა).

50. სოფ. აბკალთა (?) — ا ب ك ا ل ت ا (I 9, 107; II 10, 110). არქივისეულ სიებში გაუგებრობით ЗИКАНА წერია (გვ. 9 v, 10 v). დიაკრიტული ნიშნები დასმულია და, თითქოს, შეიძლება წაკითხულ იქნას აბკალთა-დ. უკაცრიელი სოფელია.

51. სოფ. ნეკეთაზი (?) — სოფ. დემოთისთან — ნ ე კ ე ა ზ ი (I 9, 108; II 10, 110). არქივისეულ სიებში НИКАНА-ადაა ამოკითხული (გვ. 9 v, და 10 v),

<sup>1</sup> სცია, ფ. 72, ს. 8, გვ. 29 v.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 71, ს. 97, გვ. 79 r.

<sup>3</sup> К. Зиссерман, 1.

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 124.

<sup>5</sup> სცია, ფ. 352, ს. 100, გვ. 2 r.



რაც სწორი არ არის. ასე ამოკითხვა არ შეიძლება, თუ გვეჩვენა ანგარიში დიაკრიტულ ნიშნებს, რომლებიც ამ დაწერილობას დასმული აქვს. მისი მდებარეობის გასარკვევად საჭიროა ორიენტაციის აღება სოფ. დემოთიაზე (№ 54). შესაძლებელია სახელწოდება „ნეკეფაზი“-ს დამახინჯება იყოს ხუთ-ვერსიან რუკაზე აღნიშნული პუნქტის სახელწოდება P. Д. Нирос-тави (მტკვრის მარცხენა ნაპირას, წრიოხს ქვემოთ).

52. სოფ. ლეკნარის რაბათი—*رک* (I 9, 108; II 10, 110). ამ პუნქტის სახელი, როგორც ჩვენ ეს II წიგნში (გვ. 110, შენ. 1) და I წიგნის „შენიშვნებში ტექსტის მიმართ“ (გვ. 7) გვაქვს ნათქვამი, „დაეთრის“ ე. წ. საგადასახადო ობიექტთა სიაში *رک* - ლეკნარ-ის ნაცვლად ან *رک* - ლეკნარ-ი გვაქვს. უფრო სწორია უთუოდ ძირითადი ტექსტის *رک* - ლეკნარი<sup>1</sup>, ხოლო ან *رک* - ი ა ასოს , ასოსთან არევით გამოწვეული შეცდომა უნდა იყოს. რუკებზე აღნიშნულ *Мекна*-ში, ჩანს, ბოლოკიდური რ თანხმოვანი დაიკარგა ისევე, როგორც გრიალ პუნქტის სახელიდან ჩვენ დღეს გრია შეგვჩა<sup>2</sup>. გარდა არქივისეული სიებისა, რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმავე „დაეთრის“ მასალებზე დამყარებით არის შედგენილი, სხვა წყარო „ლეკნარ“ ან „ლეკნარ“ ფორმებს არ იძლევა. მსხვილმასშტაბიან რუკებზე ნაჩვენებია P[азвашии] Кр[епошти] Мекна. „მესხური დავითნის ქრონიკაში“ წერია: „აწყურს ვიდევით... თუითან ლალა-ფაშაც მოვიდა და გალმა ლეკზე დადგა“<sup>3</sup>. „დაეთრის“ „ლეკნარ“-ი, „მესხური დავითნის ქრონიკის“ „ლეკი“ და რუკების „ლეკნა“ უდავოდ ერთი და იმავე გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა იყოს.

აკად. ექ. თაყაიშვილი „მესხური დავითნის ქრონიკაში“ ხმარებულ ლეკ პუნქტის სახელს („ლეკზე დადგა“) უკავშირებდა ამ მხარეში ლეკების მოსახლეობას. ის წერდა: По всей вероятности около Ахура было небольшое поселение лезгин, прежнее или современное автору записи<sup>4</sup>, около которого, вероятно, и остановился Лала-Паша<sup>5</sup>. ამრიგად, ექ. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ „გალმა ლეკზე დადგა“ ნიშნავს აწყურის ციხიდან მტკვრის გალმა მხარეს. მართლაც სოფ. (და ციხე) ლეკნა-ს ნანგრევები რუკებზე აღნიშნულია აწყურიდან დაშორებით, მტკვრის მარცხენა მხარეზე (ექ. თაყაიშვილი არ ახდენს რუკებზე აღნიშნულ ლეკნა-სა და „გალმა ლეკზე დადგა“ წინადადებაში ხმარებულ „ლეკ“ სიტყვის იდენტიფიკაციას).

ექ. თაყაიშვილის ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებდით და გეოგრაფიულ სახელ ლეკნარ - ლეკნა - ლეკ - ს ამ მხარეში მართლაც არსებულ ლეკთა მოსახლეობისაგან წარმომდგარად მივიჩნევდით. ჩვენ მოგვეყავდა სხვადასხვა

<sup>1</sup> იხ. ბელნაწერი დედანი, გვ. 14 და 101 (სოფ. № 52).

<sup>2</sup> იხ. აქვე, 11, ტყე-ჯავახეთის ნაპიფ, სოფ. № 22.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, თბილისი, 1890, გვ. 104.

<sup>4</sup> ექ. თაყაიშვილს მხედველობაში ჰყავს „მესხური დავითნის ქრონიკის“ ავტორი.

<sup>5</sup> Источники грузинских летописей: Три хроник, СМОЛПК, 25, თბ., 1900, გვ. 205.

ავტორის მოწმობა ამ მხარეში თურქების მიერ მოსყიდულ ლეკთა მოსახლეობისა და მათი თარეშის შესახებ<sup>1</sup>. მაგრამ ამგვარად შე სავსებით ვეთანხმებო-  
 ამ ნაშრომის რეცენზენტს (რეცენზია ჯერჯერობით დაბეჭდილი არაა) აკად.  
 აკაკი შანიძეს, რომლის მიხედვით „უთუოდ აქ საქმე გვაქვს ისეთ სახელ-  
 თან, რომელიც გარკვეულ მცენარეს უკავშირდება. ეს არის ლეკა (ლეკი):  
 ანუ ლეკის ხე (кален остролистный); აქედან ლეკნარი — სადაც ლეკის  
 ხეებია ბლონად. მაშასადამე, ლეკნარი ისევე ნაწარმოებია, როგორც ნაძე-  
 ნარი, ფიჭვნარი, მუხნარი, კოპიტნარი, ვერფნარი, არყნალი და მისთ.“<sup>2</sup>.  
 ვფიქრობ, რომ ეს აზრი სავსებით მისაღებია. ლეკნარი ერქვა უთუოდ ამ  
 ადგილს (მდრ. კოპიტნარი); შემდეგ, როდესაც ამ მხარეში ქართული ენის  
 პოზიციები შეირყა და დასუსტდა, ლეკნარი ადგილობრივ მოსახლეობაში  
 არ იყო გარკვეული შინაარსის მატარებელი სიტყვა, დაიკარგა რ თანხმო-  
 ვანი და ლეკნა || ლეკ-ი დარჩა.

„დავთარში“ ლეკნარი ციხედ არ იხსენიება, მაგრამ იქ ციხე უნდა-  
 ყოფილიყო, რადგანაც ლეკნართან დასახელებულია რაბათი და ეს უკანასკნე-  
 ლი კი საერთოდ ციხეებთან არსებობდა.

53. სოფ. მონასტერი სოფ. აგარასთან — *منستر قريه* (I 9, 108; II 10, 110). არქივისეული სიგბით *Монастер* და *Монастерь* (გვ. 9 v, 10 v). ცხადია, აქ იგულისხმება რომელიღაც მონასტრის მცხოვრებლები, რომელთაც დაბეგ-  
 რილი მეურნეობა აქვთ. მონასტერში მოსახლეთა შორის ჩამოთვლილია  
 ენუჯა მღვდელი, ვინმე დეკანოსი, გრიგოლა, აბიათარი და სხვ. „დავთარში“  
 ჩვეულებრივ „მონასტერ“ სიტყვა სათანადო პუნქტის საკუთარ სახელადაა  
 მიღებული. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცით აწყურის სანახებში რომელ მო-  
 ნასტერზეა ლაპარაკი. მონასტრის ზუსტი მდებარეობაც გაურკვეველია, თუ  
 მხედველობაში არ მივიღებთ უკვე ცნობილ გეოგრაფიულ პუნქტთა იმ წრეს,  
 რომელშიც ეს მონასტერია აღრიცხული და რომელიც მის ლოკალიზაციას  
 ძლიერ შეუწყობს ხელს.

54. სოფ. დემოთია — *دموتيه* (I 9, 108; II 10, 111). ეს დაწერილობა  
 დედანში (გვ. 101) წარმოდგენილია დიაკრიტული ნიშნებით და ამოკითხუ-  
 ლია სწორად. სარქიეო სიგბში ამ სოფლის სახელი წარმოდგენილად დამა-  
 ხინჯებულია: *Дитюния* (გვ. 9 v) და *Димюния* (გვ. 10 v).

სოფ. დემოთია „დავთარში“ კიდევ ორჯერაა დასახელებული: სოფ. აგა-  
 რაზე (აქვე, № 48) და სოფ. ნეკეთაზხე (? აქვე, № 51) ნათქვამია, რომ ეს  
 სოფლები დემოთიასთან ახლო მდებარეობენო. სოფ. დემოთიისათვის „დავ-  
 თარში“ ნაჩვენებია სამი კომლი (გიორგი მღვდლის ოჯახი, ფოცხვერას-  
 ოჯახი და მისი შვილის კვირიკას ოჯახი); შეწერილი აქვთ 3 000 ახჩად ღირე-  
 ბული გადასახადი.

<sup>1</sup> История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах, I, პეტერ-  
 ბურგი, 1836, გვ. 63; Акты, собранные Кавказскою Археологическою Комиссиею, V,  
 790-794, 822 (Баграде, 69).

<sup>2</sup> აკად. ა. შანიძის დაუბეჭდავი რეცენზიიდან, გვ. 8, 9.

სოფ. დემოთია თავისი ცნობილი დემოთის ციხით სამცხე-საათაბაგოში ისტორიული პუნქტია. უეჭველია, რომ ქართულ წყაროებში მოხსენებული დემოთის ციხე და „დაეთრის“ სოფ. დემოთია ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტია. როგორც გარკვეულია<sup>1</sup>, ციხეებთან მდებარე დასახლებული ადგილები „დაეთარში“ რაბათად იწოდებიან. რადგანაც „დაეთარში“ დემოთის ციხის რაბათი არ იხსენიება, საფიქრებელია, რომ „დაეთრის“ შედგენის დროს დემოთის ციხე უკვე მიტოვებული და გაუქმებული იყო. ჩანს მხოლოდ სამოქალაქო მოსახლეობა რამდენიმე კომლად.

ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა“ში სამცხისათვის ნახსენებია ადგილი, „რომელსა ჰქუიან დემოთი“, „ციხე დემოთისა“ და „დემოთელნი“. ამავე წყაროში მოტანილი სხვა ვარიანტები ამ გეოგრაფიული სახელისა— „დომთა“, „დამოთი“ და „დამოთელნი“ გადაწერის დროს წარმოშობილ ცდომილებათა შედეგი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა, რომ ვახუშტი ორჯერ ახსენებს ამ პუნქტის სახელს და ორივეჯერ „დემოთი“ აქვს<sup>2</sup>. ამ სახელის ერთზნანეთისაგან ცრტად განსხვავებული, მაგრამ სამი ვარიანტი მაინც გვაქვს: „დაეთრის“ დემოთია, სხვაგან დემოთი (ლ. მროველი, ვახუშტი) და დემოთა<sup>3</sup>.

ვახუშტის მიხედვით „ამ ჴევის [ქვაბის-ჴევის] დასავლეთით, მტკვრის კიდზედ, არს ციხე კლდესა ჴედა შენი, მაგარი ვგონებ ამას დემოთის ციხედ...“<sup>4</sup> ვახუშტის ეს აზრი დემოთის ციხის ადგილმდებარეობის შესახებ ექ. თაყაიშვილის მიერ უშენიშვნოდ არის გაზიარებული (Демотиц-нихе ყ Вахушта помещается на р. Куре, к западу от Квандис-хевн, в Самцхе)<sup>5</sup>. ივ. ჯავახიშვილის აზრით კი „მისი [დემოთის ციხის] მდებარეობა არც ვახუშტის სცოდნია დაქვემდებარებით“<sup>6</sup>. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „სადაც ლადოს მთაში უნდა ყოფილიყო აგრეთვე დემოთი“<sup>7</sup>. დემოთის ციხის მდებარეობის გარკვევას ივ. ჯავახიშვილის აზრით, გარდა თავისთავადი მნიშვნელობისა, სხვა მნიშვნელობაც აქვს: „ლადოს დასავლეთის წვერის მდებარეობა მეტის სისწორით მაშინ იქნება განსაზღვრული, როდესაც გა-

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ დაეთრის IV წიგნში.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ანა-დღეოდგლისეული ნუსხა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 29, 31.

<sup>3</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 121, 124.

<sup>4</sup> მესხური დაეთონის ქრონიკა, გვ. 114; სხვაგან ამ ძეგლში (გვ. 91) იგივე „დემოთი“ გვაქვს.

<sup>5</sup> ვახუშტი, გვ. 124.

<sup>6</sup> Источники грузинских летописей, Три хроник, СМОМПК, вып. 28, გვ. 196-198. 3).

<sup>7</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 14, 53.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 53.

მოირკვევა, თუ სად იყო ციხე დ ე მ ო თ ი. ეხლანდელ 5 ვერსიან რუკაზე, არც სხვა რაიმე წყაროში იგი აღნიშნული არ არის\* 1.

ჩვენ გვაქვს ნემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ დემოთის ციხე იყო „ქუეყანასა ოძრკვევისასა, რომელსა [ა] ეწოდებოდა სამცხე, ადგილსა რომელსა ჰქვიან დომთა, მოკიდებულად მთასა ლაღოსსა...“ 2 ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობა ადასტურებს, რომ დემოთად წოდებული ადგილი მდებარეობდა საერთოდ სამცხეში, ლაღოს მთაზე. „დავთრის“ სოფ. დემოთის შესახებ მონაცემების საფუძველზე უფრო ადვილდება დემოთის ციხისა და დემოთია სოფლის ლოკალიზება.

დემოთის პუნქტის ადგილმდებარეობის დაზუსტებისათვის მნიშვნელოვანია ჩვენი „დავთრის“ მონაცემები. ჯერ ერთი — სოფ. დემოთია აღწერილია ახალციხის სანჯაყის აწყურის ნაჰიეში და იგი აღრიცხულია დღესაც ცნობილი პუნქტების შემდეგ გარემოცვაში; ქვაბისხევი (ვახუშტით. „დავთარში“, როგორც აღვნიშნეთ, „ქვაბისხევის“ ნაცვლად „ქვაბნი“ გვაქვს, იხ. აქვე, № 49), სოფ. (და ციხე) სლესა (აქვე, № 44), სოფ. ლეკნა [რო] (P. Kp. Лекна, აქვე, № 52), სოფ. ბ ი ე თ ი, სოფ. გ უ რ კ ე ლ ი (№ 34) და სხვ.; მეორე — აწყურის ნაჰიეში შემავალ ა გ ა რ ა ს ა (აქვე, № 48) და ნეკეფაზე (№ 51) ნათქვამია, რომ ეს სოფლები დემოთიასთან ახლო მდებარეობენ. ამას გარდა, პუნქტი, რომელიც „დავთარში“ უშუალოდ სოფ. დემოთის შემდეგაა დასახელებული, ყარაყუზი — قراقوز (№ 55) მსხვილმასშტაბიან რუკებზე ყველგან აღნიშნულია — P. D. Каракуза.

ამრიგად, „დავთრის“ მონაცემების მიხედვით სოფ. (და ციხე) დემოთის ლოკალიზებისათვის მოცემულია საკმაოდ ვიწრო ზონა, რომლის ფარგლებში დემოთის ნაციხარის მოძებნა ძნელი არ უნდა იყოს 3

55. სოფ. ყ ა რ ა ყ უ ზ ი — قراقوز (I 9, 108; II 10, 111). ეს დაწერილობა მთლიანად დიაკრიტულნიშნებიანია. ამოკითხულიც სწორი უნდა იყოს. ამა ს მხარს უჭერს, ერთი მხრით, არქივისეული სიები (Каракузи, გვ. 9 v და Каракуза, გვ. 10 v) და, მეორე, ის გარემოება, რომ მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია P. D. Каракуза. საარქივო მასალებშიც დასტურდება ეს სახელწოდება: В Каракузе... 4 და შემდეგ კიდევ В Каракузах ткемлаиские жители... в Аджурском Каракузи с его развалинами... 5 ოღონდ არაა ნათელი ქართულად „ყარაყუზი“ იყო თუ „ყარაკუზი“.

\* ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 14.

1 ლონტი მროველის ცნობა. ქართლის ცხოვრება — ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 29.

2 პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით 1923 წ. გამოცემულ რუკაზე ლაღოს ან ფერსათის მთაზე აღნიშნულია პუნქტი დ ე მ ო თ ი ანუ ლომისთავი. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ განსვენებული მეცნიერი უფრო გვიანდელ თავის შრომაში ამბობს, რომ დემოთის ციხე არსად რუკებზე აღნიშნული არ არის. ვფიქრობ, „დემოთის ანუ ლომისთავის“ აღნიშვნა სხვებულ რუკაზე ერთგვარი ვარაუდია, რომელიც აგრეთვე ხელს შეუწყობს ამ პუნქტის ლოკალიზაციას.

4 სცია, ფ. 72, ს. 88, გვ. 81 v.

5 იქვე, გვ. 109 r; აგრეთვე ფ. 223, ს. 1, გვ. 30 r.

ეს არ უნდა იყოს ქართული გეოგრაფიული სახელის თურქული თარგმანი, თუმცა შეიძლება ეს სიტყვა დაიყოს kara'დ (= 'შავი') და kuzay (= 'ჩრდილის მხარე', 'ჩრდილოეთი').

ეს სოფელი „დავთრის“ დროს დაუსახლებელია. 1836-1838 წლებშიც აღრიცხულია ცარიელ სოფლად, რომელიც ახალციხელ ქორეპისკოპოსის კარაპეტის მამულს შეადგენს<sup>1</sup>. შეწერილი აქვს 4000 ახჩა.

56. სოფ. საზარე (?) — آسازری (I 9, 109; II 10, 111). მესამე ასოს დიაკრიტული ნიშანი აზის და თითქოს შეიძლება „საზარე“-დ წაითხვა. არქივისეულ სიებშიც Casape-ა (გვ. 9 v, 10 v). უკვე გაუქაცრიელებული სოფელია, რომელსაც 3000 ახჩა აქვს შეწერილი.

57. სოფ. ვერანა ქაქარაქი — ადაბუქ სათესველთან — ویران کجرج (I 9, 109; II 10, 111). როგორც სახელწოდება „ვერანა ქაქარაქი“ გვიჩვენებს, ეს სოფელი გავერნებული და გაუქაცრიელებულია. ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი ამავე სახელის მატარებელ სოფელ ქაქარაქზე<sup>2</sup>, რომელიც ნაჰიფს ცენტრია. არქივისეულ სიებში Веран 'Чечерек-ია (გვ. 9 v, 10 v). სხვა საბუთშიც Веран чечерек-ად იხსენიება<sup>3</sup>. გეოგრაფოსები უკეთ გაარკვევენ, იდენტურია „დავთრის“ ეს ვერანა ქაქარაქი ჰამერის რუკაზე ახალციხის მახლობლად და მის სამხრეთით აღნიშნული Tschajaraki-სა თუ არა (აქ ლაპარაკი არ არის ნაჰიფს ცენტრ ქაქარაქზე, რომლის მდებარეობა თავის ადგილას უკვე გარკვეულია)<sup>4</sup>. ერთ რუსულ საბუთში იხსენიება Веран 'Чечерек, რომელიც უთუოდ ეს ქაქარაქია<sup>5</sup>.

58. სათესველი ადაბუქი — آسازری (I 9, 109; II 10, 111). მეოთხე ასოს დიაკრიტული ნიშანი არა აქვს; ჩვენ პირობით ვკითხულობდით — آسازری-ადაბუქად. მაგრამ შემდეგ, გარდა საარქივო სიებისა (Ададук-ი, გვ. 9 v, 10 v) აღმოჩნდა საბუთი, რომელშიც იხსენიება Д[еревня] Ададук<sup>6</sup>. ზემოთ აღწერილი სოფ. ვერანა ქაქარაქის მდებარეობა მითითებული იყო სწორედ ამ ადაბუქთან, რომლის ზუსტი ლოკალიზება ჯერჯერობით არ ხერხდება. კითხვითი ნიშანი უნდა ზოიხსნას.

59. სოფ. თევდორათუბანი — آسازری (I 9, 109; II 10, 111). პირველ ასოს დიაკრიტული ნიშანი აზის და სიტყვის პირველი ნაწილის რაობა ამით უკვე გარკვეული ხდება; ეს არის „თევდორა“, ხოლო მეორე — „უბან“-ია; შუაში ჩასმული ت (თ) უთუოდ ქართული „ანთ“ სუფიქსის ნაშთია. ამრიგად, ჩვენ აქ უნდა გვექონდეს — სოფ. თევდორა [ან] თუბანი. არქივისეული სიების Путьратубан და Путьра Тубан ვარიანტებს არავითა-

<sup>1</sup> სცია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 31 v.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ: ქაქარაქის ნაიბე, სოფ. № 1.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 39, გვ. 5 r.

<sup>4</sup> იხ. GOR, II—304 და 305 გვერდებს შუა მოთავსებულ რუკაზე.

<sup>5</sup> სცია, ფ. 47, ს. 64, გვ. 8 r.

<sup>6</sup> იქვე.

რი საფუძველი არ აქვს (გვ. 9 v, 10 v). უკვე უკაცრიელი სოფელია, თუკცა ეს გარემოება დედანში აღნიშნული არაა.

60. სოფ. ბერეკა[ან]თუბანი, *برهكجان* (I 9, 109; II 10, 111). პირველ ასოს ნიშანი არ აქვს; თითქოს ყველაზე უფრო შესაძლებელია მისი *ბ*-დ წა-კითხვა — *برهكجان*, რაც ქართულად „ბერეკა[ან]თუბანს“ მოგვცემდა. არქივისეული სიების ვარიანტი *Беректубань* — დამახინჯებული უნდა იყოს (გვ. 9 v, 10 v). მხოლოდ წიგნის სტანბაში გადაგზავნის უკანასკნელ დღეებში შეენიშნე, რომ არქივიდან ამოწერილ მრავალრიცხოვან მასალაში ერთ ადგილას, აწყურის სანჯაყის სოფლებისა და ნასოფლარების ჩამოთვლისას, დასახელებულია *пустопорожняя деревня Беректубань, протекает ручей Керичхан* [შეიძლება ახლო მდებარე სოფ. საკირე-ს სახელით ცნობილი საკირის-წყალი], *поселить жителей невозможно, ибо земли свои уже одичали*<sup>1</sup>. ცხადია, რომ აწყურის ნაჰიეს მე-60 სოფელი სწორედ ეს უნდა იყოს; ოღონდ ვფიქრობ ბერეკა[ან]თუბანი უფრო სწორია, ვიდრე ბერეკითუბანი.

61. სოფ. ტყისი — *خس* (I 9, 109; II 10, 111). კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ჩვენი ვარაუდი „ტყისი“ (წიგ. II), ვფიქრობ, საესებით გამართლებულია. ორთავე წიგნის დაბეჭდვის შემდეგ ვახუშტისთან ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა ცნობამ: „ჯაყის წყალს, ქვინჯას ქვეით, მოერთვის ტყის-სოფლის-ქვეი“<sup>2</sup>. მაშასადამე, არსებულა პუნქტი *ტყის-სოფელი, ე. ი. სოფელი ტყისი. خس* დაწერილობაში ქართული მკვეთრი ტ თანხმოვანი კანონზომიერად სათანადო რიგის მკლერითაა გადმოცემული, ხოლო ყ მკვეთრი თანხმოვანი სიტყვის შუა პოზიციაში ფშვინვიერი *خ* თანხმოვნით. არქივისეული სიების ვარიანტი ამ სოფლის სახელისა — *Мехис* (გვ. 9 v, 10 v), უეჭველია, *ტყისი*-ს გადათურქულებული ფორმაა.

სოფელ ტყისი უკაცრიელია.

<sup>1</sup> სტია, ფ. 1044, ს. 4. გვ. 28 v.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 126.

## 1. ახალციხის ღივი

### 4. ალთუნკალჯას ნაპიჯე

1. სოფ. ალთუნკალჯა<sup>1</sup>ს რაბათი, მეორე სახელი შოყა—التون كالج أو قلع نام دايكر شوق (I 9, 109; II 10, 112). „ალთუნკალჯა“ თურქული სიტყვა-სიტყვით თარგმანია ქართული „ოქროსციხე“სი (თ. altun || altun = 'ოქრო' და არაბ.-თურქ. قلع კალჯა = 'ციხე')<sup>2</sup>. ოქროს-ციხე (ალთუნ-კალჯა) სახელია იმ ციხე-სიმაგრისა, რომელიც სოფ. შოყას ზემოთ მდებარეობს. „დავთარში“ კი „შოყა“ სოფ. ალთუნ-კალჯა<sup>3</sup>ს რაბათის მეორე სახელად არის მოცემული. ექ. თაყაიშვილით К северо-востоку от Чылены находятся развалины некогда сильной крепости Окрос-цихе или Алтун-кала, которая построена на отдельной вулканической возвышенности...<sup>4</sup> ალთუნ-კალჯა-ს მ. ბროსეს ტრანსკრიფციაში ასეთი სახე აქვს—citadelle d'Althoun-Qala<sup>5</sup>, გრაფ. უვაროვისაში კი შეცდომით—Алтым кале<sup>6</sup>. ერთი რუსი ავტორი სოფელ შოყის სახელს რუსულად გადმოსცემს Шока-ად: 18 апреля на рассвете Бурioso окружил казаками селение Шока<sup>7</sup>. ერთი საარქივო მასალის მიხედვით ეს სოფელი Шуга-ღ<sup>8</sup> არის დამახინჯებული. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს ცენტრალური არქივის თურქულ საბუთთა ფონდებში დაცულია რამდენიმე ბ ა რ ა თ ი (ფირმანი), რომლებშიც, სხვათა შორის, ალთუნკალჯა ზუსტად ისევეა დასახელებული, როგორც დავთარში. 1756 წლის ერთ ბარათში, მაგალითად წერია: قلع نام التون كالج — 'ალთუნკალჯას რაბათი, მეორე სახელი შოყა'. კ. ზისერმანი ფირსალათის შთის ფერდობზე ასახელებს 8 კომლიან სოფელ Шока-ს, რომელიც ახალციხიდან 17 ვერსის მანძილზე მდებარეობს<sup>9</sup>.

<sup>1</sup> შტრ. Л. Исарлов, Письма о Грузии, Тифлис, 1899, გვ. 9 (თურქული სახელი და-მახინჯებულია: Акти-кала или Окрос-цихе ოქროს ციხე=Золотой замок).

<sup>2</sup> Е. С. Такайшвили, Зарэмский монастырь, его реставрация... Окрос-цихе, СМОМПК, вып. 35, თბილისი, 1905, გვ. 109-110.

<sup>3</sup> М. Brosset, Rapports... II, გვ. 113, 137.

<sup>4</sup> Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок. Путевые заметки граф. Уваровой, ч. II, Москва, 1891, გვ. 257.

<sup>5</sup> История военных действий... I, 52.

<sup>6</sup> სცია, გვ. 77, ს. 45, გვ. 10გ.

<sup>7</sup> К. Зиссерман, 14.

ამეამად, ადიგენის რაიონში სოფ. შოყა ფხერო და ზემო ენთელ სოფლებთან ერთად ფხეროს სასოფლო საბჭოში შედის<sup>1</sup>.

2. სოფ. ქვემო ენთელი — *انتيل سفلى* (I 9, 110; II 10, 112), ამავე ნაპიჯეში მე-12 ობიექტად აღწერილია—ზემო ენთელი—*انتيل على* (I 9, 114; II 10, 116). საარქივო სიებში გვაქვს: *Интелъ Сухла* (=არაბ. *Сухла* *سفل*—ქვემო, გვ. 10 r), *Интели Сухла* (გვ. 10v); *Интели улия* (*улия*—*على* = ზემო, გვ. 10r და 10v). ჩაწერილი მაქვს, რომ ქვემო ენთელი ვარხნიდან დაახლოებით 5 კილომეტრის მანძილზეა, ხოლო ზემო ენთელი—აგრეთვე დაახლოებით 4,5 კილომეტრისა. ამ სოფლის სახელი უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართ. ენთელ სიტყვისაგან, რომელიც „წყალთა თოშია“, წყალთა თოში კი „სამრიგ არს: მდინარის ფსკერით ამოსული არს ენთელი; რომელი ზე მოაქვს, არს თოში და, რომელი ზედ შეუყინავს, ანუ ნალღწი მოაქვს, არს ხორგი...“<sup>2</sup>.

თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით ქვემო ენთელი ბოლაჯურ და შოლავერ სოფლებთან ერთად ადიგენის რაიონში ბალაჯურის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>, ხოლო სოფ. ზემო ენთელი ფხეროსა და შოყასთან ერთად—ფხეროს სასოფლო საბჭოში<sup>4</sup>.

3. სოფ. პატარა სმადა.—*كوجك سماء* (I 9, 110; II 10, 113). აქვე, მე-4 სოფლად აღწერილია სოფ. დიდი სმადა—*كبرى سماء* (I 9, 111; II 10, 113). პატარა სმადაში 12 კომლია, დიდში — 14. არქივისეულ სიებში მოცემული სახელები ამ სოფლებსა შემდეგია: *Смадай Кучук* (გვ. 10r; ქუჩუქ ← თ. *küçük* 'პატარა'), *Смадай Бузурк* (გვ. 10r; ბუზურქ ← სპ. *كبرى* 'დიდი', II სიაში შეცდომით *Бурзук*-ია). საარქივო მასალებში გვხვდება ამ სახელწოდების დამახინჯებული (უფრო მეტად გადათურქულებული) ფორმები: «*жители деревни Смадай Бузрук*», ან არადა *Симада Бозорга* ← *Смада-и-Бозорк*<sup>5</sup>. *Деревня Смада находится направо от шоссе, не доезжая до станции Зарзма*<sup>6</sup>. დღეს დიდი და პატარა სმადა ჩორჩანთან ერთად შედის ადიგენის რაიონის ჩორჩანის სასოფლო საბჭოში<sup>7</sup>.

სოფ. დიდი სმადასთან დასახლებული ჩაირი—სახელად *كوروي* ამოკითხული არაა.

4. სოფ. დიდი სმადა — *كبرى سماء* (იხ. ზემოთ „სოფ. პატარა სმადა“).

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>2</sup> ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. 108.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> სტია, ფ. 77, ს. 5, გვ. 9. \* იქვე, გვ. 10.

<sup>6</sup> Е. С. Такашвили, Зарзиский монастырь... Надписи церкви в деревне Смада. СМОМПК, 35, გვ. 110; граф. Уварова, Храстинские памятники, МАК, IV, გვ. 67; გ. ბუბიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 176.

<sup>7</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.



5. სოფ. ქ ე ა ბ ლ ი ა ნ ი — كويلان (I 9, 111; II 10, 114). დაწერილობას არა აქვს დიაკრიტიული ნიშნები, მაგრამ მისი საერთო მოხაზულობიდან უკვე ჩანს, რომ ეს სოფ. ქვაბლიანის სახელია. ქვაბლიანის საკმაოდ დიდ ხეობაში, რომელიც ქვაბლიანისწყლის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე მდებარეობს, „დავთრის“ ჩიხედვით ყოფილა ამავე სახელის მატარებელი პატარა (სამკომლიანი) სოფელი. ეს გარემოება დაადასტურებს თვით ადგილობრივმა მკვიდრებმა, რომლებმაც ქვაბლიანის ნასოფლარის ადგილმდებარეობაზე შემდეგი ცნობები მომაწოდეს: ქობლიანი — „ფულატედან აშალი, სუმადადან ჯოხარი“, ე. ი. ქვაბლიანის ნასოფლარი „ფლატეს ქვემოთა და სმადას ზემოთ“. მეორე ადგილას ჩამიწერია: „სუმადანჯნ სინორუნდა ვარ ბირ ვერანა ჯერ, ადი ქობლიან—ფეგლუხ 'სმადას მიჯნაზე ერთი ვერანა ადგილია, სახელად ქობლიანი; ნანჯრეებია'. მართლაც, სოფ. ქვაბლიანი „დავთარში“ სოფელთა სწორედ ასეთ გარემოცვაშია აღწერილი (ამავე ალთუნჯალყას ნაჰიეშია აღწერილი სოფ. სმადა—№ 3, 4 და ფლატეც—№ 13). „ქვაბლიანის“ გადათურქულებული ფორმაა „ქობლიანი“, რომელშიც ვა კომპლექსი „ო“დ არის გამარტივებული. „ქვაბლიანი“ სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვანაირადაა გადმოცემული: Ковлианка или Кювлианис-цкаши<sup>1</sup>, «прибыли в Ковлиан»<sup>2</sup>, Kobljanka<sup>3</sup>.

ვახუშტის სიის „ქაბლიან“ ვარიანტად ფიქსირებული სახელწოდება (გვ. 24v) შეიძლება ჩვენი „დავთრის“ სოფ. ქვაბლიანის სახელი იყოს.

6. სოფ. ვ ა რ ხ ა ნ ი — واران (I 9, 112; II 10, 114). ეს დაწერილობა დიაკრიტიული ნიშნის გარეშეა, მაგრამ მისი ამოკითხვა საეცებით უეჭველია. სოფ. ვარხანი მდებარეობს ოცხის წყალზე კურორტ აბასთუმნიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 6 კილომეტრის მანძილზე. ალთუნჯალყა ოცხის წყლის მარჯვენა ნაპირზეა, ხოლო ვარხანი—მარცხენაზე. მიუხედავად ამისა, ვარხანი ალთუნჯალყას ნაჰიეში შედის. დღეს სოფ. ვარხანი ადიგენის რაიონში სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც აერთიანებს აბასთუმანს, საბუზარა, სალრძე და ხარჯად სოფლებს<sup>4</sup>. კ. ზისერმანთან 1870 წ. ვარხანში აღრიცხულია 52 კომლი (გვ. 14).

გრაფინია უვაროვას შეცდომით Варханს უწერია<sup>5</sup>.

7. სოფ. ხ ე ვ ა შ ე ნ ი — خواجه (I 9, 112; II 10, 115). ოცხის წყლის მარჯვენა ნაპირზე, ვარხანთან ახლო მდებარეობს. ამჟამად ცენტრია ხევაშნის სასოფლო საბჭოში, რომელიც უნწა. ბენარა და ნაქურდეგ სოფლებს აერთიანებს<sup>6</sup>. ვახუშტის სიაშიც არის (გვ. 32r). 1870 წ. აქ უჩვენებენ 20-კომლს<sup>7</sup>. ვახუშტის „გეოგრაფიაში“ მოხსენებული „ჩვეაშნები“<sup>8</sup> ასპინძის რა-

<sup>1</sup> Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок. Путевые заметки графини Уваровой, ч. II, Москва, 1891, გვ. 173.

<sup>2</sup> История военных действий... II, 39.

<sup>3</sup> M. Brosset, Rapports... II, 27, 132.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>5</sup> Кавказ—Абхазия და სხე., გვ. 173.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>7</sup> К. Зиссерман, 15. \* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 127.

იონშია და ამ „ხევაშენთან“ კავშირი არ აქვს. არქივისეული სიების *Хавашен* სწორი არ არის (10r, 10v).

8. სოფ. *ქულის ეკლესია*, მეორე სახელი *სათესველი ქულე*—*جو کلبه* (I 9, 113; II 10, 115). ჩანს, რომ „დავთრის“ დროს ქულე უკაცრიელი ყოფილა და იბეგრებოდა მისი ეკლესიასთან მდებარე მიწები. *جو*-ს დიაკრიტიული ნიშანი არა აქვს, მაგრამ ამ გეოგრაფიულ გარემოცვაში ეს უსათუოდ ქულე პუნქტია, რომელიც ცნობილი იყო თავისი შესანიშნავი, ჩვენ დრომდე მოღწეული ტაძრით. *جو*-ში *ج* ასოს სამი წერტილი ჩვენ დავუსვით, თურქი აღმწერელი აქ უთუოდ *ج*-ს („*ж*“) გულისხმობდა, რადგანაც ჩვენს მკვეთრს „*ქ*“ს ჩვეულებრივად *ج* („*ж*“) გადმოსცემს ხოლმე.

სოფ. ქულე „ქელებისა“ და „ქულევის“ სახელწოდებებითაც ცნობილია: ...и продолжаем путь по направлению к гористому ущелью Чулэ, с целью осмотра его древнего, ныне заброшенного монастыря<sup>1</sup>. Дчулеби (ქულები), древний храм вблизи Зарэмского монастыря в Ахалцихском ущелье<sup>2</sup>. Дчулеби в Кваблянском ущельи, в 3-4 верстах от р. Квоблова-инис-икали... по близости деревни Адигон<sup>3</sup>. Dchoula, et que le vulgaire l'appelle Dchoulébi ou Dchouléwi: s'est une alteration du nom ancien<sup>4</sup>. В трех верстах от станции Зарама и в версте от деревни Адигон в Коблянском ущельи находится заброшенный монастырь Чуле или Дчулеби<sup>5</sup>.

9. სოფ. *აგარხო* (I 9, 113; II 10, 115). *გ*-ზე წერტილი ჩვენ დავსვით, რადგანაც *გ*-ნი ქართული ბგერის გადმოსაცემად არსად არ იხმარება. ხელნაწერის თავში ნოთაესებულ საგადასახადო ობიექტთა სიაში ამ სოფლის სახელწოდებაში ორი უკანასკნელი ასო (*აგ*) არ არის (დედანი, გვ. 14). ამდენად ეს ორი ასო არც უნდა ეკუთვნოდეს ამ სიტყვას; ევ არის, ალბათ, მომდევნო *حالی* სიტყვის პირველი მარცვლის შეცდომით გამოწვეული გამოვრება (იხ. ძირითადი ტექსტი დედანში, გვ. 106). ერთი სხვაობა კიდევ არის სიტყვის ამ ორ დაწერილობას შუა: 2ე-14 გვერდზე დედანში (ე. წ. „სიაში“) *აგ* ასოთა შემდეგ დაწერილია *و* (ვაეი), რომელიც ძირითად ტექსტში არ არის (დედანი, გვ. 106)<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Граф. Уварова, Кавказ—Абхазия... გვ. 251, 252, 253; აგრეთვე Христианск иятинки, МАК, IV, გვ. 60.

<sup>2</sup> Д. Бакрадзе, АИГА, გვ. 134, შენიშვნა.

<sup>3</sup> Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, 51.

<sup>4</sup> М. Brosset, Rapports... II, 137.

<sup>5</sup> Е. С. Такайшвили, Зарэмский монастырь... Монастырь Дчулеби и остатки его стеной росписи, СМОМПК, вып. 35, 104-109; ქულის შესახებ განსაკუთრებით: ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, თბ., 1955, გვ. 142.

<sup>6</sup> იხ. აგრეთვე ამის შესახებ ჩვენი შენიშვნები I წიგნში, გვ. 7 (შენიშვნები ტექსტის მი-ქართ) და II, გვ. 115 (შენიშვნები).

ამ სახელის ამოსაკითხავად ვერაფრითაა მასალა ვერ მოვიპოვეთ. გვაქვს მხოლოდ არქივისეულ სიაში ამ პუნქტისათვის ჩაწერილი სახელი *Огаверди* (გვ. 10r, 10v). თუ ჩვენი „დავთრის“ ე. წ. სიაში ნოცემულ დაწერილობას მივიღებთ უფრო სწორად (და მართლაც ეს უფრო სწორი უნდა იყოს), მაშინ დიაკრიტული ნიშნების დასმის შემდეგ ჩვენ გვექნება *اوغاويرا*, რაც ზუსტად *Огаверди*-დ (ოღავერბო) იკითხება.

ამრიგად, ამ სახელწოდების ძირითად ტექსტში მოცემული დაწერილობა სწორი არ უნდა იყოს. სწორად ჩანს „დავთრის“ საგადასახადო ობიექტთა სიაში დაწერილი *اوغاويرا*, რომელიც არქივისეულ სიაში *Огаверди*-დ არის ამოკითხული.

10. სოფ. ნაქურდევნი — *نکوردهو* (I 9, 113; II 10, 115). სოფ. ნაქურდევნი დღეს აღიგენის რაიონის ხევაზნის სასოფლო საბჭოში შედის ხევაზენ, უნწა და ბენარა სოფლებთან ერთად<sup>1</sup>. მისი მდებარეობა სავსებით გარკვეულია. „ახალციხის სანჯაყის სამმართველოს“ 1835 წლის „საქმებში“ იხსენიება აბასთუნის სანჯაყის სოფელი *Накырда*. ეს, რა თქმა უნდა, დამახინჯებულია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამავე „საქმეს“ დართული აქვს მშვენიერი დრეზნის ხელით შესრულებული თურქული საბუთი, სადაც სოფ. ნაქურდევნის სახელი საკმაო სიზუსტით არის ტრანსკრიბირებული *نکوردهو*<sup>2</sup>.

„დავთრის“ დროს ნაქურდევნი უკაცრიელია, 1870 წ. მასში 12 კომლია (კ. ზისერმანი, 15). კ. ზისერმანი ნაქურდევნის რუსულად თარგმნის *Урда-де-Нихи*<sup>3</sup>. თუ აქ ქურდ სიტყვა იგულისხმება, მაშინ ნაქურდევნი ქურდების ნასახლარი ან ნაბინარი უფროა, ან შეიძლება კიდევ ნაქურთვენი.

11. სოფ. ფხერო — *فخرو* (I 9, 113; II 10, 115). მართალია დედანში პირველი ასო *ბ* (ბ) არის, მაგრამ ეს შეცდომა უნდა იყოს. ქართული წარმოთქმა ამ სახელწოდებისა „ფხეროა“; რუკებზედაც ყველგან *Фхеро* გვაქვს. მე ადგილზე ჩაწერილი მაქვს ამ სახელწოდების გადათურქულებული ფორმა თავიკიდური „ფ“ თანხმოვნის ჩამოვარდნით — „ხერო“. არქივისეულ სიებში (გვ. 10r, 10v) და სხვა საარქივო მასალებშიც *Фхеро*-ა. 1870 წ. ფხეროში 26 კომლი ირიცხება<sup>4</sup>.

სოფ. ფხეროს მიწერილი აქვს, რომ წყარო-*قل*-ის წყლის ნახევარი-მოსარწყავად ეკუთვნის ამ სოფელს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამ სახელწოდების ამოკითხავე ნაწილი „კეთილ“ სიტყვად ამოვიკითხოთ; მაშინ ამ წყლის სახელი იქნება *წყაროკეთილი*.

12. სოფ. ზემო ენთელი (იხ. ზემოთ № 2 სოფ. ქვემო ენთელი).

<sup>1</sup> საქ. სრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>2</sup> სტია, ფ. 77, ს. 8, გვ. 10.

<sup>3</sup> К. Зиссерман, 15.

<sup>4</sup> იქვე.

13. სოფ. ფლატე — *فلاتة* (I 9, 114; II 10, 116). პირველი ასო დიაკრი-ტულიზნიანია; ა თანხმოვნი გამოხატულია შესაბამისი ქართული მკვეთ-რი „ტ“. მართლაც ქართულ საარქივო მასალებშიც ამ სოფლის სახელად ჩვენ ფლატე გვაქვს<sup>1</sup>. ადგილობრივნი გადათურქულდებულად „ფულატე“ს ეძახდნენ; უ ხმოვანს ორი თანხმოვნის გაყრის ფუნქცია აქვს დაკისრებული; რუკებზე *Platte-a*. შეიძლება სწორი იყოს კ. ვანის მოსახრება ამ სიტყვაზე: «*Platte-a* *truz*. от флате = *одрыва: дрсевня, лежащая у оврага*. ასევეა კ. ზისერ-მანთანაც<sup>2</sup>.

დღეს ფლატე ადიგენის რაიონის მლაშე, არძენ და ზარზმასთან ერ-თად მლაშის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>3</sup>.

14. სოფ. შოლავერი — *شولاور* (I 9, 114; II 10, 117). მართალია, ამ სოფლის სახელი ბევრ ადგილას წერია „შულავერა“ად, მაგრამ ეს მოდის არა ადგილობრივი წარმოშობის მოკალაქეთაგან. ადგილზე მე ჩამიწერია და ყველგან მესმოდა ხოლმე „შოლავერი“. არქივისეული სიებისა (გვ. 10r, 10v) და სხვა საბუთების *Шулавер-и* უთუოდ მარნეულის რაიონში არსებუ-ლი პუნქტის „შულავერის“ სახელთან ანალოგიით არის გამოწვეული. „ახალ-ციხის სანჯაყის სამმართველოს“ „საქმეებში“ გვხვდება რამდენიმეჯერ ამ პუნქტის სახელის სწორი ფორმა *Шолаверс*<sup>4</sup>, შოლავერის...<sup>5</sup> რუკაზე *Шола-вер-и*ც არის და *Шулавер-и*ც.

წიგნში „საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ ამ სოფლის სახელად დაბეჭდილია „შორაველი“, რაც ხალხური გააზრების შედეგია და ამ სიტყვის კეშმარიტ ფორმასთან კავშირი არა აქვს.

სოფ. შოლავერი ბოლჯურთან და ქვემო ენთელთან ერთად ბოლჯურ-რის სასოფლო საბჭოში შედის იმავე ადიგენის რაიონში.

15. სოფ. ბენარა — *بنار* (I 9, 115; II 10, 117). ბენარა'ს ადგი-ლობრივი სახელია „ბენარა“. მაგრამ „დავთარში“ ორთავე ადგილას (დედანი, გვ. 108 და 14) ეს სიტყვა დაწერილია ლამ-ით, რომელსაც მოს-დევს კ ასო, ე. ი. სიტყვის არაბულ დაწერილობაში ჩვენ გვაქვს „ბლნარა“. ასეთივე ვარიანტითაა ეს სახელი წარმოდგენილი არქივისეულ სიებში — *Ben-para* (გვ. 10r, 10v). ვფიქრობ, რომ „ლ“ თანხმოვანი ამ სიტყვაში შემთხვე-ვითი არ არის. შესაძლებელია ამ სოფლის სახელი თავდაპირველად „ბალნა-რი“ იყო (მღრ. ახალგოიური წარმოქმნის გეოგრაფიული სახელები: კომიტ-ნარი, მუხნარი (→მუხრანი)<sup>6</sup> და სხვ. რომ სოფ. ბენარაში მცენარეული

<sup>1</sup> სკია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114r.

<sup>2</sup> К. Ф. Гаян, Опыт объяснения канказских географических названий... СМОЛТК, 40, გვ. 117; К. Знссерман, 16.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>4</sup> სკია, ფ. 77, ს. 47, გვ. 3 v.

<sup>5</sup> იქვე, ს. 50, გვ. 2r; აგრეთვე იქვე, ს. 45, გვ. 10r.

<sup>6</sup> გვ. 14.

<sup>7</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1942, გვ. 141.

ძლიერ ხარობს იქიდანაც ჩანს, რომ იქ ახლაც არის სანიმუშო ხეხილის ბაღი (წინეთ ეს ეკუთვნოდა ათაბაგთა წარმომავლობის ერთ პირს). შესაძლებელია ვახუშტის სიის „ბალის სოფელი“ (გვ. 32r) — ეს „ბალნარი“ იყოს. არაქართულ ენობრივ კოლექტივში „ბალნარ“ სიტყვამ დაკავა თავისი მნიშვნელობა, მასში უკვე არ შეიქნობოდა „ბალ“ სიტყვა და -ნარ სუფიქსი. „ბენარა“ს ფონეტიკური გარდაქმნისათვის ხელშემწყობი ვითარებები შემდეგი უნდა ყოფილიყო. თურქულში არათურქული წარმოშობის სიტყვებში „ლ“ თანხმოვანი ჩვეულებრივად პალატალიზება<sup>1</sup>. პალატალიზებულ „ლ“ თანხმოვნის წინ უკანარიგის „ა“ ხმოვანი „ე“ში გადავიდა. შემდეგ „ლ“ დაემსგავსა „ნ“ თანხმოვანს. უნდა ყოფილიყო „ბენნარა“. ამის გამოძახილი უნდა იყოს ორი „ნ“ ზედიზედ — *Bennarpa*<sup>2</sup>. ბოლოკიდური „ა“ ხმოვანიც წინამავალ „ა“სთან ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული. ამრიგად, უნდა გვექონოდა: ბალნარ-ი→ბელნარ-ი→ბენნარ-ი→ბენარა.

დღეს სოფ. ბენარა ხევაშენ, უნწა და ნაქურდევ სოფლებთან ერთად ადიგენის რაიონის ხევაშნის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>. ექ. თაყაიშვილით *на 17-ой версте от Ахалциха по направлению к Абастуману находится почтовая станция Бенара*<sup>4</sup>.

16. სოფ. ა დ ი გ ვ ე ნ ი — *ادگون* (I 9, 116; II 10, 118). „ადიგენი“ გადათურქულებული ფორმაა. მეც თავის დროზე მასალების უქონლობის გამო დამახინჯებულად დაებეჭდე. ირკვევა, რომ ამ სოფლის ქართული სახელია ა დ ი გ ვ ე ნ ი. ეს დასტურდება ქართული ხალხური ლექსით:

წამოვიდნენ, მთა გარდმოვლეს, ახლდათ სხენიც ამაგათარი,

ა დ ი გ ვ ე ნ ს საუზმე ჰამეს და მეიდანსა — სამხარი<sup>5</sup>.

საარქივო მასალებშიც აქა-იქ შენახულია ეს ფორმა. მაგალითები საბუთებიდან: „...რომელიც გვებარა ოცდაერთი სოფელი, სახელდობ, ა დ ი გ ვ ე ნ ი... რომელიც იყო დადა-ბეგისა — ისკანდეროვისათვის ჩამიბარებია“<sup>6</sup>, ... *около Адигвены*<sup>7</sup>, „...а при деревнях адигеней<sup>8</sup> 1831 წ. ერთ საბუთში დადა-ბეგის მამულად ნაჩვენებია *Адигени*“, „ა დ ი გ ვ ე ნ ი ს მცხოვრებლებისათვის“<sup>9</sup>. ადიგენი აქვს აგრეთვე ალ. ფრონელს: ზარზმის სიახლოვეს, სოფ. ა დ ი გ ვ ე ნ ი ს თავზე, მეორე მონასტერი ქულეა...<sup>10</sup> საინტერესოა, რომ მ. ბროსესაც *Adigueni* აქვს<sup>11</sup>. ლ. ისარლოვი არ არის მართალი, როცა „ადიგენის

<sup>1</sup> Н. К. Дмитриев. Строй турецкого языка, Ленинград, 1939, 12.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 45, გვ. 10v; აგრეთვე: К. Зиссерман, 15.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>4</sup> Е. С. Такайшвили, Зарэмский монастырь, его реставрация и фрески... СМОНПК, 35, Тифлис, 1905, გვ. 1.

<sup>5</sup> ხალხური ლექსი „ჩახალ-ოლი“, „ძველი საქართველო“, III, თბ., 1913-1914, გვ. 245.

<sup>6</sup> სცია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114r და v.

<sup>7</sup> იქვე, ფ. 77, ს. 45, გვ. 8v.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 17v.

<sup>9</sup> იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 17r, 82v.

<sup>10</sup> იქვე, ფ. 78, ს. 50, გვ. 2r.

<sup>11</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 142. <sup>12</sup> Rapports... II, გვ. 132, 178.

მცხოვრებნი-ს ხმარობს (იპყვე როგორც მისი „კობლიანის ხეობა“ არაა-სწორი). ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ „დავთის“ შემდგენელი ცდილობს ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა შეძლებისდაგვარად ზუსტად, ყოველ შემთხვევაში ქართულთან მიახლოებული ფორმით გადმოსცეს. „დავთის“ შემდგენის  $\text{دَاوَت}$ , მე ვფიქრობ, სწორედ ა დ ი გ ვ ე ნ 'ს გამოხატავს: პირველი ელიფ ასოთი „ა“ ხმოვანია გადმოცემული, ხოლო „დავთის“ შემდგენელი  $\text{دَاوَت}$  ასოსთან ფათჰა'ს ვარაუდობდა:  $\text{دَاوَت}$  → „ადიგვენ“. შენდევში თურქული ენის პოზიციების გაცლიერებასთან დაკავშირებით გეოგრაფიული ნომენკლატურის თურქიზაციაც დაიწყო. კერძოდ, „ადიგვენ“ სიტყვაში პირველმა „ა“ ხმოვანმა, ალბათ, მოზღვენო წინარეგის ხმოვნის გავლენით „ჰ“ მოგვცა, ხოლო „ვე“ კომპლექსმა კი გამარტივებული ო ხმოვანი — ადიგვენ. ასევე ადგილობრივი მკვიდრები (ქართველები) თურქულ ო ხმოვანს „ვე“ კომპლექსით შეცვლიან ხოლმე. მე ჩაწერილი მაქვს რამდენიმე მაგალითი თურქული სიტყვების ადგილობრივი წარმოთქმისა. მაგალითად, თ.  $\text{دَوَّز}$  → გ ვ ე ზ ('თვალი'), თ.  $\text{دَوَّز}$  → გ ვ ე ლ ('ტბა'); სამცხე-საათაბაგოს თურქულ მეტყველებაში, მაგალითად, ქართულმა „ნადეღ“ სიტყვამ, ნაღრღ<sup>1</sup> მოგვცა<sup>2</sup> და სხვა ამრიგად, სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება ქართ. ა დ ი გ ვ ე ნ სიტყვა რომ თურქულში ადიგვენ<sup>3</sup>ად გადატეხილიყო.

ადიგვენ ფორმის განოძახილია საარქივო მასალებში დაცული  $\text{Адигонн}^4$ ,  $\text{Адигон}^5$ , რადგანაც რუსულ პრაქტიკულ ანბანს ო და ო ხმოვნების გადმოსაცემად სხვა საშუალება არ გააჩნია.  $\text{Адигун}^6$ ,  $\text{Адиган}^6$  და მისთანანი, რა თქმა უნდა, აშკარა დამახინჯებებია.

დღეს სოფ. ადიგვენი ახალციხის რაიონში ადიგვენის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც აერთიანებს გორგულ, ოსიეთ და წრე სოფლებს<sup>7</sup>. ცალკეა სოფ. ადიგვენი; ის ჩრდილო-დასავლეთითაა სარაიონო ცენტრიდან, საკმაოდ მალაღ ფერდობზე.  $\text{II останавливаемся в дер. Адиген, расположенной на своем берегу Коблианки на высоком безлесном холму}^8$ . ადიგვენის იმ ადგილს, სადაც ეხლა სარაიონო ცენტრია, ადრე რაბათი ერქვა; ეს არის ქვბლიანისწყლის მარცხენა ნაპირას სოფ. გორგულის პირდაპირ მდებარე პუნქტი.

ადიგვენ სოფელთან მინაწერში იხსენიება  $\text{اديوغون}$  და  $\text{اديوغون}$  ჩაირები, რომელთა სახელების ამოკითხვა არ მოხერხდა და რომლებზედაც ნათქვამია, რომ ნახევარი სათიბებისა სოფ. ადიგვენისაა და ნახევარი სოფ. წრისა.

<sup>1</sup> კათოლიკენი საქართველოში, „მოამბე“, 1897, № 12.

<sup>2</sup> ჩემ მიერ ჩაწერილი დიალექტოლოგიური მასალებიდან.

<sup>3</sup> სტია, ფ. 77, ს. 39, გვ. 20r.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 77, ს. 2, გვ. 6; აგრეთვე, ფ. 77, ს. 3, გვ. 8r.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 77, ს. 45, გვ. 10r.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 77, ს. 9, გვ. 4; ფ. 77, ს. 34, გვ. 8r.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>8</sup> Граф. Уварова, Кавказ — Азия, Азиярия... 251.

17. სოფ. წ რ ე — ع ر ج (I 9, 116; II 10, 119). წრე „დაეთრის“ დროს საკმაოდ მოზრდილი, 29 კომლიანი სოფელია. იგი ადიგენის სარაიონო ცენტრის, ყოფ. რაბათის ზემოთ, მაღალ ადგილას მდებარეობს. შედის ადიგენის სასოფლო საბჭოში ადიგენ, გორგულ და ოსიეთ სოფლებთან ერთად<sup>1</sup>. „წრე“ს თურქული ტრანსკრიფციაა საესეებით კანონზომიერია: „წ“ მკვეთრი „კ“ მქლერიტაა გადმოცემული, ორი თავკიდური „წრ“ თანხმოვნები გაყრილია ურთიერთისაგან ც ხმოვნით (ع ر ج) და „ე“ გამოხატულია ნიშნით.

საარქივო საბუთებშიც ქართულად წ რ ე, ხოლო რუსულად Ире გვაქვს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 114; ფ. 77, ს. 9, გვ. 4; ფ. 77, ს. 2, გვ. 8.

## I. ახალციხის ლივნი

### 7. ოცხის ნაშთი

1. სოფ. ოცხის ციხის რაბათი انتر წმინდა უბნითა და კურდღე-  
ლათუბან(?) და ყანუბარ(?) სათესველებით— انتر مع مسخه او مسخه مع مسخه  
قرى رباط مع مسخه او مسخه مع مسخه—(I 9, 118; II 11, 120). ეს არის და-  
სახლებული პუნქტი, რომელსაც „დაეთრის“ მიხედვით ოცხე ჰქვია და აქვს  
თავისი გამაგრებული ადგილი—ციხე (مسخه) და თავისი რაზნთი (سار). ოცხის ცი-  
ხის მდებარეობა ცნობილია, ხოლო მისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახ-  
ლეობა—42 კომლი მოთავსებული იყო ამავე ციხესთან ახლო, შეიძლება ახ-  
ლანდელი კურორტ აბასთუნის ტერიტორიაზე. „ოცხე“ სიტყვა თურქულად  
კარგადაა გადმოცემული— او مسخه (ც აფრიკატი ს-ით გადმოიცემა ხოლმე).

ჩვენს მატრიანებში იხსენიება „ქალაქი ოძრატე ციხითურთ (მქცა ქა,  
Опнс. II, 708), ანუ ოძრატე (მტნე ქი\*495, გვ. 267; ლეონტი მროველი,  
ცა შტთა 105, გვ. 7); თამარ მეფის დროსაც იგი კვლავინდებურად ქალა-  
ქად ითვლებოდა (ისტრნი და აზშნი 651-652, გვ. 437); ესლა მას აბასთუნის  
უწოდებენ<sup>1</sup>. ვახუშტის მიხედვით „მცირედ ამის [ოძრახის] ქვეით, სამკრით,  
არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მღულა-  
რის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი აბანო, და  
ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა, მუწუქსა  
და ბუგრსა, ძნიალ საკურნებელსა მკურნალთაგან“<sup>2</sup>. ამ სამკურნალო წყლებით  
უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობაც, რომელსაც  
ეს ძველი სახელები „ოძრატე || ოძრატე“, „ოცხე“ უკვე დავიწყებული ჰქონდა,  
ამ ადგილს ეძახდა ერთადერთ სახელს — „ჩარმუქ (Charmitik), რაც ნ. მარის  
მიხედვით სომხური ლეპაილიდან მოდის<sup>3</sup>, ნიშნავს 'მინერალურ, სამკურნა-  
ლო წყალს', შემდეგ 'აბანოს'. ცხადია, რომ ეს სახელი „ოცხე“ს შეერქვა  
ბოლო ხანებში, ადგილობრივი მოსახლეობის განაჰმადიანებისა და გადათურ-  
ქების შემდეგ. ირკვევა აგრეთვე, რომ ეს ზოგადი სახელი „ჯერმუქ“ → ჩარ-  
მუქ“ ბევრ ადგილას საკუთარ სახელად ქცეულა და დაკავშირებია სწო-  
რედ ასეთ სამკურნალო წყლის მქონე ადგილებს. მაგალითად, თურქეთში

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 53.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 125.

<sup>3</sup> Н. Марр, Жизнь Григория Хандзтийского... с дневником поездки в Шавшию и



დღიარბეჭირის ველზედეთი ღერმკ სამაზრო ქალაქია. ან არადა ნ. მარის მოწმობით, შავშეთში В том же саду южнее вода бьет ключем; повидимому, простой родник. Но местные жители грузины-мусульмане называют «чермук» (из арм. *ჭერმუკი*) и утверждают, что зимой вода теплая; кипит<sup>1</sup>; შდრ. აგრეთვე ცნობილი კურორტი ჯერმუკი სომხეთის სს რესპუბლიკაში და სხვ.

ამრიგად, აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „ქალაქ ოძრატს ციხითურთ, ანუ ოძრატს“ ს „ეხლა აბასთუმანს უწოდებენ“, ხოლო ვახუშტით იმ ადგილს, სადაც „არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰქურნებს...“, ჰქვია ო ც ხ ე. მაშასადამე, ოძრატე || ოძრატე, ოცხე, ჩარმუქი, აბასთუმანი ერთი და იმავე გეოგრაფიული პუნქტის სხვადასხვა სახელია, რომლითაც ის ცნობილი იყო სხვადასხვა დროს. არ უნდა იყოს სწორი ვახუშტის ცნობა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ჯერ გვაქვს „ოძრახე... ქალაქი და ციხე“, ხოლო „მცირედ ამის ქვეით, სამკრით მდებარეობს ოცხე“<sup>2</sup>. ო ძ რ ა ხ ე, შემდეგში ო ძ რ ხ ე, რა თქმა უნდა, იგივე ო ც ხ ე-ა. ცნობილია, რომ ქართულში „ძ“ თანხმოვანი დახურულ მარცვალში „ც“ს გვაძლევს: ხანძთაჲ → ხანცთა, ხანძთელთა → ხანცთელთა და მისთანანი<sup>3</sup>, ძალმიძს → ძალმიცს, ძალუძს → ძალუც<sup>4</sup> და სხვ. ასევე „ოძრახე“ სიტყვაშიც „ძ“ თანხმოვანი შეიძლება ოცხეში გადასულყო და მიგვეღოს „ოძრახე“დან „ოცხე“ „რ“ თანხმოვნის ამოვარდნით. საერთოდ სამეცნიერო ლიტერატურაში ოძრახე || ოძრხე და ოცხე ერთი და იგივე პუნქტადაა მიჩნეული. პროფ. ექ. თაყაიშვილი, მავალითად, წერს: „Одзрахе—прежний город и крепость в Абастуманском ущельи. В старину все ущелье носило название Оцхе или Оцхис-хевн. Старинная крепость Оцхе—больших размеров, из необтесанных камней, довольно хорошо сохранилась“. აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულ „საქ. ისტორიულ რუკაზე“ ოცხის-წყალზე აღნიშნულია მხოლოდ ო ძ რ ხ ე. ამრიგად, ო ძ რ ხ ე და ო ც ხ ე სხვადასხვა პუნქტად ვახუშტის გარდა სხვაგან არსად დასახელებული არ არის და ჩვენ საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ო ძ რ ა ხ ე || ო ძ რ ხ ე უფრო ძველი სახელია, რომელმაც შემდეგ განიცადა კანონზომიერი ფონეტიკური ტრანსფორმაცია და „ოცხე“ მოგვცა. „დავთრის“ მიხედვით ოცხის ციხის რაბათის მოსახლეობა საქმაოდ დიდია—42 კომლი.

ჩერმუქე || ჩარმუქე სახელი ოცხეს ბოლო ხანებში (დაახლოებით XVII საუკუნიდან) შეერქვა და ამ სახელით იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცნობილი იყო მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაში.

მაშასადამე, ოძრახე-ოძრხედ, ოცხედ და „ჩერმუქად (ჩარმუქე) წოდებულ გეოგრაფიულ პუნქტს“ ახლა აბასთუმანს უწოდებენ (ივ. ჯავახიშვილი).

<sup>1</sup> Н. Марр, Жизнь Григория Хандатийского... с дневником поездки в Шавшину и Кларджю, стр. 33.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 125.

<sup>3</sup> Н. Марр, Жизнь Григория Хандатийского... გვ. XLVI-XLVII. <sup>4</sup> იქვე, გვ. LV.

<sup>4</sup> Источники грузинских летописей, Три хроники СМОНІК, вып. 28, გვ. 2 (შენ. 4), აგრეთვე: П. Иселіани, Города, существовавшие и существующие в Грузии, тбилиси, 1850, გვ. 58.

ლიახ; „აბასთუმან“ს ეძახიან დღეს ცნობილ კურორტს, რომელიც სწორედ „ოდრახე || ოძრახე || ოცხეს“ს ადგილას მდებარეობს. რა თქმა უნდა, ამ ადგილისათვის ეს სახელწოდება სულ ახალი ამბავია. ყოველ შემთხვევაში ვახუშტის დროს ეს სახელი ამ პუნქტს არ ერქვა. ეს სახელი ამ ადგილს უმართებულად შეარქვეს, ჩანს, იმ პირებმა, რომლებმაც აღმოაჩინეს ეს სამკურნალო წყლები. ცხადია, მათ ნაკლებად უნდა სცოდნოდათ ამ კუთხის ისტორია და ამ კუთხის ისტორიული სახელები (ამ კუთხის მკვიდრი მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გადათურქდა და ზოგ შემთხვევაში მიივიწყა ნაციონალური გეოგრაფიული ნომენკლატურა). კურორტის აღმომჩენებმა ამ კურორტს უწოდეს სახელი მახლობელი სოფლისა, რომელსაც აბასთუმანი ჰქვია. საქმე იმაშია, რომ ძველი ოცხის, აწინდელი კურორტ აბასთუმნის აღმოსავლეთით დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე, კურორტისაკენ მიმავალი გზატკეცილის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს სოფელი, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა აბასთუმან<sup>1</sup>ს ეძახდა. კურორტის აღმომჩენმა პირებმა ამ სამკურნალო წყლების საბადოების ადგილის სახელად მახლობელი სოფლის აბასთუმნის სახელი გამოიყენეს. ოღონდ ამ სახელის ადგილობრივი და ერთადერთი სწორი წარმოთქმა აბასთუმანი მათ აღიქვეს აბასთუმანად. რთული აბასთუმანი სიტყვის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა მათთვის, ალბათ, გაუგებარი იყო, რომ მათ ეს სიტყვა „აბასთუმანად“ გააზარბიანეს<sup>2</sup>. ეს „აბასთუმან“ სახელი რომ სწორედ გააზარბიანების შედეგად არის აქ მიღებული, ჩანს შემდეგიდან: 1. ადგილობრივ მკვიდრ (ენობრივად გადათურქებულ) მოსახლეობაში, რომელმაც ამ შემთხვევაში უფრო დაიცვა ძველი ქართული ფორმა, ვიმეორებ, ეს სახელი (სოფლისა და არა კურორტისა) მხოლოდ და მხოლოდ „აბასთუმანი“ად წარმოითქმოდა და 2. ამ ზონაში საერთოდ ამგვარი გეოგრაფიული სახელის მეორე „უმანი“ ნაწილში „ბ“ თანხმოვანი „მ“ს არ გვაძლევს (შდრ. უდის ნაპიჯეში სოფ. „წარბასთუმანი“ (I 7, 74; II 9, 78; № 38), იქვე — ყარათუმანი (№ 19 I 7, 64; II 8, 68), ქვაბლიანის ნაპიჯეში ღორთუმანი (I 8, 83; II 9, 86; № 10), იქვე, ზედუმანი (I 8, 82; II 9, 85; № 7) აწყურის ნაპიჯეში — თევდორათუმანი (I 9, 109; II 10, 111) და მრავალი მისთანანი. აკად. გ. ახვლედიანმა მოგვცა სავსებით სწორი ფორმულირება უბან-უმანი სიტყვაზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელთა აღწერის შესახებ: „სოფლის სახელწოდებას ხშირად საფუძვლად უდევს იქ მცხოვრები გვარეულობის სახელწოდება, მეორე მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი გაფორმებული, მაგ., გულათუმანში [←გულათუმანი]

<sup>1</sup> კურორტისათვის „აბასთუმანი“ სახელის შერქმევის შემდეგაა, ალბათ, გაჩენილი ამ სახელის ხალხური ეტიმოლოგია: „აბასთუმანი“ იმას ნიშნავს, რომ იქ (კურორტზე) აბაზად ღირებული თუმანა იყიდებოდა, ე. ი. ერთი აბაზის საქონელი იქ თუმანიაო“ (ჩემი „დიდუქტოლოგიური მასალების“ კრებულიდან). ამრიგად, ხალხური ეტიმოლოგიით „აბასთუმანი“ უკავშირდება ქართულში გავრცელებულ სპარსულ عباى (=ეაბაზნი → აბაზი) და تومان (თუმანი) სიტყვებს.

„ცხოვრობენ გუდაძეები, ლოლათუმანი [← ლოლათუბანი] ლონდაძეები და ა. შ.“<sup>1</sup>

რომ ეს სოფელი აბასთუბანი იყო, გარდა ზემომოყვანილი მონაცემებისა ისიც ადასტურებს, რომ „დაეთარში“ ამ სოფლის სახელი გადმოცემულია *اساسوان* დაწერილობით, რაც დიაკრიტული ნიშნების დასმის შემდეგ იქნება: *استوان*<sup>2</sup>; ეს კი ქართულ ასოებზე გადმოყვანით მოგვცემს ზუსტად „აბასთუბანი“ს. ასევეა ტრანსკრიბირებული ეს სიტყვა 1843 წლის ერთ-ერთ საარქივო საბუთში, სადაც წერია: *قریه استوان و زاخان اصفهلو علی* „სოფ. აბასთუბანი და წახნის აკსაკალები“ (← თ. ak 'თეთრი', sakal; 'წვერი'; aksakalli 'თეთრწვერიანი', 'უხუცესი'). ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებშიც კი კურორტთან ახლო მდებარე სოფელს ადგილობრივ მკვიდრ, მაგრამ არაქართულად მოლაპარაკე მოსახლეობაში. აბასთუბანი ერქვა, ძალაში რჩება ახალციხელი მოქალაქის ი. ნებიერიძის ცნობის შემდეგაც. მის ცნობაში სოფლის სახელად ჩვენ აბასტუმანი. გვაქვს (მოვედით. ოცხეს [იგულისხმება აბანოების ადგილი, კურორტი. ს. ჯ.], და შუალამისას, შეცვიებული აბასტუმანს [ე. ი., კურორტთან ახლო მდებარე სოფელს. ს. ჯ.] დაედევით და მშვიდობით მოვედით ახალციხეს“<sup>3</sup>. 1867 წლისათვის (ი. ნებიერიძის წიგნის დაწერის თარიღი)<sup>4</sup> გარკვეულ ენობრივ უბნებში (მაგალითად, ახალციხის ქართველთა მეტყველებაში), რომელშიც თავისი შინაგანი განვითარების კანონები მოქმედებდნენ, „აბასთუბან“ სიტყვის ბოლოკიდურმა „ნ“ ნაზალმა თანხმოვანმა შეიძლება წინამავალი „ბ“ თანხმოვნის განაზალება გამოიწვიოს ნაწილობრივი ასიმილაციის წესით (ხოლო „ს“ თანხმოვნის შემდეგ „თ“ თანხმოვანი გამკვეთრდა—„აბასტუმანი“). ეს ტენდენცია (ბოლოკიდური „ნ“ ნაზალის ზემოქმედება წინამავალ „ბ“ზე) ქართულში ჯერ კიდევ „დაეთარის“ შედგენის დროს შეინიშნება; მაგალითად, ცნობილი გეოგრაფიული პუნქტის სახელი „ტიმოთისუბანი“ „დაეთარში“ უკვე „კიმოტისმანი“ა (I 18, 339; II 21, 331; დედანი, გვ. 23, 316).

სამეცნიეროსა და სხვა ლიტერატურაში კურორტის სახელი, მიუხედავად იმ ყალბი გარკვეულობისა, რომ მას შეცდომით „აბასთუმანი“ დაერქვა, მაინც ხშირად დამახინჯებული ფორმებითაა ხოლმე წარმოდგენილი: *Абаз туман*<sup>5</sup>, *Абасс-Туман*<sup>6</sup>, *Абѣас-Туман*<sup>7</sup> და სხვ. ყველაზე უფრო მეტად ანგარიშგასაწევაა აკად. მ. ბროსეს მოსაზრება: *Abas-Touman, plus correctement Khabazth-Oubau, ou „le bourg des boulangers“ est un lieu très pit-*

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, დიდიქტთა შერევის საკითხისათვის, საქ. სსრ მეც. აკად. მოაზმე, ტ. VII, № 9-10, თბ., 1946, გვ. 636.

<sup>2</sup> იხ. ხელნაწერი-დედანი, გვ. 15 და 113.

<sup>3</sup> სცია, ფონდი 72, საქმე 32, გვ. 45r.

<sup>4</sup> ი. ნებიერიძის მოგონებანი... ბ. ახვლედიანის კომენტარებით, ბათუმი, 1948, გვ. 25-

<sup>5</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>6</sup> სცია, ფ. 77, ს. 16, გვ. 76.

<sup>7</sup> Граф. Уварова, Кавказ—Абхазия, Аджария... 170.

<sup>8</sup> История военных действий... II, 152.

toresque<sup>1</sup>. მ. ბროსე ფიქრობს, რომ შესაძლებელია აბასთუმანი არა და ეს უფრო „ხაბაზთუმანი“ იყოს. „ხაბაზ“ (← არაბ. خباز) „მეპურე“ს ნიშნავს, „ხაბაზ“ სიტყვა ქართულში იხმარებოდა და, ამდენად, შეიძლება ამ „უბანს“ „ხაბაზთუმანი“ ან 'მეპურეთუმანი' რქმეოდა. მაგრამ თუ საეცებით გასაზიარებელია აკად. მ. ბროსეს მოსაზრება ამ სიტყვის მეორე ნაწილის შესახებ, სახელდობრ, რომ სიტყვის მეორე ნაწილი „უბან“ია და არა „უბან“, გასაზიარებელი არ არის მისი ინტერპრეტაცია სიტყვის პირველი ნაწილისა. „ხაბაზთუმანი“ რომ ყოფილიყო, რატომ უნდა დაკარგულიყო „ხ“ თანხმოვანი? ან ჩვენ ხომ არა გვაქვს ქართულში „ხ“ თანხმოვნის დასუსტება (შდრ. „ხარაზი“, „ხარატი“ და სხვ. მსგავსი წარმომავლობის სიტყვები). „აბასთუმანი“ უნდა ნიშნავდეს „აბას-თა უბანს“, „აბასანთ უბანს“ ისევე, როგორც მთელ რიგ ასეთი წარმონაქმნის სიტყვებში, სადაც გვარის სახელს (ამ შემთხვევაში „აბას“) დაერთვის მრავლობითობის „თ“ სუფიქსი (აბას+თ) და „უბან“ სიტყვა — ა ბ ა ს - თ - უ ბ ა ნ - ი. „აბას“ სიტყვა კი საკუთარი სახელიდან მომდინარე საგვარეულო სახელი უნდა იყოს (აბასადე, აბასაშვილი, გ. ახელედიანის მიხედვით აბაზაძე<sup>2</sup> და სხვ.).

ოცხის რაბათთან ابي فرحين და უბანი იხსენიება; ძნელია გაიკრევის რას ნიშნავს ან სახელდობრ სად იყო ეს უბანი, რომელსაც შეიძლებოდა ა ნ ა ნ უ რ წ მ ი ნ დ ა (?) რქმეოდა.

გარდა ამისა ოცხესთან დასახელებულია აგრეთვე ორი სათესველი, ე. ი. — საყანე: 1. ساقا فو წერტილების დასმის შემდეგ ساقا فو—გკითხულობ „ქურდლელათუმან“ად (კითხვის ნიშნით), უფრო შესაძლებელია. ეს იყოს კ უ რ დ ლ ე ლ ა [ან] თ უ ბ ა ნ ი. ამ სიტყვის ამგვარად ამოკითხვისას ცოტათი ექვის გამოწვევია ის ფაქტი, რომ „ლ“ თანხმოვანი ც ასოთია გადმოცემული<sup>3</sup>. მაგრამ ბევრათა შედგენილობის მიხედვით ამ რთული სიტყვის გადმოცენისას თურქ ამწერელთან ასეთი შეცდომა საეცებით მოსალოდნელია. ქვემოთ აბასთუმნის მეორე სათესველ ყ ა ნ ო ბ ა რ თან დაკავშირებით მოყვანილია ვინმე მესხის ცნობა „დროებიდან“ ამ ადგილას კ ა ლ ო უ ბ ა ნ პუნქტის არსებობის შესახებ. შეაძეამად ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან „დაეთრის“ „ქურდლელაანთუმანი“ და ვინმე მესხის „კალოუმანი“. 2. ساقا—ამის წაკითხვა, უთუოდ შეიძლება ساقا-ად, რაც „ყანობარ“ს უნდა გულისხმობდეს<sup>4</sup>. ამ პუნქტს ყ ა ნ ო ბ ი რ ი ც რქმევია: ...„აიყრებიან ერთიან ქრისტეანენი და კურცხანის ხეობაში დაიხიზნებიან ყ ა ნ ო ბ ი რ ს, დათვიეთს, კალოუმანს, ვიღრე ბოლოკლდემლის გაითანტე-

<sup>1</sup> Rapports sur un voyage... II, გვ. 138; შდრ. კ. ვანის «Хабаст-უბани от хабаз—хлебняк и убані=квартила». Гая К. Ф., Опыт объяснения кавказских географических названий..., СМОПК, 40, გვ. 1.

<sup>2</sup> დიალექტთა შერევის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, № 9-10, გვ. 636.

<sup>3</sup> იხ. დედანი, გვ. 110.

<sup>4</sup> „ყანობარ“, „ყანობირ“ი ზოგ შემთხვევაში საკუთარ სახელად ქვეული ზოგადი სახელია, რომელიც ჩვენ ქვემოთ კიდევ შევხვდებოდა შესაფერისი განმარტებით: ასპინძის ნაპირი, სოფ. № 25.

ბიან<sup>1</sup>. ყ ა ნ ო ბ ი რ სახელმა, ჩანს, შემდეგში დისიმილირებული ყ ა ნ ო ბ ი ლ ი მოგვცა. ეს უთუოდ ის ყანობილია, სადაც გაშენებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ცნობილი ასტროფიზიკური ობსერვატორია.

როგორც ზემოთ ვთქვით, სოფ. აბასთუბანი—استوبان (I 9, 122; II 11, 123) კურორტიდან აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის მანძილზეა. ეს სოფელი ჩვენ „დავთარში“ ფიქსირებულია მე-7 ნომრად; 18 კომლიანი მოზრდილი სოფელია. დღეს სოფ. აბასთუბანი—დამახინჯებულ „აბასთუმან“ სახელით ადიგენის რაიონის ვარხნის სასოფლო საბჭოში შედის ვარხან, საბუზარა, საღრძე და ხარჯამ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

ამრიგად, ისტორიულად სახელი სამცხის იმ ადგილისა, სადაც „მთის კალთას... ფრიად დიდი და ცხელი, მღუღარის მგზავის“ სამკურნალო წყალი „წყაროდ“ გამოდის, არის ჯერ ოძრხე, შემდეგ ოცხე<sup>3</sup>.

სამცხეში დატრიალებულ დიდ ეროვნულ ძნელბედობათა შედეგად ეს ისტორიული სახელები დაიწყებას მიეცა და ადგილობრივ მოსახლეობაში ამ ადგილას დაერქვა სომხურიდან *via turcica* მომდინარე სახელი „ჩერმუქ II ჩირმუგ“ი.

სამცხის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ (1829) ხსენებულ ადგილას სამკურნალო თვისების მქონე წყლების არსებობასთან დაკავშირებით დაარსებულ იქნა კურორტი. კურორტის აღმომჩენებმა ამ ადგილს დაარქვეს მახლობლად (ერთი კილომეტრის მანძილზე) მდებარე სოფელ „აბასთუბან“ის სახელი. „აბასთუბან“ სახელწოდება გააზრების შედეგად („აბას II აბას“ + „თუმან“ი) დამახინჯებულ იქნა „აბასთუმან“ად. ეროვნული სახელწოდებები „ოცხე“ და „აბასთუბანი“ (კურორტთან მეზობლად მდებარე სოფლის სახელი) შეცვლილ იქნა არაეროვნული წარმომავლობის „აბასთუმან“ სახელწოდებით<sup>4</sup>. 1870 წ. კურორტ აბასთუმანში აღრიცხულია მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა 10 ოჯახი<sup>5</sup>.

2. სოფ. გორჯვარი — گورجواری (I 9, 119; II 11, 120). არქივისეულ სიებში ეს სახელწოდება საკმაოდ შერყენილი სახითაა: Кориджвар (გვ. 10v) და Кориджвар (გვ. 10v). 12 კომლიანი სოფელია; „დავთარის“ დროს მდებარეობდა, ალბათ, საღმე ოცხესთან ახლო. რუკებსა თუ სხვა წყაროებში ამ სოფელზე ჩვენ ცნობას ვერ შევხვდით. სწორად უნდა იყოს ამოკითხული.

3. სოფ. ჩურჩუტო — چورچو (I 9, 119; II 11, 121). ამ სოფლის სწორი სახელი, რა თქმა უნდა, ჩურჩუტო-ა. ამ სოფლის ნამდვილი სახელი ჩურჩუტო ჩვენ „დავთარის“ ამოკითხვის დროსვე ვიცოდით, მაგრამ ჩურჩუტა დავებქდით, რომ დაგვეცვა „დავთარში“ ამ სახელის გადმო-

<sup>1</sup> ვინმე მესხი, ისტორიული მასალები, „დროება“, 1879 წ., № 187.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>3</sup> ოცხელების საგვარეულო სახელი უთუოდ ამ ადგილის სახელთან არის დაკავშირებული.

<sup>4</sup> დღეს ეს კურორტი ადიგენის რაიონში შედის „დაბა აბასთუმან“ის სახელწოდებით (საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 14).

<sup>5</sup> К. Зиссерман, 14.

ცემის სიზუსტე და ფონეტიკური თავისებურება. ამ შრომის IV წიგნის „ფონეტიკის“ ნაწილში ჩვენ დავინახავთ, რომ თურქულს არ სჩვევია, როგორც წესი, ღია „ო“ ხმოვანი იყოს სიტყვის პირველი მარცვლის შემდეგ პოზიცი-  
აში. ამიტომ *جورج* (=ჩურჩუტა) გვაქვს, ისევე როგორც, მაგალითად, *კუ მურ დო ვადმოცემულია وادی* — და ამ მოსაზრების გამო II წიგნ-  
ში ჩვენ დაბეჭდილი გვაქვს *კუ მურ დი*<sup>1</sup>. „დავთრისებური“ (ე. ი. თურქიზე-  
ბული) ფორმითაა ეს სახელი აგრეთვე არქივისებულ სიგეში — Чорчута (გვ.  
10v და 10v). ასევე Чурчута-დაა ეს სახელი დაბეჭდილი МИЭБГКЗК-ში<sup>2</sup>  
და სხვ. მსხვილმასშტაბიან რუკებზე და ზისერმანთანაც (გვ. 20) აღნიშნულია  
— Чурчутო. სოფ. ჩურჩუტო წახან, ქიქინეთ, წახნის წყარო და თუთაჯვარ  
სოფლებთან ერთად შედიოდა ადიგენის რაიონის წახნის სასოფლო საბჭოში<sup>3</sup>.

4. სოფ. გორა — *گورا* (I 9, 120; II 11, 121). „დავთრის“ დროს 11  
კომლიანი სოფელია. 1831 წ. საბუთში გორაში 3 „გარჯის გამწვევი“ კომლია  
აღნიშნული<sup>4</sup>. საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ ჩვენება, რომლის მიხედ-  
ვით ეს გორა სოფელი და ზადენი (იხ. ქვემოთ № 16), ერთ სოფლად იხსენ-  
იებდა: „ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა  
სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა“<sup>5</sup>. გორა  
სოფელს ჩვენ დრომდე არ მოუღწევია. რუკებზე აღნიშნულია P. Д. Гора,  
Ур[очище] Гора. მეც ჩაწერილი მაქვს „გორა ბოაქუქ ფეგლან ვარ, ვერანა  
დურ, ხარჯამენ რგი—‘გორა დიდი ნანგრევებია, ძველი გაოხრებული ადგი-  
ლია, ხარჯამის პირდაპირ[აა]“. საარქივო მასალებში გორა აგრეთვე ხარჯამ-  
თან იხსენიება: Харджам и Гора<sup>6</sup>. ერთ საბუთში „გორა“ზე წერია: Учас-  
ток под названием — пустошь «Гора», спорный ранее между казною и  
Атабековым Коблианским, ныне находится, по решению суда, в исклю-  
чительном владении последнего<sup>7</sup>. „მესხური დავითნის ქრონიკაში“ (გვ. 97)  
მოხსენებული გორი („გორი დაუწუღს“), რა თქმა უნდა, აწინდელი ქართლის  
გორი არ არის; რომ ფონეტიკური დაბრკოლება არა (გორი, გორა), კაცი  
იფიქრებდა, რომ „ქრონიკაში“ ეს „დავთრის“ გორა ივარაუდება (შდრ. ექ-  
თაყაიშვილი, Три Хронпки, СМОМПК, 28, გვ. 200, შენ. 3).

5. სოფ. წახანი — *خان* (I 9, 120; II 11, 122). დიდი სოფელი ყო-  
ფილა „დავთრის“ დროსაც და ასეთად დარჩა დღევანდლამდე. 1870 წ. წახან-  
ში 75 კომლია აღრიცხული; იგი წახნის-წყალზე მდებარეობს ახალციხიდან  
13 ვერსზე<sup>8</sup>. სოფ. წახანი დღეს ადიგენის რაიონში წახნის სასოფლო საბჭოს  
ცენტრია, რომელიც ქიქინეთ და წახნისწყარო სოფლებს აერთიანებს<sup>9</sup>. „ევ-

<sup>1</sup> იხ. აქვე, 13. აკვშირის ნაწილზე, სოფ. № 16.

<sup>2</sup> МИЭБГКЗК, III, გვ. 99.

<sup>3</sup> იხ. რუსული—საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, «Алигеуский район».

<sup>4</sup> სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 22r.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, გვ. 39.

<sup>6</sup> სცია, ფ. 77, ს. 47, გვ. 4r.

<sup>7</sup> იქვე, ფ. 223, ს. 5, გვ. 33v; იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 22 r.

<sup>8</sup> К. Зиссерман, 14. <sup>9</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.

როპული რუსეთის სპეც. რუკაზე შეცდომით Цаган-ი წერია, სხვაგან Цахан-ია. მ. ბროსეც ახსენებს წახანს: village de Tsakhan. წახნის ეკლესიის წარწერაში მ. ბროსეს მიერ გაბრიელ-ად ამოკითხული გა მომდევნო სახელის გოშის პირველი მარცვლი უნდა იყოს და გაგოშ-ად უნდა იკითხებოდეს (შდრ. გვარის სახელი გაგოშიძე; გაბრიელ ასე არ იკვეცება)<sup>1</sup>.

6. სოფ. ხერხენი—خرخم (I 9, 121; II 11, 123). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და ხერხემ'ად იკითხება. „დავთრის“ დროს ხერხეში დიდი—29 კომლიანი სოფელი ყოფილა. მსხვილმასშტაბიან რუკებზე იგი აღნიშნულია Р(аввляиный) кр(епости) Херхем-кала-დ, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო ადრე ხერხეში ციხე ყოფილა. ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. ამ სოფელზე ჩაწერილი მაქვს, რომ იგი „ქიქინეთიან წახან სინოროიდორ“ — ქიქინეთისა და წახნის მიჯნა'. მისი მდებარეობა საეგვიპტო გარკვეულია. არქივისეული ერთი (პირველი, გვ. 10v) სიის ჩვენება—Херхен სწორი არაა (უნდა იყოს „ხერხემ“ი). საბუთებში იხსენიება აგრეთვე ხერხემის-წყალი (ბერხემ-სუ)<sup>2</sup>.

7. სოფ. აბასთუბანი—استوبان (I 9, 122; II 11, 123). ამ სოფელზე ცნობები იხ. აქვე, № 1 „ოცხის ციხის რაბათი“ (გვ. 162). 1870 წ. სოფ. აბასთუბანში 46 კომლია აღრიცხული<sup>3</sup>.

8. სოფ. ნუმასკერტი (?) ციხის რაბათი—رباط قلعة نواسکرد (I 9, 122; II 11, 124). სამწუხაროდ ამ, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პუნქტის (ციხე-სიმაგრის) სახელის დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი არა აქვს და ამდენად მისი სახელწოდებისა და ადგილმდებარეობის გარკვევა სათანადო სიზუსტით არ ხერხდება. მე, ვითომ, პირველ ასოს ე-დ ვეარაუდობდი და ექვს ქვეშ ნუმასკერტად ვკითხულობდი. არქივისეული სიების მონაცემების შემდეგ ეს ექვი უფრო გაიზარდა; სიებში წერია—рбат кала тумаскун (გვ. 10v) და Рбат калаи туман Кунт (გვ. 11r). შესაძლებელია ეს უფრო თომასკერტი იყოს, ვიდრე ჩემ მიერ მოწოდებული „ნუმასკერტი“ ან „ნომასკერტი“. ეს შეიძლება ითქვას მით უფრო დაბეჯითებით, რომ აქვე № 24-ად აღნუსხული მამული ვინმე ჰიდირისა მდებარეობს ამავე راسكسو სოფელში. აქ ჭკვე ამ დაწერილობის პირველ ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს. ეს ნიშანი, ახლა რომ ვაკვირდები, შეიძლება ორ წერტილადაც მიიჩნიოს კაცმა; ამდენად შესაძლებელია მართლაც თომასკერტი იყოს. სიტყვის ბოლოკიდური ა ასო, რომელიც არქივისეულ პირველ სიაში სრულებით გათვალისწინებული არ არის, აქ შესაბამის ტ თანხმოვანს უნდა გადმოგვეცემდეს. II სიაში სიტყვის პირველი ნაწილია შეცდომით მოცემული—туман; „კერტ“ის წინ უთუოდ ს თანხმოვანია. ამ სახელწოდების უფრო დასაზუსტებლად ჯერჯერობით ჩვენ ქართულ-რუსულ მასალას ვერ შევხვდით.

<sup>1</sup> Rapports .., II, გვ. 138; სოფ. წახნისა და წახნისწყაროს შესახებ ბევრი ცნობაა: სტია ფ. 70, ს. 44.

<sup>2</sup> სტია, ფ. 70, ს. 44, გვ. 4r, 9r.

<sup>3</sup> K. Zusselman, 14.

არსის ციხის რაბათში ნაჩვენებია 10 კომლი, რომელსაც შეწერილი აქვს 15 000 ახჩად შეფასებული გადასახადი. განსახილველი პუნქტის ადგილმდებარეობის გარკვევა შესაძლებელია იმ გეოგრაფიული პუნქტების საშუალებით, რომელთა გარემოცვაშიც არის ის აღწერილი.

9. სოფ. მახილო — ماخو (I 9, 123; II 11, 124). ამჟამად ასეთი სოფელი არ არის. „დავთარის“ დროს 9 კომლიანი სოფელი ყოფილა. არქივის სულ სივრცეში Махило-ა (გვ. 10v და 11r). მართლაც, ფეიქრობ, ამ სოფლის სახელს კავშირი აქვს სახელთან იმ მთისა, რომელიც ამ რაიონისათვის დასახელებული აქვს ვახუშტის. ეს არის „მახვილო, რომელ არს უმალღესი და მარადის თოვლიანი, მყინვარი, და სიმაღლე-სიწვრილისათვის ეწოდა მახვილო“<sup>1</sup>. საარქივო მასალებში იხსენიება სოფ. Цкурта джвар и Махвило-ская гора და აბასთუმნის სანჯაყში Махилось мта<sup>2</sup>. მთა მახვილო „საქართველოს ისტ. რუკაზე“ დადოს მთის ზევითაა ნაჩვენები. ერთ-ერთ მის ქვედა კალთაზე მდებარე სოფელს, ალბათ, მახვილო ერქვა. მისი მდებარეობის მიხედვით მაინც გასარკვევად ჩამიწვრია, რომ „წახანენ ბიჩანგიდურ—შინდი ფეგლუხტურ“—“წახნის მოსათიბი [ადგილია]—ახლა ნანგრევებია“. ფეიქრობ, რომ წახან სოფელთან უნდა დაიძებნოს მახვილოს ნანგრევები. ადიგენში მე ჩაწერილი მაქვს „მახვილო“ სახელის გადათურქულებული ფორმა: „მახილო“; თითქოს საესეებით კანონზომიერია „ვი“ კომპლექსის რ-ში გადასვლა და ხმოვნის გაწინარიგისმიერება.

სოფ. მახვილოს აღწერილობას დართული აქვს ცნობა იალარსკის შესახებ, რომელიც თურმე როგორც სოფლის იალალია. ჩვენ არც ამ იალარსკისა და არც სოფლის სახელების ამოსაკითხავად მასალა არ გავგვაჩნია.

10. სოფ. კარჯვარი(?)—كارجرار ნაჩვენებია ქიქინეთ და წახნისწყარო სოფლებთან ახლო მდებარედ (I 9, 123; II 11, 125). სიტყვის მეორე ნაწილს შეეკარაუდობ „ჯვარ“ სიტყვად და ამიტომ კ ასოს დიაკრიტიული ნიშანი ქვემოთ (ერთი წერტილი) დავუსვი — جوار, ხოლო პირველი ნაწილი შეიძლება „კარ“ ანუ წვეკითხობთ; ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა კარجرარ = კარჯვარი. არქივის სულ II სიაში Кариджвари გვაქვს (გვ. 11r). თქმა არ უნდა: ყველაზე უფრო სწორია არქივის სულ ერთი საბუთის казенная пустошь Карис-джвари ფორმა<sup>3</sup>, რომელსაც ჩვენ ამ პარაგრაფის წერის დროს წავაწყდით. ამ საბუთში ნასოფლარი კარისჯვარი მოხსენიებულია სწორედ იმ წახნისწყარო და ქიქინეთ სოფლებთან, რომლებთანაც ეს სოფელი აღრიცხულია აქ, „დავთარში“. არქივის პირველ სიაში Гориджвар-ი გვაქვს, რაც სინამდვილესთან შორს უნდა იყოს; პირველი (კ) ასოს შემდგომი ელიფი (რ) არავითარ შემთხვევაში „ო“ ხმოვნის გამომხატველი არ იქნება. ამ სოფლის ნანგრევების ლოკალიზება ადგილზე ადვილია, რადგანაც 1. „დავთარში“ მის მდებარე-

<sup>1</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 128-129.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 16, გვ. 123v, იქვე, ს. 30, გვ. 13v.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 223, ს. 4, გვ. 39r.



რეობას განსაზღვრავენ ჩვენამდე მოღწეული ქიქინეთ და წახნისწყარო სოფლები და 2. ერთი წახნისწყაროელი მოქალაქისაგან ჩაწერილი მაქვს: „წახნწორანგნ ფეგლული დიეგრუხ“—„წახნისწყაროს ნასოფლარს ვეტყვით“, ე. ი. ამ ნასოფლარით წახნისწყარო სოფლის მცხოვრებლები სარგებლობენო. ამ ნასოფლარის სახელი—ქარისჯვარი, ჩანს, დავიწყებით.

რუკებზე აღნიშნული Кархуа-ი, ვეიქრობ, ეს პუნქტი არ უნდა იყოს „დაეთრის“ დროს ამ სოფელში 10 კომლი ირიცხებოდა.

11. სოფ. ხარჯამი—*خارجام* (I 9, 124; II 11, 125). ამ დაწერილობაზე ლიკრიტული ნიშნების უქონლობისდა მიუხედავად, მის ამოკითხვას ეკვი არ გამოუწვევია. ამ ზონაში არსებობს სოფ. ხარჯამი და ეს დაწერილობა ზუსტად მისი გამომხატველია. ხარჯამი „დაეთრის“ დროს 5 კომლიანი სოფელია. 1870 წ. მასში ირიცხება 24 კომლი (ზისერმანი, 14). მდებარეობს ვარხნიდან 1 კილომეტრის მანძილზე. დღეს ხარჯამი ვარხან, აბასაუმან, საბუზარა და სალრძე სოფლებთან ერთად ადიგენის რაიონის ვარხნის სასოფლო-საბჭოში შედის<sup>1</sup>.

12. სოფ. ქიქინეთი — *کيکينيت* (I 9, 124; II 11, 126). ქიქინეთის სახელწოდება და მდებარეობა ექვს არ იწვევს. ადიგენის რაიონის წახნის სასოფლო საბჭოში შედის წახან და წახნისწყარო სოფლებთან ერთად<sup>2</sup>. „დაეთრის“ დროს ექვსკომლიანი სოფელია, ხოლო 1870 წელს კი—26 კომლიანი; მდებარეობს ახალციხიდან 8 ვერსის მანძილზე<sup>3</sup>.

13. სოფ. წყუთაჯვარი—ქიქინეთთან — *زوغوتجواری* (I 9, 125; II 11, 126). ქართული ორი თანხმოვნით დაწყებულ სიტყვაში ორი თანხმოვანი „წყ“ დაშორებულია უ ხმოვნით, ხოლო წყ მკვეთრები ჩვეულებრივად სათანადო რიგის მქლერებითაა გადმოცემული: *زوغوتجواری* ← წყუთაჯვარი. არქივისეულ I სიაში *Цхурта джавар* გვაქვს (გვ. 10v), ხოლო II-ში—*Цхурта джавар* (გვ. 11r). ეს უკანასკნელი ვარიანტი სხვაგანაც არის, მაგალითად, საარქივო საბუთებში—*д. Цхурта джавар* და *Цхурта Джварии*<sup>4</sup>. ამ სახელწოდებაზე ადგილობრივი მცხოვრებლისაგან ჩაწერილი მაქვს: „თუთაჯუარ, — ქიქინეთის რგუნდაღურ — თუთაჯუარი ქიქინეთის პირდაპირ არის“ და, საერთოდ, ადგილობრივ ამ სოფელს „თუთაჯვარს“ ეძახდნენ. ერთვერსიან რუკაზე და ზოგ საარქივო საბუთშიც *Тутаджавари*<sup>5</sup>. ამრიგად, ამ სოფლის სახელწოდება რამდენიმე ვარიანტად არის მოღწეული: „დაეთრის“ ტრანსკრიფციით — *زوغوتجواری* ← წყუთაჯვარი, არქივისეულ ერთ სიაში—*Цхурта джавар* (=ქ. წყურთაჯვარი), ადგილობრივ მოსახლეობაში ჩვენი დროისათვის. გავრცელებული (ჩვენ მიერ ჩაწერილი) ფორმა — თუთაჯუარ ← თუთაჯვარი — აშკარაა, რომ რომელიღაც ქართული სახელწოდება ძლიერ დამახინჯებულია.

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 14.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>3</sup> К. Зиссерман, 14.

<sup>4</sup> სტია, ფ. 77, ს. 16, გვ. 123წ; აგრეთვე, ფონდი 223, ს. 4, გვ. 38 r.

<sup>5</sup> სტია, ფ. 223, ს. 4, გვ. 33r და სხვაგან.

თურქული ტრანსკრიფციიდან (زوغوجواری) ჩანს, რომ ამ სიტყვის შედგენილობაში „წუ“ თანხმოვნები ყოფილა („წუ“ غو. ასობითაა გადმოცემული). დროთა განმავლობაში გადათურქებული მოსახლეობის წარმოთქმაში „წუ“ კომპლექსი დაკარგულია და მომდევნო მარცელის თ თანხმოვნის გავლენით „წუთაჯვარს“ „თუთაჯვარი“ მოუცია. ვფიქრობ, ამ სახელწოდების პირველ ნაწილში „წუთა“ ჩვენ უნდა გვქონდეს „წყვილთა“ სიტყვის შერყენილი ფორმა, რომელშიც „ვი“ კომპლექსმა „უ“ ხმოვანი მოგვეცა, ხოლო „ლ“ თანხმოვანი „თ“ს წინ ჩამოვარდა. ამრიგად უნდა იყოს მიღებული „წყვილთა-ჯვარი“დან „წუთაჯვარი || წუთაჯუარი“. Цырта ვარიანტში „რ“ თანხმოვანი „ლ“ს ბგერინაცვალი უნდა იყოს.

სოფ. წყუთაჯვარი Тутахджарин-თუთაჯვარის სახელწოდებით ადიგენის რაიონის წახნის სასოფლო საბჭოში შედიოდა ქიქინეთ, წახან, ჩურჩუტო და წახნისწყარო სოფლებთან ერთად<sup>1</sup>.

„დაეთრის“ შედგენის დროს სოფელი წყუთაჯვარი გაუქაცრიელებულია, ხოლო 1870 წ. მასში აღრიცხულია 3 კომლი<sup>2</sup>.

14. სოფ. უნწა — اونجا (I 9, 125; II 11, 126). სოფ. ვარხნიდან აღმოსავლეთით 2 კილომეტრის მანძილზეა. არქივისეული პირველი სიის Ойша ვარიანტი (გვ. 10უ) სწორი არ არის. დღეს უნწა ადიგენის რაიონში ხევაშენ, ბენარა და ნაქურდევ სოფელთან ერთად ხევაშნის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>.

სოფ. უნწა მოხსენებულია ბასილ ზარზმელის თხზულებაში „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“. როდესაც კლარჯეთიდან მოსულნი მამანი ზარზმის მალლობზე შეარჩევნენ ეკლესიის ასამშენებელ ადგილს და მშენებლობას დაიწყებენ, სიძნელეს განიცდიან სამშენებლო ქვის შოვნაში. ამ დროს გიორგი „ღმრთის-მსახური“ წინადადებას იძლევა, რომ გამოიყენონ საშენი ქვა იმ ეკლესიისა, რომელიც „დაცემულ არს ძერისაგან“ და „უქმრად მდებარე არს“. დაიწყეს იქიდან საშენი ქვის ზიდვა; „ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმწაჲ, რომელი შორავს ათორმეტ მილიონ“<sup>4</sup>. მანძილი მაინც საკმაოდ შორია: უნწა ოცხის-წყლის გამოღმაა, ხოლო ზარზმა, სადაც საშენი მასალა მიჰქონდათ, ქვაბლანისწყლის გაღმა. გარდა ამისა, ზარზნიდან წამოსული კაცი უნდა წამოვიდეს აღმოსავლეთით ბენარამდე და შემდეგ უკან დასავლეთით უნწამდე.

მინაწერში მოხსენებულია მიწის ნაკვეთი სახელად كواكك — შეიძლება იყოს „ლაღფერაული“.

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა (რუსულად — Адмевский район).

<sup>2</sup> К. Зиссерман, 14.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>4</sup> აღრიცხული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, II, ბასილ ზარზმელი, პრაფ. კორნ. ეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1935, გვ. 167; ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენის ისტ., II, 53.

15. სოფ. წახნისწყარო — خنجر (I 9, 126; II 11, 127). ეს დაწერილობა დიაკრიტულნიშნებიანია და ამოკითხულია სწორად. „წახან“ სიტყვას ჩვენ ვიცნობთ როგორც სოფლის სახელს (აქვე, სოფ. № 5). ეს კი არის წახნის-წყარო. ნათესაობითი ბრუნვის „ს“ თანხმოვნის შემდეგ „წყარო“ სიტყვის „წ“ თანხმოვანი ამოვარდნილია, ხოლო „ყ“ ც-ითაა გადმოცემული: ბოლოკიდური „ო“ თანხმოვანი ჩვეულებრივად „ა“ ხმოვნითაა გადმოცემული<sup>1</sup>. „წახნისწყარო“ სახელწოდება დადასტურებულია ერთ ხალხურ ლექსში: ერთი გოგო ვნახე წახნისწყაროსა,  
პირი მზეს უგაედა, ტანი საროსა,  
ღმერთს შევეხვეწე ამეყვანოსა,  
სწორზე ქორწილი ექნა, მამეყვანოსა<sup>2</sup>.

სხვადასხვა საარქივო და სხვა მასალებში „წახნისწყარო“ ტრანსკრიბირებულია საერთოდ სწორად. დღეს წახნისწყარო ადიგენის რაიონში წახან და ქიქინეთ სოფლებთან ერთად წახნის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>. ადგილობრივ მოსახლეობაში ამ სახელწოდების გადათურქულებული ფორმები იხმარებოდა — „წახანწორა“, „წახნწარო“<sup>4</sup> და სხვ. კ. ზისერმანი (გვ. 14) წერს: წახნისწყარო მდებარეობს ახალციხიდან 12 ვერსზე, 1870 წ. სოფელში 6 კომლია.

16. სოფ. ზადენი — زادن (I 9, 126; II 11, 128). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს; გარდა ამისა, მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია P. Д. Заден. როგორც ზემოთ ვთქვით (იხ. ზემოთ სოფ. № 4), „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ზადენი და სოფ. გორა ერთ სოფლად იხსენიება: ...დაიევანა [ანდრია მოციქულმა] სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა<sup>5</sup>. ზადენზე ჩაწერილი მაქვს, რომ ის არის „ვარხანენ რგი, ფეგლუხ“ — „ვარხნის პირდაპირ, ნანგრევი“. სოფ. ზადენმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია; „დაეთრის“ დროს ის საკმაოდ დიდი სოფელია — 20 კომლიანი. ზადენი იხსენიება ხალხურ ლექსში:

ქორატს ქან-მგლებს გარდევყარე, დამიბნელდა ორივ თვალი,

ზადენს ყელი გარდაეუგდე, იცით, რომ სულ არ მაქვს ბრალი...<sup>6</sup>

1860 წ. სოფ. ზადენის (Задени) მიწები „ალალართავან იაკობ მათეს-ძე ქაჩხოვეის“ მფლობელობაშია<sup>7</sup>.

17. სოფ. კიხელი — خيلى (I 9, 127; II 11, 128). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ქართული

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 168.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 37; ვარიანტი აგრეთვე იხ. „ძველი საქართველო“, ტ. III, თბ., 1913-1914, გვ. 251.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 15.

<sup>4</sup> 1932 წლის ჩანაწერებიდან.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, გვ. 39.

<sup>6</sup> „ძველი საქართველო“, III, 1913-14, გვ. 271.

<sup>7</sup> სტია, ფ. 41, ს. 5, გვ. 25r.

შვედეთი ქ თანხმობანი შესაბამისი ჯ მკლერით არაა გადმოცემული (چخیل — იხ. დედანი, გვ. 117). ქიხელი ადიგენის რაიონის ვარხნის სასოფლო საბჭოში შედიოდა ვარხან, საბუზარა და ხარჯამ სოფლებთან ერთად<sup>1</sup>. საინტერესოა, რომ წარსულში ქიხელ, ჩურჩუტო და წყუთაჯვარ სოფლების ეკონომიკაში გარკვეულ როლს თამაშობდა ქილის მეურნეობა: Нам остается упомянуть о маленьких озерах, или вернее лужах, где произрастает особая трава — «чиан», служащая для набивания седел, плетения циновок и пр. Эти озера служили доходными статьями в сел. Чихель, Чурчута и Цхутаджвар, так как они сдавались самими крестьянами в аренду ахалцихским седельщикам. Теперь эти озера в сел. Чихель и Чурчута обращены в казенные оброчные статьи<sup>2</sup>. შტრ. არქივისეულ საბუთში რომ იხსენიება «Озеро — Чихель, Занда...»<sup>3</sup> имеется камышовое болото, входящее в состав казенной, оброчной статьи под названием «Озера Чихель и Занда...»<sup>4</sup>. საინტერესოა აგრეთვე 1844 წლის ერთი საბუთი, სადაც წერია, რომ ქიხელ და ზანდო ტბების ბალახს ადგილობრივ ენაზე (თურქულზე) куга ჰქვიაო, მოიჯარე ამ ადგილის სარქისოვიაო, წელიწადში 9 მანეთი ღირსო და სხვ.<sup>5</sup> 1831 წლის საბუთში ქიხელი აღწერილია 4 ხარჯის გამწვევი კომლით<sup>6</sup>.

18. სოფ. ს ა ბ უ ზ ა რ ა, ზადენსა და გორას შუა — ساودارا (I 10, 127; II 11, 129). ერთფერსიან რუკაზე — Сабузара-ა; ადგილობრივ ჩამწერია: „საბუზარა — გორაჟა, ბალი“, „საბზარა — გორას აკრავს“. დღევანდელი ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვითაც აღრიცხულია საბუზარა, რომელიც ადიგენის რაიონში ვარხან, აბასთუბან, სალრძე და ხარჯამ სოფლებთან ერთად ვარხნის სასოფლო საბჭოში შედის<sup>7</sup>. ამდენად ცხადია, რომ ს ა ბ ზ ა რ ა ო ს ა ბ უ ზ ა რ ა ამ გეოგრაფიული პუნქტის სწორი სახელწოდებაა, ხოლო „დავთარში“ უთუოდ კალმის შეცდომა უნდა იყოს ساودارا დაწერილობა. რა თქმა უნდა, არქივისეული I სიის Сабузара-აც (გვ. 10v) ამ „დავთარისეული“ მცდარი ვარიანტიდან მომდინარეობს, ხოლო უფრო სწორია მეორე სიის ვარიანტი Сабузара (გვ. 11r), თუმცა რასო აქაც შეცდომაა. „საბზარა“სა და „საბუზარას“ შორის უფრო სწორი „საბზარა“ უნდა იყოს. ადგილობრივ მკვიდრთაგან ყველასგან „საბზარა“ მაქვს ჩაწერილი; „საბუზარა“ კი ჯერ კიდევ „დავთარში“ გადათურქულებული, ორი თანხმობენის დასაშორებლად ბაგისმიერ „ბ“ს შემდეგ „უ“ ხმოვანჩასმული ფორმა უნდა იყოს. კ. ზისერმანს აქვს Сабузара, რომელიც ოცბისა და ფოცხოვის წყლების კუთხეში მდებარეობს 5 კომლიანი მოსახლეობით<sup>8</sup>. ახალციხის ლივან ჩრდილის ნაპიჯეში ს ა ბ ზ ა რ ა-დ აღრიცხული სოფელი („დავთ-

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა (რუსულად) — Адигенский район.

<sup>2</sup> МИЭБГКЗК, III, გვ. 99. <sup>3</sup> სტია, ფ. 223, ს. 4, გვ. 42 r.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 72, ს. 45, გვ. 1 r.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 22r.

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 14.

<sup>7</sup> К. Зиссерман, 20.

რის“ დროს უკვე ნასოფლარი; I 7, 50; II 8, 54), რა თქმა უნდა, სხვა პუნქტია.

„დაეთრის“ დროის საბზარა გაუკაცრიელებული სოფელია, რომელსაც 1 000 ახჩა აქვს შეწერილი.

19. სოფ. حواتونان (I 10, 127; II 11, 129). მისი მდებარეობა განსაზღვრულია حواتونان—კურდღელა[ან]თუბან სათესველით, რომელიც ოცხესთან იყო დასახლებული<sup>1</sup> (I 9, 118, II 11, 120). ცხადია, რომ დაწერილობა მეოთხე ასოდან დაწყებული -თ+უბან'ს გამოხატავს. სიტყვის პირველი ნაწილის ამოსაკითხავად მასალა არ აღმოჩნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არქივისეული № პირველი სიის ვარიანტს—Джыуауунаи (გვ. 10v). შეიძლება მართლაც „ჯუუათუბანი II ქუუათუბანი“ იყოს. № მეორე სიის ვარიანტი კი—Гурауунаи—(გვ. 11r) უსათუოდ გაუგებრობაა, რადგანაც حო დაწერილობის ასე წაკითხვა შეუძლებელია. სოფ. ჯუუათუბანი (?) პატარა, 4 კომლიანი სოფელია.

20. სოფ. ბოლოკდე—امكءا (I 10, 128; II 11, 129). II წიგნის „ბოდაკდე“ შეცდომაა. II წიგნის დაბეჭდვის შემდეგ გაიკრეა, რომ ეს არის ბოლოკდე, რომელიც იხსენიება „მატიანე ქართლისაჲ“ში: „მოვიდა ბაგრატ, და ამისსა მსახურებისა ნაცულად მეფემან უბოძა მამულობით ციხის ჯუარი და ოძრე ბოლოკდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი...“<sup>2</sup> არქივისეული სიების Буда-къае (გვ. 10v და 11r) სწორი არ არის. ნასოფლარი ბოდოკდის მდებარეობა ზუსტად ცნობილია. იგი აღნიშნულია „ევროპული რუსეთის სპეცრუჟაზე“ კურორტ აბასთუბანს ჩრდილო-დასავლეთით კურცხანასწყლის სათაის ზონაში, ოღონდ მისი სახელწოდება დამახინჯებულია—Р. Д. Будукмади ნაცვლად Бодокмае-სი. ადგილზე ამ სახელწოდებას „ბოდოკილდე“დ („ბოდოკილდე ფეგლარა“) წარმოთქვამდნენ. „დაეთარში“ ბოდოკლდე გაუკაცრიელებული სოფელია.

21. სოფ. დათვეთი — دءا (I 10, 128; II 11, 129). დაწერილობა დიაკრიტული ნიშნების გარეშეა შოცემული, მაგრამ აბასთუბან კურორტიდან ცოტა ზემოთ „ევროპ. რუსეთის სპეცრუჟაზე“ აღნიშნულია ნასოფლარი (Р. Д.) Тагет რამაც ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა ამ დაწერილობისათვის აქ წარმოდგენილი ნიშნები დაგვესვა და „თათვეთ“ად ამოგვეკითხა. შემდეგში ჩვენ ადგილზე უფრო დაეაზუსტეთ ეს სახელი. ადგილზე ჩაწერილი გვაქვს: „ბირ დათვეთ ვარდურ. ო და მეშაღურ—ყანობილჷ აახჩნ — 'კიდევ არის [პუნქტი] დათვეთი. ისიც მალნარი ტყეა, ყანობილთან ახლო“. ამ ტყე არის მეოხებით ბოდოკდის მდებარეობაც და სახელწოდებაც უფრო დაზუსტდა: იგი ყანობილთან (მთა ყანობილი, რომელზედაც ოცხეში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკური ობსერვატორიაა გაშენებული) ახლოა და ქართულად მას დათვეთი ჰქვია. „დროების“ დათვეთი

<sup>1</sup> იხ. ზეით, გვ. 162 და 166.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 190; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 53 და 148. ეს პუნქტი ბოლოკდე დ იხსენიება აგრეთვე „დროება“ში, 1879 წ., № 187.

სწორი არ უნდა იყოს<sup>1</sup>. არქივისეული სიების Барухет ვარიანტს (გვ. 10v, 11r) არავითარი გამართლება არ მოეპოვება.

დათვეთი „დავთრის“ ღროს უკვე გაუკაცრიელებულია, შეწერილი აქვს-2500 ახმა გადასახადი.

22. სოფ. მონასტერი — مناستر (I 10, 128; II 11, 129). არქივისეულ სიებშიც Монастер-ი გვაქვს (გვ. 11r, 11r). ამ სოფელში 6 კომლია. ამ „სოფ. მონასტრის“ მოსახლეობა დაბეგრული ყოფილა, მაგრამ თურქებს „მონასტერი“ საკუთარ სახელად მიაჩნდათ და თვით მონასტერს ან ამ ადგილს რა ერქვა, როგორც სხვაგან, აქაც დაწერილი არ არის. მე ადგილზე ჩაწერილი მაქვს ამ პუნქტზე: „აბასთუბანენ ყარუსი მონასტერ-ბიჩანქტურ“ — „აბასთუბნის (ივარაუდება აბასთუბან სოფელი) პირდაპირ — მონასტერი; სათბი ადგილია“. შესაძლებელია აგრეთვე ეს იყოს ის მონასტერი, რომელზედაც „ღრობა“ წერს: „იქ, სადაც ოცხეს და [ქ]ურცხანის მდინარეები შეერთიან ერთმანეთს, მხარ-მარჯვნივ, ტყით შემოსილ მალალ კლდიან გორაზე დვას ნახევრად მონგრეული ძველი ქართული მონასტერი...“<sup>2</sup>

23. ჩაირი მეიდანის — میدان (I 10, 128; II 11, 130). დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ საერთო მოხაზულობის მიხედვით ამ ჩაირის სახელი მეიდანის უნდა ყოფილიყო. მართლაც შემდეგში ადგილზე ჩაწერილი მაქვს: „აბასთუბანინან ჩარმუტუნ არასუნდა ბირ ჯერი ადი — მეიდანდურ“ — [სოფ.] აბასთუბანსა და კურორტს შუა [მდებარე] ერთი ადგილის სახელია — მეიდან“. არქივის მასალებში ერთგან გარკვეულ სოფლებთან მდებარე სათიბების სიაა მოცემული; ამ სიაში იხსენიება ყურ მეიდან ყანრუ<sup>3</sup>.

არქივისეულ სიათა ვარიანტს — Мандишет-ს ამ დაწერილობაში არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

24. მამული ოცხის ლივანის მირანღანის ხიდირისა სოფ. ნუმასკერტის(?) ციხის რაბათში حضر مير الی لوی اوسخه در قرية رباط قلعه نوماسکرد (I 10, 128; II 11, 130). აქ, მაშასადამე, ცალკე აღრიცხულია მამული (ჩიფთლიქ)<sup>4</sup>, რომელიც სოფ. نوماسკრ-ს ტერიტორიაზე მდებარეობს და რომელიც ოცხის სანჯაყის სანჯაყ-ბეგს ან მირალაის კუთვნილებაა. რაც შეეხება სოფ. نومასკრ-ის, მას ჩვენ უკვე ვიცნობთ<sup>5</sup>. ჩვენ ვივარაუდებთ, რომ შეიძლება ეს იყოს უფრო თომასკერტი (ვიღრე ნომასკერტი ან ნუმასკერტი).

25. სოფ. გორგათუბანი (?), მეორე სახელი გორგათის ციხე (?) قبة. كورکیت اوپان نام دیکر کورکیت سخته (I 10, 128; II 11, 130). II წიგნში აშკარად შეცდომაა „გორგათუბანი“ (?) და „გორგათის ციხე“, რადგანაც كورکیت დაწერილობის „გორგათ“ად წაკითხვა შეუძლებელია (ც ასო აქ „ა“ ხმოვანს არ გამოხატავს). ამასთანავე ერთად ახლა უფრო დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ اوپان (უბან) და سخته (ციხე) სიტყვების წინა ასო უსათუოდ ت ასოა. ამრიგად ამ დაწერილობის წაკითხვა შეიძლება ასე: გორგეთუბანი, გორგეთისციხე, გორგითუბანი, გურგეთციხე და სხვ. არქივისეული სიების Горилуцан სწორი არ არის (გვ. 11r, 11r).

<sup>1</sup> ვინმე მესხი, ისტორიული მასალები, „ღრობა“, 1879, № 187.

<sup>2</sup> ძველად ნაშთენი ნაქალაქევი და ნასოფლარები ოცხეს... „ღრობა“, 1879, № 191.

<sup>3</sup> სტია, გვ. 70, ს. 17, გვ. 77. <sup>4</sup> ჩიფთლიქზე საგაბებოდ 17 წიგნში. <sup>5</sup> იხ. ზემოთ, გვ. 169.

# I. ახალციხის ლივნი

## 8. ასპინძის ნაპიჯი

1. სოფ. ასპინძის ციხის რაბათი — قرية رباط قلعة اسپينزه (I 10, 129; II 11, 130). ასპინძა დიდი სოფელი ყოფილა ჯერ კიდევ „დავთრის“ შედგენის დროს—50 კომლიანი სოფელი ბაღებითა და ვენახებით და 25 000 ახჩა შემოსავლით. ასპინძა, ექ. თაყაიშვილის მიხედვით, დიდი სოფელია და მეორე საფოსტო სადგური ახალციხიდან ახალქალაქამდე. ისტორიაში ასპინძა ცნობილია იმითაც, რომ აქ 1770 წელს ერეკლე II-მ გაიმარჯვა თურქებისა და ლეკების ლაშქართან ბრძოლაში<sup>1</sup>. დღესაც ასპინძა დიდი სოფელია, ასპინძის რაიონისა და ასპინძის სასოფლო საბჭოს ცენტრი<sup>2</sup>. „სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში“ ასპინძა მოხსენებულია: „ვევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას...“<sup>3</sup> „მასასადამე, ასპინძა სამცხეში ყოფილა“<sup>4</sup>. ვახუშტის მიხედვით: ასპინძის-ქვევი ერთვის მტკვარს, „ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი“<sup>5</sup>. არქივის ცნობებში ასპინძაზე საინტერესოა ცნობა მისი საზღვრებისა და რელიეფის შესახებ: Аспиндза—деревня помещицья, при речке Тизне, на полугоре под назв. Караул-тапаси [=горка Караул], Чкоронун дараси [=ушелье Чкорн?], Агаранун дараси [=ушелье Агары], Шуагоранун дараси [=ушелье Шуагора] и через оную ведущую спуска под назв. Цобаретской горы от границы Ахалкалакского участка...<sup>6</sup>

სოფ. ასპინძის აღწერილობას ორი მინაწერი აქვს (I 130; II 131); მეორე მინაწერში იხსენიება ვენახი, რომელიც اسحو انتارلى-ს სახელით ყოფილა ცნობილი. ჩვენ ამ დაწერილობის ამოსაკითხავად მასალა ვერ ვიშოვეთ.

2. სოფ. ზემო ზურზელი, ღობიეთ ადგილითა და ხსენებულ ადგილის ვენახებით (I 10, 130; II 11, 132), დედანში (გვ. 121) روررر-ი გვაქვს. ასპინძის რაიონში შემავალი სოფლებიდან ეს დაწერილობა უეპველია

<sup>1</sup> МАК, XII, 14.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>3</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოსცა ექ. თაყაიშვილმა, თბილისი, 1949, გვ. 64.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 52.

<sup>5</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>6</sup> სცია, თ. 73, ს. 158, გვ. 24 v.

აღნიშნავს იმ პუნქტს, რომელიც მსხვილმასშტაბიან რუკებზე ასპინძის დასავლეთით Зүрхә-ად არის აღნუსხული. დიაკრიტული ნიშნებით ეს დაწერილობა მიიღებს შემდეგ სახეს: *زورخ* (ზურხელი-ი). ამ სოფლის სახელი ზენ დრომდე ზეპირად თუ წერილობით სხვადასხვა ვარიანტითაა მოღწეული. ამიტომ საკიროა რამდენიმედ შეეჩერდეთ ამ საკითხზე.

ცენტრარქივში დაცული დასახლებულ პუნქტთა სიების მიხედვით მართლაც Зүрхә-ს და Зүрхә-ი გვაქვს<sup>1</sup>. ადგილობრივ მკვიდრთაგანაც (ელ. ტაბატაძე — ანდრიაწმინდელი, ნ. ნათენაძე — გოგაშენელი) „ზურხელი“ ბაქვს ჩაწერილი. 1842 წლის ქართულ საარქივო მასალებში წერია: „წიგნი ჩასაწერათ მცხოვრებთაგან ახალციხის უეზლისა ხერთვისის უჩასტიისა სოფლისა ზურხელსა“ და სხვ.<sup>2</sup> თითქმის ასევეა ერთ რუსულ საბუთშიც: *Житель селения З р х е л и Ф. Зедгинидзе жалуется...*<sup>3</sup> ერთ საბუთზე ქართველის ხელმოწერაა: „მე ზურხელი ს მამასახლისი“ (1836 წ.), ანდა იქვე: „მე ზურხელი ს მამასახლისი“<sup>4</sup>. საარქივო მასალების თურქულ ნაწილში ამ სოფლის სახელის დაწერილობა, მართალია, განსხვავდება „დავთარში“ მოცემული დაწერილობისაგან — *زورخ* („დავთარი“) და *كزر* (არქივისეული თურქული საბუთი; დიაკრიტული ნიშნები აქვს)<sup>5</sup>, მაგრამ ორივე ეს დაწერილობა მაინც „ზურხელს“ გვაძლევს.

მეორე მხრივ მასალათა მთელი რიგი ამ სოფლის სახელად გვაძლევს სიტყვას „ზველი“: პროფ. ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსით:

რუსთავს აყვავდა გვირილა, ვი მოუვა ზველსაო,  
ყურს წყაროები გამოვლენ ნეტაი ახაშენსაო<sup>6</sup>.

ახალციხელი ი. ნებიერიძე წერს: „სოფლებში ზველს, ორფოლას, არალს და უდეს ყანები გვაქვს...“<sup>7</sup> ამ სოფლის სახელად „ზველი“ უწერია ილია მაისურაძესაც<sup>8</sup>. თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ასპინძის რაიონის მკვიდრმა ამხ. ნიკ. დიასამიძემაც „ზველი“ ჩაგვიწერა. ზოგი საარქივო მასალაც ამ ვარიანტს უჭერს მხარს: „ზველს მცხოვრები გ. ზედგინიძე, ს. მოსეშვილი“ და სხვ.<sup>9</sup>

არქივში დაცული ერთ-ერთი ქართული საბუთი ორთავე ფორმისაგან განსხვავებულს, ერთგვარ ნეიტრალურ ფორმას იძლევა: „... ქაქარაქის სანჯ-

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 20 (I სია), გვ. 11 r და ფ. 77, ს. 23 (II სია), გვ. 11 v.

<sup>2</sup> სცია, ფ. 73, ს. 16.

<sup>3</sup> სცია, ფ. 73, ს. 122, გვ. 1 r.

<sup>4</sup> სცია, ფ. 1000, ს. 6, გვ. 3 v, 14 r.

<sup>5</sup> სცია, ფ. 73, ს. 87, გვ. 15 r.

<sup>6</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 125, „სოფლების გალექსავა“.

<sup>7</sup> ი. ნებიერიძის მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-ბიჭების მოტაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ. ხ. ახვლედიანის კომენტარიებით, ბათუმი, 1948, გვ. 27.

<sup>8</sup> მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ დამპყრობთა ბარბაროსობაზე, თბილისი, 1949, გვ. 8, 10.

<sup>9</sup> სცია, ფ. 73, ს. 159, გვ. 3 r.



აღსა შინა კობარეთის გლეხნი აყრილიყენენ სახელმწიფო სოფლისაგან და დამდგარ იყენენ რ ზ ე ე ლ ს...“ და იქვე რუსულად წერია—„Равелии“<sup>1</sup>.

უკანასკნელ წლებში ამ სოფლის სახელად დაკანონდა სიტყვა „ძველი“, რომელიც, უსათუოდ, ხელოვნურია და ქვეშაირთ მის სახელთან შორსაა. ზურზელის, რზეელის, ზველის, ნამეტნაად კი ამ უკანასკნელის ქართულ „ძველ“ სიტყვასთან გააზრების შედეგად უკანასკნელ ხანებში სოფელს, როგორც ჩანს, შეერქვა „ძველი“<sup>2</sup>. ასეთი ტენდენცია ჯერ კიდევ ალ. ფრონელის დროსაც ყოფილა. ალ. ფრონელი წერდა: „ზოგიერთი სოფლის სახელი საშინლადაა დამახინჯებული და გადაგვარებული, მაგალითად, სოფელ „ძველს“ ეძახიან „ზურზელს...“<sup>3</sup> ეს მოსაზრება სამცხე-საათაბაგოს გეოგრაფიული ნომენკლატურის მიმართ საერთოდ, რა თქმა უნდა, სავსებით მართებულია; ოღონდ ამ შემთხვევისათვის იგი სწორი არ უნდა იყოს. გარდა ამისა, გაუგებარია, რომ ალ. ფრონელს „ზურზელი“ (Зурзель) რუსულად მიაჩნია, ხოლო მის ქართულ ფორმად თელის „ძველს“<sup>4</sup>.

პირველ ყოვლისა, ვფიქრობ, ანგარიშგასაწევი ან სოფლის სახელის „დაეთრისეული“ ვარიანტი „ზურზელ“. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ „დაეთრის“, როგორც ოფიციალური დოკუმენტის, დამწერი ძალიან ცდილობს ასაწერი მასალა შეძლებისდაგვარად ზუსტად გადმოსცეს. ამიტომ ნაკლებად საფიქრებელია, რომ ამ სოფლის სახელი „ძველი“, ან, თუ გნებავთ, „ზეელი“ იყო და „ზურ“ მარცვალი მას თურქმა წაუძმღვარა. ასეთი ფონეტიკური მოვლენა ცნობილი არ არის. მაგრამ ის კი შეიძლება, რომ გვექონდა „ზრზეელი“ და თურქმა მრავალთანხმოვნიანობის საწინააღმდეგოდ „ზრ“ კომპლექსში უ ხმოვანი ჩასვა და ამავე სიტყვის მეორე ნაწილიდან— „ზეელ“-იდან ვ თანხმოვანი ამოავდო. ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის ფაქტი, რომ ამ სოფელში ქართველები ჩვენ დრომდე არიან და არ არის მოსალოდნელი, რომ მათ ამდენად დამახინჯებინოთ თავიანთი სოფლის სახელი. მაგრამ, საერთოდ, რუსულ (კანცელარაიის ენა) და თურქულ ენათა გავლენით „ზრზეელ“-ს შეეძლო მოეცა „ზურზელი“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ადგილობრივი ქართული წარმოშობის საბუთების ჩვენება (იხ. ზემოთ). როგორც უკვე იყო ნათქვამი, „ზრზეელ“-ში ჩვენ უნდა გვექონდეს ამ სახელის მართალი ფორმა. რომ ეს სიტყვა საერთოდ ტენდენციას იჩენს „გაცვეთისაკენ“, იქიდანაც ჩანს, რომ დადასტურებულია მისი ერთზენიანი ფორმაც: „ზრზეელი—Равелии“<sup>5</sup>. ირაკევია, რომ შემდეგში თავკიდური „რ“-ც დაიკარგა, რის შედეგადაც „ზეელ“ ფორმა ჩვენ დროში ძალიან გავრცელებული იყო. ზრზეელი, ზურზელი, რზეელი და ზველი, როგორც

<sup>1</sup> სცია, ფ. 46, ს. 16, გვ. 109 r და v.

<sup>2</sup> იხ. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საინფორმაციო-სტატისტიკური განყოფილების მიერ გამოცემული: საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1949, გვ. 18.

<sup>3</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გორი, 1914, გვ. 137.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>5</sup> სცია, ფ. 46, ს. 16, გვ. 109 r და v.

ეს ზემოთ მოყვანილი საარქივო მასალებიდან ჩანს, ალბათ, პარალელურადაც კი იხმარებოდა (ისევე, თუ გნებავთ, როგორც ჩვენ ერთდროულად თბილისის სახელმად გვქონდა: თბილისი, თფილისი და ტფილისი).

ეს გახლავთ ზემო ზურზელი (ზრზეელი). მოსალოდნელი იყო, რომ იქვე დასახელებული იქნებოდა ქვემო ზურზელი; მაგრამ „დაეთარში“ აქ (ე. ი. ზემო ზურზელთან) ეს აღნიშნული არ არის. კაპარაქის რაიონში (I 149, II 159) კი დასახელებულია სოფ. პატარა ზურზელი (იხ. სათანადო ადგილას. კაპარაქის რაიონში, სოფ. № 5).

ამგვარად, 1. „ზურზელი“ უცხო ენების გაელენით ფონეტიკურად გადასხვაფერებული სახეობა უნდა იყოს „ზრზეელი“ სიტყვისა, რომელმაც მოგვცა აგრეთვე „ზრზელი“ და „ზველი“ ვარიანტები. ამათგან უფრო მეტად მოიკიდა ფეხი „ზველ“ ფორმამ. 2. ამ სოფლისათვის ახლახან დაკანონებული სახელი „ძველი“ გააზრიანების შედეგია და ისტორიულად სწორი არ არის.

ზურზელ || ზველ სოფელზე საინტერესოა არქივისეული შემდეგი ცნობები: Зурзел—сел. помещичье, при родниках: Квисавазнеби, Самхобела, Чалис-пихаро и ручье Мтисцхали<sup>1</sup>. На возвышенном скалистом ровном месте при овраге Садорварс (?)-хеви, крутом скалистом бугре Калис-сахтомеза და სხვ.<sup>2</sup>

დღეს ზველი ასპინძის რაიონში სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც აერთიანებს ზველ და კობარეთ სოფლებს. „დაეთარის“ მიხედვით ზურზელი || ზველი 60 კომლიანი, იმ დროისათვის ძალიან დიდი სოფელია.

სოფ. ზემო ზველთან (ზემო ზურზელთან), როგორც ამ სოფლის უბანი, დასახელებულია ღობიეთი, غوبية مالا (I 130; II 132; დედანი, გვ. 121). I-სა და II წიგნის დაბეჭდვამდე ჩვენ ამ უბნის შესახებ მასალა არ გვქონდა და ამ სახელწოდების ამოკითხულობაც კითხვითი ნიშნის ქვეშ იყო. ახლა ეგვი არ არის, რომ ამ უბნის სახელია ღობიეთი, რომელიც „დაეთარის“ დროს სოფ. ზველის ვენახებიანი უბანი ყოფილა (მინაწერში, გვ. I 131, II 133, ლაპარაკია ვინმე ზალის ვენახზე ღობიეთის უბანში). XIX საუკუნიდან კი ახალ რუკებზე ღობიეთი ყველგან აღნიშნულია უკვე როგორც დამოუკიდებელი სოფელი — ЦОИЕТ (იხ., მაგალითად, ევროპული რუსეთის სპეც. რუკაზე, კავკასიის 5 ვერსიან რუკაზე და სხვ.) ზველის (ზურზელის) ოდნავ დასავლეთით. ჩანს, „დაეთარის“ დროს სოფ. ზველის ერთ-ერთი უბანი—ღობიეთი შემდეგში გაიზარდა და, ალბათ, ტერიტორიულადაც ისეთი მდებარეობა ჰქონდა, რომ ცალკე სოფლად ჩამოყალიბდა<sup>3</sup>. სოფ. ღობიეთის

<sup>1</sup> ქვის-ავახნები — წყაროა ზველის ქვემოთ, სამხობელა ზველის ტყეშია, ЦОИЕТ-სა და ღობიეთის წყაროა, მთის წყალს ტალღუარის რეკვიან (=თ. ტალღის) მთა-ღობიეთის წყარო) (იაკობ ზედგინიძისა და სტეფანე ინასარიძის ცნობა).

<sup>2</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 38 v; იაკობ ზედგინიძის ცნობით ქალის-სახტომელა სოფ. ზველის ქვემოთაა.

<sup>3</sup> არ არის გამორიცხული ისიც, რომ ღობიეთი უფრო ადრეც, ვთქვათ XII საუკუნეში, დამოუკიდებელი სოფელი იყო და XVI საუკ. გაუქვანდა. იგი იხსენიება შ. რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ თქმულებაში: იხ. ი. მეგრელიძე, გადმოცემები რუსთაველის შესახებ.. სტალინირი, 1954, გვ. 37.

ზიეთი საარქივო მასალებში იხსენიება როგორც კერძო მემამულის მფლობელობაში მყოფი და კოკისწყაროსა და ცივწყაროზე მდებარე სოფელი „დუქბის-სერის“ სახელით ცნობილი მთის კალთებში<sup>1</sup>. ამავე ფონდში დაცულია მასალები იმ დავის შესახებ, რომელიც ჰქონდათ სოფ. ლობიეთის მცხოვრებლებს თავიანთ მემამულეებთან მიწების თაობაზე. 1831 წლის საბუთში სოფ. ლობიეთი ჩანს ახალციხის მოქალაქის ხოჯაევანოვის კუთვნილებად. 1848 წ. ლობიეთი რეაკომლიანი, ხოლო 1870 წ.—14 კომლიანი სახაზინო სოფელია<sup>2</sup>. ადმინისტრაციულად ლობიეთ სოფელი ონლორა, სახუდაბელ, კობარეთ და ზველ სოფლებთან ერთად ასპინძის რაიონის ზველის (=„ძველის“) სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>3</sup>.

სოფ. ზურზელ II ზველთან იხსენიება აგრეთვე თ ა ე შ ა ე-ად წოდებული ჩაირი, რომელიც ძველი დროიდანვე ამ სოფლის მფლობელობაში ყოფილა. არქივის მასალაში ზველთანა და ონლორასთან მოხსენებული *Гавшавис-мта* შეიძლება „დაეთარში“ სოფ. ზველის კუთვნილებად ჩაწერილი ჩ ა ი რ ი თ ა ე შ ა ე ი ყოს<sup>4</sup>.

3. სოფ. მ უ ს ხ ი — თელვანა (?) სათესველით *موسخ مع مزع و اس* (I 10, 131; II 11, 133). „დაეთრის“ დროის მუსხი პატარა 7 კომლიანი სოფელია. ამჟამად სოფ. მუსხი ურაველ, წყორძა და ხეთო სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის ურავლის სასოფლო საბჭოში შედის<sup>5</sup>. საინტერესოა ერთი საარქივო საბუთის ცნობა სოფ. მუსხის შესახებ: „ენგიქევ“ და მუსხ სოფლების მცხოვრებლები უჩივიან სოფ. ხეთოს მემამულეს ვასილ ორბელიანს იმის შესახებ, რომ აქამდე „ენგიქევისა“ და მუსხის მინდვრები და ბოსტნები უფასოდ ირწყვებოდა; ახლა კი ორბელიანი კრძალავს ამ წყლით სარგებლობას და გადასახადს ითხოვს იმ მოტივით, რომ წყალი მის მამულზე გადის<sup>6</sup>. საყურადღებოა, რომ ეახუშტი ამ სოფლის სახელად მ უ ს ხ ა - ს წერს: „კოლიანის მთიდან წარსული მცირე მთა ნ უ ს ხ ა მ დ ე“<sup>7</sup>; ნ უ ს ხ ა აქვს მას აგრეთვე თავის ინდექსში (გვ. 32 რ), ისევე როგორც ატლასში და Description-ისადმი დართულ რუკაზედაც ნუსხა — *Nuskha*-ა. ადგილობრივ მოსახლეობაში ამ სოფლის სახელად მ უ ს ხ ი-ა მიღებული; ასევეა ქართულ საარქივო მასალებსა (მ უ ს ხ ი, მოსე მუსხელი) და სხვა წყაროებშიც<sup>8</sup>. საგვარეულო სახელი მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ც ა მას მიუთითებს: მ უ ს ხ -ი, მ უ ს ხ -ე -ი, მ უ ს ხ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი და მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (მუსხე-

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 30 v.

<sup>2</sup> იქვე, ს. 154, იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 45რ; აგრეთვე იქვე, 59v; იქვე, ფ. 73, ს. 95, გვ. 13რ; К. Зиссерман, 6.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

<sup>4</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 38 v; ზველის მკვიდრის ი. ზედგინძის ცნობით თ ა ე შ ა ე ადგილს ამჟამად ყ ა რ ა -თ ა ფ ა ს ეძახიან.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>6</sup> სტია, ფ. 73, ს. 159, გვ. 1r.

<sup>7</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 131.

<sup>8</sup> სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 11 r.

ლიწილთა წარმომავლობა ამ სოფელს უკავშირდება). ამდენად ვახუშტის მიერ მოწოდებული ვარიანტი ამ სოფლის სახელისა — ნუსხა სწორი არ უნდა იყოს. ამჟამად მე მასალა არა მაქვს ვიმსჯელო იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ მუსხ სოფელს შემდგომში ენგაკევევი (← ენგიქვევი ← ახალთურქ. აენი ქოჯ = 'ახალი სოფელი') დაარქმევია. 1945 წელს მას კვლავ მუსხი ეწოდა<sup>1</sup>. კ. ზისერმანი (გვ. 6) მუსხი ახალციხიდან მე-13 ვერსზეა, მტკვართან ახლო; მასში 1870 წ. 17 კომლია აღრიცხული.

4. სოფ. ყური სათესველით ქორეთი (I 10, 132; II 11, 133). დედანში (გვ. 122) წერია ۶۰; პირველ ასოს დიაკრიტული ნიშანი არა აქვს. მაგრამ ასეთი მოხაზულობის ასო ჩვენს შემთხვევაში ც უნდა იყოს, რადგანაც ასეთი მოხაზულობის მეორე ფ ასო ქართული სიტყვების გადმოსაცემად არ იხმარება. ამოკითხული და დაბეჭდილი მაქვს „ყურა“ კითხვითი ნიშნით<sup>2</sup>. ზოგიერთის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით „ყურ“ სიტყვას ბოლოში ა დაეურთე, ხოლო ც ასოთი ჩვეულებრივად ქართული „ყ“ გადმოიცემა ხოლმე. პროფ. ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსის („სოფლების გალექსვა“) მიხედვით გაირკვა, რომ ამ სოფლის სახელი ქართულად ყურა კი არა, ყური ყოფილა:

რუსთავს აყვავდა გვირილა, ვაი მოუვა ზველსაო,  
ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახაშენსაო<sup>3</sup>.

ეკვი არაა, რომ ამ კონტექსტში სწორედ ამ ۶۰ სოფელზეა ლაპარაკი.

სოფ. ყური მ კომლიანი ყოფილა. ამჟამად ამ სახელით დასახლებული პუნქტი არ არის, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა ცნობილი ხდება ხუთეგრისიანი რუკის ჩვენებით; იქ სახუდაბელ, ონლორა, ზურზევლ (ზველ) და ახაშენ სოფელთა სანახებში აღნიშნულია P. D. Kyp, რაც უთუოდ „დავთრის“ ۶۰ მოხაზულობით აღრიცხული სოფელია.

საარქივო მასალებში სოფ. ყურის ადგილმდებარეობა უფრო დაზუსტებულია. აქ სოფ. ყური (რუსულ ტრანსკრიფციაში Гур, ყ → დ → რუს. Г) მოხაზულია შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით — სოფ. სახუდაბელის მიწები, დასავლეთითა და ჩრდილოეთით კაჩხოვეისა და ყანდინოვის მიწები, ხოლო სამხრეთით სოფ. ონლორის მიწები<sup>4</sup>. „ყური ნასოფლარია, მდებარეობს ზველსა და ონლორას შუა ტყის ფერდობში. ეკუთვნის ონლორას“ (ი. ზედგინიძისა და სტ. ინასარიძის ცნობა).

სოფ. ყურთან დასახლებულია ქორეთ სათესველი — ۶۰. ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ცალკეულ ასოთა მოხაზულობა ძლიერ მაკლუნებელი იყო, რომ აქ გვევარაუდა ۶۰ — ქორეთი. მართლაც არქივისეულ სიებში ამ ადგილას სოფ. ყური — ძირითადი საგადა-

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 269.

<sup>2</sup> ე. წ. სიაში სწორად მაქვს დაბეჭდილი — სოფ. ყური (დავთარი II, 11), მაგრამ კითხვითი ნიშანი უხის.

<sup>3</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 125.

<sup>4</sup> სცია, ფ. 73, ს. 77, გვ. 11 v; იხ. აგრეთვე თანდართული რუკა.

სახადო ობიექტი სულ არ იხსენიება და რატომღაც მის ნაცვლად წერია Корет-ი (გვ. 11r, 11r), რაც აგრეთვე უთუოდ ყურ-ქორეთის ურთიერთ-კავშირზე მიუთითებს. შესაძლებელია აქ კაცმა იფიქროს შემდეგი: ვიდრე ყური სოფლობდა, ე. ი. ვიდრე სოფ. ყურში მოსახლეობა იყო, ქორეთი მისი საყანე ადგილი, სათესველი იყო. შემდეგ ყური თანდათან თმობს დამოუკიდებელი სოფლის პოზიციებს ქორეთის სასარგებლოდ. ჩვენ მიერ არქივისეულ სიებად წოდებულ დოკუმენტში კი, რომელიც 1832 და 1837 წლებშია შედგენილი, როგორც გაირკვა, ჩვენივე „დაეთრის“ მონაცემების საფუძველზე, ყურ სოფელმა, ხუთვერსიანი რუკის მიხედვით უკვე გაუჟაკრი-ელეებულმა (P[азвалония] Д[еревни] К[ур]), უკვე დაჰკარგა, ალბათ, საგადასახადო ობიექტად აღრიცხვის პრეროგატივა. ამ დროს საგადასახადო ობიექტად ყურის ნაცვლად აღირიცხა ქორეთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყურ და ქორეთ პუნქტები ყველგან ერთიანეორის ზომიჯნავეები არ არიან. ხუთვერსიან რუკაზე К[ур]т[ан] К[орет]ს ლობიეთსა და ზურზელს შუაა, ხოლო ყური ზურზელს || ზველს ზემოთაა ტყეში (P. Д. К[ур]).<sup>1</sup> ქორეთ-ყურის ასეთი მცირედი დაშორებულობა, რა თქმა უნდა, ხელს არ შეუშლიდა ამ ორი სოფლის დაკავშირებულობას იმ თვალსაზრისით, ვთქვათ, რომ ერთ მათგანს, დასახლებულს ჰკუთვნებოდა მეორე ვითარცა საყანე-სათესველი და პირიქით.

1860 წლის არქივის მასალებში საკმაოდ ბევრი ცნობაა ქორეთის შესახებ, ეს ქორეთი სოფ. ლობიეთის მომიჯნავედ ჩანს, როგორც ეს ზემოთ რუკების მიხედვით იყო ნათქვამი: ... в оной [ივარაუდება ქორეთის ნასოფლარი] существовало поселение, но ныне оно обращено в зимовники, где с дозволения помещика зимуют куртины и другие кочующие. Корет, как им, свидетелям, положительно известно, не входя в состав деревни Гобие т, составляет совершенно отдельный от нее участок и имеет свои разделительные границы... Корет теперь представляет остатки деревни...<sup>2</sup> შემდეგ ამ საბუთში ნათქვამია, რომ ქორეთის მიწების ნახევარს ამუშავებენ სოფ. ლობიეთის მცხოვრებლები. შემდეგ კიდევ მეორდება, რომ ქორეთის მიწები, რომელიც მემამულე იაკობ კაჩხოვეს ეკუთვნის, სოფ. ლობიეთის შემადგენლობაში არ შედის და სხვ.<sup>3</sup> ზურზელ, ლობიეთ, ძოვრეთ და სხვა სოფლებთან იხსენიება კიდევ ქორეთი 1844 წლის საბუთში. საინტერესოა კიდევ 1840 წლის საბუთი, რომელშიც ქორეთი იხსენიება როგორც Хертвисского санджака пустопорожняя деревня... Корет, რომელსაც თურმე უკანონოდ ფლობს იაკობ კაჩხოვეი და სხვ.<sup>4</sup> 1848 წ.

<sup>1</sup> ამ პუნქტების ადგილმდებარეობა სწორედ ამგვარადვე რამიდასტურა უნივერსიტეტის სტუდენტმა ასპინძის მკვიდრმა ანბ. მერი ბერიძემ. „ქორეთი ნასოფლარია; მასში გაშენებულია ბალები, რომელიც სოფ. ზველის მოსახლეობას ეკუთვნის“ (ი. ზედგინიძისა და სტ. ინასარიძის ცნობა).

<sup>2</sup> სტია, ფ. 73, ს. 132, გვ. 21 r, 21 v.

<sup>3</sup> იქვე, 22 r; А. Загрянский, ЗКОИРГО, VIII, გვ. 50.

<sup>4</sup> სტია, ფ. 72, ს. 8, გვ. 50 r; სტია, ფ. 47, ს. 60, გვ. 1 r.

საბუთის მიხედვით, წყალთბილიდან (იხ. აქვე, № 24) ხერთვისის (?) Коприет-ში გადასახლდა ვინმე მუსტო ალიბეგოლი. შეიძლება აქაც ჩვენი ქორეთი იგულისხმებოდეს<sup>1</sup>.

5. სოფ. სახუდაბელი — ساخودابيل (I 10, 132; II 11, 134). ერთ საარქივო საბუთში ეს სოფელი სოფ. ონლორასთან შეერთებულად ჩანს და მისი სახელი ტრანსკრიბირებულია ასე: ساخودابيلي<sup>2</sup> (ზისერმანით — გვ. 7—Сахутабель). დღეს არსებული ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით სახუდაბელი სოფ. ონლორასთან ერთად ასპინძის რაიონის ონლორის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>. 1846 წლის ერთ-ერთ საბუთში ნაჩვენებია სახუდაბელ სოფლის ზუსტი საზღვრები: აღმოსავლეთით კაკოველის მიწები, დასავლეთით სოფ. ონლორა, ჩრდილოეთით ვარნეთის მცხოვრების დავრიშ ლეზგი-ოღლის მიწები, ხოლო სამხრეთით—ახაშენ სოფელი<sup>4</sup>. მეორე საარქივო მასალაში სახუდაბლის რელიეფზე უფრო დაწერილებითი ცნობებია: Сахудабель—деревня (помещичья) при роднике Татли-пуар, на каменистом кургане, под подошвою горы Багидзор, при балке Коприбаши при горах Наняур<sup>5</sup>. 1831 წ. სახუდაბელი შემამულე ვინმე სტეფანე არლელი[შვილის?] მფლობელობაშია<sup>6</sup>.

6. სოფ. ახალშენი — اخشن (I 10, 133; II 11, 134). ადგილზე ეს სოფელი ახალშენად არის ცნობილი და ასევეა აღნიშნული „საქ. ისტ. რუკაზე“; ასევეა ეს სახელი ფიქსირებული არქივისეულ სიგებში (გვ. 11r და 11r). მ. ბროსესთან (Akhachen)<sup>7</sup>. ექ. თაყაიშვილთან (Ахашен)<sup>8</sup>; ადგილობრივი მკვიდრი წერს: „მე ახაშენის მამასახლისი“<sup>9</sup>, ხალხურ ლექსშიც: „ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახაშენსაო“ და სხვაგან ბევრჯერ. „დავთარში“; ჩანს, ამ სახელწოდების უფრო პირველადი და უფრო სალიტერატურო ფორმაა მოცემული ახალშენის სახით. „დავთარის“ დროის ახალშენი პატარა, 5 კომლიანი სოფელია, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირას, ახალციხიდან 24 ვერსის მანძილზე მდებარეობს<sup>10</sup>. ახალშენის რელიეფზე საინტერესოა ცნობა: «При двух родниках (სახელები ვერ ამოვიკითხე), на косогоре по оврагу Гручун, окружает оную с 2-х сторон каменистые горы Гручунистаи и Сагорис-серн...<sup>11</sup>

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 95, გვ. 107 რ.

<sup>2</sup> სტია, ფ. 73, ს. 10, გვ. 20 რ.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 18.

<sup>4</sup> სტია, ფ. 73, ს. 77, გვ. 11 რ.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 73, ს. 158, გვ. 40 v.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 5 v.

<sup>7</sup> M. Brosset, Rapports... II, 150; ასევეა კ. ზისერმანთან (გვ. 7)

<sup>8</sup> МАК, XII, გვ. V, 7.

<sup>9</sup> სტია, ფ. 1000, ს. 6, გვ. 11 r.

<sup>10</sup> МАК, XII, 7.

<sup>11</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 30 v.

თანამედროვე საქართველოში ამ „ახალშენის“ გარდა კიდევ 14 გეოგრაფიული პუნქტია ასეთი სახელწოდებით<sup>1</sup>. „ახალშენ“-ში „შენ“ სიტყვა „შენება“ ზმნას უკავშირდება. „შენ“ — شى იხმარება აღმოსავლურ ენებში (სპარ., სომხ., თურქ. და სხვ.) და ნიშნავს, სხვათა შორის, 'დამუშავებული', 'კეთილმოწყობილი', 'დასახლებული', 'საცხოვრებლად ვარგისი'. შამს-ედ-დინ სამრის, IV. Redhouse-ს, В. Радлова-ს ამ სიტყვის წარმომავლობაზე არაფერი აქვთ ნათქვამი (ე. ი. თურქული წარმომავლობისად მიაჩნიათ)<sup>2</sup>.

სოფ. ახაშენი ასპინძის რაიონში ასპინძა, იღუმალა, მლაშხევე და ოთა სოფლებთან ერთად ასპინძის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>3</sup>.

7. სოფ. ო ნ ლ ო რ ა აგარა სათესველით — اوفوراج (I 10, 133; II, 11, 135). ადგილობრივ ხმარებულ სახელწოდებადაც ო ნ ლ ო რ ა მაქვს ჩაწერილი. არქივისეულ სიებში რამდენიმედ დამახინჯებულია — Онгора (გვ. 11 r და 11 r). მაგრამ უფრო დამახინჯებულია ეს სახელწოდება ერთ წიგნში, სადაც ის იხსენიება სოფ. ახალშენთან დაკავშირებით Ангора-დ<sup>4</sup> (თუ ეს კორექტურული შეცდომა არ არის). როგორც „დაეთარში“ اوفوراج, ისე ყველა იმ წყაროში, სადაც ჩვენ ამ სოფლის სახელი ვნახეთ, ამ სახელწოდების შემადგენლობაში „ნ“ და „ლ“ თანხმოვნები (რუსულ დამწერლობაში „ლ“-ს ენაცვლება) ყველგან და უსათუოდ არის. კ. ზინკმანიც, რომლის ჩანაწერები საერთოდ ძლიერი ზუსტია, Онгора-ს გვაძლევს<sup>5</sup>. ადგილობრივი შკვიდრის თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ამხ. ნიკ. დიასამიძის მოწმობითაც ამ სოფლის ქართული სახელი ონლორაა. მით უფრო სრულეობით უსაფუძვლოდ მიმაჩნია მე ტენდენცია ამ სიტყვის „ორგორა“ სიტყვად გააზრებისაკენ. ჩანს ამას იზიარებდა ალ. ფრონელიც, რომელიც წერს: „...დაიწყეს სოფ. ონგორაში (რუსულად Онгора. მე ვვინებ, რომ ეს სოფელი ო რ გ ო რ ა უნდა იყოს) კირის წვა და ზიდვა ზურგით ახალციხეს გასასყიდად (ახალციხიდან ონგორამდე 28 ვერსია)“<sup>6</sup>. უფრო გაუგებარია ოფიციალურ სიაში „ორგორა“ სახელწოდების დაკანონება<sup>7</sup>. დღეს ს. ონლორა სოფ. სახუდაბელთან ერთად ონლორის სასოფლო საბჭოში შედის<sup>8</sup>. სოფ. ონლორისათვის საარქივო მასალებში შემდეგი მიჯნებია მოხაზული: აღმოსავლეთით სოფ. სახუდაბელი, დასავლეთით სოფ. ზველის (ზრზელის) მიწები, რომლებიც ახალციხელ კაჩხოვესა და გორელ ყანდინოვს (ყანდინაშვილს) ეკუთვნის, ჩრდილოეთით ნასოფლარი ყური და სამხრეთით არტანანის წყალი

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 162.

<sup>2</sup> قاموس ترکی, A Turkish and English Lexicon, Опыт словаря тюркских наречий, IV, s. v.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

<sup>4</sup> МИЭБГКЭК, III, გვ. 63.

<sup>5</sup> К. Зиссерман, გვ. 7.

<sup>6</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 55.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>8</sup> იქვე.

(მტკვარი)<sup>1</sup>. 1842 წ. ონლორისა და სახუდაბელის მფლობელები იყვნენ გე-  
ქენდაროვი და სტეფანე ალელოვი<sup>2</sup>. მოვიყვანოთ არქივის სხვა მონაცემე-  
ბი: Онгора — при ручье Канни су, на каменистом кургане, при балке  
Чализе, по косогору и при лесистой горе Саторе<sup>3</sup>. შესაძლებელია დ. ბაქ-  
რაძის მიერ გამოცემულ ერთ ნასყიდობის წიგნში მოხსენებული ოლორო  
(„ოლოროსა ღთის შშობელისათა და ზღუდრისა და ქაშუეთისათა“)...  
ონლორა-ს დამახინჯებული ფორმა იყოს<sup>4</sup>.

სოფ. ონლორასთან დასახლებული საყანე ადგილი აგარამ ონლო-  
რის მიდამოებში უნდა დაიძებნოს.

8. სოფ. ზემო ინთორა — *إنتورا علي* (I 10, 134; II 11, 135).  
ამავე ასპინძის ნაპიჯეში 33-ე სოფლად იხსენიება უკაცრიელი სოფელი ქვე-  
მო ინთორა (I 10, 146; II 11, 146). ზემო ინთორაც პატარა, 6 კომლიანი  
სოფელია. არქივისეულ სიებშიც Интора გვაქვს (გვ. 11 r და 11 r). ერთ  
საარქივო საბუთში 1859 წ. იხსენიება Интора მდინარე სანისლოზე, მაგრამ  
უკვე გაუკაცრიელებული<sup>5</sup>. ხუთვერსიან რუკაზე ოთა და ყართა სოფლებს  
შუა აღნიშნულია Инторис-чхали, რომელიც ოთასთან ახლო ასპინ-  
ძის-წყალს ერთვის. ცხადია, რომ ეს ჩვენი ინთორა სოფლის სახელწოდების  
წყალია, რომლის დაახლოებით სათავეზედაც Description-ისადმი დართულ  
რუკაზე აღნიშნულია ეკლესიისნიშნაინი პუნქტი Intora. აქ იქნებოდნენ,  
ალბათ, ერთმანეთთან ახლო ჩვენი „დავთრის“ ზემო და ქვემო ინთორები.  
ვახუშტის დაუბეჭდავი ინდექსიდან მე გადმოწერილი მაქვს ინტორა<sup>6</sup> და  
ზემოაღნიშნულ რუკაზედაც Intora-ა (და არა Inthora). ამიტომ შესაძლებე-  
ლია ამ სოფლის სახელი ინტორაც ყოფილიყო, თუმცა ამ სახელის თა-  
ნამედროვე წარმოთქმად მე ინთორა მაქვს ჩაწერილი. 1859 წლის  
საარქივო საბუთში ინთორა უკვე კერძო მემამულისადმი განუთუვნილი  
უკაცრიელი პუნქტია, რომელიც სანისლოს წყალთან არის<sup>7</sup>.

9. სოფ. ბოვისწყარო — *بوسخارو* (I 10, 134; II 11, 135). საარ-  
ქივო სიაშია—Повихара (გვ. 11 r) და Повихаро (გვ. 11 r). ამ დაწერი-  
ლობას დიაკრიტიკული ნიშნები მთლიანად აქვს დასმული და, ამდენად, ამო-  
კითხულიც კარგადაა. მე ვფიქრობ, მეორე ნაწილი სახელწოდებისა „წყარო“  
სიტყვაა (აქ წინამავალი „ს“ თანხმოვნის გავლენით „წყარო“-ს „წ“ და „ყ“  
მკვეთრები მგლეჩებით არაა გადმოცემული, ბოლოკიდური „ო“ ხმოვანი კი  
ჩვეულებრივად „ა“-შია გადასული)<sup>8</sup>. ამრიგად, აქ ჩვენ უნდა გვეკონდეს ბო-

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 77, გვ. 11 v.

<sup>2</sup> იქვე, ს. 35, გვ. 3 v.

<sup>3</sup> იქვე, ს. 158, გვ. 138 v.

<sup>4</sup> АТГА, 196.

<sup>5</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 25 v.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 32 r.

<sup>7</sup> იქვე, ს. 158, გვ. 25 v.

<sup>8</sup> ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 141.



ვის წყარო. არქივისეული სიების Повисхаро-ში თავიკიდური „ბ“ თანხმოვნის დაყრუება სხვა ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლის მიერ მელერობის არაზუსტი აღქმის შედეგი უნდა იყოს. ადგილობრივი არაქართულად მოლაპარაკე მოქალაქისაგან ჩაწერილი მაქვს ამ პუნქტის სახელად ბოზღარა, რაც ძლიერ დამახასიათებელი მომენტების შემცველია. ბოლოკიდური „ო“ არ არის, „წ“ და „ყ“ თანხმოვნები მელერებით გადმოცემულები ჩანან. ჩვენ ვერ მოვძებნეთ მასალა იმისათვის, რომ ბოვისწყაროს ადგილმდებარეობა დაზუსტებულიყო. ინთორა, ასკილვანა, ყართა და ტამალა სოფლების არემარეში უნდა იქნეს წარმართული ძიება მისი ლოკალიზებისათვის. 1847 წ. საარქივო მასალაში Аскиливанга-სთან ნახსენები Дун-ихаро<sup>1</sup> უთუოდ ჩვენი „ბოვისწყარო“-ა, თუ საერთოდ ბუ სიტყვისაგან არ არის წარმოქმნილი ვე სიტყვა — ბუ-ის-წყარო.

10. სოფ. ასკილვანი — اسكلوان (I 10, 134; II 11, 136). ადგილობრივი მკვიდრის ელენე ტაბატაძისაგან მე ჩაწერილი მაქვს ასკილვანა. არქივის საბუთებშიც Аскиливанга-ა<sup>2</sup>; ამიტომ, ვფიქრობ, ეს ასკილვანა ვარიანტი სწორი უნდა იყოს, ხოლო არქივისეული სიისა Аскиливан (გვ. 11r) და სხვა ვარიანტებიც (მაგ. ერთი არქივის საბუთისა Аскиливан<sup>3</sup>) სწორი არ არის. „ასკილვანა“ სახელი შეიძლება „ასკილ+ოვან“იდან იყოს მიღებული. „ოვან“ სუფიქსით მრავალი გეოგრაფიული სახელი გვაქვს: ვაშლოვანი, თელოვანი და სხვ.<sup>4</sup> შემდეგში, როცა სხვა ენობრივ კოლექტივში „ასკილოვან“-ს შინაარსი გამოეცალა, იგი შეიძლება „ასკილვანა“-დ ქცეულიყო.

ასკილვანა რუკებზე აღნიშნული არაა. ამიტომ მით უფრო საინტერესოა ერთი არქივისეული საბუთის ცნობა, რომ Аскиливанга пустошь помещичья, расположена при ручье Джабиете, по косогору, под оврагом, окруженном с обеих сторон местными горами под названием «Аскиливангаун мешаси» (= «аскиливанские лесистые горы»)<sup>5</sup>. ამ ცნობაში საყურადღებოა, რომ ასკილვანა ჯაბიეთის, ან, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, უფრო სწორად ჯაბოეთის წყალზე ყოფილა. ჯაბოეთი კი ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია — Р. Д. Джабиет. ამ არემარეში უნდა ყოფილიყო ასკილვანაც.

1833 წელს პრაპორშიკ გრიგოლ ორჯონიკიძეს მოქალაქე სტეფანე ყირქესალოვთან ერთად უყიდა ასკილვანა და სხვა სოფლები<sup>6</sup>.

11. სოფ. ყართა — قارثا (I 10, 135; II 11, 136). რადგანაც ქართული „ყ“ გადმოიციემა ხოლმე უმთავრესად არაბული ق-ით, მე ვივარაუდებ ამ

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 83, გვ. 5 v.

<sup>2</sup> იქვე, ს. 158, გვ. 26 v და ს. 83, გვ. 5 v (ამ უკანასკნელში ასკილივანიაა, მაგრამ აქ „ლ“ და „მ“ თანხმოვნებს შორის „ი“ შემდეგაა ჩამატებული.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 1491, ს. 487, გვ. 7 r.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 126.

<sup>5</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 26 v.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 1491, ს. 487, გვ. 7 r.

„სოფლის სახელი ყართა“დ. არქივისეულ სიებშიც და სხვა ბევრგანაც Карта გვაქვს (გვ. 11 r)<sup>1</sup>. როგორც თურქული *اخر*, ისე არქივისეული რუსული მასალების Карта უთუოდ იმის გამოძახილია, რომ ქართულად მისი სახელი ყართა იყო. მაგრამ ამავე დროს ამხ. ნიკო ნათენაძემ ღართა ჩამაწერინა, ექ. თაყაიშვილთანაც, ზოგ საარქივო საბუთებშიც Карта-ა<sup>2</sup>. მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ თავდაპირველად ამ პუნქტის ქართული სახელი „ყართა“ იყო, ხოლო „ყ“-ს გამძლეობა შემდეგში სხვა ენების გავლენით უნდა მომხდარიყო და ამდენად „ღართა“ უკვე მეორეული მოვლენაა.

სოფ. ყართას მდებარეობა საესებით გარკვეულია. რუკებზე აღნიშნულია P. D. Карта, Урочище] Карта და სხვ. ექ. თაყაიშვილით ღართა სოფელი ოთიდან ორი ვერსის მანძილზეა<sup>3</sup>. ყართა „დაეთრი“-ს დროსაც პატარა ნ კომლიანი სოფელი ყოფილა და შემდეგ მთლად გაუკაცრიელებულა. ერთ საბუთში ს. ყართაზე ნათქვამია, რომ იქ საქონელს აძოვებენ, რადგანაც ხვნა-თესვა შეუძლებელია და სახნავ-სათესი ადგილი ცოტა არისო<sup>4</sup>. იქნებ ეს იყო მიზეზი სოფ. ყართის გაუკაცრიელებისა.

12. სოფ. ტამალა — *اچالا* (I 10, 135; II 11, 136). ადგილობრივ მკვიდრთა ნიკ. დიასამიძისა და ელენე ტაბატაძის წარმოთქმით აგრეთვე „ტამალა“-ა. როგორც „ყართა“ სახელწოდებაზე აღენიშნეთ, ამ შემთხვევაშიც „ტამალა“ უფრო სწორი ქართული ფორმა უნდა იყოს ამ სახელისა. „დამალა“ კი უკვე გადათურქულებული, ყოველ შემთხვევაში არაქართულ ენობრივ კოლექტივში გადატეხილი ვარიანტი „ტამალა“-სი („ტამალა“-ს მკვეთრი „ტ“ ჩვეულებრივად თურქული მელერი ა ასოთია გადმოცემული). გაზ. „ივერია“, მაგალითად, ტამალა-ს წერდა: „სოფ. ასპინძიდან ნახევარი ვერსის სავალზედ მდებარეობს სოფ. ტამალა“<sup>5</sup>. პატარა ტამალაა მოხსენებული აგრეთვე „საქართველოს სიძველენის“ I ტომში (გვ. 117).

დღეს სოფ. ტამალას („დამალა“-ს სახელწოდებით, რაც სწორი არაა) ასპინძის რაიონში თავისი (ტამალის) სასოფლო საბჭო აქვს<sup>6</sup>. „დაეთრის“ დროის ტამალაში მხოლოდ 5 მოსახლეა. 1859 წ. ტამალა სახაზინო სოფელი ჩანს; ის მდებარეობს при речке Тамалке и роднике Там-пуари (= ქვის წყარო)<sup>7</sup>.

13. სოფ. ჯაბოეთი — *جابت* (I 10, 136; II 11, 137). ამ დაწერილობას დიაკრიტიკული ნიშნები არა აქვს, მაგრამ საერთო მოხაზულობა მისი საესებით და უეჭველად შეესაბამება ასოთა იმ თანამიმდევრობას, რომელიც „ჯაბოეთ“ სიტყვის ასასახავად არის საჭირო. ვახუშტი სოფ. ოთასთან (იხ.

<sup>1</sup> აგრეთვე: სცია, ფ. 1491, ს. 487, გვ. 7 r.

<sup>2</sup> МАК, XII, გვ. 10; სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 25 v.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, იქვე.

<sup>4</sup> სცია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 37 v.

<sup>5</sup> ი. აღმაზიშვილი, ასპინძის ომი, გაზ. „ივერია“, 1898, № 34.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>7</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 25 v.

ქვემოთ) დაკავშირებით ახსენებს *ჯ ა ბ ო ე თ ი ს-კ ე ე ს<sup>1</sup>* და ასევეა (Djahoethi) იგი აღნიშნული ყართა-ოთის ხაზზე Description-ის რუკაზე. ასე რომ, ამ პუნქტის ძველი და ქართული სახელი „დავთრისა“ და ვახუშტის მიხედვით უცილობლად *ჯ ა ბ ო ე თ ი-ა*. ამაზე ხაზგასმით ლაპარაკი იმიტომაც საჭირო, რომ თანამედროვე წარმოთქმითა და, აგრეთვე, რუკებისა და სხვა უკანასკნელი ხანების ლიტერატურის მიხედვით ამ სოფლის სახელია *ჯ ა ბ ი ე თ ი*. ასე მაქვს ჩაწერილი ეს სახელი ამხ. ნ. ნათენაძისაგან, ასეა ის არქივისეულ საბუთებში: «Джабиет—пустошь помещицы, при ручье Джабиете, в балке Джабиетин дараси (= 'ჯაბიეთის ხევი'), окруженный джабиетским лесом<sup>2</sup>. ერთ საბუთზე კიდევ ხელმოწერაა თვით ამ სოფლის მკვიდრისა: „მე ჯაბიეთის მამასახლისი“<sup>3</sup>. მამასაღამე, „*ჯ ა ბ ი ე თ ი*“ და ზოგჯერ *Джабует-ი*<sup>4</sup>— ეს არის უკანასკნელ ხანებში ფონეტიკურად ტრანსფორმირებული „*ჯ ა ბ ო ე თ ი*“. ხუთვერსიან და სხვა მსხვილმასშტაბიან რუკებზე ნასოფლარ ჯაბოეთ-ჯაბიეთის მდებარეობა სავსებით გარკვეულია<sup>5</sup>.

არქივისეული სიებების მონაცემი ამ სოფლის სახელის შესახებ არაერთად ნდობას არ იმსახურებს. იქ წერია Халунет (გვ. 11 r და 11 r), სადაც ჩვენ გვაქვს ნებისმიერი დასმა დიაკრიტული ნიშნებისა და ოსოს თავის შეცდომით კ ასოდ მიღების შემთხვევა — *حالونت* → *حاونت*, რაც უარყოფილი უნდა იქნეს.

„დავთრის“ დროს ჯაბოეთი ყოფილა ათკომლიანი სოფელი, რომელიც შემდეგ გაუჟაკრივლებულა.

14. სოფ. ბ ე თ ლ ე მ ი — *بتهلم* (I 10, 136; II 11, 137). „დავთრის“ ტექსტის დადგენაზე მუშაობის დროს ამხ. ნიკ. ნათენაძემ მაცნობა ჯაბიეთის ზემოთ ბ ე თ ლ ე მ-ად წოდებული პუნქტის არსებობის შესახებ. შემდეგში ბეთლემის შესახებ ლიტერატურაც გამოჩნდა. ეს იყო ექვთიმე თაყაიშვილის ცნობები ბეთლემის ეკლესიის შესახებ. ექ. თაყაიშვილი წერს: „ბეთლემის ეკლესია სოფ. ოთიდან<sup>6</sup> 3 ვერსის მანძილზეა მის ჩრდილო-აღმოსავლეთით...“<sup>7</sup> ეს არის და ეს. ბეთლემის შესახებ სხვა ცნობას მე ვერ ვივსაყვებო ბეთლემი „დავთრის“ დროსაც პატარა, სულ ორკომლიანი სოფელია. ბეთლემი იყო ალბათ უმთავრესად საეკლესიო სოფელი, რომელიც იზიდავდა მლოცველებს სხვა სოფლებიდან<sup>8</sup>. „ბეთლემი“ ბიბლიური წარმომავლობისა ბერაული სიტყვაა — ბეთ ლეხემ, რომელიც „პურის სახლს“. ნიშნავს. გარ-

<sup>1</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>2</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 26 v.

<sup>3</sup> სცია, ფ. 1000, ს. 6, გვ. 3 v.

<sup>4</sup> სცია, ფ. 47, ს. 65, გვ. 2 r, 3 r, 8 r.

<sup>5</sup> „გეროპოლი რუსეთის სპეცრუკაზე“ იქ, სადაც ხუთვერსიანი რუკის მიხედვით *ჯ ა ბ ო ე თ ი ან ჯ ა ბ ი ე თ ი* უნდა ეწეროს. წერია У[р]очище] Д ж а к о б. რაც აშკარა დამახინჯება უნდა იყოს „ჯაბიეთისა“.

<sup>6</sup> სოფ. ოთახე იხ. ამავე ნაპიჯში, სოფ. № 31.

<sup>7</sup> МАК, XII, გვ. VI, 9.

<sup>8</sup> ბეთლემის ეკლესიის ნანგრევების აღწერილობა იხ. იქვე.

და პალეტინის ქალაქ ბეთლემისა, რომელიც ქრისტიანეთათვის წმინდა ქალაქად ითვლება, ასეთი სახელწოდებით გეოგრაფიული სახელები საქრისტიანო სამყაროში ბევრგან არის (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების—პენსილვანიის ცნობილი ქალაქი ბეთლემში); ბეთლემად წოდებული პუნქტები საქართველოშიც არის: მაგალითად, ბეთლემი — აქარისწყლის ხეობაში<sup>1</sup>, მთა ჩაქვისთავე (ბეთლემი)<sup>2</sup>, ცხაკაიას რაიონში სოფ. ბეთლემი<sup>3</sup>; რომელიც მეგრულში „ბერთემ“-ად წარმოითქმის, ხევში „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვანინ... უწოდებენ ბეთლემსა“<sup>4</sup>, ბეთლემ სახელწოდება გვხვდება საქაოად ხშირად აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ საბუთებში: ბეთლემურს ქვასთან, ბეთლემის ქუას<sup>5</sup> და სხვ.

15. სოფ. ერკოტა — ايرقوتا (I 10, 136; II 11, 138). ამ დაწერილობას დედანში (გვ. 126) დიაკრიტიული ნიშნები არა აქვს. „ტ“ თანხმოვანი, მართალია, ჩვეულებრივად სათანადო რიგის მელერი „ღ“ თანხმოვნითაა გადმოცემული, მაგრამ ამას ვერ ვიტყვივით მეორე მკვეთრის „ქ“ შესახებ, რომელიც აქ ც-ითაა გადმოცემული და არა ქ-თი. კ. ზისერმანის ქართული ტრანსკრიფცია ერკოთა (გვ. 7) სწორი არაა. ერკოტა დღესაც არსებული სოფელია; იგი ასპინძის რაიონში ერკოტის სასოფლო საბჭოს შეადგენს<sup>6</sup>. ერკოტა სახელწოდების სისწორე და სინამდვილე დასტურდება ერთ სარქიეო მასალაში ქართული შინაწერით: „მე ერკოტის მამასახლისი“<sup>7</sup> ერკოტის რელიეფზე შემდეგი ცნობა არსებობს: Казенное сел. Эркота — при роднике П о н а п у а р я [ფუარ ← თურქ. pınar 'წყარო'], на возвышенном месте под подошвою горы Керкеда, над оврагом Уканхеви и против горы Коцахура...<sup>8</sup>

16. სოფ. ფერისციხე სოფ. წყალთბილასთან — قهقر (I 10, 137; II 11, 139). დღეს ასეთი სოფელი არ არსებობს. ხუთვერსიანსა და სხვა რუკებზედაც ინდუსა, ყამზა, წყალთბილა და სხვა სოფელთა ზონაში აღნიშნულია Перисцихе, ან კიდევ Пересцихе. ერთ საბუთში სოფ. ფერისციხისათვის მოცემულია ასეთი საზღვრები: აღმოსავლეთით სოფ. ინდუსის მიწები, დასავლეთით რუსთაყის ადგილები, ჩრდილოეთით სოფ. ორფოლისა, ხოლო სამხრეთით წყალთბილის მიწები<sup>9</sup>.

<sup>1</sup> А. Джавахишвили, Г. Гехтман, Л. Карбелашвили, И. Шакаршвили, География Груз. ССР, თბილისი, 1954, გვ. 233.

<sup>2</sup> ვაზ. „Заря Востока“, 1948, 25.IV, № 84 (7235).

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 105.

<sup>4</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 67 (შდრ. ილიას „და იმ კედელში შეთხრილს ღვთის ტაძარს, ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“).

<sup>5</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 111, 112.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>7</sup> სტია, ფ. 1000, ს. 6, გვ. 13 რ.

<sup>8</sup> იქვე, ფ. 73, ს. 158, გვ. 41 რ.

<sup>9</sup> იქვე, ფ. 71, ს. 33, გვ. 4 რ.

საარქივო მასალიდან ჩანს, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში ფერისციხე უკვე გაუქვარებულ იყო. საბუთში წერია: „სოფ. ქვეკერაქი, ჭალა და ორი ყიშლა ოხერა და ფერისციხე ეკუთვნოდათ თათარს<sup>1</sup> დურსუნ-ალა შაჰაზ-ოღლის. როდესაც რუსმა აიღო ახალციხე სწრაფს დროს შინა ხსენებული თათარი გარდაიცვალა და ცოლი მისი ველე და შემდეგ გავიგონე, რომ შეიღებო მისნი გაიქცნენ სირონს<sup>2</sup> გარეთ და ხსენებული სოფლები და ყიშლები დარჩნენ სახელმწიფოთ...“ ეს საბუთი 1836 წლისაა; ამ დროს ოხერა და ფერისციხე უკვე ყიშლაა (თ. 125 = 'საზამთრო საძოვარი')<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, ამავე ხანების საბუთში რომ ფერისციხე სოფლებს შორის იხსენიება, არ ნიშნავს იმას, რომ ის სოფელია: „სოფელი ქვეკერაქი, ჭალა, ოხერა, ინდუსა, ფერისციხე და ბოგა ოცდათორმეტს ქესა<sup>4</sup> თეთრათ, რომელიც შეადგენდნენ იმა დროს ათას ექვსას მანეთ ვერცხლის ფულსა...“<sup>5</sup> 1836 წლის საბუთში ფერისციხე და მამაწმინდა სოფ. ონლორის მიჯნებში ირიცხებიან, რა თქმა უნდა, არა სოფლად: «Из книг актов Правления видно, что Степан Алелов купил у Омара Али Коса-огли в Аспиндзском санджаке деревни Онгора с урочищем Куркареты, Мамашинда с урочищем Перцихали...»<sup>6</sup>

ფონეტიკურად საინტერესოა, რომ ფერისციხე თურქულად გადმოცემულია كرساخ (ფერისხა)-დ, სადაც სთანხმოვანი ასიმილირებულია „ციხე“ სიტყვის ცთანხმოვანთან, რომელიც საერთოდ ს-ს გვამღვეს თურქულში (შდრ. ახალციხე → თ. ახსხა).

17. სოფ. ხელიშა — خوليشا (I 10, 137; II 11, 138). ამ დაწერილობას დიაკრიტიკული ნიშნები აქვს და იკითხება თურქულად „ხულიშა“. მაგრამ მე ნიკო ნათენაძისაგან მქონდა ცნობა, რომ ასპინძის რაიონში არის ნასოფლარი ხელიშა. ამეამად ამ სახელწოდებაზე ჩვენ მოგვეპოვება უფრო დაზუსტებული ცნობა დოც. ილია მაისურაძისა: „სოფ. ასპინძიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. მტკვარს ორი ხევი შეერთვის. ისინი ურთიერთის პარალელურად ჩამომდინარეობენ და ერთი კილომეტრით თუ იქნებიან დაშორებულნი ერთმანეთს. ორივეს შესართავში დღეს ნასოფლარები შეიწინააღმდეგებ. ერთს ეწოდება ჩიხორიში<sup>7</sup>, მეორეს — ხელიშა“. შემდეგ ილ. მაისურაძეს ჩაწერილი აქვს ლეგენდა, რომელშიც იხსენი-

<sup>1</sup> ე. ი. ამ შემთხვევაში გამაჰმადიანებულ ქართველს.

<sup>2</sup> სირონი 'სახლვარი' თურქ. sınır — სინორი — სირონი.

<sup>3</sup> სცია, ფ. 47, ს. 64, გვ. 25 რ.

<sup>4</sup> ქესა (← ს. كفة) უდრიდა 500 ყურუშს (ش. سامى — قاموس تركى).

<sup>5</sup> სცია, ფ. 47, ს. 64, გვ. 34 v.

<sup>6</sup> იქვე, ს. 80, გვ. 154 რ. „ფერციხა“ შეცდომით უნდა იყოს.

<sup>7</sup> ვფიქრობ ეტ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი ნასოფლარი Чихрыши, რომელიც ჩიხორის წყალზე მდებარედაა ნაჩვენები და ჩიხორიში ერთი და იგივე პუნქტია. აქვე ეტ. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ვახუშტს რუკაზე ასპინძასთან ახლო ნაჩვენები აქვს ჩიხორი (МАК, XII, გვ. VI, 18).

ება ხ ე ლ ი შ ი ს - ხ ე ვ ი ც ცალკე და ცალკე კიდევ ჩიხორიში და ხ ე ლ ი შ ა<sup>1</sup>. ამრიგად, ამ სოფლის ნამდვილი და სწორი ქართული სახელია — ხ ე ლ ი შ ა. როგორც უკვე ვთქვით, თურქის წარმოთქმაში „ვი“ კომპლექსი „უ“-ში გადავიდოდა („ხულიშა“ და ამის გამოძახილია, ალბათ, არქივისეული პირველი სიის Xyлаша (Xyлаша) ვარიანტი (გვ. 11 რ). ხოლო მეორე სიაში ეს სახელი ძლიერ დამახინჯებულია — Холаша (გვ. 11 რ). „დავთრის“ დროის ხელიშა პატარა სოფელია — სამკომლიანი, მაგრამ ის თურქეთ-საქართველოს ომამდელ პერიოდში უფრო დიდი იქნებოდა, რომ აკად. მ. ბროსე ჩერდება ხელიშის (Koulichia) ეკლესიაზე საკმაოდ დაწერილებით და პროფ. ექ. თაყაიშვილიც ამას საკმაოდ დიდ ეკლესიას უწოდებს<sup>2</sup>. მაგრამ მ. ბროსეს და, ალბათ, მისი გავლენით ექ. თაყაიშვილსაც ხელიშის სახელი გადასხვაფერებულად და გადათურქულებული ფორმით აქვთ ჩაწერილი: la petite église de Koulichia (ბროსე) და ...на берегу реки Кушиша (ექ. თაყაიშვილი)<sup>3</sup>. ხ ე ლ ი შ ა გვაქვს „დროებაში“: „ამ დროს თურმე შეფე ერეკლემ ჩამომჯდარიყო ხ ე ლ ი შ ი ს ეკლესიასთან“. „ხელიშის ხევი“<sup>4</sup>. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მ. ბროსე და ექ. თაყაიშვილი ხელიშის ეკლესიას განიხილავენ სოფ. ასპინძასთან დაკავშირებით, როგორც მის (ასპინძის) ახლო მდებარეს და არა როგორც დამოუკიდებელ ეკლესიას, რომელიც, ალბათ, თავის დროზე ემსახურებოდა სოფ. ხელიშის მრევლს. ექ. თაყაიშვილის მიხედვით ასპინძიდან 2 ვერსზე აღმოსავლეთით, გზატკეცილზე, „კულიშა“ მდინარეზე არის ეკლესია<sup>5</sup> და შემდეგ დასძენს, რომ „კულიშის“ ეკლესიაზე ჩვენ ისტორიული ცნობები არა გვაქვს<sup>6</sup>, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ დროს სოფ. ხელიშის ისტორიულად არსებობაზე ცნობები არ იყო.

<sup>1</sup> ილია მაისურაძე, მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ დამპყრობთა ბარბაროსობაზე, თბილისი, 1949, გვ. 15 (ხაზი ჩემო). რადგანაც ეს თავისდათავად საინტერესო ლეგენდა ეხება აქ განსახილველ გეოგრაფ. პუნქტს, ჩვენ მოვიყვანთ მას მთლიანად აქვე: „ჯავახეთიდან ულამაზესი ქალი გაიტაცეს და ოსმალეთში გაყიდეს. მდიდარი ფაშის ცოლი შეიქნა იგი. უცხო მზაღოში გადახვეწილმა ვერ აიტანა მართობა და სამშობლოზე დარდით დასწევლდა. ღრმად შეწუხებულმა ერთხელ ჩიხორიშის ხევის მშობლიური წყალი ინატრა. აფრინეს კაცი საქართველოში. მან მოწაზა ჩიხორიშის წყალი და აავსო კურკელი. გამოემართა. გზად მოსწყურდა. არ გაუფრთხილდა ამანათად წამოღებულს და მოსვა. ხ ე ლ ი შ ი ს ხ ე ვ ი ც რომ მიაღწია, იქ შეავსო ნაკლები კურკელი და ისევ გასწია ოსმალეთისკენ. მიაღწია ფაშის სასახლეს. მიართეს ნანატრი წყალი სამშობლოსათვის სწულ ქართველ ქალს. მან სიამოვნებით მოსვა და როცა იგებმა, შეჩერდა და მწარე ღიმილით წარმოსთქვა:—რა კარგი ხარ, ჩიხორიშო, რომ ხ ე ლ ი შ ა არ გერილოვ“ (ჩაწერილია სოფ. ტოლოში — ასპინძის რაიონი — გეატერინგ შელიქიძის თქმით 1945 წ.).

ხელიშას ადგილმდებარეობისა და მის ეკლესიაზე იბ. აგრეთვე: ც. გაბაშვილი, ვარძია (გზაპყვევი), თბილისი, 1945, გვ. 22.

<sup>2</sup> Rappports..., II, 176, 177; MAK, XII, 14, 15.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ვინმე მესხი, ისტორიული მასალები, „დროება“, 1879 წ., № 185.

<sup>5</sup> E. Такашова, MAK, XII, 14-15.

<sup>6</sup> იქვე. გვ. 15.

18. სოფ. ლამზა — غزمه (I 10, 137; II 11, 139). ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართული მკვებერები თურქულში შესაბამისი რიგის მფლებრებით გადმოიციემა. მართალია, ქართული მფლებრებიც ასევე გადმოიციემა და როცა სხვა დამატებითი მასალა არ არსებობს, ძნელია გაირკვეს, თუ რა იყო ქართულში ესა თუ ის ბგერა. ასეთივე მდგომარეობაშია „ლამზა“ სიტყვა. ეს შვიძლებოდა „ყამზა“ ყოფილიყო. რუკებზე ჩვენ ყველგან Камза გვაქვს ისევე, როგორც საარქივო მასალებიც Камза ფორმას გვაძლევს<sup>1</sup>. „Камза“-ს სახით ამ სიტყვის ტრანსკრიფცია კი იმას ნიუთითებდა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა წარმოთქმაში ქართულად უნდა ყოფილიყო „ყამზა“, რომლის ყ თანხმოვანი „დავთარში“ ც-ის გარდა, გ-ნითაც გადმოიციემა ხოლმე. ამ თვალსაზრისით ძლიერ დამახასიათებელია ის სიკრულე, რომელსაც ადგილობრივი აქვს ამ სიტყვის წარმოთქმისას: ამხ. ნ. ნათენაძის მიხედვით ეს არის „ყამზა“, ხოლო ელენე ტაბატაძის მიხედვით კი „ლამზა“, ერთ არქივისეულ სიაში Камза გვაქვს (გვ. 11 v), ხოლო მეორეში — Гамза (გვ. 11 r) და სხვ. როგორც ზემოთ (გვ. 187) „ღართა“ სახელწოდების შესახებ იყო ნათქვამი, მე ვფიქრობ ამ შემთხვევაშიც ქართული სახელია ყამზა, ხოლო ლამზა მისი გადათურქულბული ვარიანტი, რომელმაც ნაწილობრივ მინიკე კპოვა ხალხში გაერკელება (ადგილობრივმა მკვიდრებმა ი. ზედგინიძემ და სტ. ინსარიძემ დაადასტურეს, რომ ამ ოშორასთან მდებარე ნასოფლარის სახელი—ყამზაა).

ყამზა სოფლის მდებარეობა რუკების მიხედვით სავსებით გარკვეულია: იგი ინდუსა და ზემო ოშორა სოფლებს შუა მდებარეობს (თანდართული რუკა). 1831 წ. საბუთიდან ჩანს, რომ სოფ. ყამზა ეკუთვნოდა მემამულეებს — ახალციხელ პრაპორშჩიკს ივანე ასათიანოვსა და მოქალაქე ოლანჯან ნაზაროვს<sup>2</sup>. „დავთარის“ დროის ყამზა რომ საკმაოდ დიდი, ოცკომლიანი სოფელია, 1836 წ. საბუთში იგი უკვე 13 კომლიან სოფლად იხსენიება<sup>3</sup>. ამავე წლის საბუთში ყამზის ერთი ნაწილის მფლობლად დასახლებულია ვინმე აჰმედ-ბეგის მეუღლე ფამბა ხანუმი<sup>4</sup>. ჩვენი დროისათვის სოფ. ყამზა ქვემო და ზემო ოშორასთან ერთად ასპინძის რაიონის ოშორის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>5</sup>. ჩვენ აქვე მოვიყვანთ არქივისეული ერთი საბუთის ყამზის შესახებ ცნობებს, რომლებიც აზუსტებენ ყამზის რელიეფს და უფრო დეტალურ ცნობებს იძლევიან მისი მდებარეობის შესახებ: Камза — деревня помещичья, при двух ручьях (Цисквилат-хевис-цкали и Гахвретили-клдис-цкали), кои соединяются в этой деревне, именуются Камзинским ручьем. ... [деревня] разделяется на две половины оврагом Цисквилат-хевис,

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 35 v; იქვე, ფ. 1044, ს. 15, გვ. 6 v; იქვე, ფ. 72, ს. 88, გვ. 94 v და სხვ.; აგრეთვე: МИЭНГКЗК, III, გვ. 63.

<sup>2</sup> სცია, ფ. 72, ს. 88, გვ. 94 v.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 73, ს. 98, გვ. 13 r.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 1044, ს. 15, გვ. 6 v.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

окруженным с 2-х сторон горами под названием одна — Цихи Гверда, а другая Сабადур<sup>1</sup>.

19. სოფ. იღუმალა — ايدوما (I 10, 138; II 11, 139). იღუმალა სწორი და ქართული სახელია. „ასპინძიდან ორიოდ ვერისს სავალზედ სოფელი იღუმალა“<sup>2</sup>. ხელს აწერს „იღუმლის მამასახლისი“<sup>3</sup>. საარქივო საბუთში ნაჩვენებია, რომ იღუმალა (მემამულის სოფელია — 1831 წ. იგი ეკუთვნის ახალციხელ მოქალაქეს ნაზაროვს)<sup>4</sup> ოშორის-წყალზე მდებარეობს<sup>5</sup>.

დღეს იღუმალა ასპინძის რაიონში შემავალ იღუმლის სასოფლო საბჭოს შეადგენს<sup>6</sup>.

20. სოფ. ინდუსა — ايندوسا (I 10, 139; II 11, 140). ინდუსაც ოშორის-ხეივანში უფილა: „ოშორას-წვეის შესართავს ზეით, ინდუსას, არს ხიდი მტკვარზედ“<sup>7</sup>. ამ სოფლის სახელი ხალხურ ლექსშიც გვხვდება: „ინდუსელი ფეხოშვილი მეცხეარე არის ძველია“<sup>8</sup>. ზოგჯერ ამ სოფლის (და წინამძღვარი სოფლისაც) სახელი მახინჯდება: მაგალითად, ... от селения Индуша до селения Индуша 9 верст<sup>9</sup>. საარქივო საბუთი ინდუსის შესახებ ცნობას გვაწვდის, რომ ინდუსის ერთი ნახევარი სახაზინოა, ხოლო მეორე — მემამულისაა. მდებარეობს კლდისწყაროზე...<sup>10</sup>

პროფ. მიხ. ჩიქოვანის მიერ ამ კუთხეში ჩაწერილი თქმულების მიხედვით „ინდუსა“ ერქვა თურმე ხარს, რომელიც საშენ ქვას ეზიდებოდა; მაგრამ „ინდუსის ქვა“ რქმევია იმ ადგილსაც, საიდანაც ეზიდებოდნენ ქვას<sup>11</sup>. შესაძლებელია ამ თქმულებაში მოცემული ადგილის სახელი „ინდუსა“ ჩვენს ინდუსა სოფელს ჰგულისხმობდეს.

ამგემად ინდუსა სოფ. რუსთავეთან ერთად ასპინძის რაიონის რუსთავეის სასოფლო საბჭოში შედის<sup>12</sup>.

21. სოფ. კოხტის ციხის რაბათი — كوتيس (I 10, 139; II 11, 140). ვახუშტით: „ამ [ვარენთის) ჭევის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის აღმოსავლიდამ კოხტის-ჭევი... კოხტას ამ ჭევის მოერთვის სხვა ჭევი, მისეე მთის გამოზღინარე. ამ ორს ჭევის შორის არს ციხე კოხტისა, დიდშენი და მაგარი“<sup>13</sup>. დაზუსტებულია ადგილმდებარეობა და აგრეთვე

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 28 v.

<sup>2</sup> ილ. ალბაზიშვილი, ასპინძის ომი, „ივერია“, 1898, № 34.

<sup>3</sup> სცია, ფ. 1000, ს. 6, გვ. 11 v.

<sup>4</sup> სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 45 r.

<sup>5</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 27 v; აგრეთვე К. Зиссерман, 5.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>7</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>8</sup> „ძველი საქართველო“, III, გვ. 253.

<sup>9</sup> История военных действий, I, 273.

<sup>10</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 29 v; აგრეთვე: სცია, ფ. 47, ს. 63, გვ. 1 r და შემდგომი.

<sup>11</sup> მ. ჩიქოვანი, აზუსტებულ ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, თბილისი, 1944, გვ. 758, 759.

<sup>12</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>13</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.



ისიც, რომ ამ ციხის ქართული სახელია „კობტა“ და არა „კობთა“, როგორც ეს ჩვენ გვაქვს II წიგნში დაბეჭდილი *كوبت*-ს მიხედვით. კობტა-ს სახელით გეოგრაფიული პუნქტი საქართველოს ისტორიაშიც ცნობილია: ათაბაგ იოანესა და მეფე ალექსანდრე პირველს შორის ბრძოლა კობტის თავზე მოხდა (1415 წელს)<sup>1</sup>.

რუკებზე აღნიშნულია P. კრ. Кобта; Description-ისადმი დართულ რუკაზე Cokhta-ს უზის პატარა დაბის ნიშანი. „დავთრის“ დროის კობტის ციხეში მობინადრედ 3 კომლია აღრიცხული.

22. სოფ. ვარნეთი — *وارنت* (I 10, 140; II 11, 141). დაწერილობას არც ერთი დიაკრიტული ნიშანი არა აქვს, მაგრამ უეჭველია, რომ ეს არის სახელი ასპინძის ამ მონაკვეთზე მდებარე პუნქტის — ვარნეთისა. ვახუშტს ამ პუნქტის სახელად ვარნეთა აქვს: „ასპინძის - კვევის შესართავს ზეით მოერთვის მტკვარს ვარნეთის - კვევი... ვარნეთას არს ციხე მაგარი“<sup>2</sup>. „მესხური დავითნის ქრონიკაში“ იხსენიება ვარნეთის ციხე, რომელზედაც ექ. თაყაიშვილი წერს, რომ იგი მდებარეობს მტკვარის შენაკადის — ვარნეთისწყალზე, ასპინძის ზემოთ<sup>3</sup>. Description-ისადმი დართულ რუკაზე აღნიშნულია ორივე სახელი: Warenta et Warnetha; ხოლო ის წყალი — მტკვარის მარცხენა შენაკადი, რომელზედაც ეს პუნქტი მდებარეობს, სახელდებულია Warenthis tsq[al]-ად. ეტყობა უფრო ძველად ვარნეთა ყოფილა ამ პუნქტის სახელი; 1923 წ. გამოცემულ საქ. ისტ. რუკაზეც ვარნეთაა. თანამედროვე რუკებზეც ვარნეთია. საარქივო მასალებიც Warnet ვარიანტს იძლევა<sup>4</sup>. გარდა ამისა ირკვევა, რომ ვარნეთი ორი ყოფილა. Description-ის რუკაზე, მაგალითად, აღნიშნულია ერთი Warnethi ვარნეთისწყლის მარცხენა ნაპირას, ხოლო მეორე Warnethi et Warneta — იმავე წყლის მარჯვენა ნაპირას. გარდა ამისა, ერთ საარქივო საბუთში იხსენიება Большой Warnet (რომელშიც 1848 წლისათვის ნაჩვენებია 15 კომლი)<sup>5</sup>, ზისერმანიტაც (გვ. 7) დიდი ვარნეთია (24 კომლი — 1870 წ.), რაც იმას ნიშნავს, რომ ყოფილა პატარა ვარნეთიც. ჩვენ დროშიც კი ასპინძის რაიონში ორი ვარნეთი იყო, მაგრამ არა „დიდი“ და „პატარა“ ვარნეთი, არამედ ქვემო ვარნეთი, რომელიც ასპინძის რაიონის ერკოტის სასოფლო საბჭოში შედიოდა (ეს, ალბათ, ვარნეთისწყლის მარცხენა ნაპირისა) და ზემო ვარნეთი, რომელიც ამავე რაიონის ნიალის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 298. მომყავს პროფ. ს. მაკალითას შრომის მიხედვით: მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 49.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127; შდრ. ექ. თაყაიშვილი, Три хрощики, СМОНПК, 28, გვ. 196.

<sup>3</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 91, Три хрощики, გვ. 196, შენ. 1.

<sup>4</sup> მაგალითად, სცია, ფ. 79, ს. 15, გვ. 3 რ.

<sup>5</sup> სცია, ფ. 73, ს. 95, გვ. 131; აგრეთვე იქვე, ფ. 73, ს. 158, გვ. 40v; აგრეთვე, M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique... II, გვ. 151 (La petite citadelle de Warneth et son eglise).

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

მოიყვანთ კიდე ვარნეთის (დიდი ვარნეთის) მდებარეობის შესახებ. უფრო დამაზუსტებელ ცნობებს (1857 წ.): «Варнет большою—деревня казенная, при ручье Лекмеца-суи, на каменной скале под подошвой горы Ситоре и двумя горами Хари-цоцолა и Гюргюн (ალბათ, «გვირგვინი») и балкою Цурбель-дараси» (=წურბლისხევი)... Варнет малой — деревня помещицы, при роднике Варнет - нуар (ფუარ — თურქ. ривар = 'წყარო') на косогоре под подошвою горы Кючюк Гюней, при балке Хингир-дараси...<sup>1</sup>

23. სოფ. რუსთავი — روستاو (I 10, 140; II 11, 141). დღეს სოფ. რუსთავი ასპინძის რაიონში სოფ. ინდუსასთან ერთად რუსთავის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>. ვ. კოტონაშვილის მიხედვით, „სოფ. მუსხიდან ორის. ვერის მანძილზედ მდებარეობს პაწია სოფ. რუსთავი“. შემდეგ მოტანილია თქმულება რუსთავ სახელწოდების შესახებ<sup>3</sup>. „16 კილომეტრზე ახალციხიდან გზა ხრიოკი მთის კალთაზე შეფენილს, ალვის ხეებით მოკეკლულე სოფ.. რუსთავს გაუვლის. სოფლის წინა მხარეს გადაშლილია ლამაზი ნაყოფიერი ველი“<sup>4</sup>. რუსთავი იხსენიება ხალხურ „სოფლების გალექსავაში“:

რუსთავს აყვავდა გვირილა, ვაი მოუვა ზეგლსაო,  
ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახაშენსაო<sup>5</sup>.

24. სოფ. წყალთბილა — عقالتل (I 10, 141; II, 11, 142). დაწერილობა შესანიშნავად არის გამოყვანილი და ყველა დიაკრიტული ნიშანითავე ადგილასაა (დედანი, გვ. 130); რუკებზე რუსთავსა და ინდუსას შუა არის ნაჩვენები. რუსთავ, ინდუსა და ფერისციხე სოფლებთან ერთად წყალთბილა ასპინძის რაიონის რუსთავის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>6</sup>. „დავთრის“ დროს წყალთბილაში 17 კომლია, ხოლო 1846 და 1870 წელს წყალთბილისათვის ნაჩვენებია მხოლოდ 2 და 7 კომლი (შესაბამისად)<sup>7</sup>.

25. სოფ. ყანუბარი — قانق (I 10, 141; II 11, 142). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ასოთა მოხაზულობა ისე ნათელია, რომ ახლა შეიძლება ორთავე ადგილას მოვხსნათ კითხვითი ნიშნები. ესუსათუოდ ის قانق-ია, რომელიც მსხვილმასშტაბიან რუკებზე აწყურის მიდამოებთან მოსაზღვრე ადგილას P. Д. ან Ур. К а н у б а р-ად არის აღნიშნული. ყანუბარი 1838 წლის საარქივო მასალებშიც გვხვდება ამავე სახით:

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 40 v და 48 v.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 18.

<sup>3</sup> ლეგენდა რუსთავის—სოთა რუსთაველის სამშობლოს შესახებ. „ივერია“, 1894, № 21.

<sup>4</sup> ც. გაბაშვილი, ვარძია (გზამკვლევი), თბილისი, 1945, გვ. 21; სოფ. რუსთავზე იხ. აგრეთვე: ს. მაკალათია. სოფ. რუსთავი და თქმულება შ. რუსთაველზე, გზ. „კომუნისტი“ № 198, 30.VIII, 1937 წ.

<sup>5</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 125.

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტორიული დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—ასპინძის რაიონი“.

<sup>7</sup> სცია, ფ. 73, ს. 95, გვ. 13 v; К. Зиссерман, 4.

«пустопорожня деревня Канубар принадлежит действ. статскому советнику Завилейскому, а н а р а და, ესაა გუბერნატორის მამული, რომელსაც ინდუსელები თესავენ<sup>1</sup>. დასახელებულია აგრეთვე ..ручей, называемый Канубаром<sup>2</sup>. «დავთრის» დროს ყანუბარში 9 კომლია. 1859 წლის საბუთში ყანუბარი უკვე გაუჟაპრიელებული ჩანს: «Канубар — пустошь помещицы, при роднике Миминос Цхаро под горою Ругетис цвери, на косо-горе к оврагу Канубарис-хеви»<sup>3</sup>.

«ყანუბარი», უთუოდ, ქართული «ყანობარის» გადათურქელებული ფორმაა. «ყანობარი» კიდევ ძველ ქართულში ძლიერ გავრცელებული «ყანობირ»-ის (ყანობირი = «ყანა») სხვა სახეობა უნდა იყოს. «ყანუბარი» || «ყანობარი» || «ყანობირი» ზოგადი სახელია, ამ შემთხვევაში საკუთარ სახელად ქცეული; «ყანობირ»-ის პარალელურად, ჩანს, იხმარებოდა «ყანობილ»-იც. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორია აბასთუმანში სწორედ ე. წ. მთა ყანობილ-ზეა გაშენებული. «დავთარში» ჩვენ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს «ყანუბარ || ყანობარ»-ის საკუთარ სახელად ხმარებისა.

26. სოფ. ინწყორა — إنزقور (I 10, 142; II 11, 143), დაწერილობა დიაკრიტულნიშნებიანია, ქართული სპეციფიკური წ და ყ თანხმოვნები კანონზომიერად ჯ და ც-ითაა გადმოცემული. ამოკითხულია სწორად; ვახუშტი ასახელებს ინწყორას-ქევს: «ქვალად მტკვარს მოერთვის, ცუხქის-ქვეის შესართავის პირისპირ, აღმოსავლიდამ, ინწყორას-ქევი, გამომდინარე კოლიანის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთად»<sup>4</sup>. Description-ისადმი დართული რუკის მიხედვით Intsqoris-Tsqal-ზე, რომელიც მტკვრის მარჯვენა შენაკადია, რუსთავისა და გიორგიწმინდის ზონაში აღნიშნულია პუნქტი Intsqora. ინწყორა «დავთრის» დროს 12 კომლიანი სოფელია. 1859 წ. საბუთში და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, 1845 წლისაშიც ის უკვე მოსახლეოვან დაჯარიელებული ჩანს: Инцкора—пустошь помещицы, при ручье камзинском [ყაზისწყალი] ... по косогорю близ проселочной дороги, ведущей от Аспиндзы до г. Ахалциха...<sup>5</sup> მე ქვემოთ მთლიანად მოვიყენებ ერთ ქართულ საარქივო საბუთს, რომელიც საერთოდ მნიშვნელოვანი საბუთია და, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში იძლევა დამახასიათებელ დეტალებს ამ პარაგრაფში განსახილველი ინწყორა სოფლის შესახებ.

<sup>1</sup> სცია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 32 გ, 89 გ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 22 ვ.

<sup>3</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 28 ვ; სცია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 19 გ.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალ. ქართული ლიტერატურა, გვ. 184; ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, თბილისი, 1949, გვ. 461; ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმეფონა-ლექსიკონი, თბ., 1948-1949, გვ. 627.

<sup>5</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127; საქ. ისტორიულ რუკაზე<sup>6</sup> შეცდომით «ინწყობას ხ.»-ია აღნიშნული.

<sup>6</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 29 ვ.

1845-го года июля 10 дня по делу о самовольном завладении землей Ахашенскими<sup>1</sup> жителями при пустопорожной деревне Ичхора (sic!). Владелец этой земли ахалцихский житель Петр Варламов был спрошен без присяги; показал следующее:

„სახელად მიწოდებენ და გვარად ვარ ვითარცა ზემორე წერილ არს, ოც და შვიდის წლისა ვარ, კათოლიკის სარწმუნოებისა, აღსარებას ვუბნობ და ვეზიარები ყოველს წელიწადს, კითხვა და წერა ქართული ვიცი, შტრაფსა და პოდსუდში არა ვყოფილვარ.

სხუათა საცხოვრებელთა და მამულთა რიცხუთა შორის, რომელნიცა დარჩნენ შემკვიდრეობით მეუღლესა ჩემსა, შემდგომ სიკუდილისა მამისა მისისა ახალციხის მცხოვრებელის იოსებ ჯაყელისა, სოფიოს, არის ხერთვისის უჩასტკასა შინამცა ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი ი ნ წ ყ ო რ ა, სუილული განსვენებულის ჯაყელის ზიერ და გვაქუს მასზედა ნასყიდობის წერილი, დამტკიცებული ახალციხის დროებითსა სასამართლოსა<sup>2</sup> შინა ჩუკთ-ს წელსა<sup>3</sup>. ხოლო მას ნასოფლარსა ახაშნელეები და სხუანი რომელნიმე მცხოვრებნი ხუნენ და უბნობენ, რომელ ისინი სარგებლობენ თავების<sup>4</sup> ძალით და თავები მიუღიათ პირტჯლის, ძველის მებატონეებისაგან, მაგრამ ესე ვითარნი თავები მათნი, როდესაც განსვენებულმა ჯაყელოვმა იყიდა ის სოფელი, მაშინ არწარმოჯდგენიათ იმათი და არცა აქუსთ მისგან არავითარიმე საბუთი იმა ნასოფლარის მიწების ხმარებისა. ეს მიწები არიან ჩემს მფლობელობაში იქნება ოთხი წელიწადი, დარწმუნებითა მეუღლისა ჩემისათა და ყოველს დროს მე ყმებთა მათგან, რომელნიც იმ მიწებს ხმარობენ, მივიღებდი ხოლმე დაწესებულსა ნაწილსა შემოსავლისასა, გარნა მე ამიერიდგან არღარა მსურის გაცემა იმა მიწების სხუათათჳს, ალ მსურს მე თჳთონ ვისარგებლო და ვხმაროცა საკუთრება ჩემი.

ამ ჩვენებაზე ჰელს ვაწერ ახალციხეში მცხოვრები პეტრე ვარლამოვი“<sup>5</sup>.

სოფ. ინწყორასთან აღნიშნულია მიწა (ალბათ, სახელად) კაძას-ი ჩაი-რიოთურთ, რომლის ანოკითხვა არ მოხერხდა.

27. სოფ. ზ ე მ ო ო შ ო რ ა — اوشورا (I 10, 142; II 11, 143). ამ დაწერილობაში اوشورا ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს და, ამდენად, მისი اوشورا-დ წაკითხვა ადგილი საქმეა. მომდევნო № 28 სოფელია ქ ე ე მ ო ო შ ო რ ა — اوشورا سفلا (I 10, 143; II 11, 144). „ასპინძიდან ორიოდ ვერსის სავალზედ სოფელი იღუმალაა, ხოლო იღუმალის მარჯვნივ ერთს მივარდნილს, მიმალულს ადგილას არის ხეობა, რომელშიც ორი სოფელია ქ ე ე მ ო ო შ ო რ ა“ (Zamo-Ochora, Kwamo-Ochora)<sup>6</sup>. ექ. თაყაიშვილით: ზე-

<sup>1</sup> სოფ. ახაშენი || ახალშენი იხ. ზემოთ, გვ. 184.

<sup>2</sup> = „ახალციხის დროებითი სამმართველო“—Ахалцихские Временное Управление.

<sup>3</sup> = 1829 წელს.

<sup>4</sup> თათი — თჳს — ნასყიდობის სიგელი (დაწერილებით შემდეგ).

<sup>5</sup> სტია, ფ. 73, ს. 54, გვ. 12 r, 12 v, 13 r.

<sup>6</sup> ი. ალხაიშვილი, ასპინძის ომი, „ივერია“, 1898, № 34; მ. ბროსე, Rapports..., II,

ვით ოშორისწყალზე ვიწრო ხეობაში მდებარეობს ზემო ოშორა, ქვემო ოშორა მდებარეობს ოშორისწყლის ნაპირას, რომელიც მტკვრის მარჯვენა შენაკადია<sup>1</sup>. ვახუშტი ახსენებს ოშორის-ქვეს და ზემო ოშორას: „კვლად მტკვარს მოერთვის, წითელკლდეს ზეით, ღობეთის პირისპირ, ოშორის-ქვეი... ამ ქვეზედ, ზემო ოშორას ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი...“<sup>2</sup>. საარქივო საბუთი ასე ახასიათებს ზემო და ქვემო ოშორათა მდებარეობას: Верхняя Ошора — деревня помещицья, при речке Дидихевисцкали и ручье Чартиписцкали и под горами, [с] правой стороны, Сачхიკве, а с левой — Калабойиш...<sup>3</sup> Нижняя Ошора — деревня помещицья, при речке Дидихеура и ручье Тутехеви, по косогору по полошвами гор Сакарауло и Карчиела...<sup>4</sup>

ადგილმდებარეობა ოშორას სახელით ცნობილი სოფლებისა საესე-ბით გარკვეულია ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე. Description-ისადმი დართულ რუკაზე, გარდა ჩვენი „დავთრის“ ზემო და ქვემო ოშორასი, აღნიშნულია კიდევ Ochora<sup>5</sup>.

დღეს ასპინძის რაიონში ჩვენ გვაქვს ოშორის სასოფლო საბჭო, რომელშიც ქვემო ოშორა სოფელი შედის; უფრო ადრე ოშორის სასოფლო საბჭო აერთიანებდა ქვემო ოშორას, ზემო ოშორასა და ყაშას<sup>6</sup>.

28. სოფ. ქვემო ოშორა (იხ. ზემოთ № 27).

29. სოფ. ქვემო ბოქთა —  $\text{خاچو}$  (I 10, 144; II 11, 145), არის აქვე 35 ნომრად აღწერილი ზემო ბოქთა  $\text{خاچو}$  (I 10, 146; II 11, 147). ელენე ტაბატაძის წარმოთქმითაც ბოქთა-ა. არქივისეული სიების მიხედვითაც Бокта-и сурфа და ყლია (= ბოქთა ქვემო და ზემო, გვ. 11v, 11r).

ქვემო და ზემო ბოქთა სოფლების ლოკალიზაცია ძნელი არ არის. ეს უნდა იყოს ხუთფერისიან რუკაზე დაახლოებით ოთასა და ქვემო ოშორას შუა აღნიშნული პუნქტი P. Д. Бокта, ან არადა „ევროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ ამჟამად აღგილას აღნიშნული Бокта (ორთავე შემთხვევაში შუათანა „ქ“ თანხმოვანი სპირანტი x თანხმოვითაა გადმოცემული). ბოქთაები „დავთრის“ დროსაც პატარა სოფლები ყოფილან: ქვემო ბოქთაში 3 კომლია, ზემოში — 2. როდის გაუკაცრიელდა შემდეგ ბოქთა ჩვენ არ ვიცით, ოღონდ XIX საუკ. საარქივო მასალებში ის უკვე მითოვებული ჩანს. მოვიტანთ ცნობებს: Казач-

<sup>1</sup> МАК, XII, გვ. V, 9, 8. ამ სოფლის დასახასიათებლად და აგრეთვე ადგილობრივი ონომასტიკონის შესასწავლად საინტერესოა ქვემო ოშორის ეკლესიის წარწერა (XIV საუკ.); რომლის ნაწყვეტში შემდეგი წერია: „დედათა ღვთისათა, შენდა სამსახურად ვიყიდენ ორნი ვენახნი და სამნი ყანანი, მე იუდიფ ყოფილმან ეფროსინე და მივეც შემანგულას ძესა ბასილი-სა... და მისა შეილსა ფირანს...“ (იქვე).

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>3</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 27 v.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Description géographique de la Géorgie... რუკა № 1.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18 და საქ. სსრ აღმ.-ტერიტორიული დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

ная земля под названием Бокта — 36 дневной пахля, отданная в пользование жителей деревни Верхней Ошоры<sup>1</sup>. «Бокта — пустошь казенная, при роднике Медис-цкаро<sup>2</sup>. განსაკუთრებით ძალიან ბევრია ბოქთაზე მასალა საარქივო ფონდში, რომელსაც ეწოდება Дело производителя работ по поземельному устройству государственных крестьян Закавказского края (ფონდის № 223). აქ მოთავსებული თავისდათავად სინტერესო მასალიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ცნობას ამოვიღებთ: ერთი ასეთი ცნობიდან ჩანს, რომ ბოქთაში ბერძნული მოსახლეობაც ყოფილა (ალბათ ამით აიხსნება „ბოქთას“ „ბოხთა“ ვარიანტი. შდრ. ბერძ. ხრისტე → ქართ. ქრისტე). მოვიტანოთ ამ ცნობიდან ამონაწერი: При сем прилагаю копию с плана участка казенной лесной дачи Бокта площадью в 170 десятин 200 кв. саж. Когда там возникло греческое селение Бокта, когда его бросили поселяне и откуда переселились и, наконец, на каком праве крестьяне села Верхняя Ошора пользуются всей площадью из дел канцелярии лесничества не видно<sup>3</sup>. ამრიგად, სოფ. ბოქთაში ჩვენი საუკუნის I ათეულ წლებამდე ბერძნული მოსახლეობა ყოფილა, შემდეგ ბერძნებს მიუტოვებიათ ეს სოფელი, ხოლო სოფელი ბოქთისა და მის გარშემო მდებარე ადგილები დასამუშავებლად გადასულა ზემო ოშორის მცხოვრებთა მფლობელობაში.

ბოქთას ეხება აგრეთვე ზემო ოშორის მცხოვრებთა ჩვენება იმის შესახებ, რომ ახალციხელმა ალაჯან ისკანდაროვმა ჩვენ სუბაზად<sup>4</sup> გამოგვიგზავნა ქვემო ოშორელი ალი ლეზგაოლი (რომელიც ახლა საზღვარგარეთაა გაქცეული) და მან [ლეზგაოლიმ] შეაგროვა ჩვენგან სახაზინო მიწად წოდებული ბოქთის ნათესებიდან გამოსაღებო (საარქივო მასალების ჩოქო — ჩოქოა-ის ნაცულად შეცდომა უნდა იყოს)<sup>5</sup>.

30. სოფ. აგარა ოთარაშენ ჩაირითურთ — اكره مع جابر او شاش (I 10, 144; II 11, 145). გურჯისტანის ვილაშეთად წოდებულ ტერიტორიაზე აგარას სახელით ბევრი პუნქტია ცნობილი. ამას პირობით შეიძლება ასპინძის აგარა დეარქვეათ. დიდი, 31 კომლიანი სოფელია. ასეთი დიდი სოფელი შედარებით მოკლე ხანში უნდა იყოს მიტოვებული, რომ იგი XIX საუკ. სამხედრო თუ სხვა დანიშნულების რუკებზე არ არის აღნიშნული. ეს პუნქტია, ალბათ, ნაჩვენები ვახუშტის მიერ, როცა ის წერს: „ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენია“<sup>6</sup>. აქ ასპინძის ციხეზე უნდა იყოს ლაპარაკი. მისი მდებარეობა განსაზღვრულია ასპინძის ზედა ნაწილით და აგარის მიჯნებით. მართლაც მ. ბროსეს მიერ Description-

<sup>1</sup> სცია, ფ. 71, ს. 30, გვ. 3 v.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 73, ს. 158, გვ. 28 v.

<sup>3</sup> სცია, ფ. 223, ს. 37, გვ. 7 r.

<sup>4</sup> სუბაში — ნატურალური გადასაზღვების ამკრები (სპეციალურად ამაზე IV წიგნში).

<sup>5</sup> სცია, ფ. 47, ს. 80, გვ. 27 r; აგრეთვე: იქვე, გვ. 2 r, 23 r.

<sup>6</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 127.

ისადმი დართულ რუკაზე (რუკა № 1). ასპინძასთან ახლო ჩრდილო-აღმოსავლეთით აღნიშნულია ა გ ა რ ა. 1933 წელს მე სოფ. ხიზაბავრაში პეტრე ივანეს ძე პოსოშვილისაგან ჩაწერილი მაქვს, რომ „ასპინძას ზეით ა გ ა რ ა ა ტყისკენ—აღმოსავლეთით“<sup>1</sup>.

სოფ. აგარასთან იხსენიება ჩ ა ი რ ი ო თ ა რ ა შ ე ნ ი. აგარასთან ახლო უნდა ყოფილიყო. ხუთვერსიან რუკაზე ოთა-ასპინძის ზონაში აღნიშნულია [Гора] О т р о ш а н. ვფიქრობ, რომ ეს „ოთროშან“-ი „ოთარაშენ“ სიტყვის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. ამ მთის სახელის უფრო სწორი ფორმაა მოცემული ერთ საბუთში — Отрашен<sup>2</sup> და თუ მთა ოთარაშენი არის სადმე მის კალთებზე არსებულ სათიბს (ჩაირს) ო თ ა რ ა შ ე ნ ი ერქმეოდა.

31. სოფ. ოთა — აქ (I 10, 145; II 11, 146). ექ. თაყაიშვილი წერს, რომ ზემო ოშორიდან ექვს ვერსზე, ასპინძისწყლის ნაპირას მდებარეობს სოფ. ოთა (Ота)<sup>3</sup>. მსხვილმასშტაბიან რუკებზე სოფ. ოთა ყველგან აღნიშნულია. ვახუშტთან ოთა ასეთ კონტექსტშია ნახსენები: „ამვე ასპინძის ქვეზე, ოთას, არს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი, სახიზრად“<sup>4</sup>. ოთა „დავთრის“ დროს პატარა, 6 კომლიანი სოფელია, 1870 წ. ოთაში 20 კომლი მოსახლე ყოფილა (ზისერმანი, 23). დღეს ასპინძის რაიონში ოთა ერთ სასოფლო საბჭოს შეადგენს (ოთის სასოფლო საბჭო)<sup>5</sup>. ოთაზე არქივში შემდეგი ცნობაა: Ота — деревня помещичья, при речке Саписло, на косогоре по ущелью отпнского дара<sup>6</sup>, окружена горами под названием Отрашен и каменными [скалами?] под назв. Бокта-башн... ექ. თაყაიშვილით ოთა ასპინძის-ხეგზეა<sup>7</sup>.

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ოთა ამგვარად იხსენიება:

პლიმიზღან გეთტი ასპინძა, ოთა,  
 აჯაფ ნერდნდურ რუსთაველ შოთა!  
 ('ხელიდან წაგვივიდა ასპინძა, ოთა,  
 ნეტავ სად არის რუსთაველი შოთა!'), ან კიდევ:  
 ყახ, ჟუხიდან ოვან, რუსთაველ შოთა!  
 პლიმიზღან გეთტი ასპინძა, ოთა!  
 ('ადექ, გამოიღვიძე, რუსთაველო შოთა!  
 ხელიდან წაგვივიდა ასპინძა, ოთა!')<sup>8</sup>.

<sup>1</sup> ჩემი „დღიურები“, გვ. 32.

<sup>2</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 25 v.

<sup>3</sup> МАК, XII, გვ. V, 9, Три хроника, СМОМПК, 28. გვ. 195; მ. ბროსე, Rapports...

21, 177.

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>6</sup> უთუოდ თურქ. derc—'ხევი', 'ხეობა' (← დიალექტ. dīrā).

<sup>7</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 25 v; Три хроника, გვ. 195, შენ. 9.

<sup>8</sup> ეს ლექსი ჩაწერილია პროფ. ს. მაკალათის მიერ. მომყავს ისე, როგორც დაბეჭდილია თითო-ორთა დიალექტური (შეიძლება კორექტურული) შეცდომის გასწორებით. იხ. ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 132.

32. სოფ. წირა — *زیر* (I 10, 145; II 11, 146). დაწერილობას ნიშნები დასმული აქვს გარკვევით. მისი ქართულად წაკითხვა შეიძლება რამდენიმენაირად: ზირ[ი], წირ[ა], ძირ[ი]. ანდრიაწმინდელი ელენე ტაბატაძის წარმოთქმით ეს არის წირა, არქივისული სიების მიხედვით, Цир (გვ. 11 v და 11 r). ერთ საბუთში ასეა ეს სოფელი მოხსენებული: «...назад тому около 30 лет как султанским тимарским баратом пожалованы Омар-аге Коса-огли деревни Онгора, Сахудабел, Чивтлик и злившик Цыр, кои-ми он при турецком пра-ве владел беспрепятственно...<sup>1</sup>. ამ მონაცემების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პუნქტის სახელი იყო „წირა“ ან, შეიძლება, „წირა“; თურქულში ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოვარდნით და თავკიდური „წ“-ს კასოთი გადმოცემით მართლაც ზირ იქნებოდა, ხოლო რუსულში „წ“ Ц-ით უნდა იყოს გადმოცემული — Цыр || Цыра. არქივისეულ საბუთში ერთ ადგილას ამ პუნქტის გადათურქულებული სახელი Цыра-ც გვაქვს.

33. სოფ. ქვემო ინთორა (I 10, 146; II 11, 146). იხ. ზემოთ № 8. ზემო ინთორა (გვ. 186).

34. სოფ. მლაშისხევი — *ملاشيه* (I 10, 146; II 11, 146). ამ დაწერილობას დიაკრიტიული ნიშანი აქვს. საერთოდ „დავთრის“ შემდგენელი ცდილობს რამდენადაც შეუძლია ზუსტად გადმოსცეს საერთოდ ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა. ძლიერ მაჩვენებელია, რომ ამ შემთხვევაში ორ თანხმოვანზე დაწყებული სიტყვის პირველი „მ“ თანხმოვანი დაკარგული არ არის. ცხადია, ცოცხალ მეტყველებაში „მ“ თანხმოვანი „დავთრის“ დროსაც არ უნდა ყოფილიყო თვით ქართველებშიც კი. ადგილობრივი მკვიდრების ელენე ტაბატაძისა და ნ. ლომსაძის წარმოთქმით ეს არის „მლაშხევი“. არქივისეულ სიებში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, „დავთრის“ გავლენით Млашхев-ი (გვ. 11 v, 11 r) გვაქვს, მაგრამ რამდენად მლაშისხევი ფორმა არ შეესაბამება ცოცხალ წარმოთქმას იქიდანაც ჩანს, რომ I სიაში (გვ. 11 v) Млашхев შესწორებულია Млашхев-ად. ასევეა ერთ საბუთში — Млашхев-ი წაშლილია და დაწერილია Млашхев<sup>2</sup>. მაშასადამე, „დავთარში“ ჩვენ გვაქვს ამ სიტყვის სრული და პირველადი სახე — მლაშისხევი, რომელშიც შემდგომ ხანებში „მ“ თავკიდურთან ერთად შუათანა „ს“ თანხმოვანიც ამოვარდნილია: „ვაეი ლაშისხეველი ყოფილა“<sup>3</sup>, 1836 წ. ერთ დოკუმენტზე ხელს აწერს „ლაშისხევის მამასახლისი“<sup>4</sup>, რუსულ საბუთში Млашхев-ი გვაქვს. არ ვიცი რა მიმართებაშია მ. ბროსეს მიერ ნახსენები Lachkhikhew || ლაშხისხევი აქაურ ლაშხევეთან<sup>5</sup>.

„დავთრის“ დროს მლაშისხევი 10 კომლიანი სოფელია. მლაშისხევი შედიოდა ასპინძა, იდუმალა, ოთა და ახალშენ სოფლებთან ერთად ასპინძის

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 156 r და v.

<sup>2</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 26 v; ზისერმანთანაც (გვ. 4) ასევეა.

<sup>3</sup> „ძველი საქართველო“, III, გვ. 253.

<sup>4</sup> სტია, ფ. 1000, ს. 6, გვ. 13 r.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 45 r; Rapports... II, 125.



სასოფლო საბჭოში<sup>1</sup>. კ. ზისერმანით 1870 წ. ლაშხევეში 15 კომლია, მდებარეობს ოშორისწყალთან, ახალციხიდან 22 ვერსის მანძილზე. კ. ზისერმანის ლაშხევის რუსული თარგმანი Искрачное усадьбе გაუგებარია<sup>2</sup>.

35. სოფ. ზემო ბოქთა (იხ. ზემოთ, 29, ქვემო ბოქთა, გვ. 199).

36. სოფ. ფერისხევი — فرسخو (I 10, 146; II 11, 147). დაწერილობა დიაკრიტულნიშნებიანია და ამოკითხულობა სავსებით სწორი. არქივისეული სიებიც Перисхев ფორმას იძლევა (გვ. 12 რ, 11 რ). „დავთრის“ დროის ფერისხევი 3 კომლიანი სოფელია. შემდეგ ცნობებს, თუ როდის გაუკაცრიელდა ან სხვა რამეზე, ვერ მივაგენით.

37. სოფ. კარკლანი — كركلان (I 10, 147; II 11, 147). დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, ა ნიშანი „დავთარში“ (ქართული სახელების გადმოცემისას) ყველგან ც უნდა იყოს. ამიტომ ეს დაწერილობა ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ასე: كركلان. და მართლაც, „ხუთვერსიან რუკაზე“ დაახლოებით იღვმალა და რუსთავ სოფლებ შუა აღნიშნულია პუნქტი Урочище Каркан, სხვაგან, მაგ., „ევროპული რუსეთის სპეტრუკაზე“, აგრეთვე მახინჯი ფორმით — Каркан-ით. „კარკალან“ სიტყვაში „ან“ ბოლოკიდური მარცვალი ისევე უნდა იყოს ჩამოვარდნილი, როგორც ეს ჩამოვარდა „განძან“ (თანამედროვე მეტყველებაში) და „ფოკან“ სახელებში. ოღონდ „კარკალან“ სახელის სისწორეში ექვი მანც შეგვაქვს. ეს რომ ქართული წარმოთქმით „კარკალანი“ ყოფილიყო, მაშინ „დავთარში“ كركران უნდა გვქონოდა (მკვეთრი „კ“, როგორც წესი, გადმოცემულია კ ასოთი); كركلان-თ უფრო ქართული „ყარყალანი“ უნდა ყოფილიყო გადმოცემული, თუმცა ჩვენ IV წიგნის „ფონეტიკის“ ნაწილში დავინახავთ, რომ ქართული „კ“ თანხმოვნის თურქული კ-ით გადმოცემის შემთხვევებიც გვაქვს.

არქივისეულ სიებშიაც — Каркаланი მერე შესწორებულია Каркalan-დ; გვ. 12 რ და 11 რ.

ამრიგად, II წიგნში მოცემული ვარიანტი „კარკლოანი“ სწორი არ არის; ამ პუნქტის სახელი უნდა ყოფილიყო ან „კარკლანი, ანდა უფრო ნაკლებად მოსალოდნელი „ყარყალანი“.

კარკლანი „დავთრის“ დროსვე გაუკაცრიელებულია.

38. სოფ. მამაწმინდა — ماما مستمندا (I 10, 147; II 12, 148). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ისეთი ნათელი მოხაზულობისაა, რომ მის მამაწმინდა-დ ამოკითხულობაში ექვი არ მეპარება. ერთსაბუთში ონლორა, სახუდაბელ სოფლებთან ერთად იხსენიება Курмамашинда, მაგრამ ამ შემთხვევაში რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან ყ უ რ ი და მ ა მ ა წ მ ი ნ და სიტყვები მე არ ვიცი<sup>3</sup>. ამხ. ნ. ნათენაძის მიხედვით.

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 4.

<sup>3</sup> სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 154 რ, 155 ვ.

მამაწმინდა პუნქტი სოფ. ოთასთან უნდა იყოს. ელენე ტაბატაძეც ადასტურებს ასეთი სახელწოდების პუნქტს, მაგრამ ადგილმდებარეობა არ იცის. ერთი არქივისეული საბუთიდან ირკვევა, რომ მამაწმინდა ონლორის მილამობებში: „... из книг актов Правления видно, что Степан Алехов купил у Омара Али Коса-огли в Аспиндзском санджаке деревни Онгора с урочищем Куркареты, М а м а ц м и н д а... აგრეთვე... действительно есть в Анхурском санджаке две пустопорожние деревни... Персатхеви и Мамацминда...<sup>1</sup> არქივისეულ სიებშიც Мамацминда გვაქვს (გვ. 12r და 11r). აღწერილია გაუცაცრიელებულ სოფლად.

39. სოფ. ხიდურეთი — خدورت (I 10, 147; II 12, 148). პირველ ასოს დიაკრიტული ნიშანი აზის და დაწერილობის საერთო მობაზულობა თითქოს ექვს არ ტოვებს, რომ აქ ხიდურეთ სიტყვა უნდა გვექონდეს. ელენე ტაბატაძეც ადასტურებს ასეთი გეოგრაფიული სახელის არსებობას. სიებშიც Хидурет-ია (გვ. 12r, 11r).

სოფელი დაეთრის დროსვე გაუცაცრიელებულია.

40. სოფ. უკანჯულისი, ღართა სოფელთან — اوكان كوليس (I 10, 147; II 12, 148). არქივისეული სიები ჩვენს ამოკითხულ „უკანჯულის“-ს უქერენ მხარს (Уканкүлис, გვ. 12r, 11r); ამდენად დაწერილობაც ისე კარგადაა შესრულებული, რომ შეიძლება კითხვითი ნიშნები მოიხსნას.

41. სათესველი შოროთა, მეორე სახელი შოროთის ეკლესია — مزرعة شوراء ما ديكركل: شوراء (I 10, 147; II 12, 148). ამ დაწერილობაში ყველა სათანადო ასოს ნიშანი აქვს, მეოთხე „ასო თურქულში ა-დაც იკითხება და ე-დაც და, ამდენად, მისი „შორეთა“-დ ან „შორათა“-დ წაკითხულობა სრულებით ექვს არ იწვევს. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახაბთ, ამ ადგილის ქეშმარიტი ქართული სახელია შოროთა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შოროთა აღწერილია მხოლოდ სათესველად, ან კიდევ ეკლესიად. ეს იმას ნიშნავს, რომ შოროთაში მოსახლეობა არ ყოფილა და 600 ახჩად დაბეგრულია შოროთას საყანე ადგილები, რომელსაც, შეიძლება, იმავე ეკლესიის ტექნიკური პერსონალი ამუშავებდა.

ვახუშტის მიხედვით, „ასპინძის-ქვევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო, შეენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცალიერი“<sup>2</sup>.

მ. ბროსე წერს, რომ გაემართა სოფ. ოთისკენ და შემდეგ დაათვალიერა Taïdj-ისა ანუ Cholothan-ის მონასტერი. ამ Taïdj-ის ან Cholothan-ის მონასტერს იგი აიგივებს ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებულ შორაპანის მონასტერთან<sup>3</sup>. მ. ბროსე ამ მონასტრის სახელად შოროთას არ ახსენებს.

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 80, გვ. 154 r, 155 v.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>3</sup> M. Brosset, Rapports... II, 177.

ალბათ ვახუშტის მიხედვით, შორაპანის მონასტერს უწოდებს ამ პუნქტს აგრეთვე დ. ბაქრაძე, რომელმაც ეს მონასტერი მოინახულა 1867 წელს. იგი ეთანხმება ვახუშტს, რომ მონასტერი მდებარეობს ასპინძის წყალზე და მართლაც შესანიშნავ, ბუნებით მდიდარ ადგილას. ამავე დროს დ. ბაქრაძე შენიშნავს, რომ ვახუშტთან შორაპანის სახელით ცნობილ ამ მონასტერს ჩემმა თანამგზავრმა, ამ კუთხის ბლალოჩინმა დეკანოზმა გამრეკელოვმა უწოდა „შორათის ეკლესია ანუ ბეთლემი“-ო<sup>1</sup>. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ გამრეკელოვის მიერ დ. ბაქრაძისათვის მიწოდებული ცნობა მთლად ზუსტი მაინც არ არის. მართალია, შორათის (და არა შორათის) ეკლესია კია ეს, მაგრამ მისი ბეთლემთან გაიგივება სწორი არ არის. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ბეთლემი ასპინძის რაიონის ამავე მონაკვეთზე დამოუკიდებელი პუნქტია, რომელიც „დავთარში“ აღრიცხულია 14 ნომრით<sup>2</sup>. შორათა და ბეთლემი რომ ერთი და იგივე პუნქტი ყოფილიყო, ორივე ერთად იქნებოდა აღრიცხული (როგორც, მაგალითად, „ალთუნკალ“-ა. მეორე სახელი შოყა<sup>3</sup> და სხვ.).

ექ. თაყაიშვილსაც, რომელმაც აგრეთვე პირადად მოინახულა ეს ადგილი, ამ მონასტრის შესახებ საგულისხმო ცნობები აქვს<sup>4</sup>. უპირველეს ყოვლისა თვით მონასტრის სახელწოდების შესახებ. ექ. თაყაიშვილს სათაურშივე მოტანილი აქვს Шорети და წერს: Шорети буквально значит отдаленное место, но Шоретский монастырь не столько отдален от сел. Отъ, сколько труден подъем к нему... Шорети древнее название монастыря, теперь переделанное в Шолота<sup>5</sup>.

ჯერ ერთი: შორეთი კიდევაც რომ რქმეოდა ამ მონასტერს, მაშინაც გაკირდებოდა ამ სახელწოდების „შორ“ სიტყვიდან წარმოშობა. მაგრამ ამ ადგილსა და მასზე გაშენებულ მონასტერს ეწოდება შორათა და არა შორეთი (ექ. თაყაიშვილი), ან შორეთა („დავთარი“). რომ ამ მონასტრის სწორი სახელი შორათაა ჩანს იმ სამი ხელნაწერების (პერგამენტზე) მინაწერებიდან, რომლებსაც თვითონ პროფ. ექ. თაყაიშვილი ასახელებს აქვე<sup>6</sup>. ყველა ეს ხელნაწერი მე შევამოწმე მუზეუმში; ესენია: ერთი ვანის ოთხთავის მინაწერი (თაყაიშვილით არა უგვიანეს XIV საუკ.), რომლიდანაც ჩანს, რომ შალვა არტანუჯელის შვილის ბექას მეუღლემ შესწირა ეს ოთხთავი აწსა გწი შორათისასა<sup>7</sup>; მეორე — ვინმე კოზმან უგრეხელისძე XIII-XIV საუკ. ხელნაწერის მინაწერში ამბობს: შევწირე შორათ-

<sup>1</sup> Дм. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 151.

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, გვ. 189.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, გვ. 153.

<sup>4</sup> МАК, XII, 10-13.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 10, ამავე გვერდზე სკოლიონში ავტორი უპირატესობას აკლავ „შოლოტას“-ანიკებს; ძველ ხელნაწერებში „შორათა“ იყო.

<sup>6</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.

<sup>7</sup> აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, А 1335, გვ. 274 რ.

თას<sup>1</sup>; მესამე ხელნაწერის (მეტაფრასტის) მინაწერში არსენ უგრეხელიძის შილი პავლე სწირავს ამ მეტაფრასტს შორითას მონასტერს: ... წმიდისა გიორგის შორითისაჲთა, შეესწირენ შორითას<sup>2</sup>. ამრიგად, არავითარი ეჭვი არ ჩნდება, რომ ამ ადგილისა და ეკლესიის სახელწოდება შორითა და არა შორეთი. ამის შემდეგ ადვილი ასახსნელია, თუ რატომ არის „დაეთარში“ ეგ სახელწოდება თურქულად ტრანსკრიბირებული — *شورود*, რომელიც „შორეთად“ იკითხება. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომ თურქის წარმოთქმაში ო ხმოვანი პირველ მარცვალს იკითხარ მიდის. ამით აიხსნა ის ფაქტი, რომ ქართ. ბოლოკლდე თურქულში გადმოცემულია *كلاهد* = „ბოდაკლდე“-დ, (მეორე ო ა-დაა გადმოცემული)<sup>3</sup> ქართული „წახნისწყარო“ — *خاخره* || ზახნისსკარა (აქაც ბოლოკიდური ო გადმოცემულია ა-დ)<sup>4</sup> და სხვ. მაშასადამე, თურქის გადმოცემაში შორითას მეორე ო გადმოცემულია კანონზომიერად ე-დ ან ა-დ = „შორეთა“, „შორათა“. ამით ჩვენ ვასწორებთ შორეთა (II წიგნი) წაკითხვას შორითად.

ახლა რაც შეეხება ვახუშტის „შორაპანის მონასტერს“. ძლიერ მაჩვენებელია, რომ დ. ბაქრაძის თანამგზავრმა ადგილობრივმა ბლალოჩინმა გამრეკელოვმა ამ მონასტრის სახელად „შორაპანი“ არ დაასახელა<sup>5</sup>. თუ ამ მონასტერს ერქვა, ან ოდესმე ეწოდებოდა შორაპანი, ადგილობრივ ბლალოჩინს ეს უნდა სცოდნოდა. პროფ. ექ. თაყაიშვილმა მართებულად შეიტანა ექვი ვახუშტის ამ ცნობაში. ის ამბობს: Вахушт неизвестно почему называет его Шорапанским монастырем... მაგრამ განსვენებული მეცნიერი აქვე შენიშნავს, რომ ვახუშტის მიერ მოწოდებული ცნობები ამ შორითის (ვახუშტით შორაპანის) შესახებ მეტად ზუსტი არისო<sup>6</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ ვახუშტი, ბროსე, ბაქრაძე, თაყაიშვილი ყველა ერთ და იმავე მონასტერზე ლაპარაკობენ. გარდა იმისა, რომ „დაეთარში“, რომელიც ამ მხრით მეტად სანდო ძეგლია, „შორაპანის მონასტერი“ სულ არ იხსენიება, სხვადასხვა ხასიათის საკმაოდ მრავალრიცხოვან წყაროში, რომლის გადათვალიერებაც მე მომიხდა „დაეთარის“ ტოპონიმის შესასწავლად. ვერსად ვერ შევხვდი ამ ადგილისათვის „შორაპან“ სახელწოდების დამადასტურებელ ცნობას. ამიტომ მე ვფიქრობ, დროა უარყოფილ იქნეს ვახუშტის ცნობა, რომ, თითქოს, ამ მონასტერს, „შორაპანი“ ერქვა და აღიარებულ იქნეს, რომ ვახუშტი აქ უთუოდ შეცდომაშია შეყვანილი (შეიძლება ამ შეცდომას

<sup>1</sup> იმავე მუხუშტის ხელნაწერი A 36, გვ. 506 v.

<sup>2</sup> იმავე მუხუშტის ხელნაწერი A 90, გვ. 448. ნამდვილად ყველგან შორითა რომ იკითხება დამიდასტურა პროფ. ილ. აბულაძემ; შდრ.: Ф. Д. Жордания, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея Карпатско-Кавказского духовенства, кн. I, тб., 1901, გვ. 27, 28. 93. ხელნაწერის ამწერი ბორითად კითხულობს და შორითა კითხვით ნიშნით ფრახილებში აქვს მოთავსებული.

<sup>3</sup> დაეთარი, I 9, 128; II 11, 129.

<sup>4</sup> იქვე, I 9, 126; II 11, 127.

<sup>5</sup> Кавказ в древних памятниках христианства, 151.

<sup>6</sup> Е. Такайшвили, МЛК, XII, 10.

საფუძვლად ედვას გრაფიკული მომენტიც — „შოროთა“ სიტყვის „შორ“ კომპლექსით დაწყება).

ახლა განსახილველია კიდევ მ. ბროსესა და ექ. თაყაიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ შოროთის მონასტერსა და ციხეს ერქვა კიდევ Cholothan-ი<sup>1</sup> და Шолота, крепость Шолота или Шоретис-цихе<sup>2</sup>. ჯავახეთში მოგზაურობის „დღიურში“ მეც ჩაწერილი მაქვს, რომ „უიზილ-ყალასთან არის ეკლესია შოლოთა“ (გვ. 2). ადგილობრივ მკვიდრს ამხ. პ. მაზნიაშვილს კიდევ მოუწერია ჩემთვის, რომ „ოთის შიდამოებში არის ადგილი შოლოთა“-ო. ამრიგად ეს ცნობა დასტურდება. სხვათა შორის, Шолота ხმოვნების თვალსაზრისით სავსებით ემთხვევა ამ პუნქტის მართალ და ისტორიულ სახელწოდებას — შოროთას; ძნელი ასახსნელია რ თანხმოვნის ლ თანხმოვნით შეცვლა. მაგრამ ფაქტია, რომ ძველ სახელწოდებას — შოლოთას შემდეგში, შეიძლება სხვა ენობრივ წრეთა ზეგავლენით, შოლოთა და შოლოთა მოუცია. მ. ბროსეს Sholothan-ში an მარცვალი კიდევ გაუგებარია. უცნობია ჩემთვის აგრეთვე ამ მონასტრის კიდევ ერთი სახელი Taidj-ტაიჯი (ბროსე), ექ. თაყაიშვილთან Таиц<sup>3</sup>. შეიძლება ამ სახელწოდების გამოძახილი იყოს ჩემ მიერ ადგილზე ჩაწერილი მეტათეზისიანი ფორმა ქაიტა.

შოროთის ეკლესიის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში ვახუშტი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე და ექ. თაყაიშვილი სავსებით ერთსულოვანნი არიან. ვახუშტის მიხედვით „ასპინძის-წყვის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს (= შოროთას ხ. ჯ.) მონასტერი...“<sup>4</sup>. M. Brosset-ს მიერ გამოცემული Description-ისადმი დართულ რუკაზე სწორედ ასპინძისწყლის სათავესთანაა აღნიშნული მონასტერი Chogapani (= შოროთა)<sup>5</sup>. დ. ბაქრაძე, რომელმაც ადგილზე ნახა ეს მონასტერი, მონასტრის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში ეთანხმება ვახუშტის და დასძენს: Отсюда открыт вид на все ущелье Аспиндзис-цкали и долину р. Кумы в западном ее течении...<sup>6</sup>. ასევე ექ. თაყაიშვილიც ეთანხმება ვახუშტის ამ საკითხში და ამბობს: Действительно, Шорети находится у истоков Аспиндзис-цкали, в 6 верстах к юго-востоку от Отм<sup>7</sup>. მაშასადამე, სავსებით გარკვეულად უნდა ჩაითვალოს შოროთა პუნქტის ადგილმდებარეობა და ის ფაქტიც, რომ შორაპანი-შორეთა-შორეთი-შოლოთა-შოლოთანი-ტაიჯი-ტაიჯი-ქაიტა — ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტია.

ამრიგად, „დავთარში“ შორეთა || შორათა სათესველად ან შორეთის || შორათის ეკლესიად აღრიცხული გეოგრაფიული პუნქტის მართალი ქართული სახელი, ძველ ხელნაწერებში დაცული ცნობის მიხედვით, შოლოთა-ა,

<sup>1</sup> Rapports sur un voyage archéologique... II, გვ. 177.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

<sup>3</sup> M. Brosset, Rapports... II, გვ. 177; შტრ. ექ. თაყაიშვილი: „некоторые вазывают этот монастырь Таицским“ (МАК, XII. 10).

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>5</sup> Description géographique de la Géorgie, რუკა № 1.

<sup>6</sup> Кавказ в древних памятниках христианства, 151.

<sup>7</sup> ექ. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

ხოლო „შორეთა || შორათა, შორეთი, შოლოთა და შოლოთანი“ ამ სახელის მოგვიანო ხანებში გადასხვაფერებული ფორმებია.

ვახუშტის მიერ „შორაპანის მონასტრად“ სახელდებული მონასტერი-ტერიტორიულად ზუსტად ემთხვევა შოროთის მონასტერს და სამცხე-საათაბაგოში საერთოდ შორაპანის მონასტერი არ უნდა ყოფილიყო.

შოროთის ეკლესიის (მონასტრის) ადგილმდებარეობა ზუსტად აღწერილია მ. ბროსეს, დ. ბაქრაძისა და ექ. თაყაიშვილის მიერ, რომლებიც ადგილზე გაეცნენ ამ მონასტერს. ვახუშტის Description-ისადმი დართულ რუკაზეც აღნიშნულია შორაპანის (= შოროთის) მონასტერი<sup>1</sup>.

42. ქ უ შ უ რ ი მდინარე მტკვარზე დაქერილი თევზისა—სოფ. ნიალის<sup>2</sup> საზღვრიდან სოფ. ტობის<sup>3</sup> საზღვრამდე—სოფელ რუსთავის<sup>4</sup> საზღვრის გამორიცხვით. ..“عشر شكار ماهی (I 10, 147; II 12, 148). აქ ლაპარაკია თევზის საქერ ადგილზე—სოფ. ნიალიდან სოფ. ტობამდე—რომელიც დაბეგრილია 2000 ახჩით. გადასახადი თევზის ქერაზე “عشر شكار ماهی = ‘mshil. sikâri mahî... როგორც გადასახადი ჩვენ გარჩეული გვაქვს სპეციალურ განყოფილებაში<sup>5</sup> ისევე, როგორც ამ გადასახადთან დაკავშირებული სოფლები ჩვენ განხილული გვაქვს სათანადო ადგილას (არქივისეულ სიებში ამ ადგილას Шорак маи წერია (გვ. 12r, 11r).

43. სოფ. ხ ა რ ა ბ ა (? ) — სოფ. ფერისხევთან (I 10, 147; II 12, 148). დიაკრიტული ნიშნები ამ დაწერილობას არა აქვს. შესაძლებელია ეს არის ხარა-ხარაბა, რაც ‘ნანგრევს’; ‘პარტახს’ ნიშნავს. ამ სიტყვის ზუსტად ამოსაკითხავად მე მასალა არა მაქვს.

<sup>1</sup> შოროთაზე იხ. აგრეთვე: ვ. ბერიძე. სამცხის ზეოთმოდღერება... გვ. 211.

<sup>2</sup> სოფ. ნიალაზე ცნობები იხ. ქვემოთ, 15. ნიალისყურის ნჰპიფ, სოფ. № 4.

<sup>3</sup> სოფ. ტობაზე ცნობები იხ. ქვემოთ, 9. ჭაჭარაქის ნჰპიფ, სოფ. № 10.

<sup>4</sup> სოფ. რუსთავეზე ცნობები იხ. ზემოთ, გვ. 196.

<sup>5</sup> იხ. IV წიგნი.

# I. ახალციხის ლივა

## 9. ჭაქარაქის ნაპიჯი

1. სოფ. ჭაქარაქის ციხის რაბათი—*كچچ قلعہ اسکر* (I 10, 148; II 12, 148). ჭაქარაქის რაბათის გარდა ამავე სახელით აღრიცხულია: 2. სოფ. ზემო ჭაქარაქი *علی كچچ* ამავე სახელის რაბათთან (I 10, 148; II 12, 149) და 3. სოფ. ქვემო ჭაქარაქი (I 10, 149; II 12, 149). დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი არა აქვს (დედანი, გვ. 137). რომ ჰქონოდა უთუოდ ერთწერტილიანი იქნებოდა *ح* ასო, რადგანაც, როგორც უკვე ვიცით, ქართული მკვეთრი *ჭ* საერთოდ მელერი. *ح* (ჯ) ასოთია გამოხატული. მაშასადამე, თურქულად გვექნებოდა *كچچ*—ჯაჯარაქ. უთუოდ ასეთი თურქიზებული ფორმის გამოცხადილია ერთგვარსიან რუკაზე ამ სოფლის სახელი — *Джаджараги*. ამ სახელწოდებას ხშირად ვხვდებით აგრეთვე უშუალოდ გადარუსებული ფორმით — *Чачараки*. მაგრამ გვხვდება უფრო მეტად დამახინჯებული *Чечерекский ... житель*<sup>1</sup>. დამახინჯებული ფორმები გვხვდება აგრეთვე ქართულშიც: მე ადგილობრივ მკვიდრებთან საუბრის შედეგად ქვეპერქეიც მაქვს ჩაწერილი, „სოფ. ქექე რ ა ქ ი, კალა და ორი ყიშლა...“<sup>2</sup>, ან კიდევ: „1830 წელსა შინა ვისყიდე მე ერთათ დეკანოზი ორბელიანოვითურთ და ისკანდაროვი-თურთ სოფელი ქექე რ ა ქ ი, კალა, ოხერა...“<sup>3</sup> რა თქმა უნდა, სწორი ქართული ფორმა ამ სიტყვისა *ჭ ა ქ ა რ ა ქ ი*-ა; ასე აქვს ეს ვახუშტის თავის „გეოგრაფიაში“: „ამ ხილს ზეით მოერთვის მტკვარს *ჭ ა ქ ა რ ა ქ ი*-ს-ჭევი“<sup>4</sup>. ასევეა ეს სახელი სხვა საბუთშიც. მაგალითად, არქივის 1831 წლის ერთ მასალაში წერია: „ამასთანავე წარმოვადგენთ *ჭ ა ქ ა რ ა ქ ი* ს სანჯალშიდ წყორზის...“<sup>5</sup> არქივისეულ ქართულ საბუთებში მაინც უფრო მეტად ჭაქარაქია: „ვაჩვენე ჭაქარაქი სადგომათაც და სახნავ-სათესავათ...“<sup>6</sup> და სხვ.

ცნობილი ისტორიკოსი ი. ჰამერი (XIX საუკ. I ნახევარი), რომელმაც თავის ისტორიას საფუძვლად დაუდო უმთავრესად იმ დროს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი თურქული პირველწყაროები, ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლა-

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 75, გვ. 82 რ.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 64, გვ. 25 რ.

<sup>3</sup> სტია, ფ. 47, ს. 64, გვ. 27 რ.

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 128.

<sup>5</sup> სტია, ფ. 47, ს. 16, გვ. 97 ვ.

<sup>6</sup> სტია, ფ. 47, ს. 64, გვ. 44 რ.

ტურას, ცხადია, ეცნობა თურქული წყაროებით. ხოლო ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა რთულია თურქულ ტრანსკრიფციაში ქართული საკუთარი სახელების გადმოცემა. ეს სირთულე განსაკუთრებით იგრძნობა, როცა არაბულ დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები არა აქვს. ამით აიხსნება უთუოდ ის ფაქტი, რომ სახელწოდება „ქაქარაქი“ — كجرك, ნიშნების გარეშე — كجرح, შეიძლება ქვით ჩელების მიხედვით, რომელსაც აგრეთვე كجرح-ი აქვს<sup>1</sup>, ჰამერს ამოკითხული და დაბეჭდილი აქვს Chadschrek || ხ ა ჯ რ ე ქ-ად<sup>2</sup>. აქ ნებისმიერად პირველი ასო خ-დ, ხოლო მეორე ج-დ არის მხლებული.

დღეს არსებობს ერთი სოფ. ქაქარაქი, რომელიც მინაძე და ღრელ სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის მინაძის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>.

ქაქარაქი ადმინისტრაციული ცენტრია ნაჭიჯესი. ნაჭიჯესი (რაიონის) აღწერის დასაწყისში ქაქარაქის სახელწოდებით სამი პუნქტია აღრიცხული:

1. თვით ქ ა ქ ა რ ა ქ ი ს რ ა ბ ზ ტ ი, რომლის მოსახლეობა 12 კომლისაგან შედგება, 2. სოფ. ზ ე მ ო ქ ა ქ ა რ ა ქ ი, რომლის მდებარეობაზე ნათქვამია, რომ ის (ზემო ქაქარაქი) ქაქარაქის რაბზტთან მდებარეობს და რომელშიც ათკომლიანი მოსახლეობაა და 3. ქ ე ვ ე მ ო ქ ა ქ ა რ ა ქ ი — უკვე გაუკაცრიელებული სოფელი. Description-ისადმი დართულ რუკაზე ორი Dehacharaki-ია (თურქიზებული ფორმით!) აღნიშნული: ერთი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მეორე — მარცხენაზე. მარჯვენა ნაპირის ქაქარაქი (სოფ. მუსხთან ახლო მდებარე) უნდა იყოს ზემო ქაქარაქი, მაშასადამე, რაბზტინი ქაქარაქი. თუ ეს ასეა, მაშინ მარცხენა ნაპირის ქაქარაქი ქვემო ქაქარაქი იქნება. კ. ზისერმანი 7 კომლიანი სოფ. ქაქარაქი ახალციხიდან 5 ვერსის მანძილზე მდებარეობს (გვ. 6).

2. სოფ. ზემო ქაქარაქი (იხ. ზემოთ 1. სოფ. ქაქარაქის ციხის რაბათი.

3. სოფ. ქვემო ქაქარაქი (იხ. ზემოთ 1. სოფ. ქაქარაქის ციხის რაბათი.

4. სოფ. სამწუბი — სამروب (I 10, 149; II 12, 149). არქივისეული სიების მიხედვით — Санзуп-ი (გვ. 12r, 11r). 1836-1838 წლების ერთ საბუთში ამ პუნქტზე შემდეგი ცნობაა: Пустопорожнее место Самзуб — принадлежит прапоршнику Асатьеву и гражданину Агаджану Назарову<sup>4</sup>. ამ პუნქტზე სხვა ცნობა ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს. შესაძლებელია, რომ ეს სამروب-ის სახეობა —-ის გადათურქულებული ფორმა იყოს: მ დ ა ნ თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა . მონაცვლეობა ცნობილია და მ თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი კ ი ჯ ასოთია გადმოცემული. როგორც ადგილის სახელწოდება პირველად ს ა ნ ძ ო ბ ი, ხოლო შემდეგ ზ ა ნ ზ ო ბ ი მე ჩამაწერინა ანდრიაწმინდელმა ელენე ტაბატაძემ. ჩორჩო-აგარის ზონაში არქივის საბუთში იხსენიება пустошь Санзон<sup>5</sup>. მე ვფიქრობ, რომ С а н з о п-ი, სამწუბი და სანძობი || ზანზობი ერთი და იგივე პუნქტი უნდა იყოს.

<sup>1</sup> كجرك, 408. <sup>2</sup> GOR, II, 865. <sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>4</sup> სტია, ფ. 1044, ს. 4, გვ. 32 v. <sup>5</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 35 v.



„დაეთრის“ დროის „ს ა მ წ უ ბ ო სანძობი 14 კომლიანი სოფელია. მისი ადგილმდებარეობა დასაზუსტებელია.

5. სოფ. პ ა ტ ა რ ა ზ უ რ ზ ე ლ ი — كجوزر (I 10, 149; II 12, 150). დაწერილობას დასმული აქვს დიაკრიტული ნიშნები სრულად (იხ. დედანი, გვ. 138) და წაკითხვა არაერთად აქვს არ იწვევს. ოლონდ გასარკვევია ამ პუნქტისა და სასელწოდების ურთიერთობა იმ პუნქტთან, რომელიც ზემოთ ასპინძის ნაპიჯეში (№ 2) განვიხილეთ და რომელსაც აგრეთვე „ზურ-ზელი“ ჰქვია („ზურზელი“ ჩვენ მივიჩინეთ ქართული „ზრზელი“ სიტყვის გადათურქულებულ ფორმად, რომელმაც შემდგომ „ზეელი“ მოგვცა)<sup>1</sup>. „ზელის“ სახელით ჩვენ დრომდე მოაღწია მხოლოდ ერთმა სოფელმა. რომ ეს ორი პუნქტი და მათი სახელწოდებები ურთიერთს დაუკავშიროთ, დაბრკოლებას ვერ შექმნის ის გარემოება, რომ ერთი, ზემო ზველი (ზურზელი) ასპინძის ნაპიჯეშია, ხოლო მეორე — პატარა ზველი (ზურზელი) კი — ქაქარაქისაში. ზემო ზურზელი ასპინძისა და ქაქარაქის ნაპიჯეთა ზედ მიჯნაზე მდებარეობს და ტერიტორიულად ან მოსახლეობის წარმოშობილობის თვალსაზრისით მასთან დამოკიდებული პუნქტი, ბუნებრივია, შეიძლება ყოფილიყო ქაქარაქის ნაპიჯეში. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, ზემო ზურზელი ეს ლობიეთისა და ონლორის ზონაში მდებარე Зүрәли სოფელია<sup>2</sup>, ხოლო სოფ. პატარა ზურზელი უნდა იყოს ის პუნქტი, რომელიც Description-ისადმი დართულ რუკაზე ერკოტა-კობარეთის ზონაშია მოქცეული (Zwéli)<sup>3</sup>. ტერიტორიულად ეს ორი პუნქტი ახლოს არის ერთმანეთთან და შესაძლებელია ისიც კი ვიფიქროთ, რომ ზემო ზურზელიდან ოდესმე რამდენიმე კომლი გადასახლდა ერკოტა-კობარეთისკენ და ამ ადგილს შეერქვა პატარა ზველი. ამის შესახებ ადგილიდან (ი. ზედგინიძე, სტ. ინასარიძე) ასეთი ცნობა მივიღე: ერკოტა-კობარეთის ზონაში არის პატარა ზველი, რომელსაც ამჟამად გოგოთუბანს (?) ეძახიან. ეკუთვნის ზველს“. „დაეთრის“ დროის პატარა ზველში — 3 მოსახლეა. არქივისეულ სიგეში ამ პუნქტის სახელი აგრეთვე Зүрәли күчүк-ია (გვ. 12r, 11r).

6. სოფ. ა ნ დ ა — ანა (I 10, 150; II 12, 150). ანდა „დაეთრის“ დროს საკმაოდ მოზრდილი, 20 კომლიანი სოფელია. დღეს ანდა ახალციხის რაიონის ანდრიაწმინდის სასოფლო საბჭოში შედის სოფ. ანდრიაწმინდასთან ერთად<sup>4</sup>. 1842 წ. საარქივო საბუთში ანდა ნაჩვენებია 7 კომლიან სოფლად, რომელსაც ფლობს კერძო მემამულე<sup>5</sup>, ხოლო 1870 წ. მასში 9 კომლია ნაჩვენები (ზისერმანი, გვ. 22).

„ეეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ ანდრიაწმინდასთან ამ სოფლის სახელად ნაჩვენებია Анд.

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 177.

<sup>2</sup> იხ. „ეეროპული რუსეთის სპეცრუკა“; Description-ისადმი დართულ რუკაზე პუნქტს სახელად, ვფიქრობ შეიძლება, Swéli უწერია.

<sup>3</sup> M. Brosset, Description géographique de la Géorgie..., რუკა № 1.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 22.

<sup>5</sup> სტია, ფ./73, ს. 35, გვ. 4 r.

პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ სოფ. ანდრიაწმინდაში ჩაწერილ ერთ თქმულებაში იხსენიება „სოფ. ანდრიაწმინდისა და ანდასის საზღვარი“<sup>2</sup>. ვლიქრობ, რომ ეს „ანდასი“ ჩვენი „დაეთრის“ ანდა-ა, ოღონდ გაუგებარია, როგორ უნდა მიგველო ანდა-საგან ანდასი. „ანდა ანდრიაწმინდასთან ახლოა, ანდრიაწმინდის ზემოთაა“ (ელ. ტაბატაძე).

7. სოფ. გიორგიწმინდა ԳԻՐԳԻՍԱՏԵՍԵՎԼԻ—ԳԻՐԳԻՍԱՏԵՍԵՎԼԻ (I 10, 150; II 12, 151). ვახუშტით: „ამ ჰევს [ინწყორის-ჰევს] მოერთვის, გიორგი-წმიდას, სხვა ჰევი სამკრიდამ, მკირა“<sup>2</sup>. სოფ. გიორგიწმინდა მდებარეობს ენთელ და ურაველ სოფელთა ზონაში<sup>3</sup>. „დაეთრის“ დროს გიორგიწმინდა ნკომლიანი სოფელია. „გიორგიწმინდა კისათიბს იქითაა, ურაველთან ახლო; აწყურის ზეითაც არის გიორგიწმინდა“ (ელ. ტაბატაძე). სოფ. გიორგიწმინდა ახალციხის რაიონის კანტიეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>4</sup>.

სოფ. გიორგიწმინდასთან მდებარედ ԳԻՐԳԻՍԱՏԵՍԵՎԼԻ დასახელებული. ამ სახელის ამოსაკითხავად მე მასალა არ გამაჩნია.

8.- სოფ. ტრიბონი — ԿՐԻՅՈՆԻ (I 10, 151; II 12, 151). Трибони კანტიეთ, აგარა, ხრიან, ენთელ, ოდუნდა, ვაშლობ, ტბეთ, საგულე, ახალდაბა და გიორგიწმინდა სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის კანტიეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>5</sup>. ლ. ზაგურსკი ამ სოფლის სახელად შეცდომით Тиренъ-ს ასახელებს და „ტრიბონ“-ი, მისებურად Трибон ფრანგული სახელი ჰკონია; «Тиренъ, носившее на 5-тиверстной карте Кавказа французское название «Трибон»,—жители его три гола назад бежали в Түрцию»<sup>6</sup>; ასევე Трибон-ი აქვს დასახელებული (კანტიეთთან) კ. ზისერმანს (გვ. 12). ეს იყო XIX საუკ. 70-იან წლებში. შემდეგში აქ დასახლდნენ ქურთები. 1870 წ. ზისერმანს ტრიბონში 2 ქურთული კომლი აქვს აღნუსხული (გვ. 12). ტრიბონი ტბეთი, ჩორჩო, კანტიეთის ზონაშია<sup>7</sup>. მცდარი უნდა იყოს К. Ган-ის მოსაზრება, რომ, თითქოს, ამ სოფელში წმ. ტრიფონის სახელზე აგებული ეკლესია იყო და ამიტომაც ტრიფონ-ი → ტრიბონ-ი<sup>8</sup>.

9. სოფ. კვალთახევი — ԿՎԱԼԻԿԵՎԻ (I 10, 151; II 12, 152). ამ დაწერილობას დიაკრიტიკული ნიშნები სრულებით არა აქვს. „დაეთრის“ II წიგნში.

<sup>1</sup> მ. ჩიქოვანი, აბუსერიძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, № 7, თბილისი, 1944, გვ. 759.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>3</sup> იხ. თანდართულ რუკაზე; რუსულად Георгий-цминда: СМНЭБГКЗК, I, გვ. 248.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე რუსულად დაბეჭდილი სია—„Ахалцихский район“.

<sup>5</sup> იქვე, СМНЭБГКЗК-შიც (I, გვ. 248) Трибон-ი წერია.

<sup>6</sup> Л. Загурский, Краткий отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1872 г. Известия КОИРГО, ტ. II, № 2, თბ., 1873-1874, გვ. 55.

<sup>7</sup> იხ. თანდართულ რუკაზე.

<sup>8</sup> К. Ф. Ган, Опыт объяснения кавказских географических названий с предисловием, СМОМПК, 40, გვ. 139.

შხოლოდ პირველ ასოზეა დასმული ნიშანი (ც), ხოლო I წიგნში მე-10 გვერდზე **قو** (?) მაქვს დაბეჭდილი, ე. ი. ყველა ასოზე ნიშანი დასმულია, მაგრამ კითხვითი ნიშნით. ამავე წიგნის ძირითადი ტექსტის ნაწილში (I, გვ. 151) უფრო ფრთხილად **قو**-ი მაქვს დაბეჭდილი. I-სა და II წიგნების ბეჭდვის დროს, მასალის უქონლობის გამო, ამ დაწერილობის ამოკითხვა შეუძლებელი იყო. ამ დაწერილობის **قو** — კონაქთუ-დ წაკითხვას არაერთარი საფუძველი არ ჰქონდა და დიაკრიტული ნიშნების ასე დასმაც ნებისმიერი გამოდის. გარდა იმისა, რომ არქივისეული (ორივე სია სწორედ ამ გეოგრაფიული პუნქტის (ე. ი. ჭაქარაქის ნაძიგეს სოფელი № 9) სახელად იძლევა კოლთახეც სახელწოდებას (გვ. 12r და 11r), გეოგრაფიულადაც ამ ადგილისათვის როგორც რუკებზე<sup>1</sup>, ისე რიგ არქივისეულ საბუთებშიც **Колтахе**-ის სახელწოდების პუნქტია მოცემული. მაგალითად, 1838 წლის ერთ საბუთში ნათქვამია, რომ ვინმე სიმონ ხარი[ს]ქა[რა]შვილი ფლობს სოფ. **Квалთახეც** 12 კომლი მოსახლითა და 200 [მანეთის] შენოსავლით წელიწადში<sup>2</sup>; მეორე საბუთში კიდევ წერია: **Деревня Квалтахе** в состоит из 11-ти семейств; коренные жители католики, Симон Харис-чара-швили, Петре Джамер-огли...<sup>3</sup> ამ სოფლის ქეშმარიტი ქართული სახელია **კვალთახევი**. დოც. ილ. მაისურაძე ამის შესახებ წერს: „ადგილობრივ მას **კვალთახევი** ეწოდება“<sup>4</sup>.

როგორც ჩვენ უკვე ზემოთ ვნახეთ, „კვალთახევი“-ში „ვა“ კომპლექსი კანონზომიერად ო ხმოვნით უნდა გადმოცემულიყო თურქულში; და მართლაც, ეს გადათურქულებული „კოლთახევი“ გვაქვს ჩვენ არა მარტო თურქულში, არამედ რიგ ქართულსა და რუსულ საბუთებში. მაგრამ ამ სიტყვაში უფრო საინტერესოა სხვა ფონეტიკური მომენტები. **قو**-ში ამოვარდნილია ლ თანხმოვანი — „კოთაკევი“. ეს მოვლენა აღმოსავლეთ-ანატოლიის თურქული დიალექტებისათვის დამახასიათებელია; მაგალითად, **kalkmak** ზნის ფუძეში 1 თანხმოვანი დიალექტებში იკარგება: **qaxijer** ← **kalkiyor**<sup>5</sup>; ან კიდევ მაგალითი დაბეჭდილი ფოლკლორული მასალიდან:

**Kars'tan, Kağızman'dan, Zivart köyünden**

**K a h ı n, havalanın, uçun, Turnalar** <sup>6</sup>.

აქ ხაზგასმული **kahın** სიტყვაში — (**kahın** ← **kalhın** ← **kalkın**) 1 თანხმოვანი ამოვარდნილია. ამრიგად „კოლთახევი“ სიტყვაში ზედიზედ ორ „ლთ“ თანხმოვანთაგან „ლ“ თანხმოვანი კანონზომიერად დაიკარგა.

<sup>1</sup> Спецкарта Европейской России, Карта Кавказского Края (1869 г.), ერთვერსიანი რუკა და სხვ.

<sup>2</sup> სტია, ფ. 1044, ს. 15, გვ. 9 r.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 35 v.

<sup>4</sup> გახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“-ში (№ 35, 31.VIII.1941 წ.) რეცენზია ც. გაბაშვილის წიგნზე „ვარძია. გზამკვლევი“.

<sup>5</sup> ჩემი დიალექტოლოგიური მასალებიდან.

<sup>6</sup> ურნ. **Ülkü**, № 105, 1946, 1, II, გვ. 8.

შემდეგი თავისებურება „კვალთახეე“ სიტყვის თურქულ ტრანსკრიფციაში გადმოცემისა იმაში მდგომარეობს, რომ ქართული შვეთრი „კ“ ამჯერად ც-ითაა გადმოცემული. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ მკვეთრი „კ“, როგორც წესი, შესატყვისი მკლერი თანხმონით (ქ ასოთი) გადმოიცემა, მაგრამ ც-ით გადმოცემის შემთხვევებიც არის<sup>1</sup>. ც ასოთია გადმოცემული აგრეთვე „კვალთახეე“-ში „ხ“ თანამოვანი. ჩვენ ვიცით, რომ სალიტერატურო თურქულის არა თავიკიდური ც დიალექტებში „ხ“ თანხმოვანს გვაძლევს. ამან გამოიწვია თურქულში ტენდენცია ნანესხებ სიტყვებშიც „ხ“ სპირანტის ც-ით, ე. ი. სათანადო ხშულით გადმოცემისა; მაგალითად, ქართულმა „ბორჩხა“ სიტყვამ თურქულში Borçka მოგვცა, „ახალციხე“ სიტყვამ—ახისკა და სხვ.<sup>2</sup>

ამრიგად, უქვეელი ზღემა, რომ „დავთრის“ دافوس დაწერილობა ქაქა-რაქის ნაპიფეს ამ მონაკვეთზე მდებარე დასახლებულ გეოგრაფიულ პუნქტთა შორის კვალთახეე-ად წოდებული სოფლის სახელს გადმოგვცემს. ნიშნების დასმის შემდეგ ჩვენ გვეჩნება دافوس—კოთაქვე, რაც, როგორც დავრწმუნდით, საესებით კანონზომიერად გადმოსცემს ქართულ გეოგრაფიულ სახელს კვალთახეე-ს. „დავთრის“ მითითებული ადგილები უნდა შესწორდეს და ამოუკითხავად დატოვებული ეგ სახელწოდება ამიერიდან კვალთახეე-ად იკითხებოდეს.

კვალთახეეი „დავთრის“ დროსაც საქმაოდ დიდი, 30 კომლიანი სოფელია. ჩვენ დროში სოფ. კვალთახეეი მინაძე, ოხერა, ქაქარაქ, ქალა, ღრელ და ტობა სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის მინაძის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>3</sup>.

• 10. სოფ. ტობა—طوب (I 10, 152; II 12, 152). აქ საინტერესოა „ტ“ მკვეთრის ط და არა ط ასოთი გადმოცემა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ط-ც ხშირად მკლერს გამოხატავს ხოლმე (შდრ. طو=ომ). რუსულ ტრანსკრიფციაშიც Тоба გვაქვს<sup>4</sup>. რომ ამ სოფლის სახელწოდება ქართულად სწორედ „ტობა“-ა, ჩანს ხალხური ლექსიდან:

პური კლდეს, ღვინო ბოგასა, თევი მე მთხვეე ტობასა,  
თუ გინდა ვაშლი წითელი—გაღმა-გამოღმა წყორძასა<sup>5</sup>.

მსხვილმასშტაბიან რუკებზე სოფ. ტობა ყველგან აღნიშნულია. ელენე ტაბატაძის მიხედვით „ტობა წყორძასთანაა. ტობელები ახლა წყორძელები

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 57 (ს. კლდე).

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, გვ. 45, 46.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი (რუსული) სია—„Атл-ахцисаиშ რაიონი“.

<sup>4</sup> სტია, ფ. 77, ს. 16, გვ. 2.

<sup>5</sup> „ტელი საქართველო“, საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1913-14, გვ. 299; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 74.

გახდნენ“. ჩვენს დროში ტობა მიწაზე, კვალთაზე, ოხერა, ქაქარაქ, ჰალა და ღრულ სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის მიწაძის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>1</sup>. ტობა ახალციხიდან 10 ვერსზეა; 1870 წ. მასში 9 კომლია ნა-ჩვენები<sup>2</sup>.

11. სოფ. ურაველი — اوراول (I 11, 153; II 12, 153). მდებარეობს „მდინარე ურავლის ხეობაში“<sup>3</sup>. ბროსე ახსენებს „... la rivière Ouravelka“<sup>4</sup>. რუსულ საბუთებში: Уравель чечерекского сандажака<sup>5</sup>. ურაველს ეხება აგრეთვე თურქული არქივისეული საბუთი (№ 161) და სხვ. ერთი საბუთი შემდეგ ცნობას იძლევა ურავლის შესახებ: Уравель — деревня казенная, при рутье Инпула-су, на возвышенном месте по косогорю между двумя безыменными [sic!] оврагами Дзеро и Шурошет и по ушелью к речке уравельки...<sup>6</sup> კიდევ შემდეგ იხსენიება უკვე Уравель Слободка—поенного ведомства, при речке Уравельке на возвышенном месте, на краю оврага по уравельскому ушелью, под подошвою горы Кирачханумун усти и при этих уравельских минводах имеется на выше поясненном месте два деревянных флигеля...<sup>7</sup> ამ ურაველ სახელის ჩ. განსეული ანალიზი — „груз. ურა = ბურია (репная) лошадь и ველი = равнина — მიუღებელია“<sup>8</sup>.

ელენე ტაბატაძის მოწმობით „ურაველში თიული გადალაგდა“, ე. ი. ურაველში მთიულები დასახლდნენო. ამჟამად ახალციხის რაიონში ურაველი სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც ურავლის გარდა წყორძა, ხეოთ და მუსხ სოფლებს აერთიანებს<sup>9</sup>.

12. კისათიბი — كساديب (I 11, 153; II 12, 154). ყველგან ამ სოფლის სახელად კისათიბი მაქვს ჩაწერილი. ასევე აქვს ჩაწერილი ეს სახელი პროფ. მ. ჩიქოვანს<sup>10</sup>.

ჩვენს დროს კისათიბი ახალციხის რაიონში იყო სასოფლო საბჭოს ცენტრი, რომელიც ღრომა, ანდრიაწმინდა, ანდა, არჯულ, ლოდობანა და თაფლახევე სოფლებს აერთიანებდა<sup>11</sup>. „დავთრის“ დროის კისათიბში 15 კომლი მოსახლეა.

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი რუსული სია—«Ахалцихский район».

<sup>2</sup> ჩ. Энсерман, 4.

<sup>3</sup> გაზ. „კომუნისტი“, 5. II, 1950.

<sup>4</sup> Rapports sur un voyage... II, 119.

<sup>5</sup> სტია, ფ. 77, ს. 9, გვ. 4; ფ. 77, ს. 55, გვ. 7 v.

<sup>6</sup> სტია, ფ. 73, ს. 159, გვ. 32 v.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 33 v.

<sup>8</sup> Опыт объяснения Кавказских географич. названий... СМОМПК, 40, გვ. 142.

<sup>9</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტორიული დაყოფა, 21.

<sup>10</sup> აბუსერიძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. V, № 7, 1944, გვ. 758.

<sup>11</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი რუსული სია—«Ахалцихский район».

ქისათბთან დასახლებულია *كوان* ჩაირი, რომლის ქართული სახელი ჯერჯერობით უცნობია.

13. სოფ. ჩორჩო — *چورچو* (I 11, 154; II 12, 154). ამ დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები აქვს და ამოკითხულობა სწორია. ელენე ტაბატაძის მიხედვით: „ჩორჩო ხევშია — გიორგიწმინდასთან; ჩორჩოსწყალი აქ უერთდება ფულაში ჩამავალ წყალს. ადგილი წყორძელებისაა“. არქივისეული სიის «Чурчо» (I სია, გვ. 12 v) სწორი არაა. „დავთის“ დროის ჩორჩო 13 კომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. პროფ. ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილ თქმულებაში მოხსენებული ჩორჩო, ეს ჩვენი ჩორჩო უნდა იყოს: „შემდეგ [შ. რუსთაველს] უსწავლია ჩორჩო-აგარაში. ჩორჩინიდან (ადიგენის რაიონშია) გადმოსახლებულა რამდენიმე კომლი აგარაში და ამიტომ ამ ახალ უბნისათვის დაურქმევიათ ჩორჩო-აგარა“<sup>1</sup>. არქივის საბუთებში ხშირად გვხვდება *деревня Чорчо Чечерекского санджака*<sup>2</sup>. კ. ზისერმანი ჩორჩოში 2 კომლს აღნიშნავს (1870 წ.)<sup>3</sup>.

ჩორჩოს ადგილმდებარეობა სრული სიზუსტით განსაზღვრულია ელ. ტაბატაძის მიერ: „ჩორჩო ხევშია — გიორგიწმინდასთან“. პროფ. ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილ თქმულებაშიც ჩორჩო აგარას უკავშირდება. ამდენად მსხვილმასშტაბიან რუკებზე ახალდაბა და რაკის (Ракис) პუნქტებთან აღნიშნული *Чорчо* პუნქტი შეიძლება ჩვენი ჩორჩო არ იყოს.

1860 წლის ერთ საბუთში ჩორჩოზე შემდეგი საყურადღებო ცნობებია: *Чорчо — деревня помещицья, в коей проживают 5 семейств... при роднике Джаваир Хануми хейрат пүари<sup>4</sup>, другой безымянный и при ручье Балли Пүар<sup>5</sup>, на вершине под подошвою горы Кючук Корух<sup>6</sup>, в середине двух оврагов Куталарев Девагверда, кургана Керкеда и балкою саквейто и близ ущелья Чорчо дараси...<sup>7</sup>*

ჩორჩოსთან იხსენიება ზეჩორჩო ჩაირი.

14. სოფ. წყორძა — *زو غورچا* (I 11, 155; II 12, 155). ქართულად წყორძა:

პური კლდეს, ღვინო ბოგასა, თევზი მე მთხოვე ტობასა,  
თუ გინდა ვაშლი წითელი, გაღმა-გამოღმა წყორძასა<sup>8</sup>.

<sup>1</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 41; აგრეთვე: გახ. „კომუნისტი“, № 198, 1937, 30.VIII.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 10, გვ. 26, 40 და სხვ.

<sup>3</sup> К. Звссерман, 11.

<sup>4</sup> — 'ჯავაირ ხანუმის საქველმოქმედო წყარო'.

<sup>5</sup> — 'თაფლიანი წყარო'.

<sup>6</sup> — 'პატარა ნაკრძალი'.

<sup>7</sup> — 'ჩორჩოს ხევი'. სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 34.

<sup>8</sup> „ძველი საქართველო“, საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების კრებული, ტ. III, გვ. თაყიშვილის რედაქტორობით, თბ., 1913-1914 წ., გვ. 299; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 74.

ან კიდევ: „სოფ. წყორძა განთქმულია მებოსტნეობით. ხვნა აქ ჯილ-ლით იცაან და არა გუთნით“<sup>1</sup>. წ და ძ თანხმოვნები თურქულში ჩვეულებ-რივად ჯ ასოთია გადმოცემული, ხოლო ორ თავკიდურ [წყ] თანხმოვ-ნებს შუა ჩასმულია „უ“ ხმოვნის აღსანიშნავად. ზოგჯერ რამდენადმე გადათურქულებული ფორმა ქართული დამწერლობითაც გვხვდება: „კაპარაქის სანჯალშიდ წყორზის ბაიოლღები...“ და „წლორზელი იბრამა...“<sup>2</sup> რუსუ-ლად სხვადასხვანაირად არის გადმოცემული: Цхорза, Цгорза, Цкордза<sup>3</sup>. ერთ საბუთში კიდევ იხსენიება ვერანა წყორძა—«вераней Цкорза»<sup>4</sup>. გარ-და ამისა, ირკვევა, რომ ყოფილა Нижняя Цкорза<sup>5</sup> და Верхняя Цгорза<sup>6</sup>.

ელ. ტაბატაძის თქმით „წყორძაში ძველი ნასაყდრალი ადგილებია; იმჟამად წყორძაში ტობელები ცხოვრობენ“. ურაველ, ხეოთ და მუსხ სოფ-ლებთან ერთად წყორძა ახალციხის რაიონის ურავლის სასოფლო საბჭოში შედის<sup>7</sup>. „დაეთრის“ შედგენის დროს წყორძა დიდი სოფელია: მასში 40 კომლი მოსახლე ცხოვრობს (მაგრამ 1870 წ. ამ სოფელში მხოლოდ 9 კომ-ლია აღნუსხული)<sup>8</sup>. ს. „წყორძა ახალციხიდან 15-ოდე კმ-ის მანძილზეა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იგი ურავლის ხეობის მომიჯნავე ერთ-ერთ ხეო-ბაში მდებარეობს, დიატომიტის წარმოების მახლობლად“<sup>9</sup>. წყორძასთან იხსენიება ساگومو საგომო(?) ჩაირი.

15. სოფ. მონასტერი — مناستر (I 11, 156; II 12, 156). ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ „მონასტერი“ თურქ მოხელეს საკუთარ სახელად მიან-ნია, შეიძლება იმიტომაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უახლოეს მონას-ტერს „მონასტერს“ ეძახდა. შეიძლება ჩრდილის ნაძიგე<sup>10</sup>ს № 23 პუნქტი „მონასტრის ეკლესია“ (იხ. ზემოთ, გვ. 79) კი არა და ეს იყოს საფარის მონასტერი, რომელიც ღრელსა და ანდრიაწმინდასთან ახლო მდებარეობს, ხოლო „დაეთრის“ ამ ადგილას სწორედ ღრელ-ანდრიაწმინდის ზონაში მდებ-არე გეოგრაფიული პუნქტებია განხილული (ასეთი საკითხები გეოგრაფიის სპეციალისტებმა უნდა გაარკვიონ). საფარის მონასტერი მდებარეობს ახალ-ციხის სამხრეთით 5-6 ვერსის, ხოლო სოფ. ანდრიაწმინდიდან — 2 ვერსის მანძილზე<sup>10</sup>.

<sup>1</sup> ვ. კობონაშვილი, ახალციხის მახრის ქართველთა შესახებ, „ივერია“, 1894. № 22.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 16, გვ. 97 v და გვ. 102; შდრ. ვ. ბერიძის ცნობა ბაიოლღების შე-სახებ, სამცხის ზურთომოდღრება... გვ. 175.

<sup>3</sup> სტია, ფ. 77, ს. 2, გვ. 8 v; იქვე, ს. 16, გვ. 76, იქვე, ფ. 73, ს. 18.

<sup>4</sup> სტია, ფ. 77, ს. 55, გვ. 7 v.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 8 r.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 77, ს. 47, გვ. 4 v.

<sup>7</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>8</sup> К. Зиссерман, 11.

<sup>9</sup> ვ. ბერიძე, სამცხის ზურთომოდღრება XIII-XVI საუკუნეებში, გვ. 176.

<sup>10</sup> Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 117; აგრეთვე: Е. Такайшвили, Сафарский монастырь, его надписи и остатки стеной росписи, СМОМІК, 35, გვ. 81.

ამ მონასტერთან აღწერილია 17 კომლი.

16. სოფ. ფულა — *أفلا* (I 11, 156; II 12, 156). ელ. ტაბატაძემ დამიდასტურა, რომ ამ ნასოფლარის კეშმარიტი ქართული სახელი ფულაა; „ფულა — უწინდელი სოფელი იყო, ახლა მუსხელების ალაგია, სახლები გაიკეთეს, ისინი თესვენ, ერთი თუ ორი წისქვილია ფულაში“. ერთ ქართულ საბუთშიც „ფულა“<sup>1</sup> იხსენიება. რუსულ ტრანსკრიფციაში *Пуга-У* გვაქვს და *Фуга-У*<sup>2</sup>. საინტერესოა ფულაზე საბუთის შემდეგი ცნობა: *Деревня же Пуга состояла в числе деревень, представленных собственному распоряжению пашей. Пред взятием русскими Ахалциха за год был спор о границах этих деревень между отцом и временно пользовавшимся деревнею Пугою людьми и тогда по приказанию пашы произведено было следствие и положена была граница между (этими деревнями)... знают об этом жители окрестных деревень Хеот, Уравель, Грома, Кисатин, Цхорза и Андрияшinda*<sup>3</sup>. ჩვენ ფულაზე ასეთი ვრცელი ცნობა იმიტომ ამოვიწერეთ, რომ სოფ. ფულამ ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. ამ ცნობით კი, რომელშიც ჩამოთვლილია მომიჯნავე სოფლები, ზუსტდება მისი ადგილმდებარეობა. გარდა ამისა, ირკვევა, რომ თურქობის დროს სოფ. ფულა უშუალოდ ახალციხის ფაშის განკარგულებაში იყო.

ერთ საბუთში ფულა ნაჩვენებია «при речке Кизыл-суи, под подошвою горы Харман таласи...»<sup>4</sup> 1842 წლის საბუთში ფულა იხსენიება „გენიქოვთან“ («Yeni köy = 'ახალი სოფელი'») და წერია: «*Ешиков с присоединенною к ней деревнею Пуга*»<sup>5</sup>. ამრიგად, ირკვევა, რომ გაჩენილია ახალი სოფელი, რომელიც „დავთრის“ დროს არ იყო და რომელიც რუკაზე (მაგ.

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 167, გვ. 11 რ. 11 წ. რადგანაც ეს საბუთი სხვა თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, მოვიყვანთ აქ მთლიანად: „მის მალალს კეთილშობილებას ხერთვისის უჩასკის ხასედატელს უს ორჯონიკიძეს

ახალციხის მოქალაქე იაკობ გრიგორის-ძე დურგაროვისაგან

#### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თუმცა მიბძანა თქვენმა კეთილშობილებამა, რათ მედავება პრაპორშიკი ასათიანოვი ფულის სინორსა და გენბამს განხილვა და დამოწმება ფულისა და ახტილის სამხლვარი, ამისათვის პატივი მაქვს მოხსენებდამ, რათა სამოწმებლად არ შეიწყნარო მუსხ[ს] მცხოვრებნი. გლუხთ: ამ მიზეზისათვის, რომ რადგან არიან ჩემი მამულის მესახლვრენი და უნდაწან თავიანთი ალაგის შემატება, რომელიც აქვანან ასათიანოვის ფულასა ჩივთლუგები და პატივსა სცემენ: ამისათვის არა ვარ ჯეროვან მათ მოწმობამ: ყვალად არა ვარ ჯეროვან აგარას მცხოვრებ მაჯი ჰაჰან-ოღლის მოწმობასა ამ მიზეზით, რომ რადგან მე და იმას მოვკიდებდამარაჯი და მას შემდგომ აქვს ჩემი მტრობა: ამით გარდა ებრძანოს სანჯალსა ამას შინა მცხოვრებ მკვიდრთა მოხუცებულ კაცებს და ყოველაზე ჯეროვან ყოველაზედ.

იაკობ გრიგორის-ძე დურგაროვი

1842-სა წელსა, გიორგობისთვის 11-სა დღესა.

<sup>2</sup> სცია, ფ. 73, ს. 167, გვ. 16 და სხვ.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 16 რ.

<sup>4</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 32 ვ (Харман таласи ←თ. Harman tarlasi = 'ქალის ყანა').

<sup>5</sup> იქვე, ფ. 73, ს. 24.



„ევეროპული რუსეთის სპეც. რუკაზე“) ანდრიანოვიდანასთან აბლოს *Евников*-ად არის აღნიშნული. რადგანაც ჩვენ არქივის საბუთიდან ვიცით, რომ ფულა გაერთიანდა გენიქოი-სთან, ცხადია, რომ ფულა და გენიქოი, თუ ერთი და იგივე არა, ყოველ შემთხვევაში მომიჯნავე პუნქტები ყოფილან. ეს რუკებზე *Евников*-ად აღნიშნული სოფელი ადგილობრივ მოსახლეობაში *Евников*-ადაც არის ცნობილი. „გენგი“ უფრო ძველი ფორმაა „გენი“ (*geni*) სიტყვისა, რომელიც თურქულად 'ახალს' ნიშნავს, ხოლო ქრძ = *küy* = 'სოფელი'; გენი-ქრძ ან გენგი ქრძ = 'ახალი სოფელი'. სწორედ „ახალსოფელის“ სახელით შედიოდა ეს სოფელი (გენგიქრძ) ახალციხის რაიონის ურავლის სასოფლო საბჭოში ურაველ, წყორძა, სეოთ, ორცებ და მუსხთან ერთად<sup>1</sup>.

ამგვარად, ერთი მხრით, ჩვენ გვაქვს არქივის ცნობა იმაზე, რომ ფულა ყოფილი სოფელი, მომიჯნავეა და, ალბათ, ფულის მიწები გაერთიანებულა ახალ სოფელთან, რომელსაც თურქულად გენი ქრძ || გენგი ქრძ-ს ეძახდნენ. მეორე მხრით, ჩვენ იმავე არქივის საბუთებში გვაქვს ცნობა, რომ სოფ. ახტილა<sup>2</sup> იგივე ახალსოფელი || გენგი ქრძ-ია. იქ წერია: *Акт 1842 г. 19. XI... по осмотре границы деревень: Ахтила*<sup>3</sup> (она же *Ахалсопелш*) и *Пуга*., действительно имеется между вышесказанными деревнями граница, на коей брошены в трех местах камни. С левой стороны от *Пуга* находится земля *Ахтилы* и упоминаемая граница, начиная с низу от речки *Уравельки* идет вверх прямо расстоянием на одну версту и принимает с правой стороны к горе *Мамачихель*, а с левой к *ахтильской* таковой...<sup>4</sup> მაშასადამე, ამ ოფიციალური აქტიდან ამონაწერში ლაპარაკია ახტილაზე, ე. ი. ახალსოფელზე (=თ. გენგი-ქრძ → *geni küy*) და იმ სასახლერო ნიშნებზე, რომლებითაც ერთიგეორისაგან გამიჯნულია ახტილა ანუ ახალსოფელი და ფულა.

ფულისა და ახტილის შესახებ არქივისეულ საბუთებში კიდევ სხვა ცნობებიც არის, მაგრამ აქ ესეც საკმარისია. ოღონდ, რადგანაც ჩვენ აქ ფულასთან დაკავშირებით სოფ. ახტილასაც შევხებით, მოვიყვანთ ელ. ტაბატაძის ცნობას ახტილა-ახალსოფლის შესახებ: „ფულასთან არის ახტილა, რომელიც წინეთ (მაგალითად, „დავთრის“ დროს. ს. ჯ.) სოფელი ყოფილა. ახტილას ზემოთ კი არის იენგი-ქრძ, ჩვენ ვეძახით ახალ სოფელს... ახტილა—ყანებია მუსხელებისა და იენგიქრველებისა. ახტილას შესახებ ქართველებში ასე იტყვიან: ქართველებს მოუწყვიათ აქ სააღდგომო ლიტონია, გაუთენიათ დილა და დილას თათრები დასხმიან, გაუწყვეტიათ ქართველები. ქართველები კი ამბობდნენ თურმე—ახ, დილა!, ე. ი. ეს რა.

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე რუსულად დაბეჭდილი სია—«*Ахалцихский район*».

<sup>2</sup> „სოფ. ახტილა“ იხ. აქვე, ქვემოთ სოფ. № 20, გვ. 222.

<sup>3</sup> შეცდომით ეს *Ахтила* სოფელი აქ *Ихтила*-დ წერია.

<sup>4</sup> სცია, თ. 73, ს. 167, გვ. 18 г.

შეიღია ადგილი და აქიდან დარქმევი ამ ადგილს ახ დ ი ლ ა<sup>1</sup>. ელ. ტაბატაძის ნათქვამი, რომ ახლილას ზემოთ იენგი-ქრვიანო, არ არღვევს არქივისეული ცნობის სისწორეს. შეიძლება ზუსტად ახალსოფლის (=იენი-ქრე || იენგი-ქრე) ტერიტორიას არ ემთხვეოდეს ყ. სოფლის ახტილის ტერიტორია. მაგრამ მიანიც ახტილა გაუკაცრიელებულა და ახტილის გვერდით გაჩენილა სოფელი ახალსოფელი, რომელიც ტერიტორიულად ამ ახალსოფელში შესულა.

არქივისეული ორთავე სიის მონაცემები — Myra (გვ. 12v) და Byra (გვ. 11v) ძლიერ დამახინჯებულია და უნდა უარყოფილ იქნეს.

17. სოფ. ქვემო ტბეთი — طيب سفلى (I 11, 157; II 12, 157); ცოტათი ქვემოთ № 21-ად აღრიცხულია აგრეთვე სოფ. ზემო ტბეთი — طيب على (I 11, 159; II 12, 159). ზემო ტბეთი „დავთრის“ დროს უკვე გაუკაცრიელებულია, ხოლო ქვემო ტბეთში 12 კომლიანი მოსახლეობაა. ელ. ტაბატაძისაგანაც ასე მაქვს ჩაწერილი: „ტბეთი ორია—ზემო და ქვემო. ტბეთი კანტიეთისკენა—სულ წყალგაღმა; ფულურასწყალი გრანიციდან — კანტიეთიდან მოდის და ტბეთი სულ გაღმა“.

არქივისეული სიების Табер Сухая (=суфла-سفلى) და Табер Суфла (გვ. 12v და 11r), აგრეთვე Табер ყлиа (=علي), რა თქმა უნდა, დამახინჯებული ტბეთი<sup>2</sup> და უნდა გასწორდეს.

„დავთრის“ დროის ქვემო ტბეთი — 12 კომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენ დრომდე მოაღწია. ტბეთი შედიოდა ახალციხის რაიონის კანტიეთის სასოფლო საბჭოში კანტიეთ, აგარა, ხრიან, ენთელ, ოდუნდა, ვაშლობ, საგულე, ახალდაბა, ტრიბონ და გიორგიწმინდა სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

ტბეთების ადგილმდებარეობა საეცებით გარკვეულია; ხუთვერსიანსა და სხვა მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია ხრიანისა და ტრიბონის ზონაში გადათურქლებული Iusnet ფორმით. „ტბეთი“ (უთუოდ „ტბა“ სიტყვის-

<sup>1</sup> „ახლილა“ სახელწოდების შესახებ დოქ. ილ. მისურაძეს მოყვანილი აქვს სხვაგვარი თქმულება. იგი წერს: „ურავლის წარმტაც ხეობაში ბაღებს შორის ყურადღებას იქცევს ნა-სოფლარი ახლილა. ამ სახელწოდების წარმოშობაზე შესხეთში გაერცელებულია შემდეგი თქმულება: „როდესაც თათრები შემოესევინ მესხეთს, იმათ ჯარს ამ სოფელზე გაუვლია ხალხი მტრის შიშით სოფელულათ დარნებში ყოფილან დამალულნი. ერთი თათარი ჯარს უკან ჩამორჩენია. ამ დროს იმას მოსმია დარნიდან ბავშვის ტირილის ხმა. ეს კაცი წასულა და უკან დაუბრუნებია ჯარი. დარანის სახურავი ქვა აუხდიათ და უნახიათ, რომ სულ ქალ-რძალი და ბავშვები ყოფილან დამალული (კაცები ბრძოლაში ყოფილან წასული). ბავშვები ერთიანად დაუბოციათ, მოხუცებისათვის ფერხული დაუბევივნებიათ და უთქვიათ იმღერეთო, ამათ რა ემღერებოდათ, დაუბიათ ფერხული და ტირილით უთქვიათ: „ახ, დილაქ; ახ დილაქ; რა შვათ გაგვითენდიო, ჩიტი შვამდა გოგრასაო, ვაი ჩვენ ამ დროთ შეყრასაო“. მერე ესენიც თათრებს კვრებით დაუბოციათ. იმ ნაოხარ ადგილს კი დარქმევი ახ დ ი ლ ა“ (ჩაწერილია სოფ. ანდრიაწმინდაში ს. ინასარიძის თქმით 1937 წ. იხ. ილ. მისურაძე, მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე. თბილისი, 1949, გვ. 16-17.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია: «АХАЛЦИХСКИЙ район».

გან) საქართველოში საკმაოდ გავრცელებული გეოგრაფიული სახელწოდებაა. გარდა ქართული კულტურის ისტორიაში კარგად ცნობილი კლარჯეთის ტბეთისა, ჩვენ ვიცით ტბეთის სახელით გეოგრაფიული პუნქტები აფხაზეთში (მთისუბნის სასოფლო საბჭო), სამხრეთ-ოსეთში (ველურის სასოფლო საბჭო), რაქაში (პატარა ონის სასოფლო საბჭო) და აქარაში (უჩამბის სასოფლო საბჭო)<sup>1</sup>.

18. სოფ. ანდრიაწმინდა სოფ. ბორჯომთან — *اندریاستدند* (I 11, 157; II 12, 157). „დაეთრის“ დროს ანდრიაწმინდა დიდი, 42 კომლიანი სოფელია. მისი მდებარეობა ნაჩვენებია სოფ. ბორჯომთან (ბორჯომ ქურორტთან ამ ბორჯომს, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, არაერთი კავშირი არა აქვს). ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძის დროს ანდრიაწმინდაში უკვე 24 კომლია<sup>2</sup>. ამდენივე კომლია აქ 1870 წ. (ზისერმანი, 12). იმავე (დ. ბაქრაძე) ისტორიკოსის ცნობით, ანდრიაწმინდა საფარადან ორი ვერსის მანძილზეა<sup>3</sup>, ხოლო ზისერმანი ანდრიაწმინდა ახალციხიდან 7 ვერსზე მდებარეობს (გვ. 12). ანდრიაწმინდა და მეორე, საფარასთან ახლო სოფელი — ღრელი ძველად საფარის მონასტერს ეკუთვნოდა<sup>4</sup>. სხვა მეზობელ სოფლებთან ერთად ანდრიაწმინდა სწორედ იმდენივე შემოსავლით (7000 ახჩა), რამდენიც „დაეთარშია“ მასზე შეწერილი, იხსენიება XVII ს-ს მეორე ნახევრის ერთ თურქულ ბარათში (ფირმანში)<sup>5</sup>. ადგილობრივ მოსახლეობაში გადათურქულებული წარმოთქმა ამ სიტყვისა, როგორც ჩამიწერია, „ანდრიაწმინდა“-ა.

Андрия Цмнда ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია. დღეს ანდრიაწმინდა ახალციხის რაიონში ცენტრია (ანდრიაწმინდის) სასოფლო საბჭოსი, რომელშიც შედის აგრეთვე სოფ. ანდა<sup>6</sup>.

სოფ. ანდრიაწმინდასთან დასახელებულია ორი ჩაირი: *عمره* და *عرامی* (I 158; II 158); ჩვენ უარესად პირობით ეს ორი დაწერილობა ამოკითხული გვაქვს ღრმანი(?) და ღრმა(?)-დ.

19. სოფ. ბორჯომი მეორე ბორჯომ უბნითურთ — *بورجوم* (I 11, 158; II 12, 158). „დაეთრის“ დროს პატარა, ხუთკომლიანი სოფელია, ამჟამად გაუკაცრიელებული. მდებარეობს ზემოაღწერილ ცნობილ ანდრიაწმინდა სოფელთან. ანდრიაწმინდელი ელენე ტაბატაძის თქმით „ბორჯომები გავერნებულა, ანდრიაწმინდისაა, ანდრიაწმინდელების ყანებია ბორჯომში, მიწად ვხმარობთ; ძველათ სოფელი ყოფილა, ნასაყდრებიც არის“. ელ. ტაბატაძის მრავლობითი რიცხვი — ბორჯომები, ალბათ, „დაეთარში“ დასა-

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 231.

<sup>2</sup> Д. Бахрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 117.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> Е. С. Такайшвили, Сафарский монастырь, его надписи и остатки стеной росписи, СМОМПК, 35, გვ. 81.

<sup>5</sup> სცია, თურქული საბუთების კოლექცია, № 2, აგრეთვე № 356.

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 22.

ხელებულ სოფ. ბორჯომისა და მეორე ბორჯომს ჰგულისხმობს. ადგილმდებარეობა ამ ბორჯომისა რუკებზე საესეებით გარკვეულადაა ნაჩვენები სოფ. ანდრიაწმინდის სამხრეთით—P. Д. Боржом<sup>1</sup>. არქივის სეულ სიებში ამ ადგილისათვის ორივეჯერ Борджом-ი გვაქვს (12 v, 11 v). არქივის მასალებშიც ხშირად იხსენიება Борджом (Ченерекского санджак), Боржом<sup>2</sup>. 1831 წლის საბუთში ბორჯომისათვის ნაჩვენებია 3 კომლი<sup>3</sup>. ბორჯომ სახელწოდება ვახუშტისაც აქვს: „ამ ქვეს [ოლდამის-ქვეს] ზეით, ახალციხეს ერთვის ურიებთან ბორჯომის-ქვეი“<sup>4</sup>. ამრიგად ირკვევა, რომ ბორჯომის ხევით ახალციხესთან ჩამოდის ბორჯომისწყალი, რომელზედაც, ზეით, ახალციხის სამხრეთით, მდებარეობს სოფ. ბორჯომი ან „ბორჯ-მენი“. მ. ბროსეტ ასახელებს აქ ბორჯომისწყალს საფარასთან დაკავშირებით: Pour aller à Safara, on traverse les rivières de Bordjom, d'Oldam et de Ghrel<sup>5</sup>.

„დეთრის“ დროს დღევანდელი ბორჯომ კურორტის ადგილას „ბორჯომ“-ის სახელით უწინააღრესი არ იხსენიება. არც ვახუშტიმ იცის აქ ბორჯომი. როგორც ჩვენ ქვემოთ პეტრეს ლივანში შემავალ სოფელთა განხილვისას დავინახავთ, კურორტ ბორჯომის ადგილას ფაფა და ქალა სოფლები იხსენიება. ამიტომ ცხადი ხდება, რომ ისტორიულად აწინდელი კურორტის ადგილს ბორჯომი არ რქნევიდა. შესაძლებელია, როგორც ეს პროფ. გ. წერეთელმა შენიშნა, კურორტს „ბორჯომი“ შეერქვა ჰაქარაქის ნაპირებში მდებარე ბორჯომისწყლის თვისებების რაიმე მსგავსებით კურორტის წყლის თვისებებთან. ყოველ შემთხვევაში „ბორჯომ“ სახელწოდება ისტორიულად ცნობილია ჰაქარაქის ან ახალციხის ბორჯომისათვის, ხოლო კურორტისათვის არა. ბორჯომის სახელის დარქმევას კურორტისათვის ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ ჰაქარაქის ბორჯომისწყალი სამცხე-საათაბაგოს მთავარ ქალაქ ახალციხეში ჩამოდიოდა და, ამდენად, შეიძლება ცნობილი ყოფილიყო ფართო საზოგადოებისათვის.

სოფ. ბორჯომთან حاحرا-ს სახელწოდებით იხსენიება ჩაირი (I 159; II 159). ამ სახელის ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

20. სოფ. ახტილა — اختلا (I 11, 159; II 12, 159). რადგანაც ჩვენ ზემოთ ფულა-ინი-ქოვ (ახალსოფელ) სოფლებთან დაკავშირებით ახტილა სოფელზედაც საკმაოდ შევჩერდით<sup>6</sup>, აქ მოვიყვან ნხოლოდ ისეთ ცნობებს, რომლებიც იქ არ გვიხსენებია. უპირველესად ყოვლისა, ახტილა (اختلا), ახდილა თუ ახტილა? ცხადია, რომ თურქულში (اختلا) خ ყრუთან-

<sup>1</sup> იხ. აქვე თანდართულ რუკაზე.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 8, გვ. 5; იქვე, ფ. 77, ს. 47, გვ. 4 v.

<sup>3</sup> სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 21 r.

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 125.

<sup>5</sup> M. Brosset, Rapports... II, 119, 150.

<sup>6</sup> იხ. ზემოთ, გვ. 218-220, სოფ. № 16.

მოვნის შემდეგ „ტ“ ან „ღ“ გაფშვინიერებული უნდა იყოს. ანგარიშგასაწე-  
ვია ზემომოყვანილი იაკობ ღურგაროვის განცხადების „ახტილა“ ფორმა  
(იხ. ზემოთ, გვ. 218); ფშვინიერი „ხ“ თანხმოვნის შემდეგ ქართულში  
მკვეთრი „ტ“ მოსალოდნელიცაა (ახტომა, სახტად, რექტორი და სხვ.) ამის  
სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე რუსული ტრანსკრიფცია АХТИЛА (სცია,  
ფ. 73, ს. 158, გვ. 32 r). საგულსხმოა, რომ ხალხურ ლექსშიც ასე გვაქვს:

თუ გინდა ვაშლი წითელი — გაღმა-გამოღმა წყორძასა,  
თუ გინდა ქალი ლამაზი — ან ფულა, ან ა ხ ტ ი ლ ა ს ა ა<sup>1</sup>.

ამრიგად ბევრი მონაცემი უჭერს მხარს ახტილა ფორმას. ელ. ტაბატაძის  
წარმოთქმა ახ დ ი ლ ა, შეიძლება გააზრების შედეგი იყოს. ისე კი, „ახდი-  
ლა“ ს ხალხური ეტიმოლოგია — ახ, დილა! — საერთოდ მიედევლობაში მისა-  
ღები არაა, თუ ამას ხელი არ შეუწყო შემდეგმა ვითარებამ: საქართველოს  
სახელმწიფო მუზეუმის H № 1782 ხელნაწერის (XII-XIII საუკ. ოთხთავის)  
ანდერძში მოხსენებული „დაბაჲ აქდილა“ შესაძლებელია ჩვენი ახდილა სო-  
ფელი იყოს. ანდერძში ნათქვამია: „უფალო ღმერთო, დაიციე მშვიდობით  
ყოველთა საენებელთაგან და ფათერაკთა შენ მიერ დაფუძნებული და მართლ-  
მორწმუნე დაბაჲ მთავარმოწამისა გიორგისი აქ დ ი ლ ა ე და განაერცე ერი  
მისი ფრიად“<sup>2</sup>. შემდეგ კიდევ: „წო და დიდებულო მთავარმოწამეო გიორგი  
აქ დ ი ლ ი ს ა ო, განაერცე და დაიციე ფრიად მოსაეი და ბაჲჲ შენი აქ დ ი-  
ლაჲ“<sup>3</sup>. თუ აქ ჩვენი „დაფთრის“ ახ დ ი ლ ა-ზეა ლაპარაკი, მაშინ 1. უეჭვე-  
ლი ხდება, რომ ნამდვილი ქართული სახელი ამ სოფლისა ახ დ ი ლ ა-ა  
(ქ თანხმოვანმა ხომ საერთოდ ხ მოგვცა!), 2. ირკვევა, რომ ჭაქარაქის ნა-  
პიჯეში აღრიცხული ეს სოფელი XII-XIII საუკუნეში არსებულია სწორედ  
როგორც სოფელი („დაბაჲ შენი აქდილაჲ“), 3. ამ სოფელში „მთავარმოწა-  
მის გიორგის“ სახელობის ეკლესია ყოფილა.

არქივისეულ საბუთში საინტერესო ცნობაა ახტილაზე: Ахтила—пустошь,  
половина принадлежит казне, а половина помещику; на ровном месте,  
неподалеку от речки Уравельки...<sup>4</sup>

სხვა ცნობები ახ დ ი ლ ა ზ ე იხ. ზემოთ, გვ. 219-220, № 16.

21. სოფ. ზ ე მ ო ტ ბ ე თ ი (იხ. ზემოთ, გვ. 220, № 17), № სოფ.  
ქვემო ტბეთზე.

22. სოფ. კ ო ბ ა რ ე თ ი — كوريت (I 11, 159; II 12, 159). დაწერი-  
ლობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ განსახილველ სექტორში

<sup>1</sup> „ძველი საქართველო“, საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, თბ., 1913-1914, გვ. 299.

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. IV (შედგე-  
ნილი ელ. მეტრეველის მიერ პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით), თბილისი, 1950, გვ. 212  
(ხელნაწერი გვ. 98 r).

<sup>3</sup> იქვე (ხელნაწერი, გვ. 233 v).

<sup>4</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 32 r.

არსებობს სოფ. კობარეთი, რომელიც სავსებით შეესაბამება ამ დაწერილობას. არქივისებულ სიებშიც Чошарет-ი გვაქვს (გვ. 12 v და 11 v). ვახუშტის რომ კობარეთის-ქვეი აქეს ნახსენები<sup>1</sup>, ამ ხეზეა სოფ. კობარეთი (იხ. თანდართულ რუკაზე). არქივში კობარეთზე შემდეგი ცნობაა: სახაზინო სოფელია, მდებარეობს ბაღჩიან მლაშე წყაროზე და სოფლის-წყაროზე; მთა კალაჯუკის ფერდობზე, მანღალის ხეობაში...<sup>2</sup> „დავთრის“ დროს კობარეთი-საკმაოდ დიდი სოფელია, 29 კომლიანი. ჩვენს დროშიც ხალხმრავალი ყოფილა კობარეთი. 1897 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „სოფ. კობარეთში მცხოვრებთა რიცხვი ძლიერ გამრავლდა, ამიტომ კობარეთიდან ბევრი მოსახლე მიდის სხვა ადგილებში. ნაწილს მოსახლეობისას მიუშარათავს მთავრობისათვის, რომ ნება მოგვეცი ყარსის ოლქში გადაესახლდეთ იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება «სამოთხო»<sup>3</sup>. სოფ. კობარეთი მდებარეობს 17-18 ვერსის მანძილზე ქ. ახალციხიდან და აღმოსავლეთით უძევს საბატონო სოფელი ზეელისი<sup>4</sup>, დასავლეთით სოფელ ხეთი<sup>5</sup>, ჩრდილოეთით სოფ. მუსხი<sup>6</sup> და სამხრეთით კობარეთის ხშირი სახელმწიფო ტყე“<sup>7</sup>.

„კობარეთი ზეელს აქეთა“ (ანდრიაწმინდელი ელ. ტაბატაძე). დღეს კობარეთი ახალციხის რაიონის ზეელის სასოფლო საბჭოში შედის<sup>8</sup>.

23. სოფ. მოლარათუბანი სოფ. წყორძასთან — مولارآتوبان. نزد قره زو غورآز (I, 11, 160; II 12, 160). ელ. ტაბატაძემ ჩამაწერინა, რომ მას ადგილის სახელად მოლარათუბანი გაუგონია. არქივისებულ სიებში Монаратубани (გვ. 12 v) და Муларатубани (გვ. 11 v) ვერსიებს იძლევა. საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულ 1678 წლის ერთ სულთნისებულ ბარათში (სიგელში) ჭაჭარაქის სანჯაყში სხვა სოფელთა შორის იხსენიება მოლარათუბანი (მულარათუბანი) სოფელი, რომელიც 4 000 ახჩის შემოსავლით სულთნის მიერ ებოძა ვინმე აბუბექარს<sup>9</sup>. ამრიგად, მოლარათუბანი სახელწოდება კარგადაა აქ ამოკითხული და II წიგნში კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას. მოლარათუბანი იმ დროს 5 კომლიანია.

რუკებზე მოლარათუბანი აღნიშნული არ არის. მისი ლოკალიზება შეიძლება ღრელ, აბტილა, წყორძა სოფლების ზონაში.

24. სოფ. ბერდიკათუბანი სოფ. კისათბთან — بيرديكآتوبان. نزد كادي (I 11, 161; II 12, 160). II წიგნის დაბეჭდვისას ეგ სახელწოდება ამოკითხული არ მქონდა. I წიგნში ამ დაწერილობაზე ნიშნები დასმულია და იკითხება „ბერდიკათუბანი“-ად. ბერდიკათუბანის მდებარეო-

<sup>1</sup> დაწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127.

<sup>2</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 38 v.

<sup>3</sup> „სამოთხე“ სოფელი იხ. ქვემოთ, დიდი არტანის ლევ, ტყე-რაიონი, სოფ. № 33.

<sup>4</sup> იხ. აქვე, გვ. 177, 230, 181.

<sup>5</sup> № 18, სოფ. კობარეთი (ახალციხის მაზრა). „ივერია“, 1897, № 58.

<sup>6</sup> საქ. სრ. აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>7</sup> სცია, თურქული საბუთების კოლექცია, № 14; ამ სოფელს ჩვენს „დავთარში“ ც სწორედ 000 ახჩა აქვს შეწერილი (იხ. II, გვ. 160).

ბის განსასაზღვრავად „დავთარში“ ნათქვამია, რომ ის სოფ. კისათიბთან არის. ბერდიკათუბანი არქივისეულ სიებში Бердикубан-ად არის აღრიცხული (გვ. 12 v და 11 v), რაც სწორი არ არის. ბერდიკათუბანი ამოკითხულია სწორად. ჩვენ შემდეგში საქ. ცენტრ. ისტ. არქივში დატულ 1678-79 წ. ერთ თურქულ საბუთში შეგვხვდა ასეთივე დაწერილობის სოფლის სახელი, რომელიც რუსულად Пертикагубан-ად არის ამოკითხული (ეს სახელი ფონეტიკურად არმენიზებული ჩანს)<sup>1</sup>.

ბერდიკათუბანი პატარა, სულ ორკომლიანი სოფელია, რომელსაც „დავთარში“, ისევე როგორც ხსენებულ არქივისეულ საბუთში, შეწერილი აქვს 3 000 ახჩა.

25. სოფ. თათალასხევი, მეორე სახელი მკედლისუბანი სოფ. ახტილასთან — *جدي سوان* *دیکر نام* *دیکر* (I 11, 161; II 12, 161). II წიგნის ბეკდვის დროს პირველი სახელის მხოლოდ მეორე *خو* (ხეე) ნაწილი მკონია ამოკითხული. I წიგნის დაბეკდვის დროისათვის პირველი სახელი ამომიკითხავს და ნიშნებიც დამისვამს — *دیکر* — თითქოს, „თათალასხევი“. ამგვარად მეორე სახელის ამოკითხვა ექვემოტანლად მიმაჩნია. მომდევნო ხერთვისის სანჯაყში 24-ე სოფლად აღრიცხულია *جدي سوان*, რომელსაც ახლა ჩვენ „მკედლისუბან“ ად ვკითხულობთ<sup>2</sup>. ამ სოფლის მეორე სახელწოდების (*دیکر* *نام*) დაწერილობას ვინც შეადარებს ხერთვისის სანჯაყის 24-ე ნომრად აღწერილი პუნქტის სახელის დაწერილობასთან, დარწმუნდება, რომ ორთავე ამ პუნქტს ერთნაირი სახელი აქვს და ეს სახელია მკედლისუბანი. ორთავე შემთხვევაში *جدي سوان* დაწერილობაში მესამე ასო შეცდომით *د* (ე. ი. *ب*, *ت* და მისთანათა) ნიშნად იყო მიღებული და არა *ك* (ლამ)-ად<sup>3</sup>. ამრიგად, მეორე სახელი ამ პუნქტისა „მკედლისუბანი“-ა, ხოლო პირველი სახელი *دیکر*, რომელზედაც ამხ. ელენე ტაბატაძემ ჩამაწერინა, რომ ეს არის „თათულასხევი; ეს არის ადგილის სახელი ჩვენს ახლოს“ (ე. ი. სოფელ ანდრიაწმინდის ახლო). საერთოდ ეს პუნქტი ნაჩვენებია სოფ. ახტილასთან, სადაც უნდა წარიმართოს ძიება მისი ლოკალიზებისათვის. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ამ სახელწოდების არქივისეული სიის *Ма-хуаицхев* ვარიანტი (გვ. 12 v და 11 v) აბსოლუტურად სწორი არ არის: პირველი ორი თანხმოვნის ნიშნის ა-ს „მიმ“-ად წაიკითხვა უკვე არავითარ შემთხვევაში შესაძლებელი არ არის.

ეს პუნქტი პატარა, იმ დროისათვის 2 კომლიანი სოფელია.

26. სოფ. ღრელი *انسان* უბან სათესველით — *غری* (I 11, 161, II 12, 161). „დავთარის“ დროინდელი ღრელი 15 კომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენ დრომდეც მოაღწია. ახალციხიდან საფარაში წასასვლელი გზა

<sup>1</sup> სცია, თურქული საბუთების კოლექცია, № 3.

<sup>2</sup> დაწერილებით იხ. ქვემოთ, მომდევნო ხერთვისის ნაპირი, სოფ. № 24.

<sup>3</sup> ამის შესახებ უფრო დაწერილებით ქვემოთ, ხერთვისის „მკედლისუბანზე“ მსჯელობის დროს, ქვემოთ, იქვე.

ლრელში გადის: Pour aller à Safara, on traverse les rivières de Bordjom, d'Oldam et de Ghrel<sup>1</sup>.

დღევანდელ ახალციხის რაიონში სოფ. ღრელი მინამე და ქაქარაქ სოფლებთან ერთად მინამის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>.

სოფ. ღრელთან დასახელებულია სახელწოდება ღრელის ერთ-ერთი უბნისა, რომელიც მის სათესველს შეადგენს. ამ სახელწოდების მეორე ნაწილი აქ-აქ-უბან სიტყვა ჩვენთვის გასაგებია, ხოლო პირველი ნაწილის მე-ნ ასოს დიაკრიტული ნიშანი არა აქვს და მისი სრულად ამოკითხვა არ ხერხდება.

სოფ. ღრელის აღწერილობის ბოლოს იხსენიება ჩაირი اعراس, რომლის სახელი ამოკითხული არაა.

ღრელს აწერია 6 000 ახჩა. სწორედ ამ თანხით იხსენიება ღრელი საქ. ცენტრ. არქივში დაცულ თურქულ საბუთში (№ 2-1678-1679 წწ.).

27. სოფ. ენთელ — ایتیل (I 11, 162; II 12, 162). დაწერილობა მთლიანად ნიშნებადსმულია და ამოკითხულობაც სწორი. ამ ზონაში არსებობს სოფ. ენთელი, რომელიც რუკებზეც აღნიშნულია. ამ სახელწოდების სოფელი ჩვენ ორი გვაქვს კიდევ, სახელდობრ ქვემო და ზემო ენთელები ალთუნჯალყას ნაპიჯეში<sup>3</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში „ე“ ხმოვანი | და ც ასოთა (.) კომბინაციით არის გადმოცემული (დედანი, გვ. 149) და ალთუნჯალყას ნაპიჯეს „ენთელეებსათვის“ კი ე მარტო | (ელიფით) არის წარმოდგენილი (დედანი, გვ. 103 და 107), ეს სახელწოდება, როგორც ადგილზე დაერწმუნდი, ყველაგან ერთნაირად, ე. ი. ენთელ-ად წარმოითქმის.

ჩვენ დროში სოფ. ენთელი ახალციხის რაიონში კანტიეთ, აგარა, ხრიან, ოღუნდა, ვაშლობ, ტბეთ, საგულე, ახალდაბა, ტრიბონ და გიორგი-წმინდასთან ერთად კანტიეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>4</sup>.

სოფ. ენთელთან იხსენიება ჩაირი ენთელ-წყალი — ایتیل زغالی, რომელსაც, უფრო ზუსტად, შეიძლება ენთელი სწყლის ჩაირი რქმეოდა.

28. სოფ. აგარა — اگرا (I 11, 162; II 12, 162). სხვა აგარა სოფლებისაგან გამოსარჩევად ამას ქაქარაქის ან ურაელის აგარა დავარქვათ. ქაქარაქის (ურაელის) აგარა პატარა, ხუთკომლიანი სოფელია. მდებარეობს აგარა ურაელის ხეობაში, ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 25-30 კ-მის მანძილზე<sup>5</sup>. ჩვენ დრომდე სოფ. აგარა კანტიეთ, ხრიან, ენთელ, ოღუნდა,

<sup>1</sup> M. Brosset, Rapports... II, გვ. 119; ამავე გზაზე მდებარედ მიუთითებს ღრელს ეფ. თაყაიშვილი: Сафарский монастырь, его надписи и остатки стеновой росписи, СМОМПК, 35, გვ. 81.

<sup>2</sup> საქ. სსრ. აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, გვ. 154, სოფ. № 2.

<sup>4</sup> საქ. სსრ. აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია «Ахалцехский район».

<sup>5</sup> ვ. ბერიძე, სამცხის ზურთმოდღერება XIII-XVI საუკუნეებში, გვ. 221.



ვაშლობ, ტბეთ, საგულე, ახალდაბა, ტრიბონ და გიორგიწმინდა სოფლებთან ერთად შედიოდა ახალციხის რაიონის კანტიეტის სასოფლო საბჭოში<sup>1</sup>. მე ვფიქრობ, რომ რუკაზე ხრიანის ჩრდილო-აღმოსავლეთით M. Агара-დ აღნიშნული პუნქტი ეს აგარა უნდა იყოს. საარქივო საბუთში ამ სოფელზე ნათქვამია: Агара Малая—часть деревни казевная и часть помещичья, при ручье Занзопун Суи [= „ზანზოფის-წყალი“], под подошвою горы Нагеби, при овраге Занзопун дараси [= „ზანზოფის ხევი“] и при балке панталуг ...<sup>2</sup> აქვე ნაჩვენებია 4 ეკლესიის ნანგრევები და ნათქვამია, რომ აქ მონასტერი უნდა ყოფილიყო.

ელ. ტაბატაძე არჩევს აქეთა აგარას, ე. ი. ჩვენიო ჭაქარაქის აგარას ჯაფახეთის აგარისაგან და, როგორც ეს საბუთებშია, ახსენებს მას ზანზობთან ერთად. ჭაქარაქის აგარაა აგრეთვე ერთ საბუთში მოხსენებული შემდეგ კონტექსტში: Протоиерей Иосиф Орбелианов лично мне объявил, что деревни Агара, Сагула, Вашлоби, Тхилатубан, Санзоп и Оквет... და სხვ.<sup>3</sup> ერთ საბუთში მოხსენებული სოფ. Агара малая Уравельского сельского о-ва — ჩვენი აგარა უნდა იყოს<sup>4</sup>. ელ. ტაბატაძის მიხედვით, აგარა ამჟამად მუსხელების ხელშია.

29. სოფ. ღ რ მ ა || ღ რ ო მ ა — لمر (I 11, 163; II 12, 163). დედანში (გვ. 150) لمر წერია. ეს ჩვენ ღ რ მ ა-დ წაფიქიფეთ. ქართულ წარმოთქმაში აქ რომ „ღრომა“ ყოფილიყო, მესამე ასოდ ვავი (و) უნდა გვექონოდა. როგორც დავინახეთ, „დავთრის“ შემდგენელი საერთოდ ცდილობს რაც შეიძლება მიახლოებით გადმოსცეს ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა. ამიტომ, მე ვფიქრობ, აქ სოფლის სახელი ღ რ მ ა უნდა ყოფილიყო. პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, ეს სიტყვა გადათურქულდებოდა, თუ გნებავთ, იმავე ღ რ ო მ ა-დ, როგორც ეს სხვადასხვა საბუთებში გვაქვს, ან უფრო უარეს გირომა-დაც (Гиромма—Чечерекского санджака)<sup>5</sup> ერთი ადგილობრივი მკვიდრისგან „ღორომა“ ფორმაც მაქვს ჩაწერილი. ელ. ტაბატაძის წარმოთქმითაც ღ რ ო მ ა ა უ „ღრომა — ანდრიაწმინდასთან ახლოა, ღრომა — ნახევარი ანდრიაწმინდღეებისაა, ნახევარი ხეთოელებისა“. არქივისეულ სიებშიც Громма-ა დაწერილი (გვ. 12 v და 11 v), ყველა მსხვილმასშტაბიან რუკებზედაც Громма გვაქვს (ანდრიაწმინდის დასავლეთით). ჩვენ დრომდე სოფ. ღ რ ო მ ა კისათიბ, ანდრიაწმინდა, ანდა, არჯულ, ლოდობანა და თაფლახევე სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის კისათიბის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>6</sup>. „დავთრის“

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია «Ахалцихский район».

<sup>2</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 35r.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 73, ს. 67, გვ. 1 v.

<sup>4</sup> სტია, ფ. 223, ს. 46.

<sup>5</sup> სტია, ფ. 77, ს. 47, გვ. 4 v.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია „Ахалцихский район“.

დ რ მ ა პატარა, 4 კომლიანი სოფელია. 1870 წ. ღრმში 8 კომლია. ღრმა ნაჩვენებია ოხომისწყალზე, ახალციხიდან 10 ვერსის მანძილზე<sup>1</sup>.

30. სოფ. კ ა კ ლ ი ო რ — كاكليور (I 11, 163; II 12, 163). ე. წ. Махет-თან (=მამაქიხეთთან) რუკებზე P. A. Какаяр-ად აღნიშნული პუნქტი ეს უნდა იყოს. რუკის ამ მითითებით კ ა კ ლ ი ო რ ი ს მდებარეობა საესე-ბით ვარკვეულად უნდა ჩაითვალოს და „კაკლიორ“ ამოკითხულობას კითხვითი ნიშანიც უნდა მოეხსნას. არქივისეული სიგების ამ სახელწოდების ვარიანტი — Какалийс (გვ. 12 v და 11 v) უთუოდ შეცდომაა. სოფ. კაკლიორს ეხება სულთნისეული ბარათები, რომელიც საქ. ცენტრარქივსა და საქ. მუზეუმშია დაცული<sup>2</sup>.

სოფ. კაკლიორი „დავთრის“ დროს 12 კომლიანი სოფელია. მასთან ბოლო მინაწერში იხსენიება ჩაირი سو, რომელიც შეიძლება ცივად წაიკითხოს კაცმა (سو).

31. სოფ. ზ ე მ ო მ ა მ ა ქ ი ხ ე თ ი, ქვემო მამაქიხეთ უბნითურთ — ماماخيت علي مع محاجيت سلا (I 11, 164; II 12, 163). დაწერილობას წერტილები დასწული აქვს, მაგრამ რომ ანდრაიფშინდელი მოქალაქე პატივემული ელენე ტაბატაძე არა, მისი სწორად ამოკითხვა მაინც გაძნელებოდა. ელ. ტაბატაძის მიხედვით „ეს არის ადგილი მ ა მ ა ქ ი ხ ე თ ი, უწინდელი მამაქიხეთი სოფელი ყოფილა, ახლა სოფელი არაა, ფაგებია; ქობარელები მთად რომ აღიან, იქ ცხოვრობენ; თა არის იაილასებური, ქობარელებისა; ქობარეთსა და ფულას შუაა; ნასაყდრევიც არის“. ამხ. ნ. ნათენაძემ ჩამაწერინა „მაქიხეთი“, რაც სწორი არ უნდა იყოს, რადგანაც „დავთარში“ ორი „მ“ ცხადადაა დაწერილი და, გარდა ამისა, ადგილობრივი მკვიდრის (ელ. ტაბატაძის) მოწმობა უთუოდ სანდოა. ამდენად უსათუოდ შეცდომისა და გაუგებრობის შედეგია ხუთვერსიან რუკაზე ამ პუნქტის Махет-ის სახით ფიქსირება ქობარეთ-წყარმა-გოგოთუბან-ზევლის სექტორში. Махети უთუოდ „მამაქიხეთი“-ს დამახინჯებული ფორმაა; მაგრამ ის კია, რომ ამ დამახინჯებული სახელწოდების საშუალებით ჩვენი ეცნობით მამაქიხეთ პუნქტების ზუსტად გილმდებარეობას<sup>3</sup>. ამ პუნქტზე ერთ საარქივო საბუთში წერია: „კერძო მემამულის საზამთრო სამოვარია; [მდებარეობს] ორცეფისწყალზე, სწორ ადგილას — ვაკაისა და გონჯას (?) ხეობაში“<sup>4</sup>.

ამ პუნქტთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხია გასარჩევი. რიგისაბუთებისა გვაძლევს ამ სიტყვის ბოლოკიდურად არა ერთ მარცვალს, არამედ — ელ<sup>5</sup>: М а ж а ч е л <sup>6</sup>, М а м а ч и х е л и <sup>6</sup>, აგრეთვე М а м а ч и х е

<sup>1</sup> К. Зиссерман, 11.

<sup>2</sup> სტია, თურქული საბუთების კოლექცია, № 146; საქ. სახ. მუზეუმი, № 32.

<sup>3</sup> იბ. 5-ти верстная карта Кавказа с прилегающими частями Турции и Персии.

<sup>4</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 38 v.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> სტია, ფ. 72, ს. 74, გვ. 9 v; ასევე К. Зиссерман-თან, გვ. 11.

(1837 წ.)<sup>1</sup>, სამაჯღ<sup>2</sup>. ორივე არქივისეული სია აგრეთვე Мамачихелა უჩიღ-ს იძლევა (გვ. 12 v და 11 v). ერთი თურქული საბუთის ქართულ მინაწერში გვაქვს: „მამაქიხელი — სამი ბარათით — 9 000 [ახნა]; ოღისი და კიდემ მამაქიხელი 2 439 [ახნა] — ბარათი ერთი“<sup>3</sup> და სხე. მე ვფიქრობ, რომ ამ სახელწოდების ეს სხეობა (მამაქი ხ ე თ ი და მამაქი ხ ე ლ ი) გრაფიკულ ნიჲდავზე უნდა იყოს წარმოსობილი. საქმე იმაშია, რომ „დაეთრის სიჲჲკათის ხელით ნაწერში ბოლოკიდური „ელ“ და „ეთ“ მარცვალი თითქმის ერთნაირად არის დაწერილი. ორთავე შემთხვევაში ჩვეულებრივი ქ და ჯ მოხაზულობისათვის, ე. ი. ქ და ჯ ასოთათვის ხაზი ირიბულად ჩაშოწულია სტრიქონს ქვემოთ (იხ. დედანი, გვ. 150) და ეს გარემოება ხშირად იწვევს ბოლოკიდურ ქ და ჯ ასოთა აღრევას. ამიტომ, ვფიქრობ, „მამაქიხელ“ და მისთანა არასწორ ფორმათა წარმოსობის წყარო წერილობითი ხასიათისა და, კერძოდ და უმთავრესად, ჩენი „დაეთრის“ მაგვარი ძეგლებია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არქივის მასალებში გვხვდება აგრეთვე ასეთი „სახეობის“ „მამაქიხეთი“: Кучук Мамачиха და Кучук Мамачихе<sup>4</sup>, ე. ი. ყოფილა, თითქოს, პატარა მამაქიხეთიც. „დაეთრიდან“ კი ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ზემო და ქვემო მამაქიხეთს. უნდა ვიფიქროთ, შემდეგ ხანებში მამაქიხეთები დიდ და პატარა მამაქიხეთადაც ყოფილა ცნობილი. „დაეთრის“ დროის მამაქიხეთი 3 კომლიანი სოფელია 10 000 ახჩის შემოსავლით. მამაქიხეთს ეხება არქივში და საქ. მუზეუმში დაცული რამდენიმე სულთნისეული ბარათი<sup>5</sup>.

32. სოფ. ოღუნდა — اداغ (I 11, 164; II 12, 164). „დაეთარში“ მოცემული დაწერილობა მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ ეს ოღუნდა-დ წაეიკითხოთ (მესამე ასო ელიფია, რომელიც აქ მხოლოდ „ა“ შეიძლება იყოს). ამავე დროს როგორც ადგილობრივ მკვიდრთა ერთხმადი განცხადებით, ისე წერილობითი წყაროების მიხედვითაც ამ სოფლის სახელია — ოღუნდა. ელ. ტაბატაძის მიხედვით: „ოღუნდა ახლა ანდრიაწმინდელებისაა, ეს ადგილი ანდრიაწმინდასთანაა; ჩვენ ვამუშავებთ ოღუნდის მიწებს“. ამხ. ნ. ნათენაძის მოწმობითაც ამ ადგილს ოღუნდას ეძახიან. არქივის მასალებში წერია: О д у н д а Чечерекского санджака<sup>6</sup>. ხუთეგრისიან და სხვა მსხვილ-მასშტაბიან რუკებზეც ყველგან О д у н д а-ა, ასევეა კ. ზისერმანთანაც (გვ. 12). ვფიქრობ, სწორი ფორმა უნდა იყოს ოღუნდა. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ „დაეთრის“ შემდგენელი, თუ თურქული პრაქტიკული ანბანის ნიშნები ამის შესაძლებლობას იძლევა, შედარებით ყოველთვის

<sup>1</sup> სცია, ფ. 1012, ს. 21, გვ. 23 v.

<sup>2</sup> სცია, ფ. 382.

<sup>3</sup> სცია, თურქული საბუთების კოლექცია, № 172.

<sup>4</sup> სცია, ფ. 77, ს. 24, გვ. 13 r, 39.

<sup>5</sup> სცია, თურქული საბუთების კოლექცია, № 147, 152, 153; საქ. სახელმწ. მუზეუმის თურქული საბუთების კოლექცია, № 16.

<sup>6</sup> სცია, ფ. 77, ს. 47, გვ. 4 v.

ქვეშაირიტებასთან უფრო ახლო მდგომ ფორმებს გადმოგვეცემს. მაგრამ ოღ-  
ან და გაუგებარია.

ოღუნდა რუკებზე კანტიეთისა და ტრიბონის ახლოა. კანტიეთ, აგარა, ხრიან, ენთელ, ვაშლობ, ტბეთ, საგულე, ახალდაბა, ტრიბონ: და გიორგიწმინდა სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის კანტიეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>1</sup>.

33. სოფ. ხეთი — خوت (I 11, 165; II 12, 165). ამემადაც ამ ადგილის სახელი ხეთია და ამ გარემოებამ განსაზღვრა حو დაწერილობის „ხეთ“-ად წაკითხვა. ელ. ტაბატაძის მიხედვით: „ხეთში ახლა ღრე-  
ლელები გადავიდნენ და თიულებიც [ე. ი. მთიულები] არიან“. ხეთ-ად-  
იხსენიება ეგ სოფელი აგრეთვე ერთი თურქული საბუთის ქართულ მინა-  
წერში: „ხეთი ორის ბარათით, ახჩა 13 992; ესეც ხეთის არს—4 666. 1833 წლისა აგვისტოს 17-სა დღესა, ხეთის ბარათია“<sup>2</sup>. ვხვდებით აგრეთვე ამ სახელის სხვა ვარიანტებს — Хевоть и Хилатунан Четерекского санджака<sup>3</sup>, Хеват<sup>4</sup>. არქივისეულ სიებში გვაქვს Хавет-ი (გვ. 12 v, 11 y), რაც, უთუოდ, „დავთრის“ აღნიშნული ტრანსკრიფციიდან მოდის და სხვ. თუ „ხეთი“ ახალი და გადასხვაფერებული სახელწოდება არ არის ამ სოფ-  
ლისა, მაშინ „დავთარში“ იგი ცუდადაა ტრანსკრიბირებული. „დავთრის“ خوت დაწერილობის წაკითხვა უფრო ხავეთ“-ად, ან არადა „ხევეთ“-ად და „ხევეთ“-ად შეიძლება (და ასეც არის ის წაკითხული არქივისეულ სიებში; იხ. აქვე, ზემოთ). ჩვენ ვიცით, რომ ე ხმოვანი ამ ძეგლში ც-ით გადმოიციე-  
მა; ამდენად, თუ XVI საუკუნეში ეს სახელი „ხეთი“ იყო, მეორე ასოდ აქ ც უნდა ყოფილიყო და შემდეგ კიდევ ვავი (ჟ). ზემონახსენებ 1833 წლის არქივისეულ თურქულ საბუთში მართლაც ასეა; აქ მშვენიერი ტრანსკრიფ-  
ცია გვაქვს „ხეთ“ ან, თუ გნებავთ, „ხევეთ“ სიტყვისა — م خيوت<sup>5</sup> =  
[სოფელი] სახელად ხევეთი“ (შღრ. ზემოყვანილ ვარიანტს „Хевоть, Хеват და სხვ.). ამრიგად, ამ სოფლის თანამედროვე სახელწოდებაა — ხეთი; ასევე იწოდებოდა იგი XIX საუკ. პირველ მეოთხედში — خيوت. ამ სიტყვის „დავ-  
თარში“ წარმოდგენილი (حوت) ტრანსკრიფცია „ხეთ“-ს არ იძლევა.

„ხეთი ახალციხიდან 25 კმ-ზეა სამხრეთ-აღმოსავლეთით: სოფ. ურავ-  
ლამდის გზა ურავლის ხეობას მიყვება, შემდეგ მარცხნივ უხევს და გადაივ-

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა. ცალკე რუსულად დაბეჭდილი სია „ახალციხის რაიონის“ სოფლებისა.

<sup>2</sup> სცია. თურქული საბუთების კოლექცია, № 172.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 47, გვ. 4v; სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 36 v.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 77, ს. 6 (შემდეგ გაირკვა, რომ ეს ფოცხოვის Хеват-ია — ჩრდილის რ-ნი, № 18).

<sup>5</sup> შეიძლება ჰაჰარაქის წმინდის სოფელ خيوت-ს კავშირი ჰქონდეს „სამცხე-საათაბაგოს ძეგლდ-მთავარნი და მწყემსნი“-ში მოხსენებულ „ხევეთ“-თან (ესულ ჯავახეთი ხეთი — შ დ ი). იხ. Д. Баградзе, АПГА, გვ. 81.

<sup>6</sup> სცია, თურქული საბუთების კოლექცია, № 172.

ლის ხეცს, რომლის თავზეც ორცეფის ძველიციხის ნანგრევია აღმართული<sup>1</sup>. „დავთრის“ ხეოთი საკმაოდ დიდი, 24 კომლიანი სოფელია. დღეს სოფ. ხეოთი ურაველ, წყორძა და მუსხ სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის ურავლის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>.

34. სოფ. ორცეფი — اورسيپ (I 11, 165; II 12, 165). ადგილობრივ მკვიდრთა წარმოთქმით ეს უფრო ორცეფი-ა (ელ. ტაბატაძე და სხვ.). წერილობითი საბუთებიც Орпей ფორმას იძლევა<sup>3</sup>. არქივისეულ სიებშიც ასეა (გვ. 13 r, 11 v). اورسيپ დაწერილობა დიაკრიტული ნიშნების გარეშეა მოცემული და ბოლოკიდური ასოს „ბ“-დ წაიკითხვა (I 165; II 165) ჩემი ბრალია. ასე რომ, აქ ჩვენ უნდა გვექონდეს اورسيپ და უნდა წავიკითხოთ ორცეფ-ად.

„დავთრის“ ორცეფი 8 კომლიანი სოფელია. იგი ხუთვერსიან და სხვა მსხვილმასშტაბიან რუკებზე ყველგან აღნიშნულია ხეოთ და ურაველ სოფლებს ახლო. ჩვენ დროში სოფ. ორცეფი ურაველ, წყორძა, ხეოთ, ახალსოფელ და მუსხ სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის ურავლის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>4</sup>.

1842 წლის ერთ საბუთში ლაპარაკია სოფ. ორცეფისა და თხილათუბნის ურაველთან, ალბათ ადმინისტრაციული ხაზით, შეერთების შესახებ: Хертовисского участка деревня Уравель с присоединенными к ней деревнями Орпей и Тхилатубань<sup>5</sup>... ორცეფ ნასოფლარი, რომელიც ფულურა-წყლის გაღმა მდებარეობს, ამჟამად ხეოთელთა განკარგულებაშია (ელ. ტაბატაძე).

35. სოფ. კანტიეთი — كاندت (I 11, 166; II 12, 165). ამ დაწერილობის თურქულად დაბეჭდილი ვარიანტი უფრო მისაღებია: كاندت-ში ك და ا მძღერები ქართულის შესაბამის მკვეთრს გადმოსცემენ. ამრიგად ჩვენ აქ ზუსტად გვაქვს კანტიეთი, ე. ი. სწორედ ისე, როგორც ეს დღესაც წარმოითქმის ადგილობრივად. „კანტიეთი — ორცეფს აქეთაა; კანტიეთი კოლმეურნეობის სათიბია და ტყეა“ (ელ. ტაბატაძე). კანტიეთი (II 12, 165) უნდა გასწორდეს კანტიეთად. არქივისეული სიების Кандид-ი კანინეტში ჯდომით მცდარად ამოკითხული სახელია. ასევე დამახინჯებულია ამ სოფლის სახელი საარქივო საბუთში Кантер და Кандиет<sup>6</sup>. ჩვენ დროში სოფ. კანტიეთი იყო სასოფლო საბჭოს ცენტრი, რომელიც აგარა, ხრიან,

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, გვ. 206; მე მგონია, ამ სოფელს განეკუთვნება არქივში დაცული სულთნისეული სიგელები № 148, 151, 154, 165 და 172.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 21.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 16, გვ. 123 v და სხვ.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი ცალკე სია «Атласный район».

<sup>5</sup> სცია, ფ. 73, ს. 25; სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 36 v.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 77, ს. 24, გვ. 39; იქვე, ფ. 77, ს. 10, გვ. 28.

ენტელ, ოდუნდა, ვაშლობ, ტბეთ, საგულე, ახალდაბა, ტრიბონ და გიორგი-წმინდა სოფლებს აერთიანებდა<sup>1</sup>. „დავთრის“ კანტიეთი 3 კომლიანი სოფელია. „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ ეს პუნქტი აღნიშნულია ტრიბონ, ხრიან, ოდუნდის ზონაში, ოღონდ შეცდომით Канкет-ი წერია Кантнет-ის წილ. სხვა რუკებზე, აგრეთვე კ. ზისერმანთან ძალიან სწორადაა: Р. Д. Кантнети; ოღონდ ზისერმანის დროს, 1870 წ. კანტიეთი სოფელია და მასში აღნუსხულია 3 კომლი<sup>2</sup>.

36. სოფ. ვაშლობი — واسلوب (I 11, 166; II 12, 166). მესამე ტრასოს სამწერტილიანი ნიშანი უზის და ეს უკვე ამ დაწერილობის სწორად ამოკითხვის განმსაზღვრელია. მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია Ур. Вашион, ან კიდევ Р. Д. Вашион<sup>3</sup>. „დავთრის“ დროს ამ სოფელში 3 კომლია აღნუსხული. სოფლის სახელწოდების სისწორის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ, პირველი კომლის მეთაურის სახელი ვაშლობელია, მეორე კომლის მეთაურად აღრიცხულია უსახელოდ „ძმამისი“ (ე. ი. ვაშლობელისა) და მესამე კომლის მეთაურია პირველი მოსახლის ვაშლობელის შვილი ბატატა. მე ვფიქრობ, რომ ვაშლობელი სახელი არ უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია თურქ მოხელეს ცნობას აწვდის ვაშლობს\*გარეთ ისეთი ინფორმატორი, რომელმაც არ იცის ადგილობრივ მოსახლეთა ვინაობა. არქივისეული სიებიც ამ ადგილს. Вашион-ად ასახელებენ (გვ. 12 ო, 11 ო). ვაშლობის სახელით სოფელი ცნობილია აგრეთვე ამავე „გურჯისტანის ვილაეტის“ თზოგვის ნაწილში (I 15, 247; II 16, 243) და დუშეთის რაიონის ქართლის სასოფლო საბჭოში<sup>4</sup>. „ვაშლობში მოსახლეობა 9-10 კომლი იყო“ (ელ. ტაბატაძე).

ჩვენ დროს სოფ. ვაშლობი კანტიეთ, აგარა, ხრიან, ენთელ, ოდუნდა, ტბეთ, საგულე, ახალდაბა, ტრიბონ და გიორგიწმინდა სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის კანტიეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>5</sup>.

37. სოფ. ზემო და ქვემო კოკები — جوجيب علی و سفلی (I 11, 167; II 12, 166). „კოკები — ხრიანთან<sup>6</sup> ახლოსაა, ახლა სოფელი არაა, გავერნებულია“ (ელ. ტაბატაძე). დიაკრიტული ნიშნები მე დავსვი, „დავთრის“ შემდგენელს რომ დავსვა جوجيب-ი („ჯოჯები“) იქნებოდა. არქივისეული სიების Чухел ყама и сүфма უსათუოდ მცდარია (გვ. 13 ო, 11 ო). კოკების მდებარეობა მსხვილმასშტაბიან რუკებზე საეცნებით გარკვეულია; ტრიბონთან და კანტიეთთან, ე. ი. სწორედ განსახილველ ზონაში აღნიშნულია Р. Д. Чочени, აგრეთვე Ур. Чочени.

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია «Ахалцихский район».

<sup>2</sup> К. Зяссерман, 12.

<sup>3</sup> იხ. თანდართულ რუკაზე.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 183.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია «Ахалцихский район».

<sup>6</sup> იხ. ქვემოთ გვ. 237, სოფ. № 48.

სოფ. ზემო და ქვემო კოკები „დავთრის“ დროს 4 კომლიანი პატარა სოფელია.

38. სოფ. ფორსიეთი სოფ. ურაველთან — *بورسيهت* (I 11, 167; II 12, 166). არქივისეულ სიებში ეს პუნქტი *Борсиет*-ადაა აღწუსხული (გვ. 13 r, 11 v). ახლა ირკვევა, რომ ამ სიების მონაცემი უფრო სწორია, ვიდრე ჩემი „ფურცელ II *بورسيهت*“-ი (II 7). საქმე იმაშია, რომ საქ. ცენტრ. ისტორიული არქივის ერთ საბუთში სწორედ სოფ. ურაველთან (ერთი ნომრით წინ) აღწერილია პუნქტი *Персиет* — *пустошь казенная, при роднике Чамвакара, на возвышенном месте, по косогору под подошвою кургана на Шурогистин (?) таласи [=Шурогиетское (?) поле], против горы Кордо-стан*<sup>1</sup>. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ „დავთრის“ დაწერილობაში ბოლოკიდური კ (ლამბი) და ت (თე) და მის მსგავს ასოთა მრავალგვარობა მძიმე გამოსაცნობია. ბოლოკიდურ მდგომარეობაში ეს ასოები გამოიხატება სტრიქონის ქვემოთ ირიბი და საკმაოდ მოგრძო ხაზით. ამიტომ მე ბოლო ასო ამ შემთხვევაში შეცდომით კ (ლამბად) მაქვს წაკითხული (*بورسيهت*), რაც ახლა უარყოფილი უნდა იქნეს. ჩვენ ახლა „დავთრის“ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ამ პუნქტის სახელი უფრო დაქვემდებარებით აღვადგინოთ. საქმე ისაა, რომ *بورسيهت* დაწერილობის პირველ ასოს ქვემოთ სამი წერტილი უზის და, ამდენად, ის უსათუოდ ფ თანხმოვანს გადმოგვეცემს და არა ბ-ს, როგორც ეს არქივისეულ სიაშია—*Борсиет*-ი. მომდევნო ვავი (و) აქ ო ან უ ხმოვნის (უფრო კი ო ხმოვნის) ნიშანია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ე ხმოვნის არა, როგორც ეს არქივის ზემოდასახელებულ „საქმეშია“ — *Персиет*-ი<sup>2</sup>. *Персиет* სიტყვაში ყ (ყ) ხმოვანი თავის ადგილას არ არის, რადგანაც აქ „დავთარში“ (როგელიც, როგორც ვთქვით, სანდო მასალას იძლევა) გვაქვს ც ასო. ც ასომ კი ასეთ პოზიციაში უ ხმოვანი არ შეიძლება გამოხატოს.

ამრიგად, ამჟამად ჩვენთვის საცხებით ცხადია, რომ ეს მოხაზულობა (იხ. დედანი, გვ. 154) აქ *بورسيهت*-ად არ იკითხება, როგორც ჩვენ (მართალია, კითხვითი ნიშნით) გვეჩინდა. ეს არის *بورسيهت* — ფორსიეთი, რომლის დამახინჯებული ვარიანტები მოცემულია 1. არქივისეულ სიებში — *Борсиет* და 2. არქივის ზემოდასახელებულ საბუთში — *Персиет*.

ამით ჩვენ ვასწორებთ ჩვენ ფურცელ(?) *بورسيهت* ამონაკითხს (გვ. I 11, 167; II 12, 166). — ფორსიეთ II *بورسيهت*-ად.

მაშასადამე, „დავთრის“ დროს სოფ. ურაველთან არსებობდა სამკომლიანი სოფელი ფორსიეთი. არქივის აქ დასახელებულ საბუთში ნათქვანია აგრეთვე, რომ ამ ნასოფლარში ეკლესიის ნანგრევებიც არის<sup>3</sup>. ფორსიეთის ზუსტი ლოკალიზება სოფ. ურავლის მიჯნებში უნდა მოხდეს.

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 32 v.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

39. სოფ. შორაშეთი, სოფ. ურაველთან — شورمشيت (I 11, 167; II 12, 167). ეს დაწერილობა მთლიანად დიაკრიტული ნიშნებითაა წარმოდგენილი და მისი წაკითხულობა სწორია. „შორაშეთი“ ელ. ტაბატაძესაც გაუგონია ურაველს ახლო.

მე ვფიქრობ „შორაშეთ“ სიტყვის გამოძახილი უნდა იყოს საარქივო საბუთში სწორედ სოფ. ურაველთან დაკავშირებით ნახსენები Шуршет. აქ სოფ. ურავლის მდებარეობის უფრო დაზუსტებით ჩვენებისას ნათქვამია, რომ Уравель при ручье Инпула-су... между двумя..., оврагами Дзеро и Шуршет...<sup>1</sup> „დავთარში“ შორაშეთის მდებარეობა სოფ. ურავლითაა განსაზღვრული, ხოლო აქ ურავლის მდებარეობის დასაზუსტებლად ნახსენებია ბევრი Шуршет, რომელიც შორაშეთ სახელწოდების გადამახინჯებული ფორმა უნდა იყოს.

არქივისეული სიგების Шуршет-ი უთუოდ მცდარია (გვ. 13 r და 11 v). „დავთარის“ შორაშეთ სოფელი — 3 კომლიანია. ეს ნასოფლარიც ურავლის ახლომახლო უნდა მოიძებნოს.

40. სოფ. حوجون (I 11, 168; II 12, 167). გაუქაცრიელებულია. ამ დაწერილობის ამოსაკითხავად მასალა არ აღმოჩნდა. ჭხუთვერსიან რუკაზე ამ ზონაში ფიქსირებულია P. Д. Чорчиа შეიძლება ეს დამახინჯებული ვარიანტი იყოს „ჩოჩონ||კოკონ“ სახელისა — جوچون || جوچون.

არქივისეული სიგების Чочаа და Чочва ვარიანტებს საფუძველი არ უჩანს.

41. სოფ. მონასტერი სოფ. აგარასთან — منستر (I 11, 168; II 12, 167). რომელი მონასტერი იყო ეს — ჩვენ არ ვიცით. ნაჩვენებია აგარასთან; ეს არის (პირობით) კაქარაქის აგარა, რომლის ადგილმდებარეობა რუკებზე გარკვეულია. ამ ნამონასტრალის ძიება აგარის სანახებში უნდა მოხდეს.

42. სოფ. ოხერაჯანჯანათ(?)უბან ადგილით — محله مع اوخيرء او جاجانجان (I 11, 168; II 12, 167). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ეს აწინდელ ახალციხის რაიონში ნასოფლარი და „დავთარის“ დროინდელ კაქარაქის ნჰიფეში ცნობილი სოფელი اوخيرء — ოხერაა. ჩვენ დროში სოფ. ოხერა მინაძე, კვალთაზევ, კაქარაქ, ჰალა, ღრელ და ტობა სოფლებთან ერთად ახალციხის რაიონის მინაძის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>2</sup>. „ოხერა“ და მინაძე ერთია“, ამბობდა ელ. ტაბატაძე. ჭხუთვერსიან და სხვა მსხვილმასშტაბიან რუკაზე ახალციხის აღმოსავლეთით მინაძე, ტობა, კაქარაქ სოფლების სექტორში ყველგან აღნიშნულია Охери, რაც „ოხერა“-ს გააზრების შედეგი უნდა იყოს.

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 32 v.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე რუსულად დაბეჭდილი სიძ. «Лизлпикский район».



ამ ჰეპარაქის ოხერას ხსენება საარქივო საბუთებში საკმაოდ ხშირადაა: „1830 წელსა შინა ვისიყდე მე ერთათ დეკანოზი ორბელიანოვითურთ და ისკანდაროვითურთ სოფელი ჰეპარაქი, ჰალა, ოხერა, ინდუსა, ფერსისციხე და ბოგა...“<sup>1</sup>; ან კიდევ 1836 წელს ოხერა ყიშლად იხსენიება: „სოფ. ჰეპერაქი, ჰალა და ორი ყიშლა ოხერა და ფერისციხე ეკუთვნოდათ თათარს ტურსუნ-ალა შაჰპაზ-ოღლის“<sup>2</sup>. ოხერა ახალციხიდან 6 ვერსზე და ურავლისწყალზე მდებარეობს. 1870 წ. მასში 10 კომლი ქურთული მოსახლეობა ირიცხება<sup>3</sup>.

სოფ. ოხერასთან დასახელებულია ადგილი *جانجانوسان*. ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები ყველგან აქვს და თითქოს „ჯანჯანათუბნად“ იკითხება, მაგრამ კითხვითი ნიშანი აქვს დასმული, რადგანაც შეიძლება „ქანქანათუბანი“ იყოს და სხვაღ.

43. სოფ. მლაშისხევი ვენახებით *اوفا صر* სოფ. მლაშისხევთან—*ملاشخو* (I 11, 168; II 12, 168). რადგანაც ასპინძის ნაჰიეში „მლაშისხევი“ სახელწოდებით ჩვენ სოფელი უკვე გვქონდა<sup>4</sup>, ამ მეორე მლაშისხევს შეიძლება პირობით „ჰეპარაქის მლაშისხევი“ დავარქვათ. „დავთრის“ დროინდელ მლაშისხევიში 12 კომლიანი მოსახლეობაა. ჰეპარაქის მლაშისხევი, ვითარცა სოფელმა, როგორც ჩანს, კარგა ხანია შეწყვიტა არსებობა. „ლაშისხევი ჰალაქის [ახალციხის] კიდურზეა; ლაშხევის მიწებს ღრეღეღები ხმარობენ ბოსტნებდა და ბაღებდა“ (ელ. ტაბატაძე). მართლაც ს. მლაშისხევი Description-ისადმი დართულ რუკაზე აღნიშნულია ახალციხესთან იმდროინდელი მარდა სოფლების ახლო შემდეგი ნათელი ტრანსკრიფციით: *Mlachis-khêwi*<sup>5</sup>.

„მლაშისხევი“ სახელწოდების თურქული ტრანსკრიფციისა და ამ სახელწოდების ხალხში გავრცელებული ფორმების შესახებ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი, როდესაც ასპინძის „მლაშისხევი“ ვიხილავდით<sup>6</sup>. ახალციხესთან ახლო მ. ბროსეს დასახელებული აქვს პატარა მდინარე *Lachhis Khew-ი*<sup>7</sup>. ფიქრობ, რომ ეს ლაშხისხევი არა, მლაშისხევის-წყალი უნდა იყოს. იმისათვის, რომ ხალხური ლაშხისხევი<sup>8</sup> ლაშხისხევი-ად იყოს გააზრებული; მასალა არსებობს.

სოფ. მლაშისხევთან დასახელებულია ვენახები ადგილზე, რომელსაც ეწოდება *اوفا صر*. ამ სახელწოდების ამოკითხვა არ ხერხდება.

ასევე ამოკითხული არ არის სახელი ჩაირისა *چا*, რომელიც მინაწერში მლაშისხევთან იხსენიება. ამ დაწერილობაში შუთანა ასოს ამოცნობა

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 64, გვ. 15 r, 28 r, აგრეთვე გვ. 44 r და v.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 25 r.

<sup>3</sup> К. Засеменов, 6.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ „ასპინძის მლაშისხევი“, გვ. 202, № 34.

<sup>5</sup> Description géographique de la Géorgie... რუკა № 1.

<sup>6</sup> იხ. ზემოთ, გვ. 202-203, სოფ. № 34.

<sup>7</sup> M. Brosset, Rapports... II, გვ. 150.

<sup>8</sup> ამ სოფელზე სტიაში დაცულია თურქული საბუთი, № 268.

ძნელა, რისთვისაც ჩვენ ორთავე წიგნში ეს სახელი კითხვითი ნიშნით გვაქვს დაბეჭდილი.

44. სოფ. მაიკეთი — *مايگت* (I 11, 169; II 12, 168). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს. არქივისეულ სიებშიც *Майкет*-ი გვაქვს (გვ. 13 გ, 11 v). ქაპარაქის ნაპიფეს სამხრეთ მონაკვეთზე ეს ის პუნქტია, რომელიც ხუთვერსიან რუკაზე *P. Д. Мокет*, ხოლო სხვა რუკებზე ხეიზასა და ზანზობთან *Ур. Мокет*-ად არის აღნუსხული.

1859 წლის არქივისეულ მასალებში *Майкет*-ზე წერია, რომ ის არის «пустошь помещицы», при роднике Ташли пуар [=турец. Каменистый родник], в лошине при горе Чиглара»<sup>1</sup>.

„დაეთრის“ დროინდელი მაიკეთი პატარა სოფელია, რომელშიც ირიცხება ხუთი კომლი მოსახლეობა.

45. სოფ. ბოსთანი(?) — *بوسان* (I 11, 169; II 12, 169). ამ სახელწოდების სწორად ამოსაკითხვად არავითარი კრიტერიუმი არ არის. ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, რაიმე ცნობა ამ პუნქტის შესახებ ვერ მოვიპოვეთ. ერთი ის არის, რომ *بوسان* დაწერილობაში მოცემულ ასოთა მოხაზულობა ძალიან მაცდუნებელია, რომ ის *بوسان*-ბოსტანად იქნეს წაკითხული და მეორე ის, რომ არქივისეულ ორთავე სიაში *Бостана* გვაქვს (გვ. 13 გ, 11 v).

სოფ. ბოსტანი(?) „დაეთრის“ დროსვე გაუქაცრიელებულია. მის ადგილმდებარეობაზე ცნობა არ ჩანს.

46. სოფ. ოლოდა — *اولودا* (I 11, 170; II 12, 169). ვფიქრობ, რომ დაწერილობა სწორადაა წაკითხული. ოლონდ რუკებზე ან სხვა რაიმე წყაროში ცნობა ასეთი პუნქტის შესახებ ამ ქაპარაქის ნაპიფეში არ აღმოჩნდა. ოლოდას სახელით აღრიცხულია კიდევ მეორე პუნქტი ჩილდირის ლივანს ქანარბელის ნაპიფეში<sup>2</sup>.

„დაეთრის“ დროის ოლოდა ორკომლიანი სოფელია. არქივისეული სიების შემდგენელთა მიერ ამ სახელის *Олук*-ად (გვ. 13 გ, 11 v) ამოკითხვა არ უნდა იყოს სწორი.

47. სოფ. ემპელო — *امپلو* (I 11, 170; II 12, 169). ეს არის ტბეთთან ახლო მდებარე პუნქტი, რომელიც ხუთვერსიანსა და სხვა რუკებზე აღნიშნულია *P. КР. Имплоа*. ანდრიაწმინდელმა. ელ. ტაბატაძემ ამ პუნქტის სახელად *ემპელო* ჩამაწერინა: „ემპელო კისათიბისაკენაა, ახლა გაზარაბებულია“. ვფიქრობ, მაინც *ემპელო* უნდა იყოს სწორი სახელი, ხოლო იმპოლუ, ინპოლუ, *Имплоа* კი სხვადასხვა მეტყველებაში გადამუშავებულ-გადამახინჯებული ფორმები. ასევე გადამახინჯებულია არქივისეული სიების ვარიანტები: *Инулоа* (გვ. 13 გ) და *Инлоа* (11 v).

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 37 v.

<sup>2</sup> იხ. აქვე. ჩილდირის ლივან, 17. ქანარბელის ნაპიფე, სოფ. № 7.

48. სოფ. მღრიანი II ხრიანი — مغریان (I 11, 170; II 12, 169). ეს უნდა იყოს ის პუნქტი, რომელიც რუკებზე, მაგალითად, „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“, ზანზობ-ტბეთ-ტრიბონის ზონაში აღნიშნულია Хриана-ად. ამ პუნქტის სახელი „დავთარში“ გარკვევით წერია და, თითქოს, ექვიუტანლად შეიძლება მისი მღრიან-ად წაკითხვა, მაგრამ არც წერილობითი ძეგლების (მათ შორის რუკების) მონაცემებით დასტურდება მღრიანი და ადგილობრივი მკვიდრნიც ამ სახელწოდებას ხრიან-ად წარმოთქვამენ. 1837 წ. ერთ საბუთში წერია: Хриана, Мамачихе[r], Кантет...<sup>1</sup> როდესაც ზე ამხ. ელ. ტაბატაძეს მღრიანზე შევეკითხე, მიპასუხა, რომ „მღრიანი არა და ხრიანი კი იყო სოფელი“. СМИБГКЗК-ში მოხსენებული Хриан-ი<sup>2</sup> და კ. ზისერმანის Хриан-იც (გვ. 12) უთუოდ ეს სოფელია.

არქივისეული სიების Мисрадан-ს (გვ. 13 r, 11 v) არავითარი საფუძველი არა აქვს. შესაძლებელია ძველი ქართული სახელი მღრიანი ყოფილიყო, ამჟამინდელი ხრიანი უნდა იყოს სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში გადაშეშებული ფორმა მღრიანისა.

სოფ. ხრიანი „დავთარში“ დროსვე გაუქაცრიელებულია.

49. სოფ. გორგეთუბანი, მეორე სახელი ხაჩათუბანი — წყორძასა და ურაველს შუა — گورگهتوبان ماس ديار خاجاوسان (I 11, 170; II 12, 169). ამ პუნქტის მდებარეობის დასაზუსტებლად „დავთარში“ ნათქვამია, რომ იგი წყორძასა და ურაველს შუა არის. თუ ეს ასეა, მაშინ „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ მართლაც წყორძასა და ურაველს შუა აღნიშნული პუნქტი Ур[очище] Горгетубан — ეს ჩვენი „გორგეთუბანი“-ად აღნიშნული პუნქტი უნდა იყოს (ეს პუნქტი ხუთფერისიან რუკაზედაც არის აღნიშნული; გორგეთუბანი შეიძლება გოგოთუბან-ად გააზრიანდა. არქივისეული სიების შემდგენლები ამ სახელწოდებას Георгитубан-ად (გვ. 13 r) და Горгетубань-ად (გვ. 11 r) კითხულობენ. საარქივო საბუთში კაპარაქის სანჯაყში მდებარედ მოხსენებული სოფ. Коркотубан-ი ამ ჩვენი გორგეთუბანის არმენიზებული სახელი უნდა იყოს<sup>3</sup>. ამ პუნქტის მეორე ხაჩათუბან სახელს ჩვენ ვერსად ვერ მივაგენით.

გორგეთუბან ან ხაჩათუბან სოფელში მოსახლეობა ოთხი კომლისაგან შედგება.

50. სოფ. ქურდოსანი, მაიკეთის ზემოთ — گوردراسان داری کیت (I 11, 170; II 12, 170). ელენე ტაბატაძის მიხედვით „ქურდოსანი სათიბია ზანზობს ზეით“ და მართლაც „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ ზანზობთან ახლო აღნიშნულია К[уртан] Курдосани. არქივისეული სიების Корташани, მე მგონია, გაუგებრობა უნდა იყოს.

<sup>1</sup> სცია, ფ. 1012, ს. 21, გვ. 23 v.

<sup>2</sup> ტ. 13, გვ. 248.

<sup>3</sup> სცია, ფ. 47, ს. 64, გვ. 8 r.

ქერდოსანი მოსახლეობისაგან „დავთრის“ დროსვე დაცარიელებულა.

51. სოფ. ა ბ ა თ უ ბ ა ნ ი — انباتس (I 11, 170; II 12, 170). მართალია, დაწერილობას არა აქვს დიაკრიტული ნიშნები, მაგრამ ამ დაწერილობის ამგვარად წაკითხვა ძალიან მიმზიდველია (იხ. დედანი, გვ. 157). პირველი არქივისეული სიის შემდგენელიც Абагубан-ად კითხულობს (გვ. 13 r), ხოლო მეორე სიაში მოცემული Абагубан ვარიანტი — მიუღებელია.

აბათუბანი უკაცრიელად არის აღწერილი. მისი ლოკალიზებისათვის ცნობები უკერძოებით არ გაგვაჩნია, თუმცა ერთგან ჩამიწერია, რომ „აბათუბანი ახლაც სოფელია“.

52. სოფ. კ ა რ თ ა ლ ა ნ ი (?) — كارتالان (I 11, 171; II 12, 170). არქივისეულ სიებში გვაქვს Карталани (გვ. 13 r, 11 v), რაც სავსებით შესაბამისია ამ დაწერილობაში მოცემულ ანბანთა ბგერითი ღირებულებებისა. ოღონდ ასეთი სახელწოდების პუნქტზე ჩვენ ცნობა არა გვაქვს. გაუკაცრიელებული სოფელია.

53. სოფ. სასა, I წიგნში დიაკრიტული ნიშნები დამისვამს: ساسا (I 11, 171; II 13, 170). ცარიელ სოფლადაა აღწერილი. არქივისეულ სიებში ამოკითხულია Сасал-ად, მაგრამ ეს არ არის სწორი; ამ დაწერილობაში ორი კ (ლ) არ არის და ასეთი წაკითხვა ამიტომაც შეიძლება უკუგდებულ იქნეს. აქ უფრო მოსალოდნელია: „სათელია“, „სათელეთე“ და სხვ.

54. სოფ. მ ა ლ უ ლ ი ს ხ ე ე ი — Малюлихев (I 11, 171; II 13, 170). არქივისეულ სიებშიც ასეა ამოკითხული — Малюлихев (გვ. 13 r, 11 v). ეს სწორად უნდა იყოს ამოკითხული; خ ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს, ხოლო დანარჩენი ასოები კარგად ირჩევა. ადგილმდებარეობა უცნობია. აღწერილია როგორც გაუკაცრიელებული სოფელი.

55. სოფ. ო კ ი ე თ ი — اوكت (I 11, 171; II 13, 170). ჩვენ უკვე და რამდენიმეჯერაც გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბოლოკიდური ტ-ს მოხაზულობის მქონე ასოების გამორჩევა ბოლოკიდური კ (ლამ)-ისაგან ძნელია. ამით აიხსნება, რომ ჩვენ ეს დაწერილობა I-სა და II წიგნებში اوكت || اوكل ვარიანტებად გვაქვს წარმოდგენილი. ამგვამად არქივისეული მასალების საფუძველზე სწორედ ამ მიდამოებისათვის დადგენილია პუნქტი О к и е т სახელწოდებით, რომლის ფონეტიკური არსი სავსებით იდენტურია اوكت დაწერილობისა. ამრიგად, ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელი ამოკითხულად უნდა ჩაითვალოს. ეს არის სოფ. ო კ ი ე თ ი, რომელიც „დავთრის“ დროს უკვე ცარიელია მოსახლეთაგან. ო კ ი ე თ პუნქტი დასახელებულია ისეთ სოფელთა შორის, რომლებიც ჰაქარაქის ნაჰიეს ამ კუთხეში მდებარეობენ. 1845 წლის საბუთში წერია: Протоиерей Иосиф Орбелианов лично мне объявил, что деревни Агара, Сагула, Вашлоби, Тхилатубан, Саязоб и Окиет состоят... და სხვ.<sup>1</sup> არქივისეულ სიებშიც Окиет-ი გვაქვს (გვ. 13 r, 11 v).

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 67, გვ. 1 r.

56. სოფ. ხეჭიზა (صافورا) საყვეარა სათესველითურთ — خكيزه (I 11, 171; II 13, 170). ხუთეფრსიან და სხვა რუკებზედაც (მაგალითად, „ევროპული რუსეთის სპეცრუკაზე“) ჭაქარაქის ნაჰიეჲს ამ მონაკვეთზე აღნიშნულია Р. Д. Хекиза (ეს უფრო სწორი უნდა იყოს, ვიდრე „ევროპული რუსეთის სპეცრუკის“ Хакиза და აქედან ჩემი ხეჭიზა). ამრიგად, ხეჭიზას მდებარეობა საესებით გარკვეულია. „დაეთრის“ დროის ხეჭიზაში მოსახლეობა არ არის. خكيزه დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს დასმული და, ალბათ, ამ გარემოებამ მისცა საბაბი არქივისეული სიების შემდგენლებს სრულიად უმართებულოდ ეს მოხაზულობა Сакире-დ ამოკეთხათ (გვ. 13 v და 11 v; მართლაც, პირველ خ ასოს თუ ص-ად მივიღებთ, ამ უნიშნებო დაწერილობის ساكيره — საკირე-დ წაკითხვა საესებით შესაძლებელია).

ხეჭიზასთან ნახსენებია صافورا სათესველი. ამ დაწერილობის წაკითხვა საყვეარა-დაც შეიძლება და ასეთი გეოგრაფიული სახელწი კი ჭაქარაქის ნაჰიეში არ არის უცხო. პროფ. ს. მაკალათიას მიერ ამ კუთხეში ჩაწერილი თქმულების მიხედვით: „შემოდგომაზე ეს ცხვარი რომ წამოვიდოდა ჩახრა. ხიდის მთიდან, მისი უკანა თავი იქნებოდა საყვეარაში (აქ ძველი ნასახლარია; ახლა კობარელების იალაღია), წინა თავი კი ჩამოვიდოდა რუსთაველი...“<sup>1</sup> არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ხეჭიზასთან ნახსენები საყვეარა სათესველი დაკავშირებული იყოს ამ თქმულების საყვეართან.

57. სათესველი ახალკეთი — اخكت (I 11, 171; II 13, 170). არქივისეულ სიებშიც Ахалкет-ი გვაქვს (გვ. 13 v, 11 v). დაწერილობას ნიშნები უზის და, თითქოს, ამოკითხულობა სწორია. თუმცა ასეთი პუნქტი არსად არ იხსენიება. სამაგიეროდ რუკებზე (მაგალითად, „ევროპული რუსეთის სპეცრუკა“; ხუთეფრსიანი რუკა) ამ მიდამოებში ფიქსირებულია Р. Д. Ахалкоз, შესაძლებელია ეს არაქართულ მეტყველებაში დამახინჯებული ახალკეთ სახელწოდება იყოს.

58. სათესველი საგულეა || საგულე — ساگول<sup>2</sup> (I 11, 171; II 13, 171). ამოკითხულობა თითქოს სწორია. ელ. ტაბატაძეს „საგულა“ რომ ვკითხვ „საგულე“ იქნებო, მითხრა. მართლაც, არქივის მასალებში ასეთი გეოგრაფიული სახელი ჭაქარაქის ნაჰიეჲს ტერიტორიისათვის გვხვდება. მაგალითად, 1845 წლის ერთ საბუთში იხსენიება სოფლები Агара, Сагула, Вашлони, Тхиятубан, Санзоп და Окнет<sup>3</sup>. ვფიქრობ, რომ ასეთ კონტექსტში მოხსენებული Сагула, ელ. ტაბატაძის მიერ დასახელებული საგულე

<sup>1</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 40 (აგრეთვე: ვახ. „კომუნისტი“, № 198, 30.VIII, 1937).

<sup>2</sup> I წიგნში (გვ. 171) ამ სიტყვაში შეცდომით კ ასო ორჯერაა დაბეჭდილი.

<sup>3</sup> სცია, ფ. 73, ს. 67, გვ. 1 r.

და ჩენი „დავთრის“  $\text{خاواس}$  II საგუგლა უნდა იყოს ერთი და იგივე სახელწოდება, რომელმაც სხვადასხვა ენაში (რუსული, სომხური, თურქული, ქართული) სხვადასხვანაირი ფორმა მიიღო. ამავე დროს ეს გეოგრაფიული სახელი უნდა განეკუთვნებოდეს იმ პუნქტს, რომელიც რუკებზე ვაშლობს-ქვემოთ  $\text{P. P. Сагъа}$ -დ არის აღნიშნული. რა თქმა უნდა, ეს ის სოფელია, რომელიც ახალციხის რაიონში სოფ. კანტიეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა აგარა, ხრიან, ენთელ, ოდუნდა, ვაშლობ, ტბეთ, ახალდაბა, ტრიბონ-და გიორგიშინდა სოფლებთან ერთად  $\text{Сагъа}$ -ს სახელწოდებით<sup>1</sup>. არქივისეული სიების  $\text{Сакуркае}$  (გვ. 13 v, 11 v) სიმართლესთან ახლო არ არის.

59. სოფ.  $\text{حوری}$  (I 11, 171; II 13, 171). არქივისეულ სიებში  $\text{Ча-нур}$ -ად არის ამოკითხული. ჩვენ ასეთი პუნქტის ამოსაცნობად მასალას არ ვიცნობთ. „დავთრის“ დროსვე გაუქაცრიელებული სოფელია.

60. სათესველი საყავრისხევი და  $\text{صافرسوخو}$  (I 11, 171; II 13, 171; აქ შეცდომით საყვერისხევია დაბეჭდილი). არქივისეულ სიებში წერია:  $\text{Сакурисхев}$  и  $\text{Саириао}$  (გვ. 13 v, 11 v). ელ. ტაბატაძის ცნობითაც კობარეთთან ახლო არის ადგილი — საყურისხევი. შესაძლებელია ზემოთ, სოფ. ხეჩიხასთან ნახსენები სათესველი საყვევარა<sup>2</sup> დაკავშირებული იყოს ამ საყურისხევთან. „საყურისხევი“ გადასხვაფერებული „საყავრისხევი“ უნდა იყოს. ვფიქრობ,  $\text{K. Ган}$ -ის  $\text{Сакаврис-хев}$ ის სწორედ ეს პუნქტია. ავტორი ამ სახელს ყავარ სიტყვიდან მომდინარედ თვლის<sup>3</sup>.

ზეორე სათესველის სახელს —  $\text{صاف}$ -ს არქივისეული სიის შემდგენლები  $\text{Саириао}$ -დ კითხულობენ, თუმცა ასე წაკითხვის შესაძლებლობა არ არის; სხვა რომ არაფერი იყოს, ამდენე ასო არც არის  $\text{صاف}$  დაწერილობაში.

ამ პუნქტების (სათესველების) ადგილმდებარეობა ჯერჯერობით უცნობია.

61. სათესველი ახალდაბა ტბეთ სოფელთან —  $\text{اخلا}$  (I 11, 171; II 13, 171). იკითხება კარგად და ადგილმდებარეობითაც ცნობილია. ტბეთთან ხუთვერსიან და სხვა რუკებზედაც აღნიშნულია  $\text{P. Д. А х а л д а б а}$  (ხუთვერსიან რუკაზე ახალდაბის ნასოფლარი ორ ადგილასაა აღნიშნული და ერთმანეთთან ახლო).

62. სოფ. ზემო და ქვემო ოხომა —  $\text{اوخما علیا و سفلی}$  (I 11, 171; II 13, 171). არქივისეული სიების  $\text{О х е м у л и а}$  и  $\text{с у х м а}$  (გვ. 13 v, 11 v) სწორი არ არის. ეს არის სოფ. ოხომა, რომელიც ხუთვერსიან და მსხვილმასშ-

<sup>1</sup> სპ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფილობის შესახებ რუსულად დაბეჭდილი სია „ახალციხის რაიონი“.

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, გვ. 239.

<sup>3</sup>  $\text{K. Ф. Ган, Опыт объяснения кавказских географических названий... СМОМПК}$ ,

ტაბიან რუკებზე P. Д. ან Ур. О х о м ა-დ არის აღნიშნული სოფ. კისათობთან. „ოხომა კისათობისაა; ეგეც ანდრიაწმინდასთანაა; სოფელი ყოფილა, ახლა აღარაა სოფელი“ (ელ. ტაბატაძე). ოხომა სახელწოდებას ჩვენ ვხვდებით აგრეთვე -ხალხურ თქმულებებში. მაგალითად, „უნტროსი ძმა თლიდა ქვებს კისათობში, ო ხ ო მ ა შ ი და უგზავნიდა უფროს ძმას, ოსტატს“<sup>1</sup>. ვხვდებით ოხომას ხსენებას საარქივო მასალებშიც: Ахалцихского санджака деревня Хома улня и сүфля...<sup>2</sup> „დავთრის“ დროს ოხომა უკვე გაუკაცრიელებულია, ხოლო 1870 წელს სოფ. ღრომის მდებარეობის დასაზუსტებლად იხსენიება P. Охома<sup>3</sup> (=ოხომისწყალი).

<sup>1</sup> მ. ჩიქოვანი, აბუსერიძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. V, № 7, 1944, გვ. 758.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 64, გვ. 39 რ.

<sup>3</sup> К. Зиссерман, 11.

## II. ხ ე რ თ ვ ი ს ი ს ლ ი ვ ო

### 10. ხერთვისის ნაჰიჲე

1. სოფ. ხ ე რ თ ვ ი ს ი ს ციხის რაბათი—*رباط قلعة خرتوس* (I 11, 172; II 13, 171). ამავე სახელის მატარებელი ერთი გეოგრაფიული პუნქტი ჩვენ უკვე განვიხილეთ უდის ნაჰიჲეში<sup>1</sup> და მივეუთითეთ იქვე პროფ. ა. შანიძის ვრცელი გამოკვლევა „ხერთვის“ სიტყვის ეტიმოლოგიის, მნიშვნელობისა და გავრცელებულობის შესახებ ძველ საქართველოში. პროფ. ა. შანიძემ გაარკვია, რომ „ხერთვის“ სიტყვა ზმნის პირიელი ფორმაა, როელშიც ხ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსია<sup>2</sup>. აქვე მოყვანილია „ხერთვისის ეტიმოლოგიის შესახებ აზრი ი. როსტომაშვილისა, რომელიც ამ სიტყვის ნახევრად სწორ ეტიმოლოგიას იძლეოდა. ი. როსტომაშვილი წერდა: *Образовалось оно [«Хертвиси»] из двух слов: х=сокращенное хеви—река, вода и эртвис (херთვის) — соединяется. И, действительно, Хертвис стоит как раз у соединения р: Тапараванки с Курой, на левой стороне первой и на правой—второй*<sup>3</sup>. პროფ. ა. შანიძემ უკვე აღნიშნა, რომ ი. როსტომაშვილი „ხერთვისში“ სწორად გამოყოფს „ერთვის“ სიტყვას, მაგრამ „ხ“, რა თქმა უნდა, „ხევის“ შემოკლება არ არის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ს. მაკალათია თავის 1938 წელს გამოსულ შრომაში ორი ზემოხსენებული ავტორის (ი. როსტომაშვილისა და ა. შანიძის) ნაშრომთა გაუთვალისწინებლად და მათგან დამოუკიდებლად იძლევა „ხერთვის“ სიტყვის, უფრო მეტად როსტომაშვილისეულ, საერთოდ არასწორ ინტერპრეტაციას და ამბობს: „ხერთვისიც ნიშნავს ამ ორი ხევის შეერთებას (ორი ხევის შერთვა, ხეერთვა-ხერთვისი)<sup>4</sup>. ხ ე რ თ ვ ი ს ი ს ასეთი ახსნა ზ. ქიქინაძესაც აქვს: „სოფ. ხერთვისი იმიტომ დაერქვა, რადგანაც აქ ორთ ხეობის წყალი მაქახელა მეორე ხევის წყალს ერთვის და იმიტომ იტყოდნენ ხევთ ერთვისო და აქედან წარმოსდგა ხერთვისი“ (ოღონდ აქ ლაპარაკია აქარის მაქახლის წყალ-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 105.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ხმნებში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, თბილისი, 1922-1923, გვ. 262-275; აგრეთვე: ა. შანიძე, ქართული ვნის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 268-277.

<sup>3</sup> И. П. Ростков, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, 25, თბილისი, 1898, გვ. 115.

<sup>4</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 83.



„ზე მდებარე ხერთვისზე)“<sup>1</sup>. „ხერთვის“ სიტყვის ეტიმოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა ხალხური ლექსი:

გამოვიარე ხერთვისიო, ორი წყალი ვრთვისიო...<sup>2</sup>

საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ხერთვისის მდებარეობას ექვ. თაყაიშვილიც ეხება: ხერთვისი იყო ქალაქი და პირველხარისხოვანი ციხე, რომელიც იცავდა ჯავახეთიდან სამცხისაკენ მიმავალ გზას. ხერთვისი მდებარეობს მაღალკლდოვან კონცხზე ორთავე მტკვრის შესართავთან<sup>3</sup>. «ხერთვისი, რომლითგან მოყოლებული „ზევით სულ ჯავახეთი“ იყო»<sup>4</sup>.

სხვადასხვა ენობრივ წრეში ხერთვისის სახელი სხვადასხვანაირადაა გადატეხილი: Герванс, Хертас<sup>5</sup>, ...so wie Chartwis in denselben Gertwissy geschrieben wird<sup>6</sup>. Hammer-ი ჩრდილის ვილნეიტისათვის რომ სასანჯაყო ცენტრებს ჩამოთვლის „ხერთვისის“ თურქულ, უთუოდ ქნთიბ ჩელებისეულ خرتوس ტრანსკრიფციას ასე კითხულობს: Chartos (=ხართოს)<sup>7</sup>; ადგილობრივ სომხურ მეტყველებაში „ხერთვისს“ „ხერთუზ“ად წარმოთქვამენ; ასევე ამისი გადათურქულებული ფორმაც. ამ სახელის ქართული უმართებულო ფორმები ინდივიდუალური წარმოშობის უნდა იყოს: „ხელთვისის სანჯახის განმგებელს უფალს...“<sup>8</sup> და „ხელთვისის სანჯახის სოფლის ბარალეთის მცხოვრებთა სომეხთა, ქართველთა და თათართაგან...“<sup>9</sup>

„დავთრის“ დროის ხერთვისი დიდი სოფელია, ლივანსა და ნაჭიყეს ცენტრი, რომელშიც აღრიცხულია 129 კომლი. თანამედროვე ხერთვისი შედის ასპინძის რაიონში, როგორც ხერთვისის სასოფლო საბჭო<sup>10</sup>.

2. სოფ. ალჯუა — الحو (I 11, 174; II 13, 173). „დავთრის“ დროის ალჯუა ათკომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენ დრომდე მოაღწია. ალჯუა ხერთვის და კვარმა სოფლებთან ერთად შედიოდა ასპინძის რაიონის ხერთვისის სასოფლო საბჭოში<sup>11</sup>. „ეეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ ხერთვისისა და კვარშის მიდამოებში აღნიშნულია Алджева, სხვა მსხვილმასშტაბიან რუკებზეა Алджва, Алджва, ადგილობრივად ალჯუას წარმოთქვამენ. კ. ზისერმანთან Алджва || Алчуа ახალციხიდან 36 ვერსის მანძილზეა ნაჩვენები (გვ. 23).

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ქართველ მამადიანთ ზეპირი ცნობებით (მეოთხე გამოცემა), თბ., 1911, გვ. 42. <sup>2</sup> ს. შაკალათია, დასახ. შრომა, გვ. 126.

<sup>3</sup> МАК, XII, გვ. 22.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 54.

<sup>5</sup> История военных действий, I, გვ. 53, 264.

<sup>6</sup> GOR, II, 866.

<sup>7</sup> جهان‌نا, 408; Des osmanischen Reichs Staatsverfassung und Staatsverwaltung,,

II, გვ. 260.

<sup>8</sup> სცია, ფ. 79, ს. 5, გვ. 8რ.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>11</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

3. სოფ. პ რ ტ ე ნ ა — برتنه (I 11, 175; II 13, 174). ადგილობრივ. მკვიდრთა ახლანდელი წარმოთქმით — პ ტ ე ნ ა (ელ. ტაბატაძე); ხალხურ. ლექსშიც ასეა:

გამოვიარე პტენასაო, თოფი ვესროლე მელასაო<sup>1</sup>.

არქივისეული სიების Ертаише და Ертаиша ძლიერ დამახინჯებული. ფორმებია, გ. შალიბაშვილის მიერ არტაანიდან ქ. შ. წ.-ე. გ. ს. გამგეობისა-დმი მოწერილ ქართულ წერილში გვაქვს ფ რ ტ ე ნ ა, რაც სწორი არ არის<sup>2</sup>. იმავე საბუთში რუსულად Пртена წერია. ცხადია, რომ ისტორიულად ამ სიტყვაში რ თანხმოვანი ყოფილა; ამას მოწმობს ყველაზე თვალსაჩინოდ „დაეთარი“ და სხვა საბუთებიც. რ თანხმოვანი შეზღვევ ამოკარდნილა და ახლა ოციკალიურ სიაშიც ამ სოფლის სახელად პ ტ ე ნ ა წერია<sup>3</sup>. ისიც ცხა-დია, რომ თავიერდურად ამ სიტყვის მკვეთრი „პ“ მოუღდს და არა „ფ“. ეს. სოფელი ჩუნჩხასთან ერთად ახალქალაქის რაიონის ჩუნჩხის სასოფლო საბ-კოში შედის<sup>4</sup>.

არქივის მასალებიდან ჩანს, რომ 1841 წელს სოფ. პრტენის ნახევარი (8 000 ახჩის შემოსავლით) ეკუთვნის მემამულე ბექირ-ალა თაშლილი-ოღლის<sup>5</sup>. მსხვილმასშტაბიან რუკებზე ჩუნჩხასა და ალჯუასთან ყველგან აღნიშნულია Пртена.

4. სოფ. მ შ რ ჯ ი კ ა ნ ი — مرجکان (I 11, 175; II 13, 174). დაწერი-ლობას დიაკრიტული ნიშანი არა აქვს, მაგრამ ასოთა მოხაზულობა და თა-ნამიმედვერობა უეჭველს ხდის მის მ შ რ ჯ ი კ ა ნ -ად ამოკითხვას. „მურჯიკა-ნი“ ნასოფლარია, შეადგენს პრტენის ადგილს, აქიდან კოთელიაში გადასახლ-დნენ<sup>6</sup> (ნიე. ნათენაძე). არქივის პირველ სიაშია Мурчкань, რაც სწორი არ არის; მეორე სიაშია Мурджикань (გვ. 13v, 11v). უფრო დამახინჯებულია. ეს სახელი ერთ საბუთში, სადაც Мурткан წერია<sup>7</sup>. 1841 წლის საბუთიდან ჩანს, რომ მ შ რ ჯ ი კ ა ნ ი უკვე გაუკაცრიელებულია და 11 000 ახჩიანი შემო-სავლით ეკუთვნის მემამულე ბექირ-ალა თაშლილი-ოღლის<sup>8</sup>. მდებარეობს. მურჯიკანი პრტენის აღმოსავლეთით (იხ. თანდართულ რუკაზე). ერთ საარქი-ვო საბუთში ნაჩვენებია, რომ დაუსახლებელი სოფელი მურჯიკანი ახალქა-ლაქიდან დაახლოებით 5 ვერსზე არის<sup>9</sup>. მურჯიკანი ასევე ნასოფლარადაა დასახელებული პროფ. ს. მაკალათიასთანაც<sup>10</sup>. „დაეთარის“ დროის მურჯიკანი. ექვსკომლიანი სოფელია. როდის მოხდა ამ სოფლის გაუკაცრიელება, არა ჩანს.

<sup>1</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 126.

<sup>2</sup> სტია, ფ. 215, ს. 312, გვ. 1r.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 20.

<sup>4</sup> სტია, ფ. 73, ს. 166, გვ. 2r.

<sup>5</sup> აქედან გვარის სახელი მ შ რ ჯ ი კ ა ნ ე ლ ი.

<sup>6</sup> სტია, ფ. 77, ს. 23, გვ. 11v.

<sup>7</sup> იქვე, ფ. 73, ს. 166, გვ. 2r.

<sup>8</sup> იქვე, ფ. 77, ს. 48, გვ. 22v.

<sup>9</sup> მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 113.

5. სოფ. როკეთი — *روكيت* (I 11, 176; II 13, 175). სოფ. როკეთი „წყალ გაღმა, ტოლოშ ზევით“ (პ. მაზნიაშვილი). რუკებზე ყველგან აღნიშნულია სწორედ ტოლოშ ზევით — *Рокет*. არქივისეული სიგების *Рукет* უთუოდ შეცდომაა (გვ. 13v, 11v). საარქივო საბუთში ნათქვამია: *Азгуда и Рокет состоят в Хертовинском санджаке*<sup>1</sup> და სხვ. „დაეთარში“ როკეთი 15 კონსლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენ დრომდეც მოაღწია. სოფ. როკეთი ტოლოშ, ალანძია, აძგვიტა, ბნელა, გელსუნდა, ქუნცა, ოსკერია და ნარმანთან ერთად ასპინძის რაიონის ტოლოშის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>2</sup>.

6. სოფ. ხიზაბავრა ოსპანაურ და ვარანტა სათესველებითურთ და სოფ. გომის ვენახებითურთ. *قرية خيزاباوره مع مزرعة اسبانور و وارنداء مع باغات* (I 11, 176; II 13, 175). „დაეთარის“ დროის ხიზაბავრა საკმაოდ დიდი, ორმოცკომლიანი სოფელია. ამჟამადაც ხიზაბავრა (მ. ბროსესთან — *Khizabawra; Rapports.. II, 176*) დიდი სოფელია, ახალქალაქიდან დაახლოებით 20, კილომეტრზე<sup>3</sup>. ხალხური ლექსი ხიზაბავრაზე შემდეგს ამბობს:

ხიზაბავრა ქარიანი, დარნები აქვს კარიანი.

წინ მინდორი და უკან ტყე, ლენო იცის გვარიანი<sup>4</sup>.

ან არადა:

ხიზაბავრა დიდი არი, სულ ქართველი ფრანგიაო...<sup>5</sup>

ამჟამად ხიზაბავრა ასპინძის რაიონში ცენტრია სასოფლო საბჭოში-რომელშიაც გაერთიანებულია ვარგაე, თოკ და სარო სოფლები<sup>6</sup>. სოფ. ხიზაბავრასთან ერთად აღრიცხულია:

1) ოსპანაურ სათესველი — მე ვკითხულობ და დაბეჭდილი მაქვს ოსპანაური კითხვითი ნიშნით. ამჟამად კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას. ადგილობრივმა მკვიდრმა პ. მაზნიაშვილმა დამადასტურა ხიზაბავრასთან ასეთი ადგილის არსებობა, ოღონდ არა ოსპანაური, არამედ ოსპანაური; ეს უნდა იყოს „დაეთარის“ შემდგენლის შეცდომა.

2) ვარანტა სათესველი — მე ეს სიტყვა ამოუკითხავად დავტოვე, რადგანაც სათანადო მასალა არ აღმომაჩნდა. II წიგნის დაბეჭდვის შემდეგ ვარძიის მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა რუსუდან გვერდწითელმა შეცნობა ხიზაბავრის მახლობლად ვარანთა სასოფლარის არსებობის შესახებ. შემდეგში ეს ფაქტი ამხ. პ. მაზნიაშვილმაც დაადასტურა, ოღონდ ვარანტა და არა ვარანთაო. „დაეთარის“ *وارنداء* დაწერილობაშიც ვარანტა-ა (ჩვეულებრივად სასოფლო თანხმომიანი გადმოიცემა). ამრიგად

<sup>1</sup> სცია, ფ. 79, ს. 10, გვ. 4r; იქვე, ფ. 73, ს. 35, გვ. 3r; იქვე, ფ. 223, ს. 55, გვ. 3r.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. 18 და И. Ростовов, Ахаджалякский уезд в археологическом отношении, СМОМПК, 25, გვ. 112.

<sup>4</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 74.

<sup>5</sup> იქვე, 125.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

ხიზაბაგრის მეორე სათესველის ზუსტი სახელი ვ ა რ ა ნ ტ ა უნდა იყოს. ბოლოს ჩვენ ისიც შევნიშნეთ, რომ ეს სათესველი მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია ასე—Ур[очище] Баранта<sup>1</sup>.

3) ხიზაბაგრას მიწერილი აქვს აგრეთვე, ალბათ ხიზაბაგრასთან მომიჯნავედ მდებარე, სოფ. გომის ვენახები. სოფ. გომზე ჩვენ ცოტათი ქვემოთ (№ 22) გვექნება ლაპარაკი.

4) მინაწერში ნახსენებია *حوس* (?) ჩაირი, რომლის ამოკითხვა არ ხერხდება.

7. სოფ. ჩ უ ნ ჩ ხ ე ლ ი კუნაპეტ[ის] ტბა [?] სათესველით — *چونچیل* (I 11, 177; II 13, 177). ამ სოფლის თანამედროვე ქართული და საერთოდ აღიარებული სახელია ჩ უ ნ ჩ ხ ა. ეს დასტურდება ხალხური ლექსითაც:

გამოვიარე ჩ უ ნ ჩ ხ ა ს ა ო, ქალები ჰკრეფდნენ ჩინჩხვარსაო<sup>2</sup>.

აღვიღებ ეს სოფელი ახლა მხოლოდ ამ სახელით არის ცნობილი. მაგრამ ისევე როგორც „დავთარში“, სხვა წერილობით წყაროებშიც ამ სოფლის სახელად მოხსენებულია ჩ უ ნ ჩ ხ ე ლ ი, მაგალითად: ... в Ахалкалакском санджаке деревня Чунчхель...<sup>3</sup>, деревня Чунчхель, населенная восьмью семействами<sup>4</sup>, Чунчхел<sup>5</sup> და სხვაგანაც ბევრგან. ამ სახელწოდების ჩ უ ნ ჩ ხ ე ლ ფორმა ჩვენ გვხვდება აგრეთვე ზოგ ქართულ საბუთშიც. მაგალითად, საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულია წერილი, რომელიც 1914 წ. არტაანიდან გამოუგზავნია ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობისათვის გ. შალიბაშვილს. წერილში ლაპარაკია სოფ. პრტენი<sup>6</sup>დან, მურჯახეთიდან და ჩ უ ნ ჩ ხ ე ლ ი-დან გლეხების გადასახლებაზე არტაანში<sup>6</sup>. „დავთარში“ ამ სოფლის სახელი მთლიანად დიაკრიტიული ნიშნებითაა დაწერილი და მისი კითხვა გაადვილებულია. უეჭველია, რომ ამ დაწერილობის ბოლოს იკითხება *ქ* (= ელ; იხ. დედანიჭვ. 163). მართალია, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბოლოკიდური *ქ* და *ჟ* ერთნაირი მოხაზულობისაა და ძნელი გასარჩევია „ელ“ მარცვალა ბოლოს. თუ „ეთ“. მაგრამ აქ თითქოს „ქ-ელ“ მარცვალა უნდა გვექონდეს. ამას მხარს უჭერს არქივისეული სიის *Чунчхель* ვარიანტი (გვ. 13v, 11v). თუ ისტორიულად იყო ჩ უ ნ ჩ ხ ე ლ ი (ან შეიძლება ჩ უ ნ ჩ ხ ე თ ი, ჩუნჩხათი), რატომ უნდა მოეცა ამას ჩუნჩხა, აუხსნელად რჩება. ამის შესახებ მხოლოდ ერთი რამ შეიძლება მოუვიდეს კაცს კეუაში: „დავთარის“ შედგენის დროს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად ქართველებისაგან შედგებოდა და ეს მოსახლეობა ფლობდა მხოლოდ ქართულ ენას. შესაძლებელია, თურქ მოხელეს, რომელიც აღწერას აწარმოებდა, ყოველთვის და ყველგან არ ჰყავდა თარჯიმანი. ამ გარემოებას კი შეეძლო ზოგჯერ გამოეწვია

<sup>1</sup> Спецкарта Европ. России.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 126.

<sup>3</sup> სტია, ფ. 1012, ს. 26, გვ. 1v.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 1012, ს. 21, გვ. 7r.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 223, ს. 19; ასევეა К. Звссерная-თან, გვ. 27.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 215, ს. 312, გვ. 1r, 3v.

ასეთი გაუგებრობა: ინფორმატორი აღმწერს ეუბნება, რომ ის ჩუნჩხელია, ხოლო თურქი მოხელე „ჩუნჩხელ“ სიტყვას იღებს სოფლის სახელად და „დავთარიში“ შეაქვს „ჩუნჩხელი“. შემდეგში „დავთარი“, როგორც სავსებით ოფიციალური დოკუმენტი, საფუძველი იყო ყოველგვარი ოფიციალური მიმოწერისა. ჩვენ დაინახეთ, მაგალითად, რომ დასახლებულ პუნქტთა ე. წ. არქივისეული სიის ორივე ვარიანტი „დავთარიდან“ არის გადმოღებული. მასასადავ, საბუთებში „დავთარიდან“ უნდა იყოს გავრცელებული ამ სოფლის სახელად „ჩუნჩხელ“ ფორმა, რომელმაც, შეიძლება, ფეხი მოიკიდა ადგილობრივი საზოგადოების კანცელარიულ წრეებში.

XVI საუკუნის დასასრულის ჩუნჩხა 52 კომლიანი, დიდი სოფელია. ჩვენი დროის ჩუნჩხა ახალქალაქის რაიონში ცენტრია ჩუნჩხის სასოფლო საბჭოში, რომელშიც აქ უკვე განხილული პტენა სოფელიც შედის<sup>1</sup>.

სოფ. ჩუნჩხასთან დასახლებულია 土 土 土 სოფელი. აქ ასოები, ვგონებ, სწორადაა ამოცნობილი (შდრ. დედანს, გვ. 163) და წაკითხვა ამ ზოხაზულობისა შეიძლება კუნაპეტ[ის]-ტბა-დ. კუბანეტ[ის] ტბად და სხვ.

8. სოფ. და დ ე შ ი — اداشي (I 12, 178; II 13, 177). სწორედ აქ განსახლევი ზონისათვის ვახუშტი წერს: „ქველად მტკვარს მოერთვის, კოხტის ქვის შესართავს ზეით, და დ ე შ ი ს - ქ ე ე ი, გამომდინარე ერუშეთის მთსა. და დ ე შ ს არს მონასტერი... აწ ცალიერი<sup>2</sup>. დიმ. ბაქრაძით „დადუშის ეკლესია მდებარეობს აწინდელ ახალციხის მაზრაში, მტკვრის შენაკადის დადუშისწყლის მარჯვენა ნაპირზე“<sup>3</sup>. ამგვარად ეს სახელი „დადუშ“ ადწარმოიქმნის (ელ. ტაბატაძე). 1852 წ. ერთი; საბუთში ნათქვამია: საქმე ყირხქესალოვის მიერ უკანონოდ დაუფლების შესახებ სოფ. და დ ე შ ი ს მეორე ნაწილსა...<sup>4</sup> ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ამხ. ნიკ. დიასამიძემ და დ ე შ ი შემდეგი ცნობა მომწოდა: „ყოფილ დადუშ სოფელს ორი ძველი ნასოფლარი აქვს, ერთი მის ზემოთ და მეორე მის ქვემოთ, მტკვრიდან ერთი კილომეტრის მანძილზე; ზემო დადუშს ძველ და დ ე შ ს (თურქულად — ვერანა ვადეში) ეძახიან, ქვემოს კი უწოდებენ ნიკოლოზის გვერდს...“

„დადუშ“ის სახელით ცნობილია გეოგრაფიული პუნქტი კიდევ ამავე „დავთარი“ მიხედვით ქანარბელის ნაპიყში (№ 23)<sup>5</sup>; ოღონდ ამ პუნქტის სახელი სქანა ფონეტიკურად მთლად არ ემთხვევა „დადუშს“ (მესამე თანხმოვანი ურქული დაწერილობის მიხედვით „თ“ თანხმოვანია და არა „დ“. მაგრამ ესპარტული მუღერის მუღერადობის დაბალი დონის გამო მიღებული აკუსტიკური შთაბეჭდილების შედეგი უნდა იყოს). მართლაც ეს ქანარბელის სქანა დღე „დადუშ“ად წარმოიქმნის. მესამე პუნქტი „დადუშ“ის სახელით

1 საქ. სრ აღმ. ტერიტ. დაყოფა, გვ. 20.

2 აღწვა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 127-128; მ. ბროსე-თი Dadech (Rapports...

II, 151).

3 Кавказ в древних памятниках христианства, 43.

4 სცია, 73, ს. 136.

5 იხ. აქვჩილდირის ლივან, ქანარბელის ნაპიყ, სოფ. № 23.

6 საქ. სსრდმ. ტერიტ. დაყოფა, გვ. 20.

ცნობილია უკვე სამცხე-საათაბაგოს კოლას პროვინციაში“ „დადაშო“ს სახელით<sup>1</sup>. თავისი ბოლოკიდური „შ“ თანხმოვნით „დადემ“ სიტყვა ზანური წარმოშობის ტოპონიმიკური სახელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მდებარეობა დადემისა ნაჩვენებია ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე: იგი ერკოტა და ქუნცა სოფლებს შუაა. დადემი ასპინძის რაიონში ერკოტის სასოფლო საბჭოში შედიოდა ერკოტა და ქვემო ვარნეთ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

დადემის მდებარეობა უფრო ზუსტდება ერთი საარქივო საბუთის მონაცემებით: Дадеш — деревня, половина казенная, половина помещичья; при родниках: Мазмянтицкаро<sup>3</sup> и Тхис(?)шкаро, на возвышенном месте по косогору, под подошвою кургана Тбисгора и над оврагом Партиза<sup>4</sup>. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, დადემი ორი ყოფილა ქვემო და ზემო. აქ აღწერილი ქვემო დადემია, ხოლო ზემო დადემზე, რომელსაც ახლა ძველ დადემს ან ვერანა დადემს ეძახიან, ამ საბუთში შემდეგია ნათქვამი: Дадеш — пустошь, половина казенная, половина помещичья, при роднике Дзвели Дадешшцкаро, на косогоре под подошвою горы Бера(?) и курганом Сақдриссерн, около горы Цминдагеоргис серн...<sup>5</sup>

9. სოფ. აძგვიტა დიკისწყარო სათესველითურთ *أكواد مع مزرعة* (I 12, 179; II 13, 178). ადგილობრივი მკვიდრები (ნიკ. დიასამიე, ელ. ტაბატაძე, პეტრე მაზნიაშვილი) ამბობენ, რომ ამ სოფლის ქართული სახელი აძგვიტა იყო, ახლა აწყვიტა-ს ეძახიანო. ამ სახელის თურქული ტრანსკრიფცია — *აკოჯ-ი* იმას ადასტურებს, რომ ნამდვილი ქართული სახელი აძგვიტა უნდა ყოფილიყო: ძ თანხმოვანი ჩვეულებრივად *ჯ* ასოთია გადმოცემული, გ თანხმოვანი აგრეთვე ჩვეულებრივად *ქ* ასოთი, ხოლო ვი კომპლექსი „გვ“ითა (=უ) და ტ თანხმოვანი აგრეთვე ჩვეულებრივი *ა* ასოთი არის ხოლმე გადმოცემული. ასე, რომ აძგვიტა მართლაც თურქულად — *აკოჯ-ი* აღ უნდა ყოფილიყო დაწერილი. განვიხილოთ კიდევ მასალები: რუსულ ტრანსკრიფციაში ეს სიტყვა მომეტებულად ასე გვაქვს მოცემული — *Азгвдаг*, *Азгуда*<sup>6</sup>, კ. ზისერმანთან — *Азгуда* (გვ. 7). ორთავე აქცივისეულ სიებში აგრეთვე *Азгуда*-ა (გვ. 13v და 11v). ყველა ეს ვარიანტი ახლოსაა ერთმანეთთან და კვლავ აძგვიტა ფორმის სასარგებლოდ ლაპარაკობს. „აძგვიტა“ს რუსულად გადმოცემისას, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის გადათურქულბებული ფორმებიც ახდენენ გავლენას. ამით აიხსნება, ალბათ, რომ

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, 1948, გვ. 56.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

<sup>3</sup> აქუური მაზნიაშვილების („მაზნიაშვილის მსთეფლი“, საბა) საგვარჯულო სახელიდან.

<sup>4</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 41v.

<sup>5</sup> იქვე. ამ სოფელზე დაწერილი სულთნის ბარათები (1812-1814 წ.), რომელიც დაცულია სტიაში (თურქული საბუთი, № 28, 29, 31 და აგრეთვე 1 ბუიურული, № 267).

<sup>6</sup> სტია, ფ. 223, ს. 31, გვ. 17v.

<sup>7</sup> იქვე, ფ. 79, ს. 10, გვ. 4r; იქვე, ს. 15, გვ. 3r; იქვე, ს. 11, გვ. 36r; ტრეთვე ფონდი 1012, ს. 7, გვ. 5r და ფ. 73, ს. 35, გვ. 8r.

ქართული თანხმოვნები პრინციპში რუსულადაც თითქმის ისევეა გადმოცემული, როგორც თურქულად: ძ→ჰ, ვი→ვი, ტ→ტ და სხვ.; გარდა ამისა, მეწაწერილი მაქვს აგრეთვე ა ძ გ ვ ი ტ ა ს კემნარტი თურქული ფორმა — აზგუდა (ე. ი. ვი კოპლექსი რომ უ-ს გვაძლევს). ერთ შემთხვევაში კი ჩვენ გვაქვს ქართულ ორიგინალთან უფრო ახლო Азгунда ფორმა. ამ რუსული Азгунда ფორმის გამოძახილი უნდა იყოს ქართული აზღუნდა<sup>1</sup>, რომელიც ერთხელ შეგვხვდა. რაც შეეხება აწყვიტა ფორმას, რომელიც ოფიციალურადაც, მაგრამ უმართებულოდ, დადასტურებულია<sup>2</sup>, „აძვეიტა“ს გააზრების შედეგი და რომელიც ხალხური თქმულების საფუძველზე მიღებული ხელოვნური ფორმა უნდა იყოს. სახელი აწყვიტა რომ ყოფილიყო, ყ თანხმოვანი არავითარ შემთხვევაში ქ (=გ) ასოთი არ გადმოიცემოდა.

ამრიგად, ადგილობრივ მკვიდრთა წარმოთქმულობის მიხედვით და სატრანსკრიფციო მონაცემების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ა ძ გ ვ ი ტ ა ამ სოფლის სწორი ქართული სახელია.

სოფ. აძვეიტა დღეს ასპინძის რაიონის აძვეიტის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელშიც ქუნცა სოფელიც შედის<sup>3</sup>. „დავთრის“ II წიგნში დაბეჭდილი „აწყუტა“ სწორი არაა და „აძვეიტა“დ უნდა შესწორდეს.

აძვეიტაზე არქივის მასალებში შემდეგი ცნობებია კიდევ: Азгюда—деревня казенная при роднике Арнясхаро и ручье Кол-суи, по косогору на двух курганах... აქვე ნაჩვენებია მეორე—დაუსახლებელი აძვეიტა: Азгюда—пустошь казенная. при роднике гол, на возвыш. месте, на першине кургана шоракдара, при башке кугюных дараси и при горе Капи-кая...<sup>4</sup>

აძვეიტასთან დასახელებულია كافر სათესველი, რომელსაც ჩვენ პირობით დიკისწყაროდ ვკითხულობთ.

10. სათესველი ბავრა და مولو(?)—(?) موليت و اوره (I 12, 179; II 13, 178). ამ სათესველების შესახებ ცნობები ვერ მოვიპოვე. ვფიქრობ მაინც, რომ ბავრა სწორად უნდა მქონდეს ამოკითხული. „ხიზაბავრა“ სიტყვაში „ბავრა“ გვაქვს („ხიზა“ სახელის მატარებელი პუნქტიც არის) და ეს უთუოდ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა იქნებოდა. ახალქალაქთან ახლო კიდევ არის ცნობილი სოფელი ბავრა. მეორე სათესველი შეიძლება „მოლით“ად იყოს წაკითხული.

11. სოფ. ტოლოში — طولوش (I 12, 179; II 13, 178). ტოლოშ სახელწოდება სწორია:

გამოვიარე ტოლოშსაო, წისქვილი ბრუნავს ბოლოსაო<sup>5</sup>.

„სოფ. ტოლოშს ლეპისის საზოგადოებაში პირველი ადგილი უჭირავს. სოფელი მესხეთისა და ჯავახეთის საზღვარზედ ძვეს მდ. მტკვრის მარცხენა

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 14, გვ. 1რ.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> სცია, ფ. 53, ს. 158, გვ. 43v.

<sup>5</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 126.

მხარეს. სოფელს ჩამოსდის ორი წყალი—ანალურა და ხევა<sup>1</sup>. სოფ. ტოლოში „დავთრის“ დროსაც მნიშვნელოვანი სოფელი ყოფილა; მასში დასახელებულია 6 ვენახი და ბაღი; სოფელში 18 კომლი მოსახლეა. ტოლოში ხერთვისიდან დაახლოებით 1 კილომეტრის მანძილზეა. ტოლოზე შემდეგი დეტალური ცნობებია ერთ საბუთში: Толош—селение помещицъ, при речке Хева и при ручье Сагубара, на косогоре под подошвой каменистого кургана Кивана и окружено горами Харишеванисгверди...<sup>2</sup> „სამცხე-საათაბაგოს მღუდელ-მთავარნი და მწყემსნი“ში მოხსენებულ ტალაშო პუნქტთან („ერუშნელის სამწყენო ტალაშოს ზეითი სულა...“) ჩვენს ტოლოშს, ვფიქრობ, კავშირი არ უნდა ჰქონდეს<sup>3</sup>.

დღევანდელ ასპინძის რაიონში ტოლოში შეადგენს ტოლოშის სასოფლო საბუქოს<sup>4</sup>.

12. სოფ. თოღერთა—توغرتا (I 12, 180; II 13, 179). „დავთრის“ დროის თოღერთა პატარა სოფელია—14 კომლიანი. ერთ საბუთში მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, რომ კერძო მემამულის სოფელ ხულგუმოს 14 კომლი ითხოვს გადასახლებას в пустопорожкую деревню Толерту<sup>5</sup>. ქართულად რომ თოღერთა იქიდანაც ჩანს, რომ ალ. ფრონელი სწორედ ასე ახსენებს<sup>6</sup>. რუკებზე (ხუთვერსიანი და სხვ.) გელსუნდასთან და შალოშეთთან აღნიშნულია Толерта (Толерто, ჩანს, შეცდომაა)<sup>7</sup>. თოღერთის ადგილმდებარეობა ასეა დაზუსტებული ერთ საბუთში: Толерта—деревня помещицъ, при отдаленном ручье Цхалмертхев, на возвышенном месте под подошвой курганов: Сапкили я Варнадав и при овраге Кулупетхев...<sup>8</sup> თოღერთა XIX საუკუნეში უკვე გაუკაცრიელებულია.

არქივისეულ ორთავე სიაში ამ სოფლის სახელი დამახინჯებულია: Толерта (გვ. 13v) და Толерина (გვ. 11v), რაც უნდა გასწორდეს.

13. სოფ. ცხეკნელა—تخكنا (I 12, 181; II 13, 180). ადგილობრივ მცხოვრებთა კარნახით, ცხეკნელა ჩაწერილი მაქვს როგორც ნასოფლარი. არქივისეულ ორთავე სიის შემდგენლებს ამ სოფლის სახელი ვერ ამოუკითხავთ, ამოუწერიათ მაინც და ძალზე დაუმახინჯებიათ: Сажипопне (13v), ხოლო მეორე სიის ვერც იკითხება (გვ. 11v). სოფ. ცხეკნელაში „დავთრის“ დროს 7 კომლია, დღეს უკვე უკაცრიელი.

ცხეკნელა ნასოფლარის ადგილმდებარეობა გარკვეულია: ხუთვერსიან რუკაზე ალჯუა და ჩუნჩხა სოფლების სანახებში ფიქსირებულია P. Д. Цег-

<sup>1</sup> გ. შატერაშვილი, სოფ. ტოლოში, „ივერია“, 1901, № 80.

<sup>2</sup> სცია, ფ. 53, ს. 158, გვ. 44v; იქვე, ფ. 73, ს. 166, გვ. 2r (მ. ბროსესთან—Toloch: Rapports... II, 154).

<sup>3</sup> დ. ბაქრაძე, АПГА, 81; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 56.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>5</sup> სცია, ფ. 74, ს. 18, გვ. 4r; იქვე, ფ. 73, ს. 166, გვ. 2r.

<sup>6</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 128.

<sup>7</sup> K. Зиссерман, 9.

<sup>8</sup> სცია, ფ. 53, ს. 158, გვ. 44v.



ნესს, რაც უთუოდ ცხეკნელა პუნქტის დამახინჯებული სახელია. სხვა რუკაზე ეს სახელი უფრო დამახინჯებულია: Пнх...елъ, შუა არ იკითხება. არქივის 1841 წ. საბუთში სოფ. აღჯუასთან ნახსენები пустопорожкая Цигнела-ც ეს ცხეკნელა უნდა იყოს<sup>1</sup>.

14. სოფ. ნიჯგორი — نجور (I 12, 181; II 13, 180). როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ სოფლის მართალი სახელი ნიჯგორი-ა და არა ნიჯლორი. მართალია, თურქულ დაწერილობაში მესამე ასო გ-ნია (ღ), მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გ მარცვლის თავიიდურ მდგომარეობაში ხშულ უკანანენისმიერ „გ“ თანხმოვანს გადმოსცემს. ასეა ეს ახალ თურქულში (მაგალითად غغ=ggga 'ნისკარტი', غرب (არაბ.)=garip — 'უცხო' და სხვ.) და, როგორც ირკვევა, XVI საუკუნის დასასრულს უკანარიგის ხმოვნების გარემოცვაში გ უკვე ხშულს გადმოსცემდა. ქართულში نجور-ით გადმოცემული გეოგრაფიული სახელის რტყუარი სახეობა — ნიჯგორი შენახულია როგორც ადგილობრივ ცოცხალ მეტყველებაში (ელ. ტაბატაძე, ნ. ნათენაძე, ნ. ლომსაძე), ისე წერილობით წყაროებშიც და ფოლკლორშიც:

ფაშა ჩამობტა ხანდოსა

ხანდოსა, არა ნიჯგორსა,

კარგისა მასპინძლისასა,

ხან მაწონს სკამდა, ხან დოსა<sup>2</sup>.

ვახუშტის სწორედ ნიჯგორი<sup>3</sup> აქვს ისევე, როგორც მ. ბროსესაც — Nidjgor<sup>4</sup>. არქივისეულ სიებშიც Нижгор-ი გვაქვს (გვ. 14r, 11v). ზოგიერთ რუკაზე, ნაგ., „ევროპული რუსეთის სპეცრუკაზე“, ეს სახელწოდება დამახინჯებულია — Инчгор, Инчшгор, Ничгор და სხვ.

„დავთრის“ დროის ნიჯგორი დიდი სოფელია—35 კომლიანი. 1859 წლის საბუთების მიხედვით ნიჯგორი უკვე გაუცაცრიელებული ჩანს: Ниджгор—пустошь казенная, при роднике Княбискири, по косогору под подошвой скалистой горы Ташбаша, по правую сторону реки Курь...<sup>5</sup> ამ ნასოფლარისათვის აღნიშნულია უკვე დანგრეული მართლმადიდებელთა ეკლესია და აგრეთვე კოშკის ნანგრევი<sup>6</sup>. „ნასოფლარი ნიჯგორი დღეს საროელების მფლობელობაშია, ზოგი საროელი ნიჯგორს გადასახლდა. ნიჯგორში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა“ (ნიკ. დიასამიძე). 1859 წლის საარქივო მასალაში იხსენიება Пустошь Ниджгор, რომლის საძოვარი ადგილები დაიკავეს საროელებმა<sup>7</sup>.

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 166, გვ. 2v.

<sup>2</sup> პროფ. ლ. მელიქიეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმების შესწავლისათვის, კრებული „მარკსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბილისი, 1934, გვ. 35.

<sup>3</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 128 და 131; აგრეთვე ვახუშტის სია, გვ. 32r.

<sup>4</sup> Rapports... II, გვ. 151.

<sup>5</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 24v.

<sup>6</sup> იქვე. <sup>7</sup> სტია, ფ. 74, ს. 55.

ს.-ს. ორბელიანის მიხედვით „ნიჯგორი საისრე დიდი კაპარკი, ხოლო მენიჯგორე და ნიეორგალი მნე მისი“<sup>1</sup>.

15. სოფ. დ ი ლ ც კ ა ტაშლიგოლ ჩაირითურთ კოლ *كول علی گول* (I 12, 182; II 13, 181). ვახუშტის თავის სიაში აქვს დ ი ლ ი ც კ ა (გვ. 32r); რუკებზე სოფ. პრტენის მიდამოებში (მაგალითად, ევროპული რუსეთის სპეც-რუკაზე) ДИЛИКА-დ აღნიშნული პუნქტი ეს ჩვენს დ ი ლ ი ც კ ა უნდა იყოს (მართალია ჩვენ II წიგნში „დილცკა“ გვაქვს დაბეჭდილი და ელ. ტაბატაძე-მაც ასე გადმოცა, მაგრამ უფრო სწორია, შეიძლება, ვახუშტის ინდექსის დილიცკა). გაზ. „გამარჯვების“ 1952 წლის 23.X-ის ნომერში იხსენიება არა დ ი ლ ი ც კ ა, არამედ დ ი ლ ი ს კ ა შემდეგ კონტექსტში: „ორჯა, ბულაშენი, ჩუნჩხა, დ ი ლ ი ს კ ა“<sup>2</sup>. ადგილზე მე ჩაწერილი მაქვს „დილცკა“. ასევე დილცკა გაზეთ „ივერიის“ მიხედვით<sup>3</sup>. უთუოდ ეს უკანასკნელი ვარიანტი უნდა მივიღოთ პირველად და სწორ ქართულ ფორმად. დილიცკა, დილისკა და მისთანანი გადაგვარებულ ფორმებად ჩანს.

აქემად „დილისკა“ (დილცკა) ჩანძვრალა, ბავრა და ხულგუმო სოფლებთან ერთად ახალქალაქის რაიონის ახალქალაქის სასოფლო საბჭოში შედის<sup>4</sup>. პ. მაზნიაშვილით, დილცკა „ხერთვის ზემოთა ახალქალაქთან“. „დაეთრის“ დილცკა სოფელია, რომელშიც აღრიცხულია 13 კომლი მოსახლე.

სოფ. დილცკასთან იხსენიება ჩაირი *كول علی گول* —თაშლი გოლ (=‘ქვიანი ტბა’). შეიძლება „თაშლი გოლ“ ქართულის თარგმანს წარმოადგენდეს.

16. ო რ მ ო ც ი, სოფ. საროს ვენახების გამორიცხვით — *اورموس جز ای غات* (I 12, 183; II 13, 182). არქივისეულ სიებში Ормуц-ი გვაქვს (გვ. 14r, 11r), ე. ი. მთლიანად გადათურქულებული ფორმა: მეორე მარცვლის ო უ-შია გადასული, ც თანხმოენის ნაცვლად ს გვაქვს. I სიის Ормуц შემდეგში ვილაცას, ალბათ ქართველს, Ормоц-ად გაუსწორებია.

უკვე „დაეთრის“ დროს ორმოციში მოსახლეობა არ არის. ადგილზე ჩამიწერია, რომ „ორმოცი სოფ. საროს საყანეებია, ე. ი. ორმოცი საროსთან ყოფილა. ორმოცის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად მნიშვნელობა აქვს თქმულებას: ...сидя он пашей в Хертвисе... Взрыв был такой сильный, что Агзи-ачуг<sup>5</sup> взлетел на воздух и с крепости упал вниз. Могилу его и ныне указывают на левом берегу р. Күры, против места «Ормоци» (сорока)...<sup>6</sup>

<sup>1</sup> ქართული ლექსიკონი, პრაფ. ი. ყიფშიძისა და პრაფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილსი, 1928, გვ. 259.

<sup>2</sup> დ ი ლ ი ს კ ა-ა აგრეთვე „დროება“ში, 1879, № 184.

<sup>3</sup> ვ. კაპტონაშვილი, მგზავრის დღიურიდან, „ივერია“, 1894, № 155.

<sup>4</sup> საჭ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 23.

<sup>5</sup> Агзи-ачуг — (თურქ. агз-и-ачик = ‘protosey’).

<sup>6</sup> И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК,

ამ სოფელ ორმოცთანაა დაკავშირებული აგრეთვე ერთი ადგილი თქმულებაში შოთა რუსთაველზე. „ბოლოს შოთას უკისრია ხაზინადრობა ვარძიაში. შოთას აქ შეყვარებია ო რ მ ო ც ი ს ბატონის ქალიშვილი. ო რ მ ო ც ი ს მებატონენი ყოფილან ორმოცი ძმანი (ეს ციხე ახლოს არის ვარძიასთან)... შოთას მოესხენებია, რომ მე უკვე დასახლებული ვარ<sup>1</sup> ო რ მ ო ც ი ს ბატონის ქალზეო...“<sup>2</sup> ერთ საბუთში ორმოცს შეწერილი აქვს იმდენივე ახნა, რამდენიც „დაეთარში“: Ормоц—2 000 ахнеи<sup>3</sup>.

ამრიგად ცხადია, რომ ნასოფლარი ორმოცი სოფ. საროსთანაა. სოფ. ორმოციში ვენახები საროელების ყოფილა, რადგანაც სოფ. ორმოცი რომ დაბეგრლია 2 000 ახჩით, იქვე შენიშვნაა გაკეთებული, რომ ამაში საროს ვენახები არ შედისო.

17. სოფ. ქუნცა—كون (I 12, 183; II 13, 182), ადგილობრივ მკვიდრთაგან ჩაწერილი მაქვს ქუნცა. ნიკ. დიასამიძის მიხედვით „სოფ. ქუნცა მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა“. რუსულ საბუთებშიც Кунца<sup>4</sup> გვაქვს. ქართული საბუთის „ქუნცა“<sup>5</sup> სწორი არ არის. არქივისეულ სიებში გადათურქულებული სახელებია—Кунса (მერე გადასწორებულია Кунца-დ (გვ. 14r, 11v). მ. ბროსესთან Khountsa გვაქვს<sup>6</sup>.

მსხვილმასშტაბიან რუკებზე ყველგან დადგენა და აძვეიტასთან ახლო აღნიშნულია Кунца. ქუნცაში „დაეთრის“ დროს მ მოსახლეა. 1859 წლის საბუთში ქუნცის რელიეფი ასეა დახასიათებული: Кунца-деревня помещи-чья, при родниках Кашиарисцкаро и Ичдilisцкаро на ровном месте под подошвой кургана Сакарауло, против скалистой горы Сакатия, между двумя балками: Карниота, Сагубара...<sup>7</sup> აქვე ნაჩვენებია მართლმადიდებელთა ეკლესიის ნანგრევები და გამოქვაბულები.

ამუამად ქუნცა ასპინძის რაიონში სოფ. აძვეიტასთან ერთად აძვეიტის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>8</sup>.

18. სოფ. ბნელა—بنلا (I 12, 183; II 13, 182). არქივისეულ სიებში გადათურქულებული ფორმებია Бинала (I სიაში გადასწორებულია Бнела-დ—გვ. 14r, 11v). ყველა ადგილობრივი მკვიდრისგან ამ სოფლის სახელად ჩაწერილი მაქვს—ბნელა. მსხვილმასშტაბიან რუკებზე აგრეთვე Бнела გვაქვს, ასევეა ქ. ზისერმანთან (გვ. 7; „ვეროპული, რუსეთის სპეცრუკაზე“, ალბათ შეცდომით, Бнола-ა). ვახუშტის სიაში თითქოს ბნელე<sup>9</sup>ა (გვ. 32r). ერთ ქარ-

<sup>1</sup> „დასახლებული ვარ“ კალკია თურქული evlenmişim სიტყვისა, რომელიც ნიშნავს 'ცოლშერთული ვარ', 'დაქორწინებული ვარ'.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 41; აგრეთვე გახ. „კომუნისტი“, № 198, 1937: 30.VIII; ი. მეგრელიძე, გადმოცემები რუსთაველის შესახებ, სტალინირი, 1954, გვ. 55.

<sup>3</sup> სცია, ფ. 73, ს. 166, გვ. 2v.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 73, ს. 145; ფ. 79, ს. 1, გვ. 1r; ასევეა К. Зиссерман-თან, გვ. 7.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 77, ს. 14, გვ. 1r.

<sup>6</sup> Rappports... II, გვ. 151.

<sup>7</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 43r.

<sup>8</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

თულ საბუთშიც ასეა: „წიგნი ჩასაწერათ მცხოვრებთაგან ახალციხის უეზღისა ბერთვისის უჩასტკისა სოფლისა ბნელას... ჩემ წლისათვისა“. „ხიზაბავრის ეკლესიაზე მიწერლია რამდენიმე პატარა სოფელი: ვარგავი, ბნელა და სხვ.<sup>1</sup> საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის IV ტომში წერია „ხიზაბავრის, ვარგავის და ბნელოსი ახალქალაქის მახრისა...“ მაგრამ ეს ბნელო სწორი არ უნდა იყოს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ საძიებელში ბნელია.<sup>2</sup> ყოველ შემთხვევაში ამ ადგილის თანამედროვე სახელი, შეიძლება გააზრების შედეგად, ბნელაა. „დავთრის“ ასე—ბნალა შეიძლება ასახედეს ამ სახელის უფრო ძველ ფორმას. К. Ган-ის სოფ. ბნელას სახელს უკავშირებს ბნელ სიტყვას.<sup>3</sup>

ბნელა „დავთრის“ დროს 7 კომლიანი სოფელია. ჩვენ დროს ბნელა ასპინძის რაიონში ტოლოზ, ალანძია, აძგვიტა, გელსუნდა, ქუნცა, ოსკერია, როკეთ და ნარმან სოფლებთან ერთად ტოლოზის სასოფლო საბჭოში შედიოდა.<sup>4</sup>

საარქივო მასალაში მოიპოვება ცნობა, რომელიც უფრო აზუსტებს სოფ. ბნელის მდებარეობას: Бнела — деревня казенная, при реке Куре, на косогоре, под курганом Сакула, при балке Кишладара...<sup>5</sup>

19. სოფ. კვარშა — قوارشا (I 12, 184; II 13, 183). სოფლის მდებარეობაზე საინტერესოა ი. როსტომაშვილის ცნობა: Селение Кварша лежит к северо-западу от г. Ахалкалак, в 18 верстах от него, на краю Джавахетского плоскогорья, над самим Хертвисом. Здесь сохранилась довольно большая грузинская церковь...<sup>6</sup> აგრეთვე на высоте над Хертвисами в селении Кварша<sup>7</sup>. ქართულ სახელადაც კვარშა მაქვს ჩაწერილი. რუკებზე ბერთვისთან ახლო კვარშა ყველგან ფიქსირებულია. საარქივო საბუთებში იხსენიება როგორც სახაზინო სოფელი კვარშა<sup>8</sup>. „დავთრის“ დროს კვარშა 8 კომლიანი სოფელია. კვარშა ასპინძის რაიონში ბერთვის და ალჯუა სოფლებთან ერთად ბერთვისის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>9</sup>.

20. სოფ. ალანძია — آلانچيا (I 12, 184; II 13, 183). არქივისეულ სიებში А л а н з и я (казенная пустошь) წერია (გვ. 14r, 12r). ალანძია „ბერთვისიდან 3 კილომეტრის მანძილზეა“ (3. მაზნიაშვილი). მ. ბროსესთან

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 14, გვ. 1r.

<sup>2</sup> ი. აღმაშენილი, სოფ. ხოზაჯვარა, „ივერია“, 1897 წლის № 78.

<sup>3</sup> საქ. სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, IV, გვ. 62; საძიებელი, გვ. 487.

<sup>4</sup> Опыт обследования Кавказских географ. названий... СМОМПК, 403, გვ. 26.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

<sup>6</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 43r.

<sup>7</sup> И. П. Ростовлов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, გვ. 72.      <sup>8</sup> Л. Исарлов, Письма о Грузии, გვ. 8.

<sup>9</sup> სტია, ფ. 79, ს. 14, გვ. 1r.

<sup>10</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

წერია Alindja, რაც დამახინჯებული ალანძია უნდა იყოს<sup>1</sup>. რატომღაც რუკებზე (ხუთვერსიანი და სხვ.) Аланджа გვაქვს. მე ვფიქრობ უფრო სწორია „დავთარში“ ფიქსირებული ალანძია ფორმა, რომელმაც, შეიძლება შემდეგში, ალანძა მოგვცა (კ. ზისერმანსაც Аланджа აქვს, გვ. 8). „დავთარის“ დროს ალანძიაში 8 კომლია. რუკებით ალანძიის მდებარეობა გარკვეულია. საარქივო მასალაში წერია: «Аландзия — зимовник казенный, при ручье Даннет(?) -суи и Чермюк-суи»<sup>2</sup>.

21. სოფ. კულუღეთი — قولى (I 12, 185; II 13, 184). 3. მაზნიაშილის მიხედვით კულუღეთია ამ ადგილის სახელი; იგი ამჟამად ხერთვისის უქირავს სათესველად. არქივისეულ სიებში Кулугет-ია (გვ. 14r, 12r). საარქივო მასალების მიხედვით ეს არის пустопорожняя деревня Кулугет Хертвисского санджакა<sup>3</sup>. სხვა საბუთშიც იხსენიება пустопорожнее место Кулугет-ი და წერია, რომ მისი მიწებით სარგებლობენ კერძო მემამულის სოფლის Шельвашет-ის მცხოვრებლები<sup>4</sup>. Шельвашет-ი ალბათ შერყენილი შალოშეთი || სალოშეთია (იხ. აქვე, ქვემოთ). სხვაგან ამ ადგილის სახელი Гулугет ია<sup>5</sup>. თუმცა „დავთარის“ قولى-ის დაწერილობა შუათანა ც-ით კულუღეთ-ად ვერ წაიკითხება, მაგრამ აქ მოყვანილი საარქივო და სხვა მასალები მოწმობენ, რომ ამ პუნქტის სახელი კულუღეთ-ია და „დავთარის“ შემდგენელს აქ რაღაც შეცდომა უნდა ჰქონდეს. II წიგნში კულიღეთ-თან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას და იგი კულუღეთ-ად უნდა შესწორდეს.

„დავთარის“ დროის კულუღეთი 3 კომლიანი სოფელია.

22. სოფ. გომი, სოფ. ბნალასთან — كور قوم (I 12, 185; II 13, 185). ეს უნდა იყოს ის სოფელი გომი, რომლის ევნახები იხსენიება ბიზაბაერასთან<sup>6</sup>. იქ ნათქვამია „სოფ. ბიზაბაერა... სოფ. გომის ევნახებითურთ“, ე. ი. სოფ. გომის ევნახები მიწერილი ჰქონია სოფ. ბიზაბაერას. აქიდან ისიც ჩანს, რომ გომი ბიზაბაერას ახლოს მდებარეობს. გომის სახელით პუნქტი სხვაგანაც არის; ამას შეიძლება პირობით დაეუძახხო ხერთვისის გომი, რომელზედაც 1844 წლის საბუთში შემდეგი ცნობაა: Хертвисскому участковому управлению. О доставлении Г. Ахалдихскому уездному начальнику сведения по какому именно случаю собираемые с принадлежащего... Завилейскому зимовника Гом доходы поступают в казну<sup>7</sup>. აქედან ჩანს, რომ 1844 წელს სოფ. გომი, რომელშიც „დავთარის“ დროს 6 კომლია, უკვე გაუქვაციღებულა.

<sup>1</sup> Rapports... II, გვ. 154.

<sup>2</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 44v.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 77, ს. 20, გვ. 3v; აგრეთვე: იქვე, ფ. 1044, ს. 5, გვ. 3v.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 79, ს. 20, გვ. 2v.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 5v.

<sup>6</sup> იხ. ზემოთ, გვ. 245, 246.

<sup>7</sup> სცია, ფ. 73, ს. 63.

გომის ადგილმდებარეობა გარკვეულია. ჯერ თვით „დავთარში“ წერია, რომ გომი ბნალასთანაა. ხუთვერსიან რუკაზე ხიზაბაერის მიდამოებში და ბნალასთან ახლო აღნიშნულია Г о м и.

არქივის საბუთში ხერთვისისათვის იხსენიება ორი გომი: *گوم كور*! *گوم كور* (‘ორი სოფელი გომი’); იქვე რუსულად — две ком; შეიძლება აქ ეს ჩვენი გომია მხედველობაში<sup>1</sup>. იმავე ხერთვისის გომებზეა ალბათ ლაპარაკი, როცა საბუთში წერია: Гом большой—покос და Гом малый—покос<sup>2</sup>.

23. სოფ. სალოშეთი — *صالوشيت* (I 12, 186; II 13, 185). ამ დაწერილობას დიაკრიტიკული ნიშნები აქვს და კარგად იკითხება. არქივისეულ სიგბში ეს სახელწოდება შერყენილია: I სიაში წერია Салашет, რომელიც მერვე უფრო უარესზე—Шалашет-ზე გაუსწორებიათ (გვ. 14r); მეორე სიაში წერია Сашушат, რაც სიმართლისაგან შორსაა (გვ. 12r). ამავე დროს უნდა ითქვას, რომ არც ადგილზე წარმოებული ძიებით და არც წერილობითი მასალებით „დავთარის“ სალოშეთი არ დასტურდება; ყველგან გვაქვს შალოშეთი. ვფიქრობ, „დავთარის“ სალოშეთი ისტორიულად სწორია. ჩვენ აქ უნდა გვექონდეს პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოქმნა: სა-ეთ-ი-ლოშ ფუძისაგან. „ლოშ-ნა“ კი ნიშნავს „ლოკა (+შვეცთა მიერ)“<sup>3</sup>... „სალოშეთი“ უნდა ყოფილიყო ადგილის სახელი. როდესაც ის სოფლად იქცა, სახელმა ალბათ, უკვე დაპარგა მნიშვნელობა და ასიმილაციის წესით „სალოშეთ“მა მოგვცა „შალოშეთი“. ყოველ შემთხვევაში შალოშეთია ადგილზე ამ პუნქტის სახელი, Шалашет-ადაა ის სახელდებული ხუთვერსიანსა და მსხვილმასშტაბიან რუკებზე და აგრეთვე კ. ზისერმანთანაც (გვ. 9). შალოშეთის მდებარეობას უფრო აზუსტებს არქივის შემდეგი ცნობა: Шалашет—деревня помещичья, при роднике Шалашет-пуар [турецк. = ‘Шалашетский родник’], на возвышенном месте над оврагом Шалашеттин - дараси [турецк. = ‘Шалашетское ущелье’], при горе Каллыгун-баша [турецк. = ‘Скалистая вершина’]...<sup>4</sup>

ასპინძის რაიონში შალოშეთი ზედა თმოგვ, თოლერთა და დანიეთ სოფლებთან ერთად შეადგენდა შალოშეთის სასოფლო საბჭოს<sup>5</sup>.

24. სოფ. მკედლისუბანი (I 12, 186; II 13, 185). I და II წიგნის დაბეჭდვის შემდეგ იყო, რომ მე საარქივო მასალებში შემხვდა სწორედ ხერთვისის ნაპიჯეს ამ მონაკვეთზე მდებარე პუნქტისათვის სახელწოდება Чедлисубани<sup>6</sup> და Мжедлис убан (пустопорожнее). სიტყვის მეორე ნაწილი — ს-უბანი ამოკითხული იყო; ახლა ცხადია, რომ *چدلی* არის *چدلی*, ე. ი. კედლი — ს-უბანი ← მკედლისუბანი. თურქის წარმოთქმაში ეს იქნებოდა კედ[ი]ლის-

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 61, გვ. 7v.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 1042, ს. 1, გვ. 4v.

<sup>3</sup> ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 188.

<sup>4</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 44v.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ. ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია—ასპინძის რაიონი<sup>6</sup>.

<sup>6</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 45v.

უბან←მკედლისუბანი. ჩვენ ამით ვასწორებთ ორთავე წიგნში ამ ამოუკითხავ სახელწოდებას შემდეგნაირად: I წიგნში მე-12 და 186-ე გვერდებზე *جدلی* *سوان* და მე-13 და 185-ე გვერდებზე *جدلی* უბანი წაკითხულ იქნეს *جدلی* *سوان*-ად (თურქი—*سوان جدلی*-ს დაწერდა), რაც ქართული „მკედლისუბანის“ გადათურქულებული ფორმაა. ამას დაესძენთ, რომ ორთავე საარქივო სიაში გადათურქულებული ფორმით, მაგრამ საერთოდ სწორადაა ეს სახელი ამოკითხული—*Мжєдлєнцубан* (გვ. 14r) და *Мжєтлєнцубан* (გვ. 12r).

მე ჩაწერილი მაქვს, რომ „მკედლისუბანი შალოშეთის მიჯნაშია“. გარდა ამისა, 1859 წლის საბუთის მიხედვით: „Чедлєнцубани—пустошь помещичья, без воды, на ршном месте, под подошвою горы Тавтава... (აქვე ნაჩვენებია ამ სოფელში მართლმადიდებელთა ეკლესიის ნანგრევები)<sup>1</sup>“.

მკედლისუბანი „დავთრის“ დროს 10 კომლიანი სოფელია, რომელიც შემდეგში გაუკაცრიელებულა.

25. სოფ. ო რ ხ ო ფ ი ა — *اورخویه* (I 12, 186; II 13, 185). ანხ. ნიკო ნათენაძემ მაცნობა, რომ „ორხოფია —ნასოფლარია თოლერთასა და ზედა თმოგეს შუა“. გარდა ამისა, ადგილზე ჩაწერილი მაქვს: „გელსუნდისა და ჯოლდის ახლო—ქვეით, მტკვრის ნაპირას არის ფია, ხოლო ზევით ო რ ხ ო ფ ი ა“. საინტერესოა ერთი რუსული საბუთი, რომელშიც ჩამოთვლილია შემამულე სულემან-ბეგ მეჰმედ-ბეგ-ოღლის მფლობელობაში მყოფი სოფლები და დაუსახლებელი ადგილები. აქ ნათქვამია, რომ, სხვათა შორის, ამ შემამულეს ეკუთვნის *пустопорожнее [место] Орхония* (13. 297 ახჩა შემოსავლით), რომელიც დასახლებულია ფიასთან. საყურადღებოა, რომ 1841 წლის საბუთში ახჩების რაოდენობა ამ სოფლისათვის ნაჩვენებია ზუსტად იმ რაოდენობით, რამდენიც ჩვენს „დავთარშია“ ნაჩვენები (იხ. „დავთრის“ — ჯამი 13 297 [ახჩა], II, გვ. 185).

არქივისეული სიების *Орхуния* (გვ. 14r; მერე გადასწორებულია *Орхония-ზე*) და *Орхуния* (გვ. 12r) დამახინჯებულია.

25. სოფ. გ ე ლ ს უ ნ დ ა *სსს* სათესველით — *کلسوند* (I 12, 187; II 13, 186). „დავთრის“ დროის გელსუნდა პატარა, 2 კომლიანი სოფელია. არქივისეული სიების *Кєсунда* უთუოდ დამახინჯებულია (გვ. 14r, 12r). სახელის ამოკითხულობა რომ დამაკმაყოფილებელია ჩანს ხალხური ლექსიდან:

გ ე ლ ს უ ნ დ უ ლ ი ს მოსავალი ვარიაში ჩავეყარო,  
სათესლე ზედ დავაყარე, ნახევრათ ვერ მოვეყარო<sup>2</sup>.

საარქივო საბუთებში გვხვდება: გ ე ლ ს უ ნ დ ი ს...<sup>3</sup>, *Гєлсунда*<sup>4</sup> და სხვ. გელსუნდაზე საბუთებში კიდევ<sup>5</sup> შემდეგი ცნობაა: *Гельсунда — деревня помещичья, при роднике Джерма и реке Куре, по косогору, под подошвой скалистой горы Салтав и над оврагами Сачире и...*<sup>6</sup>

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 45v.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 125.

<sup>3</sup> სტია, ფ. 79, ს. 4, გვ. 4r.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 5r; ფ. 79, ს. 15, გვ. 3r.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 73, ს. 158, გვ. 53v.

გ ე ლ ს უ ნ დ ა ასპინძის რაიონში ტოლოშ, ალანძია, აძვეციტა, ბნელა, ჭუნცა, ოსკერია, როკეთ და ნარმან სოფლებთან ერთად ტოლოშის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>1</sup>. ვახუშტი ბატონიშვილს გეოგრაფიულ პუნქტთა სიაში აქვს „გულსუნდა“ (გვ. 31r), რაც სწორი არ უნდა იყოს. მსხვილმასშტაბიან რუკაზე (მაგალითად, ევროპ. რუსეთის სპეტრუკაზე) ყველგან ნაჩვენებია გელსუნდა თოლერთასა და შალოშეთს შუა. გელსუნდასთან დასახელებული ს.ს. სათესველი ჯერჯერობით ამოუკითხავად რჩება.

27. სოფ. ნ ა ი ს ა — نايسا (I 12, 187; II 13, 186). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები სულ არა აქვს. მაინც ნ ა ი ს ა კარგადაა ამოკითხული. 1841 წლის საბუთში ლაპარაკია იმაზე, რომ ყალბ-ალა რამდენ-ოღლის მფლობელობაშია ნახევარი დაუსახლებელი სოფლისა, რომელსაც ჰქვია Найсе<sup>2</sup>. პირველი საარქივო სიის Нариса (გვ. 14r) სწორი არ არის; მეორე სიაში Н а и с а გვაქვს (გვ. 12r). „დავთრის“ ნ ა ი ს ა 3 კომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. ნაისა ნასოფლარის ადგილმდებარეობის გასარკვევად ძიება გელსუნდა-ორხოფიის მიდამოში უნდა ჩატარდეს; პეტრე მაზნიაშვილით იგი „ხერთვისის ზევითაა“.

58. სოფ. წყა ლ ი მ ე რ თ ხ ე ე ი — قلاصيرتخا (I 12, 188; II 13, 186). არქივისეულ სიებში ეს სახელი საგრძნობლად დამახინჯებულია—Сгаламрцхехе (გვ. 14r) და Схаламуртхев (გვ. 12r). თოლერთა სოფლის (იხ. ზემოთ ამავე ხერთვისის ნაჰიფეში სოფ. № 12) მდებარეობის დასაზუსტებლად ნათქვამია: при отдаленном ручье Цхалмертхев (x ასო რომ r-ს წინ წერია, კალმის შეცდომაა)<sup>4</sup>. ასევე სოფ. თოლერთასთან დაკავშირებით უჩვენებს კ. ზისერმანი р[ечка] Цхал-мертхели-ს<sup>5</sup>, რომელიც უთუოდ იმავე Цхаламертхев-ის დამახინჯებაა. მაშასადამე, ამ სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო წყა ლ ი მ ე რ თ ხ ე ე ი.

წყა ლ ი მ ე რ თ ხ ე ე ი „დავთრის“ დროის 17 კომლიანი, საცმაოდ მოზრდილი სოფელია, რომელმაც ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. მისი ლოკალიზებისათვის ძიება სოფ. თოლერთის მიდამოებში უნდა მოხდეს.

29. სოფ. ი ფ ნ ე თ ი — اينيت (I 12, 188; II 13, 187). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები მთლიანად აქვს და გეოგრაფიული პუნქტი იფნეთი რუკებზეც არის. ოღონდ უჩვეულო აქ ის არის, რომ თავიკიდური ი ელიფით არის გადმოცემული (უნდა ყოფილიყო ელიფისა და იორტის კომბინაციით (ი)<sup>6</sup>). ამ გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგიაც ძლიერ გამჭვირვალეა.

<sup>1</sup> საკ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

<sup>2</sup> სტია, ფ. 73, ს. 166, გვ. 2v.

<sup>3</sup> იქვე, ს. 158, გვ. 44v.

<sup>4</sup> К. Звссерман, გვ. 9.

<sup>5</sup> თუმცა შეიძლება ელიფის შემდეგ პატარა კბილაკივით რაღაც უწერტილოდ მოკლებული ნიშანი ც ასო იყოს (იხ. დედანი, 173), როგორც ეს არის „იფნეთის“ დაწერილობაში სხვა ადგილას (დედანი, გვ. 176, სოფ. არციკა, აქვე, გვ. 263).



აქ ჩვენ უნდა გვეკონდეს წარმონაქმნი ი ფ ა ნ სიტყვიდან, რომელსაც დართული აქვს გეოგრაფიული სახელის მაწარმოებელი - ეთ სუფიქსი — იფან-ეთ-ი → ი ფ ე თ ი<sup>1</sup>.

იფნეთი „ნასოფლარია ტოლოშ ზემოთ“ (პ. მაზნიაშვილი). მართლაც ხუთფერსიან რუკაზე (და სხვა რუკებზედაც) ტოლოშთან აღნიშნულია P. Д. Ифнет. საბუთებში იხსენიება Деревня Ифнет, состоящая в Хертвисском санджаке<sup>2</sup>.

არქივისეულ სიბეში ამ სოფლისათვის ჩაწერილი სახელი Ентелъ (გვ. 14r, 12r) სრულ გაუგებრობას წარმოადგენს და უარყოფილი უნდა იქნეს.

„დაეთრის“ დროის 12 კომლიანმა სოფელმა იფნეთმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია და არც მისი გაუკაცრიელების შესახებ გვაქვს ცნობა.

30. სოფ. ს ა რ ო — صارو (I 12, 189; II 13, 187). „ხიზაბაერასთან ახლო მდებარეობს ქართული სოფელი ს ა რ ო. ამ სოფლიდან ჯაეახეთის ზეგანი მკვეთრად ეშვება მტკერის ხეობაში“<sup>3</sup>. «Селение Саро находится в 25-30 верстах от Ахалкалак, к северо-западу от него, на краю Джавახетского плоскогорья, откуда открывается прекрасный вид на глубокое и зеленеющее ущелье Куры, что немного ниже м. Хертвиса»<sup>4</sup>.

ამავე ავტორის მიერ ამ სოფელში აღწერილია ეკლესია და მითითებულია 3 ციხის ნანგრევები. საინტერესო ცნობებია სოფ. საროზე აგრეთვე „მოგზაურში“ („სოფ. სარო და მისი ნაშთები“) 1901 წ. № 5. სარო ხალხურ ლექსშიც იხსენიება:

სარეგლები<sup>5</sup> თავის თავესა ჯაეახელად არა სცნობენ,

ვინც ჯაეახი დაუძახოს, იმ კაცს ჰკიცხვენ, იმ კაცს გმობენ<sup>6</sup>.

1842 წლის საბუთში სარო აღრიცხულია 16 კომლიან სახაზინო სოფლად<sup>7</sup>, „დაეთრის“ დროის საროში—20 კომლია.

ამჟამად სოფ. სარო ასპინძის რაიონში ხიზაბაერა, ვარგაე და თოყ სოფლებთან ერთად ხიზაბაერის სასოფლო საბუთში შედის<sup>8</sup>.

31. სოფ. ო ს კ ო რ ი ა — اوسكره (I 12, 189; II 13, 188). „ოსკერია გომს გაღმა, ბნელასთან“ (პ. მაზნიაშვილი). ამ დაწერილობაში ო-ს გამოსახატავად ქ ასოს შემდეგ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თურქი მეორე მარცვალში ო ხმოვანს არ წარმოთქვამს. ოლონდ სხვაგან ჩვენ ყოველთვის ო-ნიანი

<sup>1</sup> შდრ. ნიგოზ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი, ბი-ეთ-ი და სხვ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 140.

<sup>2</sup> სცია, ფ. 47, ს. 4, გვ. 30v.

<sup>3</sup> E. Такайшвили, МАК, XII, გვ. 19; შდრ. მ. ბროსე (Saro): Rapports..., II, 176.

<sup>4</sup> И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, გვ. 101.

<sup>5</sup> სარო, მაგრამ სარეული, შდრ. იორი → იერის და სხვ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 27.

<sup>6</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯაეახეთი, გვ. 125.

<sup>7</sup> სცია, ფ. 73, ს. 35, გვ. 3r.

<sup>8</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

ფორმა გვაქვს. ხუთვერსიან რუკაზე ოსკორია წერია; საარქივო მასალაშიც: ოსკორია გვაქვს<sup>1</sup>. აქ ოსკორიის რელიეფის შესახებ წერია: ოსკორია каменная возвышенка, при реке Къурс, на ровном месте, под подошвой горы Тавнев<sup>2</sup>. მეორეჯერ ამავე საბუთში კვლავ ოსკორია გვაქვს<sup>3</sup>. საბუთების ამ მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება უფრო სწორი იყოს ამ სახელის ო ს კ ო რ ი ა ვარიანტი.

ოსკორია ჩვენ დროში ასპინძის რაიონის ტოლოშ, ალანძია, აძვეიტა, ბნელა, გელსუნდა, ქუნცა, როკეთ და ნარმან სოფლებთან ერთად ტოლოშის სასოფლო საბუთში შედიოდა<sup>4</sup>.

32. სოფ. შ ა დ რ ე ვ ა ნ ი წერაკუნტა სათესველით — شادروان مزرعة زیر آكواند (I 12, 190; II 13, 189). II წიგნში დაბეჭდილია შ ო დ რ ე ვ ა ნ ი, რადგანაც „დავთრის“ شادروان დაწერილობა ასე უნდა იქნეს წაკითხული (ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ „დავთრის“ მონაცემი ამ მხრივ სანდოა). მაგრამ ამ საკითხზე წერილობით მასალებში დიდი სხვადასხვანაირობაა: ხუთვერსიან რუკაზე ჩვენ გვაქვს Ш и д р е в а н<sup>5</sup>, „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ — Ш е д р и в а н<sup>6</sup>, არქივისეულ საბუთებში—Ш е д р о в а н<sup>7</sup>, Ш е д р о в а н<sup>8</sup>. გარდა ამისა, რიგ საბუთებში და, მათ შორის, ერთ ქართულ საბუთშიც ჩვენ გვაქვს Ш а д р е в а н<sup>9</sup> და „სოფელ შ ა დ რ ე ვ ა ნ შ ი დ. სამი ბახჩა“<sup>10</sup> და სხვ. არქივისეულ საბუთებშია: Ш а д р и в а н (გვ. 14r) და Ш о д р е в а н (12r). ადგილობრივ მკვიდრთაგან (ნიკ. ნათენაძე, პ. მაზნიაშვილი) მე ჩაწერილი მაქვს შ ა დ რ ე ვ ა ნ ი. რადგანაც რიგი წერილობითი მასალებისა (მათ შორის ერთი ქართული საბუთი) და ადგილობრივ მკვიდრთა მიერ მოწოდებული ცნობები „შ ა დ რ ე ვ ა ნ ს“, ადასტურებენ, ვფიქრობ ნამდვილი სახელი ამ სოფლისა ასეც უნდა იყოს — შ ა დ რ ე ვ ა ნ ი; ოღონდ აუხსენელი რჩება: რატომ უნდა დაეწერა თურქ მწერალს შ ო დ რ ე ვ ა ნ ი?

„დავთრის“ დროს შადრევანში 7 კომლია. იგი საროსა და ხერთვისს შუა მდებარეობს. არქივის საბუთში შადრევანზე შემდეგი ცნობებია: Ш и д р е в а н — деревня помещицы при реке Ахалкалачке, по устью Шидреван. дараси, под подошвой каменной горы Фундук-хух [Фундукхух?] и Ц е р к в и — б а ш и<sup>11</sup>.

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 46v; ასევეა კ. ზისერმანთან (გვ. 7).

<sup>2</sup> სცია, 73, ს. 158, გვ. 46v.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 41r; ასევე ოსკორია გვაქვს МИЭБГКЗК-ში, ტ. I, გვ. 248.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

<sup>5</sup> ასევეა: სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 23v.

<sup>6</sup> ასევეა: სცია, ფ. 79, ს. 15, გვ. 3r.

<sup>7</sup> სცია, ფ. 77, ს. 20, გვ. 3v.

<sup>8</sup> იქვე, ფ. 79, ს. 14, გვ. 1r.

<sup>9</sup> იქვე, ს. 4, გვ. 5r; იქვე, ს. 18, გვ. 4r; ფ. 1012, ს. 5, გვ. 11v.

<sup>10</sup> იქვე, ფ. 79, ს. 4, გვ. 4r; „შადრევანი“ აქვს აგრეთვე ალ. ფრონელს (დიდებულთ. მეცხეთი, 160).

<sup>11</sup> სცია, ფ. 73, ს. 158, გვ. 23v.

შადრევანი ასპინძის რაიონში ხერთვის, ალჯუა და კვარშა სოფლებთან ერთად ხერთვისის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>1</sup>.

შადრევანთან დასახელებულია წერაკუნტა სათესველი. „დავთრის“ დროის ეს სათესველი შემდეგ, ჩანს, სოფელი გამხდარა; ხუთეფრისიან რუკაზე შადრევანს ახლო აღნიშნულია P. Д. Церакунта. 1835 წ. საბუთში Церакунта დასახელებულია სოფლად<sup>2</sup>. 1879 წლის „დროებაში“ მოთავსებულია „გაჯახეთილამ“ კორეპონდენცია, რომელსაც ხელს აწერს წერაკუნტელი<sup>3</sup>.

33. სოფ. ხიზა — خيزه (I 12, 190; II 13, 189). ამ დაწერილობას დიაკრიტიკული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ექ. თაყაიშვილი სოფ. ხიზაბაერიდან 4 ვერსის მანძილზე ასახელებს ადგილს Хиза<sup>4</sup>, რაც ფონეტიკურად ზუსტად ასახულია حيزه || خيزه დაწერილობაში. ამ ნასოფლარზე ექ. თაყაიშვილი ეკლესიის ნანგრევებსაც უჩვენებს. ხიზაბაერა-ბნელასთან ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია Ур[очище] Хиза.

„დავთრის“ დროის ხიზა სოფელი 4 კომლიანია.

34. სოფ. ფია საკომო (?) და ჯოლა სათესველით — جولا مع ساكومو و جولا (I 12, 191; II 13, 190). საკმაოდ დიდი, 19 კომლიანი სოფელია „დავთრის“ დროის ფია, რომელმაც ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. ხუთეფრისიან რუკაზე Даниел პუნქტთან აღნიშნულია П о с [с х о к] П и я, რამაც ძლიერ შეუწყო ხელი ამ დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე დაწერილი მოხაზულობის სუ-ს ამგვარად წაკითხვას. „ამჟამად ფია ანსოფლარია, მის მახლობლად არსებობს სოფ. ჯოლა“<sup>5</sup>. საარქივო მასალებში ფიაზე შემდეგი ცნობებია: В помещичьем имении Пие...<sup>6</sup> (1859-1860 წწ.), ლ. ისარლოვიც ფიას ახსენებს როგორც Пустошь Пиа<sup>7</sup>. ფია და ზემოგანხილული სოფ. ორხრთია ტერიტორიულად ძლიერ ახლოს არიან და შესაძლებელია ეს ორი სიტყვა ეტიმოლოგიურადაც დამოკიდებული იყვნენ ერთმანეთისაგან (ფია || ორხო-ფია). არქივისეულ სიებში ამ სოფლის სახელად მოცემულია П а а (გვ. 14r, 12r) სრული გაუგებრობაა.

ვაჰანის ქვაბის მიახლოებითი ლოკალიზაციისათვის ლ. მუსხელიშვილი ასახელებს შთელ რივ გეოგრაფიულ სახელებს და მათ შორის ფიასაც: „ვარძია და ზედა ვარძია, თმოგვი, კუმურდო, ტოლოში, ფია, მირაზხანი, ჭრკოტა (ერკუტა), ჰაკარი და სხვ.“<sup>8</sup> ვარძიის მუზეუმის მეცნიერი თანა-

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

<sup>2</sup> სცია, ფ. 1012, ს. 5. გვ. 11v.

<sup>3</sup> 1879 წლის „დროება“, № 184.

<sup>4</sup> E. Такайшвили, МАР, XII, გვ. 19.

<sup>5</sup> ეს ცნობა გამოიგზავნეს ვარძიის მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომლებმა ცილა გაბაშვილმა და რუსუდან გვერდწითელმა.

<sup>6</sup> სცია, ფ. 73, ს. 157, გვ. 22v.

<sup>7</sup> Л. Исарлов, Письма о Грузии, გვ. 8.

<sup>8</sup> ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.). გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბილისი, 1939, გვ. 10, ლ. მუსხელიშვილი აქვე სქოლიოში შენიშნავს, რომ „ნაწილი ამ სახელებისა რუკებზე აღნიშნული არაა“.

მშრომლის გ. გაფრინდაშვილის მიხედვით ცნობილია გელსუნდისა და ფიის-კვაბთა კომპლექსები<sup>1</sup>. 1859 წ. არქივისეული საბუთის მიხედვით: II и я—зимо́вник помещичья при роднике Сагоборис-ухаро по оврагу... горы Карасан<sup>2</sup>. ჩვენ ეს წიგნი დაწერილი გვექონდა, რომ ფიის IX-X საუკუნის არქიტექტურული ძეგლებისა და წარწერათა შესახებ გამოვიდა რამდენიმე შრომა, სადაც, სხვათა შორის, უფრო დაზუსტებულია ცნობები ფიის მდებარეობის შესახებ<sup>3</sup>. 1870 წ. კ. ზისერმანი სოფ. ფიას 3 კომლი მოსახლეობით ახალციხიდან 41 ვერსის მანძილზე ასახელებს<sup>4</sup>.

სოფ. ფიასთან დასახელებულია:

1. სათესველი, რომელსაც მე პირობით საკომო-დ ვკითხულობ; შეიძლება ის საკომოც იყოს. ამ პუნქტზე ჩვენ მასალა არ გავაჩნია.

2. რაც შეეხება მეორე სათესველს, რომელიც II წიგნში დიაკრიტულინიშნით არა მაქვს მოცემული, ხოლო I წიგნში جولا (ჯოლდა)-დაა დაბეჭდილი, ეს არის უთუოდ ახალციხიდან დაახლოებით 33 ვერსზე მდებარე (ზისერმანი, 8) პუნქტი, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა გადათურქლებული ჯოლდა-ს სახელით. მართლაც, „დავთრის“ დროს სოფ. ფიასთან სათესველად დასახელებული ადგილი جولا ჩვენ დროში უკვე დასახლებული პუნქტია „ჯოლდა“-ს სახელით (1870 წ. ამ სოფელში ქურთების 2 კომლია ნაჩვენები—ზისერმანი, გვ. 8). ასპინძის რაიონში სოფ. ჯოლდა ნაქალაქევე, ანაკეთ, ბერთაყანა, ზედა ვარშია, მარგასტან და თმოგვთან ერთად ნაქალაქევის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>5</sup>. ჯოლდა-ს სახელმა ჩვენამდე მოაღწია გადათურქლებული სახით. თავის არაქართული მოსახლეობის მეტყველებაში (უკანასკნელ ხანებში ამ სოფელში ბინადრობდნენ ქურთები, რომლებიც გადმოსახლებასითხოვენ აქ 1843 წელს<sup>6</sup>). ამ პუნქტის სახელი, როგორც სხვაგან, აქაც უნდა შეცვლილიყო. ბოლო ხანებში არქივის მასალათა შორის აღმოჩნდა ამ სახელის Чолда-Чолхда<sup>7</sup> და Чолта<sup>8</sup> ვარიანტები, რაც ქართული ჯოლდა ან ჯოლთას რუსული გამოხატულება უნდა იყოს (საერთოდ ქართული ჯ→რუს. ч). ჩვენ უამისოდაც ვიცი, რომ გადათურქლებულ ჯოლდა-ს ქართული სახეობა ჯოლდა-

<sup>1</sup> გ. გაფრინდაშვილი, „მნათობი“, 1953. № 5. გვ. 171-174; აგრეთვე: „დროშა“, № 9 (26), IX.1953, გვ. 18.

<sup>2</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 54v.

<sup>3</sup> გ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან. 1, ფიის წარწერა 995 წლისა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბილისი, 1954, გვ. 167; გ. გაფრინდაშვილი, IX-X საუკუნეების არქიტექტურის ნაგებობა ნასოფლარ ფიასში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 6, თბ., 1956, გვ. 565; მისივე, 955 წ. ხუროთმოძღვრების ძეგლი ნასოფლარ ფიასში, იქვე, № 8, გვ. 761.

<sup>4</sup> К. Зиссерман, გვ. 8.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“, VI.

<sup>6</sup> სტია, ფ. 73, ს. 48, გვ. 4r; იქვე, ს. 157, გვ. 19v.

<sup>7</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 54v; ფ. 414, ს. 125, გვ. 160v; ფ. 220, ს. 506, გვ. 8r; Ж. Загурский, Поездка в Ахалцхский уезд в 1872, Зап. КСОРГО, წ. VIII, თბ., 1873, გვ. 49; К. Зиссерман, 8.

<sup>8</sup> Чолта ფორმა საიდანაც ამოწერილი მაქვს, მაგრამ წყაროზე მითითება დამეკარგა-

უნდა ყოფილიყო (ქართ. ქ → თურქ. ჯ), „ჯოლდა“ში დ თანხმოვანიც არა-ქართულ ენობრივ კოლექტივში გამეღვრებულნი და შესაბამისი „თ“ ფგვინვი-ერიდანაა უთუოდ მიღებული ისევე, როგორც, მაგალითად, ქ ი ლ ე რ თ ა მ მო-გვცა ქ ი ლ ე რ და<sup>1</sup>. ამრიგად, უპიკველად გვეჩვენება, რომ აწინდელი ჯოლდა უფრო ძველი და ქართული ქოლთა სახელის კანონზომიერად გადათურქუ-ლებული ფორმაა.

თუ კი ამ პუნქტის სახელი ქოლთა იყო, უპიკველია ეს არის ის ქოლ-თა, რომელიც „ბეჰა ქანდატურთუხუცესის სამართალში“ იხსენიება<sup>2</sup>. „შევი-ყარენით ქოლთა მინდობილნი ლეთისანი“-ს<sup>3</sup> დამწერი, ვფიქრობ, საკრებუ-ლო და სამუშაო ადგილად გულისხმობს სოფელ ფიასთან ახლო მდებარე ქოლთა პუნქტს. ამ სახელის კანონზომიერად გადათურქულებული ფორმა კი არის ჯოლდა. ჯოლდას სახელით სოფელმა კი ვარძიის ხეობაში ჩვენ დრომდე მოაღწია. ქოლთა (=აწინდელი ჯოლდა) როგორც ვარძიის, ვაჰა-ნისა და ფიის ქვაბთა<sup>4</sup> კომპლექსებში მდებარე პუნქტი, ბუნებრივია ჩაბ-მული ყოფილიყო იმ კულტურულ საქმიანობაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საერთოდ სამცხე-საათაბაგოს ამ უბანში, უფრო ზუსტად — ვარძიის მილა-მოებში.

35. სოფ. დავეითასუბანი (დაუდუბანი)—სოფ. მკედლისუბანთან<sup>5</sup> — *داوداوسان تراد قمره جدلسوسان* (I 12, 192; II 13, 190). ნიკ. ნათენაძის ცნო-ბით „დავეითასუბანი შალოშეთის მიჯნაზეა, საბალახოა, ნასოფლარი“. „დაუ-დუბანი“ გადათურქულებული ფორმაა „დავეითასუბან“ სიტყვისა. დავეითასუბ-ანი „დავეთარში“ მკედლისუბანთანაა ნაჩვენები, ხოლო მე ჩაწერილი მაქვს, რომ დავეითასუბანი და მკედლისუბანი ორივე სალოშეთთან II შალოშეთთან მდებარეობს. მაშასადამე, მკედლისუბან და დავეითასუბან ნასოფლარების ძიება შალოშეთის სანახებში უნდა მოხდეს.

არქივისეული სიების *Давицубани* (მერე გასწორებულია *Давицубани*-ზე) (გვ. 14r) და *Давицубани* (გვ. 12r) მთლად ზუსტი არ არის.

36. სოფ. არციკა სოფ. იფნეთთან—*ارسی* (I 12, 192; II 13, 190). ეს სახელწოდება მე ამოუკითხავად მქონდა დატოვებული. 1944 წელს ვარძი-ის მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა რუსუდან გვერდწითელმა ნაცნობა: „ამჟამად იფნეთი ნასოფლარია. მის მახლობლად მდებარე მეორე ნასოფ-ლარს, ტაშლი-ყიშლას მაცხოვრებლები არცისკას ეძახიან, ხოლო ერთმა ზედათმოგველმა კი არციკა უწოდა“. ახლა საეცებით ვარკვეულია, რომ ადგილის ქართული სახელია არციკა, რომელშიც თურქმა „ც“ თანხმოვა-

<sup>1</sup> იხ. აქვე: ჩილდირის ლივა, ქანარბელის ნაჰიე, სათესველი № 21—ქილერთა.

<sup>2</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1954, გვ. 285.

<sup>3</sup> იხ. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 3683, გვ. 25r; აგრეთვე Q 575, გვ. 196r.

<sup>4</sup> ფიას ნასოფლარი და ჯოლდა (←ქოლთა) სოფელი ზემოთ ნაჩვენები იყო ერთმანეთ-თან კავშირში.

<sup>5</sup> ამ ადგილას I-სა და II წიგნში ეს სიტყვა, ისევე როგორც სხვაგან ყველგან (იხ. გვ. 256-257), ამოუკითხავად იყო დატოვებული.

ნი სათანადო ნიშნის უქონლობის გამო *س* ასოთი გადმოსცა — *اسكرا*, ხოლო *ك* მკვეთრი თანხმოვანი — ჩვეულებრივი *ك* ასოთი. ამრიგად ქართულმა *ა რ-ც ი კ ა-მ* თურქულში *ა რ ს ი კ ა* მოგვცა. რ. გვერდწითელის მიერ არაქართველის წარმოთქმით ჩაწერილი *ა რ ს ი კ ა-ც* ამ სიტყვის შემდგომი გადათურქულების შედეგია.

გაუქაცრიელებული სოფ. *ა რ ც ი კ ა* ნაჩვენებია იფნეთთან, რომლის მდებარეობა რუკებზე საესებით დაზუსტებულადაა აღნიშნული<sup>1</sup>.

37. სოფ. ზემო და ქვემო დილიკა ხერთვისის ციხის რაბათთან — *سلا و سلا كدا* (I 12, 192; II 13, 191). გაუქაცრიელებულია „დავთრის“ დროსვე. ამ დაწერილობის დილიკა'დ ამოკითხვა სწორი უნდა იყოს და კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას. ჩვენ ეს დაგვიდასტურა პეტრე მაზნიაშვილმა. არქივისეულ სიებში გვაქვს *Дилка улия и сухла* (= დილიკა ზემო და ქვემო, გვ. 14v) და *Дилка улия и суцхля* (გვ. 12r). ამ პუნქტის შესახებ სხვა ცნობები ჯერჯერობით არ ჩანს, მისი ადგილმდებარეობა ხერთვისის რაბათით არის განსაზღვრული.

38. სათესველი დანიეთი — *دانا مزرعة* (I 12, 192; II 13, 191). ხუთვერსიან რუკაზე ფია-თოლერტის ზონაში აღრიცხულია პუნქტი *Данет*. თურქული დაწერილობაც სწორედ *დ ა ნ ე თ ი* ს წაკითხვის უფლებას იძლევა. II წიგნში დაბეჭდილი გვაქვს „დანიეთი“, რადგანაც ბოლო ხანებში ეს უკვე სოფ. დანიეთი (ასე გვაქვს ჩაწერილი ადგილობრივი მკვიდრისაგან) იყო. არქივისეულ სიაში გვაქვს *Тануел*, რომელიც იქვე გასწორებულია *Данед*-ად (გვ. 14v), მეორე სიაში კი ძლიერ შერყვნილია; მგონია *Танет* წერია (გვ. 12r). ასპინძის რაიონში *დ ა ნ ე თ ი* შალოშეთ, ზედა თმოგვ და თოლერთა სოფლებთან ერთად შალოშეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. ზემოთ. გვ. 258-259.

<sup>2</sup> ს.კ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

## II. ხ მ რ თ მ ი ს ი ს ლ ი ვ ა

### 11. ტყე-ჯავახეთის ნაწილი

1. სოფ. ვარდისციხე — وارساخ (I 12, 192; II 14, 191). ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ „ციხე“ სიტყვასთან წინამავალი სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ს შერწყმის „ციხე“ სიტყვის თავიადურ ც თანხმოდ ვანს, რომელიც თურქულში გადმოცემულია ჩვეულებრივად ს თანხმოდნით. მაგალითად. ფერისციხე — فرسخ || perishe || ფერისხე<sup>1</sup>. ამგვარად ცხადია, რომ ქართული „ვარდისციხე“ თურქის წარმოთქმაში وارساخ — „ვარდისციხე“-ს მოგვეცემა. მაშასადამე, وارساخ ქართულად უნდა ყოფილიყო ვარდისციხე და არა ვარდციხე, როგორც ეს ჩვენ გვაქვს დაბეჭდილი II წიგნში. მართლაც ასეა ამ სოფლის სახელი წარმოდგენილი არქივისეულ სიგებში: Вардисцихе (გვ. 14 r და 12 r). ერთ არქივისეულ საბუთშიც Вардисцихе გვაქვს<sup>2</sup> და სხვაგანაც. II წიგნში (გვ. 14 და 191) ჩვენ მიერ დაბეჭდილი „ვარდციხე“, რომელიც მექანიკურად არის თურქული وارساخ-დან გადმოღებული, უნდა შესწორდეს ვარდისციხე<sup>3</sup>დ. ასეთი სახელით გეოგრაფიული პუნქტი ცნობილია კიდევ იმერეთში მაიაკოვსკის (ყოფ. ბაღდადის) რაიონში — ვარციხე<sup>4</sup> — ვარდციხე — ვარდისციხე. პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა გაარკვია, რომ როდოპოლისი (Ροδόπαλις = ქ. ვარდისციხე<sup>5</sup>), რომელიც ნახსენებია VI საუკუნის ისტორიკოსებთან (პროკოპი და აგათია), არის ბერძნულად ნათარგმნი სახელწოდება იმ ციხისა, რომელიც მდებარეობს ხანისწყალზე იმერეთში ვარდციხე-ს (ვარციხე, ვარდისციხე) სახელით<sup>6</sup>.

ადგილმდებარეობა ვარდისციხისა გარკვეულია. მსხვილმასშტაბიან რუკებზე (მაგალითად, ხუთეგრისიანზე) ვარევენთან ახლო აღნიშნულია Р. Д. Вардисцихе. პ. მაზნიაშვილის ცნობით „ვარდისციხე ნასოფლარია ვარევენსა და თოქს შუა“. უფრო ზუსტი ცნობებიც მოგვეპოვება: В полушерсте от Варевани, к северо-востоку от него, на горе, находится пу-

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ. 190-191.

<sup>2</sup> სტია, ფ. 223, ს. 19, გვ. 12 v.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 69.

<sup>4</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III თბილისი, 1936, გვ. 159, 309; შტრ.: Пя. Иоссевиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, გვ. 38.

стошь Вардис-цыхе — розовая крепость. Но следов крепости нет никаких, а между тем место бывшего поселения само по себе действительно крепкое, малодоступное: оно было расположено на отдельно стоящей среди равнины горе. Здесь сохранились развалины груз. церкви с надписями на южн. стене...<sup>1</sup>. 1909 წლის ერთ საბუთში, რომელიც საერთოდ საინტერესო ცნობებს შეიცავს ამ ნასოფლარის შესახებ, წერია: ...пустошь «Вардис-цыхе» до раздела ее в 1897 г. с землевладельцами Абашидзевыми, в течение нескольких лет находилась в бесплатном пользовании Вареванцев, а затем по разделу ее с 1 апреля 1898 г. и по настоящее время состоит у них же в арендном пользовании за плату 351 р. в год<sup>2</sup>. 1840-1841 წ. საქმიდან ჩანს, რომ სოფ. თოკის მესანედი ვ ა რ დ ი ს ც ი ხ ი ს (Вардис-цыхе) დაუსახლებელი ადგილით და 7667 ახჩინანი შემოსავლით ეკუთვნის დურსუნ-ბეგ მაჰმუდ-ბეგ-ოღლის<sup>3</sup>.

ამრიგად, საესკებით გარკვეული სახელწოდება და ადგილმდებარეობა იმ ნასოფლარისა, რომელიც „დავთრის“ 14 კომლიანი სოფელი იყო და რომელიც „დავთარში“ ტყე-ჯავახეთის რაიონის პირველ სოფლად არის აღწერილი.

2. სოფ. გოკია — گوكيا (I 12, 193; II 14, 19i). გოკია მიჩნეულია ძველ ქართულ ქალაქად: „გოკია არს ქალაქი მცირე“<sup>4</sup>. პლ. იოსელიანს, უთუოდ შეეძლოთ, უწერია გოკი, რომელზედაც ამბობს, რომ იგი ზედა ქართლში ჯავახეთის მტკვრის ჩრდილოეთ ნაპირას მდებარეობს<sup>5</sup>. ივ. როსტომიშვილით გოკიაში შეიღზე მეტი ეკლესიის ნანგრევებია<sup>6</sup>.

ჩემ დღიურში სოფ. გოკიაზე შემდეგი ზიწერია: „ზავრეთიდან გავემგზავრეთ სოფ. გოკიაში. ვაჭრდით მეტად სტუმართმოყვარე ზაქარა ტაბატაძის სახლში (1933 წ. 25. VIII). რევოლუციის შემდეგ აქედან აყრილან ადგილობრივი მცხოვრები თარაქმები (ყარაფაფახები)<sup>7</sup>, რომელთაც თავიანთი სახლ-კარი ბორჯომის ხეობიდან ჩამოსული ოსებისათვის მიუყიდიათ. ოსებს ვერ აუტანიათ აქაური ჰაერის სიმკაცრე და კვლავ გუჯარეთის ხეობაში დაბრუნებულან. ოსების შემდეგ აქ დასახლებულან სომხები და ახალციხის რაიონიდან (სოფ. ანდრიაწმინდა) მოსული ქართველები (ყერძოდ ანდრიაწმინდელი ტაბატაძეები). აქ ნაგებობათა ნანგრევები ბევრია, ნაქალაქარობა მართლაც ეტყობა“.

რაგორც არქივისეულ სიებში (გვ. 14 v და 11 r), ისე არქივის მთელ რიგ „საქმებში“ და აგრეთვე რუკებზე „გოკია“ სახელწოდება დამახინ-

<sup>1</sup> И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, 46.

<sup>2</sup> სცია, ფ. 323, ს. 19, გვ. 12 v.

<sup>3</sup> სცია, ფ. 73, ს. 166, გვ. 2 v.

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 129.

<sup>5</sup> Города, существовавшие и существующие в Грузии, стр. 41.

<sup>6</sup> И. П. Ростовов, დასახლებული ნაშრომი, გვ. 53-54.

<sup>7</sup> იქვე.



ჯებულად არის დაწერილი—[ОКНІЯ<sup>1</sup>. ვახუშტის თავის „აღწერაში“ გოკია<sup>2</sup>, გოკიის მდინარე აქვს<sup>3</sup>, ინდექსშიც (გვ. 20გ, 33გ) გოკია, გოკიის მდინარე უწერია. ამდენად [ОКНІЯ<sup>4</sup> არმენიზებული *კიკია*-დან უნდა მოდიოდეს. ასევეა ხალხურ ლექსში:

ბარალეთს აღოვა-შვილსა სუფრა გაეგდო გძელია,  
გოკიას ცეცხლი ეკიდვის, შიდ მოიხალს ქერია<sup>5</sup>.

„დაეთრის“ დროის გოკიაში 18 მოსახლეა აღრიცხული. ამჟამად გოკია ახალქალაქის რაიონში ალასტან, ვარეან და ხანდოსთან ერთად ალასტანის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>6</sup>.

ს. გოკიასთან აღრიცხული ჩაირი თეთრობი — سرو. I და II წიგნების ბეჭდვის დროს سرو (I 193; II 192) ამოკითხული არ იყო. ზემოთჩვენ გვქონდა რამდენიმე შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ბოლოკიდური კ და პ-ს ტიპის ასოების გარჩევა „დაეთარში“ ძლიერ რთულია. მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ბოლოკიდური ასო კ კი არ უნდა იყოს, პ ასოა. მაშინ ეს დაწერილობა ასე წარმოგვიდგებოდა سرو ე. ი. თეთრობი. ამ სახელწოდებით კი ამ მიდამოებში სოფელიც იყო და ნასოფლარი დღესაც ცნობილია. „დლიურში“ მიწერია „გოკიის ზევით ნასოფლარი თეთრობი“ (გვ. 27). „თეთრობის ხეობა ჯავახეთის ზეგანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს“<sup>7</sup>. ამრიგად, აქ უნდა იკითხებოდეს „ჩაირი თეთრობი“ და მერე როგორც არის. ზუთვერსიანი რუკაზე გოკიასთან მართლაც აღნიშნულია [Тетрон] Тетрон. კ. ზისერმანიტ გოკია თეთრობისწყალზე მდებარეობს (გვ. 23). გასული საუკუნის 30-იანი წლების საბუთებში თეთრობი სოფლად ანახსენები: سرو, Тетрон, Тетрон II ტეტონ და სხვ.<sup>8</sup>

3. სოფ. ორჯუა — اورجو (I 12, 193; II 14, 192). არქივისეულ სიგებში Орджуа (გვ. 14 v) და Орджува (გვ. 12г) გვაქვს. იხსენიება აგრეთვე Орджуа-დ<sup>9</sup>. რუკებზე (ზუთვერსიანი, „ვეროპული რუსეთის სპეცრუკა“ და სხვ.) Орджа-დ არის აღნიშნული (ხანდა-არაგვა-ყორხის სექტორში). „ახალქალაქიდან დაახლოებით შვიდი კილომეტრია ჩრდილო-დასავლეთით“ (პ. მაზნიაშვილი). „დაეთრის“ ორჯუა და საარქივო მასალების Орджуа და

<sup>1</sup> მაგალითად: „ვეროპ. რუსეთის სპეცრუკა“, „ზუთვერსიანი რუკა“, კ. ზისერმანი (გვ. 23) და სხვ.

<sup>2</sup> ამ სოფელთანაა უაუოდ დაკავშირებული საგვარეულო სახელი გოკიელი.

<sup>3</sup> გვ. 83, 129.

<sup>4</sup> სცია, ფ. 73, ს. 15.

<sup>5</sup> ვინმე მესხი, „დროება“, 1879, № 171.

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 19. ამ წიგნში დაბეჭდილი „გოკიო“ ფორმა ისტორიულად არ მართლდება და სწორი არ არის.

<sup>7</sup> ნ. კეცხოველი, მთა და ბარში, თბილისი, 1949, გვ. 25.

<sup>8</sup> სცია, ფ. 47, ს. 61, გვ. 2г, 3г, 5г, 8г, 7v და სხვ.

<sup>9</sup> სცია, ფ. 77, ს. 8, გვ. 56.

Орджыва ბოლო ხანებში, შეიძლება, სხვა ორჯა-ებთან ანალოგიათ ორჯა გახდა. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ახალქალაქის ლივანს აკშეპირის ნაპიჯეში არის ქვემო და ზემო ორჯა სოფლები, რომელთაც შემდეგში ორჯალარი ეწოდათ (იხ. აქვე, ახალქალაქის ლივან, 13. აკშეპირის ნაპიჯე, სოფ. № 24. ქვემო ორჯა და სოფ. № 59. ზემო ორჯა).

„დაეთრის“ დროის ორჯუა 18 კომლიანი სოფელია. ამჟამად ეს სოფელი „ორჯა“-ს სახელით არაგვა, გომან, ზაკე და დირქნა სოფლებთან ერთად ახალქალაქის რაიონის არაგვის სასოფლო საბჭოში შედის<sup>1</sup>.

4. სოფ. არუჯ [არაგვა]—كروا (I 12, 194; II 14, 192). ამ სახელის დაწერაში დიდი უთანხმოებაა: деревни Корх и Арагуа<sup>2</sup>, в пустопорижнем месте Арюке<sup>3</sup>,... земля, называемая Арюк, заключающая 10000 акчей<sup>4</sup>,..., Араква და Арагва<sup>5</sup>, Арагва Ахалкалакского района<sup>6</sup> და сел. Араква<sup>7</sup>. არქივისეულ სიგებში: Арук (გვ. 14 v) და Орук (12r) გვაქვს. ხუთვერსიან და სხვა რუკებზე Арагова წერია. მოგზაურობის დღიურში მე ადგილობრივ მკვიდრთა კარნახით ჩაწერილი მაქვს არაგვა და ვეიქრობ, ეს უნდა იყოს ამ სოფლის ქართული სახელი, რომელმაც სხვადასხვა ენობრივ წრეში სხვადასხვა სახე მიიღო. არქივის მასალების მიხედვითაც სხვადასხვანაირია ეს სახელი, მაგრამ ძირითადად მაინც არაგვა || არაგუა || Аракыва, اروا—اراقوا—გვაქვს (ყველა ეს ვარიანტი არაგვა-საგან უნდა მოდიოდეს)<sup>8</sup>.

„დაეთრის“ დროის არაგვაში მხოლოდ ორი მოსახლეა ნაჩვენები. ჩანს, სოფელი დაცარიელებულა. ამჟამად არაგვა ახალქალაქის რაიონში გომან, ორჯა, ზაკე და დირქნა სოფლებთან ერთად არაგვის სასოფლო საბჭოში შედის<sup>9</sup>.

5. სოფ. კოთელია სოფ. ბარალის || ბარალეთთან — كوتيله در نزد البرالص (I 12, 194; II 14, 193). „23.VIII (1933) ახალქალაქიდან ფურგონზე გავემგზავრეთ სოფ. კოთელიაში; გზად გავიარეთ ორჯა. მოხუცმა მ. ზარიძემ ბევრი ცნობა მღვგაწოდა გეოგრაფიული ნომენკლატურის შესახებ“ (დღიურიდან). ივ. როსტომაშვილით „სოფ. კოთელია მდებარეობს ახალქალაქიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 15 ვერსის მანძილზე“<sup>10</sup>. ხუთვერსიან

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 19; გახ. „კოპუნისტი“, 1951, 28.VII, № 176.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 52, გვ. 2r.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 79, ს. 15, გვ. 1r.

<sup>4</sup> იქვე, საინტერესოა, რომ „დაეთრის“ დროის არაგვასაც 10 000 ახჩა აქვს შეწერილი.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 79, ს. 17, გვ. 5; იქვე, ფ. 41, ს. 50, გვ. 12r, 15r.

<sup>6</sup> გახ. «Заря Востока» 26.III.1954.

<sup>7</sup> გახ. «Заря Востока» 19.I.1955.

<sup>8</sup> სცია, ფ. 47, ს. 61, გვ. 2r, 3r, 5r, 7v, 10r.

<sup>9</sup> იხ. გახ. „კომუნისტი“, № 176 (9330), 1951, 28.VII-ისა. ოფიციალურ სიგებშიც ყველგან „არაგვა“ წერია.

<sup>10</sup> И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК,

და სხვა რუკებზე *Хотелия*, ხოლო ვახუშტის ინდექსში შეცდომით *კოთელი* (გვ. 33 რ, 42 ვ) გვაქვს. ხალხური ლექსი კოთელიაზე ამბობს:

კოთელელებს წყალი არ აქვთ, რაც მოდის, ისიც მღვრიათ...<sup>1</sup>

როგორც არაგვაში, კოთელიაშიც სამკომლიანი მოსახლეობაა; შემოსავალი კი დიდი აქვს მის მფლობელს — 10 000 ახჩა. ჩანს, რომ ახალი დაცარიელებული სოფელია. ამჟამად კოთელია ახალქალაქის რაიონის ბარალეთის სასოფლო საბჭოში შედის ბარალეთ, ბალხო და ბულაშენ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

ნ. სოფ. ხიდჯვარი — *خجوار* (I, 12, 195; II 14, 193). „დავთრის“ დროს სამკომლიანი სოფელია, რომლის ნამდვილი სახელწოდება ხიდჯვარი კი არაა, ხიდისჯვარი უნდა იყოს. ჩვენ აქ მოვიყვანთ ახლა საარქივო მასალებს, საიდანაც ჩანს, რომ 1. ამ სოფელს ხიდისჯვარი რქმევია და 2. 1837 წელს ის უკვე დაცარიელებული ყოფილა (ამავე საბუთში საყურადღებო ცნობებია ბარალეთსა და კოთელიაზე): *Хертинского санджака [жителн] деревень Тока — Дурсун-бек Мамуш-огли, Варевана — Ибрагим Исмаилогли, веры магометанской... показали: как им известно, местом, называемым Нацарьгорою при турецком правительстве пользовались баралетские и котельские жители и багру с оного места как первые, так и последние платили в казну потому, что в то время и Хотеля была казенною, а что касается до пустопорожней деревни Хидис Джвар, то совершенно не знаем как при турецком правительстве, так равно и ныне кому она принадлежат<sup>3</sup>. მეორე საბუთში სოფ. ხიდისჯვარზე ნათქვამია, რომ ის ოშორელი ფაშა-ხანუმისაგან შესყიდულია დეკანოზ ორბელიანოვის მიერ და რომ ეს ხიდისჯვარ სოფელი ბარალეთისგან იყოფა მიჯნით ხმელი-ტბა<sup>4</sup>. მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვით სოფ. ხიდისჯვარი ბარალეთის გვერდზე მდებარეობდა. კიდევ ერთი საბუთის მიხედვით ხიდისჯვარის მამული 25 წლის განმავლობაში მოსე კოსტანაშვილის მემკვიდრეთა — პეტრესა და პავლეს მფლობელობაში იყო<sup>5</sup>. არქივისეულ სიგებში რამდენიმედ შერყენილადაა ფიქსირებული ეს სახელწოდება: *Хидижвар* (14 ვ) და *Хидижвар* (12 რ). ხიდისჯვარის შესახებ ეს ცნობები დასტურდება აგრეთვე ჩვენი დღიურიდან, რომელიც დაწერილია ჩვენ მიერ ამ კუთხეში მოგზაურობისას: „ბულაშენსა და მერენისს შუა არის ხარაბა — ხიდისჯვარი. ბარალეთსა და ხიდისჯვარს შუა არის ეკლესიები, რომელსაც სომხები ხარაბა ტერტერაულს ეძახიან.*

<sup>1</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 124.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>3</sup> სცია, ფ. 73, ს. 175, გვ. 20 რ.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 38 რ.

<sup>5</sup> სცია, ფ. 74, ს. 61, გვ. 2 რ; ფ. 1044, ს. 15-დან ჩანს, რომ ეს ფაშა-ხანუმი განსვენებული აჰმედ-ბეგის მეუღლეა და მფლობელია ზემო ოშორის, ქვემო ოშორის ნაწილისა და ყამზის ნაწილისა (გვ. 6 ვ).

ამრიგად, „დავთრის“ خدجوار შეიძლება ხ ი დ ი ჯ ვ ა რ -დაც წავიკითხოთ. მე კოთელიაში ხ ი დ ი ჯ ვ ა რ ი მაქვს ჩაწერილი; ასევეა ორჯერ დაწერილი ერთ საბუთში: Хидижварн<sup>1</sup>. ამავე დროს არქივისეულ საბუთებში ბევრგან ხ ი დ ი ს ჯ ვ ა რ ი ა . პ. მაზნიაშვილმაც ხ ი დ ი ს ჯ ვ ა რ ი ჩამაწერინა. ამ სახელწოდების წარმოთქმის სხვადასხვაობა იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ აქ ახლა სოფელი არ არის. არქივის თურქულ საბუთებში კარგადაა ტრანსკრიბირებული: خدجوار = ხ[ი]დიჯვარ<sup>2</sup>.

ხიდიჯვრის მდებარეობის შესახებ გარდა აქ მოყვანილი მონაცემებისა, ჩვენ ხ ი დ ი ჯ ვ ა რ ი უშუალოდაც გვაქვს აღნიშნული რუკებზე: ბარალეთთან ახლო, მაგალითად ხუთვერსიანზე, აღნიშნულია Р. Д. Хидижвар.

7. სოფ. მერენია ლრტილასთან — مرونيه درندز غرا (I 12, 195; II 14, 193). ჩემს დღიურში ამ სოფლის სახელად მერენისი მიწერია: „ბულაშენსა და მერენისს შუა არის ხარაბა ხიდიჯვარი“. ჩვეულებრივად ამ სოფლის სახელწოდება ზეპირი და წერილობითი წყაროების მიხედვით მხოლოდ მერენია-ა. „დავთრის“ مرونيه - მერონია ან მერუნია განზე რჩება. არქივისეულ სიებშიც, რომელთა წყარო, როგორც დავრწმუნდით, „დავთარია“, Мерення (გვ. 14 v, 12 r) გვაქვს. რუკებზე (მაგალითად, ხუთვერსიანზე) აგრეთვე Мерення-დ არის აღნიშნული. ყველაფერი ეს საფუძველს იძლევა ექვი შეფიქრანთ „დავთრის“ \* „მერონია“-ს სისწორეში. აქ უთუოდ რაღაც შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. მერენია უნდა მივიღოთ ამ პუნქტის სახელად.

მერენიის ადგილმდებარეობა სავსებით გარკვეულია რუკებზე. „დავთრის“ მერენია პატარა, ექვსკომლიანი სოფელია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1951 წელს „გაუქმდა მერენიის სასოფლო საბჭო. სოფლები მერენია, იბტილა II ლრტილა და პატარა სამსარი მიეკუთვნა ახალქალაქის რაიონის ბარალეთის სასოფლო საბჭოს...“<sup>3</sup>

8. სოფ. سادكو (I 12, 195; II 14, 190). საგადასახადო ობიექტთა სიაში (დედანი, გვ. 17) ეს დაწერილობა ცოტათი სხვანაირია: ბოლოში თითქოს سادكو მოხაზულობა აქვს და მთლიანად ეს დაწერილობა سادكو-ის სახით წარპოგვიდგება (იხ. 12). ძირითად ტექსტში კი (დედანი, გვ. 179) ზუსტად سادكو-აა. ამ სახელწოდების ამოსაკითხავად ჯერჯერობით არაერთი მასალა არ აღმოჩნდა. ვარაუდების წამოყენება ბევრის შეიძლება, მაგალითად: კოპენტისა, კოთეტისა და სხვ. მაგრამ დამადასტურებელი მასალის გარეშე დამაჯერებელი არც ერთი არ იქნება. არქივისეული სიების Кухинит ამ დაწერილობის შესაბამისი არ არის და შეცდომა უნდა იყოს. რვაკომლიანი სოფელი ყოფილა გოკია, არაგვა, აგანა, კოთელია და სხვ. სოფელთა მონაკვეთზე.

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 33, გვ. 1 r, 2 r.

<sup>2</sup> სცია, ფ. 47, ს. 61, გვ. 7 v.

<sup>3</sup> გაზეთ „კომუნისტი“, 1951 წლის 28.VII-ისა, № 176 (9030), გვ. 1.

9. სოფ. აგანა — אגנא (I 12, 196; II 14, 194). საბუთების მიხედვით 1842 წელს სოფ. Агаана-ში 14, ხოლო 1870 წ. კი 36 კომლია<sup>1</sup>. აგანის სახელი დადასტურებული გვაქვს სხვაგანაც: სოფ. აგანის მოსახლეობა ჩივის, რომ იხთილელებმა (=ღრტილელებმა) მიჯნები მოსპეს და ჩვენი მიწით სარგებლობენ<sup>2</sup>. არქივისეულ სიებში გვაქვს Агаана (გვ. 14 v და 12 r), რომელიც შემდეგ ვილაცას Агаана-დ გაუსწორებია. ყველა მსხვილმას-შტაბიან რუკაზე აგანის ადგილმდებარეობა იხთილასა (=ღრტილა) და ბარალეთთანაა აღნიშნული. დღეს აგანა ახალქალაქის რაიონში კაქიო, ალათუბან, ბოჯანო და სირგვასთან ერთად კაქიოს სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>.

10. სოფ. ბოჯანო — بوجانو (I 12, 196; II 14, 195). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს, მაგრამ ეს ნიშნები სწორად არ არის დასმული; კერძოდ, მესამე — ى ასოს ზემოთ ერთი კი არა, სამი წერტილი უნდა ჰქონდეს. ჩვენ აქ გვაქვს სოფელი, რომლის სახელი სხვაგანაც არის დადასტურებული. ეს არის სოფ. ბოჯანო. ვახუშტის სიაში ერთხელ ბაჯანო-ა (გვ. 42 v), მაგრამ: მეორეჯერ უკვე სწორადაა — ბოჯანო (გვ. 33r). ვახუშტის გეოგრაფიაში სწორედ ამ სექტორისათვის დასახელებულია ადგილი „ბოჯანოს ქვეით“<sup>4</sup>. არქივისეულ პირველ სიაშიც ჯერ Иоганно დაუწერიათ (ალბათ, „დავთრის“ მიხედვით) და შემდეგ გადაუსწორებიათ Ёожаино-ზე (გვ. 14 v), ხოლო მეორე სიაში Иоганно დარჩენილა (გვ. 12 v). ანასეულ ქართლის ცხოვრებაში მოხსენებული „ქალაქი და ციხენი ბოჯანა“ ჯავახეთის ბოჯანო არ არის. ეს, ალბათ, თრიალეთის ბოჯანოა, რადგან აქვე ცოტა ზემოთ წერია „მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა“<sup>5</sup>. თრიალეთში რომ ბოჯანოს სახელით პუნქტი ყოფილა ეს ჩანს ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოსული რუკიდანაც, სადაც თუხ და ალვად პუნქტებთან აღნიშნულია ბოჯანო. ჯავახეთის ბოჯანოს ადგილმდებარეობაც სავსებით გარკვეულია: „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ ალათუბნის ქვემოთ აღნიშნულია — Ёожаино. საერთოდ ბეჯანო ამ სოფლის სახელად, ალბათ ბევრს საკუთარ სახელთან ასოციაციით, ბევრგან გვხვდება; ოფიციალურ წიგნშიც ბეჯანო-ა, რაც უნდა გასწორდეს ისტორიულად უფრო სწორ ბოჯანო-ზე<sup>6</sup>. ამჟამად ბოჯანო ახალქალაქის რაიონში კაქიოს სასოფლო საბჭოში შედის კაქიო, აგანა, ალათუბან, მოდეგა და სირგვასთან ერთად<sup>7</sup>.

11. სოფ. ჯანჯლა — جانجلا (I 12, 197; II 14, 195). მე ჯანჯლა-ზე „დღიურში“ ცოტა მაქვს ჩაწერილი. ყოველ შემთხვევაში არ ვიცი რამდენად მართალია ჩემი ჩაწერილი, რომ „ჯანჯლას ახლა ბეჯანო ჰქვია“. რომ ბოჯანო

<sup>1</sup> სტია, ფ. 73, ს. 35, გვ. 3r; К. Зиссерман, 25.

<sup>2</sup> სტია, ფ. 74, ს. 46, გვ. 5r, 7r.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 195.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 220.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19, 166.

<sup>7</sup> იქვე.

და ჯანჯღა ისტორიულად სხედასხვა სოფელი იყო, იქიდანაც ცხადია, რომ „დაეთარში“ ორივე ეს სოფელი აღრიცხულია ცალ-ცალკე (მიუხედავად იმისა, რომ ჯანჯღა პატარა, ორკომლიანი სოფელია). გარდა ამისა, 1858 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ჯანჯღა ამ დროს ბოქანოდან დამოუკიდებელი სოფელია: „крестьянин Торос Гер-Давидов имел прежде местожительство не в селении Джанджуге, а в Бекано Ахалкалакского участка<sup>1</sup>. შემდეგში შესაძლებელია ჯანჯღა დატოვა მოსახლეობამ და ბოქანოში გადავიდა; ან არადა, შეიძლება, მოხდა შერწყმა ჯანჯღა-ბოქანოსი და გაერთიანებულ სოფელს ბოქანო დაერქვა.

„ჯანჯღა“ სახელწოდება საკმაოდ ხშირად გვხვდება დამახინჯებული ფორმით: არქივისეულ სიებში — Чанча (შემდეგ გასწორებულია Джанджуга-ღ; გვ. 14 v) და Чанча (გვ. 12 r) ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია P. Д. Джанджуга; ამ სოფლის სახელი არც ვახუშტის ინდექსშია სწორად — ჯ ა ნ ჯ ა ლ ა (გვ. 42 v).

12. სოფ. მურჯი — مارجي (I 12, 197; II 14, 195). „სოფელ კოთელიდან ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს, ერთი ვერსის მანძილზე, მდებარეობს აოხრებული სოფელი მურჯი, სადაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უცხოვრიათ ქართველებს. მურჯი მდებარეობს ერთის ქვიანის გორაკის კალთებში და თვით გორაკის ზედ კენწეროზედ აშენებულია ციხე-სიმაგრე. რომელსაც სიგარძე ექნება 12 ალაბი და სიგანე 6 ალაბი.

მურჯში ნასახლარები დღემდე მკაფიოდ მოსჩანს. ამას კედლების ნაშთიც მოწმობს, რომ ერთ ადგილას შიგ შუაგულ სოფელში, როგორც ეტყობა, ყოფილა ზეთის სახდელი სახლი. ამ ადგილას ეხლაც გვხვდა ერთი დიდი მრგვალი, წისქვილის თელის მსგავსი შავი ქვა, რომელიც ზეთის სახდელი ქვა უნდა იყოს“<sup>2</sup>. რადგანაც რუკებზე (ხუთვერსიანი) და სხვაგანაც Мурга-ი ეწერა, ჩვენ ბოლოკიდურ ორ ასოს ქვემოთ სამწერტილი დავესვით და „მურჩ“-ად წავეითებთ. თურქულში ბოლოკიდური ხშული მჟღერი ყრუვდება [چرچ ← چرچ] და, ალბათ, ამ ნიადაგზე თურქული წარმოთქმა ამ სიტყვისა მურჩ იქნებოდა. ვფიქრობ, „ივერიის“ კორესპონდენტის მიერ ფიქსირებული მურჯი ამ სახელწოდების ნამდვილი ქართული ფორმაა, რაც დასტურდება აგრეთვე Description-ისადმი დართული რუკის Mourdji-თ. შემდეგში უკვე გვხვდება მურჩი, რომელიც ნასოფლარად იხსენიება<sup>3</sup>. „დაეთრის“ დროის მურჯი ათკომლიანი სოფელია. როდის გაუკაცრიელდა, არ ვიცით. 1888 წელს უკვე „აოხრებული“ ყოფილა. ხუთვერსიან რუკაზე კოთელიასთან ახლო აღნიშნულია P. Д. Мурга; არქივისეული სიების Мурга (14 v) და Мурга (გვ. 12 r) სწორი არ არის.

<sup>1</sup> სტია, ფ. 352, ს. 48, გვ. 17 r.

<sup>2</sup> ვ. კობტონაშვილი, სოფ. ჯავახეთი, „ივერია“, 1888, № 163.

<sup>3</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 113.

13. სოფ. ბარალისი — البرالص (I 12, 198; II 14, 196). გეოგრაფიული თანამიმდევრობის მიხედვით ექვი არ არის, რომ البرالص დაწერილობა ბარალისად უნდა იქნეს წაკითხული. მაგრამ ამავე დროს ცნობილია, რომ ამჟამად ამ სოფლის სახელი ბარალისი კი არ არის, მხოლოდ ბარალეთია. ვახუშტისაც „ბარალეთის მდინარე“ და „ბარალეთი, მცირე ქალაქი“ აქვს<sup>1</sup>. ვახუშტის ინდექსშიც ბარალეთი (გვ. 42 v) და ბალარეთი-ა (გვ. 33 r). ამავე ვარიანტს უქერს მხარს საარქივო მასალებში დატული ამ სოფლის სახელწოდებები — *Баралет*<sup>2</sup>. ამავე დროს „დაეთარში“ ამ ადგილას შეცდომა არ არის დაშვებული; სხვაგანაც, მაგალითად, სოფ. კოთელიაზე ნათქვამია, რომ ის სოფ. ბარალისთან (برالص) მდებარეობს<sup>3</sup>. „დაეთრიდანვე“ ამოწრილ არქივისეულ სიებშიც *Баралет* (გასწორებულია *Баралет*-ზე, გვ. 14 v) და *Баралет*-ი (გვ. 12 r) გვაქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულად ამ სოფელს ორი, წარმოქმნის თვალსაზრისით ორივე სწორი სახელი ჰქონდა: ბარალ-ის-ი და ბარალ-ეთ-ი. შეიძლება „დაეთარში“ პირველი ჩააწერინეს, ხალხში კი უფრო გავრცელებული იყო მეორე.

თანამედროვე ბარალეთი დიდი სოფელია, რომელიც ახალქალაქის რაიონში ბალხო, ბულაშენ და კოთელია სოფლებთან ერთად ბარალეთის სასოფლო საბჭოში შედის<sup>4</sup>.

საინტერესოა ბარალეთზე ხალხური ლექსები; ერთ მათგანში ლაპარაკია ლეკიანობაზე ჯავახეთში:

1. ბარალელ აღუაშვილსა სუფრა გაეგდო გძელია,  
ლეკები წამოუცვინდნენ, კარზედ დაუბეს ცხენია<sup>5</sup>.
2. ბარალეთი ლამაზია, წყალიც აქვს და ხიდიცაო,  
ყველა ქალი გაიხარებს, პატარა და დიდიცაო<sup>6</sup>.

ი. როსტომაშვილის მიხედვით: სოფ. ბარალეთი მდებარეობს ახალქალაქის ჩრდილოეთით 15 ვერსის მანძილზე. სოფელი ვაკე ადგილზეა, რომელიც ბარალეთისწყლით ირწყვება<sup>7</sup>. ი. როსტომაშვილის მიერ მოწოდებული ამ სიტყვის ეტიმოლოგია სწორი არ არის. მისი აზრით ბარალეთი ორი სიტყვისაგან შედგება: ბარა || ბარი 'ვაკე', 'ხეობა' და -ეთ-ი — 'ქვეყანა'. ჯერ ერთი, ბარალეთი ბარ სიტყვისაგან რომ იყოს წარმოქმნილი, გვექნებოდა ბარ-ეთი და არა ბარალეთი; მეორე, სავსებით უგულვებელყოფილია

<sup>1</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 130.

<sup>2</sup> სტია, ფ. 352, ს. 48, გვ. 1 r; იქვე, ფ. 352, ს. 82, გვ. 21 r და სხვ.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, გვ. 268; დედანი, გვ. 178.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

<sup>5</sup> ხალხური ლექსები(სამეცხეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ), „ძველი საქართველო“, III, თბილისი, 1913-14, გვ. 246.

<sup>6</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 124.

<sup>7</sup> И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК,

„ბარალეთ“-ში ღ თანხმობის არსებობა და ფუნქცია<sup>1</sup>. არ არის მისაღები ამ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ მეორე ავტორის აზრიც: „სოფ. ბარალეთი ძვეს ჯავახეთში 15 ვერსის მანძილზედ ქალაქ ახალქალაქიღამ. სიტყვა ბარალეთი ქართული სიტყვაა და აღნიშნავს სწორს, ვაკე ადგილს; ბარალეთი მართლაც გაშენებულია ჯავახეთის უმშვენიერეს ვაკეზე, რომელიც ირწყვის ვახუშტის სიტყვით ბარალეთის წყლით, ხოლო აწინდელის რუკებით — მენც-ჯურით (დიდის წყლითა), რომელსაც ერთვის ხმელი-ხევი, ჩხარულა და სხვ.“<sup>2</sup>

14. სოფ. ზემო ალასტანი — السان (I 12, 198; II 14, 196); 28. სოფ. ქვემო ალასტანი — السان (I 12, 205; II 14, 203). მართალია, თურქულ ტრანსკრიფციაში ت (თ) ასოთია ნაწერი, მაგრამ ქართულად ალასტანი უნდა იყოს; შ, ს, ხ (სტ და მისთანა კომპლექსები) და სხვა ფშვინვიერთა მომდევნო ჩვეულებრივად მკვეთრია<sup>3</sup>. ვახუშტის სიაში სწორედ ალასტანი გვაქვს (გვ. 33r). ი. როსტომაშვილით „სოფ. ალასტანი... მდებარეობს ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 20 ვერსის მანძილზე...“<sup>4</sup>

ალასტანის სახელით „დავთარში“ ამჟამე ტყე-ჯავახეთის ნაჭიფესათვის ორი სოფელია აღრიცხული — ზემო და ქვემო ალასტანი. ზემო ალასტანი 15 კომლიანი სოფელია, ხოლო ქვემო ალასტანი — შვიდკომლიანი. „26.VIII-ს (1933 წ.) დილით გოკიიდან გავემზავრეთ სოფ. ალასტანს. კარგად მოწყობილი სოფელია. აქაურ ეკლესიაზე ორი პატარა ქართული წარწერაა. ცოტა ხნის შეჩერების შემდეგ გავემზავრეთ სოფ. ვარეჟანს“ (ჩემი დღიურიდან).

სოფ. ალასტანის განხილვისა და საქართველოს ისტორიაში ალასტანის მნიშვნელობის თვალსაზრისით საინტერესოა ექ. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ისტორიული წყარო, რომელშიც იხსენიებიან „ალასტანელი მეფენი დავით და მელქისედეგ რუსუდან დედოფლის შემდეგ...“<sup>5</sup> ამასთან დაკავშირებით წერილის ავტორი (ექ. თაყაიშვილი) სქოლიოში საკმაოდ დაწერილებით განსაზღვრავს სოფ. ალასტანის მდებარეობას: „ალასტანი მდებარეობს ჯავახეთში ჩრდილო-დასავლეთით კერძო ახალქალაქისა, ვარეჟან და გოკიას შორის, გოკიისწყალზედ (ვახუშტის რუკით), ხოლო რუსული რუკით კობარეთის<sup>6</sup> წყალზედ, რომელიც შეერთვის ჯავახეთის მტკვარს (ვახუშტის რუკით), ანუ ახალქალაქის წყალს რუსული რუკით. ეტყობა მონგოლების დროს ერთი შტო ბაგრატიონთა გამეფებულა ალას-

<sup>1</sup> И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, 40.

<sup>2</sup> სოფ. ბარალეთი, „მოგზაური“, 1901, № 1.

<sup>3</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 366.

<sup>4</sup> И. П. Ростомов, დასახლებული ნაშრომი, გვ. 30-31; სტია, ფ. 1012, ს. 5, გვ. 9 r.

<sup>5</sup> ექ. თაყაიშვილი, საისტორიო მასალები. 2) „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“ და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ, „ძველი საქართველო“, II, თბილისი, 1911-1913, გვ. 55.

<sup>6</sup> ავტორს „ჩობარეთის“ აქვს.



ტანში, მაგრამ მათ შესახებ ცნობები ქართლის ცხოვრებაში არ მოგვეპოვება. ეს პარველი მაგალითია, რომ ქართლის ცხოვრებაში გვხვდება ალასტნელი მეფის სახელი...<sup>1</sup>

მსხვილმასშტაბიან რუკებზე გოკიასთან ახლო, მის სამხრეთით ყველგან აღნიშნულია ალასტანი (ზემო და ქვემო). დღეს ახალქალაქის რაიონში ალასტანი გოკია, ვარევან და ხანდო სოფლებთან ერთად ალასტნის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>.

15. სოფ. ვარევანი — وارهوان (I 12, 199; II 14, 197). „სოფ. ვარევანი ახალქალაქიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს 18 ვერსის მანძილზე. ვარევანი გოკიის წყლის ქვემო დინების ორთავე მხარეზე ძევს“<sup>3</sup>. ვარევანი რუკებზე აღნიშნულია თოკ და ვარგაე სოფლებთან ახლო.

ვარევანი მოსავლითა თუმცა ზოგჯერ ნაქებია,

ქართველებიცა სახლობენ, უფრო მეტი ფრანგების<sup>4</sup>.

„დაეთრის“ დროის ვარევანი საკმაოდ მოზრდილი სოფელია, 18 კომლიანი. ანემად იგი ახალქალაქის რაიონის ალასტნის სასოფლო საბჭოში შედის ალასტან, გოკია და ხანდო სოფლებთან ერთად<sup>5</sup>.

16. სოფ. სირგვი მიმინეთ სათესველით სოფ. კაქიოსთან — سركه مزرعة معيت (I 12, 199; II 14, 197). ვ. კოპტონაშვილის მიხედვით ამ სოფლის ქვეშარტი სახელია სირგვი. მე მოვიყვან ამ სოფლის შესახებ ვ. კოპტონაშვილის ფრიად საინტერესო ცნობებს: „სოფ. ბარალეთის (ახალქალაქის მხარა) მიჯნაში ჩრდილოეთის მხარეს, ერთი ვერსის მანძილზედ ამ სოფლიდან, არის ოთხკუთხიანი გალავანი. ეს აშენებულია უბრალო შავი ქვისაგან და შიგ შუაგულ ამ გალავანისა დგასერთი მალალი ვათლილი ოთხკუთხიანი ქვა, რომელსაც სიგრძე ექნება არა ნაკლები სამი საფენისა და ზედ წვერზედ თვით იმავე ქვისაგან ამოჭრილი ჯვარი. ვარშემო ამ გალავანისა დღესაც მოსჩანს დაშთენილი ძველი ნასახლარების კედლები, კარ-მიდამო, კალოები და ორმოების თხრილები. ამ ნასოფლარზე დღემდე არაერთი დაწერილებითი ვადმოცენა არ ჩანს. მხოლოდ, როგორც აქაურმა ერთმა 90 წლის მოხუცმა გვიამბო, აქ ამ ნასოფლარში ასოცდახუთმეტი წლის წინად უცხოვრიათ ქართველებს, რომლებიც უმან-ხანს—ლეკების სარდალს აუოხრებია... ამ აოხრებულ სოფელს სახელად სირგვი რქმევია და ეკლესია ანალების სახელობისა ყოფილა“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, „ძველი საქართველო“, II, გვ. 65. შენაგვ. 66-ე გვერდზე კიდევ ლაპარაკია ალასტნელ მეფეთა შტოზე.

<sup>2</sup> სპ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>3</sup> И. И. Ростовцов, დასახლებული ნაშრომი, გვ. 45-46; აგრეთვე: სტია, ფ. 1012, ს. 5. გვ. 9რ.

<sup>4</sup> ს. მაკლათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 125. „ფრანგებში“ კათოლიკე-ქართველები იგულისხმებიან.

<sup>5</sup> სპ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>6</sup> ვ. კოპტონაშვილი, ჯავახეთი, „ივერია“, 1889, № 140.

ს. მაკალათიას მიხედვითაც „ამაღლების ჯვარი ჯავახეთშია, ნა-სოფლარ სირგეში, რომელიც სოფ. ბარალეთიდან 3 კილომეტრით არის დაშორებული...“<sup>1</sup> საინტერესოა აგრეთვე იმავე ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი თქმულება, რომელშიც ჩამოთვლილია რიგი სოფლების ქართული სახე-ლები: „ქვეყანაზე რომ მოსავალი გაწყდეს, სირგის მინდორზე მაინც იქნებაო. ნათქვამია: „პური რომ არსად იყვესო, მურჩში (ნასოფლარია) მოიკითხეო, მურჩი რომ არ იყოს, მურჯიანში (ნასოფლარია) მოიკითხეო, თუ მურჯიანში არ იქნება, სირგეზე ნახეო და უეჭველად იპოვნიო“<sup>2</sup>

აქ მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ ამ ყოფ. სოფლის ქართული სახელია სირგე. მეც ჩემ დღიურში ასე მიწერია: „ბარალეთს ზევით არის კიდევ ნასოფლარი სირგე“. Description-ისადმი დართული რუკის Sirgo, ისევე როგორც ვახუშტის სიის სირგო (გვ. 31r) სწორი არ უნდა იყოს. ბოლოკიდური ო—ვი (ან, შეიძლება ვა) კომპლექსის რეფლექსი უნდა იყოს. Description-იდან უნდა ჰქონდეს „სირგო“ ფორმა გადმოღებული ნ. ჩუბინაშვილს, რომელიც წერს: „სირგო იმყოფება (ისტორიულად) ჯავახეთში, სოფ. კაქიოსა და ე. წ. ამაღლების სვეტს შორის“<sup>3</sup>.

5 ვერსიან რუკაზე კაქიოსთან (შეცდომით Кочий) ახლო აღნიშნულია Сиркვა; ასევე დამახინჯებულადაა ეს სახელი არქივისეულ სიებში: Сирк გასწორებულია Сиркв ხოა[ხოა], Сиркв маа[მა] (გვ. 14v) და Сирк (გვ. 12r). Сирк II სირკ ფორმა უთუოდ გადათურქულებული „დავთრისეული“ ك سير დაწერილობიდან (და სათანადო წარმოთქმიდან) უნდა მოდიოდეს ვი მარცვლის დაკარგვისა და ბოლოკიდური მელერის დაყრუების (სირგ<sup>4</sup> → სირკ) გზით. ეს გადათურქულებული ფორმა დაედვა, ალბათ, საფუძვლად ცდას აღედგინათ ვითომდა ქართული ფორმა — სირკე<sup>5</sup>, რომელიც უთუოდ უმართებულადაა დაკანონებული.

„დავთრის“ დროის სირგევი 4. კომლიანი სოფელია. ამჟამად იგი ახალქალაქის რაიონში, კაქიო, აგანა, ალათუბან, ბოჯანო და მოდეგა სოფლებთან ერთად კაქიოს სასოფლო საბჭოში შედის<sup>6</sup>.

სოფ. სირგეთან დასახელებულია სათესველი მიმინეთი, რომლის სახელწოდების პირველი ორი ასო ჩვენ თავის დროზე ვერ გავარკვეით და I და II წიგნებში ამოკითხულია მხოლოდ სამი უკანასკნელი ასო — ტ. ამჟამად ამ დაწერილობის უფრო დეტალურად შესწავლამ და 1933 წლის ექსპედიციის მასალებზე მეტის ყურადღებით მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ეს დაწერილობა ამოშიტრული უნდა იქნეს مینت-ად (დედანი, გვ. 183), რაც მიმინეთ-ს ნიშნავს:

<sup>1</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 113.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ზურათმოდერების ძველი ნასოფლარ სირგოს ადგილზე, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, № 6, 1948, გვ. 387.

<sup>4</sup> ვერაზ. რუსეთის სპეცრუკაზე Сирр.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

<sup>6</sup> იქვე.

ხოლო ჯავახეთში მივლინებისას დაწერილ დღიურში მიწერია: „ბარალეთს ზევით არის კიდეც ნასოფლარი სი რ გ ე ვ ი. კაქიოს გაღმა ნასოფლარი მიმინეთი, ხოლო მიმინეთს ზევით კარანთა“ (გვ. 26). ვახუშტის ინდექსში და ატლასზედაც გვაქვს მიმინეთი სწორედ შესაბამის კონტექსტში: ზაკვი, სირგვი, ბოჯანო და სხვ. (გვ. 42v). მე ახლა ეკვი არ მეპარება, რომ პირველი ორი ასო ამ მოხაზულობაში მიმია (რ), შემდეგ نيت. როგორც არაერთხელ ითქვა, ბოლოკიდური ქ-ისა და ٢-ს მოყვანილობის ასოთა გარჩევა ძნელია. ამით აიხსნება, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ბოლო სამ ასოს ქ-ად ვკითხულობდით, უნდა წაკითხულიყო კი نيت-ად (ბოლოკიდური ასო ٢-ა, ხოლო დიაკრიტიული ნიშნები ამ შემთხვევაში სხვანაირად განლაგდება); სრულად სიტყვა معنيت = მიმინეთ-ს. საბუთში იხსენიება სათიბი Миниист (სტია, ფ. 79, ს. 2, გვ. 1r).

17. სოფ. ტურცხი — طورسخ (I 12, 200; II 14, 198). „დაეთრის“ დროისათვის 10 კომლიანი სოფელია. მსხვილმასშტაბიან რუსულ რუკებზე ყველგან Турцх-ად არის აღნიშნული. არქივისეულ სიგეში გადათურქულებული სახელებია: Турцх (გვ. 14v) და Турсцх (გვ. 12r). ამჟამად ტურცხი ახალქალაქის რაიონის აზავრეთის სასოფლო საბჭოში შედის აზავრეთ, ლომატურცხ, ლადო და ბურნაშეთ სოფლებთან ერთად<sup>1</sup>.

18. სოფ. ლომატურცხი — لوماطورسخ (I 12, 200; II 14, 198). წინამჟღადი სოფლის სახელი „ტურცხი“ ამ სახელწოდების მეორე ნაწილს შეადგენს — ლომატურცხი. მნიშვნელობა ორთავე შემადგენელი ნაწილისა უცნობია. ხუთფერსიან რუკაზე ტურცხთან ახლო აღნიშნულია Ломатурцх. „დაეთრის“ ლომტურცხი 8 კომლიანი სოფელია. ახლა ლომატურცხი ახალქალაქის რაიონში აზავრეთ, ტურცხ, ლადო და ბურნაშეთ სოფლებთან ერთად აზავრეთის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>.

19. სოფ. ღრტილა — غرطلا (I 12, 201; II 14, 199). ღრტილა ისტორიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტია ჯავახეთში. ანასეულ ქართლის ცხოვრებაში ნათქვამია: „და დაადო ტფილისი მეფემან, და გაეიდა ჯავახეთს. ამისა შემდგომად გამოიყვანა მაწყურებელმან მესხნი განძითა ბაგრატიისთა შუელად მეფისა, და მეფე დგა ღრტილას. ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა...“ საქმე ეხება XI საუკუნეში ბაგრატ მეფესა და ლიპარიტ შორის არსებულ კონფლიქტს. გარდა იმისა, რომ ეს ცნობა თავისდათავად საინტერესოა ღრტილაზე, აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ცნობის მიხედვით ასკვნის, რომ „ღრტილა ჯავახეთის საზღვრებში ყოფილა“ („დაეთარში“ ღრტილა სწორედ ტყე-ჯავახეთის ნაპიჯეშია). ამჟვე ქართლის ცხოვრებაში კიდეც ვკითხულობთ: ხოლო გურანდუხტ და ძე

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. გვ. 187; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II (1948), გვ. 53.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე.

ბაგრატიის გიორგი დგეს ღ რ ტ ი ლ ა ს...<sup>1</sup> ღ რ ტ ი ლ ა ცნობილია აგრეთვე იმითაც, რომ XI საუკუნეში ამ სოფელში მოხდა პაექრობა იმ საკითხებზე, რომლებშიც უთანხმოება სუფევდა ქართულსა და სომხურ ეკლესიებს შორის. «ვაზირებში ყველაზე უფროსად, .. მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა. პირველად მწიგნობართუხუცესი მხოლოდ X-XI საუკუნის ძეგლშია მოხსენებული, სახელდობრ იმ ღ რ ტ ი ლ ა ს მომხდარ საქმედგელო კრებისა და პაექრობის აღწერილობაში, რომელსაც ეწოდება „სიტყვს-გება ბერისა ვეთვმე გრძელისა-სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღერისა“<sup>2</sup>. აი, ამ ღ რ ტ ი ლ ა ს თან გვაქვს ჩვენ საქმე, როცა ვიხილავთ „გურჯისტანის ვილმადეთის“ ტყე-ჯავახეთის ნაჰიფეში მე-19 სოფლად აღრიცხულ *الغري* || „ღირდილა“ პუნქტს. ჩვენ უკვე გვექონდა შემთხვევა გვეთქვა, რომ ქართული „ღ რ ტ ი ლ ა“ სიტყვა, მიუხედავად თურქისათვის არსებული საწარმოთქმო სიძნელისა, კარგადაა ტრანსკრიბირებული და ღ რ ტ ი ლ ა-დ იკითხება. შემდეგში ალბათ უკვე ქართული საყენის ნიდაგზე ღ რ ტ ი ლ ა ში თავიკიდური ღ გაყრუებულა, რადგანაც „მტიანე ქართლისა“ ში ვარიანტებად გვხვდება აგრეთვე ხ რ ტ ი ლ ს ა და ხ რ ტ ი ლ ა ს ა<sup>3</sup>. უფრო გვიან არაქართულ (თურქულ, სომხურ) მეტყველებაში „ხ რ ტ ი ლ ა მ“ „იხტილა“ მოგვცა. იხტილა-დ დაკანონდა ამ სოფლის სახელი და, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ახლანდელს 5-ვერსიან რუკაზე „იხტილად“ არის აღნიშნული“<sup>4</sup>. არქივისეულ სიგებში ღ რ ტ ი ლ ა ს სახელი არ არის სწორად ფიქსირებული—Гурджиа (გვ. 14v, 12r). 5-ვერსიან რუკაზე ბარალეთთან ახლო აღნიშნულია სოფ. Ихтила. „24.VIII (1933)-ს ბარალეთიდან ვავემგზავრეთ (ნ. ბერძენიშვილი და მე) სოფ. იხტილაში (ღ რ ტ ი ლ ა ში)“<sup>5</sup>. აქ არის ძველი (1308 წ.) ქართული ეკლესია წარწერით: „გათავდა ესე ეკლესია ლიპარიტ ჰვეშელის ცოლისა და თმოგველის ქალის რუსუდანიან-გან“ (დლიურდიან). „დავთრის“ ღ რ ტ ი ლ ა 12 კომლიანი სოფელია. ამგამად სოფ. ღ რ ტ ი ლ ა მერენია და პატარა სამსარ სოფლებთან ერთად ახალქალაქის რაიონის ბარალეთის სასოფლო საბჭოში შედის<sup>6</sup>.

20. სოფ. ლაღათუბანი (?) — *لاغاتو* (I 12, 201; II 14, 199)-*لاغاتو* დაწერილობა (დედანი გვ. 184) თითქოს ექვს არ იწვევს, რომ ის

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 190; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 148; „ამ ამბის შეტყობაზე ღ რ ტ ი ლ ა ში მყოფნი გურანდუბტ დედოფალი და უფლისწული გიორგი...“

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, თბილისი, 1928, გვ. 124. შდრ. ამაზე: პროფ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია-თბილისი, I, 1951, გვ. 464; წინააღმდეგ თ. ჟორდანიას მოსაზრებისა, დოქ. ლ. მენაბდე მართებულად შენიშნა ის გარემოება, რომ ღ რ ტ ი ლ ა ს არტანუჯთან კავშირი არა აქვს და რომ იგი მდებარეობს ჯავახეთში. (ლ. მენაბდე, „მნათობი“, 1953, № 7, გვ. 168).

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, I (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), თბ., 1955, გვ. 300, 305 (ვაზირანტბუში).

<sup>4</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 54; იხტილას შესახებ იხ. აგრეთვე: თ. ჟორდანი, СМОНК, XIII, თბ., 1892, გვ. 130-132.

<sup>5</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1951, 28.VIII, № 176 (9030), გვ. 1.

ლ ა ლ ა თ უ ბ ა ნ-ად იყოს წაკითხული. არქივისეულ სიებში — *Матвѣеанъ* (გვ. 15r, 12r). „დავთრის“ დროს ლ ა ლ ა თ უ ბ ა ნ ი 4 კომლიანი სოფელია. სხვა ცნობებს ლალათუბანზე ვერ მივაკვლიე.

21. სოფ. ა ლ ა ი ს უ ბ ა ნ ი — *الایسوبان* (I 12, 201; II 14, 199). ა ლ ა ი ს უ ბ ა ნ ი უნდა იყოს ხუთვერსიან და სხვა რუკებზე კაქიოსა და ბოენოსთან *Алатвѣан*-ად აღნიშნული პუნქტი. ამ ადგილის ახლანდელი სახელი, ჩანს, ა ლ ა თ უ ბ ა ნ ი ა. ასე მაქვს ეს ჩაწერილი ადგილზე. ა ლ ა თ უ ბ ა ნ ი ა აგრეთვე ვახუშტის ინდექსში (გვ. 42v). ადგილობრივი მკვიდრის პეტრე მაზნიაშვილის ცნობითაც ა ლ ა თ უ ბ ა ნ ი ა. კ. ზისერმანთანაც *Алатвѣан*-ია, რომელიც ახალციხიდან 60 ვერსზეა ნაჩვენები 23 კომლიანი მოსახლეობით<sup>1</sup>. „დავთრის“ „ალაისუბანს“ მხარს უჭერს არქივისეული მეორე სია, რომელშიც *Алатвѣан*-ი გვაქვს (გვ. 12r), ხოლო პირველ სიაში კი თავისებური ფორმაა *Алатвѣанъ* (გვ. 15r). შესაძლებელია ეს უკანასკნელი ფორმა უფრო ძველი იყოს და მისგან მომდინარე ვარიანტები იყოს „ა ლ ა ი ს უ ბ ა ნ ი“, „თ“ს გამოვარდნით და „ალათუბანი“ „ის“ კომპლექსის დაკარგვით. ყოველ შემთხვევაში სხვაფერივე მსჯელობისათვის ჩვენ ახლა მასალა არ გვაჩნია.

„დავთრის“ დროის ალაისუბანი 14 კომლიანი სოფელია. ამჟამად ა ლ ა თ უ ბ ა ნ ი („ალათუბანი“ [?] სახელწოდებით) კაქიო („კოჩიოს“ სახელწოდებით), ავანა, ბოენო, მოდეგა და სირგვ („სირქეას“ სახელწოდებით) სოფლებთან ერთად ახალქალაქის რაიონის კაქიოს სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>.

22. სოფ. გ რ ი ა ლ ი — *گريا* (I 12, 202; II 14, 200). ეს დაწერილობა I-სა და II წიგნებში ამოუკითხავად არის დატოვებული. ამჟამად კი ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს *گريا* — გ რ ი ა ლ ი შენდგ საფუძველზე; ჯავახეთში მოგზაურობის ჩემს „დღიურში“ ჩაწერილი მაქვს, რომ „ხანდოსთან ახლო არის კიდეე ხარაბა, ნასოფლარი გრია — ხანდოდან 1 კილომეტრის მანძილზე“ (გვ. 1). „ხანდოს მიჯნაზე არის ნასოფლარი გ რ ი ა“ (გვ. 27). „... გ რ ი ა — ხანდოს იქით“ (გვ. 32). ვახუშტის ინდექსში ფიქსირებულია გ რ ი ა (გვ. 33r). გარდა ამისა, ცნობილ სოფ. ხანდოსთან ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია *Р. Д. Грия*. 1835 წ. საბუთში *Грия* სოფლად იხსენიება<sup>3</sup>. პეტრე მაზნიაშვილის ჩანაწერებშიც ნაჩვენებია „სოფ. ხანდოსთან — გ რ ი ა“. 1857 წ. საბუთში ჩანს *пустошь Грия*<sup>4</sup>. ცხადია, რომ „დავთრის“ 11 კომლიანი სოფლის სახელს *گريا* — გ რ ი ა ლ -ს, ძლიერ ემზაურება ამჟამად უკვე ნასოფლარის გ რ ი ა -ს სახელი. სხვადასხვა ენობრივ წრეში (ქართული, თურქული, სომხური) ბოლოკიდური „ლ“ თანზმოვანი დაკარგული უნდა იყოს. გ რ ი ა ლ - გ რ ი ა -ს იდენტიფიკაციას ხელს უწყობს აგრეთვე ისიც, რომ გ რ ი ა ადგილობრივ მკვიდრთა მიერ და რუკაზედაც ნაჩვენებია

<sup>1</sup> К. Зиссерман, 24.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>3</sup> სტია, ფ. 1012, ს. 5, გვ. 11v. <sup>4</sup> იქვე, ფ. 74, ს. 48, გვ. 64r და 64v.

სწორედ იმ ადგილას (ხანდო-კაქიოს ახლო), სადაც აღრიცხულია აგრეთვე „დავთრის“ გ რ ი ა ლ სოფელი (კაქიო-თოკ-ხანდოს სექტორი). არქივისეულ სიებში მოცემული ვარიანტი ამ სოფლის სახელწოდებისა—*Крнга-и* (15r და 12r) თვითნებურად და ფაქტების გაუთვალისწინებლად ამოკითხულს ჰგავს.

ამგვარად, ეს გეოგრაფიული სახელიც შეიძლება ამოკითხულად ჩაითვალოს. ეს არის სოფ. გ რ ი ა ლ-ი, რომლის სახელმაც შემდგომ გ რ ი ა მოგეცა „ლ“ ჩამოვარდნით.

23. სოფ. კ ა ქ ი ო სოფ. ალაისუბანთან—*كاجو نرد اى سو بان* (I 12, 202; II 14, 200). სოფ. კაქიო (*Кавио*) ახალქალაქიდან ჩრდილოეთით, 18-20 ვერსის მანძილზეა<sup>1</sup>. რუსულ რუკებზე (ხუთვერსიანი, ევროპ. რუსეთის სპეც-რუკა) ალათუბანსა და სირგვს შუა აღნიშნულია შეცდომით—*Кавио*. ვახუშტის როგორც „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ (გვ. 130), ისევე ინდექსში (გვ. 33v) კ ა ქ ი ო აქვს. პეტრე მახნიაშვილმა ადგილზე აგრეთვე კ ა ქ ი ო ჩამიწერა. არქივისეულ პირველ სიაში ეს სახელწოდება შეცდომითაა მოცემული—*Кавиа* (გვ. 15r), მეორეში — *Кавио* (გვ. 12r), ადგილობრივი სომხური წარმოთქმით—*კოჯიო-ა*. დამახინჯებულია ეს სახელი აგრეთვე ზისერმანთან *Кавиа*<sup>2</sup>. სოფლის ნამდვილი ქართული სახელი უდავოდ კ ა ქ ი ო - ა - დავთრის“ დროის კაქიო 17 კომლიანი სოფელია, ხოლო 1870 წელს მასში ირიცხება 12 კომლი<sup>3</sup>. წიგნში „საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ ამ სოფლის სახელი გატარებულია *კოჩიო-დ*. რაც სწორი არ არის. ამემად კაქიო ახალქალაქის რაიონში აგანა, ალათუბან, ბოჯანო, მოდეგა და სირგვ სოფლებთან ერთად კ ა ქ ი ო ს სასოფლო საბჭოში შედის<sup>4</sup>.

24. სოფ. თ ო კ ი — *ქე* (I 12, 203; II 14, 201). ი. როსტომაშვილის მიხედვით სოფ. თ ო კ ი სოფ. საროდან 7-8 ვერსის მანძილზე მდებარეობს<sup>5</sup>. ჯავახეთში მოგზაურობის ჩემ „დღიურში“ თოკზე შემდეგი მიწერია: „27.VIII-ს (1933 წ.) დილით სოფ. საროდან დავეშვიტ ხერთვისის გზისაკენ. 12 საათზე ჩავედით ხერთვისის და აქიდან გზატკეცილით გავემართეთ ახალქალაქისაკენ. ვზად გავიარეთ სოფ. თ ო კ ი. ჩვენ აქ გაგვეცნო ადგილობრივი (თოკელი) მკვიდრი ყოფ. ბეგი—აბაშიძე, რომელმაც გოკიისწყლის ჩამოსავალ ადგილამდე მიგვაცილა“ (გვ. 33-34). ხუთვერსიან და სხვა მსხვილმასშტაბიან რუკებზე სოფ. ხანდოსთან ახლო აღნიშნულია *Ток-и*. თოკ სოფელზე—*д-ня Ток* ცნობები მოიპოვება საარქივო მასალებშიც<sup>6</sup>. არქივისეულ პირველ სიაში თოკის სახელი ძლიერ დამახინჯებულია; წერია *Тог*, შემდეგ ფანქრით მიწერილი აქვს *Том ахалкалакскнй*. არც ერთი და არც მეორე სწორი არაა:

<sup>1</sup> И. П. Ростоиов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 68.

<sup>2</sup> К. Эиссериан, 24.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>5</sup> И. П. Ростоиов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 103.

<sup>6</sup> სტია, ფ. 79, ს. 11, გვ. 31v, 32r და სხვაგანაც.

სოფ. I'oi სულ არაა ამ მხარეში, ხოლო „ახალქალაქის გომი“ აკშეჰირის ნაჰიეშია<sup>1</sup>. არქივისეულ მეორე სიაში აგრეთვე შეცდომით I'oi-ი წერია 12 000 ახჩინი შემოსავლით, რაც საესებით ემთხვევა „დავთარში“ სოფ. თოკისათვის შეწერილ თანხას. „დავთარის“ თოკი 10 კომლიანი სოფელია, რომელშიც 1870 წ. უკვე 16 კომლი ირიცხება<sup>2</sup>. ამჟამად თოკი ასპინძის რაიონის ხიზაბაერის სასოფლო საბჭოში შედის ხიზაბაერა, ვარგაე და სარო სოფლებთან ერთად<sup>3</sup>.

25. სოფ. ბოქთასყური — بوجتاسقور (I 12, 203; II 14, 201). არქივისეულ სიებში მოცემული ვარიანტი ამ სახელისა სѸКТА СХОРА (15r, 12r) არ უნდა იყოს სწორი. ჩვენ ზემოთ დაეინახეთ, რომ ასპინძის ნაჰიეში ბოქთას სახელწოდებით ორი გეოგრაფიული პუნქტია: ზემო და ქვემო ბოქთა<sup>4</sup>. შესაძლებელია ეს ბოქთასყურ სახელწოდება დაკავშირებული იყოს ბოქთასახელწოდებასთან: ბოქთა || ბოქთასყური. ჩვენ ამ ბოქთასყურზე მასალები არა გვაქვს. ვიცით, რომ „დავთარის“ დროს ის 4 კომლიანი სოფელი იყო, ჰქონდა შეწერილი 7 500 ახჩა და შემდეგ გაუჟაკრიელდა. მდებარეობდა იგი თოკ და ხანდო სოფლების მიდამოებში.

26. სოფ. ხანდო მეორე ხანდო უბნითურთ — خاندو (I 12, 204; II 14, 202). „დავთარის“ დროის ხანდო იყო დიდი სოფელი, რომელიც 61 კომლს შეიცავდა და ჰქონდა უბანი, რომელსაც მეორე ხანდო ერქვა. ხანდო აღნიშნულია ყველა მსხვილმასშტაბიან რუკებზე თოკის, ორჯისა და არაგვის მიდამოებში. ამჟამად ხანდო ახალქალაქის რაიონის ალასტნის სასოფლო საბჭოში შედის ალასტან, გოკია და ვარეუან სოფლებთან ერთად<sup>5</sup>.

„ძველ საქართველოში“ მოთაყვებულა ხალხური ლექსი, რომელიც, ვფიქრობ, ამ ხანდო სოფელზეა ნათქვამი:

ფაშა ჩამოხტა ხანდოსა,

კარგისა მასპინძლისასა ხან მაწონს სკამდა, ხან დოსა<sup>6</sup>.

მეორე ვარიანტი ამ ხალხური ლექსისა კი უდავოდ სოფ. ხანდოს ჰგულისხმობს, რადგანაც მასთან ერთად ნახსენებია მეზობელი სოფ. ნიჯგორი:

ფაშა ჩამოხტა ხანდოსა [ხანდოსა, არა ნიჯგორსა?],

კარგისა მასპინძლისასა ხან მაწონს სკამდა, ხან დოსა<sup>7</sup>.

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ, ახალქალაქის ლივა, 13. აკშეჰირის ნაჰიე. სოფ. № 17.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 26.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ, გვ. 199-200.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>6</sup> „ძველი საქართველო“, III, გვ. 303.

<sup>7</sup> სოფ. ნიჯგორზე იხ. ზემოთ, გვ. 251.

<sup>8</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, კრებული, „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბილისი, 1934, გვ. 35. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს ეს ლექსი მოჰყავს წიგნიდან: „ხალხური სიტყვიერება“, საქ. საისტ. და საეთნოგრ. სახ. გამ., I, 479.

ჩვენს „დავთარში“ აღრიცხული ხანდოს გარდა, ასეთივე სახელით სოფელი არსებობს აგრეთვე წალკის რაიონის რეხის სასოფლო საბჭოში, მდინარე ქციის მარცხენა სანაპიროზე<sup>1</sup>. თრიალეთის ხანდოზე ექ. თაყაიშვილი წერს: ხანდო უკიდურესი დაყველაზე უფრო მაღალი სოფელია წალკაში<sup>2</sup>. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის თეიმურაზ ჩიქოვანის გადმოცემით, რომელიც სპეციალურად იკვლევდა წალკის რაიონს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, წალკის, ხანდოსა და რეხას მოსახლეობა ჯავახეთიდანაა გადმოსახლებული. და ზართლაც, ეს გადასახლება უნდა მომხდარიყო იმ ძნელბედობათა დროს, როდესაც სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას დიდი გასაქირი დაადგა გადათურქებისა და გამაჰმადიანების გამო. ჯავახეთიდან გადასახლებულები თავიანთი მიტოვებული სოფლის სახელს არქმევდნენ ახალ ადგილას გაშენებულ სოფელს. „ვეროზ. რუსეთის სპეცრუკაზე“, მაგალითად, წალკის ხანდოს ქვეშოთ, იმავე ქციის მარცხენა სანაპიროზე აღნიშნულია სოფ. კოთელია, რომელსაც ფრჩხილებში უზის რეხა სახელწოდებაც. ჩანს, აქ ჯავახეთის კოთელიის ხალხი შოვიდა და „კოთელია“ს ეძახდნენ ამ სოფელს, მაგრამ შეიძლება, შემდეგში ისევე ძველმა სახელწოდებამ გაიმარჯვა.

27. სოფ. ცხია ხანდოსთან — *سخيا نزد خاندو* (I 12, 205; II 14, 203).

„დავთარის“ დროის ცხია პატარა, 5 კომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. როგორც „დავთარშია“ შენიშნული, რომ ცხია ხანდოსთან არისო, მართლაც, ხუთეგრისიან რუკაზე ხანდოსთან ახლო აღნიშნულია P. Д. Цихия. ჯავახეთში ყოფნის დროს „დლიურში“ ქართველისაგან ჩამიწერია: „ვარეზიდან 1,5 ვერსის მანძილზე არის ხარაბა ვარდისციხე: ვარდისციხიდან 1 ვერსის მანძილზე დასავლეთით არის ხარაბა ცხია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ ადგილის ქართული სახელია ცხია, ხოლო Цихия, سخيا ო სხია და მისთანანი თურქიზებული ფორმებია. არქივისეულ რუსულ საბუთებში სწორი ფორმაც გვხვდება—Кишляк Цихия<sup>3</sup>. 1844-45 წლების „საქმეებში“ ცხია უკვე გაუკაცრიელებული ჩანს, ოღონდ აქ Цихийო წერია<sup>4</sup>. არქივისეულ სიებში ძლიერ დამახინჯებულია ეს სახელი: Шихана (?), მერე გადაუსწორებიათ Цихия-დ (გვ. 15r) და Шихана-დ (გვ. 12r).

28. სოფ. ქვემო ალასტანი — *الستان سفلى* (I 12, 205; II 14, 203).

ქვემო ალასტანის შესახებ ცნობები იხ. ზემოთ გვ. 274, № 14 — „ზემო ალასტანთან“.

29. სოფ. აზავრეთი — *ازاورت* (I 12, 206; II 14, 203).

„აზავრეთი“ სწორადაა გადმოცემული. ვახუშტისაც „აზავრეთის-ქვეი“<sup>5</sup> უწერია. 1933 წ. ჯავახეთის ექსპედიციის დროს ჩვენ 25.VIII-ს აზავრეთში ვიყავით. ი. როსტომაშვილით სოფ. აზავრეთი მდებარეობს მაღალ ადგილას, ახალქა-

<sup>1</sup> იხ. „ვეროპული რუსეთის სპეცრუკა“. აგრეთვე: საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 108.

<sup>2</sup> Археологические экскурсии, разыскания и заметки, ნაქვეთი IV, თბ., 1913, გვ. 47.

<sup>3</sup> სცია, ფ. 79, ს. 25, გვ. 2r.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 73, ს. 57, გვ. 10r; აგრეთვე: იქვე, ფ. 79, ს. 20, გვ. 6v; ფ. 1012, ს. 5, გვ. 9r.

<sup>5</sup> „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 130; შდრ. საქ. ისტორიული რუკა, 1923 წ.



ლაქიდან ჩრდილოეთით 20-სა<sup>1</sup>, ხოლო ახალციხიდან 57 ვერსის მანძილზე. კერულისწყალთან<sup>2</sup>. ი. როსტომაშვილის მიერ მოწოდებული ეტიმოლოგია, რომ „Слово «Азартет омачает страну сиююмхъ нъакои», ემყარება, ალბათ, აზავერ სიტყვას, რომელიც საბა ორბელიანის მიხედვით „ჭარია საკიდარი“<sup>3</sup>.

„დავთრის“ აზავერეთი პატარა სოფელია—6 კომლიანი. 1870 წ. მასში 69 კომლია აღრიცხული (კ. ზისერმანი, 24). დღეს სოფ. აზავერეთი ახალქალაქის რაიონში ცენტრია აზავერეთის სასოფლო საბჭოსი, რომელშიც ლომატურცხ, ტურცხ, ლადო და ბურნაშეთ სოფლები შედიან<sup>4</sup>.

30. სოფ. ზაკევი — კъ (I 12, 206; II 14, 204). ამ სოფელზე სოფკოთელიაში ჩაწერილი მაქვს, რომ „ღირკნას აქეთ არის ნასოფლარი ძეგვი—სომხურად ზაკი. ძეგვს აქეთ ყოფილა კიდევ ნასოფლარი საბატე... მის აქეთ არის სოფ. ძეგვი II „ზაკევი“ (გვ. 26). თუ ამ სოფლის ქართული სახელი მართლა ძეგვი იყო, „ვი“ კომპლექსი შეიძლება დაკარგულიყო ისევე, როგორც ეს დაიკარგა „სირგვი“ში („დავთარში“ „სირგვი“ს. ნაცვლად კჳრ II სირგ→სირქ გვაქვს). ხოლო ფუძის დარჩენილი „ძეგ“ ნაწილი შეიძლება „ზაკ“ად დამახინჯებულიყო სხვადასხვა მეტყველებაში გადატყდომის შედეგად. მაგრამ სხვა წყაროების მიხედვით არ დაბატურდება, რომ ამ პუნქტის სახელი ქართულად ძეგვი იყო. ფაქტი კი ისაა, რომ ადგილობრივი სომხური მოსახლეობა ამ სოფელს „ზაკ“ს ეძახის. ასევე ვიკ-ად იხსენიება ეს სოფელი არქივისეულ სიაში (15r, 12r). ვახუშტის ინდექსში (გვ. 33r და 42v) სწორედ ამ ბოეანო, აზავერეთ, სირგვი, კაკიო და ალათუბან პუნქტებს შორის წერია ზაკევი. ზაკევი-ეე ჩამაწერინა მე ადგილობრივმა მოსახლემ ამხ. პ. მაზნიაშვილმა. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ 1711 წლის წყალობის წიგნში მოხსენებული საჯაეახიანოს სოფელი ზაკევი და „შავარდნის ფასის ამოკვეთის წიგნში“ (1715 წ.) ჩაწერილი „საჯაეახიანოს ზაკევი“ ჩვენი „დავთრის“ ზაკევი შეიძლება იყოს<sup>5</sup>.

კოთელიასა და არაგვას შუა ყველა მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია სოფ. ვაკი. „დავთრის“ ზაკევი 7 კომლიანი სოფელია. დღეს სოფ. ზაკევი ახალქალაქის რაიონში არაგვა, გომან, ორჯა და ღირკნა სოფლებთან ერთად არაგვის სასოფლო საბჭოში შედის<sup>7</sup>.

31. სოფ. სუ (I 12, 207; II 14, 204). არქივისეულ სიებში ეს სახელი ამოკითხულია Баха-დ (გვ. 15r, 12r), რასაც არავითარი საფუძველი არ აქვს.

<sup>1</sup> И. П. Ростовов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 24.

<sup>3</sup> ქართული ლექსიკონი, 1928. გვ. 6.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, გვ. 275-276.

<sup>6</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა. (XV-XVIII) 5. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 145, 169.

<sup>7</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19; აგრეთვე გახ. „კომუნისტი“ 1951, 28.VII, № 176 (9030), გვ. 1.

და სიმათლესთან სრულებით ახლო არ არის. 2 კომლიანი სოფელია. ჩემ ხელთ არსებულ სანომენკლატურო მასალებში რომელიმე სახელწოდებასთან ამ დაწერილობაში გამოხატული სახელის იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა.

32. სოფ. ბურნაშეთი — بۇرناشەت (I 12, 207; II 14, 205). „25.VIII-ს გზად გავიარეთ სოფ. ლომატურცხი და გავემგზავრეთ ბურნაშეთში, რომელიც ახალქალაქიდან ჩრდილოეთით შდებარეობს, დაახლოებით 20 კილომეტრის მანძილზე“ („დღიური“, გვ. 30)<sup>1</sup>.

ვახუშტის ინდექსში ამ სოფლის სახელად გვაქვს ბურნაშეთი (გვ. 42v). რომ ბურნაშეთის სახელით ცნობილი პუნქტია ეს ბურნაშეთი იქიდანაც ჩანს, რომ ის დასახელებულია აზერეთის, მოლითის, მოდგვის, სამსრებისა და ჯანჯღის მონაკვეთზე. ვახუშტის „აღწერაში“, ფეიქრობ, შეცდომით დასახელებულია ანავე მიდამოებში „ბოჟანოს ქვეით, ბურშეთის-ქვეით“<sup>2</sup>. აქაც ალბათ „ბურნაშეთის-ქვეით“ უნდა ყოფილიყო. Description-ისადმი დართულ რუკაზე კი როგორც სოფელს, ისე ხევეს ბურშეთი ეწოდება — Bouchati და Bouchatis Tsq[ali] (ეს უკანასკნელი ბარალეთისწყალს ერთვის). საფიქრებელია, რომ არასწორი ინფორმაციის შედეგად უნდა გვეკონდეს ვახუშტის „აღწერასა“ და რუკაზე ბურნაშეთი და ბურშეთი ნაცულად ბურნაშეთისა, რომელიც „ადეთარში“ (XVI საუკ.) კარგადაა ტრანსკრიბირებული და კარგად იკითხება.

ჩვენ ზენოთ გვეკონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჯავახეთიდან, ვახუშტის სიტყვით რომ ვთქვათ, „დამპირნეობისაგან ოსმალთა“ მოსახლეობა გადმოდიოდა, სხვათა შორის, თრიალეთშიც<sup>3</sup> და ჯავახეთის სოფლის სახელები გადმოჰქონდათ ახალი დასახლების ადგილებზე (ხანდო, კოთელია). „ევროპ, რუსეთის სპეცრუკაზე“ ოლიანკი (რუკაზე I олимпик), საპიტიახშო (რუკაზე გააზრებულად — Звѣнт-Ахджа) და კუშჩის მიდამოებში აღნიშნულია პუნქტი Бурнашен-ი<sup>4</sup>. ფეიქრობ, ეს ბურნაშენი ისევე უნდა იყოს დაკავშირებული ჯავახეთის ბურნაშეთთან, როგორც თრიალეთის ხანდო და კოთელია ასეთივე სახელის მატარებელ ჯავახეთის სოფლებთან. მართალია თრიალეთის სოფელი ბურნაშენია და ჯავახეთისა კი ბურნაშეთი, მაგრამ ეს უნდა იყოს ერთი და იგივე სახელი, რომელიც ერთდროულადაც შეიძლება არქმეოდა იმავე ჯავახეთის ბურნაშეთ სოფელს. ჯავახეთის ბურნაშეთის ეკლესიის წარწერაზე, მაგალითად, მოხსენებულია ბურნაშენელთა მღვდელთა...<sup>5</sup> „ბურნაშენელი“ „ბურნაშენი“ სგან უნდა იყოს წარმოქმნილი.

Description-ისადმი დართულ რუკაზე სწორედ იმ ადგილას, სადაც სხვა რუკებზე და, კერძოდ, „ევროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ Бурнашен-ია ნაჩვენე-

<sup>1</sup> შტრ.: И. П. Ростомав, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41; აგრეთვე გაზეთი „ივერია“, 1898, № 159.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 130.

<sup>3</sup> იხ. ზენოთ, გვ. 281-282.

<sup>4</sup> თრიალეთის ბურნაშეთზე იხ. ექ. თაყაიშვილი, Археологические экскурсии, разведки и заметки, ნაკვეთი IV, თბ., 1913, გვ. 39.

<sup>5</sup> И. П. Ростомав, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

ბი, აღნიშნულია Bojano. ამ თვალსაზრისით სავსებით მართალია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, რომელიც წერს, რომ ვახუშტის რუკის ბეჯანო (= ბოჯანო) ემთხვევა თანამედროვე ბურნაშეთს<sup>1</sup> (პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს მხედველობაში აქვს, რა თქმა უნდა, თრიალეთის ბურნაშეთ-ბოჯანო: ჯაფახეთში კი, ჩვენ ვიცით, ბოჯანო და ბურნაშეთი დღევანდლამდეც დამოუკიდებელი სოფლებია). შესაძლებელია თრიალეთის ბურნაშეთ-ბოჯანოდ წოდებულ პუნქტში დამკვიდრდა ჯაფახეთის ორთავე სოფლიდან წამოსული მოსახლეობა და შეიძლება ამ ადგილსაც ერთდროულად ორივე სახელი ჰქონდა (შდრ. ზემოთ კოთეღია-რეხა).

ხუთვერსიან და სხვა რუკებზე აზავრეთ-ლომატურცხ-ტურცხ სოფლების მიდამოებში ყველგან აღნიშნულია Нурмашт-ი. „დავთრის“ ბურნაშეთი 11 კომლიანი სოფელია, რომელიც დღეს ახალქალაქის რაიონის აზავრეთის სასოფლო საბჭოში შედის აზავრეთ, ლომატურცხ, ტურცხ და ლადოსოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

33. სოფ. დევა — ديو (I 12, 208; II 14, 205). „დავთრის“ დროის დევა პატარა სოფელია—4 კომლიანი. შემდეგში სულ დაცარიელებულია. ჩემ „დღიურში“ სოფ. ალასტნის მიდამოებში ჩაწერილია ნასოფლარი დევათი (გვ. 1). არქივისეულ სიგეში ქუა წერია (გვ. 15r და 12r), ოლონდ პირველ სიაში ქუა-ს მიწერილი აქვს ფანქრით ასოები—Тх, რაც იმის ნიშანია, რომ ნამდვილი სახელი ამ სოფლისა ქუა-ს უფილა (როგორც ეს „დღიურში“ მიწერია). მართლაც, ხუთვერსიანსა და ევროპ. რუსეთის სპეცრუკებზე ტურცხ და კოთელია სოფლებს შუა აღნიშნულია პუნქტი ქუა-ს (ნასოფლარი). ეს ნასოფლარი დევათ-ად ჩაწერა აგრეთვე პეტრე მაზნიაშვილმა. დევათ-ის სახელით გასული საუკუნის 30-იანი წლების საბუთებში ორი სოფელი იხსენიება: دیوات قره قری و دیوات قره قری = „დევათები“ და „ორი დევათი“<sup>3</sup>. ცხადი უნდა იყოს, რომ „დავთარში“ ბოლოკიდური „თ“ თანხმოვანი შეცდომით გამორჩენილია.

34. სოფ. حوس სოფ. ოლდანთან— حوس نرد اولدان (I 12, 208; II 14, 205). 2 კომლიან სოფლად არის აღრიცხული. მისი ამოკითხვა მასალების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა. ეს დაწერა „დავთრის“ ე. წ. სიაში სხვაგვარად არის წარმოდგენილი—حوس (იხ. დედანი, გვ. 17, № 34). მაშასადამე, „დავთრის“ ძირითად ნაწილში ამ სახელის დაწერილობაში შეცდომით შუა ორი ასოს მოხაზულობა—ح სულ ამოვარდნილია. არქივისეულ პირველ სიაში წერია Чүрәшен, შემდეგ კი ფანქრით—Чонрает (გვ. 15r), ხოლო მეორე სიაში—Чүрәшен (გვ. 12r). Чүрәшен, ე. ი. ჩოფაშენ სოფელი მართლაც

<sup>1</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმის შესწავლისათვის, კრებული „მარკსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბილისი-1934, გვ. 34.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

<sup>3</sup> სტია, ფ. 47, ს. 61, გვ. 2r, 7v და სხვ.

არის გურჯისტანის ვილჯეთში, მაგრამ ტყე-ჯავახეთის რაიონიდან დაშორებით — უდის ნაჰიფეშია<sup>1</sup> და ამ კუთხესთან საერთო არა აქვს. ფანქრით მიწერილი Чондарт-ი (=კობარეთი) აგრეთვე ამ რაიონში არ არის — ქაქარაქის ნაჰიფეშია<sup>2</sup> და, გარდა ამისა, ۱۷۴۰ დაწერილობის კობარეთად წაკითხვა არ შეიძლება; ყოველ შემთხვევაში „რ“ ასო (ر) ამ დაწერილობაში არ არის. მეორე სიის ყურაშენ-ს უკვე არავითარი კავშირი სინამდვილესთან არა აქვს და თვითნებურად ამოკითხული სიტყვის შთაბეჭდილებას ტოვებს.

35. სოფ. მუხრააშენი სოფ. ორჯუასთან — موخره-شان (I 12, 208; II 14, 206). II წიგნის ბეჭდვის დროს ამ სახელწოდების სწორად ამოკითხულობაში დაჯერებული არ ვიყავით და კითხვითი ნიშანი დავუსვით. შემდეგში საარქივო მასალებში ჩვენ შეგვხვდა სწორედ ტყე-ჯავახეთის რაიონის ამ მონაკვეთისათვის ... пустопроежнее место Мухрашен<sup>3</sup>. გარდა ამისა, თურქულ-რუსულ საბუთებშიც موخره-شان — Мухрашен-ი გვაქვს<sup>4</sup>. ახლა უკვე კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას.

„დაეთრის“ დროის მუხრააშენი 3 კომლიანი სოფელია. რუკებზე მუხრააშენი აღნიშნული არ არის. მისი ადგილმდებარეობა ნაჩვენებია სოფ. ორჯუასთან, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ<sup>5</sup> და რომელიც ამჟამად ახალქალაქის რაიონის არაგვის სასოფლო საბჭოში შედის. ამ ნასოფლარის ლოკალიზებისათვის ძიება სოფ. ორჯუას (აწ უკვე ორჯის) მიდამოებში უნდა წარიმართოს.

36. სოფ. ქვემო სამსარი — ლრტილასთან, صهار سفلا (I 12, 209; II 14, 206). აქვე, ცოტათი ქვემოთ აღრიცხულია 56. სოფ. ზემო სამსარი — صهار عليا (I 13, 210; II 14, 209). როგორც ქვემო, ისე ზემო სამსარი „დაეთრის“ დროს უკვე გაუკაცრიელებულია. ჩანს, რომ ამ სოფლებში არზრუმიდან გადმოსახლებულები გასული საუკუნის 30-იან წლებში დამკვიდრდნენ.

ვახუშტის ინდექსში ეს სოფელი სანსარად იხსენიება (გვ. 31r), ხოლო გეოგრაფიაში ორივე სოფელი ერთად სანსარებად („ბარალეთის მდინარე, რომელიც გამოსდის ფანავრის ტბისა და სანსარების [ე. ი. ქვემო და ზემო სანსარს] შორის მთას“)<sup>6</sup>. „დაეთრის“ მიხედვით და აგრეთვე ახლანდელი სახელი ამ სოფლებისა სამსარია. 1933 წელს პროფ. ნ. ბერძენიშვილი და მე „ბარალეთიდან გავემგზავრეთ, გზად გავიარეთ სოფ. ლრტილა (იხტილა) და ავედით სოფ. სამსარში (24.VIII-ს). აქ ჩვენ დავეთვალეირეთ მალაროვბიანი მონასტრის ნანგრევები. კლდეზე, რომელიც ეკლესიის კედელი ყოფი-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ. გვ. 98.

<sup>2</sup> იხ. ზემოთ. გვ. 223.

<sup>3</sup> სცია, ფ. 79, ს. 20, გვ. 5v.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 47, ს. 61, გვ. 2r, 5r, 7v; იქვე, ფ. 1012, ს. 5. გვ. 9r.

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, გვ. 267.

<sup>6</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 130.

ლა, ცნობილი წარწერაა ამ ადგილებში ტყეების არსებობის შესახებ<sup>1</sup>. ეს და სხვა წარწერები შეისწავლა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა“ (გვ. 28, 29). სახელწოდებასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ „დავთრის“ მიხედვით არსებულა ქვემო და ზემო სამსარი. არქივისეულ სიებშიც Самсар Суха [ = Сухаа = ქვემო, გვ. 15r და 12r) და Самсар яина (= ზემო, გვ. 15v და 12v) გვაქვს. ამჟამად კი დიდი და პატარა სამსარი<sup>2</sup>. ასევეა რუსულ მსხვილმასშტაბიან რუკებზე — М[агн]и[т], Н[ольш]о[и]н Самсар. როდის მოხდა სახელის შეცვლა არ ჩანს. საფიქრებელია, რომ სამსრების გაუქმების შემდეგ მოსულმა მოსახლეობამ „ქვემო“ და „ზემო“ს ნაცვლად „დიდი“ დი „პატარა“ შეარქვეს.

სამსრების ადგილმდებარეობა უფრო შეიძლება დაზუსტდეს: ის მდებარეობს ქ. ახალქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 20 კილომეტრის მანძილზე. სამსრისწყლის ორთავე მალალ ნაპირზე გაკიშულია სამსრის მალაროები ცნობილი სამსრის მონასტრით<sup>3</sup>.

არქივისეულ 1846 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: ...земля же показанная по ведомости Палаты Гос. Имуществ Самсхар (она же Самсар) состоит в Ахалкалакском участке<sup>4</sup>. ვფიქრობ, რომ Самсхар (სამსრყარი?) სახელწოდება სამსრის დამახინჯება უნდა იყოს. უსაფუძვლოა აგრეთვე კ. განის მიერ მოწოდებული ეტიმოლოგია ამ სახელწოდებისა: «Самсар греч. от самсали=ял, отрава; ядовитое»<sup>5</sup>.

თანამედროვე სამსრები — დიდი და პატარა — ახალქალაქის რაიონის მერენის სასოფლო საბჭოში შედიან მერენია და იხტილასთან (=ლრტილა) ერთად<sup>6</sup>.

37. სოფ. კარანთა — სოფ. ჯანჯლასთან — Կր (I 12, 209; II 14, 206). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს და სახელწოდება კითხვის ქვეშ მაქვს დაბეჭდილი. „დლიურში“ ჩაწერილი მაქვს, რომ „კაკიოს გაღმა ნასოფლარი მიმინეთია, მიმინეთს ზევით კი კარანთა“ (გვ. 26). ამავე დროს ხუთეგრისიან რუკაზე ამ ზონაში აღნიშნულია Ур. Карапта. ჩვენ ზემოთ დაიხინახეთ, რომ მიმინეთი სირგეთანაა დასახელებული<sup>7</sup>, ხოლო სირგვი, კაკიო და ჯანჯლა (რომელთანაც დასახელებულია — Կր) ერთ სექტორში არიან. ვფიქრობ, რომ Կრ დაწერილობა დამახინჯებული უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ელიფი ზედმეტია. ელიფს თუ ჩამოვაცილებთ,

<sup>1</sup> И. П. Ростовов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 99.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 20.

<sup>3</sup> ი. როსტომაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 97; აგრეთვე: Ив. Санакоев, Самсарские пещеры, СМОМПК, XIII, გვ. 128-132. ივ. სანაკოვი ასახელებს სოფ. Ток-Самсар-ს; რა არის ამ შემთხვევაში ეს Ток-ი, გაუგებარია (იქვე, გვ. 128).

<sup>4</sup> სცია, ფ. 73, ს. 172, გვ. 13r.

<sup>5</sup> К. Ф. Ган, Опыт объяснения кавказских географических названий с предисловием, СМОМПК, 40, Тифлис, 1909, გვ. 124.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 20.

<sup>7</sup> იხ. ზემოთ, გვ. 275-277.

იქნება *كركر*, რომელშიც „კარანთა“ს შვეთარი კ ჩვეულებრივად ქ-ასოთია-გადმოცემული. ამრიგად, ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელი *კარანთა-ა-ა* და ასე უნდა შესწორდეს I და II წიგნების სათანადო ადგილები და კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას.

არქივისული სიგების ამ პუნქტის სახელად ამოკითხული *Украина* (გვ-15r და 12r) სრულიად უსაფუძვლოა. კარანთა „დავთრის“ დროს უკვე გაუკაცრიელებული სოფელია.

38. სოფ. ტაბისყური, ტაბისყურის ტბასთან—*دباجور* (I 12, 209; II 14, 206). ტაბა ძველ ქართულში 'ტბა'ს ნიშნავდა (ტაბახმელა და სხვ.<sup>1</sup>; ტაბა, ნათეს. ტაბის+ყური). ტბის ერთ-ერთ ყურთან მდებარე სოფელს დაარქმევია ტაბისყური. სწორი უნდა იყოს პროფ. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ „ტაბა“საგან შეიქნა სოფლის სახელი [ტაბისყური], შემდეგ კი ეს სახელი თვით ტბასაც შეეჩქვა, ისევე როგორც ფარაენის ტბა<sup>2</sup>. რომ ამ ტბის სახელი „ტაბაწყური“ იყოს, მაშინ „დავთარში“ ის *دباجور*-ად იქნებოდა გადმოცემული, რადგანაც წყ კომპლექსი *غز*|| ზღ მეღერებით გადმოიცემა ხოლმე (შდრ. აწყური→*ازغور* და სხვ.).

სოფ. ტაბისყური „დავთრის“ დროს უკვე გაუკაცრიელებულია. იგი მდებარეობს ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე. *دباجور* დაწერილობის წაკითხვა „ტბისყურ“ადაც შეიძლება და შეიძლება „ტბისყური“ უფრო ახალი ფორმა იყოს (შდრ. ვახუშტის „ტბა ტბისყურისა“, „აღწერა“, გვ. 41, 43, 52, 60).

ამემამდ სოფ. ტაბისყური ტაბაწყურის სახელით ბორჯომის რაიონის ტაბაწყურის სასოფლო საბჭოში შედის ბალანთა, მოლით და ქიხარულა-სოფლებთან ერთად<sup>3</sup>. არქივისულ სიგებში ეს სახელწოდება ძლიერ დამახინჯებულია: *Донисхур* (გვ. 15r, გასწორებულია მეღნით *Тонсхური*-ზე, II სია 12r).

ტაბისყური სიტყვის სწორ ახსნასთან ერთად (ტბა+ყური) *К. Ган-и* უცნაურ მოსაზრებასაც აყენებს: ტბა+ცხვარი (*Тонисхური*)<sup>4</sup>.

39. სოფ. შვიდ-ეკლესია, სოფ. თოკთან—*كليسويد نرد* (I 12, 209; II 14, 206). უკვე „დავთრის“ დროს გაუკაცრიელებულია. შესაძლებელია იმავე XVI საუკუნეში გადასახლდნენ გაღმა თრიალეთს და აქაურ სოფელსაც დაარქვეს შვიდ-ეკლესია, რომელიც შემდეგ თარგმნილ იქნა იედი-ქილისად. ყოველ შემთხვევაში წალკის რაიონის *Едлыкниси* (სოფ. აიაზმისა და თაქ-ქილისასთან ახლო; იხ. ევეროპ. რუსეთის სპეტერუკა) ძალიან ეხმაურება ჩვენი „დავთრის“ *كليسويد* სახელწოდებას, რომელშიც „დავთრის“

<sup>1</sup> А. Г. Шанидзе, К этимологии названий «Топад», «ენიმკის მოამბე», თბილისი, I, 1937, გვ. 81; ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, გვ. 235, 240.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (ავარანი), მიმოხილველი, II, გვ. 38 (შენიშვნა).

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 28.

<sup>4</sup> К. Ф. Ган, Опыт объяснения кавказских географич. названий... СМОМПК, 40, гв. 139.

შემდგენელს ქართული ე კ ლ ე ს ი ა სიტყვა უთარგმნია, ხოლო „შეიდ“ი, ალბათ, საკუთარ სახელად მიიღო და უთარგმნელად დატოვა. სოფ. შეიდ-ეკლესიის ნანგრევები სოფ. თოკის სანახებში უნდა მოიძებნოს. კერძოდ, შეიდლება თოკთან ახლო ნაჩვენები Р[азвалины] И[ерусалима] ეს შეიდ-ეკლესია იყოს.

40. სოფ. ვ ა რ გ ა ვ ი — وارجاوي (I 12, 209; II 14, 206). „დაეთრის“ დროს გაუკაცრიელებულია, მაგრამ ამჟამად ვ ა რ გ ა ვ ი სოფელია—ასპინძის რაიონის ხიზაბაერის სასოფლო საბჭოში შემავალი ხიზაბაერა, თოკ და სარო სოფლებთან ერთად<sup>1</sup>. რუკებზე ვარგავი ყველგან აღნიშნულია სოფ. თოკის ახლო. კ. ზისერმანით კი ვარგავი წერაქუნტის მთის ძირთანაა (გვ. 26). ვარგავი იხსენიება ხალხურ ლექსში:

ვარგავი კი პატარაა, მაგრამ კობტა ადგილია...<sup>2</sup>

საარქივო საბუთში ვარგავი იხსენიება შესაფერის კონტექსტში: Варента, Оспинаур и Варгав<sup>3</sup>.

41. სოფ. კვალ ი (?) — كوالی (?) სოფ. მუხრაშენთან (I 12, 209; II 14, 207). არქივისეულ სიებში Квали (გვ. 15v) და Кували (12r) გვაქვს. ადგილობრივმა მკვიდრმა პეტრე მაზნიაშვილმაც ამ დაწერილობის შესატყვისად კვალ ი დასახელა. სხვაგან მე ეს სახელწოდება არ შემხვედრია, მაგრამ იგი გამორიცხული არ არის; „დაეთრის“ كوالی დაწერილობის მეოთხე ასო სრულ შესაძლებლობას იძლევა კ-ად იქნეს წაკითხული (كوالی, იხ. დედანი, გვ. 192). ამგვარად: 1. „დაეთრის“ ამ სახელის დაწერილობა შეიძლება „კვალ“ად წაიკითხოთ, 2. „სიების“ შემდგენლების Квали და Кували შემთხვევითი არ უნდა იყოს, 3. პეტრე მაზნიაშვილსაც გაუგონია კვალ ი ადგილის სახელად. ამდენად كوالی დაწერილობა შეიძლება მართლაც კვალ-ის სახელით არსებულ სოფელს აღნიშნავდა.

კვალ ი (?) დასახლებული არ ყოფილა „დაეთრის“ დროსაც. მისი მდებარეობა განსაზღვრულია ნასოფლარ მუხრაშენით; მაგრამ მუხრაშენიც არ არის დღეს ზუსტად ლოკალიზებული. ოღონდ ვიცით, რომ მუხრაშენი ორჯუასთან მდებარეობს<sup>4</sup>. „კვალ“ და მუხრაშენ სოფელთა ლოკალიზებისათვის ძიება სოფ. ორჯუას სანახებში უნდა ჩატარდეს.

42. სოფ. ბე დ ყ უ ლ ა შ ე ნ ი (?) — بیدقولاشینی (?) სოფ. ზაკეთან (I 13, 209; II 14, 207). არქივისეულ სიებში გვაქვს: Бидқолашени-ი, მერე გასწორებულია Петқулашени-ად (გვ. 15v და 12r). თუ პირველი ასო ბანია, მაშინ უფრო მოსალოდნელია ეს იყოს ბე დ ყ უ ლ ა შ ე ნ ი. ამ პუნქტზე მასალა არა გვაქვს. დაუსახლებელია.

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 18.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 125.

<sup>3</sup> სტია, ფ. 79, ს. 20, გვ. 5r.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ, გვ. 286.

43. სოფ. مال حاحر — სოფ. Կო-სთან (I 13, 209; II 14, 207). არქივის-სეულ სიებში Мамазар (15v) და Мамазар-ია (12r). مال حاحر (იხ. დედანი, გვ. 192) დაწერილობის მეორე ნაწილი სრულებით არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ...azar ან ...азар წავიკითხოთ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვენთვის არც სოფ. Կო-ას სახელია ამოკითხული, რომ ამის ადგილმდებარეობა მაინც შიახლოებით გვეცოდნოდა.

44. სოფ. ქურდოვანი სოფ. ლალათუბანთან — كوردوان (I 13, 209; II 14, 207). თითქოს ქურდოვანი-ა, თუმცა ამის წავიკითხვა შეიძლება აგრეთვე ქურდევან-ად, ქურტევან-ად, ქურტოვან-ად და სხვ. არქივისეულ სიებში Кортван-ი გვაქვს (გვ. 15v და 12r). დაუსახლებელი სოფელია. ამ პუნქტის შესახებ მასალა ჯერჯერობით არ ჩანს.

45. სოფ. გულუსუბანი სოფ. ავანთან — كولوسوبان زرد اكان (I 13, 209; II 14, 207). II წიგნში გულუსუბანი დაბეჭდილია კითხვითი ნიშნით, რაც ახლა უნდა მოიხსნას. ამ სახელწოდების ამოკითხვა ექვს არ უნდა იწყვედეს. არქივისეულ სიებშიც Гулусубан-ია (15v და 12r). ამ პუნქტის შესახებ არქივში რამდენიმე ცნობა მოიპოვება: 1. ...Дурсун-Бек, от которого он (полимеймейстер Мухомов) приобрел покупку в 1828 г. селение Гулис-убань, состоящее в Хертовисском санлжаке...<sup>1</sup> მეორეჯერ სოფ. ჯანჯლასთან იხსენიება—Гулис-Убань<sup>2</sup> და საინტერესოა, რომ მისი (გულუსუბანის) შემოსავლად ნაჩვენებია 6997 ახჩა, ე. ი. ზუსტად იმდენი, რამდენიც ჩვენ დავთარიშა (იხ. „დავთარი“, II, გვ. 207). ამავე საბუთში, ცოტათი ქვემოთ კიდევ ნახსენებია «пустопорожнее селение Гулисубань<sup>3</sup>. ერთ ადგილას Гулисубани-ც<sup>4</sup> გვაქვს და შეიძლება ამ პუნქტის უფრო სწორი სახელი გულუსუბანი იყოს, ვიდრე «დავთარის» გულუსუბანი. «დავთარის» დროს უკვე გაუქარიელებული სოფელია. შენიშნულია, რომ გულუსუბანი ახლოსაა სოფ. ავანასთან, რომლის სანახებშიც უნდა მოხდეს ამ ნასოფლარის ლოკალიზება.

46. სოფ. اصط| სოფ. გულუსუბანთან (I 13, 209; II 14, 207). ამის ამოსაკითხავად მასალა არ აღმოჩნდა. ნაჩვენებია გულუსუბან სოფელთან, რომელზედაც კიდევ ნათქვამი იყო, რომ ის ავანა სოფელთან მდებარეობს. მაშასადამე, სოფ. ავანასთან ყოფილა მეორე ნასოფლარიც, რომლის სახელიც ჯერჯერობით ამოკითხული არ არის. «დავთარის» დროს ეს სოფელი გაუქარიელებულია. არქივისეული სიების—Ихтижа (გვ. 15v) და Охтали (?) (გვ. 12r) ვარიანტები ამ დაწერილობას სრულებით არ უდგება და მიუღებელია.

47. სოფ. ოლდანი სოფ. ზემო ალასტანთან—اولدان (I 13, 210; II 14, 207). უკაცრიელი სოფელია. მისი ადგილმდებარეობა სავსებით გარკვე-

<sup>1</sup> სტია, ფ. 79, ს. 21, გვ. 1r.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 3r.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 14r.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 11r.



„ულა—ხუთფერსიან რუკაზე ალასტანს ახლო აღნიშნულია P. D. Oldam; Description-ის რუკაზე კი Oldam-ია. ვახუშტის ინდექსშიც ოლდამი (33r) და ოლდაბი (32r) აქვს. ეს კი შეცდომა უნდა იყოს, რადგანაც მე ადგილზე „დლიურში“ ასე ჩამიწერია: „გოკიიდან ორ ვერსზე კიდევ ერთი ვერანა ადგილია, ესაა—ო ლ დ ა ნ ი“ (გვ. 2); „ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით კორო-შეთი, იქვე ოლდანი“ (გვ. 32). ხიზაბავრაში ყოფნის დროს პეტრე პოსოშვი-ლას შეუღლებ ასეთი ხალხური ლექსი ჩამაწერინა:

კოროშეთს თივა მოვთიბე, ო ლ დ ა ნ ს დამიძირიაო;

გოგოვ, შენი სიყვარულით, მე ვერ დამიძინიაო

(„დლიური“, გვ. 32).

48. სოფ. ქიხარულა (ქარული), ბურნაშეთთან — Jarol (I 13, 210; II 14, 207). ეს სოფელი ხალხურ ლექსში ასე იხსენიება:

ქ ხ ა რ უ ლ ა მ შ ი ე რ ი ა, ხ ა ლ ხ ი ა რ ი ს ჩ ა ტ ა - მ ა ტ ა,

შ ი მ შ ი ლ ი თ ი ხ ო ც ე ბ ი ა ნ, ს ა ც ო დ ა ვ ა დ კ ნ ა ვ ი ს კ ა ტ ა <sup>1</sup>.

მე ვფიქრობ, რომ ამ სოფლის სახელი ქიხარულა უნდა იყოს და არა ქხარულა და, მით უფრო, არა ქარული, როგორც ეს „დავთარშია“ მოცემული. ჯერ ერთი—ქხ ქართულში არ არის ჰარმონიული კომპლექსი; ჰარმონიული კომპლექსია ქყ<sup>2</sup>. ქხარულა შესაძლებელია რუსული, ან უფრო სომხური ენის გავლენით იყოს მიღებული. რუსულ წერილობით საბუთებში ჩვენ გვაქვს, მაგალითად: Чихарула<sup>3</sup>. მეორე—ქიხარულა რომ უნდა იყოს იქი-დანაც ჩანს, რომ ხალხური ლექსის პირველ სტრიქონში 15 მარცველია, ხო-ლო მეორეში—16. თუ „ქიხარულა“დ წავიკითხავთ სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობა თანაბარი იქნება. გარდა ამისა, ამავე საარქივო საბუთში ამ სოფლის სახელი ჩვენ ქართულადაც გვაქვს მოცემული. საბუთს (რუსულად დაწერილ თხოვნას) ხელს აწერს „სოფელს [ასეა!] ქიხარულას მამასახ-ლისი ვართან[ან] ანტონოვი“<sup>4</sup> და მეორეჯერ „ქიხარულსა [ასეა!] მამასახ-ლისი ვართან ანტონოვი. რადგან მან წერა არ იცის, ხელს ვაწერ პავლე ბერიძე“<sup>5</sup>. საერთოდ ქიხარულა სახელწოდება სხვაგანაც დამაბინჯებულია. ხუთფერსიან რუკაზე, მაგალითად, სოფ. ბურნაშეთთან, სადაც სწორედ „დავთარის“ მიხედვით ნაჩვენებია ქიხარულას ადგილმდებარეობა, აღნიშნუ-ლია P. D. Ачарл და რამდენიმედ მოშორებით კი Миллэ Джерул. ცხადია, რომ აქ ორთავე შემთხვევაში Чихарула უნდა იყოს.

„დავთარის“ შემდგენელს ეს სახელი უსათუოდ შეცდომით აქვს ჩაწერი-ლი — Jarol (დედანი, გვ. 192); დიაკრიტული ნიშანი მე რომ არ დამესტა Jarol—ჯარულ(ი) იქნებოდა (ქ → ჯ). ჩვენ „დავთარის“ მიხედვით I-სა და II

<sup>1</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 125.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 301.

<sup>3</sup> სტია, ფ. 352, ს. 2, გვ. 1r, 4r და სხვ.; ავრეთვე: კ. ზისერმანთან, ოლონდ კორექტ-ურული შეცდომით—Учарула (← Чихарула; გვ. 25).

<sup>4</sup> სტია, ფ. 352, ს. 2, გვ. 3v.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 12r.

წიგნში დავბეჭდეთ *كوار* და ქართული, რაც, როგორც გამოირკვა, შესაბამისია ქართული „ქიხარულა“სი.

„დაეთრის“ დროს ქიხარულა გაუქცირებულა. 1852 წლის საბუთიდან ჩანს, რომ იგი დასახლებულია, ხოლო 1870 წ. უკვე 9 კომლიანი სოფელია<sup>1</sup>. ამდამდე ქიხარულა ბორჯომის რაიონში ტაბისყურის სასოფლო საბჭოში შედის ტაბისყურ, ბალანთა და შოლით სოფლებთან ერთად<sup>2</sup>. ევროპ. რუსეთის სპეცრუჟაზე დაახლოებით ბალანთა და ბოეანო სოფლებს შუა აღნიშნულია Чхаруя (არქივისეულ სიებში მოცემული ამ სოფლის სახელწოდებები Чаруя [15v] და Чоруя (გვ. 12r) — გაუგებრობაა.

49. სოფ. მუსარეთი (?) — *موسار* სოფ. ალაისუბანთან (I 13, 210; II 14, 207). მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ასოები კარგად ირჩევა, დიაკრიტული ნიშნების უქონლობის გამო ეს სახელწოდება ამოკითხული არ არის. არქივისეული სიების მიხედვით ეს არის — *Μύσαρετ* (გვ. 15v და 12r). მაგრამ, თუ ასე ამოკითხული სახელი სხვა რამით არ შემოწმდა, დამაჯერებელი ვერ იქნება. იგივე *موسار* შეიძლება „მუხარეთის“ გარდა „მუჯარეთ“ად, „მუჰარეთ“ად, „მუქარეთ“ად, აგრეთვე „მოჯარეთ“ად და სხვ. იქნეს წაკითხული. ეს სოფელი დაუსახლებელია. მითითებულია, რომ ის ალაისუბნის (რომელიც, როგორც ვნახეთ, დღევანდელ ალათუბანს უდრის)<sup>3</sup> მახლობლად არის.

50. სოფ. შოლითი სოფ. ტაბისყურთან — *موليت ناد بسخر* (I 13, 210; II 14, 208). „დაეთრის“ დროს უკვე დაცარიელებული სოფელია. მდებარეობს ტაბისყურის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე. არქივისეულ 1862 წლის ერთ საბუთში ლაპარაკია იმაზე, რომ ცარიელ სოფელ შოლითში სოფ. ბარალეთიდან უნდა გადასახლდნენ ოჯახი, რომელიც, ალბათ დროებით, სოფ. ქიხარულის შემადგენლობაში შევა<sup>4</sup>. შემდეგში შოლითი გაიზარდა დამოუკიდებელ სოფლად და დღეს ბორჯომის რაიონში შოლითი ტაბისყურ, ბალანთა და ქიხარულა სოფლებთან ერთად ტაბისყურის სასოფლო საბჭოში შედის<sup>5</sup>.

51. სოფ. ხუმრისი სოფ. ტაბისყურთან — *خومرش* (I 13, 210; II 14, 208). „დაეთრის“ II წიგნის სქოლიოში (გვ. 208) ჩვენ შენიშნული გვაქვს, რომ ძირითად ტექსტში *خومرش*-ია, მაგრამ „დაეთრის“ ე. წ. სიაში *خومرس* ხუმრისი წერია-თქო (იხ. დედანი, გვ. 18, 193). ახლა უკვე მისაღების საფუძველზე საბოლოოდ გაირკვა, რომ ბოლოკიდური თანხმოვანი *ش* კი არა, *س* უნდა იყოს, რადგანაც ამ პუნქტის ქვეშარიტი სახელია ხუმრისი. ეს დასტურდება: მსხვილმასშტაბიანი რუკებით (მათ შორის ერთ-

<sup>1</sup> სტია, ფ. 352, ს. 2, გვ. 4r; K. Зяцсerman, 25.

<sup>2</sup> სპ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 28.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, გვ. 279.

<sup>4</sup> სტია, ფ. 352, ს. 2, გვ. 1r, 3r.

<sup>5</sup> სპ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 28.

ვერსიანითაც), სადაც ტაბისყურის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ყველგან *Хырмис*-ია აღნიშნული. პეტრე მაზნიაშვილის ჩანაწერშიც ხუმრისია; პროფ. ნ. კეცხოველი, რომელიც ამ მხარეში მოგზაურობდა, წერს: „ამ ტყეთა გარდა, ჯავახეთში ადგილ-ადგილ გადარჩენილია ტყის პატარ-პატარა კომრები. ფოთლოვანი ტყე გადარჩენილია ტაბისყურის სამხრეთ ნაპირებზე, ხუმრისის მახლობლად“.

ამემაღ ხუმრისი გაუკაცრიელებულია. არქივისეული ერთი საბუთის მიხედვით 1865 წელს ხუმრისი ჯერ კიდევ დასახლებული ყოფილა, 1870 წელსაც აქ 14 კომლია აღრიცხული (კ. ზისერმანი, 25). ხუმრისი დასახლებულად ჩანს აგრეთვე 1879 წელსაც: „...ერთი კარგი ყოჩაღი ბერძენი, სოფელ ხუმრისს მცხოვრები—გირაგე [კირიაკე?] ლაზაროვი“<sup>1</sup>. ტაბისყურის ტბაზე თევზისჭერის მოიჯარადრეები უჩივიან სოფ. ხუმრისის მამასახლისს ქესიმ ჰასან-ოღლის და აჰმედ ფაშა-ოღლის იმაში, რომ ტბის იმ ნაწილში, რომელიც ხუმრისის მიჯნაზეა, თვითნებურად იჭერენ თევზსო<sup>2</sup>.

არქივისეული სიების *Хырмит* და *Хармис* (გვ. 15რ, 12რ) ფორმებს არაერთი საფუძველი არა აქვთ.

52. სოფ. ზაქარწმინდა სოფ. მოდაგანთან — *ذکرتندان* (I 13, 210; II 14, 208). ამოკითხულია საესებით ზუსტად. ასეთივე სახელწოდებით სოფელი აღრიცხულია კიდევ ჩრდილის ლივანში<sup>3</sup>. ეს გაუკაცრიელებული (ჯერ კიდევ „დაეთრის“ დროს) სოფელი რუკებზე აღნიშნული არ არის. „დაეთარში“ მისი ადგილმდებარეობის განსასაზღვრავად წერია, რომ ზაქარწმინდა ახლა მოდაგანთანაა. ამ სოფლის სანახებში უნდა დაიძებნოს ზაქარწმინდის ნანგრევები.

53. სოფ. ოღისი საროსთან — *اوزیس* (I 13, 210; II 14, 208). ჩვენთვის ახლა საესებით ნათელი ამბავია, რომ „დაეთრის“ შემდგენელი შეცდა ამ სოფლის სახელის ტრანსკრიბირების დროს და მესამე ასოდაც ნაცვლად დაწერა *з* (როგორც დედნის მე-18, ისე 193-ე გვერდი. ამ უკანასკნელ გვერდზე *з* ასოს დიაკრიტული ნიშანიც კი უზის—*з*). ჯერ კიდევ ჯავახეთში მოგზაურობისას ჩვენ „დლიურში“ ჩაწერილი გვაქვს: „ვარგავეის სამხრეთით ოღისი—ნასოფლარი, სადაც ეკლესიაც იყო“. ამხ. პ. მაზნიაშვილმაც გვაცნობა, რომ გეოგრაფიული პუნქტის სახელი ამ მილამოებში ოღისი კი არაა, ოღისია. არქივის მასალებშიც არის ოღისზე ცნობები: იხსენიება, მაგალითად, ოღის-სიჯგორი ერთად; ოღისი იხსენიება აგრეთვე

<sup>1</sup> აგრეთვე წიგნში: *Мат. дая изъч. экон. быта госуд. крестьян Закавказья*, III, ч. 81 და K. Зиссерман-თანაც (გვ. 25).

<sup>2</sup> ნ. კეცხოველი, საქარაველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935 გვ. 152.

<sup>3</sup> წერაკენტელი, „დროება“, 1879 წ., № 184.

<sup>4</sup> სტია, ფ. 352, ს. 117, გვ. 40რ.

<sup>5</sup> დაეთარი, II, გვ. 265, აქვე ქვემოთ ჩრდილის ლივან, ჯანბახის ნაპიჯ, სოფ. № 18.

<sup>6</sup> სტია, ფ. 74, ს. 56, გვ. 28რ. (1859-1864 წწ.).

სოფ. საროსთან დაკავშირებით<sup>1</sup>. არქივისეულ სიებშიც Одиc-ის (გვ. 15v-12r).

ამრიგად, I-სა და II წიგნის ოძისი უნდა შესწორდეს ოდის-ად. ოდისი დღემდე დაუსახლებელი ადგილია.

54. სოფ. კალთუბანი გოქიასთან, کتوبان نزد گوکیا (I 13, 210; 14, 208). ამ დაწერილობის ზუსტად ამოკითხვა თავის დროზე არ მოხერხდა. საქმე ისაა, რომ ჩვენს „დღიურში“ გვიწერია: „ნასოფლარი კალთუბანი — აზაკრეთის ახლო“ (გვ. 27); კალთუბანი ნასოფლარი ჩაწერილი გვაქვს აგრეთვე იმავე „დღიურის“ მე-2 გვერდზე. გარდა ამისა, აღმოჩნდა საარქივო მასალა, სადაც იხსენიება «пустынь Катухань»: 1863 წელს. მემამულის—ვინმე დარდალანის ქვრივი სუსანა უჩივის მეორე მემამულე კანანოვს, რომელიც დაუსახლებელ ადგილ კალთუბანში იტაცებს ქვრივისადმი კუთვნილ მიწას<sup>2</sup>. სავსებით ცხადია, რომ ამ ადგილის სახელი გელთუბანი კი არაა, როგორც დაბეჭდილი გვაქვს ჩვენ II წიგნში, კალთუბანია (ქ ასოთი ჩვეულებრივ ქართული კ მკვეთრია გადმოცემული). მდებარეობა მისი დაზუსტებულია გოქია სოფლით და აგრეთვე, სოფ. ხანდოთი, რომლის მცხოვრებლებიც ერთ საბუთში კალთუბნის მიწების დამმუშავებლებად ჩანან<sup>3</sup>.

55. სოფ. კატისხევი (?) სოფ. ბურნაშეთთან — سوسو نزد بوریشت (I 13, 210; II 14, 208). არქივისეულ სიებში Катихев-ი გვაქვს (15v, 12v). ჩვენ ვიცით, რომ ქ ასო ქართულ მკვეთრ კ თანხმოვანს გადმოსცემს. ამდენად შეიძლება მართლაც ამ სოფელს კატისხევი ერქვა. ჩვენ მის მდებარეობაზე ის ვიცით, რომ „დავთრის“ მიხედვით ბურნაშეთთან არის ახლო. საინტერესოა, რომ ბურნაშეთთან ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია Сичан-кев. პირველი სიტყვა Сичан-ს (=თ. სიყავ — 'თავი') ქართულად მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო მეორე кев, იგივე ქ. ხეე სიტყვაა, რომლის თავი-დური „ხ“ სპირანტი სხვაგანაც იყო კ-ით გადმოცემული. ხომ არ წარმოადგენს ეს Сичан-кев გაუგებრობაზე დამყარებულ, უხეირო თარგმანს სახელწოდებისა კატისხევი?

„დავთრის“ დროს უკვე გაუკაცრიელებულია. მისი ლოკალიზება ბურნაშეთთან უნდა მოხდეს. პ. მაზნიაშვილის მიხედვით, ბურნაშეთთან ახლო ნანგრევებია, რაც კატისხევის ნანგრევები უნდა იყოს.

56. სოფ. ზემო სამსარი (იხ. ზემოთ, ქვემო სამსართან, გვ. 286, № 36).

57. სოფ. ქართაშენი (?) ს. კოთელიასთან — كرتاشن نزد كوتلیه (?) (I 13, 210; II 14, 208). ვფიქრობ, რომ ქართაშენად იკითხება.

<sup>1</sup> სტია, ფ. 74, ს. 56, გვ. 37v.

<sup>2</sup> იქვე, ს. 58, გვ. 4v-5r.

<sup>3</sup> იქვე.

ქ ა რ თ ა შ ე ნ ი (?) „დავთრის“ დროს უკვე დაცარიელებულია მოსახლე-თავან. რუკებზე აღნიშნული არაა. დასახელებულია სოფ. კოთელიასთან, რომლის სანახებშიც უნდა დაიძებნოს სოფ. ქართაშენის ნანგრევები. არქივისეული სიის Ἰουρτασεν უნდა გასწორდეს (გვ. 15v, 12v).

58. სოფ. ხ ა რ ი ა ნ ი — خارسان (I 13, 210; II 14, 208). დედანში (გვ. 193) დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და ამოკითხულობა ექვს არ იწვევს. არქივისეულ სიებშიც ასეა — Χαρσαν (გვ. 15v, 12v). ცხადია, რომ ასეთი სოფელი არსებულა, „დავთრის“ შედგენის ხანებში ის დაცარიელებულა. ამ პუნქტის შესახებ ჩვენ ცნობა ვერ ვიშოვნეთ. რუკებზეც აღნიშნული არ არის.

59. როგორც ჩვენ II წიგნის მე-14 და 209-ე გვერდებზე, სქოლიოში შენიშნული გვაქვს, ან 59 შეცდომით გამოტოვებულია.

60. სოფ. კოროშეთი — كوروشيت (I 13, 211; II 14, 209). არქივისეულ სიებში შეცდომით Γορασენ-ი გვაქვს (15v, 12v). კურაშენი და Γορასენ-ი უთუოდ შეცდომაა; ამოკითხულია კი სწორად — كوروشيت. პირველი მღერეი ქ კანონზომიერად ქ-ს გადმოსცემს, ხოლო ვ, აგრეთვე კანონზომიერად, ო ხმოვანს; მივიღეთ კ ო რ... შემდეგ აგრეთვე ო ხმოვანი უნდა იყოს, მაგრამ თურქული მეორე მარცვალში ო-ს გაურბის და, როგორც სხვაგანაც გვექონდა შემთხვევა აღგვენიშნა<sup>1</sup>, ასოთი ა-ხმოვანია გადმოცემული. ამგვარად კوروشიტ დაწერილობაში ჩვენ სრული კანონზომიერებით გადმოცემული გვაქვს გეოგრაფიული პუნქტის სახელი კოროშეთი, რომელიც ჩვენ ზემოთ სოფ. ოლდანთან ერთად დაეასახელებ<sup>2</sup>, რადგანაც ეს ორი პუნქტი ერთად იხსენიება შემდეგ ხალხურ ლექსში:

კოროშეთს თივა მოვთიბე, ოლდანს დამიძირიაო,

გოგოვ, შენი სიყვარულით მე ვერ დამიძინიაო<sup>3</sup>.

ჩემს „დლიურში“ ჩაწერილი მაქვს „ხარაბა კოროშეთი — გოციის ზემოთ“ (გვ. 2); და კიდევ „ხიზაბავრიდან აღმოსავლეთი—კოროშეთი—იქვე ოლდანი“ (გვ. 32).

ადგილმდებარეობა კოროშეთ ნასოფლარისა დაზუსტებით ვიცით: ხუთვერსიან რუკაზე გოცია სოფლის ზემოთ, როგორც ეს ჩვენ „დლიურშიც“ გვიწერია, აღნიშნულია P. D. Κυρασεν, რაც უთუოდ იდენტიფიცირდება ჩვენ კოროშეთთან.

ამრიგად: „დავთრის“ كوروشيت კანონზომიერი გადმოცემაა ყოფ. სოფლისა და აწინდელი ნასოფლარის კოროშეთის სახელისა. კოროშეთ ნასოფლარის ადგილმდებარეობაც ცნობილია.

61. სოფ. ბ ა ლ ა ნ თ ა — სოფ. მოღვეგანთან — بآله نژد مودكان (I 13, 211; II 14, 209). „ბ ა ლ ა ნ თ ა“ სოფელია, ქართველები ცხოვრობენ, ბ ა ლ ა ნ -

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 97 და სხვ.

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, გვ. 290-291.

<sup>3</sup> ჩაწერილია ჩემ მიერ 1933 წელს სოფ. ხიზაბავრაში, პ. პოსოშვილის სახლში.

თ ის აქეთ, დასაეღეთით არის ნასოფლარი—ალანთა“ („დლიური“, გვ. 26). პროფ. ს. მაკალათიაც მის მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსში:

ალანთასა, ბ ა ლ ა ნ თ ა ს ა, ჩამოგვიდავ კალათასა,

ერთი კვერცი ჩვენ მოგვეცი, ღმერთი მოგცემს ბარაქასა<sup>1</sup>,

ა ლ ა ნ თ ა და ბ ა ლ ა ნ თ ა ს ი ტყეებს ჯავახეთის სოფლის სახელებად მიიჩნევს, „ალანთა უკვე ნასოფლარია, ბალანთა კი დღესაც არისო“. გასული საუკუნის 30-იანი წლების საბუთებში ბ ა ლ ა ნ თ ა ს თ ა ნ ა ლ ა ნ თ ა ც იხსენიება: *بالت فراسا* და კიდევ რუსულად: Балаанта, Аланта და უფრო დამახინჯებითაც Аланза, Балаанта<sup>2</sup>. ბ ა ლ ა ნ თ ა იხსენიება აგრეთვე მეორე ხალხურ, მაგრამ ძლიერ უხვირო ლექსში:

ბ ა ლ ა ნ თ ა მშენიერია, ზაფხულშია ძლიერ კარგია...<sup>3</sup>

ბ ა ლ ა ნ თ ა ვახუშტის ინდექსშიც არის (გვ. 42წ). არქივისეული სიების Балаанта (შემდეგ I სიაში გასწორებულია Балаанта-ზე; გვ. 15v, 12v) გადასომხურებული ფორმა უნდა იყოს.

ტაბისყურის ტბის სანხრეთ-დასაეღეთით ბ ა ლ ა ნ თ ა სოფელი ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია. „დაეთრის“ დროის ბალანთა გაუკაცრიელებულია. ამჟამად ბალანთა ბორჯომის რაიონში ტაბისყურ, მოლით და ქიხარულა სოფლებთან ერთად ტაბისყურის სასოფლო საბჭოში შედის<sup>4</sup>.

62. სოფ. წ ი ნ უ ბ ა ნ ი (?) ბალანთასთან — *بازبان* (I 13, 211; II 14, 209). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს და, ამდენად, მისი წაიკითხვა ასეც შეიძლება: *بازبان*—ზეუბანი, გაუკაცრიელებულია. ამ ნასოფლარის შესახებ ჯერჯერობით სხვა ცნობა არ ჩანს. არქივისეულ სიაშიც *Базбан*-ია (გვ. 16r, 12წ).

63. სოფ. მ ო დ ე გ ა ნ ი — *Модеган* (I 13, 211; II 14, 209). სასტიკად შერყენილია ეს სახელწოდება არქივისეულ სიებში — *Мутакан* (გვ. 16r, 12წ). გვებდება აგრეთვე *Модыга*<sup>5</sup>. ვახუშტის აქვს მ ო დ ე გ ი ს-ჭ ე ვ ი<sup>6</sup> და მოდეგა (ინდექსი, 42წ); ასე, რომ სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო მ ო დ ე გ ა. ამ სოფლის სახელად გვებდება აგრეთვე *Модеганар*<sup>7</sup>, რაც თურქულად მრავლობითი რიცხვის ფორმაა მ ო დ ე გ ა ს ა გ ა ნ (Modegâ, Modegâlâr), ისევე როგორც მოსალოდნელია *Модеган*-ში („დაეთრის“ მ ო დ ე გ ა ნ ი) „ნ“ ქართული მრავლობითი რიცხვის სუფიქსი იყო“ს (შდრ. განძანი და სხვ.). ხუთვერსიან რუკაზე მოდეგა ორჯერ არის აღნუსხული—*Модыга* და *Р. Д. Модыга*,

<sup>1</sup> შესხეთ-ჯავახეთი, გვ. 109.

<sup>2</sup> იქვე; სტია, ფ. 47, ს. 61, გვ. 2r, 3r, 5r, 11v.

<sup>3</sup> შესხეთ-ჯავახეთი, გვ. 125.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 28.

<sup>5</sup> МИЭБГКЗК, III, 22. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ახალქალაქის მახრიდან, კერძოდ სოფ. მოდეგადან ყარსში გადასახლებულა მთელი მოსახლეობა (უმთავრესად ბერძნები და დუხობორები) მ ო დ ე გ ა ს ი, ჩიფთლიქისა და ხუმრისისა (1873 წ.).

<sup>6</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 130.

<sup>7</sup> სტია, ფ. 74, 66, გვ. 23r.

ქ. ი. ყოფილა ძველი (ნასოფლარი) და ახალი მოდეგა, 2 მოდეგა და, ალბათ, ორივეს ერთად „მოდეგალარს“ (რაც ქართული „მოდეგანი“ს თარგმანია) ეძახდნენ.

„დაეთრის“ დროის დაუსახლებელი მოდეგა ამჟამად ახალქალაქის რაიონის კაქიოს სასოფლო საბჭოს გამოეყო და შევიდა აზაერეთის სასოფლო საბჭოში აზაერეთ, ლომატურცხ, ტურცხ, ლადო და ბურნაშეთ სოფლებთან ერთად<sup>1</sup>. 1861 წლის საბუთის მიხედვით, „მოდეგალარი“ ეკუთვნოდა გემამულე აზნაურის ქვრივს ანა კანანოვს<sup>2</sup>.

64. სოფ. ხორბოლა (?) — خوربولو სოფ. I 13, 211; II 14, 209). დედანში (გვ. 194) პირველსა და მესამე ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს, ხოლო მეოთხე ასოს — არა. ერთ ბარათზე მიწერია „ნასოფლარი ხორბოლა“; ცნობა მოუცია პეტრე მაზნიაშვილს. თუ ეს ცნობა მართალია და ხორბოლა ნასოფლარი არსებობს, მაშინ მესამე ასოზე დიაკრიტული ნიშანი შეცდომითაა დასმული; იგი მეოთხე ასოს უნდა ჰქონდეს ქვემოთ. მაშინ გვექნებოდა ასო — ხორბოლა. ცნობა უნდა დაზუსტდეს. ადგილმდებარეობა ამ ნასოფლარისა უცნობია, რამდენადაც უცნობია ამ ნასოფლართან ახლო მდებარედ ნაჩვენები I, პუნქტი. არქივისეულ სიგებში ХҫԻՃԻԱԳ გვაქვს (16r, 12v). თუ პ. მაზნიაშვილის ცნობა („ნასოფლარი ხორბოლა“) სწორი არ არის, მაშინ შეიძლება ეს პუნქტი ხოზბოლა იყოს და ემთხვეოდეს იმ სოფელ „ხოზაბირს, რომელშიც 841-842 წელს მოკლულ იქნა თბილისის ამირა საპაქის დასასჯელად ხალიფას მიერ გამოგზავნილი ხალიდ იაზიდის ძე“<sup>3</sup>. ასო-ჯავახეთში შეიძლება ხოზაბოლა-დაც წავიკითხოთ. სომხურ წყაროში (ასო-ლიკი) ხოზაბოლას შეიძლება ხოზაბირი მოეცა.

65. სოფ. ზეოტა (?) მოდევასთან — زيوآه كان (I 13, 211; II 14, 209). არქივისეულ პირველ სიაში ՅԵՐԿԻԱ-ა (გვ. 15r), ხოლო მეორეში — ՅԵՐԻ (გვ. 12v). დედანში (გვ. 194) დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და თითქოს ზეოტა ან ზეუტა უნდა იყოს. სხვა რაიმე დამადასტურებელ ცნობას ვერ მივაკვლიეთ. დატარიელებული სოფელია.

66. სოფ. ზერეონია (?) ალაისუბანთან — زيريونيه (I 13, 211; II 14, 209). დედანში (გვ. 194) მთლიანად დიაკრიტული ნიშნები აქვს დასმული. არქივისეულ სიგებში ՅԻՐԵՈՆԻԱ-დ არის ამოკითხული (გვ. 16r, 12v). დამატებითი ცნობების გარეშე ძნელია რამე ითქვას ამ ნასოფლარის კემპარტი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

67. ცუშური ტაბისყურის ტბის თევზისა — عشر ماهی کولی دابخور (I 13, 211; II 14, 209). აქ გეოგრაფიულ პუნქტად დასახელებულია ტაბისყურის ტბა, რომელშიც თევზისჭერას შეწერილი აქვს 10 000 ახჩა. არქივისეული

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 19 და გაზეთ „კომუნისტი“, 1951 წლის 28.VII, № 176.

<sup>2</sup> სცია. ფ. 74, ს. 66, გვ. 23r.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 93, 94.

სიების შემდგენლები სრულებით ვერ გარკვეულან „დავთრის“ ამ დაწერილობაში, ალბათ აქაც ჰგონებიათ რომელიმე ნასოფლარი, რომლის სახელიც ამოკითხულია Мангыней (16r) და Ман(и)гуней (გვ. 12v), რაც სრული უაზრობაა (Мангыней ალბათ man-i gū-ni = თევზი ტბისა სიტყვების უხეირო წაკითხვისაგან მოდის).

68. სოფ. ხანჯაური—خانجاور (I 13, 211; II 14, 209). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და, თითქოს, ექვს არ ტოვებს მისი ამგვარად ამოკითხულობა. არქივისეულ სიებშიც Ханджаур (გვ. 16r) და Ханджавур (გვ. 12v) გვაქვს. შეიძლება ასეც იყოს. სხვა ცნობები ამ პუნქტის შესახებ არ ჩანს.

69. სოფ. ს ე ს ი (?)—سس (?) (I 13, 211; II 14, 209). არქივისეულ სიებში წაკითხულია—Сис-ად (16r, 12v). სხვა ცნობები არა გვაქვს.



## II. ხ მ რ თ შ ი ს ი ს ლ ი ვ ო

### 12. ბუზმარეთის ნაწიე

1. სოფ. უ ბ ა ნ ი — اوبان (I 13, 212; II 15, 210). თითქოს სწორადაა ამოკითხული. არქივისეულ სიებშიც Ὑβαν-ი გვაქვს (16r, 12v): შეილკომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენ დრომდე ვერ შოაღწია, რუკებზე აღნიშნული არაა. სოფ. ბუზმარეთის (იხ. ქვემოთ № 3) მიდამოებში უნდა ყოფილიყო. 1841 წ. უკვე გაუქაცრიელებულადაა აღრიცხული, აწერია იმდენივე — 9 000 ახა<sup>1</sup>.

2. სოფ. გ უ ნ დ ი არჩათუბან სათესველითურთ — گوند ارچاتوبان (I 13, 212; II 15, 210). ხუთეკისიან და სხვა მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია P. M. Гунд. არქივისეულ სიებში Кунт-ი გვაქვს (16r, 12v); პირველ მათგანში Кунт-ი Гунд-ზე გადაუსწორებიათ. ეს სახელი გვხვდება Кюнт-ის სახითაც<sup>2</sup>. შესაძლებელია ქართული სახელი კუნტიც ყოფილიყო (შდრ. სახელწოდება ასპინძის რაიონში წერაკუნტა) და გუნდი კი გადათურქულებული იყოს. „დაეთრის“ დროს გუნდი 8 კომლიანი სოფელია. 1841 წელს Гунд-ი უკვე ნასოფლარადაა ნაჩვენები<sup>3</sup>.

ა რ ჩ ა თ უ ბ ა ნ სათესველის სახელი სწორად უნდა იყოს ამოკითხული; ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს; ოლონდ შესაძლებელია „არქათუბანიც“ ყოფილიყო.

3. სოფ. ზ ე მ ო ბ უ ზ მ ა რ ე თ ი — بوزمرت علیا (I 13, 212; II 15, 210).

5. სოფ. ქვემო ბუზმარეთი — ბალრატათუბნითურთ بوزمرت سفلا مع محلہ بوزمرت بالا (I 13, 213; II 15, 211), 12. შუა ბუზმარეთი — კოკოვეთ (?) უბნითურთ — بوزمرت وسط مع محلہ جوجوویت (I 13, 215; II 15, 213). ამრიგად, ბუზმარეთი, რომლის სახელიც დარქმევია მთელ ნაწიეეს, სანი სოფელია: ზემო, ქვემო და შუა. აკად. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ამ სოფლის სახელი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ბუზმარი ადამიანთა საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო: „413-416 წ., თუ უფრო ადრე არა, იბერიის მეფედ ბუზმარი ყოფილა“ და იქვე სქოლიოში ამ ჩვენი ბუზმა-

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 166, გვ. 2v.

<sup>2</sup> იქვე, ს. 158, გვ. 45v.

<sup>3</sup> იქვე, ს. 166, გვ. 2r.

რეთის შესახებ შენიშნავს: „საქართველოში რომ ამგვარი სახელი უნდა ყოფილიყო, ამას ჯავახეთის სოფლის „ბუზმარეთის“ სახელი ამტკიცებს“<sup>1</sup>.

„დავთრის“ დროის ზემო ბუზმარეთში 13 კომლია აღრიცხული, ქვემო ბუზმარეთში — 10 კომლი, ხოლო შუა ბუზმარეთი უკვე გაუქარიელებული სოფელია. 1870 წ. დასახელებულია მხოლოდ 1-ბუზმარეთი 16 კომლიანი მოსახლეობით<sup>2</sup>, არქივის მასალებში *Иузамарет-и* (←*Нѳузамарет-и*) გვაქვს<sup>3</sup>.

ბუზმარეთის ადგილმდებარეობა მსხვილმასშტაბიან რუკებზე გარკვეულადაა აღნიშნული ყოიუნ-დერესა და ვანის ახლო: *Бузамарет* და *Р. Д. Нѳузамарет*. სამივე ბუზმარეთი აქ უნდა ყოფილიყო.

სოფ. ქვემო ბუზმარეთთან დასახელებულია ბ ა ლ რ ა ტ ა თ უ ბ ა ნ ი ; „დავთარში“ ეს დაწერილობა დიაკრიტული ნიშნებითაა მოცემული (იხ. დედანი, გვ. 96) და კარგად იკითხება. ოლონდ „ბალრატათუნის“ ნაცვლად აჯობებს „ბაგრატათუბანი“; გ ნიშანი ამ შემთხვევაში ხშულ „გ“ თანხმოვანს უნდა გადმოსცემდეს.

სოფ. შუა ბუზმარეთთანაც დასახელებულია *بوزجور* უბანი (დედანი, გვ. 193). დიაკრიტული ნიშნები აქვს, მაგრამ შეიძლება ეს *ქოქოვეთიცი* იყოს და ჩოხოვეთიც.

4. სოფ. ვ ა ნ ი — *ان* (I 13, 213; II 15, 211). „დავთრის“ დროს 8 კომლიანი სოფელია. ლ. ზაგურსკი (1872 წ.) ახსენებს ვანს როგორც თარაქამული წარმოშობის იმრი-ჰასანლის ტომის მნიშვნელოვან სოფელს ქარზამეთთან, ყოიუნ-დერესთან, ტაშლი-კიშლაკთან და ალანძასთან ერთად<sup>4</sup>. სოფ. ვანის მდებარეობა რუკებზე ყველგან აღნიშნულია — *Ван*. ვანი ახალციხიდან 26 ვერსზე მდებარეობს; მასში 1870 წ. 14 კომლიანი მოსახლეობაა<sup>5</sup>.

5. სოფ. ქ ვ ე მ ო ბ უ ზ მ ა რ ე თ ი (იხ. ზემოთ № 3. ზ ე მ ო ბ უ ზ მ ა რ ე თ ი).

6. სოფ. ყ ო ი უ ნ ი — *قون* (I 13, 214; II 15, 212). დიაკრიტული ნიშნები არა აქვს. ასე ამოვიკითხე იმიტომ, რომ ამ სექტორში — ბუზმარეთთან და ვანთან რუკაზე აღნიშნულია *Кюин-дере* პუნქტი (რომ ეთარგმნოთ = 'ცხვრის-ხევი'). რომ „დავთრის“ *قون* და რუკების *Кюин-дере* ერთი და იგივე პუნქტია იქიდანაც ჩანს, რომ არქივისეულ სიებში *Кюин-дари* (მერე გასწორებულა *Кюин-дараци*) და *Кюин-дара* გვაქვს (16r და 12v). შესაძლებელია აქ რომელიმე ქართული სახელი თურქულად იქნა გააზრებული. ყოველ შემთხვევაში, პ. მაზნიაშვილის მოწმობით, ამ სოფელს ახლა ყოიუნდარა ეწოდება. 7 კომლიან სოფლადაა აღრიცხული.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 237.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 9.

<sup>3</sup> სცია, თ. 73, ს. 158, გვ. 45v.

<sup>4</sup> Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., Записки КОИРГО, ч. VIII, გვ. 53; ვანი მოხსენებულია აგრეთვე წიგნში СМИБГКЭК, I, გვ. 248 და საბუთებში: სცია, თ. 73, ს. 95, გვ. 12v.

<sup>5</sup> К. Зиссерман, 9.

7. სოფ. ქართაშენი حلسا სათესველით — كرتاشن (I 13, 214; II 15, 212). ერთ საბუთში ქართაშენზე შემდეგი ცნობაა: 1863 წელს თურქმენთა („თარაქამა“) ტომის იმირ-პასანლის ჯამაყათი თხოვნით მიმართავს ქუთაისის გუბერნატორს<sup>1</sup> გადასცეს ამ საზოგადოების სარგებლობაში ვერანა ადგილი ქართაშენი (пустошь Карташн)<sup>2</sup>. უთუოდ აქ „დავთრის“ ამ ქართაშენზეა ლაპარაკი. იმირ-პასანლის ტომი, როგორც ზემოთ სოფ. ვანის მიმოხილვისას დავინახეთ (№ 4) და ლ. ზაგურსკის ჩვენებითაც, ამ მიდამოებში დაბინადრდა. არქივისეული სიების Карташн-ი (გვ. 16r) და Карташн-ი (გვ. 12v) უნდა გასწორდეს. რუკებზე აღნიშნული არაა, ყოიუნ-დერესა და ბუზმართთან ახლო უნდა ყოფილიყო (ჩაწერილი მაქვს, რომ ქართაშენი ვანის მიჯნაშია). „დავთრის“ დროს უკვე დაცარიელებულია.

ქართაშენთან მოხსენებული სათესველი حلسა ამოუკითხავად რჩება.

8. სოფ. მუკუშაშენი სოფ. უბანთან — موکوشه زن در اوبان (I 13, 214; II 15, 212). არქივისეულ სიებშიც Мукушашен-ია (16r, 12v). ადგილმდებარეობა ნაჩვენებია სოფ. უბანთან, რომელიც აგრეთვე არაა რუკებზე აღნიშნული. მაგრამ თვით მუკუშაშენი უნდა იყოს ამ სექტორში რუკებზე აღნიშნული P. Д. Муграшен-ი და Ур. Муграшен-ი; ორივე საკნაოდ დამახინჯებული სახითაა. მუკუშაშენიც „ცარიელია რეჟნადასგან“<sup>3</sup>. მაზნიაშვილის აზრით ეს არის ნასოფლარი, რომელსაც ჩვენ მიგზაშეთს ვეძახითო.

9. სოფ. თეთრისხევი (?) სოფ. ვანთან — ترسخو زن در وان (I 13, 214; II 15, 212). არქივისეულ სიებშიც Тетрихев-ი (16r, 12v). ნიკ. ნათენაძის ცნობით „ამ მიდამოებში თეთრახევის სახელით არის მთაც, რომელიც სოფ. ფანაკეთის იალღია“. აქ ნაჩვენებია სოფ. ვანთან, რომელიც რუკებით ცნობილია. „დავთრის“ დროს გაუკაცრიელებულია.

10. სოფ. შოლა სოფ. უბანთან — شوله زن در اوبان (I 13, 215; II 15, 212). 10 კომლიანი სოფელია, ხოლო აწ უკვე გავერნებული. რუკებზე სოფ. ვანის ზემოთ ყველგან აღნიშნულია: P. Д. Шола და Ур. Шола. არქივის ერთ საბუთში შეცდომით წერია Шапи, რომელიც უკვე გაუკაცრიელებულია<sup>4</sup>. იხსენიება აგრეთვე სოფ. ვალისათვის საძოვარი შულაჲ (Шулаѣ)-ს მთაზე. შეიძლება ამ მთას კავშირი ჰქონდეს ამ შოლა სოფელთან. ფიქსირებულია აგრეთვე Шоланун суи = შოლასწყალი<sup>4</sup>.

11. სოფ. შუატყე სოფ. უბანთან — شوادقی زن در اوبان (I 13, 215; II 15, 213). II წიგნში დაბეჭდილი მაქვს შუადღე, რაც უნდა შუატყედ შესწორდეს. „შუადღე“ გადათურქულებული „შუატყეა“. თურქულში კანონზო-

<sup>1</sup> ჯავახეთ-სამცხე იმ ხანებში ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა.

<sup>2</sup> სტია, ფ. 73, ს. 160, გვ. 8r.

<sup>3</sup> იქვე, ს. 166, გვ. 2v.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 47, ს. 59, გვ. 1r; იქვე, ფ. 73, ს. 158, გვ. 45v.

მიერად არის ტრანსკრიბირებული: ტყ მკვეთრთა კომპლექსი გამოხატულია მელერებით غا (შუატყე — شواتقى). სპეციფიკური ქართული ბგერებისაგან შემდგარი ამ სიტყვის სხვა ენაზე, მაგალითად, რუსულზე გადაცემა რთულია და ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქართულ ფორმასთან ერთად გადათურქულებული ფორმაც იყო. ამით აიხსნება ის სიჭრელე, რომელიც ჩვენ გვაქვს რუსულ საბუთებში ამ სახელწოდების დაწერისას: Шыатха, Шыатге, Шыатхе, Шыадхе და სხე.<sup>1</sup> არქივისეულ სიებშია—Шыватхе (16r და 12v).

„დაეთრის“ დროს სოფ. შუატყე უკვე გაუქაცრიელებულია, მაგრამ 1849 წლის ერთ საბუთში ლაპარაკია სოფ. Шыатხ-ს 7 კომლის სოფ. ლეპისზე მიწერის შესახებ<sup>2</sup>.

სოფ. შუატყე რუკებზე ყველგან აღნიშნულია დაახლოებით გუნდ და შოლა სოფლებს შუა—P. შ. Шыатха.

12. სოფ. შუა ბუზმარეთი (იხ. ზემოთ, სოფ. № 3).

<sup>1</sup> სცია, ფ. 73, ს. 93, გვ. 29წ, 75წ, 59r და ს. 95, გვ. 115r, 119r, 127წ.

<sup>2</sup> იქვე, ს. 103.

## III. ახალქალაქის ღიშნა

### 13. აკშეპირის ნჰიეგ

ახალქალაქი. აქ იწყება „გურჯისტანის ვილდეტის“ ახალქალაქის ლივანში შემავალ ნჰიეგთა და ნჰიეგების შემადგენელ სოფელთა აღწერა. პირველ ნომრად აღწერილია სოფ. ყართა და შემდეგ კიდევ 83 ობიექტი. ოლონდ თვით ახალქალაქი—ლივანს (სანჯაყის) ცენტრი, სააღწერო სიაში არ არის, ე. ი. ახალქალაქის სახელი ეწოდება ლივანს, მაგრამ ეს სალივანო (სა-სანჯაყო) ცენტრი საგადასახადო ობიექტად აღნუსხული არ არის, მისი ბეგარის გადახდელი მოსახლეობა არა ჩანს. პირველ სასანჯაყო ცენტრში, მაგალიტად, ახალციხეში აღრიცხულია 174 კომლი, რომელსაც შეწერილი აქვს 30 000 ახჩა<sup>1</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ საუკუნეში დატრიალებულ ძნელბედობათა შედეგად ახალქალაქი, ალბათ, განადგურებული იყო როგორც ქალაქი და მის მოსახლეობას (თუ ასეთი მაინც იყო დარჩენილი) არაფრის გადახდა უკვე არ შეეძლო. საერთოდ შეინიშნება, რომ „დავთარის“ მაჩვენებლების მიხედვით ოსმალთა დაპყრობითი ომის შედეგად ყველაზე უფრო დაზიანებულია ჯავახეთი. სუმბატ დავითის ძე რომ მოთქევამს კლარჯეთსა და შავშეთზე, შეიძლება ჯავახეთზედაც გაერცელდეს: „და კუალად შემდგომად მისსა სხვაგან სატლობისამან მოაოჳრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედლჳ დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ...“<sup>2</sup> გარდა იმისა, რომ ძველი ქართული ქალაქი—ახალქალაქი თითქმის გაუკაცრიელებულია (1830 წლის ერთ საბუთში ახალქალაქი კვლავ უკაცრიელი ჩანს ...*малое в г. Ахалкалаках не было населения*)<sup>3</sup>. ჯავახეთის 84 სოფელი გაპარტახებულია და მოსახლეობის გარეშეა დარჩენილი<sup>4</sup>. რომ ეს „უკაცრიელი რეკნაჰსაგან“ სოფლები ახალმეტოველებული სოფლებია იქიდან ჩანს, რომ თითოეულ მათგანს შეწერილი აქვს გარკვეული რაოდენობის გადასახადი, ცხადია, ამ სოფლებში ჯერ კიდევ არსებული ზაღების, ვენახებისა და ყანების მოსავალზე. ი. როს-

<sup>1</sup> დავთარი, II, გვ. 22-24.

<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოსცა ექ. თაყაიშვილმა, თბ., 1949, გვ. 62.

<sup>3</sup> სცია, ფ. 74, ს. 18, გვ. 1რ.

<sup>4</sup> იხ. დავთარი, II, გვ. 206-209 (ტყე-ჯავახეთი), 212-213 (ბუზმარეთის ნჰიეგ), 233-239 (ახალქალაქის ლივანს აკშეპირის ნჰიეგ), 243-246 (თმოგვის ნჰიეგ) და 250-257 ნიალის-ყურის ნჰიეგ.

ტომაშვილის არ იყოს, ტყუილად არ ლაპარაკობენ თავიანთ თავზე ჯავახები: „(ჯავახეთი) ოთხმოცჯერ წახდენილა, ოთხმოცდაათჯერ აღშენებულა“<sup>1</sup>.

ახალქალაქ სახელწოდების შესახებ. ჰაჯჯი ხალნთა (=ქათბი ჩელე-ბი)—ცნობილი თურქი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი XVII საუკუნისა ახალქალაქზე ამბობს: *اخلكك اقله معناه كورجى لفتى دار* = „ახალქალაქი ქართული სიტყვაა თეთრი-ციხის მნიშვნელობით“<sup>2</sup>. მაშასადამე, „ახალქალაქ“ სიტყვა აღიარებულია ქართულად, მაგრამ გააზრებულია თურქულად „თეთრი ციხე“. შეიძლება იმიტომ, რომ თურქ. *ak* დიალექტ. *ax* = „თეთრი“, ხოლო „ქალაქ“ სიტყვა მიმსგავსებულია, ეტყობა, არაბ.-თურქ. *كالف* — *kal'e*-ს. ამისგან განსხვავებულია ამ სიტყვის Saint-Martin-ის მიერ მოწოდებული ინტერპრეტაცია. ჯერ ერთი, ეს ფრანგი ავტორი ქართული სიტყვისათვის ტრანსკრიფციას იძლევა უპირველესად ყოვლისა სომხური ასოებით და ამბობს, რომ ამ ქალაქს ჰქვია *Ախալ* (ასეა!), ხოლო ვულგარულად *Ախլაქ* *ჩხიქ* *Akhāl-k'helek'is* — ქართულად „ახალქალაქ“<sup>3</sup> იო და ნიშნავს *la nouvelle ville*; ხოლო თურქულად ეს იქნება, განაგრძობს ავტორი, *اخلكك Akhel-kelek* და სპარსულად *سپید سهر Sepid-schehir* „თეთრი ქალაქის“ მნიშვნელობითო—*la ville blanche*<sup>4</sup>. მაშასადამე, ამ ავტორთან ქართული „ახალქალაქი“ კარგად და სიტყვასიტყვით არის გაგებული, მაგრამ იგივე თურქულად დაწერილი *اخلكك* უდრის უკვე სპარსულ *سپید* (=თეთრი ქალაქი), ე. ი. „*la ville blanche*“<sup>5</sup>. შემდეგში სენ-მარტენის ამ მოსაზრებას იმეორებს J. v. Hammer-ი: *Eben so heisst Achalkelek, die neue Stadt, auf persisch Sepidischehr, d. i. die weisse Stadt* (აქ დამოწმებულია სენ-მარტენის სრომიდან იგივე ადგილი)<sup>6</sup>. მაშასადამე, სენ-მარტენს ჰამმერიც ეთანხმება იმაში, რომ *اخلكك* ეს არის ქართული „ახალი ქალაქი“, მაგრამ სპარსულად კი „თეთრი ქალაქი“ (Sepid-schehr). სხვაგან ჰამმერს ზუსტად აქვს ჩაწერილი ეს სახელწოდება: *Achalkelek (das letzte auf den Karten A c h a l k a l a k e i)*<sup>7</sup>. გარდა ამისა, 1578 წლის ცნობილი ჩილდირის ბრძოლის აღწერისას Hammer-ი წერს: *Die Schlösser Wele (=ქართ. ველ-ი), Jenikala (=ქართ. ახალციხე?), Akdschekala und Tschildir huldigten dem Sieger*<sup>8</sup>. Hammer-ის ისტორიის თურქულად მთარგმნელი M. 'Atá თარგმანისამ ადგილს სქოლიოში შე-

<sup>1</sup> И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, гл. 7.

<sup>2</sup> جهان نما — გვ. 409. ავტორს ახალქალაქზე სხვა ცნობებიც აქვს, მაგრამ ჩვენთვის ეს ცნობები აქ იმდენად მნიშვნელოვანი არ არის.

<sup>3</sup> M. J. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie. Paris, 1818, გვ. 84; სხვა ცნობები სენ-მარტენისაც არ მომყავს.

<sup>4</sup> M. J. Saint-Martin-ის დასახელებული ნაშრომი, გვ. 84.

<sup>5</sup> GOR, II, 867.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 866.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 481.

ნიშნას უყეთებს და ამბობს, რომ **اچہ قلمہ اخکلکہک** **Akhalkelek** **اچہ قلمہ** აქჩა-ე. ი. 'აქჩა-კალე ახალქალაქად წოდებული ადგილი არის'<sup>1</sup>. ამ შემთხვევაშიც თურქ მთარგმნელს „ახალქალაქი“ გააზრებული აქვს თურქულად: თ. ak 'თეთრი' - და მნიშვნელობის შემასუსტებელი აფიქსი; akça 'მოთეთრო', 'თეთრი' akça-kala იგივე 'თეთრი-ციხე'.

ამგვარად, ახალქალაქ სახელწოდება თურქებში (პაჯჯინ ხალიფა, მ. ყატა და სხვ.) იწვევს ასოციაციას თურქულ ak-ka'le, დიალექტ. ax-kala ან არადა akça-kal'e || akça-kala 'თეთრი-ციხე'სთან. გარდა ამისა „ახალქალაქი“ ზოგ ავტორთან (სენ-მარტენი, ჰამერი) გაიგივებულია, სხვათა შორის, „თეთრ-ქალაქთან“ და სხვ.

თურქული დაწერილობა ახალქალაქ სახელწოდებისა—**اخکلكہک** იძლევა: „ახალქელექ“, „ახალქალაქ“, „ახლქელექ“ წარმოთქმას<sup>2</sup>. როგორც ჰამერს აქვს შენიშნული, იტალიელ ავტორ Miuadui-ს (გვ. 81) ახალქალაქის სახელი Archikelek-ად ჰქონია გააზრებული, ხოლო Gamba-ს რუკაზე ზედმიწევნით ზუსტად ჰქონია დაწერილი ეს სახელწოდება—**Akhalkalaki**<sup>3</sup>. სავსებით ზუსტად აქვს მოცემული ახალქალაქის სახელი აგრეთვე ცნობილ თურქ ლექსიკოგრაფსა და ენციკლოპედისტს შამს-ედ-დინ სამინ-ს: **اخکلكہک**—**Akhalkalaki**<sup>4</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ქართულ წყაროებში ახალქალაქი იხსენიება: «ახალქალაქი ჯავახეთისაჲ» (ც<sup>1</sup> გ<sup>1</sup> მთ<sup>1</sup> მდლსა 328-329, მტ<sup>1</sup> ნე ქ<sup>1</sup> \*494, გვ. 267; ისტ<sup>1</sup> ნი და აზ<sup>1</sup> მნი \*651 - 652, გვ. 438); ახალქალაქის „ზღუდეთა“ შენება დაუწყევიათ ბაგრატ IV დროს (მტ<sup>1</sup> ნე ქ<sup>1</sup> \*486, გვ. 260)<sup>5</sup>.

ახალქალაქი მდებარეობს ჯავახეთის მტკვრის ან თათარაენისწყლის ნაპირას. ძველი ციხე და ქალაქი კონცხზეა, რომელიც იქმნება აქ თათარაენისწყლისა და ყირხ-ბულაღის (ორმოცი - წყაროს) შეერთების შედეგად<sup>6</sup>. ძველი ქალაქი იყო ციხის უკან, მაღალ პლატოზე. ეს ქალაქი კარგად იყო დაცული სამხრეთით და ციხე-სიმაგრით, ხოლო სხვა მხარეებიდან ბუნებრივი და ღრმა ხეობით<sup>7</sup>. თურქობის დროს ახალქალაქი ახალქალაქის ლივას (სანჯაყის) ცენტრი და სანჯაყის მმართველის რეზიდენცია იყო<sup>8</sup>.

<sup>1</sup> **ہامہر دولت عثمانیہ تاریخی** — ტ. VII, სტამბოლი, 1332 (3იჯ.), გვ. 62, შენიშვნა I.

<sup>2</sup> იხ. ზემოთ ჰამერის ტრანსკრიფიციები; შდრ. თურქული საბუთიდან აკად. ვლ. გორდ-ლევსკის მიერ ამოკითხული **Ахылкелек** (В. А. Гордлевский, Эксплоатация педр земли в Турции. Советское востоковедение, III, М.—Л., 1945, გვ. 126).

<sup>3</sup> GOR, II, 497.

<sup>4</sup> **قاموس الاعلام** — **ش. سامی**, სტამბოლი, 1306=1889 წ. I, გვ. 45. ახალქალაქზე შამს-ედ-დინ სამინ-ს სხვა ცნობები არ მოგვეყვას.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 54.

<sup>6</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, 22-23.

<sup>7</sup> И. П. Ростомов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35-37.

<sup>8</sup> П. Иселияни, Города, существовавшие и существующие в Грузия, თბილისი 1850, გვ. 25-26.

აკშეჰიჩის ნაჰიე—**اخشه چي** (I 13, 215; II 15, 213). 66. სოფ. აკშეჰიჩის ციხის რაბათი—**اخشه چي ساط قلعہ اخشه** (I 14, 239; II 16, 235). **اخشه** დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები აქვს (დედანი, გვ. 199) და, ამდენად, მისი ამოკითხულობა სწორია. ახალქალაქის ლიენს იმ ნაჰიეს, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ, „დაეთარში“ აკშეჰიჩის ნაჰიე ეწოდება. ამ ნაჰიეში შემავალი სოფლები (კარტიკამი, კულიკამი, ხულგუმო და სხვ.) მთლიანად ახალქალაქს აკრავს გარშემო და მოსალოდნელი იყო ამ ნაჰიეს ჰქონოდა ახალქალაქის სახელი, ისევე როგორც ამ ლიენს ახალქალაქის ლიენ ეწოდება. ჩვენ ბევრი ვეძებთ ამ ნაჰიეში აკშეჰიჩის სახელის მატარებელი პუნქტი. ცნობილი ისტორიკოსის ჰამერის ისტორიას დართული აქვს რუკა, რომელზედაც თითქოს ჩვენი ჯაეახეთის მიდამოებისათვის აღნიშნულია პუნქტი **Akschehr**-ი. ჩვენი თხოვნით დოც. ალ. ასლანიკაშვილმა გაარკვია, რომ **Hammer**-ის რუკის **Akschehr**-ი თანამედროვე რუკებზე **Геламис** სახელით ცნობილი პუნქტია, რომელიც არფა-გრლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და ჯაეახეთის ტერიტორიაზე არც უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ცხადი იყო, რომ „დაეთრის“ აკშეჰიჩის ნაჰიეში შემავალი სოფლების ადმინისტრაციული ცენტრი არფა-გრლის აკშეჰიჩი გეოგრაფიულად არ შეიძლება ყოფილიყო.

**اخشه**-აკშეჰიჩი-ი შედგენილი სიტყვაა: თურქ. **ak** 'თეთრი' და **სპ. اخشه** 'ქალაქი'; **اخشه** თურქული ლიტერატურული წარმოთქმით იქნება **akshir**<sup>1</sup> (ამიტომ გვაქვს ჩვენ ქართულ თარგმანში—II წ., დაბეჭდილი „აკშეჰიჩის რაიონი“). აქვე უნდა შევნიშნოთ ხაზგასმით, რომ აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში საერთოდ და კერძოდ ყოფ. „გურჯისტანის ვილაჟეთის“ ტერიტორიაზე ეს სიტყვა წარმოითქმის **axšihär**-ად, რადგანაც თურქული **ä** ქართულში ა ხმოვანს გვაძლევს (მაგალითად, არაბ.-თურქ. **sähär** 'დილა'→ქ. საარი, თ. **hüçhä**→ქ. აბგა); ამიტომ ქართულში (შეიძლება რუსულსა და სომხურშიც) **axšihär** სიტყვას უნდა მოეცა, ხმოვანთა შორის **ä** თანხმოვნის დაკარგვით, ახშაარი და ახშარიც. და მართლაც საარქივო საბუთებში ჩვენ ამ პუნქტის სახელად გვაქვს—**Рабат Када Ахшаар**, **Ахшаар или Рабат**<sup>2</sup>. რომელი პუნქტია ეს ახშაარი? რა თქმა უნდა, ეს იგივე ახალქალაქია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ახალქალაქის რაბათი, ე. ი. ახალქალაქის გამაგრებული ადგილი თავისი სამოქალაქო მოსახლეობით (რაც, ე. ი. მოსახლეობა, როგორც დავინახეთ, „დაეთრის“ შედგენის დროს ახალქალაქში თითქმის არ არის).

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ქართული გეოგრაფიული სახელწოდება „ახალქალაქ“-ი იწვევს თურქულში კონტამინაციას **ak kal'e**, დიალექტურ **axkala**-სთან. ამას გარდა, „ახალქალაქ“-მა მოგვცა აგრეთვე ლიტ. **ak+šehir**

<sup>1</sup> GOR, II, გვ. 304-305.

<sup>2</sup> **Akshir**—ცნობილი ქალაქი თურქეთში, კონიის ვილაჟეთში.

<sup>3</sup> სტია, ფ. 1012, ს. 9, გვ. 1 r, 5 r, 17 r, 40 v და სხვაგან ბევრჯერ.



→ დიალექტური *ax + šəxšir* → ქართ. -რუს. *Ахшаар*. დიალექტ. *Ахш(ш)ар* (→ *Ахшаар*) სიტყვაში „ახალქალაქ“ სიტყვის პირველი ნაწილი „ახალ“ გააზრებულია თურქ. დიალექტურ *ax* 'თეთრ' სიტყვასთან, ხოლო მეორე ნაწილი — „ქალაქ“ ითარგმნია. ამგვარად აიხსნება უთუოდ ის გარემოება, რომ ახალქალაქის ნაჰიავ-ს ნაცვლად ჩვენ გვაქვს *akšehir*-ის ნაჰიავ (= ახშაარის ნაჰიავ). არქივისეულ სიგბშიც *Агшаар*-ი გვაქვს (გვ. 17v, 13r). ამავ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ახალქალაქის ქართული სახელი დატოვებულია ლივანს (სანჯაყის) სახელწოდებად. „დაეთრის“ წიგნიდან შემდეგში ახალქალაქის ასეთი სახელების კანონიზაცია მომხდარა. ამეამად ჩვენ გვხვდება რიგი დოკუმენტებისა, თუ ვნებავთ იგივე სულთნის ბარათები (ფირჰანები), სადაც წერია: *اخذنا كلكل سنجانغند اشهر ناحيہ سندن بطر قلمه ام كره و غير يد* 'ახალქალაქის სანჯაყესა და აკშეპირის ნაჰიავში რაბატ-კალჯა'დ წოდებული სოფლისგან და სხვათაგან...' <sup>1</sup> რომ თურქობის დროს ახალქალაქს, ყოველ შემთხვევაში მის გარკვეულ ნაწილს ახშაარი ერქვა, ჩანს არქივისეული „საქმის“ ერთი საბუთიდანაც: ამ საბუთში ლაპარაკია იმაზე, რომ ქალაქ ახალქალაქს უნდა გადაეცეს ორი ნაკვეთი მიწისა ნახარკეთი და რაბათი ახშაარი. ახალციხის საფაშოს უფროსი ორანსკი 1835 წელს ახალქალაქის კომენდანტს წერს: *По предписанию моему от 23. XI... Ваше Высокоблагородие и по сие время не доставило требуемого сведения сколько именно отошло под город Ахалкалаки земли, принялся кашей капитану Мутти-беку в двух урочищах Нахарксте и Ахшааре или Рабател<sup>2</sup>. საერთოდ ამ საქმეზე დიდი მიწერ-მოწერაა; ლაპარაკია იმაზე, რომ მემამულე მუთი-ბეგს ქ. ახალქალაქისათვის საპირო ტერიტორიის — ნახარკეთისა და ახშაარის უბნების სანაცვლოდ მიეცეს მამული სხვაგან... Отдача капитану Мутти Беку урочищ Шунды и Дахванды будет составлять слишком значительное вознаграждение за землю Мутти Бека, отошедшую под город Ахалкалаки...' <sup>3</sup> აქედანაც ცხადია, რომ ახალქალაქის გარკვეულ უბანს და, როგორც ზემოთ დავინახეთ, იმ უბანს, რომლის სახელიც ახალქალაქის ლივაში შემავალ ნაჰიავს დაერქვა, ლიტერატურული წარმოთქმით აკშეპირი, ხოლო დიალექტურად ახშაარი ერქვა. დაერქვა ეს სახელი ახალქალაქის ამ უბანს, რა თქმა უნდა, თურქობის შემდეგ. ძნელია ახლა იმის გათვლისწინება, თუ რამ გამოიწვია ახალქალაქ სიტყვის დიფერენცირება ახალქალაქ-აკშეპირი || აკშჰჰჰჰ || ახშაარად და რატომ გვაქვს ლივანს სახელად „ახალქალაქი“ და ნაჰიავს სახელად ახალქალაქის ერთ-ერთი უბნის სახელი „აკშეპირ-ახშაარი“. მაგრამ ახლა საესებით ცხადად ვიცი, რომ იყო ახალქალაქის ლივა, იყო აკშეპირის ნაჰიავ; აკშეპირი-ახშაარი — ახალქალაქის რაბათთან არსებული უბანი, ცალკე საგადასახადო ერთეულადაა გამოყოფილი; ეს არის ნნ-ე ობიექტი — სოფ. აკშეპირის ციხის რაბათი, რომელშიც აღრიცხულია მხოლოდ 3*

<sup>1</sup> სტია, თურქული დოკუმენტების კოლექცია, № 49 და სხვაგან ბევრჯერ.

<sup>2</sup> სტია, ფ. 1012, ს. 9, გვ. 5r და სხვ.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 23r, 40v.

მოსახლე (II, 235). თვით ახალქალაქი კი მთლიანად, როგორც დავინახეთ, საგადასახადო ობიექტად არ არის აღრიცხული.

ახალქალაქ-აკუმპირთან დაკავშირებით საარქივო საბუთებში ხშირად იხსენიება ნახარკეთი. ამიტომ ამ პუნქტსაც ჩვენ აქვე განვიხილავთ. ამ ნაპიფეში 75-ე ნომრით აღრიცხულია სოფ. ნახარკედენი—აკუმპირის რაბათთან—ناخركيدن (I 14, 241; II 16, 237). როგორც თურქულად, ისე ქართულად კითხვის ქვეშ მაქვს დაბეჭდილი. სახელწოდების პირველ ნახევარს დიაკრიტული ნიშნები აქვს ناخري, ხოლო მეორეს—كيدن-ს, არა (დედანი, გვ. 222). ჩვენ ეს წიქვის ქვეშ, მაგრამ ნახარკედენად ამოვიკითხეთ. არქივისეულ რუსულ მასალებში ამ ყოფილი სოფლისა და „დაეთრის“ დროს უკვე ნასოფლარის სახელწოდება მარტო ერთ ფონდში შეიღჯერ მაინც გვხვდება და ყველგან Нахаркет-ია<sup>1</sup>. ზოგჯერ (იშვიათად) რუს მოხელეს Нахаркет-ის პირველი მარცვალი ნა ალბათ წინდებულად აქვს გააზრებული და ნа Харкете-ს წერს. მაგრამ საერთოდ ამ პუნქტის სახელი Нахаркет-ია. დაეთრისეულ ناخركيدن-იც შეიძლება თურქულად გააზრებული Нахаркет-ი იყოს: ناخري აღმოსავლეთ ანატოლიის დიალექტებში ცნობილი „ნახირ“ სიტყვას აღნიშნავს, كيدن gitmek ზმნის მიმღობაა—„მიმავალი“. ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ „დაეთრის“ ناخركيدن არქივისეულ საბუთებში ნახარკეთ-ად რომ იხსენიება, ეს არის იმდროინდელი ახალქალაქის მომიჯნავე ადგილი, რომელიც თურქობამდე სოფელი ყოფილა და რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში ქალაქის მიჯნაში შეაქეთ.

ხუთვერსიან რუკაზე ახალქალაქთან ძლიერ ახლო ნაჩვენები P. Д. Нахергес, ვფიქრობ, ჩვენი ნახარკეთის სახეცვლილი ფორმაა. ანით ზუსტდება ამ პუნქტის ადგილმდებარეობა.

1. სოფ. ყართა—قرتا (I 13, 215; II 15, 213). ჯავახეთში მოგზაურობის „დღიურში“ მიწერია „20. VIII-ს ღართიდან დავეშვით სოფ. მირაშხანისკენ“ და სხვაგან კიდევ ჩამოთვლილი მაქვს სოფლები: „აზმანა, ერინჯა... და ღართა“ (გვ. 21 და 22). ამრიგად, ადგილზე ამ სოფლის სახელს ღართა-დ წარმოთქვამენ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ აქ თავკიდური ყ გამგლე-რებულია და ღართა თურქიზებული ყართა უნდა იყოს. ეს მით უფრო, რომ „დაეთარში“ قرتا გვაქვს და 5-ით კი ჩვენს „დაეთარში“ ჩვეულებრივად ყ მკვეთრი გადმოიცემა ხოლმე. რუკებზე (ხუთვერსიანი და სხვ.), რომლებზედაც ს. ყართის მდებარეობა დაზუსტებულია (ქარცებისა და მირაშხანის ახლო), უკვე თურქიზებული ფორმის რუსული ტრანსკრიფციაა—Гарта, თუმცა ზოგ რუკაზე (Ур.) Карта წერია. ივ. როსტომაშვილით: «Он Саррапчи-оглы в Карзебе сообщил мне, что есть хорошая церковь в Гартен»<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სცია, ფ. 1012, ს. 8 და 9.

<sup>2</sup> И. П. Ростовов, Азизкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, 62.

ასეთივე სახელწოდებით სოფელი იყო აგრეთვე ასპინძის ნაპიეში — *اسفند*, რომელზედაც ჩვენ გარკვეული მონაცემების საფუძველზე ასეთივე აზრის დეკლარაციით, ე. ი. რომ, მიუხედავად დღევანდელი „ღართა“სი, იქაც „ყართა“ უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ცნობილია ღართა სახელწოდება<sup>1</sup>.

„დავთრის“ დროის ყართა საკმაოდ მოზრდილი—22 კომლიანი სოფელია. ამ სოფელმა ჩვენ დრომდეც მოაღწია: იგი (Iparta) ოქამ, აზმანა, მირაშხან და ქარცებთან ერთად ახალქალაქის რაიონის ოქმის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>2</sup>.

2. სოფ. ვაჩიანი—სამყრო (?) სათესველითურთ — *واچيان مع مزرعة* (?) *صاقرو* (I 13, 216; II 15, 214). ექ. თაყაიშვილი ვაჩიანს ახსენებს იმასთან დაკავშირებით, რომ ახალქალაქის ახალი ეკლესიის ეზოში ერთი წარწერიანი ქვა ვაჩიანი-დან ყოფილა მოტანილი<sup>3</sup>. ვაჩიანის რელიეფზე ი. როსტომაშვილი ამბობს, რომ *Через полчаса я был у довольно большого села Ва-чиаи, расположенного на косогоре, у огромного озера, которое скорее можно назвать болотом*<sup>4</sup>... ექ. ახალქალაქისა და ს. სულდას შუა მდებარეობს ერთი საკმაოდ დიდი სომხების სოფელი ვაჩიანი<sup>5</sup>.

ვაჩიანი ახალქალაქთან ახლოსაა. „დავთრის“ დროს 17 კომლიანი სოფელია. ამჟამად დასახლებულია არზრუმიდან გადმოსახლებულებით და ახალქალაქის რაიონში წარმოადგენს ვაჩიანის სასოფლო საბჭოს ცენტრს, რომელიც ვაჩიანის გარდა კუმურდო და კიროვო სოფლებს აერთიანებს<sup>6</sup>.

ვაჩიანთან დასახლებულია სათესველი *صاقرو*, რომელსაც სამყრო-დ ეკითხულობ კითხვითი ნიშნის ქვეშ.

3. სოფ. აფნია — *افنيا* (I 13, 217; II 15, 214). „დავთრის“ დროის აფნია საკმაოდ დიდი სოფელია, რომელშიც 35 კომლია. ამჟამად აფნია ახალქალაქის რაიონში გოგაშნის სასოფლო საბჭოში შედის გოგაშენ და დანკალ სოფლებთან ერთად<sup>7</sup>. რუკებზე აღნიშნულია გოგაშენთან ახლო. არ არის საფუძველი დავიჯეროთ მ. ჯანაშვილის მოსაზრება ამ სახელის ეტიმოლოგიის შესახებ: *Апния от глаг. пнєвѣ рассыпать, букв. рассыпан-и-и-и. ამის გარდა, а-мерети, а-магледѣ... а-пнѣна სიტყვების თავიიდური აზრ-ვანი ერთი და იმავე წარმოშობისა არ არის*<sup>8</sup>.

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 187.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 187.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ რუსულად დაბეჭდილი სია—„Ахалкалакский район“.

<sup>4</sup> МАК, XII, 25.

<sup>5</sup> И. П. Ростовов, Ахалкалакский в археологич. отношении, СМОМПК, XXV, 59.

<sup>6</sup> ე. კობტონაშვილი, მგზავრის დღიურიდან. „ივერია“, 1894, № 155.

<sup>7</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>9</sup> М. Г. Джаишвили, Этимология картвельских этнографических и географических имен, СМОМПК, 27, IV, გვ. 123.

4. სოფ. ქარცები—*كازرك* (I 13, 218; II 15, 215). ჯავახეთში მოგზაურობის დროს, 1933 წლის 20.: VIII-ს ჩვენ ქარცებშიც შევიარეთ. დავათვლიერეთ ეკლესია, რომლის წარწერაც ვადმოიწერა ნ. ბერძენიშვილმა. ამ წარწერაში მოცემულია თვით ამ სოფლის სახელიც (უთუოდ სწორი ფორმით)—ქარცებელია<sup>1</sup>. ასევე აქვს ეს ამოკითხული ი. როსტომაშვილს<sup>2</sup>, რომელიც ამ სოფლის სახელს ყველგან *Карцен*-ად წერს. მიუხედავად ამ ნათელი მდგომარეობისა, დავთრის II წიგნში ამ სოფლის სახელად ქარცაბი<sup>3</sup> მაქვს დაბეჭდილი, რაც არავითარ შემთხვევაში სწორი არ არის. მე შეცდომაში შემიყვანა „დავთრის“ *كازرك* დაწერილობამ. ჩვენ დავინახეთ, რომ ქ. ასოთი (მეღერი „ზ“) „დავთრის“ შემდგენელი გადმოსცემს ქართულ მკვეთრ წ-ს. გარდა ამისა, ამ თანხმოვანს ა ხმოვანი მოსდევს, რაც აგრეთვე სწორი არ არის. ცხადია, რომ აქ „დავთარში“ შეცდომაა დაშვებული; „ქარცების“ „ტ“ აქ „ს“ თანხმონით უნდა იყოს გადმოცემული, როგორც ეს დადასტურებულია და ადგილზე—სოფ. ქარცებში თარაქმული წარმოთქმით ჩვენ აგრეთვე ქიარსიფ გვაქვს ჩაწერილი („დღიური“, გვ. 21).

ამრიგად, ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სოფელთან, რომლის ნამდვილი ქართული სახელი ქარცები-ა<sup>4</sup>. არქივისეული სიების *Карзапет*-ი (გვ. 16v და 12v; ახჩათა რაოდენობა „დავთარშიც“ და II სიაშიც ერთნაირია— 14 630) უნდა გასწორდეს *Карцен*-ად. ი. როსტომაშვილის *Карцена* («отправился... в Карцену... გვ. 61), რა თქმა უნდა, შეცდომაა. „დავთრის“ დროის ქარცებში 54 კომლია. ამჟამად ქარცები ახალქალაქის რაიონში ოკამ და აზმანა სოფლებთან ერთად ოკმის სასოფლო საბჭოში შედის<sup>5</sup>.

5. სოფ. ოკამი—*اكام* (I 13, 219; II 15, 216). ოკომლიანი სოფელია.

„20. VIII-ს გოგაზნიდან ოკამში გავემგზავრეთ ფეხით“ („დღიური“, 20)<sup>6</sup>. ამჟამად ახალქალაქის რაიონში ოკამი, აზმანა და ქარცებ სოფლებთან ერთად, ოკმის სასოფლო საბჭოში შედის<sup>7</sup>.

6. სოფ. გავაშენი—*كواشين* (I 13, 219; II 15, 217). „გავაშენი ნასოფლარია ხოსპიასა და ხორენიას შუა“ (ნიკ. ნათენაძე). „დღიურში“ ჩაწერილი მაქვს, რომ „ლულალისის ვაღმა არის ნანგრევი სოფ. გავაშენი“ (იხ. რუკაზე). 1857 წლის ერთ საბუთში იხსენიება *Пустоши Аблар, Каркет и Гавашен*, როგორც მამულები „ალალართაგან შთამომავალის მელქონ ხოჯაევანოვისა“<sup>8</sup>.

<sup>1</sup> И. П. Ростовов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61.

<sup>2</sup> ი. როსტომაშვილის ცნობით, ქარცები მანა-პაპუელი ადგილი ყოფილა ქართველი-მამადიანის იმეანელ სარაფნიოლისა და ქართველ აზნაურთა მუსხელიშვილებისა (შეიძლება ეს სარაფნი-ოღლებიც მუსხელიშვილები იყვნენ), И. П. Ростовов, დასახელებული ნაშრომი, 61.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 20.

<sup>4</sup> ოკამზე ცნობები იხ. აგრეთვე ი. როსტომაშვილის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 60.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 20.

<sup>6</sup> სცია, ფ. 74, ს. 48.

„დავთრის“ დროის გავაშენი 27 კომლიანი სოფელია, რომელიც შემდეგ გაუქაცრიელბულა.

არქივისეული სიების Коташен-ი (16v, 12v) შეცდომაა და უნდა გასწორდეს.

7. სოფ. ქილდა—**كلا** (I 13, 220; II 15, 218). ხალხურ ლექსში ქილდაზე ნათქვამია: „გამოვიარე ქილდასაო, ვირს ეტყვიან ქირვასაო“<sup>1</sup>.

ქილდა ახალქალაქის რაიონში ჩუნჩხა და პტენა სოფლებთან ერთად ჩუნჩხის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>2</sup>. ამჟამად ქილდელები ოკაშში გადასახლდნენ. ქილდას მდებარეობა ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე ცნობილია.

8. სოფ. ქვემო ხოსპია—**خوسپيا سفلى** (I 13, 221; II 15, 218). 43. სოფ. ზემო ხოსპია—**خوسپيا على** (I 14, 237; II 15, 233). „დავთრის“

ქვემო და ზემო ხოსპია ჩვენს დროში დიდ და პატარა ხოსპიად იწოდებოდნენ. ვგონებ „დავთრის“ ქვემო ხოსპია მერმინდელი დიდი ხოსპიაა, ხოლო ზემო ხოსპია—მერმინდელი პატარა ხოსპია.

„ღლიურში“ ჩაწერილი მაქვს „დიდი ხოსპია და პატარა ხოსპია“. ამ უკანასკნელს (პატარა ხოსპიას) საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაერქვა მარტენი<sup>3</sup>. ყოფ. პატარა ხოსპია, აწინდელი მარტენი თაფარენის წყლის მარჯვენა ნაპირზეა, ხოლო ყოფ. დიდი ხოსპია—აწ ხოსპიად წოდებული,—ამავე წყლის მარცხენა მხარეზეა<sup>4</sup>. ადგილზე ხოსპიოც იმბარება<sup>5</sup> და შესაძლებელია ეს უფრო სწორი და ქართული სახელი იყოს, თუმცა ვახუშტის ინდექსში ხოსპია (გვ. 42v). თურქულ წარმოთქმაში პირველი მარცვლის შემდეგ ო ხმოვანი „ა“ში გადადის (კუმურდა, ხულგუმა და სხვ.). ხოსპია სოფლების მდებარეობის დასახულებლად და საერთოდ დასახასიათებლად მნიშვნელოვანია ი. როსტომაშვილის და ლ. ზაგურსკის ცნობები: Селение Хоспио лежит к югу от гор. Ахалкалак, в 4-х верстах от него, расположившись по обоим берегам р. Гапараванки<sup>6</sup>. Мы проехали мимо... деревни, Хоспию, в которой татарская часть селения отделяется от армянской речкою Топорованкою. За деревнею, подле дороги татарское кладбище, а на нем надгробный памятник на могилах Дәда-бека (сдавшею Ахалшихскую крепость Паскевичу) и его брата<sup>7</sup>. რუსულ მსხვილმასშტაბიან რუკებზე Хоспия ყველგან აღნიშნულია.

„დავთრის“ ქვემო ხოსპიაში 16 კომლია აღრიცხული, ხოლო ზემოში—9. ამჟამად ახალქალაქის რაიონში ხოსპია („დავთრის“ ქვემო ხოსპია, მერ-

<sup>1</sup> ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 126; kirva (ქრისტიანებში) 'ნათლია' (იქვე).

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია — „Ахалкалакский район“. ქილდაზე იხ. აგრეთვე: მზაურის შენიშვნები: მზაურობა მტკვრის აუოლებით—ბორჯომის ხეობა—კარი სამცხე-საათაბაგოსი, „ივერია“, 1882, № 4-5.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 20.

<sup>4</sup> ასე აქვს (Хоспио) ი. როსტომაშვილსაც (დასახელებული ნაშრომი, გვ. 118).

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> Л. Загурский, Краткий очерк о поселке в Ахалшихский уезд в 1872 г. „Изд. КОИРГО“, II, № 2, გვ. 59.

შინდელი დიდი ხოსპია) და მარტუნი (სომხურად მარდუნი, „დავთრის“ ზემო ხოსპია, მერმინდელი პატარა ხოსპია) მურჯახეთ და დიდ ხორენია სოფლებთან ერთად მარტუნის სასოფლო საბჭოში შედის<sup>1</sup>.

9. სოფ. ჯიგრაშენი — جگره شين (I 13, 221; II 15, 219). სოფ. ჯიგრაშენზე შემდეგი საკირო ცნობებია: ჯიგრაშენი მდებარეობს ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქალაქიდან 9 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>. ხორენიდან 4 ვერსის მანძილზე სოფ. ჯიგრაშენი მდებარეობს<sup>3</sup>. ზოგ საბუთებში არმენიზებული ДЖИГРАШЕН ფორმებიც გვხვდება<sup>4</sup>. ეშტია და ყაურმის სანახებში რუსულ რუკებზე ДЖИГРАШЕН-ი ყველგანაა აღნიშნული.

„დავთრის“ ჯიგრაშენში 16 კომლია. 1835 წ. ქაქარაქის სანჯაყის სოფ. ხაიდან სოფ. ჯიგრაშენში გადმოსახლდა 3 კომლი<sup>5</sup>. ამგვარად ჯიგრაშენი ბოგდანოვკის რაიონში ჯიგრაშენის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც ყაურმა და პატარა ხორენიას აერთიანებს<sup>6</sup>.

10. სოფ. დიდი მაქატია — بزرگ محادي (I 13, 222; II 15, 219), 21. სოფ. პატარა მაქატია — كوچك محادي (I 13, 227; II 15, 224). ამგვარად მაჯადიას ოფიციალურად მაქატიას ეძახიან<sup>7</sup>. პ. მაზნიაშვილმაც ქართულად მაქატია არისო. ეს სწორი უნდა იყოს, რადგანაც სომხების წარმოთქმით მაჯადია-ა. სომხური „მაჯადია“ და „დავთრის“ محادي — ქართული „მაქატია“ს არმენიზებული და თურქიზებული ფორმა უნდა იყოს. არქივისეული სიების Межеда и Бузрук (16v და 12v) და Межеда и Кучук (16v და 12v) უნდა სათანადოდ შესწორდეს.

1830 წლის ერთ საბუთში სოფ. მაქატია და თვით ახალქალაქიც გაუქაცარიელებული ჩანს<sup>8</sup>. 1846 წელს კი მაქატიაში გადასახლებას ითხოვენ სოფ. წყალთბილის მცხოვრებნი<sup>9</sup>. ამავე დროის გასული საუკუნის 30-იანი წლების ერთ საბუთში დიდი მაქატია ცარიელ სოფლადაა დასახელებული და ნათქვამია, რომ ქ. ახალციხიდან ერთი საათის სასვლელზე არისო<sup>10</sup>.

„დავთრის“ დროის დიდ მაქატიაში 18 კომლია, პატარაში კი — 5. გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების საბუთებში იხსენიება აგრეთვე ორი მაქატია: ساجطيه (მაქატეები — მრავლ. რიცხვში) და كى ساجطيه (ორი მაქატია)<sup>11</sup>.

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 20.

<sup>2</sup> ი. როსტომაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. 33.

<sup>4</sup> სცია, ფ. 77, ს. 23, გვ. 12v; ფ. 74, ს. 19.

<sup>5</sup> სცია, ფ. 1012, ს. 3, გვ. 103r, 108r.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>7</sup> იქვე, 19; აგრეთვე, ვაზ. „კომუნისტი“, 1940 წ. 4. IX-ის ნომერში, გვ. 2.

<sup>8</sup> სცია, ფ. 74, ს. 18, გვ. 1r.

<sup>9</sup> იქვე, ს. 14, გვ. 1r.

<sup>10</sup> იქვე, 77, ს. 48, 10v.

<sup>11</sup> იქვე, ფ. 47, ს. 61, გვ. 2r, 7v.

მაჰატიებში არზრუმიდან გადმოსახლებულთა დაბინადრების შემდეგ უკვე ერთი მაჰატია ჩანს. ამჟამად ადმინისტრაციული დაყოფის თეალსაზრისით მაჰატიის ვითარება ასეთია: მთავრობის დადგენილებით „არაგვის სასოფლო საბჭოს გამოყოფა სოფლები მაჰატია, კორხი და თოთხამი, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს—სოფ. ოლავერდი და შეიქმნა ნათგან მაჰატიის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მაჰატიაში“<sup>1</sup>.

11. სოფ. არაკონი (?)—*არაკონ* (I 13, 222; II 15, 220). თანამედროვე ჯავახეთში ამ სოფლის იდენტური პუნქტის მოძებნა გაჭირდა. სახელწოდების პირველი ნახევარი *არაკონ*—*არაკონ*, ეთქვათ, სწორია. მეორე ნაწილი *კონ* შეიძლება იყოს:—*კონ*, -*კვენ*, -*გონ*, -*გვენ*, -*ქონ*, -*ქვენ*. ზემოთ აღთუნკალყას ნაჰიეში ჩვენ განვიხილეთ გეოგრაფიული სახელი *ადიგვენ*<sup>2</sup>, რომლის თურქული დაწერილობა *ადიგონ*, ე. ი. დაწერილობის მეორე ნახევარი *კონ* იქ უღრდა გვენ-ს (*ადიგონ*=*ადიგვენ*). *კონ* აქაც, *არაკონ*-ში გვენ-ს თუ უღრის, მაშინ *არაკონ*-მა უნდა მოგვეცეს *არაკვენ*-ი, *არაკონ*-ი და *არაკონ*-ი. ასეთი სახელით პუნქტები არ ჩანან. საკითხის გადაწყვეტა ახალი მასალების გამოჩენამდე უნდა გადავდოთ. არქივისეული სიგების *Аракун* (16v) და *Оракун* (12v) საკითხის გარკვევას ხელს ვერ უწყობენ.

„დაეთრის“ არაკონი (?) პატარა ექვსკომლიანი სოფელია.

12. სოფ. ნაქალაქევი—*ნაკალაქევი* (I 13, 223; II 15, 220). „დაეთარში“ ნაქალაქევის სახელით ცნობილი პუნქტი სამჯერ გვხვდება: 1. ახალქალაქის ლივანს აკშეპირის ნაჰიეში მე-12 ნომრად, 2. დიდი არტანის ლივანს ტყიანან ტყე-ნაჰიეში 22-ე სოფლად აწერილია ქვემო ნაქალაქევი (II, გვ. 475) და 3. იმავე ნაჰიეში 47-ე ნომრით ზემო ნაქალაქევი მოდის (II, 484); ამათგან აქ განსახილველი ნაქალაქევი—ჯავახეთის ნაქალაქევი, ხოლო ქვემო და ზემო ნაქალაქევი ერუშეთის ნაქალაქევი, რომელსაც ჩვენ თავის დროზე განვიხილავთ.

ეს ჯავახეთის ნაქალაქევი ჩანს 1848 წლის ერთ საბუთში, რომელშიც მაზრის უფროსი ეკითხება ხერთვისის უზნის უფროსს, იცის მან თუ არა რომ კოლლექსი რეგისტრატორმა ყანდინოვმა სოფ. ნაქალაქევი კერძო მო, რიგებით მიყიდა ახალქალაქელ დადაბეგს და სხვ.<sup>3</sup> «На этом [варданском] пути встречались: сначала обширное старое укрепление Хертвисш, потом—развалины города Накалакеви...»<sup>4</sup> „21. VIII-ს (1933 წ.) სოფ. წუნდიდან გადავდით ნაქალაქევი, სადაც ჩვენ ძლიერ თავაზიანად მიგვიღო ადგილობრივ მომუშავე ექიმმა ალ. ლომდარიძემ. მან ჩვენ შეგვიქმნა შესანიშნავი პირობები იმისათვის, რომ ადგილობრივ მკვიდრთაგან შეგვეკრიბა ჩვენთვის

<sup>1</sup> გახ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII-ის № 176 (9030).

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, გვ. 159.

<sup>3</sup> სცია, ფ. 73, ს. 93, გვ. 6რ.

<sup>4</sup> Д. Вакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 29.

საქირო ცნობები გეოგრაფიული ნომენკლატურისა თუ პუნქტების გეოგრაფიულად განლაგების შესახებ\* („დღიური“, გვ. 23).

„დაეთრის“ ნაქალაქევი პატარა, შეიღკომლიანი სოფელია. ამჟამად ასპინძის რაიონში სოფ. ნაქალაქევი სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც ნაქალაქევი და თმოგვი სოფლებს აერთიანებს.

არქივისეული სიების *Накличко* (16v, 12v) „დაეთარში“ *كو اكا* დაწერილობის უპასუხისმგებლოდ ამოკითხვის ნიმუშია.

13. სოფ. დიდი დაეხანდა—*كركر: اناخا* (I 13, 223; II 15, 220).

44. სოფ. პატარა დაეხანდა—სოფ. დიდ დაეხანდასთან—*كو اناخا* (I 14, 237; II 15, 233). ნაქალაქევიში ყოფნისას „დღიურში“ ჩამიწერია: „ჩილდასა და კუმურდოს შუა არის ხარაბა დაეხანდა“ (გვ. 23). ნ. ნათენაძისა და პ. მაზნიაშვილის მიხედვითაც „დაეხანდა—ნასოფლარია ქილდის გვერდში“. ასე მაქვს ცნობები ადგილიდან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სოფლის (სოფლების) სახელი დაეხანდა ნამდვილი ქართული სახელია. სათიქრებელია, რომ „დაეთრის“ დაეხანდა უფრო სწორია, ვიდრე მეტათეზისიანი „დაეხანდა“ (ჩვენ ვიცი, რომ „დაეთრის“ შემდგენელი ცდილობს ზუსტად ჩაწეროს საკუთარი სახელები). ისიც შეიძლება, რომ დაეხანდა თურქიზებული ფორმაა და ქართული ტაეხანტა იყო. ქართულ მასალებში ამ სოფლის სახელი ჩვენ არ შეგვხვდა.

საარქივო მასალებშიც არის საინტერესო ცნობები ამ სოფლებზე, ოღონდ ქართული სახელის აღდგენისათვის ესენი უვარგისია: ...пустопорожняя земля при деревнях, прежде бывших, ныне разоренных—Малая Дахванда, примерно 10 верст от Ахалкалак<sup>1</sup>; აგრეთვე: ...пространство земель ..разоренных двух деревень большая и малая Дахванда, отсужденных в казну от Капдинова и предоставленных жителям дер. Кумурдо...<sup>2</sup> იხსენიება კიდევ, რომ სოფლები დაეხანდა, ქუჩუქ დარეხანდა სხვა სოფლებთან ერთად ჩამოერთვა ივანე ყანდინოვს და გადაეცა ხაზინას...<sup>3</sup>

ამრიგად, „დაეთრის“ დროს არსებულა დაეხანდას სახელწოდებით ორი პუნქტი: სოფ. დიდი დაეხანდა, რომელშიც 7 კომლია ნაჩვენები და სოფ. პატარა დაეხანდა, რომელიც უკვე გაუკაცრიელებულადაა აღრიცხული და მითითებულია, რომ ის დიდ დაეხანდასთან მდებარეობს. თანამედროვე მოსახლეობა ამ პუნქტებს დაეხანდას ეძახის და დღეს დიდი დაეხანდაც ნასოფლარია. მდებარეობა ამ პუნქტებისა ზუსტად ცნობილია, რუკებზედაც აღნიშნულია: P. D. Taxunta (ხუთვერსიანი) და Ур. Taxunta (სხვა რუკებზე).

14. სოფ. კორხი—*كوركور* (I 13, 224; II 15, 221). ვახუშტის თავის ატლასსა და ინდექსში ამ პუნქტის სახელად კორხი აქვს (ინდექსი, გვ. 33r); Description-ისაღმე დათულ რუკაზე Khorkhi-ა, რაც ხორხ-ს უდრის. ასეთი სახელწოდებით კიდევ არის „დაეთარში“ აღრიცხული ერთი პუნქტი: უკაც-

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 22 v.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 41, ს. 63, გვ. 7 r, 8 v.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 73, ს. 114-ა, გვ. 1r და სხვაგანაც.



რიელი სოფ. კორხი كورخ სულდასთან ჩრდილის ლივანს ქანარბელის ნაჰიჯეში (I 295; II 288). ვახუშტის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ამ პუნქტის ქართული სახელი ყორხი უნდა ყოფილიყო. ოლონდ აქ იქმნება ერთი დაბრკოლება: თურქულში ყ თანხმოვანი უპირატესად ც-ით არის ხოლმე გადმოცემული. იშვიათად მეღერი გ-ნითაც, და ამდენად „დაეთრისეულ“ كورخ-ში თავიკიდური ქ ქართულ კ-ს უნდა გამოხატავდეს და ისიც საფიქრებელია, რომ ქართულში ყორხი ყოფილიყო. არქივისეულ სიებშიც გვაქვს Курх-ი (16v, 12v), რომელშიც ხმოვანი ო უნდა იყოს. საარქივო მასალებში ყველგან გვაქვს Корх-ი<sup>1</sup>, რომელშიც კ შეიძლება ქართული „კ“-ც იყოს და „ყ“-ც.

ამრიგად, „დაეთრისეული“ كورخ-ი ქართულში ყორხს გულისხმობს; ვახუშტისეული ყორხი თუ სწორია, „დაეთარში“ كورخ-ი, ან كورخ-ი უნდა გვეკონოდა; არქივის საბუთებში რუსულად Корх-ი გვაქვს, ხოლო თურქულად كورخ-ი<sup>2</sup>.

მეორე მხრივ, საინტერესოა პაეღე ინგოროყვას მოსაზრება, რომ ეს სახელწოდება უნდა მოდიოდეს ყორხ—სიტყვისაგან, რომელსაც ანატომიური მნიშვნელობის გარდა უნდა ჰქონოდა აგრეთვე გეოგრაფიული გაგებაც—‘უღელტეხილი’, ისევე როგორც ‘ყელი’ ‘უღელტეხილსაც’ აღნიშნავს (შდრ. საქართველოს ყელი || Girei bogazi). ამ მოსაზრებასაც ხედება დაბრკოლება. ცნობილია, რომ ქართულის კ ბგერამ თანამედროვე ქართულში ხ მოგვეცა. ამიტომ ყორხს ამ შემთხვევაშიც, ე. ი. გეოგრაფიული გაგებითაც ხორხი უნდა მოეცა და, სხვათა შორის, ასეცა ეს სიტყვა ტრანსკრიბირებული Description-ისადმი დართულ რუკაზე—Khorkh-ი (ბროსე ხ-ს ჩვეულებრივად k და h ასოთა კომბინაციით გადმოსცემს. იხ. ამავე რუკაზე Akhal-Kalaki, Khizabavra და სხვ.). მაგრამ „ხორხი“ც არ დასტურდება; ამ შემთხვევაში საკიროა დამატებით მასალებს დაველოდოთ.

P. A. Корх ხუთეფრსიანზე (და სხვაგანაც) აღნიშნულია მთა Корх-ისთან მდებარედ (ამ მთაზე იქნებოდა ‘გადასასვლელი’, ‘ყელი’, ‘ხორხი’).

„დაეთრის“ კორხი 19 კომლიანი სოფელია. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით არაგვის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები მაქატია, კორხი და თოთხაში, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს—სოფელი ოლავერდი და შეიქმნა მათგან მაქატიის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. მაქატიაში<sup>3</sup>.

15. სოფ. სხალთა სოფ. დიდ და პატარა მაქატიასთან—سخت مکت. (I 13, 224; II 15, 221). II წიგნში ეს დაწერილობა ამოუკითხავად გვაქვს დატოვებული, ხოლო I-ში დაწერილობას კითხვითი ნიშნის ქვეშ დასმულია აქვს დიაკრიტიული ნიშნები. დაწერილობა ერთივე შეხედვით თითქოს სხალთა-დ გინდა წაიკითხო, მაგრამ ზურგს რომ დამადასტურებელი მასალა ვერ-

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10v; იქვე, ს. 52, გვ. 2r და სხვ.

<sup>2</sup> სცია, ფ. 47, ს. 61, გვ. 2r, 3r, 7v, 10r.

<sup>3</sup> ვახ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII-ის № 176, (9030), გვ. 1.

გიმაგრებს, თავის შეკავებას არჩევ. ეს მით უფრო, რომ **ახალ** დაწერილობა სხეანაირადაც შეიძლება წაკითხულ იქნეს.

უკვე I და II წიგნების გამოცემის შემდგომ არქივისეულ მასალებში ჩვენ შეგვხვდა საბუთი, რომელშიც სპეციალურად ჩამოთვლილია სოფლები «прежде бывшие, ныне разоренные»<sup>1</sup>. ამ საბუთში ნასოფლარ დიდ დახეანდასთან ჩაწერილია ნასოფლარი **С х а л т а**, რომელიც, როგორც კონტექსტის (სოფლების გარემოცვა საბუთსა და „დავთარში“), ისე დაწერილობისა და სხალთა სიტყვის თანხედენილობის თვალსაზრისით, ეკვს არ იწვევს, რომ ეს სწორედ **ახალ**-ა.

არქივისეულ სიებში თურქიზებულიად **Спхалта**-ა გადმოცემული (გვ. 16v, 12v). არქივის ერთ საბუთში კიდევ ამ ზონისათვის დასახელებულია **пусто-порожняя деревня С х а л т а**<sup>2</sup>. რუკებზე სხალთა აღნიშნული არაა, მაგრამ „დავთარში“ იგი ნაჩვენებია მაკატაისთან. ამდენად **სხალთა**-ს ნანგრევები მაკატაის სანახებში უნდა დაიძებნოს (ერთ ადგილას ამ პუნქტის სახელად ჩამიწერია წყალთა, რაც სწორი არ უნდა იყოს).

16. სოფ. **კუმურდო** — **کوموردو** (I 13, 225; II 15, 222). ეს არის საყოველთაოდ ცნობილი **კუმურდო** — „საეპისკოპოსო საჯდომი დიდებულის საყდრითურთ“<sup>3</sup>. მოვიყვან აქ მოკლედ ორი ცნობილი მეცნიერის ცნობებს, რომლებიც ფრიადსაქიროა სოფ. **კუმურდოს** მდებარეობისა და ისტორიული მნიშვნელობის გასათვალისწინებლად. **Кумурдский храм лежит на возвышенном ахалкалакской плоскости, в 50 верстах от г. Ахалциха, в селении того-же имени, населенном 60-ю дворами армян, выселившихся в 1829 г. из Эрзерума...**<sup>4</sup> ექ. თაყაიშვილით: **Катодральным собором для всей Джаваххетской области в старину служил Кумурдский храм, который лежит теперь в развалинах в 12 перстах от г. Ахалкалаки и к юго-западу от него, в селении Кумурдо...**<sup>5</sup>

**კუმურდო** ბევრ ძველ ძეგლში იხსენიება და მისი სახელწოდების სისწორე ეკვს არ იწვევს (Сопсурдо. მ. ბროსე, Reports... II, 166). ოლონდ, როგორც ზემოთაც რამდენიმეჯერ ითქვა<sup>6</sup>, თურქულისათვის უჩვეულოა სიტყვაში პირველი მარცვლის შემდეგ ო ხმოვანი, რომელიც ნასესხებ სიტყვებში სხვა ხმოვნით შეიცვლება ხოლმე (ქართ. თორთომი → თ. თორთუმი, ქ. კორობ → თ. სოუსი და სხვ.). **კუმურდოს** თურქული ტრანსკრიფციის ბოლოში **ც** ასო ზის და, რადგანაც მე მინდოდა მკითხველისათვის მიმეწოდებინა სიტყვა ისე, როგორც ამას თურქი წარმოთქვამდა, II წიგნში (დედნის შესაბამისად, იხ.

<sup>1</sup> სცია, ფ. 77. ს. 48, გვ. 22r.

<sup>2</sup> სცია, ფ. 1012, ს. 15, გვ. 20v; ს. 20. გვ. 9r.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 54.

<sup>4</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 69.

<sup>5</sup> МАК, XII, 35; აგრეთვე: И. П. Ростомов, დასახელებული ნაწარმი, 79-80; იხ.

აგრეთვე: სოფ. **კუმურდო** და მისი დიდებული ნაშთი. „მოგზაური“, 1901, № 2.

<sup>6</sup> აქვე, გვ. 97-98, 163.

დედანი გვ. 206) I წიგნის *كوسو*-ს მიხედვით „კუმურდი“ მაქვს დაბე-  
ქდილი. ამის გამოძახილია ალბათ ისიც, რომ ზოგი ამ ბოლოკიდურ ც ასოს-  
ად კითხულობდა. არქივისეული I სიის *Кумурта* (გვ. 16v) და *Кумурта-ც*  
გვაქვს<sup>1</sup>.

აქვე არ შენიძლია არ აღვნიშნო ის სიკრელე და, განსაკუთრებით, ის-  
დამახინჯებანი, რომელიც ჩვენ გვაქვს ამ პირველხარისხოვან ისტორიულ  
ძეგლთან დაკავშირებული და დიდად ცნობილი სოფლის სახელწოდების დაწე-  
რილობაში. ქართული სახელწოდებების დამახინჯებები საარქივო მასალებში,  
რომელთა ავტორებმა ქართული ენა არ იცოდნენ, ასე თუ ისე გასაგებია.  
მაგრამ მიუტყვებელ დაუდევრობად უნდა ჩათვალოს, როდესაც ყოველდღი-  
ური ქართული პრესა ეროვნულ სახელწოდებებს ამახინჯებს. გაზეთ „კომუ-  
ნისტში“ სოფ. კუმურდოს სახელი ასე იბეჭდება — „გუმურდო“ (20.I.1955),  
„გუმბურდო“ (4. IX. 1940, გვ. 2), „გუმბურდო“ (1948 წ. 27 VIII-ს № 170,  
გვ. 3); „სახალხო განათლება“ში — „გუმბურდოს რეაწლიან და სხვა სკოლებზე“  
(17. XI. 1954 წ.); „Заря Востока“-ში — *Гумурдо* (3. В. № 178, 5. IX. 1948,  
გვ. 3 და № 139 (8099) 15.VI.1951, გვ. 1).

„დავთრის“ დროის კუმურდო 20 კომლიან სოფლადაა აღრიცხული.  
ამჟამად სოფ. კუმურდო ახალქალაქის რაიონში ვაჩიან და კიროვ (ძველად —  
ზრესკ) სოფლებთან ერთად ვაჩიანის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>.

კუმურდოსთან აღრიცხულია კუმურდო-დვე წოდებული ჩაირი, რო-  
მელიც ვარდისუბან<sup>3</sup> და დღევ<sup>4</sup> სოფლებს შუა მდებარეობს.

17. სოფ. გომი — *گوم* (I 13, 225; II 15, 222). საქართველოში გომის  
სახელწოდების საკმაოდ ბევრი გეოგრაფიული პუნქტია; ხერთვისის გომი  
(II, 185), ნიალისყურის გომი (II, 253), ახალქალაქის გომი (II, 222), კასპის  
გომი, ონის გომი, ხაშურის გომი, მახარაძის (ყ. ოზურგეთის) გომი, სამტრე-  
დიის გომი და აქედან წარმონაქმნი გომისჯვარი, გომნატეხები და სხვ.<sup>5</sup>  
გომ სიტყვას, როგორც საზოგადო სახელს, „მსხვილფეხა რქიანი საქონლის  
საზამთრო (მიწური) სადგომის“<sup>6</sup> მნიშვნელობა აქვს. ხოლო საქართველოს  
სოფლის მეურნეობაში მესაქონლეობის ხვედრითი წონა განსაზღვრავს უკვე  
ამ გომ სიტყვის გავრცელებას დასახლებულ პუნქტთა საკუთარ სახელად.

ახალქალაქის გომი „დავთრის“ დროს საკმაოდ მოზრდილი, 25 კომ-  
ლიანი სოფელია. არქივისეული საბუთების მიხედვით 1863 წელს სოფ. გომი  
ჯერ კიდევ დასახლებული სოფელია. ამაზე მეტი; ამ საბუთში ორი გომი-ა  
დასახლებული — *Большой Гом* და *Малой Гом*. ოღონდ პატარა გომი  
უკვე გაუქაცრიელებულადაა ნაჩვენები<sup>7</sup>. შესაძლებელია „დავთრის“ შემდგომ  
საუკუნეებში ამ გომს დიდი გომი შეერქვა, ხოლო პატარა გომი

<sup>1</sup> სცია, ფ. 1012, ს. 18, გვ. 3r.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

<sup>3</sup> ცნობები ვარდისუბნისა და დღევს შესახებ იხ. ქვემოთ — „ჩრდილის ლეივს ქანარ-  
ბელის ნაპიე“, № 20 და 22.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 173 (საძიებელი).

<sup>5</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბილისი, 1951, გვ. 1470.

<sup>6</sup> სცია, ფ. 41, ს. 51, გვ. 1r.

იმ გომს, რომელიც ამავე აკშეპირის ნაჰიეში ძველ გომ-ად არის აღრიცხული (II, 238)<sup>1</sup>. იმავე (არქივისეული) საბუთიდან ჩანს, რომ სოფ. არაგვისა და დიდ გომს შორის დაეა გამართული დაუსახლებელი პუნქტის პატარა გომის მიწების თაობაზე: Жители Ахалкалакского участка деревни Арагвы подали мне прошение о возвращении им половинной части пустоши Малой Гом, состоящей в пользовании жителей деревни Большой Гом и земель, присвоенных помещиками... და სხვ.<sup>2</sup> სოფ. არაგვისთან დაკავშირებით დიდი და პატარა გომი იხსენიება აგრეთვე 1832 წლის საბუთში<sup>3</sup>. ჩვენ კიდევ მოვიყვანთ ერთ საარქივო ცნობას, რომელიც ძლიერ აზუსტებს ორთავე გომის არსებობასაც და მდებარეობასაც: Большой Гом (пустопорожняя земля, удобная для хлебопашества)—2<sup>1</sup>/<sub>2</sub> часа езды от Ахалкалак; Малый Гом (пустопорожняя земля)—2 часа езды от Ахалкалак<sup>4</sup>. კ. ზისერმანს გომი დასახლებული აქვს ოლავერდის წყალზე მდებარედ და 1870 წ. 51 კომლიან სოფლად (გვ. 31):

მაშასადამე, გომის სახელით აკშეპირის ნაჰიეში „დავთრის“ დროს ცნობილი იყო 25 კომლიანი სოფელი და ძველი გომის სახელით კიდევ გაუაკრიელებული სოფელი. XIX საუკუნის საარქივო მასალების მიხედვით კი ახალქალაქის უბანში გომის სახელით უკვე ორი სოფელია—დიდი და პატარა გომი. ვფიქრობ დიდი გომი „დავთრის“ გომის იდენტური პუნქტია, ხოლო ძველი გომი პატარა გომისა. ახალქალაქის არც ერთ გომს ჩვენ დრომდე დასახლებულად არ მოუღწევია, თუ ოლავერდიდან 3 კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფ. გომანი<sup>5</sup> ორთავე გომის შეერთებისაგან მიღებული სოფელი არ არის: გომ-ნი→(არაქართველთა მეტყველებაში) გომ-ა-ნი.

18. სოფ. ოლავერდი—اولاگرد (II 13, 226; II 15, 223) „დავთრის“ დროს საკმაოდ დიდი, 27 კომლიანი სოფელია. შემდეგ ოლავერდი გაუაკრიელებულა, როგორც ერთი საბუთიდან ჩანს: Улаверд<sup>6</sup> (пустопорожняя земля, удобная для хлебопашества) 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> часа езды от Ахалкалак<sup>7</sup>. მაგრამ კ. ზისერმანით 1870 წ. მასში 30 კომლიანი მოსახლეობაა (გვ. 31), ხოლო ჩვენ დროს ოლავერდი (ახალქალაქიდან დაახლოებით 9 კილომეტრზე) კვლავ დასახლებული სოფელია: „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით არაგვის სასოფლო საბჭოს გამოყოფილი სოფლები მაჭატია, კორხი და თოთხამი, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს—სოფელ ოლავერ-

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ, სოფ. № 78.

<sup>2</sup> სცია, ფ. 41, ს. 51, გვ. 1r.

<sup>3</sup> სცია, ფ. 1012, ს. 15, გვ. 20r.

<sup>4</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10r. სამწუხაროდ ამ საბუთებით სარგებლობისას თარიღი არ გადმომიწერია.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 19.

<sup>6</sup> იგივე ოლავერდია; თურქულ დამწერლობაში უ და ო ერთი და იმავე ნიშნით გამოიხატება.

<sup>7</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10v.

დი და შეიქმნა მათგან მაქატიის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მაქატიამი<sup>1</sup>.

19. სოფ. ხულგუმო — خولگو (I 13, 227; II 15, 224). II წიგნში ხულგუმოა დაბეჭდილი იმ მიზეზით, რომ თურქულმა პირველი მარცვლის შემდეგ ღია ბაგისმიერი ხმოვანი არ იცის. ი. ნებიერიძეს ხულგუმო აქვს<sup>2</sup>.

ამავე ნებიერიძეს მეტად საყურადღებო ცნობა აქვს ხულგუმო სოფლის მოსახლეთა შესახებ. ის წერს: „ამ რუსობის დროს ველიის სოფლიდან მთელი კათოლიკე ველელები გარდმოსახდნენ ახალქალაქის მაზრაში, და დასახლდნენ სოფლებში კარდიკამს, ბაერას, ხულგუმოს და სხვ.“<sup>3</sup> ამრიგად ირკვევა, რომ ახალქალაქთან ძლიერ ახლო მდებარე კარტიკამ, ბაერა და ხულგუმო სოფლებში ბინადარი კათოლიკეები ველიიდან გადმოსახლებულან, სოფ. ველი კი დიდი არტანის ლიეას ტყე-ნაპიეში მდებარეობს (II, 464)<sup>4</sup>.

ლ. ზაგურსკიც ადასტურებს ბაერელ, ხულგუმოელ და კარტიკამელ კათოლიკეთა გადმოსახლებას არტანის სოფ. ველიდან. ლ. ზაგურსკი ამ ცნობას იმასაც დასძენს, რომ ეს ველელი ქართველი კათოლიკეები უფრო ადრე სოფ. დვირში (აწინდელი ბორჯომის რ-ნი) ცხოვრობდნენ. თავდასხმებისა და ძარცვისათვის რომ თავი დაეღწიათ, დვირის მოსახლეობა უფრო ადრე გადასახლებულა ველში, სადაც მას მშობლიური (ქართული) ენა დაუკარგავს<sup>5</sup>.

ჯეაბხეთში მოგზაურობის დროს ნ. ბერძენიშვილი და მე ამ სოფელში იყავით 2.VIII-ს (1933). აქ ცხოვრობენ ე. წ. კათოლიკეები, რომლებიც შინ და გარეთ თურქულად ლაპარაკობენ. ი. ნებიერიძის მოწმობით ესენი ველიდან არიან გადმოსახლებულნი და, ამდენად, ქართველები უნდა იყვნენ. „11.VIII-ს როდიონოვიდან (ფარვანიდან) მივედით სოფ. ტამბოვკაში (ძველი ჭაქკა). გაჭერდით დუხობორ პერეპიოლინის სახლში. ამ ტამბოვკის იქვე გვერდით დაახლოებით 1925 წელს ხულგუმოდან აქ გადმოსახლებულან ეს თურქულად მოლაპარაკე მოსახლეობა (28 ოჯახი). ახალი სოფლისათვის დაურქმევიათ ახალი ხულგუმო“ („დღიური“, გვ. 5, 13). დღეს ეს ახალი ხულგუმო ბოგდანოვიკის რაიონში ტამბოვკა (სასოფლო საბჭოს ცენტრი), ასფარა, ვლადიმიროვკა და როდიონოვკა სოფლებთან ერთად ფარაენის სასოფლო საბჭოში შედის<sup>6</sup>.

ს. ხულგუმო ახალქალაქთან ძლიერ ახლო ყველა რუკაზე აღნიშნულია, „დავთრის“ სულგუმოში 19 კომლია. ამეამად ხულგუმო ახალქალაქის რაი-

<sup>1</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII-ის № 176, 9030.

<sup>2</sup> ი. ნებიერიძის მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-ბიჭების მოტაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ. ხ. ახვლედიანის კომენტარებით, ბათუმი, 1948, 21.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იხ. ქვემოთ დიდი არტანის ლიეა, ტყე-ნაპიე, სოფ. № 6.

<sup>5</sup> Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд. Зап. КОИРГО, т. VIII, № 8, 1873, გვ. 68, უფრო მეტი ცნობები 1830 წ. კათოლიკეთა არტანისა და გადმოსახლების შესახებ იხ. აგრეთვე: სცია, ფ. 1012, ს. 5, გვ. 11გ.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

ონში ახალქალაქისავე სასოფლო საბჭოში შედის დილიცკა<sup>1</sup>. ჩამძვრალა, კიროვ (ყოფ. ზრესკ), კულიკამ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

არქივისეული სიგების Гүлһүма (გვ. 16v, 12v) უნდა გასწორდეს.

20. სოფ. კულიკამი—كلك (I 13, 227; II 15, 224). „დავთრის“ კულიკაში ორკომლიანი პატარა სოფელია. მისი მდებარეობა ახალქალაქთან ახლო საეგებით ვარკვეულია. არქივისეულ მასალებში იხსენიება Күликам Ахлқалакского санджака და дер. Күликам на речке Абларе. 1835 წ. ქვაბლიანის სანჯაყის სოფ. ხონიდან ახალქალაქის სანჯაყის სოფ. კულიკამში 7 კომლი სომეხი გადასახლდა<sup>3</sup>.

ამჟამად სოფ. კულიკამი ახალქალაქის რაიონში ახალქალაქისავე სასოფლო საბჭოში შედის დილიცკა, ხულგუმო, ჩამძვრალა და კიროვ (ყოფ. ზრესკ) სოფლებთან ერთად<sup>4</sup>.

21. სოფ. პატარა მაქატია (იხ. აქვე ზემოთ, № 10—დიდი მაქატია, გვ. 312).

22. სოფ. ეშთიო—اشتو (I 13, 228; II 15, 225). მართალია, ამ სახელწოდების ბოლოკიდურად *ე* მოუდის, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თურქი მოხელე ცდილობს დაიცვას ქართული წარმოთქმის სიზუსტე—ეშთიო (მის წარმოთქმაში ეშთიო იქნებოდა). შ თანხმოვნის შემდეგ ქართულში მკვეთრი გვაქვს ხოლმე. ამრიგად ამ სოფლის ქართული სახელი ეშტიო უნდა იყოს, თუმცა ოფიციალურ სიაში ეშტი-ა-დაა ფიქსირებული<sup>5</sup>. ადგილობრივ სომეხთა წარმოთქმაში „ჭეშთია“ ისმის, არქივის საბუთში Չախիս გვაქვს<sup>6</sup>.

„7. VIII-ს ორჯალარის გზით ეშტიოს გავემგზავრეთ. ეკლესიის ერთ საფლავის ქვაზე გამოხატულია გუთანი რამდენიმე უღელი ხართ. ნიკო ზის და ხატავს“ („დღიური“, გვ. 10).

„დავთრის ეშტია 12 კომლიანი სოფელია. ამჟამად ეშტია ბოგდანოვკის რაიონში ეშტიის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც ეშტიო, თორია და უჯმანა სოფლებს აერთიანებს<sup>7</sup>.

23. სოფ. დიდი ხორანია *حوراس* და ჩამძვრალა<sup>8</sup> სათესველითურთ (I 13, 228; II 15, 225). აქვე 25 ნომრით აღნუსხულია პატარა ხორანია (I 13, 230; II 15, 226). გარდა ამისა *ეს* სახელწოდება იხსენიება კიდევ ხორანიის წყალთან დაკავშირებით, რომელშიც დაბეგრილია თევზის ქერა (I 13, 230; II 16, 238) და იგივე სოფელი იხსენიება სოფ. კარნეთის მდებარეობის შესახებ<sup>9</sup>.

<sup>1</sup> სოფ. დილიცკა „დავთრის“ მიხედვით ზერთვისის ნჰიკეში შედის (იხ. ზემოთ, გვ. 252).

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 20 და გაზ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII-ის № 176, 9030, გვ. 1.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 8, გვ. 24 და ფ. 77, ს. 52, გვ. 17r; ფ. 1012, ს. 3, გვ. 96r.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 20 და გაზ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII-ს № 176, (9030), გვ. 1. <sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>6</sup> სცია, ფ. 74, ს. 19, გვ. 65. <sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>8</sup> ჩამძვრალა [ა] სათესველის შესახებ იხ. აქვე ჩილდირის ლივანს ჯანაზის ნჰიკეში, ჰოფ. № 12.

რეობის დასახუტებლად (I 240, II 237—სოფ. კარნეთი, სოფელ პატარა ხორანიასთან). ხორანიები მდებარეობენ ახალქალაქის სამხრეთით დაახლოებით 8 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ფარავნის წყლის ნაპირებზე<sup>1</sup>. ხორანია სიტყვის არაბულ დაწერილობას—*حور* დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ „დავთრის“ ამოშიფრვაზე მუშაობისას მისი ხორანია—*حورانية* ამოკითხვა სიძნელეს არ ქმნიდა. ეს სახელწოდება „დავთარში“ შეიძლება გვხვდება (მითითებები იხ. ზემოთ) და შეიძლება შემთხვევაში ასოთა თანამიმდევრობა და მოხაზულობა საესებით ერთნაირია. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვაში მეოთხე ასოდ ყველგან მოდის ელიფი, რომელიც სიტყვის შუაში ა-ს გადმოგვეცემს ხოლმე და არა ე-ს. ამდენად ჩვენ ეს სიტყვა ყველგან ხორანია-დ გვაქვს ამოკითხული და არა ხორენია-დ. ამის აღნიშვნა იმიტომ არის საჭირო, რომ ამ სოფლის სახელის ჩვენ დრომდე მოღწეული წარმოთქმა ადგილობრივად ხორენიაა და არა ხორანია. ასევე ხორენიად არის ეს სახელი გადმოცემული სპეციალურ ლიტერატურაში (ი. როსტომაშვილი, ექ. თაყაიშვილი და სხვ.) და საარქივო მასალებშიც. აქ შეიძლება კაცმა ერთი რამ იფიქროს: თუ ამ სოფელს ძველად (ყოველ შემთხვევაში „დავთრის“ შედგენისას) საერთოდ ერქვა ხორანია და შემდეგ XIX საუკუნეში ხორენია გაჩნდა, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ 1830-იან წლებში არზრუმიდან გადმოსახლებულ და ამ სოფელში დამკვიდრებულ სომეხთა მეტყველებაში, სადაც შეიძლებოდა ხორანია გააზრებულიყო ცნობილ სომხურ სახელ ხორენად და პირველის დაბოლოების მიხედვით მიგველო ხორენია.

მაგრამ ამ სოფლის სახელწოდების შესახებ ჩვენ სხვა მასალებიც მოგვეპოვება. ი. როსტომაშვილი ამ სოფელზე შემდეგს მოგვითხრობს: По словам местного землевладельца, грузино-католика, Петра Киркесалашвили (უნდა იყოს Киркесалишвили, ს. ჯ.), Хорения прежде называлась Джварина (Крестовня). Их было две: Большая Джварина, была расположена на правом берегу реки, Малая—на левом (вероятно отсюда и получили эти селения название Крестовой)<sup>2</sup>. მაშასადამე, ამ ცნობიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ადგილობრივი ქართველი მკვიდრი (ყირქესალიშვილი), რომელიც, უნდა ვიფიქროთ, კარგად იცნობს ადგილობრივ გეოგრაფიულ ნომენკლატურას, მოწმობს, რომ ხორენიას, ან ხორენიებს წინათ ჯვარინა ერქვა. ი. როსტომაშვილი „ჯვარინა“ სიტყვას უკავშირებს „ჯვარ“ს. ი. როსტომაშვილი ამბობს, რომ დიდი და პატარა ხორენია მდინარის გაღმა-გამოღმა მხარეებზე მდებარეობენ (შუაში წყალი ჩაუღიბთ) და, ალბათ, ამ ჯვარისებრმა განლაგებამ შეაპირობა ასეთი სახელის შერქმევამ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. 31; И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, вып. XXV, стр. 119.

<sup>2</sup> И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, выпуск 25, тб., 1898, გვ. 119-120 (ხაზი ჩენია).

<sup>3</sup> იქვე.

ამ სანტერესო ცნობაში ბევრი რამ მაინც ბუნდოვანია და დამაჯერებლობას მოკლებული. სამწუხაროდ, ი. როსტომაშვილი არ გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, თუ როდის ერქვა ამ სოფლებს „ჯვარინა“ და რა დროიდან დაერქვა „ხორენია“, რამ გამოიწვია ეს გადარქმევა, თუ ორივე სახელი არსებობდა პარალელურად; ან კიდევ რა სახის წარმონაქმნია ეს „ჯვარინა“ სიტყვა, თუ ის მართლა „ჯვარ“ სიტყვისაგან მომდინარეობს; „ჯვარინა“ს, როგორც ასეთ წარმონაქმნს, აქვს თუ არა ქართულად რაიმე მნიშვნელობა საერთოდ და კერძოდ რა მიმართებაშია „ჯვარინა“ როსტომაშვილის მიერ მოტანილი რუსული крестовня-ს, ან ამ სიტყვის უფრო სწორი ფორმის крестовинна-ს მნიშვნელობასთან, რაც ქართულად, უფრო ბუნებრივი იქნებოდა „ჯვარედინი“ ყოფილიყო და სხვ.

საქართველოს ცენტრალურ არქივში მართლაც აღმოჩნდა მასალა, რომელიც პ. ყირქესალიშვილისა და ი. როსტომაშვილის ცნობას ადასტურებს. ეს მასალა შემდეგია:

1. 47-ე ფონდის 1832 წლით დათარიღებულ პირველ სიაში ხორენიის ადგილას და მის ნაცვლად იხსენიება—23. Чварина Бузрук (=დიდი „ჩვარინა“), 25. Чвариний кучик (=პატარა „ჩვარინა“) და 79. Джвариней Бузрук (=დიდი ჯვარინას [წყალი])<sup>1</sup>. ხოლო 1837 წლით დათარიღებულ სიაში სოფ. ხორენიის ადგილზე იხსენიება—23. Чварини Бузрук, 25. Чвариний кучик და 79. Джвариний Бузрук<sup>2</sup>.

2. ახალქალაქის საკომენდანტო სამმართველოს ფონდში მოიპოვება საქმე № 4 (1835-1839 წლები), რომელიც საყურადღებო ცნობებს შეიცავს, სხვათა შორის, სოფელ ხორენიისა და მისი მფლობელების შესახებ. საერთოდ ამ „საქმის“ შინაარსის გადმოცემა, ან ვრცელი ამონაწერების მოტანა ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ ისეთ ადგილებს, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ჩვენ საკითხთან. „საქმე“ ერთგვარი ოქმია ახალციხის საოლქო სამმართველოს (Ахалцихское Областное Управление) სხდომისა, რომელზედაც დაინტერესებულ მხარეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე განხილული იყო ხორენიისა და სხვა სოფლების საქმე. მოვიტანთ ამონაწერებს ამ საქმიდან: ...[Поручик Орженикидзе] в отзыве своем, препровожденном при отношении Горийского окружного начальника от 14 августа за № 2317 излагает 1-е, по случаю нахождения его на службе, все переданные ему и товарищу его Степану Кирхкесалову временным владельцем при покупке от него имени татарские бараты<sup>3</sup> на принадлежность в числе прочих и состоящей в Ахалкалакском санджаке деревни Хорения, имеющей по барату настоящее название Джварина<sup>4</sup>... находились у него, Кирхкесалова, который объявил ему,

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 20, გვ. 17r და 18r.

<sup>2</sup> სტია, ფ. 77, ს. 23, გვ. 12r და 13r.

<sup>3</sup> „უათორულ ბარათებში“ აქ იგულისხმება სულთნის მიერ გაცემული სიგელი ან ფირ-მანი რომელიმე სოფლის, ან სოფლების სათანადო პირებისათვის ბოძების შესახებ.

<sup>4</sup> „საარქივო მასალებიდან ამოწერილ ცნობებში ხაზი ყველგან ჩემია.



Орженикидзеу, что представил оные в Ахалцихскую Градскую Полицию по ее требованию, а купчая крепость, засвидетельствованная в Ахалцихском Областном Правлении в 1830-м году 20 июня под № 37, была им, Орженикидзем представлена в сие Правление в 1833-м году... в какой значится в числе прочих и деревни Большая и Малая Джварина, кои именуются Хорениями, о чем могут подтвердить соседственные жители, если же надобность укажет, что деревни сии настоящее название свое имеют Джеварины, а Хоренией названы самими жителями, в оных жившими и под сим названием кроме сих деревень не имеется ни одной во всем Ахалцихском Пашалыке, каковые принадлежат ему и Кирхкесалову... Подати с жителей деревни Хорения они, владельцы, не получали по той причине, что при покупке она деревня была пустопорожня и заселена по переселении из Турции в Ахалцихский Пашалык переселенцами, кои пользуясь данною правительством 6-ти летнею льготою, не позволено было никому из владельцев до истечения льготы требовать от них повинностей<sup>1</sup>...

По ведомости о числе деревень в Ахалкалакском санджаке состоящих показана Чварина бузрук (=დოღო „ჩვარინა“) или Хорения с 15 дымами армян, принадлежащего прапорщику Орженикидзеу и Кирхкесалову, а из купчей крепости, совершенной в сем Правлении 21 июня 1830 года под № 37 видно, что Орженикидзе и Кирхкесалов купили от Ейдар Аги Гула-ага-оглы в числе прочих деревень Большую и Малую Джеварины с 25.000 ахчами, каковая крепость совершена упомянутым на основании представленного от продавца и хранящегося ныне в Правлении за Аметского (sic!)<sup>2</sup> барата султана Махмута, данного в 1828 году Кул Ахмеду на владение 25.000 ахчами, в числе коих находится из деревень Хорена Бузрук, 20.000 и Хореная Кучук, 4.000 ахчей.

При слушании сего депутат Правления со стороны магометан отозвался, что названия деревни Хорения или Джварина не имеют между собою никакой разницы и по-турецки означают одно и то же<sup>3</sup>.

3. ამ მასალას უნდა დაემატოს აგრეთვე № 1491 ფონდის 1833 წლის ცნობა იმის შესახებ, რომ პრაპორშჩიკმა გრიგოლ ორჯონიკიძემ ახალციხელ მოქალაქე სტეფანე ყირქესალიშვილთან ერთად იყიდა ახალციხის საფაშოში სოფლები: *Д ж и в а р и н а*, *ე*შე დრუგა *Д ж и в а р и н а*, *Р а б а т* კალა და სხვ.<sup>4</sup>

მოტანილი მასალებიდან გამომდის, რომ ე. წ. პირველ და მეორე სიებში (ფონდები 47 და 77) დიდი და პატარა ხორენიის სახელად მოცემული გვაქვს

<sup>1</sup> სტია, ფ. 1012, ს. 4, გვ. 20რ, 20ვ, 21რ, 21ვ.

<sup>2</sup> უნდა იყოს აამეტსკოგო ან ვამეტსკოგო—არაბ. ze'amet 'ადგილ-მამული'.

<sup>3</sup> სტია, იქვე, გვ. 22რ, 22ვ.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 1491, ს. 487, გვ. 7რ.

Чварина, მაგრამ ხორენის წყლის აღსანიშნავად იმავე სიებში ნახმარია-თითქოს უფრო სწორი ფორმა Джварина<sup>1</sup>. ჯვარინა-ს პარალელურად Чварина ფორმა, როგორც ქვემოთ დაინახავთ, ჩვენ სხვაგანაც გვაქვს. „ჩვარინა“ ში, უნდა ვიფიქროთ, რუსი მოხელე თავს არიდებს მისთვის უცხო „ჯ“ თანხმობას; ან კიდევ, შეიძლება აქ ჩვენ გვკონდეს ფონეტიკური თავისებურების გამოძახილი აღმოსავლურ-სომხურისა, სადაც მგლერი თანხმობანი (ჩვენ შემთხვევაში ჯ) მკვეთრად გადმოიცემა ხოლმე: ჯვარინა→ქვარინა. ხოლო სომხის მიერ ამოკითხული და წარმოთქმული მკვეთრი კ რუსმა მოხელემ, ალბათ, რუსული ჩ თანხმობით გადმოსცა. რაც შეეხება Чваринай ან Джваринай-ში ბგერას, იგი რუსულში რეფლექსია სპარსული იზაფეთის შემაერთებელი ხმოვნისა<sup>2</sup>. ასე რომ, „ჩვარინა“ უთუოდ იგივე „ჯვარინა“ ს ფონეტიკურად გადასხვაფერებული ფორმაა.

მეორე საარქივო მასალაში (ფონდი № 1012) ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით შემდეგი ადგილები იპყრობს:

ა) შემამულეებმა ორჯონიკიძემა და ყირქესალიშვილმა სოფელ ხორენის შესყიდვისას მისი წინანდელი მფლობელისაგან მიიღეს სულთნის სიგელები იმის შესახებ, რომ მათ კუთვნილებაშია სხვა სოფელთა შორის ახალქალაქის სანჯაყში მდებარე სოფელი ხორენია ც, имеющая по барату настоящее название Джварина. მაშასადამე, ისეთ ოფიციალურ დოკუმენტში, როგორცაა სულთნის მიერ გაცემული სიგელი, სოფ. ხორენია ჩაწერილი ყოფილა ჯვარინა-დ.

ბ) ამის გარდა, მეორე ოფიციალურ დოკუმენტში—ნასყიდობის სიგელში (купчая крепость), რომელიც გ. ორჯონიკიძის მიერ რეგისტრირებულია და წარდგენილი ახალციხის საოლქო სამმართველოში 1830 წლის 20. VI-ს № 37-ით, სხვა სოფელთა შორის ირიცხებოდნენ დიდი და პატარა ჯვარინა, რომლებსაც, იგულისხმება ალბათ (ახლა, ეწოდებათ ხორენიები) (кои именуются Хорениями).

გ) ამავე საქმეში მოცემული კიდევ სხვა ცნობის მიხედვით პირდაპირ ირკვევა, რომ ამ სოფლის ადრინდელი და ნამდვილი სახელი „ჯეჯვარინი“ (Джеварини) ყოფილა, ხოლო „ხორენია“ ამ სოფლისათვის შეურქმევიათ თითქოს ამ სოფლის მცხოვრებლებს (а Хореннею названы самими жителями, в оных жившими)<sup>3</sup>. ამის დადასტურება, ნათქვამია საბუთში, შეუძლიათ მეზობელი სოფლების მცხოვრებლებსო. ამასთანავე ერთად საბუთში ხაზგასმულია, რომ ასეთი სახელწოდების სოფლები სრულიად ახალციხის საფაშოში სხვაგან არსად მოიპოვებოდაო.

1835-1839 წლებით დათარიღებული ამავე ფონდის მასალებიდან აღსანიშნავია უწყისი, რომელიც შეიცავს ცნობებს ახალქალაქის სანჯაყში შემავალ სოფელთა რიცხვზე (По ведомости о числе деревень...) და რომელშიც,

<sup>1</sup> იხ. ზემოთ გვ. 322.

<sup>2</sup> ამის შესახებ ლაპარაკი გვექნება ამ შრომის IV წიგნში.

<sup>3</sup> სცია, ფ. 1012, ს. 4, გვ. 21r და v.

სოფ. ხორენია მოხსენებულია უკვე ორი სახელით: Чварина Бүзрук или Хорения (15 კომლი სომხური მოსახლეობით)<sup>1</sup>. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1830-იან წლებში ჩნდება საქიროება ახსენონ ხორენია ორივე სახელით. ასევე ორი სახელითაა ჩაწერილი ეს სოფელი ამავე მე-4 საქმის მომდევნო გვერდებზე: ...о деревнях Хорения, она же Джварина Бүзрук<sup>2</sup> ...а Хорению или Джвариниу<sup>3</sup>...

შემდეგ, ამავე ვასალებში ჩვენ ვხედავთ უფრო დაწვრილებით ცნობებს იმ ნასყიდობის სიგელიდან, რომელიც ზემოთ უკვე იყო დასახელებული (купчая крепость № 37, 1830 წ.). ამ სიგელიდან ჩანს, რომ ორჯონიკიძესა და ყირაქესალიშვილს გულ-ალა-ოლი ეიდარ (=ჰადარ) აღასაგან უყიდათ, სხვათა შორის, დიდი და პატარა ჯეჟარინი (Джеварини) 25 000 ახჩიანი შემოსავლით. ამ ნასყიდობის სიგელის ცნობები სანდოა, რადგანაც ეს სიგელი დაწვრილია იმ სულთნის ბარათის საფუძველზე, რომელიც სულთან მაჰმუდის მიერ (1808-1839) ვინმე კულ-(ალბათ, გულ-) აჰმედისადმი იყო გაცემული 1828 წელს და რომელიც ამ დროს საფაშოს სამმართველოში ინახებოდა. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ბარათში (სულთნის სიგელში) ჩაწერილი ყოფილა Джеварини, მაგრამ რუსმა მოხელემ სიგელის დახასიათებისას საქიროდ დაინახა შეენიშნა, რომ ეს სოფლებია Хорена Бүзрук და Хорениян Күчүк<sup>4</sup>.

საინტერესოა მაინც სამმართველოს სხდომაზე ადგილობრივ მაჰმადიანთა წარმომადგენლის (დეპუტატის) საკმაოდ კუროზოზული განცხადება. ის ამბობს, რომ „ხორენია“ და „ჯეჟარინა“ სახელწოდებებს შორის არავითარი განსხვავება არ არისო. მას, ალბათ, უნდა თქვას რომ ხორენია და ჯეჟარინა ერთი და იგივე სოფელია, ე. ი. სხვადასხვა სახელია ერთი და იმავე სოფლისა. მაჰმადიანი დეპუტატის განცხადების მეორე ნაწილი კი, შეიძლება ითქვას, სრული უაზრობაა. ეს სახელწოდებებიო (ე. ი. „ხორენია“ და „ჯეჟარინა“ სიტყვები), ამბობს ის, თურქულად ერთსა და იქვეა ნიშნავს<sup>5</sup>. „ხორენია“ და „ჯეჟარინა“ სიტყვებიდან კი არც ერთი თურქული არ არის და თურქულად მათ არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა დაუკავშირდეთ.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ცენტრარქივის № 1491 ფონდის მასალებიც აღასტურებენ ხორენიებისათვის Дживарина და еще другая Дживарина სახელებს<sup>6</sup>.

ამგვარად, არქივისეულ საბუთებში (სულთნის სიგელი, ნასყიდობის ქალაქი და სხვ.) დაახლოებით 1828-1829 წლამდე (ახალციხის საფაშოს შემოერთებამდე) სოფ. ხორენიის სახელად „ჩეჟარინა, ჩეჟარინი, ჯეჟარინა“

<sup>1</sup> სცია, ფ. 1012, ს. 4, გვ. 22რ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 23რ.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 24რ.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ, გვ. 323.

<sup>5</sup> იხ. აქვე, გვ. 323.

<sup>6</sup> სცია, ფ. 1491, ს. 487, გვ. 7რ.

ჯევიარინა და ჯივიარინა იხმარება. ამ მონაცემების მიხედვით თითქოს უეჭველად დგინდება, რომ ყირქესალიშვილისა და როსტომაშვილის ცნობა სწორია და ხორენია ამ სოფლის თავდაპირველი სახელი არ არის.

საყურადღებოა, რომ ამ სოფლის ორმაგ სახელს (დიდი ჩვიარინა ან ხორენია და სხვ.) ჩვენ ეხედებით სომხების არზრუმიდან გადმოსახლების პირველ წლებში (XIX საუკუნის 30-იანი წლები). ეს გარემოება კი იმაზე უნდამიგვიითებდეს, რომ „ხორენია“ სახელი გაჩნდა ამ მხარეში არზრუმიდან სომეხთა გადმოსახლების შემდეგ („დავთრის“ დროს რომ ამ სოფელს ორ. სახელი ჰქონოდა, ის უსათუოდ აღნიშნული იქნებოდა, როგორც ეს სხვაგან ყველგან არის ხოლმე).

ამ სახელის ჩვენამდე მოღწეული ფონეტიკური ვარიანტებიდან Чварин-ზე ზემოთ უკვე იყო თქმული, რომ ის გადარუსულებული ფორმა უნდა იყოს ქართული „ჯვარინა“სა და სომხური „ქვარინა“სი. ვოკალიზაციის თვალსაზრისით უურადლებას იქცევს Чваринი სახელწოდება, რადგანაც ეს გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ შეიძლება ყოფილიყო „ჯვარინი“ ფორმაც. „ჯვარინი“ში კი ნ-ს წინ ი ხმოვანი ჩართული უნდა იყოს ორთანხმოვანიანობის თავიდან ასაცილებლად. მაშინ ჩვენ მივიღებდით „ჯვარნი“ სიტყვას, რაც შეიძლებოდა მართლაც რქმეოდა ამ სოფელს. „ჯვარ“ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაში ხმარება ცნობილია საეკლესიო ცხოვრების პრაქტიკიდან. მაგალითად, ცნობილია „ჯვართა ამალღების“ დღესასწაული (14. IX ძვ. სტილით). შეიძლება ხორენიის ორი ქართული ეკლესიიდან ერთი „ჯვართა ამალღების“ დღესასწაულთან დაკავშირებით იყოს აგებული და სოფელსაც „ჯვარნი“ დაერქვა (საქართველოში ამ რიგის სოფლის სახელი ბევრია (ერთაწმინდა — ესტატეწმინდა, გიორგიწმინდა, მიქელწმინდა, მანცხვარკარი (მეგრ. = მაცხოვრისკარი) და სხვ. მრავლობითი რიცხვის ფორმიანი გეოგრაფიული სახელებიც ბევრია: რკონი, განძანი, ფოკანი და სხვ. სამწუხაროდ არც ე. თაყაიშვილს და არც ა. როსტომაშვილს არაფერი აქვთ ნათქვამი იმაზე, თუ ვის სახელზეა აშენებული ხორენიის ეკლესიები, თუმცა ორივე მკვლევარი იხილავს ხორენიის სიძველეებს<sup>1</sup>, მეორე მხრივ, არ არის შეუძლებელი, რომ ამ სოფელს „ჯვარნი“ დაერქმეოდა, როგორც ი. როსტომაშვილი ამბობს. მისი ჯვარისებრი მდებარეობის გამო<sup>2</sup>.

თუ, ამრიგად, ჩვენ დავუშვებთ, რომ სოფელს სახელი ჯვარ სიტყვისაგან დაერქვა, ძნელი ასახსნელი არ იქნება ამ სახელის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი. ყველაზე უფრო ხშირი ფორმაა ჯვარინა, რომელსაც მნიშვნელობა არა აქვს. მეორე ი ხმოვანი თანხმოვანთა გასაყარი უნდა იყოს არაქართულ მეტყველებაში (შდრ. თბილისი, ღრტილა → ღირტილა<sup>3</sup> და სხვ.). ჩვენ დაეინახეთ, რომ ქართულ სიტყვებში სახელობითის იშვანი ი ხშირად, როგორც წესი,

<sup>1</sup> Христианские памятники, Экскурсия Е. Такайшвили, 1902, МАК, XII, № 31-32; Алашкертский уезд в археологическом отношении, СМОМПК, № 3, 119-120.

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, გვ. 321.

<sup>3</sup> აკვე, გვ. 278.

იკარგება<sup>1</sup> (შდრ.  $\leftarrow$  ტატანის  $\leftarrow$  ტატანისი და სხვ.). გამყარი ხმოვნის ჩართვისა და ბოლოკიდური ი-ს დაკარგვის შემდეგ ჩვენ მივიღეთ „ჯვარინა“. „ჯვარინა“ ფორმისათვის ა. ხმოვნის დართვა კი რუსული ენის ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. ჩვენ გვაქვს აგრეთვე Джварина და Джварина ფორმები, რომლებშიც პირველი მარცხლის ი და ე ხმოვნები ორთანხმოვნია-ნობის თავიდან ამაცილებელი საშუალებებია.

ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა შემთხვევა გვეთქვა, რომ „დავთარში“ მოცემული დაწერილობა  $\text{حور}$  ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიძლება ამოკითხულ იქნეს  $\text{حور}$  — „ხორანია“დ. მის ამგვარად ამოკითხვას ძლიერ შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ჩვენი დროისათვის ამ სოფლის (ან სოფლების) სახელი მხოლოდ „ხორენია“ა. ეთქვით ისიც, რომ თუ ჩვენ ამ სოფლის სახელად „ხორანია“ გვქონდა, მის „ხორენია“დ გადასხვაფერებას ხელს შეუწყობდა სომხურ მოსახლეობაში „ხორენ“ პირის სახელთან ასოციაცია.

მაგრამ თითქოს ექვენიუტანლად გაირკვა, რომ ძველად ამ სოფელს „ჯვარინა“ (ან, შეიძლება, „ჯვარინი“) ერქვა. ხორენია (ხორანია) კი, საარქივო მასალის უტყუარი მოწმობით, არზრუმიდან გადმოსახლებულებმა შეარქვეს. ირკვევა ისიც, რომ ახალი სახელის შერქმევას თითქოს თავისი „გარდამავალი ხანაც“ ჰქონდა: არზრუმიდან გადმოსახლების მომდევნო წლებში ამ სოფლისათვის ორივე სახელი იხმარება. თუ ხორანია || ხორენია ახალი სახელია და ჯვარინა ძველი, მაშინ „დავთარში“, XVI საუკუნის ძეგლში, ჩვენ უთუოდ ჯვარინა უნდა გვქონდეს. ამავე დროს  $\text{حور}$ -ს „ჯვარინად“ წაკითხვა ძლიერ გაპირდება, რადგანაც ამ სიტყვაში მესამე ასოდ ელიფი გვაქვს და ის სიტყვის შუაში არასოდეს არ გადმოსცემს ი ხმოვანს („ჯვარინა“, რ ასოს შემდეგ ელიფია). რომ ეს ელიფი დაწერილი იყოს მესამე ასოდ, მაშინ ასეთი არაბული დაწერილობა  $\text{حور}$  იქნებოდა ზუსტი გადმოცემა „ჯვარინა“სი. დიაკრიტული ნიშნების დასმის შემდეგ ჩვენ გვექნებოდა  $\text{حور}$  (=ჯვარინა).

ამიტომ საფიქრებელია, რომ „დავთარის“ შემდგენელმა ამჯერად დაუშვა შეცდომა მისთვის უცხო სიტყვის გრაფიკულად გამოხატვაში, ელიფი თავის ადგილას არ დასვა და მიიღო  $\text{حور}$  (დიაკრიტული ნიშნებით— $\text{حور}$  = ჯვ(ა)რინა).

სიტყვის ასეთმა, ეთქვით არასწორმა, დაწერილობამ ( $\text{حور}$ ) საბაბი მისცა, ალბათ, თურქეთიდან გადმოსახლებულ სომხებს „დავთარში“ ან მისგან ამოწერილ რომელიმე დოკუმენტში ამ სოფლის სახელი „ხორანია || ხორენია“დ ამოეკითხათ (დიაკრიტული ნიშნის უქონლად  $\text{ح}$  ასო შეიძლება „ჯ“ უ იყოს, „ხ“ უ იყოს და სხვ.) და ეს გარემოება დადებიყო საფუძვლად „ხორენია“ სახელწოდების გაჩენას.

ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ადგილზე ან ჩვენს სიძველეთსაცავებში არ აღმოჩნდება ახალი საბუთი, ძნელი იქნება „ჯვარინა || ჯვარინა || ჯვარინა

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 51.

„ხორანია“ ხორენია“ სახელწოდებათა ურთიერთმიმართების საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა. აქ ჩვენ წარმოვადგინეთ საკითხის გარშემო არსებული ფაქტიური მასალა და წინასწარი ხასიათის ზოგიერთი მოსაზრება.

ს. დიდ ხორენიასთან აღრიცხულია აგრეთვე ორი სათესველი—1.  $\text{أحسا}$ , რომლის ამოკითხვა არ ხერხდება და 2. ჩამძვრალა, რომელიც ჩვენ განხილული გვაქვს ამავე წიგნში<sup>1</sup>.

„დაეთრის“ დიდ ხორენიაში 28 კომლია, პატარა ხორენიაში კი—3 კომლი. ამეამად დიდი ხორენია ახალქალაქის რაიონის კარტიკამის სასოფლო საბჭოში შედის მარტუნ, ხოსპიო, აბულ, ბუზავეთ; თახჩა და კარტიკამ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>; ხოლო პატარა ხორენია კი—ბოგდანოვკის რაიონში ჯიგრაშნის სასოფლო საბჭოში შედის ჯიგრაშენ და ყაურმა სოფლებთან ერთად<sup>3</sup>.

24. სოფ. ქვემო ორჯა— $\text{أورجا سفلى}$  (I 13, 229; II 15, 226), 59. სოფ. ზემო ორჯა— $\text{أورجا سفلى}$  (I 14, 238; II 16, 235). ამრიგად, აქშეპირის ნაპიჯეში „დაეთრის“ დროს ორი ორჯა ყოფილა—ქვემო და ზემო ორჯა. მე ვფიქრობ, რომ ესენი სეხნია სოფლებია და დედანში (გვ. 219) ზემო ორჯასთვის  $\text{أورجا}$ -ში მეოთხე ასო—ელიფი ზედმეტია, კალბის შეცდომაა. ქვემო სოფელი ორჯა თუ არის, ზემოც ორჯა უნდა ყოფილიყო და არა ორჯა. „დაეთრის“ დროის ამ ორ ორჯა სოფელთაგან ერთში—ქვემო ორჯაში 14 კომლია, ხოლო მეორე—ზემო ორჯა უკვე გაუკაცრიელებულია. შემდეგში ამ გაუკაცრიელებული სოფლის მიწებით სარგებლობდა ალბათ ქვემო ორჯას მოსახლეობა. საბოლოოდ ეს ორი სოფელი, ირკვევა, გაერთიანდა და თუ ეს გაერთიანება თურქობის დროს მოხდა, ბუნებრივია, ამ გაერთიანებულ პუნქტს დარქმეოდა „ორჯაები“, რაც თურქულად „ორჯალარ“ იქნება. მართლაც ხშირად გვხვდება ასეთი ფორმა:  $\text{Ordjalar}$ <sup>4</sup>; ამავე დროს გვხვდება  $\text{Ordjalar}$ <sup>5</sup>. ეს ტყე-ჯაეახეთის ნაპიჯეში შემავალი ორჯა-ა, რომელიც, ალბათ, ბოლო ხანებში, როგორც სახელწოდება დაეცა აქშეპირის ნაპიჯეს ქვემო და ზემო ორჯა-ებს<sup>6</sup>.

რუკებზე ჩვენ სათხა, არაქალბისა და ბატკანას მონაკვეთზე გვაქვს პუნქტი  $\text{Ordjalar}$ , რაც უთუოდ ჩვენი აქ განხილული ორჯაებია. უნდა შეინიშნოს, რომ ამ თურქული მრავლობითი რიცხვის სხვა ფორმაც გვხვდება—„ოროჯალარ“, რაც იგივე „ორჯალარ“-ია. ასეა, მაგალითად, ოფიციალურ წიგნში<sup>7</sup>.

<sup>1</sup> იხ. აქვე ჩილდირის ლივაში ჯანბახის ნაპიჯეს სოფ. № 12.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19-20; გაზ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII-ს № 176. (9030), გვ. 1.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>4</sup> სცია, ფ. 74, ს. 19, 23r.

<sup>5</sup> სცია, ფ. 41, ს. 51, გვ. 15r.

<sup>6</sup> იხ. ზემოთ, გვ. 267.

<sup>7</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

ამგვამად ყოფილი ქვემო და ზემო ორჯალები ორჯალარ ან ორ-  
ოჯალარ სახელწოდებით ბოგდანოვკის რაიონის სათხის სასოფლო საბ-  
ქოში შედიან სათხა, ბატკანა, პატარა არაქალ და დიდი არაქალ სოფლებ-  
თან ერთად<sup>1</sup>.

25. სოფ. პატარა ხორანია—خورانیه كوچك (I 13, 230; II 15, 226).  
იხ. ზემოთ № 23 „სოფ. დიდი ხორანია“.

26. სოფ. ზრესკი—زرسک (I 13, 230; II 15, 227). ეს არის ძველი  
ქართული სოფელი ზრესკი. თურქული ტრანსკრიფცია მისი სახეებით გა-  
მართულია: ორ თანხმოვან (ზრ) შუა ჩასმულია ც, ხოლო ბოლოციდური კ  
მკვეთრი ქ მელერითაა გადმოცემული. ამ სოფლის სახელი დილიცკაში ადგი-  
ლობრივმა მკვიდრებმა ზუსტად ვერ ჩაგვაწერინეს; „დლიურში“ მიწერია;  
„კუმურდოსთან ახლოს, კუმურდო-ვაჩიანის გზაზე არის ნასოფლარი ზრეზი;  
მეორემ თქვა ზრესი“ (გვ. 16). ნაქალაქევი კი ჩაგვაწერინეს სწორად—ზრეს-  
კი. 22. VIII (1933), როცა კუმურდოდან ახალქალაქს მოვემგზავრებოდით,  
გზაში, ვაჩიანთან ახლო წავიკითხეთ წარწერიანი ქვა. ამ წარწერაში იხსე-  
ნიება ვინმე ზრესკე-ლი. აქედან ცხადია, რა თქმა უნდა, რომ ამ სოფელს  
ზრესკი რქმევია. არქივისეულ სიბეში ეს სახელი ცუდადაა ამოკითხული—  
Дареск (17r) და Диреск (12v).

„დავთრის“ ზრესკი 16 კომლიანი სოფელია. როდის გაუკაცრიელდა,  
ჩვენ არ ვიცით; ოღონდ ერთ რუსულ საბუთში იხსენიება Зреска (ბოლო ა  
ხმოვანი—შედომება) როგორც გაუკაცრიელებული და ახალქალაქიდან 7,5  
კერისი მანძილზე მდებარე<sup>2</sup>. ხუთევისიან რუკაზე, ახალქალაქთან ახლო აღნიშ-  
ნულია Озеро Зрес და Р. Д. Зрес. არქივისეულ საბუთებში სწორ სახელსაც  
უხვდებით:... спорный между Гумурдо и Мусхеловым Зреск<sup>3</sup>. ეს არის სწო-  
რედ ჩვენი ზრესკი.

ამ რამდენიმე წლის წინათ ზრესკი კვლავ სოფლად იქცა. მასში გადა-  
სახლდნენ წალკელი სომხები. ახალ სოფელს, რომელიც ძველი ქართული  
სოფლის—ზრესკის ადგილზეა გაშენებული, დაერქვა კიროვი. გარდა ამისა,  
ახლა ლაპარაკია ზრესკის ტბის კეთილმოწყობაზე. ეს ტბა, რომელიც ახალ-  
ქალაქიდან 6 კილომეტრზე მდებარეობს, არა მარტო მორწყავს საკოლმეურ-  
ნეო მიწებს, არამედ გააწვანებს კიდეც ახლო მდებარე ადგილებს<sup>4</sup>.  
ამგვამად ახალქალაქის რაიონში „საქართველოს სსრ უმაღლესი სიბჭოს პრეზი-  
დიუმის ბრძანებულებით ვაჩიანის სასოფლო საბჭოს გამოყვო სოფელი კი-  
როვი, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს სოფელი კულიკამი და მიე-  
კუთვნენ ახალქალაქის სასოფლო საბჭოს“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 22v.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 41, ს. 63, გვ. 9r.

<sup>4</sup> „Заря Востока“, № 129 (10240), 4. VI. 1958, გვ. 3.

<sup>5</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII-ს № 176 (9030), გვ. 1.

27. სოფ. ტიკაშენი — *تیکاشین* (I 13, 231; II 15, 227). არქივისეულ სიებშიც *Тикашен*-ია (17r, 12v). მაგრამ შესაძლებელია ეს არმენიზებული ფორმა იყოს ქართული დიკაშენი-სა. ასეთივე სახელწოდების სოფელი — ტიკაშენი აღრიცხულია ამავე „დაეთარში“ დიდი არტანის ლივში (II, გვ. 424, № 55), ოღონდ ამ ტიკაშენის თურქული დაწერილობაა *تیکاشین* (დედანი, გვ. 424). სოფ. ყაურმაში ყოფნის დროს „დლიურში“ ჩამიწერია, რომ „შთის გადღმა არის ხარაბა დიგაშენი. მეორე გლუხმა თქვა, რომ დიგაშენის გამოღმა მდებარე ხარაბას ძველად რქმევია ხურმიგ...“ (გვ. 11). ამრიგად, არ არის საკმაო მასალა იზისათვის, რომ ტიკაშენი || დიგაშენი || დიკაშენი ფორმებში რომელიმეს უპირატესობა მიეცეთ, თუმცა რუსულ მასალებში *Дигашен*-თან ერთად უფრო *Тикашен*-ი ჰქვია<sup>1</sup>.

„დაეთრის“ დროს ტიკაშენი—15 კომლიანი სოფელია. „დლიურში“ ჩანაწერის მიხედვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ის სოფ. ყაურმის ახლოა ნაჩვენები. „დაეთარშიც“ მომდევნო სოფელი ყაურმაა. რუკებზე ასეთი სახელწოდების პუნქტს ვერ მივაგენი. მაგრამ შეიძლება ჩვენი ტიკაშენი იყოს რუკებზე (ხუთვერსიანზე, მაგალითად) *Тоглашен*-ად და სწორედ ყაურმასთან აღნიშნული პუნქტი. ეს ტოგდაშენი უნდა იყოს გადამახინჯებული, შეიძლება გრაფიკულ ნიადაგზე გადამახინჯებული სახელი ტიკაშენ-დიგაშენისა.

28. სოფ. ლაურმეჯი—(?)—*لورمکی* (I 13, 231; II 15, 227). ამ სოფლის სახელად „დლიურში“ ყაურმა მიწერია, ესაა მისი აწინდელი სახელი და ასევეა ის ოფიციალურ სიაში დაბეჭდილი<sup>2</sup>. რუკებზედაც ყველგან *Каурма* გვაქვს. „დაეთრის“ II წიგნში მე პირობით დავებეჭდე ლაურმეჯი, რაც, რა თქმა უნდა, ზუსტი ამოკითხულობა არაა. „დაეთრის“ *لورمکی* შეიძლება წაკითხულ იქნეს სხვადასხვანაირად: ლორმეჯი, ლორმეკი, ლორმეგი; რადგანაც ცასოე-საც გამოხატავს, შეიძლება გექონდეს აგრეთვე—ლორმეკე, ლორმეკე-ლორმეგე; თანხმოვანს შეიძლება ახმოვანიც მოსდევდეს: ლორმაქე, ლორმაქე-ლორმაგე და სხვ. თუ საარქივო მასალებში მოცემულ ცნობებს ანგარიში ვაეწევა, ამ ვარიანტებიდან ყველაზე უფრო მისაღებად ლორმაქე ჩანს. არქივისეულ სიებში ჩვენ გვაქვს—*Гормаке* (გვ. 17r) და *Гормаке* (12v); 1832 წლისა და 1835 წ. საბუთებში ამ სოფლის სახელად აგრეთვე *Гормаке* და (*Эштия и*) *Горимаке* და *Гормаке* გვაქვს<sup>3</sup>. „დაეთრის“ ამ სოფლის სახელის *لورمکی* დაწერილობა და არქივისეული საბუთების (განსაკუთრებით უკანასკნელი საბუთისა, რომელსაც „დაეთართან“ კავშირი არ უნდა ჰქონოდა) *Гормаке* ფორმა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ამ სოფლის სახელი „

<sup>1</sup> სტია, ფ. 1012, ს. 20, გვ. 2r, 9r, 9v.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>3</sup> სტია, ფ. 47, ს. 76, გვ. 11r, ს. 17, გვ. 14v; იქვე, ფ. 1012, ს. 10, გვ. 1r; შეიძლება ამ *Гормаке* და *Гормаке*-ს გამომხილი იყოს ზემს „დლიურში“ ჩაწერილი ხურმიგ—„დიგაშენის გამოღმა მდებარე ხარაბას ძველად რქმევია ხურმიგ“ (იხ. ზემოთ, სოფ. № 27).



ამ ადგილის რაიმე რელიეფური თავისებურების გამო, ქართულად ღორმაკენ, შეიძლება კიდევ, გორმაკე იყო. ჯერჯერობით ამის საბოლოოდ დასადაგენად ჩვენ სანდო (მაგალითად, აღრინდელი ქართული) მასალა არ გავაჩინია, მაგრამ არსებული მასალებისადმი ანგარიშგაუწველობაც სწორი არ იქნებოდა. უოველ შემთხვევაში ცხადია ის, რომ *گورگی* და თანანედროვე ყაურმაერთი და იმავე პუნქტს აღნიშნავენ. ძნელია ახლა იმის გათვალისწინება, თურა ფონეტიკურ სიტუაციებს უნდა გამოეწვია *گورگی*-დან ყაურმის მიღება.

მაშასადამე, ამჟამად „დაეთრის“ *گورگی* ყაურმა-დ (ადგილობრივ სომეხთა წარმოთქმაში—ლაურმა) ცნობილი სოფელია, რომელიც რუკებზე ყველგან აღნიშნულია ჯიგრაშენთან—*Каурма*-დ. ექ. თაყაიშვილის მიხედვით *Каурма—село в 10 верстах к юго-востоку от города Ахалкалаки, на правом берегу Топораванки*<sup>1</sup>. „დაეთრის“ დროს ყაურმაში მხოლოდ სამი კომლია. შემდეგში იგი სულ გაუქატირებულა და XIX საუკუნის 30-იანი წლების ერთ საბუთში დასახლებულია «по названию бывших там некогда деревень»-ის სიაში *Гормаки*-დ (ახალქალაქიდან 2<sup>1</sup>/<sub>3</sub> საათის სავალზე)<sup>2</sup>. შემდეგში, ამავე 30-იან წ-ში ყაურმა კვლავ დასახლებულ იქნა არზრუმიდან ჩამოსულებით. ამჟამად სოფ. ყაურმა ბოგდანოვიკის რაიონის ჯიგრაშენის სასოფლო საბჭოში შედის ჯიგრაშენ და ბატარა ხორენია სოფლებთან ერთად<sup>3</sup>.

29. სოფ. ბაერა—*بایرا* (I, 13, 231; II 15, 228). „16. VIII-ს (1933 წ.)

დღით ბაერაში წავედით. მოსახლეობა—ნაწილი თურქულენოვანი კათოლიკე-ქართველები, ნაწილი—სომხურენოვანი კათოლიკე-სომხები. პირველები ამბობენ არტაანიდან ვართო, მეორეები—არზრუმიდან. აქ არის ქართული ეკლესია ძველი წარწერით. არის აგრეთვე ქვაჯვარი წარწერით („დღიური“, გვ. 17). აქაურ თურქულენოვან მოსახლეთა არტაანიდან წარმომავლობას ადასტურებს ი. ნეზიერიძეც: „ამ რუსობის დროს ველის სოფლიდან მთელი კათოლიკე ველები გარდამოსახლდნენ ახალქალაქის მაზრაში და დასახლდნენ სოფლებში კარდიკამს, ბაერას, ხულგუმოს და სხვ.“<sup>4</sup>

ბაერა მდებარეობს ახალქალაქიდან 2 ვერსის მანძილზე, ტბა ფარანის წყლის ნაპირას<sup>5</sup>. „სოფელი ბაერა გამოეყო ახალქალაქის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა კარტიკამის სასოფლო საბჭოს“<sup>6</sup>, რომელიც აერთიანებს კარტიკამ, აბულ, ბუზავეთ, თახჩა და ოლავერდ სოფლებს<sup>7</sup>. „დაეთრის“ ბაერაში ნ კომლია, ხოლო 1847 წლის ერთი საბუთის მიხედვით ბაერაში 26-კომლია<sup>8</sup>.

<sup>1</sup> MAK, XII, 38. სოფ. ყაურმის საყდარი. „მოგზაური“, 1901, № 3; აგრეთვე: ი. როსტომაშვილი, CMOMIK, 25, გვ. 69.

<sup>2</sup> სტია, ფ. 77, ს. 48, 10v.

<sup>3</sup> საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>4</sup> ი. ნეზიერიძის მოგონებანი... გვ. 21 (სოფ. ველი დიდი არტანის ლივწუბა).

<sup>5</sup> ექ. თაყაიშვილი, MAK XII, 29; И. П. Ростомов, დასახლებული ნაშრომი, გვ. 38.

<sup>6</sup> გაზ. „ქომუნისტი“, 1951, 28. VIII-ს № 176 (9030), გვ. 1.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>8</sup> სტია, ფ. 74, ს. 19, გვ. 5r.

30. სოფ. აზმანა—*آسمان* (I 14, 232; II 15, 228). სოფ. აზმანა რუსულ რუკებზე საკმაოდ შორსაა ამ ზონიდან; იგი ყართა-ქარცების ახლოსაა. *Азмана* „დაეთრის“ 12 კომლიანი სოფელია. ამჟამად აზმანა ახალქალაქის რაიონის ოკმის სასოფლო საბჭოში შედის ოკამ და ქვარცებ სოფლებთან ერთად<sup>1</sup>.

31. სოფ. თორია—*توریا* (I 14, 232; II 15, 229). თორია ქ. ახალქალაქიდან მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთით 7 კილომეტრის მანძილზე<sup>2</sup>. არქივისეულ სიგეზშიც თორია-ა (17r, 12v). გვხვდება თორიო ფორმაც<sup>3</sup>. 1847 წ. საბუთიდან ჩანს, რომ ეს სოფელი მაშინ უკაცრიელი ყოფილა. ეს საბუთი შეიცავს ცნობას იმის შესახებ, რომ მემამულე ყანდინოვის სოფ. ხულგუმოში მცხოვრები სახაზინო გლეხები (14 კომლი) ითხოვენ გადასახლებას в пустопорожнюю деревню Торно<sup>4</sup>, ხოლო 1866-1887 წწ. საბუთში თორია უკვე 45 კომლიანი სოფელია<sup>5</sup>.

„დაეთრის“ დროს თორიაში 12 კომლია. ამჟამად ბოგდანოვკის რაიონში ეშტია და უჯმანა სოფლებთან ერთად სოფ. თორია ეშტიის სასოფლო საბჭოში შედის<sup>6</sup>.

32. სოფ. სამწუბი — *سامزوب* (I 14, 233; II 15, 229). „მესხური დავითნის ქრონიკაში დასახლებულია ერთი პუნქტი სამწუბთ-ღელე („პატრონი ჰერაკლე მგელციხეს წაიღეს ყანთან ელჩის გასაგზავნად, აეკარგად სამოკამდის კაცი იახლა, სამწუბთ-ღელეში დავდეგით“)<sup>7</sup>. აქედან („სამწუბთ ღელედან“) ჩანს, რომ სამწუბი საერთოდ აღგილის სახელი იყო. *سامزوب* დაწერილობა ზუსტი თურქული ტრანსკრიფციაა სამწუბისა (მკვეთრი წ ზღვარი ზ თანხმოვნით გადმოიცემა). ამიტომ მგონია, რომ აქაური *سامزوب* ქართულად სამწუბი უნდა ყოფილიყო. ამ სამწუბის შესახებ მასალას ჯერჯერობით ვერ მივაგენით. „ქრონიკაში“ მოხსენებული სამწუბთ ღელე უფრო ნიალისყურის ნაჰიეში 26-ე ნომრით აღრიცხული *سامزوب*-ი უნდა იყოს (იხ. აქვე, გვ. 375), მაგრამ დაწერილობის მიხედვით ორთავე სოფლის სახელი ერთნაირი ჩანს. არქივისეული სიგის ამ ადგილს Санзоп (17 r.) და Сумзоп-ი (12v.) სხედან. მეორე მათგანი, განსაკუთრებით, დამახინჯებულია.

33. სოფ. აბული—*آبۇلى* (I 14, 233; II 15, 229). «Под названием Абуд известны в уезде: селение Абуд и две вершины гор—Большой и Малый Абулы. Находятся все они на востоке от г. Ахалкалаки, в 15-25

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 20.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, 30.

<sup>3</sup> Альбом археологических путешествий.

<sup>4</sup> სცია, ფ. 74, 18, გვ. 7.

<sup>5</sup> სცია, ფ. 414, ს. 27, გვ. 6v.

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 25.

<sup>7</sup> ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბილისი, 1890, გვ. 88.

верстах от него»<sup>1</sup>; შემდეგ იგივე ავტორი უფრო აზუსტებს აბულის მდებარეობას: «В котловине между обоими Абулами приютилось селение того же названия, заселенное ныне армянами (около 68 джмоп)<sup>2</sup>». „16. VIII-ს უჩმანიდან გადავიარეთ დიდი მთა და ჩავედით აბულში. აქ ჩვენთვის საკირო ცნობები ვერ მივიღეთ...“ („დღიური“ გვ. 17).

სოფ. აბული „დავთრის“ ღროს 12 კომლიანი სოფელია. 1847-48 წლების საბუთიდან ჩანს, რომ ამ ხანებში აბულში 23 კომლია<sup>3</sup>. სოფ. აბული ახალქალაქის რაიონში კარტიკამ, ბუზავეთ და თახჩა სოფლებთან ერთად კარტიკმის სასოფლო საბჭოში შედის<sup>4</sup>.

34. სოფ. كوركو (I 13, 234; II 15, 230; დედანი, გვ. 214). ორკომლიანი სოფელია, რომლის ამოკითხვა არ მოხერხდა. ძლიერ უხვიროდა ამოკითხული ეს სახელწოდება არქივისეულ სიებში—Исхрива; შესამე ასო არავეითარ შემთხვევაში. კ (ე. ი. „რ“) არ არის რომ ქურთვა-დ წავეითხოთ; კ და კ-ს შორის ერთი ასოა, რომელიც არ არის გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, ეს ამოკითხულობა მიუღებელია.

35. სოფ. ბუზავეთი (ბუზავეთი)—სოფ. بوزون—كوركو-სთან (I 14, 234; II 15, 230). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები ყველგან დასმული აქვს. მიუხედავად ამისა, ამოკითხვა გაგვიჭირდა. „ბეზიონ“, „ბეზონ“ და მისთანათა იდენტიფიკაცია რომელიმე გეოგრაფიულ სახელთან არ ხერხდებოდა და ამდენად ეჭვი ყოველთვის რჩებოდა. ამასთანავე ერთად ამ პუნქტის მდებარეობის განსასაზღვრავად დასახელებული სოფ. كوركو—თვითონ უცნობია.

ბოლო ხანებში კი შემდეგი გაიჩვენა. აბულისა და კარტიკამის ჩრდილოეთით, ძალიან ახლოს (ეს სწორედ „დავთრის“ ის ზონაა, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ) ხუთვერსიან და სხვა რუკებზედაც აღნიშნულია პუნქტი Byzavet-ი. თურქული დაწერილობის ბოლოკიდური კ ასოს გარდა, ყველა სხვა ასოს აქვს კავშირი ამ Byzavet-თან; „დავთრის“ შემდგენელს შეეძლო, რა თქმა უნდა, თურქულ დაწერილობაში „ბუზავეთის“ უ ხმოვანი არც აესახა. ოღონდ ის კი უნდა ვალიაროთ, რომ بوزون-ის ბოლოკიდური კ ასო შეიძლება დაუდევრობით გამოწვეული შეცდომა იყოს. ბუზავეთი გარდა რუკებისა გვხვდება აგრეთვე არქივში დაცულ საბუთებში: Byzavet და Παवвет-იც<sup>5</sup>. ეს უკანასკნელი ვარიანტი უფრო სწორი ჩანს „დავთრის“ დაწერილობის მიხედვით. თავკიდური „ბ“ აქ დაყრუებულია, ან შეიძლება გამკვეთრებული (ე. ი. არმენიზებული); მაშასადამე უნდა ყოფილიყო ბუზავეთი. თურქიზებული ფორმაში ორთანხმოვნის გასაყარად ბაგისმიერი ბ თანხმოვნის შემდეგ

<sup>1</sup> И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, 23.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>3</sup> სტია, ფ. 74, ს. 21, გვ. 8რ.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

<sup>5</sup> სტია, ფ. 415, ს. 21, გვ. 4რ და ფ. 74, ს. 56, გვ. 28რ.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 415, ს. 21, გვ. 4რ.

ზაგისმიერი უ ხმოვანი ჩაემატებოდა. ამრიგად, ბუზავეთი თურქიზებული ფორმა უნდა იყოს ბზავეთისა და თურქმა მოხელემ, რომელიც ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში ზუსტად დაიცვას ქართული სახელწოდების სისწორე, სწორედ ამიტომ არ დაწერა უ ხმოვანი თავიედიური „ბ“ს შემდეგ.

არქივისეულ სიებში ეს სახელი ამოკითხულია Базуха-ად. „დავთრის“ დროს ბზავეთი ორკომლიანი სოფელია, რომელსაც 5 000 ახჩა აქვს შეწერილი. 1847 წ. ბზავეთში 8 კომლია, ხოლო 1870 წ.—25 კომლი. 1836 წ. ჩუვახეთი პატარა მაკატის მიწებს ამუშავენ<sup>1</sup>. დღეს უკვე ბუზავეთი ახალქალაქის რაიონის კარტიკის სასოფლო საბჭოში შედის კარტიკამ, აბულ და თახჩა სოფლებთან ერთად<sup>2</sup>. თუ ამ სოფლის სახელის ამგვარი ამოკითხულობა სწორია, მაშინ I-სა და II წიგნებში ეს ადგილები სათანადოდ უნდა შესწორდეს.

36. სოფ. კარტიკამი—كردا (I 14, 234; II 15, 230). ეს სოფელი ადგილობრივად კარტიკამის სახელითაა ცნობილი. „დავთარში“ ჩვეულებრივად كردا—გარდიგამ-ი გვაქვს. შეიძლება ეს ქართულად მართლა გარდიგამ-ი იყო და კარტიკამი არმენიზებული ფორმა იყოს. ამას რამდენადმე უკერს მხარს ი. ნებეირიდის—ახალციხელი მკვიდრის მიერ ნახმარი „ქარდიკამი“<sup>3</sup>.

კარტიკამის შესახებ ჯაეახეთში მოგზაურობის „დღიურში“ შემდეგი წერია: „იმავ დღეს (16. VIII-ს) თახჩიდან გამოვიარეთ კარტიკამში. მოსახლეობა თურქულენოვანია. კარტიკამის იქით თახჩისკენ არის ნასოფლარი ადგილი გორგაშენი“ და სხვ. (გვ. 18). არქივის ერთ საბუთში ქართულად წერია: „კარტიკამის უზბაში აკოფ“<sup>4</sup>.

„დავთრის“ კარტიკამში აღრიცხულია 13 კომლი, რომელსაც შეწერილი აქვს 20 000 ახჩა. 1847 წლის საბუთიდან ჩანს, რომ კარტიკამში ამ დროს იყო 27 კომლი. დღეს კარტიკამი ახალქალაქის რაიონში სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც აერთიანებს მარტუნ, ხოსპია, დიდი ხორენია, ბავრა, აბულ, ბზავეთ და თახჩა სოფლებს<sup>5</sup>.

37. სოფ. დიდი მურჯახეთი—مورجخيت بزرگ (I 14, 235; II 15, 231), 70. სოფ. შუა მურჯახეთი—مورجخيت وسط (I 14, 240; II 15, 236), 71. სოფ. პატარა მურჯახეთი—مورجخيت کوچک (I 14, 240; II 15, 236). „დავთრის“ დროს, ამრიგად, მურჯახეთის სახელით 3 სოფელია ცნობილი: დიდი, შუა და პატარა მურჯახეთი. დიდ მურჯახეთში 9 კომლია აღრიცხული, პატარა მურჯახეთში—6 კომლი, ხოლო შუა მურჯახეთი უკვე „დავთრის“ დროსვე დაცარიელებულია. კომლთა რაოდენობის ეს სიმცირე

<sup>1</sup> სცია, ფ. 74, ს. 19, გვ. 5r; K. Зиссерман, 32. სცია, ფ. 1012, ს. 15, გვ. 20r.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>3</sup> ი. ნებეირიდის მოგონებანი... გვ. 21.

<sup>4</sup> სცია, ფ. 77, ს. 52, გვ. 25r; კარტიკამზე ბევრი ცნობაა: სცია, ფ. 1012, ს. 4, გვ. 3r.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19 და გახ. „კუმუნისტი“, 1951, 28. VII, № 176 (9030), გვ. 1.

და შუა მურჯახეთის სრული გავრანება, რა თქმა უნდა, შედეგია იმ ისტორიული ძნელბედობისა, რომელიც ამ კუთხეს დაატყდა თავზე. შემდეგში ამ სოფლების დაქვეითება კიდევ გაგრძელებულა ისე, რომ ჩვენ დრომდე მოაღწია მხოლოდ ერთმა სოფელმა—მურჯახეთმა. გასული საუკუნის 30-იანი წლების ერთ საბუთში *Мурджакхет Сан* (Сан აქ დამახინჯებული არაბული **ط**, სიტყვაა, რომელიც 'შუა'ს ნიშნავს), ე. ი. შუა მურჯახეთი კვლავ დაცარიელებულად იხსენიება<sup>1</sup>. 1830 წლის საბუთში, რომელიც დასათაურებულია *Дело о доходах, собранных в 1830 году с деревни Малого Мурджакхети Орджоникидзевым и Киркесаловым*, პატარა მურჯახეთი დასახლებულად ჩანს (შისი მფლობელები ყოფილან მემამულეები ორჯონიკიძე და ყირქესალიშვილი)<sup>2</sup>. „1933 წელს 3. VIII-ს დიდ მურჯახეთში ვიყავით. პატარა მურჯახეთი ნანგრევებია. მურჯახეთში ჩამოდის ლეღე, რომელსაც ყვრბ-ბულასს ('ორმოც-წყაროს') ეძახიან. ეს წყალი სოფ. ტილიფიდან (დლივიდან) ჩამოდის და ტილიფის (დლივის) წყალიც ჰქვია. ამ სოფელში არის ორი ზალალი ქვის სვეტი, რომელსაც ადგილობრივები ძიქვას ეძახიან, უშვილო ქალები ლოცულობდნენ ხოლმე ამ ქვასთან“ („დლიური“, გვ. 6)<sup>3</sup>. ს. მაკალათიას მიხედვით, „მურჯახეთი ხალხური ეტიმოლოგიით წარმოშობილია ლურჯი ხევიდან. ამ სოფელს უვლის დილიფის [დლივის] წყალი, რომელშიც ლურჯი თევზებია (ლურჯი ხევი—მურჯახეთი)“<sup>4</sup>. უნდა შეინიშნოს, რომ „მურჯახეთი“ „ლურჯის“ გაგებას სრულებით არ უნდა შეიცავდეს; ეს სიტყვა უნდა დანაწილდეს—მურჯახ+ეთ-ად, რომელშიც მურჯახ-ი შეიძლება გვარეულობის სახელი იყო.

მურჯახეთი ისტორიულად მნიშვნელოვანი სოფელია. „1535 წ. აქ მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება იმერეთის მეფის ბაგრატ III-ისა (ბაგრატს მოკავშირეებად ყავდა გურიელი და დადიანი) და სამცხის ათაბაგის ყვარყვარე IV-ს შორის“<sup>5</sup>.

ი. როსტომაშვილით, „პატარა სოფ. მურჯახეთი მდებარეობს ყვრბ-ბულასის მარცხენა ნაპირას, ახალქალაქიდან 4-5 ვერსის მანძილზე და მის სამხრეთით“<sup>6</sup>.

პირველ არქივისეულ სიაში დიდი მურჯახეთის ადგილას წერია *Архакет Бузрук* (17r), რაც სრული გაუგებრობაა.

1951 წელს სოფ. მურჯახეთი გაუქმებული მარტუნის სასოფლო საბჭოდან გამოვიდა და მიეკუთვნა ახალქალაქის სასოფლო საბჭოს, რომელშიც მურჯახეთის გარდა შედიან დილიცკა, ჩამძვრალა, ხულგუმო, კიროვ და „კულიკამ სოფლები“<sup>7</sup>.

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10r; მურჯახეთებზე იხ. აგრეთვე: მურჯახეთისა და განძის სვეტები. „მოგზაური“, 1901, № 1.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 54, გვ. 3r; ექ. თაყაიშვილი ასახელებს სოფ. ძველ მურჯახეთს; ამაში, ალბათ, ერთ-ერთი დანგრეული მურჯახეთი იგულისხმება (МАК, XII, 28).

<sup>3</sup> ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ს. მაკალათია, მესხეთ-ჯაჯახეთი, 114. <sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Е. Такашвили, МАК, XII, გვ. 27; აგრეთვე: И. П. Ростомов, დასახ. ნაშრომი, 92-93.

<sup>6</sup> И. П. Ростомов, იქვე.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 20; გახ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII, № 176 (9030) გვ. 1. სანტერესია, რომ 1831 წლის ერთ საბუთში სოფ. მურჯახეთის მოსახლეობის

38. სოფ. დიდი მამზურა (მამწვარა?)—*مزمورہ بزرگ* (I 14, 235; II 15, 231), 74. სოფ. პატარა მამზურა—*مزمورہ کوچک* (I 14, 241; II 16, 237). (65-ე სოფლის (გვ. II 235) მდებარეობის დასახულებლად ნათქვამია, რომ ის ზემო მამზურასთან—*مزمورہ علیا* არისო. ეს შეცდომაა, ალბათ, კალმის შეცდომა, რადგანაც არის მხოლოდ დიდი და პატარა მამზურა. აქ, შეიძლება, დიდი მამზურა იყარაუდებოდეს.

„დაეთრის“ დიდ მამზურაში 3 კომლია, ხოლო პატარა მამზურაში კი—11. 1830-იანი წლების საბუთში პატარა მამზურა უკვე გაუქცარიელებულადა დასახლებული (*пустопорожня земля при деревнях прежде бывших, ныне разоренных: Малая Мамзара, примерно в 7,5 верстах от Ахалакалак*)<sup>1</sup>. მეც „დიდურში“ პატარა მამზურა მაქვს ნასოფლარად ჩაწერილი „3. VIII. მანზარა, სომხური მოსახლეობა. მანზარის აღმოსავლეთით არის სოფლის ნანგრევები—პატარა მამზურა“ (გვ. 7).

თვით სახელწოდების შესახებ. ამხ. ნიკ. ნათენაძის ცნობით ამ სოფლის ქართული სახელი მამწვარა არის. მართლაც ოფიციალურ წიგნში „საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ ამ სოფლის სახელად მამწვარა წერია<sup>2</sup>. თითქოს სიმართლესთან ახლოსაა. მამწვარა სიტყვის წმკვეთი თურქულში ზ თანხმონით გადმოიცემა, ვა კომპლექსო ხმოვანი უნდა მოეცა, მაგრამ ასეთი ხმოვანი თურქულში პირველ მარცვალზე შორს არ მიდის და ვა კომპლექსმა უ მოგვეცა. თურქიზებულმა „მამზურა“ ფორმამ შემდგომი ტრანსფორმაციის შედეგად მოგვეცა მამზარა, რომელიც მე აღგიღზე სომეხთა მეტყველებაში მამზარა-დაც მაქვს ჩაწერილი. არაქართული წარმოშობის საბუთებში გვხვდება აგრეთვე *Мамзара*-ც<sup>3</sup>.

მართალია, ჯერჯერობით არ ჩანს ქართული საბუთი, სადაც „მამწვარა“ იყოს დადასტურებული, მაგრამ ხალხში დარჩენილი მამწვარა სახელიდან საესებით კანონზომიერად თურქულში, როგორც ვნახეთ, მამზურა უნდა მიგველო.

ერთი ნაწილი ნაჩვენებია როგორც *новокрещенные* (სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 45r). ასევე დიფერენცირებულია მოსახლეობა მთელი რიგი სოფლებსა. მაგალითად: სოფ. ტოლმში ნაწილი (მოსახლეობის) ახალმონათლულებია და ნაწილი „თურქები“ (ე. ი. გამაჰმადიანებული ქართველები; იქვე, გვ. 38v), როკეთი—ახალმონათლულები 4 ოჯახი, მაჰმადიანები—6 (იქვე, გვ. 45r), ქუნცასა და დადმში—ახალმონათლულებია, პირველში „თურქთა“ 4 ოჯახია (იქვე, გვ. 57v), ნიჯგარში 10 კომლი ახალმონათლულებია, ჩუნჩაში—8 (იქვე, გვ. 60v) და სხვ. ჩანს, ვინ. პასკევიჩის მიერ ამ კუთხის დაბრუნების შემდეგ დაიწყო მასიური „მოკცევა ქრისტიანობაში“, რასაც მაშინდელი რუსული ხელისუფლებაც ყურადღებით ეკიდებოდა (სცია, ფ. 1044, ს. 2, გვ. 318r და v, 319r და v და სხვ). ამ ფონზე გასაგები ხდება შემდეგი ეპიტაფიაც: „ლოდსა ქვეშე ამისა მდებარე არს გვამი მღვდლის პეტრე ხმალაძისა, რომელიც ეამსა-მანმედიანთაჲან ქრისტიანეთა დევნულებისა, იყო შეძლებისამებრ შემეღელი და რუსეთის-მთავრობის ეოსელასა, ძველთა ქრისტიანეთა ეკლესიის შეწყყარებისა ერთეული წინამძღვა-ჰი“ (ი. როსტომაშვილის დასახლებული ნაშრომი, გვ. 41).

<sup>1</sup> სცია. ფ. 77, ს. 48, გვ. 22v.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 1012, ს. 1, გვ. 3v.

რუკებზე განსახილველ ზონაში ყველგან არის აღნიშნული Мамзара. ამემად შამშუვა რა ბოგდანოვიკის რაიონის გონდრიოს სასოფლო საბჭოში შედის დიდი გონდრიო, დილიუ (= დლივი), ყულალის და პატარა გონდრიოს-თან ერთად<sup>1</sup>.

39. სოფ. საქედრია (?) სოფ. ვარდისუბანთან — كادوكسا (I 14, 236; II 15, 232). დაწერილობა თითქოს სწორედ შაქეს ამოკითხული, მაგრამ არ აღმოჩნდა მასალა, რომელიც ადასტურებდეს ამ ამოკითხულობას. ეს 6 კომლიანი სოფელია, რომელიც ვარდისუბანთან ახლო არისო. ვარდისუბანი კი დლიეთთან არის და ორივე ესენი ქანარბელის ნაპიფეში მდებარეობენ<sup>2</sup>.

40. სოფ. ზართა (?) სოფ. ვარდისუბანთან — كارتا (?) (I 14, 236; II 15, 232). „ზარმა“ს (ასეა დაბეჭდილი I და II წიგნებში) ამოკითხულობა ახლა საექვოდ მიმანია. არქივისეულ ორთავე სიაში Зарта გვაქვს და შეიძლება სიის შემდგენლები უფრო მართლები იყვნენ. ამ დაწერილობაში (იხ. დედანი, გვ. 217) უქანასკნელის წინა ასო უფრო თითქოს თ-სათვის საჭირო კბილასკ პგავს. ამრიგად გვექნება, თითქოს, ზართა, შეიძლება წართა-ც იყო. „დავთრის“ დროს ზართა (?) სამკომლიანი სოფელია, რომელიც მდებარეობს ვარდისუბანთან<sup>3</sup>. ზართა სოფელზე ცნობები არა გვაქვს.

41. სოფ. სავანეთი (?) ვარდისუბანთან — صوانت (I 14, 236; II 15, 232). ფეიქრობ, რომ ასეთი წაკითხვა დედანში (გვ. 217) მოცემულ დაწერილობას საესებით შეესაბამება. ჯერჯერობით ასეთი ამოკითხვის დამადასტურებელი მასალა ვერ მოიძებნა და ამდენად კითხვითი ნიშანიც დარჩება. სავანეთი (?) ოთხკომლიანი სოფელია, რომლის მდებარეობა ვარდისუბანთან არის ნაჩვენები<sup>4</sup>. არქივისეულ სიებში — Сыванет-ი გვაქვს (გვ. 17რ და 12ვ).

42. სოფ. სარა — აზმანასთან (I 14, 237; II 15, 233). არქივისეულ სიის შემდგენლები Нораი-ად (17რ, 12ვ) კითხულობენ. რა თქმა უნდა, ასე შეიძლება წაკითხვა, მაგრამ სხვანაირადაც იკითხება და სწორად წაკითხულობის დამადასტურებელი მასალა არც ერთი ვარიანტისათვის ჯერჯერობით არ ჩანს. სოფელი „დავთრის“ დროს უქვე „ცარიელა რეცხამსაგან“.

43. სოფ. ზემო ხოსპია (იხ. ზემოთ, ამავე ნაპიფეში სოფ. № 8).

44. სოფ. პატარა დავხანდა (იხ. ზემოთ, ამავე ნაპიფეში სოფ. № 13).

45. სოფ. სალარჯუა (?) — سارجا (?) — სოფ. არაკონთან (I 14, 237; II 15, 233). არქივისეულ სიებში Саларжуа გვაქვს (17რ, 12ვ). რასაკვირ-

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 25.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ, ქანარბელის ნაპიფეში სოფ. № № 20, 22.

<sup>3</sup> ვარდისუბან სოფელი აღრიცხულია აკშვირის ნაპიფის მომიჯნავე ქანარბელის ნაპიფეში,

სოფ. № 20.

<sup>4</sup> იხ. ქვემოთ, იქვე.

ველია ასეთი წაკითხულობა სავსებით შეესატყვისება დაწერილობას, მაგრამ აქაც არც წერილობითი და არც ზეპირი დამადასტურებელი ცნობა არა გვაქვს.

„დაეთრის“ დროს უკვე დაცარიელებულია.

46. სოფ. აბ[ლარ]ი აბ[ლარ] სათესველითურთ—ბ (I 14, 237; II 15, 233). არქივისეულ სიგეზშიც აბი გვაქვს (17r, 12v); I სიაში რატომღაც Аб-Бетеклиани<sup>1</sup> წერია, ე. ი. „აბთან“ მეორე სოფლის სახელია მიწერილი დამახინჯებულად. სოფელ ან ნასოფლარ აბის არსებობაზე ამ არქივარეში არავითარი ცნობა არა გვაქვს. „დღიურში“ მიწერია, რომ „13. VIII-ს პავლე კარტიკამელმა გადმომცა, რომ სოფ. კარტიკამის ახლო არის ნასოფლარი აბლარი“ (გვ. 14); სხვაგან კიდევ მიწერია „კარტიკამიდან დასავლეთით არის კიდევ ნასოფლარი აბლარი“ (გვ. 18). გარდა ამისა, საარქივო მასალებში სწორედ აქემპირის ნაპიჯეს ამ ზონისათვის რამდენიმეჯერ დასახელებულია ნასოფლარი აბლარი. მაგალითად, საარქივო „საქმეში“ პატარა დაეხანდასთან (№ 44), პატარა მამზურასთან (= მამზვარა) და სხვ. ამ მონაცემთის სოფლებთან ერთად აღრიცხულია примерно в 5 верстах от Ахалкалака деревня прежде бывшая, ныне разоренная—А б л а р и. ვთქვამთ, რომ „დაეთარში“ 46-ე სოფლად აღრიცხული აბ- II ბ იგივე აბლარია, რომელშიც თურქმა ლარ მრავლობითი რიცხვის აფიქსად შიილო და „დაეთარში“ აღრიცხვისას ამ სიტყვის ჩამოაშორა (მისთვის აფიქსი) ლარ და დატოვა აბ-ი.

რაკი გაირკვა, რომ „დაეთრის“ აბ-ი იდენტურია“ აბლარისა, აბლარ ნასოფლარის აღდგენილებარეობის დადგენაც შესაძლებელია. ხუთეფრისიან რუკაზე აქემპირის ნაპიჯეს განსახილველ მონაცეფთზე აღნიშნულია P. Д. А б л а р. სოფ. აბ(ლარი) „დაეთრის“ დროს დაცარიელებულია. მასთან დასახელებული სათესველი აბ-ი უთუოდ აბლარ სათესველია. 1857 წლის საბუთში აბლარ ნასოფლარი მემამულე მელქონ ხოჯაევანოვის მფლობელობაში ჩანს<sup>2</sup> (I და II წიგნებშიც აბლარი უნდა იკითხებოდეს).

47. სოფ. პატკანანი—სოფ. დიდ სან-თან—سانانان (I 14, 237; II 15, 233). ჯავახეთში მოგზაურობის „დღიურში“ მიწერია: „იმავე დღეს (4. VIII-ს) ბოგდანოვიდან ორჯალარს წავედი; ორჯალარის ზემოთ არის სოფელი პატკანა და მის ზემოთ კიდევ ნასოფლარი პატკანა“ (გვ. 8). დიაკრიტული ნიშნების გარეშე მოცემული ამ დაწერილობის ამოკითხვა ამ ცნობის საფუძველზე მოხდა (იხ. დედანი, გვ. 218).

პატკანანის მდებარეობა რუკებით სავსებით გარკვეულია. ბოგდანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუკებზე აღნიშნულია: ხუთეფრისიანზე—Па т к а н а, „ევროპული რუსეთის სპეტრუჯაზე“ (დამახინჯებულად) Пахтапа.

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ პატკანანი, სოფ. № 47.

<sup>2</sup> სტია, ფ. 77, ს. 48, გვ. 22v.

<sup>3</sup> სტია, ფ. 74, ს. 48, გვ. 64r.



ამ პუნქტის სახელი გვხვდება Баткана და Батхана-ს ფორმითა<sup>1</sup>. ძნელია ქართული მასალის გარეშე თქმა—პატკანანი იყო ქართული სახელი, თუ ბატკანანი. შეიძლება თურქული كاتكان ქართულ ბატკანან-ს გადმოსცემს და პატკანანი შემდგომი არმენიზებული ფორმა იყოს. ამგვარად, როგორც სხვაგანაც (განძანი→განძა და სხვ.)-ნი ბოლოსართი დაკარგულია და ადგილზე სომხურად პატკანა იხმარება, ხოლო ოფიციალურ სიაში ბატკანა გვაქვს<sup>2</sup>. არქივისეული სიების Беткнали (17r, 12v) სწორი არაა.

დღეს ბოგდანოვკის რაიონში სათხა, პატარა არაქალ, დიდი არაქალ და ორჯალართან ერთად პატკანა სათხის სასოფლო საბჭოში შედის<sup>3</sup>.

48. სოფ. ქუნცალა (?)—სოფ. დიდ არსი თან—كوسا (I 14, 238; II 15, 234). ამ დაწერილობის შესაშვ ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს და, ვფიქრობ, სწორად უნდა იყოს ამოკითხული. საექვოა მხოლოდ ერთი—ქუნცალა თუ ქუნსალა? ზუსტი მდებარეობის გასარკვევად მასალა ჯერჯერობით არ არის. დაცარიელებული სოფელია.

49. სოფ. დიდი არსი-ი სოფ. პატკანანთან—بركان ارکان (I 14, 238; II 15, 234), 60. სოფ. პატარა არსი-ი სოფ. პატკანანთან—اركان كوچك (I 14, 239; II 16, 235). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ბოლოკიდური ასო მოხაზულობის მიხედვით მხოლოდ კ შეიძლება იყოს. გასარკვევია რა უნდა იყოს მეორე ასო. ყველაზე უფრო საფიქრებელი ისაა, რომ აქ ა ასოების კომბინაცია უნდა გვქონდეს ი ხმოვნის გამოსახატავად. მაშინ ეს დაწერილობა ირკან-ად ან ირგან-ად წაიკითხება—დიდი ირკანი (ირგანი) და პატარა ირკანი (ირგანი). როდეს ირკანი ნაწევრებია პატკანანთან ახლო მდებარედ, ხოლო რუკაზე პატკანანთან ახლოა Б[ольшой] Аркан და М[алый] Аркан. მე ვფიქრობ „დავთრის“ დიდი და პატარა არსი-ი || ირკანი და რუკების დიდი და პატარა არაქალი იდენტურები უნდა იყვნენ. ამ მოსაზრებას ამაგრებს როგორც „დავთრის“ მითითება არაქალების პატკანანთან მდებარეობის შესახებ, ისე იმ პუნქტების გარემოცვა, რომელშიც „ირკანები“ აღრიცხულია „დავთარში“. ეს ასეა, მაგრამ ამავე დროს ძნელია ფონეტიკურ შესაბამისობაში მოყვანა ირკან და არაქალ სიტყვებისა. „დღიურში“ ამ სოფელზე მიწერია: „5. VIII-ს დავათვალღერეთ და ღამე გავათენეთ დიდ არაქალ ში; მდებარეობს მშვენიერ, მაღალ ადგილზე. ამ სოფლის ძველ ქართულ ეკლესიას ორი კედელი-ღა დარჩენია, ისიც მთლიანად შემოძარცვული. აქვე არის დიდი ქვა-ჯვარი წარწერით. პატარა არაქალიც ახლოსაა ამ სოფლიდან, მაგრამ შემოგვადამდა და ვერ წავედით“ (გვ. 9). რუკებზე ირკანა გალ || არაგიალ“-ია. არქივის საბუთებში ამ სოფლების სახელად Аркан გვხვდება<sup>4</sup>. არქივისეულ სიებში Еркан Бузруц

<sup>1</sup> სცია, ფ. 74, ს. 19, გვ. 4r; სცია, ფ. 72, ს. 87, გვ. 1v, სცია, ფ. 1012, ს. 18, გვ. 1r, აქვე, ს. 20, გვ. 9r. და სხვაგანაც.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> სცია, ფ. 1012, ს. 1, გვ. 4r.

(17r, 12v) და ЕРКАН КҮЧИК-ადაა (17v, 13r) ამოკითხული. ეს ასოთა შეერთება თურქულში ჩვეულებრივად ი ხმოვანს გვაძლევს და არა ე-ს. ამიტომ „ერკან“ ი სწორი არ უნდა იყოს. მასალების უქონლობის გამო საძნელაა ამ სხვადასხვა ეთნიურ წრეში გადაგვარებული სახელის პირველადი ქართული სახეობის დადგენა. შეიძლება პირობით არაქალი დაეტოვოთ (ჟ-გ ასოთი ამ ძეგლში მკვეთრი კ თანხმოვანია გადმოცემული).

ი. როსტომაშვილის მიხედვით, სოფ. დიდი არაქალი მდებარეობს ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 20 ვერსის მანძილზე, ტბა-ფარავნის წყლის მარცხენა მალაღ ნაპირზე<sup>1</sup>. „დაეთარის“ დროს ორივე ეს სოფელი უკვე დაცარიელებულია. შემდეგ, ოცდაათიან წლებში ამ მასოფლარებში დაბინადრდნენ არზრუმიდან გადმოსახლებულები. ამჟამად ორივე არაქალი (არაგული, არაგიალი და სხვ.) ბოგდანოვკის რაიონის სათხის სასოფლო-საბჭოში შედის სათხა, ზატკანა, და ორჯალარ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

50. სოფ. დუმანი სოფ. სალამოსთან—طومان نرد سغاو (I 14, 238; II 15, 234), 53. ტბა განძან და დუმან სოფლებთან طومان نرد سغاو (I 14, 238; II 16, 234). თურქულში ط ასო უკანა რიგის ხმოვნებთან მკვერ დ თანხმოვანსაც გადმოსცემს<sup>3</sup>. ამ طومان სიტყვაში ط ასოთი მწერალს უთუოდ დ-ს გადმოცემა უნდა; მართლაც ქართულად ამ პუნქტის სახელი დუმა უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ვახუშტის ინდექსში წერია ამ ზონის სოფლებთან ერთად (გვ. 33v). განძაში ყოფნისას „დლიურში“ ჩამოწერია: „...სალამოს ტბასთან, საიდანაც მდინარე გამოდის არის ხარაბა დუმეა, ტბასაც დუმის-ტბას ეძახიან“ (გ. 12). ი. როსტომაშვილის მიხედვით, სალამოს ტბა რუკებზე აღნიშნულია როგორც თუმას ან დუმას ტბა. ასეთივე სახელი ჰქონდა, ამბობს ი. როსტომაშვილი, იმ სოფელს, რომელიც მდებარეობდა ამ (დუმა) ტბიდან ტბა-ფარავნის-წყლის გასადინთან. ეს სოფელი (ე. ი. სოფ. დუმა) რუკებზე აღნიშნული არ არის<sup>4</sup>. დუმა სოფლისათვის ი. როსტომაშვილი ასახელებს ეკლესიის ნანგრევებს, რაც ამ ადგილის ნასოფლარობის მაჩვენებელია<sup>5</sup>. საარქივო მასალებშიც გვხვდება სწორედ Дума—4 часа езды от Ахалкалака, пустопорожня деревня, земля годная для хлебопашества; ასევე ცარიელ და სახაზინო სოფლადაა აღნუსხული 1835 წ. არქივისეულ საბუთში—Дум და Тума<sup>6</sup>.

აქედან აშკარად ჩანს, რომ „დაეთარში“ გაუყაცარიელებულად აღწერილი სოფ. طومان-ი—ეს არის ვახუშტის ინდექსსა და სხვა წერილობით ძეგ-

<sup>1</sup> ი. როსტომაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>3</sup> J. Deny, Grammaire de la langue turque, პარიზი, 1921, გვ. 54.

<sup>4</sup> И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК,

XXV, 94-95.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> სტია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10r; იქვე, ფ. 74, ს. 40, გვ. 2r; იქვე, ფ. 1012, ს. 3, გვ. 49r, 65r.

ლებში და ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებაში დუმა-დ ცნობილი პუნქტი. „طوم“-ში თავიიდური ط ასო დ თანხმოვანს გადმოსცემს, ხოლო დუმა სიტყვას თურქულ duman-თან (=‘კვამლი’, ‘ნისლი’) გააზრიანების შედეგად დართული აქვს ნ თანხმოვანი, თუ, რა თქმა უნდა, აქაც ჩვენ „დუმანი“ არ გვექონდა (შდრ. ფოკანი, განძანი). Description-ისადმი დართულ რუკაზე ამ სოფლის სახელად წერია Doucha, რაც გრაფიკულ ნიადაგზე წარმოშობილი შეცდომა უნდა იყოს.

ამავე ნაპიჯეში 53-ე ნომრად აღრიცხულია „ტბა სოფ. განძანსა და დუმანთან“. ამ ტბის სახელად რუსულ რუკებზე საღამოს გარდა (მაგ. 1923 წელს გამოცემულ „საქ. ისტორიულ რუკაზე“ ამ ტბას საღამოს ტბა ჰქვია) Оз. Тумангелх-იც გვხვდება<sup>1</sup>. როგორც ზემოთ ვთქვით, Туман სიტყვა იმავე ქართული დუმა სოფლის სახელის გააზრიანების შედეგია; დუმა სიტყვის თავიიდური დ როგორც შედარებით ნაკლები მგლერობის შეშველი ბგერა, გაყრუებულია რუსულ-თურქულ წარმოთქმაში<sup>2</sup> და დუმან || თუმან სიტყვასთან გააზრების შედეგად დუმა || თუმანს თანხმოვანი აქვს დართული. არქივისიულ სიბეში ამ ტბის სახელად ჩაწერილია Голъ (17v, 12v), რაც გაუგებრობაა: Голъ (gul) თურქულად საერთოდ ‘ტბა’ს ნიშნავს და ამ ტბის საკუთარი სახელი იგი არაა.

ქვემოთ (№ 62) ამ ტბას საღამოს ტბა ეწოდება და ცალკეა აღრიცხული. აქ შეწერილი აქვს 500 ახჩა, მაგრამ რაზეა ეს შეწერილი არ ჩანს. როგორც საღამოს ტბას, მას შეწერილი აქვს გადასახადი, ალბათ, თევზზე (იხ. ქვემოთ № 62).

დუმა (=დუმან || თუმან) სოფლის ადგილმდებარეობა რუკებზე აღნიშნული არ არის, მაგრამ Description-ისადმი დართულ რუკაზე Doucha (=Douma) სოფ. საღამოს ადგილასაა აღნიშნული. „დავთარში“ ნაჩვენებია, რომ დუმა საღამოსთან მდებარეობსო. საერთოდ ეს სოფლები ძალიან ახლოს უნდა ყოფილიყვნენ.

51. სოფ. საღამო ფოკა და განძან სოფლებთან — سغامو (I 14, 238, II 15, 234). 62. ქუშური საღამოს ტბის თევზისა — عشر ماهی سغامو كولي (I 14, 239; II 16, 235). ვახუშტით: ...ჯავახეთის მტკვარი (ტბა-ფარაენის-წყალი) გამოსდის ფარაენის ტბას და მოერთვის საღამოს ტბასა, კვლად გამოსდის საღამოს ტბასაცა...<sup>3</sup> ტბის სახელად თითქოს სოფლის სახელი გამოიყენება: სოფ. ფარაენი—ფარაენის ტბა, ან ტბა-ფარაენი (უფრო ძველად, ალბათ, ტბა-ფარაენი→ტბ-ფარაენი→ტათარაენი→თაფარაენი), სოფ. ტაბისყური→ტაბისყურის ტბა; ამ შემთხვევაშიც ტბაზე სოფ. საღამო და საღამოს ტბა; ამავე ტბაზე სოფ. დუმა და დუმის ტბა.

<sup>1</sup> კერძო. რუსეთის სპეცრუკა, „ხუთვერსიანი რუკა“ და სხვ.

<sup>2</sup> ვ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 58-59; აგრეთვე ჩვენ: „გვლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954, გვ. 250, 251.;

<sup>3</sup> „აღწერა სამეფოსა საქართველოსა...“ 129; აგრეთვე 131.

რომელმაც შემდეგ „დუმან-გრლი“ მოგვცა. რუსულ რუკებზე—ხუთვერსიანზე. „ევროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“, 1869 წ. თბილისში გამოცემულ Карта Кавказского Края-ზე და სხვ. ყველგან ამ ტბის სახელია—Туман-гелъ. ი. როსტომა-შვილით На картах озеро это (Сагамо) именуется еще Тумангельским, т. е. озером Тума, или Дума. Так называлось в старину грузинское же селение, лежавшее у истока из этого озера реки Тапараванки<sup>1</sup>. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ეს სოფელი (დუმა), მართალია, რუკებზე არ არის აღნიშნული, მაგრამ მის არსებობაზე ძველი ეკლესიის ნანგრევები მიუთითებს<sup>2</sup>.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაირკვეს, რომ 1. განსახილველი ტბის ნაპირას ორი სოფელი იყო. ყოველ შემთხვევაში „დავთრის“ დროს ერთდროულადაა დასახელებული (ალბათ, როგორც საომარ მოქმედებათაგამო ახლად გაუქარიელებული) ამ ტბაზე: სოფ. საღამო და სოფ. დუმა<sup>3</sup> || თუმანი←დუმა || თუმა. 2. ამ ტბას შესაძლებელია ერთდროულადაც შესაძლებელია სხვადასხვა დროს (ვთქვათ ამა თუ იმ სოფლის ზეობის მიხედვით) საღამოს ტბაც ერქვა და დუმა-ტბაც (თურქობის შემდეგ რომ „დუმან-გრლი“ || „თუმან-გრლი“ მოგვცა).

ჯავახეთში მოგზაურობისას ჩვენ „10.VIII-ს სოფელ საღამოს ჩავედით. აქ არის სამი ქართული ეკლესიის ნაშთები წარწერებით, რომელიც ნიკობერძენიშვილმა შეისწავლა“ („დღიური“, გვ. 12). სოფ. საღამო ახალქალაქიდან 20-25 ვერსის მანძილზე მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და საღამოს ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე<sup>4</sup> როგორც ეს რუკებზე ყველგან არის აღნიშნული). ჩვენ დრომდეც სოფ. საღამო ბოგდანოვის რაიონის განძის სასოფლო საბჭოში შედიოდა განძა და ფოკა სოფლებთან ერთად<sup>5</sup>.

საინტერესოა ამ ადგილებზე ვ. კობტონაშვილის ცნობები: „მდ. თავფარავან ჩაი“ ტბიდან რომ გამოდის განძამდის (სომხების სოფელია) დასავლეთისაკენ მიიკლავება (სოფ. ფოკიდან განძამდის 4-5 ვერსი იქნება). განძიდან კი მდინარე უხვევს და მიდის „სოფ. საღამოსკენ და აქ, საღამოს ერთვის საღამოს ტბას, რომელიც ირგვლივ იქნება 5-6 ვერსი. ამ ტბის აღმოსავლეთ თავში მდებარეობს სხენებული სოფ. საღამო...“<sup>6</sup> საღამოს ტბა „დავთარში“ აღრიცხულია ცალკე საგადასახადო ობიექტად. მას შემწერილი აქვს 10 000 ახჩა, როგორც ქუშური, ე. ი. ნათალი ტბაში დაქერილი თევზისა. არქივისეულ წილაში маж Сагамогоჟ წერიც, რაც შეცდომაა. პირველი სიტყვა عشر (=ნათალი) ვერ წაუკითხავთ, ხოლო სპ. ٤٥—‘თევზი’ უთარგმნელადაა დატოვებული (გვ. 17v, 13r): რა თქმა უნდა, საღამო ქართული სიტყვაა და მისი ასეთი ახსნა: „სა პრე-

<sup>1</sup> И. П. Ростовов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 94-95.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ე. როსტომაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია (რუსულად) „Богдановский район“.

<sup>5</sup> ვ. კობტონაშვილი, მგზავრის დღიურიდან (გზადაგზა), სოფ. საღამო და იქაური ძველი ეკლესიები, საღამოს ტბა, „იფრია“, 1895, № 172.

ფიქსი-წარმართული ღმერთის ღაიმა'ს (Гайма) სახელი სწორი არ უნდა იყოს<sup>1</sup>.

52. სოფ. განძანი—სოფ. ფოკასთან—گازانی (I 14, 238; II 15, 234). სოფ. განძანის მდებარეობის დასაზუსტებლად ნათქვამია, რომ ის სოფ. ფოკასთან მდებარეობს. ორთავე ამ სოფელმა ჩვენ დრომდე მოაღწია და რუკებზე ყველგან აღნიშნულია Пога, Кандза («ვეროპული რუსეთის სპეც. რუკაზე»), Кандза (ხუთვერსიან რუკაზე) და სხვ. «დავთრის» მიხედვით «განძანი» სახელწოდებაში შემორჩენილია -ნი ბოლოკიდური მარცვალი. რომელიც შემდეგში დაკარგულა; მ. ბროსეს Gandza აქვს<sup>2</sup>. დღეს ეს სოფელი განძა-დაა ცნობილი. ი. როსტომაშვილი ფიქრობს, რომ «განძა» სიტყვა «განძ» სიტყვიდან მოდის. მდებარეობს განძა თაფარაენის მდინარის მარცხენა ნაპირას, 5-6 ვერსზე თაფარაენის ტბიდან<sup>3</sup>.

ამავე ავტორის მიხედვით, განძანი მდებარეობს მდ. ტბაფარაენის მარცხენა ნაპირზე, ტბა-ფარაენის გასადინიდან 5-6 ვერსის მანძილზე. განძა ახალქალაქის აღმოსავლეთით მდებარეობს, 20-22 ვერსზე. ამ სოფელში დარჩენილია ქართული მოსახლეობის დროიდან 2 ეკლესია და ერთი ციხე<sup>4</sup>. არქივისეულ სიებსა (17v, 12v) და საბუთებში ამ სოფლის სახელი არმენიზებული ფორმებით გვხვდება—Кандзани, Кандза და სხვ<sup>5</sup>.

«დავთრის» დროს განძანი და, საერთოდ, აკშეპირის ნაპიეგს ამ მონაკვეთზე რიგი სოფლებისა გაუქაცრიელებულია. 1847 წლის არქივისეულ ერთ საბუთში განძანში, როგორც შედარებით ახალ გაშენებულ სოფელში, 28 კომლია აღრიცხული<sup>6</sup>.

დღეს განძანი ბოგდანოვკის რაიონში სოფ. ფოკასთან ერთად განძის სასოფლო საბჭოში შედის<sup>7</sup>.

53. ტბა სოფელ განძანსა და თუმანთან—گول در نزد گانزانى و طومان (I 14, 238; II 16, 234). იხ. აქვე, ზემოთ, № 50, სოფ. ღუმანი.

54. სოფ. ფოკასოფ. ფარენასთან — بوکه نزد پروانه (I 14, 238; II 16, 234). ამ სოფლის სახელი «ქართლის ცხოვრების» ანადლოფლისეულ ნუსხაში მრავლობითი რიცხვის ფორმაში გვხვდება: «ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფუკათა» (ვარიანტები: ფოკათა, ფუკათა)<sup>8</sup>, «ფოკათა სამხრეთით იყო განძანი»<sup>9</sup>. სახელობით ბრუნვაში ფოკანი

<sup>1</sup> К. Ф. Гав, Опыт объяснения кавказ. географ. названий, СМОМПК, 40, გვ. 121.

<sup>2</sup> მ. ბროსე, Rapports... II, 173.

<sup>3</sup> И. П. Ростомов, დასახლებული ნაშრომი, 47; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II, 54.

<sup>4</sup> И. П. Ростомов, გვ. 47, 48.

<sup>5</sup> სტია, ფ. 74, ს. 19, გვ. 4r.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> სპ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 187. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 53.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 54 და 143.

უნდა ყოფილიყო და „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორს<sup>1</sup> პროფ. ს. ყაუხჩი-შვილს საძიებელში ასეც აქვს მოცეწული<sup>2</sup>. შემდეგში ეს ქართული აფიქსი დაიკარგა (შდრ. განძანი—განძა); მ. ბროსე ამ სოფელს ახსენებს უკვე Phoca-დ<sup>3</sup>. ახალ დროს, კერძოდ XIX საუკუნის საარქივო და სხვა წერილობით ძეგლებშიც უკვე ფოკა-ა<sup>4</sup>. „დაეთრის“<sup>5</sup> კანონზომიერად გადმოგვცემს „ფოკა“ს; ოლონდ თავიკიდური ფ ფშენივეერი შესაძლებელია თურქულადაც პ ასოთი იყოს გადმოცემული (დაიკრიტული ნიშანი ჩემი დასმულია). არზრუმიდან გადმოსახლებულთა აქ დამკვიდრების შემდეგ ფოკა სახელწოდება უკვე ცოცხალ მეტყველებაშიც გადასომხურდა. ხუთვერსიან და სხვა რუსულ რუკებზე—Flora გვაქვს. ასეთივე არმენიზებული ფორმით ხმარობს ამ სახელწოდებას ხშირად ჩვენი პრესაც: გაზეთ „კომუნისტის“ 1948 წლის 21. VII-ის ნომერში (გვ. I) სოფ. პოგა-ა დაბეჭდილი. ი. როსტომაშვილს ამ სოფლის სახელი თავისი შრომის თვით სათაურში ორ ვარიანტად მოჰყავს: Фокя, Flora<sup>6</sup>. ამრიგად, სოფ. ფოკა საქართველოს ისტორიაში არა ერთხელ მოხსენებული მნიშვნელოვანი პუნქტია. მისი ძველი ქართული სახელწოდებაა ფოკანი, შემდეგში -ნი დაბოლოება ჩამოეკეცა და ამჟამად ფოკა-დ არის წოდებული.

სოფ. ფოკის მდებარეობა რუკების მიხედვით: სავსებით გარკვეულია. სიზუსტისათვის კიდევ მოვიყვანოთ ავტორთა ცნობები: „სოფ. ფოკა მდებარეობს ახალქალაქ-გუმბრის<sup>7</sup> გზიდან ჩრდილოეთ მხარეს, თაფარაენის ტბის პირას, სწორედ იქ, საიდგანაც მდ. მტკვრის ტოტი—თაფარაენის ჩაის (თაფარაენის მდინარე) სათაური გამომდინარეობს—თაფარაენის ტბის სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, სოფ. ფოკის გვერდში“. შემდეგ ავტორი შენიშნავს, რომ ამჟამად ფოკაში სომხები ცხოვრობენ და რომ დარჩენილია სოფელში ერთი ქართველების დროის ეკლესია<sup>8</sup>. „სოფ. ფოკა ძვეს ქ. ახალქალაქის აღმოსავლეთით 25 ვერსზე მისგან. სამხრეთ კიდეზე, საქართველოს წმინდა ტბისა ფარაენისა და მარცხენა კილით ჯავახეთის მტკვრის სათავისა“<sup>9</sup>.

არქივისეული სიგების Бокя (17v, 12v) სწორი არ არის. ვახუშტის ატლასზე, ისევე როგორც Description-ისადმი დართულ რუკაზე ფარაენის ტბიდან ახალქალაქის მტკვრის გამოსასვლელთან ნაჩვენებია სოფ. გასადინი. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ფოკა არ არის; ფოკა უფრო სამხრეთითაა; ამ სოფელს ჩვენამდე არ. მოუღწევია და არც „დაეთარშია“ მისი სახსენებელი.

დღეს ფოკა ბოგდანოვკის რაიონში განძანის სასოფლო საბჭოში შედის<sup>10</sup>.

<sup>1</sup> ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“, 302.

<sup>2</sup> მ. ბროსე, დასახლებული ნაშრომი, 173.

<sup>3</sup> მაგალითად, სცია, ფ. 74, ს. 19, გვ. 4r და სხვაგან.

<sup>4</sup> ი. როსტომაშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 107.

<sup>5</sup> გუმბრი—თანამედროვე ქალ. ლენინაკანი.

<sup>6</sup> ვ. კობრონაშვილი, მგზავრის დღიურიდან (გზადაგზა). სოფ. სალამო და იქაური ძველი ეკლესიები,—სალამოს ტბა, „ივერია“, 1895, № 172.

<sup>7</sup> სოფ. ფოკა და მისი ნაშთი, „მოგზაური“, 1901, № 4; ფოკის მდებარეობისა და სხვათა შესახებ იხ. აგრეთვე ი. როსტომაშვილის დასახლებული ნაშრომი, გვ. 107-108.

<sup>8</sup> ს.კ. სარ ადმ.-ტერიტ. დაცოფა, 25.

55. სოფ. ფარავანა ფარავანის ტბის თევზის ცუშურითურთ—

پروانه كولى (I 14, 238; II 16, 234). სოფლისა და ტბის სახელად „დავთარში“ გვაქვს پروانه, რომელიც ექვსჯერ მაინც გვხვდება. ერთი და იმავე ზუსტი ორთოგრაფიით (იხ. დედანი, გვ. 19 და 219). არქივისეულ ორთავე სიაში აგრეთვე Парвана გვაქვს (17v, 12r). თურქებს (შეიძლება სპარსელებსაც) ეს სიტყვა გააზრებული აქვთ ცნობილ სპარსულ پروانه (ფარვანე) სიტყვად, რომელსაც ისინი pervane-დ წარმოთქვამენ და წერენ<sup>1</sup> (სპარსული پروانه→თურქ. pervane. ქართ. ფარვანა ნიშნავს 'ღამის პეპელა', 'ფარვანა') აქედან ი: ჰაშერი Pervane gölü-ს ('ფარვანის ტბა') გერმანულ თარგმანსაც იძლევა—Schmetterlingssee (=პეპლის ტბა)<sup>2</sup>. ცხადია, რომ თურქულ „დავთარში“ „ფერვანე“ სიტყვა ამ ტბისა და სოფლის სახელწოდებად გამოძახილია ქართული სახელისა, რომელიც ქართულად ფარავან || ფარავანა || ფარვანად წარმოითქმოდა. საერთოდ კი ამ სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო „ფარავანი“, რომელიც ჩვენ შემონახული გვაქვს ამ ტბისვე ძალიან გაერკელებულ სახელში თაფარავან, რუსულად оз. Параван, Паравани<sup>3</sup>, როგორც ეს ხალხური ლექსიდანაც ჩანს:

ჩვენს მეფეს გაუმარჯვნია თაფარავანის ტბაზე და,

მოუკლავს ხარი-ირემი, საისრე უღევს მკლავზედა<sup>4</sup>.

„თაფარავანი“ უნდა მოდიოდეს „ტაბა-ფარავან“ ან „ტბა-ფარავან“ შესიტყვებისაგან. პროფ. ა. შანიძის აზრით ტაბა (ტბის მნიშვნელობით) „ტბაზე“ უფრო ძველი ფორმაა და გადმონაშთის სახით შემონახულია ისეთ ტოპონიმიკურ სიტყვებში, როგორიცაა ტაბახმელა, ტაბისყური<sup>5</sup> (ტაბა, ნათ. ტაბის). ოღონდ, მართალია ი. როსტომაშვილი, რომელიც ამბობს, რომ называлось оно (озеро) так по имени села Парвана... აკად. ნ. ბერძენიშვილმა უფრო დამაჯერებლად აღნიშნა, რომ ჯერ დასახლებული პუნქტის სახელი ჩნდება და მერე ეს სახელი შეერქმევა ხოლმე ტბას (ტაბისყური—ტაბისყურის ტბა, ფარავანი—ფარავანის ტბა)<sup>6</sup>. ტაბა-ფარავანი სიტყვა შემდეგში „გაცვდა“. შეიკუმშა, ორი ბაგისმიერი თანხმოვნით დაწყებულ მარცვალთაგან (ბა, ფა) ერთი—ბა მარცვალი დაიკარგა; ქართულისათვის დამახასიათებელი რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით<sup>7</sup> თავიკიდური

<sup>1</sup> Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, Москва, 1953, გვ. 92; Д. А. Магара-мич, Турешко-русский словарь, Москва, 1945, გვ. 487.

<sup>2</sup> GOR, II, გვ. 865.

<sup>3</sup> ბუთვერსიანი რუკა, Карта Груз. ССР სუხდალცევასა და პიოეაროვის რედაქციით, 1945.

<sup>4</sup> ხალხური ლექსები, „ძველი საქართველო“, II, თბილისი, 1911-1912, განყ. V, გვ. 85.

<sup>5</sup> А. Шанидзе, К этимологии названий „Топала“, „ენიშის მოამბე“, I, თბილისი, 1937, გვ. 81; აგრეთვე: ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარანი, იბერი, იქვე, გვ. 240; ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი). „მომომხილელი“, II, თბილისი, 1951, გვ. 38.

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახლებული ნაშრომი, იქვე.

<sup>7</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 195.

ტ ფშინიევიერების მიხედვით დაემსგავსა მომღვენო ფ თანხმოვანს—ტაბაფა-რაჟანი→ტაფარაჟანი→თაფარაჟანი. ან არადა, უფრო შესაძლებელია, რომ „თაფარაჟანი“ ტბა—ფარაჟანი-სგან იყოს მიღებული. ა. შანიძის აზრით: ტბა სიტყვაც საკმაოდ დიდი ხნისაა და საყოველთაო გავრცელებულობა აქვს<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში საქმე უფრო მარტივად წარმოგვიდგება: ტბა ფარაჟანი-ში ბ თანხმოვანი გამოვარდა და თავიიდური მკვეთრი ტ გაფშინიევიერდა. ეს უფრო იმიტომაც, რომ მატიანებში ჩვეულებრივია გამოთქმა „ტბაა ფარაჟანაა“<sup>2</sup>. ამრიგად უნდა იყოს მიღებული თა ფარაჟანი→Тапаражанн. რუსულ რუკებზე ზოგჯერ და სხვა საარქივო თუ სხვა მასალებში გვხვდება აგრეთვე Топоровань<sup>3</sup>, რაც Тапараван-ის გადამახინჯებული ფორმაა. მეტად გულუბრყვილოა და უარსაყოფი ამ სიტყვის ასეთი ანალიზი: от груз. თავი-голова и ფარაჟა-укрывание; укрывание головы, т. е. самого-себя, уберечьше...<sup>4</sup>

საერთოდ კი განსახილველი სოფლისა და ტბის სახელად ყველაზე უფრო სწორი და ძველი ქართული ფორმა ფარაჟანი უნდა ყოფილიყო. ასეა, მაგალითად, ეს სახელწოდება სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში: „კიდესა დიდსა ტბისა ფარაჟნისასა“<sup>5</sup>. ასევე აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ტბას „ფარაჟნის ტბად“ ახსენებს: „ეს მთები არტყია ფარაჟნის ტბას...“<sup>6</sup> მასვე მოჰყავს წმ. ნინოს ცხოვრებიდან ამის დამადასტურებელი ადგილი: „...ტბასა დიდსა..., რომელსა ერქუა ფარაჟანაა“ (Опис. II, 748)<sup>7</sup>. ასევე ფარაჟანი აქვს ვახუშტისაც: „მთა ბარძიშისა და ფარაჟნის გამკრელი ხაზი ბოლოლის მთამდე“<sup>8</sup>. გარდა ამისა ვახუშტის ინდექსსა (გვ. 43r) და ატლასზედაც (№ 12) თაფარაჟნის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აღნიშნულია სოფ. ფარაჟანი, ისევე როგორც Description-ისადმი დართულ სამცხის რუკაზე ამ ტბას აწერია Pharawani (თუმცა იქვე უწერია ou Phawawari).

გარდა ამისა, იმავე ვახუშტისთან ამ ტბისა და სოფლის სახელად ძალიან ხშირად გვხვდება ჩვენ ფანავრა და ფანავრის ტბა<sup>9</sup>. ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ კიდევ ამისგან განსხვავებული ფორმაც გვაქვს ამ პუნქტების სახელად—ფანვარი (ფანვარიდგან, ფანვარადმდე)<sup>10</sup>. ჩვენ ასეთ

<sup>1</sup> ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 81.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 18.

<sup>3</sup> Карта Кавказского Края, Тифлис, 1869, С. 4; აგრეთვე ივეროპული რუსეთის სპეცრუკა<sup>4</sup>.

<sup>4</sup> К. Ф. Ган, Опыт объяснения кавказских географ. названий. СМОНПК, 40, გვ. 139.

<sup>5</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ე. თაყაი-შვილის გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 27, თბილისი, 1949, გვ. 61.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 15.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>8</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 41.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 24, 43, 50, 84, 131 და 43, 120, 129, 130, 131.

<sup>10</sup> გვ. 6, 17, 18 და სხვ.



შემთხვევაში გვაქვს რეგრესული მიმართულების მეტათეზისი, რომელიც ქართულინათვის ერთობ დამახასიათებელია<sup>1</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ „ბგერა-იკვლის ადგილს მეტწილად სიტყვის თავისაკენ. უფრო გარკვეულ სურათს-გვაძლევს, რასაკვირველია, სონორული თანხმოვნები“<sup>2</sup>: ფარავან→ფინავარ, ფარავან-ფინავარ და სხვ. მაშასადამე, ფანეცარ, ფანეცრა და მისთანანი კანონზომიერების საფუძველზე ფონეტიკურად გადასხვაფერებული სახეობებია, რომლებიც გარკვეულ ენობრივ ფენებში იხმარებოდა.

თაფარავან სიტყვაც გვხვდება ზოგჯერ გადაზრებული სახით. ფოლკლორულ მასალებში, მაგალითად, გვაქვს: „მთაფარავნელი ქაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა“<sup>3</sup>. ცხადია, რომ აქ „თაფარავან“ სიტყვა გააზრებულია „მთაფარავან“ად. უნდა იყოს თაფარავნელი ქაბუკი. მართალია, „თაფარავანი“<sup>4</sup> ზროგორც ზემოთ ვნახეთ, სოფელს, ფარავანს კი არა, ფარავანის ტბას ჰქვია. მაგრამ აქ ტბის სახელთან (←სოფლის სახელი) განზოგადოებულია სოფლის სახელი. ასევე ხალხური ეტიმოლოგიის ნიადაგზე გააზრებულად წარმოგვიდგება თაფარავანის მეორე ვარიანტი: „თავფარავნელი ქაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა“<sup>5</sup>. ამ შემთხვევაშიც თაფარავნელი გააზრებულია თავფარავნელად. მართალია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, როცა წერს: „თავ-ფარავანი“ აქ ტბას კი არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ ფარავანის ტბის თავში მდებარე სოფელს, ე. ი. საკუთრივ ფარავანს...“<sup>6</sup> ოღონდ, რა თქმა უნდა, „თავფარავან“ სიტყვაში სოფლის „ტბის თავში“ მდებარეობის ფაქტი კი არ არის მოცემული, არამედ თაფარავანი აქაც გააზრებულია თავ-ფარავნად. თუ საერთოდ შეიძლება ითქვას „ტბის თავი“, სოფ. ფარავანი სწორედ ტბის თავზე არ არის. ის მდებარეობს ფარავანის ტბის ჩრდილოეთ „თავიდან“ საგრძნობლად დაშორებით, ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ჯერ კიდევ ი. როსტომაშვილმა აღნიშნა, რომ სოფ. ფარავანა (ფარავანი) მდებარეობდა სწორედ იქ, სადაც ამჟამად გაშლილია დუხობორების სოფელი როდიონოვკა. იგივე ავტორი შენიშნავს, რომ ადგილობრივი მკვიდრები ახლაც ამ (დუხობორების) სოფელს ფარავანას (ფარავანს) ეძახიანო<sup>7</sup>.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საკითხები, გვ. 206.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ხალხური ლექსები სამეხთეთში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ, „ძველი საქართველო“, III, გვ. 252; შდრ. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 60.

<sup>4</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>6</sup> И. П. Россов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56. საერთოდ დუხობორები, ჩანს, იკავებდნენ ძველ ქართულ, ამ დროისათვის უკვე გაუყვანილებულ სოფლებს. ვ. კობტონაშვილი, მაგალითად, შენიშნავს, რომ „სოფ. როდიონოვკის პირდაპირ ტბის გაღმა, დასავლეთის მხარეს ს. როდიონოვკიდან მდებარეობს სოფ. შაშკა (გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 172). როდიონოვკის პირდაპირ დასავლეთისკენ, დაახლოებით ტამბოვკა მდებარეობს და, შეიძლება, ამ ტამბოვკას ადრე შაშკა ერქვა. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგიც ტამბოვკის ადრინდელ სახელად ჩაშკას ვარაუდობს (კობტონაშვილის შაშკა. უფრო სწორი უნდა იყოს, თუმცა ამ

„ღღიურშიც“ მიწერია: „11.VIII-ს ფოკიდან გვემგზავრეთ ფარავნის ტბის ნაპირით სოფ. ფარავანში (როდიონოვკა), აქ დავათვალიერეთ ქარავასლის და ეკლესიის ნანგრევები“ (გვ. 13).

სხვათა შორის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არქივში დაცულ ერთ საბუთში ორი ფარავანია ფიქსირებული: Большая Порвана და Малая Порвана, რაც არც „დავთარმა“ და არც სხვა რომელიმე წყარომ არ იცის. ორივე ეს ფარავანი ამ საბუთში, ისევე როგორც „დავთარში“, ცარიელ სოფლებადაა აღწერილი<sup>1</sup> (დუბობორების აქ დაბინავება გასული საუკუნის 40-იან წლებში მოხდა. ი. როსტომაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 58).

სრფ. ფარავნისა და ფარავნის ტბის მდებარეობის დასაზუსტებლად მნიშვნელოვანია ი. როსტომაშვილის ცნობები: ახალქალაქის აღმოსავლეთით 30-35 ვერსის მანძილზე მდებარეობს თაფარავანის ტბა. ძველად ამ ტბის გარშემო ქართველები ცხოვრობდნენ და ამ ტბას ფანავრისა და ფარავანის ტბას ეძახდნენ<sup>2</sup>. ცნობილი ხალხური ლექსის „თაფარავნელი ქაბუკი“ს ერთ ვარიანტში „თაფარავნელის“ ნაცვლად „თამარაშნელი“ გვაქვს:

თამარაშნელი ქაბუკი ასპინძას ქალსა ჰყვარობდა,

ტბა ჰქონდა წინად საეალი, გასვლას შიგ არა ზარობდა<sup>3</sup>.

ამის საფუძველზე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ აწინდელი როდიონოვისა და ძველი ფარავნის უფრო ძველი სახელი თამარაშენი უნდა ყოფილიყო<sup>4</sup>. 1943 წლის თავის შრომაში კი პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი წერს: თანა რ მეფემ XII საუკუნის დასასრულსა და XIII-ის დასაწყისში აქ მნიშვნელოვანი საგზაო და საფუნდუკე მშენებლობა ჩაატარა და იმავე ხანებში თაფარავანს სოფელს სახელი თამარაშენად გადაარქვეს<sup>5</sup>. ამის შესახებ ჩვენ ცნობა არა გვაქვს. საეპოკაა, რომ თამარაშენი რქმეოდა სოფელს და ასეთი სახელწოდება შემდეგში „ფარავანს“ შეეცვალოს, ან პირიქით. უფრო მოსალოდნელია, რომ ხალხურ ლექსებში თაფარავანი<sup>6</sup>სათვის თამარაშენი ისეთივე გააზრებული და მიმსგავსებული სახელი იყოს, როგორც ეს კიდევ გვაქვს ჩვენ იმავე ლექსებში „ასპინძა“, „ასპანა“ და „გასპარა“ს სახით<sup>7</sup>.

ამჟამად როდიონოვკად წოდებული სოფ. ფარავანი ბოგდანოვიკის რაიონში ფარავნის სასოფლო საბჭოში შედის ტამბოვკა, ასფარა, ახალი ხუღგუმო და ვლადინიროვკა სოფლებთან ერთად<sup>8</sup>.

სოფლის სახელად 22. III. 1955 წ. ჩაჩაკა ჩამიწერია. „ჩაჩაკაში მალაქები ცხოვრობენ“. ვისგან ჩავიწერე აღნიშნული არა მაქვს). ი. როსტომაშვილი აწინდელ სოფ. ტამბოვკაში ადასტურებს ქართული მოსახლეობის კვალს, კერძოდ: ქართველთა სასაფლავი (შეიძლება ეს შაკას სასაფლაო იყო (Ростово, დასახელებული ნაშრომი, 58).

<sup>1</sup> სკია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10გ.

<sup>2</sup> ი. როსტომაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.

<sup>3</sup> ხალხური ლექსები, „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, განყ. II, გვ. 167.

<sup>4</sup> მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 61.

<sup>5</sup> Л. Меликсет-Бек, Мегалитическая культура в Грузии и ее пережитки в эпоху Руставели. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამსაწყალებლო ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1943, გვ. 162.

<sup>6</sup> იხ. უფრო ვრცლად ქვემოთ, გვ. 352.

<sup>7</sup> საქ. სრ. აღმ.-ტერიტ. დაცოფა, გვ. 25.

„დავთარში“ სოფელ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნასოფლარ-ფარავანს მიწერილი აქვს გამოსახლები იმ თევზზედაც, რომელიც ფარავანის ტბაში დაიჭირება. სულ შეწერილი აქვს 10 000 ახჩა. ცალკე ძიების საგანი შეიძლება იყოს გარკვევა იმისი, თუ რომელ ქართულ ნასოფლარებში ჩასახლდნენ დუხობორები, რა ერქვა ძველად გორელოეკას, ევრემოეკას, ოროლოეკას (ყ. ტერპენიე), სპასოეკას, კალინინოს (ყ. ტროიციკოე) და სხვ. ან შეიძლება სოფელთა ეს რიგი ცარიელ ადგილას აღმოცენდა. საამისო მასალა მე ამჯერად არ მიძებნია.

56. სოფ. შაორი—სოფ. ფარვანასთან—شاورى (I 14, 238; II 15, 234).

„დავთარის“ დროს უკვე გაუკაცრიელებული სოფელია. თანამედროვე რუკებზე (რუსულ სპეცრუკებზე) არ არის აღნიშნული. სამაგიეროდ ასეთი პუნქტი—შაორი—Chauri აღნიშნულია ვახუშტის ატლასზე (პნ 12) და Description-ისადმი დართულ რუკაზე ფარავანის ტბის ჩრდილოეთის მიმართულებითა და რამდენიმედ დაშორებით (შდრ. ვახუშტის ინდექსში შაორი, გვ. 43r.). 1923 წ. გამოსულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ სოფ. შაორი არ არის აღნუსხული, მაგრამ ამ ზონაში იქ აღნიშნულია (ამ სოფლის კიდევ ჩრდილოეთით) მთა შაორი. შაორის სახელით ცნობილი სოფლის გარდა ცნობილი ყოფილა აგრეთვე შაორის ციხე და შაორისწყალი: „ქველად ამ ტბას (ფანავრის) ერთვის წყარო შაორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ...“, „ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითანაშენი...“, „ქველად არს შავნაბადი შაორსა და თავეკეთილს შუა“<sup>1</sup>. ი. როსტომაშვილის ცნობით ამ შაორის ციხეს შემდეგში დარქმევია „ქოროლლის ციხე“. ავტორი საეცებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ ციხეს უნდა დაუბრუნდეს თავისი ძველი და ქართული სახელი „შაორის-ციხე“<sup>2</sup>.

ამრიგად, შაორი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტია, რომელიც დაცულია მის თავზე მდებარე შაორის ციხით. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ათონის მონასტრის № 53 ეტრატის ხელნაწერი, რომელიც აფხაზთა მეფის ბაგრატიას და ქართველთა კურაპალატის ბრძანებით არის დაწერილი «დასაბამიდგან წელთა ხქუხ, ქრქსა: სკბ: ... (1002 წ.) შაორს ...ტელითა აკელია მტებერისაჲთა»<sup>3</sup>, დაწერილი უნდა იყოს ფარავანის ტბის სანახებში მდებარე ამ ჩვენ შაორში.

დედანში (გვ. 219) شاورى დაწერილობაში პირველ ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს და ეს ასო ექვს არ იწვევს, მაგრამ მომდევნო ყ-ს ბევრი, ჩანს, თანხმოვნად კითხულობს და ამ ნიადაგზე გვხვდება ამ სახელწოდების საკმაროდ შერყენილი ფორმები: არქივისეულ სიებში (საერთოდ შეცდომით) Шареви (გვ. 17v) და Шавари (გვ. 12v), Шавар пустопорожня земля, удобиан

<sup>1</sup> დაწერა სამეფოსა საქართველოსა, 43; შდრ.: ი. როსტომაშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 26-27.

<sup>2</sup> ი. როსტომაშვილი, დასახლებული ნაშრომი, 27; აგრეთვე ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, გვ. 70-71.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, II გამოცემა, თბ., 1949, გვ. 177.

для хлебопашества; 6 часов езды от Ахалкалака<sup>1</sup>. ერთ საბუთში ორი შორია ნახსენები: Шавар большой, Шавар малый<sup>2</sup>.

შაორი არ არის თანამედროვე ღუბოზორების სოფელი ტამბოკვა, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. შაორი ვახუშტის ატლასზე გაცილებით უფრო ჩრდილოეთის მხარეზეა, ხოლო ტამბოკვა თაფარაენის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს.

57. სოფ. მახარო ფარვანასთან—مخارو (I 14, 238; II 16, 234). აღრიცხულია გაუქაცრიელებულ სოფლად. მდებარეობა ნაჩვენებია თაფარავანთან. სოფელთა იმ გარემოცვის მიხედვითაც, რომელშიც „დაეთარში“ მოცემულია მახარო, ცხადია, რომ ის თაფარაენის სანაპირო სოფელთაგანია. ამავე დროს ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ეს ის სოფელ მახაროვანია, რომელიც გელქოზდეკ კათალიკოზის 1020 წლის სიგელში იხსენიება<sup>3</sup>. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ, მაგალითად, ქართულ სახელწოდებაში „ფოკანი“ ბოლო მარცვალი ჩამოვარდნილია და ფოკა გვაქვს<sup>4</sup>. აქაც უთუოდ ასეა—მახაროვანი→(შეიძლება) მახაროანი→მახარო. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „ფარვანასვე ყოფილა სოფელი მახაროვანი, რომელიც ახლა არა ჩანს“<sup>5</sup>. მართლაც არც ერთ მსხვილმასშტაბიან რუკაზე მახაროვანი არ არის აღნიშნული; ოღონდ ვახუშტის ატლასზე (№ 12), ისევე როგორც Description-ისადმი დართულ რუკაზე, ფარვანის ტბის თითქმის შუა წელთან, მის დასავლეთ სანაპიროზე ფიქსირებულია პუნქტი მახარა || Makhara, რაც, სხვათა შორის, „დაეთრისეულ“ შეკვეცილი ფორმის ანალოგიურია. ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ დროისათვის თვით ქართულშიც შეკვეცილი იყო მახაროვან სიტყვა მახარო-მახარად. მაშასადამე, მახარო || მახაროვან სოფლის ადგილმდებარეობა რუკების მიხედვით საესებით გარკვეულია.

თუ Description-ისადმი დართულ რუკაზე ფარვანის ტბის დასავლეთ სანაპიროს შუა წელზე სოფ. Makhara სწორედ არის აღნიშნული, მაშინ არსებული ახრი (პავლე ინგოროყვა), რომ აწინდელი ღუბოზორების სოფელი ვლადიმიროვკა და მახაროვანი ერთი და იგივე პუნქტია, სწორი არ უნდა იყოს. ვლადიმიროვკა თანამედროვე რუკებზე ფარვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთის ყურთან არის აღნიშნული.

არქივისეულ სიებში მოხსენებულია Махаро (17v) და შეცდომით Мохоро (გვ. 12v).

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10v, იქვე, ფ. 47, ს. 76, გვ. 4v, 8r, 11v; იქვე, ფ. 1012, ს. 15, გვ. 21r; შაორის ნაიხარზე იხ. ლ. მელიქსეთ-ბევი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 70-72.

<sup>2</sup> სცია, ფ. 1012, ს. 1, გვ. 5v.

<sup>3</sup> თ. უორდანი, ქრონიკები, 11, გვ. 33 (ივ. ჯავახიშვილით; ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 54). შდრ: ქართლის ცხოვრება—ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 290; ი. როსტომაშვილის დასახელებული ნაშრომი, С И О М П К, XXV, გვ. 8.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ, გვ. 343.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 54.

58. სოფ. ასფარა ფარვანის ტბასთან—اسفره (I 14, 238; II 16, 235). „დავთრის“ დროს ასფარაც გაბზრებულია. „12. VIII-ს, დილას ტამბოეკიდან გამოვემგზავრეთ და მოვედით სოფ. ასფარაში. ასფარის მოსახლეობა თურქულენოვანი სომხებია, რომლებიც ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გადმოსახლდნენ აქ კარტიკამიდან<sup>1</sup>. მათი თურქული მეტყველება კი თითქმის არ განსხვავდება გამაჰმადიანებულ ქართველთა მეტყველებისაგან (ბინდემ←bindim; ჰალ←hal და სხვ.). ერთი დანგრეული ეკლესია არის; პატარა სოფელია“ („დლიურში“, გვ. 13).

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიხედვით: „ასფარა“ ძველი სახელწოდებაა იმ სოფლისა, რომელსაც აწ „ბობლიკან“ ო „პუბლიკან“ ჰქვია, ფარაენის ტბის ნაპირზე<sup>2</sup>. მე კი ჯაფახეთში მოგზაურობის „დლიურში“ მიწერია: „12. VIII-სვე გავეიარეთ სოფ. ბუბლიკამში (=რუს. ვლადიმიროვკა); ამჟამად დუხობორები ბინადრობენ. ერთმა ფოკელმა გლეხმა ჩაგვაწერინა: „ამ სოფელს—ვლადიმიროვკას ძველად პოლპიკანი ერქვაო; პუბლიკანიც გამიგონია მის სახელადო“ (გვ. 13). ამრიგად, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ ადგილზე მოგვაწოდეს, ასფარა არ არის ბობლიკან. || პუბლიკანი; თვით ასფარა ამ სოფლის ძველი სახელია, ხოლო, როგორც ჩვენ ჩაგვაწერინეს, ბუბლიკამი || პოლპიკანი და ლ. მელიქსეთ-ბეგით ბობლიკან = პუბლიკანი ძველი სახელი უნდა იყოს იმ სოფლისა, რომელსაც ამჟამად ჰქვია ვლადიმიროვკა, მდებარეობს ფარაენის ტბის სამხრეთ-დასავლეთის ყურთან და ტამბოეკა, ასფარა, ახალი ხულგუმო და როდიონოვკა (ფარაენ) სოფლებთან ერთად შედის ბოგდანოვკის რაიონის ფარაენის სასოფლო-საბჭოში<sup>3</sup>, ისევე როგორც განსახილველი სოფელი ასფარაც ამავე სოფლებთან ერთად იმავე საბჭოში შედის<sup>4</sup>. „დავთარში“ ბუბლიკამი არ არის აღრიცხული, მაგრამ ჩვენ „დლიურში“ მოცემული ცნობა რომ სწორია იქიდან ჩანს; რომ ხუთეკისიან რუკაზე ფარაენის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ყურთან, სწორედ სოფელ ვლადიმიროვკასთან ძლიერ ახლო აღნიშნულია Р. Д. Бобликан. ჯერ კიდევ არის საჭირო მასალების დაძებნა, რომ გაირკვეს, თუ არსებულ ვარიანტებში რომელია სწორი და ძველი ქართული სახელი ამ სოფლისა: ბობლიკან || პუბლიკანი, ბუბლიკამი-პოლპიკანი თუ Бобликан-ი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასფარას სახელით სოფელი ძველად ორი უნდა ყოფილიყო. მართალია, „დავთარიდან“ ეს არ ჩანს, მაგრამ იმავე ხუთეკისიან რუკაზე ფარაენის დასავლეთ სანაპიროს შუა წელში რომ Р(азва-лины) сел(ения) Аспара-ა აღნიშნული, მის ჩრდილოეთით ამავე ნაპირზე კიდევ აღნუსხულია Р. Д[ервини] Аспара.

<sup>1</sup> კარტიკამი, იხ. ზემოთ, გვ. 334.

<sup>2</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 60.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 25.

<sup>4</sup> იქვე.

ცნობილ ხალხურ ლექსში „თაფარაენელი ქაბუკი“ სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტი იხმარება: ასფარა, ასპინძა<sup>1</sup>, ასპანა<sup>2</sup>, გასპარა<sup>3</sup>. ამათში ყველაზე უფრო სწორი ასფარაა; ასპანაზე „საქართველოს სიძველენში“ (III, 252) ლექსების შემკრები შენიშნავენ, რომ „ფოკის ტბის ნაპირს უნდა იყოს ნასოფლარი ასპანა“<sup>4</sup>. მაგრამ ეს არ არის სწორი. თარაენის ტბის დასავლეთ ნაპირზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, ორი ნასოფლარია ასფარას სახელით, მაგრამ ასპანა არაა. რა თქმა უნდა, არც გასპარა უნდა იყოს გეოგრაფიული სახელი. ასპინძა კი არის, მაგრამ აქ ასპინძაც, რომელიც აქედან საკმაოდ შორსაა, არ ივარაუდება. საქმე ისაა, რომ ამ ხალხური ლექსის „თაფარაენელი ქაბუკი“ მოქმედ პირთა საცხოვრებელი ადგილი უნდა იყოს—ქაბუკისათვის თაფარაენის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე სოფელი ფარაენი, ხოლო მისი სატრფო ქალისათვის ფარაენის პირდაპირ, გაღმა, ტბის დასავლეთ ნაპირზე მდებარე სოფ. ასფარა. თარაენელ ქაბუკს „ტბა (ზღვა) ჰქონდა წინად სავალი“. ე. ი. თარაენის ტბა უნდა გაცუროს, რომ თავის სატრფოსთან გაღმა ასპარას მივიდეს. მე მგონია შინაარსის მიხედვით ამ ლექსის სწორი ვარიანტი შემდეგი უნდა იყოს:

თაფარაენელი ქაბუკი ასპარას<sup>5</sup> ქალსა ჰყვარობდა,

ტბა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა.

მაშასადამე, აქ ტბის გაღმა-გამოღმა და ერთიმეორის პირდაპირ მდებარე ისტორიულად დადასტურებულ ქართულ სოფლებზე და მანდ მჭოვრებ ქალვაეშა ლაპარაკი. „ასპარას“ დამახინჯება (ასპანა, გასპარა), ან მისი შეცვლა „ასპინძად“ და სხვა, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ლექსს დიდი გავრცელება ჰქონდა საქართველოში და ამგვარი დამახინჯებები და ცვლილებები ხდებოდა იმ წრეებში, რომლებიც ვერ იცნობდნენ თაფარაენის ტბისპირა სოფელთა გეოგრაფიულ განლაგებულობასა და ნომენკლატურას.

ამჟამად ასფარა ტამბოვკა, ახალი ხულგუმო, ვლადიმეროვკა და როდიონოვკა (ფარაენ) სოფლებთან ერთად ბოგდანოვკის რაიონის ფარაენის სასოფლო საბჭოში შედის<sup>6</sup>.

59. სოფ. ზემო ორაჯა (?)—**عراجا** (I 14, 238; II 16, 235). (იხ. ზემოთ, № 24, გვ. 328).

60. სოფ. პატარა **كنا**, სოფ. პატკანანთან (I 14, 239; II 16, 235).. (იხ. ზემოთ, № 49, გვ. 339).

61. სოფ. მელანგეთი (?), (მელანგელი?)—ს. ზემო მამზურასთან—**عراجا** **مزرور** **زاد** [ملاکت] [?] (I 14, 239; II 16, 235; ლედანი, გვ.

<sup>1</sup> „საქართველოს სიძველენი“, III, განყ. II, 167.

<sup>2</sup> ხალხური სიტყვიერება, ეჭ. თაყაიშვილის რედ., I, 428, 284 და სხვ. (ვასანელე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის შრომის „მეგალითური კულტურა საქართველოში“ მიხედვით, გვ. 60); მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1956, გვ. 332.

<sup>3</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, იქვე. ასეთი გეოგრაფიული სახელი არც უნდა იყოს.

<sup>4</sup> შეიძლება აგრეთვე—ასტარა; იხ. აგრეთვე: Л. Меликсет-Бек, Мегалитическая культура в Грузии и ее пережитки в эпоху Руставели. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1943, გვ. 162.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

220). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ მისი ამოკითხვა დაახლოებით მაინც ასეა. ეს გეოგრაფიული პუნქტი ნაჩვენებია ს. ზემო მამწვეარას-თან (მამზურა). ამ უკანასკნელთან კი ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია Ур. Малая. მეც „დღიურში“ ჩაწერილი მაქვს მამწვეარა || მამზურას სანახებში მალაქას შთა და სოფლის ნანგრევი მალაქა. შესაძლებელია. ეს მალაქა იყოს „დავთრის“ მელანგეთი ან მელანკეთი. ყოველ შემთხვევაში სხვა რამესთან გაიგივება ამ დაწერილობით აღნიშნული პუნქტისა არ ხერხდება. არქივისეულ სიებში Малая-ИТ-ი გვაქვს (17v, 13r.).

62. ყუ შური სალამოს ტბის თევზისა—عشر ماهی سغامو کولی (იხ. ზემოთ, № 51, სოფ. სალამო, გვ. 341).

63. გამოსაღები ისკუნდრიეს (?) ტბის თევზზე [?]—اسقوندریه-رم ماهی (I 14, 239; II 16, 235). ამ სექტორში ტბა საკმაოდ ბევრია, მაგრამ ამ სახელის მატარებელი ტბა—ისკუნდრიე, ასკუნდრია და მისთანანი რუკებზე აღნუსხული არ არის. საკმაოდ მოზრდილია ბულდაშენის ტბა, რომელიც ხუთვერსიან რუკაზეა მოცემული. შეიძლება „ისკუნდრიე“ ან „ასკუნდრია“ ამ ტბის მეორე სახელი იყოს. არქივისეულ სიაში Искондорна голы წერია (13r.).

64. გამოსაღები ხანჩერიეც (ხანჯერიეც) ტბის თევზზე — ماهی خنجریه کولی (I 14, 239; II 19, 235). ხანჩერიეს ტბა უთუოდ ის ტბაა, რომელიც რუკებზე ცნობილია „Озеро Ханчалы-геа“ (ხუთვერსიანი რუკა, „ევროპული რუსეთის სპეცრუკა“ და სხვ.). ი. როსტომაშვილით ტბა ხანჩარისა (ხანჯალისა, Ханчалынского озера) მდებარეობს 18 ვერსზე ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ბოგდანოვიდან 2 ვერსის მანძილზე<sup>1</sup>. ამავე ტბასთან, სახელდობრ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუკებზე აღნიშნულია დღესაც არსებული სოფლები დიდი და პატარა ხანჩალი (რუკებზე Б. и М. Ханчалы). ამჟამად დიდი ხანჩალი და პატარა ხანჩალი კათნატე სოფელთან ერთად ბოგდანოვიკის რაიონის ხანჩალის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>. „დავთარში“ ეს სოფლები აღრიცხული არ არის; შესაძლებელია მოსახლეობა აქ შემდეგში გაჩნდა.

საფიქრებელია, რომ ამ ტბას შემთხვევით არ დარქმევია ხანჯლის ტბა. „ხანჩალ“ სიტყვაში „ჩ“ თანხმოვანი სპარსულ-თურქულის გავლენითაა ქართულში, თუ არა „ხანჯლის ტბა“ უნდა ერქვას. პროფ. ნ. კეცხოველი, მაგალითად წერს „ხანჯალის ტბა“<sup>3</sup>. თურქულად „ხანჯალს“ ჰქვია ხანჩერ (←სპ. خنجر, არაბიზებული ფორმა—خنجر)<sup>4</sup>, ხოლო ხანჩერიეც-خنجریه არაბული ყაიდის ზედსართავი სახელია, ნიშნავს கிணჯალყაყა. შესაძლებელია

<sup>1</sup> СМОПР, 25, გვ. 55.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>3</sup> ნ. კეცხოველი, შთა და ბარში, გვ. 39.

<sup>4</sup> سامی-قاموس ترکی. — გვ. 589.

ამ ტბას მართლაც ქართულადაც ხანჯლის ტბა ერქვა, რადგანაც ეს ტბა შოგრძოა და რამდენიმედ ხანჯალს წააგავს. ეს მით უფრო, რომ, როგორც ჩვენ უფრო გვიან შევნიშნეთ, ქართულშიც დასტურდება „ხანჯლის“ ხანჯარ-ხანჩარ ფორმები<sup>1</sup>. ეს სახელი გვხვდება აგრეთვე ხანჯალო<sup>2</sup>ს ფორმითაც<sup>3</sup>. 1835 წ. საბუთში ამ ტბას Ханджалы ჰქვია დამახინჯებულ Коиуаа-თან ერთად. ქვია მას აგრეთვე Коиуаа<sup>4</sup>. „ღლიურში“ შემდეგი მიწერია: „4. VIII-ს ტილიფიდან (=ღლივი) ამოვედით მაღალზე, სადაც ხანჩალის ტბა არის. შემოუარეთ ამ ტბას. ტბის აღმოსავლეთის თავზე არის სოფ. პატარა ხანჩალი. ამ სოფელთან ახლო უჩვენებენ ნასოფლარ თეზ-ხარაბას. ამ სოფლიდან გავემგზავრეთ ჯერ ტბის ნაპირით დიდ ხანჩალში“ (გვ. 8).

65. სოფ. *سواد* სოფ. ზემო მამზურასთან (I 14, 239; II 16, 235). რჩება ამოუკითხავად. მამზურა-მამწვარასთან არაა ნაჩვენები ისეთი პუნქტი, რომლის სახელიც შესაბამისი იქნებოდა ამ დაწერილობისათვის. არქივისეულ სიებში წარმოდგენილი ამოკითხულობა უსაფუძვლოა (17v, 13r).

66. სოფ. აქშეჭირის ციხის რაბათი—*قرية رباط قشچير* (I 14, 239; II 16, 235). იხ. ზემოთ, აქშეჭირის ნაპივე, გვ. 306.

67. სოფ. უჯმანა (უქმანა)—*اوچمانا* (I 14, 240; II 16, 236). ხუთვერსიანსა და სხვა რუსულ რუკებზე—*Учмана*. ამ სოფელში ყოფნისას (1933 წ.) აწინდელ ადგილობრივ მკვიდრთა (სომეხთა) წარმოთქმით სოფლის სახელად ჩაწერილი მაქვს უქმანა, ხოლო პ. მაზნიაშვილისა და სხვა ადგილობრივ ქართველთა წარმოთქმით — უჯმანა. ვფიქრობ, რომ უქმანა არმენიზებული ფორმაა ქართული უჯმანასი, ხოლო დავთრისეულ უქმანაში ჯ თანხმოვნის სპირანტრზაციასთან უნდა გვეკონდეს საქმე ისევე, როგორც ასეთივე მოვლენა დადასტურებულია უღის ნაპივეში შემაველი სოფ. ბოლაჯურის სახელწოდებაში—ბოლაჯური→ბოლაჯური<sup>5</sup>. არქივისეულ სიებშიც *Ужмана*-დ წერია (17v, 13r). გასული საუკუნის 30-იანი წლების ერთ არქივისეულ საბუთში იხსენიება *Уджмана* (=ქართ. უჯმანა), *пустопорожняк земля, удобная для хлебопашества; 2,5 часа езды от Ахалкалака*<sup>6</sup>.

სოფ. უჯმანა „დავთრის“ დროს გაუქაცრიელებულია. XIX საუკ. 30-იან წლებში უჯმანაში არზრუმიდან გადმოსახლებულები დაბინადრებულან. ამეამად უჯმანა ბოგდანოვიკის რაიონში ეშტია და თორიასთან ერთად ეშტიის სასოფლო საბჭოში შედის<sup>7</sup>.

68. სოფ. კორცხოლა—*کورسخولا* (I 14, 240; II 16, 236). ამხ. ნიკო ნათენაძის ცნობით კორცხოლა ნასოფლარია ვაჩიანსა და ოკამს შუა. ჰართლაც ხუთვერსიან რუკაზე ნაჩვენებ ადგილას (ოკამსა და ვაჩიანს შუა)

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 101.

<sup>2</sup> შ. ლომსაძე, მწყემსის საყვედური. „ლიტერატურული გაზეთი“, 12. X. 1956 წ., გვ. 3.

<sup>3</sup> სცია, ფ. 1012, ს. 3, გვ. 25r, 32, ფ. 77, ს. 8, გვ. 25; იქვე, ფ. 74, ს. 66, გვ. 11v, 15r.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ, გვ. 90.

<sup>5</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10r.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.



აღნიშნულია P. D. Korka-კალა. სახელწოდების მეორე ნაწილი — ხოლა აღქ-  
მულია შერყენილად და გააზრებულია არაბ-თურქ. **كالا** სიტყვასთან. არქივი-  
სეულ სიგებშია — Курсхало (17v, 13r). მოვიყვან აქ არქივის ერთ საბუთში  
დაცულ ცნობას, რომელიც საერთოდ სინტერესისა ამ ნასოფლარის ისტო-  
რიისათვის: 1834 წლის 21. IX-ს დადებული პირობის თანახმად მირზა დაე-  
რანოვის, მილდისი, ყაზარ და სიმონ მუტაფოვეები უცვლიან მამულებს თურქ  
მობელეს ვინმე კადირ-ალას. საბუთში ნათქვამია: По случаю вночь сделан-  
ного разграничения между Российскою Империею и Оттоманскою Портою  
земель, Кадир-ага отдал Давранову и Мутафовым принадлежавшее ему по  
тимарским Баратам и возвращенное во владение его по предложению  
госп. Главноуправляющего в Грузин недвижимое именно, оставшееся в  
Российских пределах; состоящее в Ахалкалакском санджаке в пусто-  
порожной деревне Корсхало на 1 500 ахчей<sup>1</sup> (კორცხოლას ჩვენ „დაეთარ-  
ში“ც 1 500 ახჩა აწერია). 1864 წ. საბუთში ეს სახელი გვხვდება (пустошь)  
Курсхала-ს სახით<sup>2</sup>. Корсхало თურქიზებული სიტყვაა (ოღონდ თურქულად  
კორსხალუ უნდა იყოს). ვფიქრობ, ამ ნასოფლარის ქართული სახელი  
ადგილობრივ მკვიდრთა წარმოთქმაში დაცული კორცხოლა ფორმაა; ვა-  
ხუშტის ინდექსში ახალქალაქის ლივას სხვა პუნქტთა შორის კარტხილოც  
არის (№ 74, გვ. 33r); ოღონდ არ ვიცი, რამდენად სწორად მაქვს ამოკით-  
ხული და საერთოდ სწორია თუ არა ამ ინდექსის ასეთი ვარიანტი.

69. სოფ. სამახორი (?) ს. ჯიგრაშენთან — **صامقرو** (?) (I 14, 240;  
II 16, 236). ამ დაწერილობის წაკითხვის სირთულეზე ლაპარაკობს ის ფაქ-  
ტიც, რომ აქ (I წიგნში) მეოთხე ასოს **ق**-ად ვკითხულობ, ხოლო მე-14  
გვერდზე კი **غ**-ად. II წიგნში ორივეგან სამყრო მაქვს (კითხვითი ნიშნით).  
მართლაც დედანში (გვ. 19 და 221) ძნელი გასარკვევია **ق**-ია თუ **غ** ამ ადგი-  
ლას. მაგრამ ჩვენ ამჟამად საარქივო მასალებში მივაგენით ერთი გეოგრაფი-  
ული პუნქტის სახელს, რომელიც „დაეთარში“ **صامقرو** თუ **صامقرو** დაწერილ-  
ობით გადმოცემულ სოფელს უნდა აღნიშნავდეს. ეს არის აქმეჰარის ნაჰიეს  
განსახილველ ზონაში მდებარე დაუსახლებელ პუნქტთა შორის მოხსენე-  
ბული Пустопорожные казенные земли, удобные для хлебопашества и  
сеюкозов—15. Самахор<sup>3</sup>. მეორე საბუთშიც იმავე ზონისათვის მოცე-  
მულია სია: Сеюкосные земли при пустопорожных урочищах: при Сама-  
хор<sup>4</sup>. მართალია ასეთ ვითარებაში ძნელია ქართული სახელის აღდგენა, მაგ-  
რამ იდენტიფიკაცია სწორი უნდა იყოს. თურქულად დაწერილი **صامقرو** რომ  
რუსული ტრანსკრიფციის მიხედვით გავახმოვანოთ, გვექნება სამაჰორო,  
ან კიდევ სამალორო, რაც რუსულ Самахор-თან ძლიერ ახლოსაა. ჩვენ

\* 1 სტია, ფ. 1012, ს. 20, გვ. 10v., 11r

2 სტია, ფ. 41, ს. 63, გვ. 9r.

3 სტია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10r.

4 სტია, ფ. 1012, ს. 29, გვ. 12v.

ზემოთ გვქონდა ქართული ხ თანხმოვნის გადმოცემის შემთხვევები ც-ითაც; და გ-ითაც.

პირველ საარქივო საბუთში სამახორის ადგილმდებარეობის გასარკვევად საინტერესო მითითებაა: Расстояние от Ахалкалака (до Самухора) 4,5 часа езды.<sup>1</sup>

„დავთრის“ დროის „სამახორი“—გაუკაცრიელებულია.

70. სოფ. შუა მურჯახეთი—مورجخت وسط (I 14, 240; II 16, 236)..  
იხ. ზემოთ, № 37. დიდი მურჯახეთი, გვ. 334.

71. სოფ. პატარა მურჯახეთი—مورجخت کوچک (I 14, 240; II 16, 236). იხ. ზემოთ, № 37. დიდი მურჯახეთი, გვ. 334.

72. სოფ. ალმალუ—სოფ. ქვემო ხოსპიასთან—المالو (I 14, 240; II 16, 237). ადგილობრივი მოსახლეობაც ამ ნასოფლარს ხოსპიასთან უჩვენებს. ამ სახელის ახლანდელი წარმოთქმა—ალმალი-ა. ამხ. ნიკო ნათენაძემ ჩამაწერინა, რომ „ალმალი ნასოფლარია მურჯახეთსა და ხორენიას შუა“. საარქივო სიებში შეცდომაა: პირველში სულ ვერ იკითხება, მეორეში, კი Алмали-ა. (გვ. 17v, 13r). ერთ საბუთში ალმალი ასე იხსენიება—пустопорожня земля при деревнях прежде бывших, ныне разоренных—Алмала, в 5 верстах примерно от Ахалкалак. მეორე საბუთში: 16 числа сего месяца [16. VI. 1864] на пустоши Алмало Ахалкалакского участка произошла драка между жителями деревни Хоспии и...<sup>2</sup>

73. სოფ. კარნეთი—სოფ. პატარა ხორენიასთან—كارنت (I 14, 240; II 16, 237). ხორენიასთან ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია Р. Д. Карнет. „დლიურში“ ამ სოფლის შესახებ მიწერია: „17. VIII-ს დილით (ახალქალაქიდან) გვემგზავრეთ სოფ. ხორენიაში, რადგანაც 13. VIII-ს ხორენიაში ყოფნის დროს კარნეთში ჩასვლა ვერ მოვასწარით. კარნეთი—ნასოფლარია; მის დანგრეულ ეკლესიაზე ერთი საკმაოდ დიდი წარწერაა<sup>3</sup>. კარნეთის ძველ ეკლესიაზე მიშენებულია პატარა ეკლესია და მიშენების შემდეგ წარწერიანი კარები დაფარულია...“ (გვ. 18, 19). მოვიყვან აგრეთვე ი. როსტომაშვილის ცნობებს კარნეთის შესახებ: К югу от Хоренни, недалеко от нее, среди диких скал р. Тапараванки, у самого правого берега ее сохранились развалины церкви, известной под именем Карнет<sup>4</sup>. გარდა ამისა, არქივისეულ საბუთში კარნეთზე შემდეგი წერია: „Пустопорожные помещичьи земли при деревнях прежде бывших, ныне разоренных—Карнет, в 7,5 верст. от Ахалкалак<sup>5</sup>. 1857 წლის საბუთში კი კარნეთ და

<sup>1</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 10r.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 22v; იქვე, ფ. 70, ს. 65, გვ. 37r.

<sup>3</sup> ეს წარწერა ნიკო ბერძენიშვილმა გადმოიწერა. იგი დაბეჭდილი აქვს აგრეთვე ი. როსტომაშვილს: СМОНПК, XXV, გვ. 123-124.

<sup>4</sup> И. П. Ростомов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 123.

<sup>5</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 22v.

„აბლარ ნასოფლარები „აღალართაგან შთამომავალის“ მელქონ ხოჯაევანოვის შამულუბად ჩანს“.

74. სოფ. პატარა მამზურა—كوجك مازور (I 14, 241; II 16, 237).

იხ. ზემოთ დიდი მამზურა, № 38, გვ. 336.

75. სოფ. ნახირგედენი (?) „აკემპირის რაბათთან—ناخير كهدن [?] (I 14, 241; II 16, 237). იხ. ზემოთ ახალქალაქ-აკემპირი, გვ. 308.

76. სოფ. დანკალი—სოფ. ვანისქვაბთან—دنگل نزد وانكوب (I 14, 241; II 16, 237). „დავთრის“ დროის დანკალი „ცარიელია რეცნაშაგან“. არქივისეული სიებში ამ სოფლის სახელი Данкал ფორმითაა მოცემული (18r, 13r). მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთა წარმოთქმაში ეგ არის დანკალი. ხალხური ეტიმოლოგიის შედეგად ზოგჯერ წერენ—„დამკალი“<sup>1</sup>. სწორი არ არის, რა თქმა უნდა, (არმენიზებული) Данкал ფორმა<sup>2</sup>; გვხვდება (დადაბევის) Данкал-ც<sup>3</sup>.

ხუთვერსიან რუკაზე სოფ. გოგაშენთან ახლო, ნაჩვენებია Данкал პუნქტი. ამგანად სოფ. დანკალი ახალქალაქის რაიონში გოგაშენ და აფნია სოფლებთან ერთად გოგაშენის სასოფლო საბჭოში შედის<sup>4</sup>.

77. სოფ. ტერნისი (?)—სოფ. აზმანასთან—دیرنی [?] (I 14, 241; II 16, 237). დედანში (გვ. 222) ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვს და ამოკითხულია, თითქოს, სწორად. არც რუკებზე და არც საარქივო მასალებში ასეთ პუნქტზე ცნობას ვერ მივაკვლიეთ. ჯაეახეთში მოგზაურობის „დღიურშიც“ ტერნისზე (?) არაფერი მაქვს ჩაწერილი.

არქივისეული სიების Тирнес და Тиркес (გვ. 18r 13r) ვარიანტებს „საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობა არა აქვთ (Тиркес ვარიანტი აშკარად დამახინჯებულია).

ტერნისი (?) (შეიძლება ტირნისი, დირნისი, დერნისი და სხვ.) „დავთრის“ დროს ათკომლიანი სოფელია, 5 000 ახჩიანი შემოსავლით.

78. სოფ. ძველი გომი—گوم جو (I 14, 242; II 16, 238). არქივისეული სიების Зомк-ი (გვ. 18r, 13r) იგივე თურქიზებული „ძველი გომ“ია, რომელშიც ძ ჩვეულებრივად ზ თანხმოვნითაა გადმოცემული, ხოლო: ვე→ო, ქართული (თურქისათვის ნაკლები მკვლევრობის მქონე) გ→ქ და ო ხმოვანი პირველი მარცვლის შემდეგ→უ. საერთოდ „გომ“ის სახელწოდებით საკმარის ბევრი პუნქტია ამ ვილაიეთშიცა და საერთოდ საქართველოშიც<sup>5</sup>. II წიგნში ძველ გომთან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას. ცარიელი სოფელია 2 000 ახჩა გადასახადით.

<sup>1</sup> სცია, ფ. 74, ს. 48, გვ. 64r.

<sup>2</sup> მაგ., იხ. ვახ. „კომუნისტი“, № 170, 1948, 27. VIII. „დამკალის შესახებ საინტერესო ლექსენდა იხ. ც. გაბაშვილის წიგნში—ვარძია, თბილისი, 1945, გვ. 34.

<sup>3</sup> სცია, ფ. 79, ს. 9, გვ. 6r.

<sup>4</sup> სცია, ფ. 41, ს. 63, გვ. 9r.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>6</sup> იხ. ზემოთ, გვ. 317.

79. სათესველი თოთხამი—*مزراع داخا* (I 14, 242; II 16, 238). ადგილობრივი მოსახლეობა—როგორც ქართველები, ისე სომხები ამ ადგილის სახელს წარმოთქვამენ ფშინიეირებით—თოთხამი. რადგანაც „დავთარში“ ა (დ) ასოთი ქართული შეკეთრებია ხოლმე გადმოცემული, მე ამოვიკითხე ტოტხამი-ად, რაც, თითქოს, არ მართლდება. არქივისეული სიების *Додукам*-ი (?) და *Дудукам*-ი (გვ. 18r, 13r) უთუოდ გაუგებრობაა.

ამხ. ნიკო ნათენაძის ცნობით თოთხამი დილიცკასთან ახლოა. რუკებზე აღნიშნული არ არის. „დავთარის“ დროს სათესველად აღრიცხული თოთხამი დღეს სოფელია. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით არაგვის სასოფლო საბჭოს გამრიცხველ სოფლები მაქატია, კორხი და თოთხამი, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს—სოფელი ოლავერდი და შეიქმნა მათგან მაქატიის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მაქატიასში“<sup>1</sup>.

80. მამული ხერთვისის მწრლივასი—ფარეანა-ბეგისა—სოფელ ხულგუმოში. იხ. ზემოთ, № 19—სოფ. ხულგუმო, გვ. 319.

81. გამოსაღები დიდი ხორანიის მდინარის თევზზე (I 14, 242; II 16, 238). სახელწოდება ხორანიაზე იხ. ზემოთ, № 23, გვ. 320.

82. სოფ. დირქნალი<sup>2</sup>—სოფ. *دیرخان*-თან (?)—*دیرخان* (I 14, 242; II 16, 238). ნიკო ბერძენიშვილისაგან ჩამიწერია, რომ ამ სოფლის ქართული სახელი დირქნალი-ა. მართლაც დირქ რომ რაიმე მცენარის სახელი იყოს, მაშინ გვექნებოდა დირქ-ნარ-ი, რასოთა დისიმილაციით კი—დირქნალ-ი. ნიკო ნათენაძემ დაადასტურა, რომ ადგილზე ამ სოფელს ქართულად დირქნალს ეძახიან. ამჟამად ამ სოფლის სახელი არმენიზებული ფორმით იხმარება—ტჯკჯნა—ბოლო მარცვლის დაკარგვით (სხვათა შორის კოთელიაში ჩაწერილი მაქვს ფონეტიკურად ქართული ფორმა—დირქნა. მაგრამ -ლი მარცვლის შეკვეცით). ა. ს. ჰუშინის სახელობის პედინსტიტუტის ახალქალაქელმა სტუდენტებმა (სომხებმა) ამ სოფლის სახელად ტჯკნა ჩამაწერინეს. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში *Тиркна*-ც გვხვდება<sup>3</sup>. არქივისეულ საბუთებში გვაქვს აგრეთვე არმენიზებული, მაგრამ სრული ფორმით—*Теркна*<sup>4</sup>. არქივისეულ სიებში თითქმის სწორი ფორმაა მოცემული—*Деркна*-ი (გვ. 18v, 13r).

ს. დირქნალის ადგილმდებარეობა გარკვეულია: ხუთვერსიან რუკაზე ზავე და არავეა სოფლების ახლო აღნიშნულია *Тиркна*. „დავთარის“ დროის დირქნალი ექვსკომლიანი სოფელია. ამჟამად სოფ. დირქნალი ახალქალაქის რაიონში არაგვა, გომან, ორჯა და ზავე სოფლებთან ერთად (ტირქნას სახელით) არაგვის სასოფლო საბჭოში შედის<sup>5</sup>.

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1951, 28. VII-ის № 176 (9030), გვ. 1; შტრ. „село Тотками“, „Заря Востока“, 1956, 1. IX.

<sup>2</sup> II წიგნში კორექტურული შეცდომით დირქნალი-ა დაბეჭდილი.

<sup>3</sup> МИЭБГКЗК, III, გვ. 128.

<sup>4</sup> სტა, ფ. 1012, ს. 3, გვ. 65r.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

ს. დირკნალის მდებარეობის დასაზუსტებლად ნათქვამია, რომ ის სოფ. *سلسو*-თან არის. ეს მოხაზულობა, ვფიქრობ, სავსებით ემთხვევა ტყე-ჯაფახეთის ნაპიჯეში შემავალი № 42 სოფლის სახელის დაწერილობას, რომელიც ბედქულაშენ-ად არის ამოკითხული (იხ. ზემოთ, გვ. 289).

83. სოფ. *ساجاچ*—სოფ. ტაბისყურთან—(I 14, 242; II 16, 239). დედანში (გვ. 223) მეოთხე ასოს დიაკრიტული ნიშანი არა აქვს. ვერ ვიპოვეთ აგრეთვე სხვა მასალა ტაბისყურთან მსგავსი სახელწოდების პუნქტის არსებობის შესახებ. „დავთრის“ დროსვე გაუქაცრიელებულა.

არქივისეულ სიებში წერია: *Чайчань* და *Чайчань* (18r, 13r). შესაძლებელია პირველი მათგანი, როგორც დაწერილობასთან რამდენიმედ მაინც შესაბამისად ამოკითხული, ამ სოფლის სწორ სახელწოდებასთან ახლო იყოს (კაქნაურ-ი, ჩაჩნაურ-ი და სხვ.).

„დავთრის“ ამ ძირითად ტექსტში ახალქალაქის ლივას აკშეპირის ნაპიჯეს აღწერა ამით თავდება. მაგრამ „დავთრის“ დასაწყისში მოცემულ ე. წ. სიაში აღწერილია აგრეთვე 84-ე სოფლად *اسکر*. როგორც ჩვენ II წიგნის სათანადო ადგილას გვაქვს შენიშნული (გვ. 16), სოფლის ეს სახელი ამ სიას სხვა ხელით და უფრო გვიან აქვს წმიწერილი. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა სოფელი იგულისხმება აქ.

### III. ახალქალაქის ღივი

#### 14. თმოგვის ნაპიჯი

1. სოფ. მირაშხანი—*میراشخان*, სათესველითურთ—*میراشخان* (I 14, 243; II 16, 239). 1933 წ. ჯავახეთში მოგზაურობის „ღლიურში“ მიწერია: „20. VIII-ს სოფ. ლართიდან ჩავედით მირაშხანში. მირაშხანის პირდაპირ, მტკვრის გაღმა არის სოფ. ახნია და ზედა ვარძია. გვინდოდა ვერტაშის ნაშონასტრალის დათელიერება, მაგრამ ვერ მოვასწარიტ. დაღამებულზე ძლიეს აუედით სოფ. აფნიაში. აფნიიდან გოგაშენში. აქ გავათენეთ ღამე კვლავ სკოლის შენობაში სოსო ბალახაძესა და შიო მისურაძესთან“. მირაშხანი რუკებზე ყვეღგან აღნიშნულია ღართისა და ქარცების ახლო. „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ გააზრებულად *Мирашхан*-ი გვაქეს, სხვაგან ყვეღგან სწორად წერია *Мирашхан*. ბროსესთან *Mirachan*-ია<sup>1</sup>. არქივისეულ მასაღებში ზოგჯერ წერია *Мирошхан*-ი, რომელიც ახალქალაქიდან ცხენით 9,5 საათის საუღღზე არისო<sup>2</sup>, ზისერმანით (გვ. 5) ახალციხიდან 40 ვერსის მანძიღზეა. არქივისეულ საბუღებში ზშირად შეხვღებღით, რომ ერთად იხსენიღბიან *Хишляки Мирашхан и Верташ*<sup>3</sup>.

„ღავთრის“ ღროის მირაშხანში 11 კოღლია, 1870 წ. კი—2 (ზისერმანი, 5). ახალქალაქის რაიონში სოფ. მირაშხანი ოკამ, აზმანა, ქარცებ და ღართა სოფღებთან ერთად ოკმის სასოფლო საბკოში შეღიოღა<sup>4</sup>.

მირაშხანთან დასახეღებული სათესვეღის სახეღი—*میراشخان* ამოღუკითხავად რჩეღა.

2. სოფ. ზედა ვარძია—*وارزدیا* (I 14, 243; II 16, 240), 15. სოფ. ვარძია. სოფ. აფნიასთან — *وارزدیا* (I 15, 249; II 16, 245). ამრიგად, „ღღვთარში“ ორი ვარძიაა აღრიცხული: ზედა ვარძია (*Zéda-wardzia*)<sup>5</sup> და ვარძია. სოფ. ზედა ვარძიაში ორი კოღლია, ხოლო ვარძია უკვე გაუკაცრიეღებულია.

„ღღვთარში“ ზედა ვარძია სახეღწოდებღაში / ზედა სიტყვა არაბ-თურქულ *ازید* (= *ziyade* 'მეტი', 'მომეტებული') სიტყვისთანაა გააზრებული.

<sup>1</sup> M. Brosset, *Rapports...*, II, გვ. 173.

<sup>2</sup> სკია, გვ. 77, ს. 48, გვ. 10r; გვ. 73, ს. 157, გვ. 12v.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 77, ს. 58, გვ. 25r.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ-ტერიტ. დაყოღის შესახებ რუსულად ცალკე დაბეღღილი სია.

<sup>5</sup> მ. ბროსე, *Rapports...*, II, 159.

ხუთვერსიან რუჯაზე ზედა ვარძია აღნიშნულია მტკვრის მარცხენა ნაპირას. „ზედა ვარძია მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, 3-4 ვერსზე ცნობილი ვარძიის მონასტრიდან. მისი მოსახლეობა შედგება 5 კომლისაგან“<sup>1</sup>. ამავე ავტორს კიდევ აქვს ვარძიაზე ცნობები: „ვარძია თმოგვიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე მდებარეობს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. იგი შედგება ზედა ვარძიისა და ქვედა ვარძიისაგან. პირველი 3-4 ვერსით ზევითაა მეორეზე...“<sup>2</sup> ამრიგად, „ღაფთრის“ ვარძიას დ. ბაქრაძე ქვედა ვარძიას ეძახის.

ზედა ვარძია ასპინძის რაიონის ნაქალაქევის სასოფლო საბჭოში შედიოდა ნაქალაქე, ანაკეთ, ბერთაყანა, მარგასტან, ჯოლდა (=ქოლთა) და თმოგვე სოფლებთან ერთად<sup>3</sup>.

„ვარძია (ისტორი და აზ-ზნი \*701, გვ. 500), სადაც განმაცვიფრებელი, კლდეში გამოკვეთილი მონასტერი იყო; აქვე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგისსა და მისმა ასულმა თამარ მეთემ «ალას-რულა» (იქვე \*697, გვ. 494)“<sup>4</sup>.

3. სოფ. თმოგვის ციხის რაბათი اورسا სათესველითურთ—ქსა სავსაურის ნაპიჯი—3. სოფ. ზედა თმოგვი ქსა სავსა (I 15, 250; II 17, 246). ამრიგად თმოგვი ორია: ციხე თმოგვი თავისი სამოქალაქო მოსახლეობით (რაბათი) და ზედა თმოგვი (მდრ. „თმოგვი“—ცა მ'სა დთ'სი \*519, გვ. 287... მოხსენებულია აგრეთვე „ციხე თმოგვისა—მტ'ნე ქა \*450, გვ. 227...)<sup>5</sup>, რომელიც თმოგვის ნაპიჯში კი არ შედის, მომიჯნავე ნიალისყურის ნაპიჯშია. თმოგვის ციხის რაბათის მოსახლეობა აღწევს 69 კომლს, ხოლო ზედა თმოგვი 17 მოსახლეა.

„... თმოგვი ძვეს წუნდასა და ვარძიას შუა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე“<sup>6</sup>. „ზედა თმოგვი პატარა მდინარით ორ ნაწილად არის გაყოფილი: ქვედა თმოგვი, ან საკუთრივ ქალაქი მდებარეობდა პატარა მდინარის მარცხენა ნაპირას, ხოლო ზედა თმოგვი კი კლდეზე, ამ წყლის მარჯვენა მხარეს... თმოგვის დაყოფა ზედა და ქვედა თმოგვად ჩვენ დრომდეც ძალაში დარჩა“<sup>7</sup>. ზედა თმოგვი 12 ვერსის მანძილზეა ხერთვისიდან, 17 კომლიანი მოსახ-

<sup>1</sup> Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, 55, აგრეთვე 28, 29.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>3</sup> სპ. სარ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 55; ვარძიის შესახებ ლიტერატურა ბერია; მათ შორის დავასაზელებთ: ლ. მელიქსეთ-ბეგი, ტოპონომიკური შტუდიები ხუანანისა და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმოლოგიისათვის. საიუბილეო კრებულში—„მარკსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბილისი, 1934, გვ. 160; ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გორი, 1914, გვ. 67. და შედგე: ც. გაბაშვილი, ვარძია (ახლამკვეთი), თბ., 1945; Г. И. Ткешелашвили, Варазца, თბილისი, 1951.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 55.

<sup>6</sup> ი. ნ-მე, ახალქალაქის მახრა, „ივერია“, 1889, № 187.

<sup>7</sup> ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 90; Источники грузинских летописей, Три хроники, СМОМПК, XXVIII, თბილისი, 1900, გვ. 194; იხ. აგრეთვე П. Иосе-

ლებით<sup>1</sup>. კ. ზისერმანი (გვ. 8) 1870 წ. ზედა თმოგვისათვის 17 კომლს. უჩვენებს.

თურქულად თმოგვი სიტყვა ასეა ტრანსკრიბირებული كمو; პირველი ორთახნომონიანობა თავიდან აცილებულია უ (و) ხმოვნის ჩართვით, ხოლო გვ კომპლექსში ვ თანხმომიანი ჩამოვარდნილია (შდრ. ზაკევი→كج, სირგევი→كسر და სხვ.) და გ-ს წინ ე ხმოვანია გაჩენილი: თუ მე გ. რადგანაც სიტყვის ბოლოში ხშული მგლერი ყრუედება, თურქულ წარმოთქმაში ჩვენ უნდა გვეკონდეს თუ მექ—timək; ბოლო მარცხელის mek-ად ჩამოყალიბებას შესაძლებელია ხელი შეუწყო თურქული მასდარის—mek აფიქსთან გააზრინებამ. არქივისეულ I სიაში ეს სახელწოდება ძალიან დამახინჯებულია, ხოლო II-ში იკითხება Тамик (18r, 13r). ნ. ბროსესთანაც ყველგან სწორად არ არის. ეს სახელი—Tioumouk და შემდეგ კი Zéda Timogwi და სხვ.<sup>2</sup> რუსულადაც ხშირად გვაქვს Тюмюк-ი<sup>3</sup> და უფრო უარესიც—Зедат Могви<sup>4</sup> (←Зедат Тмоган).

„თმოგვის“ არმენიზებული ფორმები მოჰყავს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს ოვ. თუმანიანის პოემის „თმოგვის-ციხის ალება“ წინასიტყვაობაში: თმკაპერდი (თმკა-თმოგვი, სომხ. ბერდი 'ციხე'), თმუკ, თმბუკ და თმოკ (=თმოგვი)<sup>5</sup>.

თმოგვის რაბათთან დასახლებული სათესველის სახელი واول (ელიაური?) ჯერჯერობით ამოუკითხავად რჩება. ამავე რაბათის აღწერის დასასრულს იხსენიება ჩაირი كوشيت (I 245; II 241), რომელიც შესაძლებელია =საქო-შეთი (?), საგუშეთი (?) და სხვ. იყოს.

4. სოფ. ანაკეთი — انكيت (I 14, 245; II 16, 241). ეს დაწერილობა დიაკრიტიული ნიშნებითაა და კარგად იკითხება, ოღონდ „დაეთრის“ შემდგენელი აქ უთუოდ ცდება, ამხ. ნიკო ნათენაძის ცნობით თმოგვთან ახლო ფანაკეთი არ არის—ანაკეთია (ფანაკეთი ჩვენ გვექნება მომდევნო ნიალისყურის რაიონში, სოფ. № 13). შემდეგ ეს დადასტურდა ოფიციალური სითაც, სადაც ნაჩვენებია სოფ. ანაკეთი, რომელიც ასპინძის რაიონის ნაქალაქევის სასოფლო საბჭოში შედიოდა ნაქალაქევი, ბერთაყანა, ზედა ვარძია, მარგასტან, ჯოლდა და თმოგვი სოფლებთან ერთად<sup>6</sup>. არქივისეულ მასალაშიც იხსენიება Замовник Анакет-ი ხუთკომლიანი მოსახლეობით<sup>7</sup>. ამრიგად, „დაეთრის“ თმო-

лианп, Города... გვ. 64-65; აგრეთვე და განსაკუთრებით თმოგვის მდებარეობისათვის იხ.: ცგაბაშვილი, ვარძია, თბილისი, 1945, გვ. 32-34.

<sup>1</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древн. т.ж. християнства, 56.

<sup>2</sup> Rapports... II, 113, 154, 155, 165.

<sup>3</sup> СМНЭБГКЗК, I, გვ. 248.

<sup>4</sup> სცია, ფ. 1012, ს. 63, გვ. 9r.

<sup>5</sup> ჰოვ. თუმანიანი, თმოგვის-ციხის ალება, კლემა, თარგმანი სომხურიდან და შესავალი წერილი პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბილისი, 1939, გვ. 10.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სია; აგრეთვე კ. ზისერმანი, 5.

<sup>7</sup> სცია, ფ. 414, ს. 27, გვ. 6v; ფ. 73, ს. 157, გვ. 11v.



გვის ნაპივესათვის დასახელებული სოფელი ფანაკეთი ანაკეთი უნდა იყოს.

„დავთრის“ დროის ანაკეთი პატარა, ექვსკომლიანი სოფელია.

5. სოფ. **ს. سوغ** ს. წუნდასთან (I 14, 245; II 16, 242). თმოგვის ნაპივესათვის ჩვენ ნაქალაქეში ყოფნის დროს მრავალი ნასოფლარის სახელები ჩავიწერეთ, მაგრამ ამ დაწერილობას არც ერთი არ უდგება. ჩვენ უკვე გვეონდა ლაპარაკი იმაზე, რომ არაბული ბოლოკიდური **ك** და **ت** ასოები სიღჯათის დამწერლობაში ერთნაირად იწერება და მათი გარჩევა ძნელია. ამდენად შეიძლება მართალი იყოს ე. წ. არქივისეულ სიგეში ამ სოფლისათვის მოცემული **Гоманет** სახელწოდება (გვ. 18r და 13r). **Г**-ით შეიძლება გადმოცემული იყოს **გ** თანხმოვანი, ხოლო ორი ბოლოკიდური ასო **к** და **т** იყოს — **سوغ**. ამ სოფლისათვის ორი კომლია ნაჩვენები.

6. სოფ. **წუნდა سو**, დაეხანტა სათესველითურთ — **سو** (I 14, 246; II 16, 242). წუნდა, რომელსაც ძველ საქართველოში წონდა<sup>1</sup> და ცწერდნენ, ქალაქი იყო: „და დასხდეს წონდას ქალაქსა...“<sup>2</sup> წუნდა ჯავახეთის ერისთავის საჯდომი ადგილია; „ერთი გაგზავნა წუნდას ერისთავად, და ნისცა ფანეარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა-არტანი“<sup>3</sup> და სხვაგან. მ. ბროსეს Tsounda—აქეს<sup>4</sup>. არქივისეული სიგების **Сунта** და **Сунта** (გვ. 18r, 13r) უნდა შესწორდეს **Цунда**-დ. ვახუშტის თან ამ სოფლის სახელად წუნდა-ა მოცემული<sup>5</sup>. წუნდა ყველა რუკაზე (მათ შორის „საქ. ისტორიულ რუკაზედაც“) აღნიშნულია<sup>6</sup>. „Цундская церковь расположена в Хертвисском ущельи, в 48-ми верстах от г. Ахалциха, среди нынешней деревни Цунда, заключающей в себе только 12 дворов жителей...“<sup>7</sup> „წუნდა მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და წარმოადგენს მშვენიერს, მწვანით შემოსილს გვერდობას მტკვრის ხეობისას“<sup>8</sup>.

სოფ. წუნდასთან აღწერილია აგრეთვე სათესველი **سو** დაეხანტას სახელწოდებით. პირველი ნაწილი ამ სახელწოდებისა ახლაც ამოუკითხავად რჩება. მეორე ნაწილი კი ნაცნობი სიტყვაა—დაეხანტას სახელწოდებით აკშეპირის ნაპივეში ორი სოფელია აღწერილი: № 13. დიდი დაეხანდა და

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყუბჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, 140; აგრეთვე: ვახუშტი, აღწერა ზაფხულისა საქართველოსა, 21, 124, 130, 133; П. Иоселиани, Города... გვ. 72 (Шуга); И. П. Ростовов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124-125.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყუბჩიშვილის რედ., გვ. 17; შდრ.. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 54.

<sup>3</sup> Rapports..., II, 164; წუნდას შესახებ აგრეთვე: МАК, XII, გვ. 59.

<sup>4</sup> ვახუშტი, იქვე.

<sup>5</sup> წუნდის მდებარეობის შესახებ სპეციალურად: ც. გაბაშვილი, ვარძია (გზამკვლევი), თბილისი, 1945, გვ. 27-29.

<sup>6</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 134; К. Зиссерман, 5.

<sup>7</sup> ი. ჩ-ძე. ახალქალაქის მახრა. „ივერია“, 1889, № 187.

№ 44. პატარა დაეხანდა (იხ. აქვე, გვ. 314). ტერიტორიულად წუნდა, რომელთანაც დაეხანდა სათესველი იხსენიება და ქილდა, რომელთანაც აკშეპირის დაეხანდები. მდებარეობენ, შორს არ არიან და ამდენად ეს დაეხანდა სათესველიც უთუოდ ამ დაეხანდა სოფლებთანაა დაკავშირებული.

7. სოფ. ქაქკარა — چاچکار (I 15, 246; II 16, 242). „დაეთრის“ დროს ქაქკარი 14 კომლიანი სოფელია. ჯავახეთში მოგზაურობის „დღიურში“ მიწერია: „19. VIII-ს დღით ახალქალაქიდან წამოვედით ვანიანის გზით სოფ. გოგაშენში. გოგაშენს ქვემოთ, მტკვრის ორთავე ნაპირას ამჟამად ბაღებია და ამ ადგილს ქაქკარს ეძახიან (ქაქკარის გაღმა ნაპირი ვარძიის მონასტრის ქვემოთაა. გამოღმა (გოგაშენისაკენ მდებარე) ქაქკარში დარჩენილია ნასახლარების კვალი“ (გვ. 20. შდრ.: „ვანის ქვაბებიდან გზატკეცილი აღმართ-დაღმართით ქაქკარის—გამოღმა ქაქკარის—ბაღებზე მიიქლანება)<sup>1</sup>. ვინაიდან ახლა ქაქკარში მოსახლეობა სრულებით არ არის, ხოლო ქაქკარის ზემოთ მდებარე აწინდელი სოფ. გოგაშენი „დაეთრის“ დროს სათესველად (ალბათ, ქაქკარელების სათესველად) არის აღრიცხული. საფიქრებელია, რომ ქაქკარელები შემდეგში გოგაშენად წოდებულ ადგილას დასახლდნენ და თავიანთი ნასახლარი—ქაქკარი ბაღებად აქციეს. ეს ვითარება დასტურდება ერთი საბუთითაც, სადაც ქაქკარი და გოგაშენი ერთ ერთეულად არის აღრიცხული: Чачкар (она же Кокочен)<sup>2</sup> на пять тысяч ахуи<sup>3</sup>. მართლაც „დაეთარში“ გოგაშენს შეწერილი აქვს 500 ახჩა და ქაქკარს 4 500; ამათი ჯამი სწორედ 5 000 ახჩას იძლევა. ხუთვერსიან რუკაზე ვარძიასა და გოგაშენის ქვემოთ აღნიშნულია Кут. Чачка.

8.<sup>4</sup> სათესველი გოგაშენი — گوغاشين (I 14, 247; II 16, 243). როგორც წინა პარაგრაფში ვთქვით, გოგაშენი ამჟამად სოფელია ახალქალაქის რაიონში და გოგაშენის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც აერთიანებს გოგაშენის გარდა ადნია და დანკალ სოფლებს<sup>5</sup>. „დაეთრის“ დროს კი გოგაშენი სათესველი იყო, ხოლო ქაქკარი—სოფელი („დღიურიდან“ ამოწერილი ცნობები გოგაშენზე იხ. ზემო პარაგრაფში).

არქივისეული სიების Кокашен ფორმა (გვ. 18r, 13r) აგრეთვე არმენიზებულია.

9. სოფ. ვანისხევი — وانخو (I 14, 247; II 16, 243). „დაეთრის“ დროს სამკომლიანი სოფელია. არქივისეული სიების Банисхел და Банисхев-ი (18r, 13r) სწორი არაა. სოფ. ვანისხევიც ვანისქვაბის (ვანი←ვაპანი)

<sup>1</sup> ც. გაბაშვილი, ვარძია (გზამკვლევი), გვ. 40.

<sup>2</sup> უნდა იყოს Кокашев, რაც არმენიზებული გოგაშენია.

<sup>3</sup> სტია, ფ. 223, ს. 1, გვ. 30r.

<sup>4</sup> საგადასახლო ობიექტთა სიაში, რომელიც „დაეთრის“ ამ ნაწილს უსწრებს წინ (I, გვ. 14; II, გვ. 16), სათესველი გოგაშენი მე-9-დაა აღრიცხული, ხოლო ვანისხევი კი—მე-8 დ.

<sup>5</sup> საქ. სსრ. აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 19.

ხეობაში უნდა ყოფილიყო. ამგვამად მისი ადგილმდებარეობა ზუსტად ცნობილი არ არის. წერილობით ცნობა ვანისხევის შესახებ ბევრი არ არის. გასული საუკუნის 30-იანი წლების საბუთში წერია: *Пустопорожняя казенная земля ...Ванисхов*<sup>1</sup> (ეს *Ванисхов* რომ უთუოდ „დავთრის“ ვანისხევის იდენტურია იქიდანაც ჩანს, რომ ნახსენებია ამ ხეობაში შეძველ მირაზხან, ნაეარძიებ და სხვა პუნქტებთან).

10. სოფ. *كوس* (?) (I 15, 247; II 16, 243). გაუჟაცილებული სოფელია. ამ ნასოფლარის სახელწოდების ამოსაკითხავად ჩვენ მასალას ვერ მივაკვლიეთ.

11. სოფ. ვაშლოზი მეორე ვაშლოზ უბნითურთ—*واشلو* (I 15, 247; II 16, 243). საკმაოდ მოზრდილი სოფელია, რომელშიც აღრიცხულია 22 კომლი. თმოგვის ნაჰიეს ზონაში ვაშლოზი არც ერთ რუკაზე არ არის აღნიშნული. პეტრე მაზნიაშვილმა ჩამაწერინა, რომ ვაშლოზი წუნდიდან 4 კილომეტრზე არისო. ამ ცნობის დამადასტურებელი მასალა ჯერჯერობით არა ჩანს.

12. სოფ. ვანისქვაბი *وانكوب* (I 15, 248; II 16, 244). ქვაბ სიტყვის ვა კომპლექსი ო ხმოვანში გადადის და ამიტომ არაქართულ მოსახლეობაში ეს გეოგრაფიული სახელი ვანისქობ და შემდეგ კიდევ ვანისქობადაც წარმოითქმოდა. ლ. ზაგურსკის, მაგალითად, ადგილობრივ. არაქართულთა წარმოთქმის მიხედვით ამ ადგილის სახელად *Ванис-к-ом*-ი აქვს ჩაწერილი<sup>2</sup>. არქივისეულ სიებში *Ванисков*-ი წერია (გვ. 18r, 13r). „მესხური დავითნის ქრონიკაში“ ამ ადგილს ეწოდება ვანისქუაბი: „ორშაბათს ვანის ქუაბს მოვადექით, და ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ...“<sup>3</sup> ვანისქვაბის მდებარეობა ექ. თაყაიშვილს სწორად არა აქვს განსაზღვრული. მისი აზრით სამცხეში, გურიის ქედის განტოტებაზე არის მონასტერი ვანა, რომელთანაც ვახუშტი ქვაბულებსაც აღნიშნავს<sup>4</sup>. ჩვენი ვანისქვაბი კი ვარძია-თმოგვის ხეობაშია. ვანისქვაბი საქართველოს სამონასტრო ისტორიაში კარგად ცნობილი იგივე ვაჰანის-ქვაბია. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ გამოცემულმა ლ. მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ „ვაჰანის ქვაბებს უკვე XIV საუკუნის მეორე ნახევარში ...ვანის ქვაბებს“ უწოდებდნენ<sup>5</sup>. ჰ თანხმობენის დაკარგვა ხმოვნების წინ დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისათვის<sup>6</sup>. „ვაჰანის ქვაბ“ში ჰ დაიკარგა და ორი ა-ს შერწყმით მიღებულია „ვანისქვაბი“. მ. ბროსეს *Wanis-Kwabi* აქვს (*Rapports... II, 164*).

<sup>1</sup> სტია, ფ. 77, ს. 48, გვ. 11r; აგრეთვე ფ. 74, ს. 5; ვანისხევეზ და ვანისქვაბზე იხ. აგრეთვე: სტია, ფ. 1012, ს. 11, გვ. 1r.

<sup>2</sup> Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Записки Кавк. Отд. ИРГО, кн. VIII, გვ. 59.

<sup>3</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890. გვ. 90.

<sup>4</sup> Три хровника, გვ. 194, შენიშვნა 2.

<sup>5</sup> ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.) გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბილისი, 1939. გვ. 9-10.

<sup>6</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 24-25.

ვანისქვაბის მდებარეობა ც. გაბაშვილს ასე აქვს განსაზღვრული: „დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე თმოგვიდან და 16 კილომეტრის მანძილზე ხერთვისიდან, ზევით შუა ვაკეებით კლდეში მოჩანს გალავნის კედლებით შემოზღუდული ვაჰანის ქვაბები“<sup>1</sup>. 1933 წელს ჯავახეთში მოგზაურობის დროს პროფ. ნ. ბერძენიშვილი და მე ვანისქვაბში ავედი. „დღიურში“ მიწერია: „21. VIII-ს მირიან ნათენაძე ჩამოგვყვა გოგაშნიდან ვანისქვაბში. მასთან ერთად ჩვენ, მიუხედავად ძლიერ სახიფათო გზისა, ავედით მაღლა მთაზე მდებარე ეკლესიის დასათვალიერებლად. ეკლესიის კედლებზე ბევრი მინაწერია გაკრული ხელით. ზოგი მათგანი ნიკომ გადმოიწერა. ქვაბულიც რამდენიმეა“ (გვ. 20, 22).

13. სოფ. ავაზანა—**آوازانا** სათესველით ვანისქვაბთან—**آوازانا** (I 15, 249; II 16, 244). 1841 წლის საბუთში ქაქართან ერთად იხსენიება **Авазанна** და **Зей ахван**. ნიკო ნათენაძის ცნობით „ავაზანა ვანისქვაბის ზევითაა, ახლა გოგაშნის ნაწილს შეადგენს; ამ ადგილს რკინის-წყაროსაც ეძახიან, კარგი წყალია მიღებით ჩაყვანილი“. არქივისეულ სიებშიც **Авазана** გვაქვს (18რ, 13რ).

სოფ. ავაზანა „დაეთრის“ დროს უკვე გაუქარიელებულია. ავაზანასთან დასახლებული სათესველ **آوازانا**-ის სახელწოდება ამოკითხული არ არის.

14. სოფ. ალაგი—თმოგვის რაბათთან—**آلاگی** (I 15, 249; II 16, 245). უქარიელი სოფელია. ნ. ნათენაძის ცნობით ზედა თმოგვსა და ვარძიას შუა არის ბალები და ამ ადგილს ეძახიან **ალაგურსო**. „თმოგვის ვიწროებს იქით მტკერის ხეობა ოდნე ფართოვდება. მარჯვენა მხარეს მოჩანს სოფ. ზედათმოგველების ბალების ე. წ. **ალაგურების** გამწვანებული მასივი, მტკერის ვაკელებით იფარა-ჩარიგებული, მარცხნივ გამოღმა—ე. წ. ხოსიტა-შვილების ქალა (სოფ. გოგაშნის ბალებია)“...<sup>2</sup> ამრიგად, ექვი არ უნდა იყოს, რომ „დაეთრის“ **ალაგი** და ამემად დადასტურებული **ალაგური** ერთი და იგივე ადგილია. თურქ-მოხელეს ურ მარცვალი ჩაუგდია. შესაძლებელია ეს დამახინჯება ინფორმატორის მიზეზით იყოს გამოწვეული.

15. სოფ. ვარძია სოფელ აფნიასთან—**آرازیا** (I 15, 249; II 16, 245). იხ. ზემოთ № 2, სოფ. ზედა ვარძია, გვ. 360.

16. სოფ. **آلاگی**-ს. აგარასთან (I 15, 249; II 16, 245). ეს სოფელი ნიალისყურის აგარასთან ახლო მდებარედ ითვლება. პარველი ნახევარი სიტყვისა **آلاგი** შეიძლება წმინდა სიტყვა იყოს; მაგრამ წმინდა ვალე, ან წმინდა ვალიც ცნობილი არ არის. არქივისეული სიის **Зунтаванна**-ც არ უნდა იყოს სწორი (გვ. 18რ). ეს სოფელი „დაეთრის“ დროს უკვე ცარიელია.

<sup>1</sup> ც. გაბაშვილი, ვარძია (გზამკვლევი), თბილისი, 1945, გვ. 36; აგრეთვე: Г. И. Трешешвили, Варазана, Тбилиси, 1951, стр. 76.

<sup>2</sup> ც. გაბაშვილი, ვარძია (გზამკვლევი), თბილისი, 1945, გვ. 36.

17. სოფ. ელ იასუბანი, ზედა ვარძიასთან—*إلياسوان* (I 15, 249; II 16, 245). ამოკითხული უნდა იყოს სწორად; მაგრამ ასეთი სოფელი ან ნასოფლარი ამგებად რუკებზე არსად არა ჩანს. ნიკო ნათენაძის ცნობით „ელ იასუბანი ქაქკრის პირდაპირაა, გამოღმა; გოგაშნელების ბაღებია“. ორთავე არქივისეულ სიაში *Елиасунахи*-ი გვაქვს (18r, 13r).

18. სოფ. *سلس* სოფ. *سور* და ღუმელიასთან (I 15, 249; II 16, 245). I წიგნში (გვ. 249) მეორე სოფლის სახელად *سور* (?) მიწერია. ახლა რომ ევაკირდები ისევე ეს პირველი ვარიანტი, ე. ი. *سور* უფრო სწორია (იხ. დედანი, გვ. 229). სოფელი „დავთრის“ დროს უკვე გაუკაცრიელებულია. ამოკითხვა ვერ მოხერხდა. ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს. ამდენად არაა გამორიცხული, რომ მესამე ასო *ق* კი არა — იყოს. მაშინ ამოკითხულობის ერთ-ერთი ვარიანტი იქნებოდა სამეღია, როგორც ეს არქივისეულ სიებში გვაქვს—*Самелна* (18v, 13r).

19. სოფ. ხორიკეთი—*حورکیت*—სოფ. ანაკეთთან (I 15, 249; II 16, 245). არქივისეულ სიებში ამ სოფლის სახელად წერია *Чуракет*-ი (გვ. 18v, 13r). ასე ამოკითხულობისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, ე. ი. მზაზღულობის თვალსაზრისით თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკაში ასე იყო თუ არა, არ ვიცით. არქივისეულ მასალებში აღმოჩნდა ერთი გეოგრაფიული სახელი, რომელიც სასყებით ფარავს ამ დაწერილობას. 1832 წლის ერთ „საქმეში“ მოყვანილია სია იმ სოფლებისა, რომლებიც თურქეთიდან ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტმა (*Комитет переселения*) შეისყიდა ახალქალაქელ კაპიტნის მუთი-ბეგისაგან. ამ სოფლებში თმოგვთან, დანიეთთან, კუმურდო და სხვებთან ერთად დაახლებულია *Хорикет*<sup>1</sup>, ამრიგად, ჩვენი *حورکیت* სოფლის სახელი *خورکیت* ორიორიკეთი ყოფილა, (თუმცა ამ სოფლის სახელად *Хоракет*-იც გვხვდება)<sup>2</sup>.

20. სოფ. *سولاور* ყუზაბეთ ციხითურთ—*قوزاب مع قلعة سولاور* (I 15, 249; II 16, 245). გაუკაცრიელებული სოფელია. ჯერჯერობით ამოუკითხავად დარჩა. ამ სოფელთან იხსენიება ყუზაბეთ ციხე, რომლის დამწერლობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და, ამდენად, ამოკითხვა სწორია. არქივისეული სიების მიხედვით ამ პუნქტის სახელად *Булавер*-ი გვაქვს (18v, 13r), რაც საესებით შესაძლებელი ვარიანტია; ოღონდ ამდენადვე შეიძლება „თულავერ“იც იყოს, ნულავერი იყოს და სხვ.

21. სოფ. გიორგიწმინდა ზედა თმოგვთან—*گورگیزمندان* (I 15, 249; II 16, 245). გაუკაცრიელებულ სოფლადაა აღრიცხული. მისი მდებარეობა მითითებულია ზედა თმოგვთან, მაგრამ მომდევნო დანეთ სოფელზე ნათქვამია, რომ ის (დანეთი) გიორგიწმინდასთანაა (იხ. ქვემოთ, № 22). ჯაეახეთში მოგზაურობის „დღიურში“ კი მიწერია „დანეთსა და ზედა ვარძიას შორის არის ნასოფლარი გოგარწმინდა (გვ. 24). საფიქრებელია,

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 76, გვ. 4r, 8r.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 1012, ს. 23, გვ. 38r.

რომ აწინდელი გოგარწინდა და „დავთრის“ გიორგიწმინდა ერთი და იმავე პუნქტის სახელი იყოს. ამ პუნქტის სახელი არქივისეულ მასალაში უფრო გადამახინჯებულია: *Егергинида напротив деревни Данест*; გვხვდება *Коргачинида-Г<sup>1</sup>*.

22. სოფ. დანეთი სოფ. გიორგიწმინდასთან—*دانا* (I 15, 249; II 16, 245). ადგილობრივ ამ პუნქტის სახელია დანეთი, თუმცა საბუთებში დანეთიც გვხვდება. ხერთვისის ნაპიჯეში ჩვენ გვქონდა დანეთ სათესველი<sup>2</sup>, რომელიც, ცხადია, ამ თმოგვის ნაპიჯეში მდებარე სოფ. დანეთის მიჯნაზე უნდა იყოს. სოფ. დანეთმა ჩვენ დრომდე მოაღწია: ასპინძის რაიონის შალოშეთის სასოფლო საბჭოში დანეთი შედიოდა შალოშეთ, ზედა თმოგვ და თოლერთა სოფლებთან ერთად<sup>3</sup>. თუ, სახელდობრ, რა მიმართებაშია თმოგვის სოფ. დანეთი ხერთვისის სათესველ დანეთთან სპეციალისტ-გეოგრაფოსებმა უნდა გაარკვიონ.

XIX საუკ. *Данет*-ი იხსენიება როგორც დაუსახლებელი სახაზინო ადგილი: *Шундинцы же жили до последнего времени на владельческой земле, а ныне проживают в казенной пустоши Данет<sup>4</sup>*.

<sup>1</sup> სტია, ფ. 79, ს. 18, გვ. 60r; იქვე, ფ. 47, ბ. 76, გვ. 4r, 8r,

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, სათესველი № 38, გვ. 264.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია.

<sup>4</sup> Св. МІЭБІКЗК, III, გვ. 20.

### III. ახალქალაქის ლივნი

#### 15. ნიალისყურის ნაჰიე

1. სოფ. არტახი—*آرتاخ* (I 15, 250; II 17, 246). ამ სოფლის ქართული სახელია არტახი; თურქ მოხელეს *آرتاخ* უწერია, რადგანაც არტახის ბოლოკიდური ხ თანხმოვანი მას დიალექტური ც-ის მონაცვლე ხ ჰგონია (ქართ. ტ მკვეთრი კი ჩვეულებრივად შესაბამისი მელერით აქვს გადმოცემული). ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე ქარზამეთთან ახლო აღნიშნულია Aprax-ი. მ. ბროსესაც Artakh-ი აქვს<sup>1</sup>. არქივისეულ სიებში *Ардах*-ია (18v, 13r) და საბუთებში *Ардах*-იცაა<sup>2</sup>.

სოფ. არტახი ასპინძის რაიონის ნიალის სასოფლო საბჭოში შედიოდა ნიალა, გავეთ, ზემო ვარნეთ და ქარზამეთ სოფლებთან ერთად<sup>3</sup>. „დაეთარის“ დროის არტახი 14 კომლიანი სოფელია. 1870 წ. მასში ირიცხება 4 კომლი<sup>4</sup>.

2. ჩაირი ქართაბი და *محراب* სოფ. ხინგირთან—*محراب* (I 15, 250; II 17, 246). პირველი ჩაირის სახელი ქართაბი-ი კარგად იკითხება; მეორე ჩაირის სახელი კი ვერ ამოვიკითხეთ. ეს ჩაირები ნაჩვენებია სოფ. *خينگر*-ხინგირთან. მართალია, ზეეს *خينگر*-ხეჭიზ<sup>5</sup> აღ მქონდა ამოკითხული (იხ. I და II წიგნში), მაგრამ ეს სწორი არაა. ჯერ ერთი—ხეჭიზა მდებარეობს და სოფლად აღრიცხული იყო ჭაქარაქის ნაჰიეში<sup>6</sup> და ნიალისყურის ნაჰიეში შემავალი პუნქტი ხეჭიზასთან ახლო ვერ იქნება (ჩვენ ამ პუნქტს კიდევ შევებებით № 28-სთან რომ მივალთ).

ამ ჩაირის სახელად არქივისეულ სიებშიც *Картан*-ია (18v, 13r).

3. სოფ. ზედა თმოგვი—*توماك* (I 15, 250; II 17, 246). იხ. ზემოთ, გვ. 361 № 3. თმოგვის ციხის რაბათი თმოგვის ნაჰიეში.

4. სოფ. ზემო ნიალა—*عليا نيا* (I 15, 251; II 17, 247), 10. სოფ. ქვემო ნიალა—*اسفل نيا* (I 15, 253; II 17, 248). ამრიგად, დასახელებულია ორი ნიალა—ზემო და ქვემო, ხოლო ფიქტ ნიალისყური,

<sup>1</sup> M. Brosset, Rapports... II, გვ. 159; აგრეთვე: СМИЭБГКЗК, I, გვ. 248.

<sup>2</sup> სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 48v.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—ასპინძის რაიონი.

<sup>4</sup> К. Зинсераш, 10.

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, გვ. 239, № 56.

რომლის სახელითაც ცნობილია ეს ნაჰიე (Niala, canton Nialis-Qour)<sup>1</sup>. დასახლებულ პუნქტად არც „დავთარში“<sup>2</sup> და არც ჩვენ დრომდეა მოღწეული. ვახუშტი კი შემდეგ კონტექსტებში ასახელებს ნიალის ყურის მთას: „ფოსოს (ან ჩელურეთს) აქუს აღმოსავლით მთა ნიალის-ყურისა...“<sup>3</sup>; მეორეჯერ ნიალისყური ჯავახეთის სამხრეთ საზღვარია: „სამჭრით მთა ნიალის-ყურისა...“<sup>4</sup> და სხვ. ამრიგად, ნიალისყურის მთის სანახებში მდებარე სოფლები გაერთიანებულია ნიალისყურის ნაჰიეში. ხუთვერსიან რუკაზე ლეპისთან ახლო აღნიშნულია Нияла ცალკე და Р. Д. Нияла კიდევ ცალკე<sup>5</sup>. იხსენიება აგრეთვე ნიალის ველი: „ნიალის ველი და ხინგრის წყალი უკვე ჯავახეთს ეკუთვნოდნენ (ისტორი და აზშნი 652-653, გვ. 439)“<sup>6</sup>.

„დავთარის“ დროის ზემო ნიალაში 4 კომლია, ხოლო ქვემოში—16. ჩენი დროისათვის იყო ერთი ნიალა, ისევე როგორც კ. ზისერმანიც 36 კომლიან, ერთ ნიალას ასახელებს 1870 წ. (გვ. 10). ეს ნიალა ასპინძის რაიონში იყო ცენტრი ნიალის სასოფლო საბჭოში, რომელიც აერთიანებდა ნიალა, არტახ, გავეთ, ზემო ვარნეთ და ქარზამეთ სოფლებს<sup>7</sup>.

5. სოფ. გელციხა (?)—گالک (I 15, 251; II 17, 247). არქივისეულ სიებში ამოკითხული ჩილტხე (187) და Гилыска (137) — შეცდომაა. პირველი ნახევარი სიტყვისა კ რას ნიშნავს, არ ვიცი. თუ ეს გელ (←მგელ-ი) სიტყვას გამოხატავს, მაშინ გვექნება გელციხა || გელსიხა, რაც იგივე გადათურქულებული მგელციხეა; მაგრამ აქ მგელციხე მოსალოდნელი არ არის. მგელციხის (კურდ-კალკასი) ნაჰიე ცალკე აღრიცხული და მგელციხის სახელწოდებით პუნქტი იქ არის<sup>8</sup>. ამავე დროს შესაძლებელია گال დაწერილობა მგლისხევე პუნქტის სახელს გადმოგვეცემდეს: მგლისხევე→გლისხევე→გლისხა<sup>9</sup>. თავიკიდური მ ასეთ პოზიციასი საერთოდ იკარგება ისევე, როგორც ზოგჯერ ბოლოკიდური თანხმოვანიც (შდრ. გრიალ→გრია, აქვე; გვ. 279). მაშასადამე, სავსებით შესაძლებელია, რომ گال თურქი ჩამწერის მიერ აღქმული მგლისხევი იყოს, ხოლო მგლისხევე პუნქტი ამ მიდამოებისათვის (მირაზხანი, ფია, ნავარძიევი) ცნობილია<sup>10</sup> და შესაძლებელია

<sup>1</sup> მ. ბროსე, Rapports... II, 156.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 130.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 131.

<sup>4</sup> იხ. თანდართულ რუკაზე ზემო და ქვემო ნიალები.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 52; „საქ. ისტ. რუკაზე“ სათა-ნადო ადგილას აღნიშნულია ნიალის ველი.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

<sup>7</sup> იხ. ქვემოთ: 18. მგელციხის ნაჰიე ჩილდირის ლივანში; შდრ. Трапшани, СМОМПК, 28, გვ. 17.

<sup>8</sup> Г. М. Гаприладшвили, О некоторых особенностях пещерных комплексов в окрестностях Вардана, АН. Груз. ССР, VII научная конференция аспирантов и молодых научных работников. 21-31 мая 1956 г. План работы и тезисы докладов. Тб., 1956, стр. 1.



ამ სახელით სოფელიც ყოფილიყო. ამრიგად, მგელციხე თუ მგლის-  
ხევი? ვფიქრობ მგლისხევი. საქიროა მაინც დამატებითი ცნობები.

ეს სოფელი „დავთრის“ დროს საკმაოდ მოზრდილია; მასში 15 კომლი  
მოსახლე ირიცხება.

6. სოფ. ახჩია, ქუნცა (?) სათესველით—**اخيچا مع مزرعة كونه** (I 15, 252; II 17, 248). ახჩია პატარა, ხუთკომლიანი სოფელია. იხსენიება „მესხუ-  
რი დავითნის ქრონიკაში“: „ჩქსა საფე, მარტში მოგვკდა კოკოლა და ახჩიის  
ქუაბი წაგუართუა“<sup>1</sup>. რუკებზე ყველგან მირაზხანთან ახლო აღნიშნულია  
Ахчиа და Р. ۲. Ахчиа<sup>2</sup>. სოფ. ახჩია ასპინძის რაიონის აგარის სასოფლო  
საბჭოში შედიოდა აგარა, ლეპის და ფანაკეთ სოფლებთან ერთად<sup>3</sup>. პტკეარზე  
სოფ. Ахчиа-ს ასახელებს აგრეთვე კ. ზისერმანი (გვ. 8) 6 კომლიანი მოსახ-  
ლეობით (1870 წ.); ახალციხიდან იგი 50 ვერსის ზანძილზე მდებარეობს.  
ახჩიასთან სათესველად დასახელებული ადგილის სახელი **اخيچا** — თითქოს  
ქუნცაა.

7. სოფ. მამფუჩეთი—**مامفوجيت** (I 15, 252; II 17, 248). დაწერილო-  
ბას ყველგან დასმული აქვს დიაკრიტული ნიშანი (დედანი, გვ. 232) და, ამ-  
დენად, ამოკითხულობა სწორი უნდა იყოს. არქივისეული სიების **Мамфучах**  
(გვ. 18v, 13r), რა თქმა უნდა, მცდარია. რუკებზე ან სხვა წყაროებში მამ-  
ფუჩეთი არ ჩანს. სოფ. მამფუჩეთი (ხუთკომლიანი სოფელია) სადმე ახჩიის  
სანახებში უნდა ყოფილიყო.

8. სათესველი **چاشا** (I 15, 253; II 17, 248). მე ეხლა ვაკვირდები დედ-  
ნის სათანადო ადგილს (გვ. 233) და ვანჩნევ, რომ ამ დაწერილობაში მეოთ-  
ხე ასოს შემდეგ კიდევ არის ერთი ასოს ნიშანი და უნდა გვეკონდეს ეს და-  
წერილობა ასე: **چاشа**. დიაკრიტული ნიშნები მხოლოდ ორ ასოს აქვს დასმუ-  
ლი და ამიტომ ამოკითხვა შეიძლება მხოლოდ პირობით. შესაძლებელია  
არქივისეულ სიებში მოცემული Чашина (გვ. 18v) და Чашиня (გვ. 13r) ამო-  
კითხულობა სწორი იყოს.

9. იალალი შავლა—**يالاق شاولا** (I 15, 253; II 17, 248). ქართულ  
შავლა-ს კითხვითი ნიშანი (II წიგნი) შეიძლება მოვაცილოთ, რადგანაც  
დედანში საესებით გარკვევით იკითხება **شاولا**—შავლა (იხ. დედანი, გვ. 233).

10. სოფ. ქვემო ნიალა—**چاچا نيا** (I 15, 253; II 17, 248). იხ. ზე-  
მოთ, გვ. 369, № 4, სოფ. ზემო ნიალა.

11. სოფ. აგარა—**اگرا** (I 15, 253; II 17, 249). სხვა აგარებისაგან  
გამოსარჩევად ამ აგარას შეიძლება დაეარქვათ ნიალისყურის აგარა,  
(მ. ბროსესთან—**Agara**)<sup>4</sup>. დიდი—26 კომლიანი სოფელია. რუკებზე ამ ზონაში

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 92. აქაური ახჩია შეცდომაა.

<sup>2</sup> იხ. თანდართულ რუკაზე.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

<sup>4</sup> Rapports... II, გვ. 159.

ნაჩვენებია B. Агара. სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი აგარა. კ. ზისერმანიც: დიდ აგარას ასახელებს ლეპისტან 27 კომლიანი მოსახლეობით (1870 წ.); ეს აგარა აგრეთვე დასახელებული საბუთში: Агара большая при роднике Ортули...<sup>1</sup> ეს აგარა უწინ იყო სასოფლო საბჭოს ცენტრი (ასპინძის რაიონი), რომელიც ახჩია, ლეპის და ფანაკეთ სოფლებს აერთიანებდა<sup>2</sup>.

12. სოფ. *سورس* სოფ. ვარძიასთან (I 15, 254; II 17, 250). „დავთარში“ ამ სოფლისათვის მოსახლეობა არ იხსენიება. არქივისეული სიები ასეთ წაკითხვას იძლევიან: Горис мела (18r) და I'агас мера (13r). დედანში (გვ. 234) პირველ ასოს ქ ასოსათვის საპირო მარჯვნივ გადახრილი თავი არა აქვს და ამდენად ამ სიტყვის *سورس* გორის-მელა-დ წაკითხვა შეუძლებელია. სიტყვის მეორე ნახევარი კი მელა-დ შეიძლება ამოკითხულ იქნას (მაგრამ არა მერა-დ, როგორც ეს II სიაშია).

13. სოფ. ფანაქეთი — *فانکيت* (I 15, 254; II 17, 250). ადგილობრივი მოსახლეობა ამ სახელწოდებას ფანაქეთად წარმოთქვამს (ნიკ. ნათენაძე). ოფიციალურ სიაშიც ფანაქეთია (ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ თმოგვის ნაპიანში შეცდომით ანაკეთის ნაცვლად ფანაქეთი იყო ნაჩვენები<sup>3</sup>). მ. ბროსე Phanasct-ს ისეთ კონტექსტში ახსენებს, რომ უთუოდ ჩვენი ფანაქეთია<sup>4</sup>. უწინ სოფ. ფანაქეთი ასპინძის რაიონში აგარა, ახჩია და ლეპის სოფლებთან ერთად აგარის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>5</sup>. მსხვილმასშტაბიან რუკებზე ამ ზონაში, მტკვრის მარცხენა განაპირას ფანაქეთი ყველგან აღნიშნულია. „დავთარის“ ფანაქეთში 12 კომლია ნაჩვენები; 1870 წელს კი ფანაქეთში ნაჩვენებია 13 კომლი (მდებარეობს ახალციხიდან 40 ვერსის მანძილზე, ქარზამეთის წყალზე<sup>6</sup>).

14. სოფ. ჩოლეთი — *چوليت* (I 15, 255; II 17, 250). საკმაოდ მოზრდილი, „დავთარის“ დროს 17 კომლიანი სოფელია, რომლის მოსახლეობა 1878 წლისათვის უკვე 13 კომლამდე დასულა<sup>7</sup>. რუკებზე ყველგან მტკვრის მარცხენა მხარეზე ნაჩვენებია სოფ. Чолет-ი. ქართულად შეიძლება ამ სოფლის სახელი ქოლეთი იყო. სოფ. ჩოლეთი დღეს უკვე თურქეთის ტერიტორიაზეა.

15. სოფ. ამფური — *امبور* (I 15, 255; II 17, 251). დაწერილობას დიაკრიტიული ნიშანი აქვს, მესამე ასოდ მოცემულია *პ* (=ფ) და ამიტომ ვფიქრობ ქართული სახელი ამფური უნდა იყოს (ამჟამად რომ ყოფილიყო მესამე ასო *პ* იქნებოდა). ექვთიმე თაყაიშვილით Селение Ампура расположено к северу от Чомардо<sup>8</sup>. ჩოლეთის სამხრეთით და Чомардо-ს ჩრდი-

<sup>1</sup> К. Зиссерман, 10, სტია, ფ. 73, ს. 158, გვ. 49v.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, გვ. 362, სოფ. № 4.

<sup>4</sup> Rapports..., II, 159.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რ-ნი“.

<sup>6</sup> К. Зиссерман, 9.

<sup>7</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 78r.

<sup>8</sup> Материалы по археологии Кавказа, XII, 62.

ლოეთით ხუთვერსიან და სხვა რუკებზედაც ყველგან აღნიშნულია Ахыр-სოფ. ამფურთი დღეს უკვე თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა (იხ. თან-დართული რუკა). „დაეთრის“ დროის ამფურთი ხუთკომლიანი სოფელია, 1878 წელს მასში ირიცხება 8 კომლი<sup>1</sup>.

16. სოფ. გოქი — كوكو (I 15, 256; II 17, 251). „დაეთრის“ სოფელ გოქი ოთხკომლიანია. ერთვერსიან რუკაზე ის აღნიშნულია სოფ. ამფურთან შემდეგი ტრანსკრიფციით — Γεκι; ალბათ გადათურქლებული Gök-ის მიხედვით ორუსული გ-თია გამოცემული. საქ. სსრ-ის ფარგლებს გარეთაა.

17. სოფ. ლეპისი — لپس (I 15, 256; II 17, 251). „დაეთრის“ ლეპისი დიდი, 42 კომლიანი სოფელია. „დაეთარში“ „ლეპისის“ პ შესაბამისი გ მკლერიტაა გამოცემული. აღ. ფრონელი „ლეპისის სამამასახლისოს“ ახსენებს<sup>2</sup>. ლეპისი რუკებზე ნიალის ჩრდილოეთითაა აღნიშნული. ლეპისი ჩვენ დრომდე ასპინძის რაიონში აგარის სასოფლო საბჭოში შედიოდა აგარა, ახჩია და ფანაქეთ სოფლებთან ერთად<sup>3</sup>.

18. სოფ. დუმელია دوماლი სათესველით — دوما (I 15, 257; II 16, 252). არქივისეული სიების „Гомали“ ამ სახელის არმენიზებული ფორმა უნდა იყოს. ანხ. ნიკო ნათენაძის ცნობით დუმელია ნასოფლარია ამჟამად სოფ. აგარის ტერიტორიაზე. ნასოფლარი დუმელიის არსებობა დამოდასტურა აგრეთვე ამხ. პ. მაზნიაშვილმა. „დაეთრის“ დროის დუმელია 14 კომლიანი სოფელია. დუმელიის ლოკალიზებისათვის ძიებები ნიალისყურის აგარის მიდამოებში უნდა ჩატარდეს.

დუმელიასთან მოხსენებული სათესველი დომალი ამოუკითხავი რჩება, ისევე როგორც ბოლოს მიწერილი ჩაირი جوجى — კოქი (?) - ზედაც დამატებითი ცნობები არა გვაქვს (დედანი, გვ. 237).

19. სოფ. გომი — گومي (I 15, 258; II 17, 253). გომიუ პატარა სოფელი ყოფილა — ოთხკომლიანი. არქივისეულ სიებში არმენიზებული ფორმები გვაქვს — Гом (18v, 13r). სხვა გომებისგან გასარჩევად ეს ნიალისყურის გომი იქნება. ნ. ნათენაძის ცნობით ეს ნასოფლარი ფანაქეთთან არის. მ. ბროსეს Gomi ისეთ კონტექსტში (Artakha, Warueth, Agara) აქვს მოხსენებული, რომ უთუოდ ეს ნიალისყურის გომია<sup>4</sup>. ერთვერსიან რუკაზე დაახლოებით გომის ადგილას აღნიშნულია Гом. ვფიქრობ, რომ ეს შეცდომაა და Гомი უნდა იყოს.

20. სოფ. კორისხევი — كورسخو (I 15, 258; II 17, 253). „დაეთრის“ დროის პატარა, ხუთკომლიანი სოფელი. არქივისეულ სიებში — Корихев-ი (19r, 13r). ვარძიის მუზეუმის მეცნ. თანამშრომლის გ. გაფრინდაშვილის ცნობით კორისხევი მდებარეობს ვარძიის ზემოთ — ხეობაში, დაახლოებით ვარძი-

<sup>1</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77r.

<sup>2</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 69.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია — „ასპინძის რაიონი“.

<sup>4</sup> Rapports..., II, გვ. 159.

იდან 4 კილომეტრზე. კორისხევეში დარჩენილია ნანგრევები საკულტო და სამოქალაქო დანიშნულების გამოქვაბულებისა<sup>1</sup>. ლ. ზაგურსკი ნაქალაქევე, წუნდა, Чолыда (= ქართ. კოლთა), თმოგვე, ზედა ვარძია, ანაკეთ და სხვ. პუნქტებთან ერთად ახსენებს зямовник Корисхев-ს, საბუთებში Корисхев-იკ არის<sup>2</sup>.

21. სოფ. ვარნეთი—وارنيت (I 15, 258; II 17, 254). ვეიქრობ, ეს ის ვარნეთია, რომელსაც ციხეე ქონია და რომელზედაც „მესხური დავითნის ქრონიკაში“ ნათქვამია: „ამავე ქორონიკონსა, ავგსტოს ოცდა-ათერთმეტსა, ვარნეთის ციხეს უღალატეს მგელ-ციხიღამა...“<sup>3</sup> მ. ბროსეს მიერ სოფ-არტახთან დაკავშირებით ნახსენები Wagneth-ი უთუოდ ჩვენი ვარნეთია.

„დავთრის“ ვარნეთში 12 მოსახლეა. ფანაქეთის დასავლეთით Варнет-ი ყველა მსხვილშასტაბიან რუკაზე აღნიშნულია. ეს ვარნეთი ზემო ვარნეთის სახელით ასპინძის რაიონის ნიალის სასოფლო საბჭოში შედიოდა არტახ, გავეთ და ქარზამეთ სოფლებთან ერთად<sup>4</sup>.

22. სოფ. ბორეა—بورعا (I 15, 259; II 17, 254). ეს სოფელი არქივისეულ საბუთში Бурва-დ იხსენიება: По книге Джабев, хранящейся в Ахалцихском Областном Правлении значитсся, что пустопорожняя деревня, состоящая в Ахалкалакском санджаке Лепис заключает в себе 9 000 ахчей, а Бурва — 18 000 ахчей<sup>5</sup>. Бурва-ა აგრეთვე სხვაგანაც<sup>6</sup>. რუკებზე (ხუთვერსიანი და სხვ.) ამ სოფლის სახელი P. D. Бавро-ა. მე ვეიქრობ, „დავთრის“ ვარიანტი უფრო სანდოა და უფრო სწორი; ბორეა ან ბურეა უნდა იყოს. არქივისეულ სიბუთში Бурва-ა (19r, 13r). რუკებზე აღნიშნულია ფანაქეთის ჩრდილო-დასავლეთით. „დავთრის“ ბორეაში 17 კომლია.

23. სოფ. ქარზამეთი—كارزمت (I 15, 259; II 17, 255). Карзаметская церковь расположена в нынешнем Ахалцихском уезде, в 31-й версте от г. Ахалдиха, на р. Карзаметис-цкали, в деревне Карзамети<sup>7</sup>... Деревня Карзамети в двух верстах от Гавети, на самой границе Карсской области, на берегу Карзаметис-цкали. В деревне две церкви...<sup>8</sup> ვახუშტი ახსენებს ქარზამეთის-ქევეს და ქარზამეთის მონასტერს<sup>9</sup>; ამდენად აღ-

<sup>1</sup> Г. М. Гапришдашвили, О некоторых особенностях пещерных комплексов в окрестностях Вардзиза, АН Груз. ССР, VII научная конференция аспирантов и молодых научных работников 21-31 мая 1956 г. План работы и тезисы докладов. Тб., 1956 г., гл. 1-3.

<sup>2</sup> Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Зап. КОИРГО, т. VIII, тб., 1873, гл. 49; სტია, ფ. 73, ს. 157, გვ. 16v.

<sup>3</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ევ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 91.

<sup>4</sup> საქ. სსრ. აღმ. ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“.

<sup>5</sup> ჯაბა—ასეც ეახსენა ჩვენ „დავთარს“ ყოველ შემთხვევაში აღმ. ანატოლიაში.

<sup>6</sup> სტია, ფ. 1012, ს. 12, გვ. 1r.

<sup>7</sup> იქვე, ს. 14, გვ. 19r, 20r.

<sup>8</sup> Дм. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 63.

<sup>9</sup> Е. Такайшвили, МАК, XII, 16; მ. ბროსე, Rapports... II, 154, 158; ქარზამეთის შესახებ აგრეთვე: ვ. ბერიძე, სამცხის ბურთომოდლოვება XIII-XVI საუკ., გვ. 186.

<sup>10</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 128.

ფრონელის კარზამეთი («ვარძიდან 10-12 ვერსის მანძილზე სოფ. კარზამეთი...»)¹ სწორი არ არის და ქართულად ამ სოფლის სახელია კარზამეთი. ასევე არ უნდა იყოს სწორი ტრანსკრიფცია 1923 წ. გამოცემულ «საქ. ისტორიულ რუკაზე» აღნიშნული კარზამეთისა და კარზამეთის ხევისა.

«დავთრის» კარზამეთი დიდი სოფელია. მასში აღრიცხულია 45 კომლი. რუკებზე კარზამეთი ყველგანაა აღნიშნული არტახის დასავლეთით, ზედ საზღვარზე. ასპინძის რაიონის ნიალის «სასოფლო საბჭოში» შედიოდა კარზამეთი ნიალა, არტახ, გავეთ და ზემო ვარნეთ სოფლებთან ერთად².

ქარზამეთს ბოლოს მიწერილი აქვს იალაღი کوس, რომლის სახელიც ქართულად შეიძლება საკომ-ი იყოს.

24. სოფ. თათალეთი—تاليس (I 15, 260; II 17, 256). «დავთრის» თათალეთი შეიძლება იყოს სოფელია. 1878 წელს მასში 17 კომლია³. «ამფურის ჩრდილოეთით მდებარეობს სოფ. თათალეთი, თათალეთისწყლის ნაპირზე, რომელიც უწინ საზღვარი იყო თურქეთსა და რუსეთს შორის. ამ სოფელში ორი ეკლესია იყო...»⁴

არქივის ერთი საბუთის მიხედვით ბორჯომის ხეობის მცხოვრებნი თათალეთში გადასახლებას ითხოვენ: Жители Горнийского уезда Сурамского участка деревень Ахалдаба и Сарван-швили, казенные крестьяне... просят дозволения моего по немению у них казенной земли поселиться на ...пустопорожной земле под названием Таталеты⁵.

არქივისეული სიგების Папанет-ი (19r) და Папалет-ი (13r) შეცდომაა: თათალეთი ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია არტახთან ახლო, მაგრამ უკვე თურქეთის ტერიტორიაზე—ქარზამეთს გაღმა (ვახტანგ გურგენიძე).

25. სოფ. კოტასი—کوتاس (I 15, 261; II 17, 256). «დავთრის» დროის კოტასში მხოლოდ 2 კომლია აღრიცხული, 1870 წელს კი—4⁶. კოტასზე ცნობები აქვს ექ. თაყაიშვილს: Селение Котаси расположено к югу от Таталеты. Оно имело церковь одного типа с церковью в Чомарда и Амгур...⁷ კოტასი არმენიზებული Годას ფორმითაც გვხვდება⁸.

Котас-ი მსხვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია თათალეთის სამხრეთით, თურქეთის ტერიტორიაზე.

26. სოფ. სამწუბი—سامرؤب (I 15, 261; II 17, 256). ვფიქრობ, რომ «მესხური დავითნის ქრონიკაში» ნახსენები სამწუბო-ღელე სიტყვაში ამ

¹ ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 72.

² საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—«ასპინძის რაიონი».

³ სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 78r.

⁴ ექ. თაყაიშვილი, МАК, გვ. VIII, 62.

⁵ სტია, ფ. 352, ს. 183, გვ. 72r.

⁶ სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.

⁷ МАК, XII, გვ. VIII, 63.

⁸ СМИБГКЭК, I, გვ. 248.

სოფლის ქართული სახელი უნდა გვექონდეს: „...პატრონი ჰერაკლე მგელციხეს წავიდეს ყანთან ელჩის გასაგზავნელად, ავ-კარგად სამოცამდის კაცი იახლა, სამწუბთ-ღელეში დაედევით“<sup>1</sup>. „სამწუბ“-ში წ მკვეთრი კანონზომიერად კ ასოთია გადმოცემული და **سومو**-ი ზუსტი ფონეტიკური შესაბამისია ქართული „სამწუბი“სა. ექ. თაყაიშვილის აზრით, სამწუბთღელე იგივე სამწუბთხევია<sup>2</sup>, სადაც, შეიძლება, გაჩერდა ეს „სამოცამდის კაცი“. ამ ხევში შეიძლება ყოფილიყო სოფ. სამწუბიც.

არქივისეულ პირველ სიაში ამ სოფლის სახელი ისეა დამახინჯებული, რომ არც იკითხება (გვ. 19r), ხოლო მეორე სიაში **Самсон**-ი წერია (გვ. 13r). შესაძლებელია ექ. თაყაიშვილის **Сансут**-ი სამწუბის გადამახინჯებული ფორმაა. თუ **Сансут**-ი იგივე სამწუბია, მაშინ სამწუბის ადგილმდებარეობაც გაირკვევა: **Недалеко от Котаси, амбობს еქ. თაყაიშვილი, в местности, известной под названием Сансут, находится церковь одного типа...** და სხვ.<sup>3</sup>

27. სოფ. უკუჩილდირი სოფ. კოტასთან—**او کوجلدی** (I 15, 261; II 17, 256). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი აქვს. თურქული დაწერილობა, ყოველ შემთხვევაში, ნათლად იკითხება და კითხვითი ნიშანი I-სა და II წიგნებში უნდა მოიხსნას. ვფიქრობ, რომ **او کوجلدی**—უკუჩილდირად, ე. ი. უკუჩილდირად უნდა იკითხებოდეს. II წიგნში დაბეჭდილი უკუჩალდირი უკუჩილდირად უნდა გასწორდეს. არქივისეული სიების **Окочилдир** არ უნდა იყოს სწორი (გვ. 19r, 13r). „დაეთრის“ დროსვე გაუკაცრიელებული სოფელია, რომელიც სოფ. კოტასთან ახლო ყოფილა.

28. სოფ. ხინგირი, სოფ. არტასთან—**خنگیر** (I 15, 261; II 17, 256). ამ დაწერილობის დეტალების დამატებით შესწავლამ დამარწმუნა, რომ ხექიზი (ასეა დაბეჭდილი I და II წიგნებში)—**خنگیر** აქ შეცდომითაა ამოკითხული. ჯერ ერთი, დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვს—**خنگیر** (დედანი, გვ. 240), რომლის ბოლოში ზ (ჟ) სრულებით არ არის და იკითხება ხინგირად და არა ხექიზად. მეორე, ხექიზას სახელით პუნქტი ჩვენ უკვე გვექონდა ჭაქარაქის ნაპიჯეში<sup>4</sup> და მის ადგილმდებარეობას ამ ნიალისყურის ნაპიჯეს პუნქტთან არაერთგვაროვნად ვაგვიჩინა არა აქვს. რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ხინგირ პუნქტთან იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ველსა ნიალისასა“ ჩვენ გვხვდება მტკვრის ჩრდილო-დასავლეთის შენაკადი ხინგარის წყალი. ცხადია, ხინგარისწყალზე ნიალისყურის ნაპიჯეში უნდა ყოფილიყო სოფ. ხინგირიც (**خنگیر**), რომელიც აქამდე ცნობილი არ იყო. ივ. ჯავახიშვილით: „ნიალის-

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 88.

<sup>2</sup> Е. Такайшвили, Источники грузинских летописей, Три хроники, СМОМПК, 28, 193.

<sup>3</sup> МАК, XII, გვ. VIII, 63.

<sup>4</sup> იხ. ხეშთი, გვ. 239, № 56.

ველი და ხინგრის წყალი უკვე ჯავახეთს ეკუთვნოდნენ (ისტორიანი ღი აზმანი\* 652-653, გვ. 439)<sup>1</sup>. არქივის მასალებში სწორედ ამ ადგილისათვის იხსენიება Хингурскии пост<sup>2</sup>. მაშასადამე, ახლა არავითარი ეჭვი უკვე აღარ არის, რომ ნიალისყურის ნაჰიეგში 28-ედ აღწერილი სოფელი ხინგირ სოფელია, რომელიც სოფ. არტახთან უნდა ვეძიოთ. არქივისეული სიების Ханури (19r და 13v) ხინგირის დამახინჯებაა. ხინგირი „დაეთრის“ დროს უკვე უკაცრიელი სოფელია.

29. სოფ. Կասր—ავარასთან (I 15, 261; II 17, 256). უკაცრიელი სოფელია, ავარასთან ახლო მდებარე. დაწერილობა გარკვევითაა შესრულებული, მაგრამ დიაკრიტული ნიშნები არა აქვს. ჯერჯერობით ამოუკითხავად რჩება.

30. სოფ. ჩამარდო, სოფ. ვაშლობთან—واجرسا (I 15, 261; II 17, 256). არქივისეულ სიებშიც Կամարდო-ა (19r, 13v). ექ. თაყაიშვილის ცნობით: К северу от Вапшади находится деревня Կамардо. В деревне находится старинная церковь...<sup>3</sup> შართლაც ყველა რუკაზე Вапшади-თან ახლო, ჩრდილოეთით აღნიშნულია ჩამარდო, რომელიც „დაეთრის“ დროს უკვე გაუკაცრიელებულია (მაგრამ შეწერილი აქვს 2 800 ახჩა), ხოლო 1878 წელს მასში 10 კომლიანი მოსახლეობაა<sup>4</sup>. სოფ. ჩამარდო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეშეა.

31. სოფ. კეხი (?) სოფ. გომთან—گک (I 15, 261; II 17, 257). დაწერილობას ნიშნები არა აქვს და კეხ-ად ეს სიტყვა პირობითად არის ამოკითხული. „მეცხური დავითნის ქრონიკის“ მოქმედ პირთა სამოქმედო ასპარეზი, სხვათა შორის, ნიალისყურის ნაჰიეგეც არის. ამდენად არ არის გამორიცხული შესაძლებლობიდან, რომ ციხე, რომელიც ამ „ქრონიკაში“ იხსენიება, „დაეთრის“ კეხის (?) ციხე იყოს. „ქრონიკაში“ ნათქვამია: „პატრონი ვახტანგ ჭელთ დაიქირა პატრონმა მეფემან სვიმონ და კეხუის-ციხეში ტყუშდ ჩაავდო“, თუ ეს ვახუშტის „აჩაბეთ ზეითი... ციხე კეხვისა“ (გვ.76) არაა.

არქივისეული სიების Կես (აქ ნავარაუდევია—گک) არ უნდა იყოს სწორი.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 21, 52, 262. სეციალისტმა გეოგრაფოსმა შეიძლება ხინგრისწყალი ვახუშტის ხინგის მდინარესაც დაუკავშიროს („აღწერა“, გვ. 127). რამდენიმედ საეჭვოა, რომ ხინგრის წყალს არ დაგანკა“ (ივ. ჯავახიშვილი, იქვე) რქმოდეს.

<sup>2</sup> სტია, ფ. 77, ს. 27, გვ. 32v.

<sup>3</sup> МАК, XII, გვ. 62. ექ. თაყაიშვილის Կամարდო სწორი არ არის; Կამარდო უნდა იყოს.

<sup>4</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 78r.

<sup>5</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 105.

32. სოფ. სარკეთი (?), კოტასსა და სამწუხს შუა— صاركيت (?) (I 15, 262; II 17, 257). არქივისეულ სიებშიც ასეა ამოკითხული: Саркит-ი (19r) და Саркит-ი (13v). ჯერჯერობით ამ პუნქტის შესახებ მასალა არა ჩანს. სოფელი უკვე „დავთრის“ დროსვე უკაცრიელად არის აღწერილი.

33. სოფ. اسوان სოფ. ჩოლეთთან (I 15, 262; II 17, 257). არქივისეულ სიებში Амсеван-ია ჩაწერილი (19r, 13v). არ არის გამორიცხული, რომ მესამე ასრ ى იყოს და, მაგალითად, ასე იქნეს წაკითხული: اسوان ى ამისივან და სხვ. უკაცრიელი სოფელია.



## IV. ჩ რ დ ი ლ ი ს ( ჩ ი ლ დ ი რ ი ს ) ლ ი ვ ა

### 16. ჯ ა ნ ბ ა ზ ი ს ნ ა მ ი ა ე

1. სოფ. ჩ რ დ ი ლ ი ს ( ჩ ი ლ დ ი რ ი ს )<sup>1</sup> ციხის რაბათი—جداري محکمات (I 15, 263; II 17, 258). „დავთრის“ ამ ადგილიდან იწყება ჩ რ დ ი ლ ი ს ( ჩ ი ლ დ ი რ ი ს ) ლ ი ვ ა ს ( ს ა ნ ჯ ა ყ ი ს ) ა ლ წ ე რ ა . ა ლ წ ე რ ი ს თ ა ვ შ ი მოქცეულია ჩ რ დ ი ლ ი ს ციხის რაბათი, რომელიც, თითქოს, ჩ რ დ ი ლ ი ს ლ ი ვ ა ს ცენტრია. მე მგონია, არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ რაბათში სულ შეიდი კომლია. ცნობილია, რომ „ვილაფთის“ ამ მონაკვეთზე მოხდა დიდი შეტაკება ირანისა და ოსმალთა ჯარებს შორის (1578 წლის ჩილდირის ბრძოლა), რაც უთუოდ ყოველმხრივ დამაჯინებელი უნდა ყოფილიყო ამ კუთხისათვის. კერძოდ ჩილდირის ციხის რაბათი მოსახლეობის მხრივ ძალიან დაზარალებული ჩანს. რადგანაც IV წიგნში „გურჯისტანის ვილაფთის“ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობისა და ჩილდირ სახელწოდების შესახებ ჩვენ სპეციალურად გვექნება ლაპარაკი, ამიტომ ჩილდირზე აქ დიდ ხანს არ შევჩერდებით. ოღონდ ჩვენ აქ ჩაუერთავთ ვ. კოპტონაშვილის სტატიიდან ამონაწერს, რომელსაც ჩილდირის მხარის მდებარეობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს: ...„ახალქალაქის მარჯა ამ მიჯნაზედ თავდება. ცოტა რომ გადავემართეთ «გვეგ-ტალს» [=ქ. 'ლურჯი მთა' ს. ჯ.] და გადავხედეთ ჩილდირის მთა-ველებს, ჩვენი თვალი მიიპყრო უზარმაზარ მტრედისფერ ტბამ. ჩილდირის მხარე, რომელიც ეკუთვნის ზურზუნის [=ქ. ძურძნა. ს. ჯ.] ნაწილს, მდებარეობს მთიან ადგილებში. ჩილდირი განიყოფება ორ ნაწილად—პირაქეთად და პირიქითად. ე. ი. ტბასა და პირაქეთა ჩილდირს შუა მდებარე მთის ჩრდილოეთის მხრივ ადგილებს ეძახიან წინა ჩილდირს [თურქ.] ირალქი ჩილდირ [=Ileriki Çıldır], მთის იქითა ადგილებს სამხრეთის მხრივ ტბის გარშემო ეწოდება „უქანა ჩილდირი“. საინტერესოა იმავე ავტორის ცნობა ჩილდირის ასეთი დანაწილების მახედვით სოფელთა მდებარეობის შესახებ: „პირაქეთა ჩილდირში შემდეგი სოფლებია: ჩანდურა [აქვე, № 12], ორი ჯანბაზი [აქვე, № 9 და 19], ყარა-ყალა [№ 5], ცხვარა [№ 4], ქოლასი [№ 21?], ბაშქევი [←თურქ. Başköy], კოღამუხა [№ 6], ძინძალი [№ 8, 20 და 24], ფურული [№ 13], ზურზუნა [№ 3], ყორაველი [№ 47] და სხვა. პირიქითაში: ურთა [№ 2], მერედისი [№ 41, 50], ფაქრაშენი [№ 44], გარა-

<sup>1</sup> სახელწოდება ჩილდირი—ჩრდილი ჩვენ განხილული გვაქვს სპეციალურად IV წიგნში („მხარე-ჩრდილი ჩილდირი“); იხ. აგრეთვე: „თბ. უნ-ტის შრომები“, ტ. 41, 1950, გვ. 185-195.

შენი [№ 39?], ყამარგან [№ 11], რაფათი [№ 1], ალჯაყალა [№ 17], ქალა [№ 28], ყიზილ-ვერანა [?], კაგაჩი [№ 33 და 34], ირიშლი [?] ტაშ-ბაში [?], ტაშ-ჭეფერი [?], ტაშ-ჭევეი [?], და სხვა<sup>1</sup>. ესაა ყოველ შემთხვევაში მთავარი სოფლები ჩილდირის ზონაში 1894 წელს და ასეთია ქართველი კაცის ჩაწერით მათი სახელები (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ნომრებით აღვიღად შეიძლება აქვე ვიპოვოთ ამ სოფელთა შესახებ სხვა ცნობები).

IV წიგნში რაბათ სიტყვის განხილვისას ჩვენ დაინახავთ, რომ ბევრ ადგილას ზოგადი მნიშვნელობის შქონე რაბათ სიტყვა საკუთარ სახელად იქცა. ასე უნდა იყოს ჩილდირის რაბათის მიმართაც, ხუთვერსიან და სხვა მსხვილმასშტაბიან რუკებზე ძურძინდან ჩრდილოეთით აღნიშნულია Р а в а т პუნქტი. სწორედ ეს რაბათ-ად აღნიშნული პუნქტი—ჩილდირის (ჩრდილის) რაბათია. ზოგჯერ ამ პუნქტის სახელად И р а в а т-ი წერია<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში ი ხმოვანი პროთეტული ხმოვანია; თურქული სიტყვა რ და სხვა სონორებით არ იწყება, ხოლო ნასესხებ სიტყვებს წინ წაემძღვარება ხმოვანი („ირაბათი“, უ-რუმ-ი, უ-რუს-ი და სხვ.). ჩვენ თანდართულ რუკაზე ამ რაბათს ჩრდილი დავარქვით. 1923 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ ამ პუნქტს აწერია ჯაყის ციხე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩრდილის ლივან ჯანბაზის ნაჰიეში და საერთოდ ჩრდილის (პალაკაციოს) ტბის სანახებში ჯაყის-ციხე მოსალოდნელი არ არის. ჯაყის-ციხე, ჩემი აზრით, უნდა იყოს იმავე რუკაზე ფოცხოვისწყლის ნაპირზე აღნიშნული ჯაყა-ციხე. შემდეგში, XIX საუკუნეში ამ ჩრდილის ნაჰიეს Ч и м д и р с к и й у ч а с т о к-ი ჰქვია, მაგრამ მისი ადმინისტრაციული ცენტრი უკვე არც რაბათია და არც ჩრდილი, არამედ ძურძინა (=ზურზუნა). ...м м отуда [из А х а л к а а л а к и] по шоссе поехали прямо в Зурзуну — а д м и н и с т р а - т и в н ы й ц е н т р Ч и м д и р с к о г о у ч а с т к а<sup>3</sup>. ჩანს, ამ დროისათვის ჩრდილის რაბათმა უკვე დაჰკარგა მნიშვნელობა და შეიძლება მთლად გაუკაცრიელდა კიდევაც. აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩრდილის ლივან ის უბანი, რომელიც ჩრდილის (პალაკაციოს) ტბის ჩრდილოეთის მხარეზე მდებარეობს და რომელშიც ჩრდილის რაბათიც შედის, „დავთარში“ ფიქსირებულია ჯანბაზის ნაჰიე-დ (რაიონად) და, ალბათ, ნაჰიეს ცენტრიც სოფ. ჯანბაზი იყო.

ჩრდილის (ჩილდირის) ტბას, როგორც ცნობილია, პალაკაციოს ტბაც ერქვა. „მესხური დავითნის ქრონიკაში“ ნათქვამია: ...„მოუჭედით ფოსოს, სახლი დაწუთით და ამოუსწყუიდეთ, გაუძახეთ ლაშქარი, ...და მოვედით, და პალაკაციოს დაედგით...“<sup>4</sup> შესაძლებელია აქ იგულისხმება სადმე პალაკაციოს ტბის ნაპირას დაბანაკება; მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ პალაკაციო

<sup>1</sup> ე. კობონაშვილი, მგზავრის დღიურიდან (ქართველი მგზავრი არდახანის „სანჯახში“, „ივერია“, 1894, № 155.

<sup>2</sup> Карта Кавказского Края... (ატლასი), თბილისი, 1869, С. 4; Свод, 60.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. VI.

<sup>4</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 90-91.

(როგორც ტბას ერქვა) ერქვა აგრეთვე ჩრდილის რაბბთად ცნობილ გეოგრაფიულ პუნქტს. ამისათვის, რა თქმა უნდა, კიდევ მასალებია საჭირო.

2. სოფ. ურთა — اورثا (I 15, 263; II 17, 258). „დავთრის“ დროის ურთა საკმაოდ მოზრდილი, 45 კომლიანი სოფელია. სოფ. ურთა მდებარეობს ჩრდილის საბოქაულოს ადმინისტრაციული ცენტრიდან—ძურძნიდან 4 ვერსის მანძილზე და ჩრდილის ტბის დასავლეთით, ტბის ნაპირთან ახლოს<sup>1</sup>. ექ. თაყაიშვილის მოწმობით ურთის ეკლესიის ზედა ნაწილს დაშენებული ჰქონდა ციხე, რომელიც „მესხური დავითნის ქრონიკაში“ 1577 წლის ქვეშ შემდგენიარადაა მოხსენებული: ...ქაჯის-ციხეს მოვადევით, ...გურგაქ შემოგუშწყო და ველი მოგუცა, გავბრუნდით, ურთის ციხე-საყდარი წავართეთით, კოკოლას კერძათ იყო, და ციხე დაეჭციეთ, სიმაგრე რაც იყო დაეწუით, საყდარი გაუშუით...<sup>2</sup> ურთაში 1878 წ. 366, ხოლო 1889 წ. 247 სული ირიცხება<sup>3</sup>.

3. ძურძნა — ذورذن (I 15, 264; II 17, 259), ძურძნა და წინწალ<sup>4</sup> სოფლები, რომლებიც ჩრდილის ლიჯის ჯანბაზის ნაჰიჯეში შედიან, საქართველოს ისტორიაში საკმაოდ ცნობილი და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტებია. მათი ქართული სახელი შეუბღალავად დაცულია ჩვენს ძველ მწერლობაში: „თ“:—შბათსა დილასა ძურძნასა და წინწალს<sup>5</sup> შუა აზრუმისა და ვანის შუა მოვიდეს...“<sup>6</sup>, ან ექ. თაყაიშვილის გამოცემული „მესხური დავითნის ქრონიკაშიც“ სათანადო ადგილას ამ სოფლის სახელეები, რა თქმა უნდა, ასევეა მოცემული: „ძურძნასა და წინწალს შუა“...<sup>7</sup> ზიუხედავად ასეთი დაქვემდებარებული ქართული ფორმების არსებობისა, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშიც ამ სახელების მხოლოდ გადათურქლებულ ფორმებს ვხვდებით: ზურზუნა და ზინზალ ფორმებს. ზურზუნა და ზინზალია, მაგალითად, 1923 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“, Зурзунა და Зинзал-ია ხუთვერსიან და სხვა ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე, ასევეა ყველგან МАК-ის, XII ტომში (აქ ერთ ადგილას (გვ. VII) წინწალზე ნათქვამია: Зинзал или Циннал) და სხვაგან<sup>8</sup>.

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. 52.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, იქვე; სამი ისტორიული ქრონიკა, თბილისი, 1890, გვ. 93-94; Три хроники, 197.

<sup>3</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 78r; Свод, 62.

<sup>4</sup> წინწალზე ქვემოთ, № 8.

<sup>5</sup> შტრ. მცდარი „ძურძნას“ (ქ. ც., ტ. II, ჰუბინოვის რედ., ვახუშტის შრომის გვ. 165; სპბ., 1854; ფრ. თარგმ. Brosset-სი, გვ. 223; Djourdzan, სპბ., 1856.

<sup>6</sup> ცხოვრება საქართველოსა = Chronique Géorgienne. M-it de la biblioteque du Roi, პარიზი, 1829, გვ. 17. ფრანგული თარგმანი Brosset-სი, პარიზი, 1831, გვ. 17 (საახიო-სახოცადობის ლიტოგრაფიული გამოცემა).

<sup>7</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, გვ. 98.

<sup>8</sup> იხ. აგრეთვე, Свод, 60; Список, 60.

ამრიგად, ზ უ რ ზ უ ნ ა თურქიზებული ძ უ რ ძ ნ ა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართული ძ ამ ქველში ჩვეულებრივად ; ასოთია გადმოცემული, ხოლო ბოლო მარცხლის ძნ ორი თანხმოვანი კი გაყრილია (პირველი მარცხლის ხმოვანთან შეგუებით) უ ხმოვნით. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ქართულ წ მკვეთრსაც ; თანხმოვანი შეესაბამება თურქულში; ამიტომ წინწალი→ზინ. ზალ (რუსულ ტრანსკრიფციაში: ძ უ რ ძ ნ ა→Дзурднa, წინწალი→Шинцал). არქივისეულ სიგეში, რა თქმა უნდა, Зурзун-а (19r, 13v).

სხვათა შორის, ნ. სუზდალცევისა და ა. პიეოვაროვის რედაქტორობით გამოსულ რუკაზე (საქ. სსრ—1:500 000) Зурзунი პუნქტს ფრჩხილებში მიწერილი აქვს კიდევ მეორე სახელი Чалдыр (=ჩილდირი || ჩრდილი). ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ჩილდირის ლივ-ს ცენტრი იყო ჩილდირის ციხის რაბათი, რომელსაც შემდგომ უბრალოდ რაბათს ეძახდნენ. ვნახეთ ისიც, რომ ალბათ დანგრევისა და გაუკაცრიელების გამო ამ რაბათმა მნიშვნელობა დაკარგა და, მაგალითად, XIX ს-ში საბოქაულოს ცენტრად უკვე ძ უ რ ძ ნ ა იყო. შესაძლებელია, რომ ადმინისტრაციული ცენტრის რაბათიდან ძ უ რ ძ ნ ა ში გადასვლის შემდეგ ძ უ რ ძ ნ ა ზ ე გადმოტანილი ყოფილიყო ჩილდირის სახელი.

როგორც უკვე ვთქვით, ძ უ რ ძ ნ ა ს მდებარეობა რუკებზე ყველგან გაკვევითაა აღნიშნული. „დავთრის“ დროის ძურინა 19 კომლიანი სოფელია. დამატებით მოვიყვან პროფ. ექ. თაყაიშვილის ცნობებს ძურინაზე: ...вернувшись в Ахалкалаки, мы оттуда по шоссе поехали прямо в Зурзуну, административный центр Чиндырского участка, и остановились здесь, чтобы отсюда предпринимать поездки по всему участку. В Зурзуне старинная церковь была построена из тесанных камней, но она почти вся разобрана... В Зурзуне живет бег из фамилии Орбелианов, сын Дада-бега, у которого имеется фирман султана Сулеймана Великого (XVI в.), писанный на пергаменте<sup>1</sup>.

4. სოფ. სხვარა (?) — سخور (I 15, 265; II 17, 260).. არქივისეული Сагора (19r) და Сухара (13v)—არც ერთი სწორი არ უნდა იყოს. რუკებზე (ხუთფერსიანსა და სხვებზე) Сухара გვაქვს. მისი მდებარეობა აღნიშნულია კვაკაცნ (რუკების Кевхас) სოფლის ჩრდილოეთით. ამ სოფლის სახელწოდების, ან უფრო დაზუსტებით რომ ითქვას, მისი ნამდვილი ქართული სახელწოდების შესახებ ჯერჯერობით ცნობები არა გვაქვს. შესაძლებელია ქართულად ეს იყო ცხვარა, რომელშიც ც ბგერა თურქულში ს თანხმოვანს მოგვცენდა, ხოლო ვა კომპლექსი ო-ს—სხორა. მაგრამ თურქიზებულმა ფორმამ ჩვენამდე მოაღწია ს უ ხ ა რ ა-ს სახით<sup>2</sup>. „დავთრის“ დროის სხვარა (?)—18 კომლიანი სოფელია, ხოლო 1878 წელს Сухара-ში 69 კომლი ირიცხება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> МАК, XII, გვ. VI.

<sup>2</sup> Свод, 60; Сводок, 62.

<sup>3</sup> სცია, გვ. 415, ს. 12, გვ. 78r.

5. სოფ. ყარაყალა — قرقهله (I 15, 265; II 17, 261). ყარაყალა თურქულად ნიშნავს: თ. kara — 'შავი', არაბ.-თ. kal'a — 'ციხე', ე. ი, 'შავი ციხე'. შესაძლებელია ქართულად ამ ადგილს ერქვა შავი ციხე, ან შავ-ციხე და ყარაყალა არის მისი თურქული თარგმანი (დიალექტური ფორმით). გეოგრაფიული სახელწოდებების ასეთი თარგმნის შემთხვევა ჩვენ ბევრი გვაქვს; მაგრამ ერთი მაგალითი ამავე ნაჰიეში შემავალი სოფ. აღჯაყალა<sup>1</sup>, რომელიც ამ სოფლის ქართული სახელწოდების თეთრი-ციხის თურქული თარგმანია<sup>2</sup>. ისე კი საესებით შესაძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ამ სექტორში იყო შავი ციხე და თეთრი ციხე, რომელთა სახელები თურქებმა შემდეგში თარგმნეს.

„დავთრის“ დროის ყარაყალა საკმაოდ მოზრდილი, 21 კომლიანი სოფელია, ხოლო 1878 წელს მასში ირიცხება 28 კომლი<sup>3</sup>. მისი მდებარეობა მსხვილმასშტაბიან რუკებზე ყველგან აღნიშნულია ჩამდრა სოფლის აღმოსავლეთით—Кара-кала<sup>4</sup>.

6. სოფ. კოტამახი — قوداماخي (I 15, 266; II 17, 261). ხუთერსიან რუკაზე ეს სოფელი აღნიშნულია სოფ. ჯანაზთან ახლო, მის ჩრდილოეთით —Котамых, ერთერსიანზე—Кодамых, 1869 წ. ატლასში (Карта Кавк. Края) Котамых, სხვაგან შეცდომით (მაგალითად, „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“), Катамыс-იც არის. ყოველ შემთხვევაში ადგილმდებარეობა საესებით გარკვეულია. მაინც „დავთრის“ ვარიანტი—კოტამახი, როგორც სხვა შემთხვევებშიც, ქართულ სინამდვილესთან უფრო ახლო უნდა იყოს. კოტამახი „დავთრის“ დროს 20 კომლიანი სოფელია, ხოლო 1878 წ. Кодамых-ში 8 კომლია<sup>5</sup>.

7. სოფ. ლელუსი والى სათესველითურთ—لوس (I 15, 266; II 17, 261). 10 კომლიანი სოფელია; მსხვილმასშტაბიან რუკაზე (E. 8) ჩრდილის ტბის ნაპირას კამაროვნის ახლო, სამხრეთით აღნიშნულია Мелиос-ი. სამხრეთ ნაპირთან ჩილდირის ტბას ვიწრო ყელით გამოეყოფა საკმაოდ დიდი ყურე. აკად. ნ. მარს P. Д. Мелиос აღნიშნული აქვს სწორედ ამ ტბის და ყურის გამოყოფ ყელთან<sup>6</sup>. ლელუსთან დასახელებული والى სათესველის სახელწოდება ამოკითხული არ არის.

8. სოფ. ზემო წინწალი — زرنال عليا (I 15, 267; II 17, 262), 20. სოფ. ქვემო წინწალი—زرنال سفلا (I 15, 272; II 17, 266), 24. სოფ.

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ. 30 და შემდეგ; შდრ. К. Ф. Ган, Опыт описания кавказских географических названий... СМОПСК, 40, გვ. 71.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ, ამავე ნაჰიეში, სოფ. № 17.

<sup>3</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77 v.

<sup>4</sup> შდრ., Свод, 60.

<sup>5</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77 v.

<sup>6</sup> იხ. Надпись Сарлуря II, сына Аргяштия, в Даш-Керпи на Чалдырском озере. Издана, переведена, исследована Н. Я. Марр, Петроград, 1919, Табл. IV, Мармашем и Даш-Керпи (რუკა).

შუა წინწალი — *وسط جزال* (I 16, 274; II 17, 269). წინწალ სოფლის სახელწოდების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი<sup>1</sup>. სახელდობრ, რომ ამ სოფლის ქართული სახელია წინწალი და არა უმართებულად გაერცლებული მისი თურქიზებული ფორმა **წინწალი**.

როგორც ვხედავთ, „დავთრის“ დროს სამი წინწალი ყოფილა, ზემო, ქვემო და შუა. თანამედროვე რუკებზე ჩრდილის ტბის ჩრდილოეთით და სოფ. ძურძნის აღმოსავლეთით ყველგან აღნიშნულია *Зинзали* (ე. ი. წინწალი). ოღონდ ახალ რუკებზე ერთი წინწალია აღნუსხული; ცხადია ზემო, ქვემო და შუა წინწლები ერთიმეორის მიჯნაზე იქნებოდნენ. ძურძნასთან დაკავშირებით ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ ისტორიულ ძეგლებში ეს ორი სოფელი (ძურძნა და წინწალი) ერთად იხსენიებიან. „დავთრის“ დროს ზემო წინწალში 15 კომლია; მათ შორის ერთი მაჰმადიანი — აჰმედ ხაბდ-ულ-ლჰის-ძე, ქვემო წინწალში — 19 კომლია და შუა წინწალში — 13. 1878 წლის ცნობაში იხსენიება ერთი წინწალი, რომელშიც 14 კომლია აღრიცხული<sup>2</sup>.

არქივისეულ სიებში საკმაოდ დამახინჯებულია ამ სოფლის სახელი: I სიაში გვაქვს — *Зан зал улиа* (უნდა იყოს — *Шинцал-и улиа*, გვ. 19r), *Зун-вдл-и сүфаа* (უნდა იყოს — *Шинцал-и сүфаа*, გვ. 19v) და *Зунзал-и Сат* (უნდა იყოს — *Шинцал-и васат*, გვ. 19v). დაახლოებით ასეთი დამახინჯებუბია II სიაშიც. სოფ. ქვემო წინწალთან საყანე მიწასთან ერთად აღრიცხული *كور كور* ჩაირის სახელის ამოკითხვა არ ხერხდება.

9. სოფ. **პატარა ჯანბაზი** — *جانباز کوچک* (I 15, 267; II 17, 262), 19. სოფ. **დიდი ჯანბაზი** — *جانباز بزرگ* (I 15, 271; II 17, 266). განსახილველ ნაპიჯეს ჯანბაზის ნაპიჯე ეწოდება. ერთ-ერთი ამ ჯანბაზთაგანი ამ ნაპიჯეს ცენტრი უნდა ყოფილიყო.

რუკებზე უკანასკნელ ხანებში „ჯამბაზი“ (*Джамбаз*) — უკვე ასიმილირებული ფორმით გვხვდება (ნ თანხმოვნის დამსგავსება მომდევნო ბ-სთან; ბაგისმიერობის მიხედვით). არქივისეულ სიებში ერთი ჯანბაზი — *Джанбаз-и кучук*-ია (გვ. 19v და 13v), ხოლო დიდი ჯანბაზი — *Джамбаз-и Бузук* — აგრეთვე ასიმილირებული ფორმით (გვ. 19v, 13v).

ჯანბაზთა მდებარეობაზე საყურადღებოა ცნობა ე. კოპტონაშვილისა, რომელიც ახალქალაქის მაზრიდან გადავიდა პირაქეთა ჩილდირის მხარეში. იგი იყო პირველ ჩანდურა (= ჩამძვარალა) სოფელში. „მეორე დილით ერთი ვერსის გაელის შემდეგ შევედით სოფ. პატარა ჯანბაზში (დიდი ჯანბაზი ამ სოფელს ზემოთ აღმოსავლეთის მხრივ მდებარეობს). ეს ორივე ჯანბაზები...“<sup>3</sup>

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 381, № 3 (სოფ. ძურძნა).

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.

<sup>3</sup> ე. კოპტონაშვილი, მგზავრის დღიურიდან (ქართული მგზავრი არდაჰანის „სანჯახ-ში“), „ივერია“, 1894, № 155.

მსხვილმასშტაბიან რუკებზე ჩრდილის ტბის ჩრდილოეთით სოფ. კოტამიხის ახლო ჯამბაზები ყველგან აღნიშნულია; ოღონდ ზოგან ეს სოფლები ქვემო და ზემო ჯამბაზად (H. u. B. Джамбаз<sup>1</sup>) იხსენიებიან.

1573 წ. ქაიხოსრო II ათაბაგისა და მისი მეუღლის დედისიმედის ოჯახის წევრები დედისიმედთან ერთად ყაზვინს მიმავალ თვალშეწიერს აცილებენ. მათ დასტოვეს ახალციხე 17.VI-ს, 7.IX-ს — წყაროსთავი (იხ. აქვე, ქანარბელის ნაპიფე, სოფ. № 8); პატარა ძმები და დები დაემშვიდობნენ [უფროსებს] სოფ. ქეაკატაში (იხ. ამავე ნაპიფეს სოფ. № 21) და „ჩვენ[ალბათ, უფროსები და დედა] ქალას [იხ. ამავე ნაპიფეს სოფ. № 28] დაედევით“. შემდეგ დედა და შვილები და ჯარისკაცი დაშორდნენ ერთმანეთს. დედა და შვილები, ან მემატინანის სიტყვით რომ ეთქვათ, „ჩუნდ ჯამასპს მოვედით“<sup>2</sup>. აქ მოხსენებული პუნქტები ქეაკაცი და ქალა ორივე ამ რაიონის სოფელია; აქვე ახლოს უნდა ყოფილიყო სოფ. ჯამასპიცი, სადაც ათაბაგი დედა და ძმები მივიდნენ. ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ჯამასპი იგივე ჯამბაზ სოფელია. ჯამასპი შეიძლება ძველი სახელი ყოფილიყო ამ სოფლისა; შემდეგში ჯამასპიდან მეტათეზისის წესით ჯამასპი → ჯამპას-ი. შემდეგ გადათურქულებული ჯამბაზ და შემდეგ გააზრების გზით → ჯანბაზ-ი. სხვათრევე ჯამასპ სოფლის ადგილმდებარეობის გარკვევა გაჭირდებოდა.

10. ცუშური მდინარე ҂არს-ში დაქერილი თევზისა — სოფ. ლელუსთან (I 15, 268; II 17, 263). ამ მდინარეში თევზჭერაზე შეწერილია 1 000 ახჩა. ჯერჯერობით სახელი მდინარისა, რომელიც სოფ. ლელუსთან არის ნაჩვენები, ვერ გავიკვამ.

11. სოფ. კამაროვანი, გორვერან (?) სათესველითურთ — ҂არوان (I 25, 268; II 17, 263). 1923 წ. გამოცემული „საქ. ისტ. რუკის“ მიხედვით ამ პუნქტის ქართული სახელია კამაროვანი. ამ რუკაზე იგი აღნიშნულია ჩრდილის ტბის სამხრეთ ნაპირის აღმოსავლეთით. მსხვილმასშტაბიან რუკებზე, მაგალითად, „ვეროპ. რუსეთის სპერტრუკაზეც“ იგი ნაჩვენებია ტბის სამხრეთით, ოღონდ პუნქტის სახელად მოცემულია — Камарван (შდრ. Снод, 60). პროფ. ექ. თაყაიშვილს, როგორც ჩანს, არა აქვს ამაზე ცნობა. მისი აზრით, კამაროვანი (Камаровани) ვახუშტის რუკაზე სადაც გუმრთან არის. ამასთანავე ერთად შენიშნავს, რომ XVI ს-ში ასეთი სახელწოდების სოფელი თეთრ-ციხესთან ახლოს უნდა ყოფილიყო<sup>3</sup>. მესხური დავითნის ქრონიკაში კამაროვანზე ვეითხულობთ: „...მოვედით და პალაკაციოს დაედევით, იქილამა თეთრ-ციხის გარეშემო დაწვუით ალბუტი და კამაროანი...“<sup>4</sup> „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ადგილას ამ პუნქტის სახელი კამაროანი<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „ვეროპ. რუსეთის სპერტრუკა“; შდრ. Снод, 60 (Джамбаз верхн. и нижн.); სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77რ. <sup>2</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 83.

<sup>3</sup> МАК, XII, გვ. 57; Источники грузинских летописей. Три хроника, СМОМПК, 28, გვ. 195. <sup>4</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, გვ. 91.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან... II ნაწ., უ. ჩუბინოვის რედაქციით, სბ, 1854 გვ. 290.

1878 წ. კამაროვანში 14 კომლია<sup>1</sup>. „დავთრის“ დროის კამაროვანში 18 კომლია. ამ სოფელთან ერთად აღწერილია كورويان სათესველი, რომლის სახელწოდებაც, თითქოს, სწორად უნდა იყოს ამოკითხული—გორვერანი (იხ. დედანი, გვ. 246).

12. სოფ. დიდი ჩამძვრალი (I 15, 268; II 17, 263). ჩვენ ზემოთ უკვე აღნიშნეთ ის გარემოება, რომ „დავთრის“ შემდგენელი ცდილობს შეძლებისდაგვარად ზუსტად გადმოსცეს ამ ოფიციალურ დოკუმენტში დასაბუჯრავი ობიექტების, გეოგრაფიული პუნქტებისა და მოსახლეობის საკუთარი სახელები. „დავთრის“ შემდგენელს, ჩანს, კარგად ესმის, რომ საგადასახადო ობიექტების სახელთა დამახინჯებას შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფო ხაზინისათვის არახელსაყრელი ბევრი გაუგებრობა. ამით უნდა აიხსნას ის შედარებით დიდი მონდომება, რომელსაც იჩენს თურქი მოხელე ქართული საკუთარი სახელების გადმოცემის დროს. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩილდირის სანჯაყის ჯანბაზის რაიონში შემაველი სოფლის სახელი „დიდი ჩამძვრალი“ (დედ. გვ. 247). ზედიზედ ოთხი თანხმობის წარმოთქმა და გადმოცემა თურქის საარტიკულაციო ბაზისისათვის მეტად საძნელო საქმეა; მიუხედავად ამისა, ეს სიტყვა „დავთარში“, შეიძლება ითქვას, ზუსტადაა გადმოცემული: چامزورال = ჯამზვრალ || ჯამზურალ. თურქულში, განსაკუთრებით იმდროინდელ თურქულში, ჯ და ჩ თანხმობანთა გადმოსაცემი چ და چ ნიშნების აღრევა ძლიერ ხშირად ხდებოდა<sup>2</sup>, ხოლო ქართული ძ აფრიკატი საერთოდ თურქული კ ასოთია ხოლმე გადმოცემული.

چامزورال სიტყვაში სათანადო ასოებს დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვთ და, ამდენად, მის ამოკითხულობას ეჭვი არ უნდა გამოეწვია. მიუხედავად ამისა, ამ სიტყვის სწორად ამოშიფრებაში ჩვენ ეჭვი შეგვიტანია და „დავთრის“ I-სა და II წიგნში „დიდი ჩამძვრალი“ დაბეჭდილი გვაქვს კითხვითი ნიშნით, რომელიც ახლა, როგორც ქვემოთ უფრო დავრწმუნდებით, უნდა მოიხსნას.

„ჩამძვრალ“ სიტყვის ამოკითხულობის სისწორე დადასტურდა აგრეთვე ცენტრარქივისეული საბუთების მონაცემებითაც. ჩრდილის ლივას ჯანბაზის ნაჰიეში მე-12 სოფლად არქივისეულ პირველ სიაში აღნიშნულია Чамзврал Бузрук, მეორე სიაში—Чамзвралъ Бузрук<sup>3</sup> (← ნივარე სპ. = 'დიდი'). რაკი არსებობდა სოფ. დიდი ჩამძვრალი-ი, უნდა ყოფილიყო აგრეთვე პატარა ჩამძვრალი-ც. მაგრამ „დავთარში“ ამ სანჯაყისათვის ჩამძვრალი-ის სახელით

<sup>1</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.

<sup>2</sup> შდრ., მაგალითად, چاجل ნაცვლად چاجل-სი და სხვ. ვ. რადლოვი, Über alttürkische Dialekte. Die seldschukischen Verse im Rebâb-Namoh, Mélanges Asiatiques, t. X, გვ. 19; აგრეთვე اجدى—ნაცვლად اجدى-ს: В. Смирнов, Минимый турецкий султан, именуемый у европейских писателей XVI в. Calpinus cyrisclebes. СПб, 1907, გვ. 39 და სხვ.

<sup>3</sup> სტია, ფ. 77, ს. 23, გვ. 13v და ფ. 47, ს. 20, გვ. 19v.



სხვა სოფელი აღრიცხული არ არის და ჯერჯერობით ეს არც სხვა წყაროებიდან ჩანს. შესაძლებელია ამ დროისათვის ეს სოფელი უკვე მთლიანად გაუქმდებულ იყო.

სოფ. დიდი ჩამძვრალ-ის ადგილმდებარეობის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას. ჯერ ერთი, საინტერესოა ცნობა ვ. კოპტონაშვილისა, რომელიც ახალქალაქის მაზრიდან გადადის ე. წ. პირაქეთა ჩილდირში: „სალამოს 9 საათი იყო, რომ პირაქეთა ჩილდირის პირველ სოფელში, ჩანდურაში ჩავედით. ჩანდურა მდებარეობს გეგ-ტალის პირაქეთა ძირში. სოფ. ჩანდურაში... ცხოვრობენ თარაქამა-თათრები, ოდესმე გადმოსახლებულნი ყაზახ-ბორჩალოს მაზრებიდან<sup>1</sup>. მე მგონია, რომ ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულსა და 1921 წ. გამოცემულ სპეც. რუკებზე ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით სოფ. Сухаря-სა და Кара-кала-ს შუა, სწორედ ჟანბაზის რაიონის ტერიტორიაზე ჩილდირის სანჯაყში ჩამდრა-Чандра-ს სახელით აღნიშნული პუნქტი — სოფ. ჩამძვრალ-ია. მართალია, რუკებზე იხსენიება მხოლოდ ჩამდრა და არა დიდი ჩამდრა, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, პატარა ჩამდრა უკვე აღარ იყო და XIX საუკუნისათვის (რუკების შედგენის დრო) უკვე არ იყო საჭირო ეხპარათ ჩამდრათა მადიდურენციობები („დიდი“ და „პატარა“) სიტყვები. რუკების „ჩამდრას“ გარდა ამ სოფლის სახელად სარქივო მასალებში ჩვენ შეგვხვდა აგრეთვე „ჩანდრა“: Чандырского санджакка деревни Чандры...<sup>2</sup> და چاندرا || ჩამდურა (ორჯერ)<sup>3</sup>. ძნელი ასახსნელია ზუსტად, ჯერჯერობით მაინც, ის ფონეტიკური ფაქტორები, რომლებმაც „ჩამძვრალ“-ის, ან „ჩამძვრალ“-ს „ჩამდრა“-დ, „ჩანდრა“-დ ან „ჩამდურა“-დ გადაქცევა გამოიწვიეს; ან კიდევ, გამიჯენა ენობრივი კოლექტივებისა, სადაც „ჩამძვრალ“ სიტყვა „ჩამდრა“ || „ჩანდრა“-ში გადატყდა. ისე კი ცხადია, რომ ეს უნდა მომხდარიყო არზრუმიდან გადმოსახლებულთა (ე. ი. სომეხთა) და თურქთა მეტყველებაში (თურქულიათვის ზედიზედ სამთანამოენიანი „ჩამდრა“ || „ჩანდრა“ სიტყვა სავარაუდებელი არ არის); ამათში თურქიზებული ჩანდურა ვარიანტი ჩანს.

ჩამძვრალ-ჩამდრა || ჩანდრა-ს იდენტურობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ი. როსტომაშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ ასეთი სახელწოდების პუნქტი ჯავახეთში მეორეც ყოფილა. ი. როსტომაშვილი წერს: По дороге к этому [Карахалкому] озеру, нужно сначала проехать армянское селение Чандуру, стоящее на месте бывшего грузинского села Чандзврала, в 4 верстах от города (Ахалкалаки)<sup>4</sup>. მართლაც, ახალქალაქიდან სამხრეთით ი. როსტომაშვილის მიერ ნაჩვენებ მანძილზე დღესაც არის სოფე-

<sup>1</sup> ე. კოპტონაშვილი, მგზავრის დღიურიდან (ქართველი მგზავრი არდაზანის „სანჯახში“), ივერია“, 1894, № 155.

<sup>2</sup> სცია, ფ. 1012, ს. 3, ფურც. 177.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 47, ს. 75, გვ. 197. საინტერესოა, რომ ამ 1831 წლით დათარიღებულ „საქმეში“ გვხვდება اشغى (ქვემო) და چاندرا (ზემო) სცია, ფ. 415, ს. 12. გვ. 78გ.

<sup>4</sup> И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, вып. 25, стр. 59.

ლი ჩანდურას სახელით. ოღონდ ი. როსტომაშვილი არ უჩვენებს წყაროს, თუ საიდან გაიგო მან, რომ სოფ. ჩანდურის ადგილას სოფ. ჩამძვრალა იყო. საქართველოს ცენტრარქივში ჩვენ შეგვხვდა საბუთი, სადაც დასტურდება ი. როსტომაშვილის ცნობა, რომ ჩილდირის „ჩამძვრალის“ (ან „ჩამძვრალას“) გარდა ყოფილა აგრეთვე ახალქალაქის „ჩამძვრალა“. 1833 წელს ახალციხის საფაშოს უფროსი გორის ოლქის უფროსს შემდეგს წერს: По камеральному описанию Ахалцихского пашалыка показано, что состоящая в Ахалкалакском санджаке деревня Чамдзурали принадлежит прапорщику линейного батальона Григорию Оржаникидзе, а по ведомости приставы над переселенцами из Турции [показано], что воднопренные в ней переселенцы пользуются землею его же Г. Оржаникидзе<sup>1</sup> ...და სხვ. ახალქალაქთან „ჩამძვრალა“ს სახელწოდებით სოფლის არსებობა დასტურდება აგრეთვე იმავე ცენტრარქივის კიდევ ერთი საბუთით, რომელშიც წერია: Житель деревни Ораль Израиль Акопов, желая переселиться с семейством своим в казенную деревню Чамзурала Ахалкалакского санджака<sup>2</sup>... და სხვ.

ამ მასალებიდან ცხადია, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში ახალქალაქთან არსებობს სოფელი, რომლის ერთადერთი სახელია ჩამძვრალა. XIX საუკუნის ბოლო წლებში, როდესაც ი. როსტომაშვილი ამ მხარეში მოგზაურობდა, ადგილობრივ ქართველებში ჯერ კიდევ დაცული იყო სოფლის სახელი „ჩამძვრალა“ და ეს სოფელი თავისი მდებარეობით უკავშირდებოდა ამ დროს უკვე სომხებით დასახლებულ სოფ. ჩანდურას («...армянское селение Чандура, стоящее на месте бывшего грузинского села Чамдзврала»)<sup>3</sup>. ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, „ჩამძვრალა“ და „ჩანდურა“ ერთი და იგივე სახელია იმ სოფლისა, რომელშიც ოდიტგანვე, ჯაყახეთის თურქთა მიერ დაპყრობამდე (XVI საუკუნე), ქართული მოსახლეობა იყო. და რომელშიც გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ბინადრობენ ე. წ. არზრუმიდან გადმოსახლებულები (სომხები). ამ უკანასკნელთა მეტყველებაში: ქართულმა „ჩამძვრალა“ სიტყვამ სომხური ფონეტიკური ელფერი მიიღო. და მოგვცა „ჩანდურა“ ისევე, როგორც ჩილდირის სანჯაყში „ჩამძვრალა“ || „ჩამძვრალა“ სოფლის სახელმა იმავე სომხურ მეტყველებაში მოგვცა „ჩანდურა“ საგან ფონეტიკურად ოდნავად განსხვავებული „ჩამდრა“ || ჩანდრა“ სიტყვა.

აღსანიშნავია, რომ ახალქალაქის სანჯაყის სოფ. ჩამძვრალა (შემდეგში ჩანდურა) ჩვენს „დავთარში“ (XVI საუკუნე) არ იხსენიება; მაშასადამე, ის დასახლებული არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქთა შემოსევის შედეგად მისი მოსახლეობა განადგურდა, ან კიდევ მოსახლეობამ მიატოვა სო-

<sup>1</sup> სკია, ფ. 1491, საქმე 487, გვ. 14r. შტრ. «Чамдзурали Оржаникидзе», იქვე, ფ. 47r. ს. 75, გვ. 18r.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 77, საქმე 8, გვ. 16.

<sup>3</sup> И. И. Ростомов, იქვე, გვ. 59 (ხაზი ჩვენია).

უფელი, გაიხიზნა და იგი „დაეთარში“ ვერ მოხვდა. შესაძლებელია, ამ დროიდან მოკიდებული ჩამძვრალას ნასოფლარი სხვა რომელიმე სოფლის სარგებლობაში იყო სათესველის სახით, როგორც ეს მაშინ ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ახალქალაქის სანჯაყსა და ამავ, ე. წ. აკშეპირის რაიონში მდებარე სოფ. დიდი ხორენისადმი (I 228; II 225) სათესველად განკუთვნილი ადგილი სახელად ჩამძვრალ-ი<sup>1</sup>. მისი დაწერილობა حارورال (დედანი, გვ. 210) თუმცა დიაკრიტული ნიშნების გარეშეა, მაგრამ ზედმიწევნით ენთხევა ჩრდილის სანჯაყის ჩამძვრალ-ის (დედანი, გვ. 20, 247) დაწერილობას, რომლის სწორი ამოკითხულობა დადასტურებულ იქნა ახლახანს მოპოვებული საარქივო მასალებით (იხ. ზემოთ). საერთოდ, ამ სათესველის სახელის დაწერილობა—حارورال ისე ნათელია და მის ამგვარად ამოკითხვას იმდენად დამაჯერებლად ხდის, რომ ჩამძვრალ-ად წაგვიკითხავს ჩვენ ის „დაეთარზე“ მუშაობის პირველ ხანებშიც, როდესაც ამ გეოგრაფიული სახელის შესახებ სხვა მასალა არ გავაჩნდა. შესაძლებელია ეს ხორენისადმი მიწერილი სათესველი ადგილი გაუკაცრიელებული სოფელი ჩამძვრალი (ჩამძვრალა) იყოს, თუ ამ ვარაუდს ხელს არ შეუშლის ის გარემოება, რომ სოფ. ხორენია და ყოფილი სოფ. ჩამძვრალა (დღევანდელი ჩანდურა) საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთს (იხ. რუკებზე ხორენია და „ჩანდურა“). ასეთ შემთხვევაში ვერ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ხორენისთან არსებობდა კიდევ სათესველი ადგილი „ჩამძვრალა“ს სახელწოდებით.

ძნელია თქმა, თუ რატომ ერქმეოდა ამა თუ იმ ადგილს ასეთი სახელი — ჩამძვრალი (ან ჩამძვრალა). შეიძლება ასეთი სახელის დარქმევა შეპირობებული იყო ადგილის რელიეფური თავისებურებით (მეწყერი ან იმ თავიდანვე დაბლაადგილიანობა, ჩავარდნილობა). ყოველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ მარტო ჯავახეთში ამ სახელწოდების ადგილი რამდენიმეა.

მთლად ნათელი არ არის კიდევ ერთი: ჩამძვრალა თუ ჩამძვრალი? „დაეთარში“ (დედანი, გვ. 20, 247, 210) ბოლოკიდურად ხმოვანი არსად არაა, ყველგან حارورال — ‘ჩამძვრალ’ი გვაქვს. ამ ნაშრომის ფონეტიკის თავში (წ. IV) ჩვენ დავინახავთ, რომ ქართულ ხმოვითდაბოლოებულ სიტყვებს თურქულ გადმოცემაში ხშირად ბოლოკიდური ხმოვნები ეკვეცებათ. მაგრამ რომელია მოკვეცილი „ა“ თუ „ი“? ი. როსტომაშვილით „ჩამძვრალა“ უნდა ყოფილიყო<sup>2</sup>; საარქივო მასალებშიც „ჩამძვრალა“ გვაქვს<sup>3</sup>, მაგრამ მეორეში Чамдзурал-а<sup>4</sup>. თითქოს საკითხი „ჩამძვრალა“ს სასარგებლოდ წყდება. ამ სიტყვის არმენიზებული ფორმების ორთავე შემთხვევაში ბოლოკიდურად ა გვაქვს: ჩამდრა, ჩანდურა. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკა-

<sup>1</sup> შტრ. არქივის მასალა: Хореня (№ 10), Чамдзурал (№ 11); ფ. 47, ს. 75, გვ. 7r.

<sup>2</sup> И. П. Ростовов, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 8, გვ. 16, ფ. 47, ს. 75, გვ. 19r.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 1491, ს. 487, გვ. 14r; აგრეთვე ფ. 1012, ს. 2, გვ. 3v და 6v.

ნასკნელ ხანებში ახალქალაქის სოფ. ჩანდურას სახელი გადარქმეულ იქნა ჩ ა მ ძ ვ რ ა ლ ა-დ<sup>1</sup>, რაც, ალბათ, ი. როსტომაშვილის ზემომოყვანილი ცნობის საფუძველზე გაკეთდა.

მამასადამე: ა. ჯავახეთის ტერიტორიაზე თურქების შემოსევამდე „ჩამძერალას“ სახელით ცნობილი იყო სულ ცოტა 2 გეოგრაფიული პუნქტი— ჩრდილის სანჯაყსა და ჯანაზის რაიონში (აწინდელი ჩამდრა II ჩანდრა) და ახალქალაქის სანჯაყსა და აკშეპირის რაიონში (ამისწინანდელი ჩანდურა). ამათ გარდა, შეიძლება კიდევ არსებულიყო ჩრდილის იმავე რაიონში სოფ. პატარა ჩამძერალა და ახალქალაქის იმავე რაიონში სათესველი ჩამძერალა (ხორენისთან).

ბ. ჩ ა მ ძ რ ა II ჩანდრა და ჩანდურა ორივე ქართული გეოგრაფიული სახელის ჩამძერალა-ს ერთმანეთისაგან ოდნავად განსხვავებული არმენიზებული ფორმებია.

გ. ორივე (ჩრდილისა და ახალქალაქის) ჩამძერალა-ს სახელით ცნობილი სოფლების ადგილმდებარეობა სავსებით გარკვეულია (იხ. თანდართული რუკა).

13. სოფ. ფ რ უ ტ ი — فرود (I 15, 269; II 17, 264). ხუთვერსიან და სხვა რუკებზედაც И р у т-ია. დაახლოებით ძურძნასა და წინწალს შუა მდებარეობს, ოღონდ ამათგან ცოტა სამხრეთით. ბოლოკიდურ თანხმოდენად გვაქვს შვეთრი ტ (თურქული ა ასო მკვეთრ ტ-ს გამოხატავს ხოლმე). თავიკიდურ ორ თანხმოდენს შუა კანონზომიერად გაჩენილია პროთეტული ხმოვანი უ. არქივისეულ სიებშიც ასეთი თურქიზებული ფორმაა—И р у т (გვ. 19v, 13v)<sup>2</sup>. „დავთრის“ ფ რ უ ტ ი 16 კომლიანი სოფელია, ხოლო 1878 წელს მასში 27 კომლი ირიცხება<sup>3</sup>.

14. გამოსაღები შ თ ი ს ი ა ლ ა ლ ზ ე, ჩრდილისა და მზვარის (მხარეებით) (I 15, 270; II 17, 265). აქ ლაპარაკია იმაზე, რომ რ რ ს-ის შთის ორთავე ფერდობზე მდებარე იალალს შეწერილი აქვს გამოსაღები 500 ახჩა. ჩრდილის ნაპიჯეში ამ შთის სახელწოდება ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. არქივისეული სიების შემდგენლებს ამ შთის სახელად აქვთ Б а г а დიაკრიტიული ნიშნების გარეშე დაწერილი ც ლ ე მათ ვერ გაურჩევიათ და Б а г а-ად ამოუკითხავთ (19v, 13v).

15. გამოსაღები შ თ ა კ ი ს ი რ ი ს ი ა ლ ა ლ ზ ე, ჩრდილისა და მზვარის მხარეებით — رسم يلاق قراطى (I 15, 270; II 17, 265). ეს შთა ერთ რუკაზე აღნიშნულია ჩრდილის ტბის დასავლეთით, მისი სამხრეთის ბოლოსთან, სახელწოდებით Г. К а с п а р д а г<sup>4</sup>. (даг←თ. даг=‘მთა’). ასევე აქვს აღნიშნული

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, თბილისი, 1949, გვ. 20 (ახალქალაქის სასაფლო საბჭო).

<sup>2</sup> აგრეთვე: С в о д, 60.

<sup>3</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.

<sup>4</sup> იხ. Карта Кавказского Края, 1869 წლისა, თბილისი.

ეს შთა Хр[ебет] Кисыр даг დ. ბაქრადეს<sup>1</sup> (მთის სახელია კისირი). ამ მთის ორთავე ფერდობის იალალებს შეწერილი აქვთ 12 000 ახჩა. არქივისეული სიების შემდგენლებს აქაც ملاك (= ملاك = yaylak — 'იალალი') ვერ გაურჩევიან და Булаг-ად ამოუკითხავთ (19v, 13v; შდრ. აგრეთვე: Хребты—Чилдирский или Джала, и Кессир-даг, соединяющие хребет Соганлуга с хребтом Цихеджваре...)<sup>2</sup>.

16. გამოსაღები ჩილდირის (ჩრდილის) ტბის თევზზე, არხებითა და ტაშ-ქოფრუტს წყლითურთ— رسم ماهی 'چلدر کولی مع خرما و طاش گوبری سو' (I 15, 270; II 17, 265). არქივისეული სიების შემდგენლები წერენ — Май Чалдир || Чилдир год (19v, 13v); ჩანს, მათთვის ماهی (= 'თევზი') სპარსული სიტყვის მნიშვნელობა ცნობილი არ ყოფილა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ „დავთარის“ ამ ადგილას ტბის თევზჭერაზე შეწერილია 30 000 ახჩა (დედანი, 248), მაგრამ „დავთარის“ დასაწყისში მოცემულ სოფელთა სიაში ნაჩვენებია თანხა 3 000 ახჩა (დედანი, გვ. 20). ვფიქრობ 30 000 ახჩა უფრო სწორი უნდა იყოს; ვარდა იმისა, რომ თვით ჩრდილის ტბა საკმაოდ დიდი ტბაა, თევზჭერის ხაზით მასვე აქვს მიწერილი მის ზონაში არსებული არხები და ტაშ-ქოფრუტს წყალი.

რაკი დასახელებულია ჩრდილის ტბასთან არხები, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთები—ე. ი. ნათესის მოსარწყავად არხები გამოყვანილი ყოფილა ჩრდილის ტბიდან და ისეთი რაოდენობითაც, რომ სახელმწიფო ბეგრავდა ამ არხებში თევზჭერას.

რაც შეეხება ტაშ-ქოფრუტს-ს უს. მსხვილმასშტაბიან რუკებზე, მაგალითად, „ევროპული რუსეთის სპეცრუკაზე“, ჩრდილის ტბის სამხრეთ ნაპირის დასავლეთით აღნიშნულია სოფ. Даш-Керпи, რომელიც ამ სოფლის ახლო ჩრდილის ტბაში ჩამავალ რომელიღაც მდინარეზე მდებარეობს. ეს მდინარე იქნება, ალბათ, „დავთარის“ ტაშ-ქოფრუტს-სუ. ტაშ-ქოფრუტს თურქული სიტყვებია და (taş—'ქვა', köprü 'ხიდი'), 'ქვის-ხიდს' ან 'ქვანხიდს' ნიშნავს. ეტყობა ამ წყალზე ქვის ხიდი ყოფილა და ამ სოფელს ტაშ-ქოფრუტს (რუკების დიალექტური Даш-керпи) დარქმევია და მდინარეს კიდევ ტაშ-ქოფრუტს-სუ 'ქვა-ხიდის-წყალი'. „დავთარში“ ტაშ-ქოფრუტს სოფელი არ იხსენიება. შეიძლება ამ ადგილას სოფელი „დავთარის“ შემდგომ დაარსდა, შეიძლება კიდევ „დავთარში“ ეს სოფელი სხვა სახელით იყოს აღნუსხული. ტაშ-ქოფრუტს სოფლის მდებარეობის უფრო დასაზუსტებლად ჩვენ აქ მოვიყვანთ ს. ვ. ტერავეტიანიანის შემდეგ ცნობებს: Селение Даш-керпи... находится в Ардаганском округе, в участке Зурзуна в 1,5 верстах от западного берега озера Чалдир. Население деревни татарское; среди жителей есть переселенцы из Борчалинского и Казахского уездов. Даш-керпи расположено по реке того же названия в котловине... Через всю деревню протекает маленькая

<sup>1</sup> Дм. Бакрадзе, Карта к «Чурук-су, Алчара и Гурш в 1873 г.» История военных действий... I, გვ. 56.

речка, через которую в центре селения перекинут по виду очень древний низкий мост<sup>1</sup>.

17. სოფ. ალჯაყალა — אלجا (I 15, 270; II 17, 265). ალჯა-ყალა'დ თურქებს უთარგმნიათ სახელწოდება ცნობილი ქართული ციხისა, რომელიც მდებარეობს ჩრდილის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე, თითქმის უტოის პირდაპირ<sup>2</sup> და რომელიც ქართულ წყაროებში იხსენიება თეთრ-ციხედ. „მესხური დავითნის ქრონიკაში“, მაგალითად, წერია: „იქიდანა [პალაკაციოდან] თეთრ-ციხის გარშემო დაწვრილ ალბუტი და კამაროანი“<sup>3</sup> და კიდევ „პარასკევს დღესა, ო მარიაშობის თქმსა, ქაჯისციხე, ველი და თეთრ-ციხე წაგუარათქს ურუმთა...“<sup>4</sup> ალჯაყალა რომ ქართული „თეთრ-ციხე“ს თარგმანია, აღნიშნული აქვს პროფ. ექ. თაყაიშვილსაც: Тетр-цихе или Агджакала, значит белая крепость<sup>5</sup> (თ. აკ+აფიქსი ცა=‘თეთრი’ ‘მოთეთრო’ და არაბ.-თ. kal'e ‘ციხე’, დიალექტურად იქნება აჭ+ცა ‘თეთრი’ და kala ‘ციხე’ — ალჯაყალა; შდრ. „შავი-ციხე“ — ყარაყალა)<sup>6</sup>.

ექ. თაყაიშვილის მიხედვით სოფ. ალჯაყალასთან ჩრდილის ტბაზე არის ერთი მოგრძო კუნძული, მაგრამ კუნძულიდან ნაპირამდე წყლის არეში ჩაყრილია უზარმაზარი ქვის ლოდები და, ამრიგად, კუნძული ნაპირთან შეერთებულია თითქოს ქვის ხიდით. სოფლიდან კუნძულზე მისასვლელი ძალიან ყოფილა გამაგრებული გალავნებითა და კოშკებით. ეს ნაგებობანი მოპირკეთებულია თურმე თეთრი ფერის თლილი ქვითა და, შესაძლებელია, ამბობს ექ. თაყაიშვილი, „თეთრი-ციხე“ სახელწოდება აქიდან არის წარმოშობილი<sup>7</sup>.

„დავთრის“ დროის თეთრ-ციხეში (ალჯაყალაში) 6 კომლია ნაჩვენები, 1878 წ.—15, ხოლო 1889 წ. კი—85 კომლი<sup>8</sup>.

18. სოფ. ზაქარწმინდა — زکّر مند (I 15, 271; II 17, 265). „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე“ში დაბეჭდილ ჰვენს წერილში, აგრეთვე „დავთრის“ II წიგნის რუსულ წინასიტყვაობაში ჰვენ გავებაზავდით „დავთრის“ იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც მას ენიჭება,

<sup>1</sup> Надпись Сардура II, сына Аргинтия, в Даш-керпи на Чалдырском озере. Надл. перевел, исследователь Н. Я. Марр, Петроград, 1919, გვ. 25.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. VII, 56; ვ. კოპტონაშვილი. მგზავრის დღიურიდან. „ივერია“, 1894, № 155; ექ. თაყაიშვილმა თავისი არახუსტი მითითება თეთრ-ციხის მდებარეობის შესახებ (СМОМПК, 28, გვ. 195, შენ. 6), რომ ჰვენის თეთრი-ციხე აღბაბის მთაზე არისო, გაასწორა МАК, XII ტომში (გვ. 56-57) და დაასკვნა, რომ крепость Тетр-цихе, упоминаемая в Хровике Месхийской Псалтири (ვ. ი. ჰვენის თეთრ-ციხე), янчего общего не имеет с 2-мя разными крепостями под сим именем, упомяваемым шаревичем Вахушти (იქვე. 57).

<sup>3</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 91.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>5</sup> Источники грузинских летописей, Три хроники, СМОМПК, 28, გვ. 195; აგრეთვე: МАК, XII, 56; К. Ф. Ган, Опыт объяснения... СМОМПК, 40, გვ. 3 და 136.

<sup>6</sup> ამავე ნაშრომში, № 5, გვ. 383.

<sup>7</sup> МАК, XII, გვ. 56.

<sup>8</sup> სტია, თ. 415, ს. 12, გვ. 77Г, Свод, 60, 61.

სხვათა შორის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის შესწავლის საქმეში. ამის საილუსტრაციოდ ერთ-ერთ მაგალითად ჩვენ მოვიყვანეთ მაშინ სწორედ ამ სოფელ ზაქარწმინდის სახელწოდება. ჩვენ ვამბობდით: ...совершенно бесспорно можно установить, что деревня, расположенная у северо-западного побережья оз. Палакашо (Чилдирского), на многих картах именуемая «Закарзминда» (= груз. ზაქარწმინდა — 'святой Захарий', сравни подобные названия там же: Степан-цминда, Андрицминда, Микел-цминда и др.)<sup>1</sup>. მართლაც, ეკვიპოტანლად ირკვევა, რომ ჩილდისის ლევან-ს ჯანბაზის ნაძივეში აღჯაყალა სოფლის შემდეგ მე-18 სოფლად აღწერილი ზაქარწმინდა, უთუოდ რუკებზე (ბუთვერსიანი, „ევროპ. რუსეთის სპეცრუკა“ და სხვ.) Закарзмин-ად და Закарзмин-ად აღნუსხული პუნქტია. საყურადღებოა, რომ არქივისეული სიგები ადასტურებენ ამ მოსაზრებას: პირველშია Закар зминда (19წ) და მეორეში—Закар Цминда (13წ). ძნელია, რა თქმა უნდა; გადაკრით აიხსნას, თუ რა ვითარებაში მოხდა ამ ქართული სახელწოდების Закарзмин-ად დამახინჯება (აკუსტიკური თუ გრაფიკული ფაქტორი); ერთი კი შეიძლება ითქვას: თურქმა „ზაქარწმინდა“ სიტყვაში „და“ თურქული ადგილობრივი ბრუნვის --ძა აფიქსად გაააზრიანა და ჩამოაცილა იგი (ზაქარწმინდა→Закарзмин).

ზაქარწმინდა სოფელში, რომელსაც ჩვენ დრომდე არ მოუღწევია, „დავთრის“ დროს 7 კომლია აღრიცხული.

19. სოფ. დიდი ჯანბაზი—იხ. ზემოთ № 9. სოფ. პატარა ჯანბაზი (გვ. 384).

20. სოფ. ქვემო წინწალი—იხ. ზემოთ № 8. სოფ. ზემო წინწალი, გვ. 383).

21. სოფ. ქვაკაცნი, სოფ. სხვარასთან (?) (I 15, 272; II 17, 267). *زاد سخور* ვილნაეთის „დიდი დავთარში“ ორჯერ გვხვდება გეოგრაფიული სახელი, რომელიც ერთი და იმავე *كواكس* მოხაზულობით არის გადმოცემული. ასეთი სახელის მატარებელი სოფელი (21-ე) პირველად აქ (ჩილდისის ლევან, ჯანბაზის ნაძივე) იხსენიება, ხოლო მეორეჯერ მე-15 სოფლად იმავე ლევან ქანარბელის ნაძივეში (I 16, 290; II 18, 284). ამ სოფელთა სახელები პირველ შემთხვევაში „ქვეაქის (?)“, ხოლო მეორე შემთხვევაში „ქვაქის (?)“ ადაა ამოკითხული. „დავთრის“ ტექსტის დადგენაზე მუშაობისას რუკებზე, ან სხვა წყაროებში ამ მოხაზულობის შესაბამისი სახელი ვერსად შევნიშნეთ და, რადგანაც ასეთი ამოკითხულობა (განსაკუთრებით სიტყვათა

<sup>1</sup> Турецкая рукопись Музея Грузии «Пространный рѣстр Грузинскаго вилаета», „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე“, ტ. I, № 6; თბილისი, 1940, გვ. 486; გურჯისტანის ვილნაეთის დიდი დავთარი, II, თბილისი, 1941, გვ. XIII.

ვოკალიზაცია) მხოლოდ სავარაუდო იყო, ჩვენ ორთავე ადგილას კითხვითი ნიშნები დავსეთ.

„დავთარის“ II. წიგნის დაბეჭდვის (1941 წ.) შემდეგ ექ. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „სამი ისტორიული ქრონიკის“ გულდასმით გადაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ „დავთარში“ ზემოაღნიშნული მოხაზულობით გამოცემული უნდა იყოს „მესხური დავითნის ქრონიკაში“ მოხსენებული გეოგრაფიული პუნქტი „ქვაკაცნი“. ამ „ქრონიკაში“ ნათქვამია: „ივანობისთუშს იზ, დღესა ოთხშაბათსა, ახალციხიდან გავდევით და ენკენისთუშს ზ, ოთხშაბათს დღესა, წყაროს თავიდან გავდევით, პარასკევს დღესა წურილნი დაძმანი გაიყარნეს ქვაკაცთა, და ჩვენ ქალას დავდევით...“<sup>1</sup> საინტერესოა შესადარებლად მოვიტანოთ აქვე ამ ციტატის იმავე ექ. თაყაიშვილის მიერ შესრულებული რუსული თარგმანის ბოლო წინადადება: В пятницу меньшие братья и сестры простились друг с другом у Кв-к а ц и, и мы остановились в Чале.<sup>2</sup>

ჩვენ საესებით შესაძლებლად გეგევენება, რომ „დავთარის“ კოაკს-ით, როგორც ამას ქვემოთ უფრო დამაჯერებლად დავინახავთ, გამოცემული იყოს „ქრონიკაში“ ნახსენები სოფ. ქვაკაცნი. ოღონდ ამასთანავე ერთად უნდა გაირკვეს აგრეთვე, „ქრონიკის“ „ქვაკაცნი“ ჯამბაზის რაიონის კოაკს-ია, თუ ქანარბელის რაიონისა. ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კოაკს-ი საკმაოდ მოზრდილი დასახლებული პუნქტებია: ჯამბაზის 21 კომლიან კოაკს-ს 23 500 ახჩა აქვს შეწერილი, ხოლო ქანარბელის 25 კომლიანს კი—13 000 ახჩა („დავთარი“, იქვე).

„ქვაკაც“ სიტყვა თურქულ ტრანსკრიფციაში სწორედ კოაკს-ში წარმოდგენილი ასლებით უნდა ყოფილიყო გამოცემული. სახელდობრ, „ქვაკაც“ის ანლაუტში ორთანხმოვნიანობას თურქი თავიდან აიცილენდა თანხმოვნებს შორის ან ვიწრო ხმოვნის ჩასმით (რაც გრაფიკულად შეიძლება არ გამოხატულიყო), ან „ვ“ თანხმოვნის უმარცვლო „უ“თი გამოცემით („ჩქივა“, „ჩქა“). სიტყვის მეორე ნახევარი „კაც“ თურქულ წარმოთქმვაში მოგვეცემა „გას“, ან „ქას“ს ან არადა (სპარს.-თურქ. კს = „პიროვნება, კაცი“სთან გააზრებით) „ქეს“ ფორმებს, რადგანაც „კ“ მკვეთრი თურქულში უმთავრესად „გ“ში გადადის, ან, იშვიათად, „ქ“საც გვაძლევს და ქ ნიშნითაა გამოხატული, ხოლო ქართული „ც“ აფრიკატი თურქულში „ს“თი გამოცემა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ქვაკაც სიტყვის მეორე შემადგენელი ნაწილი — კაც ელემენტი „დავთარში“ უპირატესად სწორედ ასე (ე. ი. კს-ად) არის დაწერილი, როგორც ეს ჩანს ქართული საკუთარი სახელი ახალკაც-ის ტრანსკრიფციიდან: اخل كس და اخل كس<sup>3</sup>. ამ მხრივ, მეტად მაჩვენებელია ერთი რუკის ვარიანტი ამ სახელწოდებისა Квгас<sup>4</sup>;

<sup>1</sup> „სამი ისტორიული ქრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა)“, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, თბ., 1890, გვ. 83.

<sup>2</sup> Е. Такайшвили; Источники грузинских летоисей, Три хроники, СМОМПК, 28, Тифлис, 1900, გვ. 188-189. <sup>3</sup> იხ. დავთარი, I, გვ. 118, 168, 302 და სხვ.

<sup>4</sup> Карта Кавказского Края (ატლასი), თბილისი, 1869, С. 4.



„ქვა“ს თურქულში მოუცია ქრ, რაც სლიერ ახლოსაა ქეშმარიტებასთან (ქ თანხმ. თურქულში პალატალიზებულია და ამიტომ „ვა“ კომპლექსმა ო-ს ნაცვლად რ მოგვცა, ხოლო „ქაც“მა კი კანონზომიერი რაც (შევეთრი „კ“→შესაბამისი მქლერი „გ“, ხოლო ც→ს: ქ რ გ ა ს). ამდენად „ქვეაკც“-ის გადათურქულებული სახეობა „ქივავას“, „ქლავას“, „ქივავქეს“, ქრავას და სხვ. ფორმები უნდა ყოფილიყო. ამასთანავე ერთად უნდა ითქვას, რომ რა ვარიანტიცაა არ უნდა წარმოეთქვა თურქს ეს სიტყვა, მისი გრაფიკულად გამოსახატავად უსათუოდ კ, ვ, ს, ჯ და ს ასოები უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

„მესხური დავითნის ქრონიკაში“ მოხსენებული „ქვეაკცთა“ სიტყვის მრავლობითის ფორმა გვაფიქრებინებს, რომ სახელობით ბრუნვაში ამ სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო „ქვეაკცნი“, რაც მიცემითი „ქვეაკცთა“ს მოგვცემდა. „ქრონიკის“ ტექსტში სწორედ მიცემითი ბრუნვაა: „წურილნი და-მზანი გაიყარნეს ქვა-კაცთა“, ე. ი. ივარაუდება „სოფელსა შინა ქვეაკცთა“. ჩვენს „დაეთარი“ში, მართალია, მრავლობითის „ნი“ აფიქსზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებს „ნი“ ზოგჯერ არ ეკვეცება (შდრ. „სოფ. განძანი“, I 238; II 234), მაგრამ „ნი“ს ჩამოვარდნის შემთხვევაც არის (შდრ. „სოფ. ფოკა“ „ფოკან“-ის ნაცვლად. „დაეთარი“, იქვე). ამდენად ამ სოფლის სახელის საწყისი ფორმა ექ. თაყაიშვილის მიერ რუსულ თარგმანში მართებული სინტაქსით არ უნდა იყოს წოცემული და «(прост.пл.исъ друг с другом у) Кша-каши-ას წილ უნდა იყოს у Квакашии.

„სამი ისტორიული ქრონიკის“ ქართულსა და რუსულ გამოცემებში სოფ. ქვეაკცთა ადგილმდებარეობის შესახებ სრულებით არაფერია ნათქვამი. რუსული გამოცემის შენიშვნაში ამ სოფელზე მხოლოდ ისაა დაწერილი, რომ «Кша каша в переводе значит камень-человек»<sup>1</sup>.

„მესხური დავითნის ქრონიკის“, სპეციალური რუკებისა და, უმთავრესად კი, „დაეთრის“ მასალათა გათვალისწინებით და მათი ურთიერთ შეპირისპირებით, ვგონებ, შესაძლებელია გაირკვეს სოფ. ქვეაკცთა ადგილმდებარეობაც.

საქმის ვითარება ასეთია: „მესხური დავითნის ქრონიკის“ მიხედვით მოქმედი პირნი გამოდიან ახალციხიდან, გაივლიან წყაროსთავს, შემდეგ „წურილნი და-მზანი“ დაშორდებიან ერთმანეთს ქვეაკცში და რამდენიმე პირი „ქრონიკის“ ავტორთან ერთად გაჩერდება ქალას<sup>2</sup>. სოფელი ქალა, რომელიც „დაეთარში“ ჯამბაზის რაიონში 28-ე სოფლად იხსენიება (I 276; II 270), მდებარეობს თეთრ-ციხესთან („ალჯა-ყალა“)<sup>3</sup>, ჩილდირის ტბის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. წყაროსთავი, საიდანაც „ქრონიკაში“ მოხსენებული პირები აღმოსავლეთისაკენ მიემგზავრებიან,

<sup>1</sup> Е. Такайшвили, Источники грузинских летоисей..., გვ. 189.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 83.

<sup>3</sup> იხ. Специальная карта Европейской части СССР, с прилегающими государствами (80).

ხოზაპინის ტბის დასავლეთითაა<sup>1</sup>. წყაროს თავიდან სოფ. ქალის მიმართულებით მიმავალმა კაცმა, დაახლოებით რომ ვთქვათ და რამდენადაც ეს რუკებზე აღნიშნული სასოფლო გზების მიხედვით შეიძლება შეინიშნოს, უნდა გაიაროს ქანარბელის ჩაისი, ქანარბელი, რაბათი, ძურძნა (რუკებზე — „ზურზუნა“)<sup>2</sup>. და აი, ამ ძურძნიდან აღმოსავლეთით ქალისაკენ მიმავალი გზა ებჯინება თითქმის ყველა მსხვილმასშტაბიან რუკებზე «Кевхач»-ად ფიქსირებულ პუნქტს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „Кевхач-ი“ (შდრ. Свод, 60) უნდა იყოს როგორც „დავთარში“ ჯამბაზის რაიონისათვის დასახელებული كواس-ი, ისე „მესხური დავითნის ქრონიკის“ „ქვაკაცთა“. Кевхач სახელი მეტისმეტად შერყენილი უნდა იყოს რუკის პირველი ვარიანტის შემდგენლების მიერ ჯერ ჩაწერისა და გადაწერის და შემდეგ ბეჭდვის დროს. შეიძლება კიდევ Кевхач-ი „ქვაკაც“-ის ზემოგანხილული გადათურქულებული სიტყვების („ქივაგას“, „ქუაგას“, „ქივაქეს“, „ქივაქა“-ს და სხვ.) სხვა ენობრივ კოლექტივებში უფრო სახეშეცვლილი ფორმა იყოს. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ Кевхач სიტყვაში კ-ს ნაცვლად ხ ასო რომ გვაქვს — გრაფიკული შეცდომის შედეგი უნდა იყოს.

„ქრონიკის“ „ქვაკაც“-ის, „დავთარის“ كواس-ისა და რუკების Кевхач-ის იდენტურობას ადასტურებენ, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ტოპოგრაფიული მონაცემებიც. გარდა იმისა, რომ წყაროსთავიდან ქალაში მიმავალი გზა „ქვაკაც“-ში („ქრონიკა“) და რუკების Кевхач-ში გაივლის, „დავთარის“ كواس-იც ამ მიდამოებშია ნაჩვენები.

Кواس-ი (ე. ი. ქვაკაცი) ფიქსირებულია „დავთარში“ ჩილდირის ლივნის ჯანბაზის რაიონის შემდეგ სოფელთა გარემოცვაში: რაბათი (1)<sup>3</sup>, ურთა (2), ძურძნა (3, რუკაზე — Зурзун), სხვარა (4, რუკაზე — Схвара), ყარაყალა (5, რუკაზე — Каракала), კოტამახი (6, რუკაზე — Котамых), წინწალი (8, რუკაზე — Цинцал), ჯანბაზი (9), კამაროვანი (11, რუკაზე — Камарван), ფრუტი (13), აღჯაყალა (17), ზაქარწმინდა (18, რუკაზე Р. Д. Закрыши) და სხვ. ყველა ეს სოფელი ჩილდირის ტბის ზემო წელის გარშემო მდებარეობს, ხოლო სოფ. ქვაკაცი (რუკაზე — Кевхач) ძურძნას, ფრუტსა და წინწალს შუა არის მოთავსებული, ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩილდირის ორ რაიონში ორი კواس-ია ნაჩვენები. ერთი მათგანი, სახელდობრ, ჯამბაზის რაიონის კواس-ი, როგორც გაირკვა, „ქრონიკის“ „ქვაკაც“-ს უკავშირდება. მეორის, ქანარბელის რაიონის კواس-ის მდებარეობა უცნობია. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული შესაძლებლობიდან, რომ ქანარბელის რაიონის კواس-საც „ქვაკაცი“ ერქვა. მაგალითი იმისა, რომ ორ გეოგრაფიულ პუნქტს ერთნაირი

<sup>1</sup> იხ. Спецшальная карта Европейской части СССР, с прилегающими государствами (80). <sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ფრანგილებში მოთავსებული ციფრებით ნაჩვენებია „დავთარში“ სოფელთა თანამიმდევრობის ნომრები, იხ. „დავთარი“, II. გვ. 267 და შემდეგ.

სახელი ერქვას, სხვაგან რომ არ ვეძიოთ, ამავე კუთხეში მოაპოვება: სოფელი „ჩაისის“ სახელით ხოზაპინის ტბის დასავლეთითაც არის და ჩილდირის ტბის ჩრდილო-დასავლეთითაც<sup>1</sup>. მაგრამ ამ თვალსაზრისით უფრო საყურადღებო ის არის, რომ ადგილის სახელებად „ქვაკაც“ სიტყვა ძალიან გავრცელებული ყოფილა, მაგალითად, თრიალეთში. „დასტურლამალიში“, „თრიალეთის სოფლების სამზღურების“ დადგენისას, ნათქვამია: „მალა რომ სამი ქუაკაცი „ზის“ „ქუა-კაცას ზეით“, „ქუაკაცას ჩასწორ ქვეის პირამდინ“<sup>2</sup> და სხვ. ამდენად, რა თქმა უნდა, ჩილდირის ე. წ. ლევანშიც შეიძლება არსებულიყო მეორე სოფელი „ქვაკაცის“ სახელით. ოღონდ სად იყო ეს მეორე. ქანარბელის რაიონში დასახელებული სოფ. ქვაკაცი, ჯერჯერობით უცნობია. დასახელებული პუნქტებისა თუ სხვა ადგილებისათვის ასეთი სახელის შერქმევას საფუძვლად უნდა ედევას ასეთ ადგილებზე ქვის მასალიდან ადამიანის გამოსახულებათა არსებობა. თუმცა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით „ქვაკაცი“ „ქართულ ძველ ლიტერატურულ ძეგლებსა და ხალხურ ფოლკლორში ასეთ [აყუდებულ ვეებერთელა, დაუმუშავებელ ანდა ოდნავად დამუშავებულ] ქვებს ეწოდება“<sup>3</sup>. ადამიანის გამოსახულებით იქნება ეს ქვა თუ დაუმუშავებელი, ამას ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ის არის, რომ ასეთი ქვის ობიექტების მიხედვით უნდა იყოს აღმოცენებული: „ქვაკაც(ნ)“ გეოგრაფიული საკუთარი სახელები. Какис სიტყვას, რომელიც, ვფიქრობ, ჩვენი „ქვაკაცი“ უნდა იყოს, შემდეგნაირად ხსნიან: Какис груз. от ქვა = камень и ქისა = кошелек: деревня при которой часто встречаются камни в обложке, как судо в кошелек“<sup>4</sup>. ამ სიტყვის ამგვარი ახსნა უთუოდ შეუწყნარებელია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ საბას მიხედვით ქორტი არის აგრეთვე „ქვაკაცა, ქვაკაცი აგებულნი შინა“<sup>5</sup>. ამდენად, რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ დასახელებულ პუნქტს, სადაც იდგა ქვა (ან ქვები) ადამიანის გამოსახულებით, რქმეოდა „ქვაკაცის გარდა ქორტიც, ან ორივე ერთდროულად; სამცხური წარმოშობის ქვემოთ მოყვანილ: ხალხურ ლექსში მოხსენებული ქორატი (საბას ქორტის ვარიანტი, ალბათ) უთუოდ გეოგრაფ. პუნქტის სახელია:

მე ოჯორჯლეგი ხუცესი ქალას ვიყავ მიმავალი,

ქორატს ქან-მგლებს გარდევყარე, დამიბნელდა ორივე თვალი,

ზადენს ყელი გარდავუგდე, იცით რომ სულ არ მაქვს ბრალი,

<sup>1</sup> Специальная карта...

<sup>2</sup> დასტურლამალი, გვ. 26-39. „დასტურლამალის“ ეს ცნობა მომყავს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის შრომიდან—მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938, გვ. 17.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>4</sup> К. Ф. Гап, Опыт объяснения кавказских географических названий с предисловием, СМОЛСК, 40, გვ. 76.

<sup>5</sup> ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 448.

ხელი ვეარ ქვას, აქ გავქვავდე, მოვკვიდე. გარდვიხადე ვალი, ვინც ჩემი სისხლი იკითხოს, ქორატს ქვას აჩნია მშრალი<sup>1</sup>.

ლექსის ჩამწერი და გამომცემელი ვინმე მესხი აქვე შენიშნავს: „მართლა ხუთივ თითი ზედ ეტყობოდა წითლად სისხლში ამოვლებული იმ ქვაზედა ცხადათ ქორატში“<sup>2</sup>. ჩვენ არ ვიცით, სად იყო ეს ქორატი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ქორატი იყოს ჩვენი „დავთრის“ ქვაკაცუნ სოფლის მეორე სახელი (ოჯორჯლიდან კაცი რომ გაემგზავროს ქალაში, რომელიც ჩრდილის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს, მან მართლაც სოფ. ქვაკაცი (რუქაზე Кебхас, იხ. ევროპ. რუსეთის სპეცრუქა), ე. ი., შეიძლება ქორატი, უნდა გაიაროს. შეიძლება ქორატი ზოგადი სახელი იყო „ქვაკაცებიანი“ ადგილებისა; კიდევ მასალაა საჭირო.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ „დავთრის“ كواك-ი კანონზომიერი თურქული ტრანსკრიბირებაა „მესხური დავითნის ქრონიკით“ ცნობილი სოფ. ქვაკაც[ნ]ის სახელისა და ამდენად كواك-ად და „ქვაკაცი“-ად ცნობილი პუნქტი ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტია. გარდა ამისა, „დავთარში“ كواك-ისათვის ჩამოთვლილ სოფელთა წრე ტოპოგრაფიულადაც სავსებით ემთხვევა „მესხური დავითნის ქრონიკაში“ სოფ. ქვაკაცთა განმსაზღვრელ დასახლებული პუნქტების (წყაროსთავე, ქალა) წრეს. „ქრონიკის“ მიხედვით ახალციხიდან გამგზავრებულ პირთა მიერ გავლილ სოფელთა თანმიმდევრობაც (წყაროსთავე, ქვაკაცი, ქალა) ადასტურებს, რომ სოფ. كواك-ქვაკაცი ამ გზაზე მდებარე და რუკებზე Кебхас-ად ფიქსირებული სოფელია.

22. სოფ. მოზერეთი (?) موزريت (I 15, 273; II 17, 267). დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები აქვს (დედანი, 250) და ასოები კარგად ირჩევა. მოზერეთ-ად უნდა იკითხებოდეს, თუმცა არქივისეული სიგების მონაცემი Мызрет-იც (გვ. 19v, 13v) ძლიერ მაცდუნებელია და ამ დაწერილობის წაკითხვა ასეც შეიძლება. ამ პუნქტზე ჯერჯერობით მასალა არ ჩანს. სოფელში 15 კომლიანი მოსახლეობაა. მის მდებარეობაზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ამ სოფლის აღწერის ბოლოში სოფ. მოზერეთის მფლობელობაში მყოფი ჩაირი ححر-ი სოფ. ქევაქისის (ქვაკაცის) მიჯნაზე ყოფილა. მაშასადამე, მოზერეთიც „ქევაქისის“ ახლო უნდა მდებარეობდეს. ჩაირის სახელი ححر-ი ვერ იკითხება. შეიძლება ეს خنكر-ი ოხნგირი იყოს<sup>3</sup>.

23. სოფ. გუნდუსხევი—احمدو(?) სათესველითურთ—گوندادكو (I 16, 273; II 17, 268). ერთ-ერთ რუქაზე (99) ჩვენ მიერ უკვე განხილულ სოფ.

<sup>1</sup> „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, თბილისი, 1913-1914 (ეკ. თაყაიშვილის რედაქციით), გვ. 271.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> შდრ. ნიალისურის ნაწილში სოფ. ხინგირი ანალოგიური დაწერილობით (აქვე, გვ. 376, № 28).

ურთის ჩრდილოეთით აღნიშნულია Гундусხეა-ი. არქივისეულ სიებში ჩუნი-დუსხეა-ი გვაქვს (19v, 13v). შეიძლება ეს იყოს უფრო სწორი (კუნდუსხევი). ამ პუნქტზე ჩვენ გვაქვს კიდევ ცნობა 1831 წ. არქივისეულ მასალებში, სადაც წერია: Кундус хеи-ი, 6 კომლიანი, ხაბდ-ულ-ლამ<sup>3</sup> აღას მფლობელობაში<sup>1</sup>. „დავთრის“ დროს 14 კომლიანი სოფელია.

გუნდუსხევთან დასახლებული სათესველ  $\mu\alpha\delta\sigma$ -ს სახელწოდება ვერ ამოვიკითხეთ.

24. სოფ. შუა წინწალი — იხ. ზემოთ № 8. სოფ. ზემო წინწალი; გვ. 383.

25. სოფ. არაგენი (?) სოფ. ქვეაქისთან (— ქვეაკანი) — اراگين (?) (I, 16, 274; II 17, 269). ამ პუნქტის ადგილმდებარეობა მითითებულია სოფ. ქვეაკანთან (ქვეაქისთან). სხვა ცნობა ამ სოფელზე არა გვაქვს. არქივისეული სიების Аракел-ი და Оракаш-ი არაფერს იძლევა ამ დაწერილობის ამოსაკითხავად. ეს სოფელი „დავთრის“ დროს 15 კომლიანია.

26. სოფ. ზემო ხელევაანი (?) ქვემო ხელევაანითა? და حال (?) სათესველითურთ — خلوан (?) (I 16, 275; II 17, 270). არქივისეულ სიებში ამოკითხულია — Челеван улия (19v) და Чилван улия (13v). ამ დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები არა აქვს და Челеван || Чилван-ადაც შეიძლება ამოკითხვა. ხელევან (Хелеван) სოფელი, მართალია, რუკაზე (ხუთეგრისიანი და სხვ.) აღნიშნულია, მაგრამ სოფ. ველის დასავლეთით, ამ ნაპივს ტერიტორიის გარეთ. ძალიან საეჭვოა, რომ ველის დასავლეთით მდებარე სოფ. ხელევაანი ჯანაზის ნაპივსადმი განკუთვნილი პუნქტი იყოს, თვით ველი დიდი არტაანის ლივაშია. ამდენად შეეკვება ამ სოფლის ხელევან-ად ამოკითხვის სისწორე. შეიძლება ეს სრულებით სხვა პუნქტი იყოს; თუ გნებავთ იგივე Челеван-ი და სხვ. ამ სოფელში 9 კომლიანი მოსახლეობაა. სათესველი حال-ის სახელწოდება უცნობია.

27. სოფ.  $\mu\alpha\delta\sigma$  — სოფ. კამაროვანთან (I 16, 275; II 17, 270). არქივისეულ სიებში ამ სოფლის სახელად Дүрәш-ია მოცემული (19v, 13v). რადგანაც „დავთრის“ დამწერლობის ბოლოკიდური კ და ბ და მისთანა ასოები ძნელი გასარჩევია, შეიძლება აქაც ბოლოკიდური ასო კ იყოს. მაშინ გვექნებოდა დულელ-ი; ჩვენი წაკითხვით დულეთი-ა. ვიდრე სხვა მასალა არა გვაქვს, საბოლოო დასკვნისაგან თავი უნდა შევიკავოთ. მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ ეს სოფელი კამაროვანთანაა ნაჩვენები; მაშინ შესაძლებელია კამაროვანის ჩრდილოეთით იმავე ჩრდილის ტბის ნაპირას უსახლოდ აღნიშნული P. D. ამ სოფლის ნანგრევები იყოს. ამ სოფელში აღრიცხულია 9 კომლი მოსახლე.

28. სოფ. ქალა აღჯაყალასთან —  $\chi\lambda$  (I 16, 276; II 17, 270). პროფ. ექ. თაყაიშვილის ცნობით: „აღჯაყალის სამხრეთით, ჩილდირის ტბის ნაპირას

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 19:.

მდებარეობს სოფ. ქალა ანუ ჯალა ამავე სახელწოდების მდინარის შესართავთან. ქალა ქართული სახელწოდებაა და ნიშნავს 'ტბის ან მდინარის დაბლობ ადგილს'. «ქალის ძველი ქართული ეკლესია ძალიან ლამაზი იყო»<sup>1</sup>. «სოფ. ალჯა-ყალიდან 2 ვერსის მანძილზედ, სამხრეთის მხარეს ტბისავე ნაპირას მდებარეობს სოფელი ქალა»<sup>2</sup>. XIX საუკუნეში სოფ. ქალა უკვე აოხრებული ჩანს: От охера Чинары до разоренного селения — Кала<sup>3</sup>.

„საქ. ისტორიულ რუკაზე“ ამ სოფლის სახელად ქალა წერია. ქალა იხსენიება აგრეთვე „მესხური დავითნის ქრონიკაში“:

„... წყაროს თავიდან გავდევით, პარასკევს დღესა წურილნი დაძმანი გაიყარნეს ქვა-კაცთა, და ჩვენ ქალას დავდევით“<sup>4</sup>. ქალა ხალხურ ლექსშიც იხსენიება:

მე ოჯორჯლელი ხუცესი ქალას ვიყავ მიმავალი,

ქორატს ქან-მგლებს გარდევყარე, დამიბნელდა ორივე თვალი<sup>5</sup>.

ალჯაყალას სამხრეთით ყველა რუკაზე აღნუსხულია Джала ქალა. „დავთრის“ დროსაც ქალა უკაცრიელად არის აღწერილი; ოღონდ ქალაში იხსენიება ჩითლიქი, ანუ მამული ვინმე ყალნ ზაენმისა. სოფ. ქალაზე შეწერილი გადასახადების ჯუმალში (15 000 ახჩა) შეტანილია აგრეთვე ყუშური თევზისა რომელსაც, ალბათ, მდინარე ქალაში იჭერდნენ. ქალაში 1878 წელს 41 კომლია<sup>6</sup>.

29. სოფ. ჯარჯა — جارجه (I, 16, 276; II 17, 270). ნაჩვენებია უკაცრიელ სოფლად. იგი მდებარეობს ჩილდირის ტბიდან სამხრეთით, საკმაროდ მოშორებით. რუსულ მსხვილმასშტაბიან რუკებზედაც Джарджа-დაა აღნუსხული. არქივისეული სიების Харчы (19v) და Арчы (13v) სწორი არაა.

30. სოფ. გულაბერთის რაბათი — رباط گلبرت (I 16, 276; II 17, 271). რუკებზე აღნიშნული არ არის. მის შესახებ მასალაც არ შეგვხვედრია. არქივისეული სიების Кюле (19v, 13v)—უთუოდ შეცდომაა. შეიძლება „გულაბერთი“ იყოს და რომელიღაც ქართული სახელის (მაგალითად, ვარდციხე-ს) სომიურ თარგმანს წარმოადგენდეს.

31. სოფ. კორკოკო სოფ. კამაროვანთან (I 16, 276; II 17, 271) უნდა აღინიშნოს, რომ აქ დედანში (გვ. 253) კამაროვან (იხ. ზემოთ, გვ. 385) სოფლის სახელწოდება قمروران დაწერილობით არის მოცემული, ე. ი., ამ შემთხვევაში კამაროვანი გააზრებული უნდა იყოს ويران (სპ. ვირან→თ. ვერან 'გაოხრებული', 'აოხრებული', 'გავერანებული'), სიტყვისთან, قمروران 'ვერანა კამარი (?)'. ქართულ თარგმანში ჩვენ ეს გააზრება არა გვაქვს

<sup>1</sup> МАК, XII, გვ. VII, 57.

<sup>2</sup> ვ. კაპტონაშვილი, მზაერის დღიურიდან, „ივერია“, 1894, № 155.

<sup>3</sup> История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах, I, 254.

<sup>4</sup> სპი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ეპ. თაყაიშვილის მიერ, გვ. 83; Три хроники, СМОИИК, 28, გვ. 189.

<sup>5</sup> „ძველი საქართველო“, III, გვ. 271.

<sup>6</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 78r.

გათვალისწინებული და უშენიშვნოდ დაბეჭდილი გვაქვს „კამაროანი“ (უნდა იყოს კი კამაროვანი; გვ. 271). არქივისეულ სიებში ამ სოფლის სახელად Коркаком-ია (19v, 13v). ამ პუნქტზე მასალები არ არის. „დავთრის“ ეს სოფელი უკვე გაუცარიელებულია.

32. სოფ. ალბუტი, მეორე ალბუტი სათესველითურთ—الود (I, 16, 276; II 17, 271). „დავთრის“ დროის ალბუტი საკმაროდ დიდი, 25 კომლიანი სოფელია. იხსენიება „მესხური დავითნის ქრონიკაში“: „იქიღამა თეთრ-ციხის გარემო დაეწუით ალბუტი და კამაროანი...“<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილით «Албу́т и Камароани не обозначены у Вахушта. Они, видимо, находились около Тетр-цихе». ეს სოფელი თეთრ-ციხესთან და კამაროვანთან ახლო უნდა ყოფილიყო, ან, როგორც ექ. თაყაიშვილი შენიშნავს: Развалины деревни Албу́т находятся на восточном берегу Чилдирского озера, к югу от Джала или Чала.<sup>2</sup> მართლაც, ერთ-ერთ რუკაზე კამაროვანს ზევით, ტბის ნაპირას აღნიშნული Р[азвалины] Албу́с სწორედ ჩვენი ალბუტი უნდა იყოს და, ამდენად, მისი მდებარეობაც შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს (ბოლოში r ასოს ნაცვლად c რომაა დაწერილი, კალმის შეცდომა უნდა იყოს). არქივისეული სიების შემდგენის მიერ ამ სოფლის სახელად ამოკითხული Алтун-ი (გვ. 19v, 13v) მხედველობაში მისაღებიც არაა.

33. სოფ. ზემო კაგარი ალჯაყალასთან—علي ار سر (I 16, 277; II 18, 271) და 34. სოფ. ქვემო კაგარი ალჯაყალასთან—فلا ار سر (I 16, 277; II 17, 271). „დავთრის“ დროს ორი კაგარია აღრიცხული—ზემო და ქვემო. ახალ რუკებზე კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, კაგარი ერთია. ორივე კაგარი უკაცრიელად არის აღწერილი. არქივისეულ სიებში გვაქვს Кагар-ი (20r, 13v), რაც „კაგარის“ არმენიზებული ფორმა უნდა იყოს.

ამ პუნქტის სახელწოდებასთან დაკავშირებით შეინიშნება ერთი უცნაურობა. ადგილმდებარეობა მისი მითითებულია ალჯაყალასთან და მართლაც იგი აღნუსხულია ცნობილი ალჯაყალის აღმოსავლეთით. ოღონდ XIX ს. და მომდევნო ხანის ყველა რუკაზე ამ პუნქტის სახელად ფიქსირებულია არა კაგარი, არამედ Кагар-ი (კაგანი). მაგალითისათვის: ზუთვერსიანი რუკა, „ევროპ. რუსეთის სპეცრუკა“, ს. გ. ცხაკიას რედაქტორობით გამოცემული საქართველოს რუკა (1939 წ.), რომელშიც „გადაქართულებულად“ უაღაჩი (შდრ. აგრეთვე: Свод, 60) გვაქვს და სხვ. Кагар-ი აქვს აგრეთვე ექ. თაყაიშვილს, რომელიც 1902 წელს პირადად იყო ამ სოფელში.<sup>4</sup> ძნელი შესათანხმებელი სხვადასხვაობაა. არ არის მოსალოდნელი, რომ „დავთრის“ შემდგენელმა ასეთი შეცდომა დაუშვა და ჯარს-ის ნაცვლად არს-ი დაწერა. თურქ. კ (ზ) და კ (რ)-ს გრაფიკულ ნიადაგზე აღრევის ნაკლები შესაძლებლობაა. ძნელია აგრეთვე წარმოვიდგინოთ, რომ არს-ში ბოლოკიდური ასო კ იყოს

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, გვ. 91.

<sup>2</sup> Источники груз. летописей, Три хроники, СМОИИ, 28, გვ. 195.

<sup>3</sup> МАК, XII, 57.

<sup>4</sup> МАК, XII გვ. VII.

(დაწერილობას დიაკრიტიკული ნიშნები არა აქვს) და, ვთქვათ, კ ა გ ა ე-ად აღწერილი ეს სახელწოდება კ ა გ ა ჩ-ის პროტოტიპი იყოს (ჩვენ არა გვაქვს მაგალითი იმისა, რომ ე-საგან მივიღოთ ჩ).

მაგრამ ფაქტი ის არის, რომ კაგარ თუ კაგაჩ სახელწოდების შატარე-ბელი სოფელი ყოფილა ორი—ზემო და ქვემო. ადგილმდებარეობა მათი გარკვეულია ყველა რუკაზე. ამას შეიძლება დავსძინოთ ის, რომ თურქებს ამ სოფლისათვის შეურქმევიათ ახალი სახელი Султанийе<sup>1</sup>. 1878 წელს კაგაჩში აღრიცხულია 13 კომლი<sup>2</sup>.

34. სოფ. ქვემო კაგარი—იხ. აქვე, № 33, გვ. 401.

35. სოფ. თანბურაჯი—تانبوراجی (I 16, 277; II 18, 272). დაწერილობის ამგვარად წაკითხვა, თითქოს, უქვევლია. მომდევნო (№ 36) სოფელთან კიდევ იხსენიება ეს პუნქტი და ეს მეორეჯერ მოცემული დაწერილობა უფრო აძლიერებს ამ სახელწოდების თანბურაჯი-დ წაკითხვის შესაძლებლობას. „თანბურაჯი“ სიტყვა თურქულია და ასე შეიძლება დაიშალოს: تانبوراجی → tambura (არაბ.-თურქ.) 'მუსიკალური სიმებიანი ინსტრუმენტი' + جی—კიდევ სიტყვის წარმომქმნელი აფიქსი; تانبوراجی → tamburaci 'თამბურის მკეთებელი ოსტატი', 'თამბურზე დამკვრელი'. ამ სოფელში „დავთრის“ დროს ქართული მოსახლეობაა (მანასე ზაქარას-ძე, სახელად ოქრო, ბატატა აშხიას-ძე და სხვ.) მაშინ რატომ ეწოდება სოფელს თურქული სახელი? უნდა ვფიქროთ, რომ ან ეს სახელწოდება თარგმნილია ქართულიდან (შდრ. ოქროსციხე → ალთუნ-კალცა, მგელციხე → კურთკალცა და სხვ.), ან არადა, შესაძლებელია, რომელიმე ქართული სახელწოდება გააზრიანებულ იქნა „თანბურაჯი“-სთან. თანბურაჯის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით არ ვიცით. „დავთრის“ დროს ამ სოფელში 7 მოსახლეა.

36. სოფ. ეშქუნი (?)—თანბურაჯისთან—عشکون (I 16, 277; II 18, 272). ამ დიაკრიტულნიშნებიან დაწერილობაზე დაკვირვებამ ახლა უფრო დამაჯერა, რომ عشکون—ეშქუნ ამოკითხულობა სწორი უნდა იყოს. ამ სოფლის მდებარეობა ნაჩვენებია თანბურაჯისთან, მაგრამ თვით თანბურაჯის მდებარეობა არ ვიცით. ხუთკომლიანი სოფელია.

37. სოფ. საბადური ქაჯესციხის რაბათთან—صبادور نرد سابط (I 16, 278; II 18, 272). არქივისეულ სიებშიც Сабадур-ია (20r, 13v). რუკებზე ყველგან აღნიშნულია რაბათის (ჩილდირის რაბათის) ჩრდილოეთით, სოფ. ვარდმანასთან ახლო. ზოგიერთი რუკის (ხუთვერსიანი, „ევროპული რუსეთის სპეტრუკა“ და სხვ.) Сабадур-ი, ან, მით უფრო, Сабадур-ი<sup>3</sup> სწორი არ არის. საბადური (ასეა აგრეთვე ერთვერსიან რუკაზე) სწორი ქართული ფორმა უნდა იყოს. როგორც ამას კ. ვანიც აღნიშნავს,

<sup>1</sup> რუკა Грузинская ССР — ნ. სუხდალცევასა და ა. პიგოვაროვის რედაქტორობით.

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.

<sup>3</sup> Свод, 60; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.



მართლაც შეიძლება სა-ბაღ-ურ სიტყვა ვავიგოთ როგორც „ბადის გასაშლელი ადგილი“<sup>1</sup>. სოფ. საბადური „დაეთრის“ დროს უკვე „ცარიელია რეცხა-საგან“, ხოლო 1878 წელს 6 კომლიანი სოფელია<sup>2</sup>.

საინტერესოა, რომ საბადურის ლოკალიზებისათვის „დაეთრის“ შემდგენელი უჩვენებს, რომ იგი (საბადური) ქაჯისციხესთან არისო. თვით ქაჯისციხე კი, როგორც საგადასახადო ობიექტი, ცალკე დასახელებული არ არის. ეს ფაქტი კი იმას მოწმობს, რომ „დაეთრის“ დროს ქაჯისციხე უკვე მიტოვებული იყო (ქაჯისციხე 1578 წ. ლაშქრობის შედეგად უნდა იყოს დანგრეული).

ვახუშტი ქაჯისციხეს ციხე-ქალაქ წუნდასთან აიგივებდა და ამბობდა, რომ „ამასვე (წუნას) უწოდეს ტური, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთა-ტუნი, დამერე ეწოდა ქაჯთა-ციხე“<sup>3</sup>. ვახუშტის ქაჯისციხის შესახებ ამ გაგებაში მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა პროფ. ექ. თაყაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ თითქმის თნოვეის პირდაპირ მდებარე წუნდას არაფერი საერთო არა აქვს ქაჯისციხესთან. ექ. თაყაიშვილმა შემდეგნაირად დააზუსტა ქაჯისციხის მდებარეობა: „...ниже Зүрзүны [Дзүрдзы—ს. ჯ.] Кара-су образует весьма дикое, тесное, скалистое ущелье вплоть до впадения в Күру. При слиянии ее с Күрою, несколько ниже селения Рабат [Чилдирский Рабат—ს. ჯ.] находится хорошо сохранившаяся крепость Каджис-цихе, переименованная татарами в Шайтанкала. В переводе как Каджис-цихе, так и Шайтан-кала одинаково означает «Чертова крепость»“<sup>4</sup>.

„მესხური დაეთრის ქრონიკაში“ ქაჯისციხე აქტიურ მოქმედებათა ობიექტია: „კოკოლა თავის ძმის-წულსა და ბატონს მანუჩარს შემოჰფიცა, ქაჯის-ციხე უკმოქცირა, მერმე ფიცი გაუტეხა...“, „...გავილაშქრეთ ენკენისთუმ ნახევარს და ქაჯის-ციხეს მოვადეგით“...<sup>5</sup>, „...ბატონი მანუჩარ ჯავახხის წავიდა, ფოსო და ჯავახხეთი დაარბივა, და გურგაქს ქაჯის-ციხე გაუბარაქინა...“<sup>6</sup> სწორედ ლაპარაკია ამ ქაჯისციხეზე, რომელმაც, როგორც ექ. თაყაიშვილმა შენიშნა, დიდი როლი ითამაშა თურქების მიერ საქართველოს ამ ნაწილის დაპყრობის დროს<sup>7</sup>. საბოლოოდ თურქებმა ქაჯის-

<sup>1</sup> К. Ф. Гаф, Опыт объяснения, ... СМОМПК, 40, გვ. 120.

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.

<sup>3</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომთურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 130.

<sup>4</sup> МАК, XII, გვ. 58, 59. ამის შემდეგ. ცხადია ძალას კარგავს ამავე ავტორის განმარტება ქაჯისციხის მდებარეობის შესახებ, რომელიც მან „მესხური დაეთრის ქრონიკის“ რუსულ თარგმანს დაურთო: Три хроника—СМОМПК, 28, გვ. 197; იხ. აგრეთვე: Л. Меликсет-Бек, Мегалитическая культура в Грузии и ее пережитки в эпоху Руставели. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1943, გვ. 155, 156.

<sup>5</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოც. ექ. თაყაიშვილის მიერ. გვ. 93; Три хроника გვ. 197.

<sup>6</sup> სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 96; აგრეთვე გვ. 98.

<sup>7</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. 59.

ციხე დაიპყრეს ლალა-ფაშის საქართველოში გამოლაშქრების დროს—1578 წ.— როდესაც ქაჯისციხის მთელი გარნიზონი განადგურებულ იქნა<sup>1</sup>. ამ დროიდან არის, ალბათ, ქაჯისციხე აოხრებული და მისი რაბათი უმოსახლოდ დარჩენილი.

„დაეთარში“ სოფ. საბადურის ქაჯისციხესთან ახლო მოხსენებულობის ფაქტი სავსებით ადასტურებს ექ. თაყაიშვილის მიერ ქაჯისციხისათვის განსაზღვრულ მდებარეობას. თურქებმა, როგორც ექ. თაყაიშვილიც შენიშნავს, ქართული „ქაჯისციხე“ თარგმნეს და უწოდეს მას *Şeytan-kal'a*<sup>2</sup>. Hammer-ის „ოსმალეთის იმპერიის ისტორიის“ თურქულად მთარგმნელის M. 'Atā-ს ცნობით ანონიმურ თხზულებაში „*Tarih-i 'Osmān paşa*“, გარდა *شيطان قلعه*, ქაჯისციხე *ايسى قلعه* სიტყვებითაც არის თარგმნილი (*ايسى* არაბ. ნიშნავს იმავე 'ეშმაკს', 'ქაჯს')<sup>3</sup>. Hammer-მა, რომელიც თურქული წყაროებით სარგებლობდა, ქაჯისციხის სახელი გერმანულადაც თარგმნა. ...und an folgenden Tage wurde blutige Schlacht geliefert dem Toknakchan vor Tschildir, einem kleinen georgischen Schlosse, das auch das Tenfelschloss heisst<sup>4</sup>. ცხადია, აქ ლაპარაკია ქაჯისციხეზე. აკად. ივ. ჯავახიშვილი ემყარება ი. ჰამერის ისტორიის ამ აღვილს და წერს, რომ „ჩილდირი უდრის ქაჯისციხეს“<sup>5</sup>. მართლაც, ი. ჰამერი აქ ამბობს, რომ ჩილდირის ციხეს ქაჯისციხეც ერქვაო, მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ჩვენ ამგვამად არ გვაქვს შესაძლებლობა შევიამოწმოთ ჰამერის წყაროების სათანადო აღვილები. მაგრამ „დაეთარში“, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, ჩილდირის ციხის რაბათი ცალკეა აღწერილი (I 15, 263; II 17, 258)<sup>6</sup>, ხოლო ქაჯისციხე კიდევ ცალკეა დასახელებული სოფ. საბადურთან (I 16, 278; II 18, 272)<sup>7</sup>. რუკაზეც (ხუთფერისიანი) სოფ. საბადურთან ახლო აღნიშნულია P[азваши-ны] Укр[епления], რომელიც ქაჯისციხე უნდა იყოს („დაეთარში“ ნათქვამია, რომ საბადური ქაჯისციხესთანაა), ხოლო ძურძნის (ზურზუნის) ახლო და მის ჩრდილოეთით ცალკე აღნიშნულია Рабат, ან ზოგ რუკაზე Ирабат-ი, რომელიც ჩვენ ჩრდილის რაბათად მივიჩნიეთ (რაბათი, როგორც გაირკვა, ციხესაც ჰქვლიდაცხობს). გარდა ამისა, პროფ. ექ. თაყაიშვილი, რომელიც თავის მოგზაურობის დროს 1902 წელს უშუალოდ გაეცნო ამ ადგილებს, არაფერს ამბობს ჩილდირისა და ქაჯისციხის იდენტურობის შესახებ. პირიქით, იგი გამოიხატავს რაბათს („დაეთარის“ მიხედვით ჩილდირის რაბათს) ქაჯისციხისაგან: ...несколько ниже селения Рабат находится хорошо сохранившаяся крепость К а д ж и с - ц и х е...<sup>8</sup> ნაკლებად საფიქრებელია, რომ

<sup>1</sup> МАК, XII, 59; აქვე მთავსებულია ქაჯისციხის სურათი.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 58: Калжис-цихе, или Шайтан-кала.

<sup>3</sup> عطا مترجمى م. عطا. تاريخ عثمانيه. هامبر. სტამბოლი, 1332 (პიჯრით), ტ. VII, გვ. 61, შენ. 2.

<sup>4</sup> GOR, II, გვ. 480.

<sup>5</sup> ქართველი ერის ისტორია, IV, 273.

<sup>6</sup> აქვე, გვ. 379 (ქ. 1. სოფ. ჩრდილის ციხის რაბათი).

<sup>7</sup> აქვე, გვ. 402, № 37. სოფ. საბადური ქაჯისციხის რაბათთან.

<sup>8</sup> МАК, XII, 58.

ქაჯისციხის რაბათად იგულისხმებოდეს რუკების ის Рабат-ი, რომელიც ჩვენ ჩილდირის რაბათად მიგვაჩნია. ქაჯისციხეს ექნებოდა თავისი რაბათი, რომელიც, როგორც ვთქვით, „დაეთრის“ დროისთვის უკვე გავერნებულა.

ქაჯისციხე, როგორც მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, ძალიან უღალ და მიუდგომელ ადგილას უნდა ყოფილიყო, რომ მას „მრისხანე ციხესაც“ ეძახიან. ექ. თაყაიშვილი, მაგალითად, წერს: Недалеко от Зурзуны [Дзурдзы—ს. ჯ.], на берегу Куры, мы осмотрели грозную крепость Каджис-пихе, или Шайтанкала, часто упоминаемую в грузинских хрониках... და შემდეგ: Необыкновенная высота совершенно отвесных скал и пропасть, над которою висит крепость, делали ее неприступною<sup>1</sup> (შდრ. „ყოვლგნით კლდეა, ვარეშემო მტერი ვერა მოადგების“). ამიტომ არის, რომ ფიქრობენ, რომ შ. რუსთაველს თავის „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი მიუვალი ქაჯეთის ციხისათვის ნიშნად ეს ქაჯისციხე აქვს აღებულიო<sup>2</sup>.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა მართებულად უარყო აკად. მ. ბროსეს მოსახ. რება, რომ ქ. პორფიროგენეტის კეჯეს ციხე—ი აჯაჟოუ თი აჯაჯოუ—ქაჯისციხე, ან საქართველოს სხვა რომელიმე ციხე იყოს<sup>3</sup>.

38. სოფ. ვარდმანა სოფ. საბადურთან—آرادا, (I 16, 278; II 18, 272). რუკებზე (ხუთვერსიანი, „ვეროპული რუსეთის სპეცრუკა“ და სხვ.) Вармана აღნიშნულია საბადურის ოდნავ დასავლეთით. რადგანაც ყველა რუკებზე და არქივის მასალებშიც Вармана-ა<sup>4</sup>, ამიტომ შეიძლება „ვარდმანას“ დ თურქულში გამეღერებული ქართული მკვეთრი ტ-ს ბგერინა(ცვლი იყოს. სოფ. ვარდმანაც გაუქაცრიელებულად არის აღწერილი. 1878 წელს მასში ირიცხება 17 კომლი.<sup>5</sup>

39. სოფ. ჯიგრაშენი (?) სოფ. ფექრაშენთან—جگراشن (?) زرد قره (I 16, 278; II 18, 273). ჯიგრაშენ სიტყვის სწორად ამოკითხულობაში ჩვენ ექვი შეგვექონდა და ორთავე წიგნში იგი კითხვითი ნიშნითა დაბეჭდილი. საქმე იმაშია, რომ ძირითად ტექსტში (დედანი, გვ. 255) თითქოს გვაქვს جگراშ მოხაზულობა, რომელშიც ბოლოკიდური ასო სრულე-ბით არ არის წარმოდგენილი. جگრაშ-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელების საერთო მოხაზულობასთან შედარებამაც ეს ექვი გააძლიერა; جگრაშ და ასოებს იქ სხვა მოყვანილობა აქვთ (იხ., მაგალითად, დედნის 256 გვერდ-

<sup>1</sup> МАК XII, გვ. VII და 58.

<sup>2</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, გვ. 282 (1388).

<sup>3</sup> Проф. Л. Меликсет-Бекоев, Крепость Каджети, «Заря Востока», № 113 (4134) от 20.V.1937 г.; მისივე: Мегалитическая культура в Грузии и ее пережитки в эпоху Руставели (Приложение: К вопросу об идентификации Каджетской крепости с Шайтан-кала. Сказ о Каджетис-пихе, записанный проф. М. Чыковани); ჭუჭინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1943, გვ. 164.

<sup>4</sup> ს. ყაუხჩიშვილი, გეორჯია, IV, თბილისი, 1952, გვ. 265.

<sup>5</sup> სცია, ფ. 415, ს. 77.

<sup>6</sup> იქვე.

ზე „ფექრაშენის“ თურქული დაწერილობა). სამაგიეროდ, „დავთრის“ ე. წ. საგადასახადო ობიექტთა სიაში (იხ. დედნის 20-ე გვ.) ამ სოფლის სახელად უთუოდ جگرمشين-ი გვაქვს. არქივისეულ რეგისტრებში ჩვენ მიერ ამოკითხულ ვარიანტს უქერენ მხარს—Джакырашен (20r, 13v). გაუკაცრიელებული სოფელია, რომელიც ნაჩვენებია ფექრაშენთან ახლო მდებარედ. რუკებზე (მაგალითად, „ევროპ. რუსეთის სპეტრუაზე“) ფექრაშენთან ახლო, მისგან სამხრეთით და ჩრდილის ტბის ბოლოში აღნიშნულია სოფ. Герашен-ი. „საქ. ისტ. რუკაზედაც“ გერაშენია. ვფიქრობდი, „დავთარში“ ფექრაშენთან ახლო აღნუსხული ჯიგრაშენი შეიძლება ეს გერაშენი იყოს-მეთქი. ინელი ასახსნელი იქნებოდა, რა თქმა უნდა, „ჯიგრაშენისა“ და „გერაშენის“ ფონეტიკური სხვადასხვაობა. შემდეგ გაირკვა, რომ ერთ-ერთ რუკაზე აღნიშნულია Джерашен-იც („დავთრის“ მიხედვით ჯიგრაშენი) და I-erashen-იც<sup>1</sup>. მაშასადამე, დამოუკიდებელი პუნქტებია, ოღონდ Герашен-ი „დავთარში“ არაა აღწერილი. ამავე დროს ვ. კობონაშვილი ჩილდირის სოფლების ჩამოთვლისას ფექრაშენთან ასახელებს გერაშენს (ჯიგრაშენს—არა).<sup>2</sup> ამრიგად, ჯიგრაშენი თუ გერაშენ-გირაშენი, თუ ორივე ცალ-ცალკე? მათი მდებარეობისა და ქეშმარიტი ქართული სახელწოდების დადგენისათვის ჯერჯერობით მასალა გვაკლია.

40. სოფ. سره-ურთა სოფ. ურთასთან—سره اوره (I 16, 278; II 18, 273). ამ სიტყვის პირველი ნაწილის ამოკითხვა ვერ მოხერხდა. ნაჩვენებია სოფ. ურთასთან, რომელიც ჩვენ ამავე ნაპიფში № 2 სოფლად განვიხილეთ<sup>3</sup>. ურთა (№ 2) საკმაოდ დიდი, 45 კომლიანი სოფელია, ეს ...ურთა კი 22 კომლიანია. ამ სოფლის სახელიც ურთაა, ოღონდ ეს შეიძლება ყოფილიყო ზედა ურთა თუ შიდა ურთა; ეს შიდა ან ზედა ვერ ითარგმნა, თუ დამახინჯდა? დამატებითი მასალა საჭირო.

41. სოფ. ქვემო მერადისი—სოფ. مراديس سفلا (I 16, 279; II 18, 273), 50. სოფ. ზემო მერადისი—مراديس عليا (I 16, 280; II 18, 275). ამრიგად ჩვენ გვაქვს ქვემო მერადისი და ზემო მერადისი. მართალია, ყველა რუკაზე და სხვა ლიტერატურაშიც უსათუოდ მერედისი გვაქვს, მაგრამ ეს თურქიზებული ფორმა უნდა იყოს. კერძოდ, ქართულად მერადისი უნდა ყოფილიყო და შემდეგ ხმოვანთა ჰარმონიის წესით მერადისი→მერედისი. მერადისი უნდა ყოფილიყო, რადგანაც პირველ შემთხვევაში დედანში (გვ. 256) გვაქვს مراديس, სადაც მესამე ასო ა-დაც იკითხება და ე-დაც, მაგრამ მეორე შემთხვევაში (გვ. 257) უკვე გვაქვს—مراديس სადაც მესამე ასო ელიფია და მხოლოდ ა-დ იკითხება. მესამეჯერ ამ სოფ-

<sup>1</sup> Надпись Сардура II, сына Аргыштия, в Даш-кертн на Чалдырском озере. Исааки перевел, исследовал Н. Я. Марр. Петроград, 1919. Таблица IV—Мармашев... и Даш-кертн (რუკა).

<sup>2</sup> ვ. კობონაშვილი, მგზავრის დღიურიდან, „ივერია“, 1894, № 155.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, გვ. 381.

<sup>4</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК. XII, 55.

ლის სახელი გვხვდება სოფ. ჩაქიუხერის მდებარეობის დასაზუსტებლად<sup>1</sup>. აქ უკვე უხმოვნოდ არის მოცემული დაწერილობა *سرادس*-ი. აქ უკვე „დავთრის“ შემდგენელს გაეპარა ალბათ ასიმილირებული ფორმა *سرادس* = მერედის-ი: არქივისული სიების *Марадис*-ი და *Мередис*-იც (20გ, 13ვ) სწორი არაა.

ამრიგად, მიუხედავად შემდეგ ხანებში გავრცელებული თურქიზებული ფორმისა—მერედისი (რუკები და სპეც. ლიტერატურა), ამ პუნქტების ძველი ქართული სახელი უნდა ყოფილიყო *მერადის-ი*.

აღვიწმინდებარობა ამ სოფლისა ყველა რუკაზე გარკვევითაა აღნიშნული—ჩრდილის ტბის დასავლეთით, სოფ. ურთის სამხრეთით. ექ. თაყაიშვილის მიხედვით: В 2 верстах к югу от Урта находится селение Мередиси на берегу речки Мередис-цкази, впадающей в Чалдырское озеро<sup>2</sup>. „დავთრის“ დროს ორივე მერადისი გაუკაცრიელებულია, ხოლო 1878 წ. მერადისში 17 კომლია აღრიცხული<sup>3</sup>.

42. სოფ. ჩაქიუხერ (?) მერედისთან — *چکی اوخیر* (I 16, 279; II 18, 273). უკაცრიელი სოფელია. რუკებზე (ხუთვერსიანი, ევროპ. რუსეთის სპეცრუკა<sup>4</sup> და სხვ.) მერადისის სამხრეთით, ჩილდირის ტბის სანაპიროზე აღნიშნულია სოფ. *Джаханхур*-ი. ვფიქრობ, რომ „დავთრის“ ჩაქიუხერ || *چکی اوخیر* და რუკების *Джанхур* ერთი და იგივე პუნქტია. ვინ იცის, ეგების ეს ქართული „ქაქიოხერი“ ცა და სხვა რამეც არის. მაგრამ *چکی اوخیر*-ისა და (თავკიდური *ჯ* დიაკრიტულნიშნისა) *Джанхур*-ის ფონეტიკურ შესაბამისობაში მოყვანა ჯერჯერობით რთული საქმეა. *ჯაიხურია* აგრეთვე 1923 წ. გამოცემულ „საქ. ისტ. რუკაზე“. არქივისული სიების *Чакхавхер*-ი, შეიძლება, სწორიც იყოს.

43. სოფ. ალვანა? სოფ. ფექრაშენთან — *الوا* (?) (I 16, 279; II 18, 273). ძირითად ტექსტში (დედანი, გვ. 256) *الوا* წერია (იხ. I 279), ხოლო საგადასახადო ობიექტთა სიაში (დედანი, გვ. 20) მარტო *الوا* (II წიგნში ეს გარემოება არ არის გათვალისწინებული). ვფიქრობ *الوا* უფრო სწორია, ხოლო *الوا*-ის მეორე ნაწილი *را* მომდევნო *را* სიტყვის შეცდომით დაწერილი გამეორება უნდა იყოს. ამ დაწერილობას დიაკრიტიკული ნიშანი არა აქვს, მაგრამ ძალიან მაცდუნებელია *الوا*-ს ალვანა-დ წაკითხვა. ფექრაშენთან ახლო არაავითარი პუნქტი რუკაზე აღნიშნული არ არის. ამდენად ასეთი ამოკითხვა ამ სახელწოდებისა უადრესად პირობითია. არქივისულ სიებშიც *Алвана*-ა (20გ, 13ვ) დადასტურებული. სოფელი „ცარიელია რეჟან-საგან“.

<sup>1</sup> იხ. აქვე ქვემოთ, სოფ. № 42.

<sup>2</sup> МАК, ХП, 55; И. Павлюхов, Озеро Чалдыр и его окрестности, «Кавказ», 1890, № 322; სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77ვ.

<sup>3</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77ვ.

44. სოფ. ფექრაშენი — ამავე სოფლის ჩაირის არხში (დაქერილი) თევზის ცუშურიტოტო — بکرشین (I 16, 279; II 18, 274). არქივისეული სიების Бикрашен (20r, 13v) სწორი არ არის. 1923 წ. გამოცემულ „საქ. ისტორიულ რუკაზე“ ფექრაშენი — ა. სხვა რუკებზეც (მაგალითად, „ევროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“) Пекрашен-ია<sup>1</sup>. მდებარეობს ჩრდილის ტბის დასავლეთ სანაპიროზე გერაშენის ჩრდილოეთით.

ფექრაშენი საკმაოდ დიდი, 39 კომლიანი სოფელია, მათგან ორი კომლი მაჰმადიანია.

45. სოფ. ქორეთი (?), ს. ფექრაშენთან — كوريت (?) (I 16, 280; II 18, 274). დაწერილობა كور (დედანი, გვ. 257) დიაკრიტული ნიშნების გარეშეა, მაგრამ ძალიან გარკვეული იმისათვის, რომ ქორეთ — ად წავიკითხოთ. ასეთი სახელწოდების პუნქტი უკვე გვექონდა ასპინძის ნაჰიფეში და სხვაგანაც. მისი მდებარეობა მითითებულია ფექრაშენთან ახლო. ქვემოთ აღწერილი სოფ. ლავაში მითითებულია სოფ. ქორეთთან ახლო მდებარეობსო (იხ. ქვემოთ, № 46), ხოლო ლავაშის ტბასთან აღნუსხულია რუკაზე Кюрд-кеи<sup>2</sup>. შესაძლებელია ეს „ქურთ-სოფელი“ გააზრებული ქორეთი იყოს. არქივისეული სიების მიხედვითაც Копер-ია (20r, 13v). უკაცრიელი სოფელია.

46. სოფ. ლავაში სოფ. ქორეთთან — لواسي (I 16, 280; II 18, 274). არქივისეულ სიებში Лвас-ი გვაქვს (20r, 13v). „ევროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ ჩრდილის ტბის სამხრეთით აღნიშნულია — Оз. Лвас-Гелас. ცხადია სოფ. ლავაშიც მასთან ახლო, ან უშუალოდ ამ ტბის ნაპირზე უნდა ყოფილიყო (ტბა გარეგნულად მართლაც ლავაშს ჰგავს). რადგანაც სოფ. ლავაშის მდებარეობა სოფ. ქორეთთან არის მითითებული, მაშასადამე სოფ. ქორეთი სადმე ამ ლავაშის ტბასთან უნდა ყოფილიყო. უკაცრიელი სოფელია. ამ სოფელზე შეწერილ 800 ანჩიან გამოსალეებში ლავაშის ტბის თევზჭერაზე შეწერილი გადასახადიც შედის.

47. სოფ. კურავერი სოფ. ძურძნასთან — كورايير (I 16, 280; II 18, 275). ჩემი აზრით, ეს ის სოფელია, რომელიც მართლაც ძურძნასთან არის ნაჩვენები და რომელსაც რუკაზე Куравел-ი (ხუთვერსიანი) და Куравел-ი („ევროპ. რუსეთის სპეცრუკა“) ეწოდება. კურაველი იგივე დისიმილირებული კურავერია. „დავთრის“ დროს უკვე უკაცრიელი სოფელია, რომელშიც 1878 წ. ირიცხება 16 კომლი (აქ Куравел-ი წერია)<sup>3</sup>.

48. სოფ. იზნაზორი სოფ. ქორეთთან — يزور (I 16, 280; II 18, 275). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები მთლიანად აქვს. ქართულ თარგმანში (წ. II) კითხვითი ნიშანი ინიტომ გვაქვს, რომ ქართულად შეიძლება იძნაძორიც ყოფილიყო. ეს იზნაზორი რუკებზე (1923 წლის „საქ. ისტ. რუკა“, „ევროპ. რუსეთის სპეცრუკა“ და სხვ.) ლავაშის ტბის სამხრეთ-

<sup>1</sup> შტრ. Свод, 62; აგრეთვე სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.

<sup>2</sup> „ევროპ. რუსეთის სპეცრუკა“.

<sup>3</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77v.

აღმოსავლეთით იგნაზორ || Игнатор-ად არის აღნუსხული. იზნაზორისაგან Игнатор-ი რუსულ გრაფიკულ ნიადაგზე მომხდარი ლასუსის შედეგი უნდა იყოს (რუსული ჰ ასოს აღრევა r-ში).

49. სოფ. ღვინისწყარო, მეორე სახელი ბასილ ქოი (?) (=ბასილის სოფელი?)—*غوئخارو نم بصر باصل(?) كوی* (I 16, 280; II 18, 275). არქივისეული სიების ჩიოსიკარო (20r, 13v) სწორი არ არის: თავიღური თანხმოვანი დედანში (გვ. 257) *غ* ასოთია გამოხატული. საერთოდ ამ დაწერილობას მთლიანად აქვს დასმული დიაკრიტული ნიშნები და თითქოს ამოკითხულია სწორად. ახლანდელი დაკვირვებაც თითქოს ადასტურებს, რომ ამ სოფლის მეორე სახელი ბასილის-სოფელი უნდა ყოფილიყო. სოფელი უკაცრიელია.

50. სოფ. ზემო მერადისი—*مرادس علیا* (I 16, 280; II 18, 275). იხ. აქვე 41. სოფ. ქვემო მერადისი, გვ. 406.

51. სოფ. მერესალი (?)—*مرسال(?)* (I 16, 280; II 18, 275). ამ დაწერილობის ამგვარად ამოკითხვა საერთოდ საეხებო შესაძლებელია (დედანი, 257); დამადასტურებელი მასალა არ არის. არქივისეული სიების ჩარათა და ჩარათა ვარიანტები უსაფუძვლოა. სოფელი უკვე გაუკაცრიელებულია.

#### IV. ჩრდილის (ჩილდირის) ლიწა

##### 17. ქანარბელის ნაჰიე

1. სოფ. ქანარბელი — كارساك (I 16, 281; II 18, 275). სოფ. ქანარბელი, რომლის სახელითაც ცნობილია ჩრდილის ლიწის ეს ნაჰიე, მდებარეობს კარწახის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირას (მაგალითად, ხუთვერსიანირუკა, „ვეროპ. რუსეთის სპეცრუკა“ და სხვ.). ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ საერთოდ ტბის ეპონიმად ხშირად ხდება დასახლებული პუნქტი, რომელიც ამა თუ იმ ტბის ნაპირას მდებარეობს (შდრ. სოფ. ფარავანი → ფარავნის ტბა, სოფ. ტაბისყური → ტაბისყურის ტბა<sup>1</sup> და სხვ.). ამ შემთხვევაშიც ტბას, რომლის ნაპირებზე კარწახ, ხოზაპინ და ქანარბელ პუნქტები მდებარეობენ, რქმევია სამივე ამ სოფლის სახელი. პროფ. ექ. თაყაიშვილის მიხედვით: озера, в старину известного под названием Кардахского, от деревни Кардах или Карзах..., на русских картах озеро названо Хозапинским, вероятно, от урочища Хозапин..., некоторые называют озеро также Карнабельским от селения Карнабель, расположенного на южном берегу<sup>2</sup>. ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით 10 ვერსზე მდებარეობს ხოზაპინის ან, როგორც მას ადგილობრივები ეძახიან, კონორბელის (=ქანარბელის) ტბა<sup>3</sup>.

ექ. თაყაიშვილი ჩარნაბელს წერს; შესაძლებელია მან ხალხში ასეთი პეტათეზისიანი ფორმა ჩაიწერა. მე ვფიქრობ „დავთრისეული“ ვარიანტი كارساك<sup>4</sup> || ქანარბელ-ი, რომელსაც მხარს უჭერს რუკები — Канарбель და აგრეთვე არქივისეული სიებიც Канар Бель („ბელ“ ცალკე წერია შეიძლება იმიტომ, რომ ის გააზრებულია თურქ. bel-თან 'წელი', 'ბარი' და სხვ.) და Какорбель (გვ. 20r, 13v; უკანასკნელი შეცდომითაა დაწერილი) ამ სოფლის სწორი ქართული სახელი უნდა იყოს. კარწახელ სომეხთაგან ამ სოფლის სახელად მაქვს ჩაწერილი ქანარბელ<sup>5</sup> ვარიანტიც, რომელშიც ნ-ს მომ-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 288, 345.

<sup>2</sup> МАК, XII, 45.

<sup>3</sup> И. Павтыков, Озеро Чалдырь и его окрестности, «Кавказ», 1890, № 322.

<sup>4</sup> იხ. აგრეთვე: «Камарбель близ озера Хозапин» (Л. Меликсет-Бек, Мегалитическая культура в Грузии и ее пережитки в эпоху Руставели (Приложение: К вопросу об идентификации Калджетской крепости с Шайтан-кала). პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1943, გვ. 164.



დევნო ბ-სთან ნაწილობრივი ასიმილაცია გვაქვს. ერთ-ერთ რუკაზე გვხვდება აგრეთვე Кянар белх ვარიანტიც.

ქარწახის (ქანარბელის, ხოზაპინის) ტბას ახსენებს ვახუშტი შემდეგ კონტექსტში: „...მთის ძირად არს ტბა ქარწახისა, დიდი და აღესილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა...“<sup>1</sup>. ცხადი ხდება, რომ ვახუშტის ამ ტბაზე სწორი ინფორმაცია არ ჰქონია. ი. როსტომაშვილმა და ექ. თაყაიშვილმა უკვე უარაყვეს ამ ტბის თევზიანობა<sup>2</sup>. თუმცა ი. როსტომაშვილი და ექ. თაყაიშვილი ამ ტბის უთევზობას ხსნიან იმით, რომ ამჟამად ამ ტბაში არც ერთი მდინარე არ შედის და არც გამოდის, მაგრამ, მე ვფიქრობ, ამ ტბაში თევზი საერთოდ არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში „დავთარის“ დროსაც ამ ტბას გადასახადი თევზჭერაზე არა აქვს შეწერილი მაშინ, როდესაც, როგორც დავინახეთ, სალამოს, ფარაენის, ისკუნდრიეს (?), ჩრდილისა და სხვა ტბებზე თევზჭერა ყველგან დაბეგრილი იყო<sup>3</sup>.

ქარწახის ტბა თურქეთთან სასაზღვრო ხაზით შუაზეა გაყოფილი. სოფ. ქანარბელი მისი (ტბის) სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზეა, თურქეთში. „დავთარის“ დროის ქანარბელი დიდი, 52 კომლიანი სოფელია.

2. სოფ. ხავეთი — خاوت (I 16, 282; II 18, 276). არქივისეულ სიებშიც. Xавет-ია (20r, 13v). ხავეთი აწინდელი ახალქალაქის რაიონში ხავეთის სასოფლო საბჭოს ცენტრია, რომელიც აერთიანებს დავნია და ერინჯა სოფლებს<sup>4</sup>. იგი მდებარეობს ახალქალაქის რაიონში უკიდურეს სამხრეთში მდებარე მრავალ, დავნია და ერინჯა სოფელთა ზონაში (ხუთვერსიანი რუკა, „ევროპული რუსეთის სპეცრუკა“; აგრეთვე თანდართული რუკა). დ. ბაქრადის მიერ გამოცემულ „სამცხე-საათაბაგოს მლუღელ-მთავარნი და მწყემსნი“ში ნათქვამია: „კუმურდოელის სამწყსო ხერთვის ზევით სულ ჯავახეთი ხვეთამდი“<sup>5</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილის შესწორების მიხედვით „ხვეთამდე“ შეცდომითაა დაწერილი, „ხავეთამდე“ უნდა ყოფილიყო<sup>6</sup>. ქანარბელის ნაპიჯეში შემავალი ეს სოფ. ხავეთი არ უნდა აერიოთ იმ სოფელთან, რომელიც „დავთარში“ თითქოს არ იხსენიება და რომელიც ნიალისყურის ნაპიჯეში მდებარეობს ნიალასთან და ქარზამეთთან ახლო Гавет-ის სახელით (ხუთვერსიანი რუკა, „ევროპული რუსეთის სპეცრუკა“ და სხვ.). ექ. თაყაიშვილი სოფ. ქარზამეთს ასახელებს გავეთიდან (ბროსესთან = Ghavet) ორი ვერსის მანძილზე<sup>7</sup>. შესაძლებელია Гавет სოფლის ქართული სახელი ლავეთი ყოფილიყო. რატომღაც ეს Гавет სოფელი „დავთარში“ (ნიალისყურის რაიონში, რომელსაც ტერიტორიულად ის განეკუთვნება) აღრიცხული არ არის.

<sup>1</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 129.

<sup>2</sup> Ахалкацакский уезд в археологическом отношении, СМОПН, 25, გვ. 64-65; МАК, XII, 45.

<sup>3</sup> აქვე, გვ. 341, 345, 353, 391 და სხვ.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 20.

<sup>5</sup> Д. Баградзе, АПГА, 81.

<sup>6</sup> ქართველი ერის ისტორია, II (1948), გვ. 55, შენ. I.

<sup>7</sup> МАК, XII, 15-16; მ. ბროსე, Rapports... II, 158.

„დავთრის“ დროს ხავეთში 36 კომლიანი მოსახლეობაა.

3. სოფ. დიდი კარწახი—كركزاخ (I 16, 283; II 18, 277).

4. სოფ. პატარა კარწახი—كركزاخ (I 16, 283; II 18, 278). ვახუშტით: „ჯავახეთის მტკერის სამკრით, მალა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა კარწახისა...“<sup>1</sup> სწორი ქართული სახელი ამ ტბისა და სოფლისა, ამრიგად, კარწახია და ამდენად ი. როსტომაშვილის „...изеро Карзахское (ყარწახისა)...“<sup>2</sup> არც რუსულსა და არც ქართულ ტრანსკრიფციაში სწორი არ არის. „კარწახ“ სიტყვის თურქულად გადმოცემაში სრული კანონზომიერებაა დატული: კ და წ მკვეთრები სათანადო მუდგებებითაა გადმოცემული კარკზاخ || გ'არზახ-კარწახ-ი. ჰამერსაც თურქიზებული ფორმა აქვს — Gersachgüsi<sup>3</sup> (=კარწახის ტბა), ოღონდ მის წყაროში კარწახი კარკზ-ად უნდა ყოფილიყო ტრანსკრიბირებული და არა კარკზ-ად („დავთარი“).

კარწახის (ქანარბელის, ხოზაპნის) ტბა, ი. როსტომაშვილის მიხედვით, ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 25-30 ვერსის მანძილზე მდებარეობს. სიდიდის მიხედვით ფარავნის ტბაზე ცოტათი პატარაა<sup>4</sup>. საინტერესოა ი. როსტომაშვილის სხვა ცნობებიც კარწახის შესახებ: სოფ. ლართიდან<sup>5</sup> მას გადაულახავს მალალი მთა გუნეის(=მზვარის) უღელტეხილი და ისე ჩასულა კარწახში საღამოს. «До сумерек еще оставалось немного времени, и я прошелся по селу. Это довольно большое село раскинулось по обеим сторонам почтового тракта из Ахалкалаки в Ардаган, между большим болотом и озером. Жители все армяне. Остатков исторических не сохранилось, если не считать совершенно развалившейся крепости на близлежащей горе и старого грузинского кладбища с надмогильными памятниками»...<sup>6</sup>

„სულდიდან გზა მიდის სოფ. კარწახისკენ (ახალქალაქის მაზრაშივეა). კარწახი მეტად დიდი სოფელია და აზრუმიდანვე გადმოსახლებული სომხები ცხოვრობენ. სოფ. კარწახიდან არდაჰანის გზას ავუქციეთ და გავემგზავრეთ პირდაპირ სამხრეთისკენ; გზაზე შეგვხვდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გაგრძელებული მშენივრად ამწვანებული მთა, რომელსაც სახელად ეწოდება „გვეგ-ტალი“ (ლურჯი მთა)“...<sup>7</sup>

ხუთვერსიანსა და სხვა რუკებზედაც კარწახის ტბის ახლო, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით ყველგან აღნიშნულია სოფ. Карзах და Р(азвашином) кр(епости). „დავთრის“ დროს ორი მოზრდილი სოფელია კარწახის სახელით—დიდი და პატარა კარწახი. პირველში 33 კომლია, მეორეში—31. ამჟამადაც კარწახი ორია, მაგრამ შეცვლილი სახელებით: კარწახი და

<sup>1</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 129 და სხვ.; მეცხური დავითნის ქრონიკა, 90.

<sup>2</sup> СМОПК, ნაკვ. 25, გვ. 64.

<sup>3</sup> ГОР, II, 865.

<sup>4</sup> СМОПК, 25, გვ. 64; აგრეთვე, გვ. 410, 411.

<sup>5</sup> აქვე, გვ. 308.

<sup>6</sup> ი. როსტომაშვილი, იქვე, გვ. 62-64.

<sup>7</sup> ვ. კობონაშვილი, მგზავრის დღიურიდან, „ივერია“, 1894, № 155.

ვერანა კარწახი. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი კარწახთაგანი გაპარტახდა, გავერანდა და მას ვერანა კარწახი შეერქვა; შემდეგში რომ კვლავ მოშენდა ვერანა კარწახის სახელი მაინც შერჩა. აწინდელ ახალქალაქის რაიონში კარწახის სასოფლო საბჭოში შედის კარწახ, ვერანა კარწახ და ფილიპოვკა სოფლები<sup>1</sup>.

К. Гаи-ის მიხედვით, კარწახ-ი იმერული კაწახ = მწარე (?) სიტყვისაგან წარმოდგება<sup>2</sup>. კარწახის მნიშვნელობა სამხრეთ საქართველოში რა იყო, ჯერჯერობით არ ვიცი. საბას მიხედვით „დაკარწახება წვივის გაშიშვლებაა“<sup>3</sup>, ხოლო კარწახი წვივია<sup>4</sup> (იმერულში) და დიდი აღმართი (გურულში). შეიძლება უფრო ამ უქანასკნელი მნიშვნელობის კარწახს უკავშირდებოდეს ამ ტბის სახელი.

4. სოფ. პატარა კარწახი—იხ. ზემოთ, სოფ. № 3. დიდი კარწახი.

5. სოფ. მრაკეალი—مراکالی (I 16, 284; II 18, 278). არქივისეულ სიებში Мракъаа-ია (20r, 13v), რაც შეტდომია. რუკებზე (ხუთვერსიანი, „ვეროპული რუსეთის სპეტრუჟა“ და სხვ.) გვაქვს Мракъаа-ი; ეს, მე ვფიქრობ, მრაკეალის გადათურქულებული ფორმაა (ორ თანხმოვანს შუა ვიწრო ხმოვნის ჩასმა).

„დაეთრის“ დროის მრაკეალი საკმაოდ დიდი, 26 კომლიანი, 1870 წელს კი 15 კომლიანი სოფელია (კ. ზისერმანი, 6). მრაკეალი ახალქალაქის რაიონის ხავეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა ხავეთ, დაენია და ერინჯასთან ერთად<sup>5</sup>. მდებარეობს ხავეთსა და დაენიასთან ახლო, ახალციხიდან 76 ვერსზე (კ. ზისერმანი, 6).

6. სოფ. სამახორი—مرقاس (I 16, 285; II 18, 279). არქივისეულ სიებში წერია Самхоро, რაც სწორი არ უნდა იყოს (20v, 13v). არქივის მასალებში მოხსენებულია казенная пустошь Самахор-ი, რომელიც შემდეგ მიჯნებშია: ერთი მხრივ თურქეთი, მეორე მხრივ სოფ. მრაკეალის (იხ. ზემოთ, სოფ. № 5) მიწები და კიდევ კარწახის ტბა<sup>6</sup>. ცხადია, რომ მრაკეალი და წერილობა სწორედ ამ სამახორს გულისხმობს. სამახორის ხ თანხმოვანი დიალექტურადაა მიღებული და გადმოცემული ც-ით. დაქვეშარიტებული ქართული სახელი ამ პუნქტისა, ალბათ, არც რუსულ ტრანსკრიფციაში გვაქვს და არც თურქულში. II წიგნის სამყრო (?) სათანადოდ უნდა შესწორდეს. ზემოთ (გვ. 355) აქ შეჰიჩრის ნაჰიეში სოფ. № 69-ის სახელიც ზუსტად ასეთივე.

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>2</sup> К. Ф. Гаи, Опыт оъяснения... СМОНПК, 40, გვ. 73.

<sup>3</sup> ქართული ლექსიკონი (1928 წ.), გვ. 86 და 163 (კარწახ-ი).

<sup>4</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, 1089.

<sup>5</sup> იქვე; გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი წიგნში: გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბილისი, 1938, გვ. 33.

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—ახალქალაქის რაიონი... .

<sup>7</sup> სცია, ფ. 41, ს. 55, გვ. 1r; Самхор (კარწახის) იხ. აგრეთვე: სცია, ფ. 1012, ს. 15 გვ. 19 v; იქვე, ს. 31, გვ. 20r.

დაწერილობითაა გადმოცემული (ოლონდ. თავკიდური *ს-ია* და არა *ს-ნი*). არქივისეულ საბუთებში ამ პუნქტისათვისაც *Слѣдующіе* გვაქვს. ჩანს ორთავე პუნქტს ერთნაირი სახელი ჰქონია. „დაეთრის“ დროს ოცკომლიანი სოფელია.

7. სოფ. ოლოდა — *اولودا* (I 16, 285; II 18, 280). ხავეთსა და მრავალ-თან ახლო ხუთეკისიან რუკაზე აღნიშნულია *Киш(лак) Олода*, ე. ზისერ-მანს აღნიშნული აქვს *Олодский кордонный казачий пост* ახალციხიდან 72 ვერსზე (გვ. 5). 1923 წ. გამოსულ „საქართ. ისტ. რუკაზე“ ხავეთის ოდნავ ჩრდილო-დასავლეთით აღნიშნულია ოლოდაის ქვაბნი. მე ვფიქრობ, რომ „დაეთრის“ ოლოდა და ეს ოლოდაის ქვაბნი ერთი და იგივე ადგილი უნდა იყოს. ასევე იხსენიება ეს პუნქტი „მესხური დავითნის ქრონიკაში“: „აცნობა ოლოდაის ქვაბი დამა ბელანის შვილმა იასონ ვარაზიშვილს კოკო-ლასა და მის ძმასა ლაშქარასა“<sup>1</sup>.

ამ სოფელზე (I 286; II 280) ნათქვამია, რომ სოფელთან (ე. ი. ოლოდასთან, იხ. თანდართულ რუკაზე) ახლო მტკვარზე არის ერთადერთი ხიდი, რომელიც საქართველოს, ზერნიშატი და ყარსს აერთიანებსო, რადგანაც ამ ხიდის შეკეთება და აღდგენა დავალებული აქვს ოლოდაის მოსახლეობას, ამიტომ ეს მოსახლეობა გათავისუფლდეს საგანგებო გადასახადთაგან. აქ მოხსენებულია ზერნიშატი — *دشتر* (დედანი, 265). „დაეთარში“ ზერნიშატი ოზარნიშატი წერია (დიაკრიტული ნიშნები აქვს), მაგრამ „მესხური დავითნის ქრონიკაში“ ამ პუნქტის სახელი ზარნიშატი-ია: „მობრუნდეს, გორი დაუწუჟს და იმავე ზარნიშატი დადგეს“<sup>2</sup>. „საქ. ისტორიულ რუკაზედაც“ ზარნიშატი წერია. რუსულ რუკებზე თუ სხვა ლიტერატურაში<sup>3</sup> *Зарушад* და *Зарушад*-ი გვაქვს. ამ მაგალითებიდან, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ირკვევა, რომ ამ სახელწოდების შედგენილობაში ნ თანხმოვანი არ არის. ამდენად, ვფიქრობ, „დაეთრის“ *دشتر* დაწერილობაში შესაძლოა ასოს ზემოდან შეცდომით უნდა ჰქონდეს დასმული ნიშანი; იგი შესაძლოა ასოს ქვემოთ უნდა იყოს დასმული ორწერტილად — *دشتر*; ასეთი დაწერილობა კი ზარნიშატი-ად უნდა იქნეს წაკითხული.

მდებარეობს ზარნიშატი ჩილდირის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყარსის გზაზე. ზარნიშატი „გურჯისტანის ვილაეთის“ ფარგლებს გარეთაა. სოფ. ოლოდაში „დაეთრის“ დროს 21 კომლია. ოლოდა დღეს გაუკაცრიელებულია.

8. სოფ. წყაროსთავი, მოლობილ (?) სათესველითურთ — *دشتر* *مع زرغ موعوبل* (I 16, 286; II 18, 281). აკად. ივ. ჯავახიშვილი ჯავახეთის პროვინციის საზღვრების გარკვევისას წერს „ამ საკითხის [ჯავახეთის სამხრეთი საზღვრის] გამოსარკვევად საყურადღებოა ჯუანშერის ცნობა, რომ ნირდატ ვახტანგის ძემან «ალაშენა ჯავახეთს ეკლესია წყაროსთავსა» (ცა

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, ექ. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 88.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>3</sup> მაგალითად: *История военных действий...*, II, 70.

ვხტე გრგსრა \*401, გვ. 186). ამით მტკიცდება, რომ წყაროსთავი ჯავახეთს ეკუთვნის. ეგონებ სწორედ ამ წყაროსთავის მახლობლად უნდა ყოფილიყო კიდევ ჯავახეთის სამხრეთი საზღვარი...<sup>1</sup> და აგრეთვე „სულ სამხრეთით ჯავახეთში იყო «ეკლესია წყაროსთავისა» (ჯუანშერი, ცა ვხტე გრგსრა \*401, გვ. 186), რომელიც ამასთანავე საეპისკოპოსო საყდრად ითვლებოდა...“<sup>2</sup> სწორედ ამ წყაროსთავზეა ლაპარაკი „დაეთრის“ ამ ადგილას. წყაროსთავი აღნიშნულია მსხვილმასშტაბიან რუკაზე კარწახის ტბასთან ახლო, მის დასავლეთით, ახალქალაქიდან 15 ვერსის მანძილზე, ხოლო სოფ. კარწახიდან წყაროსთავი 7-8 ვერსის მანძილზეა. კარწახის ტბასა და წყაროსთავს შუა მანძილი დაახლოებით 1 ვერსია<sup>3</sup>, წყაროსთავ სახელწოდების წარმოშობაზე როსტომაშვილი შემდეგს წერს: Называется он (монастырь) Цкароставским (т. е. лежащим у истока ключа) потому, что из-под церкви, здесь же внизу, в овраге бьет ключ...<sup>4</sup>

ამჟამად წყაროსთავი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა. „დაეთრის“ დროის წყაროსთავი დიდი სოფელია—40 კომლიანი; 1878 წელს კი წყაროსთავში მხოლოდ 27 კომლია<sup>5</sup>.

წყაროსთავთან დასახელებულია სათესველი მოცოს, რომლის წაქითხვა შეიძლება მოლობილად. აღწერის ბოლოში დასახელებული ჩაირის სახელის ატო-ის ამოკითხვა ჯერ ვერ ხერხდება.

9. სოფ. سوحرا (I 16, 287; II 18, 281). ამ სოფლის სახელი ამოკითხული არ არის. არქივისეული სიების Арджан—ამ დაწერილობის შესაბამისი არ არის და სწორი არაა (20v, 13v). ქანარბელთან ახლო მდებარე შეიდეკომლიანი სოფელია.

10. სოფ. اسكاساد (I 16, 288; II 18, 282). არქივისეულ სიებში მოცემული ამ სოფლის სახელის ამოკითხულობა Еккпателъ (20v) და Еккпатех (13v) იმდენად არ არის დაწერილობის შესაბამისი, რომ შეიძლება მას ანგარიში არ გაეწიოს. ამოკითხავად რჩება. 17 კომლიანი სოფელია.

11. სოფ. სულდა — سولدا (I 16, 288; II 18, 282). „სოფ. კოთელიდგან დილით გასულებმა სამი საათის განმავლობაში მივალწიეთ ახალქალაქს. ახალქალაქიდან გზამ დაუხვია სამხრეთ-დასავლეთისკენ. ეს გზა დ. არდამანი-საკენ მიდიოდა. ახალქალაქიდან სოფ. სულდამდის (ახალქალაქის მაზრასა) 16 ვერსია. აქ ცხოვრობენ სომხები—აზრუმიდან გადმოსახლებულები“...<sup>6</sup>

<sup>1</sup> ქართული ერის ისტორია, II (1948), გვ. 54.

<sup>2</sup> იქვე, 55.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, Источники груз. летописей, Три хроникки, СМОНПР, 26, გვ. 188; „მესხური დავითნის ქრონიკა“, 83; Д. Бакрадзе, Кавказ в древн. памятниках христианства, 149. И. Ростовов, Ахалкалакский уезд в археол. отношении, 64; МАК, XII, 45; შდრ. შ. ბროსე — Tsqaros-Thaw: Rapports..., II, 173.

<sup>4</sup> ი. როსტომაშვილი, იქვე, 65; ექ. თაყაიშვილი, იქვე, 45, 46.

<sup>5</sup> სცია, ფ. 415, ს. 12. გვ. 78r.

<sup>6</sup> ვ. კობონაშვილი, „ივერია“, 1894, № 155.

არქივისეულ სიებში წერია *Суджа*, რაც შეცდომა უნდა იყოს. ეს არის სოფელი სულდა, რომელიც მიასნიკიან, ბოზალ და დაღეს სოფლებთან ერთად სულდის სასოფლო საბჭოში შედის<sup>1</sup>. „დაეთრის“ დროის სულდა ოთხკომლიანი სოფელია. 1870 წ. მასში აღრიცხულია 66 კომლი<sup>2</sup>. ხუთვერსიან რუკაზე ბუზალასა და კურიდაღეს შუა აღნიშნულია სოფ. *Суджа*.

12. სოფ. პეტაშენი, სოფ. პატარა კარწახთან—*پتاشين* (I 16, 289; II 18, 283). არქივისეულ სიებში *Бедашен*-ია (20v, 13v): ასევე *Бедашен*-ად გვაქვს ამ სოფლის სახელი საარქივო მასალებში<sup>3</sup>. ეს მასალები 1877 წლისათვის *Бедашен* ნასოფლარად იხსენიება. ვფიქრობ, ბედაშენი თურქიზებული ფორმაა, ქართულად პეტაშენი უნდა იყოს. სოფელი ნაჩვენებია პატარა კარწახთან. პატარა, სამკომლიანი სოფელია. ქვემოთ (გვ. 424, № 31) სოფ. ბოზალზე ნათქვამია, რომ ის სოფ. პეტაშენთანაა (?), ბოზალი რუკებზე აღნიშნულია და ამ ბოზალსა და კარწახს შუა უნდა მოიძებნოს ამ პეტაშენის (?) ნანგრევები. პეტაშენთან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას.

13. სოფ. ჩაისი—*چايس* (I 16, 289; II 18, 283). ექ. თაყაიშვილის მიხედვით, სოფ. ჩაისი მდებარეობს წყაროსთავიდან სამხრეთით სამი ვერსის მანძილზე. ამ ჩაისს თურქულ ჩაისს ეძახიან განსასხვავებლად მეორე ჩაისისაგან, რომელიც არტაანის უბანში შედის და რომელიც ყარაფაფახთა ტომის თურქებითაა დასახლებული. ძველი ქართული ეკლესია მეჩეთადაა გადაკეთებული<sup>4</sup>. ხუთვერსიან და სხვა რუკებზე *Чанс*-ი აღნიშნულია ქანარბელის ჩრდილო-დასავლეთით, დღეს უკვე თურქეთის ტერიტორიაზე. არქივისეულ სიებში ამ სოფლის სახელი რატომღაც *Чанз*-ად არის აღქმული (20v, 13v). „დაეთრის“ დროს ჩაისში 12 მოსახლე ყოფილა, 1878 წელს კი—21<sup>5</sup>.

14. სოფ. ერინჯა—*ارنج* (I 16, 290; II 18, 283). ხუთვერსიან რუკაზე *Эринджа* აღნიშნულია ხავეთისა და დაენიის ჩრდილოეთით. ერინჯა 13 კომლიან სოფლად არის აღწერილი. ერინჯა დღესაც ახალქალაქის რაიონის ხავეთის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელია<sup>6</sup>. 1847 წლის ერთ საბუთში სოფ. ერინჯაში 7 კომლია ნაჩვენები<sup>7</sup>.

15. სოფ. ქვაქისი (?)—*کواکس* (I 16, 290; II 18, 284). იხ. აქვე: 21. სოფ. ქვაქისი (?) სოფ. სხვარა(?)სთან, გვ. 393 — „ჩრდილის ლივანში ჯანბაზის ნწიბე“. კარწახელმა სტუდენტმა მოსოიანმა ამ სოფელზე შემდეგი ჩამაწერინა: ქეხასი ჩვენ სოფელს ეკუთვნის. სათიბია, წინეთ მოსახლეობა ყოფილა. 1877 წლის ერთ საბუთში წერია: *Жители сел. Карзах имеют в своем пользовании Кевхас*<sup>8</sup>.

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა. 20.

<sup>2</sup> К. Эиссерман, 33.

<sup>3</sup> სტია, ფ. 220, ს. 506, გვ. 8, 11რ.

<sup>4</sup> МАК, XII, 51.

<sup>5</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 78რ.

<sup>6</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 20.

<sup>7</sup> სტია, ფ. 74, ს. 19, გვ. 4რ; იხსენიება აგრეთვე: სტია, ფ. 41 ს. 45 გვ. 1რ, 2რ.

<sup>8</sup> სტია, ფ. 220, ს. 506, გვ. 8ვ.

16. სოფ. **ساندكمان** სანსუატ (?) სათესველითურთ (I 16, 291; II 18, 284). არქივისეულ სიებში **Индокосман**-ი წერია (20v, 13v). ამ პუნქტზე მასალა არა გვაქვს. „დავითის“ დროს 15 კომლიანი სოფელია. სოფელთან დასახელებულია სათესველი **صانزوا**. ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და მისი სანსუატ || სანძუატ-ად წაითხება საესებით შესაძლებელია.

17. სოფ. უდაბნო ხავეთთან — **اوانو** (I 16, 291; II 18, 285). ამ დაწერილობას მხოლოდ ერთი დიაკრიტული ნიშანი აქვს ზემოდან; შეიძლება ის მეხუთე ასოსიც იყოს და შეიძლება მეექვსესიც. პირველ შემთხვევაში გვექნება უდაბნო და ასეც ვარაუდობდნენ არქივისეული სიების შემდგენლები — **Удаири** (20v, 13v); მაგრამ თუ ეს ნიშანი მეექვსე ასოზეა, მაშინ სავარაუდებელია უდაბნო. ოღონდ ასეთი წაითხვების დამადასტურებელი მასალა ჯერჯერობით არ არის. სოფელი სამკომლიანია და ნაჩვენებია ხავეთთან მდებარედ.

18. სოფ. ხოზაპუნი — **خوزابون** (I 16, 292; II 18, 285). ექ. თაყაიშვილი წერს, რომ რუსულ რუკებზე კარწახის ტბას ხოზაპინის ტბა ეწოდება, ალბათ ხოზაპინ პუნქტისაგან, რომელიც ტბის აღმოსავლეთ ნაპირას მდებარეობს<sup>1</sup>. ტბისა და სოფლის მდებარეობის დასაზუსტებლად მნიშვნელოვანია ცნობა: **Корпус, пройдя в два марша от Чилдыра около 29 верст и оставив влево, почти в 10 верстах, озеро Хозапин-Гел, ночевал 11 июля на вершине Гег-Дага, высочайшей отрасли Чилдырского хребта.**<sup>2</sup>

ამ სოფლის სახელი ორ ვარიანტში გვხვდება: ხოზაპუნი (ასევეა არქივისეულ სიებში — **Хозапин**, 20v, 13v) და ხოზაპინი (უფრო სწორი და ქართული ეს უნდა იყოს). 15 კომლიანი სოფელია. მდებარეობდა ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე, საქართველოს ტერიტორიაზე. დღეს ნასოფლარია. „ივერიის“ ცნობით იგი აოხრებული იყო 1894 წელსაც: „ამ ბილიკიდან დასავლეთის მხარეს, ვაკე მინდორზედ, დავინახეთ ვეებერთელა ხოზაპინის ტბა, რომელიც ირგვლივ იქნება 15-18 ვერსის მანძილი. «ხოზაპინი» აოხრებული სოფლის სახელია ამ ტბის ნაპირას, აღმოსავლეთის მხარეს. ამ ტბის სამოკრები განმგებლებს იჯარით ვაცემული აქეთ ახალქალაქის მახრის სოფ. დილცკის მცხოვრებლებზედ“<sup>3</sup>.

19. სოფ. შუათუბანი — **شواتوبان** (I 16, 292; II 18, 286). მართალია დედანში (გვ. 270) დიაკრიტული ნიშანი მხოლოდ პირველ ასოს აქვს, მაგრამ ანბანთა თანამიმდევრობა გვეკარნახობს თითქოს, რომ ეს სახელწოდება „შუათუბანია“ (ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ სიტყვის ბოლო ნაწილი „უბან“-ია. არქივისეულ სიებშიც **Шуатубуани**-ი გვაქვს (20v, 13v). ჯავახეთში მოგზაურობის „დღიურში“ მიწერია: „პატარა კონდურასთან არის

<sup>1</sup> МАК, XII, 45; Д. Накрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 149.

<sup>2</sup> История военных действий... I, 255.

<sup>3</sup> ვ. კატონაშვილი, მგზავრის დღიურიდან (ქართველი მგზავრი არდაჰანის „სანჯახში“), „ივერია“, 1894, № 155.

ნასოფლარი „შაითუმან“ (გვ. 7). ვფიქრობ, რომ „დავთრის“ შუათუბანი-ის არმენიზებული ფორმა უნდა იყოს ეს შაითუმანი-ი. ეს მით უფრო, რომ შაითუმან ნასოფლარი დასახლებულია პატარა კონდურასთან და „დავთარშიც“ ამ ადგილას სწორედ კონდურების, დღივისა და დადემის ზონაში მდებარე სოფლებია აღწერილი. შუათუმანი ცხრაკომლიანი ყოფილა.

20. სოფ. ვარდისუბანი—وارساوان (I 16, 293; II 18, 286). ერთ-ერთ ჩვენს წერილში „სოფ. დღივის ლოკალიზებისათვის ჯავახეთში“ ჩვენ ვამბობდით, რომ „კონდურის ზემოთ არის ნასოფლარი ვარდისუბანი და „რომ დავთრის შედგენის დროს ვარდისუბანი დიდი და ცნობილი სოფელი იყო“<sup>1</sup>. ჯავახეთში მოგზაურობის „დღიურში“ მართლაც მიწერია, რომ „კონდურის ზემოთ არის ნასოფლარი ვარდისუბანი“. ჩვენ იმავე წერილში ვამბობდით, რომ „დავთარში“ „სოფ. დღივის მდებარეობის აღნიშვნა სოფ. ვარდისუბანთან, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ „დავთრის“ შედგენის დროს, ვარდისუბანი დიდი და ცნობილი სოფელი იყო“<sup>2</sup>. მართლაც „დავთრის“ ვარდისუბანი იმ დროისათვის დიდი, 39 კომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 19.000 ახჩა. ჩვენ არ ვიცით, როდის იქნა მიტოვებული ვარდისუბანი. ვიცით მხოლოდ, რომ XIX ს-ის 30-იანი წლების ერთ საბუთში სათაურით—пустопорожня земля при деревнях прежде бывших, ныне разоренных—იხსენიება Вартис убань—примерно в 7,5 верстах от Ахалкалак. 1840 წ. ვარდისუბანი მურჯახეთლებს სათიბად ეძლევა<sup>3</sup>. ვარდისუბან ნასოფლარის ადგილმდებარეობის დაზუსტება ადგილზე რთული საქმე არ უნდა იყოს. „კონდურის ზემოთ არის ნასოფლარი ვარდისუბანი“ („დღიური“). ამის გარდა, „დავთარში“ სოფ. დღივის მდებარეობა განსაზღვრულია სოფ. ვარდისუბნით<sup>4</sup>. დღეს კი ჩვენ გვაქვს სოფ. დღივი, და ვარდისუბან სოფლის ლოკალიზება დღივის (თანამედროვე წარმოთქმის მიხედვით—დილივის)<sup>5</sup> სანახებში უნდა მოხდეს.

21. სათესველი სერკი (I 16, 294; II 18, 287). I წიგნში უკვე დიაკრიტული ნიშნებითაა დაბეჭდილი; მაგრამ II წიგნის გამოსვლის დროს ამოკითხული არ იყო და დაიბეჭდა ისე, როგორც დედანშია სერკი (გვ. 271). ექ. თაყაიშვილი წერს: Теперь ни одна значительная речка не впадает в Карпахское озеро, если не считать маленькую реченку, образуемую от таяния снега и отделяющую дер. Карзах от другой его части Кишерты.<sup>6</sup> გვაქვს აგრეთვე Кишерда და Кемерта ფორმები<sup>7</sup>. უეჭველია, რომ სწორედ ეს ქილერთაა ის სათესველი, რომელ-

<sup>1</sup> საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 3, 1946, თბილისი, გვ. 151.

<sup>2</sup> იქვე, ვარდისუბან ნასოფლარს ასახელებს აგრეთვე ალ. ფრონელი: დიდებული მესხეთი, გორი, 1914, გვ. 7.

<sup>3</sup> სცია, ფ. 77, ს. 48, გვ. 227; სცია, ფ. 1012, ს. 34, გვ. 1r.

<sup>4</sup> ამის შესახებ და საერთოდ დღივზე იხ. აქვე, გვ. 419.

<sup>5</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>6</sup> МАК, XII, 45.

<sup>7</sup> სცია, ფ. 220, ს. 506, გვ. 11r (Кашерда-ში მ უთუოდ კალმის შეცდომაა).



ზედაც ლაპარაკია „დავთრის“ ამ ადგილას. „დავთრის“ დროს ეს ყოფილა სათესველი, ალბათ, სოფ. კარწახისა, ხოლო ექ. თაყაიშვილის დროს ის ჩანს უკვე კარწახის „მეორე ნაწილად“, ან კარწახის ერთ-ერთ უბნად. არქივისეულ სიებშიც ამ სათესველის სახელად *Килерта* გვაქვს (20v, 13v). „დლიურში“ ჩამიწერია ქილერთან კონდრიოსთან ახლო არისო. ვფიქრობ ქილერთან იგივე ჩვენი ქილერთაა.

22. სოფ. დლივი ზათელ (?) სათესველითურთ—სოფ. ვარდისუბანთან (I 16, 294; II 18, 287). სოფ. დლივი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულად საინტერესო გეოგრაფიული პუნქტია, რომლის ადგილმდებარეობა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ზუსტად დადგენილი არ არის<sup>1</sup>.

დლივი რომ საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით X-XI საუკუნეებში, პოლიტიკური მოვლენების ცენტრი იყო, იქიდან ჩანს, რომ მართო „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ ნუსხაში იგი სამჯერ იხსენიება: 1. საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის მებრძოლი დიდი ქართველი პატრიოტი-მეფე ბაგრატ III თავის მამასთან—გურგენთან ერთად ემზადებოდა ურჩი ერისთავთ-ერისთავის რატის დასამორჩილებლად. ბაგრატ III-ის მტრებმა დავით კურაპალატს ჩააგონეს, თითქოს ის კურაპალატზე აპირებდა თავდასხმას. დავით კურაპალატმა ბაგრატ II-სა და სხვა მოკავშირეებთან ერთად გადაწყვიტა შეჯახებოდა ბაგრატ III-ს და (დავითი და მისი მოკავშირეები) „მოვიდეს და დადგეს დლივის სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რიცხუი“<sup>2</sup>. 2. ბაგრატ III-ის კახეთზე გალაშქრებასთან დაკავშირებით დავით კურაპალატზე ნათქვამია, რომ „კურატპალატი იყო მას ეამსა დლივის, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა“<sup>3</sup>. 3. ბაგრატ IV-ის დროს „სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და შეიპყრეს დლივის ლიპარიტ და ძე მისი ივანე“<sup>4</sup>.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დლივის ძველ საქართველოში დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების ასპარეზი იყო.

მიუხედავად ამისა, ამ წყაროების მონაცემების მიხედვით, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ გვევარაუდო, რომ დლივი მდებარეობდა სამცხე-საათაბაგოში, მაგრამ აკად. ივ. ჯავახიშვილმა სომხური წყაროს მოშველებით გამოარკვია, რომ დლივი ჯავახეთის ტერიტორიაზე იყო. აკად. ივ. ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნის იმ თავში, რომელიც მას მიძღვნილი აქვს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისადმი,

<sup>1</sup> სოფ. დლივის ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენ წერილი დაებეჭდეთ 1946 წ. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, ტ. VII, № 3, გვ. 149-152 შენდფი სათაურით: „სოფ. დლივის ლოკალიზებისათვის ჯავახეთში“. ეს წერილი აქ იბეჭდება ცელილებებით.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა ს. ყუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 175; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 124.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება..., გვ. 176.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 190, შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 148.

მოჰყავს სათანადო ცნობები „მატიანეა ქართლისაჲ“-დან და აღნიშნავს, რომ „არა ჩანს, სახელდობრ სად მდებარეობდა „დლივი“... სომეხთა ისტორიკოსის ასოლიკისაგან მარტო ის ვიცით, რომ ეს „დლივი“ ანუ, როგორც იგი უწოდებს, „დლივეკ“ ჯავახეთში ყოფილა“<sup>1</sup>. იმავე ნაშრომის იმ ადგილას, რომელიც საქართველოს გზებს ეხება, განსვენებული მეცნიერი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და ტაოდან კახეთში მიმავალი გზის დადგენისას ამბობს: „რომ, სად იყო ნიშანდობლივ დლივი არა ჩანს, მხოლოდ ასოლიკის სიტყვით იგი ჯავახეთის სოფელი ყოფილა“<sup>2</sup>.

ამრიგად, გასაკრევეი რჩება დლივის ადგილმდებარეობა თვით ჯავახეთის ფარგლებში.

ვახუშტი ბაგრატიონი, რომლის დროსაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დლივი უკვე დაკნინებული იყო, თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში დლივს არ იხსენიებს. სამაგიეროდ საგულისხმო ცნობა მოიპოვება ჩვენს „დავთარში“. „დავთარში“, ადმინისტრაციულად ჩრდილის სანჯაყსა და ქანარბელის ნაჰიეში (რაიონში) შემავალ სოფელთა შორის, ძველი ჯავახეთის ტერიტორიაზე, 22-ე სოფლად ნაჩვენებია სოფელი დლივი, რომელიც არაბულ ტრანსკრიფციაში შემდეგი მოხაზულობითაა მოცემული—**دلی**. რა თქმა უნდა, ეს ის დლივია, რომლის შესახებაც ჩვენ ისტორიოგრაფიული ლიტერატურიდან მოყვანილი გვაქვს სათანადო ცნობები. მაგრამ „დავთარში“ აღწერილ გეოგრაფიულ პუნქტთათვის რუკა დართული არ არის და ამიტომ „დლივის“ ზუსტად ლოკალიზება „დავთარის“ უშუალო მონაცემებით მაინც ვერ ხერხდება. ამავე დროს, თანამედროვე სამხედრო და სამოქალაქო საჰაეროებათათვის შედგენილ რუკებზეც ზუსტად „დლივის“ სახელის მატარებელი პუნქტი ჯავახეთში ფიქსირებული არ არის.

როგორც აღინიშნა, „დლივი“ ჩვენს „დავთარში“ ჩრდილის სანჯაყსა (ლიევისა) და ქანარბელის ნაჰიეში იხსენიება. „დავთარის“ შედგენის დროს, „გურჯისტანის ვილაჟეთის“ მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ქანარბელის ნაჰიეში შემავალ სოფელთა შორის, რომელთა ადგილმდებარეობა დღეს ცნობილია, შეიძლება დავასახელოთ („დავთარში“ წარმოდგენილი ნუმერაციით): 1. ქანარბელი, 2. ხავეთი, 3. დიდი კარწახი, 4. პატარა კარწახი, 5. მრაკეალი, 6. წყაროსთავი, 11. სულდა, 12. ერინჯა, 18. ხოზა-პუნი, 23. დათეში, 31. ბუზალი და სხვ. (II 275-289). ყველა ეს გეოგრაფიული პუნქტი მდებარეობს ქ. ახალქალაქის სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო დღევანდელი ბოგდანოვკის (ხოჯაბეგის) დასავლეთით, ძველი ჯავახეთის ტერიტორიაზე. ასეთ გეოგრაფიულ გარემოცვაში და სოფ. სულდიდან დაახლოებით 5 კილომეტრის მანძილზე (აღმოსავლეთით) მდებარეობს სოფელი, რომელიც ქართულ რუკებზე აღნიშნულია როგორც „ტილიფი“, ხოლო რუსულ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 55. შდრ. აგრეთვე მისივე „ქართველი ერის მოკლე ისტორია“. წ. I, ქუთაისი, 1917, გვ. 169-170.

<sup>2</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 67.

რუკაზე Дилиф-ად, ან Тилиф-ად<sup>1</sup>. ეკმუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ტილიფ-Дилиф-Тилиф-ად ცნობილი სოფელი სწორედ ის „დლიეი“ა, რომლის მნიშვნელოვან როლზე საქართველოს ისტორიაში ზემოთ უკვე იყო ნათქვამი.

1933 წელს აკად. ნიკ. ბერძენიშვილი და ამ სტრიქონების დამწერი ერთად ეპოგზაურობდით ჯავახეთში. ჩემი მოგზაურობის დღიურში სახელი იმ სოფლისა, რომელშიაც ჩვენ ერთი ღამე დავაყვით, აგრეთვე სამ ვარიანტად მაქვს ჩაწერილი: ტ ი ლ ი ფ ი, ტ ი ლ ი ფ და დ ი ლ ი ფ.

სოფ. ტილიფი რომ ძველი სოფ. დლიეია შემდეგი გარემოებიდანაც ჩანს. იმავე დღიურში სოფ. დიდი-კონდურის შესახებ ცნობებში ჩაწერილი მაქვს, რომ „კონდურის ზემოთ არის ნასოფლარი „ვარდისუბანი“. მაშასადამე, დღეს დასტურდება კონდურასთან ნასოფლარი ვარდისუბანი, ხოლო „დლიეი“ „დავთარში“ ასეთ კონტექსტში იხსენიება: „სოფელი დლიეი... სოფ. ვარდისუბანთან“ (II 287). „დავთარში“ სოფ. დლიეის მდებარეობის აღნიშვნა სოფ. ვარდისუბანთან, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ „დავთარის“ შედგენის დროს, ვარდისუბანი დიდი და ცნობილი სოფელი იყო. „დავთარში“ ქანარბელის რაიონში „დლიეი“ რომ 22-ე სოფლად იხსენიება, ვარდისუბანი აღწერილია 20-ე სოფლად 39 კომლით, რომელთაგან ამ სოფლის მუპატრონეს 19 000 ახაღდ ღირებული საბეგრო შემოსავალი ჰქონდა (II 296-187). სოფ. დლიეი კი ამ დროისათვის უკვე დაქვეითებული ჩანს და მასში მხოლოდ შეიდკომლიანი მოსახლეობა არის ნაჩვენები (II 287).

ამრიგად, ახლანდელი სოფ. კონდურის ახლო ერთ-ერთ ნასოფლარს შერჩენია „ვარდისუბნის“ სახელი. ამ კონდურასთან და ვარდისუბანთან ახლო მდებარეობს სოფ. ტილიფი. უეჭველია, რომ ეს ნასოფლარი ვარდისუბანი „დავთარში“ მოხსენიებული სოფ. ვარდისუბანია, ხოლო სოფ. ტილიფი — „დავთარის“ სოფ. დლიეი.

რაც შეეხება „დლიე“ სახელწოდების დღევანდელ სხვადასხვანაირ ფონეტიკურ სახეცვლილებას („ტილიფი, ტილიფ, დილიფ), ეს საესებით გასაგები იქნება, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ ისტორიულ-პოლიტიკურ ძვრებს, რომელიც სამცხე-საათაბაგომ და, კერძოდ, ჯავახეთმა განიცადა განსაკუთრებით ოსმალთა შემოსევების დროიდან. XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა-თურქთა გაბატონებისას ბევრი ქართული გეოგრაფიული სახელი გადათარგმნილ იქნა თურქულად, ხოლო უმრავლესობა ამ სახელებისა ფონეტიკურად გადათურქულდებულია. ძალადობის ნიადაგზე ენობრივად გათურქებული ჯავახები ჯავახეთიდან აიყარნენ, ხოლო მათ ადგილას XIX საუკუნის I მეოთხედში გადმოსახლებულ იქნენ არზრუმის ვილნაგეთის სომხები. ამის გამო ჯავახეთის ტოპონიმოკამ სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილება განიცადა. კერძოდ „დლიეის“ ფონეტიკური ტრანსფორმაცია ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე: სცია, ფ. 1012, ს. 15, გვ. 15r და ს. 18, გვ. 11r, ს. 39, გვ. 1v.

თურქული ენა ანლაუტში ზედზედ ორ თანხმოვანს ვერ ითმენს. ნასესხებ სიტყვებში ორთანხმოვანიანობის თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა თანხმოვანთა შორის ვიწრო ხმოვნის გაჩენა: და ასე „ღლივი“-დან უნდა მიგველო „ღლივი“ (სახელობითის ბოლოკიდური „ი“ ქართული სიტყვებისა ჩვეულებრივად იკარგება). ცნობილია აგრეთვე, რომ ბოლოკიდური მკვრივ თანხმოვანი თურქულში ყრუდდება (და არა მარტო ხშულები—*kitab* > *kitap*, *kilid* > *kilit*, რაც ოფიციალურ ორთოგრაფიაშიც კი დაკანონდა, არამედ ნაპრალოვნებიც—მაგალითად, სლავური გვარის სახელი *Mušanov* > *Mušanof*); ამიტომ „ღლივი“ს „ღლივი“ უნდა მოეცა. ცნობილი ფონეტიკური ფაქტია აგრეთვე ოსმალეთის სომხების წარმოთქმაში მკვრივების გამკვეთრება და მკვეთრების გამჟღერება: დილივი → ტილივი და სხვ.

ამრიგად, ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენებულ სოფ. დღივის სოფელია, რომელიც ქართულ რუკებზე „ტილივი“ად, ხოლო რუსულზე *Тилвиц*-ად იხსენიება და რომელიც ბოგდანოვკის რაიონში მდებარეობს და დიდი გონდრიო, ყულალის, მამწვარა და პატარა გონდრიო სოფლებთან ერთად დილივის სახელწოდების გონდრიოს სასოფლო საბჭოში შედის<sup>1</sup>.

23. სოფ. დათეში — *داتش* (I 16, 294; II 18, 288). ამ სახელწოდებას ადგილზე და დღეშ-ად წარმოთქვანენ. „საქართველოს ისტორიულ რუკაზედაც“ ეს სოფელი დადღეშ-ად არის აღნიშნული კარწახის ჩრდილო-აღმოსავლეთით. თვით „დავთარშიც“ ამ სოფლის სახელი მეორეჯერ უკვე *داتش*-ის სახით გვაქვს (I 295; II 289—№ 33, დედანი, გვ. 273; ერთი უცნობი სოფელი დასახელებულია და დღეშთან მდებარედ). ამდენად შექველია, რომ ამ შემთხვევაში და დღეშ სიტყვის მეორე მკვრივ თანხმოვანი ყრუდ არის აღქმული ჩამწერის მიერ. 1877 წლის მასალაში ჩვენ გვაქვს *Даташ*<sup>2</sup>. გარდა ამისა, ხუთვერსიანსა და სხვა რუსულ რუკებზე ეგ სოფელი კონდურებსა და სულდას შუა *Курнадеш*-ადაა აღნიშნული. ადგილზედაც გამოიგონია „კურიდაღეში“-როდის დაერთო ამ და დღეშ სახელწოდებას ეს კური ელემენტი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. შესაძლებელია ეს არაბ. *داتش* 'სოფელი' სიტყვის რალატნაირი რეფლექსი იყოს.

და დღეშის სახელწოდებით ჩვენ გვაქვს პუნქტი აგრეთვე ხერთვისის ლივანს ხერთვისისავე ნაპირში—სოფ. და დღეშ<sup>3</sup>, რომელიც ასპინძის რაიონის ერკოტის სასოფლო საბჭოში შედიოდა ერკოტა და ქვემო ვარნეთ სოფლებთან ერთად<sup>4</sup>. მესამე და დღეშის დასახელებული აქვს ვახუშტის კოლაში: „ამ კოლას ზეით, მტკვრის კიდებზედ, და დღეშს, არს ეკლესია დიდ-შვენიერ-გუნბათიან-შენი, და აწ უკმობენ დოროთ-ქილისიას“<sup>5</sup> (დოროთ-ქილისია =

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 25.

<sup>2</sup> სტია, ფ. 220, ს. 506, გვ. 8r, 11r.

<sup>3</sup> იბ. აქვე, გვ. 248, № 8.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ ცალკე დაბეჭდილი სია—„ასპინძის რაიონი“, 11.

<sup>5</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 133.

თურქ. *dürt-kilisa* 'ოთხი-ეკლესია'; შღრ. „საქ. ისტორიულ რუკაზე“ კოლას ტერიტორიაზე „ლაერა ოთხ-ეკლესიათა“<sup>1</sup>.

ამჟამად ეს სოფელი „დადეშის“ სახელწოდებით ახალქალაქის რაიონში სულდის სასოფლო საბჭოში შედის სულდა, მიასნიკიანი და ბოზალ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

24. სოფ. *ساوآق*? (I 16, 295; II 18, 288). მეოთხე ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს; ვფიქრობ, ასოები სწორადაა ამოკითხული. რა უნდა იყოს ამ სოფლის სახელწოდება, ჯერჯერობით მაინც უცნობია. არქივისეული სიების *Савыа* (20v, 13v) სწორი არ უნდა იყოს, რადგანაც ბოლო ასო *с*-ს უფრო ჰგავს. დაცარიელებული სოფელია.

25. სოფ. *კარაევი*—*كراوي* (I 16, 295; II 18, 288). ესეც დაცარიელებული სოფელია. ამოკითხული უნდა იყოს სწორად, რადგანაც არქივის სამოცდაათიანი წლების მასალებში სწორედ ამ ზონისათვის, ე. ი. კარწახ, ხვეთ, დადეშ და სულდა სოფლებთან ერთად დასახელებულია გაპარტახებული სოფლები: *хоэраин* (=ხოზაპუნი), *Нозал*-ი და სხვ. მათ შორის *пустоыа Карав-и*<sup>3</sup>. მაშასადამე, არსებულა სოფ. კარაევი, ამდენად II წიგნში ამ სიტყვასთან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას. ხუთვერსიან რუკაზე სულდასთან ახლო ნაჩვენებია *Ур. Кавиак*; შესაძლებელია ეს გრაფიკულ ნიადაგზე შერყენილი „კარაევი“ იყოს.

26. სოფ. *სა* სოფელი (?) სოფ. მრაკვალთან — *سا سويل* (I 16, 295; II 18, 288). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები სრულებით არა აქვს. არქივისეულ II სიაში ამ სოფლის სახელად *Самашулет-и* წერია (13v). ასე წაკითხვა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ პირველ ასოს ასო *с*-ად, ხოლო ბოლო ასოს *д*-დ წაფიქთხავთ—*сасашит*, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის. ეს სოფელი (უკვე გაუკაცრიელებული) ნაჩვენებია მრაკვალთან. მრაკვალის სანახებში მდებარე ნასოფლარების სახელები „დლიურში“ ჩაწერილი მაქვს ადგილზე, მაგრამ ამის მსგავსი არაფერია. ძიება უნდა გაგრძელდეს.

27. სოფ. *კორხი*, სულდასთან—*كورخ* (I 16, 295; II 18, 288). არქივისეულ სიაშიც *Корх*-ი გვაქვს (13v). გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ერთ საარქივო „საქმეში“ ლაპარაკია „О сенокосном месте под названием Корох, оспариваемом жителями селения Корох Априамо и Сехпеном Демурчевыми от общества селения 'Карзах“<sup>4</sup>.—მაშასადამე, სულდასთანაა დასახელებული სოფ. კორხი, ხოლო კარწახი, რომლის მცხოვრებლები პრეტენზიას აცხადებენ კორახის სათიბზე, ახლოსაა სულდასთან. ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამ „საქმეში“ ნახსენები *Корох*-ი სწო-

<sup>1</sup> კოლის დადეშზე იხ. აგრეთვე: Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 43; All. A, 37.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 20.

<sup>3</sup> სცია, ფ. 220, ს. 329, გვ. 8r, ფ. 220, ს. 506, გვ. 8r, 11r.

<sup>4</sup> სცია, ფ. 74, ს. 52, გვ. 12r.

რედ ჩენი კორხი-ა. მეორე ო გაჩენილია, ალბათ, არაქართული ენობრივი კოლექტივის წარმოთქმაში. ამ „საქმიდან“ ისიც ირკვევა, რომ 1859 წელს კორხში (კორხში) მოსახლეობა ყოფილა (ყოველ შემთხვევაში იხსენიება კორხელი-კორხელი ორი მოსახლე).

კორხის სახელწოდებით ჩვენ სოფელი გვპონდა კიდევ ახალქალაქის ლივს აკემპირის ნაპიჯეში № 14, გვ. 314. აქვეა ლაპარაკი ამ სიტყვის საზოგადო მნიშვნელობაზე.

23. სოფ. ხარაკი (?), სულდასთან—*خاراکی* (I 16, 295; II 18, 288). პირველ ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს და ამოკითხულობა, თითქოს, სწორია. არქივისეულ სიებშიც *Хараки* წერია (20v, 13v). უკაცრიელ სოფლადაა აღწერილი.

29. სოფ. ხალდე სოფ. *خالدو*-თან—*خالدو* (I 16, 295; II 18, 289). არქივისეულ სიებში *Халдо*-დაა ამოკითხული (20v, 14v). უკვე გაუკაცრიელებულია.

30. სოფ. *جانجو* სოფ. ქანარბელთან (I 16, 295; II 18, 289). არქივისეულ I სიაში ამოკითხულია *Чатху*-დ, რაც შეიძლება სწორი იყოს. მესამე ასოზე დასმული ნიშანი შეიძლება ორწერტილიც იყოს. ჯერჯერობით ამ ნასოფლარის შესახებ მასალას ვერ მივაკვლიეთ. სოფელი „დავთრის“ დროსვე დაცარიელებულია.

31. სოფ. ბოზალი—სოფ. პეტაშენთან (?)—*بوزالو* (I 16, 295; II 18, 289). არქივისეულ სიებშია *Безал* და *Бозал*-ი (20v, 14r). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს, ოღონდ სიტყვის ვოკალიზაცია იწვევდა ექვს. მართალია, „დავთრის“ დროს ეს სოფელი გაუკაცრიელებული ყოფილა, მაგრამ შემდეგ აქ მოსახლეობა კვლავ გაჩენილა (შეიძლება არზრუმიდან გადმოსახლების შემდეგ). ამჟამად ეს სოფელი „ბოზალი“-ს სახელით არის ცნობილი; საარქივო მასალებშიც *Бозал*-ი გვაქვს<sup>1</sup>. ეს ფორმა უფრო სწორი უნდა იყოს. თუმცა ხუთვერსიანსა და სხვა რუსულ რუკებზე ყველგან სულდის სამხრეთ-დასავლეთით და ძლიერ ახლო აღნიშნულია *Бозала*. სოფ. ბოზალი ახალქალაქის რაიონის სულდის სასოფლო საბჭოში შედის სულდა, მიასნიკიან და დადემ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

32. სოფ. ყადალა სოფ. პეტაშენთან (?)—*قادلان* (I 16, 295; II 18, 289). არქივისეული სიების *Бдала* (21r, 14r) ვარიანტი ანგარიშგასაწვევი არაა, რადგანაც პირველ ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს (غ) და ბასო აქ მოსალოდნელი არაა. მე ვფიქრობ, *قادلان* უნდა იყოს ის პუნქტი, რომელიც ხუთვერსიან რუკაზე ერინჯა და დაენიასთან ახლო აღნიშნულია *P. Д. Кадала*-დ. იქვე ნაჩვენებია *Кадала-су*. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პუნქტის ქართული სახელი იყო ყადალა, რომელმაც თურქულში მოგვცა ლადალა

<sup>1</sup> სცია, ფ. 220, 506, გვ. 8r, 11r.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა. 20.

(მკვეთრი ყ-ს მეღერით გადმოცემა), ხოლო რუსულში *лѣва* (ყ თანხმოვანი რუსულში კ-თი გადმოცემა). უკაცრიელ სოფლადაა აღწერილი და ასეთად დარჩა.

33. სოფ. *صراء* სოფ. დადეშთან (I 16, 295; II 18, 289). არქივისეული სიგების *Чира или татаи* (21r, 14r) სწორი არ არის (Tatai ალბათ *تاجا* || დადეშ სოფლის სახელის დამახინჯებაა). არც რუკებზე და არც საარქივო საბუთებში ამ სოფლის შესახებ მასალა ჯერჯერობით არ ჩანს. უკაცრიელ სოფლადაა აღწერილი, დადეშთან ახლო მდებარედ.

— — — — —

## IV. ჩ რ ღ ი ლ ი ს (ჩილდირის) ლ ი ვ ო

### 18. მგელციხის ნაპიჯი

ჩრდილის ლივში მესამე რაიონია (ნაპიჯი) მგელციხის რაიონი — *ساحی قورق قلعه* (I 16, 296; II 18, 289). ეს გეოგრაფიული სახელწოდება—მგელციხე ამ შემთხვევაში ჩვენ ვთარგმნით თურქულიდან: მგელი←თ. *kurd*, ციხე←არაბ.—*kal'e*, მგელციხე←*kard||t kalesi*. მაგრამ ამ პუნქტის ქართული სახელი რომ მგელციხეა, დასტურდება წყაროებით: „...ათაბაგი პატრონი ყვარყვარე, და ძმა მათი პატრონი მანუჩარ, და ბიძა-შვილი მათი მეფის შვილი პატრონი ჰერაკლე მგელ-ციხეს წავიდეს ყაენთან ელჩის გასაგზავნელად...“<sup>1</sup>; „ამავე ქორონიკონსა, აგვსტოს ოცდა-ათთერთმეტსა, ვარნეთის ციხეს უღალატეს მგელ-ციხი დამა“<sup>2</sup>; „მოგბრუნდით მგელ-ციხეს მოვედით...“<sup>3</sup>; „ხუანთქრის ლაშქარი და ლალა-ფაშა მგელ-ციხის ციხეს მიაღდეს...“<sup>4</sup> და სხვ. ამრიგად, „დავთრის“ შემდგენელმა საჭიროდ მიიჩნია ქართული გეოგრაფიული პუნქტის ქართული სახელი მგელციხე თურქულად ეთარგმნა და აღერიცხა „დავთარში“ *ساحی قورق*-ის სახით. შემდეგში ამ პუნქტის სახელი სწორედ თურქულად გავრცელდა და ქართული „მგელციხე“ მივიწყებულ იქნა. რუსულ რუკებზე (მაგალითად, ხუთვერსიანსა, ავეროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ და სხვ.) ჩვენ გვაქვს *Курт-кала*.

მგელციხის შესახებ საინტერესოა პროფ. ექ. თაყაიშვილის ცნობები: *Мгел-цихе значит Волчья крепость, то же самое означает и турецкое название Курт-кала*. Обширная крепость Мгелцихе расположена на левом скалистом берегу Курь, почти напротив Цкарос-тави. Дорога туда идет из села Цкарос-тави по длинному, крутому спуску, при чем надо переправиться на левый берег Курь по висячему, далеко не прочному деревянному мосту, переброшенному над пропастью...<sup>5</sup> როგორც ექ. თაყაიშვილმა შენიშნა, მგელციხე XVI ს-ში იყო ძლიერ გამაგრებული ციხე და ათაბაგთა-

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 88.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 98, შტრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 273.

<sup>5</sup> Материалы по археологии Кавказа, XII, 59.



საიშედო საფარველი. როგორც მემბტიანე შენიშნავს „ხუთშაბათს დღესა, ხუანტქრის ლაშქარი და ლალა-ფაშა მგელ-ციხის ციხეს მიადგეს, შეიბნეს, სამშაბათამდის ყოველ დღეს ომი იყუნეს; ციხიანი გოგორიშვილი როინ და მისი ძმა... და ღვთის შეწევნით უკუ-ყარნეს, და ციხე ჩვენე დაგვრჩა, ჩვენთა გაემარჯვა“<sup>1</sup>. ე. ი. მგელციხე 6 დღის ლაშქრობის შემდეგაც თავისი რიცხვ-მრავალი ჯარით ვერ აიღო ისეთმა ცნობილმა თურქმა სარდალმა, როგორც იყო ლალა მუსტაფა-ფაშა<sup>2</sup>.

„დაეთრის“ დროს მგელციხე მიტოვებული უნდა ყოფილიყო. აქ არსად ნახსენები არ არის არც სოფ. მგელციხე<sup>3</sup>, არც მგელციხის რაბათი. მაგრამ ამ ისტორიულად მნიშვნელოვანი პუნქტის სახელი დაკავშირებია აქ განსახილველ მგელციხის ნაჰაეს.

ამრიგად, XVI ს-ში ამ მიდამოებში წარმოებულ ლაშქრობათა შედეგად „დაეთრის“ დროისათვის უკვე გავერნებული ჩანს თვით მგელციხის ციხე და სოფ. მგელციხეც. შემდეგში ეს სოფელი კვლავ აღდგენილად წარმოგვიდგება. ექ. თაყაიშვილი ჩენის საუკუნის 900-იანი წლებისათვის ასახელებს სოფ. მგელციხეს: Выше крепости, под деревнею Курт-кала, в саду сохранились остатки церкви...<sup>4</sup> და კიდევ: Выше этих развалин, на плато, в деревне Курт-кала, имеется лучше сохранившаяся церковь... Теперь она служит сеновалом для местного муллы, а в арада, из Цхаростави по крутому спуску в несколько верст спустились к Куре и, переправившись на левый берег, поднялись в сел. Курт-кала...<sup>5</sup> მგელციხე პუნქტი და საერთოდ მგელციხის ნაჰაე ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. თურქულ რუკებზე აღნიშნულია Kurtkale-დ, ხოლო რუსულებზე Курт-кала-დ ვაშლობისა<sup>6</sup> და ქართანაქევის ზონაში.

1. სოფ. ქავთარნაგები — كفترنك (I 16, 296; II 18, 289), მეორე და შესაძებ ასოებს დიაკრიტული ნიშნები აქვს და, თითქოს, ეს დაწერილობა ქავთარნაგებ-ად იკითხება. ამავე დროს ჩვენ გვაქვს რუსული რუკების მონაცემები, რომელთა მიხედვით ამ სოფლის სახელი ყოფილა Картапакев-ი (ხუთვერსიანი, „ეეროპული რუსეთისა“ და სხვ. რუკები). ასევე აქვს დასახელებული ეს პუნქტი ექ. თაყაიშვილს: В описываемом мною районе, на левом берегу Кумы, между селами Котаси, Ампуrom, Карта-

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, 98.

<sup>2</sup> შდრ. ექ. თაყაიშვილი: МАК, XII, 60.

<sup>3</sup> გეოგრაფიკული უფრო ვაჩუკვევენ, თუ რა ურთიერთობაა მეზობელი ნიალისყურის რაიონის გელციხასა (აქვე, გვ. 370) და ამ მგელციხის რაიონის მგელციხე პუნქტს შორის, თუმცა ის გელციხა, როგორც ვნახეთ, შეიძლება მგლისხვევი იყოს.

<sup>4</sup> Материалы по археологии Кавказа, XII, 60.

<sup>5</sup> იქვე; აგრეთვე გვ. VII.

<sup>6</sup> ვაშლობი მგელციხის რაიონისათვის დაეთარში აღნიშნული არაა. ექ. თაყაიშვილით-კი მგელციხის ქვემოთ მტკვრის ნაპირას ვაშლობის ბაღები იყო (МАК, XII, გვ. 61). შეიძლება ამ ადგილას მოსახლეობა შემდეგში გაჩნდა. რუკებზე ყველგან (მაგ., ევროპ. რუსეთის სპეცრუკა) Курт-кала-ს (=მგელციხე) ოდნავ სამხრეთით აღნიშნულია სოფ. ვაშლობი.

накевом и Зарабюком некоторые древние памятники остались много не посещенными<sup>1</sup>. მე მაინც ვფიქრობ, რომ „დავთრის“ ვარიანტი უფრო სწორია და თავდაპირველი ქართული სახელი ამ სოფლისა ქავთარნაგები უნდა ყოფილიყო. დაწერილობა ასეთი წაკითხვის შესაძლებლობას უფრო იძლევა. ყოველ შემთხვევაში ბოლოკიდური ასო „ე“ არ არის, რომ ქართანაქვე-ად წაეკითხოთ, ამ უკანასკნელ სახელწოდებაში ბოლო „ქვე“ მარცვლი თურქულად გააზრებულ küy (= „სოფელი“) სიტყვას უნდა ასახავდეს. არქივისეული სიების Картанакет-ი (14r, 21r) სწორი არაა. ქავთარნაგები რუკებზე ნაჩვენებია ვაშლობთან ახლო. „დავთრის“ დროს ქავთარნაგებში 39, ხოლო 1878 წ. მასში მხოლოდ 12 მოსახლეა<sup>2</sup>.

2. სოფ. ჯოჯორთა جوجورتا სათესველითურთ—جوجورتا (I 16, 296; II 18, 290). დაწერილობა დიაკრიტული ნიშნების გარეშეა, მაგრამ ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული Джоджорта პუნქტის სახელი სავსებით შეესაბამება ამ დაწერილობას. „დავთრის“ დროის ჯოჯორთა 9 კომლიანი სოფელია. მისი მდებარეობა სავსებით გარკვეულია (იხ. თანდართულ რუკაზე). არქივისეული სიების «Чорчоп» (21r, 14r) მხედველობაში მისაღები არ არის. სათესველ جوجورتა-ის სახელი ამოუკითხავი რჩება.

3. სოფ. გაჩიანი (?)—گاجان (I 16, 297; II 18, 290). ამ დაწერილობას (დედანი, გვ. 275) სავსებით გარკვევით აქვს დასმული დიაკრიტული ნიშნები და, თითქოს, სწორად უნდა იყოს ამოკითხული (რა თქმა უნდა შეიძლება ქაჩიანი, კაქიანი, გიჩიანი, ქიჩიანი, კიქიანი და სხვა ვარიანტებიც იყოს). არქივისეული სიების Гичиан-ი და მისთანანი (21r, 14r) სწორი არ არის. სამკომლიან სოფლადაა აღრიცხული.

4. სოფ. რატასანი—راداس (I 16, 297; II 18, 291). ხუთვერსიან რუკაზე ხოზაპინის (კარწახის) ტბის დასავლეთით, თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე პეტრისთან აღნუსხულია Ратасан-ი. „დავთრის“ დროს რატასან სოფელში აღრიცხულია 11 კომლი. არქივისეულ სიებში შეცდომით Радас-ია ჩაწერილი (21r, 14r). ხუთვერსიან რუკაზე Ратасан სახელწოდებას წინ უზის k ასო, რაც Крепость-ს, ე. ი. 'ციხე'ს ნიშნავს. რუკის შედგენის დროს, ე. ი. XIX ს-ში ეს პუნქტი უკვე გაუკაცრიელებულია და ამ ადგილას, ალბათ, მხოლოდ ციხის ნანგრევებიღა ყოფილა.

სოფ. რატასანთან მიწაწერში დასახელებულია ორი ჩაირი: راس و راسك, რომელთა ამოკითხვა არ ხერხდება.

5. სოფ. ზაქი—زاج (I 16, 298; II 18, 291). არქივისეული სიების მიხედვითაც Заг-ია (21r, 14r). რუკებზე ეს სოფელი, რომელიც „დავთრის“ დროს თორმეტ მოსახლეს ითვლის, აღნიშნული არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენი დაუღალავი მკვლევრისა და გამოჩენილი მეცნიერის ექ. თაყაიშვილის წყალობით ზაქის ადგილმდებარეობა მაინც ცნობილია. ირკვევა, რომ ამ სოფელს მეორე სახელიც რქმევია. ექ. თაყაიშვილი იმ პარაგრაფს, რომელშიც ის ძლიერ დაწვრილებით აღწერს სოფ. ზაქის ეკლესიას, ასათაურებს

ასე: Зеганская церковь или Заки. შემდეგ XV ტაბულაზე ორი სურათია ზაკის ეკლესიისა წარწერით—Церковь в Заки.<sup>1</sup> მასასადამე, ზაქი ცნობილი ყოფილა ზეგანის სახელითაც. ზეგანის მდებარეობაზე კი აქვე ნათქვამია: Зеганская церковь находится в пяти верстах от селения Зарабюка и этим, вероятно, обязана относительно своей сохранности: по близости не было населения, которое нуждалось в ее камнях...<sup>2</sup> ამრიგად, სოფ. ზარაბუქიდან სოფ. ზაქი 5 ვერსით ყოფილა დაშორებული, ხოლო სოფ. ზარაბუქი რუკებზე მველციხის (Курт-кала) დასავლეთითაა აღნიშნული სოფ. ხამაშთან. რადგანაც არაბული ქვ. დაწერილობა ქართულად ზაკ-ადაც შეიძლება წაკითხულ იქნეს (ქ ასო, რომელიც თურქულში გ თანხმოვანსაც გადმოგვეცემს, შეიძლება ამ შემთხვევაში ქართულ მკვეთრ კ-ს გულისხმობდეს): არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამ სოფელს ზაკ-ი ერქვა.

6. სოფ. ოხორა— اوخوره (I 26, 298, II 18, 292). ერთ-ერთ მსხვილ-მასშტაბიან რუკაზე (99), რომელიც ახლა ზელთ არა მაქვს, აღნიშნული ყოფილა Курт-кала-სთან (მველციხესთან) Охера. ვეიქრობ, დამახინჯებული სახით, მაგრამ სწორედ ეს ოხერა სოფელი ივარაუდება ექ. თაყაიშვილთან, როდესაც ის წერს: Выше Охера—Курт-кала, против Ампура, церковь из тесаных камней в развалинах<sup>3</sup>. ამით დასტურდება სოფ. ოხორის მველციხესთან ახლო მდებარეობა. ეს უთუოდ ჩვენი ოხორა უნდა იყოს. მეოთხე ასოდ ვაუი (ვ) გვაქვს მოცემული და ამდენად მეორე ხმოვანი ე არ შეიძლება იყოს; ეს ალბათ გააზრების შედეგია. ხოლო ოხორა, შესაძლებელია, ზანური წარმოშობის გეოგრაფიულ სახელს წარმოადგენდეს. მეგრულ-ქანურში ოხორა-ი, ოხორე 'სახლი', 'სამოსახლო ადგილი'<sup>4</sup>. „დაეთრის“ დროის ოხორაში აღრიცხულია 6 კომლი. არქივისეული სიგბის Охура (21r, 14r) უთუოდ თურქიზებული ფორმაა (ლია ი პირველ მარცვალს იქით არა გვაქვს).

7. სოფ. პეტრისი სოფ. რატასანთან— پتریس (I 16, 299; II 18, 292). „დაეთრის“ I წიგნის მე-16 გვერდზე ეს დაწერილობა پتریس-ად მაქვს ამოკითხული (დედანი, გვ. 21), ხოლო ძირითად ტექსტში پتریس-ად. მართალია, რუკებზე ამ სოფლის სახელად Петрес-ია ფიქსირებული, მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს ექ. თაყაიშვილის ცნობა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სახელწოდება—Петриси (II წიგნში „პეტრის“ სიტყვის შემდეგ კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას). ხუთვერსიან რუკაზე რატასანის რამდენიმედ ჩრდილოეთით აღნუსხულია К[репост.] Петрес-ი. ექ. თაყაიშვილი უფრო აზუსტებს ამ პუნქტის მდებარეობას: В описываемом мною районе, на левом берегу Курь, между селами Котаси, Ампуром, Картанакевом и Зарабюком некоторые древние памятники остались мною не посещенными. По соб-

<sup>1</sup> Материалы по археологии Кавказа, XII, გვ. 64, ტაბულა XV.

<sup>2</sup> Материалы по археологии Кавказа, იქვე. <sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი. 1936.

равным же сведениям памятники эти суть: близ Картанакева, на берегу речки крепость Петриси и в крепости небольшая церковь...<sup>1</sup> მაშასადამე, პეტრისი „დავთარში“ რატასანთან არის ნაჩვენები; ექ. თაყაი-შვილით მეორე ახლობელი პუნქტი მდინარის ნაპირას მდებარე პეტრისისა—ქართანაქევი (ქავთარნაგები).

„დავთარის“ დროის პეტრისის სამკომლიანი სოფელია. შემდეგში ის გაუქაცრიელებულა და XIX ს-ის რუკებზე მხოლოდ ციხედაა აღნიშნული (К. Петрес).

8. სოფ. პატარა ხამაში, სოფ. დიდ ხამაშთან—*خاماش کوچک نزد بزرک* (I 16, 299; II 19, 292). [დიდი არტანის ლივან, ტყიანი ნაპიჯე]

68. სოფ. დიდი ხამაში ყოჩყარა (?) და *بفرجه* სათესველებითურთ—*خاماش ... مع مزرعة فرجه* (I 405, 505; II 397, 493). ამრიგად, პატარა ხამაშის მდებარეობა ნაჩვენებია სოფ. დიდ ხამაშთან და ეს დიდი ხამაში ჩრდილის ლივანს მგელციხის ნაპიჯეში კი არ არის აღრიცხული, არამედ სამხრეთით მომიჯნავე არტანის ლივანს ტყე-რაიონში. ცხადია, მდებარეობა ხამაშებისა ალბათ განსაზღვრავდა (ვთქვათ, ერთი გაღმა ფერდობზე, მეორე—გამოღმაზე) მათ სხვადასხვა ლივანსა და ნაპიჯეში შესვლის ფაქტს.

ხუთვერსიანსა და სხვა რუკებზეც *Хамаш*-ი აღნიშნულია მართლაც ჩრდილისა და დიდი არტანის ლივანების მიჯნაზე სოფ. ზარაბუქის რამდენიმედ სამხრეთით. ჩრდილის ლივანს პატარა ხამაში „დავთარის“ დროს უკვე გაუქაცრიელებულა, დიდ ხამაშში კი სამი კომლია აღრიცხული.

დიდ ხამაშთან დასახელებულია ორი სათესველი. ამ სათესველების სახელწოდების დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვს. დაწერილია *فرجه* და *فرجه*, მაგრამ მათი სწორად ამოკითხვა მაინც არ ხერხდება.

9. სოფ. ლორი, სოფ. გუგუბასთან—*لوری* (I 16, 299; II 19, 293). ლორი ჩრდილის ლივანსა და მგელციხის ნაპიჯეში შედის, მაგრამ მისი მდებარეობის დასაზუსტებლად მითითებულია, რომ ის სოფ. გუგუბასთანაა, ეს სოფელი კი დიდი არტანის ლივანს ტყე-რაიონში ირიცხება (II 465). ოღონდ გუგუბა მომიჯნავეა ამ ნაპიჯესათვის და ლორი მასთან უფრო ახლო იქნებოდა, ვიდრე რომელიმე მგელციხის ნაპიჯეს სოფელთან. შესაძლებელია რუკაზე გუგუბასთან ძლიერ ახლო აღნიშნული P. II., ან არადა P. II. სწორედ ჩვენი ლორ ნასოფლარი იყოს. ყოველ შემთხვევაში ლორის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით მაინც უცნობია. ლორი „დავთარის“ დროს უკვე გაუქაცრიელებულია.

10. სოფ. საკველახევი, სოფ. ჯოჯორათასთან—*ساکله* (I 16, 299; II 19, 293). არქივისეული სიების საკლისხევი-ი სწორი არაა (21r, 14r). ხუთვერსიან რუკაზე ჯოჯორათასა და ულუხს შუა აღნიშნულია К(репость) *Саквелахеви*. უმკველია, რომ ეს პუნქტი ყოფილა სოფელი, რომელიც

<sup>1</sup> Материалы по арх. Кавказа, XII, გვ. 64.

„დავთარის“ დროისათვის გაპარტახებულა, ხოლო XIX საუკუნეში (რუკების შედგენისას) იქ მხოლოდ ციხის ნანგრევები იქნებოდა, რომ რუკაზე ციხე-დაა აღნუსხული.

11. სოფ. ოქოშეთი (?), ს. ჯოჯორთასთან (I 16, 299; II 19, 293). არქივისეულ სიებში Окушен-ია (21r, 14r).

ამ სოფლის ნანგრევების ძიება სოფ. ჯოჯორთას სანახებში უნდა ჩატარდეს. ამოკითხულობაც დამაჯერებელი არ არის. უკაცრიელ სოფლადაა აღნუსხული.

12. სოფ. სარუხანი—ساروخن (I 16, 299; II 19, 293). არქივისეულ სიებში Сарухен-ია (21r, 14r). რუკებზე აღნიშნული არაა. უკაცრიელია.

13. სათესველი صوبخاتكون (I 17, 299; II 19, 293). დაწერილობას მთლიანად დასმული აქვს დიაკრიტული ნიშნები. შეიძლება წაკითხულ იქნეს: სუმბახათქუნ-ად; მაგრამ შეიძლება მეოთხე ასო ბ კი არა იყოს; მეხუთე მაშინ ჯ იქნება და მივიღებთ სუმნაჯათქუნ-ს. ჯერჯერობით არ არის მასალა ამ სახელწოდების სწორად ამოსაკითხვად. არქივისეულ სიებში Сунджакул (21r) და Сунджаткун-ია (14r).

14. სოფ. ყარალათუბანი (?)—قرالان (? (I 17, 299; II 19, 293). ვფიქრობ, რომ სწორადაა ამოკითხული. დამადასტურებელი მასალა არაა. უკაცრიელი სოფელია.

15. სათესველი ოღუზტაში—اوغوزتاشი (I 17, 300; II 19, 293). ოღუზი ოსმალთურქთა ტომობრივი სახელია, ხოლო تاش-taş, 'ქვა'. შეიძლება ამ სახელწოდებაში გააზრებულა რომელიმე ქართული სახელი. „გურჯისტანის ვილანეთში“ თურქ მოსახლეობას ამ პერიოდში ჯერ კიდევ ფეხი მოკიდებული არა აქვს და ამდენად საეჭვოა წმინდა თურქული სახელწოდება ყოფილიყო ამ დროს. არქივისეული სიები ყურუაში ვარიანტს იძლევა (21r, 14r).

ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია პუნქტი Угуз დიდი არტანის ლიგეში შემავალი ტყიანი რაიონის მიჯნაზე, ხამაშის სამხრეთით. ეს სათესველი ოღუზტაში ამ Угуз-თან უნდა ყოფილიყო.

16. სოფ. كاش (I 17, 300; II 19, 293). გაუკაცრიელებული სოფელია, რომლის სახელის ამოკითხვა ჯერჯერობით არ მოხერხდა.

## V. ფოცხოვის ლიხა

### 19. მწვარის ნაპიჯი

ფოცხოვის ლიხორ ნაპიჯედ არის გაყოფილი—მწვარისა და ჩრდილის ნაპიჯედ. პირველს ფოცხოვის დასავლეთი მხარე უჭირავს, ხოლო მეორეს—აღმოსავლეთი. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან არ ჩანს, რომ ფოცხოვი ცალკე პროვინცია ყოფილიყო სამხრეთ საქართველოში. აქადემიკოს ექ. თაყაიშვილით ფოცხოვის საბოქაულო ახალციხის მაზრასთან ერთად ძველი სამცხის ერთ-ერთი უბანი იყო<sup>1</sup>. პაველ ინგოროყვას მიხედვითაც თურქეთის საზღვრებში მდებარე ფოცხოვის რაიონი ძველი მესხეთის პროვინციის სამცხის ნაწილია<sup>2</sup>. ფოცხოვი ადიგენისა და ახალციხის რაიონების ტერიტორიის უშუალო გაგრძელებაა. მას დასავლეთით აქარა და შავშეთი საზღვრავს, აღმოსავლეთით ახალციხისა და ასპინძის რაიონები, ჩრდილოეთით იგივე ახალციხისა და ადიგენის რაიონები (ამ შემთხვევაში თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით), ხოლო სამხრეთით არტაანის ლიხაში შემავალი ე. წ. ტყე-რაიონი აკრავს<sup>3</sup>. ყოველ შემთხვევაში „დავთარში“ აღწერილი და ჩვენ მიერ დართულ რუკაზე აღნუსხული ფოცხოვის ლიხასოფლები, ვფიქრობ, საკმაო სიზუსტით განსაზღვრავენ ფოცხოვის მიჯნებს, რუკის შემდგენელს დოც. ალ. ასლანიკაშვილს ეს მიჯნები კარგად აქვს მოხაზული.

ვახუშტი სამჯერ ახსენებს ფოცხოვს: ფოცხვის-ჯევი<sup>4</sup>, მეორეჯერ აგრეთვე ფოცხვის-ჯევი<sup>5</sup>, რომელიც ჩრდილოეთის საზღვარია ერუშეთისა და მესამეჯერ—ფოცხოვის-ჯეობა, რომელიც არსიანის მთით შავშეთს ესაზღვრება აღმოსავლეთით („და გარდავლენან მას ზედა [შავშეთიდან არსიანზე] გზანი ერუშეთს, ფოცხვის-ჯეობას და ზარზმა-ყველს“)<sup>6</sup>.

ამრიგად ფოცხოვი—სამცხის პროვინციის სამხრეთი რაიონი, ოსმალთა ბატონობის დროს, როგორც „გურჯისტანის ვილაეტის“ ადმინისტრაციული

<sup>1</sup> MAK, XII, გვ. XI.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბილისი, 1954, გვ. 300; იქვე დართული რუკა „მესხეთის მხარეთა VIII-X საუკუნეებში“.

<sup>3</sup> იხ. თანდართული რუკა.

<sup>4</sup> ვახუშტი, გვ. 126.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 132.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 136.

ერთეული, ლევან სანჯაყი იყო. ელიამ ჩელების (X VII ს.) ფოცხოვის სახელი **پوستخو**-ად აქვს გააზრებული (სპარსულად **پوستخو** = „ტყევისმკაინელი“). ე. ჩელები წერს, რომ ფოცხოვის ციხე ახალციხის ველანეთში სანჯაყბეგის, ე. ი. ლევანის სათავეში მდგომი ბეგის ტახტიაო. ამ ცნობიდან მაინც არ ჩანს, თუ ფოცხოვის რომელ ციხეზეა აქ ლაპარაკი<sup>1</sup>. ჰაჯჯი ხალიფანს ფოცხოვის სახელი შედარებით კარგად აქვს ჩაწერილი<sup>2</sup>. შემდეგში, მაგალითად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოსულ აჰმედ ვეფიკ ფაშას ცნობილ ლექსიკონში ფოცხოვი არტაანისადმი დაქვემდებარებული სა-კაზნა-ო ადმინისტრაციული ერთეულია (**پوستخو اراداهانه ملحق بر قضاة**)<sup>3</sup>. დ. ბაქრაძის მიხედვითაც **Ош [Пощхов]** еще в 1828 г. составлял особую сандажак, а ныне образует Каза-Пощхов<sup>4</sup>. 1902 წელს ყარსის ოლქში შემავალი არტაანის ოკრუგი ოთხ საბოქაულოდ იყოფოდა: არტაანის, კოლის (**Гельский**), ჩილდირისა და ფოცხოვის<sup>5</sup>. ამჟამად ფოცხოვი თურქეთში ყარსის ველანეთის კაზანა; მისი სახელი რუკებზე და სხვაგანაც ძალზე გადათურქულებულია—**Posof**.<sup>6</sup>

1. სოფ. ფომა ჩიტ[ის]წყარო (?) სათესველითურთ—**پوستخو مع مزرعة چذغره** (I 17, 300; II 19, 294). ერთ- და ხუთევერსიან რუკებზე—**Пом.а**. ამ სახელწოდების შემცველი ქართული საბუთი ვერ ვნახე, რომ დამუხუსტებინა ფომა-ა-ა აქ თუ პომა. უფრო სწორი მაინც ფომა უნდა იყოს, რადგანაც დედანში ამ სიტყვის პირველ ასოს დიაკრიტიული ნიშანი აქვს—**پوست**. ყოველ შემთხვევაში არქივისეულ სიგებში ამ სოფლის სახელად ჩაწერილი **Пом.а** სრული გაუგებრობაა. ფომა მდებარეობს კილევანსთან ახლო. თორმეტკომლიანი სოფელია. სათესველის სახელიც სწორად უნდა იყოს ამოკითხული. აქაც პირველ ასოს ქვემოთ სამი წერტილი უზის (**چ**), „ტ“ მკვეთარი ყველგან მკლერი „დ“თია გადმოცემული და შემდეგ კი წყარო სიტყვა უნდა გვეკონდეს—ჩიტ[ის]წყარო (ქართული სიტყვის ბოლოკიდური „ო“ ხმოვანი კანონზომიერად ა (ა)-ით გადმოიცემა, ნათ. ბრუნვის—ჩიტისსთან ხმოვანი. მომდევნო „ზლარო“ს, ზ-სთან უნდა იყოს შერწყმული.

2. სოფ. ვარხანა ტყამლობ, შემქამელ (?) და **اوسل** სათესველებითურთ—**اوسل و شجاعيل (?) داغاملوب** (I 17, 300; II 19, 294). ხუთ-

<sup>1</sup> **اوليا چلبى سياحتنامهسى**, II, (1314 წ.), გვ. 325. ა. ინგოროყვას მიხედვით: ფოცხოვი ← ბოცხო-ბევი (გ. მერხულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 180).

<sup>2</sup> **جهاننا**, 408.

<sup>3</sup> **لهجه عثمانى**, გვ. 228.

<sup>4</sup> **АПГА**, გვ. 67.

<sup>5</sup> ექ. თაყაიშვილი, **МАК**, XII, გვ. XI; შტრ. აგრეთვე: „ფოცხოვის საბოქაულოს უტირას არტაანის ოკრუგის ჩრდილოეთი მხარე“. **В. Девинский, Древности Пощховского уезда. СМОПК**, 35, გვ. 236; **Граффия Уварова, Христинианские памятники, МАК**, IV, მოსკოვი, 1894, გვ. 94.

<sup>6</sup> იხ. მაგალითად, **Д. А. Магазиник, Турецко-русский словарь**, გვ. 492, აგრეთვე რუკებზე.

ვერსიან რუკაზედაც ვ ა რ ხ ა ნ ა-ა ფიქსირებული. ადიგენის რაიონში ოცხის-წყლის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფლის სახელი ვ ა რ ხ ა ნ-ია, ხოლო ფოცხოვისა კი—ვ ა რ ხ ა ნ ა. ამის გახაზვა იმიტომაც საჭიროა, რომ არქივისეულ სიებში (და სხვაგანაც) შეცდომით Бархана-ი წერია (21r, 14r). სხვა საარქივო საბუთებში Бархана-ც გვაქვს<sup>1</sup>. ფოცხოვის ვარხანა „დავთარის“ დროს 21 კომლიანი სოფელია; 1834 წელს მასში ითვლება მხოლოდ 10, ხოლო 1878 წ.—11 კომლი<sup>2</sup>. მისი ადგილმდებარეობა საესებით გარკვეულია (იხ. აქვე რუკაზე).

მწელი ამოსაკითხავია ვ ა რ ხ ა ნ ა-ს სათესველებად დასახელებულ პუნქტთა სახელები. დიაკრიტული ნიშანი აქვს მეორე სათესველის სახელის ორ ასოს: ش-სა და ح-ს. პირველი ორი სახელის ამოკითხულობა პირობითია—ტყამლობი (←ტყემლობი?) და შემკამელი-ი (?), ხოლო მესამე სახელი ამოუკითხავი რჩება.

გარდა ამისა აღწერილობის ბოლოში მოყვანილია ამ სოფლისადმი დაქვემდებარებული კიდევ სამი სათესველი, რომელთა სახელები ამოუკითხავად დარჩა; დაწერილობის ამოცნობაც საეჭვოა: صافا, حى და ىوالى (?) სათესველები.

3. სოფ. ც ი რ ე კ ა ა ნ თ უ ბ ა ნ ი (?) თავწითელ სათესველითურთ — مع مزرعة سوان (?) (I 17, 301; II 19, 295). თურქული დაწერილობა თითქოს კარგადაა ამოცნობილი; მისი ქართულად სერექთუბანა<sup>3</sup>დ (II წიგნი) გააზრება სწორი არ უნდა იყოს. სიტყვის მეორე ნაწილი უ ბ ა ნ სიტყვა, რა თქმა უნდა, სწორია, ხოლო პირველი ნაწილი ك سირა უფრო მოსალოდნელია სირეგ-ი-←ც ი რ ე კ-ი იყოს („ც“ თანხმოვანი ს ასოთია ყველგან გადმოცემული, ხოლო „კ“ სათანადო მკვეთრი „გ“ მდურის აღმნიშვნელი კ ასოთი). ამდენად ჩვენ შეიძლება აქ გვკონდეს ც ი რ ე კ ა (ან) თ უ ბ ა ნ-ი (მოვიგონოთ ქართული გვარის სახელი ცირეკიძე←კაცის საკუთარ სახელ ცირეკ-ისაგან). ამ მოსაზრებას ამაგრებს შემდეგი ფაქტი: სოფლის პირველი მეკომურის მამის სახელი ისეთი მოხაზულობითაა დაწერილი, რომ შეიძლება ის سيرة كرى — სირეგიზე → ც ი რ ე კ ი ძ ე-ლ<sup>3</sup> წავიკითხოთ. თუ ეს ასეა, მაშინ ამ უბანში ც ი რ ე კ ი ძ ე ბ ი სახლებულან და უბნის (სოფლის) სახელიც ც ი რ ე კ ა ა ნ თ უ ბ ა ნ ი უნდა ყოფილიყო. არქივისეული სიების Сирикетыбань (21r) და Сорокетыбан-ი (14r) უთუოდ შეცდომაა.

ციირეკაანთუბანი (?) 9 კომლიანი სოფელია. ადგილმდებარეობა უშუალოდ არ ვიცით; მისი ლოკალიზება შესაძლებელია აქვე მოხსენებულ სოფელთა (ფომა, ჭილვანა, ვარხანა და სხვ.) ფარგლებში.

სოფელთან მოხსენებულნი თ ა ვ წ ი თ ე ლ სათესველის სახელი სწორი უნდა იყოს, რადგანაც სავსე დაწერილობას ნიშნები დასმული აქვს.

<sup>1</sup> სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 77, ს. 6; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r.

<sup>3</sup> ბოლო ორი ასოს ى (ზ და იოტი) ძე-დ წაკითხვის შემთხვევა ჩვენ „დავთარში“ ხშირია. ამ საკითხს დაწვრილებით ჩვენ IV წიგნში განვიხილავთ.



4. სოფ. ქ ი ლ ვ ა ნ ა — جلوانا (I 17, 301; II 19, 295). სოფ. ქილვანა ერთ-და ხუთვერსიან რუკებზე აღნიშნულია—Чилванна. არქივისეულ სიებშიც Чилванна გვაქვს (21v, 14r)<sup>1</sup>. ქილვანა ზემოგანხილულ სოფ. ფომასთან ახლო მდებარეობს. ვახუშტის სიისეული ქ ი ლ ვ ნ ა შეცდომით ჩაწერილი ქილვანა უნდა იყოს (გვ. 24v). „დაეთრის“ დროის ქილვანა 12 კომლიანია, ხოლო 1878 წ. მასში უკვე 28 კომლია აღრიცხული<sup>2</sup>.

5. სოფ. ტ ა ძ ლ ა ხ ა (?) სათესველითურთ — مع كلسا كلسا (I 17, 302; 19, 296). كلسا დაწერილობას წერტილები დასმული აქვს<sup>3</sup> და ანიტომ ის შეიძლება წავიკითხოთ დაზღაბა-დ. დაზღა-ხა შეიძლება ქართული ტ ა ძ ლ ა ხ ა ს გადათურქულებული ფორმა იყოს. ვერაფერს ვერ დაუუკავშირეთ. უცნობია ჩვენთვის აგრეთვე სათესველის სახელი كلسا (მეორე სიტყვა „ქილისა“ა, რაც ეკლესია'ს ნიშნავს). ტაძლახა (?) სოფელი საკმაოდ მოზრდილია; მასში 21 კომლია აღწერილი. არქივისეული სიების Таплиджан (21v) და Таз Илджа (14r) უთუოდ გადამახინჯებული ფორმებია. ამ სოფლის სახელწოდებისა და ადგილმდებარეობის დასადგენად საჭიროა დამატებითი მასალა.

6. სოფ. ქ ვ ე მ ო დ ი ღ ვ ი რ ი დედეთუბან (?) სათესველითურთ — ديوبر عيا مع مزرع سفا (I 17, 303; II 19, 296), 9. სოფ. ზ ე მ ო დ ი ღ ვ ი რ ი ღვარძელ (?) სათესველითურთ — مع مزرع سفا (I 17, 304; II 19, 297). „დაეთარში“ ამ სოფლის სახელი ზუსტადაა ჩაწერილი. ეს იქიდანაც დასტურდება, რომ აქარლები ამ სოფელს სწორედ დ ი ღ ვ ი რ ს ეძახიან. ამისი ვახაზეა იმიტომაც საჭირო, რომ სხვადასხვა ენაზე ეს სახელი სხვადასხვანაირად დამახინჯებულად წარმოგიდგება: არქივისეულ სიებში გვაქვს Дигвирис Суфа (21v) და Дигвирис Суфа (14r; ბოლოკი-დური ზედმეტი „ს“ თანხმოვანი მომდევნო სფა სიტყვის გავლენით უნდა იყოს გაჩენილი), ხოლო ზ ე მ ო დ ი ღ ვ ი რ ი აჰავე სიებში რუსული ტრანსკრიფციის კვალობაზე კარგადაა ჩაწერილი—Дигвирн. სხვაგან დამახინჯებები უფრო უარესია: Дугвир<sup>4</sup>, Дугур<sup>5</sup>, Дигвур<sup>6</sup>, Дегур<sup>7</sup>, «Дююр или Тюкюр»<sup>8</sup> და სხვ. ალ. ფრონელის დ ი ღ უ რ ი შეიძლება დ ი ღ ვ ი რ ი ს პარალელუ-

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9 v; იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 77r; აგრეთვე: Графшия Уварова, Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшетия, Псковский участок, т. II, Москва, 1891, გვ. 268; Предварительный отчет о путешествии д-ра Г. Радде по Кавказу летом 1867 г., Зап. КОИРГО, VIII, გვ. 57.

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77r.

<sup>3</sup> იხ. დედანი, გვ. 279.

<sup>4</sup> სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>5</sup> История военных действий, I, 351.

<sup>6</sup> სცია, ფ. 78, ს. 5, გვ. 25r.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 22v.

<sup>8</sup> Предварительный отчет о путешествии д-ра Г. Радде по Кавказу летом 1867 г., ЗКОИРГО, кн. VIII, 58.

რად ხმარებული ფორმა იყოს<sup>1</sup> (აღ. ფრონელი ხმარობს დიგურ-საც, რაც აშკარად გადარუსულებული და გადათურქულებული ფორმებია). გვხვდება ეს სახელი დილორის ფორმითაც<sup>2</sup>.

არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ დილეირი ფოცხოვის სანჯაყისათვის თუ კაზასი, თუ საბოქაულოს ადმინისტრაციული ცენტრი და უდიდესი სოფელია, მისი ადგილმდებარეობაც დაზუსტებულია: «[деревня] Дугур, лежащая против моста, составляет обыкновенную резиденцию Бека, управляющего Посховским санджаком»<sup>3</sup>, «Дугур с квартирою Участкового Начальника расположен в центре Посховского ущелья...»<sup>4</sup>, «Крепость Мере находится верстах в 3-х к юго-западу от самого большого селения Посховского участка, Дугура, на правом берегу речки Посхов-чая»<sup>5</sup> და სხვ.

გამაჰმადიანებულ ფოცხოვში ისლამური განათლების ცენტრიც დილეირი ყოფილა. «დღევანდელ მესხეთში, წერს ალ. ფრონელი, დილეირის სკოლას ხუმრობით „მაჰმადიანების აკადემიას“ ეძახიან. აქ ბლომად არიან ნასწავლი მოღვაწეები, იყვანენ შეგირდებს და ასწავლიან არაბულსა და ყორანს»<sup>6</sup>. 1878 წ. დილეირში ნაჩვენებია 40, ხოლო 1889 წ. 62 კომლი „თურქული“ მოსახლეობა<sup>7</sup>.

„დავთარში“ აღწერილია ორი დილეირი — ქვემო და ზემო. თანამედროვე რუკებზე და სხვა მასალების მიხედვითაც ერთი დილეირია აღნიშნული. შესაძლებელია შემდეგში ქვემო და ზემო დილეირი შეერწყო ერთმანეთს. „დავთარის“ დროის დილეირები პატარა-პატარა სოფლებია, სულ 13 კომლით.

სოფ. ქვემო დილეირთან დასახლებული სათესველის სახელი შეიძლება დედეთუბანი ან უფრო დედათუბანი იყოს; ზემო დილეირის სათესველის სახელი კი თითქოს დვარძელია.

7. სათესველი ზემო ფალა და ნადარბაზი (?) — جزعة سلا عليا و سلا سفلى (I 17, 303; II 19, 297), 36. სოფ. ქვემო ფალა — سلا سفلى (I 17, 317; II 19, 310). არქივისეული სიგების Бага ვარიანტი (21v, 14r) არაა სწორი; სხვა სარქივო მასალებში ჩვენ გვაქვს Пааа<sup>8</sup>, რუკებზედაც (ერთ-და ბუთვერსიანზე) ამ სოფლის სახელი П თანხმონით იწყება — Пола (ო ხმოვანი შეცდომა უნდა იყოს).

<sup>1</sup> დიდებული მესხეთი. გვ. 47, 48, 181, 182; დ. ბაქრაძის АПГА-ში შეცდომით Дишви-ри-ა დაბეჭდილი (იხ. გვ. 67).

<sup>2</sup> ს. შ., გადასახლებულ ქართველებზე, „დროება“, 1879, № 189.

<sup>3</sup> История воен. действий..., I, გვ. 351, II, გვ. 68.

<sup>4</sup> Граф. Уварова, Кавказ..., გვ. 278; МАК, IV, 102.

<sup>5</sup> В. Девинский, Древности Посховского участка, СМОМПК, 35, გვ. 238-239.

<sup>6</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 48.

<sup>7</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r; Свод, 114, 115.

<sup>8</sup> მაგალითად, სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

ფალა-ს სახელით დაეთარში სამი პუნქტია: სათესველი ზემო ფალა, სოფ. ქვემო ფალა და ადგილი შიდა ფალა, რომელიც მომიჯნავე ჩრდილის რაიონში შემავალ ზემო და ქვემო ყუდრასთანაა დასახლებული, როგორც ამ უქანასკნელის უბანი (السكان I 327; II 319)<sup>1</sup>. ყუდრა და ფალა, მართალია, სხვადასხვა რაიონს განეკუთვნებიან, მაგრამ ტერიტორიულად ახლოს არიან (იხ. თანდართულ რუკაზე — ფალა და ყუდრა). შესაძლებელია XI ს-ში, ბაგრატ IV-ის დროს, სტამბოლს გამგზავრებული ჩანჩახ ფალელი სწორედ ჩვენი ფიცხოვის ფალა სოფლიდან იყო<sup>2</sup>.

„დაეთრის“ დროის ზემო ფალა მხოლოდ სათესველია, ქვემო ფალა ხუთკომლიანი სოფელი, ხოლო შიდა ფალა ყუდრა სოფლის უბანია. 1878 წ. იხსენიება მხოლოდ ერთი ფალა, რომელშიც აღრიცხულია 5 კომლი<sup>3</sup>.

მე-7 ნომრის ქვეშ აღნუსხულია აგრეთვე მეორე სათესველი ასრას, რომელიც პირობით ნადარბაზად შეიძლება ამოკითხულ იქნეს.

8. სოფ. ქვემო ჯაჯუნი შუა ჯაჯუნ სათესველითურთ جاجون ساو... (I 17, 303; II 19, 297), 18. სოფ. ზემო ჯაჯუნი ავაზან (?) სათესველითურთ—(?) ساوان... جاجون (I 17, 307; II 19, 301). ხუთვერსიან რუკაზე ყველა სამი ჯაჯუნი სოფლებდაა აღნიშნული — В(ерхний), Ср(едний) და Н(ижний) Джаджун. „დაეთრის“ დროისათვის კი შუა ჯაჯუნი მხოლოდ სათესველია (იხ. თანდართულ რუკაზე ქვემო და ზემო ჯაჯუნი).

არქივისეულ სიებში ჯაჯუნ სახელწოდება ძლიერ დამახინჯებულია (Чауи—21v, Чучуи — 14r, სხვაგან გვხვდება Жажун-იც, სტია, ფ. 77, ს. 6). სწორია სახელწოდება ჯაჯუნი<sup>4</sup>.

9. სოფ. ზემო დიდვირი (იხ. ზემოთ 6. სოფ. ქვემო დიდვირი).

10. სოფ. კონდარი საყუნეთ (?) სათესველითურთ — كوندار (?) ساقون (I 17, 304; II 19, 298). არქივისეულ სიებშიც Коиндар-ი (21v, 14r) გვაქვს; რეკონძლიანი სოფელია. მასთან აღწერილი სათესველის სახელი უნიშნოდაა დაწერილი და მისი საყუნეთ-ად წაკითხვა უაღრესად პირობითია, როგორც ერთ-ერთი შესაძლებელი.

სოფ. კონდარის ადგილმდებარეობის დასადგენად ორიენტაცია უნდა ავიღოთ მასთან დასახლებულ სოფლებზე.

11. სოფ. ვარძნა—ارزان (I 17, 305; II 19, 298). მართალია, არქივისეულ სიებსა და სხვაგანაც ჩუსულ ტრანსკრიფციაში ამ სოფლის სახელი

<sup>1</sup> იხ. დედანი, გვ. 301.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 292; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 136.

<sup>3</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

<sup>4</sup> შდრ. Джаджун: Граф. Уварова, Кавказ..., II, გვ. 278, 279; МАК, IV, 102; სტია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v; Сюзь, 114; სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r.

Вардана-ს (21v, 14r)<sup>1</sup> სახითაა მოცემული, მაგრამ ერთ- და ხუთვერსიან რუკებზე და სხვაგან ბევრჯერ გვაქვს Вардана, რაც ქართულ ვ ა რ ძ ნ ა-ს უდრის.

ვარძნის მდებარეობა სავსებით ვარკვეულია რუკებზე; ოღონდ უნდა შეინიშნოს, რომ ხუთვერსიან და სხვა რუკებზედაც ორი ვ ა რ ძ ნ ა ა აღნუსხული—ზემო და ქვემო, „დავთარში“ კი ვ ა რ ძ ნ ა-ს სახელწოდებით ერთი ათკომლიანი სოფელი გვაქვს. 1878 წ. ვარძნაში 14 კომლია, ხოლო 1889 წ.—20<sup>2</sup>. ვარძნასთან აღნუსხული სან სათესველის სახელი ამოუკითხავი რჩება...

12. სოფ. გ ი ო რ გ ი ს უ ბ ა ნ ი — كورگی سوبان (I 17, 305; II 19, 299).

გ ი ო რ გ ი სახელის პირველი ი ხმოვანი არაბულ დაწერილობაში გამოხატული არაა. ამიტომაც ამ სოფლის სახელი გ ო რ გ ი ს უ ბ ა ნ ა და დაბეჭდილი II წიგნში. რუკებზე კი ყველგან (ერთ- და ხუთვერსიან რუკებზე) Георгі-ყნაი-ი || გ ი ო რ გ ი ს უ ბ ა ნ ი გვაქვს. აღ. ფრონელსაც გიორგისუბანი აქვს<sup>3</sup>. გიორგისუბანი, რა თქმა უნდა, უფრო სწორია („დავთარის“ II წიგნის მე-19 გვ. გიორგისუბანი გვაქვს). გიორგისუბანი პეტობნის სამხრეთითაა; „დავთარის“ დროს ხუთკომლიანი სოფელია, 1878 წ. კი მასში 14 კომლი ირიცხება<sup>4</sup>.

13. სოფ. ზ ე მ ო პ ე ტ ო ბ ა ნ ი — بدون علی (I 17, 305; II 19, 299).

41. სოფ. ქვემო პ ე ტ ო ბ ა ნ ი — بدون سفلا (I 17, 318; II 19, 311), 49.

სოფ. შუა პეტობანი — وسط و بدون (I 17, 319; II 19, 312). ამრიგად „დავთარის“ შედგენის დროს სამი პეტობანი გვაქვს: ზემო, ქვემო და შუა. 1834 წლის ერთ საბუთში<sup>5</sup> და აგრეთვე XIX საუკ. და შემდგომ ხანებში შედგენილ რუკებზე მართო ერთი პ ე ტ ო ბ ა ნ ი ა ნახსენები. დ. ბაქრაძეს АПГА-ში (გვ. 67) პეტობანი აქვს, აღ. ფრონელს — პ ე ტ ო ბ ა ნ ი (უ შეცდომაა) და მეც პ ე ტ ო ბ ა ნ ი გამიგონია (აკად. ნ. მარს შავშეთში ერთი პუნქტის სახელად ჩაწერილი აქვს ფ ე 'ტ ო ბ ა ნ ი)<sup>6</sup>. არქივისეული სიების Бугуцан (21v, 14r) Петубань (22v, 14r) და Бегубан (22v, 14r) სწორი არ არის და პ ე ტ ო ბ ა ნ ა-დ უნდა შესწორდეს.

„დავთარის“ დროს ზემო პეტობანში 19 კომლია აღრიცხული, ქვემო პეტობანი უკვე გაუქვაცირებულა, ხოლო შუა პეტობანში 8 მოსახლეა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1834 წლის ერთ საბუთში აღწერილია მხოლოდ ერთი პეტობანი<sup>7</sup>.

<sup>1</sup> აგრეთვე სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r; Своя, 114, 115.

<sup>3</sup> დიდებული მესხეთი, 181.

<sup>4</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r.

<sup>5</sup> სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>6</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 48.

<sup>7</sup> მოგზაურობის დღიური, გვ. 113.

<sup>8</sup> სცია, ფ. 77, ს. 6, გვ. 9v, იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

რუკებზე (ერთ- და ხუთვერსიანზე) სოფ. პეტრონის მდებარეობა საეცებით გარკვეულია. გრაფინია უვაროვას მიხედვით კიდევ В горном ушеле, за дер. Бадила [= Бадеლა], находится дер. Петроны<sup>1</sup>.

14. სოფ. შუარწყალ — شوارغال (I 17, 306; II 19, 300). ამ სოფლის სახელი რიგ შემთხვევაში რ თანხმოვნის გარეშეა დაწერილი: არქივისეულ სიებში Шуацкал-ი (გვ. 21v) და Шуацхал-ი (გვ. 14r) გვაქვს. ასევე Шуацкал-ი გვაქვს ერთ- და ხუთვერსიან რუკაზე. მაგრამ უფრო მეტად სარწმუნოა „დავთრის“ რ თანხმოვნიანი შუარწყალ ფორმა, რომელიც აგრეთვე მთელ რიგ სანდო საბუთებში გვხვდება: Шуварцхал<sup>2</sup>, Шуварчхал<sup>3</sup> და სხვაგან.

საქ. საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია ე. წ. «Перечнем» ведомость о числе деревень казенных и помещичьих, отошедших по разграничению из Российской пределов в Турцию». ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია ფოცხოვის სანჯაყის 28 სოფელი, რომელიც კვლავ ოსმალთა მფლობელობაში გადასულა. დოკუმენტი დათარიღებულია 1834 წლით. ამ დოკუმენტში სხვათა შორის მოხსენებულია სოფ. Шоварыцкал-ი 25 კომლით<sup>4</sup> („დავთრის“ დროის შუარწყალში აღრიცხულია 9, 1878 წ.—26, ხოლო 1889 წ.: 43 კომლი<sup>5</sup>).

15. სოფ. წინუბანი — نوبان (I 17, 307; II 19, 300). ასევე წინუბანი ამ ადგილას აღნუსხული არქივისეულ სიებში (21v, 14r). სოფ. წინუბნის ადგილმდებარეობის დაახლოებით მაინც განსასაზღვრავად ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ის სოფლები, რომელთა გარემოცვაშიც დასახელებულია ის. სხვა მასალა ამ პუნქტის შესახებ ჩვენ არა გვაქვს. „დავთრის“ შედგენის დროს ის ექვსკომლიანი სოფელი ყოფილა. რუკებზე ამჟამად ამ სოფლის კვალი არა ჩანს. ამავე ფოცხოვის ლივსა და ჩრდილის ნაჰიეჲში კიდევ არის აღრიცხული ამავე სახელწოდების სოფელი<sup>6</sup>.

16. სოფ. ფახრელი (?) — فخريل (I 17, 307; II 19, 300). არქივისეული სიებით Мериет-ია (21v, 14r), რაც სწორი არ არის. დაბეჭდილია I-სა და II წიგნში მეხრელი || مخريل-ი კითხვითი ნიშნით. შემდეგ გაირკვა, რომ ეს დაწერილობა საეცებით ადეკვატურია დიდი არტაანის ლივს მზვარის რაიონში მდებარე № 14 „ფახრელ“ სოფლის სახელის გამომხატველი დაწერილობისა<sup>7</sup>. შეიძლება ფოცხოვშიც ყოფილიყო სოფელი სახელად ფახრელი, რომელიც ჩვენ ქვაყრილ ქართული სიტყვისაგან მომდინარედ ვიყარაუდეთ<sup>8</sup>. ყოველ შემთხვევაში მფხრელი აქ არ უნდა იყოს. ამ ქვაყრილის გამომახილი უნდა იყოს ერთ ქართულ საბუთში მოხსენებული ფოცხო-

<sup>1</sup> Кавказ... გვ. 267; МАК, IV, 94.

<sup>2</sup> სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v. <sup>3</sup> იქვე, ს. 5, გვ. 6r.

<sup>4</sup> სცია, ფ. 77, ს. 6, გვ. 9v. <sup>5</sup> სცია, ფ. 514, ს. 12, გვ. 77r, Свод, 114, 115.

<sup>6</sup> იხ. აქვე ჩრდილის ნაჰიეჲში სოფ. № 31.

<sup>7</sup> იხ. ხელნაწერი-დედანი, გვ. 284, 398.

<sup>8</sup> იხ. აქვე, დიდი არტაანის ლივ, მზვარის ნაჰიეჲ, სოფ. № 14.

ვის სოფელი ქვახრელი<sup>1</sup>. „დავთრის“ დროს ორკომლიანი სოფელია. მისი ადგილმდებარეობის დადგენისას საორიენტაციოდ გამოდგება სოფელთა ის წრე, რომელშიც ის არის დასახლებული.

17. სოფ. ყველის მონასტერი — *قريه قول مناستر* (I 17, 307; II 19 300), 29. სოფ. ყველი ზედა ყველ სათესველითურთ — *قوله اجد... مع قول* (I 17, 313, II 19, 306). ყველის სახელწოდებით სამი პუნქტია დასახლებული: 1. ყველის მონასტერი, სადაც აღრიცხულია 9 000 ახვით დაბეგრილი 4 კომლი, 2. საკმაოდ დიდი სოფ. ყველი—32 კომლით, რომელსაც შეწერილი აქვს გადასახადი 12 000 ახვის რაოდენობით და 3. სოფ. ყველს მიწერილი აქვს სათესველი ზედა ყველი. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ 1834 წლის ერთი საარქივო ცნობის მიხედვით სოფ. ყველის მოსახლეობა უკვე დაკლებულია და 20 კომლითაა წარმოდგენილი<sup>2</sup>.

ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად ვხვდებით ყველ გეოგრაფიულ სახელს. ჯერ კიდევ ყველის ხევი მოხსენებულია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში: „და ვითარცა გარდავლეს მთაჲ იგი, არსიან წოდებული, და მივიდეს ქვესა ყუელისასა...“<sup>3</sup>; „ქართლის ცხოვრებით“ „აბულ-ქასიმ, ... აიყარა ზუნით [თმოგუით] და მოვიდა ყველს...“<sup>4</sup> ამავე ძეგლში იხსენიება „არტანუჯი და ყველი“<sup>5</sup>; „გიორგი მეფესა დაესხნეს, ყველს გარემდგომსა უგრძნულად თურქნი დიდნი“<sup>6</sup>. ცალკეა დასახლებული ყველისყური („მარბილმან მისმან მიუწია ყველის ყურსა, გარდავიდა შავშეთს...“<sup>7</sup>) და ყველის ერისთავი (მურვან ჯაყელი)<sup>8</sup>. „მესხური დავითნის ქრონიკაში“ წერია: „პატრონი დედისიმედი და ბატონი ბექა ყუშლს მოადგეს“<sup>9</sup>. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ყველი „მაგარი ციხე იყო, რომელიც არსიანის გზას უდარაჯებდა, ამასთანავე ერისთავის საჯდომდაც ითვლებოდა“<sup>10</sup>. ს. ზარზმელის ცხოვრებიდან ცნობილია აგრეთვე ქვეი ყუელისა<sup>11</sup>.

ყველის შესახებ ცნობების საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა მოცემული აქვს პროფ. ს. ყაუხჩიშვილს „გეოგრაფიკას“ IV ტომის II ნაკვეთში (გვ. 276). პროფ. ს. ყაუხჩიშვილს აქვე გარკვეული აქვს, რომ კ. პორფიროგენეტის

<sup>1</sup> სცია, ფ. 47, ს. 16, გვ. 105r. ეს საბუთი სრულად დაბეჭდილია აქვე (იხ. ქვემოთ ფოტოზოვის ლენ, ჩრდილის ნაძიგ, სოფ. № 18—ხევა).

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 6.

<sup>3</sup> ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, II. ბ. ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, პროფ. კ. აკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1935, გვ. 171.

<sup>4</sup> ანასეული „ქართლის ცხოვრება“, გვ. 166.

<sup>5</sup> იქვე, 190. <sup>6</sup> იქვე, 200.

<sup>7</sup> ანასეული „ქართლის ცხოვრება“, 191. <sup>8</sup> იქვე, 194.

<sup>9</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ეპ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 95, 96.

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II. 1948, გვ. 55; აგრეთვე, გვ. 102, 111, 148, 149, 154, 159, 160.

<sup>11</sup> ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, II. ბასილ ზარზმელი, პროფ. კ. აკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1935, გვ. 171.

მიერ აქარასთან ერთად მოხსენებული ტიროკასტრონი ბერძნულა თარგმანია ყველის-ციხისა (აგრძ. „ყველი“ და აგრძ. „ციხე“).

ვახუშტის ჩვენებით აწურწყუმს [ალბათ წურწყაბს. ს. ვ.] ზეით, ჯაყის წყალზედ, არს ყველს ციხე, მრავალჯერ შემტუსერილი და აწოჯერი<sup>1</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ჯაყისწყალი ფოცხოვის აღმოსავლეთ ნაწილშია, ხოლო ყველი დასავლეთ ფოცხოვში. ამდენად ტერიტორიულად ყველს ჯაყისწყალთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს<sup>2</sup>. „დაეთარში“ ყველისციხე არ იხსენიება. ჩანს ეს ციხე „დაეთრის“ მდგენის დროსაც „ოჯერი“ და მიტოვებული ყოფილა. ჩვენი დროის რუსულ რუკებზე აღნიშნულია Верхний, Нижний და Средний Квеле, რაც შესაბამება ალბათ „დაეთარში“ აღრიცხულ ყველის მონასტერს, სოფ. ყველსა და ზედა ყველ სათესველს. ყველის მდებარეობის დასაზუსტებლად საინტერესოა ცნობა: ...перешел горы, отделяющие Посховский санджак и расположился в деревне Квеле, что в 70 верстах от Ахалиха и к западу от Армаганской джоргии<sup>3</sup>. არ არის აგრეთვე სწორი, რომ, თითქოს, „ყველის ციხე ერუშეთში მდებარეობდა“<sup>4</sup>. ყველის ციხის ზუსტი მდებარეობა, როგორც დაინახეთ, კარგადაა ცნობილი და იგი აქარა-ფოცხოვის მიჯნაზე მდებარეობს.

ქართულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში ასე კარგად ცნობილი ძველი ქართული ციხისა—ყველისციხისა (ბროსეს ტრანსკრიფციით—Qvelis-Tsikhe. Rapports... II, 139) და სოფ. ყველის სახელი ზოგ თანამედროვე ქართულ რუკებზე უხეშად დამახინჯებულია და კველისა და კველის-ციხის სახით წარმოგიდგება (შდრ. აგრეთვე პროფ. ს. ყაუშიშვილის მიერ შენიშნული დამახინჯებული სახელი ამ პუნქტებისა ქველი, რაც „Квеле“-ს უხეირო ტრანსლიტერაციას წარმოადგენს<sup>5</sup>. პროფ. მ. ჯანაშვილის მიხედვით ყველისციხე კლასიკური მწერლების მიერ ქუელ-ად იყო წოდებული<sup>6</sup>. ეს სახელი სხვაგანაც ბევრჯერაა დაპაპინჯებული, მაგალითად გვაქვს ასეთი ფორმა: Дер. Г'свеле (სცია, ფ. 78, ს. 5, გვ. 22r) და სხვ.

სოფ. ყველს მიწერილი აქვს ორი ჩაირი اوچلا და سوچو- ორივე სიტყვა დიაკრიტული ნიშნებითაა<sup>7</sup>. ჩვენი წაკითხვა—აქვალა და ქომა შესაძლებელია სინამდვილეს ასახადეს, მაგრამ მაინც პირობითია.

18. სოფ. ზემო ჯაჯუნის (იხ. ზემოთ 8. სოფ. ქვემო ჯაჯუნის).

<sup>1</sup> ს. ყაუშიშვილი, გეორგია—ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II, თბილისი, 1952, გვ. 276 (შდრ. ზემოთ ჩვენი შენიშვნები გეოგრაფიული სახელების სხვა ენებზე თარგმნის შესახებ, გვ. 30-33).

<sup>2</sup> აღწერა..., გვ. 126.

<sup>3</sup> ვახუშტის ამ ცნობის საფუძველზე ექ. თაყაიშვილიც ფიქრობს, რომ ყველი ჯაყისწყალზეა (იხ. მისი Три хроники: СМОЛНИК, 28, გვ. 198).

<sup>4</sup> История военных действий..., II, გვ. 52.

<sup>5</sup> აბუსერიძე ტბელი, ბოლშე-ჩისილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატინე; გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბილისი; 1941, გვ. 19.

<sup>6</sup> გეორგია, IV, გვ. 276.

<sup>7</sup> მ. ჯანაშვილი, მესხეთი, თბილისი, 1915, გვ. 17.

<sup>8</sup> იხ. დედანი, გვ. 290.

19. სოფ. მერის<sup>1</sup> ციხის რაბათი—*قرية ميرة* (I 17, 308; II 19, 301). სახელი პუნქტისა სწორადაა ამოკითხული, რაც დასტურდება სხვა უტყუარი მასალებითაც: „*рабат кама Мере* (არქივისეული I სია—21v, მეორე სიაში შეცდომით *Мери* გვაქვს, გვ. 14r), გრაფის ქალს უვაროვს, დ. ბაქრაძეს და ალ. ფრონელსაც მერე აქვთ. გვხვდება *Мери-ც*“.

მერე საზოგადო სახელია. საბას მიხედვით „მერე მეედანი, სწორი ვაკე“<sup>2</sup>, ხოლო „მეედანი—მეიდანნი; სხუთა ენაა, ქართულად მერე მინდორი და ფორი“<sup>3</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილი განიხილავს საბას მიერ მოცემულ განმარტებებს მერეს შესახებ და ასკენის: „...მერე სწორე ვაკე ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა. მაგრამ ყოველ ვაკე ადგილს მერე არ ეწოდებოდა, არამედ მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს“<sup>4</sup>. „იჩვენება, განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, რომ ეს ტერმინი მთელ საქართველოში გავრცელებული იყო. ამიტომეც, რომ მერე საქართველოში ბევრგან გეოგრაფიულ სახელად გვხვდება“<sup>5</sup>. განსვენებულ მეცნიერს საქართველოს ხუთვერსიანი რუკიდან ამოუწერია მერე სატყვისთან დაკავშირებული ყველა გეოგრაფიული სახელი, რომელთა რიცხვი თერთმეტამდე აღის: მერე, მერევი, მერეთი, მერისი, მერია და სხვ. საინტერესოა, რომ ავტორს ჩხერიმელა←ჩხერიმელე ზემო იმერეთში ჩხერის მერე-დან (დისიმილაციით: ჩხერის მელე) მომდინარე გეოგრაფ. სახელად მიაჩნია და ასეთივე წარმოშობის სახელად თელის ბურგმელას, ბორემილას და სხვ.<sup>7</sup> ჩვენ გვინდა აქ ჩამოთვლილ და მერე სიტყვისაგან წარმოშობილ გეოგრაფ. სახელებს დაუმატოთ: მხარაძის რაიონში მდებარე მერია (შდრ. სიმღერა „ოზურგეთი და მერია“), შავშეთის მერია (დაბაჟ მერისა, შენდობისა და ახიზისა...<sup>8</sup>), ფოცხოვის მერე (იხ. აგრეთვე სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v) და სხვ.

<sup>1</sup> II წიგნში დაბეჭდილია შეცდომით „მერეს ციხის რაბათი“.

<sup>2</sup> *Кавказ—Абхазия, Аджария, Шавштия, Псковский участок*, გვ. 278; *МАК*, IV, 102, Д. *Бакрадзе*, *АПГА*, 67; *Свож*, 114; *სცია*, ფ. 46, ს. 12, გვ. 76r; დიდებული მესხეთი, 183.

<sup>3</sup> ქართული ლექსიკონი (1928 წ.), გვ. 207. \* იქვე, 204.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, II, თბილისი, 1934, გვ. 127.

<sup>5</sup> იქვე, 128; შდრ. აგრეთვე მერის ქვეი (ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 35).

<sup>6</sup> იქვე; ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე გეოგრაფ. პუნქტის სახელი ჩხერეს მერე: „დემეტრე აბულგეთის ძესა, ივანეს თვი მოკლეთა ჩხერეს მერე (ანასეული ქ. ცხ. 139, შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 224).“

<sup>7</sup> Г. Казбек, *Три месяца в Турецкой Грузии*, ЗКОИРГО, кн. X, вып. I, тб., 1876, გვ. 56; საინტერესოა აგრეთვე: „*раз м е р е*, и м. м е р е — название местности, то в род. эмпфатическом мы ожидали бы м е р е с с а, между тем в тексте стоит 37, м е р и с а; очевидно, собственное имя воспринято как нарицательное м е р е... (Н. Марр, *Житие св. Григория Хавдвийтского*... გვ. XLVII; ახალი ქართულის გარდა (ფრონე, ფრონის; ბოდბე, ბოდბის—ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1955, გვ. 62), ძველშიც ზომ არის დადასტურებული ენიანი გეოგრაფიული საკუთარი სახელების ფუძეყვევადობა ნათესაობითში: იორდანისა წყალთა: (ივ. იმანიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 404), მერის ქვეი (ვახუშტი, 70, 75) და სხვ.; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 35, 115.



მოვიყვანთ კიდევ მერე სიტყვის შესახებ ცნობებს, რომლებიც უფრო აზუსტებენ მისი, როგორც საზოგადო სახელის მნიშვნელობას: *Злаки эти [томи, кукурруза. С. Дж.] особенно хорошо родятся в прибрежных моря и по берегам рек, улавляющим наносною землею и известным под именем мерий (мериа)¹. Употри განსხვავებულია იმავე ავტორის განმარტება მერე სიტყვისა: Участок, долго немытый под посевом, называется мерей². გ. შარაშიძის მიხედვით „მერე დაბალი, ნოყიერი სახნავი ადგილია (შდრ. ჩუბ.)“³. მე ვფიქრობ ეს ქართული მერე სიტყვა უნდა იყოს აზერბაიჯანში მულანის ჯგუფის დიალექტებში ხმარებული „მარა [mārā], რომელიც ნიშნავს оюн ყучу газылан чөкәк ер⁴, ე. ი. „სათამაშოდ ამოთხრილი ორმო, ჩალრმავებული ადგილი“. ეს მით უფროა საფაქტობელი, რომ აზერბაიჯანულ ენაში მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ქართული ტერმინები საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა⁵.*

რამდენიმე სიტყვა მერის ადგილმდებარეობაზე. ის ქვემო ქაბორიის აღმოსავლეთით მდებარეობს (იხ. თანდართული რუკა); გვაქვს აგრეთვე ცნობა, რომ Крепость Мере находится верстах в трех к юго-западу от самого большого селения Пощовского участка, Джугра, на правом берегу речки Пощов-чая⁶. საინტერესოა, რომ გრაფის ქალი უვაროვი მერის ციხეს იხსენიებს როგორც величественный замок с церковью в Мере⁷.

20. სოფ. ზემო ვახლა — *علء وءءءء* (I 17, 309; II 19, 302), 21. სოფ. ქვემო ვახლა — *ءءءءءء* (იქვე). ვახლა სახელწოდების სისწორე დასტურდება არქივისეული სიებიტა (21v, 141) და სხვა მასალებითაც: *Вахла*⁸. ვახლა ყველის აღმოსავლეთით მდებარეობს. „დავთრის“ შედგენის დროს ორი ვახლა ყოფილა. XIX საუკუნის რუკებზე და აგრეთვე 1834 წლის საარქივო მასალაში ერთი ვახლა ჩანს 20 კომლით⁹, ხოლო 1878 წ. ვახლა აღრიცხულია ჯუმათელთან ერთად (Джуматель-Вахла) 37 კომლით; 1889 წელსაც იგი ასევე ჯუმათელთანაა მიწერილი¹⁰ („დავთრის“ ორთავე ვახლაში 19 კომლია — ზემო ვახლაში 9 და ქვემოში — 10).

¹ Д. Бакрадзе. Краткий очерк Гурни, Чурук-Су и Аджары, Известия КОИРГО, II, თბილისი, 1894, გვ. 274.

² Д. Бакрадзе, АПГА, გვ. 182-183.

³ ქართველურ ენათა ლექსიკა. 1. გ. შარაშიძე, ვურული ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 40; შდრ. ი. ბარათაშვილი, ნიდაგმეოდნეობის ტერმინოლოგია, თბილისი, 1950, გვ. 46, იხ. „შალა“.

⁴ აზერბაიჯან დილინი მუგან გრუპუ შივალარი, ბაქო, 1955, გვ. 188.

⁵ იხ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომ. ისტორია, თბ., 1930, გვ. 248, 249, 250, 260, 263 და ჩუბნი: О грузинско-азербайджанских языковых взаимоотношениях, Труды Института языкознания, серия восточных языков, II, თბილისი, 1957, გვ. 207-218.

⁶ В. Девинский, Древности Пощовского участка, СМОМПК, 35, გვ. 238-239 (ვ. დევიციკის ამ სტატიაში საკმაოდ დეტალებითა და სურათებითა აღწერილი ფოცხოვის მერის ციხე, გვ. 238-242).

⁷ Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшетия, Пощовский участок... გვ. 278.

⁸ სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v; აგრეთვე Графиня Уварова, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

⁹ სცია, ფ. 77, ს. 6.

¹⁰ სცია, ფ. 514, ს. 12, გვ. 76r; Свод, 114, 115; შდრ. აგრეთვე Список, 54.

21. სოფ. ქვემო ვახლა (იხ. ზემოთ 20. სოფ. ზენო ვახლა).

22. სოფ. ღვინია ღვინი(?)უბან ადგილითურთ— (?) غنیا مع ملاح (?) غنیا اوان (I 17, 309; II 19, 303). უპირველესად ყოვლისა უნდა შევნიშნო, რომ ამ სოფლის სახელის დაწერილობა თურქული ტექსტის შემცველ I წიგნში უყურადღებობით სწორად არაა დაბეჭდილი. დედანში (გვ. 286) غنیا კი არ არის — غن—აა (იმავე წიგნის მე-17 გვ. კი ეს სიტყვა სწორადაა დაბეჭდილი—غن)، რასაც ჩვენ წერტილებს ასე ვუსვამდით: غن و ვკითხულობდით ღაბანად (იხ. II წიგნი, 303). ვფიქრობდით, რომ ამ დაწერილობაში ჩვენ გვექონდა სხვადასხვა წყაროში ფოცხოვის სანჯაყისათვის ხშირად ნახსენები კაპან პუნქტი. ჩვენ გვეჯონა, რომ ამ შემთხვევაში „კ“ თანხმოვანი შეცდომით ღ ასოთი იყო გადმოცემული და ბოლოშიც შეცდომითვე „ა“ ხმოვანი ჰქონდა დართული. ამჯერად წარმოებულმა დაკვირვებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ სც დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები ასე უნდა დაესვას: غن (ღნია) და უნდა წაეკითხათ ღვინია-ღ-ღვინია-საგან. მართლაც სწორედ ამ მიდამოში ხუთვერსიან რუკაზე (და სხვებზედაც) ე. წ. მარცვალათთან აღნუსხულია პუნქტი Гвинуя, რაც ქართული ღვინია უნდა იყოს. ქართულ ღვინიაში „ვ“ თანხმოვანი ამოვარდნილია საესებით კანონზომიერად: ქართული სახელი ქვინტა „დავთარში“ თურქულად حندين და-ს სახითაა გადმოცემული<sup>1</sup> და სხვ. შრ. ამრიგად, ჩვენ ახლა უეჭველადაც კი მიგვაჩნია, რომ აქ სოფლის სახელად გვაქვს ღვინია. ამის დამამტკიცებლად შეიძლება მივიჩნიოთ არქივისეულ სიბეში ამ დაწერილობისათვის შოცემული Гвинуя (გვ. 21v, 14r), თურქიზებული და გადარუსებული ფორმით—ქ. ღვინია → თ. ღნია → რუს. Гвинуя. სამწუხაროა, რომ „დიდებულ მესხეთში“ ეს სოფელი ორმაგად გადამახინჯებული ფორმით (ღუნია) იხსენიება (გვ. 48), თუმცა 181 გვერდზე მოცემულია ამ სოფლის კემზარიტი ქართული სახელი—ღვინია<sup>2</sup>. Гвинуя ფორმით ეს სოფლის სახელი დადასტურებული აქვს აგრეთვე ისტორიკოსს ღ. ბაქრაძეს<sup>3</sup>. ე-ღვინიანი ქართული ფორმა დაუცული აქვს გრაფის ქალს უფაროვს— в Гвинуи...<sup>4</sup>

„დავთარის“ დროის სოფ. ღვინიაში 16 კომლი მოსახლეა, რომელიც დაბეჭდილია 14000 ახჩით. მდებარეობა ამ სოფლისა საესებით გარკვეულია. სოფ. ღვინიასთან დასახლებული უბნის غنیا اوان-ის غنیا اوان [ღვინის-უბანად წაკითხვა პირობითია. ამავე სოფელთან იხსენიება ჩაირი كورلغز: — გულწყალი (I 310; II 303).

23. სოფ. ფაფალა—Улс (I 17, 310; II 19, 303). ზოგ რუკაზე (მაგალითად ხუთ-დაერთვერსიანზე Папалო წერია, ერთ საბუთშიც ფასს=(ფაფალუ) გვაქვს<sup>5</sup>. მაგრამ თურქული დაწერილობის მიხედვით მისი ქართული

<sup>1</sup> იხ. დავთარი. I 6, 27; II 7, 30.

<sup>2</sup> აღ. ფრონელი. დიდებული მესხეთი, გვ. 48, 181.

<sup>3</sup> Д. Баградзе, АПГ, გვ. 67.

<sup>4</sup> МАК, IV.102: აგრეთვე Свол.-ში—Гвинуи, გვ. 114; სტია, თ. 415, ს. 12, გვ. 76r.

<sup>5</sup> სტია, თ. 47, ს. 75, გვ. 20r.

სახელი ფ ა ფ ა ლ ა უნდა ყოფილიყო. ასევე ფაფალაა არქივისეულ სიებში (რადგან მისი წყარო „დაეთარია“). ფაფალა ორქოშანთან და ფალასთან ახლო მდებარეობს ფოცხოვისა და ადიგენის რაიონის თითქმის საზღვარზე<sup>1</sup>. ფაფალაში „დაეთარის“ დროს 17 კომლი ყოფილა. 1834 წლის საარქივო მასალაში 7 კომლია ნაჩვენები, ხოლო 1878 წლისაში—18<sup>2</sup>.

სოფ. ფ ა ფ ა ლ ა ს მიწერილი აქვს სამი იალალი—*عمراسي* ‘*لمحو* და *موجدليل* რომლებსაც მე უაღრესად პირობით ასე ვკითხულობ: ღრმანი, ღამისხევი და მოქედლი (უკანასკნელი იალალის დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს).

24. სოფ. ლ ვ ი მ ე მეორე ლეიმე უბნითურთ და სათესველით ნადარბაზი, მეორე სახელი სხალაური—*محلہ مع دیکر غوما و مزرعہ ندر باز* (?) *دیکر* (?). ქართული სახელი მ ლ ე ი მ ე უნდა ყოფილიყო. გადათურქულებისას თავკიდური „მ“ თანხმოვანი ჩვეულებრივად იკარგება, ხოლო ვი კომპლექსი „უ“ს გვაძლევს. ამგვარად აქ ლ უ მ ე უნდა ყოფილიყო, ხოლო ლუმა რალაც შეცდომა უნდა იყოს. თურქულად ეს სახელი *مزرعہ*-ის სახითაც გვხვდება<sup>3</sup>. რუკებზე (ერთ-და ხუთეგრისიანზე) თურქიზებული *Гуме* ფორმები გვაქვს. არქივისეულ საბუთებში *Гуме* გვაქვს<sup>4</sup>. არქივისეულ ორთავე სიაში მოცემული ვარიანტი *Гума* (22r, 14r) უთუოდ დამახინჯებულია.

ლეიმე პეტრობანის აღმოსავლეთითაა (ნ. რუკაზე). მოსახლეობა „დაეთარის“ დროს 16 კომლია, ხოლო 1878 წ.—15<sup>5</sup>.

ლეიმესთან დასახლებული სათესველის ორივე სახელი *ساحل* და *ساحل اور* ნ ა დ ა რ ბ ა ზ-ად და ს ხ ა ლ ა უ რ-ად ამოკითხულია პირობითად.

25. სოფ. ქ უ ა ნ თ ე ლ ი ა ს სათესველითურთ—*چواتل مع مزرعہ* (I 17, 311; II 19, 304). არქივისეულ სიებში *Чувантеш-ია* (22r, 14r); ასევეა სხვა არქივისეულ საბუთებში<sup>6</sup>, გვაქვს აგრეთვე *Чувантеш-იც*<sup>7</sup>. ქ უ ა ნ თ ე ლ ფორმა ჩვენ გადმოვიღეთ ერთ-და ხუთეგრისიანი რუკებიდან, რომლებშიც *Чувантеш-ი* წერია. ქ უ ა ნ თ ე ლ ი სწორად უნდა იყოს ამოკითხული. რუკებსა თუ სხვა საბუთებშიც იხსენიება. ადგილმდებარეობა მისი სავსებით გარკვეულია—ის გიორგისუბანსა და ქილვანას შუაა აღნუსხული. მეფეიქრობ, ეს მონაცემები საკმარისია იმისათვის, რომ I-სა და II წიგნში ქ უ ა ნ თ ე ლ სახელწოდებას კითხვითი ნიშანი მოეხსნას. ქუანთელი „დაეთარის“ დროს 25 კომლიანი, საკმაოდ მოზრდილი სოფელია; 1878 წელს კი—16 კომლიანი ჩანს<sup>8</sup>.

<sup>1</sup> იხ. თანდართულ რუკაზე.

<sup>2</sup> სცია, ფ. 77, ს. 6.

<sup>3</sup> სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 20r.

<sup>4</sup> სცია, ფ. 78, ს. 6. გვ. 90v; იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r; აგრეთვე: სცია, ფ. 77, ს. 6;

მაგრამ, მაგალითად, ფ. 78, ს. 5, გვ. 62-ზე *Гумед-ა*.

<sup>5</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 78, ს. 6. 9v. <sup>7</sup> იქვე, ფ. 77, ს. 6.

<sup>8</sup> იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 77r.

ქუანთელთან აღწერილი კა სათესველის სახელი ამოუკითხავი რჩება.

26. გ უ შ უ რ ი ჯაყის წყლიდან ბადელის წყლამდე დაქერილ თევზზე *عشر شكار ماهي جاغ صويندن بادله صوينه وارته* (I 17, 312; II 19, 305). რუკებზე ასახულია როგორც ჯაყისწყალი<sup>1</sup>, ისე ბადელისწყალი. აქ მოცემულ ფარგლებში თევზის ქერა ცალკე საგადასახადო ობიექტადაა აღწერილი (გადასახადი თევზის ქერაზე ჩვენ განხილული გვაქვს IV წიგნში).

27. სოფ. მ ა რ ც (ე ა ლ ა თ უ ბ ა ნ ი. გულწყალ სათესველითურთ — *مرحله توبان مع مزرعة كول زعال* (I 17, 312; II 19, 305). ესხვილნასტაბიან რუკებზე ყველგან *Маршавлет*-ი გვაქვს; ზუსტად ასევეა საარქივო მასალებში<sup>2</sup>. თურქიზებულ ფორმაში „კ“ თანხმოვანი ამოჟარდნილია (ზღრ. ზემოგანხილული ლ ი ნ ი ა ← ლ ე ნ ი ა, კინტა ← კეინტა და სხვ.), ხოლო თურქულში არ არსებული „ც“ ბგერა „ს“ თანხმოვნითაა გადმოცემული. ოღონდ რუკებზე და სხვა, შედარებით მოგვიანო ხანის მასალებში ამ სოფლის სახელი მოცემულია უ ბ ა ნ სიტყვის გარეშე, ე. ი. არა მ ა რ ც ე ა ლ ა თ უ ბ ა ნ ი (როგორც „დავთარშია“ ჩაწერილი; არქივის მასალებში — სცია, ფ. 1491, გვ. 51v — ფიქსირებულია გეაროვნული სახელი მ ა რ ც ე ა ლ ა შ ე ი ლ ი. შესაძლებელია თავდაპირველად — და „დავთარის“ დროსაც — ამ სოფელს მარცვალაანთუბანი რქმეოდა), არანედ მ ა რ ც ე ა ლ ა თ ი და *Маршавлет*-ი<sup>3</sup>. დ. ბაქრაძეს *Маршавлет-დან* აქვს<sup>4</sup>. არქივისეულ სიგებში ეს სიტყვა საქმოდ დამახინჯებულია — *Марслат ყან* (22r) და *Марслатყბან* (14r). მოსალოდნელია უფრო სწორი იყოს გრაფის ქალის უეაროვისა და ისტორიკოსის დ. ბაქრაძის მიერ მოწოდებული ვარიანტი ამ სახელისა — მარცვალეთი და მარცვალეთუბანი; ალ. ფრონელსაც მარცვალეთი აქვს...<sup>5</sup>

მარცვალათუბანი, როგორც თანდართულ რუკაზე ვხედავთ, ჭაბორიების, მერისა და ჩორჩევანის მიდამოებშია. პატარა, თერთნეტკონილიანი სოფელია, რომლის მოსახლეობა 1878 წელს 3 კომლამდეა დასული<sup>6</sup>.

მარცვალათუბანთან აღნუსხული *كول زعال* სათესველის სახელი შეიძლება მართლაც გ უ ლ წ ყ ა ლ ი ა ნ ს და ზ თანხმოვანთა შერწყმით გულისწყალი (→ თურქიზებული გულიზღალი ან გოლისწყალი || კოლისწყალი იყოს; ეს მით უფრო, რომ გულ გეოგრაფ. სახელი (სოფ. გულ-ი) ფოცხოვისათვის ფიქსირებული აქვს ალ. ფრონელს<sup>7</sup>.

28. სოფ. ქ ე ვ ე მ ო ქ ა ბ ო რ ი ა — *جבורية سفلا* (I 17, 312; II 19, 305)

43. სოფ. ზ ე მ ო ქ ა ბ ო რ ი ა აქუჩელ (?) სათესველითურთ — *جבורية سفلا مع* (I 17, 319; II 19, 311). ამრიგად „დავთარში“ ლაპარაკია ორ-

<sup>1</sup> ჯაყისწყალი იხ. აგრეთვე ვახუშტისთან, გვ. 126.

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r.

<sup>3</sup> Граф. Уварова, Кавказ—Абхазия... გვ. 278; МАК, IV, 102, Свод, 114.

<sup>4</sup> АПГА, стр. 67.

<sup>5</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 183.

<sup>6</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r.

<sup>7</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 48.

ქვემო და ზემო — კაბორიაზე. არქივისეულ სიებში ქვემო კაბორიის სახელი ძალზე დამახინჯებულია Чабриа Сүфаа (22r, 14r), ხოლო ზემო კაბორიაზე ნათქვამია—Чануриа (22r) და Гануриа (14r). კაბორია ჩვენ ამოკითხული გვაქვს ისეთი სანდო მასალის საფუძველზე, როგორსაც ჩვენ გვაძლევს წიგნი История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах, სადაც ამ სოფლის სახელი არა ერთხელაა მოცემული: ...между селениями Верхнею и Нижнею Чабория<sup>1</sup>, при деревне Чабория на правом берегу Посхов-чая<sup>2</sup> და სხვ. არქივისეულ მასალებში Чабория-ც გვაქვს<sup>3</sup> და სხვ. მრავ. აღ. ფრონელის ჯაბორია ამ სახელის თურქიზებული ფორმაა<sup>4</sup>.

სოფ. კაბორია რუკებზედაც ორია: ოღონდ თუ „დავთარში“ ფიქსირებულია ქვემო და ზემო კაბორია, რუკებზე ჩვენ გვაქვს Чабория Српная და Нижняя (იხ. ხუთვერსიანი რუკა). „დავთარის“ მიხედვით ქვემო კაბორიაში 12 კომლია, ხოლო ზემო კაბორია უკვე გაუცარიელებულია. 1878 წელს აღწერილია მხოლოდ ერთი კაბორია, რომელშიც 25 კომლი მოსახლეობაა<sup>5</sup>.

ზემო კაბორიასთან აღნუსხული كوجوآ სათესველის აქუჩე ლად ამოკითხვა, თუმცა ჯ-ს დიაკრიტიული ნიშანი აქვს, პირობითია.

29. სოფ. ყველი — ზედა ყველ სათესველითურ (იხ. ზემოთ 17. სოფ. ყველის მონასტერი).

30. სოფ. საქალა (?) სამზურია (?) სათესველითურთ — مزرعة مع آسارو (I 17, 314; II 19, 307). შეიძლება ეს სახელი საქალა, საგალა, საკალე, საქალე და სხვაგვარადაც იქნეს ამოკითხული. ფოცხოვის დასავლეთ ნაწილში ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია Калис-цкаа, აღ. ფრონელით — ქალის-წყალი<sup>6</sup>. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ წყალზე, ან მის ახლო იყო პუნქტი, რომელსაც საქალე ან საკალე და მისთანანი ერქვა. არ ეფიქრობ, რომ ამ საქალას (?) რაიმე კავშირი ჰქონდეს ჩორჩევანთან ნაჩვენებ Сакобиаი-სთან<sup>7</sup>. ყოველ შემთხვევაში აქ საქირა დამატებითი მასალა. არქივისეული სიების Самкигель (?) (22r) და Саккильгель (?) ვარიანტები ჯერჯერობით გამოუყენებელი რჩება. ათკომლიანი სოფელია, 9000 ახით დაბეგრლი.

საქალასთან (?) დასახელებული სამზურია-ს სამზურიად წაკითხვა პირობითია და კითხვა უზის.

<sup>1</sup> ნაწ. II, გვ. 70.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 69; МАК, IV, 102.

<sup>3</sup> История военных действий..., II, გვ. 68, 69.

<sup>4</sup> სტია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>5</sup> დიდებული მესხეთი, 48.

<sup>6</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 77r.

<sup>7</sup> დიდებული მესხეთი, 181.

<sup>8</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

31. სოფ. აგარა *اگارا* (?) სათესველით — ...*اگر* (I 17, 314; II 19, 307). ცნობილი გეოგრაფიული სახელი აგარა ფოცხოვშიც ჰქვია ერთ სოფელს, რომელშიც 17 კომლია და რომლის ადგილმდებარეობა რუკებით საესებით გარკვეულია: იგი იმყოფება ყველ, წურწყაბ, ვახლა და საიხვე სოფლების გარემოცვაში (იხ. აქვე რუკა). მასში დაცული ეკლესიის ნანგრევებთან დაკავშირებით აგარას ახსენებს აგრეთვე გრაფის ქალი უვაროვი<sup>1</sup>.

აგარას ბოლოში მიწერილი ჩაირის სახელი თითქოს ქომაა, ხოლო თავში დასახელებული სათესველის სახელი ვერ გაირკვა (საკლებდელი-ი?). ხომ არ არის ეს რუკებზე ჩორჩევანთან აღნიშნული *Сакондхи* პუნქტის დამახინჯებული სახე?

32. სოფ. სეჯავი — *سجاو* (I 17, 315, II 19<sup>2</sup>, 308). არქივისეულ მეორე სიაში ამ სოფლის სახელი სწორადაა ჩაწერილი *Седжав* (14r), ხოლო პირველი სიის ვარიანტი *Серджас* (გვ. 22r) უკვე ძლიერ დამახინჯებულია. საარქივო მასალებში *Седжа*, *Ссжа-ც*<sup>3</sup> და ამაზე უფრო შერყენილი *Сажа*<sup>4</sup> ვარიანტიც გვხვდება. „საქ. ისტორიულ რუკაზე“, აგრეთვე ხუთ- და ერთვერსიანზე და ალ. ფრონელთანც<sup>5</sup> ამ სოფლის სახელი ყველგან უეზინოდ, სეჯად არის მოყვანილი. „დავთარი“ მაინც სანდო დოკუმენტია და მე ვთიქრობ ამ სოფლის სწორი სახელი სეჯავი უნდა იყოს.

სეჯავი შეიქმნილია სოფელია, რომელიც ქაბორიებისა და ჯაჯუნების დასავლეთით მდებარეობს (იხ. აქვე რუკა). „დავთარის“ დროს თუ სეჯავში 7 კომლი ყოფილა, 1834 წლის საბუთის მიხედვით იქ 13, ხოლო 1878 წ. — 11 კომლია<sup>6</sup>.

33. სოფ. ზემო საიხვე — *سايخه عليا* (I 17, 315; II 19, 308), 46. სოფ. ქვემო საიხვე — *سايخه سفلا* (I 17, 319; II 19, 312). „დავთარში“ სოფ. ქვემო საიხვე უკვე გაუკაცრიელებულია. შემდეგში ის ალბათ მთლიანად გავერანდა, რომ XIX საუკუნის რუკებზე მხოლოდ ერთი საიხვეა აღნიშნული. ზემო საიხვეში „დავთარის“ მიხედვით 8 კომლია; საინტერესოა, რომ 1834 წლის არქივისეული ერთი საბუთის მიხედვით საიხვეში იმდენივე, ე. ი. 8 კომლია ნაჩვენები<sup>7</sup>. საიხვე აგარა და ვახლასთანაა, შავშეთის საზღვრისაკენ (რუკა).

ამ სოფლის სახელის არქივისეულ სიებში მოცემული ვარიანტები *Савудей* (22r) და *Савудай* (14r) სრული გაუგებრობაა. ეს სახელი სხვაგანაც ბევრჯერა ნახსენები შერყენილი ფორმით *Саиха*, *Саихо*<sup>8</sup>. ეს უკანასკნელი ფორმა თურქიზებული უნდა იყოს, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ „ე“ თანხმო-

<sup>1</sup> *Кавказ — Абхазия...*, გვ. 281; აგრეთვე, სცია, ფ. 514, ს. 12, გვ. 75v.

<sup>2</sup> II წიგნი მე-19 გვერდზე სეჯავთან შედომით კითხვითი ნიშანი ზის; უნდა მოხსნას.

<sup>3</sup> სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v; იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

<sup>4</sup> სცია, ფ. 78, ს. 5, გვ. 6r.

<sup>5</sup> დიდებულა მესხეთი, 183.

<sup>6</sup> იქვე, ფ. 77, ს. 6; МАК, IV, 102; იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v. <sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე, ფ. 78, ს. 5, გვ. 6v და ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

ვანი თურქულში ამოვარდება ხოლმე (შდრ. ზემოგანხილული კვინტა→კინტა, ლვიმე→ლუმე და სხვ.).

ამ სოფლის სახელი საიხვე-ა; შდრ. გრაფ. უვაროვას С и х в е<sup>1</sup> და ალ. ფრონელის საიხვე<sup>2</sup>.

34. სოფ. სტეფანწმინდა ჩადისმან (?) და اسطفا სათესველებით — اسطفا و اسطفا ... استا سندان (I 17, 316; II 19, 308). ამ სოფლის სახელის გადმოცემის თვალსაზრისით სხვადასხვა წარმოშობის მასალაში ერთსულონება გვაქვს—ყველგან სტეფანწმინდაა. ოღონდ ერთ საბუთში იგი ხალხური ფორმით—Тепаниминда-დ იხსენიება<sup>3</sup>. სტ თანხმოვნებით დაწყებულ სიტყვას თურქულ წარმოთქმაში ჩვეულებრივად პროთეტული ხმოვანი უჩნდება. აქაც ისტეფანწმინდა<sup>4</sup>; ი პროთეტული ხმოვანი ჩვენს შემთხვევაში ელიფითაა გამოხატული.

სტეფანწმინდა ფოცხოვის ერთ-ერთი დიდი სოფელთაგანია. მასში ირიცხება 25 კომლი (1878 წ. კი—8 კომლი)<sup>5</sup> და შეწერილი აქვს 10 000 ახჩად ღირებული ვადასახადი. მდებარეობს სტეფანწმინდა ლვიმესა და კილვანას ახლო.

სტეფანწმინდასთან აწერილია ორი სათესველი; ერთი მათგანის სახელი შეიძლება ჩადისმანი იყოს, ხოლო მეორის სახელს ვერა ვკითხულობთ (დაწერილობა ასე უნდა იყოს: اسطفا).

სოფ. სტეფანწმინდის აღწერილობას დართული აქვს მინაწერი (I 316; II 309), რომელშიც იხსენიება სოფ. ტაძლახადან (?) ამ სოფელზე (იხ. აქვე ზემოთ, № 5) მომდინარე كراغد არხი. ამ არხის სახელის ამოსაცნობად ჯერჯერობით ჩვენს განკარგულებაში მასალა არ არის.

35. სოფ. ზეინდარი—سندار (I 17, 316; II 19, 309). ყველაზე უფრო სწორი ზეინდარი უნდა იყოს. ასე აქვს ეს ჩაწერილი გრაფის ქალს უვაროვს (Зейндар)<sup>6</sup>, ზუსტად ასეა აგრეთვე ერთ საბუთში და ალ. ფრონელთანაც<sup>7</sup>. თავკიდური თანხმოვანი გაყრუებული რომ არ იყოს, ყველაზე უფრო ზუსტი გ. რადეს მიერ ჩაწერილი ფორმა იქნებოდა ...по ту сторону деревеньки Сейндарин<sup>8</sup>, ამ სახელის სხვა ვარიანტები— Зиндар (არქივისეული სიები), Зендара (ერთვერსიანი რუკა), Зейндара (ხუთვერს. რუკა) და სხვ. გადათურქულებული და დამახინჯებული ფორმებია. არქივის ერთ ქართულ საბუთში ზეინდარი<sup>9</sup>.

„დავთრის“ ზეინდარი თერთმეტკომლიანი სოფელია, ჯაჯუნების სამხრეთით მდებარეობს (აქვე რუკა).

<sup>1</sup> Кавказ—Абхазия..., გვ. 280; აგრეთვე: სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

<sup>2</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 48.

<sup>3</sup> სცია, ფ. 78, ს. 5, გვ. 17r, 40v. <sup>4</sup> იქვე, ფ. 514, ს. 12, გვ. 76v.

<sup>5</sup> Кавказ—Абхазия..., стр. 268, МАК, IV, 94.

<sup>6</sup> სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v; დიდებული მესხეთი, 48.

<sup>7</sup> Предварительный отчет о путешествии доктора Г. Ралде по Кавказу летом 1867 г

Зап. КОИРГО, кн. VIII, 57.

<sup>8</sup> სცია, ფ. 47, ს. 16, გვ. 105r.

36. სოფ. ქვემო ფალა (იხ. ზემოთ 7. სათესველი ზემო ფალა).

37. სოფ. ბადელა — *بدره* (I 17, 317; II 19, 310).

ქართულ თარგმანში (წ. II, გვ. 310) შეცდომა გამპარვია. სოფ. ბადელასთან გამოტოვებულია სათესველი, რომლის *بدره* დაწერილობა სრულ შესაძლებლობას იძლევა წაკითხულ იქნეს *არყნალა*-ად. ერთ-და ხუთვერსიან რუკებზე და მთელ რიგ სანდო მასალებში<sup>1</sup> აღნიშნულია ბადელა. ეს უნდა იყოს ქეშარიტი ქართული სახელი ამ სოფლისა. არქივისეული სიების *Патила* (22r, 14r) სწორი არაა.

სოფ. ბადელა თურქეთის ფარგლებშია, ადიგენის რაიონის საზღვართან ძლიერ ახლო. „უქანასენელ ომამდე (1878 წ.) ოსმალეთის საზღვარი ზედ ეკრა ახალციხის მაზრას. ბადელას ხიდან საბაეოები და საყარაულოები იყო დამართული“<sup>2</sup>. *Посховский участок* начинается с дер. *Бодела* или *Бодела* [= *Бадела*. ს. ჯ.], расположенной на левом берегу реки и кончается хребтом горы *Арсиан*<sup>3</sup>. საინტერესოა სოფ. ბადელის მნიშვნელობისა და ადგილმდებარეობის თვალსაზრისით აგრეთვე, ცნობები: *Караваны из Турции приходят в Качкаевский карантин, расположенный недалеко от турецкого селения Бадели*<sup>4</sup>.

ბადელა თავისი მდებარეობით მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. 1878 წლამდე და ახლაც ზედ სასაზღვრო მიჯნაზეა. საარქივო მასალების მიხედვით ყველა ოფიციალურ ქალაქს, რომელიც ფოცხოვის სანჯაყის უფროსისაგან გამოდის, *с. Бадела* აწერია. ჩანს, მთავარი საბაეო ბადელაში ყოფილა. ბადელა „დავთრის“ დროს 12 კომლიანი სოფელია, 1834 წელს მასში ირიცხება 16, ხოლო 1878 წ.—39 კომლი<sup>5</sup>. სოფ. ბადელას მიწერილი აქვს „ვენახები და ბალები მიწებითა და ჩაირებითურთ“ (II, გვ. 310). ამ ადგილების სახელები, თითქოს, მოცემულია *بركاداو* და *بركاداو* დაწერილობებში<sup>6</sup>. ამ დაწერილობას უმეტეს ნაწილად, როგორც აქვე ვხედავთ, დიაკრიტ. ნიშნები აქვს. პირობით ამ ადგილების სახელები ბაგრატურად და კარნილაურად (?) შეიძლება წაეკითხოთ.

38. სოფ. წითელსათიბი ჩორჩევანთან — *تيل صاب* (I 17, 318; II 19, 311). ამ რთული სახელწოდების პირველ ნაწილს — *تيل* დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვს და მისი წითელად წაკითხვა, თითქოს, უეჭველია. სახელწოდების მეორე ნახევარს ნიშნები არ უნის, მაგრამ მისი ასოების მოხაზულობა ექვს არ ტოვებს, რომ ეს არის სათიბსიტყვა.

<sup>1</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r; შდრ. აგრეთვე: *Свод*, 114.

<sup>2</sup> ალ. ფრანელი, დიდებული მესხეთი, გვ. 134.

<sup>3</sup> Граф. Уварова, *Кавказ—Абхазия...*, стр. 267; МАК, IV, 94.

<sup>4</sup> Л. Загурскайн, *Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г.* Зап. КОИРГО, т. VIII, гв. 28; აგრეთვე *Предварительный отчет о путешествии доктора Радде...* Зап. КОИРГО, т. VIII, гв. 47 (ოლონდ, დრ რადეს სახელი ძლიერ ზერყენილი აქვს—*Бодели*).

<sup>5</sup> სტია, ფ. 77, ს. 6; ფ. 415, ს. 12, გვ. 75v.

<sup>6</sup> შდრ. დედანი, გვ. 293.



ამრიგად ამ სოფლის სახელი წ ი თ ე ლ ს ა თ ი ბ ი უნდა იყოს. როგორც ზემოთ ვნახეთ, სოფ. წითელსათიბის მდებარეობა მითითებულია სოფ. ჩორჩევანთან. რუკებზე ჩვენ ჩორჩევანთან ყველგან გვაქვს; Чин-Сатин-ი და არა „დავთრისეული“ წითელსათიბი. ალ. ფრონელთან და საარქივო მასალებშიც ყველგან Чинсатин-ი<sup>1</sup> გვაქვს და თურქულადაც *چنصات*-ია<sup>2</sup>; არქივისეულ სიებში „წითელ“ სიტყვა სწორადაა ამოკითხული, მაგრამ მეორე დამახინჯებულია—Сапид (22r, 14r). სწორი სახელის დადგენისათვის მე უპირატესობა მინდა მიეცე „დავთრის“ წ ი თ ე ლ ს ა თ ი ბ ს, ხოლო წ ი ნ ს ა თ ი ბ ი შეიძლება მეორე სახელი იყოს ამ სოფლის, ან, შეიძლება, დროთა ვითარებაში „წითელსათიბ“მა „წინსათიბი“ მოგვეცა. ყოველ შემთხვევაში იმის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რომ „დავთრის“ წ ი თ ე ლ ს ა თ ი ბ ი და რუკებისა და სხვა მასალების წ ი ნ ს ა თ ი ბ ი ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტის სახელია. ამას ადასტურებს როგორც „დავთრის“ შემდგენლის მითითება (რომ წითელსათიბი ჩორჩევანთანაა), ისე ის გარემოებაც, რომ რუკებზე ყველგან წინსათიბი ჩორჩევანთან არის აღნუსხული (იხ. ერთ- და ხუთეფრსიანი რუკები).

წითელსათიბ-წინსათიბი ჩორჩევანთან ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე არის. „დავთრის“ დროს, ალბათ ეამთა სიავისაგან, წითელსათიბი გაუკაცრიელებულია. 1834 წლის ერთ საარქივო საბუთში წინსათიბისათვის ნაჩვენებია 4 კომლი მცხოვრები, ხოლო 1878 წელს მასში 6 კომლი მოსახლეობაა აღრიცხული<sup>3</sup>.

39. სოფ. ჩ ო რ ჩ ე ვ ა ნ ი: სოფ. ვარძნასთან კაპან სათესველითურთ—چورچوان (I 17, 318; II 19, 311). ერთ- და ხუთეფრსიან, აგრეთვე „საქისტ. რუკაზე“ ჩ ო რ ჩ ე ვ ა ნ ი ა. ეს უნდა იყოს სწორი ფორმა და სხვა ყველა — Чорчван (არქივისეული სიები), Чорчван<sup>4</sup> და სხვა მრავალნაირი ვარიანტი ამ სახელის დამახინჯებული ფორმაა.

სოფ. ჩორჩევანის მდებარეობა „დავთარშივე“ განსაზღვრულია სოფ. ვარძნით. მართლაც ჩორჩევანი ვარძნის ჩრდილო-დასავლეთითაა (შდრ. აქვე რუკაზე). „დავთრის“ დროის ჩორჩევანი გაუკაცრიელებულია, შემდეგში ის მოშენებულია: 1834 წლის საბუთის მიხედვით ჩორჩევანში 18 კომლია<sup>5</sup>.

სოფ. ჩორჩევანთან ერთად აღწერილია ეს სათესველი, რომლის სახელი მე აქამდე ამოუკითხავად მქონდა დატოვებული ორთავე წიგნში. ახლა საქმე შემდეგშია: ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე სწორედ ჩორჩევანთან ახლო აღნუსხულია პუნქტი К а п а н, რომლის არაბული გრაფიკული გამოხატულება სავსებით ეგუება „დავთარში“ ჩორჩევანთან აღწერილ ეს მოხაზულობას. ეს—ს რომ სათანადოდ ნიშნები დავსვათ, მივიღებთ ჩ ა ნ დაწერილო-

<sup>1</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 181; სტია, ფ. 77, ს. 6; იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v; აგრეთვე Свод, 114.

<sup>2</sup> სტია, ფ. 47, ს. 75, გვ. 20r.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 77, ს. 6; იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 77, ს. 6; იქვე, ფ. 514, ს. 12, გვ. 77r.



დომით, Делашинда-ც ყოფილა. II წიგნის ბექედისას (1941 წ.), მე ეს მასალები მქონია, მაგრამ რატომღაც არ გამითვალისწინებია. პატარა ეკვი მაინც რჩება. რამაიძულა მაინც თურქი ზოხელე დაეწერა აქ وادان-ი. ხომ არ არის აქ ზედა ვან [ის] წმინდა, რომელიც შემდეგ, შეიძლება, უკვე არაქრისტიან მოსახლეობაში ზედა წმინდად გამარტივდა.

სოფ. ზედაწმინდა „დაეთრის“ დროს უკვე გაუქცარიელებულია. მდებარეობა ცნობილია.

43. ზემო ქაბორია (იხ. ზემოთ სოფ. № 28—ქემო ქაბორია).

44. სოფ. ტამალა სოფ. შერის რაბათთან—*تاملا* (I 17, 319, II 19, 311). არქივისეულ სიებშიც (გვ. 22v, 14r) და სხვაგანაც<sup>1</sup> Тамала-ა. „დაეთარში“ ტამალა ნაჩვენებია შერის ციხესთან და, მართლაც, მეჩესთან ახლო მსხვილმასშტაბიან რუკებზე ყველგან აღნიშნულია ტამალა, რომელიც ამ დროისათვის გაუქცარიელებულია (1878 წ. ტამალაში 3 მოსახლე ირიცხება<sup>2</sup>). ტამალა's თურქიზებული ფორმა დამალა'a, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს იყოს ის მნიშვნელოვანი სოფ. დამალე, რომელსაც ხშირად ახსენებს ალ. ფრონელი<sup>3</sup>.

45. სოფ. მლაშეთი (?) სოფ. ვა(რ)ხანასთან—*ملاشيت* (I 17, 319; II 19, 311). არქივისეულ სიებში ეს სახელი Мухамед-ადაა ამოკითხული (22v, 14r). შეიძლება ასედაც იყოს, მაგრამ უფრო მოსალოდნელია მლაშეთ-ი. აღწერილია ვარხანასთან ახლო მდებარედ, მაგრამ ჯერჯერობით ამის მსგავსი რუკებზე ან სხვა წყაროში არაფერი ჩანს. გაუქცარიელებულია.

46. სოფ. ქემო საიხვე (იხ. ზემოთ სოფ. № 33—ზემო საიხვე).

47. სოფ. სეჯა სოფ. კაბორიასთან—*سجا* (I 17, 319; II 19, 312). არქივისეულ სიებშიც Седжа-ა (22v, 14r), ასე აქვს გრაფის ქალს უვაროვსაც<sup>4</sup>, თუმცა შეიძლება ის გულისხმობდეს სეჯავს, რომელიც დამოუკიდებელი სოფელია (იხ. აქვე № 32; ყოველ შემთხვევაში „დაეთრის“ შემდგენელი სეჯავსა და სეჯას ერთმანეთთან არ აკავშირებს). საკითხი ჯერჯერობით მთლად ნათელი არაა. ისიც კი შეიძლება, რომ ამ სოფლის სახელი სეჯა არ იყოს (დაწერილობას წერტილები არ უზის; რასაკვირველია, შეიძლება ის სეხა-დაც იქნეს წაკითხული და დ. ბაქრაძის მიერ ფოცხოვისათვის ნაჩვენები სოფ. Деза-ს<sup>5</sup> სახელის თურქიზებული ფორმა იყოს. სოფელი უკაცრიელია.

48. სათესველი ქემო ხალ-ი ხიდ წყარო სათესველთან — *مزرع* مزرعة جاذغار (I 17, 319; II 19, 312). ამ სათესველის სახელის დაწერილობა ზუსტად ისეთია, როგორც № 40 სოფლის სახელისა—*خال*. ჩვენ ჯერჯერობით ამ სახელსაც ამოუკითხავად ვტოვებთ. არქივისეული სიების

<sup>1</sup> სტია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v; აგრეთვე Свод, 114; Спжсок, 58.

<sup>2</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v. <sup>3</sup> დიდებული შესხეთი, გვ. 181 და სხვაგან.

<sup>4</sup> Кавказ—Абхазия..., გვ. 278. <sup>5</sup> АИГА, გვ. 67.

შემდგენლები ამ სახელს კვლავ Саа-ად კითხულობენ და Саа-ჲ сѹѹаа (ე. ი. ქვემო სალი) უწერიათ (22v, 14v). უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ იმ მეორე-მოდე სოფელ Саа-ს (II, 311) ზემო სიტყვა არ ახლავს. ამდენად შეიძლება ორივე ეს პუნქტი, სახელთა მოხაზულობის ერთიანობისდა მიუხედავად, სხვადა-სხვა სახელისაღ იყოს.

ზემოთ № 1 სოფელ ფომასთან (II 294) იხსენიებოდა სათესველი ჩიტ[ის]წყარო. ამ სათესველის სახელის პირველ ასოს — ارچاد ღიაკრიტ-ნიშანი აქვს<sup>1</sup> და ამდენად ჩიტწყარო აქ სწორად იყო ამოკითხული. ახლაც ჩვენი (№ 48) სათესველი Са-ი იმავე ჩიტ[ის]წყარო სათესველთან მდებარედ არის ნაჩვენები. ჯოლონდ ამჯერად ارچاد დაწერილობას ღიაკრიტ-ნიშანი უკვე არა აქვს. იქ რომ ეს სიტყვა ჩიტწყაროდ მქონდა ამოკითხული, ამ შემთხვევაში, შეცდომით ხიდწყაროდ ამომიკითხავს, რასაც აქვე ვასწორებ. თურქულ ტექსტში (I 319, № 48) ეს სახელი სწორადაა დაბეჭდილი.

49. სოფ. შუა პეტობანი (იხ. ზემოთ სოფ. № 13 — ზემო პეტობანი).

<sup>1</sup> იხ. დედანი, გვ. 278.

## V. უოსხოვის ლიწა

### 20. ჩრდილოს ნაწილი

1. სოფ. ჯაყისმანი ასოკო სათესველითურთ—جاقسان (I 17, 320; II 20, 312), 2. ზედა ჯაყი ასოკო სათესველით—جاقزاد (I 17, 320; II 20, 313), 9. სოფ. ჯაყის რაბნთი ბაზმანა (?) სათესველით—جاق مع... (I 17, 324; II 20, 317). ამრიგად ჯაყ ფუძესთან დაკავშირებით „დავთარში“ მოცემულია სამი გეოგრაფიული პუნქტის სახელი: სოფ. ჯაყისმანი, სოფ. ზედა ჯაყი და ჯაყის რაბნთი, ე. ი. ჯაყის-ციხე. სამცხე-საათაბაგოს (აგრეთვე ახალციხის სათაშოს) მმართველები ფოცხოველები იყვნენ. მათი საგვარეულო სახელი ჯაყელი დაკავშირებულია ფოცხოვის სწორედ აქ განსახილველ ადგილ ჯაყთან<sup>1</sup>. სახელწოდება ჯაყისმანი უნდა მოდიოდეს ჯაყის-უბან-იდან, როგორც ეს ჩვენ გვაქვს კიმოტისმან სიტყვაში: ტიმოტისუბანი→კიმოტისუბანი→კიმოტისმანი<sup>2</sup>. არქივისეულ სიებში ეს სახელი ისეთნაირადაა შერყენილი, რომ ამ ვარიანტების მოყვანა არც ღირს. რუსული ტრანსკრიფციის კვალობაზე სწორად აქვს ეს სახელი დ. ბაქრაძეს—Джакисман<sup>3</sup>. სხვაგან კი გადათურქლებულ-გადარუსლებულ ფორმებშია, მაგალითად, Джакисман<sup>4</sup> და სხვ. სოფ. ჯაყისმანის მდებარეობაზე შემდეგი ცნობებია: Джаки (ჯაყი), Джакисман, на границе Ахалцихского уезда и каза Почхова, древняя резиденция Джакелей (ჯაყელი), впоследствии атабегов ахалцихских...<sup>5</sup> ...в деревне Джакисман-су, в 26 верстах от Ахалциха<sup>6</sup>. „დაეთრის“ დროის ჯაყისმანი 21, ხოლო 1870 წ. (ზისერმანი, 21)—13 კომლიანი სოფელია. სოფლის აღწერის დასაწყისში მასთან მოხსენებულია ასოკო სათესველი. ეს დაწერილობა ამოკითხული არ არის ისევე, როგორც არ აღმოჩნდა მასალა აღწერის ბოლოში მოხსენებული ასოკო ჩაირის სახელის ამოსაკითხავად.

<sup>1</sup> ამაზე უფრო ვრცლად იხ. ს. მაკალათია, მესხეთ-ჯაყახეთი, გვ. 53.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ, კაშეთის ნაწილი, სოფ. № 2.

<sup>3</sup> АПГА, 67.

<sup>4</sup> История военных действий..., I, 351; Граф. Уварова, Кавказ..., 268; К. Зиссерман, 21.

<sup>5</sup> Д. Бакрадзе, АПГА, 67.

<sup>6</sup> История военных действий..., II, 53.

არქივისეულ სიებში სოფ. ზედა ჯაყის სახელიც შერყენილია—Зедаяг (22v, 14r). „ჩესური დავითნის ქრონიკაში“ ამ სოფელზე ნათქვამია: „წოდება პატრონი დედისმედი, ჯაყამდის სდია, ვერ მიეწია“...<sup>1</sup>

ზედა ჯაყი ცამეტკომლიანი სოფელია. მდებარეობს ჯაყისწყალზე სოფ. არილის ჩრდილო-დასავლეთით. ზედა ჯაყთან აღწერილია სამსა სათესველი, რომლის სახელი ამოუკითხავად რჩება.

ჯაყის რაბათის, ანუ ჯაყისციხის სახელიც დამახინჯებულადაა მოცემული არქივისეულ სიებში: Рабат ყარ და Рабат Чак (22v, 14r). ჯაყისციხესთან „დავთრის“ დროს ცხრაკომლიანი მოსახლეობა ჩანს. ჯაყის რაბათთან დასახელებული სათესველის სახელი დიაკრიტული ნიშნებითაა მოცემული სამსა<sup>2</sup>-ს სახით და შესაძლებელია ბაზმანად იკითხებოდეს. ასევე დიაკრიტული ნიშნები აქვს დასმული აქვე მოხსენებულ მიწის სახელს — كورزمالى<sup>3</sup>, რომელსაც მე გორწამალ-ად ვკითხვლობ. აღწერილობის ბოლოში იხსენიება ციხის მცხოვრებლებისადმი კუთვნილი ჩაირი სამსა<sup>4</sup> პირველი ნაწილი მე თურქ. كيو (=დიდი) სიტყვა მგონია, მეორე სამსა (=ქ. მამა (?), ხოლო უკანასკნელი ნაწილი სამსა ვერ გავარჩიე. ჯაყისციხის მდებარეობა ასეა განსაზღვრული: დიდვირის—ფოცხოვის საბოქაულო რეზიდენციიდან აღმოსავლეთით 6 ვერსის მანძილზეა<sup>4</sup>.

2. სოფ. ზედა ჯაყი (იხ. ზემოთ სოფ. № 1. ჯაყისმანი).

3. სოფ. ჯაყ სათესველ حولى(?) -ით (I 17, 321; II 20, 314). ამ სოფლის სახელი ამოუკითხავი რჩება. არც ერთ წყაროსა და რუკებზე ისეთი მასალა არ აღმოჩნდა, რომ ამ დაწერილობას მიუდგეს. შეიძლება ამ დაწერილობის წაკითხვა ტობა-დ, დუბა-დ, ტუთა-დ, ტუნა-დ და სხვ. „დავთრის“ დროს ის შეიდგომლიანი სოფელი ყოფილა. შეიძლება შემდგომ ხანებში ამ სოფელს სახელი შეეცვალა. ფოცხოვის ამ სექტორში არის სოფელი დამავლია, აენიკოვი (=თ. yeni 'ახალი' და köy 'სოფელი'), ჩანჩახი (ალ. ფრონელით—კანკახი)<sup>5</sup> და სხვ. (იხ. მსხვილმასშტაბიანი რუკები). ეს სოფელი „დავთარში“ ნახსენები არაა. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ესენი სახელგადარქმეული სოფლებია. არქივისეული სიების შემდგენლებს ამ სოფლის სახელი Тондах-ად აქვთ ამოკითხული; არ ჩანს რა საფუძველზე ამოიკითხეს ასე; ან სადაა ეს ტობანი? ამოუკითხავად რჩება ამ სოფელთან აღწერილი حولى სათესველის სახელიც.

4. სოფ. ჯუმათელი სამსა სათესველით—جمادول (I 17, 321; II 20, 314. I წიგნში —თურქული ტექსტი—ამ სოფლის სახელის პირველ ასოსთან—

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 104.

<sup>2</sup> იხ. დედანი, გვ. 300.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> В. Девыцкий, Древности Псковского участка, СМОЛСК, 35, გვ. 245-246.

<sup>5</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 184.

ჯ-სთან წერტილი არ გამოუსულა; მაგრამ ამავე წიგნის ზე-17 ვვერდზე სწორადაა დაბეჭდილი). ამ სოფლის სახელი ქართულად ჯუმატელი მაქვს. მისი თურქული დაწერილობა—*جوما* მხოლოდ ასეთი წაკითხვის შესაძლებლობას იძლეოდა. მაგრამ რუსულ მსხვილმასშტაბიან რუკებზე ყველგან *Жума-теп-и*-ია, ისევე როგორც ალ. ფრონელსაც ჯუმათელი აქვს<sup>1</sup>. ვფიქრობ, რომ უფრო ჯუმათელი უნდა იყოს ქართული სახელი ამ სოფლისა და თურქულ ტექსტში ის, ალბათ, დამახინჯებულია. მდებარეობს ჯუმათელი ცნობილ წურწყაბ სოფელთან, მისი სამხრეთით. ცხრაკომლიანი სოფელია. არქივისეულ სიგეში ამ სოფლის სახელად წერია *Тамбул* (22v, 14r), რაც სრული გაუგებრობაა.

ამ სოფელთან აღწერილი *صوار* სათესველისა და *صوارحو* (ჯვარწყალა?) ჩაირის სახელები ამოკითხული არ არის.

5. სოფ. ოხთოლი—*اوختول* (I 17, 322; II 20, 314). თითქმის ყველა საარქივო მასალებსა თუ ლიტერატურაში, აგრეთვე მსხვილმასშტაბიან რუკებზე *Охта* ან *Охтап*-ი გვაქვს<sup>2</sup>.

„დავთრის“ დაწერილობა ამ სახელისა ოხთოლ-ად, ან უფრო ოხთულად უნდა იქნეს ამოკითხული. ასევე *Охтоп*-ია დაწერილი არქივისეულ სიგეში (22v, 14r), რომლებიც, როგორც ვიცით, „დავთრის“ მიხედვითაა შედგენილი. „დავთრის“ შემდგენელს ეს სახელი შეცდომით უნდა ჰქონდეს ჩაწერილი. ვფიქრობ, გრაფის ქალის უვაროვის, დ. ბაქრაძისა და რუკების შემდგენელთა ჩვენება ამ საკითხში უფრო დამაჯერებელია და სოფლის ქართული სახელი ოხთელი-ი უნდა იყოს<sup>3</sup>. ალ. ფრონელის ორტელიც უთუოდ ოხტელ-ია კორექტურული შეცდომით<sup>4</sup>. „დავთრის“ დროის ოხთელი მოზრდილი სოფელია, 22 კომლით, რომელსაც 8 000 ახჩა აქვს შეწერილი. ოხთელი ალ და სამხულა სოფლების სამხრეთით მდებარეობს (იხ. რუკა).

ამ სოფლის მფლობელობაშია სამი ჩაირი, რომელთაგან ერთის სახელი თითქოს ხარსაზაულ-ად იკითხება, ხოლო ორი დანარჩენისა: *صلى* და *كردار* ანოუკითხავად რჩება. იალალი *كلس* შეიძლება პირობით საქანელად იქნეს ამოკითხული.

6. სოფ. სამხულა დიდი მინდორ და პატარა მინდორ სათესველითურთ—*صاخولا* (I 17, 322; II 20, 315). „დავთრის“ *صاخولا* ქართულად უდავოდ სამხულა-ს გვაძლევს, მაგრამ მსხვილმასშტაბიან რუკათა უმრავლესობაზე *Самхлия* (ასევეა: *Свод*, 114) წერია; ზოგზე მაინც *Самхели* და ალ. ფრონელსაც (შეიძლება გააზრების შედეგად) სამიხე-

<sup>1</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 181; *Свод*, 114; სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76r.

<sup>2</sup> სტია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v; იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v; Д. Бакрадзе, *АИГА*, 67; Граф. Уварова, *Кавказ...*, გვ. 278; *МАК*, IV, 102. ერთ-, ხუთწერსიანი და სხვა რუკები.

<sup>3</sup> შტრ. აგრეთვე *Охтап*: *Свод*, 114.

<sup>4</sup> დიდებული მესხეთი, 183.

ლია აქვს<sup>1</sup>. ერთ საბუთში კიდევ Самхулия გვაქვს<sup>2</sup>. ვიდრე უფრო სანდო წყარო გაჩნდებოდეს, ძნელია უპირატესობა რომელიმე ვარიანტს მიენიჭოს. არქივისეული სიგბის Саи́хоя (22v) და Аи́хоя (14r) ვარიანტები უთუოდ სწორი არაა. სამხულა ცამეტკომლიანი სოფელია. მდებარეობს ოხთელის ჩრდილო-დასავლეთით.

სოფ. სამხულასთან დასახელებული ორი სათესველის სახელი თურქული უნდა იყოს—*قير يوك* და *قير كوجك*. *قير* და *كوجك* რომ 'დიდსა' და 'პატარას' ნიშნავს, *قير* შეიძლება *قير*-ად წაეკითხათ, რაც 'მინდორს', 'ველს', 'ვაკეს' ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში Büyük Kır და Küçük Kır თარგმანი უნდა იყოს ამ სათესველთა ქართული სახელებისა—დიდი მინდორი და პატარა მინდორი, ან არადა—დიდი ველები და პატარა ველები (I-სა და II წიგნში ეს ადგილი სათანადოდ უნდა შესწორდეს).

აღწერილობის ბოლოში სამხულას სათიბად მიწერილი აქვს იალალები *احل* და *اكر*, რომელთა ამოკითხვა არ ხერხდება.

7. სოფ. ალი სრა სათესველითურთ—I (I 17, 323; II 20, 316). ფოტობოვში ალი ძლიერ ცნობილი სოფელია. სამცხური წარმოშობის ხალხურ სიტყვიერებაში იხსენიება:

ალის საყდარში ილოცა, წინ იახლა წინამძღვარი,

კობტა ბელადი მიუძღვის, მას გავარდეს ორივე თვალი!<sup>3</sup>

ამ სოფლის სახელს ვხვდებით ნ. შარის „ღლიურშიც“: „Мулла зовут Раджаб. Он из селения Ал Подховского участка“<sup>4</sup>; უეაროვის ქალის ცნობა: В Алл встретил нас Посховский участковый начальник Ардаганского округа<sup>5</sup>. სოფ. ალის ადგილმდებარეობის თვალსაზრისით საინტერესოა ვ. ღვეციკის ცნობა: „Альская церковь. Верстах в 5 к юго-востоку от Дигура находится турецкий поселок Ал.“<sup>6</sup> На окраине Ала стоит старинная грузинская церковь“<sup>7</sup>.

სოფ. ალი ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია ან როგორც *Аль*, ან როგორც *Ал*. ალი „დავთრის“ დროსაც დიდია, მასში 29 კომლია აღრიცხული.

ალთან დასახელებული სათესველის სახელი სრა ამოუკითხავად რჩება.

<sup>1</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 48. <sup>2</sup> სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>3</sup> „ძველი საქართველო“, III, გვ. 246.

<sup>4</sup> Житие св. Григория Хандзтийского... Дневник, 2; ასევე: სცია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 75v.

<sup>5</sup> Кавказ..., 278; МАК, IV, 97. ალის შესახებ იხ. აგბეთვე დ. ბაქრაძე (АПГА, 67), აღ. ფრონელი (დიდებული მესხეთი, 48), ივ. ჯაფარიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, გვ. 188.

<sup>6</sup> ავტორის მხედველობაში აქვს გამაჰმადიანებულ ქართველთა სოფელი.

<sup>7</sup> В. Девичий, Древности Посховского участка, СМОМПК, 35, გვ. 242; აგრეთვე ალი ს შესახებ: ევ. თაყაიშვილი, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. III, თბილისი, 1907, გვ. 2, 3. ალი ს სახელი სოფელი არსებობს აგრეთვე ხაშურის რაიონში, იხ. სპ. სრა ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 115.



8. სოფ. ხუნამისი ولاى ساتესველით—خوناميس (I 17, 314; II 20, 317). ალ. ფრონელს ხონამისი აქვს<sup>1</sup>. ასევე Хонамис-ი გვაქვს არქივისეულ პირველ სიაში (გვ. 22v; არქივისეული მეორე სიის—Плак მხედველობაში მისაღები არაა), ხოლო სხვაგან Хонамис-ი<sup>2</sup>. მაინც უფრო სარწმუნოა, რა თქმა უნდა, ყველა მსხვილშასტაბიანი რუკის, გრაფის ქალი უვაროვისა (Замок и крепость Хунамис)<sup>3</sup> და ჩვენი „დაეთრის“ ხუნამის ვარიანტი. ეს მით უფრო, რომ ექ. თაყაიშვილსაც Хунамис-ი (ყველსციხიდან 7 ვერსის მანძილზე) აქვს დასახელებული (აქვე ხუნამისში ნაპოვნი ბრინჯაოს ნივთის წარწერა)<sup>4</sup>. ხუნამისი ხეობთან ახლოსაა, მისგან ჩრდილოეთით. „დაეთრის“ დროს ხუნამისში 11 კომლია აღრიცხული, ხოლო 1878 წ.—79<sup>5</sup>. ხუნამისთან აღწერილი ولاى საფესველისა და ارسارس ჩაირის სახელები ამოუკითხავად დარჩა.

9. სოფ. ჯაყის რაბათი (იხ. ზემოთ სოფ. № 1—ჯაყისმანი).

10. სოფ. საკირე—سکر (I 17, 325; II 20, 318). საკირე სახელი სწორად უნდა იყოს ამოკითხული. არქივისეულ სიაში (I-ში) სწორედ Сакире-ა (გვ. 22v), მეორეში—უთუოდ დამახინჯებული Сакаре (14r). გრაფის ქალის უვაროვისა<sup>6</sup> და ერთი საბუთის<sup>7</sup> მიხედვითაც Сакире-ა. სხვა მასალებში გვხვდება Сахури-ისა<sup>8</sup>, Сакира-სი<sup>9</sup> და სხვ. ფორმითაც, მაგრამ ასეთები უთუოდ შერყენილი ფორმებია.

საკირე ახლოსაა ალ სოფელთან, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთით (იხ. თანდართული რუკა). „დაეთრის“ დროს საკირეში 10, ხოლო 1878 წელს 21<sup>10</sup> მოსახლეა აღრიცხული.

11. სოფ. არყისციხე—ارغیخ (I 17, 325; II 20, 318). ახლანდელი ჩემი გამოცდილების მიხედვით, მე სრული დარწმუნებით მოვხსნი კითხვის ნიშნებს ორთავე (I და II წ.) ადგილას. დედანში (გვ. 300) სავსებით გარკვევით იკითხება ارغیخ—არყისციხე (ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ციხე სიტყვა თურქულში სხად წარმოითქმის და იწერება, მაგალითად, ახალციხე اخی, ფერისციხე—سکر და სხვ.). თან ამ დაწერილობაში ყველა სათანადო ასოს დიაკრიტ. ნიშანი დასმული აქვს. ამ სოფლის სახელი ნამდვილად—არყისციხე-ა. ასეთივე სახელწოდების სოფელი აღრიცხულია

<sup>1</sup> დიდებული მესხეთი, 48.

<sup>2</sup> სტია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>3</sup> Кавказ..., გვ. 280; აგრეთვე Свод, 114.

<sup>4</sup> Археологические экскурсии, размышления и заметки, вып. III, თბილისი, 1907.

გვ. 3, 7.

<sup>5</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

<sup>6</sup> Кавказ..., გვ. 27; МАК, IV, 97. ასევე საკირეა „დიდებულ მესხეთში“, გვ. 48.

<sup>7</sup> სტია, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>8</sup> იქვე, ფ. 77, ს. 6.

<sup>9</sup> იქვე, ფ. 78, ს. 5, გვ. 6r.

<sup>10</sup> იქვე, ფ. 415, ს. 12, გვ. 76v.

ამავე „დავთარში“ ახალციხის ლივნსა და ჩრდილის ნაჰიჯეში (I 6, 36; II 7, 40). არქივისეულ სიებში ასევე Архисхе-ა (გადათურქულებული ფორმით, გვ. 22რ, 14რ). ამ, ასე დავარქვათ, ფოცხოვის არყისციხეზე ჩვენ ცნობები თითქმის არა გვაქვს. არ არის აღნიშნული ის რუკებზედაც. საჭიროა გაგრძელდეს მასალების ძიება. „დავთარის“ დროის არყისციხე საკმაოდ მოზრდილი, 15 კომლიანი სოფელია.

12. ხეოსმანი აასს (?) სათესველით—خوسان (I 17, 326; II 20, 319). გრაფის ქალი უვაროვის, დ. ბაქრაძისა და არქივისეული სიის (№ 1-ის) მონაცემების მიხედვით ახლა შეიძლება ითქვას, რომ ამ სოფლის სახელი—خوسان ხეოსმან-ად კი არა, ხეოსმან-ად უნდა ყოფილიყო ამოკითხული. მართლაც, უვაროვის ქალი, რომელიც ამ მწარეში თვითონ იყო, წერს: Хеосмани, местность, где процветала в былое время деревня этого имени<sup>1</sup>. დ. ბაქრაძესა და ალ. ფრონელსაც ამ სოფლის სახელად Хеосман-ი ო ხეოსმანი აქვთ<sup>2</sup>; ასევეა ზუსტად არქივისეულ პირველ სიაში (გვ. 22რ; მეორე სიის Госман-ი—გვ. 14რ—დამახინჯებულია).

ხეოსმანში 15 მოსახლეა. მასთან დასახლებული აასსს სათესველისა და ىاس, ساس, زيدوكنى (შეიძლება, ზედაგანი) და ىادى (ფუნდული?) ჩაირების სახელები ვერ დადგინდა.

13. სოფ. ზემო და ქვემო ყუღრა ზედა ყუღრა და შიდა ფალა უბნებითურთ—الى حد و قوادره اذ محطه مع سلا و عليا و قوادره (I 17, 327; II 20, 319). ეს სოფელი უნდა იყოს მსხვილმასშტაბიან რუკაზე (მაგალითად, ხუთფერსიანზე) კარალთან ახლო Кудра-დ აღნიშნული პუნქტი. არქივისეულ სიებში Кудра-დაა ამოკითხული (გვ. 22რ, 14რ). 1870 წლისათვის კ. ზისერმანის მიერ აღწერილი Кудринский казачий пост близ Псоховки სწორედ ეს ჩვენი ყუღრა (თუ ყუღრო) პუნქტი უნდა იყოს. ამ დროს აქ 18 სამხედრო პირი ბინადრობს<sup>3</sup>. რადგანაც თურქულში პირველ მარცვალს იქით „ო“ თანხმოვანი არა გვაქვს და გრაფიკულადაც ის „ა“ ხმოვნის ნიშნით გადმოიციმა, აქაც შეიძლება ყუღრო (←მყუღრო) გვექონდა და قوادر, რუს. Кудра ამ სახელის გადათურქულებული ფორმები იყოს. რაც შეეხება ვ-ის ჩასმას უ ხმოვნის გადმოსაცემად, ეს ჩვეულებრივი საშუალებაა თურქულში ნასესხები სიტყვების თანხმოვანთა გასაყარად. მასასადამე უნდა ყოფილიყო قوادر (ყუღრო), გვაქვს قوادر.

ზემო და ქვემო ყუღრა ერთადაა აღწერილი. მდებარეობს ეს სოფელი კარლის ჩრდილოეთით (იხ. თანდართული რუკა). ორთავე ყუღრაში 9 მოსახლეა. ზემო და ქვემო ყუღრასთან დასახლებულია აგრეთვე ორი უბანი—ზედა ყუღრა და შიდა ფალა. ამ უკანასკნელზე ჩვენ ლაპარაკი გვექონდა ზემოთ,

<sup>1</sup> Кавказ..., გვ. 270.

<sup>2</sup> АИГА, 67; დიდებული მესხეთი, გვ. 183.

<sup>3</sup> К. Зиссерман, 20.

ზემო ფალა სათესველთან და ქვემო ფალა სოფელთან დაკავშირებით (ფოცხოვის ლივა, მზვარის ნაჰიე, № 7).

ამავე სოფლებს მიწერილი *صاغر* ჩაირის სახელი ვერ გაირჩა.

14. სოფ. ზემო ქარალი *اركل* და *اسراچ* სათესველითურთ—*اركل* (I 17, 327; II 20, 321), 15. სოფ. ქარალის რაბათი *سوحرة* - თუბანი-თურთ—*مع محلة سوحرة توبان* (I 17, 328; II 20, 320). მაშასადამე, ქარალის სახელით „დაეთარში“ აღწერილია 1. სოფ. ზემო ქარალი და 2. ქარლის რაბათი ანუ ქარლის ციხე, რომელშიც სამოქალაქო მოსახლეობა ყოფილა. უნდა აღინიშნოს, რომ ფოცხოვის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით ქარლების ტერიტორია საქართველოს სსრ-ის ფარგლებშია. ქარალი აღრე ინჯგოლა და ჯაყისმან სოფლებთან ერთად ჯაყისმანის სასოფლო საბჭოში შედიოდა<sup>1</sup>. ქარალი ჯაყისმანთან ახლო მდებარეობს. სოფ. ქარალი, რომელი სოფელიც ახალციხიდან ოც ვერსზედ წევს და რომელიც სოფ. ვალის საზოგადოების ნაწილად ითვლება<sup>2</sup>, „დიდ-ქარალის მაგარი ციხე ფოცხოვშია, მაგრამ ეს სოფელი ეხლა მიწერილია ახალციხეზე“<sup>3</sup>. „2 კილომეტრიან რუკაზე სწორედ ამ ხაზზე“ აღნიშნული ადგილი „ქარალი“, სახელდობრ, ფოცხოვის ხეობაში, ფოცხოვის წყლის მარჯვენა შემდინარის, ბეიუქ-ჯიუნის, შუაწელზე“<sup>4</sup>. სოფ. ქარლის გაყიდვაზე ლაბარაკი; Чарали улия (= ზემო ქარალი) და *деревиња Чарали* იხსენიება აგრეთვე სტია-ს 77-ე ფონდში, საქმეები 8, 27 და 47, გვ. (შესაბამისად) 33. 21v, 22r და 4r. დ. ბაქრაძე ასახელებს აგრეთვე *Чил-Чарали-ს*<sup>5</sup>, რაც „დაეთარში“ არ ჩანს. შეიძლება ეს მერმინდელი შერქმეული სახელი იყოს.

ზემო ქარალ სოფელს მიწერილი აქვს ორი სათესველი *اركل* და *اسراچ*, აგრეთვე ჩაირები საბუზა *سرى* (?) და აფხუ (*?*) წყარო, რომელთა ამოკითხვა მასალების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა. ასევე არ არის ამოკითხული ქარლის რაბათთან დასახელებული უბნის სახელი *سوحرة* (თუბანი).

15. სოფ. ქარალის რაბათი—იხ. ზემოთ № 14. სოფ. ზემო ქარალი.

16. სოფ. წურწყყაბი—*ابغز* (I 17, 328; II 20, 321). თურქულ დედანში (გვ. 22 და 303) ორივე ადგილას *ابغز* (ზუზლბ) წერია, მაგრამ ცხადია, „რ“ თანამოვანი აქ შეცდომითაა გამოტოვებული. „სამცხე-საათაბაგოს მლუდელმთავარნი“ში („წურწყაბ“→) „წურწყაბლის სამწყსო“ იხსენიება<sup>6</sup>.

<sup>1</sup> II წიგნი (გვ. 328) შეცდომით *اركل*-ია დაბეჭდილი *اركل*-ის ნაცვლად (ელითე გამოვარდნილია).

<sup>2</sup> იხ. ახალციხის რაიონში შეზავად დასახლებულ პუნქტთა სია (რუსულად დაბეჭდილი).

<sup>3</sup> ხ. კიკინაძე, ისტორია ზურსიძის (ისარლოვი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი, თბილისი, 1904, გვ. 86; ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 183.

<sup>4</sup> „იხიათა ზურგის ხაზზე“.

<sup>5</sup> აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატინე, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბილისი. 1941, გვ. 9.

<sup>6</sup> სტია, ფ. 71, ს. 101, გვ. 1. : *АИГА*, 67; აგრეთვე: უვაროვის ქალი, *МАК*, IV, 94.

<sup>7</sup> Д. Бакрадзе, *АИГА*, გვ. 81; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 55.

გარდა ამისა, ყველა მსხვილმასშტაბიანი რუსული რუკების მიხედვით—Цур-  
 хаан-წურწყაბი-ი. ვახუშტის კი ფოცხოვის-ხეუში მდებარე ამ პუნქტის სახე-  
 ლად წურწყუმა აქვს: „წურწყუმას არს ეკლესია“, „წურწყუმს ზეით“<sup>1</sup>,  
 მაგრამ ეს უთუოდ შეცდომაა. მ. ბროსეც, ვახუშტისავე „გეოგრაფიის“ მი-  
 ხედვით, ამ ადგილს „წურწყუმას“ (l'église de Tsourtsqouma) ეძახის<sup>2</sup>. უვარო-  
 ვის ქალსაც ამავე წყაროს მეოხებით Туркум-ი აქვს, თუმცა მასთან Тзурц-  
 каан-ი, Цурцаანი და Турцаан-იც გვხვდება<sup>3</sup>. ვახუშტის წურწყუმა მარ-  
 თებულად გაასწორა თავის დროზე დ. ბაქრაძემ<sup>4</sup>. კიდევ ორი ცნობა: Цурц-  
 каан (წურწყაბი) в Подкове деревня; церковь, бывшая кафедрa епископа  
 Цурцабели. Сражение у деревни Цурцакани в апреле 1828 г. генерала  
 Бурцева с Ахмед-бегом Химшиашвили<sup>5</sup>. აქ მომხდარ ბრძოლაზე უფრო  
 ვრცლად მოთხრობილია წიგნში „История военных действий...“, სადაც  
 აგრეთვე რამდენიმეჯერ იხსენიება „Цурцакани в Подкове“<sup>6</sup>. არქივისეულ  
 I სიაში წურწყაბის სახელი სწორადაა მოცემული, ხოლო მეორე სიაში კი  
 Цурцаан-ად არის დამახინჯებული (გვ. 14 v).

წურწყაბი ვახლა და ჯუმათელ სოფელთა ჩრდილოეთით მდებარეობს  
 (იხ. აქვე რუკა). „დაეთრის“ დროის წურწყაბი დიდი სოფელია; მასში აღრი-  
 ცხულია 46 კომლი. 1834 წლის ერთ საბუთში კი წურწყაბში 41 კომლია<sup>7</sup>.

17. სოფ. ზემო და ქვემო არილა შუაუბნითა და ბერალისა (?)  
 اريلا عليا و سفلا مع محلة شواوآبان و مزرعة ساتهس-ელებითურთ—سحرار  
 اريلا عليا و سفلا (I 18, 329; II 20, 321). არილას სახელწოდება დავას  
 არ იწვევს. ის ყველგან არილა-ადაა ჩაწერილი. აღნიშნულია ყველა მსხვილ-  
 მასშტაბიან რუკაზე; მდებარეობს ჯაყის სამხრეთ-აღმოსავლეთით. „დაეთრის“  
 დროს ზემო და ქვემო არილა დიდი, 38 კომლიანი სოფელია. 1834 წლის  
 ერთი საბუთით არილაში მხოლოდ 13 კომლია, ხოლო 1878 წ.—39<sup>8</sup>.

სოფ. არილასთან დასახელებული სათესველების სახელებიდან ბერალისი  
 პირობითაა ამოკითხული, ხოლო سحرار-ი კი გაურკვეველია.

18. სოფ. ხეცა—خا (I 18, 330; II 20, 322). დედანში (გვ. 304) ამ  
 სოფლის სახელი დიაკრიტ. ნიშნით არის დაწერილი და მისი ხეცა-დ  
 წაკითხვა, თითქოს, სწორია. ამავე დროს რუკებზე და არც სხვაგან საღმე

<sup>1</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 126.

<sup>2</sup> Rapports..., II, 139.

<sup>3</sup> Граф. Уварова, Кавказ—..., გვ. 280; МАК, IV, 102.

<sup>4</sup> Кавказ в древних памятниках христианства, 134.

<sup>5</sup> Д. Бакрадзе, АПГА (სამიხედვლი).

<sup>6</sup> История военных действий..., I, 337 და II, 12, 34, 53 და 54 გვ.; შდრ. БСЭ (მეორე გამოცემა), ტ. 47, მოსკოვი, 1957, სტატია Цурцаан, გვ. 3.

<sup>7</sup> სცია, ფ. 77, ს. 6; იხ. აგრეთვე იქვე, ფ. 78, ს. 6, გვ. 9v.

<sup>8</sup> თურქულ ტექსტში შეცდომით (I წ.; გვ. 329) დაბეჭდილია شواوآبان ნაცვლად

شواوآبان-ისა, ე. ი. თურქულად დაწერილი „შუა“ სიტყვაში ელიფი გამოტოვებულია.

<sup>9</sup> სცია, ფ. 77, ს. 6; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 75v.

ასეთი სახელწოდებით პუნქტი ფოცხოვში არ ჩანს. ასეთი სახელწოდების სოფელი გვხვდება კიდევ დიდი-არტაანის ლევან მზვარის რაიონში (II, 430); სახელის არაბული დაწერილობა საეცებით თანამთხვეულია ფოცხოვის ხევას დაწერილობასთან (იხ. დედანი, გვ. 304—ფოცხოვი და გვ. 417—არტაანი). არქივისეულ სიებში ჩვენი სოფლის სახელი Xეო-დაა ამოკითხული, რომელშიც ბოლოკიდური „ო“ ხმოვანი არაფრით არ მართლდება.

ამასთანავე ერთად სამხრეთ ფოცხოვში ვარხანის აღმოსავლეთით ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია სოფ. ხეოთი. ხეოთ სოფელს, როგორც კარგსა და მოწინავეს, ახსენებენ დ. ბაქრაძე—Xეოთ<sup>1</sup>, ალ. ფრონელი—ხეოთ<sup>2</sup> და სხვაგანაც ბევრჯერ. შესაძლებელია დაეუშვათ, რომ ხევა (خـ) უხეიროდ ჩაწერილი ხეოთი იყოს. საბუთებში ჩვენ ხევათი და Xეოთ-იც გვხვდება<sup>3</sup>. შესაძლებელია ჯერ ხევათი იყო, შემდეგ ვა კომპლექსმა ო მოგვეცა—ხეოთი. ხევა-სთან II წიგნში კითხვის ნიშანი უნდა მოიხსნას.

ჩვენ აქ მთლიანად მოვიყვანთ ერთ არქივისეულ ქართულ საბუთს, რომელშიც, ვფიქრობთ, სწორედ ეს ხევა სოფელი უნდა იხსენიებოდეს ხევათი'ს სახით. საბუთში სხვა სოფლებიცაა ნახსენები და მას საერთოდ მნიშვნელობა აქვს ამ კუთხის ეკონომიური ისტორიის შესასწავლად. საბუთი მოგვეყავს უცვლელად:

„მის მალაკეთილშობილებას ნაჩაღნიკს ახალციხის სათაშაოს უფალს პოლკოვნიკს და კავალერს ათანასი ივანიჩ სინაქსაროვს ახალციხის მოქალაქის სტეფან აზნაუროვისა და ოჩანჯან ხოჯაევანოვისაგან

### რ ა პ ო რ ტ ო

ვინაითგან გვებრძანა თქვენის მალაკეთილშობილებისაგან გამოძიება სახელმწიფო მანულებისა, გვაქვს ბედნიერება მოხსენებად: სანჯახსა ფოცხოვისასა აღმოჩნდა ხუთი სოფელი, სახელდობრ ქეახრელი<sup>4</sup>, ხევათი, კოშტი-ვეთი<sup>5</sup>, ზეინდარ და ფალა. ამა ხუთი სოფლის ნახევარი ჰქონდა სულთანის ბარათით<sup>6</sup> ჯუხრუკაშვილ აუსუსე ალასა, რომელმანც მიჰყიდა ბაიბურდელ პრაპოშიკ ჰაჯი არუთენ ალასა და ამა ხუთი სოფლის ნახევარი ჰქონდა სულთანის ბარათით ჩილყაყო შუსტაფა ალასა, რომელიც გაიქცა აპარლის ჩხუბს შემდგომ და დასტოვა სახელმწიფოთ. ვთხოვთ თქვენს მალაკეთილშობილებას, რათა კეთილ ინებოს გამოძიებად ვინა სჰამს ამა სოფლების დახოდსა ესე შეოთხე წელი არს, რომელთაგან არა სარგებლობს ხაზინა და ებრძანოს

<sup>1</sup> АПГА, გვ. 67.

<sup>2</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 48.

<sup>3</sup> სცია, ფ. 514, ს. 12, გვ. 76წ.

<sup>4</sup> იხ. აქვე, გვ. 439—ფოცხოვის ლევა, მზვარის ნაძიგე სოფ. № 16.

<sup>5</sup> „დაეთარში“ არ იხსენიება.

<sup>6</sup> სულთნის ბარათი (არაბ. ابر) იგივეა, რაც სულთნის ფირმანი, სიგელი.

ანგარიშის მოცემა ვინცა სარგებლობდა აქამოდმდე და გვექმნება ბედნიერება თქვენის მალალკეთილშობილებისაგან

1832-სა წელს  
ოქტომბრის 2-სა

სტეფან აზნაუროვი  
ოპანჯან ხოჯავანოვი<sup>1</sup>

„დავთარში“ ხევა-დ აღრიცხული სოფელი, მართალია, პატარაა (4 კომ-ლი), მაგრამ ჩვენი დროისათვის ის შეიძლება გაზრდილიყო.

19. სოფ. გორაჯვარი (?)—(?) گورجور (I 18, 330; II 20, 323). I არქივისეულ სიაში ეს დაწერილობა Горилжвар-ადაა ამოკითხული (23r), ხოლო მეორეში—Горилжвар-ად (14v). ამ სახელწოდების დასადგენად დასათანადო პუნქტის ლოკალიზებისათვის საჭირო მასალა ჯერჯერობით არ არის. უკაცრიელ სოფლადაა აღწერილი.

20. სოფ. საჯიქე (?) სოფ. ხუნამისთან—احسا (I 18, 330; II 20, 323). II წიგნში ჩვენ ეს წაუკითხავად გვექონდა დატოვებული. ორთავე არქივისეულ სიაში Саджике-დაა ამოკითხული (23r, 14v). ასოთა მონახულობა და თანამიმდევრობა დაწერილობისა ამგვარად წაკითხვის სრულ შესაძლებლობას იძლევა—ساجكي-საჯიქე. ოღონდ არაერთი ფაქტობრივი მასალა იმის შესახებ, რომ აქ ასეთი სახელით არსებობდა გეოგრაფიული პუნქტი, ჩვენ არა გვაქვს. „საჯიქე“ ნაჩვენებია ცნობილ სოფელ ხუნამისთან მდებარედ. გაუკაცრიელებულია, აწერია 2 000 ახჩა.

21. სოფ. გელათენი (?)—گلاتენ (I 18, 330; II 20, 330). დაწერილობას დიაკრიტ. ნიშნები აქვს; უნდა იკითხებოდეს გელათენი, ქელათენი და მისთანანი. არქივისეულ სიგებში მოცემული ამოკითხულობა Шикапет-ი (23r) და Шикалет-ი (14v) უცნაურია, არაერთი კავშირი მას ამ დაწერილობასთან არა აქვს. გაუკაცრიელებული სოფელია, რომელსაც 4 100 ახჩა აწერია. საჭიროა მასალების მოშოვნება.

22. სოფ. გუმანი (?)—گومان (I 18, 331; II 20, 323). დაწერილობის, ამოცნობა ძნელი არ არის; შეიძლება იყოს: გუმანი, გომანი, ქუმანი, ქომანი, კუმანი, კომანი. არქივისეული სიგების Куман (23r და 14v) სწორი არაა. 2 000 ახჩით დაბეგრული ნასოფლარია. ადგილმდებარეობა უცნობია.

23. მანული მიშ (?) სოფელ ქვემო და ზემო ოღრიაში—چنتك ... (?) ميش (I 18, 331; II 20, 323). სოფ. ქვემო და ზემო ოღრიაში არსებულა ჩიფთლიქი (ნამული), რომლის სახელი კარგად ვერ ირჩევა. უკანასკნელი ასო ش-ა (ნიშანი აქვს), მაგრამ პირველი და მეორე ასო საეჭვოა. ميش-ად პირობით ვკითხულობთ, მაგრამ შეიძლება სხვა რამე იყოს. 500 ახჩა აწერია. არქივისეული სიგების ვარიანტები Менис-ი (23r) და Минис-ი (14v) არა მგონია, რომ სწორი იყოს. ბოლოკიდურ ش ასოს დიაკრიტ. ნიშანი აქვს და „ს“ თანხმოვნად მისი წაკითხვა არ შეიძლება.

24. მამული. ვენახი და ბალი ველსა სოფ. ზემო და ქვემო ოღრიაში—باغچه و چنتك (I 18, 331; II 20, 323). ამრიგად, სოფ. ზემო

<sup>1</sup> სტია, ფ. 47, ს. 16, გვ. 105r.

<sup>2</sup> I წიგნში (გვ. 331) چنتك სიტყვის წინ შეტდომით დაბეჭდილია قري.

და ქვემო ოდრიაში ზემოსხენებული (№ 23) მამულის (ჩიფთლიქი) გარდა, ცალკე საგადასახადო ობიექტად გამოყოფილია კიდევ სხვა ვენახიან-ბაღიანი მამული ვინმე ველნსა. აწერია 1 000 ახჩა.

25. სოფ. წყალთბილა—وآغال (I 18, 331; II 20, 323). ამ დაწერილობას დიაკრიტ. ნიშნები მთლიანად დასმული აქვს და მისი ამოკითხვლობა სრულიად უდავოა. „დავთრის“ მიხედვით წყალთბილა ფიცხოვს განეკუთვნება, ამჟამად წყალთბილა ახალციხის რაიონის მთავარი სოფელია წყალთბილის სასოფლო საბჭოსი, რომელიც წყალთბილა, ჯულა, აბათხევ და ნიოხრებ სოფლებს აერთიანებს<sup>1</sup>. ამავე სახელწოდების სოფელი ჩვენ გვაქვს კიდევ ასპინძის ნაჰიეში (იხ. აქვე, გვ. I 10, 141; II 11, 142). „დავთრის“ დროის წყალთბილა 9 კომლიანია, ხოლო 1870 წელს ამ წყალთბილაში უკვე 5 კომლია<sup>2</sup> აღრიცხული.

წყალთბილასთან დასახელებულია მიწა, რომლის სახელი თითქოსდა آوآست-ად (ასითაბალაურ-ად) იკითხება. ამავე სოფელთან მიწერილია ჩაირი, რომლის ერთი სახელი—آوآست-ად ან სასურველი შეიძლება იყოს. ამავე ჩაირის მეორე სახელი آوآست-ად ამოუკითხავად რჩება.

26. სოფ. ოდრიის რაბათი—آوآست (I 18, 331; II 20, 324), 28. სოფ. ქვემო ოდრია—آوآست (I 17, 332; II 20, 325). დაწერილობას დიაკრიტ. ნიშნები არა აქვს. არქივისეული სიების მიხედვითაც Радат Одриа (23r, 14v) და Одриа Суфча (=ქვემო; იქვე) გვაქვს. ერთ საბუთში Удрия Улия (=სა—ზემო) წერია<sup>3</sup>. ოდრია-დ წაიკითხვა ამ პუნქტების სახელისა სწორი უნდა იყოს. „დავთრის“ დროს ლაპარაკია ოდრიის რაბათზე, ე. ი. ოდრიის ციხეზე და სოფ. ქვემო ოდრიაზე. უნდა ყოფილიყო ზემო ოდრიაც და მართლაც ზემომოყვანილი საარქივო მასალიდან ჩანს, რომ XIX საუკუნეში არსებობდა Удрия Улия, ე. ი. ზემო ოდრიაც, რომელიც უფრო ადრე, ალბათ, გაოხრებული იქნებოდა. ოდრიები რუკებზე აღნიშნული არ არის და მათ ადგილმდებარეობაზე ჩვენ ჯერონიბით ცნობები ცოტა გვაქვს. რომ ოდესღაც ზემო ოდრია სოფელიც იყო, ეს ჩანს ამავე „დავთრიდან“ სადაც № 23-ის ქვეშ აღწერილია საგადასახადო ობიექტი ე. წ. „მამული მიმ (?) ქვემო და ზემო ოდრია სოფლებში“<sup>4</sup>. 1867 წლის ერთ საბუთშიც ზემო ოდრია გაოხრებულ სოფლად ჩანს: „Дело Ахцурского Участикового Управления. О продаже помещином деревни Чарал<sup>5</sup> Ариф Беком Алай-Бек-заде Ахалцихскому жителю Петросу Чидингарову 5 000 ахчей земли из пустоши под иавашием „Удрия Улия“ (=ზემო უდრია). სოფ. ოდრიების ადგილმდებარეობის გასარკვევად მნიშვნელოვანია ამავე

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, თბილისი, 1949, გვ. 22.

<sup>2</sup> К. Зиссерман, 21.

<sup>3</sup> სტია, ფ. 71, ს. 101, გვ. 5r.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ, გვ. 464.

<sup>5</sup> ამავე ნაჰიეს სოფელია, იხ. აქვე №№ 14, 15.

<sup>6</sup> სტია, ფ. 71, ს. 101, გვ. 1r.

საბუთის შემდეგი ცნობა. „...продаваемая владельцем Арифъ Бекѣмъ Алай-Бекъ заде Ахалцихскому жителю Петросу Чилингарову земля пустоши „Удрня Улия“ не составляет части селения Цхалтбильы, населенной государственными крестьянами“<sup>1</sup>. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოფ. ზემო ოღრია (და სხვა ოღრებიც) იმდენად ახლო ყოფილა სოფ. წყალთბილასთან, რომ საჭიროდ მიუჩნევიათ საბუთში სპეციალურად აღენიშნათ, რომ ზემო ოღრიას პარტახი წყალთბილას არ ეკუთვნის. წყალთბილას (დღეს ახალციხის რაიონში შემავალი სოფელი) ადგილმდებარეობა კი ყველა რუკაზე გარკვეულადაა აღნიშნული. შენახულია აგრეთვე 1849 წლის საბუთი. ამ საბუთის მიხედვით სოფ. წყალთბილის მოსახლეობა უჩივის ვინმე ალიბეგს, რომელიც უკანონოდ ფლობს სოფ. ზემო ოღრიას<sup>2</sup>. საინტერესოა აგრეთვე, რომ ევლია ჩელების (XVII საუკ.) თავის „მოგზაურობის წიგნში“ მოხსენებული აქვს ოღრიის ციხე اودورسا قلعه. ეს არისო, წერს ე. ჩელები, ახალციხის ახლო ციკაბო-ზე პატარა ციხე. მასასადამე, XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოღრიის ციხე მოქმედი ციხეა. Hammer-ის მიერ ახალციხესთან ერთად დასახელებული orderije ალბათ ეს ჩვენი ოღრიაა-ა<sup>3</sup>.

მინაწერის მიხედვით სოფ. ქვემო ოღრიის მფლობელობაშიც არის იგივე صاسرولى ან كاركارولى ჩაირი, რომელიც ზემოთ წყალთბილას ჰქონდა განკუთვნილი.

27. სოფ. ჩვანეთი — جوان (I 18, 332; II 20, 324). ამ დაწერილობას მთლიანად დასმული აქვს დიაკრიტ. ნიშნები და კარგად იკითხება. მართალია ج (h) წერია, მაგრამ შეიძლება ეს ასო ქ-ს გამოხატავდეს და ქვანეთი იყოს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მკვეთრი ქ ჩვენ ძეგლში სათანადო რიგის მეტრით, ე. ი. „ჯ“ თანხმოვნით გადაიცემა. არქივისეულ სიებში თურქიზებული ფორმაა—Цуванет (23r, 14v). ჩვანეთში „დაეთრის“ დროს 11 კომლია აღრიცხული. ჩვენი დროის რუკებზე ჩვანეთი არ ჩანს და მის ადგილმდებარეობაზე ჯერჯერობით არაფერი ვიცით. ვფიქრობ შეცდომით აქვს მიწერილი სოფელ ჩვანეთს იგივე صاسرولى ან كاركارولى-ს სახელით ცნობილი ჩაირი, რომელიც სოფელ წყალთბილასა და ქვემო ოღრიასთანაც იყო აღრიცხული. ან შეიძლება ყველა სამთავე სოფელს ჰკუთვნებოდა ეს ჩაირი.

28. სოფ. ქვემო ოღრია (იხ. ზემოთ სოფ. № 26. ოღრიის რაბნით).

29. სოფ. اوسك (I 18, 333; II 20, 325). არქივისეულ სიებში წერია Уска (23r, 14v), რაც სავსებით შესაძლებელია. მაგრამ წაკითხვა შეიძლება სხვანაირადაც. ამ სოფელში ორი კომლია.

30. სოფ. ეულულა სოფ. წყალთბილასთან—زوغول (I 18, 333; II 20, 325). მართლაც სოფ. წყალთბილასთან ახლო, მისგან ჩრდილო-დასავლეთით,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 5r.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 71, ს. 37, გვ. 1r.

<sup>3</sup> سياحتنامه اوليا—სტამბოლი, 1314, გვ. 325; GOR, II, 865.



ანსვილმასშტაბიან რუკებზე აღნიშნულია *Джуга*, ზოგან *Джуга* პუნქტი, რაც უთუოდ „დავთრის“ ეულულაა. ეულულა გადათურქულებული ფორმაა, თურქულ ყაიდაზე „ღ“ და „ლ“ თანხმოვნებს შუა ჩასმულია „უ“. ქართულად უნდა ყოფილიყო ეულლა, ან ჯულლა. ამ უკანასკნელი ფორმის გადარუსება უნდა გვექონდეს ივეროპული რუსეთის სპეცრუკაზე\* ფიქსირებულ *Джуга*-ში. ერთ საბუთში კიდევ ახალციხის სანჯაყისათვის იხსენიება სოფელი *Джуга*, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი ეულლა-ჯულლაა.

ჩვენ ზემოთ (გვ: 77-78) ახალციხის ლევას ჩრდილის ნაჰიეგში შემავალ სოფელთა განხილვისას უკვე გვექონდა ლაპარაკი იმაზე, რომ ფოცხოვის ლევან უნულო გაგრძელება ახალციხის ლევან სამხრეთი ნაწილისა, კერძოდ ამით ავხსენით ის ფაქტი, რომ ახალციხის ლევანა და ჩრდილის ნაჰიეგში შემავალ სოფელ ოჯორჯალთან (I 7, 47; II 8, 53) იხსენიება შვიდი უბანი და ორი მათგანი—*اوعو* (= *اوعو*—ეულულა) და *اوسان* (= *اوسان*—წინუბანი) ისეთი უბნებია, რომლებიც ფოცხოვში (ფოცხოვის ჩრდილის ნაჰიეგში) დამოუკიდებელ სოფლად არის აღწერილი<sup>2</sup>. და აი სწორედ ეს ეულულა სოფელი ოჯორჯალის მე-9 უბანადა დასახლებული. როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი მე ამჟამად არ ვიცი. შეიძლება ფოცხოვის სანჯაყის სოფ. ეულულა და ახალციხის სანჯაყის სოფ. ოჯორჯალი ისე ახლო იყვნენ, რომ ეულულის, ან წინუბნის (ეს სოფელი აქ მომდევნო პუნქტადაა განილული) ნაწილი სოფ. ოჯორჯალამდე აღწევდა და იქ ამ უკანასკნელის უბანი იყო, ან კიდევ შეიძლება აქ სოფელთა აღწერის დროს დაშვებულ შეცდომასთან გვექონდეს საქმე. ყოველ შემთხვევაში ამის გასარკვევად საჭირო მასალებს ჩვენ ამჟამად არ ვიცნობთ.

სოფ. ეულულა „დავთრის“ შედგენის დროს უკვე უკაცრიელია.

31. სოფ. წინუბანი სოფ. ოჯორჯალთან—*اوسان* *اوجورجال* (I 18, 333; II 20, 326). რაც ზემოთ ეულულაზე ითქვა, იგივე შეიძლება ითქვას ამ წინუბანზედაც. წინუბანიც მომიჯნავე ახალციხის სანჯაყის ტერიტორიაზე მდებარე ოჯორჯალ სოფლის VII უბანადა აღრიცხული; ფოცხოვში კიდევ ცალკე, დამოუკიდებელ სოფლად არის აღწერილი. რომ აქ სხვადასხვა წინუბანზე არაა ლაპარაკი იქიდანაც ჩანს, რომ ფოცხოვის წინუბნის მდებარეობის დასაზუსტებლად მითითებულია, რომ ის ოჯორჯალთანაა ახლო. წინუბან სოფლის ადგილმდებარეობა ზუსტად არაა ცნობილი, რუკებზე არ არის აღნუსხული, მაგრამ ვიცით ის წყალთბილა-ოჯორჯალის ზონაშია. „დავთრის“ დროის წინუბანში 9 მოსახლეა, რომელსაც შეწერილი აქვს 2 000 ახჩა. კ. ზისერმანს 1870 წ. ამ წინუბანში ნაჩვენები აქვს 13 კომლი<sup>3</sup>.

32. სოფ. ყუნღალი (?) *قونغا* (I 18, 334; II 20, 326.) ყუნღალი ოთხკომლიანი სოფელია. მისი ადგილმდებარეობა უცნობია; არქივისეული სიების ავტორებს ასევე *Кунгала*-ად აქვთ ამოკითხული ეს სახელი (23r, 14v).

<sup>1</sup> სტია, ფ. 77, ს. 55, გვ. 15v.

<sup>2</sup> იხ. აქვე, გვ. 77 და 78.

<sup>3</sup> K. Зиссерман, 21.

როგორც ჩვენ ზემოთ, ოჯორჯალ სოფელთან მდებარე უბანთა სახელების განხილვისას ვამბობდით<sup>1</sup>, ეს ყუნღალ სახელი ძლიერ ახლოსაა ფონეტიკურად ოჯორჯლის ერთ-ერთი უბნის სახელთან, რომელიც كاكو-ად არის ტრანსკრიბირებული. كاكو და كاكو შეიძლება ერთისა და იმავე პუნქტის სხვადასხვანაირად აღქმული და დაწერილი ერთი და იგივე სახელი იყოს. ამ შემთხვევაში ყუნღალზე იგივე შეიძლება ითქვას, რაც ითქვა ეულულასა და წინუბნის შესახებ. ფოცხოვში ესენი სოფლებია, ახალციხის სანჯაყის ჩრდილის რაიონში კი—ოჯორჯლის უბნები.

<sup>1</sup> აქვე, გვ. 77,78.

## VI. პეტრეს ნაწიე

### 21. პეტრეს ნაწიე

პეტრეს ლიე ანუ სანჯაყი, ახლანდელი ტერმინოლოგიით კი ბორჯომის ხეობა რომ ოდითგანვე ძველი ქართული პროვინციის—სამცხის ფარგლებში შედიოდა, მრავალგზის დადასტურებულია ჩვენი ძველი საისტორიო მწერლობით: „შიდა-ქართლი არს ტასისკარს ქვევითი; ზემო ქართლი არს ტასისკარს ზემოთ...“<sup>1</sup> ე. ი., ტასისკარი (=თანამედროვე ტაშისკარი, რომელიც ქვიშხეთთან მდებარეობს) შიდა ქართლისა და ზემო ქართლის, ე. ი. სამცხე-საათაბაგოს საზღვარს შეადგენდა. ოძრჭის ერისთავი განაგებს ტერიტორიას „ტასისკართგან ვიდრე არსიანთამდის“, ე. ი. ტასისკარი სამცხის საერისთაოში შედის<sup>2</sup>. შიდა ქართლზე ნათქვამია, რომ მისი ტერიტორია „ტფილისიდან და არაგვთან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარამდე“<sup>3</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილით „ზედა ქართლის საზღვარზე იყო „ტასისკარი“, რომელიც ტაშის კარის სახელით ეხლაც არსებობს მტკვრის პირას, ლომის მთის ძირას“<sup>4</sup>. დასასრულ, იმავე ავტორის მიხედვით „სამცხე საკუთრივ იწყებოდა თურმე ტასის კართან და მთავრდებოდა არსიანის მთასთან“<sup>5</sup>. ჩვენი ძეგლის—„გურჯისტანის ვილაეეთის დიდი დავთრიდან“ უფრო ნათლად ჩანს, რომ სრულიად ბორჯომის ხეობა მისი უკანასკნელი პუნქტის—სოფ. ქვიშხეთის<sup>6</sup> ჩათვლით „გურჯისტანის ვილაეეთს“ განეკუთვნება.

„გურჯისტანის ვილაეეთის“ პეტრეს სანჯაყში განსაკუთრებით თვალში ეცემა კაცს გაოხრებულ სოფელთა სიმრავლე. მთელ პეტრეს სანჯაყში აღწერილია სულ 49 სოფელი; აქედან მოსახლეობა, ისიც მინიმალური რაოდენობით, ნაჩვენებია მხოლოდ 8 სოფელში, ხოლო დანარჩენი 41 სოფელი აღრიცხულია გაუქაცრიელებულად (აქარიელი რეჟანსაგან<sup>7</sup>). მთლიანად პეტრეს სანჯაყის ორთავე ნაწიეს 8 დასახლებულ სოფელში, ე. ი. ახლანდელ მთელ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ჯაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 10 (სქოლიო) და გვ. 24 (სქოლიო 3).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24 და 422; შდრ. ვახუშტი, გვ. 120 და ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, 14 და 25.

<sup>3</sup> (იგივე) ქართლის ცხოვრება, გვ. 24, 42.

<sup>4</sup> ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 32.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 52; აგრეთვე: ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, თბილისი, 1955, გვ. 16.

<sup>6</sup> დაეთარი, I 340, II 332.

<sup>7</sup> იხ. დაეთარი, II, გვ. 326-332.

ბორჯომის ხეობაში დარჩენილია სულ 37 კომლი<sup>1</sup>. „დავთარი“ უკაცრიელად აღწერილ სოფელთა მცირე ნაწილი, მაგალითად, ლიკანი (II 327), ყუიბისი (II 328), ჭობისხევი (II 329), დაბა (იქვე), წალვერი (იქვე), რველი (II 332), ზანაყი (იქვე) დაპყრობათა შემდგომ წლებში კვლავ მოშენებულა. ჩანს, ზოგ. სოფელში მოსახლეობა კვლავ დაბრუნდა. მაგრამ უდიდესი ნაწილი ამ უკაცრიელი სოფლებისა, მაგალითად, ეშმაკთუბანი (II 326), მალაჩათუბანი (II 327), დღვაშისხევი (იქვე), ლომსათუბანი (იქვე), ინანკათუბანი (იქვე), ნუა (II 328), ქალა (იქვე), თორი (II 329), ქამარზა (II 330), ხოხაშენი (იქვე) და სხვ. მრ., XVI საუკუნის ამბების შემდეგ თანდათან მთლიანად გაპარტახებულა და ისე აღგვილა პირისაგან მიწისა, რომ დღეს სრულებით შეუძლებელია ზოგი მათგანის ადგილმდებარეობის დადგენა, ხოლო ზოგიერთის არც ადგილმდებარეობა დგინდება და არც კემმარტი სახელწოდება<sup>2</sup>. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისტორიკოს დ. ბაქრაძის შეხედულება ამ ხეობაში დატრიალებულ სიავეთა შესახებ<sup>3</sup>ეს ხეობა, რომელიც მტკვრის მოწოლითაა გაჭრილი, მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ისტორიულად საინტერესოა ადგილია. იგი საკომუნიკაციო ადგილი იყო ზედა ქართლსა (სამცხე-საათაბაგოსს) და ქვედა ქართლს შორის. ხეობა მკიდროდ იყო დასახლებული. ხეობის მტკვრის ნაპირებზე ჩვენ გვქონდა სოფლები, ციხეები, ხიდები და ეკლესიები. იყო დამუშავებული მიწები, ბაღები, ვენახები. ასე იყო ძველად. ახლა ტყუილად ეძებთ ამ ძველი კულტურის კვალს, მოსახლეობის შრომისმოყვარეობისა და ქმედითობის ნაყოფს. ყველაფერი გაპარტახდა. დიდხანს იყო ეს ხეობა ბრძოლათა ასპარეზი. ამის გარდა, იგი ხანგრძლივად იყო ორი იმპერიის საზღვარზე, რომელიც ყველაზე უფრო მეტად განიცდიდა საომარი მდგომარეობისა და მხარეთა ურთიერთშურისგების გამანადგურებელ შედეგს. მოსახლეობა ან გაწყდა, ან სხვა მხარეებში გაიბიზნა. თავიანთი ქვეყნიდან წამოსული ლეკები ფაშის სამსახურში ჩადგებოდნენ, თავს ესხმოდნენ ამ უბედურების დროს მოსახლეობას, იტაცებდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც შათ ხედებოდათ გზაში<sup>4</sup>. ასეთი მძიმე ძნელებლობა განიცადა ბორჯომის ხეობაში. ქართველი მემკვიდრის მოთქმა: „მცირედლა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ...“<sup>5</sup>, სავსებით უდგება არა მარტო ჯავახეთის ახალქალაქს<sup>6</sup>, არამედ თორის მხარესაც (პეტრეს ლივ). ასეთი ვითარებაა ბორჯომის ხეობაში „დავთარის“ შედგენის დროს, ე. .ი. 1595 წლის ახლო ხანებში. სამცხე-საათაბაგოს პროვინციის ეს ჩრდილო ნაწილები ლალა-მუსტაფა-ფაშამ 1578 წელს დაიპყრო. ბრძოლაში ელეთას ვინც გადაურჩა, აიყარა და მოუბრუნებლად გაიქცა შიდა ქართლში. XVI საუკუნის ბოლოსათვის ბორჯომის ხეობაში მოსახლეობა კვლავ არ არის. ლტოლვილთა

<sup>1</sup> იხ. დავთარი, II, გვ. 326-332.

<sup>2</sup> დაწერილებით ამ სანჯაყის სოფელთა მიმოხილვა იხ. ქვემოთ.

<sup>3</sup> Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, II.

<sup>4</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოსცა ექ. თაყაიშვილმა, თბილისი, 1949, გვ. 62.

<sup>5</sup> იხ. აქვე, გვ. 303.

ზოგიერთი წრეები დაბრუნების სურვილს ამელავენებენ უკვე მას შემდეგ, რაც ეს კუთხე საქართველოს დაუბრუნდა. მაგალითად, საქ. ისტორიულ ცენტრალურ არქივში მე წავაწყდი ერთ დოკუმენტს, რომელიც ბორჯომის ხეობის გაუკაცრიელების ცალკეულ მომენტს ეხება და რომლის აქ გამოქვეყნება, ვფიქრობ, უადგილო არ იქნება. «Горийский окружной начальник. Дело с 10-го декабря 1819 года по прошению князей Аваловых о дозволении им переселить своих крестьян на пустопорожью их землю, в Боржомском уезде ижеющаяся (1819-1831 гг.).

მის აღმატებულებას უფალს ლენერალ ლეიტენანტს საქართველოს [განმგებლის] თანამდებობის აღმასრულებელს და კავალერს ივან ალექსანდრ-იჩს...

გორის უეზდისა შინა მცხოვრებელთა  
თავდ ავალოვთა

### თ ხ ვ ა

ქამთა ვითარებისაგან ჩვენი საკუთარი მამული—ბორჯომის ხეობა მტერთაგან აოხრებულიყო და ამა მიზეზით ჩვენის ყნებით ვცხოვრობთ აქამდის ბ რ ე თ ს ა<sup>1</sup>, რომელიც ფრიად ნაკლულევან არს მამულით ჩვენ და ყმათა ჩვენთათვის. ამისთვის აწ გვენებაეს მუნით აყრა და გარდასახლება ხსენებულსა ხეობას ბორჯომის შინა და უმდაბლესთ გთხოვთ თქვენის აღმატებულესობისაგან, რომელ ახალ დასახლებულთა ყმათა ჩვენთა, რომელნიც ბ რ ე თ ი დ ა მ უნდა გარდევანოთ ბო(რ)ჯომის ხეობისა ნასოფლარს სა დ გ ე რ ს ა და მიეცეს რაოდენისამე წლით ბეგარისაგან შეუწუხლობა და რადგანაც გახლდებიან ახალ მოშენენი კაცნი და გმძანოს სადაც უკერ არს მათზედა ესე ჩემი თხოვილი და მოვილო შასაბამი კმაყოფილება მამობრივისა თქვენისაგან.

ნოებრის (?) ლ დღესა ჩყით წელს<sup>2</sup>

[ხელმოწერა] თავადი გიორგი ავალოვი, თავადი სოლომონ ავალოვია<sup>3</sup>.

მის მაღალკეთილშობილებას გორის ოკროენის ნაჩალიკის თანამდებობის აღმასრულებელს უფალს მაიორს და კავალერს ტიტოვს

ერთობრივ თავადთ ავალოვთა მიერ

### „მობხენება

თხოვნისამებრ ჩვენისა განმგებელმან საქართველოსამან უფალმან ლენერალ ლიტანტმა და კავალერმა გელდიემინოვმა (?) ინება სამკვიდროსა მამულსა ჩვენსა მტერთა მიერ გაოხრებულსა სა დ გ ე რ ს ა ხეობასა ზედან კუთვნილთა გლეხთა ჩვენთა დასახლება, რომელთა სიას სხველდობრივ ამას-

<sup>1</sup> ბრეთი—სოფელი ქარელის რაიონში (საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 88).

<sup>2</sup> ე. ი. 1819 წლის ნოემბრის 30-ს.

სცია, ფ. 1491, ს. 94, გვ. 1 რ და 1 ვ.

თან თქვენს მალაკეთილშობილებას წარმოუდგენთ და ყოვლად უმორჩილესად გთხოვთ მოგვეცეთ თქვენ კერძო შეწყნარება აყრისა და გარდასახლებისათვის ამათისა აღნიშნულს ადგილსა ზედან<sup>1</sup>.

ამას დართული აქვს თავად ავალიშვილთა (გიორგი, დავითი, პეტრე და სხვ.) ყმების სია, რომელიც იწყება გიორგი კეცხოველით და თავდება გიორგი ჯაფოშვილით<sup>2</sup>.

თუ რით გათავდა ავალიშვილთა თხოვნა გადასახლების შესახებ შემდეგი დოკუმენტიდან ჩანს:

«Исправляющему должность Горійского Окружного Начальника господину Майору и кавалеру Петрову.

Видя из рапорта Вашего Высокоблагородия от 4 декабря № 739, что князья Георгий и Соломон Аваловы, просившие в 1819 году позволения переселить крестьян своих в опустошенное селение Садгери<sup>3</sup>, ныне уклоняются от приведения сего в действие из опасения хищнических набегов, я не нахожу никакой надобности принуждать их к сему, тем более, что и вы сами находите таковое переселение весьма затруднительным и бесполезным как, для крестьян так и для правительства...

17 декабря 1824 года

Генерал Ермолов<sup>4</sup>.

Тифлис

ამრიგად, დოკუმენტებში ლაპარაკია იმ ადგილობრივ მკვიდრ ქართველთა უკან გადმოსახლების შესახებ, რომლებიც ამ კუთხეში მომხდარ ლაშქრობათა დროს იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი და ქართლისთვის შეეფარათ თავი. როგორც დავინახეთ, ამჯერად ეს უკან გადასახლება არ მოხერხდა. ბორჯომის ხეობა ამ ხანებში მშვიდობის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძლიერ საშიში იყო.

<sup>1</sup> სცია, ფ. 1491, ს. 94, გვ. 4 რ.

<sup>2</sup> იქვე. როგორც ვხედავთ, კეცხოველიანთ გვარის ერთი ოჯახი (გიორგი კეცხოველი) ბორჯომის ხეობის მკვიდრი ყოფილა, იქიდან გადმოსახლებული ძნელბედობის დროს და დასახლებული ბრეთში. მე ვფიქრობ, რომ ამჟამად წალვერთან მდებარე ადგილის სახელი კეჩხოზი იგივე ძველი კეცხოვე უნდა იყოს. არაქართულად (თუ გნებავთ, იმავე თურქულად) მეტყველი კოლექტივის ენაზე კეცხოვე-ი კეჩხოზ-ად წარმოითქმოდა (კერძოდ თურქები „სხ“ კომპლექსს „ჩხ“დ წარმოთქვამენ; მე თვითონ ამომისმენია თურქი რომ კეცხოველს კეჩხოველ-ად წარმოსთქვამდა). მართლაც კეჩხოზ-ი უფრო ახალი, მეორეული, შემდეგ გაჩენილი (თურქობისდროინდელი) ფორმა უნდა იყოს; ვახუშტი კეჩხოზის ნაცვლად ასახელებს ქართულს, დაუმახინჯებელ კეცხოთუბანს (იხ. ვახუშტის ატლასი), აგრეთვე კეცხოველს (ვახუშტის ატლასი, № 8); ინდექსში ვახუშტის ადგილის სახელად აგრეთვე კეცხოველ-ი აქვს (ინდექსი, გვ. 30 წ, № 105). ვახუშტის დროისათვის კეცხოვე — კეჩხოზი მოსახლეს რომ კეცხოველი დავრქვა, შეიძლება ამიტომ ადგილსაც კეცხოველი უწოდეს. ყოველ შემთხვევაში ძლიერ სავარაუდებელია, რომ კეცხოველიანთ გვარის სახელი კეცხოველ-ი ბორჯომის ხეობაში (წალვერში) მდებარე კეცხოვე (შემდეგში — კეჩხოზ) პუნქტის სახეურობებიდან მოდიოდეს.

<sup>3</sup> შეცდომით Дамсри წერია.

<sup>4</sup> სცია, ფ. 1491, ს. 94, გვ. 13 რ.

ქაქარაქის ბორჯომებთან დაკავშირებით ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ<sup>1</sup>, რომ „დაეთრის“ შედგენის დროს და არც შემდეგ დიდხანს, ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნემდე არც დღევანდელ ბორჯომის ხეობას ერქვა ბორჯომის სახელი და არც რომელიმე სხვა პუნქტი ამ ხეობაში ბორჯომის სახელით ცნობილი არაა (ბორჯომის სახელით ცნობილი ადგილები ქაქარაქის ნაძიგში, დღევანდელი ახალციხის რაიონში, იყო)<sup>2</sup>. მართალია, რა თქმა უნდა, ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, რომელიც ამბობს, რომ ბორჯომის ხეობა ამ ადგილებს ახლახან მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაერქვა<sup>3</sup>. საერთოდ კი ირკვევა, რომ ისტორიულად ეს ხეობა იწოდებოდა თორის ხეობად ან მხარედ. ვახუშტი ამრიგად მოხაზავს ამ ხეობას: „ხოლო ქვარების დასავლით და მძოვრეთის სამკრით არს მდინარე და ქეობა თორისა, რომელი გამოსდის ქვარებსა და ამის შუათს მთასა და მიდის დასავლით, მერმე მომრგვალებდის ჩრდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკვარს სამკრითაჲ, და აწ განყოფილი არს სადგერად და გუჯარეთად“<sup>4</sup>. ძველად აწინდელი ბორჯომის ხეობის სწორედ ამ ზონაში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი მოსახლეობა და კერძოდ ამ კუთხის კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი დაბა თორი<sup>5</sup> უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ამ პუნქტისაგან არის გადასული სახელწოდება თორი მთელ ამ კუთხეზე. თუმცა, როგორც დ. ბაქრაძე ფიქრობს, ისიც შესაძლებელია, რომ დაბა თორმა და მთელმა ამ კუთხემ თორის სახელწოდება თორისწყლისგან მიიღო: Река эта (Торисцхали) в древние времена Грузинского царства дала название Тори некому округу<sup>6</sup>. თორის მხარის საზღვრები დ. ბაქრაძეს შემდეგნაირად აქვს განსაზღვრული: С юго-востока Триалетский хребет с хребтом атенского ущелья, с севера—р. Кура, с запада—горы, примыкающие к селению Ахурци, в нынешнем Ахалцихском уезде. Торским округом заведывал особый правитель, именовавшийся торели или торский... Впоследствии времени Тори образовал в составе Шида Картли одно из трех военных его подразделений...<sup>7</sup> გეოგრაფიაში მე არ მიმიწვდება ხელი იმდენად, რომ რაიმე განმარტებები დავისინო თორის მხარის აქ მოცემულ მიჯნებს. ოღონდ აღსანიშნავია მაინც ის გარემოება, რომ ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის და სხვა წყაროების მონაცემების საფუძველზე ისტორიკოსი დ. ბაქრაძე იძლევა როგორც თორის მხარის, ისე დაბა თორის შესახებ მისი დროის საწყარომცოდნეო შესაძლებლობათა თვალსაზრისით ფრიალ საინტერესო ცნობებს. ჩვენ დროში პაველ ინგოროყვამ თავის შრომაში „გიორგი მერჩულე—ქართველი მწერალი მეათე საუკუნე-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 222.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Кавказ в древних памятниках христианства, стр. 110.

<sup>4</sup> ვახუშტი, გვ. 59; დაეთარი. I 18, 336; II 29, 329.

<sup>5</sup> იქვე, 83.

<sup>6</sup> Кавказ в древних памятниках христианства, 67.

<sup>7</sup> Д. Баградас, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 67.

ნისა“ სპეციალური ექსკურსი მიუძღვნა თორის მხარის ისტორიას და ახალი-მასალების მოშეგლიებით უფრო დააზუსტა როგორც თორის მხარის ტერიტორიის მოცულობა, ისე მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში<sup>1</sup>.

ამრიგად, ბორჯომის<sup>2</sup> სახელი ამ ხეობას არ ერქვა. სახელწოდება აობრებული თორისა თურქებისათვის უცნობი დარჩა. თურქებმა „გურჯისტანის ვილაიეთის“ ამ მონაკვეთს მათთვის კარგად ცნობილი და ამავე ხეობაში მდებარე პეტრესციხის (იხ. აქვე რუკა) სახელი შეარქვეს (პეტრეს ლივან).

პეტრესციხე ვახუშტით „ფრიად მაგარი და შეუვალა მტრისაგან“<sup>3</sup>. პეტრეს-ციხეს იცნობს აგრეთვე დიდი თურქი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი XVII საუკუნისა ჰაჯჯი ხალფა (1600-1658):

بدره ای جزایر کوهستان است و در آنجا کوهستانها بسیار است و در آنجا کوهستانها بسیار است...  
 —და კვლავ, ხეობაში (მდებარე) პეტრესციხე ყოჩილბაშისაა<sup>4</sup>. ახლანდელ ბორჯომთან ახლო მტკვრის მარჯვენა ნაპირას Hammer-ს რუკაზე აღნიშნულნი აქვს Bedre, რაც ჩვენი „დავთრის“ بدره-ს უდრის. ბედრე თურქიზებული პეტრე-ა. საერთოდ ჰამერი ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურას თურქული წყაროებით ეცნობოდა<sup>5</sup>. გასული საუკუნის 60-იანი წლების ერთ საბუთში იხსენიება პეტრესციხის ნანგრევები: ...в недальнем расстоянии от развалин Петресихе...<sup>6</sup> დ. ბაქრაძეს თავად ავალიშვილთა ყველაზე უფრო გამაგრებულ ადგილად მიაჩნია ბორჯომის მეზობლად მდებარე ძველი პეტრესციხე (1803 წ. უკვე დანგრეული იყო)<sup>7</sup>.

პეტრეს ლივან (სანჯაყი) ორ ნაპიდედაა გაყოფილი: საკუთრივ პეტრეს და ქაშვეთის ნაპიდედ.

1. სოფ. ეშმაკ[?] თუბანი — اشمتوكان (I 18, 334; II 20, 326). ამ სოფლის სახელის თურქულ დაწერილობაში „კ“ თანხმოვანი, ფიქრობ შემთხვევით, ამოვარდნილია. ცხადია, ეს სოფელი მდებარეობდა იმ ეშმაკ-თუბანის-

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე—ქართველი მწერალი მათე საუკუნისა, თბილისი 1954. გვ. 396-398; რუკა, გვ. 301.

<sup>2</sup> არ აქვს საფუძველი K. Ган-ის მოსაზრებას, რომ ბორჯომ სიტყვა ქართული ბაე და ბორჟიდან (?) იყოს წარმოშობილი. ამ ადგილას საბაეო კიდევაც რომ ყოფილიყო ბაე სიტყვა ბორჯომს მაინც ვერ მოგვემდა. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ამ ადგილებს ბორჯომი არ ერქვა. ბორჯომის სახელით სოფელი იყო ქაჭარაქის ნაპიდეგი (იხ. ზემოთ, გვ. 222), სადაც საბაეოს არსებობა არცაა მოსალოდნელი (Опыт описания кавказских географических названий с предисловием, СМОПР, 40, გვ. 27).

<sup>3</sup> ვახუშტი, გვ. 84; იხ. აგრეთვე ვახუშტის ატლასზე ფაფა-ლიკან და ყვერბილ პუნქტების ახლო; აგრეთვე ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე.

<sup>4</sup> جهان نما, გვ. 409.

<sup>5</sup> GOR, II, რუკა 304-სა და 305 გვერდებს შუა.

<sup>6</sup> სცია, ფ. 352, ს. 91, გვ. 7 რ.

<sup>7</sup> Кавказ в древних памятниках христианства, 110.



ვევზე, რომელიც ვახუშტით ჩრდილოდამ ვეობაში მტკვარს ერთვის<sup>1</sup>. ვახუშტის ატლასსა და აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულ „საქრუჯაზე“ ეშმაკთუბანი მღებარეობს ფაფა და კალა სოფლების ჩრდილოეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე (იხ. აქვე რუჯაზე). ეშმაკთუბანი უკვე ნასოფლარია, 13 000 ახით დაბეგრელი.

2. სოფ. მალაჩათუბანი — مالهاتوبان (I 18, 334; II 20, 327). ამ დაწერილობაში მეოთხე სოს ნიშანი აქვს, ხოლო დანარჩენის ამოკითხვა. სიძნელეს არ წარმოადგენს (სიტყვის მეორე ნახევარი ხომ უდავოდ თუბანი<sup>2</sup>). მალაჩათუბანი სწორადაა ამოკითხული, ოღონდ მის ადგილმდებარეობაზე და სხვაც არავითარი ცნობა ჯერჯერობით არა გვაქვს. შიტოვებული სოფელია, რომელსაც 10.000 ახა აწერია.

3. სოფ. დღვაშისხევი — طواسخو (I 18, 334; II 20, 327). II წიგნში დაბეჭდილი გვაქვს თავაშისხევი, მაგრამ გაიკრევა, რომ ეს ის პუნქტია, რომელზედაც ვახუშტი ამბობს: „ნუას ზეით, კალის პირისპირ, სამჭრიდამ, ერთვის მტკვარს დღვაშის-ქევი“<sup>3</sup>. თავაშისხევი, ან უფრო სწორი იქნება თავაშისხევი კი თურქიზებული ფორმა უნდა იყოს (თუმცა ط ასო-თურქულში ხშირად „დ“ თანხმოვანსაც გადმოსცემდა და, ამდენად, ამ დაწერილობის დღვაშისხევიად წაკითხვაც შეიძლება). ამგვამად ამ სახელს, ჩანს, დღვაშხევი-ადაც წარმოთქვამენ: „დღვაშხევის მთის ერთ-ერთ კალთაზე ამოძირკვეს ხეები და ტყის შუაგულში ორი კორპუსი ააგეს“<sup>4</sup>. „დავთრის“ დროის სოფ. დღვაშისხევი უთუოდ ამ საგაზეთო წერილში მოხსენებულ „დღვაშხევის მთის“ კალთაზე ან მის ძირას იქნებოდა და მისი ადგილმდებარეობის დადგენა დღეს არ უნდა გაკვირდეს. უკაცრიელ სოფლადაა აღწერილი 15 000 ახა ბევრით.

4. სოფ. ლიკანი — لیکان (I 18, 334; II 20, 327). ვახუშტით „პირისპირ ციხისა<sup>5</sup> შიერთვის მტკვარს ჩდილოდამ ლიკანის-ქევი, გამოსდის მახვილო-ფერსათს“<sup>6</sup>. ლიკანი აღნიშნულია ვახუშტის ატლასზე, აგრეთვე ყველა მსხვილმასშტაბიან რუჯაზე (იხ. აქვე რუჯაზე), მღებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას. „დავთრის“ დროის ლიკანი უკაცრიელია, შეწერილი აქვს 18 000 ახა. საინტერესოა, რომ 1863 წელს შორაპნის მაზრის სოფ. წაქვში მცხოვრები სახაზინო გლეხები ითხოვენ დასახლებას в пустопорожнюю деревню Илканн Боржомского казенного именья<sup>6</sup>.

დღეს სოფ. ლიკანი ადმინისტრაციულად ქ. ბორჯომის საქალაქო საბჭოში შედის<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ვახუშტი, გვ. 84.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ე. ზედგინიძე, მზე ბორჯომის ხეობაში, გახ. „გამარჯვება“, 30. VIII, 1952.

<sup>4</sup> ივლინსხევა პეტრესციხე.

<sup>5</sup> ვახუშტი, გვ. 84.

<sup>6</sup> სცია, ფ. 352, ს. 99.

<sup>7</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 28.

5. სოფ. მაყურაზ (?) — ماقوراز (I 18, 335; II 20, 327). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები მთლიანად დასმული აქვს და ასოები<sup>1</sup> ამოცნობილია კარგად. მაინც მაყურაზ, მაკურაზ და მისთანანი, ე. ი. ამ დაწერილობის ქართულად ასე გააზრება სწორია თუ არა, ჩვენ არ ვიცით. ცარიელი სოფელია; შეწერილი აქვს 5 000 ახჩა.

6. სოფ. ლომსათუბანი — لوساتوبان (I 18, 335; II 20, 327) ასოები სწორადაა ამოკითხული. ასეთი სოფელი ყოფილა („დავთრის“ შედგენისას უკვე დაცარიელებულია). შეიძლება ეს სახელწოდება ლომსადე (←საქ. სახელი ლომსა, ლომისა) გვართან იყოს დაკავშირებული (ლომსაანთუბანი). გარდა ამისა, ამ მიდამოებში არის მთა ლომსია<sup>2</sup>. ლომსათუბანს 2 000 ახჩა აწერია.

7. სოფ. ეკლესიისკარი (?) უბნებით ზემოციხე და კახათუბანი (?) — اکلسقار مع محله زوسخه و قخاتوبان (I 18, 335; II 20, 327). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს, მაგრამ ამოკითხულის სიზუსტეში მაინც არა ვართ დარწმუნებული. II წიგნში თურქიზებული ეკლესიისკარი (?) გვაქვს დაბეჭდილი. სოფელთან დასახელებული („ზმოსხე“) დაწერილობასაც დიაკრიტული ნიშნები აქვს და მისი ზემოციხედ წაითხვა დაბრკოლებას არ ხდებდა. მეორე უბნის სახელი კახათუბანი-ი დიაკრიტული ნიშნების გარეშეა მოცემული და შეიძლება ეს მართლაც საეკპო იყოს. სოფელი გაუცარიელებულია. შეწერილი კი აქვს 15 000 ახჩა.

8. სოფ. ნახუცვარათუბანი უბნებით მელქუათუბანი, كومارلى-ს უბანი და სამსონასუბანი — باخوسوارتوبان مع محله ملكواتوبان و كومارلىسوان و صاهصونهسوان (I 18, 335; II 20, 327). არც ერთს ამ დაწერილობათაგანს დიაკრიტული ნიშანი არა აქვს. ექვმიუტანელია მოყვანილი სიტყვების მეორე ნახევრის ამოკითხულობა. ასეთ შემთხვევაში ყველგან არის ქართული სიტყვა, რომელსაც წინ უსწრებს ან ت (მრავლობითის ნათესაობითისა. — توبان — თ + უბანი), ან კიდევ س (მხოლოდობითის ნათესაობითი ბრუნვისა. — س + უბანი-ი). სიტყვათა პირველი ნახევრის ამოკითხულობა კი პირობითია. სოფლის სახელი უფრო ნახუცვარათუბანი უნდა იყოს, ვიდრე (II წიგნის) ნახუცვარათუბანი-ი. ბექდვის დროს ქართულში „ვ“ ასო შეცდომით ამოვარდნილი უნდა იყოს. თურქულ დედანში<sup>3</sup> س თანხმოვანს ვაგი მოსდევს. სოფელთან მოხსენებული პირველი უბნის სახელი მელქუათუბანი, მეორესი გომარლისუბანი, ან, შეიძლება, გომართისუბანი, ხოლო მესამესი კი ნამდვილად სამსონასუბანი უნდა იყოს. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე ზეამზიასთან აღნიშნულია სოფ. გომართა, ხოლო ვახუშტის ატლასზე — გომარეთი. შესაძლებელია ამ გომართასა და გომართის კავშირი ჰქონდეს ნახუცვარათუბანთან აღწერილ كومارلى უბანთან, რომლის წაითხვა كومارلى-ს უბანი (كومارلىسوان) შეიძლება.

<sup>1</sup> იხ. დედანი, გვ. 310.

<sup>2</sup> ვახუშტი, 128 და სხვ.

<sup>3</sup> გვ. 310.

ნახუცვარათუბანში „დავთრის“ დროს აღწერილია 5 კონლი, რომელსაც შეწერილი აქვს 11 400 ახჩა. სოფლის ადგილმდებარეობის ან სხვა რამის შესახებ მასალა ჯერჯერობით არ არის.

9. სოფ. ინანკათუბან<sup>1</sup> — انانكاتبان (I 18, 335; II 20, 327). ამ დაწერილობას უნაკლოდ აქვს დასმული დიაკრიტული ნიშნები და, თითქოს, ინანკათუბან-ად იკითხება. ინანკათუბანი დაცარიელებულ სოფლადაა ფიქსირებული 3 000 ახჩიანი გადასახალით. მის შესახებ მასალები ვერ ვიშოვეთ.

10. სოფ. მელქუაძე (?) მელქუაძეთუბნითურთ — مكلو اذاء مع مكلو اذاء (I 18, 335; II 20, 328). ამ დაწერილობის ყველა ასოს. სადაც ეს უნდა იყოს, ნიშანი აქვს. ამდენად ამოკითხულობა დაახლოებით მაინც სწორი უნდა იყოს ბორჯომის ხეობაში მელქაძეთა გვარი საემაოდ ხშირია. ვფიქრობ მელქუაძე და მელქუაძეთუბანი სწორად უნდა იყოს ამოკითხული. 15 000 ახჩით დაბეგრული მიტოვებული სოფელია.

11. სოფ. ზლასთავეი(?) — زغاستا (I 18, 335; II 20, 328). დიაკრიტული ნიშნები დასმული აქვს. ზლასთავე-თან(?) ერთად შეიძლება წყასთავე-იც იყოს. ცარიელი სოფელია. შეწერილი აქვს 15 000 ახჩა.

12. სოფ. გომნა — گومنا (I 18, 336; II 20, 328). სოფელმა გომნამ ჩვენ დრომდე მოაღწია. ლიკანთანა და სადგერთან ერთად სოფ. გომნა ბორჯომის საქალაქო საბჭოში შედიოდა<sup>1</sup>. მსხვილმასშტაბიან რუკებზე გომნა ყველგან აღნიშნულია მტკვრის მარჯვენა მხარეზე სოფ. ლარების ჩრდილო-აღმოსავლეთით. გომნა „დავთრის“ დროს უკვე გაუცარიელებულია. შეწერილი აქვს 19 000 ახჩა.

13. სოფ. ნუა — نوا (I 18, 336; II 20, 328). ვახუშტი ნუას იცნობს: „ამას ზეით, ნუას, მოერთვის შავ-წყალი. ნუას ზეით, ქალის პირისპირ, სამჭრიდამ, ერთვის მტკვარს დღვაშის-ჭევი“<sup>2</sup>. ვახუშტის სიაში ნუა იხსენიება პეტრესციხესთან (გვ. 30 რ). ნუა უკვე დაცარიელებული სოფელია, რომელსაც 5 000 ახჩა აქვს შეწერილი. ვახუშტის ატლასზე ნუა აღნიშნულია ორჯერ მტკვრის გაღმა-გამოღმა ქალა-ფაფის ცოტათი ქვემოთ, აწინდელი ბორჯომის ტერიტორიაზე.

14. სოფ. ყვიბისი — قويس (I 18, 336; II 20, 328). „სამცხე-საათაბაგოს მღუდელ-მთავარნი და მწყემსნი არიან: მაწყურელი გვრგვზ-ბისონიანი არს, ამისი სამწყსო ყვიბის კორტანეთის შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზევით ჯვობა და სადგერი...“<sup>3</sup> ვახუშტის გეოგრაფიაში წერია: „იჯდა (აწყვერს) მიტრაპოლიტი, მწყემსი ყვიბის კორტანეთს ზეითისა...“<sup>4</sup> ყვიბისი მდებარეობს ბორჯომს ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა მხარეზე. მსხვილმასშტაბიან რუ-

<sup>1</sup> ბორჯომის რაიონში შებავლ სოფელთა სია (სტამბურად დაბეჭდილი).

<sup>2</sup> ვახუშტი, გვ. 84. ნუაზე ნიშნენლოვანი ცნობებია: სტია, ფ. 48, ს. 3455, გვ. 1r და შემდგომი.

<sup>3</sup> Д. Бакрадзе, АИГА, გვ. 81.

<sup>4</sup> ვახუშტი, გვ. 124; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 52.

კებზე ყველგან აღნიშნულია. „დაეთრის“ ღროის ყვიბისი ცარიელია, შეწერილი კი აქვს 10 000 ახჩა. ამჟამად ყვიბისი ბორჯომის რაიონში ცენტრია ყვიბისის სასოფლო საბჭოსი, რომელშიც, ყვიბისის გარდა, ვარდგინეთ, ვაშლოვან, ზანავ და რველ სოფლები შედიან<sup>1</sup>.

15. სოფ. ციხისჯვარი—زخجوار (I 18, 336; II 20, 328). ციხისჯვარი ქართულ საისტორიო მწერლობაში საკმაოდ ცნობილი გეოგრაფიული პუნქტია. „მატიანე ქართლისაში“, მაგალითად, წერია: „მოვიდა ბაგრატი და ამის მსახურებისა ნაკვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჯვარი და ოძრქე ბოდო-კლდითა...“<sup>2</sup> და სხვაგანაც. მდებარეობა ციხისჯვარისა ყველა რუკაზე (მათ შორის ვახუშტის ატლასზედაც) გარკვეულია. ციხისჯვარის მდებარეობა ასე აქვს განსაზღვრული ექ. თაყაიშვილის: ციხისჯვარი—სოფელია ბორჯომის ხეობაში, სადგერის ვაკეზე და შავწყალზე; მ. ბროსეს მიხედვითაც—Tzikhis-Djouar<sup>3</sup>.

„დაეთრის“ ღროის ციხისჯვარში 10 კომლია, რომელსაც 5 000 ახჩა აქვს შეწერილი. 1870 წლით დათარიღებული ერთი საბუთის მიხედვით კი „... в урочище Сакоचाвах или в деревне Цихиджварах<sup>4</sup> 26 семей греков<sup>5</sup>, აქვე უკვე მეორეჯერ პუნქტი ციხისჯვარი გაიგივებულია საკოქაოსთან: он отволе им [грекам] для поселения земли дер. Сакадже<sup>6</sup> или Цихиджвари<sup>7</sup>. გეოგრაფიულ სახელთა დამახინჯების ნიმუში მოცემულია 1846 წლის ერთ საბუთშიც, სადაც წერია: что в урочище Чехиджварах действительно есть развалины прежних селений<sup>8</sup>. ხუთეგრისიან რუკაზე თანამედროვე ციხისჯვარი ცალკეა აღნიშნული და, ამის გარდა, მისგან სამხრეთით ცალკეა ნაჩვენები სოფ. ციხისჯვარის ნანგრევები. ამჟამად ბორჯომის რაიონში არსებობს ციხისჯვარის სასოფლო საბჭო, რომელშიც მხოლოდ ციხისჯვარ სოფელი შედის<sup>9</sup>.

16. სოფ. ქალა—الجا (I 18, 336; II 20, 328). ქალა სოფელი ვახუშტის ატლასზე აღნიშნულია მტკვრის მარცხენა მხარეზე სოფ. ფაფასთან ახლო<sup>10</sup>. ვფიქრობ, რომ „დაეთრისეული“ ქალა ჩვენი ღროის კურორტ ბორჯომის ტე-

<sup>1</sup> საქ. სსრ აღმ. ტერიტ. დაყოფა, გვ. 29.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 305; ციხისჯვარის შესახებ მრავალი ცნობაა მოთაყუებული ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიაში, ტ. II, 1948, გვ. 52, 67, 143, 148, 165 და 262; აგრეთვე „ბრონიკა მესხური დავითონისა“, 81.

<sup>3</sup> Источники грузинских летописей, Три хроника. СМОИИК, 28, გვ. 167; Rapports... II, 125.

<sup>4</sup> ასეა (ალბათ ოსის წარმოთქმით).

<sup>5</sup> სცია, ფ. 352, № 72, გვ. 1 რ.

<sup>6</sup> Сакадже დამახინჯებული საკოქაო უნდა იყოს.

<sup>7</sup> სცია, ფ. 352, ს. 72, გვ. 1 რ.

<sup>8</sup> იქვე, ფ. 72, ს. 88, გვ. 7 რ (აქ, რა თქმა უნდა, ციხისჯვარი ივარაუდება).

<sup>9</sup> საქ. სსრ აღმ. ტერიტ. დაყოფა, 29.

<sup>10</sup> ვახუშტის ატლასი, № 8.

რიტორიის ფარგლებში უნდა იყოს შესული. საფიქრებელია, რომ ვახუშტის მიერ ნუასთან დაკავშირებით ნახსენები ქალა, ეს ჩვენი ბორჯომის ქალა იყოს („ნუას ზეით, ქალის პირისპირ, სამჯრიდამ, ერთვის მტკვარს დღვა-შის-ჭევი“)<sup>1</sup>. „დავთარის“ დროის ქალა უკვე დაცარიელებულია და აწერია 5 000 ახჩა.

17. სოფ. თორი სუთასუბანიტურთ — *توری سو تاسوبان* (I 18, 336; II 20, 329). თორი ვახუშტის ატლასზე დაახლოებით პეტრესციხესა და ციხისჯვარს შორისაა ნაჩვენები<sup>2</sup>. „ამ ჭევეს [ზანაერვილის ჭევეს] ზეით ერთვის მტკვარს თორის-წყალი სამჯრიდამ“<sup>3</sup> და „ამ სადგერს ზეით, დასავლით, არს დაბა თორი, მას ზეით ციხის-ჯვარი...“<sup>4</sup> თორი იხსენიება აგრეთვე მატინანტ ქართლისაჲ<sup>5</sup>ში — „და მასვე დღესა ჩამოიწია თორს და ლუივის-ჭევეს, და თუით დადგა თრიალეთს სამ დღე“<sup>6</sup>. მაგრამ პეტრეს სანჯაყში მოხსენებული თორი როგორც ეს ზემოთ (გვ. 8-9) უფრო დაწერილებით აღინიშნა, მარტო ამ სანჯაყში მდებარე სოფლის სახელი როდი იყო. თორის სახელით ცნობილი იყო სამცხის ის ჩრდილოეთით მდებარე მხარე, რომელიც „დავთარში“ პეტრეს ლევ ან სანჯაყია და რომელიც დღეს ბორჯომის ხეობადაა ცნობილი<sup>7</sup>. თორი „დავთარის“ შედგენის დროს უკაცრიელი სოფელია; შეწერილი აქვს 4.500 ახჩა. თორთან დასახლებული უბნის სახელი — სუთასუბანი სწორად უნდა იყოს ამოკითხული, რადგანაც ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები სრულად მოეპოვება.

18. სოფ. გორისთავი(?) — *گورستانو* (I 18, 336; II 20, 329). ამ დაწერილობის მეხუთე ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს და ამდენად ასოების ამოცნობა ძნელი არ არის. ჩვენ გავაზრიანეთ გორისთავ-ად, მაგრამ ამდენადვე ეს შეიძლება იყოს კორისთავი და ქორისთავ-იც. ვიდრე სხვა მასალა არ ზღმომჩნდება, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გვქონდეს. ცარიელი სოფელია, 15 000 ახჩით დაბეგრული.

19. სოფ. კობისხევი — *کوبیسخو* (I 18, 337; II 20, 329). ვახუშტი ჩამოთვლის ეშმაკთ-უბნის, დღვაშის, ყვერბილისა და ლიკანის ხევეებს და შემდეგ შენიშნავს: „ამ ჭევეთ ზეით არს კობის-კევი“<sup>8</sup>. გარდა ამისა ვახუშტივე წერს, რომ „მტკვარს კობის-კევეს ზეით მოერთვის ჩრდილოდამ ქვა-

<sup>1</sup> ვახუშტი, გვ. 84.

<sup>2</sup> ვახუშტის ატლასი, № 8.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 83.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება — ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით თბილისი, 1942, გვ. 191. იქვე, 244-ე გვ. იხსენიება შალვა თორელი; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 52 და 149.

<sup>6</sup> ვახუშტი, გვ. 59; შდრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე — ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა, თბილისი, 1955, გვ. 396-398; აგრეთვე გვ. 301 (რუკაზე აღნიშნულია სამცხეში თორის რაიონი და ამ რაიონში სოფ. თორი); იხ. აგრეთვე Д. З. Бакрадзе, Кавк. в древних памятниках христианства, 67.

<sup>7</sup> გვ. 84.

ბის-ვევი, გამომდინარე ფერსათის მთისა\*<sup>1</sup>. ამ კობისხევზე, მტკვრის მარ-  
ჯვენა მხარეს, სოფ. დვირის ქვემოთ მდებარეობს სოფ. კობისხევი, რო-  
მელიც ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია. „დაეთრის“ დროს-  
კობისხევი უკვე ცარიელია. ანუამად კობისხევი სოფელია ბორჯომის რაიონ-  
ში. დვირ, ზორეთ და კვებისხევ სოფლებთან ერთად ის შედის დვირის სა-  
სოფლო საბჭოში<sup>2</sup>.

20. სოფ. ჩითახევი — جرتاخو (I 18, 337; II 29, 329). ამ დაწერილობა-  
ში მხოლოდ მეექვსე ასოს არა აქვს დიაკრიტული ნიშანი<sup>3</sup>. მაგრამ ჩემთვის  
ახლა საესებით ნათელია, რომ ამ დაწერილობის მეორე ნაწილში ჩვენ გვაქვს  
جرت, რაც უდავოდ ხევ სიტყვად უნდა იქნეს წაკითხული. ჩვენ ზემოთ საკ-  
მაოდ ვრცლად გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ „დაეთრის“ მიხედვით შემ-  
თხვევათა მთელ რიგში ქართული „ხ“ თანხმოვანი ც ასოთია გადმოცემუ-  
ლი<sup>4</sup>. აქ (და სხვაგანაც) ჩვენ დავინახეთ, რომ ქართული სოფლის სახელი  
ქვალთახევი-ი „დაეთარიში“ قوتاخو (= kotaker) დაწერილობით იყო გადმო-  
ცემული, ე. ი. ხევ სიტყვა قو ასოებითაა გადმოცემული. ამდენად ამ შემ-  
თხვევაშიც ჩვენ უნდა გვქონდეს جرتاخو-ი, რაც ქართულად ჯირთახევი-ს  
მოგვცემს. ჯირთახევი სიტყვაში ج და ج ასოების აღრევასთან გვაქვს  
საქმე, რაც თურქულ გრაფიკაში ხშირია. აქ უნდა ყოფილიყო جرتاخو-ჩირ-  
თახევი-ი. საარქივო მასალებში ჩვენ გვქონდა გვეპოვა სიტყვაში „რ“ თან-  
ხმოვნის ჩამატების შემთხვევა. ფოცხოვის სანჯაყის ერთ სოფელს გარკვევით  
სეჯაე-ი ჰქვია, მაგრამ ე. წ. არქივისეულ სიაში Сержа გვაქვს<sup>5</sup>. ვფიქ-  
რობ, რომ جرتاخو დაწერილობაში ج (რ) ასო კალმის შეცდომა უნდა იყოს  
და, ამდენად, ჩვენ აქ უნდა გვქონდეს جرتاخو — citakev ე. ი. ჩითახევი-ი —  
ბორჯომის რაიონის ის პუნქტი, სადაც ამჟამად გაშენებულია პიდროელექ-  
ტროსადგური. „ჩითახევის მონასტერი, რომელსაც „მწვანე მონასტერსაც“  
უწოდებენ, ბორჯომიდან 12-ოდე კმ-ის მანძილზე მდებარეობს, ტყით დაბუ-  
რული მთებითა და წვეტიანი კლდეებით გარშემორტყმულ ადგილას. ბორჯომ-  
ახალციხის შოსედან, მე-10 კმ-ს რომ გასცდები, გზა მარჯვნივ უხვევს,  
მტკვრის პერპენდიკულარულ ხეობაში. შოსედან მონასტრანდის 20 წუთის  
საუღია“<sup>6</sup>. „დაეთრის“ დროს ჩითახევი აღრიცხულია გაუჟაკრიელებულად;  
შეწერილი აქვს 15 000 ახჩა.

21. სოფ. დაბა — طا (I 18, 337; II 20, 329). თითქოს ეს დაწერილო-  
ბა შეიძლება ამოკითხულ იქნეს ტბადაც. ბორჯომის ხეობაში სოფ. ტბა-ც

<sup>1</sup> გვ. 124.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა. 28.

<sup>3</sup> იხ. დედანი-ხელნაწერი, გვ. 312.

<sup>4</sup> იხ. აქვე, გვ. 214; სპეციალურად ეს საკითხი განხილული გვაქვს IV წიგნის იმ ნა-  
წილში, სადაც ლაპარაკია „ქართული საკუთარი სახელების გადმოცემაზე თურქული ტრანს-  
კრიფციით“.

<sup>5</sup> იხ. I არქივისეული სია, გვ. 22; აგრეთვე ზემოთ სოფ. სეჯაევი, გვ. 448.

<sup>6</sup> ე. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება... გვ. 214.

არის ცემსა და ლიბანს შუა. მაგრამ დაბა სიტყვაჲ ქვემოთ ასეთივე დაწერილობითაა ვადმოცემული. მაგალითად, ამავე ნაჰიფეში № 30 სოფლად  $\text{خبط}$  (=ახალდაბა) გვაქვს<sup>1</sup>. ამასთანავე ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქულში  $\text{ط}$  ასო მეღერ „ღ“ თანხმოვანსაც გამოხატავს<sup>2</sup>. ამდენად, შეიძლება,  $\text{ط}$  აქაც დაბა-დ წაეკითხნოთ. ისტორიულად დაბა უფრო ცნობილია: В более или менее близком соседстве с Кимотис-мани существовало несколько деревень, из которых Садгери, Дабა и Пагвели сохранили поныне свои старыенназвания<sup>3</sup>... დაბა წალვერის ქვეითა და დასავლეთით მდებარეობს (იხ. აქვე რუკაზე). სოფ. დაბა მზეთამზე, ტბა, კომოტესუბან და ცემ სოფლებთან ერთად წალვერის სადაბო საბჭოში შედის<sup>4</sup>.

22. სოფ. ცრცემი —  $\text{سرشمی}$  (I 18, 337; II 20, 329). II წიგნში დაბეჭდილია სერსემი (?), რაც ცრცემ-ზე უნდა გასწორდეს. თუ დედანს ძალიან ჩაეცივიდით, დაეინახავთ, რომ ორთავე ადგილას (დედანი, გვ. 23 და 313) პირველი  $\text{س}$  თანხმოვნის შემდეგ  $\text{س}$  ასოც არის და ამიტომ,  $\text{سرشمی}$  კი არა,  $\text{سرسمی}$  წერია. მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლის; ამ დაწერილობაში მაინც სერსემი იკითხება. ამავე დროს უეჭველია, რომ ამ დაწერილობით ვადმოცემულია ბორჯომის ზონაში ცნობილი სააგარაკო ადგილის — ცემის სახელი. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ „დაეთრის“ შემდგენელი თურქული ტრანსკრიფციის ფონზე მაინც კარგად ახერხებს ქართული საკუთარი სახელების ვადმოცემას. ამიტომ, ვფიქრობ, რომ აქაც, ე. ი. ცემის სახელი რომ სერსემ-ად ან, შეიძლება, სირსემ-ადაა წარმოდგენილი, უთუოდ რაღაც სინამდვილის ანარეკლთან უნდა გვქონდეს საქმე. რადგანაც თურქულს „ც“ აფრიკატისათვის ნიშანი არა აქვს და მას საერთოდ „ს“ თანხმოვნით გამოხატავს, ამიტომ თურქული  $\text{سرسمی}$  (სერსემი ან სირსემი) ქართული ცერცემი-ს ან, ახლა უფრო სინამდვილესთან ხლო მიმაჩნია, ცრცემის თურქიზებული ფორმა უნდა იყოს. ვახუშტის თავის გეოგრაფიული ნომენკლატურის ინდექსში 30 v გვერდზე, სწორედ ბორჯომის ხეობის სოფლის სახელებთან (თორი, კობისხევი, პეტრესციხე, ყვერბილი, საღვერი, დაბა და სხვ.) ერთად 29 ნომრის ქვეშ აღწუსებული აქვს ცემი. ცხადია, რომ ეს თანამედროვე ცემის სახელწოდებაა ოღონდ აქ „მ“-ს ნაცვლად „ბ“ ასო რომ გვაქვს, კალმის შეცდომა უნდა იყოს. ე. ი., აქ მოსალოდნელია ცემი ფორმა, რადგანაც ამ პუნქტის ბ-ანიანი სახელწოდება სხვაგან არსად გვხვდება და არც ხალხში შენახულა. გარდა ვახუშტის ამ ინდექსისა, ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე ვახუშტის ატლასი, რომელზედაც აგრეთვე ასახულია

<sup>1</sup> იხ. დედანი, გვ. 314.

<sup>2</sup> J. Deny, Grammaire de la langue turque, პარიზი, 1920, გვ. 54.

<sup>3</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 67; აგრეთვე Предварительный отчет о путешествии д-ра Г. Радде по Кавказу летом 1865 г., ЗКОИИРГО, кн. VIII, თბილისი, 1873, გვ. 5.

<sup>4</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 29.

ეს გეოგრაფიული პუნქტი. მე მგონია, რომ ვახუშტის ატლასზე<sup>1</sup> ჩვენ ცცემში გვაქვს და არა საცემში, როგორც ეს „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ აღნიშნული. მართალია „ც“ ასო ატლასზე ისეა დაწერილი, რომ მისი მოხაზულობის მარჯვენა ზემო ნაწილი კაცმა შეიძლება „ა“ ასოდ მიიღოს. მაგრამ მეორე „ც“ ასოც ხომ ასევეა დაწერილი და მაშინ ისიც „სა“დ უნდა წაიკითხოთ. გარდა ამისა, ვახუშტის პნ 09 ატლასზე უფრო გარკვევითაა იგივე სიტყვა დაწერილი და თითქოს ეს უფრო იკითხება ცცემ-ად. მაგრამ დაბრკოლება ამ შემთხვევაშიც არის. ქართულ ფუძეში ზედიზედ ორი ერთნაირი თანხმოვანი არა გვაქვს და, ამდენად, ამ შემთხვევაში ცცემში მოსალოდნელი არ უნდა იყოს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ სახელის თავდაპირველი ან უფრო ძველი ფორმა იმდენად ცერცემი ან ცირცემი და, მით უმეტეს, ცცემი კი არა, ცრცემი უნდა იყოს. ქართულში ფონეტიკურად სავსებით დასაშვებია გეოგრაფიული (და საერთოდ საზოგადო) სახელის თავიკიდურად სამი თანხმოვანი—დღვაში<sup>2</sup>, ღღნოში<sup>3</sup> და მათ შორის ისეთი სამთანხმოვანი კომპლექსი, რომლის შუაშიც გვაქვს სწორედ „რ“აე: ზრბითი<sup>4</sup>, კრკონი<sup>5</sup>, კრწანისი<sup>6</sup> და სხვ. ფონეტიკურად ამ ტიპის სახელთაგანი უნდა იყოს ცრცემი. შემდეგში სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის გავლენით (შეიძლება ენის შინაგანი განვითარების ხაზითაც) ცრცემი გამარტივდა და მოგვცა ცემი ისევე, როგორც ასპინძის ნაპიჯეს ერთი სოფლის სახელი ზველი ფონეტიკურად გამარტივებული ფორმა აღმოჩნდა უფრო რთული და ძველი ზრზველ ფორმისა<sup>7</sup>, ე. ი., ზრზველ-ი → ზველ-ი, ცრცემ-ი → ცემ-ი. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ „დავთარში“ ამ სახელის გამოსახატავად მოცემული დაწერილობა سیرسمي და მისი სირსემი-ს ან სერსემის სახით ამოკითხულობა ქართული ცრცემის სავსებით კანონზომიერად გადათურქულებულ ფორმას წარმოადგენს. ცრცემის „ც“ თანხმოვნები თურქულში ჩვეულებრივად „ს“ თანხმოვნითაა გადმოცემული, ხოლო პირველ ორ თანხმოვანს შუა, აგრეთვე კანონზომიერად, ჩასმულია ვიწრო ხმოვანი „ი“ თურქულიისათვის უჩვეულო თანხმოვანთა თავმოყრის თავიდან ასაცილებლად. ვახუშტის ცცემი და, მით უფრო (ინდექსის), ცცემი უთუოდ კალმის შეცდომა უნდა იყოს. „დავთარის“ დროის ცრცემი ოთხკომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 11 660 ახჩა. ცრცემი დღეს ცემის სახელითაა ცნობილი; მზეთამზე, დაბა, ტბა და კიმოთესუბან სოფლებთან ერთად შედის წალვერის სადაბო საბჭოში<sup>8</sup>.

<sup>1</sup> იხ. ვახუშტის ატლასი, № 8.

<sup>2</sup> ვახუშტის გეოგ., 84.

<sup>3</sup> იქვე, 158, 161, 165.

<sup>4</sup> იქვე, 47.

<sup>5</sup> იქვე, 56.

<sup>6</sup> იქვე, 52.

<sup>7</sup> ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ზემოთ, გვ. 177-181

<sup>8</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 29.



23. სოფ. წალვერი — زغوری (I 18, 337; II 20, 329). ბორჯომის ხეობის ცნობილი კურორტი. ვახუშტის ატლასზე (№ 8) ეს პუნქტი აღნუსხული აქვს წალველ-ად. ალბათ ვახუშტის გავლენით, ასევე Харцави-ს წერს დ. ბაქრაძეც<sup>1</sup>. „დავთარში“ ფიქსირებული ფორმა — წალვერ-ი სავსებით შესაბამეობა ამ პუნქტის დღევანდლამდე დატული სახელის ფორმას. წალვერის, კერძოდ „დავთარში“ აღრიცხული წალვერის მდებარეობის განსასაზღვრავად საინტერესოა შემდეგი ცნობა, რომელიც ჩვენი თხოვნით ჩაიწერა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გრიგოლ იმნაიშვილმა: „ნამდვილი წალვერი იყო ზევით, ზედა წალვერში. ნასახლარებიც არის და ნასახტრალიც არის იქა. სულ ძველათ იქ ყოფილა ხალხი. ის ხალხი არ გვინახამს; არ ვიცით ვინ იყო ან რომელ საუკუნეში იყო; ჩვენ არ მოვსწრებივართ იმ ხალხს. მამაჩემი და სხვა ხალხი რომ მოსულან, დასახლებულან აქ, დაბლა წალვერში. ამ ადგილს მაშინ ეძახდნენ შოლლათუბანი. აქ რომ ახლოს ტყეა, იმას ახლა ეძახიან შოლლათუბანის მზეთამზის საზღვრამდე. ახლაც ენგრე წერია სატყეოში“ (სოლო პავლეს-ძე გელაშვილი, 77 წლისა, დაბა წალვერი, 16.VIII.1954).

ამრიგად თანამედროვე წალვერი — ეს ქვემო წალვერია. ზემო წალვერი, რომელიც „დავთარში“ ივარაუდება, ამჟამინდელი წალვერის ზევითყოფილა. ამ წალვერის ტერიტორიას ვიდრე სოფ. მზეთამზიამდე რქმევია შოლლათუბანი. ეს შოლლათუბანი ვახუშტის ინდექსში მართლაც მოხსენებულია, ოღონდ ვახუშტისთან ეს შულლათუბანია (გვ. 30v, № 98). ვახუშტის № 8 ატლასზე „წალველთუბანი“ ახლოს ნახსენები შულლათუბანი, რათქმაუნდა, იგივე შოლლათუბანია. ამ პუნქტის სახელი „დავთარში“ რაიონის ფორმითაა მოცემული — წალვერი, იგი სავსებით შესაბამეობა დღევანდლამდე მოღწეულ სახელწოდებას და ამდენად წალვერი ისწორი და ნამდვილი სახელია ამ ადგილისა. „დავთარის“ დროის წალვერი უკვე გაუკაცრიელებულია; აწერია კი წალვერს 15 200 ახჩა. აღმინისტრაციულად წალვერი დღეს ცენტრია ბორჯომის რაიონის წალვერის სადაბო საბჭოსი, რომელიც აერთიანებს დაბა წალვერს, მზეთაზზე, დაბა ტბა, კიმოთესუბან და ცემ სოფლებს<sup>2</sup>.

24. სოფ. სამხიოსხევი — სამჯორ (I 18, 337; II 20, 330). ვახუშტის ატლასზე კეცხოთუბანთან სამჯორ ნაჩვენებია სოფ. ზეამზია. ვახუშტის ინდექსში 30-ე v გვერდზე 106 ნომრის ქვეშ ფიქსირებულია სოფ. ზეცამზია. „საქ. ისტ. რუკაზე“, ალბათ ვახუშტის ატლასის მიხედვით, ზეამზია გვაქვს. „დავთარში“ სამჯორ დიაკრიტული ნიშნებითაა<sup>3</sup> და ამდენად მისი წაკითხვა ექვებს არ იწვევს. „დავთარის“ სამხიოსხევი, ვახუშტისეული ატლასის ზეამზია და ვახუშტის ინდექსისეული ზეცამზია ეს უსათუოდ ერთი და იგივე სოფელია, რომელიც დღეს ხალხშიც და ოფიც-

<sup>1</sup> Кавказ в древних памятниках христианства, 67.

<sup>2</sup> ჩანაწერი იმეჭდება ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 29.

<sup>4</sup> იხ. დედანი, გვ. 313.

ციალურადაც ცნობილია მზეთამზე-ს სახელწოდებით<sup>1</sup>. ამრიგად, სამზიოსხევი, ზეამზია, ზეცამზია და მზეთამზე—ყველა ამ სახელწოდებაში ძირითადი ელემენტია მზე, მაგრამ როგორ შევათანხმოთ მანაც ამ სახელის ამდენი სხვადასხვანაირი ვარიანტი და რით იყო გამოწვეული სახელის ასეთი ხშირი ცვლა? ამის შესახებ მე ვერაფერს ვერ ვიტყვი. „დავთრის“ დროის სამზიოსხევი ნაჩვენებია 3 კომლი, რომელსაც შეწერილი აქვს 13 000 ახჩა გადასახადი. დღეს სოფ. მზეთამზე ბორჯომის რაიონის წალვერის სადაბო საბჭოში შედის დაბა წალვერსა და დაბა, ტბა, კიმოთესუბან და ცემ სოფლებთან ერთად<sup>2</sup>.

25. სოფ. გოგოსუბანი — گوگوسوبان (I 18, 338; II 20, 330). სამკომლიანი სოფელია; შეწერილი აქვს 6 000 ახჩა გადასახადი. ვახუშტის ატლასზე № 8 კიმოთისუბნის აღმოსავლეთით აღნუსხულია გოგოსუბანი. ვახუშტისეულ ინდექსშიც 110-ე ნომრის ქვეშ აღნიშნულია გოგოსუბანი (გვ. 30 რ). ამ სოფელმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა ცნობილია. „საქ. ისტ. რუკაზე“ ის აღნიშნულია წალვერის სამხრეთით.

26. სოფ. ყურსოფელი(?) — قورسول(?) (I 18, 338; II 20, 330). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს; ასეთები ჩემი დასმულია და ამოკითხულობაც პირობითია. ამ უკაცრიელი სოფლის ადგილმდებარეობაც არ ვიცი. „ყურელი თავი (გეოგრაფიული სახელია—ყრუ ლელი(ს)თავი“<sup>3</sup>; შეიძლება აქაც ანალოგიურად „ყრუ სოფელი“ იყოს.

27. სოფ. ვიკრეთუბანი(?) — ويكرتوبان(?) (I 18, 338; II 21, 330). დაწერილობა დიაკრიტული ნიშნების გარეშეა. წაკითხულობა უაღრესად პირობითია. უკაცრიელი სოფელია; შეწერილი აქვს 2 000 ახჩა. ადგილმდებარეობა გაურკვეველია.

28. სოფ. ქამარზა (?) — کامارزا(?) (I 18, 338; II 21, 330). დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი აქვს, მაგრამ ხმოვნები აკლია და მისი ქამარზა-დ ამოკითხულობა საეჭვოა. უკაცრიელი სოფელია; შეწერილი აქვს 22 000 ახჩა.

29. სოფ. ნეძვი — نيزوی (I 18, 378; II 21, 330). ნეძვი მოხსენებულია გრ. ხანძთელის ცხოვრებაში: „და თეოდორე ნეძხა მაშენებელი და მამა<sup>4</sup>, და აღაშენებდა წმიდათა მათ მონასტერთა მათ მიერ ნეძუსა და კვრიკე წმიდისასა...“<sup>5</sup>, „და ნეტარნი იგი მამანი ჩუენნი წარუძღუეს ძმათა მათ და კუალად მიიწინეს ნეძუს და კვრიკე წმიდას...“<sup>6</sup>, „ძმანი ვინ-მე კეთილნი მონაზონნი მოსრულ იყვნეს ნეძუთ“<sup>7</sup>. იხსენიება ნეძვი გ. მთაწმინდლის ცხოვრებასა და მოქალაქობაში<sup>8</sup>: „... მისცა ადგილნი შუშნიერი, ... პირველად.

<sup>1</sup> იხ. ყველა თანამედროვე მსხვილმასშტაბიან რუკაზე.

<sup>2</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 29.

<sup>3</sup> ჯ. ნოლაიდელი, აქარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი, 1936, გვ. 8-9.

<sup>4</sup> Н. Мара, П. Мерчуг, Жизнь св. Григория Хандатийского. გვ. 3.

<sup>5</sup> იქვე, გვ. ლვ.

<sup>6</sup> იქვე, გვ. ლხ.

<sup>7</sup> იქვე, გვ. ნბ.

ნეძქ ქართლსა შინა...<sup>1</sup> ნეძვის ადგილმდებარეობის შესახებ ამ ცნობათა საფუძველზე აკად. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: „სწორედ ქართლისა და სამცხის საზღვარზე „კერძოთა ქართლისათა... ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა... იმყოფებოდა ნეძქ“<sup>2</sup>. ვახუშტის მიხედვით „ახალდაბას ქვეით მტკვარს მიერთვის ჩრდილოდამ ქვეი ნეძვისა...“<sup>3</sup> თანამედროვე მსხვილმასშტაბიან რუკებზე მტკვრის მარჯვენა მხარეზე ხაშურის რაიონის მიჯნებთან ახლო ყველგან აღნიშნულია Квемо-Недзვი და Цемо-Недзვი. ასევე ორი ნეძვია აღნუსხული „საქ. ისტორიულ რუკაზე“. ვახუშტის ატლასზე, ალბათ შეცდომით, ნეძვი მტკვრის მარცხენა მხარეზე მდებარედაა ნაჩვენები, კორტანეთთან<sup>4</sup>. ნეძვის მდებარეობა უფრო დაზუსტებული აქვს პ. ინგოროყვა: „ადგილმდებარეობა ნეძვისა ცნობილია, ეს პუნქტი, ნეძვი, მდებარეობს ახლანდელი ბორჯომის რაიონში, მდინარეზე, რომელსაც ეწოდება ნეძვის ხევი და რომელიც ერთვის მტკვარს ახალდაბასთან“<sup>5</sup>. „დავთარში“ ერთი ნეძვია აღნუსხული და ისიც გაუკაცრიელებული. შეწერილი აქვს 6 000 ახჩა. დღესაც მხოლოდ ერთი ნეძვი არსებობს. სოფ. ნეძვი ახალდაბა, კორტანეთ და პატარა კორტანეთ სოფლებთან ერთად ბორჯომის რაიონის ახალდაბის სასოფლო საბჭოში შედის“.

30. სოფ. ახალდაბა — اخلدبا (I 18, 338; II 21, 330). ახალდაბის მდებარეობა ვახუშტის ასე აქვს განსაზღვრული: „...ტაშისკარი (ესე არს ქვის-კარი)? და ამის პირისპირ, სამჭრიდამ, ერთვის მტკვარს სარმანი შვილის ქვეი, გამოსდის ყერძენსა და ამას შუას მთას. ამის დასავლით არს ახალდაბა, მცირე ქალაქი, მტკვრის იმიერ-ამიერ, მოსახლენი ქართველნი და ურიანი“<sup>6</sup>. ვახუშტის ინდექსშიც ახალდაბა სარმანიშვილთან იხსენიება (გვ. 30 ვ, № 84). ტაშისკართან ახლო ახალდაბა ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნუსხულია. „მესხური დავითნის ქრონიკაში“ რამდენიმეჯერ მოხსენებულ ახალდაბას («Много разных изменений явилось у патрона Манучара. Он не мог устоять и взяв жену, уехал в Ахал-Дабу». «Приставили к нам изменников, поэтому и мы не могли остаться и уехали в Ахал-Дабу».) ექ. თაყაიშვილი ასეთ კომენტარს წარმოადგენს: Деревни п

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, თბილისი, 1901, გვ. 320,

<sup>2</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 32.

<sup>3</sup> აღწერა..., გვ. 83.

<sup>4</sup> ვახუშტის ატლასი, № 8.

<sup>5</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე—ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბილისი. 1954, გვ. 393.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 28.

<sup>7</sup> ეს შენიშვნა სწორი არაა. მართალია, ტაშ (taš) თურქულად 'ქვა', მაგრამ ხომ არ შეიძლება მასალის (რისგანაც კარია გაკეთებული) სახელი თურქული იყოს, ხოლო მისგან გაკეთებული საგნის სახელი კი ქართული.

<sup>8</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 83; აგრეთვე მ. ბროსე. Rapports... II, გვ. 116.

<sup>9</sup> Источники грузинских летоиссий, Три хроникн, СМОШНК, 28, გვ. 213.

местечки под названием Ахал-Дабь (Новое местечко) имеется в Карталиннии, Кахетнии, Сомхитии и Имеретии, но здесь речь идет об Ахал-Дабь Ксанского ушеля<sup>1</sup>. მე ვფიქრობ, რომ ამ მოსახრებას დასაბუთება აკლია „ქრონიკაში“ მოხსენებული ახალდაბა რატომ თორის (ე. ი. ჩენი „დავთრის“) ახალდაბა არ არის და ქსნის ახალდაბაა? განა უფრო ბუნებრივი არ არის, რომ სამცხიდან წამოსულმა მოქალაქეებმა თორის ახალდაბას შეაფარონ თავი და არა ქსნის ახალდაბას? ტაშისკარისა და პეტრესციხის შემდეგ მ. ბროსე ახსენებს Akhal-Daba-ს<sup>2</sup>. დღეს „დავთრის“ ახალდაბა აღმინისტრაციული ცენტრია ბორჯომის რაიონის ახალდაბის სასოფლო საბჭოსი, რომელიც ახალდაბის გარდა კორტანეთ, ნეძვ და პატარა ახალდაბა სოფლებს აერთიანებს<sup>3</sup>. „დავთარში“ იხსენიება ერთი ახალდაბა, რომელიც გაუკაცრიელებულია და შეწერილი აქვს 20 000 ახჩის გადასახადი.

31. სოფ. პეტრესციხის რაბათი, მეორე სახელი ყვერბილი — رباط قلعة بردہ نام دكرغورج (I 18, 338; II 21, 330). პეტრესციხე, რომელსაც ჩანს, ოსმალები უფრო იცნობდნენ, ვიდრე ამ კუთხის სხვა ისტორიულ სახელებს, ებონიმი გახდა სანჯაყისა, რომელსაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ თორის სანჯაყი რქმეოდა. პეტრესციხესთან მოსახლეობა ნაჩვენები არ არის. შეწერილი კი აქვს 15 000 ახჩა. პეტრესციხეს (თურქულად برد, ჰამე-რით Bedre)<sup>4</sup> ჰქონია აგრეთვე მეორე სახელი ყვერბილი. საფიქრებელია, რომ ეს ყვერბილი იყო სახელი პეტრესციხის<sup>5</sup> დასახლებული ადგილისა, რომლის მოსახლეობა აქ დატრიალებულ ძნელებლობათა შედეგად დაიფანტა და განადგურდა. ამას ადასტურებს 1854 წლის ერთი საბუთი, სადაც ყვერბილი იხსენიება სოფლად, რომელშიც გადმოსახლებას ითხოვენ, ალბათ, იქიდანვე ლტოლვილი მცხოვრებლები: Жители Горнийского уезда Сурамского участка казенные крестьяне... просят о дозволении им поселиться в пусто-порожной деревне Квель-рбили Боржомского казенного имения<sup>6</sup>. ვახუშტით „მას [დღევანდის-ვევს] ზეით არს, მტკვრის კიდესა ზედა, სამჭრით, პეტრეს-ციხე, ფრიად მაგარი და შეუალი მტრისაგან. ამ ციხეს დასაველით უდის ყვერბილის-ქვეი, მოერთვის სამჭრიდამ მტკვარსა, გამოსდის კოდიანსა“<sup>7</sup>. პეტრესციხეს დასავლით ჩამოუდის ყვერბილისხევი; ამ ხევზე პეტრესციხესთან ძალიან ახლო (პეტრესციხის მეორე სახელია ყვერბილი) სოფელ ყვერბილი ყოფილა. ვახუშტის ატლასზე და, ალბათ, ამის მიხედვით „საქ. ისტორიულ რუკაზედაც“ ყვერბილი პეტრესციხიდან, ვფიქრობ, ძლიერ შორსაა ნაჩვენები. არქივისეული მასალის შემომოყვანილად

<sup>1</sup> Источники грузинских летописей, Трх хроника, СМОМПК, 28, გვ. 213.

<sup>2</sup> M. Brosset, Rapports... II, 116.

<sup>3</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 28.

<sup>4</sup> GOR, II, 865.

<sup>5</sup> რუსულ საბუთებში Петресшихе (სტია, ფ. 352, ს. 91, გვ. 7r).

<sup>6</sup> სტია, ფ. 352, ს. 183, გვ. 83 r.

<sup>7</sup> გვ. 84.

Клел-рчили (=ყველ-რბილი) ფორმა გააზრებული უნდა იყოს. სწორი სახელი ამ პუნქტისა „დაეთარსა“ და ვახუშტის გეოგრაფიაში მოცემული ყვერბილ ფორმაა. პეტრესციხის რაბათი ანუ ყვერბილი „დაეთარის“ დროს უკვე დაცარიელებულია; აწერია 15 000 ახჩა გადასახალი.

32. სოფ. ხოხაშენი(?)—(?) خوخاشين (I 18, 338; II 21, 330). ორთავე خ ასოს და ش ასოსაც დიაკრიტული ნიშანი აქვს, მაგრამ ორი ბოლოკიდური ასოს ამოკითხულობა მაინც საეჭვოა. ჩვენ აქ შეგვიძლია გვექონდეს: ხოხაშენ-ი, ხუხაშენ-ი, ხოხაშეთ-ი, ხუხაშეთ-ი და სხვ. უკვე დაცარიელებული სოფელია, რომელსაც 6 000 ახჩა აქვს შეწერილი.

33. სოფ. ვანთა—انثا (I 18, 338; II 21, 330). აქაც დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები მთლიანად აქვს და ამოკითხულობა, თითქოს, სწორია (ვანთა ან, შეიძლება, ვანეთა). ასეთი პუნქტის კვალს ვერსად ვერ მივაგენით. გაუჟაკარიელებული სოფელია, აწერია 10 000 ახჩა გადასახალი.

34. სოფ. ფაფა—فس (I 18, 338; II 21, 331). ეს დაწერილობაც დიაკრიტულნიშნებიანია და მის ფაფა-დ.წაკითხვა ექვს გარეშეა. ეს მით უფრო, რომ ფაფა-ს სახელით ცნობილმა პუნქტმა ჩვენ დრომდე მოაღწია. ეს პუნქტი დღეს ბორჯომის ერთ-ერთი უბანია. ვახუშტის ატლასზე (№ 8) ფაფა აღნიშნულია თანამედროვე ბორჯომთან, მტკვრის მარცხენა მხარეზე. აქვე ზემოაღწერილი (№ 16) სოფ. ქალასა და ფაფას, შე ვფიქრობ, თანამედროვე ბორჯომის ტერიტორია უქირავთ. პროფ. გ. ნიორაძე ფაფას სოფლად ასახელებს: „სოფელ ფაფაში აღმოჩენილი ქვის საწნახელი, ღვინის ქურები, საქაჩველი“ და სხვ.<sup>1</sup> ფაფა გაუჟაკარიელებულია, დაბეგრილია 10 645 ახჩით. ერთ ქართულ საბუთში ფაფა, ვფიქრობ უმართებულოდ, პაპა-დ იხსენიება—„ნუა და პაპა“<sup>2</sup>.

35. სოფ. ღამზა—غزم (I 18, 338; II 21, 331). დაწერილობას ნიშნები აქვს. ამომოკითხავს ღამზა-დ, რაც რამდენიმედ მაინც პირობითად უნდა ჩაითვალოს. ცარიელი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 3 000 ახჩა. ღამზას შესახებ ცნობებს ჩვენ ვერსად ვერ მივაგენით.

36. სოფ. ზნახა(?)—زناخا (I 18, 339; II 21, 331). დაწერილობას ზუსტად აქვს დანშული ნიშნები, მაგრამ ამოკითხულობა მაინც პირობითია (ზნახა თუ წნახა, თუ სხვა-რამ). ამ სოფლის შესახებაც ცნობები არ არის. დაუსახლებელი სოფელია 4 000 ახჩა გადასახალი.

37. სოფ. ზორეთი(?) ახალდაბასთან — زوريت(?) (I 18, 339; II 21, 331). აქაც ამოკითხულობა პირობითია (ზორეთი, ზოვრეთი, ძორეთი, ძოვრეთი და სხვ.). ახალდაბასთანაა ნაჩვენები, მაგრამ მის შესახებ ცნობები ჩვენ

<sup>1</sup> გ. ნიორაძე, მტკვრის ზეობაში, გაზ. „კომუნისტი“, № 170 (7385), 26.VIII. 1945.

<sup>2</sup> სცია, ფ. 48, ს. 3455, გვ. 17 რ.

ვერ ვიშოვეთ. ცარიელი სოფელია 5 000 ახჩა გადასახადით. შესაძლებელია ვახუშტის „გეოგრაფიაში“ ნახსენებ მძოვრეთთან<sup>1</sup> იყოს დაკავშირებული ჩვენი تيرجوي-ი. ფონეტიკურად ეს საესებით დასაშვებია.

38. სოფ. ზუზნა(?)—اوزج (I 18, 339; II 21, 331). შეიძლება წუწნაა ან ძუძნა, ძუწნა და სხვ. გაუკაცრიელებული სოფელია 6 000 ახჩა გადასახადით. ამ სოფელზედაც ცნობებს ვერ მივაგენით.

<sup>1</sup> აღწერა..., გვ. 59.

## VI. კ ე ტ რ ე ს ლ ი ვ ა

### 22. ქაშვეთის ნაპიჯე

1. სოფ. სადგერი, მეორე სახელი ქაშვეთი — صد کر نام دایکر کاشوت (I 18, 339; II 21, 331). უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ II წიგნის ბეჟღვის დროს (1941 წ.) ამ სოფლის პირველი სახელი ამოუკითხავეი შკონდა, ხოლო მეორე სახელი კითხვითი ნიშნით იყო დაბეჟღილი. I წიგნის დაბეჟღვის დროისათვის (1947 წ.) საესებით ნათელი გახდა, რომ პირველი სახელი صد کر სადგერი-ია, და არა حد کر, როგორც II წიგნშია დაბეჟღილი (პირველი ასო ص-ია და არა ح და ى)<sup>1</sup>, ხოლო მეორე სახელი كاشوت<sup>2</sup> (დიაკრიტული ნიშნებით) ამ ნაპიჯეს აღწერისას ცამეტჯერ გვხვდება და, ვფიქრობ, ექვემოტანლად შეიძლება მისი წყაითხვა ქაშვეთ-ად. ამრიგად, პეტრეს სანჯაყის მეორე ნაპიჯეს ეწოდება ქაშვეთის ნაპიჯე. ეს ქაშვეთი ამავე დროს მეორე სახელია ამ ნაპიჯეში პირველ სოფლად აღწერილი სადგერ პუნქტისა, რომელიც ნაპიჯეს ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო. რომ სადგერს მეორე სახელად ქაშვეთი ეწოდებოდა, ამის შესახებ ჩვენ „დაეტორის“ გარდა სხვა უშუალო ცნობები არა გვაქვს. მაგრამ დ. ბაქრაძის მიხედვით Под именем Кашоети св. Георгия построены церкви во многих местах Грузии...<sup>3</sup> ე. ი., წმ. გიორგის ეკლესია ბევრი იყო საქართველოში, და, ალბათ, იმ ადგილებს, სადაც წმ. გიორგის სახელობის ეკლესია იყო, ხშირად ქაშვეთი ეწოდებოდა, მაგალითად: Кашоетская церковь св. Георгия, в бывшей Вольной Сванетии, в дер. Кашоети, Ленжерского общества<sup>4</sup>, თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აგრეთვე ქაშვეთის სახელითაა ცნობილი: „და აწ აღაშენა საფუძველით ეკლესია დიდი, კეთილქმნული და შეენიერი წმიდის გიორგისა, ქა-

<sup>1</sup> იხ. ხელნაწერი-დედანი, გვ. 316.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 316, 317.

<sup>3</sup> Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 65; აგრეთვე: Е. Такайшвили, Источники грузинских летописей, Три хровики, СМОИИК, 28, გვ. 206; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. V, თბილისი, 1913. გვ. 19; საერთოდ სადგერზე იხ. აგრეთვე: ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება..., გვ. 196 და შემდეგ.

<sup>4</sup> Д. Баградзе, Кавказ в древн. памятниках христианства, გვ. 65; შდრ. „ქაშვეთის ძველი ეკლესია წმინდა გიორგისა...“ (ეჭ. თაყაიშვილის არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წელს. პარიზი, 1937, გვ. 323).

შოეთად წოდებულნი, ამილახორმან გივთამან...<sup>1</sup> ამრიგად, სადგერიც ამ პუნქტის ძველი სახელი უნდა ყოფილიყო, ხოლო ქაშვეთი მეორე სახელად მას უნდა შერქმეოდა ამ სოფელში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აშენების შემდეგ. დ. ბაქრაძის მიხედვით წმ. გიორგის ტაძარი მდებარეობს რამდენიმე კილომეტრზე ბორჯომის სამხრეთით, შავიწყლის ხეობაში, ძველ სოფელ სადგერში. სადაც 1875 წ. მხოლოდ ახალდასახლებულ უკრაინელთა 6 კომლი ცხოვრობდა<sup>2</sup>. სადგერი თავისი წმ. გიორგის ტაძრით იხსენიება „მესხური დავითნის ქრონიკაში“: „ლალა-ფაშას ლაშქარი და მირძალი გამოეგზავნა პატრონს მანუჩართანა, ქართლს გაეძახა, ქართლს ვერ ჩაუვიდეს, სადგერს დადგეს და ამოსწყუიდეს სადგერი, წმიდის გიორგის განძი წაწადა...“<sup>3</sup> საყურადღებოა ვახუშტის ცნობა სადგერის შესახებ: ზანაყ-რეილის „ჩვეს ზეით ერთვის მტკვარს თორის-წყალი სამჭრიდამ. ამ შესართავს სამჭრით არს სადგერს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით თორი მდინარე, დასავლით შავ-წყალი; და შავ-წყალი გამოსდის ბაკულიანისა და კოდინის მთასა, და მიერთვის მტკვარს სამჭრიდამ. გომართამდე შავ-წყალსა და თორის-წყალს უწოდებენ აწ სადგერის ქეობას“<sup>4</sup>. ვახუშტითვე თორის-ხეობა იყოფა სადგერად და გუჯარეთად<sup>5</sup>. აღმინისტრაციულად დღეს სადგერი ქ. ბორჯომთან და სოფ. ლიკანთან ერთად ბორჯომის საქალაქო საბჭოში შედის<sup>6</sup>. „დავთრის“ დროის სადგერშიც 6 კომლია, ოთხი მათგანი მღვდლის ოჯახია. სადგერს შეწერილი აქვს დიდი გადასახადი 30 000 ახჩის რაოდენობით. სრული უაზრობაა ამ სიტყვის *К. Ган-ისეული* ახსნა: „Садгери груз. от префикса са и лари-жосон: место, где вследствие обилия воды (железной) устроено много жилищ“...<sup>7</sup> სად „ლარი“, სად „გერი“, სად „სალარე“ და სად „სადგერი“!

<sup>1</sup> ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვლზე. დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტის-გან. პეტერბურგი, 1842, 190; *Д. Бакрадзе, Кавказ...* გვ. 64-65; აქვე ქაშვეთი || ქვაშვეთი სიტყვის ხალხური ეტიმოლოგია; (ქვა-შვა).

ეს წიგნი უკვე სტამბაში იყო, როცა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ დაბეჭდა სტატია ქაშვეთზე. გ. ლეონიძის მიხედვით ცნობილი ყოფილა კიდევ: 1. ქაშვეთი, როგორც წმ. გიორგის სალოცავი, ქსნის ხეობაში, 2. „ქაშვეთის მთავარი მოწამე“ XII-XIII საუკუნეებში ფანისის სანახებში, 3. ადგილი „ქაშვეთი“ გაღმა კახეთში მაღრანისა და მატანის მიდამოებში, 4. იქვე, სოფ. ბაბანურში და 5. სოფ. ქაშვეთი ხაშურის რაიონში. ავტორი საქმოდ დაწერილებით იხილავს ქაშვეთი სიტყვის მნიშვნელობას (გ. ლეონიძე, ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან, „ლიტერატურული გაზეთი“, № 4 (1018), 26. 1. 1957, გვ. 3).

<sup>2</sup> *Д. Бакрадзе, Кавказ...* გვ. 110.

<sup>3</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 105; სადგერზე ცნობა იხ. აგრეთვე ამავე ავტორის: *Источники грузинских летописей, Три архива, СМОМПК, 28, გვ. 206.*

<sup>4</sup> ვახუშტი, გვ. 83; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., II, 52.

<sup>5</sup> იქვე, 59.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 28.

<sup>7</sup> *К. Ф. Гая, Опыт объяснения кавказских географ. названий...* СМОМПК, 40.



2. სოფ. კიმოტისმანი — *Кимотисмани* (I 18, 339; II 21, 331). ვახუშტით „აქა, თორის-წყლის აღმოსავლეთით, არს კიმოტისმანს მონასტერი...<sup>1</sup> დ. ბაქრაძის მიხედვით: კიმოტისმანი მდებარეობს ქართლში, 15 ვერსზე ბორჯომის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მარჯვენა ნაპირზე ნდინარისა, რომელსაც ახალ რუკებზე გუჯარეთისწყალს ეძახიან, მაგრამ რომელიც ვახუშტის ატლასზე თორისწყალადა ნაჩვენებია<sup>2</sup>. კიმოტისმანის (Кимотис-мани) მეზობელ სოფლებად იგივე დ. ბაქრაძე ასახელებს: სადგერს, დაბასა და წაღველს<sup>3</sup>. ვახუშტის ატლასზედაც (№ 8) კიმოტისმანია. ამ სოფლის სახელის სხვადასხვა ვარიანტები გვხვდება: Тимотисмани<sup>4</sup>, კიმოტისუბანი<sup>5</sup>, კიმოტესუბანი<sup>6</sup>, ხალხში ამბობენ აგრეთვე — ტიმოტესუბანი. ცხადია, რომ კიმოტისმან-ში ჩვენ გვაქვს ტიმოტეს+უბან სიტყვები. ბერძნული სახელი ტიმოტეოს-ი ქართულში ტიმოტეს-ს გადაწვეს, ოღონდ კუთხურ მეტყველებაში „ტ“ თანხმოვანი „კ“ში გადადის ხოლმე: ტაჩქა → ტაქქა → (მეგრ.) კაქკა, ტიმოტე → კიმოტე (შდრ. მეგრ. კიმოთია). რადგანაც „დაეთარში“ ამ სიტყვის თავში გვაქვს ქ ასო, რომელიც „კ“ მკვეთრსაც გამოხატავს, ამიტომ ცხადია, რომ XVI საუკუნეშიც ტიმოტისმანი-ი კი არა, კიმოტისმანი ყოფილა. რადგანაც ქ ასო ყრუ „თ“ს გადმოსაცემად არ იხმარება, ამიტომ აქ ამ ასოთი გადმოცემულად ვივარაუდებ ქართული მკვეთრს „ტ“ და „კიმოტესმანი“ დაებეჭდე (II, გვ. 331). სხვაგან ასეთი ფორმა არსად გვხვდება; ამდენად შეიძლება „დაეთრის“ შემდგენელს აქ შეტეკომა მოუვიდა და კიმოტისმანი გადმოსცა კიმოტისმანად (ან კიმოტესმანად). რაც შეეხება სიტყვის მეორე—მან ნაწილს, ეს უბან სიტყვის სახეცვლილებაა (შდრ. აბასთუბან → აბასთუმანი, წარბასთუბანი → წარბასთუმანი და სხვ.) ამრიგად, კიმოტისმანი ფონეტიკურად სახეცვლილი ტიმოტისუბანი-ია (ან, შეიძლება, ტიმოტესუბანი-ი). ამ სიტყვის ეს უკანასკნელი (თავდაპირველი) ფორმა გარკვეული წრეების წარმოთქმაში ღღესაც გვაქვს. ეს სახელი „უბან“ ელემენტით ფიქსირებულია „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ და ოფიციალურ წიგნში, რომელსაც ეწოდება „საქ. სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“<sup>7</sup>. სოფ. ტიმოტესუბანი აღნიშნულია ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე. „დაეთარში“ ეს სოფელი აღრიცხულია ორკომლიან სოფლად, რომელსაც შეწერილი აქვს 11 950 ანჩა გადასახადი.

<sup>1</sup> გვ. 84; კიმოტისმანი ვახუშტისთან მეორეჯერ იხსენიება 59-ე გვ.

<sup>2</sup> Кавказ в древних памятниках христианства, 67.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> Предварительный отчет о путешествии доктора Г. Раде по Кавказу летом 1865 года, ЭКОИРГО, кв. VIII, გვ. 5.

<sup>5</sup> „საქ. ისტორიული რუკა“ (1923 წ.).

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 29.

<sup>7</sup> თბილისი, 1949, გვ. 29.

3. სოფ. რველა — რველა (I 18, 339; II 21, 332). ბოლოკიდური ასო „უფროა, ვიდრე სხვა რამე. ამიტომ ამოვიკითხე რველა-დ, თუმცა აქ მოსალოდნელია რველ-ი. ვახუშტისთან რველი ცალკე არ არის, მას აქვს სხვა გეოგრაფიულ სახელთან შერწყმულად ზანავერ-ვილის კვეი მოხსენებული („ჩილოდამ მოერთვის მტკვარს ზანავერ-ვილის კვეი“)<sup>1</sup>. ვახუშტის ატლასზედაც (№ 8) რველი-ა (შეიძლება ამ გეოგრაფიულ სახელს კავშირი ჰქონდეს საზოგადო სახელ რველ-თან, რომელიც ერქვნის ხეს, ნიშნავს<sup>2</sup>. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სათანადო ლიტერატურაში და რუკებზე ამ სოფლის სახელად ყველგან რველ-ი გვაქვს<sup>3</sup>. „დავთრის“ დაწერილობის პირველი ხმოდვანი „ი“დაც იკითხება და „ე“-დაც, ხოლო მისი ბოლოკიდური „ა“ ასო კი კალმის შეცდომა უნდა იყოს. 1866 წლის ერთ საბუთში იხსენიება მდინარე რველი, რომელიც იმავე სახელწოდების სოფელთან გადის<sup>4</sup>. ამრიგად გვჩნდება რველ-ი # რველ-ი, რომელთაგან რველი შეიძლება ძველი ფორმა იყოს, ხოლო რველი უფრო ახალი. რველ სოფელი მტკვარის მარცხენა მხარეზე მდებარეობს, სოფ. ზანავეის მახლობლად. „დავთრის“ დროს ის დაცარიელებულია და დაბეგრულია 4 000 ახჩა გადასახადით. ამჟამად რველი ყვიბის, ვარდგინეთ, ვაშლოვან და ზანავე სოფლებთან ერთად ბორჯომის რაიონის ყვიბისის სასოფლო საბჭოში შედის<sup>5</sup>.

4. სოფ. ზანავეი — زانای (I 18, 339; II 21, 332), როგორც ზემოთ ითქვა (სოფ. № 3), ზანავეი ვახუშტის სხვა გეოგრაფიულ სახელთან შერწყმულად აქვს მოცემული — ზანავერ-ვილის-კვეი (ჰამერიტ — Scnav)<sup>6</sup>. ჩვენ ზანავეზე აქვს იგი: ჯავახიშვილს ლაპარაკი, როცა წერს: «„მოქცევაა ქართლისაჲ“-ს ძველ დაბათა შორის მოხსენებული აქვს ზანავეი, რომელიც მტკვარის პირას არის ტაშის კარის სამხრეთ-დასავლეთით»<sup>7</sup>. ზანავეის სახელით სოფელი იყო აგრეთვე ახალციხის სანჯაყის უღის ნაპიჯეში (ზემო ზანავეი, შუა ზანავეი და სხე.)<sup>8</sup>. გარდა ამისა, ზანავეის სახელით პუნქტი ცნობილია კიდევ არაგვზე, მცხეთის ახლოს („მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავეი“)<sup>9</sup>. ამავე პუნქტზეა ალბათ ლაპარაკი იმავე

<sup>1</sup> ვახუშტი, გვ. 83.

<sup>2</sup> ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 280.

<sup>3</sup> მაგალითად: „საქ. ისტორიულ რუკაზე“, წიგნში — საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 29, „სოფ. რველის კოლმეურნეობა“ — გახ. „კომუნისტი“, II, 1. 1953 და სხე.

<sup>4</sup> სცია, ფ. 352, ს. 83, გვ. 234.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 29.

<sup>6</sup> გვ. 83; GOR, II, 865.

<sup>7</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 32.

<sup>8</sup> იხ. ზემოთ, გვ. 91 (№ 9, 10); შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., II, 53.

<sup>9</sup> ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 10; აგრეთვე: ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 16; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი. II, 42; Л. М. Меликсет-Бек, К истории появления гуннов в Восточном Закавказьи. Доклады АН Азербайджанской ССР, XIII, № 6, Баку, 1957, გვ. 710.

წყაროს მე-12 გვერდზე: „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი: სარკინე და ციხე დიდი ზანი (სხვა—B ხელნაწერით)—ზანაი<sup>1</sup>. ჰამერის რუკაზე ბორჯომის ხეობაში აღნიშნული Simav-ი უთუოდ ჩვენი ზანაია<sup>2</sup>. „ზან“ ფუძით გეოგრაფ. სახელი გვხვდება აგრეთვე თერჯოლისა (სოფ. საზანო), ცხაკაიას (სოფ. ზანა) და აბაშის (სოფ. ზანათი) რაიონებში<sup>3</sup>.

სოფ. ზანაი სოფ. რველთან ახლო მდებარეობს, მისგან სამხრეთით, მტკვრის მარცხენა მხარეზე. ზანაი „დაეთარში“ გაუქაცრიელებულა და აღწერილი 9 500 ახჩა გადასახადით. ამჟამად ზანაი ბორჯომის რაიონში ყვიბისის სასოფლო საბჭოში შედის ყვიბის, ვარდგინეთ, ვაშლოვან და რველ სოფლებთან ერთად<sup>4</sup>.

5. სოფ. კორტანეთი — كورتنه (I 18, 340; II 21, 332). ვახუშტით: „ქიმერეთის-ჭევს ზეთ ერთვის მტკვარს სამჭრიდანვე ჭევი კორტანეთისა“ და „კორტანეთი“<sup>5</sup>. კორტანეთი იხსენიება „სამცხე-საათაბაგოს მლუღელ-მთავარნი და მწყემსნი“ში. „მაწყურელი... ამისი სამწყსო ყვიბის კორტანეთს შუა რომ წყარო ჰსდის...“ კორტანეთი ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე ასახულია. ის მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეზე ყვიბისის ჩრდილოეთით. „დავთრის“ დროს დაცარიელებულია; აწერია 11 000 ახჩა. ამჟამად ბორჯომის რაიონში კორტანეთი ახალდაბა, ნექე და პატარა ახალდაბა სოფლებთან ერთად ახალდაბის სასოფლო საბჭოში შედის<sup>6</sup>.

6. სოფ. ბუზათუბანი (?) — بوزاتوبان (I 18, 340; II 21, 332). ამ დაწერილობაში ყველა ასოს დიაკრიტული ნიშანი უზის; მიუხედავად ამისა სახელის ამოკითხულობა ძალზე პირობითია. უქაცრიელი სოფელია, რომელსაც აწერია 3 000 ახჩა. არქივში ან სხვაგან ამ სოფლის შესახებ მასალებს ჩვენ ვერ მივაგენით.

7. სოფ. ბაკურიანი — باقورسان (I 18, 340; II 21, 332). ამ დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს, მაგრამ ეს ნიშნები შეცდომითაა დასმული: მეხუთე რ (რ) ასოს ზემოდან წერტილი უზის და ბაკურიან სახელი ცნობილი რომ არ იყოს, ეს დაწერილობა წიკითხებოდა ბაკუზიანად<sup>7</sup>. ეს წერტილი უთუოდ ორ წერტილს გამოხატავს და ის მომდევნო ც ასოს უნდა დასმოდნა ქვევიდან, მაგრამ, ირკვევა, მწერალს ხელი ზევით გაექცა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ვახუშტის ამ სოფლის სახელად ყველგან ბაკურიანი აქვს (ბაკულიანი, ბაკულიანის მთა, ბაკულიანის წყალი<sup>8</sup>). „დავთარში“

<sup>1</sup> იქვე, გვ. 12; აგრეთვე ქართლის ცხოვრება, 1955. გვ. 17.

<sup>2</sup> C(იხ. II) (რუკა 304-ე და 305-ე გვერდებს შუა).

<sup>3</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 100, 105 და 12.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 29.

<sup>5</sup> გვ. 83 და 124.

<sup>6</sup> მ. ნაკრაძე, АПГА, გვ. 81.

<sup>7</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, 28.

<sup>8</sup> იხ. ხელნაწერი-დედანი, გვ. 317.

<sup>9</sup> გვ. 41, 52, 72, 83, 84, 131; აგრეთვე ატლასი № 8 და ინდექსი გვ. 30v, № 109. შტრ. აგრეთვე ვახუშტის ატლასზე (№ 8) „წალველი“.

ჩაწერილი და ხალხში ჩვენ დრომდე მოღწეული ბაკურიან ფორმა, შექვე-  
ლია, უფრო სწორია. „დავთრის“ ბაკურიანი უკაცრიელი სოფელია 4 000  
ახნა გადასახადით. ამჟამად დაბა ბაკურიანი ადმინისტრაციული ცენტ-  
რია ბაკურიანის სადაბო საბჭოსი, რომელიც დიდ და პატარა მიტარბ, ლი-  
ბან, პატარა ცემ საკოპავო სოფლებს აერთიანებს.

8. სოფ. მიტარბი — ميطاربي (I 18, 340; II 21, 332). აღნუსხულია  
უკაცრიელ სოფლად, რომელსაც 5 000 ახნა აქვს შეწერილი. მდებარეობს  
ბაკურიანის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია პატარა მი-  
ტარბი და დიდი მიტარბი („დავთარი“ ერთ მიტარბს იცნობს). ამჟამად  
ორივე—დიდი და პატარა მიტარბი ბორჯომის რაიონის ბაკურიანის სადაბო  
საბჭოში შედის დაბა ბაკურიანი და ლიბან, პატარა ცემ და საკოპავ სოფ-  
ლებთან ერთად<sup>1</sup>.

9. სოფ. სავანელი — صوانيل (I 18, 340; II 21, 332). ვფიქრობ, სოფ.  
სავანელი უნდა იყოს იგივე გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც ხუთვერსიან  
რუკაზე აღნიშნულია როგორც Саванлиسخენი. „ვერობული რუსეთის სპეც.  
რუკაზე“ ზანავისა (რუკაზე შეცდომით Заново) და რველის (იმავე რუკაზე შეც-  
დომით Ргвели) სამხრეთით Ванисხენ-ად აღნიშნული პუნქტი იგივე სავან-  
ლისხევი და კერძოდ ჩვენი სოფელ სავანელი უნდა იყოს. სავანლის-  
ხევიც მდებარე ამ სოფელს შეიძლება უფრო ადრე სავანელი ერქვა. ან  
არადა შეიძლება ერთდროულად სავანლისხევიც არქმეოდა და სავან-  
ელიც. ვახუშტის ატლასზე (№ 8) და „საქ. ისტორიულ რუკაზე“ შეცდომით  
სავანისხევი-ად აღნიშნული პუნქტი იგივე სავანლისხევი და, ამდენად,  
„დავთრის“ სავანელი უნდა იყოს. ოღონდ „საქ. ისტ. რუკაზე“ მისი ად-  
გილმდებარეობა ზუსტი არ უნდა იყოს (მდრ. ევროპ. რუს. სპეცრუკასა და  
ვახუშტის ატლასს). „დავთრის“ დროს სავანელი უკვე გაუკაცრიელებული  
სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 10 000 ახნა გადასახადით.

10. სოფ. ქიმერეთი — كيمرعتي (I 18, 340; II 21, 332). ვახუშტის  
მიხედვით „კვალად ახალდაბას ზეით ერთვის მტკვარს სამჭრიდამ ჳევი ქიმე-  
რეთისა“<sup>2</sup>. ვახუშტის ინდექსში—ქიმერეთი (გვ. 30 v, № 86). ვახუშტის ატ-  
ლასზე (№ 8) ქიმერეთი კორტანეთის ქვემოთაა და ახალდაბის ზეით —  
მტკვრის მარჯვენა მხარეზე. ადგილობრივი მკვიდრის ლიდა ნოზაძის ცნო-  
ბითაც „ქიმერეთი ახალდაბასა და კორტანეთს შუა მდებარეობს; მოსახ-  
ლეობა არ არის; ქიმერეთში დასასვენებელი სახლია“. ქიმერეთი „დავთრის“  
დროს უკვე დაცარიელებულია; შეწერილი აქვს 10 000 ახნა.

11. სოფ. ქვიშხეთი — كوشخيتي (I 18, 340; II 21, 332). „დავთრის“  
დროისათვის უკვე გაუკაცრიელებული სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს  
გადასახადი 10 000 ახნა. ქვიშხეთი—თანამედროვე ცნობილი კურორტი ტა-

<sup>1</sup> საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა, 28.

<sup>2</sup> გვ. 83.

შისკართან—თორის ანუ პეტრესციხის ანუ ბორჯომის ხეობის დასაწყისში. მ. ბროსე ახსენებს Kwichkhet-ს<sup>1</sup>. აქამად ქვიშხეთი ხაშურის რაიონში ბელ-  
ლეთ, ბულბულისციხე, მონასტერ, სარმანიშვილისკარ, სატივე და ტაშისკარ  
სოფლებთან ერთად ქვიშხეთის სასოფლო საბჭოში შედის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Rapports... II, 178.

<sup>2</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 115. ეს ქვიშხეთი გამოცემლობას გადაეცა 1956 წელს. ამიტომ აქ არ არის გათვალისწინებული ზოგიერთი მონაცემი, რომელსაც ჩვენ ბორჯომის ხეობის შესახებ ვხვდებით პროფ. ს. შაკალათიას ბროშურაში: ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1957 წ.

## VII. დიდი არტაანის ლივან

### I (23). მჭვარის ნაშთი

დიდი არტაანის ლივან — كركر ارساان (I 402, 411; II 393, 403). ამ ისტორიული ადგილის ქართულ სახელად უფრო არტან-ი ჩანს. არტან-ი გვაქვს ჩვენ „ქართლის ცხოვრების“ ყველა ძირითად ხელნაწერში<sup>1</sup>, აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილთან<sup>2</sup>, „სამცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავარნი და მწყემსნი“ში<sup>3</sup> და სხვაგან. ასეთივე სახელის მატარებელი გეოგრაფიული პუნქტი გვაქვს ჩვენ თიანეთის რაიონის „არტნის სასოფლო საბჭოში“ სახელდობრ, სოფელი ქვემო არტან<sup>4</sup>. გარდა ამისა ირკვევა, რომ ამ ადგილის სახელი ყოფილა აგრეთვე არტანისი — „ქალაქ არტანისი“<sup>5</sup>. მაშასადამე, არტან სახელწოდება საესებით ბუნებრივი ჩანს ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. ეს მით უფრო, რომ ან-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები ქართულში ჩვენ ბევრი გვაქვს. ასეთებია, მაგალითად რომ აელით, განძ-ან-ი<sup>6</sup>, ლიკ-ან-ი<sup>7</sup>, წახ-ან-ი<sup>8</sup>, ვარხ-ან-ი<sup>9</sup> და სხვ. მრ. ამასთანავე ერთად ჩვენ გვაქვს ამ პუნქტისათვის მეორე, ოდნავად განსხვავებული და ჩვენ დროში თითქოს დაკანონებული სახელი ამ ადგილისა არტაან<sup>10</sup>. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ არტან ფორმა შემდეგში გააზრებულ იქნა ისეთ გეოგრაფიულ სახელებთან, როგორცაა ჯულა-ან-ი<sup>11</sup> (← ჯულა-ანთ-ი), ტიბა-ან-ი<sup>12</sup>, მელა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 10, 23, 24, 38, 44, 49, 50, 198, 243, 251, 257, 285, 288, 317, 365, 379, 383.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 33, 35, 120-123, 128, 130, 132, 133, 137; აგრეთვე ატლასი ვახუშტისა № 2.

<sup>3</sup> დ. ბაქრაძე, АИГА, 81.

<sup>4</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 60.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 10 (სქოლიო).

<sup>6</sup> დავთარი, II, გვ. 234. ზოგ შემთხვევაში ბოლოკიდური „ნ“ თანხმოვანი შეიძლება მრავლობითობის ნიშანი იყოს: განძა-ნ-ი (= განძა-ებ-ი) და სხვ. ამ საკითხს აქ არ ვიხილავთ.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 327.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 122.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>10</sup> „მესხური დავითნის ქრონიკაში“ არტან-იც არის და არტაან-იც (გვ. 99).  
-E. C. Такайшвили, МАК, XII, 76.

<sup>11</sup> სოფლის სახელი თელავის რაიონში. იხ. საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 58.

<sup>12</sup> სოფლის სახელი სიღნაღის რაიონში, იქვე, გვ. 85.

ან-ი<sup>1</sup> და სხვ. შესაძლებელია ასეთი ფორმისაგან — არტაანისაგან არის წარმოშობილი არტაპან ფორმა, რომელიც, შეიძლება, არმენიზებულ ფორმას წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ სომხური ენისათვის ძლიერ დამახასიათებელია ხმოვანთა მეზობლობაში „პ“ თანხმოვანი (მაგალითად: ჰოჰანეს = ოვანეს) და სხვ. ვინაიდან „დავთრის“ შედგენის დროისათვის არტაანის მხარის მოსახლეობაში სომხური ელემენტი უკვე საგრძნობ თენას წარმოადგენდა, ბუნებრივად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ არტაან-თან ერთად პარალელურად არტაპან-იც იხმარებოდა. კანტიკუნტად, მაგრამ არტაპან ფორმას ჩვენ ქართულშიც ვხვდებით: „არტაპან-კოლა“<sup>2</sup>, „არტაპანი“, „არტაპანის მღებარეობა“<sup>3</sup> და სხვაგან. ამდენად შეიძლება არ გამოირიცხოს შესაძლებლობიდან ისიც, რომ არტაპან ფორმა იყოს უძველესი ქართული ფორმა იმ დროისა, როცა ქართულსაც ახასიათებდა ხმოვნებთან „პ“ თანხმოვანი. აკად. ა. შანიძე ამის შესახებ წერს, რომ „ძველად იხმარებოდა ასეთი ფორმები: „ჭურია, ჰომი, ჰამბავი, დღეს კი: ურია, ომი, ამბავი“<sup>4</sup>. ამრიგად, ჩვენ გვაქვს ამ სახელის სამი ვარიანტი: არტან-ი, არტაან-ი და არტაპან-ი. უკანასკნელი — არტაპან-ის გადათურქულებული ფორმაა უსათუოდ არტაჰან - Ardahan-ი. ჩვენ ზემოთ არა ერთხელ გვექონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართული მკვეთრი თანხმოვანი თურქულში აღქმულია სათანადო რიგის მკვერით და ამის შესაბამისად ამ სიტყვის „ტ“ თანხმოვანი „დ“ თანხმოვნითაა გადმოცემული — არტაპან-ი → Ardahan; ხოლო შემდეგში თურქულმა Ardahan ფორმამ მოგვეცა კანონზომიერად გადარუსულებული ფორმა Ардаган-ი. თურქულში როგორც ჩვენი „დავთრის“ მიხედვით, ისე სხვაგანაც ყველგან არტაჰან-ი<sup>5</sup> გვაქვს. J. v. Hammer-ი ამ სახელს ხან Ardahan-ად კითხულობს, ხოლო ზოგჯერ (უფრო იშვიათად) Erdelahn-ად<sup>6</sup>. ეს იმიტომ, რომ ჰამერი ამ სახელს მხოლოდ თურქული წყაროებიდან ეცნობა (უმთავრესად კი ქვათბ ზელების „ჯიჰან-ნუმე“<sup>7</sup>-დან) და არტაჰან-ის კითხულობს როგორც არაბულ სიტყვას, სადაც მოკლე „ა“ ხმოვანი თურქულში „ე“-დ გადმოდის ხოლმე. საერთოდ თურქულში კი არტაანი ყველგან წარმოითქმის და იწერება Ardahan-ად<sup>8</sup>. ამავე დროს ჰამერი სპეციალურად აღნიშნავს, რომ რუსულში ამ პუნქტის სახელი Ардаган-ად წარმოითქმის<sup>9</sup>. არაფერს ამბობს იმაზე, რომ რუსული Ардаган კანონზომიერი შესატყვისია თურქიზებული Ardahan-ისა (← არტაპან-ი):

<sup>1</sup> სოფლის სახელი კაჭრეთის რაიონში, იქვე, გვ. 64.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება (ს. ყუბხიშვილის რედაქციით), I, 1955, გვ. 38 (სქოლიო).

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1948, II, გვ. 53, 54.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I — მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 25.

<sup>5</sup> جہان نما, გვ. 408; اوليا چلبى سياحتنامهسى, II, გვ. 326; — وفتق ياشا لهجه عثمانى —

83. 19; قاموس الاعلام.

<sup>6</sup> GOR, II, გვ. 864, 865, 866.

<sup>7</sup> იხ., სხვათა შორის რუკა: 1934 senesi iptilasında taksimatı mülkiyo ve yolların vaziyetini gösterir haritadır.

<sup>8</sup> GOR, I, გვ. 867.

მკვებთი „ტ“ თურქულში შესატყვისი მელერით—„ღ“ თანხმოვნითაა გადმოცემული, ხოლო რუსულში „ჰ“ ბგერის უქონლობის გამო „ჰ“ შეცვლილია რ-დ (Ardahan→Ардаган; შდრ. გერმ. Hegel→რუს. Гегель და სხვ.). ამგვარად თურქული Ardahan(←არტაჰან-ი) და რუსული Ардаган (←Ardahan) საესებით კანონზომიერად გადასხვაფერებული ფორმებია (შდრ. აგრეთვე რუსულში ქართული აქარა სიტყვის თურქიზებული ფორმა Аджара). ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს, ცოტა არ იყოს, უცნაური მსჯელობა H. Hübschmann-ისა, რომლის მიხედვითაც „ქართული ფორმა (არტანი<sup>1</sup>) სომხურიდანაა აღებული. სომხ. არტაჰან-ის ქართულში გადასვლისას ჰ ბგერა უნდა დაეკარგა, რადგანაც ქართველებს—რუსების მსგავსად თავიანთ ენაში ჰ არა აქვთ“<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, არაა მართალი, რომ ქართულში ჰ ბგერა არ არის ან არ იყო. არტან-ის რაც შეეხება, ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ყველა ძირითად ხელნაწერში არტანი გვაქვს და ეს მართლაც გარკვეულ ეპოქაში არტაანის ქართულ სახელად ჩანს, მაგრამ არაა გამორიცხული ისიც, რომ ქართულში, როგორც ზემოთ დავინახეთ, არტაჰან ფორმაც ყოფილიყო.

K. Ган-ი ამ პუნქტის ქართულ სახელს—არტაანს იცნობს, მაგრამ არტაანის ეტიმოლოგიისათვის მაინც რუსული არდაგან<sup>3</sup>იდან გამოდის, ამიტომ მის ეტიმოლოგიას: Ардаган—у груз. Артаანი от ардаги-плашанида — სომართლესთან საერთო არაფერი არა აქვს<sup>3</sup>. არაერთარი საფუძველი არა გვაქვს აგრეთვე არტან სიტყვიდან გამოვეყოთ ა პრეფიქსი—A-рдани<sup>4</sup>.

ჩვენს „დაეთარში“ ერთი არტაანი იხსენიება—სახელდობრ; დიდი არტაანი (დიდი არტაანის ლივა). ეს იმას ნიშნავს, რომ „დაეთარის“ შედგენისას ცალკე აღმინისტრაციულ ერთეულად უნდა ყოფილიყო კიდეც პატარა (ან მცირე) არტაანი. XVII საუკუნის სახელგანთქმულ თურქ გეოგრაფოსსა და ისტორიკოსს ქნთიბ ჩელების (რომელიც ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ჰაჯჯი ხალიფის სახელით) ყარსის ვილაფეთის აღწერისას ამ თვალსაზრისით საყურადღებო ცნობები აქვს მოცემული. ქნთიბ ჩელები ჯერ უჩვენებს ყარსის ვილაფეთის საზღვრებს და შემდეგ ჩამოთვლის ყარსის ვილაფეთში შემავალ სანჯაყებს (ლევანებს): ყარსის (ვალის რეზიდენცია), პატარა არტაანის (كوجا ناهان), ხოჯევნის, ზარუშატის (შეც-

<sup>1</sup> არტან სიტყვის ქართული ფორმა—არტანი სწორად არის მოყვანილი ვახუშტის გეოგრაფიიდან.

<sup>2</sup> H. Hübschmann, Die altarmenischen Ortsnamen. Mit Beiträgen zur historischen Topographie Armeniens und einer Karte, შტრასბურგი. 1904. S. II. როდესაც ჩვენი შრომის ამ ადგილს ვწერდით H. Hübschmann-ის ეს შრომა ვერ ვიშოვეთ. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით გვესარგებლა ამ შრომის სომხური თარგმანით, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა დოქ. ივ. შილაკაძის თავზიანი დახმარებით.

<sup>3</sup> К. Ф. Ган, Опыт объяснения кавказ. географ. названий... СМОМПК, 40, გვ. 14.

<sup>4</sup> М. Г. Джанашвили, Этимология картвельских этнографических и географических имен. СМОМПК, 27, გვ. 126.



დომით زاروشان - ზარუშან-ია დაბეჭდილი), ყალიზმანისა და სხვ.<sup>1</sup> შემდეგ ქვათიზ ჩელები ყარსის ვილაჲეთზე, სხვათა შორის, შენიშნავს, რომ ის ქართული ვილაჲეთია (بو ولايت كورجيدان) და მოჰყავს რამდენიმე ცნობა ამ ვილაჲეთის თურქთა მიერ დაპყრობის ისტორიიდან<sup>2</sup>. ამავე ავტორის მიერ ამავე შრომის სხვა ადგილას იგივე პატარა არტაანი (დიდი არტაანთან ერთად) ჩილდირის ვილაჲეთშია ნაჩვენები, რაც შეეკლმა უნდა იყოს<sup>3</sup>. ეს გარემოება თავის დროზე შენიშნა J. v. Hammer-მა, რომელიც შემდეგ წერს: ... unter der Saudschaken derselben (იგულისხმება ჩილდირის ვილაჲეთის სანჯაყი) erscheint im Dschihannuma uebst Gross-Ardehan auch wieder Kleiu-Ardehan, welches schon unter Karss vorgekommen<sup>4</sup>. ამრიგად, თურქული წყაროების მიხედვით XVI („დავთარი“) და XVII (ქვათიზ ჩელების სანჯაყი) საუკუნეებში არტანის პროვინცია ადმინისტრაციულად ორ ნაწილად იყო გაყოფილი: დიდი არტაანი (كردانان—შდრ. Hammer-ის Ardehan Kebir oder Bujnk Ardehan, d. I. Gross-Ardehan)<sup>5</sup>, რომელიც „გურჯისტანის ვილაჲეთში“ შედიოდა და პატარა არტაანი (كردانان), რომელიც ყარსის ვილაჲეთის ფარგლებში იყო.

თუ რას წარმოადგენდა ტერიტორიულად დიდი არტაანი, ჩვენ კარგად ვიცით „გურჯისტანის ვილაჲეთის დიდი დავთრიდან“. ეს დიდი არტაანი შედგებოდა სამი ნაჰიესაგან—შუარის, ჩრდილისა და ტყე-ნაჰიესაგან. ამ სამი ნაჰიესათვის აღწერილი სოფლები სავსებით ზუსტად განსაზღვრავენ დიდი არტანის ტერიტორიულ მოცულობასა და მიჯნებს (იხ. აქვე დოკ. აღ. ასლანიკაშვილის მიერ შედგენილი „გურჯისტანის ვილაჲეთის“ რუკა).

რაც შეეხება ადმინისტრაციულად ყარსის ვილაჲეთში შემავალი პატარა არტანის ფარგლებს, „ყარსის ვილაჲეთის დიდი დავთრის“ უქონლობის გამო ზუსტი ცნობების წარმოდგენა ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია. მაგრამ ცხადია, რომ პატარა არტაანი ეს ძირითადად უნდა ყოფილიყო იგივე ძველი ქართული მხარე—კოლა, რომელიც ხშირად წყაროებში არტაანთან იხსენიება (კოლა-არტანთა — ქ. ცხ., I, გვ. 268, ჯავახეთი და კოლა და არტანი; იხ. იქვე, 24) და რომელიც ამ კუთხის რუსეთთან შეერთების შემდეგ, მეფისდროინდელი ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით ყარსის

<sup>1</sup> ناهان, გვ. 408; შდრ. GOR, II, 866.

<sup>2</sup> ناهان, იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 408.

<sup>4</sup> ამგვარ დიდი არტაანის თურქული სახელებიც მოჰყავს, მაგრამ, ვფიქრობ, არა ზუსტად: Ardehan Kebir oder Bujnk Ardehan d. i. Gross-Ardehan (იქვე, გვ. 864-865). სინამდვილეში კი როგორც „დავთარში“, ისე ქვათიზ ჩელებისთან დიდ სიტყვა სპარსული كردانان bozorg-ითაა აღნიშნული كردانان (ناهان), გვ. 408 და „დავთარი“, I 402, 411).

<sup>5</sup> GOR, II, 864-865. كردانان (სა.), كبير (არაბ.) და بوجو (თურქ.) = „დიდი“.

ოლქში შემავალი არტაანის ოკრუგის კოლასაბოქაულოს შეადგენდა<sup>1</sup>. კოლის საბოქაულოს (Гельский участок) ადმინისტრაციული ცენტრი იყო სოფ. ოკამი<sup>2</sup>, რომელიც მართლაც კოლის ცენტრში მდებარეობს<sup>3</sup> და რომელსაც თურქებმა Diğrayır (= „ვაკე-სათიბი“) შეარქვეს<sup>4</sup>. კოლის (=პატარა არტაანი) სხვა პუნქტთან აღსანიშნავია: Дорт-хилса<sup>5</sup>, რომელიც = ლავრა ოთხთა ეკლესიათა<sup>6</sup>, Арпашен, Дадашен, Сигиот, Шаки, Тахтакран, Джиджор, Шараф, Санамоглы, Чобанкей<sup>6</sup>, ოროტანი<sup>6</sup>, ხევი<sup>6</sup>, ხევისკარი<sup>6</sup> და სხვ. (იხ. აგრეთვე კოლას საზღვრები თანდართულ რუკაზე: დიდი არტაანის აღმოსავლეთითა და ფანაქის ლივს ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია).

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „არტაანის საზღვრებში დიოდა მტკვარი და ამ მდინარის ორთავე მხრივ იყო „ქუეყანა არტაანისა“ იმიტომ რომ, ...რაკი მოხსენებულია „მტკვარს აქეთი არტაანი“, უეჭველია იქნებოდა „მტკვარს იქითი“-ც<sup>7</sup>. სპეციალისტი-გეოგრაფოსები და ისტორიკოსები, ალბათ, უკეთ გაარკვევენ, თუ როგორ უნდა იქნეს მოყვანილი შესაბამისობაში არტაანის ასეთი „მტკვარს აქეთი“ და „მტკვარს იქითი“ (ივ. ჯავახიშვილი) და „დიდ და პატარა“ არტაანად („დაეთარი“) დანაწილება. ფარავენ თუ არა ერთმანეთს ერთი მხრით „მტკვარს აქეთი“ და „დიდი არტაანი“ და, მეორე მხრით, „მტკვარს იქითი“ და „პატარა არტაანი“? ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადი უნდა იყოს, რომ პატარა არტაანი მართო მტკვარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ე. წ. ჩრდილის ნაპივე (სოფ. ზემო და ქვემო ჯინქრობი, ბაღდადი, ქირმანი, საბულარი, გურჯიბეგი და სხვ.) არაა და პატარა არტაანში (ე. ი. არტაანის მხარის ერთ ნაწილში), როგორც ზემოთ ითქვა, შედის კოლა მისი (არტაანის) ერთ-ერთი კუთხის სახით<sup>8</sup> (ისევე, მაგალითად, როგორც ფოცხოვი სამცხის ერთ-ერთი კუთხე იყო). ამრიგად,

<sup>1</sup> იხ. Карсская область. Свод статистических данных, извлеченных из посемейных списков населения Кавказа, тбилиси, 1889, გვ. 1, 56 და სხვაგან (Карсская область, Ардагавский округ. Гельский («Гель=თურქიზებული კოლა») участок.

<sup>2</sup> Всеподданнейший отчет о состоянии Карсской области за 1893 год. ყარსი (S. I. იხ. Ведомость населенным пунктам Карсской области с показанием числа дымов..)

<sup>3</sup> „საქართველოს ისტორიული რუკა“ (1923 წ.) ივ. ჯავახიშვილის რედაქციით.

<sup>4</sup> 1934 senesi iptidasında taksimatı mülkiye ve yolların vaziyetini gösterir haritadır.

<sup>5</sup> Список населенным пунктам Карсского округа (S. I., s. d.), გვ. 66; აგრეთვე ავერალული რუსეთის სპეცრუკა<sup>6</sup>.

<sup>6</sup> „საქ. ისტ. რუკა“; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 56. საერთოდ კოლა ჩვენს „დაეთარში“ არაა აღწერილი და ამიტომ ჩვენ დაწვრილებით მასზე არ შევიჩრდებთ (კოლაზე იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახლებული ნაშრომი, იქვე; აგრეთვე: პ. ინგვროყვა, გ. მერჩულე—ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 300, 301).

<sup>7</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 55, აგრეთვე 54.

<sup>8</sup> მდრ. პ. ინგვროყვა, გ. მერჩულე—ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 300 („პატარა-კოლა“). ივ. ჯავახიშვილით კი „კოლა... არტაანის მოსაზღვრე ქვეყანა იყო სამხრეთით...“ (ქართ. ერის ისტორია, II, 56).



თი — رباط قلمه پره کن (I 402, 412; II 393, 403). დაწერილობას დიაკ-რიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ცალკეულ ასოთა მოხაზულობაზე დაკვირვება, თითქოს, საშუალებას გვაძლევს აქ სავსებით დამაჯერებლად ამოვიკითხოთ ფარაკან-ი. დაწერილობაში აშკარად ირკვევა პ, რ, ა, კ და ს, (ე. ი. ფრკან) ასოები და ეს კი უდრის ფარაკან-ს<sup>1</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედნის 378-ე გვერდზე ركه სიტყვის დაწერილობაში ბოლო ს ასოს მოხაზულობა სხვანაირია, ვიდრე დედნის 390-ე გვერდზე: პირველ შემთხვევაში ს ასოს დასაწყისიდან ხაზი ირიბად ქვემოთაა ჩამოწეული, ხოლო მეორეჯერ ორივე ადგილას ს ასო მრგვალადაა გამოყვანილი. რა თქმა უნდა, ეს სხვადასხვაობა აიხსნება მით, რომ 378-ე და 390-ე გვერდებზე ტექსტი სხვადასხვა კაცის შივრათაა დაწერილი.

რომ არტაანის მთავარი ციხე-ქალაქი ფარაკანი იყო იქიდანაც ჩანს, რომ არტაანის სანჯაყში შემავალ ყველა დასახლებულ პუნქტზე უფრო ადრე დასახლებულია ფარაკანის ციხის რაბათი, როგორც პოლიტიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი. სხვა შემთხვევებიდანაც ჩვენ ვიციით, რომ რომელიმე სანჯაყის აღწერისას თავში უმთავრესად მაინც სწორედ პოლიტიკურად ცენტრალური ადგილია ფიქსირებული: შდრ. ახალციხის სანჯაყში — ახალციხის ციხის რაბათი (II 22), ხერთვისის სანჯაყში — ხერთვისი (II 171) და სხვ.

ფარაკანის სახელით პუნქტი მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში“ და სწორედ ისეთ კონტექსტში, რომელიც აშკარად გააჩნევს ძველ ქართულ პროვინციას არტანს (სრულად არტაანი და სრულ არტანი) ამ პროვინციის, ალბათ, გამაგრებული და ადმინისტრაციული პუნქტისაგან (ფარაკანისაგან): „ამასვე წელსა უშვა დედის-იმედ-მან ქაიხოსროს ძე მანუჩარ: შემდგომად კვალად მოვიდნენ ოსმალნი და დაიპყრეს არტანუჯი არსიანამდე: კვალად დაიპყრეს ფარაკანი და სრულად არტანი და აღაშენეს ფარაკანი“<sup>2</sup>. ჩვენი მიზნისათვის საინტერესოა აგრეთვე ამავე ძეგლის მეორე ადგილი: „ქორონიკონს ზღუტაოს ქვეყანა დაიპირეს თათართა ურუმთაჟ ქორონიკონს ხმა არტანუჯი წაგვართვეს ურუმთა და არსიანამდის დაიპირეს, ფარაკანი და სრულ არტანი დაიპირეს, და ფარაკანი ააშენეს, აწყურისა ღუთის-მშობლის შეწვევითა სამცხეს ვერ გარდმოვიდეს“ და სხვ.<sup>3</sup> ამრიგად, ამბავი განეკუთვნება XVI საუკუნეს (დედის-იმედი, მანუჩარ ქაიხოსროს ძე), განმეორებით („კვალად“) მოდიან ოსმალები, იპყრობენ არტანუჯს ვიდრე არსიანამდე; იქიდან ვადმოდიან და აგრეთვე განმეორებით იპყრობენ ჯერ გამაგრებულ ადგილს ფარაკანს (არტაანის ხელი-სუფალთა რეზიდენციას), ხოლო ამის შემდეგ „სრულად არტანს“, ანუ

<sup>1</sup> იხ. ხელნაწერი-დედანი, გვ. 378 და 390 (ორჯერ).

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან შეათცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი მეორე-ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან. სანკტპეტერბურს, 1854, გვ. 161.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 276.

„სრულ არტანს“, ე. ი. მთლიანად არტანის პროვინციას. უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მეორე ადგილას ფარაკანის შეცდომით უნდა იყოს დაწერილი ფარაკანის ნაცვლად. ვფიქრობ, იდენტიფიკაცია „ქართლის ცხოვრებაში“ „სრულიად არტანზე“ ადრე დაპყრობილი ფარაკანისა „დავთარში“ „დიდი არტანის“ ციხე-რამბათ-ად დასახელებულ სრულ-ფარაკანთან სწორი უნდა იყოს. ამასთანავე ერთად დასტურდება აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრება, რომ არტანის უფრო ადრე მთლიანად ოლქს ერქვა, ხოლო არტანის ქალაქმა არტანის სახელი უფრო გვიან მიიღო<sup>1</sup>. ჩვენი „დავთარის“ ამ ცნობით ირკვევა, რომ არტანის „ქალაქსა“ და გამაგრებულ ადგილს ფარაკანი ერქვა და რომ XVI საუკუნეში ჯერ კიდევ პროვინციის სახელი მისი ქალაქის სახელად არ იხმარებოდა. არტანის ქალაქი („დავთარის“ ფარაკანი) ვახუშტით იყო „ქალაქი მცირე... მტკვრის დასავლით კიდევ, და ციხე მაგარი. შემდგომად, მეფობასა შინა ბაგრატიონთათა, იჯდა ერისთავი არტანისა და კოლისა“<sup>2</sup>.

ფარაკანის სახელწოდებით ციხე დასახელებული აქვს აგრეთვე XVII საუკუნის ცნობილ თურქ შოგზაურს ევლია ჩელების. ეს ავტორი ჩამოთვლის უმთავრესად ჩრდილის (ახალციხის) ვილნაეთის ტერიტორიაზე მდებარე ციხე-ქალაქებსა და მათ შორის დასახელებს *بركان قلعے* — ფარაკანის ციხეს<sup>3</sup> („დავთარის“ *برگن*-ში. ასოთი გამოხატულია მეორე „ა“ ხმოვანი, ხოლო ჩელებისთან | ასოთი—მესამე „ა“; ორივე დაწერილობა ფარაკან-ად იკითხება). მართალია, ე. ჩელები არტანის პროვინციის ციხე-სიმაგრეებს ცოტათი ქვემოთ განიხილავს (გვ. 326) და იქ ფარაკანს არ ახსენებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საერთოდ ჩილდირის ვილნაეთში შემაველი არტანის ციხე აქ არ ყოფილიყო მოხსენებული. ეს მით უფრო, რომ ე. ჩელებისთან სწორედ ამ ადგილას დასახელებული ან სტრატეგიული პუნქტები გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით დალაგებული არ არის (მაგალითად, ე. ჩელების ჩრდილის ვილნაეთის პუნქტებთან აქვს ნაჩვენები ქუთაისის ციხე, შავშეთის ციხეებში აღწერილი აქვს ჯაყისმანის ციხე და სხვ.)<sup>4</sup>. უფრო კარგად იკითხება ფარაკან სახელწოდება ქათბი ჩელებისთან, რომლის დაწერილობაში *بركان*-ი გვაქვს, ე. ი. ფარაკან სიტყვაში სამი „ა“ დან ორი გრაფიკულად გამოხატულია. *بركان* რა თქმა უნდა, იგივე ფარაკან-ია—*بركان برمتين قلعے* — „ფარაკანი... მაგარი ციხეა“<sup>5</sup>.

ქოროხს რომ „მოერთვის შავშეთის მდინარე აღმოსავლეთიდან. აქ არს ფანაკარის ციხე, ორთა მდინარეთა შორის“<sup>6</sup>. მე ვფიქრობ, რომ

<sup>1</sup> სიმონ ჯანაშია, შრომები, II, გვ. 285.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 132; შტრ. Д. Яакралзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 15.

<sup>3</sup> *اوليا چلبی سياحتنامهسى*—II, სტამბოლი, 1314 (ჩიჯრით), გვ. 324.

<sup>4</sup> *اوليا چلبی سياحتنامهسى*—II, გვ. 324, 325.

<sup>5</sup> *جهان نما* — გვ. 406.

<sup>6</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 135.

ეს ფანაკარის ციხე სხვაა და მას საერთო არაფერი აქვს არტაანის პროვინციაში მდებარე მთავარ ქალაქთან და ციხესთან — ფარაკანთან (بركس). მ. ბროსეს მიერ გამოცემული ვახუშტის Description-ისადმი დართულ რუკაზე Chawcheti II შუაშეთში ნაჩვენებია პუნქტი Planacari., რომელიც მხოლოდ გარეგნულად, უფრო ზუსტად, მხოლოდ ფონეტიკურადაა რამდენადმე ახლოს ფარაკანთან. ფარაკანი და ფანაკარი სხვადასხვა პუნქტი უნდა იყოს. მეორე მხრივ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვახუშტის სამცხე-საათაბაგოზე ხშირად დაზუსტებული ცნობები არ ჰქონდა და ამიტომ ფანაკარის მდებარეობის შესახებ მისი ცნობა უთუოდ ეჭვების აღმძვრელია. ვახუშტის სამცხე-საათაბაგოსადმი განკუთვნილი ცნობებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების შესახებ ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილისა და ექ. თაყაიშვილის აზრი<sup>1</sup>.

ველიძე ჩელები აგრეთვე გაარჩევენ არტაანს (ოლქს, მხარეს) და, ალბათ, არტაანის ციხე-ქალაქს; სახელდობრ ველიძეს აქვს: اردان — არტაანი (ალბათ, საერთოდ არტაანი, სრულიად არტაანი) და اردان قرا — კარა არტაანი<sup>2</sup>. ახალციხიდან მიმავალი ე. ჩელები 4 საათის განმავლობაში აღწევენ სენაქ-ს ციხეს, რომელიც არტაანის (ალბათ საერთოდ არტაანის მხარეს ვა. რაუდობს) საზღვარზე მდებარეობს (اردان حد و حدود اردان)<sup>3</sup>, შემდეგ კვლავ დასავლეთით მიემგზავრება ციკაბო გზებით და მიადგება კარა არტაანის ციხეს<sup>4</sup>. შემდეგ ე. ჩელები საკმაოდ დაწვრილებით აღწერს კარა არტაანს საერთოდ და მის გარშემო მდებარე ციხე-სიმაგრეებს. შესაძლებელია სპეციალისტი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ე. ჩელების ამ მონაცემებმა უფრო თვალსაჩინო დასკვნამდე მიიყვანოს. ისე კი საფიქრებელია, რომ ეს კარა არტაანი იყოს მეორე სახელი, ან თურქების მიერ შერქმეული სახელი, ან კიდევ ქართულიდან ნათარგმნი (შავი არტაანი?) სახელი არტაანის პროვინციის მთავარი ნაწილისა — დიდი არტაანისა. როგორც ამას ჰამერიც ვარაუდობს, რომ კარა არტაანი შეიძლება იგივეა, რაც დიდი არტაანი: Kara Erdehan (vermuthlich dasselbe mit Buyuk Erdehan)<sup>5</sup>. შესაძლებელია ამ სახელწოდებასთან კავშირში იყოს ის გარემოებაც, რომ არტაანის მიდამოებში მდინარე მტკვარსაც კარა ნეჭრი (Кара-Нечри = Купра) ჰქვია<sup>6</sup>.

დიდი არტაანის ლიფა სამი ნაპიფესაგან შედგება: მზვარის, ჩრდილისა და ტყის (ტყე-არტაანის) ნაპიფესაგან. მზვარის ნაპიფეს, როგორც ეს თანდართული რუკიდანაც ჩანს, უჭირავს არტაანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირი. ამ ნაპიფეს საპირისპიროდ

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 35.

<sup>2</sup> اولیا چلبی سياحتنامهسى — II, გვ. 317, 325.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> GOR, II, გვ. 865.

<sup>6</sup> Кара-Нечри = შავი მდინარე. იხ. რუკებზე.

არტანის აღმოსავლეთითა და მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარე ადგილები ჩრდილის რაიონია. ხოლო ამ რაიონების ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სექტორი არტანისა უჭირავს „დავთარში“ ტყე-არტანად წოდებულ ნაჰიეს, რომელიც J. v. Hammer-თანაც ცნობილია როგორც Der Wald von Ardehan<sup>1</sup>, ე. ი. ტყე-არტანი ანუ არტანის ტყე-რაიონი<sup>2</sup>. ჩვენ ზემოთ (აქვე, გვ. 38) უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ საქ. ცენტრალურ ისტორიულ არქივში ტაოსა და არტანის მხარეთა შესახებ მასალები თითქმის არ მოიპოვება: არტანისა და ოლთისის ოლქების შესახებ მასალები არ არის არც 1878 წლის მომდევნო ხანებისათვის, როცა ეს ადგილები ისევე დაგვიბრუნდა. ესაა მიზეზი იმისა, რომ ტაო-არტანის გეოგრაფიული პუნქტების დახასიათება წიგნის ამ ნაწილში ძლიერ მოკლედაა მოცემული.

უთუოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „დავთარის“ დროისათვის ისეთი ცნობილი, ქართული სახელების მატარებელი დიდი სოფლები, როგორიცაა ანბარაკი (№ 50), გურა (№ 32), წმინდაელია (№ 5), წისკვილისხევი (№ 6), მაღარაკარა (№ 8) და სხვ., რუკებსა და სხვა ოფიციალურ ცნობებში არ ჩანს, საფიქრებელია, რომ ზოგიერთ სოფელს უსათუოდ ან შეეცვალა სახელი, ან კიდევ ქართული სახელი გადათარგმნილ იქნა თურქულად<sup>3</sup>. მაგალითად, ქართული სახელწოდება წისკვილისხევის (აქვე, № 6) ნაწილობრივი ან არასწორი თარგმანი უნდა იყოს Дагирманкей, რომლის სახელითაც სოფელი აღნიშნულია რუსულ რუკებზე სოფელ სარწებთან (=ნიკოლაევკა, იხ. ზემოთ № 54; თურქულად Дагирман = değirmen „წისკვილი“). ასევე გადარქმეული სახელი უნდა იყოს რუკებზე ამ სექტორისათვის აღნიშნული გეოგრაფიული სახელები: Чиколар, Каракала (=‘შავი ციხე’), Елги-кей (=‘ახალი სოფელი’), Сеидивераи<sup>4</sup>, Чимличаир<sup>5</sup> და სხვ. ამ საკითხების შესწავლა შეიძლება მხოლოდ ადგილზე.

1. სოფ. ფარაკანის ციხის რაბათი—رباط قلعة پره كن (I 403, 411; II 393, 403). ფარაკანის რაბათის მოსახლეობა ამ დროს შეადგენს 17 კომლს, რაბათს შეწერილი აქვს 22 000 ახჩად შეფასებული გადასახადი (დანარჩენი ცნობები ამ პუნქტზე იხ. ზემოთ, გვ. 501 და შემდეგ).

2. სოფ. ბებერეკი გორა სათესველით—بیرک مع مزرعة گوره (I 403, 412; II 393, 404). ოფიციალურ წიგნებში—иселерек<sup>6</sup>, არტანიდან 15 ვერს-

<sup>1</sup> GOR, II, გვ. 865.

<sup>2</sup> ეს საკითხი ჩვენ სპეციალურად გვაქვს შესწავლილი (ნაჰიეთა სახელები كوني || მზვარე: قوزای || ჩრდილი და ميشه || ტყე); ნაწილი (მზვარე და ჩრდილი) უკვე დაბეჭდილია „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში“, ტ. 41, 1951, გვ. 185-195, ხოლო ყველა ერთად დაიბეჭდება IV წიგნში.

<sup>3</sup> ქართული სახელების თურქული თარგმნის შესახებ იხ. ზემოთ გვ. 30-33.

<sup>4</sup> Свод, 112.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> Карсская область. Свод статистических данных. извлечениях из посемейных списков населения Кавказа, თბილისი, 1889, გვ. 50 (შემდეგში შემოკლებულად—Свод);

ის მანძილზეა<sup>1</sup>, 1896 წ. ბებერეკში ნაჩვენებია 76 კომლი<sup>2</sup>, „დავთარში“ კი 35 კომლი. მდებარეობს არტაანის დასავლეთით სოფ. ფიხხასგომთან ახლოს. (იხ. ხუთვერსიან და სხვა რუკებზე). ამ დაწერილობის ბოლო ქ ასოს შეუძლია გადმოსცეს აგრეთვე „ქ“ და „გ“ თანხმოვნები. ამდენად შეიძლება ამ სოფლის სახელი ბებერეკ-ი-ც იყოს და ბებერეგ-ი-ც. ქართველთა შორის წ.-ქ. გამაერც. საზოგადოების გამგეობისათვის არტაანიდან გ. შალიბაშვილის მიერ გამოგზავნილ წერილში სოფელს „ბებერეკი“ ჰქვია<sup>3</sup>, ნამდვილი ქართული სახელის დასადგენად საკირთა დამატებითი მასალა. სოფელთან დასახლებული სათესველის სახელი თითქოს გორა-ა.

3. აღწერილია ცალკე ვინმე სარგის მელიქის ძის მამული (ჩიფთლიქი) (I 403, 413; II 393, 405), რომლის მდებარეობა ნაჩვენები არ არის, მაგრამ ეს მამული უთუოდ სოფ. ბებერეკის ფარგლებშია. ბებერეკის ჯუმალთან შენიშვნა<sup>4</sup>, რომ ჩიფთლიქის გადასახადი ამაში არ შედისო (II, გვ. 404). ჩიფთლიქში 3 კომლია, რომელზედაც შეწერილია 500 ახჩა.

4. სოფ. დროში (?)—دروشي (I 403, 413; II 393, 405). დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი აქვს; ასოები ძალიან კარგად ირჩევა<sup>5</sup>. წაკითხვა შეიძლება ასე: დროში, დოროში, დრუში, დურუში და სხვ. ამის მაგვარ გეოგრაფიულ სახელს ვერ მივაკვლიეთ. საკმაოდ დიდი, 36 კომლიანი სოფელია, რომელსაც 10 000 ახჩა აქვს შეწერილი. ამჟამად ასეთი სოფელი არ ჩანს.

5. სოფ. წმინდაელია—المناد (I 403, 414; II 393, 406). დაწერილობას, მართალია, ნიშნები არა აქვს, მაგრამ ასოთა ნათელი მოხაზულობა<sup>6</sup> ამ წაკითხვაში ექვს არ ტოვებს. ამ სოფლის მდებარეობისა და მისი სახელწოდების შესახებ ცნობებს ვერ მივაგენი. ცხრამეტკომლიანი სოფელია, შეწერილი აქვს 7 000 ახჩა გადასახადი.

6. სოფ. წისკვილისხევი (?)—سفسولساو (I 403, 414; II 393, 406). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ასოები კარგად იკითხება. ეს უნდა იყოს წისკვილისხევი. ასეთი სოფელი არ ჩანს. მაგრამ სამაგიეროდ რუსულ რუკაზე ამ ზონაში აღნიშნულია სოფ. Дагирманкей<sup>7</sup> (← თურქ. dögürmeş 'წისკვილი' და köy 'სოფელი') 'წისკვილის სოფელი'. ვფიქრობ, რომ რუსული რუკების Дагирманкей უნდა იყოს „დავთარში“ ჯერ კიდევ ქართულად ფიქსირებული სოფლის სახელი, რომელიც შემდეგში თურქულად უთარგმნიათ. როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ (სოფ. № 54),

<sup>1</sup> Список населенным пунктам Карского округа с показанием числа верст от каждого селения до резиденции участковых управлений (S. I., s. d.), გვ. 44 (შემდეგში შემოკლებით—Список).

<sup>2</sup> Свод, 110, 111.

<sup>3</sup> სცია, ფ. 215, ს. 312, გვ. 3v.

<sup>4</sup> იხ. ხელნაწერი-დედანი, გვ. 392.

<sup>5</sup> იქვე.

სცია, ფ. 514, ს. 12, გვ. 80v (Декирман-кев).



6. მარი არტანიდან შავშეთში ამ სოფელში (ოლონდ მას სოფლის სახელად *Магирманкей* კი არა *Магирман-ი* აქვს) გავლით გადადის<sup>1</sup>.

7. სოფ. ორი-ეკლესია სოფ. ქინძოტამალთან—*اورى كلى* (I 403, 415; II 393, 407). იკითხება კარგად. რუკებზე ან სხვა წყაროებში აღნიშნული არაა. უკაცრიელი სოფელია, რომელსაც 2 000 ახჩა აქვს შეწერილი.

8. სოფ. მალარკარა (?)—*مقارقه* (I 415; II 407)<sup>2</sup>. დაწერილობა დიაკრიტული ნიშნების გარეშეა, მაგრამ კარგად იკითხება. მსგავსი პუნქტის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს. საქმაოდ დიდი, 47 კომლიანი სოფელია, რომელსაც 10 000 ახჩა აქვს შეწერილი.

9- შამული (ჩიფთლიქი) და ერთი წისქვილი ამავე სოფელში მდებარე (I 403, 316; II 393, 408). ჩიფთლიქზე სამი კომლი ცხოვრობს; გადასახადი—500 ახჩა.

10. სოფ. ზემო ტებათი—*على سبدا* (I 403, 417; II 393, 408), 40. სოფ. პატარა ტებათი—*كركچى* აბა (I 403, 435; II 394, 426). გეოგრაფიულ პუნქტებთან ხმარებული ზემო და პატარა სიტყვები არ არიან ნაპირისპირებელი მსაზღვრელები (ასეთებია ჩვეულებრივად — ზემოქვემო, პატარა ო დიდი). მიუხედავად ამისა, ვფიქრობ ზემო ტებათის და პატარა ტებათის სახით მოცემული სახელები ერთი და იგივე გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს. ალბათ არსებობდა ქვემო ტებათიც, რომელმაც „დავთრის“ დრომდე ვერ მოაღწია. ისიც კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზემო ტებათიდან გადაარჩა უმნიშვნელო ნაწილი, რომელსაც პატარა ტებათი დაერქვა. გარდა ამისა, ზემო ტებათი და პატარა ტებათი რომ ამ ნაწილეს სხვადასხვა კუთხეში მდებარე პუნქტები იყოს, მაშინ ისინი ასეთი მსაზღვრელი სიტყვებით არ იქნებოდნენ ერთიმეორისაგან გარჩეული. ვფიქრობ ამ ორი სახელწოდების იდენტიფიკაციას არც ის უშლის ხელს, რომ მეორეჯერ (I 403, 435) ამ სიტყვის ბოლოს ა ასო გვაქვს და არა უ (აბა ო სბა); ძველ თურქულ ოროთგრაფიაში ხშირად არაბული უ ასო მცდერ „დ“ (ა)-საც გამოხატავდა<sup>3</sup>. ამგვარად შეიძლება ამ სახელწოდების თურქიზებული ფორმა დებად-ადაც. (←ტებათი←ტბეთი (?) კი წარმოითქმოდა. ამჟამად ფაქტი ის არის, რომ ამ პუნქტის სახელი რუკებზე თუ სხვა ლიტერატურაში .რუსულად ტრანსკრიბირებულია Тѣбат და Тибат-ად<sup>4</sup>, ხოლო რუსულ მსხვილმასშტაბიან რუკებზე (ალბათ შეცდომით)—Тобат-ად. მდებარეობს არტანის სანჯაყის მზვარის რაიონის დასავლეთ სექტორში (იხ. აქვე, რუკა), არტანიდან დაახლოებით 26 კილომეტრზე<sup>5</sup>. 1889 წელს ტებათში ნაჩვენებია 74 კომლიანი მოსახ-

<sup>1</sup> Н. Март, Жизнь... Дневник, გვ. 2.

<sup>2</sup> ვ. წ. სიაში (იხ. I გვ. 403 და II გვ. 393) ამ პუნქტის სახელი სულ გამოტოვებულია. ამიტომ ამ ადგილიდან ტექსტისა და „სიის“ №№ ერთმანეთს არ ვმთხვევა. ტექსტში სოფელთა ნომერი ერთი დიდია (იხ. ამის შესახებ შენიშვნა II, გვ. 393, სქოლიო 3).

<sup>3</sup> J. Deny, Grammaire de la langue turque, გვ. 75.

<sup>4</sup> Свод, 110, Список, 50; სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81г.

<sup>5</sup> Список, 50.

ლეობა<sup>1</sup>, „დავთრის“ მიხედვით კი ზემო ტებათში 33 კომლია. პატარა ტებათი ჩვენს დროში არ ჩანს. „დავთრის“ დროს ის შეიდკომლიანი სოფელია (ორი მუსლიმი და ხუთი ქართველი).

11. სოფ. ბერდაგული—برداگول (I 403, 418; II 393, 409). დიაკრიტული ნიშნის უქონლობისდა მიუხედავად, დაწერილობა კარგად იკითხება<sup>2</sup>. თითქოს სხვაგვარად არც შეიძლება მისი წაკითხვა. მაინც ამისი მსგავსი სახელი არც რუკებზე და არც სხვა წყაროებში ჯერჯერობით არ აღმოჩნდა. სოფელში აღრიცხულია 13 კომლი, რომელიც 12 000 ახჩითაა დაბეგრული.

12. სოფ. ლორი—لوري (I 403, 418; II 393, 410). მდებარეობს არტაანიდან დაახლოებით 13 კილომეტრის მანძილზე<sup>3</sup>, არტაანის ჩრდილო-დასავლეთით, სოფ. სარასგომის ახლო. 1889 წელს ლორისათვის ნაჩვენებია 10 კომლი მოსახლეობა<sup>4</sup>, ხოლო 1889 წ. აღრიცხულია 10 კომლი. „დავთრის“ დროის ლორში 20 კომლია, რომელსაც შეწერილი აქვს 10 000 ახჩა.

13. სოფ. ზემო ალაბალა—عليان (I 403, 419; II 393, 411), 27. სოფ. პატარა ალაბალა—كوجك آسليان (I 403, 427; II 393, 418), 67. იალალი პატარა ალაბალა—عليان كوجك (I 403, 449; II 394, 439). ალაბალას სახელით 1889 წელს გამოცემულ სტატისტიკურ ცნობათა შემცველ წიგნში ცნობილია ორი პუნქტი—Алабала верхн. и нижн. ოღონდ ორივე ეს პუნქტი ერთ ერთეულადაა აღრიცხული<sup>5</sup>; 1878 წელს აღნუსხულია ცალცალკე ზემო და ქვემო ალაბალა. „დავთრის“ დროს კი ყოფილა ზემო ალაბალა, პატარა ალაბალა და ცალკეა აგრეთვე აღნუსხული, ალბათ, ამ უკანასკნელის იალალი პატარა ალაბალა. ალაბალა მდებარეობს არტაანის დასავლეთით დაახლოებით 11 კილომეტრზე<sup>6</sup>. 1889 წლისათვის ზემო და ქვემო ალაბალისათვის 31 კომლია აღრიცხული, 1878 წ. ზემოში—13 კომლია, ქვემოში—3<sup>7</sup>. „დავთრის“ დროის ზემო ალაბალაში 7 კომლია და პატარა ალაბალაში 25 კომლი.

14. სოფ. ფახრელი = ქეაყრილი?—فخرلي—ارماك ან كسار სათესველით (I 403, 419; II 393, 411). მსხვილმასშტაბიან რუკებზე და სტატისტიკის წიგნებში Факрел<sup>8</sup>. მდებარეობს არტაანიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 5 კილომეტრის მანძილზე<sup>9</sup>. 1889 წლის ცნობით ფახრელში 34 კომლია<sup>10</sup>. „დავთრის“ მიხედვით კი 41. ფახრელის სათესველის ორივე სახელი ამოუ-

<sup>1</sup> Свод, 111.

<sup>2</sup> იხ. ხელნაწერი-დედანი. გვ. 396.

<sup>3</sup> Справк., გვ. 46.

<sup>4</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 807; Свод, 110, 111.

<sup>5</sup> Свод, 110; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 817.

<sup>6</sup> Справк., 44 (იხ. თანდართულ რუკაზე).

<sup>7</sup> Свод, 110, 111; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 817.

<sup>8</sup> Свод, 112.

<sup>9</sup> Справк., 50.

<sup>10</sup> Свод, 112.

კითხავი რჩება. თურქულსა და რუსულში ამ სახელის თავიკიდური ფ || ი, თან-  
ხმოვანი ქართულისათვის უცხო ზგერაა და ამიტომ ქართულ ტომონიმიურ  
სიტყვებში ეს ზგერა არ უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, აქ ჩვენ უნდა გვქონ-  
დეს სოფლის სახელად ქვაყრილი → თურქ.-რუს. فحر || Факр.тн. ფონე-  
ტიკურად შეუძლებელი არ არის, რომ ქვ კომპლექსნა ი, თანხმოვანი მოგვეცეს  
(ქ-ს ფუნინიერება გადაედო ვ სპირანტს და მომდევნო ყ-საც). ქვაყრილი-  
ნიმიტომ, რომ სწორედ ამ ზონაში ცნობილია არსიანის მთა „აწ ქვაყრილად  
წოდებული“<sup>1</sup>. ამ მთის კალთებზე ან ძირში უნდა ყოფილიყო ამავე სახელის  
სოფ. ქვაყრილი (შდრ. მთა მახვილო და სოფ. მახვილო ალა, აქვე, გვ.  
170, № 9). მაშასადამე, ქართული ქვაყრილი → უცხოური Факр.тн. (ასე-  
თივე ვითარება უნდა გვქონდეს ჩვენ ფოცხოვში — მზერის ნაჰიფე, სოფ. № 16,  
იხ. ზემოთ, გვ. 439).

15. სოფ. ქინძოტამალის რაბათი — كراة كراة (I 403,  
420; II 393, 412). Кинзотамал-ი არტაანიდან სამხრეთ-დასავლეთით 29 კილო-  
მეტრზეა<sup>2</sup>. სხვაგან ამ სოფლის სახელი Кинзотамал და Кинза-Тамал-ია<sup>3</sup>.  
ვფიქრობთ, რომ ქართულად ქინძოტამალი უნდა იყოს. 1878 წელს  
ქინძოტამალში 20 კომლია, ხოლო 1889 წ. 36 კომლი<sup>4</sup>. „დავთრის“ ქინძო-  
ტამალი საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა 45 კომლიანი მოსახლეობით. რო-  
გორც ირკვევა რაბათი ციხე-სიმაგრის ფარგლებში ის ადგილია, რომელზე-  
დაც თავმოყრილია სამოქალაქო მოსახლეობა. ჩვენ ზემოთ ბევრი შემთხვევა  
გვქონდა გვენახა, რომ ციხე და რაბათი უშთაერესად ერთად იხსენიება. ამ  
შემთხვევაში ქინძოტამალი დასახლებულია როგორც რაბათი. ეს იმას ნიშ-  
ნავს, რომ ქინძოტამალის ციხე ამ დროს უკვე გაუქმებულია, ხოლო ციხეს-  
თან დასახლებულ ადგილს რაბათის სახელი შერჩა<sup>5</sup>.

16. სოფ. მეიდან-ი — میدان (I 403, 421; II 393, 413). დაწერილობას  
დიაკრიტული ნიშანი არა აქვს, მაგრამ ასოების მოხაზულობა კარგად ირჩევა  
და, ვფიქრობ, მეიდანად უნდა იკითხებოდეს. ასეთი სახელწოდებით ერთი  
პუნქტი ჩვენ ვრცლად გვაქვს განხილული ამ წიგნის 85-89 გვერდებზე (უღის  
ნაჰიფე). ამ მეიდანზე ცნობები არა გვაქვს. ხუთკომლიანი სოფელია 8 000  
ახწა გადასახადით.

17. სოფ. შადევანი — شادان (I 403, 422; II 393, 413). Шадеван-ი  
მდებარეობს 20-21 კილომეტრზე არტაანიდან<sup>6</sup>, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით  
(იხ. რუკებზე). 1878 წელს შადევანში ირიცხება 40 კომლი, 1889 წ. — 87,

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა... 128, 132; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. II. გვ. 56; აღ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, 186, 167.

<sup>2</sup> Список, 46.

<sup>3</sup> Свод, 110.

<sup>4</sup> იქვე; სტია, ფ. 415. ს. 12. გვ. 81r.

<sup>5</sup> ჯერჯერობით რაბათზე იხ. ჩვენი ავტორგუფრატის: Пространственный рисунок населения Гурджистан, тб., 1956, გვ. 16.

<sup>6</sup> Список, 52.

<sup>7</sup> სტია, ფ. 415. ს. 12. გვ. 81r; Свод, 110. 111.

ხოლო „დავთრის“ დროის შადღევანში 59 კომლია აღრიცხული. ეს იმ დროისათვის დიდი სოფელია, რომელიც იხდის 10 000 ახნა გადასახადს.

18. სოფ. არდანა—اردان (I 403, 423; II 393, 414). ეს უთუოდ ის პუნქტია, რომელიც ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია Арданяк-ად (არტანიდან სამხრეთით, ქინძოტამალ და სინდისგომ სოფლებთან). Арданяк-ი არდანაკის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს, ხოლო ახალი ქართული არდანა ძველი არდანაკიდან უნდა მომდინარეობდეს (შდრ. აგარაკი → აგარა). არდანაში 16 კომლია, რომელსაც შეწერილი აქვს (ისევე როგორც 59 კომლიან შადღევანს) 10 000 ახნა.

19. სოფ. მანიოხი—مانوخ (I 402, 423; II 393, 415). მანიოხი არტანიდან 17 კილომეტრის მანძილზე<sup>1</sup> მდებარეობს, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ზოგ რუკაზე (მაგალითად, ევროპ. რუსეთის სპეცრუკაზე) შეცდომით Мангох-ი წერია. 1878 წელს მანიოხში აღრიცხულია 5, 1889 წელს—16 კომლი<sup>2</sup>, ხოლო „დავთრის“ მიხედვით მასში 15 მოსახლეა.

20. სოფ. თორა (?)—تورا (I 402, 424; II 393, 415). დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები არა აქვს და მისი ამოკითხულობა უნარესად პირობითია. ამ სოფლის შემდეგ აღწერილია თოროსხევი. ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს არის სოფელი თორა, ან თორო (თურქულში მეორე და მომდევნო მარცვლის „ო“ ხმოვანი ჩვეულებრივ „ა“ს იძლევა) და იქვე ახლო კიდევ სოფ. თოროსხევი. 20 კომლიანი სოფელია.

21. სოფ. პატარა თოროსხევი—تورسخو كوچك (I 402, 424; II 393, 416), 43. სოფ. დიდი თოროსხევი—تورسخو بزرگ (I 402, 437; II 394, 428), 44. სოფ. შუა თოროსხევი—تورسخو وسط (I 403, 438; II 394, 429). ამრიგად „დავთარში“ ამ რაიონისათვის ფიქსირებულია თოროსხევის სახელით 3 სოფელი—პატარა, დიდი და შუა თოროსხევი. ჩვენ დრომდე მოაღწია მხოლოდ ორმა თოროსხევმა: Торосхев Верхний, Торосхев Нижний<sup>3</sup>, ზოგან წერია Тарасхев-ი<sup>4</sup>, რაც აბსოლუტურად არაა სწორი („დავთარში“ პირველი ორ ასოს შემდეგ „ვაი“ გვაქვს, რაც არავითარ შემთხვევაში „ა“დ არ იკითხება ... تور). აღსანიშნავია აგრეთვე ხეც სიტყვის სხვადასხვა ორთოგრაფიით დაწერილობის ფაქტი: პირველ შემთხვევაში تورسخو-ია, ხოლო შემდეგ ორივეჯერ تورسخو-ი. ჩვენ არ ვიცით აწინდელი ზემო და ქვემო თოროსხევი რა შესაბამისობაშია „დავთრის“ პატარა და დიდ თოროსხევთან, ან რა იქნა შემდეგში „დავთრის“ შუა თოროსხევი (ეს საკითხები ადგილზე უნდა გაირკვეს). მაგრამ რუკების მიხედვით თოროსხევების მდებარეობა საეხებით ნათელია: არტანიდან დასავლეთით ზემო თოროსხევი

<sup>1</sup> Список, 46.

<sup>2</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 80წ; Свод, 110, 111.

<sup>3</sup> Список, 50; Свод, 110.

<sup>4</sup> Свод, 110.

დაახლოებით 21 კილომეტრზეა, ხოლო ქვემო თოროსხევი—19 კილომეტრზე<sup>1</sup>. 1889 წელს ზემო თოროსხევი—14 კომლია, ხოლო ქვემოში—44<sup>2</sup>. „დაყთრის“ დროის თოროსხევეები საკმაოდ დიდი სოფლებია: პატარა თოროსხევი 33 კომლია, დიდში—45, ხოლო შუაში—10.

22. სოფ. პატარა სიგლაშენი—كوشلین (I 402, 425; II 393, 416), 62. სოფ. დიდი სიგლაშენი—كوشلین بزرگ (I 403, 448; II 394, 438). მე ვფიქრობ, რომ არტანის დასავლეთით, აგრეთვე თოროსხევის დასავლეთით რუკებზე ЗИГЛАШЕН-ად აღნიშნული პუნქტი სწორედ ეს პატარა და დიდი სიგლაშენი უნდა იყოს. ამ სახელწოდების საგლაშენად ამოკითხულობა საეპოქო იყო და ჩვენ ეს სიტყვა ქართულად კითხვითი ნიშნით გვაქვს დაბეჭდილი. მაგრამ რუკებზე ყველგან ЗИГЛАШЕН-ი გვაქვს და ამიტომ ამჟამად უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია كوشلین-ის სიგლაშენად წაკითხვა (II წიგნი შესაბამისად უნდა შესწორდეს). რაც შეეხება თავიდან „ს“ თანხმოვანს, ის შეიძლება სხვა ენობრივ კოლექტივში გამჟღერდა და ЗИГЛАШЕН-ი მოგვეცა. სამწუხაროდ ამ პუნქტზე ჯერჯერობით სხვა მასალა არა გვაქვს. „დაყთარში“ ორი სიგლაშენია, მაგრამ შემდეგდროინდელ მასალებში ერთი ჩანს; 1878 წლის ЗИГЛАШЕН-ში მხოლოდ ორი კომლია აღრიცხული<sup>3</sup>.

23. სოფ. სირასგომი—سرازگوم (I 402, 425; II 393, 416). უთუოდ ანგარიშგასაწევი ის ფაქტი, რომ ოფიციალური სტატისტიკური მასალების შემკველი გამოცემები ამ სოფლის სახელად ი-ნიან ფორმას იძლევიან—Сиразгем<sup>4</sup>. سرازگوم-ი, რა თქმა უნდა, სირასგომ-ადაც შეიძლება წაკითხულ იქნეს. ახლა სირასგომი უფრო მისაღებად მიმაჩნია (II წიგნი ამ თვალსაზრისით უნდა შესწორდეს). უფრო მეტიც: სირასგომში „ზ“ თანხმოვანი გამჟღერებულია „გ“ მღერის წინ და სირასგომი სირასგომი-დან მოდის (=ქართული—სირას გომი; სირა საკუთარი სახელი იყო; შდრ. სირაძე←სირას-ძე). სირასგომ სიტყვის მეორე კომპონენტი გომ-ი თურქულ წარმოთქმაში უნდა ყოფილიყო güm, რაც რუსულ ტრანსკრიფციაში კანონზომიერად гэм-ადაა ვადმოცემული (Сиразгем<sup>5</sup>). თურქული ენა ნასესხები სიტყვების ველარულ „გ“ (და „ქ“) თანხმოვნებს საერთოდ აპალატალებს (სპარსული „კ“ (=gh) → „გ“=gh—ადგილი)<sup>6</sup>. ასევე უნდა აპალატალებულ-

<sup>1</sup> Спикок, 50.

<sup>2</sup> Свод, 110, 111.

<sup>3</sup> ძირითად ტექსტში ამ ადგილას (დაეთარი, I, გვ. 448, № 62) كوشلین სიტყვა გამოტოვებულია კორექტორის დაუდევრობით.

<sup>4</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 80v.

<sup>5</sup> Свод, 110; Спикок, 46.

<sup>6</sup> ამდენად „ეპოქა. რუსეთის სპეცრუის“ Сиразгем-ი შეცდომა უნდა იყოს.

<sup>7</sup> Свод, 110.

<sup>8</sup> J. Deny, Grammaire de la langue turque, გვ. 85 (შდრ. ჩვენი: კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, თბილისი, 1946, გვ. 397.

იყო გომ სიტყვაში გ: გომ→გ'იოი→გ'ნიი→რუს. гѸм. სირასგომი მდებარეობს სოფ. ლორთან ახლო, მისი სამხრეთით (იხ. ევროპ. რუსეთის სპეც-რუკა) და არტანუბანთან დაახლოებით 16 კილომეტრის მანძილზე<sup>1</sup>. 1889 წ. სირასგომში 12 კომლია ნაჩვენები, 1878 წელს—5<sup>2</sup>, ხოლო „დავთრის“ დროს მასში 16 მოსახლეა.

24. სოფ. ზანასგომი—ژانازكوم (I 402, 426; II 393, 417). ეს დაწერილობა მთლიანად დიაკრიტიკონიანიანი<sup>3</sup> და ამდენად ამოკითხულობაც უთუოდ სწორია. ოღონდ ეს სოფელი XIX-XX საუკუნის არც საარქივო და არც სხვა მასალებში არ გვხვდება. ზანასგომი „დავთრის“ დროს 13 კომლიანი სოფელია. ზანაზგომ სიტყვა შეიძლება, როგორც სირასგომი→სირაზგომი, ადრე ზანასგომი (ზანასგომი) იყო.

25. სოფ. კუნზულუტი წმინდამარინე სათესველითურდ—كوزولو مارينه ...ع (I 402, 426; II 393, 417). ასე Кунзулут-ადაა ამ სოფლის სახელი ფიქსირებული „ევროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ და სხვაგანაც<sup>4</sup>. კუნზულუტი მდებარეობს მზვარის რაიონის უკიდურეს ჩრდილოეთის ზღვარზე (იხ. ევროპ. რუსეთის სპეცრუკა). 1889 წელს კუნზულუტში 19 კომლია<sup>5</sup>, „დავთრის“ დროს კი 21 მოსახლეა აღწერილი. სათესველი წმინდამარინე, ალბათ, კუნზულუტთან ახლოა.

26. სოფ. კასაკო—უკან სათესველით (I 402, 427; II 393, 418). ამ პუნქტის სახელის ამოსაკითხავად ჩვენ ჯერჯერობით ვერავითარი დამატებითი მასალა ვერ მოვიპოვეთ. ხუთკომლიანი პატარა სოფელია.

27. სოფ. პატარა ალაბალა (იხ. ზემოთ № 13—სოფ. ზემო ალაბალა).

28. სოფ. ზემო გელაზორი—علجوز (I 402, 428; II 393, 419).

46. სოფ. ქვემო გელაზორი—سفلا علجوز (I 403, 439; II 394, 430). ზემო გელაზორი (←გელაძორი?). „დავთრის“ დროის უკვე უკაცრიელი სოფელია, ხოლო ქვემო გელაზორში 16 კომლია აღრიცხული. ამ სოფლების კვალს ჩვენ ვერ მივაგენით ვერც რუკებზე და ვერც სხვა რომელიმე წყაროში.

29. სოფ. ლუმეთი (?)—عوميت (I 402, 428; II 393, 419). ამ დაწერილობას არავითარი ნიშანი დასმული არა აქვს და მისი ამოკითხულობა მხოლოდ სავარაუდოა. შვიდკომლიანი სოფელია.

30. სოფ. ფიჩხასგომი—فخازكوم (I 402, 428; II 393, 420). ფიჩხასგომი სიტყვაში „გ“ თანხმოვნის წინ უნდა იყოს „ს“ გამჟღერებული და ნამდვილი ქართული სახელი ამ სოფლისა, ალბათ, ფიჩხასგომი იყო.

<sup>1</sup> Список, 48.

<sup>2</sup> სცია, თ. 415, ს. 12, გვ. 81r; Свод, 110.

<sup>3</sup> იხ. დედანი, გვ. 404.

<sup>4</sup> Список, 46; Свод, 110 და სხვ.

<sup>5</sup> Свод, 110, 111.

ერთ-ერთ ოფიციალურ სტატისტიკურ კრებულში ამ სახელწოდების მეორე ვარიანტად სწორედ Пичхасгеми გვაქვს<sup>1</sup> (ქართული ფიჩხასგომი→თ. Pichhasgeomi→რუს. Пичхасгеми || Пичхасгеми—ამის შესახებ იხ. ზემოთ № 23, სოფ. სირაზგონი). ფიჩხასგომს არტაანიდან დაახლოებით 13 კილომეტრზე უჩვენებენ<sup>2</sup>, არტაანიდან დასავლეთით, სოფ. ალაბალასთან. 1889 წელს ფიჩხასგომში 47 კომლია<sup>3</sup>.

31. სოფ. ადაგული—اداجو (I 402, 429; II 393, 420). ყველა მსხვილ-მასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია—Адагиян, არტაანთან ძლიერ ახლო—12 კილომეტრზე<sup>4</sup>. 1889 წ. ადაგულში 16 კომლია ნაჩვენებია<sup>5</sup>, ხოლო „დავთრის“ დროს მასში აღწერილია 27 მოსახლე.

32. სოფ. გურა—گورا (I 402, 430; II 394, 421). „დავთრის“ დროს ვეებერთელა სოფელი ყოფილა; ამ სოფელში აღრიცხულია 133 კომლი. მით უფრო საკვირველია ამ სოფლის დაკნინება შემდეგ ხანებში. ერთ-ერთი რუკიდან, რომელიც ახლა არა მაქვს; ამ სოფლის სახელად ამოზიწვრია Гора და იქვე შევნიშნავ, რომ ეს პუნქტი სოფ. ალაბალას ქვემოთაა. Гора გვაქვს აგრეთვე არქივის მასალაში, სადაც იგი ექვს კომლიან სოფლადაა აღრიცხული<sup>6</sup>. Гора თურქიზებული გურაა.

33. სოფ. მიმრანი—ميران (I 402, 432; II 394, 423). ამ პუნქტზე არავითარი ცნობა არა მაქვს. ამჟამად შე ამ დაწერილობის მიმრანი-ად ამოკითხვა არ მაკმაყოფილებს. სოფელში აღრიცხულია 40 კომლი, რომელზეც შეწერილია 15 500 ახჩა.

34. სოფ. სარწების იალაღი—يارق سارزاب (I 402, 433; II 394, 423). ამ პუნქტის სახელს სხვადასხვა დაწერილობა აქვს: ძირითად ტექსტში აბარ-ია<sup>7</sup>, ხოლო ე. წ. სიაში აბარ-ია<sup>8</sup>, რაც კალმის შეცდომა უნდა იყოს. II წიგნის (ქართული თარგმანის) ამ ადგილას ზარზაბი შეცდომითაა დაბეჭდილი, ე. ი. I-ის 403-ე გვერდზე აბარ-ია და II წიგნის 394-ე გვერდზეც ზარზაბი რომ წერია, სწორია; მაგრამ აქ (ე. ი. ძირითად ტექსტში) სარზაბი უნდა იყოს. ვფიქრობ, რომ აბარ-ია ამავე რაიონში 54-ე პუნქტად აღწერილი დიდი სოფლის აბარ-ის (რასაც ჩვენ ახლა სარწებ-ად ვკითხულობთ) იალაღი უნდა ყოფილიყო. ამ სოფელზე ჩვენ სპეციალურად შეეჩერდებით და იქვე გავარჩევთ ამ პუნქტის საერთო სახელს (იხ. ქვემოთ № 54; II წიგნში ეს სახელი სარწებ-ად უნდა გასწორდეს).

<sup>1</sup> Свод, 110.

<sup>2</sup> Список, 48.

<sup>3</sup> Свод, 110, 111.

<sup>4</sup> „ვერობ. რუსეთის სპეტრუა“; Список, 44.

<sup>5</sup> Свод, 110, 111.

<sup>6</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v.

<sup>7</sup> იხ. დედანი, გვ. 421.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 378.

35. სოფ. ქალაქ შენი—كشك (I 402, 433; II 394, 423). თანხმოვანს დიაკრიტიული ნიშანი აქვს და ამოკითხულია, ვგონებ, კარგად. ასეთი პუნქტი არსად იხსენიება. სოფელში აღრიცხულია 17 კომლი, რომელიც დაბერლია 5 200 ახით.

36. სოფ. პატარა ტყისთავი—كوجك (I 402, 433; II 394, 424), 48. სოფ. დიდი ტყისთავი بزرگ (I 403, 440; II 394, 431), 58. სოფ. ტყისთავი ديفستا (I 403, 447; II 394, 437). დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები არა აქვს, მაგრამ მისი ამგვარად წაკითხვის სრული შესაძლებლობა არსებობს. ტყისთავ სიტყვა თურქულად სწორედ ასე უნდა დაიწეროს; რადგანაც: „ტ“ მკვეთრი გადმოიცემა შესატყვისი მკლერი ა (დ) თანხმონით, „ყ“—შესაბამისი „ღ“ თანხმონით, ტყ→დღ ორ თანხმოვანს შორის გაჩნდება თანხმოვანთა გამყარი „ი“ (ى)—დილ(ი)სთავ || ديفستا- მართალია, ვიდრე ამ პუნქტის შესახებ სათანადო მასალა არ აღმოჩნდება, ეჭვი მაინც იქნება. მაგრამ ამემად მე მჯერა, რომ ამ სოფლების სახელია ტყისთავი (პატარა და დიდი). პატარა ტყისთავი „დავთრის“ დროს უკვე გაუცარიელებულია, ხოლო დიდ ტყისთავში 14 კომლი ირიცხება.

გარდა ამისა, არის აგრეთვე სოფელი, ვთქვათ, საკუთრივ ტყისთავი, რომლის აღწერისას სპეციალური შენიშვნაა, რომ ეს გამოცალკეებულია დიდი და პატარა ტყისთავისაგან. ეს ტყისთავი გაუცარიელებულია. ამ ტყისთავთან ნათქვამია, რომ ტყისთავები სოფ. ტებათთან მდებარეობენ. ტებათის მდებარეობა კი ცნობილია (იხ. ზემოთ სოფელი № 10). I-სა და II წიგნებში კითხვითი ნიშნები, ჩანს, უნდა მოიხსნას.

37. სოფ. მახლავური (?) ჯიდალაურ (?) და კალაჯიკ სათესველებით—كلاجر (?) و كلاجيک (?) (I 402, 433; II 394, 424). დაწერილობას ნიშნები არა აქვს. ამდენად ამოკითხულობა უაღრესად პირობითია და უკვე დაბეჭდილებში (I და II წიგნები) უკეთესია კითხვითი ნიშანი იყოს. ამ პუნქტზე ცნობები არა გვაქვს. სოფელში 14 კომლია. სოფელთან დასახელებულია ორი სათესველი: პირველის სახელის პირველ კ ასოს დიაკრიტი ნიშანი უზის და ამიტომ ის იხსნება კلاج-ად, რაც ჯიდალაურ ან კიდალაური, ჯიდალაურ ან კიდალაურია. მეორე სახელს სრულებით არა აქვს განმასხვავებელი ნიშანი, მაგრამ ეს თურქული სახელია—كلاجيک და მისი ამოკითხვა კალაჯიკ-ად (დიალექტური ყალაჯუხ-ი) სავსებით მართებული უნდა იყოს.

38. სოფ. კანდრიდი—كاندريد (I 402, 434; II 394, 425). დამწერლობას განმასხვავებელი ნიშნები სრულებით არა აქვს. ამ სოფლის სახელის განარდი-დად ამოკითხულობა საეჭვო იყო და I-სა და II წიგნებში კითხვითი ნიშნით გვაქვს დაბეჭდილი. ჩვენ ახლა შევეცადეთ კიდევ დავკვირვებოდით ამ დაწერილობას და გაარკვეა, რომ „უფრო სწორი იქნება ამ მოხაზულობის ასეთი გააზრება: كاندريد, რაც, უეჭველია, იკითხება კანდრიდი-ად (პირველი კ ასო გამოხატავს მეღერ „გ“ თანხმოვანს, რითაც ჩვეულებრივ



ქართული მკვებრი „კ“ ბგერაა გადმოცემული; ქ-ს მოსდევს ერთი კბილი, რომელიც ზემოდან წერტილით კ-დ იკითხება; შემდეგ სიმაკათის ხელის ტიპური ა (დ) და რ (რ) ასოები და ბოლოს ცალკე ც და ა)<sup>1</sup>. მართლაც მსხვილმასშტაბიან რუკებზე (ხუთვერსიანი და სხვ.) ყველგან არტაანის სამხრეთ-დასავლეთით ტიკაშენის ნასოფლართან ნაჩვენებია Р(аааааааа) А(срсрррр) Кандриг. ამიტომ „დავთრის“ ამ დაწერილობით სწორედ ამ პუნქტის სახელი უნდა იყოს გადმოცემული. XIX საუკუნეში შედგენილ რუკებზე ეს პუნქტი უკვე ნასოფლარადაა აღნიშნული. „დავთრის“ დროს კი საკმაოდ დიდი სოფელია, რომელშიც 34 კომლია აღრიცხული და რომელსაც შეწერილი აქვს 11 000 ახჩა.

39. სოფ. ტამალი—Тамал (I 402, 435; II 394, 426). პატარა, ცბრა-კომლიანი სოფელია. არტაანის შუარის რაიონის მიდამოებში რუკებზე ასეთი სოფელი აღნიშნული არ არის. არტაანის ჩრდილისა და ტყე-რაიონებში კი ტამალის სახელწოდებით ოთხი სოფელია: პატარა ტამალი (იხ. ქვემოთ ჩრდილის რაიონი, № 31), დიდი ტამალი (იხ. ქვემოთ ტყე-რაიონი, № 34), ქვემო ტამალი (იხ. იქვე, № 87) და პატარა ტამალი (იქვე, № 100). ჩანს, ამ რაიონის სოფ. ტამალი შემდეგში დაზარალებულა, რომ ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია 40. სოფ. პატარა ტებათი (იხ. ზემოთ სოფ. № 10 — ზემო ტებათთან).

41. სოფ. Երզրայ ქინძოტამალთან (I 402, 436; II 394, 426). როგორც II წიგნის 426-ე გვერდზეა შენიშნული, ამ სახელის დაწერილობა „სიაში“ ოდნავ განსხვავებულია: იქ Երզրა-ი წერია (დედანი, გვ. 378, № 40). ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტი ამ სახელისა იქნება—ყურულაური, თუ „ძირითადი ტექსტის“ დაწერილობიდან გამომავლად—ყურულარი. ამ სოფელში მოსახლეობა ნაჩვენებია არ არის (არც ისაა შენიშნული, რომ „ცარიელია რეჟეან-საგან“). ამ ნასოფლარის მდებარეობის დასადგენად ძიება ქინძოტამალის მიდამოებში უნდა წარიმართოს.

42. სოფ. დადაგული—Кодаа (I 402, 436; II 394, 427). რუსულ რუკებზე და გამოცემებში Дадзюла-ია<sup>2</sup>; გვხვდება Дадзюла-ი<sup>3</sup>. მდებარეობს არტაანის დასავლეთით დაახლოებით 11 კილომეტრზე<sup>4</sup>. „დავთრის“ დროის დადაგული საკმაოდ დიდი, 45 კომლიანი სოფელია; 1878 წელს კი მასში 24 კომლი ირიცხება<sup>5</sup>.

43. სოფ. დიდი თოროსხევი (იხ. ზემოთ სოფ. № 21. პატარა თოროსხევი).

44. სოფ. შუა თოროსხევი (იხ. ზემოთ სოფ. № 21. პატარა თოროსხევი).

<sup>1</sup> იხ. ხელნაწერი-დედანი, გვ. 412.

<sup>2</sup> Спирок, 46; Свод, 110.

<sup>3</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81რ.

<sup>4</sup> Спирок, 46.

<sup>5</sup> სტია, ფ. 415. ს. 12, გვ. 81რ.

45. სოფ. შუაეკლესია — شواى كلیا (I 403, 439; II 394, 429). ასეთი სოფლის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს. „ვეროპ. რუსეთის სპეცრუკიდან“ (99) აღომიწერია, რომ Шваклияს მდებარეობს სოფ. ალაბალასთან (ალაბალა კი არტაანთან ახლოა, მისი ჩრდილო-დასავლეთით). შუაეკლესია 38 კომლიანი სოფელია.

46. სოფ. ქვემო გელაზორი (იხ. ზემოთ სოფ. № 28—ზემო გელაზორი).

47. სოფ. ხევა — خوا (I 403, 440; II 394, 430). „დავთრის“ დროს 17 კომლიანი სოფელია; 1878 წელს ხევაში 4 კომლია, ხოლო 1889 წელს კი 71. მდებარეობს სირასგომთან და ლორთან ახლო, არტაანიდან დაახლოებით 17 კილომეტრის მანძილზე<sup>1</sup>. მსხვილმასშტაბიან რუკებზე Хева ყველგან აღნიშნულია.

48. სოფ. დიდი ტყისთავი (იხ. ზემოთ სოფ. № 36—პატარა ტყისთავი).

49. სოფ. ყადა (I 403, 441; II 394, 431). დამწერლობას ნიშნები არა აქვს და მის ამოსაკითხავად სხვა მასალა ჯერჯერობით არ ჩანს. ცხრაკომლიანი სოფელია, რომლისგან შემოსავალი 5 000 ახჩას უდრის.

50. სოფ. ანბარაკი მალისა (?) სათესველით — انبارك مع اغسا (I 403, 441; II 394, 432). დიდი სოფელია, რომელშიც 77 კომლია აღწერილი. შეწერილი აქვს 35 000 ახჩა ვადასახადი. „ვეროპული რუსეთის სპეცრუკაზე“ (99) არტაანს ზემოთ აღნიშნულია Амбарак-ი, ხუთფერსიან რუკაზე კი Род(ник) Амберякский. უფრო ახალ რუკებზე და სტატისტიკური მასალის შემცველ წიგნებში ეს სოფელი არ იხსენიება. სოფელთან აღწერილი სათესველის სახელი შესაძლებელია მალისა იყოს.

51. სოფ. რევაზისი رواسا 'სათესველით — رواخس (I 403, 443; II 394, 433). თითქოს ამოკითხულია სწორად, მაგრამ ასეთი სახელწოდების პუნქტი არც რუკებზე და არც სხვა წყაროებში არსად არაა. სამაგიეროდ ყველა რუკაზე თოროსხევეს ზემოთ აღნიშნულია Р. Д. Реваз. სხვა სტატისტიკური ხასიათის ოფიციალურ მასალებშიც Реваз-ი გვაქვს<sup>2</sup>. რევაზი არტაანის დასავლეთით 18 კილომეტრის მანძილზეა ნაჩვენები<sup>3</sup>. „დავთრის“ დროს ან სოფელში 25 კომლია. რადგანაც რევაზ სიტყვის პირველ ნახევარზე მეტი ემთხვევა „დავთრის“ رواخს დაწერილობას, შეიძლება კაცმა იფაქროს რუკების რევაზი შეცდომით رواخს დაწერილობით გადმოცემული პუნქტია. სოფელთან დასახელებული სათესველის სახელი ამოუკითხავად რჩება.

52. სოფ. ურუმი, ქინძოტამალთან — اوروم (I 403, 444; II 394, 434). ახლა რომ ვაკვირდები დაწერილობას, თითქოს შეიძლება II წიგნში კითხვით:

<sup>1</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81r; Свод, 110, 111.

<sup>2</sup> Список, 52.

<sup>3</sup> Список, 48; Свод, 110 (ამ უკანასკნელში Реваз ვარიანტიცაა მოცემული).

<sup>4</sup> Список, 48.

ნიშანი მოვხსნათ და ამ სოფლის სახელი დაჯერებით ურუმ-ად წავიკითხოთ. გაუჟაკრივლებულა, რომელსაც 3 000 ახჩა აქვს შეწერილი. ეს ნასოფლარი ქინძოტამალთან უნდა მოიძებნოს. ურუმ ამ *urum←rum*-ს თურქები ეძახიან ანატოლიელ ბერძნებს, რომლებთანაც შეიძლება კავშირში იყოს ამ სოფლის სახელი.

53. სოფ. თაგურეთი, მეორე სახელი—თაგეთი *تاوريت || تاوريت* (I 403, 444; II 394, 434). ამ სოფელს ორი სახელი ჰქონია. I და II წიგნი უკვე დაბეჭდილი მქონდა, რომ არქივის მასალებში შევნიშნე ამ ზონაში მდებარე ერთი სოფლის სახელი *Taurit*-ი.<sup>1</sup> მე ახლა უნებკლად მიმაჩნია, რომ მეორე სახელის ბოლოს კ ასო კი არაა, *ت* ასოა და გეაქვს არა *تاوريت* მოხაზულობა, არამედ *تاور*, რომელიც *تاور*-ად უნდა წავიკითხოთ? (ჩვენ ვიცით, რომ სიდაქათის დამწერლობაში ბოლოკიდური *ت* და *ت* ერთნაირად იწერება). თუ სოფლის მეორე სახელი თაგეთ-ად იკითხება, მაშინ პირველი სახელი—*تاور*, უთუოდ თაგურეთ-ია (*تاوريت*). შესაძლებელია პირველი სახელი თაგურეთი გადაგვარდა სხვა ენობრივ წრეში და თაგეთი მოგვცა. ამრიგად ამ პუნქტის სახელი ასე უნდა იკითხებოდეს: „სოფ. თაგურეთი, მეორე სახელი თაგეთი“ (←თაგეთი). თაგურეთი ათკოძლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 7 499 ახჩა. 1878 წელს თაგურეთ-თაგეთში მხოლოდ 1 კომლია აღნიშნული<sup>2</sup>.

54. სოფ. სარწები — „სოფლის ეკლესიის“ სათესველით თამრასორ იალალითა და მარქარის (?) ტბითურთ (?) *و سارزاس مع مزرعة كلب قريه و سارزاس طراسور مع كولي (?)* (I 403, 444; II 394, 434). ეს არის იმ დროისათვის ვეებერთელა სოფელი, რომელიც 159 კომლს შეიცავს. თავის დროზე მე ვერ გავითვალისწინე, რომ ამ სიტყვაში *ز* (ზ) ასოთი შეიძლებოდა ქართული მკვეთრი „წ“ თანმოვანი ყოფილიყო გამოცემული (შდრ. ზემო-განხილული წინწალი→თურქ. ზინზალი). მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება პუნქტი სარწები, რომელიც აგრეთვე არტანის მხარეში მდებარეობდა“<sup>4</sup>. ანიტომ უეჭველი უნდა იყოს „დავთრის“ *سارزاس* (სარზაბ)-ისა და გ. მერჩულის სარწების ერთი და იგივეობა (შდრ. ახოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა, პოვა ერთი ვინ-მე ვითარცა ლუარძლი სარწებს აღმოცენებული დიაკონებასა შინა...)<sup>5</sup>. ოღონდ უნდა შეინიშნოს, რომ თურქ მოხელეს შეცდომით სარწების ნაცვლად სარწაბი (სარზაბ) ჩაუწერია. ამრიგად თურქული სარწებ საეცებით კანონზომიერი გადმოცემა ქართული სარწებისა. XIX საუკუნეში სარწებში რუსი-სექტანტები იქნა ჩასახლებული და სოფელს ახალი სახელი

<sup>1</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81r.

<sup>2</sup> იხ. დედანი, გვ. 421.

<sup>3</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81r.

<sup>4</sup> პ. ინვოროყვა, გიორგი მერჩულე—ქართული მწერალი მეთავე საუკუნისა, გვ. 392.

<sup>5</sup> H. Mapp, *Житие св. Григория Хандзтийского*, პეტერბურგი, 1911, თავი ივ.

შეარქვეს—Николаевка. ამიტომაც, რომ რუკებზე (მაგალითად, ხუთეგრისიანზე) ამ პუნქტის სახელად Николаевка წერია და ფრჩხილებში მოცემულია მისი ძველი თურქიზებული Сарзენ სახელი (შდრ. Свог...-ის ცნობა: Николаевка—Сарзен). სარწები არტაანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 კილომეტრის მანძილზეა ნაჩვენები<sup>1</sup>. აკად. ნ. მარი არტაანიდან შევშეთში გადასვლისას სწორედ ამ მზვარის (რაიონის) მიმართულებით მივმგზავრება. წვიმის გამო ის ჯერ ჩერდება სარწებში, შემდეგ გადადის დაგირმანში (იხ. აქვე ზემოთ სოფ. № 6—წისქვილის-ხევი, რომელიც, როგორც რუსული რუკებიდან ჩანს, თურქებს Дагирманкей-დ, ნ. მარით—Дагирман-ად უთარგმნიათ). ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარი, ვფიქრობ შეცდომით, ამ სოფლის ქართულ სახელად Сарзевარ-ს წერს, ხოლო Николаевка-ს ნაცვლად—Ново-Николаево-ს<sup>2</sup>. სარწებში (ნიკოლაევკა) 1889 წელს აღრიცხულია რუსი სექტანტების 66 კომლი<sup>3</sup> (ახვა მოსახლეობა უკვე აღარაა). სარწებთან იხსენიება: სოფელი, რომელსაც თითქოს „სოფლის ეკლესია“ რქმევია, იალალი—თამრასორის იალალი და მარქარის (?) ტბა (?) (უკანასკნელი ობიექტის ამოკითხვა ძლიერ საეჭვოა). II წიგნში ამ სოფლის სახელი სარწებად უნდა გასწორდეს.

55. სოფ. ტიკაშენი—تیقاآباد (I 403, 447; II 394, 437). ეს ის პუნქტია, რომელიც არტაანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და რუკებზე აღნიშნულია როგორც ნასოფლარი—P. Д. Тикашен (ნასოფლარ Кандритთან ახლო). „დავთრის“ დროის ტიკაშენში 3 კომლია აღწერილი, ხოლო 1878 წ. მასში ირიცხება 6 კომლი<sup>4</sup>.

56. სოფ. ტყემლობი—تقوآباد (I 403, 447; II 394, 437). აღრიცხულია უკაცრიელ სოფლად, რომელსაც 6 000 ახჩა აქვს შეწერილი. სახელწოდება სწორად უნდა იყოს ამოკითხული. ცნობები ამ სოფლის მდებარეობისა და სხვათა შესახებ არა გვაქვს.

57. სოფ. ანორელი (I 403, 447; II 394, 437). სოფლის სახელი ამოუკითხავი რჩება.

58. სოფ. ტყისთავი დიდი და პატარა ტყისთავის გამორიცხვით, სოფ. ზემო ტებათთან—تقوآباد (იხ. ზემოთ სოფელი № 36).

59. სოფ. ხერენკი სოფ. ბებერეკის ზემოთ—خرنکی (I 403, 447; II 394, 437). დამწერლობას დიაკრიტული ნიშნები აქვს, ოღონდ ცოტათი სადავოა მეორე ა (დ) ასოა, თუ რ (რ). თ. ა. თქოს უფრო (რ) უნდა იყოს<sup>5</sup>. მაშინ ხერენკი (შეიძლება ხერენგი და სხვ.) გამოდის. კ. ოდიშარიამ (მარტილელმა) თავის

<sup>1</sup> Свод, 110.

<sup>2</sup> Список, 48; შდრ. პ. ინგოროვცა, გ. მერჩულე—ქართული მწერალი მეთე საუკუნისა, გვ. 392 (სქოლიო 1).

<sup>3</sup> Жизнь св. Григория ... Дневник, გვ. 2.

<sup>4</sup> Свод, 110.

<sup>5</sup> სცია, თ. 415, ს. 12, გვ. 81r.

<sup>6</sup> იხ. დედანი, 424.

დროზე ჩვენი თხოვნით ჩაზოწერა არტანის ოლქის სოფლების სია<sup>1</sup>, რომელ-შიც ერთ ადგილას ჩაწერილია სოფ. მხკერეკი. შესაძლებელია ეს იყოს ჩვე-ნი ხერენკი. მისი ადგილმდებარეობაზე კ. ოდიშარიას არაფერი აქვს ნათქვა-მი. „დავთარში“ კი ეს სოფელი ბებერეკთანაა ნაჩვენები და ამ მიდამოებში უნდა მოხდეს ამ ადგილის ძიება. სოფელი ათკომლიანია და აწერია 3 000 ახჩა.

60. სათესველი კანდახორი სოფ. არდანასთან—*كانداحور* (I 403, 448; II 394, 439). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და ამოკითხულობაც სწორი უნდა იყოს. ნაჩვენებია სოფ. არდანასთან, რომლის ადგილმდებარეობა გარკვეულია (იხ. ზემოთ № 18). რომელიღაც რუკიდან ამომიწერია P. A. KANDACHOR (I-სა და II წიგნებში კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას).

61. სოფ. *ساح* (I 403, 448; II 394, 438). ცხრაკომლიანი სოფელია რომელსაც 7 500 ახჩა აქვს შეწერილი. ამოუკითხავია.

62. სოფ. დიდი სიგლაშენი (იხ. ზემოთ სოფ. № 22 -- პატარა სიგლაშენი).

63. სოფ. უკან *او كان موسل*—*سول* (I 403, 449; II 394, 439). უკან მოთილი უნდა იყოს. იხ. ასეთივე სახელწოდების პუნქტები არტანის ტყე-ნაპიჯეში № 70, 99, გვ. 549, 555. გაუკაცრიელებულია; აწერია 4 000 ახჩა.

64. სოფ. იაილაჯიკი—*جق* (I 403, 449; II 393, 439). თურქული სახელია *جق* = *yayla*-დან, რაც 'იალაღ'ს ნიშნავს (კინობითი ფორმა). მოსახლეობა ნაჩვენები არაა, შეწერილი აქვს 3 000 ახჩა.

65. სათესველი ქესაზოკორდი (?), მეორე სახელი — ბუჰუქგუნეჲ სათესველ *ساحزق*-ს ზემოთ (I 403, 449; II 394, 439). სათესველს 500 ახჩა აწერია. დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი აქვს და ამოკითხული უნდა იყოს სწორად. არტანს ქვემოთ მართლაც არის შთაბუჰუქგუნეი (=ქ. 'დიდი მზვარე'), რომელიც აქ ამ სათესველის მეორე სახელადაა მოცემული. ამ მთის რომელიმე კალაზე უნდა ყოფილიყო ეს სათესველი, რომელიც დაბეგრულია 500 ახჩით.

66. სოფ. *ساحسو* — (I 403, 449; II 394, 439). ეს სოფელი ზემო გელაზორთანაა (იხ. ზემოთ სოფ. № 28) დასახლებული და ნასოფლარიც მის მიდამოებში უნდა დაიძებნოს. ამ სოფლის სახელის ამოსაკითხავად ჯერჯერობით არავითარი მონაცემები არაა.

67. იალალი პატარა ალაბალა—*كوجك* *آلا* (I 403, 449; II 394, 439). ალაბათ სოფ. ზემო ალაბალის იალალი იყო და შემდეგ იალალზედაც გაჩნდა მოსახლეობა და სოფლად აღირიცხა. შეწერილი აქვს 500 ახჩა (იხ. ზემოთ სოფელი № 13—ზემო ალაბალა).

<sup>1</sup> ეს სია ჩვენი მიზნებისათვის არ გამოფეა იმიტომ, რომ სახელები ძალიან ნებისმიერად არის გააზრებული (მაგალითად, ბებერეკის ნაცულად კ. ოდიშარიას წერს ბებერი აქ, ქინძოტამალი თითქოს ქინძოთამარია, დადაგული—დუდაგული, სოფ. მანიახი ამ სიაში მანდ-თხბ-ადაა ჩაწერილი და სხვ.). კ. ოდიშარიას არტანის მხარეში ნუშობდა რეოლოგუციამდე, მაგრამ ეს სია უშუალოდ ადგილზე შერგოვილი ცნობების მიხედვით კი არა, სხვადასხვა სტრატისტოიური და ერთფეროვანი მასალების შემცველი წიგნების მიხედვით უნდა იყოს შედგენილი.

## VII. დიდი არტაანის ლიწა

### 2 (24). ჩრდილის ნაწილე

1. სოფ. აკამეთი ტიკაშენ და كورس ساتესველითურთ —... مع كاشين و كورس (I 403, 449; II 394, 439). ეს სოფელი ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია სინდისგომიდან ჩამდენიმედ სამხრეთისაკენ როგორც P. Д. Акамят (Акамят-ი გადათურქულეებული←აკამეთი. „ვეროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ სახელი უფრო დამახინჯებულია: Акомяк, გვხვდება Акимет-იც). 1878 წელს აკამეთში 12 კომლი ირიცხება<sup>1</sup>. „დავთრის“ დროის აკამეთი საკმაოდ დიდი სოფელია, რომელშიც აღრიცხულია 44 მოსახლე. მისი სათესელები ამოუკითხავად რჩება.

2. სოფ. სინდისგომი — سندز كوم (I 403, 450; II 394, 440). მდებარეობს არტაანის სამხრეთით ბაღდად და კომკ სოფლებს შუა (იხ. მსხვილ-მასშტაბიან რუკებზე). Спискизем-ი არტაანიდან დაახლოებით 20 კილომეტრზეა<sup>2</sup>. სინდისგომში 1878 წელს აღრიცხულია 21, ხოლო 1889 წ. 74 კომლი<sup>3</sup>, „დავთრის“ დროს კი—28. როგორც ზემოთ არტაანის მზვარის ნაწილეს ზოგიერთი სოფლის სახელზე იყო ნათქვამი<sup>4</sup>, ამ შემთხვევაშიც სინდისგომი←სინდისგომი და გადარუსულეებული Спискизем←თურქ. სინდისგომ.

3. სოფ. კომკი —ალაჯაქილისა და كورس ساتესველითურთ — كومك مع... الاچه كلبا و سافورك (I 403, 451; II 394, 441). ზოგ რუკაზე წერია P. Д. Кюнк<sup>5</sup>, ზოგზე Кюнк<sup>6</sup>. „დავთარი“ უკანასკნელ ვარიანტს უკერს მხარს—კომკი. ჩვენ მაინც ამ სახელის ზუსტი ქართული წარმოთქმა არ ვიცით. შესაძლებელია აქ კ ასო ორთავე შემთხვევაში მკვეთრ „კ“-ს არ გადმოგვემდეს (შეიძლება კომკი და სხვ. იყოს). კომკი სინდისგომთან ახლო მდებარეობს (არტაანიდან დაახლოებით 27 კილომეტრზე)<sup>7</sup>. კომკში 31 კომლია აღრიცხული და შეწერილი აქვს 13 000 ახჩა. კომკთან აღრიცხულ სათესვე-

<sup>1</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81r.

<sup>2</sup> Список, 48; ზოგჯერ Семдиззем-ადაც იხსენიება (Свод, 110).

<sup>3</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81r; Свод, 110.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ № 23—სოფ. სირასგომი, № 24—ზანასგომი, № 30—ფიჩხასგომი (არტაანის მზვარის ნაწილე).

<sup>5</sup> ასევე Список-ში (გვ. 46) და Свод-ში (გვ. 110).

<sup>6</sup> Свод-ი (გვ. 110) ასეთ ვარიანტსაც იძლევა.

<sup>7</sup> Список, 46.

ლებიდან ერთის სახელია ალაჯა ქილისა, (= 'ქრელი ეკლესია'), ხოლო მეორის სახელი ამოუკითხავია.

4. სოფ. ყუთარმელიქი—كسارمق (I 403, 452; II 394, 442). რომელადაც რუკიდან ამოპწერია Кутар Мелник-ი და აღმინიშნავს, რომ იგი არტანთან ახლო მდებარეობს. ცხადია, რომ ამ ნაპიფეში არსებულა საქაოდ მოზრდილი, 26 კომლიანი სოფელი ყუთარმელიქი, რომელსაც ჩვენ დრომდე ვერ მოუღწევია. ან, შეიძლება, ეს არის სოფელი, რომელიც ახლო არტანთან (აღმოსავლეთისაკენ) და რომელსაც შემდეგში ЦИП-ОГЛА<sup>1</sup> შეარქვეს. ყოველ შემთხვევაში, რომ ეს სოფელი არტანთან მკიდრო კავშირში იყო ჩანს იმ მინაწერიდან, რომელიც „დაეთარში“ დართული აქვს ამ სოფლის აღწერილობას. ამ მინაწერში ნათქვამია: „რადგანაც ამქამად ზემოხსენებულ სოფელსა<sup>2</sup> და არტანის ციხეს შუა მდებარე ხიდების შეკეთება ამ სოფელმა თავისთავზე მიიღო...“<sup>3</sup>

5. სოფ. ბაღდადი كوركاسا და შაპაზიზთინარ სათესველებითურთ—سازايز و كوركاسا ... بغداد (I 403, 453; II 394, 443). ბაღდადი „საქ. ისტორიულ რუკაზე“ აღნიშნულია არტანის სამხრეთ-დასავლეთით. ჩარტან-იდან არტანამდე დაახლოებით 11 კილომეტრია<sup>4</sup> (ზოგ რუკაზე, მაგალითად „ვერობული რუსეთის სპეც. რუკა“, შეცდომით ჩორტან წერია). ბაღდადი „დაეთარის“ დროს დიდი სოფელია. მასში აღრიცხულია 72 კომლი (მათ შორის 5 მუსლიმი). სოფელთან აღრიცხულ სათესველთაგან ერთის სახელი ამოუკითხავად რჩება, ხოლო მეორესი—შაპაზიზ-თინარი<sup>5</sup> (= შაპაზიზის წყარო).

6. სოფ. აღმონა—المونا (I 403, 454; II 394, 444). „სპეცრუკაზე“ (99)—Алмона (შეცდომა; „დაეთარის“ დაწერილობის მიხედვით უნდა იყოს აღმონა ან აღმუნა) ნაჩვენებია ახალშენთან ახლო. 1878 წელს Алмона<sup>6</sup> ში ირიცხება 4 კომლი (სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81r). „დაეთარის“ დროს აღმონა 32 კომლიანი სოფელია, რომელიც გაიღებს ხოლმე 14 700 ახჩას.

7. სოფ. ახალშენი—الحاشين (I 403, 455; II 394, 445). რუსულ რუკებზე არტანნიდან დასავლეთითაა აღნიშნული Ахашен-ად<sup>7</sup>. არტანნიდან ახალშენამდე ნაჩვენებია დაახლოებით 33 კილომეტრი<sup>8</sup>. „დაეთარის“ ახალშენში 19 კომლია, ხოლო 1878 წ. მასში აღრიცხულია 16 კომლი<sup>9</sup>, შეწერილი აქვს 8 820 ახჩა.

8. სოფ. საზარა—سازا სათესველით—سازا (I 403, 456; II 394, 446). ხუთვერსიან რუკაზე არტანნიდან რამდენიმედ ჩრდილოეთით აღნიშნუ-

<sup>1</sup> „ვერობ. რუსეთის სპეცრუკა“.

<sup>2</sup> იგულისხმება სოფ. ყუთარმელიქი.

<sup>3</sup> დაეთარი, II, გვ. 443.

<sup>4</sup> Список, 44.

<sup>5</sup> ასევე Ахашен-ია Список-ში, 44.

<sup>6</sup> Список, 44.

<sup>7</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 80v

ლია С а з а р а პუნქტი. საზარა არტაანიდან 4 ვერსის მანძილზე მდებარეობს<sup>1</sup>. 1678 წელს საზარაში აღრიცხულია 9, 1889 წ.—8 კომლი<sup>2</sup>, ხოლო „დავთრის“ დროს მასში 45 კომლია (მათ შორის 1 მუსლიმი). სათესველის სასელი ვერ იკითხება.

9. სოფ. შინდაშენი — منداشين (I 403, 457; II 394, 446). ეს სოფელი რუკებზე არ არის აღნიშნული. არც სტატისტიკურ აღწერილობებშია მოხსენებული. ამ დაწერილობაში განმასხვავებელი ნიშანი მართო ش (შ) ასოს აქვს, მაგრამ წაკითხულობა მაინც სწორი უნდა იყოს. სხვათა შორის კ. ოდიშარიას სიაშიც (№ 96) შინდაშენი-ა (შეიძლება ← მინდასშენი). მინდაშენში აღრიცხულია 29 კომლი. იმდის 14 900 ახჩას.

10. სოფ. ქვემო გურჯიბეგი — كورجى بك سفلا (I 403, 457; II 394, 447), 29. სოფ. პატარა გურჯიბეგი, მეორე საელი გურჯიბეგი — كورجى بك... كوچك كورجى بك (I 404, 469; II 395, 459). ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნუსხულია Г у р д ж и б е г и. მდებარეობს არტაანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 6 ვერსზე<sup>3</sup>. 1889 წელს გურჯიბეგში აღწერილია 20 კომლი<sup>4</sup>, „დავთრის“ ქვემო გურჯიბეგში კი — 30. ცხადია, რომ ამ სოფლის სახელი დაკავშირებულია მის ბუნობულ, ქართველ ბეგთან (თ. გიორც 'ქართველი'). გურჯიბეგის სახელით აღრიცხულია 2 სოფელი: ქვემო გურჯიბეგი და პატარა გურჯიბეგი. ამ უკანასკნელს მეორე სახელად უფრო მარტივი სახელი — გურჯიბეგიც რქმევია. პატარა გურჯიბეგშიან გურჯიბეგში მოსახლეობა უკვე აღარაა. შეწერილი კი აქვს 4 000 ახჩა.

11. სოფ. ზემო ქამრასორი — كمر اصور عليا (I 403, 458; II 394, 448), 12. სოფ. ქვემო ქამრასორი — كمر اصور سفلا (იქვე). დაწერილობა კარგად იკითხება ქამრასორად. მაგრამ რუკებზე და სხვა სტატისტიკურ კრებულებში ასეთი სოფელი არ ჩანს. ეტყობა ქვემო და ზემო ქამრასორს ჩვენ დრომდე არ მოუღწევია. ზემო ქამრასორში ექვსი კაცია აღრიცხული, გადასახადი აწერია 10 100 ახჩა; ქვემო ქამრასორში 19 მოსახლეა, რომელსაც 7 000 ახჩა აქვს შეწერილი. მინაწერში (II 449) ზემო ქამრასორსა და იორგიბეგს<sup>5</sup> შუა იხსენიება სათესველი სახელად سرو, რომელიც ვერ ამოვიკითხეთ. საერთოდ ამ სოფლების შესახებ ჯერჯერობით მასალა (გარდა „დავთრის“ მასალისა) არ არის.

12. სოფ. ქვემო ქამრასორი (იხ. ზემოთ სოფ. № 11, ზემო ქამრასორი).

13. სოფ. ზემო საბულარი — صابو غار عليا (I 403, 459; II 394, 449).

14. სოფ. ქვემო საბულარი — صابو غار سفلا (I 403, 460; II 394, 450).

<sup>1</sup> Список, 48.

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r; Свод, 110, 111.

<sup>3</sup> Список, 46.

<sup>4</sup> Свод, 110, 111.

<sup>5</sup> იხ. ქვემოთ სოფ. № 32 صابو, მეორე სახელი იორგიბეგი.



რუსულ რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში ამ სოფლის სახელი ყველგან გადამახინჯებულად Сагара წერია<sup>1</sup>. „საქართველოს ისტორიულ რუკაზედაც“ (1923 წ.) რუსული რუკებიდან შეცდომით საბგარაა გადმოღებული. „დავთარში“ საბულარის სახელით ორი პოფელია—ზემო და ქვემო. რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში კი მხოლოდ ერთი საბულარია აღნიშნული. მდებარეობს ეს საბულარო არტანიდან სამხრეთით, დაახლოებით 3 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>, ზემო საბულარში 20 კომლია (6 000 ახჩა გადასახადით), ხოლო ქვემოში—3 კომლი (? 000 ახჩა გადასახადით); 1878 წ. ამ (უკვე ერთ) სოფელში 8 კომლი ბინადრობს<sup>3</sup>.

14. სოფ. ქვემო საბულარო (იხ. ზემოთ სოფ. № 13—ზემო საბულარო).

15. სოფ. ზემო ჯინქრობი—جنجروب (I 403, 460; II 394, 450),

16. ქვემო ჯინქრობი—جنجروب سفلي (I 403, 461; II 395, 451). ვახუშ-

ტი არტანის აღწერის შემდეგ აწიბობს: „ამას ზეით, მტკერის კიდესა ზედავე, არს დასავლით ჯინქრობი. ამ ჯინქრობს ზეით ჩაშოვალს...“<sup>4</sup> ალბათ ამის მიხედვით „საქართველოს ისტორიულ რუკაზედაც“ ჯინქრობი გვაქვს. აღ. ფრონელიც ჯინქრობს წერს<sup>5</sup>. თურქულად ჯინქრობი ჯინჯირობი უნდა ყოფილიყო (მკვეთრი ქ→ჯ; „ჯრ“ თანხმოვნების გამყარია „ი“ ხმოვანი). რუსულ რუკებზე ყველგან სწორედ ეს თურქიზებული Джинджироб<sup>6</sup> ფორმაა. თარგმანზე მუშაობისას ჯინჯრობის ორივე „ჯ“ ბგერა გამეღვრებულ „ქ“ თანხმოვნად მივიღე და ქინქრობი დავბეჭდე (II 394, 395, 450, 451). ამგეამდ ვახუშტის მოწმობის საფუძველზე ქინქრობი უნდა შესწორდეს ჯინქრობზე.

როგორც ვახუშტის ზემოყვანილი ცნობიდან ჩანს, ჯინქრობი მდებარეობს „მტკერის კიდესა ზედავე“, არტანის სამხრეთით, Список-ის მიხედვით, მისგან 6 ვერსზე<sup>7</sup>. „საქ. ისტორიულ რუკაზე“ (1923 წ.) აღნიშნულია „მც(ირე) და დ(იდი) ჯინქრობი“. „დავთარშიც“ ორი ჯინქრობია—ზემო და ქვემო. 1878 წელს გვაქვს აგრეთვე ორი ჯინქრობი, მაგრამ დიდი და პატარა ჯინქრობი<sup>8</sup>. შემდეგში რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში მხოლოდ ერთი ჯინქრობია (ორივე სოფელი ალბათ გაერთიანდა). „დავთარს“ დროის ჯინქრობები დიდი სოფლებია: ზემო ჯინქრობში 48 კომლია 18 000 ახჩა შემოსავლით, ხოლო ქვემო ჯინქრობში—92 კომლი, რომელსაც შეწერილი აქვს 15 400 ახჩა. 1878 წელს დიდ ჯინქრობში 12 კომლი ირიცხება. ხოლო პატარაში—6<sup>9</sup>.

<sup>1</sup> Свод, 110 (მეორე ვარიანტი უფრო დამახინჯებულია—Сагара); Список, 48.

<sup>2</sup> Список, 48.

<sup>3</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v.

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა... 152.

<sup>5</sup> დიდებული მესხეთი, 190.

<sup>6</sup> Список, 46; Свод, 110 (Джинджироб).

<sup>7</sup> Список, 46.

<sup>8</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81r.

<sup>9</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81r.

16. სოფ. ქვემო ჯინქრობი (იხ. ზემოთ სოფ. № 15—ზემო ჯინქრობი).

17. მამული (ჩიფთლიქი)—აქარის მწრმწრანის აჰმედ ფაშას ზემო-ხსენებულ სოფელში (I 403, 463; II 395, 452). აქარის მწრმწრანს<sup>1</sup> აჰმედ ფაშას ჰქონია სოფ. ქვემო ჯინქრობში მამული (ჩიფთლიქი)<sup>2</sup>, რომელიც ცალკე საგადასახადო ერთეულადაა აღწერილი. მას შეწერილი აქვს 1 000 ახჩა.

18. სოფ. ანუ შირვანი—انوشوان (I 403, 463; II 395, 453). I და II წიგნების დაბეჭდვის შემდეგ საარქივო მასალაში შეენიშნე ამ ზონისათვის დასახელებული პუნქტი Анушван-и<sup>3</sup>. ექვმიუტანლად შეგვიძლია უკვე ეს დაწერილობა انوشوان—ანუ შირ[ვ]ანი-ად ამოვიკითხოთ (ს-ს დიაკრიტული ნიშანი აქვს, რ—რ თანხმოვანი ამოვარდნილია, შეიძლება როგორც კალმის შეცდომა). თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ სექტორში კიდევ გვაქვს ჩვენ სპარსული წარმოშობის გეოგრაფიული ნომენკლატურა (მაგალითად, აქვე, ქვემოთ ქირმანი—№ 26, შირაზი—№ 27), ამოკითხულობის სისწორე უფრო დამაჯერებელი იქნება. 1878 წელს ანუშირვანში 4 კომლია ეზოლოდ, მაშინ როდესაც „დავთრის“ დროს მასში 14 კომლი ბინადრობს<sup>4</sup>.

19. სოფ. კოთისწყარო (?)—کوتهسار(?) (I 403, 463; II 395, 453).

კოთისწყაროდ შეიძლება წაეითხულ იქნას ეს დაწერილობა. კ. ოდიშარის მიერ შედგენილ სიაში სწორედ ამ ჯინქრობებთან და საბულარებთან იხსენიება სოფ. კოდისწყარო (№ 100) და ფრჩხილებში კიდევ წერია, თითქოს, ამ სოფლის ახალი სახელია ვლადიმეროვკა. ადგილმდებარეობა ამ სოფლის მაინც უცნობია ჩვენთვის; არც ერთ რუკაზე ასეთი სახელის სოფელი არ ჩანს. სოფ. კოთისწყარო (კოდისწყარო?) ძალიან დიდი სოფელია, რომელშიც 86 კომლია აღრიცხული. სოფლიდან შემოსავალი 25 385 ახჩას უდრის. ამ სოფლის ლოკალიზებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სოფელთა ის წრე, რომელშიც იგი მოქცეულია აღწერილობაში.

20. მამული (ჩიფთლიქი) ჰასან ცაბიდნის ძისა და ულურლუ ცაბიდნის ძისა ზემოხსენებულ სოფელში. მაშასადამე, სოფ. კოთისწყაროში (?) ცალკე აღრიცხვაზეა აყვანილი ჩიფთლიქი ორი მოქალაქისა. ამ მამულზე ბინადრობს 5 კომლი. ჩიფთლიქზე შეწერილია 1 000 ახჩა.

21. სოფ. პეტრეპაეღე —سارپا ساთესველით—السارپا (I 403, 465 II 395, 455). სოფ. პეტრეპაეღე აღნიშნულია რუკაზე «Карта к «Уч-рук-су, Адчаре и Гурни в 1873 году»<sup>5</sup>. არქივის მასალებში იხსენიება Петра-Пауза<sup>6</sup>. იგი მდებარეობს არტანის სამხრეთ-დასავლეთით სოფ. კომ-

<sup>1</sup> მწრმწრანს სიტყვა იხილეთ IV წიგნში.

<sup>2</sup> ჩიფთლიქი, იხ. იქვე.

<sup>3</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v (Анушван-ში x კალმის შეცდომა).

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ეს რუკა დართული აქვს დ. ბაქრაძის წიგნს—Археологическое путешествие по Гурни и Адчаре, პეტერბურგი, 1878.

<sup>6</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 80v.

კის ახლო<sup>1</sup>. სოფელმა ასეთი სახელწოდება, ალბათ, პეტრე და პავლეს სახელობის ეკლესიისგან მიიღო (ასეთი ეკლესიები კი ამ მხარეში არსებულა: „და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია მოციქულთა პეტრესი და პავლესი“<sup>2</sup>. „დავთრის“ დროს სოფ. პეტრეპავლეში 12 კომლია, 1878 წელს კი—6<sup>3</sup>. შეწერილი აქვს 10 500 ახჩა გადასახადი. სოფელთან დასახელებული სათესველი შეიძლება ჩაისთარი იყოს (შდრ. „სოფ. ჩაისთარი“. აქვე ტყე-ნაჰიე, გვ. 538).

22. სოფ. ნადარბაზი (?)—*ناداربازي* (?) (I 403, 466; II 395, 455). ამ დაწერილობას ნიშნები არ უზის, მაგრამ ასოები შესანიშნავადაა გამოყვანილი<sup>4</sup> და ეს ასოები ძლიერ მაკდუნებელია იმისათვის, რომ დაწერილობა ნადარბაზი-ად იქნეს წაკითხული. ამ სოფლის შესახებ ამჟამად არავითარი მასალა არა გვაქვს. საკმაოდ მოზრდილი სოფელია, რომელშიაც ირიცხება 25 კომლი და აწერია 7 500 ახჩა.

23. სოფ. გოგაშენი—*گوشین* (I 403, 467; II 395, 456). ამოკითხულობა სწორი უნდა იყოს. ასეთი სახელწოდების სოფელი ჩვენ დროში გვაქვს ჯავახეთში (ახალქალაქის რ-ნი)<sup>5</sup>, რომელიც სათესველის სახით „დავთარშიც“ იხსენიება<sup>6</sup>. გოგაშენი 21 კომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 6 000 ახჩა.

24. სოფ. სეფიხსხევი—*سپهسختی* (I 403, 467; II 395, 457). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს და კარგად იკითხება. ამ სოფლის შესახებაც ცნობა არა გვაქვს. 19 კომლიანი სოფელია 7 000 ახჩა შემოსავლით.

25. სოფ. პატარა ბურდოსანი—*بورداوسان* (I 403, 468; II 395, 457). პირველ ასოს დიაკრიტული ნიშანი არა აქვს, მაგრამ რომ ეს ბურდოსანი იქიდან ჩანს, რომ ერთ-ერთ მსხვილმასშტაბიან რუკაზე (99) გურჯიბეგის აღმოსავლეთით აღნიშნულია Бурдосан-ი. უნდა ყოფილიყო აგრეთვე დიდი ბურდოსანიც, და შართლაც ასეთი არის, ოღონდ იგი აღრიცხულია არა ამ (ჩრდილის) ნაჰიეში, არამედ ტყე-ნაჰიეში (იხ. მომდევნო ნაჰიეგს სოფ. 82). პატარა ბურდოსანში 10 კომლია, რომელსაც 12 500 ახჩა აქვს შეწერილი.

26. სოფ. ქირმანი—*کیرمان* (I 403, 468; II 395, 458). ეს სოფელი ყველა ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია სოფ. საბულრის სამხრეთ-დასავლეთით. არტანიდან ქირმანი 6 ვერსის მანძილზეა<sup>7</sup>. 1878 წელს ქირმანში 4 კომლია აღრიცხული, 1889 წელს უკვე—35<sup>8</sup>, ხოლო „დავთრის“ დროს

<sup>1</sup> იხ. თანდართულ რუკაზე.

<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტათ-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გამოსცა ექ. თაყაიშვილმა, თბილისი, 1949, გვ. 62.

<sup>3</sup> სციო, ფ. 415, ს. 12, გვ. 80v.

<sup>4</sup> იხ. დედანი, გვ. 442.

<sup>5</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 19.

<sup>6</sup> დავთარი, II, გვ. 243.

<sup>7</sup> Спирок, 46. <sup>8</sup> სციო, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v; Саоз, I<sup>9</sup>, 111.

ქირმანში მოსახლეობა სრულებით არ არის. ამ სოფელში აღწერილია საყანე მიწები და ჩაირბი. მისგან შემოსავალი განსაზღვრულია 8 499 ასხით.

27. სოფ. შირაზი — شيراز (I 404, 469; II 395, 458). ამ დაწერილობის პირველსა და უკანასკნელ ასოს განმასხვავებელი ნიშნები აქვს, მეორე ასოს კი არა<sup>1</sup>. მეორე ასო ى ვივარაუდებ და შირაზად წაიკითხებ. ახლა ეს წაიკითხება უკვე ეკუთვნის არ იწვევს, რადგანაც ირანული წარმოშობის გეოგრაფიული სახელები ჩვენ, როგორც დაეინახეთ, შირაზის გარდა სხვაც გვაქვს (იხ. ზემოთ სოფ. № 18 — ანუშირვანი და სოფ. 26 — ქირმანი). „დავთრის“ დროს ამ სოფელში 7 კომლია. შვიდავე კომლი მუსლიმისაა. 1878 წელს შირაზში მხოლოდ 1 კომლი ირიცხება<sup>2</sup>.

28. სოფ. چغورتي სოფ. ქვემო ჯინჭრობთან (I 404, 469; II 395, 458). აქ დიაკრიტული ნიშნები მთლიანად დასმულია. პატარა ეკვი მაქვს მაინც; შეიძლება چغورتي-იც იყოს. ამოკითხვა არ ხერხდება. ეს სოფელი არსად არაა მოხსენებული. ამ სოფელში, რომელიც ნაჩვენებია ქვემო ჯინჭრობთან მდებარედ, მოსახლეობა არ არის. მასში აღწერილია მამულები, მიწები, ჩაირბი და სხვ. სოფლიდან შემოსავალია 3 000 ასხა.

29. სოფ. პატარა გურჯიბეგი, მეორე სახელი გურჯიბეგი (იხ. ზემოთ სოფ. № 10 — ქვემო გურჯიბეგი).

30. სოფ. سرون პეტრეპაველესა და გოგაშენს შუა (I 404, 469; II 395, 459). ამ სოფლის სახელის ამოსაკითხავად მასალა არ მოგვეპოვება. მისი ადგილმდებარეობა მითითებულია პეტრეპაველესა და გოგაშენს შუა. ამთგან პეტრეპაველეს მდებარეობა ვიცით (იხ. ზემოთ სოფ. № 21). „დავთრის“ დროს სოფელი უკვე გაუქაცრიელებულია. აწერია 2 000 ასხა გადასახადი.

31. სოფ. პატარა ტამალი, სოფ. მეორე ტამალთან — كوكچا (I 404<sup>1</sup>, 469; II 394, 459). ლაპარაკია პატარა ტამალზე და აგრეთვე იმაზე, რომ ეს პატარა ტამალი მდებარეობს მეორე ტამალთან. მეორე ტამალი კი ამ ჩრდილის ნაპიჯეში არ არის. ერთი ტამალი აღრიცხულია ამავე (არტანის) სანჯაყის მზვარას ნაპიჯეში (სოფ. № 39, II 426), მაგრამ ამისი მდებარეობაც გაურკვეველია (საერთოდ კი დასაშვებია რამ არის, რომ, ვთქვათ, პატარა ტამალი ერთ რაიონს ეკუთვნოდეს და დიდი ტამალი მეორეს). არტანის მესამე ტყე-რაიონში, როგორც დაეინახეთ, ტამალი სამია: დიდი, ქვემო და პატარა (№№ 34, 87, 100). ჩვენი აქაური პატარა ტამალი უკვე გაუქაცრიელებულია; აწერია 1 000 ასხა.

32. სოფ. اداك — მეორე სახელი იორგი-ბეგი სოფ. ზემო ქამრასორთან — اوركيك — اداك (I 404, 470; II 395, 459). ამ სოფელს ორი სახელი

<sup>1</sup> დედანი, გვ. 444.

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 817.

<sup>3</sup> I-სა და II წიგნში (გვ. 469, 458) შეცდომით چغورტი-ია დაბეჭდილი.

<sup>4</sup> I წიგნის 404-ე გვერდზე ამ სოფლის სახელად შეცდომით اداك წერია ნაცვლად اداك-ისა.

ჰქონია. ერთი (პირველი) ჯერჯერობით არ იკითხება, მეორე სახელი თითქოს იორგი-ბეგი უნდა იყოს (შდრ. ზემოთ სოფ. №№ 10, 29, — გურჯიბეგი). უკაცრიელი სოფელია, იძლევა 5 500 ახჩა შემოსავალს.

33. სოფ. مول (?) სოფ. სადგომთან (?) (I 404, 470; II 395, 459). სოფლის სახელი არ იკითხება. მისი მდებარეობა მითითებულია სოფ. სადგომთან (?), ხოლო ამ უკანასკნელისა—ცნობილ სოფ. კომკთან (იხ. ზემოთ სოფ. № 3). უკაცრიელი სოფელია 4 000 ახჩა შემოსავლით.

34. სოფ. სადგომი (?) სოფ. კომკთან — صادكوم (?) (I 404, 470; II 395, 459). ვეიქრობ, სოფლის სახელი მაინც სწორად უნდა იყოს ამოკითხული. მისი ადგილმდებარეობა სოფელ კომკთანაა მითითებული. სადგომში 8 კომლია აღრიცხული. სოფელს შეწერილი აქვს 6 499 ახჩა.

35. სათესველი سر-ის იალალი—سر يلاق مزرعة (I 404, 470; II 395, 460). სათესველის სახელი ამოუკითხავად რჩება. სათესველს შეწერილი აქვს 100 ახჩა.

36. იალალი აკუუნარი ზემო საბულართან—يلاق اقبانار (I 404, 470; II 395, 460). იალალის სახელია აკუუნარ←თურქ. Akpınar (=ak 'თეთრი', pinar 'წყარო')=თეთრი წყარო. შეიძლება ამ იალალს ქართულად თეთრი წყარო ერქვა და თურქებმა თარგმნეს. იალალს შეწერილი აქვს 200 ახჩა. ეს იალალი ნაჩვენებია რუკებზე ცნობილ სოფ. საბულართან (იხ. ზემოთ № 14).

## VII. დიდი არტაანის ლიგა

### 3 (25). ტყე-ნაჰიჲე

1. სოფ. ორჩოკი—كوجو (I 404, 471; II 395, 460). რუსულ რუკებზე (მაგ., ხუთვერსიანზე), აგრეთვე სტატისტიკურ კრებულებში ამ სოფლის სახელად Олхачик-ი წერია<sup>1</sup>. ერთ სტატისტიკურ კრებულში კი ამ სოფლის სახელი სამ ვარიანტშია მოცემული და სამივე განსხვავებულია Олхачик-ისგან: Иолхач, Олхак, Елхак<sup>2</sup>. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ასეთი შერყვნა ზემოთაც ბევრჯერ აღინიშნა და აიხსნა ეს ვითარება ამა თუ იმ სიტყვის სხვადასხვა ენის ფონეტიკურ სინამდვილეში გადამუშავების შედეგებით. აქ წარმოდგენილ ვარიანტთაგან ყველაზე უფრო სწორი მაინც ჩვენი „დავთრის“ ორჩოკი უნდა იყოს (თურქი ამ სიტყვას იოლად აღიქვამდა და გრაფიკულადაც ადვილად გადმოსცემდა). ამ მხარეში ცნობილია ორჯოხის მთა<sup>3</sup> და ამავე სახელით გეოგრაფიული პუნქტებიც. ფონეტიკურად შეუძლებელი არ არის, რომ كوجو || ორჩოკი-ი || ორჩოკი-ი თურქიზებული ორჯოხი-ი იყოს (ქართულ საერთოდ ნაკლები მქედრადობის ჯ'ს შეეძლო შესატყვისი რიგის ჩ მოეცა, ხოლო ბოლოკიდურ ხ სპირანტს კი—ხშული ქ). ორჩოკის მდებარეობა გარკვეულია; ის მდებარეობს არტაანის აღმოსავლეთით დაახლოებით 17 ვერსზე<sup>4</sup>. 1878 წ. ორჩოკში ნაჩვენებია 14, ხოლო 1889 წ. 39 კომლი<sup>5</sup>, „დავთრის“ დროს მასში 49 კომლია, რომელსაც შეწერილი აქვს 13 000 ანჩა.

2. სოფ. მგლინაეი<sup>6</sup> —სამგლია სათესველეთურთ სკას ...ع و انك (I 404, 472; II 395, 461). არტაანის ტერიტორიაზე მდებარე იმ დასახლებულ პუნქტთა შორის, რომელიც ჩვენს ძველ საისტორიო წყაროებში იხსენებინ, ურადლებას იმსახურებს სოფელი მგლინაეი. სუმბატ დავითის ძის მიხედვით „შეიმტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანეთსა ზედა, ერთ კერძ გურგენ კურატპალატმან და ერთაა მისთა, მეორე კერძ ადარნასე, ქართველთა მეფემან, და ბაგრატ არტანუჯელმან, მოვიდეს ესენი ქვესა

<sup>1</sup> Список, 48; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82რ.

<sup>2</sup> Свод, 110.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 14.

<sup>4</sup> Список, 48.

<sup>5</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82რ; Свод, 110.

<sup>6</sup> დაბეჭდილია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 41, თბილისი, 1950, გვ. 195-197 (სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი).

არტანისასა, სოფელსა მგლინავს, და ბრძოლეს ერთმანეთსა<sup>1</sup>. ამ ისტორიულად მნიშვნელოვანი პუნქტის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავდა, რომ „ხვესა არტანისასა“ იყო „სოფელი მგლივანი (sic! ს. ჯ. სუმბატის ცა და უწყება, 60), რომლის მდებარეობის გამოსარკვევად ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება“<sup>2</sup>. ამავე შრომაში განსვენებული მეცნიერი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და სუმბატის იმავე წყაროს იმავე ადგილის მიხედვით ამბობს, რომ „არტანში მოხსენებულია... ს. მგლინავი (სუმბატი, ცა და უწყება, 60) და ტლაოში, ანუ ტალაშო, რომელთა მდებარეობა ვერ გავარკვეით“<sup>3</sup>. ამ თვალსაზრისით კიდევ საინტერესოა „ქართველი ერის ისტორიის“ III წიგნში ეამთაღმწერლის თხზულებიდან შემდეგი ადგილი: „ასე გზადაგზა ბრძოლით (ალათემური და ჰულაგუ ყანი) «მოიწივნეს ქვეყანასა არტანს, სოფელსა რომელსა ჰქვიან მგლინავი“<sup>4</sup>.

„დაეთრის“ მიხედვით, დიდი-არტანის ლივაში შემავალი სამი ნაჰიედან, ე. წ. ტყე ნაჰიეგ დასახლებულ პუნქტთა შორის მეორე სოფლად იხსენიება სოფელი, რომლის სახელიც ჩვენ ამოვიკითხეთ ასე: კილნავი (II 461). როდესაც ჩვენ „დაეთრის“ II წიგნს ვამუშავებდით, სუმბატ დავითის ძისა და აკად. ივ. ჯავახიშვილის ზემომოტანილი ცნობები სოფ. მგლინავის შესახებ გათვალისწინებული არ გვქონდა. „დაეთრის“  $\text{دايتري}$  (ტრანსლიტერაციით—„გ(ქ)ლნავ“) დაწერილობა კი შესაძლებელი იყო „კილნავ“ად წაგვეკითხა, რადგანაც, 1. როგორც უკვე დადგენილია, ქართული მეფეთრი „ქ“ უმთავრესად მელერი „გ“ თანხმოვნით და ქ ასოთია გადმოცემული (შდრ. სოფ. კახარეთი =  $\text{كاخار}$ —II 67, ნიკოლოზ =  $\text{نیکولوس}$  და სხვ.) და 2. ორი თავი-დური თანხმოვანი თურქის წარმოთქმაში ვიწრო ხმოვანმა უნდა გაყაროს („კილნავი“) და ეს გარემოება, როგორც გაირკვა, შეიძლება გამოხატული იყოს გრაფიკულად, შეიძლება არა. რა თქმა უნდა, სიტყვის ამნაირი ამოკითხულობა მხოლოდ სავარაუდო იყო ისევე, როგორც მესამე ასოსათვის (z) წერტილის დასმაც საეჭვოდ მიგვაჩნდა. ამიტომ არის, რომ „კილნავ“ს დატანებული აქვს კითხვითი ნიშანი.

<sup>1</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გამოცემა III, ტექსტი გამოსცა შესაელოთ, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ექ. თაყაიშვილმა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 27, თბილისი, 1949, გვ. 65.

<sup>2</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 55 და 1914, გვ. 324

<sup>3</sup> იქვე. გვ. 56. ექ. თაყაიშვილს სუმბატ დავითის ძის ქრონიკის რეგორც ახალს (1949, გვ. 65), ისევე ძველ გამოცემაში („სამი ისტორიული ზრონიკა“, თბილისი, 1890, გვ. 60) „მგლინავი“ აქვს (და არა „მგლივანი“. ექ. თაყაიშვილი უყანასკნელ გამოცემაში „მგლინავისათვის“ მგლინავრის მეორე, თეიმურაზისეულ ვარიანტსაც იმარწმებს). ამდენად „ქართველი ერის ისტორიაში“ პირველად მოტანილი „სოფელი მგლივანი“ ორივე (1914-ის და 1948 წლის) გამოცემაში კორექტურული შეტდომა უნდა იყოს და „მგლინავ“-ად უნდა გასწორდეს.

<sup>4</sup> ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1949, გვ. 180.

სოფ. მგლინავის, ამ ფრიად საინტერესო ისტორიული პუნქტის ადგილმდებარეობა, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილმა კარგა ხანია აღნიშნა, ჯერ კიდევ გარკვეული არ არის. არც ჩვეულებრივსა და არც სპეციალური დანიშნულების რუკებზე პუნქტი მგლინავი აღნიშნული არ არის. ჯერ ხნობით ჩვენს ხელთ არის მხოლოდ „გურჯისტანის ვილანეთის დიდი დაეთარი“, რომლის ზოგიერთი მონაცემი საშუალებას გვაძლევს დადასტურდეს ჩვენი შემატიანეების (სუმბატ დავითის ძისა და ეამთაალმწერლის) ეს საყურადღებო ცნობა სოფ. მგლინავზე და გარკვეულ იქნეს მისი (სოფ. მგლინავის) ადგილმდებარეობა მიახლოებით მაინც. მგლინავ ნასოფლარის ძიება დღეს უნდა წარიმართოს იმ სოფელთა მიდამოებში, რომელთა გარემოცვაში დასახელებულია სოფ. მგლინავი (ორჩოკი, დუდუნა, გუგუბა, ური და სხვა პუნქტები).

ჩვენთვის ამჟამად საეხებით უეჭველია, რომ არტაანის აღნიშნული რაიონისათვის ანკა („გლნავ“) მოხაზულობით სწორედ სოფელ „მგლინავის“ სახელია გადმოცემული.

ჩვენ ვიცით, რომ ქართული სახელები, რომელთაც თავიკიდურად მოუღიოთ „მ“-ით ან ორი თანხმოვანი, თურქულში კარგავენ თავიკიდურ „მ“-ს. სიტყვის თავში დარჩენილი ორი თანხმოვანი (გლ) თურქის წარმოთქმაში უსათუოდ ჩაირთავს ვიწრო ხმოვან „ი“-ს (რაც ამ შემთხვევაში გრაფიკულად გამოხატული არ არის). ბოლოკიდური „ი“ წესის მიხედვით აგრეთვე ჩამოვარდება. მაშასადამე, თურქის წარმოთქმაში „მგლინავი“ მოგვეცემა „გლინავ“-ს. რაც, ბუნებრივია, კ, ქ, ს, | და უ ასოებით უნდა ყოფილიყო გადმოცემული ანკა-ის სახით. მგლინავში „დავთრის“ დროს 27 კომლი ყოფილა. შეწერილი აქვს 26 000 ახჩა.

3. სოფ. დუდუნა (მ)გურგული ტყე სათესველით ...  
 كور كوالى (I 404, 472; II 395, 462). მდებარეობს არტაანის ჩრდილო აღმოსავლეთით (მსხვილმასშტაბიანი რუკები), არტაანიდან დაახლოებით 17 ვერსის მანძილზე<sup>1</sup>. „დავთრის“ დროის დუდუნა დიდი სოფელია; მასში აღრიცხულია 69 კომლი. სოფ. დუდუნისაგან შემოსავალი 22 600 ახჩაა. საკვირველია პირდაპირ, რომ შემდეგში ეს სოფელი ისე დაკნინდა, რომ მასში 1878 წელს ნაჩვენებია 8 კომლი, ხოლო 1889 წ.—4<sup>2</sup>. სათესველის სახელი „მრგვალი ტყე“ (←მგურგული ტყე), ვფიქრობ კარგადაა ამოკითხული.

4. მამული (ჩიფთლიქი) რამაზანის, დანუდისა და ბუნიანდის მფლობელობაში შემოხსენებულ სოფელში (მდებარე) (I 404, 474; II 395, 463). შემოხსენებულ სოფ. დუდუნაში ცალკე გამოყოფილია ჩიფთლიქად წოდებული მამული, რომელზედაც სახლობს 5 კომლი და რომელსაც ცალკე შეწერილი აქვს 1 000 ახჩა.

5. სოფ. გულაბერთი — كولا برت (I 404, 474; II 395, 463). ხუთვერსიან და სხვა რუკებზე და აგრეთვე სტატისტიკურ კრებულებში Гюлаберт-ად

<sup>1</sup> Спсок, 46.

<sup>2</sup> სტია, თ. 415, ს. 12, გვ. 82r; Свод, 110, 111.



წერია<sup>1</sup>. ექ. თაყაიშვილი ამ პუნქტს Голя-верды-ს ეძახის<sup>2</sup>. მდებარეობს არტანის ჩრდილო-აღმოსავლეთით 15 ვერსზე<sup>3</sup>. „დავთრის“ გულაბერთში 34 კომლია. 1878 წ. მასში 24 კომლია, ხოლო 1889 წელს—87<sup>1</sup>.

6. სოფ. ველი—*وېلي* (I 404, 475; II 395, 464). ექ. თაყაიშვილის ცნობით, სოფ. ველი მდებარეობს ერუშეთიდან 10 ვერსის მანძილზე სამხრეთის მიმართულებით, მტკვრის მარცხენა მხარეზე. მისივე აზრით, ველი (=სწორი, ვაკე ადგილი) ეწოდა ამ სოფელს იმიტომ, რომ არტანის ეს ზონა სწორია. ველთან ყოფილა პირეულხარისხოვანი ციხე, რომელიც ქაჯისციხესა და გეულციხესთან ერთად დიდ როლს თამაშობდა სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში. ველის ციხე სოფლის დასავლეთითაა, მტკვრის მალაღსა და კლდოვან ნაპირზე<sup>4</sup>. ველი საბოლოოდ დაიპყრო ოსმალებმა 1578 წლის 9. VIII-ს<sup>5</sup>. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ „რუსობის დროს [ივულისხმება გენერალ პასკევიჩის მიერ ახალციხის აღება. ს. ჯ.] ველის სოფლიდან მთელი კათოლიკე ველელები გარდმოსახლდნენ ახალქალაქის მაზრაში, და დასახლდნენ სოფლებში კარდიკამს, ბევრას, ხულგუმოს და სხვ<sup>6</sup>“. ამასვე ადასტურებს ალ. ფრონელი ადგილზე მიღებული ცნობების მიხედვით: „ქართველ-კათოლიკეთა რაოდენობის ცნობა გადმოგვცა მამა ლაზარე გოზალიშვილმა. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში არიან კიდევ კათოლიკენი. ზოგი ტომით სომეხი, ზოგი კიდევ ქართველი ჩამომავლობისა. უქანასკნელთ (ველელებმა) არც სომხური იციან, არც ქართული, ლაპარაკობენ ოსმალურად. იგინი გადმოსახლდნენ ს. ველიდან, არდაგანის ოლქიდან. სოფელნი: ხულგუმო, ტურცხი, კულიკამი და კართიკამი ამ ველელებითაა დასახლებული“<sup>7</sup> (სოფლები ხულგუმო, კულიკამი, კარტიკამი იხ. აქვე, გვ. 319, 320, 334).

ველი საისტორიო ლიტერატურაში საქმაოდ ცნობილი სოფელია: „გურგაქ შემოგუშყო და ველი მოგუცა“. „ქაჯის-ციხე, ველი და თეთრ-ციხე წაგუართუსა ურუმთა“<sup>8</sup>. 1578 წელს ჩილდირაში მომხდარ დიდ და

<sup>1</sup> Силсок, 44; Спод, 110.

<sup>2</sup> МАК, XII, 79.

<sup>3</sup> Силсок, 44.

<sup>4</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r; Спод, 110, 111.

<sup>5</sup> МАК, XII, გვ. VIII, 70, 71. 1900 წ. ექ. თაყაიშვილს ველის სოფელზე ცნობები არა. აქვს (იხ. Трл хроника—СМОНИК, 28, გვ. 201, შფ. 1).

<sup>6</sup> Е. Такайшвили, Источники грузинских летоисей, Трл хроника, СМОНИК, 29, თბილისი, 1900, გვ. 201.

<sup>7</sup> ს. ნებიერიძის მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-პიკების მოტაცებისა და ტყვეებით ვაქრობის შესახებ. ბ. ახვლედიანის კომენტარებით, ბათუმი, 1948, გვ. 21.

<sup>8</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 33 (შენიშვნა). იხ. ამ სოფელთა მოსახლეობის შესახებ აგრეთვე ჩვენნი: Он охотом морфологическом явлении в Ахалцихском иречиих ахатолитиско-турецкого языка, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, 1936, გვ. 116.

<sup>9</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 93, 98; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 273.

გადამწვევტ ბრძოლასთან დაკავშირებით ველი მოხსენებული აქვს XVI საუკუნის თურქ ისტორიკოსს იბრაჰიმ ფეჩევს: „(ისლამის ლაშქარი) არტაანიდან დაიძრა და ველისციხის მახლობლად დაბანაკდა“<sup>1</sup>. ვფიქრობ, რომ ველია ჩელების მიერ არტაანის მახლობლად მდებარედ დასახელებული აქ. ციხეც ეს ჩვენი ველი უნდა იყოს<sup>2</sup>. ველის სახელით შავშეთშიც (გარდა კახეთის ველისციხისა) არის პუნქტი Велъ, ოქრობაგეთის დასავლეთით და ტბეთის სამხრეთით<sup>3</sup> (შდრ. ნ. მარის В 11<sup>2</sup>/<sub>4</sub> выехали из Окробагета через Велъ в Тбет)<sup>4</sup>. არტაანიდან სოფ. ველამდე 28 ვერსია<sup>5</sup>. ველში „დავთრის“ დროს 30 მოსახლეა, 1878 წელს—24, ხოლო 1889 წელს მასში ირიცხება 25 კომლი<sup>6</sup>.

7. სოფ. დიდი ვარდოსანი სათესველით *داردوسان* (?) — (I 404, 476; II 395, 465), 80. სოფ. პატარა ვარდოსანი სათესველით *حاج كج* — *ارادوسان كج* (I 405, 509; II 396, 497). ამრიგად „დავთარში“ აღრიცხულია ორი ვარდოსანი: დიდი და პატარა. სტატისტიკურ კრებულებში და ყველა რუკაზე Вардосан-ი (შეცდომით Вардасан და Вардасан-ი) მიიღოდა ერთია ნაჩვენები<sup>7</sup>. ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე ვარდოსანი აღნიშნულია არტაანის ჩრდილოეთით, ფიკლობთან ახლო (იხ. „საქართველოს ისტ. რუკა“, 1923 წ.). იგი არტაანიდან 29 ვერსზე მდებარეობს<sup>8</sup>. „დავთრის“ დიდ ვარდოსანში 20 კომლია, ხოლო პატარა ვარდოსანში—18. 1878 და 1889 წლებში ერთ ვარდოსანში შესაბამისად 13 და 26 კომლია აღრიცხული<sup>9</sup>. სოფ. ვარდოსნებთან აღნიშნულია თითო სათესველი, რომელთა ამოკითხვა არ ხერხდება.

8. სოფ. გუგუბა—*گوجو* (I 404, 476; II 395, 465). ჩვენ ჯერ მოვიყვანთ ამ კუთხეში პირადად ნამყოფის პროფ. ექ. თაყაიშვილის ცნობას გუგუბაზე: Селение Гогюба находится в 5 верстах к северо-востоку от Вели. Несколько в стороне от села видны развалины, которые можно принять за развалины башни, но это—не башня, а остатки круг-

<sup>1</sup> تاریخ پجوى, II, გვ. 39; შდრ. ჩვენი: „იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ“, „ენიმკის“ მონაწილე, V-VI, გვ. 374 (ფეჩევის აქ ველე—*كج*, უწერია, მაგრამ ეს შეცდომაა); შდრ. Wele—Hаштер-თან, GOR, II, გვ. 481; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 273.

<sup>2</sup> اوليا چلی سياحتنامهسى—II, გვ. 326.

<sup>3</sup> „გეროპ. რუსეთის სპერტუკა“.

<sup>4</sup> Г. Мернул, Жизнь св. Григория Хаядзтийского... დღიური, გვ. 10; „საქართველოს ისტ. რუკა“.

<sup>5</sup> Список, 44.

<sup>6</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82გ; Свод, 112, 113.

<sup>7</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82გ; Свод, 112; Список, 44.

<sup>8</sup> Список, 44.

<sup>9</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82გ; Свод, 112, 113.

ლოი ცერკვი, буквально оводранно<sup>1</sup>. გუგუბა—Гюгюба ყველა დიდ რუკაზე აღნიშნულია. სტატისტიკური კრებულის მიხედვით იგი არტანუხიდან 28 ვერსზეა<sup>2</sup>. „დავთარის“ დროის გუგუბა საკმაოდ დიდი სოფელია; მასში აღრიცხულია 40 კომლი, 1889 წელს კი გუგუბაში 31 კომლია<sup>3</sup>.

პროფ. ექ. თაყაიშვილს ამ სოფლის სახელად Гюгюба მიაჩნია და ამ სიტყვას შემდეგნაირად ააზრიანებს ...Церковь (этого селения) была посвящена, вероятно, св. Георгию, и самое слово Гюгюба должно происходить от грузинского георгиа—„праздник в честь св. Георгия“<sup>4</sup>. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება ეწინააღმდეგება ასეთი დასკვნის გამოტანას. ჯერ ერთი, ამ სოფლის სახელად Гюгюба არსად არ გვხვდება; ყველა სტატისტიკურ კრებულში (Свод, Список და სხვ.), რომლებიც ოფიციალურ ცნობებს შეიცავენ, აგრეთვე ყველა რუსულ რუკაზე გვაქვს Гюгюба. ჩვენ ზემოთ არა ერთხელ გვაქვს აღნიშნული, რომ ნასესხები სიტყვების ველარი „გ“ თანხმოვანი თურქულში პალატალდება და იწვევს მომდევნო უკანარიგისნიერი ხმოვნის გაწინარიგისმიერებას<sup>5</sup>. ამდენად სწორედ ქართულ გუგუბას უნდა მოეცა თურქულში გ'სგ'იხა, ხოლო ამ გადათურქულებული ფორმისაგანაა მიღებული რუსული Гюгюба. მაშასადამე, ქართული სახელი გუგუბა უნდა ყოფილიყო და არა გოგუბა. მეორე, ფონეტიკურად ძნელია Гогюба ან, თუ გნებავთ, Гюгюба←гесурюба. მიუხედავად იმისა, რომ წმ. გიორგის სახელობის ეკლესია საქართველოში ბევრგანაა და ყველგან ამ ადგილებში გიორგობა იციან, არსად „გიორგობას“ გოგუბა და მისთანანი არ მოუცია.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ სოფ. ველი. როგორც აქ მინაწერშია ნახსენები, ამ ველის სახელით ცნობილი ყოფილა არხი (ალბათ ველის არხი ერქვა), რომელიც მომდინარეობს სოფ. كسره (საკასრია?)-დან, ახალშენიდან (იხ. ქვემოთ ამავე ლივან ეგვიპტე რაიონი, სოფ. № 13) და ორუშეთიდან (იხ. ქვემოთ სოფ. № 12). ეს არხი აღწერილია „დავთარში“ როგორც საზიარო არხი გუგუბა, ზემო ბორქ და ველ სოფელთათვის.

9. სოფ. ური كوكحوكر სათესველით—اور (I 404, 477; II 395, 456). „საქართველოს ისტორიულ რუკაზე (აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით) ეს სოფელი აღნიშნულია არტანუხის ჩრდილო აღმოსავლეთით, სოფ. დუდუნასთან ახლო და მას სახელად უწერია ჰური. ეს სახელწოდება ასეთი ძველი ჰური ფორმით გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“: „...მიეგება (ფარნავაზ) ნაქალაქებსა თანა არტანუხისა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“<sup>6</sup>. ამრიგად, ისევე როგორც არტანუხა ჩვენამდე მოაღწია

<sup>1</sup> E. Такайшвили, МАК, XII, გვ. VIII, 73.

<sup>2</sup> Список, 44.

<sup>3</sup> Свод, 112, 113. <sup>4</sup> МАК, XII, 74.

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, გვ. 511.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 23; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 56.

ძველი არტაჰან ფორმით, ჰურიც ძველი, ახლანდელი თვალსაზრისით ერთგვარი „ჰაემეტი“ ფორმაა. კერძოდ ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ ჰურს რქვევია ადრე ქაჯთა ქალაქი, იმეამად ჰური და ეს (ჰური) ყოფილად აღესლაც არტაანის ნაქალაქევი, ე. ი., შეიძლება ასე გავიგოთ, ეს ჰური ადრე მთავარი ქალაქი იყო არტაანისა („დავთრის“ დროს, მაგალითად, არტაანის ქალაქია ფარაკანი). ყოველ შემთხვევაში შესასწავლია საკითხი არტაანის ნაქალაქევის ერქვა თუ არა ქაჯთა ქალაქი და ჰური. ვფიქრობ, რომ ნაქალაქევი და ჰური (= აწინდელი ური) ორი სხვადასხვა პუნქტია ძველთაგანვე. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ექ. თაყაიშვილმა პართებულად უარყო ვახუშტის მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ წუნდას (იხ.) თითქოს ური (ჰური) ერქვა<sup>1</sup>.

სოფ. ური ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აღნიშნულია. პროფ. ექ. თაყაიშვილი თვითონ ბრძანდებოდა ამ სოფელში. ის წერს: Деревня Ури или Ур находится на высоком берегу р. Курь, выше Вели, к северо-востоку от Ардагана, недалеко от станции Голяверды и составляет родовое имяне Илери[ф]-беге Адчарского. Старинная церковь этой деревни ...лежит теперь в развалинах<sup>2</sup>. მეორე შემთხვევაში ექ. თაყაიშვილი შერბუბების ქართულ გვარს სახელებს და ამბობს, რომ ეს სოფ. ური აქარელ ბეგებს—ხიმშიაშვილებს ეკუთვნისო. აქვე ექ. თაყაიშვილი სვამს ასეთ საკითხს: ამ ზონაში მდებარე სოფელთა სახელები ურ-ი და ურთა ხომ არ შეიძლება დაუკავშირდეს ვანის წარწერათა ურ ართუს-ო<sup>3</sup>.

„დავთრის“ დროის ური დიდი სოფელია, 66 კომლი მოსახლეობით, რომელზედაც შეწერილია 15 000 ახჩა, 1878 წ.—13, ხლო 1889 წელს კი ურში მხოლოდ 11 კომლია<sup>4</sup>; ურთან აღწერილი 2 სათესველის სახელები (II, გვ. 466 და 467) აზოუკითხავად რჩება. მეორე სათესველის სახელი ასეთი მოხაზულობისაა—**ა.ა.ა.**

10. სოფ. ფიკლობი კიზილ-ჩახომტეკი (?) სათესველით—**بچک** (I 404, 478; II 395, 464). დიდ რუკებზე ყველგან აღნიშნულია ვარდოსნის სამხრეთ-აღმოსავლეთით Иноклос-ი (ზოგ რუკაზე, შეცდომით, Иноклос). ფიკლობი არტაანისა და ჩრდილოეთით 20 ვერსის მანძილზე ყოფილა<sup>5</sup>. „დავთარში“ ფიკლობისათვის აღრიცხულია 33 კომლი, რომელიც იძლევა 9 999 ახჩას. 1878 წ. ფიკლობში 20 კომლია, 1889 წელს კი—42 კომლი<sup>6</sup>. ფიკლობის ზემოაღნიშნული სათესველი კიზილ-ჩახომტეკი (?) სოფლად იხსენიება ქვემოთ, № 86-ით: უნდა ვფიქროთ, რომ ამ სოფლის ნაწილი ფიკლობის სათესველი ყოფილა. I წიგნში 478-ე და II წიგნის 468-ე გვერდზე ამ სათესველის სახელი **كچاخچ**—ჩახომტეკი(?)ად უნდა შესწორდეს.

<sup>1</sup> МАК, XII, გვ. 59.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 79, 59.

<sup>3</sup> იქვე, გვ. VIII.

<sup>4</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r; Свод, გვ. 110, 111.

<sup>5</sup> Список, 48.

<sup>6</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r; Свод, 112, 113.

11. სოფ. حاعول (I 404, 479; II 395, 468). 16 კომლიანი სოფელია. 11 000 ახჩა შემოსავლით. სახელი ჯერჯერობით ვერ ამოვიკითხეთ.

12. სოფ. ო რ უ შ ე თ ი — اوروش (I 404, 480; II 395, 469). უკვე დიდი ხანია ექ. თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ ერუშეთის სახელით ძველ საქართველოში ცნობილი იყო მთელი მხარე, რომელიც დასავლეთით ისაზღვრებოდა არსიანის ქედით, ხოლო აღმოსავლეთით იმავე ქედის განშტოებებით. ერუშეთის ეპისკოპოსი იწოდებოდა ერუშნელად (ერუშნელის სამწყსო, „ერუშნელმა ეპისკოპოსმან მის ეპისკოპოსს“)<sup>1</sup>. ამ მხარეში საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მოშლის შემდეგ ერუშეთის სახელი შერჩა მხოლოდ ერუშეთისწყალზე მდებარე<sup>2</sup> სოფ. ერუშეთს. უცხოელთა ენის ზეგავლენით ერუშეთის სახელწოდება ორუშეთად შეიცვალა. ამჟამად რუსულ მხვილძასშაბიან რუკებზე და აგრეთვე ოფიციალურ სტატისტიკურ კრებულებში თითქმის ყველგან Орушет-ია<sup>3</sup>. პროფ. ექ. თაყაიშვილმა უარყო უმართებულო ცნობა ვახუშტისა იმის შესახებ, რომ ნაქალაქეც „იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ერუშეთისა და არტანისა...“<sup>4</sup>

სოფ. ერუშეთი არტანიდან ჩრდილოეთით 33 ვერსის მანძილზე ყოფილა<sup>5</sup>. „დაეთრის“ დროის ერუშეთში 28 კომლია, 1878 წელს—8, ხოლო 1889 წელს—10 კომლი<sup>6</sup>.

13. სოფ. ახალშენი — خالشن (I 404, 480; II 395, 469). რუკებზე, ჩვეულებრივად „ლ“ს გამოვარდნით, Ахашен-ია. მდებარეობს ერუშეთის ჩრდილოეთით და მაჩუეთის სამხრეთით. „დაეთრის“ ახალშენი საკმაოდ დიდი სოფელია; მასში აღრიცხულია 46 კომლი 7 000 ახჩა გადასახადით. სოფელს მიწერილი აქვს ჩაირი چاير, რომლის ზუსტად ამოკითხვა არ ხერხდება.

14. სოფ. იშაგომი (?) شاسათესველით — ايشا (I 404, 481; II 395, 470). დედანში (გვ. 456) ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს და ამოკითხულობა თითქოს .სწორია. მაგრამ ჯერჯერობით არ აღმოჩნდა მასალა, რომ ეს დადასტურებულყო. დიდი სოფელია—58 კომლიანი და 13 000 ახჩა შემოსავლის გამღები. სათესველის სახელი ამოუკითხავია.

15. სოფ. ზემო ბორჯი ფალადი (?) სათესველით — جرك عليا (?) (I 404, 483; II 395, 471), 55. სოფ. ქვემო ბორჯი — جرك سفلا (I 405, 501, II 396, 489). ამრიგად, ამ ნაწიეში ორი სოფელია ამ სახელ-

<sup>1</sup> МАК, XII, გვ. 69; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 94.

<sup>2</sup> სამცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავარი: АПГА, 81; ივ. ჯავახიშვილი, ქართველოერის ისტორია, II, 1948, გვ. 55; И. Марр, Г. Мерцл, Жизнь св. Григория Халкидонского..., გვ. მე.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. VIII, 69.

<sup>4</sup> Спясок, 48; Свол, 112 (ვარიანტად Ерушет-იც არის ნაჩვენები), ხუთვერსიანი რუკა და სხვ.; შტრ. МАК, XII, გვ. VIII, აღ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 189-191.

<sup>5</sup> ვახუშტი, 132; ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. 69.

<sup>6</sup> Список, 48.

<sup>7</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v; Свол, 112, 113.

წოდებით: ზემო და ქვემო. რუსულ რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში ყველგან ეს სახელი რატომღაც *Нерк*-ადაა აღნუსხული<sup>1</sup>. მდებარეობს ნაქალაქების აღმოსავლეთით და ხოშურეთის ჩრდილოეთით (რუკებზე და სხვაგანაც ყველგან ერთი ბორქია აღნიშნული). „დავთრის“ მიხედვით ზემო ბორქში 27 კომლია, ქვემო ბორქში—10. 1878 წელს ერთ ბორქში 17, ხოლო 1889 წელს აგრეთვე ერთ ბორქში 22 კომლია აღრიცხული<sup>2</sup>. მინაწერის მიხედვით (II, გვ. 472) სოფ. ზემო ბორქის მცხოვრებთა მფლობელობაშია ჩაირი უკან-მოთილი—*اوسان و تیل* (სიტყვის მეორე ნახევრის ამოკითხულობა რამდენიმედ მაინც ექვს იწვევს<sup>3</sup>).

16. სოფ. სამაბეგი *سماح* სათესველით—*كيسا* (I 404, 483; II 395, 472). ხუთვერსიან რუკაზე ზუსტად გარკვეულია ამ სოფლის ადგილმდებარეობა. იქ *Р. Д. Самамбек*-ი აღნიშნულია ნაქალაქევის ჩრდილოეთით ნასოფლარ ფუშხულეთთან. XIX საუკუნეში ეს სოფელი უკვე უკაცრიელ სოფლადაა (*Р. Д.*) ნაჩვენები. „დავთრის“ დროს კი სოფ. სამაბეგში აღრიცხულია 27 კომლი, რომელიც იხდის 12 000 ახჩას. სამაბეგს მიწერილი სათესველის სახელი არ იკითხება.

17. სოფ. ქომქი—*كمو* (I 404, 484; II 395, 473). II წიგნში ამ სახელთან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას. დაწერილობა კარგად იკითხება და ამის დასადასტურებლად ხუთვერსიან რუკაზე (და სხვაზედაც) სოფ. გეჯსა და ერუშეთს შუა, გეჯის რამდენიმედ ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს სოფ. *Кохк*-ი (გვხვდება *Кохк-ий*)<sup>4</sup>, რაც მე ქართულად ქომქი-ად მაქვს გააზრებული („დავთარში“ შუაში „მ“ თანხმოვანია; რადგანაც „კ“ მკვეთრი თურქულში „გ“ გამომხატველი ქასოთი გადმოიცემა, შესაძლებელია ამ სოფლის სახელწოდება კომქა-დ გამოითქნოდ). „დავთრის“ ქონქში 13 კომლია, რომელიც 7 000 ახჩას იხდის. 1878 წელს ამ სოფელში 8 კომლია აღრიცხული<sup>5</sup>.

18. სოფ. გეჯი—*كج* (I 404, 485; II 395, 473). რუკებზე ყველგან ნაქალაქევისა და ქომქს შუა აღნუსხულია სოფ. *Гедж*-ი<sup>6</sup>, რაც სავსებით შეესაბამება „დავთრისეულ“ *كج* დაწერილობას. ერთ-ერთ ქართულ რუკაზე, რომელიც ამეზად ხელთ არა მაქვს, ამ სოფლის სახელი ჰეჯ-ად ყოფილა ნაჩვენები. გეჯის მდებარეობა არტაანიდან ჩრდილოეთით 27 ვერსითაა განსაზღვრული<sup>7</sup>. გეჯში „დავთრის“ დროს 24 კომლია, 1878 წ.—, ხოლო 1889 წელს მასში 13 კომლი ირიცხება<sup>8</sup>.

<sup>1</sup> *Список*, 44; *Свод*, 112; სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v, ხუთვერსიანი და სხვ. რუკები.

<sup>2</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v, *Свод*, 112, 113.

<sup>3</sup> იხ. დედანი, გვ. 458.

<sup>4</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82v.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> *Свод*-ში (გვ. 112) ამ სოფლის სახელად *Геч* ვარიანტიცაა დასახელებული.

<sup>7</sup> *Список*, 44.

<sup>8</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r; *Свод*, 112, 113.

19. სოფ. მერიენი — مرية (I 404, 485; II 395, 474). მერიემ მარიამის თურქული ფორმაა. ამ სოფელში იქნებოდა მარიამთან (მარიამ ღვთისმშობელთან) დაკავშირებული ეკლესია. ერთევისიან რუკაზე აღნიშნულია Mairiam. გვხვდება მეტათეზისიანი შორე ფორმა — მერიამი. მერიემში (მარიამში) „დაეთრის“ დროს ყოფილა 19 კომლი, რომელიც იხდიდა 12 000 ახჩა გადასახადს. 1878 წელს ამ სოფელში 7 კომლია ნაჩვენები<sup>1</sup>.

20. სოფ. დიდი ქვემო ფუშხულეთი<sup>2</sup> مرارة او ارار (?), جفوليد (I 404, 486; II 395, 475), 42. ზემო ფუშხულეთი<sup>3</sup> — جفوليت عليا (I 404, 492; II 396, 481). ორი ფუშხულეთია: ქვემო და ზემო. „ქვემო ფუშხულეთს“ აქ დართული აქვს კიდევ მსაზღვრელი „დიდი“, თმცა პატარა „ზემო ფუშხულეთი“ არ არის. მართალია, პირველად (დედანი, გვ. 460) უფრო თითქოს جفوليد („ფუჩლულედ“) დაწერილობა გვაქვს, მაგრამ მეორეჯერ (დედანი, გვ. 467) უდავოდ جفوليت („ფუჩლულეთი“) წერია. ხუთევისიან რუკაზე ნაქალაქევის ჩრდილოეთით ნასოფლარ სამაბეგთან აღნიშნულია P. A. П y ш х у а е т х და, რა თქმა უნდა, ერთი ფუშხულეთი. სოფლის ნამდვილი სახელი სწორედ ეს ფუშხულეთი უნდა იყოს და არა, ალბათ, გადათურქულებული ფუჩლულეთი (ქართულში „შხ“ კომპლექსი ბუნებრივია). XIX საუკუნეში (ყოველ შემთხვევაში სამხედრო რუკების გადაღების დროისათვის) ფუშხულეთები უკვე ნასოფლარია. ქვემო ფუშხულეთში „დაეთრის“ დროს 19 კომლია (7 000 ახჩა გადასახადი), ზემოში, რომელზედაც შენიშვნაა წაწერილი, რომ ის მაჰმუდ ჩაუშის მფლობელობაშია, აგრეთვე 19 კომლია; ესეც 3 440 ახჩას იხდის. ქვემო ფუშხულეთს რომ აქვს მიწერილი სიტყვები مرارة او ارار — საინტერესოა, მაგრამ გაუგებარი.

21. სოფ. ქვემო ساج و ساج عليا (I 404, 486; II 395, 475), 54. სოფ. ზემო ساج و ساج عليا (I 405, 500; II 396, 488). ამ სახელით ორი სოფელი ყოფილა — ქვემო და ზემო. სოფლის სახელის ამოსაკითხავად გვრჩევრობით მასალა არ ჩანს. პირველი ხუთკომლიანი სოფელია (13 500 ახჩა გადასახადით), მეორე — 32 კომლიანი (15 000 ახჩა გადასახადით).

22. სოფ. ქვემო ნაქალაქევი — ساج و ساج (I 404, 487; II 395, 475), 47. სოფ. ზემო ნაქალაქევი — ساج و ساج (I 404, 495; II 396, 484). ეახუშტის მიხედვით „სამღერეთის დასავლით, ნაქალაქევი, სადაცა იყო ქალაქი, და აწ არს დაბა“<sup>4</sup>. ნაქალაქევის ეკლესია ძველი ქართული

<sup>1</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> როგორც „დაეთრის“ II წიგნშია შენიშნული (გვ. 475), „სიაში“ სათანადო ადგილას. ე. ი. I 404 და II 395 (დედანი, გვ. 379) № 20 ნაცვლად „სოფ. დიდი ქვემო ფუშხულეთი“ საწერია „ზემო ფუშხულეთი“. სამაგიეროდ „ტექსტში“ რომ № 42-ის ქვეშ „ზემო ფუშხულეთი“ გვაქვს, „სიაში“ სათანადო ადგილას (I 404, II 396, № 42) „ქვემო ფუშხულეთი“ აღწერილი. ვფიქრობ ეს კალმის შეცდომა უნდა იყოს.

<sup>4</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 132. არტანის ნაქალაქეს რომ ლ. მროველის მიხედვით „ეგრევა კაცთა ქალაქი, რბემლ არს ჭური“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 56) იხ. აქვე, გვ. 533, 534, № 9.

პროვინციის—ერუშეთის ტერიტორიაზეა (ერუშეთი→ორუშეთი იხ. ზემოთ № 12)<sup>1</sup>. ნაქალაქევი—Накалакеви დიდ რუკებზე ყველგან აღნიშნულია ერუშეთის სამხრეთით. შესაძლებელია ეს ცალკე ნაჩვენები პუნქტი თვით მთავარი ნაქალაქევი იყოს, ხოლო რუკებზე მთაში, ზემო ხანაკის დასავლეთით აღნიშნული Вераниакалакеვი კი<sup>2</sup> „დავთარში“ ზემო ნაქალაქევიად აღწერილ პუნქტს შეესაბამებოდეს. ამ ნაქალაქევს ექ. თაყაიშვილი ძველ ნაქალაქევსაც ეძახის: Есть, впрочем и другой Накалакеви, так называемый Старый Накалакеви или Верана-Накалакеви, выше в горах...<sup>3</sup> „დავთარის“ დროის ქვემო ნაქალაქევი 16 კომლია, რომელსაც შეწერილი აქვს 9 000 ახჩა. 1878 წ. ერთ ნაქალაქევი 70 კომლია, ხოლო 1889 წელს—59<sup>4</sup>. სოფ. ზემო ნაქალაქევი 4 კომლია აღწერილი 6 000 ახჩა შემოსავლით, ხოლო ე. წ. ვერანა ნაქალაქევი (Верана Накалакеви), თუ ეს „დავთარის“ ზემო ნაქალაქევი, 7 კომლია<sup>5</sup>. აღნიშნოთ ისიც, რომ სტატისტიკური კრებულის ცნობის მიხედვით ნაქალაქევი (ქვემო) დაშორებულია არტაანს 24 ვერსით<sup>6</sup>, ხოლო ვერანა ნაქალაქევიც ამდენითვე<sup>6</sup>.

23. სოფ. ხოშურეთი, მეორე სახელი ჩულურეთი (?)—م شوره (?), دكر جفوري (I 404, 487; II 395, 476). ადგილმდებარეობა Хашуретისა გარკვეულია ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე. იგი მდებარეობს ნაქალაქევის სამხრეთ-აღმოსავლეთით და გუგუბას დასავლეთით (ხუთვერსიანი რუკა), არტაანიდან 28 ვერსზე<sup>7</sup>. სოფ. ხოშურეთის მეორე სახელად „დავთარი“ უჩვენებს ჩულურეთს (დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები არა აქვს; მაინც ვფიქრობ, რომ ჩულურეთია)<sup>8</sup>. ჩულურეთ სახელწოდება ამ მხარეში უჩვეულო არ არის<sup>9</sup>. ვახუშტით „აშვე (ფოსოს) წყალზედ არს ფოსო ანუ ჩულურეთი<sup>10</sup>. „დავთარის“ დროის ხოშურეთი უკვე გაუქაცრიელებულია, 1878 წელს 8 კომლია, ხოლო 1889 წელს ხოშურეთში 17 კომლი ირიცხება<sup>11</sup>.

24. სოფ. ჩაისთარი—چایستار (I 404, 487; II 395, 476). დაწერილობას ყველა ნიშანი აქვს და იკითხება კარგად. უკაცრიელი სოფელია, რომელსაც 9 500 ახჩა აქვს შეწერილი. ჩაისთარი ბეგრახათუნის აღმოსავლეთით მდებარეობს (იხ. თანდართული რუკა). ზოგ რუკაზე (მაგ. „ვერობ. რუსეთის სპეცრუკა“) ჩაისთარის ადგილას ჩაისი წერია. ერთი ჩაისი („თურქული“,

<sup>1</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 94; Е. С. Такайшвили, МАК. XII, гв. VIII.

<sup>2</sup> შდრ. Верана-Накалакеви: Свод, 112, 113; Список, 44.

<sup>3</sup> МАК, XII, гв. VIII.

<sup>4</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r; Свод, 112, 113.

<sup>5</sup> Свод, 112, 113.

<sup>6</sup> Список, 44, 48.

<sup>7</sup> იქვე, 52.

<sup>8</sup> იხ. დედანი, გვ. 462.

<sup>9</sup> შდრ. თბილისში უბანი—ჩულურეთი.

<sup>10</sup> აღწერა სამეფოსა..., გვ. 130.

<sup>11</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v; Свод, 112, 113.



ე. ი. მაჰმადიანი ქართველების ჩაისი) ჩვენ განვიხილეთ ქანარბელის ნაიძეს სოფლებში (იხ. ზემოთ გვ. 416). ეს ჩაისი კი ყარათაფახების (ერთ-ერთი თურქული ტონი) ჩაისია<sup>1</sup>. ჩაისის მდებარეობა სკარებთანაა ნაჩვენები<sup>2</sup>. აქვეა „დავთრის“ ჩაისთარი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩაისი (ყარათაფახური) და ჩაისთარი უნდა იყოს ერთი და იგივე სოფელი, რომელსაც ორი სახელი უნდა ჰქონოდა და რომელიც ზოგ რუკაზე ჩაისთარ-ადაა ფიქსირებული, ზოგზე კი— ჩაის-ად.

25. სოფ. სკარები მერიემ და ბერდაბერ (?) სათესველებითურთ— (?) *سكاره و مريه و بربدره* (I 404, 487; II 395, 476). აქ წარმოდგენილი დაწერილობის პირველი ასო—ელიფი უთუოდ პროთეტულ ხმოვანს გამოხატავს (რადგანაც სიტყვა „სკ“ კომპლექსით იწყება) და ამის მიხედვით ეს სიტყვა ისკარებ'ად უნდა ამოგვეთხა. მაგრამ ქეზარბაღის ქართული სახელი ამ სოფლისა სკარები-ი უნდა ყოფილიყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყველა რუსულ რუკაზე და სტატისტიკურ კრებულებში ამ სოფლის მეორე სახელად გვაქვს Сикярэ-ი<sup>3</sup>, რომელიც გადათურქულებული სკარები-ა (თურქული-სათვის უჩვეულო ორ თანხმოვანს შუა „ი“-ს ჩასმით). ამრიგად, ისკარები და სიკარები ორივე კანონზომიერად თურქიზებული ფორმაა, რომელიც ჩვენ გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ ამ სიტყვის ქართული სახე (სკარები-ი. ჩვენს ასეთ მოსაზრებასთან სრულებით შესაბამისობაში არ არის პროფ. ექ. თაყაიშვილის შემდეგი ცნობა: ჯერ ერთი, ამ სოფლის ეკლესიაზე წარწერაში, სხვათა შორის, ნათქვამია „ესე საყდარი მე დავით... აღვაშენე და შეეწირე (?) წმიდასა ხატსა გ'ი სკზრებისასა...“<sup>4</sup> ამის შემდეგ ექ. თაყაიშვილი შენიშნავს: „Деревня Сикярэ в старину, видимо, называлась Сакярэ-рени, но так как это чтение гадательное, то можно допустить предположение, что Сикярэ есть переделанное грузинское название Сакире, что в переводе значит „место выжигания известия“<sup>5</sup>. წარწერაზე ამ სოფლის სახელის საკაზრებ'ად ამოკითხულობა თვით ექ. თაყაიშვილს სათუოდ მიაჩნია. მაგრამ საკაზრებ სიტყვა თუ სწორადაა ამოკითხული, შეუძლებელი არ არის მისგან შემდეგში თურქულ ნიადაგზე სკარები მიგველო. მიუღწეველია ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ სიკიარებ←სკარები გადაკეთებული ქართული სახელი საკირე არისო. საკირე'ს სიკიარებ'ში გადასვლა არაერთი კანონზომიერი მოვლენა არ არის. გარდა ამისა, საკირე გეოგრაფიული სახელი სხვაგან გურჯისტანის ვილაეთში ყველგან უცვლელი დარჩა და ჩვენამდე მოაღწია: „სოფ. საკირე“ (ფოცხოვის ლივა,

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, 76.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Свод, 110.

<sup>4</sup> МАК, XII, გვ. 75.

<sup>5</sup> Сикярэ-ი-ი თურქიზებული ფორმაა სკარები-ისა. მ გაჩენილია წინამჟღადი თანხმოვნის პალატალიზაციის შედეგად.

<sup>6</sup> МАК, XII, 75.

ჩრდილის ნაპიჯე)<sup>1</sup>, აგრეთვე სოფ. Сакуре გვაქვს ჩვენ აწყურის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ტაძრისთან ახლო<sup>2</sup>.

რაც შეეხება სოფ. სკარების აღვლმდებარეობას, პროფ. ექ. თაყაიშვილი საესებით ზუსტად უჩვენებს, რომ სოფ. სიკიარები სოფ. ველიდან (იხ. ზემოთ) აღმოსავლეთითაა<sup>3</sup> მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას<sup>4</sup>. „დავთრის“ დროს სკარებში აღრიცხულია 21 კომლი, რომელზედაც შეწერილია 3 000 ახჩა გადასახადი. 1878 წელს კი მასში ნაჩვენებია მხოლოდ 8 მოსახლე; 1889 წელსაც 8 კომლია<sup>5</sup>. სკარებთან დასახელებულ ორ სათესველთაგან ერთის სახელი შეიძლება მართლაც მე რ ი ე მ-ი იყოს, მეორის სახელად ბერ და ბერის ამოკითხვა უთუოდ საეკვაა. ამ სოფლის მინაწერში იხსენიება იალალი كوجك قره چار, რაც პატარა ყარაჩინარი უნდა იყოს.

26. სოფ. ბეგრახათუნი بجره ხათუნ და მეორე ბეგრახათუნ სათესველებითურთ—بجره خاتون (I 404, 488; II 395, 477). ბეგრახათუნზე ექ. თაყაიშვილი წერს, რომ ეს სოფელი მდებარეობს ველის (იხ. ზემოთ, გვ. 521) სამხრეთით, გზატკეცილზე<sup>6</sup>. ბეგრახათუნი საკმაოდ დიდი სოფელია. მასში „დავთრის“ მიხედვით აღრიცხულია 33 კომლი. ბეგრახათუნისაგან შემოსავალია 6 000 ახჩა. 1878 წ. ბეგრახათუნში 12 კომლია, 1889 წელს კი ამ სოფელში 14 კომლი ჩანს<sup>7</sup>. ზოგ რუკაზე ამ სოფლის სახელი Багряхатун<sup>8</sup>-ია, Hammer-ით—Bekre Chatun<sup>9</sup>.

ბეგრახათუნის მინაწერში ამ სოფლის კუთვნილად დასახელებულია كول და آءاع ჩაირები, რომელთა ნამდვილი სახელების ამოკითხვა ჯერ ვერ ხერხდება.

27. სოფ. حمسه (?) (I 404, 489; II 395, 478). შეიძკომლიანი სოფელია, რომლის სახელის ამოსაკითხავად მასალა არა გვაქვს. შეწერილი აქვს 6 000 ახჩა გადასახადი.

28. სოფ. او اعلى (I 404, 489; II 395, 478) 17 კომლიანი სოფელია, რომელიც 6 000 ახჩა შემოსავალს იძლევა. დაწერილობა ძლიერ გარკვეულია, მაგრამ ამოუკითხავად რჩება.

29. სოფ. სუშელი (?)—سومل (?) (I 404, 490; II 395, 478). უკაცრიელი სოფელია, რომელიც 2 000 ახჩა შემოსავალს იძლევა.

30. სოფ. მაჩუეთი—ماچويت (I 404, 490; II 395, 478). „დავთრის“ დროს უკვე გაუკაცრიელებულია. 1878 წ. მაჩუეთში 8 კომლია, ხოლო 1889

<sup>1</sup> I 17, 325; II 20, 318.

<sup>2</sup> „ვერობული რუსეთის სპეცრუკა“.

<sup>3</sup> წერია დასავლეთითაა, მაგრამ ეს ლაპსუსი უნდა იყოს.

<sup>4</sup> МАК, XII, 75.

<sup>5</sup> სტია ფ. 415, ს. 12, გვ. 82r; Свод, 110, 111.

<sup>6</sup> „ვერობ. რუსეთის სპეცრუკა“; შდრ. МАК, XII, 76.

<sup>7</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r, Свод, 110, 111.

<sup>8</sup> GOR, II, 865.

წელს უკვე 20 კომლი მოსახლეობაა<sup>1</sup>. იხდის 4 000 ახჩას. სოფ. მაჩუეთი მსხვილმასშტაბიან რუკებზე ყველგან აღნიშნულია. იგი მდებარეობს სოფ. ერუშეთისა და ახაშნის ჩრდილოეთით, ამ უკანასკნელთან ძლიერ ახლო (Мачуот). მაჩუეთი არტანიდან 35 ვერსის მანძილზეა<sup>2</sup>. შესაძლებელია ამ სოფლის სახელი მაჩუე მაჩუე სიტყვიდან იყოს წარმოქმნილი (მაჩუეთი), თუმცა ამ სოფლის სახელის ერთ-ერთ ვარიანტად Мачувет-იც გვაქვს<sup>3</sup> და მაჭუეთიც<sup>4</sup>.

31. სოფ. ქვემო ჯვარისხევი ზემო ჯვარისხევე სათესველითურთ *جوارسغو* (I 404, 490; II 395, 479). XIX საუკუნის რუსულ რუკებზე *Джарис-хев*<sup>5</sup> (ხუთვერსიანი, სპეტრუკა დასხვ.). *Джарисхев*-ი გვაქვს აგრეთვე სტატისტიკურ კრებულებში<sup>6</sup> და „საქ. ისტ. რუკაზე“ დაც (1923 წ.), აგრეთვე ალ. ფრონელთანა<sup>7</sup>. ერთ-ერთი სპეტრუკიდან კი (99—27) ამოიწერია *Джарис-хев*-ი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში „ჯ“ და „ვ“ თანხმოვანს შორის „ე“ ხმოვანი თანხმოვანთა გასაყარადაა ჩასწული თურქული ფონეტიკური სპეციფიკის გამო. ქართული ფორმა კი *Джарис-хев*-ი ჩანს. მაგრამ ამ შემთხვევისათვის მთავარი ისაა, რომ „დავთარი“ იძლევა ვინიან ფორმას —...*جوار*. ამდენად უდავოა, რომ სოფლის ქართული სახელი ჯვარისხევი ია. „ვ“ს ამოვარდნით მოღწეული ფორმები უცხო ენობრივ კოლექტივში გადაგვარებულა. ჯვარისხევი<sup>8</sup>ის თურქულ დაწერილობაში აღსანიშნავია, რომ „ხ“ თანხმოვანი მკლერი *غ(ل)*-თია გადმოცემული. ჯვარისხევი მდებარეობს ერუშეთის ჩრდილო-დასავლეთით, არტანიდან 36 ვერსის მანძილზე<sup>9</sup>. „დავთარის“ ქვემო ჯვარისხევეში (ზემო ჯვარისხევი მისი სათესველია) 10 კომლია აღრიცხული და იძლევა 4 000 ახჩა შემოსავალს. 1889 წელს ჯვარისხევეში უკვე 36 კომლია<sup>10</sup>.

32. სოფ. მუნუსი *اوحران* და *واركي* სათესველებით—*مونوس* (I 404, 491; II 395, 479). ამ სოფლის სახელი ყველა რუკაზე და სტატისტიკურ კრებულებში, აგრეთვე ალ. ფრონელთანა<sup>11</sup> მუნუს-ადაა ფიქსირებული<sup>12</sup>; „დავთარი“ კი მუნუს-ია და, ვფიქრობ, ესაა ამ სახელის ქართული და ძველი ფორმა. მუნუსი რუკებზე სოფ. ტამალის აღმოსავლეთითაა აღნიშნული არტანიდან 42 ვერსის მანძილზე<sup>13</sup>. „დავთარის“ მუნუსში 18 კომლია აღრიც-

<sup>1</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v; *Свод*, 112, 113.

<sup>2</sup> *Список*, 48.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 190.

<sup>5</sup> *Свод*, 112.

<sup>6</sup> *Список*, 46.

<sup>7</sup> დიდებული მესხეთი, გვ. 191.

<sup>8</sup> *Список*, 46.

<sup>9</sup> *Свод*, 112, 113.

<sup>10</sup> *Список*, 48; *Свод*, 112, სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v; დიდებული მესხეთი, გვ. 191.

<sup>11</sup> *Список*, 48.

ხული; იხდის 5 000 ახჩას. 1878 წ. მასში მხოლოდ 6 კომლია, ხოლო 1889 წელს მუნესში კვლავ 18 კომლი<sup>1</sup> მოსახლეობა გვყავს. მუნესთან დასახელებული სათესველების სახელები ვერ ამოვიკითხეთ.

33. სოფ. სამოთხე — ساموتخی (I 404, 491; II 395, 480). „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ (1923 წ.) და ერთეფრსიან რუკაზედაც სამოთხე-დაა აღნიშნული ჯვარისხევისა და ახაშნის ჩრდილოეთით. სხვა რუსულ რუკებზე სამოთხე აღნიშნულია როგორც P. Д. Самутка<sup>2</sup>. ეს Самутка საეხებით კანონსომიერად გადათურქულებული ქართული სამოთხეა: მეორე მარცვალში თურქულისათვის უჩვეულო „ო“ ხმოვანი შეცვალა „უ“მ, ხოლო ნასესხები სიტყვების „ხ“ თურქულში „к“ს გადაძვეს (ბორჩხა → Борчка<sup>3</sup> და სხვ. მრ.). სამოთხე „დავთრის“ დროს უკვე გვევრნებულა, მისი ნათესობიდან შემოსავალი გადასახადის სახით 1 000 ახჩაა.

34. სოფ. დიდი ტამალი — كركاسا (I 404, 491; II 395, 480), 88. სოფ. ქვემო ტამალი — اساماسا (I 405, 512; II 396, 499), 101. სოფ. პატარა ტამალი დიდ ტამალთან كوكچاسا (I 405, 515; II 397, 502). ამრიგად ტამალის სახელწოდებით არტაანის ტყე-ნაპიეში სამი სოფელი ყოფილა: დიდი, ქვემო და პატარა ტამალი. მუნესის დასავლეთით და სოფ. წურმანების (რუკაზე Н. Цурман, В. Цурман) აღმოსავლეთით ხუთეფრსიან რუკაზედაც სწორედ სამი ტამალია აღნიშნული: В(ерхний) Тамал, М(алый) Тамал და Н(ижний) Тамал. ამრიგად, „დავთრისა“ და რუკების სახელწოდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ ხვდება ერთმანეთს: პატარა ტამალი = Малый Тамал, ქვემო ტამალი = Нижний Тамал; მაშასადამე, „დავთრის“ დიდი ტამალი = (თანამედროვე რუკების) Верхний Тамал-ი. სოფ. დიდი ტამალი „დავთრის“ დროსვე გაუქაცრიელებულია, მაგრამ მისგან შემოსავალი ნეაერაუდევია 15 000 ახჩის რაოდენობით. 1889 წლის ზემო ტამალში (= დიდი ტამალი) 24 კომლია<sup>4</sup>. „დავთრის“ დროს გაუქაცრიელებულია აგრეთვე ქვემო ტამალი და პატარა ტამალიც; პირველს შეწერილი აქვს 3 999 ახჩა, მეორეს — 1 000. 1889 წელს ქვემო ტამალში 19 კომლია, ხოლო პატარა ტამალში, რომელიც, ჩანს, შუა ტამალადაც<sup>5</sup> იწოდებოდა, 7 კომლი<sup>6</sup> (ამრიგად, ომების შედეგად გვევრნებულ სოფლებში შექმდეში კვლავ გაჩენილა მოსახლეობა). ტამალები ერთმანეთთან ძლიერ ახლოს არიან: არტაანიდან ზემო ტამალამდე (= „დავთრის“ დიდი ტამალი) 39 ვერსია ნაჩვენები, ქვემო ტამალამდე — 38, ხოლო პატარა ტამალამდე (ზოგი ცნობის მიხედვით = შუა ტამალი) აგრეთვე 38 ვერსი<sup>7</sup>.

35. სოფ. საღმრ[თ]ო(?) ساهامه სათესველით — (?) ساهرو (I 404, 491; II 396, 480). კ. ოდიშარიას მიერ გადმოცემულ სოფელთა სიაში მოხსენე-

<sup>1</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81წ; Своя, 112, 113.

<sup>2</sup> მაგალითად, იხ. ევროპ. რუსეთის სექტრუჯზე“.

<sup>3</sup> Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, Москва, 1945, გვ. 83.

<sup>4</sup> Своя, 112, 113.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> Список, 50.

ბულია ნასოფლარი საღმრთო (№ 128), რომელიც შეიძლება ამ ჩვენს სამფრო („მ“ და „ლ“ს გადასმა გასაკვირველი არ არის) დაწერილობით ვადმოცემული სოფლის სახელი იყოს. ადგილმდებარეობა ამა თუ იმ სოფლისა კ. ოდიშარიას სიაში ნაჩვენებია არაა. ამ სოფელში ნაჩვენებია რაი ქოსახლე და შეწერილი აქვს 4 000 ახჩა. სოფელთან აღწერილი სათესველი საჯამე „შმაჯამა“ შესაძლებელია სმა-ჰამა იყოს?

36. სოფ. საჯამე (I 404, 491; II 396, 480). უკაცრიელი სოფელია; შეწერილი აქვს 2 000 ახჩა. ამოკითხვა არ ხერხდება.

37. სოფ. სორსი პატარა გულამეთ (?) სათესველით. ... صورس مع كوكك (?) (I 404, 492; II 396, 480). სოფ. სორსი დიდ რუკებზე ყველგან აღნიშნულია სოფელ ჩიმილიჩარსა და ენგიქრის შუა (ხუთვერსიანი რუკა), არტანიდან 28 ვერსის მანძილზე<sup>1</sup>. სოფ. სორსში „დავთარის“ მიხედვით ირიცხება 11 მოსახლე, ხოლო 1889 წელს მასში 32 კომლია<sup>2</sup>. სორსთან დასახლებული სათესველი პატარა კლამ-ის პატარა გულამეთად წაიკითხვა ძლიერ პირობითია, ხოლო ბოლო მინაწერში ჩამოთვლილი სოფ. (?) და صواحე სათესველების სახელები ამოუკითხავი რჩება.

38. სოფ. ზემო წურმანი—زورمان عليا (I 404, 492; II 396, 481), 39. სოფ. ქვემო წურმანი—زورمان سفلى (I 404, 492; II 396, 481), 41. შუა წურმანი—زورمان وسط (I 404, 492; II 396, 481). XIX ს. წყაროებში ეს სოფლები დიდ და პატარა წურმან-ადაც არის ცნობილი<sup>3</sup>. სამივე წურმანი—ზემო, ქვემო და შუა—გაუკაცრიელებულია. ეს მოხდა, ალბათ, XVI საუკ. დაპყრობითი ომის შედეგად. შემდეგში ეს სოფლები მოშენებულა და 1889 წლის სტატისტიკური კრებულის მიხედვით ზემო წურმანში აღრიცხულია 18 კომლი, ხოლო ქვემოში—15<sup>4</sup>. XIX საუკუნის რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში ამ სოფლის სახელი ყველგან რუსულად Цурман და Цурман-ადაა გამოცემული<sup>5</sup>. მე გასაგები მიზეზების გამო „დავთარს“ ვაძლევ უპირატესობას და زورمان-ს წურმან-ად ვკითხვლობ (ჯ ჩვეულებრივად, როგორც ვიცით, „წ“ თანხმოვანს ვადმოსცემს). ამ სახელის ეს წურმან ფორმა უფრო სწორი უნდა იყოს, ვიდრე რუსული წყაროების Цурман-ი. წურმანების ადგილმდებარეობა რუკების მიხედვით სავსებით გარკვეულია; წურმანი აღნიშნულია ტაშალის დასავლეთით; საერთოდ წურმანი ერთ-ერთი უკიდურესი დასავლეთის პუნქტთაგანია ტყე-არტანის ნაჰიეში (იხ. 5 ვერსიანი რუკა). ზემო წურმანი არტანიდან 32 ვერსზეა, ხოლო ქვემო—33-ზე<sup>6</sup>. „დავთარის“ დროს უკაცრიელი ზემო წურმანიდან ხაზინას შესდიოდა 3 000 ახჩა, ქვემოდან—5 000, ხოლო შუა წურმანიდან—3 000 ახჩა.

<sup>1</sup> იქვე, 48.

<sup>2</sup> Свод, 112, 113.

<sup>3</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82რ.

<sup>4</sup> იქვე (შუა წურმანი შემდეგ უკვე არ ჩანს).

<sup>5</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82რ; Свод, 52; Свод, 112.

<sup>6</sup> Свод, 52.

39. სოფ. ქვემო წურმანი (იხ. ზემოთ სოფ. № 38—ზემო წურმანი).

40. სოფ. *الى عكله سىا*—*الى كىا* (I 404, 492; II 396, 481). უკაცრიელი სოფელია, რომელსაც აწერია 2 000 ახნა. სახელის პირველი ნაწილი გაუგებარია. შეიძლება ეს იყოს ხუთვერსიან რუკაზე P. Д. აღნიშნული პუნქტი. ჯერ სოფელი იყო, შემდეგ ნასოფლარად რომ იქცა და ეკლესია დარჩა, შეერქვა ალის ეკლესია. Танендан-თან ახლოსაა რუკაზე.

41. სოფ. შუა წურმანი (იხ. ზემოთ სოფ. № 38—ზემო წურმანი).

42. ზემო ფუშხულეთი (იხ. ზემოთ სოფ. № 20—დიდი ქვემო ფუშხულეთი).

43. სოფ. ყანდურეთი—*قاندورت* სოფ. ზემო ფუშხულეთთან (I 493; II 482)<sup>1</sup>. I წიგნის გამოცემის დროისათვის ეს სახელწოდება უკვე ამოიკითხავს; I წიგნში დაბეჭდილია *قاندورت*-ი, რაც ყანდურეთს ან, უფრო მოსალოდნელია, ყანდურეთს უდრის. ეს ის პუნქტია, რომელიც ხუთვერსიან და სხვა რუკებზე ნასოფლარადაა აღნიშნული P. Д. Киндуретის სახით. „დავთარში“ ამ სოფელზე ნათქვამია, რომ ის ზემო ფუშხულეთთან (ახლო) არის<sup>2</sup> და Пущухутის-სთან რუკებზე სწორედ P. Д. Киндуретის ა აღნუსხული. რადგანაც „დავთარის“ *قاندورت*-ი სანდოდ ჩაწერილი სახელია, ამიტომ, ვფიქრობ, Киндуретის გადაწერის პროცესში შერყვნილი Кандурети II კანდურეთი უნდა იყოს. კანდურეთი გაუკაცრიელებულია, იხდის 2 000 ახნას.

44. სოფ. დიდი ტიკანი—*كديان* (I 404, 493; II 396, 482), 45.

სოფ. პატარა ტიკანი—*كديان كوچك* (I 404, 494; II 396, 483). დიდი და პატარა ტიკანი ორივე აღნიშნულია ხუთვერსიან და სხვა მსხვილმასშტაბიან რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში როგორც Тикан-Верхний და Тикан-Нижний, აგრეთვე იხსენებიან Большой და Малый Тикан<sup>3</sup> ად. ამრიგად, „დავთარის“ დიდ და პატარა ტიკანს შეესაბამება ჩვენი დროის ზემო და ქვემო ტიკანი. ტიკანის სახელწოდების სოფლები მდებარეობენ სოფ. Кяркяდან-ის აღმოსავლეთით და ორალაზის (Орагаз) ჩრდილო-დასავლეთით, არტანიდან 21 (ზემო) და 19 (ქვემო) ვერსის მანძილზე<sup>4</sup>. დიდი ტიკანი „დავთარის“ დროს 53 კომლიანი სოფელია, ხოლო პატარა ტიკანი კი—12 კომლიანი. 1878 და 1889 წლებში შესაბამისად ზემო (დიდ) ტიკანში 12 და 30 კომლია, ხოლო ქვემოში—11 და 28<sup>5</sup>.

45. სოფ. პატარა ტიკანი (იხ. ზემოთ სოფ. № 44—დიდი ტიკანი).

46. სოფ. ორბუხა *اوربوجا* სათესველით—*اوربوجا* (I 404, 495; II 396, 483). დაწერილობა დიაკრიტული ნიშნები აქვს და ამოკითხულობა

<sup>1</sup> ეს სოფელი „სიაში“ (I გვ. 404 და II გვ. 396) გამორჩენილია, რაც ჩვენ შენიშნული ვაკვს II წიგნის 396-ე გვერდზე. ამ მიზეზით აქედან მოკიდებული ტექსტის ნუმერაცია ერთი ნომრით მეტია.

<sup>2</sup> ზემო ფუშხულეთი იხ. ზემოთ № 42.

<sup>3</sup> რუკები; С.т.ж.с.к., 50; С.т.ж.с.к. 112; სტია, გვ. 415, ს. 12, გვ. 82r.

<sup>4</sup> Список, 50.

<sup>5</sup> სტია, გვ. 415, ს. 12, გვ. 82r; С.т.ж.с.к. 112, 113.

სწორია. ასეთი სახელის ნასოფლარი—P. Д. Орнѣха მართლაც აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე სოფ. ხანახის ახლო. სოფ. ორბუხაში 19 კომლია აღრიცხული; მას შეწერილი აქვს 5 000 ახჩა გადასახადი. სოფელთან აღწერილი სათესველის სახელი ვერ ამოვიკითხეთ.

47. სოფ. ზემო ნაქალაქევი (იხ. ზემოთ სოფ. № 22—ქვემო ნაქალაქევი).

48. სოფ. სასხარა სათესველებით اساخرا—اسخرا و اسغته و اسخرا (I 404, 496; II 396, 484). მსხვილმასშტაბიან რუკებზე ყველგან სოფ. ფიკლობსა და Кяркядаи-ს შუა, ქვემო ტიკანის დასავლეთით აღნიშნულია სოფ. Сасхара (Сосхара შეცდომაა). არტანიდან სასხარამდე 20 ვერსია<sup>1</sup>. სასხარა საკმაოდ მოზრდილი სოფელია; მასში აღრიცხულია 38 კომლი. 1889 წელს კი სასხარაში ირიცხება 48 მოსახლე<sup>2</sup>. სასხარასთან აღრიცხული სათესველებისა და იალალის—الس-ის სახელი ამოუკითხავად რჩება.

49. სოფ. ვაჯარი—واجار (I 404, 497; II 396, 485). უნდა ვიფიქროთ, რომ ხუთვერსიან რუკაზე სოფ. ტიკან და Кяркядаи-თან ახლო აღნიშნული P. Д. Баджара სწორედ ეს ჩენი ვაჯარ სოფელია. თურქმა აღნიშნა ბოლოკიდური „ა“ გამოტოვა (როგორც, ვთქვათ, მიცემითი ბრუნვის აფიქსი თურქულში), ხოლო თავიკიდური „ვ“ შემდეგში სხვადასხვა ენის ზეგავლენით „ბ“ თანხმოვანში უნდა იყოს გადასული. ამრიგად, ქართული სახელი ამ სოფლისა, შესაძლებელია, ვაჯარა იყო. სოფელი საკმაოდ დიდია. მასში 36 მოსახლეა; ამ სოფლიდან ხაზინაში 11 500 ახჩა შედის.

50. სოფ. შუა ხანაკი—شواناق (I 404, 497; II 396, 485), 51. სოფ. პატარა ხანაკი كوچاق خاناق (I 404, 498; II 396, 486), 53. სოფ. ზემო ხანაკი წმინდ(ა)ელია და კოტანეთ სათესველით ... خاناق عليا مع. شواناق (I 405, 499; II 396, 487). ამრიგად, „დავთარში“ ხანაკი-ს სახელით სამი სოფელია—შუა, პატარა და ზემო ხანაკი. XIX საუკუნის რუსულ რუკებზე, აგრეთვე სტატისტიკურ კრებულებში ყველგან სამი Ханах-ი გვაქვს, ოღონდ ეს ხანახები ასეა ერთიმეორისაგან გარჩეული—Верхний, Нижний и Средний Ханах<sup>3</sup>. ასე გამოდის, რომ „დავთარის“ პატარა ხანაკი=შემდეგდროინდელი ქვემო ხანაკი. რადგანაც ახალ წყაროებში თითქმის ყველგან Ханах-ია (ზოგ რუკაზე, მაგალითად, „ევროპ. რუსეთის სპეტრუკაზე“, Ханах-იც არის—Верхний Ханах და Ханах-იც—С. и Н. Ханах). ეს იმის ნიშანია, რომ უთუოდ ქართულში იმ თავიდანვე ხანახი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ზემოთ არა ერთი მაგალითი გვქონდა იმისი, რომ ნასესხები სიტყვის არათავიკიდური „ხ“ თურქულში კანონზომიერად სათანადო ხშულს გვაძლევდა; მაგალითად, ქ. ბორჩხა→Ворчка და სხვ. მრ).

<sup>1</sup> Список, 50.

<sup>2</sup> Свод, 112, 113.

<sup>3</sup> რუკები ხუთვერსიანი და სხვ.; Список, 50; Свод, 112; სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v (ამ საბუთის Орта Ханах=Средний Ханах).

რუკებზე შუა და ქვემო ხანახი სოფ. ფიკლობის რამდენიმედ აღმოსავლეთი-საკენაა, ხოლო ზემო ხანახი—ფიკლობის ჩრდილოეთით. არტანიდან მანძილი ზემო ხანახამდე 28 ვერსია, ქვემო ხანახამდე—24 და შუა ხანახამდე კი 25 ვერსია<sup>1</sup>. „დავთრის“ შუა ხანახი 30 კომლიანი სოფელია და იხდის 9 000 ახჩას, პატარა ხანახი 37 კომლიანია და იხდის 8 000 ახჩას, ხოლო ზემო ხანახში 30 კომლია და აძლევს ხაზინას შემოსავალს 10 500 ახჩას რაოდენობით. 1887 წლის სტატისტიკური ცნობების მიხედვით კი ზემო ხანახში უკვე 14 კომლია, შუა ხანახში 29, ხოლო ქვემო ხანახში 49 კომლი. 1878 წელს ამ სოფლებში შესაბამისად 7, 14 და 17 კომლია<sup>2</sup>. სოფ. ზემო ხანახს მიწერილი წმინდაელია და კოტანეთ სათესველების სახელები სწორად უნდა იყოს ამოკითხული.

51. სოფ. პატარა ხანაკი (იხ. ზემოთ სოფ. № 50—შუა ხანაკი).

52. მამული (ჩიფთლიქი) მუსტაფე  $\text{ك. ك.}$ -ის მფლობელობაში. ეს მამული ზემოხსენებულ სოფ. პატარა ხანახში წდებარეობს და მის ფარგლებშია. მაგრამ მუსტაფეს ეს მამული ცალკე აღრიცხული და ხაზინას აძლევს შემოსავალს 335 ახჩის რაოდენობით. ამ მამულზე ბინადრობს ორი კომლი.

53. სოფ. ზემო ხანაკი (იხ. ზემოთ სოფ. № 50—შუა ხანაკი).

54. სოფ. ზემო  $\text{وحل}$  (იხ. ზემოთ სოფ. № 21—ქვემო  $\text{وحل}$ ).

55. სოფ. ქვემო ბორჯი (იხ. ზემოთ სოფ. № 15—ზემო ბორჯი).

56. სოფ. ხაროსმანი  $\text{خاروسمان}$  სათესველით —  $\text{خاروسمان}$  (I 405, 501;

II 396, 489), 57. სოფ. დიდი ხაროსმანი— $\text{خاروسمان بزرگ}$  (I 405, 502; II 396, 489). სპეცრუკაზე [99] დუდუნასთან ახლო აღნიშნულია პუნქტი  $\text{Харосман}$ , რაც უთუოდ „დავთრის“ „ხაროსმანსა და დიდ ხაროსმანს უდრის. ხაროსმანში 14 კომლია და იხდის 5 000 ახჩას, ხოლო დიდ ხაროსმანში 4 კომლია, რომელზეც შეწერილია 11 500 ახჩა. ხაროსმანთან დასახელებული  $\text{ككاس}$  სათესველის სახელი არ იკითხება.

57. სოფ. დიდი ხაროსმანი (იხ. ზემოთ სოფ. № 56—ხაროსმანი).

58. სოფ. აღჯაყალა— $\text{أجغاق}$  (I 405, 502; II 396, 490). თურქული  $\text{Ağcakale}$  ნიშნავს თეთრ ციხეს. შეიძლება ესეც ქართულიდანაა ნათარგმნი ისევე, როგორც ჩილდირის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირას მდებარე ძველი ქართული ციხე-სიმაგრე თეთრი ციხე სახელი თარგმნეს თურქებმა და აღჯაყალა დააკანონეს ამ ციხის სახელად (იხ. აღჯაყალა). იმავე სპეცრუკაზე [99]. რომელზედაც ხაროსმანია აღნიშნული, ნაჩვენებია აგრეთვე პუნქტი  $\text{Ахлжакала}$ . ეს აღჯაყალა „დავთრის“ დროს უკვე გაუცაცრიელებულია. იხდის 8 499 ახჩას.

59. სოფ. დიდი ლალვანა— $\text{لوان بزرگ}$  (I 405, 502; II 396, 490),

98. სათესველი პატარა ლალვანა— $\text{كچك لوان}$  (I 405, 514; II 397, 501). ორი ლალვანაა, ერთი—დიდი ლალვანა სოფელია, მეორე პატარა

<sup>1</sup> Список, 50.

<sup>2</sup> Свод, 112, 113; სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v.



ლაღვანა — სათესველი. დიდი ლაღვანა ათკომლიანი სოფელია, შეწერილი აქვს 5 000 ახჩა. პატარა ლაღვანა (შეიძლება ოდესღაც სოფელი) სათესველადაა აღნუსიული; იხდის 1 280 ახჩას. მათი ადგილმდებარეობა ჯერჯერობით უცნობია.

60. სოფ. ალიოსმანი — *الى اوسان* (I 405, 502; II 396, 490). რა თქმა უნდა, ამ სოფლის სახელს ცნობილ მუსლიმურ სახელებთან — *على-سا* და *عشان-თან* კავშირი არ უნდა ჰქონდეთ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ *عشان* კი არ წერია, *الى اوسان* — ია (არ არის ნოსალოდნელი, რომ თურქმა ასეთი ორთოგრაფიით დაწეროს მუსლიმური სახელები). შეიძლება აქ გააზრებულია რომელიმე ქართული, ვთქვათ ელიასუმან — ელიასუბან სახელი. სოფ. ალიოსმანი გაუკაცრიელებულია; უხდის ხაზინას 4 500 ახჩას. სოფლის ადგილმდებარეობაზე, ისევე როგორც სხვა რაიმე ცნობა ამ პუნქტის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს.

61. სოფ. ორეზაქი — *اورهزاجي* (I 405, 502; II 395, 490). 17 კომლიანი სოფელია, რომელსაც 3 500 ახჩა აქვს შეწერილი. დაწერილობა კარგად იკითხება: ორეზაქი ან, უურო სწორი უნდა იყოს, ორაზაქი; ასეთი-რამ რუკებზე და ლიტერატურაში არაფერი არ არის. სამაგიეროდ სოფ. ქვემო ტიკანსა და ურს (=ჭური) შუა აღნიშნულია სოფელი *Орагаз-ი*<sup>1</sup> (ურის ჩრდილოეთითა და ქვემო ტიკნის სამხრეთით). შესაძლებელია „დავთრის“ შემდგენელმა გადაწერის დროს შეცდომა დაუშვა და ორაგაზის ან ორაქაზის ნაცვლად ორაზაქი დაწერა. თუ ასეთ შეცდომას ადგილი ჰქონდა (და ამას ჩვენ ასეთ შემთხვევაში სრულებით ვერ გამოვრიცხავთ), მაშინ ჩვენ ორაგაზის ან ორაქაზის ადგილმდებარეობაც გამოჩვეული გვექნება. *Орагаз-ი* გვაქვს ჩვენ არა მარტო რუკებზე, ოფიციალურ სტატისტიკურ კრებულშიც *Орагаз-ი*<sup>2</sup> და ზოგან კიდევ ორი ორაგაზი — *Орагаз* ნიჟახიი და *Орагаз* махамი (ვარიანტი *Орүгаз*)<sup>3</sup>.

62. სოფ. *حوسان* — *حواكن* და მამლისქალა ჩაირითურთ — *حوسان حواكن* (I 405, 503; II 396, 491). ასოთა მოხაზულობა ნათელია, მაგრამ გააზრება ძნელი. ერთი ჩაირის სახელი თითქოს მამლისქალაა. სოფელს აწერია 3 499 ახჩა, იგი უკაცრიელია, თუმცა ეს გარემოება, მიღებული წესის საწინააღმდეგოდ, აღნიშნული არაა.

63. სოფ. ქარქათვალი (?) მეორე ქარქათვალითურთ — *كاركاتول* (?) (I 405, 503; II 396, 491). დაწერილობა კარგად იჩნება. შეიძლება ქარქათვალი თურქული წარმოთქმით ქარქათული იყოს. ვფიქრობ ვიკნებით მართალი, თუ ამ ქარქათვალის ან ქარქათულის იდენტიფიკაციას მოვახდენთ ხუთეფრსიან (და სხვა) რუკაზე ზემო ტიკნის დასაკლებით და სოფ. სასხარასთან ახლო აღნიშნულ *Каркыдан* პუნქტთან. *Каркы-*

<sup>1</sup> „გეროპული რუსეთის სპეცრუკა“.

<sup>2</sup> Список, 48.

<sup>3</sup> Свод, 112, 113.

დან (გვებდება Керкедан-იც) სიტყვის кярка ნაწილი უსათუოდ კანონზომიერად თურქიზებული ქარქა'ა (შდრ. არაბ. kätib || كَاتِب → თ. kjatib და სხვ.). ხოლო ამ სიტყვის მეორე—დან ნაწილი ქართ. თვალ'ის გადასხევაფერებული და Кяркя'სთან შეგუებული მარცვლი უნდა იყოს. სტატისტიკურ კრებულებში Кяркядან-ზე ნათქვამია: არტაანიდან მდებარეობს 15 ვერსის მანძილზე<sup>1</sup>, მასში 1878 წ.—7, ხოლო 1889 წელს 2 კომლია აღრიცხული<sup>2</sup>. „დაეთრის“ ქარქათვალში 33 კომლია, მათ შორის 6 მუსლიმი.

64. სოფ. كوركل (?) სათესველით كوركل (I 405, 504; II 396, 492). ამ სოფლისა და სათესველის სახელების ამოსაკითხავად მასალა არა გვაქვს. ვარაუდით შეიძლება იყოს: გურგელი, გურქელი, ქურგელი, ქურქელი, ქურკელი, ქურგელი და სხვ. მრავალი. ხუთკომლიანი სოფელი ყოფილა; იხდიდა 2 000 ახჩას. ამ სოფელთან იხსენიება საძოვარი ორისთანი (?).

65. სოფ. ჩობან-ქოჯა — چوبان کوی (I 405, 504; II 396, 492). დაწერილობას დიაკრიტული ნიშანი არა აქვს, მაგრამ ასოთა თანამიმდევრობა გვეკარნახობს, რომ ეს უნდა წავიკითხოთ როგორც ჩობანქოჯა, რაც მიანიჭ. პირობითია. სოფელი უკაცრიელია და იხდის 2 000 ახჩას.

66. სოფ. اودرسک (I 405, 504; II 396, 492). შეწერილი აქვს 3 000 ახჩა; უკაცრიელი სოფელია. დაწერილობა გარკვეულია, ამოკითხვა ვერ ხერხდება.

67. სოფ. ჩახომტეკი (?) — چخمدک (?) (I 405, 504; II 396, 492). ასოთა მოხაზულობის ანალიზი საშუალებას იძლევა ამ დაწერილობაში გაიჩინეს აქ წარმოდგენილი ასოები<sup>3</sup>. გარდა ამისა, რუკებზე (ხუთვერსიანი და სხვ.) სოფ. ახაშნის ახლო აღნიშნულია Р. Д. Чахонта, რაც დამახინჯებული ან გადაგვარებული ჩახომტეკი ან ჩახომტეკი უნდა იყოს. სოფელში 10 მოსახლეა, იხდის 3 400 ახჩას. სამხედრო რუკებზე ეს პუნქტი უკვე ნასოფლარად არის აღნიშნული. ამ პუნქტს უკავშირდება აგრეთვე აქვე № 86-ის ქვეშ აღწერილი კიზილ-ჩახომტეკი (?) სოფელი (იხ. ქვემოთ).

68. სოფ. დიდი ხამაში ყოჩყარა (?) და بفرجه სათესველებითურთ — خاشا بزرگ (I 405, 505; II 396, 493). რადგანაც პატარა ხამაში აღრიცხულია ტყე-არტაანის ნაჰიფეში კი არა, მის მომიჯნავე ჩილდირის ლივანს მგელციხის ნაჰიფეში, ამიტომ ჩვენ ეს დიდი ხამაშ სოფელი იქვე განვიხილეთ (იხ. ზემოთ ჩრდილის ლივან, მგელციხის ნაჰიფე № 18, სოფ. № 8 — პატარა ხამაში, ამ შრომის 430-ე გვერდზე).

69. სოფ. ماسار (I 405, 505; II 396, 493). ასოთა მოხაზულობა თითქოს სწორად უნდა იყოს ამოცნობილი და ამიტომ I წიგნში ამ დაწერილობასთან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას. მასალების უქონლობის გამო

<sup>1</sup> Справк., 46.

<sup>2</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v; Свод, 112, 113.

<sup>3</sup> იხ. ღვდანი, გვ. 478.

ამოკითხვა ვერ ხერხდება. 26 კომლიანი სოფელია, რომელიც იძლევა 5 200 ახჩა შემოსავალს.

70. სოფ. უკანმოთილი — اوكان مو تيل (I 405, 506; II 396, 493), 99. ჩაირი უკანმოთილი — اوكان مو تيل (I 405, 514; II 397, 502). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ სხვა მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება ამ დაწერილობის წარმოდგენილი სახით წაკითხვა. ამდენად ე. წ. „სიებში“ I წიგნის 405-ე და II წიგნის 397-ე გვერდებზე დიაკრიტული ნიშნების გარეშე დაბეჭდილი اوكان مو تيل-ი უნდა შესწორდეს اوكان مو تيل-სა და უკანმოთილზე. უკან სიტყვის მოშველებით გეოგრაფიული სახელის წარმოქმნის შემთხვევა ჩვენ სხვაგანაც გვაქვს: ამავე „დაეთარიში“ სოფ. სლესასთან ნახსენებია უბანი უკანსლესა اوكان سليسا<sup>1</sup>. გარდა ამისა, „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენებულია აგრეთვე პუნქტი უკანციხე („ალაშენა უკანციხე“), უკანუბანი („ციხენი უკანუბნისანი“)<sup>2</sup> და სხვ. უკანმოთილი მდებარეობს სოფ. სორსის რამდენიმედ სამხრეთით (იხ. თანდართული რუკა). უკანმოთილ სოფელი უკვე გაუქარიელებულია; შეწერილი აქვს 10 000 ახჩა გადასახადი.

71. სოფ. როკეთი (?) — روكيت (I 405, 506; II 396, 494). ამოკითხულობა პირობითია (II წიგნის 396 გვერდზე შეცდომით, როგორც ეს II წიგნის 494 გვერდზე შენიშნულია, روك-ია დაბეჭდილი). უკარიელი სოფელია, რომლისგანაც შემოსავალი განსაზღვრულია 2 000 ახჩით.

72. სოფ. შროლი — شرولي (I 405, 506; II 396, 494). უპირველესად ყოვლისა უნდა ითქვას, რომ II წიგნში შეცდომით მეორე ასო დაბეჭდილი არ არის (شرو-ია ნაცვლად شرو-ისა). უკარიელი სოფელია; იძლევა შემოსავალს 3 000 ახჩის რაოდენობით. სახელი ვერ დავადგინეთ.

73. სოფ. ჩოთი, მეორე ჩოთითა (?) და فودასა (?) და წყარო სათესველებითურთ — جوت (?) (I 405, 506; II 396, 494). ძლიერ საფიქრებელია, რომ حو დაწერილობაში ნაგულისხმევი იყოს ხუთვერსიან რუკაზე სოფ. Сачхара-სასხარასთან აღნიშნული ნასოფლარი — P. I. Джот Кап. Капа თურქული სიტყვაა და 'კლდე'ს ნიშნავს; შეიძლება ქართულად ჯოთისკლდე გვერდნდა და თურქებმა Джот Кап-დ თარგმნეს. ალბათ, „დაეთარის“ შემდგენელმა სოფლის სახელად მარტივად ჯოთ მიიღო. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ ჩოთ || جوت-ი უნდა შესწორდეს ჯოთ || جوت-ად. „დაეთარის“ დროის ჯოთში 29 კომლი ირიცხება; მისგან შემოსავალი ფიქსირებულია 4 999 ახჩის რაოდენობით. სოფელთან აღრიცხული სათესველების სახელები არ იკითხება.

74. სოფ. ონჯორბეგი (?) — اونجوربكي (?) (I 405, 507; II 396, 494). ამოკითხულობა საეჭვოა. დიაკრიტული ნიშნები ამ დაწერილობას არა აქვს,

<sup>1</sup> დაეთარი, I 105, II, 106.

<sup>2</sup> შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრიანე). მსალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბილისი, 1954, გვ. 349, 360.

მაგრამ აქვე ქვემოთ 104 ნომრით აღწერილია სოფელი, რომლის სახელიც ზუსტად ასეთი მოხაზულობისაა და დიაკრიტული ნიშნებიც აქვს<sup>1</sup>. ამის მიხედვით აქაც იგივე ნიშნები დაესვი და ეს სახელიც პირობით ონჯორბეგ<sup>2</sup> აღწავიკთხე. თუმცა საკითხი ისმის, თუ ორივე ეს დაწერილობა ერთ და იმავე სახელს გადმოსცემს, ხომ უნდა ჰქონდეს ამ სახელებს დართული განმასხვავებელი სიტყვები (ზემო, ქვემო, დიდი, პატარა და სხვ.). ამიტომ შეიძლება ორთავე სახელების დაწერილობის ზუსტი ესგავსების და მიუხედავად № 74-ითა და № 104-ით აღნიშნული პუნქტები სხვადასხვა იყოს. ამ სოფელში 15 კომლია. აწერია 9 000 ახჩა.

75. სოფ. კიზილ-ქილისა — كيزيل قره (I 405, 507; II 396, 495). ქართულად Kızıl Kilisa 'წითელ ეკლესია'ს ნიშნავს. ამ სოფელს ქართულად წითელი ეკლესია ერქმეოდა და თურქებმა ეს სახელი, ალბათ, თარგმნეს (ყოველ შემთხვევაში ეკლესია თურქების აშენებული არ იქნება). სოფ. სორსის რამდენიმედ საზღრეთ-აღმოსავლეთით აღნიშნულია წითელი ეკლესია (იხ. თანდართული რუკა). მართალია, კიზილ-ქილისა || წითელი ეკლესია ამავე რაიონში ჩვენ კიდევ გვაქვს (იხ. ქვემოთ № 118, II წ. გვ. 503), მაგრამ ის კიზილ-ქილისა ნაჩვენებია სოფ. ორჩოქთან და ამდენად ის სხვაა, ხოლო ეს კიზილ-ქილისა სოფ. სორსთანაა. უკაცრიელი სოფელია, რომელიც გადასახადის სახით 4 000 ახჩა შემოსავალს იძლევა.

76. სოფ. კარგსოფელი (?) — كارگويل (?) (I 405, 507; II 396, 495). ეს დაწერილობა ისე კარგადაა გამოყვანილი, რომ შეიძლება კითხვითი ნიშნები ორივეგან მოეხსნათ. საფუძველს იმისათვის, რომ ამ სოფელს შეიძლებოდა კარგსოფელი რქმეოდა იძლევა შემდეგი ფაქტი: არტაანის ახლო ასახელებენ ხას-ქრაჲ პუნქტს, ხოლო ხასქრაჲ კი ზუსტი თარგმანია კარგი

სოფელი<sup>3</sup>: თ. ხას←არაბ. خاص 'რჩეული', 'განსაკუთრებული', 'კარგი', ქრაჲ || თურქ. күс 'სოფელი'. მაშასადამე ქართული გეოგრაფ. სახელი კარგ(ი) სოფელი („დაეთარში“ ასეა ეს სოფელი ფიქსირებული) თურქებმა თარგმნეს როგორც خاص كوي. შემდეგში ეს პუნქტი ალბათ ასეთი სახელით იყო ცნობილი. ნ. მარი არტაანის მიდამოებში ყოფნისას ასახელებს: При раницах на шоссе был открыт камень с грузинской надписью около Хас-к-еჲ. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ კ. ოდიშარია მის მიერ ჩამოწერილ გეოგრაფიულ პუნქტთა სიაში 110 ნომრით ასახელებს „ხასქეი“ს და ფრჩხილებში კიდევ მეორე სახელად წერს „კარგი-სოფელი“. ეს იმის ნიშანიცაა, რომ საერთოდ სოფლებს შეიძლება რქმეოდათ ასეთი სახელი. რუკებზე ერთგან აღნიშნულია ხასქრაჲ = Хаскеи, მაგრამ ეს არტაანის ტყე-რაიონში კი არაა, მზერის რაიონშია. ამიტომ ანებამდ ჩვენ არ შეგვიძლია ამ სოფლის ლოკალიზაციის შესახებ რაიმე ვთქვათ. ეს კი ვიცით, რომ არტაანიდან მზერისს Хаскеи სოფლამდე 24 ვერსია<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. დედაძი, გვ. 489, № 104. <sup>2</sup> Н. Марр, Г. Мерчуг, Жизнь св. Григория Хандатяйского... Дневник, 1. <sup>3</sup> Спаясок, 52.

„დავთრის“ კარგსოფელში აღრიცხულია 14 კომლი (კომლის მეთაურის სახელებია: ბატატა, ქაიმაროზ, ჯაყახა, ხოჯა (შეიძლება ხუჯა), სულა, გრიგოლ, გიორგი, ბადურა, ლალა, გიორგი, ლაშქარა, ვარეღ, ბატატა და ელია). შეწერილი აქვს სოფელს 8 000 ახჩა.

77. სოფ. ქარაშუთი (?), მეორე სახელი ქირფაშენი<sup>1</sup> كحل სათეველითურთ — ما كير كيراشين (I 405, 508; II 396, 495). ვფიქრობ, რომ ქარაშუთი ც სწორად უნდა იყოს ამოკითხული და მისი მეორე სახელიც — ქირფაშენი. ორთავე დაწერილობაში ش ასოს დიაკრიტული ნიშანი აქვს და ეს უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. მსხვილმასშტაბიან რუკებზე ტამალის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღნიშნულია პუნქტი Кирпашинი, ზოგან კიდევ Кирпашинი, რომელიც ამ სოფლის მეორე სახელია. ასევე Кирпашинი აღნიშნება ის სტატისტიკურ კრებულებში<sup>2</sup>. რაც შეეხება ამ სოფლის პირველ სახელს — ქარაშუთს, ამას ჩვენ რუკებზე ან სხვაგან ვერ მივაგენით. შესაძლებელია ჩვენი დროისათვის ამ სოფელს დამკვიდრებული ჰქონდა მეორე სახელი. ქირფაშენი არტანიდან 36 ვერსის მანძილზეა ნაჩვენები<sup>3</sup>. ქარაშუთში ან ქირფაშენში „დავთრის“ მიხედვით 8 კომლია აღრიცხული, ხოლო 1889 წელს მასში 27 მოსახლეა<sup>4</sup>. სოფელთან დასახელებული სათესველის სახელი ამოუკითხავად რჩება.

78. სოფ. კონდურელი (?) — كوندور (I 405, 508; II 396, 496). ვფიქრობ, ამ პუნქტის გაიგივება შესაძლებელია რუკებზე Кондраулად აღნიშნულ სოფელთან. ხუთვერსიან (და სხვა) რუკაზე ეს სოფელი ნაჩვენებია ტყე-არტანის ნაჰიგს დასავლეთ ზონაში სოფ. Таицхაიის ახლო, არტანიდან 23 ვერსის მანძილზე<sup>5</sup>. Кондраул და Кондорул-ი გვაქვს სტატისტიკურ კრებულებშიც<sup>6</sup>. ამდენად უნდა დავუშვათ, რომ ამ სოფლის ძველი სახელი კონდურელი იყო (كوندور), ხოლო შემდეგში იგი გადაკეთებულ იქნა კონდრაულად. კონდურელი გაუკაცრიელებულია „დავთრის“ დროს, მაგრამ 1878 წ.—3, ხოლო 1889 წელს მასში აღრიცხულია 5 მოსახლე<sup>7</sup>. კონდურელი იძლევა შემოსავალს 2 500 ახჩის რაოდენობით.

79. სოფ. ოქროქოთანი — او كروختان (I 405, 508; II 396, 496). სოფ. ოქროქოთანი რუკებზე აღნიშნული არ არის და მის ადგილმდებარეობაზე ჩვენ ვიცით მხოლოდ ექ. თაყაიშვილის ცნობიდან (ლაპარაკია ერუშეთის ეკლესიაზე, შემდეგ ნაქალაქეზე): В Накалакеве старинные церкви оказались

<sup>1</sup> დავთრის II წიგნის ბეჭდვის დროს ეს სახელი ამოკითხული არ იყო და დაბეჭდილია დიაკრიტული ნიშნების გარეშე და შეცდომითაც (ხოლო ასო კ უნდა იყოს, II, 495).

<sup>2</sup> Спясок, 46; Свод, 112.

<sup>3</sup> Спясок, 46.

<sup>4</sup> Свод, 112, 113.

<sup>5</sup> აქ, შეიძლება, შეცდომით ამ სოფლის სახელად კონდრაულია დაბეჭდილი.

<sup>6</sup> Спясок, 46.

<sup>7</sup> იქვე; Свод, 112; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82.

<sup>8</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82; Свод, 112, 113.

разобранными, так же как и в местности Окро-Котане, недалеко от Накалакесии<sup>1</sup>. ოქროქოთანი ნაქალაქეეთან ახლო ყოფილა. რადგანაც ექ. თაყაიშვილი ძლიერ ზოგადად ამბობს в местности Окро-Котане, მე გგონია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ოქროქოთანი უკვე ნასოფლარი ყოფილა. „დაეთრის“ დროის ოქროქოთანი დიდი სოფელია; მასში აღრიცხულია 52 კომლი 6 000 ახჩა შემოსავლით.

80. სოფ. პატარა ვარდოსანი (იხ. ზემოთ სოფ. № 7—დიდი ვარდოსანი).

81. სოფ. ზარაბუქი სოფ. ტყემლობთან **طاسك** სათესველით—**اربار** (I 405, 510; II 396, 497). ზარაბუქის ადგილი რუკების მიხედვით სავსებით ნათელია: იგი მდებარეობს სოფ. ხამაშთან (იხ. ზემოთ № 68) ძალიან ახლო, მისგან ჩრდილოეთით (იხ. ხუთვერსიანი და სხვ. რუკა). მე რაღაცა გგონია, რომ ზარაბუქი (Зарабуки), რომელიც ახაშნისა და მაჩუეთის აღმოსავლეთ მხარეზე არის, ტერიტორიულად არც უნდა ეკუთვნოდეს არტაანის ტყე-რაიონს. იგი თითქოს უფრო მგელციხის რაიონის ტერიტორიაზეა. აკად. ექ. თაყაიშვილი ზარაბუქს მგელციხის რაიონის პუნქტებთან ახსენებს: В описываемом мною районе, на левом берегу Куры, между селами Котаси, Ампуром, Картанакевом и Зарабуком некоторые древние памятники остались мною не посещенными<sup>2</sup>. ამის შემდეგ აქვე ისევე ახსენებს ზარაბუქის ხეობას. „დაეთრის“ ზარაბუქში 11 მოსახლეა; აწერია 10 603 ახჩა. 1878 წ. ზარაბუქში 8 კომლი ირიცხება<sup>3</sup>. სოფელთან დასახელებული სათესველის სახელი არ იკითხება.

82. სოფ. დიდი ბურდოსანი—**بردانان**<sup>4</sup> (I 405, 511; II 396, 498). უპირველესად ყოვლისა, ერთი შესწორება. მცდარია უთუოდ ამ სოფელთან დაკავშირებით II წიგნის 396-ე გვერდზე შენიშვნაში გამოტყმული მოსაზრება: „თუმცა პირველი ორი ასოს მოხაზულობა ამის ვარდოსანად წაკითხვის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ეს შეცდომას უნდა მიეწეროს და 79-ე (სოფელი) რომ პატარა ვარდოსანია, ეს დიდი ვარდოსანი უნდა იყოს“. ჯერ ერთი, ამ ნაჰიეში დიდი ვარდოსანიც არის (№ 7) და პატარა ვარდოსანიც (№ 80) და ამ მხრივ მას ეს დიდი **بردانان** სრულეზით არ სჭირდება. მეორე, **بردانان**-ის ვარდოსანად წაკითხვა ზაინც შეუძლებელია (სად **و** ასოები და სად **و** მოხაზულობა). მესამე, არტაანის სანჯაყის ჩრდილის ნაჰიეში 25 ნომრით ფიქსირებულია სოფ. პატარა ბურდოსანი<sup>5</sup>, ხოლო მისი წყვილეულია სწორედ ეს ჩვენი დიდი **بردانان**-ი.

<sup>1</sup> МАК, XII, გვ. VIII.

<sup>2</sup> МАК XII, გვ. 64.

<sup>3</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 81v.

<sup>4</sup> დაეთრის II წიგნში (გვ. 498) შეცდომით **بردانان**-ია დაბეჭდილი („სიაში“ კი ამ

„ზედმეტი“ ვაერთაა, იხ. დედანი, გვ. 380 და 484).

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, გვ. 525.

ე. ი. დიდი ბურდოსანი, რომელიც ტერიტორიულად ტყე-ნაიგეშია მოქცეული. ზემოთ არტანის ჩრდილის ნაპიგეში № 25 სოფ. პატარა ბურდოსნის განხილვასთან დაკავშირებით ჩვენ გარკვეული გვაქვს (დაახლოებით მაინც) ბურდოსნების ადგილმდებარეობა. ამიერიდან ამ სოფლის სახელი — დიდი ბურდოსანი ამოკითხულად უნდა ჩაითვალოს და სათანადო ადგილები უნდა შესწორდეს. დიდ ბურდოსანში 25 კონლია აღრიცხული; მისგან შემოსავალი განსაზღვრულია 10 250 ახჩით.

83. სოფ. ოჩკორა (?), მეორე სახელი **اوجوراء** სათესველით **اوجوراء** — **اوجوراء** (I 405, 511; II 396, 499). მსხვილმასშტაბიან რუკებზე (მაგ., ხუთვერსიანზე) სოფ. ტამალ(ებ)ის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სოფ. ნუნუსის (მუნუსის) ჩრდილო-დასავლეთით აღნუსხულია ЧИКОРА სოფელი, რომლის იდენტიფიცირება „დავთარის“ ოჩკორა სთან ან (მეორე სახელი) **اوجوراء**-სთან სავსებით შესაძლებელია. ამ სოფლის მეორე სახელის აღმნიშვნელი ამოუკითხავი დაწერილობა **اوجوراء**-დ შეიძლება გაეაზრიანოთ და იჩკორად წაიკითხოთ. ამრიგად გვაქვს სამი ვარიანტი ამ სახელისა: ოჩკორა, იჩკორა და რუსულ რუკებზე დატული ЧИКОРА<sup>1</sup>. ყველა ესენი თურქიზებული ფორმებია. ჰემარიტი ქართული სახელი უნდა ყოფილიყო ჩკორა (ან, შეიძლება ქკორა); იჩკორა<sup>2</sup>ში ჩკ თანხმოვნებით დაწყებულ სიტყვებში თურქულისათვის ჩვეულებრივი პროთეტული „ი“ ხმოვანი გვაქვს; ჩიკორა<sup>3</sup>ში თანხმოვანთა გამყარი „ი“ ჩკ თანხმოვანთა შუაშია ჩასმული, ხოლო ოჩკორა<sup>4</sup>ში „ო“ აგრეთვე პროთეტული ხმოვანი უნდა იყოს. ЧИКОРА სტატისტიკურ კრებულებშიც არის; ის მდებარეობს არტანიდან 40 ვერსის მანძილზე<sup>5</sup>, 1878 წელს ჩიკორა 11 კომლიანი სოფელია, ხოლო 1889 წელს მასში 28 კომლია<sup>6</sup>, „დავთარის“ ოჩკორაში კი 7 მოსახლეა აღრიცხული. მისგან შემოსავალი განსაზღვრულია 3 000 ახჩით.

84. სოფ. ოკამი — **اوسا** (I 405, 512; II 396, 499). ამ ნაპიგეში ოკამის მდებარეობის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს. ზუსტად ამ სახელის სოფელი გვაქვს ჩვენ („დავთარისე“ მიხედვით) ახალქალაქის ლიენს აკემპირის ნაპიგეში<sup>7</sup>, კოლა<sup>8</sup>ს პროვინციაში<sup>9</sup> და მესამე ჩვენი ტყე-ნაიგესი. ოკამის სახელით სოფელი არის აგრეთვე კასპის რაიონში<sup>10</sup>. ჩვენი ოკამი უკაცრიელია; შეწერილი აქვს 1 000 ახჩა.

85. სოფ. **اسره** (I 405, 512; II 396, 499). შეიძლება ეს იყოს არქივის მასალებში სწორედ ამ ზონისათვის დასახელებული **Сараев** პუნქტი<sup>11</sup>. მაშინ

<sup>1</sup> აგრეთვე: სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82რ.

<sup>2</sup> Спяхсок, 52.

<sup>3</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82რ; С.р.а, 112, 113.

<sup>4</sup> დავთარი, II, გვ. 216.

<sup>5</sup> მსხვილმასშტაბიან რუკებზე — О.а.а.

<sup>6</sup> საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფა, გვ. 63.

<sup>7</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82რ.

დაწერილობა ასე უნდა გააზრიანდეს—*سمر* 'სამართე'. იმ დროს უკაცრიელია, 1878 წ. მასში 3 კომლი ირიცხება<sup>1</sup>, შეწერილი აქვს 2 000 ახჩა.

86. სოფ. კიზილ-ჩახომტეკი (?), ზეორე ჩახომტეკთან (?) — *كردك* (?) (I 405, 512; II 396, 499). ჩვენ ჩახომტეკის (?) სახელით ერთი სოფელი ზემოთ განვიხილეთ (იხ. სოფ. № 67), ამას ჰქვია კიზილ-ჩახომტეკი (?), ე. ი. წითელი ჩახომტეკი (?). რომ ეს სოფლები ერთმანეთთან დაკავშირებულია იქიდანაც ჩანს, რომ აქ შენიშნულია: ეს კიზილ ჩახომტეკი (?) მეორე ჩახომტეკთან (?), ე. ი. № 67 სოფელთან მდებარეობსო. წითელი ჩახომტეკი(?) უკვე გაუკაცრიელდებულია; აწერია 3 000 ახჩა. ზემოთ № 10 სოფელ ფიკლობთან ეს კიზილ-ჩახომტეკი (?) სათესველად იხსენიება.

87. სოფ. ბენდენოხვარდი (?) სოფ. სო[რ]სთან — *بندن او اوردی* (I 405, 512; II 396, 499). უცნაური გეოგრაფიული სახელია, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი წაკითხვა სწორია. დედანში სახელის პირველ ნაწილს დიაკრიტიული ნიშნები აქვს და *بندن* = ბენდენ<sup>1</sup> ი სწორადაა ამოკითხული; შემდეგ *او* ასოებმა შეიძლება გადმოგვეცეს *اوخ* რაც = *ოხ*—დიალექტური, სალიტერატურო *او* 'ისარი'; *واردی* 'მიიღწია', 'მივიდა' (ზმნაა). ამრიგად, თარგმანი გამოდის 'ჩემგან-ისარი-მივიდა', რაც სოფლის სახელი არ უნდა ყოფილიყო. სიტყვის შუა *او* ელემენტი შეიძლება *او-ა-ა*დაც წავიკითხოთ; ოღონდ ესეც უაზრობაა. საერთოდ აქ ზედმეტი კომენტირებისგან თავი უნდა შევიკავოთ, ვიდრე სხვა მასალა არ გაჩნდება. უკაცრიელი სოფელია; აწერია 2 000 ახჩა.

88. სოფ. ქვემო ტამალი (იხ. ზემოთ სოფ. № 34—დიდი ტამალი).

89. სოფ. *آباد* (I 405, 512; II 397, 499). არ იკითხება, მოსახლეობა ნაჩვენები არ არის. ამ სოფელში აღრიცხულია ცხერის გომი და მარცვლელზე და ამ გომზე შეწერილია 2 000 ახჩა გადასახადი.

90. სოფ. *فومادرس* სოფ. გულაბერთთან (I 405, 512; II 397, 500). დაწერილობის ამოსაკითხავად მასალა ჯერჯერობით არ არის. უკაცრიელი სოფელია; შეწერილი აქვს 1 000 ახჩა.

91. სოფ. ტყემლობი — *دبغلوب* (I 405, 512; II 397, 500). ამ დაწერილობას დიაკრიტიული ნიშნები არ უზის, მაგრამ თანამიმდევრობა ასოებისა, რომლებიც კარგად იჩვენა, უმკველს ხდის ტყემლობის წაკითხულობას: მკვეთრები (ტყ) სათანადო რიგის შეღერებითაა (დლ) გადმოცემული, ხოლო ზედისზედ ორი თანხმოვანი დაშორებულია ერთმანეთს გრაფიკულად გამოხატული *د* (=ი) ხმოვნით. ადგილმდებარეობა ტყემლობისა არ ვიცით. შეიძლება იქიდან სოფელია, რომელსაც აწერია 1 500 ახჩა.

92. სოფ. *صوسكو* (?) (I 405, 513; II 397, 500). სახელი სოფლისა ჯერჯერობით ამოკითხული არაა. უკაცრიელი სოფელია; აწერია 3 000 ახჩა.

<sup>1</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 82r.



93. სოფ. ჩიხირეთი—*چكرت* (I 405, 513; II 397, 500). პირველი ასო განმასხვავებელი ნიშნითაა, მეოთხე არა. ჩვენ ზემოთ რაზღენიზე შენობებზე გვექონდა აღგვენიშნა, რომ სიდაჯათის დამწერლობაში ბოლოკიდური ლამისა (ل) და ნუნის (ن, აგრეთვე ت ასოსი) მოხაზულობა სავსებით ემთხვევა ერთმანეთს; ორივე ასო გამოიხატება სტრიქონს ქვემოთ ირიბად ჩამოწეული ხაზით. ადენად აქ ჩვენ შეიძლება გვექონდეს *چكرت*-იც, რაც ჩიქირეთ-ს მოგვეცემს. რუკაზე (ხუთვერსიანი და სხვ.) ვრუშეთსა და ზემოხანაკს შუა აღნიშნულია პუნქტი Ч И Х И Р Е Т-ი (ზოგან Ч И X E P E T-ი), რომელიც, მე მგონია, „დაეთარში“ *چكرت* დაწერილობით უნდა იყოს გადმოცემული. I-სა და II წიგნებში ეს ადგილი შესაბამისად უნდა შესწორდეს. ამ სოფელში 10 კომლი მოსახლეობაა; აწერია 2 000 ახნა.

94. სოფ. *ارحو* სოფ. საღმრ[თ]ოსთან (I 405, 513; II 397, 501). ამ პუნქტის სახელის ამოსაკითხავად მასალა არ გვაქვს. 12 კომლიანი სოფელია, რომელიც 3 500 ახნას იხდის.

95. სოფ. მეორე თიკლობი (იხ. ზემოთ სოფ. № 10—ფიკლობი).

96. სოფ. *حاحور* (?) (I 405, 514; II 397, 501). ვერ ამოვიკითხეთ. უკაცრიელი სოფელია, რომელიც გადასახადის სახით იძლევა 3 000 ახნა შემოსავალს.

97. სოფ. *حوحمري* (I 405, 514; II 397, 501). არ იკითხება. უკაცრიელი სოფელია, შეწერილი აქვს 6 000 ახნა.

98. სოფ. პატარა ლალვანა (იხ. ზემოთ სოფ. № 59—დიდი ლალვანა).

99. ჩაირი უკანმოთილი (იხ. ზემოთ სოფ. № 70—უკანმოთილი).

100. სათესველი *سرسر* სოფ. პატარა ვარდოსანთან (I 405, 514; II 397, 502). საერთო მოხაზულობით ძლიერ გავს სოფ. № 72-ის სახელის დაწერილობას—*سرسر*, მაგრამ სრული მსგავსება მაინც არაა. წაუკითხავად რჩება. სათესველს აწერია 1 000 ახნა.

101. სოფ. პატარა ტამალი (იხ. ზემოთ სოფ. № 34—დიდი ტამალი).

102. სოფ. ყანიშლუ—*قشلو* (I 405, 515; II 397, 502). ადგილმდებარეობა სოფლისა უცნობია. უკაცრიელი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 1 500 ახნა.

103. სოფ. დიდი კალამეთი (?) სოფ. სორსთან *كلايه برز* (?) (I 405, 515; II 397, 502). ასეთივე მოხაზულობისაა ზუსტად ზემოთ სოფ. № 37—სორსთან დასახლებული სათესველი პატარა გულამეთის სახელი<sup>1</sup> (I 492, II 480). ამ სახელების იგივეობაზე ლაპარაკობს აგრეთვე ისიც, რომ პატარა გულამეთი სოფ. სორსის სათესველია. ხოლო დიდი გულამეთის ადგილმდებარეობა ნაჩვენებია სოფ. სორსთან ახლო. სორსის სათესველად აღწერილი პუნქტი მე ამოკითხული მაქვს.

<sup>1</sup> იხ. დედანი, გვ. 466 (№ 37) და გვ. 488 (№ 103).

პატარა გულამეთ-ად, ხოლო სორსთან მდებარე სოფელი (ფაქტიურად ნასოფლარი) კი დიდ კალამეთ-ად. მართალია, ორთავე შემთხვევაში ამოკითხულობა საეკეოა (კითხვითი ნიშანი უზის), მაგრამ ამავე დროს ფაქტია, რომ ეს ადგილები ერთი და იგივე სახელის მატარებელი ადგილებია და, რა თქმა უნდა, სახელები ერთნაირად უნდა იქნეს ამოკითხული. ვიდრე სხვა მასალა არ აღმოჩნდება, ძნელია კალამეთს მისცე უპირატესობა, თუ გულამეთს. მოხაზულობა كلاليت-ი კი ისედაც შეიძლება ამოკითხულ იქნეს და ასედაც. ეს სოფელი უკაცრიელია; შეწერილი აქვს 1 000 ახჩა გადასახადი.

104. სოფ. ონჯორბეგი (?) სოფ. ველთან — (?) اوجوربك (I 405, 515; II 397, 502). დაწერილობას განმასხვავებელი ნიშნები აქვს, მაგრამ ამოკითხულობა მაინც საეკეოა. ამ პუნქტის ადგილმდებარეობა დასახელებულია ცნობილ სოფ. ველთან (იხ. ზემოთ სოფ. № 6). შეიძლება ეს იყოს სოფელ ველის აღმოსავლეთით სოფ. სკარებთან რუკაზე აღნიშნული ნასოფლარი (P. A.). ჯერჯერობით ძნელია გარკვევა, თუ რა მიმართებაშია ზემოთ (№ 74) აგრეთვე ონჯორბეგად (?) აღწერილი პუნქტი<sup>1</sup> ამ ონჯორბეგთან (?). ეს სოფელი უკაცრიელია; აწერია 2 000 ახჩა გადასახადი.

105. სოფ. შავციხე სოფ. როკეთთან (?) — شاصخي (I 405, 515; II 397, 502). დაწერილობა ნიშნებიანია და ამოკითხულობა სწორი უნდა იყოს. მდებარეობა ამ პუნქტისა გარკვეული არ არის ისევე, როგორც არ არის გარკვეული მდებარეობა სოფ. როკეთისა (?). უკაცრიელი სოფელია 500 ახჩა შემოსავლით.

106. სოფ. ხოვბახეთი (?) — خوبخت (?) (I 405, 515; II 397, 502). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები აქვს; ამოკითხულობა მაინც საეკეოა სათანადო მასალის უქონლობის გამო. უკაცრიელი სოფელია. შეწერილი აქვს 1 000 ახჩა გადასახადი.

107. ბუდე შავარდნისა და ქორისა სოფ. სასხარასა (იხ.) და სორსში (იხ.). „ბუდე შავარდნისა და ქორისა“ შეძლებისდაგვარად განმარტებული იქნება IV წიგნში, ხოლო სასხარა და სორს სოფლები ზემოთაა განხილული (№№ 48, 37).

108. სათესველი اساحاسلي (I 405, 515; II 397, 502). სათესველის სახელი გაურკვეველია. შეწერილი აქვს 300 ახჩა გადასახადი.

109. სოფ. დიდი გუდანეთი სოფ. სორსთან (?) — بيوك كودانت (I 405, 515; II 397, 502). ამჟამად დედანზე<sup>2</sup> დაკვირვებამ სავსებით დამარწმუნა, რომ ამ სოფლის სახელის მეხუთე ასო ҫ (მიმი) კი არაა, ң (ნუნი)ა. მასასა-დამე, ҫანაკ — გუდამეთ-ი კი არა ანაკო — გუდანეთ-ია ნამდვილი სახელი. ამასთანავე ერთად შესაძლებელი ხდება სოფ. გუდანეთის ლოკალიზება: ხუთვერსიან რუკაზე სწორედ სოფ. სორსისა და ენგიქრის ზონაში აღნიშნუ-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ. გვ. 549.

<sup>2</sup> დედანი, გვ. 380, № 108 და გვ. 489, № 109.

ლია P. D. Гуданети, რაც უთუოდ ჩვენი დავთრის *اتادان*-ია. ამრიგად გუდამეთი ყველგან გუდანეთად უნდა შესწორდეს. გუდანეთი „დავთრის“ დროსაც უკაცრიელი ყოფილა (მდრ. სათესველი *اتادان*—კოტანეთი, იხ. ზემოთ გვ. 545, № 50).

110. სათესველი მონასტერი სოფ. დიდ გუდანეთთან—*مزرعة منستر* (I 405, 515; II 397, 503). რომელიმე მონასტერთან ახლო უნდა ყოფილიყო ეს სათესველი, რომ ასეთი სახელი დარქმეოდა. იძლევა შემოსავალს 150 ახჩას.

111. სოფ. *ساكدا* სოფ. საღმრ[თ]ოსთან (I 405, 516; II 397, 503). ამოკითხვა არ ხერხდება. უკაცრიელი სოფელია 600 ახჩა შემოსავლით.

112. სათორნია სოფ. საღმრ[თ]ოსთან—*صانورنيا* (I 406, 516; II 397, 503): დაწერილობას მთლიანად აქვს დიაკრიტული ნიშნები; ამდენად ამოკითხულობა სწორია. ადგილმდებარეობა ცნობილი არ არის. უკაცრიელი სოფელია 928 ახჩა გადასახადით.

113. სოფ. *سکره* (იქვე). ამოკითხვად რჩება. უკაცრიელი სოფელია. შეწერილი აქვს 2 999 ახჩა გადასახადი. ეს სოფელი იხსენიება აგრეთვე სოფ. ველის არხთან დაკავშირებით<sup>1</sup>.

114. სოფ. *بكاره* სოფ. ბეგრახათუნთან (იქვე). ამოკითხვა არ ხერხდება. ბეგრახათუნის ახლო რუკებზე ნასოფლარი აღნიშნული არ არის. მოსახლეობა არ არის. აწერია 5 300 ახჩა.

115. სოფ. კალაჯიკი—*قلاجه* (იქვე). კალაჯიკი თურქული კინობითი ფორმა არაა. *قلاجه*→*kal'a* (→*kale*) სიტყვისა, რომელიც 'ციხეს' ნიშნავს. რა იყო მისი ქართული სახელი ჩვენ არ ვიცით. უკაცრიელი სოფელია 1 499 ახჩა გადასახადით.

116. სოფ. *ساحه* სოფ. უქანმოთილსა და ხარაზან-ტაშირისთან (?) (იქვე). ამოკითხვა ამ სახელისა არ ხერხდება. უკაცრიელია. აწერია 100 ახჩა გადასახადი. ხარაზან-ტაშირ პუნქტი თუ პუნქტები საერთოდ „დავთრისათვის“ უცნობია.

117. სოფ. ნასოფელი სოფ. სორსსა და ზემო ხანაკს შუა—*سوييل* (იქვე). დაწერილობა თითქოს ამოკითხულია სწორად. უკაცრიელი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 800 ახჩა გადასახადი.

118. სოფ. კიზილ-ქილისა სოფ. ორჩოკთან—*كيزيل كيليسه* (იქვე). თურქ. *Kızıl-kilise* = 'წითელი ეკლესია'. ჩვენ ზემოთ (იხ. № 75, II გვ. 495) კიდევ გვქონდა ამავე ნაწილში სოფ. კიზილ-ქილისა, რომელიც სოფ. სორსთან ახლო მდებარეობს (იხ. აქვე რუკაზე). ამ კიზილ-ქილისას ორჩოკის კიზილ-ქილისა უნდა დაერქვას და მისი ლოკალიზება ორჩოკის მიდამოებში უნდა მოხდეს. ეს სოფელიც უკაცრიელია და აწერია 1 000 ახჩა გადასახადი.

119. სოფ. *عورور* სოფ. დუდუნასთან (იქვე). ამოკითხვა არ ხერხდება. უკაცრიელია და შეწერილი აქვს 2 000 ახჩა გადასახადი.

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 533, სოფ. № 8.

## VIII. ფ ა ნ ა კ ი ს ლ ი ვ ა

### 4 (26). ფანაკის ნაწიე

ფანაკის ლივში სამი ნაწიე შედის: ფანაკის, ქამხისისა და ფანასკერტის ნაწიე. ჩვენ „დავთარის“ II წიგნის სათანადო ადგილას<sup>1</sup> შევნიშნეთ, რომ დიდი არტაანისა და ფანაკის სანჯაყებში შემავალი ნაწიეების აღწერის მასალები „დავთარში“ თანამიმდევრულად არ არის დალაგებული<sup>2</sup>. საქმე იმაშია, რომ საერთოდ „დავთარში“ სააღწერო მასალა გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით არის დალაგებული. ეს იმას ნიშნავს, რომ „დავთარში“ ჯერ მოცემულია მასალები ახალციხის ლივშათვის (ახალციხე—რეზიდენციაა ვილნაეთის უფროსისა), ე. ი. „დავთარი“ იწყება სამცხის მასალით, მას მოსდევს მასალა ჯავახეთის შესახებ, შემდეგ არტაანისა და ბოლოს ტაოსი. მაგრამ ტაოში ჩატარებული აღწერის შედეგები არტაანის შემდეგ რომ უნდა მოდიოდეს, არტაანს უსწრებს და სამცხე-ჯავახეთის მასალებს უშუალოდ ფანაკის რაიონების მასალები მოსდევს<sup>3</sup>. ამასთანავე ერთად ისიც ჩანს, რომ ეს შედეგია უნებლიეთი შეცდომისა, რომელიც „დავთარის“ შემდგენელს მოსვლია მასალების განლაგების ტექნიკაში. არტაან-ტაოში შემავალი ნაწიეები დანომრილია სწორად: დიდი არტაანის ლივა—1. მზვარის ნაწიე, 2. ჩრდილის ნაწიე, 3. ტყე ნაწიე; ფანაკის ლივა—ნაწიეები: 4. თვით ფანაკისა, 5. ქამხისისა და 6. ფანასკერტისა. სწორედ ასეთი თანამიმდევრობითაა ეს დაწერილი ე. წ. საგადასახადო ობიექტთა „სიაში“<sup>4</sup>. შეცდომა იმაშია, რომ სამცხე-ჯავახეთის რაიონების სააღწერო მასალების შემდეგ მოთავსებულია არტაან-ტაოს რაიონებიდან (ტაოს) მე-4-დ დანომრილი ფანაკის რაიონის მასალები<sup>5</sup>, შემდეგ მე-5 ქამხისის რაიონისა<sup>6</sup> და ბოლოს მე-6 ფანასკერტის რაიონისა<sup>7</sup>. შემდეგ დიდი არტაანისა და ფანაკის სანჯაყებში შემავალი პუნქ-

<sup>1</sup> გურჯისტანის ვილნაეთის დიდი დავთარი, II, გვ. 332 (სქოლიო 2); აგრეთვე: ამ წიგნში, გვ. 17, შენიშვნა 1.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. გურჯისტანის ვილნაეთის დიდი დავთარი—დედანი, გვ. 322, წიგნი 1, გვ. 340 და წიგნი II, გვ. 332.

<sup>4</sup> იხ. II წიგნის 393-402 გვერდები.

<sup>5</sup> იწყება II წიგნის 332-ე გვერდზე, თავდება—362-ე გვერდზე.

<sup>6</sup> 362-369 გვ.

<sup>7</sup> 370-392 გვ.

ტების სია<sup>1</sup>, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ამ სანჯაყების აღწერის თავში უნდა ყოფილიყო (სამცხე-ჯავახეთის რაიონებში შემავალ გეოგრაფ. პუნქტთა „სია“, როგორც დაინახეთ, სწორედ წინ აქვს წამძღვარებული ძირითად ტექსტს)<sup>2</sup>. ამ სიის შემდეგ მოთავსებულია დიდი არტანის პირველი—მზვარის რაიონის მასალები<sup>3</sup>, შენდევ მე-2—ჩრდილის<sup>4</sup> და ბოლოს მე-3—ტყიან რაიონისა<sup>5</sup>. ჩვენ III წიგნის ამ ნაკვეთში „დავთრის“ შემდგენლის მასალათა დალაგებულობის ამ მკდარ თანმიმდევრობას არ გავუყვით და ჩვენი შენიშვნები გეოგრაფიულ პუნქტთა შესახებ დავალაგეთ რაიონების დანომრილობის და მიხედვით.

ფანაკის ლივ ტერიტორიულად ემთხვევა ქართული ისტორიული პროვინციის ტაოს გარკვეულ ნაწილს. ცნობილია რელიგიური ვითარებით შეპირობებული ორ ნაწილად დაყოფა ისტორიული ტაოსი: იმიერ და ამიერ ტაო<sup>6</sup>. „ქართლის ცხოვრებაში“, მაგალითად, იხსენიება იმიერ ტაო<sup>7</sup>, ტაოს ორივე ქერძო<sup>8</sup>, ქვემო ტაო<sup>9</sup> და სხვ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა...“<sup>10</sup> 1923 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოსულ რუკაზე აღნიშნულია—იმიერ ტაო და ამიერ ტაო<sup>11</sup>.

გურჯისტანის ვილნაგეთის შემადგენლობაში შემოდიოდა ამ ქართული პროვინციის მხოლოდ ნაწილი, სახელდობრ—ამიერ ტაოს ჩრდილო-აღმოსავლეთი სექტორი<sup>12</sup>.

ფანაკის ლივაში შემავალი სამი ნაპიე<sup>13</sup>დან პირველი—თვით ფანაკის ნაპიე (ჩვენს რუკაზე ნაპიე № 26) ტაოს ან ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარეა და ტერიტორიულად, თითქოს, ტაოს სხვა ნაპიეებზე დიდია (55+2=57 საგადასახადო ობიექტი), მეორე ნაპიე<sup>14</sup>ს—ქაშისისას (რუკაზე—ნაპიე № 27) უპირავეს ცენტრალური ადგილი და შედარებით პატარაა (16 საგადასახადო ობიექტი), მესამე—ფანასკერტის ნაპიე (ჩვენს რუკაზე № 28) ჩრდილო-დასავლეთ ზონაშია და 38 ობიექტს შეიცავს.

<sup>1</sup> II წიგნი-393-402 გვ

<sup>2</sup> იქვე, გვ. 7-21.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 403-439.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 439-460.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 460-503.

<sup>6</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 61; შტრ. ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, 89.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, I (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), გვ. 278, 382.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 251.

<sup>10</sup> Н. Марр, Г. Мерпул, Жизнь св. Григория Хандзтийского... გვ. ია.

<sup>11</sup> ტაოს ორ ნაწილად დაყოფაზე სპეციალურად და აგრეთვე ტაოს სახლებების შესახებ იხ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა... გვ. 138; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 61; პ. ინგოროვაკი, გ. მერჩულე—ქართველი მწერალი მუათე საუქუნისა, გვ. 302.

<sup>12</sup> იხ. „საქართველოს ისტორიული რუკა“ (1923 წ.); აგრეთვე ავღურჯისტანის ვილნაგეთის თანდართული რუკა. იმიერ ტაოს ცალკეული რაიონები ჩვენს „დავთარში“ გვხვდება მინაწერების სახით (იხ. ქვემოთ, გვ. 592-603).

1. თვით სოფ. ფანაკის რაბათი—كسب قس (I 406, 340; II 397, 332). ფანაკის ქვეშარიტ ქართულ სახელად უფრო ბანა ჩანს; „ქართლის ცხოვრებაში“ ყველგან ბანა გვაქვს<sup>1</sup>: „...მოურთვის ქოროხს მდინარე ბანა-ფანასკეტისა, გამომდინარე ყალნუ მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთად. ...ამ წყალზედ, მთაში არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს“<sup>2</sup>. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფანაკის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ ამ პუნქტის სახელი უფრო ძველად მარტივად ბანაკი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ბანაკი. ირკვევა, რომ ეს „ქ“ ელემენტიანი სიტყვა უფრო ძველი ფორმაა. ამის შესახებ აზრი გამოთქმული აქვს აკად. ა. შანიძეს, რომელიც წერს: „წინათ იყო აგარაკი, შემდეგ ჩამოჰშორდა „ქ“ ელემენტი და მივიღეთ აგარა, როგორც ეს დადასტურებულია ბევრ სხვა მსგავს დაბოლოვებთან სიტყვაში: მუშაკი→მუშა, დანაკი→დანა, კვირიაკე→კვირა, პიტნაკი→პიტნა და სხვ.“<sup>3</sup>. ამრიგად უფრო ადრე ქანიანი ფორმა უნდა ყოფილიყო — ბანაკი, თუმცა „ქ“ს დაკარგვის შემდეგ ხმარებაში ბანა ფორმასთან პარალელურად ბანაკი'ც სავარაუდებელია. ბანაკი-თურქულში, როგორც ჩანს, ფანაქად გადატყდა. ჩვენი მკვლევები თურქისათვის სრულფასოვანი მკვლერი არ არის და ყრულ აღიქმება<sup>4</sup> (ამ შემთხვევაში ბანაკი→ფანაქ); ქართული და თურქული ენობრივი ურთიერთობიდან ჩვენ ვიციით ა ბმოენის შესატყვისობა თურქულ (დიალექტურ და აზერბაიჯანულ სალიტერატურო) ა (ა)-სთან (შდრ. sühür)←არაბ. سحر)→ქართ. საარ-ი 'დილა', 'დილის საარი', თურქ. hışır→ქ. აბგა და სხვ. ბანაკი-ის ბოლოკიდურ ქართულ მკვეთრ „ქ“ თანხმოვანს კანონზომიერად უნდა მოეცა იმავე რიგის „გ“, ოღონდ ეს უკანასკნელი ბოლოკიდურ მდგომარეობაში დაყრუვდა და ფშვინვიერი „ქ“ მოგვცა (შდრ. დიალექტური yünğ ←yün)→yünk (=აქნქ)<sup>5</sup>. ამრიგად ფანაქი ქართული ბანაკი-ის კანონზომიერად გადათურქულებული ფორმაა. ეს ფანაქ არაბული ასოებით كس-ად იწერებოდა<sup>6</sup>. ამ თურქიზებულმა ფორმამ შემდეგში სხვადასხვა ენებში და თვით ქართულშიც სხვადასხვანაირად ტრანსფორმი-

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“, I (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955), გვ. 318, 368, 385.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 138.

<sup>3</sup> აკად. ა. შანიძის დაუბეჭდავი რეცენზია „გურჯისტანის ვილნაგთის დიდ დავთარზე“ (თბილისი, 1956), გვ. 9.

<sup>4</sup> იხ. ჩვენი: ევლია ჩელები ლახებისა და ლახურის შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954, გვ. 251, 252; Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках. Сб. Советское языкознание, II, ლენინგრადი, 1936, გვ. 58, 59.

<sup>5</sup> ჩვენი: Об одном морфологическом явлении в ахалцихском наречии ахалцихско-турецкого языка, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1937, გვ. 119.

<sup>6</sup> მაგალითისათვის იხ.: گاننا, გვ. 408. لههه عمانى, გვ. 19; აგრეთვე ჩვენ „დავთარში“ ყველგან ასეა.

რებული ვარიანტები მოგვცა: პენიაკ-ი<sup>1</sup> (= რუს. Пенияк: ეგეროპ. რუსეთის სპეტრუკა<sup>2</sup>), ფანაკ-ი (ბანა)<sup>3</sup>, (Баня или) Панак<sup>4</sup> და სხვ.

როგორც ზემოთაღ აღინიშნა, ფანაკი ან ბანა ყველა რუკაზე აღნიშნულია. ბანაზე ვრცელი ისტორიული ცნობები მოცემული აქვს აკად. ექ. თაყაიშვილს.<sup>5</sup> აქვე ექ. თაყაიშვილი იძლევა ბანის ეკლესიის, ქართული ბუროთ-მოდღერების ამ შესანიშნავი ძეგლის დეტალურ აღწერილობას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბანა მოინახულა ცნობილმა გერმანელმა მოგზაურმა, სპეციალობით ბოტანიკოსმა კარლო კოხმა. კერძოდ მეტად საინტერესოა ბანის ეკლესიაზე და მდებარეობაზე კ. კოხის აზრი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: Нефси-Пенияк. На другое утро мы осматривали церковь, расположенную на круглом, сверху плоском холме, в расстоянии около получаса от деревни на запад. Это, без сомнения, самое красивое и самое величественное из всего того, что я видел в этом роде на всем Востоке, исключая Константинополя...<sup>6</sup>

ფანაკი ანუ ბანა ფანაკის რაიონის დაახლოებით ცენტრში მდებარეობს. ფანაკი (Пенияк) ოლთისიდან 33-ის, ხოლო არტანიდან 79 ვერსის მანძილზე<sup>6</sup>. 1889 წლისათვის ფანაკში ნაჩვენებია 43 კომლი<sup>7</sup>, ხოლო „დაეთრის“ დროის ფანაკში 36 კომლია (აქედან ორი კომლი მუსლიმია). ფანაკს შეეწერილი აქვს გადასახადი 30 000 ახჩის რაოდენობით.

2. მამული (ჩიფთლიქი) ერთი და ერთი წისქვილი სოფ. ფანაკში (I 406, 342; II 397, 335). სოფ. ფანაკში ცალკე საგადასახადო ერთეულად გამოყოფილ ამ მამულზე (ჩიფთლიქზე) ბინადრობს 6 კომლი, რუმელსაც შეეწერილი აქვს 500 ახჩა გადასახადი.

3. მამული (ჩიფთლიქი) ერთი და ერთი წისქვილი სოფ. ფანაკში (I 406, 343; II 397, 335). ამ მამულზე 8 კომლი სახლობს და იხდის 400 ახჩა გადასახადს.

4. მამული (ჩიფთლიქი) სოფ. ფანაკში (I 406, 343; II 397, 336). სოფ. ფანაკში მდებარე ამ, რიგით მესამე, მამულზე 6 მოსახლეა 400 ახჩა გადასახადით.

<sup>1</sup> მ. 6-დე. ქ. ოლთი (არხეოლოგიური ცნობები), „ივერია“, 1888, № 197; შტრ. ფანაკი: „საქართველოს სიძველენი“, III, 98.

<sup>2</sup> საქ. ისტორიული რუკა (1923); ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. IX, 109; Три христьян, СМОМПК, 28, გვ. 146.

<sup>3</sup> Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 38.

<sup>4</sup> МАК, XII, გვ. 88-117; ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 19 და შემდგ.

<sup>5</sup> K. Koch, Reise im p. ntischen Gebirge und türkischen Armenien, II, ვიენარი, 1846, გვ. 243-248 (მომყავს ექ. თაყაიშვილის მიხედვით: МАК XII, 90); აგრეთვე: ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938, გვ. 22.

<sup>6</sup> Список, 92; აგრეთვე: მ. 6-დე. ქ. ოლთი (არხეოლოგიური ცნობები), „ივერია“, 1888, № 197; ექ. თაყაიშვილი, МАК, XII, გვ. 88.

<sup>7</sup> Свод, 122, 123.

5. სოფ. ბარიქი كوركوس და ასროდ სა.თესველითურთ—بريك (I 406, 343; II 397, 336). მსხვილმასშტაბიან რუკებზე ფანაკის ჩრდილოეთით და ჩისხორის სამხრეთით აღნიშნულია სოფ. Барик-ი (რუსულად გვხვდება Барик დაწერილობითაც)<sup>1</sup>. ბარიქი მდებარეობს ოლთისიდან 43, ხოლო არტაანიდან—74 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>. „დაეთრის“ დროის ბარიქში 42 კომლია აღრიცხული, ხოლო 1889 წელს მხოლოდ 20 კომლი ყოფილა<sup>3</sup>. ბარიქ სოფლის აღწერილობის თავში იხსენიება 2, ხოლო ბოლოში 1—اساساور—სათესველი, რომელთა ამოკითხვა ახლა არ ხერხდება. ამოკითხვად რჩება აგრეთვე აქვე (II, გვ. 337) მინაწერში მოხსენებული გომის სახელი بوز اساعان-ი.

6. სოფ. კოსორი სათესველებით كوسور—كوسور (I 406, 344; II 397, 337). კოსორი ყველა რუკაზე აღნიშნულია ფანაკის აღმოსავლეთით (—Козур). იგი მდებარეობს ოლთისიდან 39, ხოლო არტაანიდან 72 ვერსის მანძილზე<sup>4</sup>. „დაეთრის“ კოსორი საკმაოდ დიდია: მასში ირიცხება 39 კომლი, ხოლო 1889 წელს მხოლოდ 19<sup>5</sup>. კოსორთან ერთად ხშირად ამ სოფლის სახელად თურქიზებული ფორმა—კოსურ'იკ გვხვდება<sup>6</sup> (გორე მარცხელის ო ხმოვანი „უ“ს გეაძლევს). სოფ. კოსორზე ცნობები მოეპოვება აგრეთვე ექ. თაყაიშვილს<sup>7</sup>. კოსორთან მოხსენებული სათესველების სახელების ამოკითხვა არ ხერხდება.

7. სოფ. არმაშენი قالدوس, قوروف, قوروب, قوروب, قوروب და არკს სათესველებითა [და] حوحر ჩაირით—ارمشين (I 406, 345; II 397, 338). სოფ. არმაშენი მდებარეობს ფანაკის ნაპიჯეს უკიდურესი ჩრდილოეთის მიჯნებში, სოფ. ჩისხორის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ხუთვერსიანი, „ვეროპ. რუსეთის სპეტარუკა“). ჩვენ მიერ ამოკითხული არმაშენ სახელწოდება სწორია. სხვა წყაროებშიც Армашен-ია<sup>8</sup> და ამდენად სტატისტიკური კრებულის Армашен-ი უთუოდ შეცდომაა<sup>9</sup>. არმაშენი მდებარეობს ოლთისიდან 56, ხოლო არტაანიდან 58-ვერსის მანძილზე<sup>10</sup>. არმაშენი „დაეთარში“ საკმაოდ დიდ სოფლად ჩანს: მასში 30 კომლია და შეწერილი აქვს 10 000 ახჩა გადასახადი. 1889 წელს არმაშენი დაკნინებულია; მასში აღრიცხულია მხოლოდ 18 კომლი<sup>11</sup>. სოფელ

<sup>1</sup> Список, 82.

<sup>2</sup> იქვე. აქვე ნაჩვენებია საკმაოდ დაწერილებით, თუ რა სოფლებში გაივლის ადმინისტრაციული ცენტრიდან ამ სოფლისაკენ მომავალი გზა.

<sup>3</sup> Свод, 124, 125.

<sup>4</sup> Список, 90, 91.

<sup>5</sup> Свод, 122, 123.

<sup>6</sup> იქვე: Козор (Козур), „ვეროპ. რუსეთის სპეტარუკა“ და სხვ. Козурская дорога იხსენიება, მაგ., Н. Н. Муравьев-ის წიგნში: Война за Кавказом в 1855 году, I, პეტერბურგი 1877, გვ. 216 (მომყავს ექ. თაყაიშვილის მიხედვით: МАК, XII, გვ. 89).

<sup>7</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 33.

<sup>8</sup> Свод, 126.

<sup>9</sup> Список, 82.

<sup>10</sup> Список, 82, 83. <sup>11</sup> Свод, 126, 127.



არმაშენთან დასახელებულია ხუთი სათესველი, რომელთა სახელები ამოუკითხავად რჩება.

8. სოფ. ჩარსორი ორგეთ (?) სათესველითურთ — چارصور (I 406, 346; II 397, 339). ამოკითხული უნდა იყოს სწორად. მაგრამ ზუსტად ასეთი სახელწოდების პუნქტი რუკაზე და სხვა წყაროებშიც არ არის. მაინც რამდენიმედ საფიქრებელია, რომ სტატისტიკურ კრებულებსა და ხუთეგრისიან რუკაზე Чарсор-ად<sup>1</sup>, ხოლო ზოგ სხვა, მაგ., ევეროპ. რუსეთის სპეცრუკაზე<sup>2</sup>, Чиссор-ად ფიქსირებული პუნქტი ეს სოფელი ჩარსორი იყოს. ჩინსორი ან ჩახსორი რუკაზე აღნიშნულია ფანაკის რაიონის ჩრდილოეთის საზღვარზე, სოფ. მუშების ჩრდილო-დასავლეთით. სოფელთან მოხსენებული ორგეთ სათესველის სახელის ამოკითხვაც საეჭვოა.

9. სოფ. ჩაკა ზემო ქალა სათესველით (I 406, 347; II 397, 340). ამ დაწერილობის აქ წარმოდგენილ ასოებად წაითხვა ახლა უკვე აღარ მომწონს. შეიძლება ეს მოხაზულობა ასეც გააზრიანდეს. მაგრამ შეიძლება აგრეთვე ჩაკა-დაც წაიკითხოთ<sup>3</sup>, ე. ი. მესამე მოხაზულობა ქ ასოს ქვედა ნაწილი კი არა, ჯ ან ჯ და მისთანათა თავი იყოს; მაშინ, რა თქმა უნდა, მეოთხე ასო ქ კი არა, ქ იქნება. ასეთ შესაძლებლობათა მიუხედავად, ამ დაწერილობის იდენტიფიცირება ფანაკის ნაპიჯეს რომელიმე პუნქტის სახელთან ჯერჯერობით არ ხერხდება. ეს სოფელი 19 კომლიანია 12 598 ანჩა გადასახადით. სოფელთან დასახელებული სათესველის სახელი — ზემო ქალა სწორი უნდა იყოს.

10. სოფ. მუშები ჩარსორი(?) და ჩარსორი(?) სათესველებით — მოხა (I 406, 348; II 397, 340). მუშები-ი თურქიზებული (თანამოგებები: გაყარად „უ“ ჩანატებული) ფორმა უნდა იყოს. მაშინ ნამდვილი სახელი მუშები იქნება და ასეცაა ზოგ წყაროში<sup>4</sup>. მახვილმასშტაბიან რუკებზე Мухач-ი აღნიშნულია ფანაკის ნაპიჯეს ჩრდილოეთ სექტორში სოფ. ნაზირვანსის ახლო მის ჩრდილოეთით. ამ სოფლიდან ოლთისამდე 51, ხოლო არტაანამდე 60 ვერსია ნაჩვენები<sup>5</sup>. „დავთრის“ მუშები 18 კომლიანი სოფელია, რომელსაც 13 700 ანჩა აქვს შეწერილი. 1889 წელს მუშებში 25 კომლი ირიცხება<sup>6</sup>. სოფელთან მოხსენებული სათესველების სახელები ამოუკითხავია.

11. მამული (ჩიფთლიქი) ერთი და ერთი წისქვილი... (I 406, 348; II 396, 341). ამ მამულზე, რომელიც, ალბათ, სოფ. მუშებში მდებარეობდა, ბინადრობს 3 კომლი, რომელზედაც შეწერილია 200 ანჩა.

12. მუხრული ჩარსორი და ჩარსორი (?) სათესველებით — მოხრული (I 406, 349; II 396, 341). „საქ. ისტორიულ რუკაზე“ (1923 წ.) ეს სოფელი

<sup>1</sup> Список, 106; Свод, 126.

<sup>2</sup> იხ. დედანი, გვ. 327.

<sup>3</sup> Список, 92; Свод, 122 (ამ წიგნში ძირითადად Мухач-ია, Мухач კი—ვარიანტი).

<sup>4</sup> Список 92, 93.

<sup>5</sup> Свод, 122, 123.

მიხრელის სახელით აღნიშნულია ფანაქის აღმოსავლეთით (ოლონდ საე-  
მოდ დაშორებით; საეპოცაა, რომ ფანაქის ნაპირს ეკუთვნოდა). იქვე აღ-  
ნიშნულია ეს სოფელი ხუთვერსიან რუკაზე, ოლონდ M y x p e ა-ის სახელით.  
რუსულ სტატისტიკურ კრებულებში ამ სოფლის სახელად Мухреан<sup>1</sup> და  
Muxpean<sup>2</sup> გვაქვს; „დავთრის“ დაწერილობა, საცა სამართალია, მუხრულად  
უნდა იქნეს წაკითხული. მაშასადამე, ამ სოფლის სახელი შემდეგ ვარიანტებ-  
ში გვაქვს: მუხრულ-ი, მიხრელ-ი და მუხრელ-ი. ვფიქრობ, უფრო სწორი-  
მუხრულ-ი უნდა იყოს. მუხრული ოლთისიდან 42, ხოლო არტაანიდან  
75 ვერსზე მდებარეობს<sup>3</sup>. „დავთრის“ მუხრულში რომ 25 კომლია (16 000  
ახია გადასახადით), 1889 წელს მასში მხოლოდ 3, კომლია ნაჩვენები<sup>4</sup>, სო-  
ფელთან დასახელებული სათესველების სახელეღი ჯერჯერობით ამოუკითხა-  
ვად რჩება.

13. სოფ. კოპი صاحرابو სათესველით—قوب (I 406, 349; II 397, 342). და-  
წერილობას ნიშნები არა აქვს: კოთ'ად ამოკითხვა (I და II წიგნები) პირობი-  
თი იყო და უნდა გასწორდეს. ეს დაწერილობა შეიძლება بقر (=გობ)-ადაც  
წაეკითხოთ. რადგანაც ქართული მკვებთრები თურქულში შესაბამის მკლე-  
რებს გვაძლევენ, აქ ჩვენ გობ-ი კი არა და შეიძლება უფრო კოპ-ი გვეკონ-  
დეს. და მართლაც ექ. თაყაიშვილის ცნობით „კოპი ბარდუსის წყლის პირ-  
ზეა და შეადგენს მეზრეს“ სოფ. პერტუსისა, რომელიც მალალ მთაზეა გაშე-  
ნებული<sup>5</sup>. ბარდუსის წყალი (Бардус-вдн) ფანაქის რაიონის სწორედ ამ  
სექტორშია. ოლონდ ადგილმდებარეობა კოპისა რუკებზე ნაჩვენები არ  
არის. ამ სოფელში 40 კომლია აღრიცხული 9 000 ახია გადასახადით. სო-  
ფელთან დასახელებული სათესველი არ არის ამოკითხული.

14. სოფ. ქეიღვანი—كيفوانك (I 406, 350; II 397, 343). გაუკაც-  
რიელებული სოფელია, რომელსაც აწერია 13 000 ახია გადასახადი. ხუთვერ-  
სიან და სხვა რუკებზედაც ფანაქის ჩრდილოეთით და ფანაქსა და ბარიქს  
შუა აღნიშნულია სოფ. Кеиванк-ი, რაც ფონეტიკურად სრულ შესაბა-  
მისობაშია „დავთრის“ كيفوانك-თან. ქეიღვანკი მდებარეობს ოლთისიდან 43,  
ხოლო არტაანიდან 75 ვერსის მანძილზე<sup>6</sup>. ქეიღვანკი „დავთრის“ შემდგომ  
ხანებში აღორძინებულა და 1889 წელს მასში უკვე 45 კომლია აღრიცხული<sup>7</sup>.

15. სოფ. حوور—(I 406, 350; II 397, 343). შეიდკომლიანი სოფელია;  
შეწერილი აქვს 5 000 ახია გადასახადი. ამოუკითხავად რჩება.

<sup>1</sup> Список, 104.

<sup>2</sup> Свод, 124.

<sup>3</sup> Список, 104, 105.

<sup>4</sup> Свод, 124, 125.

<sup>5</sup> მეზრე←არაბ. عزر —'სათესველი'.

<sup>6</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 42.

<sup>7</sup> Список 88, 89.

<sup>8</sup> Свод, 122, 123.

16. სოფ. თახთი — تاخت (I 406, 351; II 397, 343). თახთი რუსულ რუკებსა (მაგალითად, ხუთეფრსიანზე) და სტატისტიკურ კრებულებში — Тахт-ია. ეს სოფელი ოლთისიდან 40, ხოლო არტაანიდან 73 ვერსის მანძილზეა<sup>1</sup>. „დავთრის“ თახთში 8 კომლია, რომელსაც შეწერილი აქვს 5 000 ახჩა. 1889 წელს თახთში 9 კომლია ნაჩვენებია<sup>2</sup>.

17. სოფ. თხასქურქი — كراسك (I 406, 351; II 397, 344). ეს სოფელი 5 ვერსიანზე Задрех-ის (იხ. № 19) სამხრეთით Тавакчыრ-ად აღნიშნული პუნქტი უნდა იყოს. Тавакчыრ-ი (ეს სახელი ამ ვარიანტშიც გვხვდება. ამ ვარიანტებიდან ჯერჯერობით ძნელია ნანდელი სახელის ამოცნობა) ოლთისიდან 17, ხოლო არტაანიდან 68 ვერსის მანძილზეა (ამ სოფლიდან მომავალმა კაცმა უნდა გაიაროს ეგნაქი და კოსორი)<sup>3</sup>. თხასქურქში „დავთრის“ დროს 28 კომლია, რომელიც 13 000 ახჩას იხდის; 1889 წელს კი მასში 14 კომლი ირიცხება<sup>4</sup>.

18. მამული (ჩიფთლიქი) ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი (I 406, 352; II 397, 344). მამულზე ირიცხება 4 კომლი, რომელიც 330 ახჩას იხდის. მამულთან აღრიცხულია იალალი راجه, რომლის სახელი ამოკითხული არ არის.

19. სოფ. ზედკარეკი كرك دا حاح სათესველებით — كرك دا (I 406, 352; II 397, 345). მსხვილმასშტაბიან რუკებზე ნაზიჩვანსის აღმოსავლეთით და ვალოვერთან ახლო აღნიშნულია სოფ. Задрех-ი, რაც უთუოდ ჩვენი „დავთრის“ كرك دا-ია. ვფიქრობ, ეს ჩვენი სოფელია ის პუნქტი, რომელიც 1020 წლის სიგელში იხსენიება ზედკარეკად და რომელსაც აკად. ი. ჯავახიშვილი მართებულად აიგივებს „ებლანდელ 5-ვერსიან რუკაზე“ [აღნიშნულ] „ზადგერეხ“თან<sup>5</sup>. 1020 წ. სიგელში წერებულა: „ტაოს ვიყიდე სოფელი ზედკარეკი ხოთითა აგარათა“-ო<sup>6</sup>. რა თქმა უნდა, 1020 წლის სიგელში ფიქსირებული სახელი ამ სოფლისა— ზედკარეკი ყველაზე უფრო სწორი უნდა იყოს. დაწერილობის მეორე ნაწილი كرك-ში კ (გ) თანხმოვნით უსათუოდ ქართული „კ“ მკვეთრია გადმოცემული. სიტყვის პირველი ნაწილიც ზედ, ვფიქრობ, უფრო სწორია. ამრიგად, სოფლის ძველი და ქვეშარიტი სახელი ზედკარეკი უნდა იყოს. ზედკარეკი ნაჩვენებია ოლთისიდან 55, ხოლო არტაანიდან 63 ვერსის მანძილზე<sup>7</sup>. ზედკარეკი დიდი სოფელია; მასში 50 კომლია აღრიცხული; შეწერილი აქვს 14 500 ახჩა გადასახადი. 1689 წელს

<sup>1</sup> Список, 104, 105.

<sup>2</sup> Свод, 124, 125.

<sup>3</sup> Список, 96, 97.

<sup>4</sup> Свод, 124, 125.

<sup>5</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 11, 62, 64.

<sup>6</sup> ქრონიკები, II, 33 (მომყავს აკად. ი. ჯავახიშვილით: ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 62); შდრ.: იყიდა სოფლები ტაოს: ზადკარეკი ხუთითა აგარაქეთა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 290).

<sup>7</sup> Список, 86, 87.

Задгერех (ან Задгерех)ში 18 კომლია<sup>1</sup>. ზედკარეკთან აღრიცხული ორი სათესველის სახელი ამოუკითხავად რჩება.

20. მამული (ჩიფთლიქი) ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი სოფ. ზედკარეკში... (I 406, 353; II 397, 346). ამ მამულზე ნაჩვენებია 3 კომლი, რომელიც იხდის 330 ახჩას.

21. სოფ. იღნაქი اذخا (?) სათესველით — اذخا (I 406, 354; II 397, 346). რუსულ რუკებზე—ხუთფერსიანზე Игнаки-ა, მაგრამ სხვა, მაგალითად, „ევროპ. რუსეთის სპეტრუკაზე“ Игнаки-ა, ისევე როგორც სტატისტიკურ კრებულებში<sup>2</sup>. თავკიდური ელიფი თურქულში იქნა გამოხატავს და ასაკ<sup>3</sup>. ამდენად ახლა ძნელია დადგენა—იღნაქი თუ ეღნაქი. საჭიროა დამატებითი მასალა. იღნაქიდან ოლთისამდე 48, ხოლო არტაანამდე 67 ვერსია<sup>4</sup>. იღნაქი დიდი სოფელია; მასში 40 კომლია აღრიცხული; შეწერილი აქვს 11 000 ახჩა გადასაბადი. 1889 წ. კი იღნაქში 8 მოსახლეა<sup>5</sup>. სოფელთან მოხსენებული სათესველის სახელი არ იკითხება.

22. სოფ. ზემო, ქვემო და შუა არსენაკი—ارسنك علی سفلو و اوسط (I 406, 355; II 397, 347). არსენაკი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი სოფელთაგანია ტაოში. ის მდებარეობს ფანაქის აღმოსავლეთითა და იღნაქის სამხრეთით. „დავთარში“ ერთ ერთეულად არის აღწერილი ზემო, ქვემო და შუა არსენაკი. ამ დროისათვის სოფლია ოდესღაც დაშორებული ნაწილები, ალბათ, უკვე შერწყმული იყვნენ. ბოლო ხანებში კი ცნობილი იყო ამ სოფლის ასეთი დაყოფა: Арсеняк Греческий და Арсеняк Турецкий<sup>6</sup> (ეს უკანასკნელი—ქართული მაჰმადიანებისა). ექ. თაყაიშვილსაც ასე აქვს: „არსენიაკი ორია. ერთი მუსლიმანების სოფელია, მეორე ბერძენების<sup>7</sup>. ოლთისიდან არსენაკამდე 50, ხოლო არტაანიდან 83 ვერსია<sup>8</sup>. არსენაკის მოსახლეობა 138 კომლს აღწევს. იხდის ეს სოფელი 13 500 ახჩას. აქედან მუსლიმი („დავთარის“ დროს) მხოლოდ 6 კომლია. 1889 წლის მონაცემების მიხედვით კი არსენაკში 88 კომლია; აქედან 32 კომლი ბერძენი და 56 მაჰმადიანებული ქართველი<sup>9</sup>. რუსულ რუკებსა და სტატისტიკურ კრებულებში Арсеняк-ი („ევროპ. რუსეთის სპეტრუკა“) და არსენაკი<sup>10</sup> გვაქვს. ექ. თაყაიშვილიც არსენიაკს ხმარობს, მაგრამ „დავთარში ყველაგან არსენაკი წერია და ამიტომ, ვფიქრობ, ქართული სახელი არსენაკი უნდა იყოს, ხოლო არსენაკი გადამახინჯებული.

<sup>1</sup> Свод, 122, 123.

<sup>2</sup> Список, 96, 97; Свод, 122 (აქვე არის Игнаки-ს მეორე ვარიანტი—Игнаки).

<sup>3</sup> J. Deny, Grammaire de la langue turque, 37.

<sup>4</sup> Спясок, 96, 97.

<sup>5</sup> Свод, 122, 123.

<sup>6</sup> Список, 82.

<sup>7</sup> არქეოლოგიურა ექსპედიცია ვოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.

<sup>8</sup> Список, 82, 83.

<sup>9</sup> Свод, 122, 123.

23. ჩ ა ი რ ი سرور (I 406, 357; II 397, 349). ამ ჩაირის სახელი ვერ ამოვიკითხეთ. ეჭვემდებარება არსენაქს, აწერია 200 ახჩა.

24. სათესველი ე გ რ ი შ უ ა რ ი (?) სოფ. ზემო, ქვემო და შუა არსენაკთან—اكرى شوار (I 406, 357; II 398, 349). ამ დაწერილობაში შეხუთე არსოს დიაკრიტიული ნიშანი დასმული აქვს; ამდენად ამოკითხულობა სწორი უნდა იყოს. სათესველს შეწერილი აქვს 1 000 ახჩა.

25. სოფ. ეზნოხი (?)—انوز (I 406, 357; II 398, 349). ამ დაწერილობის წაკითხვა შეიძლება ეზნოხად, მაგრამ სტატისტიკურ კრებულებში და რუკებზე ყველგან შაიხ-ი გვაქვს<sup>1</sup>. ხუთეგრისიან რუკაზე ფანაქისა და ქანხისის რაიონთა მიჯნაზე, უფრო, თითქოს, უკანასკნელის ტერიტორიაზე აღნიშნულია შაიხ-ი. „დაეთრის“ დაწერილობის უკანასკნელი ასო ა, რომელსაც „ს“-სთან არაერთადი კავშირი არა აქვს. ახლა ძნელია გადაწყვეტა იმისი, თუ სად არის შეცდომა—„დაეთარიში“ თუ სხვა მასალებში. საერთოდ ასიც შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში სხვადასხვა პუნქტთან გეკონდეს საქმე. დაშატებთი მასალებია საკირო. „დაეთრის“ ან-ში 15 ნოსახლეა; აწერია 11 000 ახჩა.

24<sup>2</sup>. სოფ. كوراك პეტრე სათესველით (I 406, 358; II 398, 350). ამ დაწერილობის წაკითხვა შეიძლება სკურკ'ად, ან სკურკად; მაგრამ რუკებზე და არც სხვაგან ასეთი სახელის გეოგრაფიული პუნქტი არ ჩანს. ათკომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 9 000 ახჩა.

25<sup>2</sup>. მ ა მ უ ლ ი (ჩიფთლიქი) ერთი და ერთი წისკვილი (I 406, 358; II 398, 350). მამული სოფ. كوراك-ის ფარგლებშია; გამოყოფილია ცალკე საგადასახადო ერთეულად. მამულში ირიცხება 4 კოალი, რომელთაც შეწერილი აქვთ 350 ახჩა.

26. სოფ. كوراك (I 406, 359; II 398, 351). პირობით შეიძლება ამოკითხულ იქნეს—კარკიო, გარჯიო, კარხიო, გარხიო და სხვა. ამის მსგავსი რუკებზე და სხვა მასალებში არაფერი ჩანს. უკაცრეილი სოფელია, რომელსაც 9 300 ახჩა აქვს შეწერილი.

27. სოფ. ლაზარვანსი سارورون (?) და كاساس სათესველებით—لزروران (I 406, 359; II 398, 351). ცხადია, რომ „დაეთრის“ ლაზარვანსი იგივეა, რაც დიდი რუკების H a z a r v a n s ი-ი, რომელიც სოფ. მშენის სამსრეთ-დასაელეთით მდებარეობს. მე ვფიქრობ, რომ „დაეთრის“ ლაზარვანსი უფრო სწორი სახელია ამ პუნქტისა, ვიდრე H a z a r v a n s ი-ი (რუკებისა) და H a z i r v a n s ი-ი ან H a z i r v a n s ი-ი. ლაზარვანსი მდებარეობს ოლთისიდან 51, ხოლო

<sup>1</sup> Спассок, 98.

<sup>2</sup> როგორც II წიგნშიც შენიშნულია (იხ. „დაეთარი“, II, გვ. 398 და 350), 24 და 25 ნომრებს შეეძლოთ ისევე 24 და 25 ნომრები მისდევს (იხ. დედნის სათანადო ადგილი, გვ. 335, 336, 381).

<sup>3</sup> Спассок, 92.

<sup>4</sup> Свод, 122.

არტაანიდან 67 ვერსის მანძილზე<sup>1</sup>. „დავთრის“ ლაზარეანსში 14 კომლია, ხოლო 1889 წელს ამ სოფელში აღრიცხულია 20 კომლი<sup>2</sup>. ამ სოფელთან დასახელებული სათესველების სახელები ამოუკითხავად რჩება.

28. მ ა მ უ ლ ი (ჩიფთლიქი) ერთი და ერთი... წისქვილი ზემოხსენებულ სოფელში (I 406, 359; II 398, 351). მამულში აღრიცხვაზე სამი კომლია; შეწერილი აქვთ 250 ახჩა.

29. სოფ. ა კ რ ი ა კ ი *سراکر, سور, سا*, და და *اس* სათესველებით — *كراکر* (I 406, 360; II 398, 352). *Акрык* რუსულ რუკებზე (მაგ., ხუთვერსიანზე) აღნიშნულია ფანაჯის სამხრეთით სოფ. *Колкон*-თან ძლიერ ახლო. აკრიაკის მდებარეობა ოლთისიდან 44, ხოლო არტაანიდან 77 ვერსითაა განსაზღვრული<sup>3</sup>. აკრიაკში ირიცხება 6 კომლი (აქედან 1 მუსლიმი მოსახლე); შეწერილი აქვს 8 000 ახჩა. 1889 წლის აკრიაკში სომხური მოსახლეობაა 30 კომლის რაოდენობით<sup>4</sup>. ამ პუნქტის სახელის თურქული დაწერილობა — *كراکر*-ი თურქულად უთუოდ ვგარანებ ან ვქარანებ იკითხებოდა. მე „აკრიაკს“ ვწერ რუკებისა და სტატისტიკური კრებულების, აგრეთვე ექ. თაყაიშვილის<sup>5</sup> მიხედვით. ა კ რ ი ა კ ი უნდა იყოს არმენიზებული ფორმა თურქ. *პქარანქ*-ის ანქქართული აგარაკ-ისა (მოსახლეობა ამ სოფლისა XIX ს-ში უკვე სომხურია). ექ. თაყაიშვილით „აკრიაკის საზოგადოება ორი სოფლიდან შედგება, აკრიაკისა და კალკოსისაგან“<sup>6</sup>. სოფ. აკრიაკთან დასახელებული ოთხი სათესველის სახელები ამოუკითხავად რჩება.

30. სოფ. ბ ა რ ნ ა კ ი (?) *بازنکاور* სათესველით — *بازنک* (?) (I 406, 360; II 398, 352). ამოკითხულობა პირობითია. სოფ. ბარნიკი ან ფარნიკი შეიძლება კაცმა დაუკავშიროს ფანაჯის რაიონის დასავლეთის მიჯნებთან ახლო მდებარე *Иерияк*-ის სახელით აღნიშნულ პუნქტს. პერნიაკი შეიძლება თურქიზებული ფორმა იყოს ქართული ფარნაკისა (შდრ. ქარსენაკ → არსენიაკ). ექ. თაყაიშვილი პერნიაკის ნამდვილ სახელად სწორედ ფარნაკს ასახელებს: „ფარნაკ (ქართაზე პერნიაკი). ფარნაკი მდებარეობს ოლთისის წყლის ორთავე ნაპირზე, იქ სადაც ბანის წყალი ერთის ოლთისის წყალს; ამის მახლობლად მარილის სამრეწველოა და სოფელი ავქალა<sup>7</sup>. თუ *Перияк*-ის ფანაჯის რაიონიდან ოდნავ დაშორებულობამ ხელი არ შეუშალა, ფონეტიკურად შესაძლებელია „დავთრის“ ბარნიკი || *كراکر*-ისა და ფარნაკი || პერნიაკის გაიგივება. პერნიაკი ოლთისიდან 27-ის, ხოლო არტაანიდან 96 ვერსის მანძილზე მდებარეობს<sup>8</sup>. „დავთრის“ ფარნაკი 24 კომლიანი სოფელია (აქედან 3 კომლი მუსლიმი); შეწერილი აქვს 10 000 ახჩა.

<sup>1</sup> Список, 92, 93.

<sup>2</sup> Свод, 122, 123.

<sup>3</sup> Список, 80, 81.

<sup>4</sup> Свод, 124, 125.

<sup>5</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში..., გვ. 34.

<sup>6</sup> იქვე, 34.

<sup>7</sup> იქვე, 52.

<sup>8</sup> Список, 94, 95.

31. სოფ. მერენესი — مرانس (I 406, 361; II 398, 353). ფანაკის რაიონის დასავლეთ სექტორში, აკრიაკ და ეკესორ სოფლებს შუა რუკაზე (ხუთვერსიანი და სხვ.) აღნიშნულია სოფ. Меранс-ი. ზოგან, მაგალითად, სპეცრუკაზე, Меранс-ია; მაგრამ „დავთრის“ დაწერილობის ნიხედვით უფრო სწორია მერენესი, რადგანაც مرانس-ის მესამე ასო (ა) „ი“ ხმოვნად საერთოდ არ იკითხება. მერენესი ოლთისიდან 33, ხოლო არტაანიდან 87 ვერსზე მდებარეობს<sup>1</sup>. „დავთრის“ მერენესში აღრიცხულია 26 კომლი; შეწერილი აქვს 8 500 ახჩა გადასახადი. 1889 წელს ამ სოფელში 41 კომლია<sup>2</sup>.

32. სოფ. ძალქოსი (?), მეორე სახელი კიზილ ქაზ კოსორ სათესველით—ძალქოსი... زاغوس (I 406, 332; II 398, 354). არც პირველი სახელით—ძალქოსი (?) და არც მეორეთი—კიზილ ქაზ (=ქ. 'წითელი სოფელი') რუკებზე ან სხვა მასალებში რომელიმე პუნქტს ჩვენ ვერ მივაგენით. ოღონდ ერთია სავარაუდებელი: შესაძლებელია ეს იყოს სტატისტიკურ კრებულებში და ხუთვერსიან რუკაზე Джалкосად<sup>3</sup> აღნიშნული პუნქტი; ოღონდ აქაური ენების ფონეტიკის მიხედვით ძნელი ასახსნელი იქნება თავკიდური კ (რომელიც შეიძლება „ძ“ც იყოს) და „ჯ“ თანხმოვნების მონაცვლეობა. ძალქოსში ექვსკომლიანი სოფელია; შეწერილი აქვს 11 000 ახჩა; 1889 წელს ჯახკოსში 5 კომლია<sup>4</sup>. Джалкос-ი ოლთისიდან 22, არტაანიდან კი 92 ვერსზეა<sup>5</sup>.

33. სოფ. ეკესორი اوول (?) და მოსესას. მეორე სახელი احروراسي (?) სათესველით—اكصور (I 406, 362; II 398, 354). რუკებზე—Экасор-ია (ხუთვერსიანი) და Экасор-ი („სპეცრუკა“), ხოლო სტატისტიკურ კრებულებში — Эказор-ი<sup>6</sup>. ამათში ყველაზე უფრო სწორია „დავთრის“ ეკესორ-ი (მესამე ასო „ე“ ხმოვანს გადმოსცემს). ეკესორი მერენესის დასავლეთით მდებარეობს (ხუთვერსიანი და სხვა რუკა), ოლთისიდან 33, ხოლო არტაანიდან 82 ვერსზე<sup>7</sup>. ეკესორში „დავთრის“ დროს 15 კომლია; შეწერილი აქვს 8 000 ახჩა. 1889 წელს ამ სოფელში ირიცხება 13 კომლი<sup>8</sup>. ეკესორში აღრიცხულ სათესველთა სახელი გაურკვეველია.

34. სოფ. კარყული (?), მეორე სახელი კარგეთი (?)—كارقر (?)—كاركد (?) (I 406, 363; II 398, 355). წაკითხვა უაღრესად საეჭვო და პირობითია. მასალა არ მოიპოვება. 17 კომლიანი სოფელია; შეწერილი აქვს 4 500 ახჩა.

<sup>1</sup> Список, 90, 91.

<sup>2</sup> Свод, 124, 125.

<sup>3</sup> Список 104.

<sup>4</sup> Свод, 124, 125.

<sup>5</sup> Список, 104, 105.

<sup>6</sup> Список, 98; Свод, 124.

<sup>7</sup> Список, 98, 99.

<sup>8</sup> Свод, 124, 125.

35. სოფ. კოთიქი *ارار, كسك, لا حور* და *كسور* სათესველით — *كوتيك* (I 406, 363; II 398, 355). სოფ. მერენესის ოდნავ დასავლეთით რუკებზე აღნიშნულია სოფ. *Котик* (უთფერსიანი)<sup>1</sup>, *Котек* (სპეტრუკა). ეს სოფელი ოლთისიდან 25 ვერსის მანძილზეა, ხოლო არტაანიდან 92-ის<sup>2</sup>. „დაეთრის“ დროს კოთიქში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მოსახლეობა — 54 კომლი; შეწერილი აქვს 12 000 ახჩა. 1869 წელს მასში 35 კომლია აღრიცხული. კოთიქთან დასახლებული სათესველების სახელწოდებათა ამოკითხვა ამჟამად არ ხერხდება.

36. სოფ. ქარგლუხი, მეორე სახელი *سوسو-ار-ي-سوسو* და კიზილფუნარ სათესველებით — *خكرك* (I 406, 365; II 398, 357). რუკებზე ფანჯთან (ბანასთან) ახლო აღნიშნულია პუნქტი *Кяркисух*. ასევეა ეს სახელი დაბეჭდილი ერთ სტატისტიკურ კრებულში<sup>3</sup>, ხოლო მეორეში — *Кяркисух-и*. რა თქმა უნდა, ყველა ეს არის ამ პუნქტის სახელის თურქიზებული ფორმა. ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია აკად. ექ. თაყაიშვილის პარიზში გამოცემული შრომა, რომლიდანაც ჩანს, რომ ამ სოფლის ქართული სახელი *ქარგლუხი* ყოფილა: «ერთ ცალკე ფურცელზე მერმინდელი მინაწერი ჯრუჟის საიარებისა გვაძენევს, რომ „თემსა მას ბანისასა ქარგლუხს“ წმინდა ბერს ავქსენტის აუშენებია» და სხვ.<sup>4</sup> თურქიზებულ *Кяркисух* || *Кяркисух*-ში უპირველესად ყოვლისა თურქულისათვის უჩვეულო ველარული „ქ“ პალატალიზებულია<sup>5</sup> — „ქ“ არქ“ალუბ“ — ქარგლუხ-ი. ამდენად ჩემი *ქარკლუხი* (II წიგნი) არ უნდა იყოს სწორი. შესაძლებელია *ქარკლუხი* წარმოგვიდგენდეს არჰენიზებულ ფორმას. ექ. თაყაიშვილი წერს: „ქარგლუხი, ახლა *ქარკლუხი* იმუჟლმანთა სოფელია“<sup>6</sup>. ქარგლუხი ოლთისიდან 33. ხოლო არტაანიდან 77 ვერსზე მდებარეობს<sup>7</sup>. ამ სოფელში „დაეთრის“ დროს 24 კომლია და იხდის 7 000 ახჩას. 1889 წელს მასში ირიცხება 25 კომლი<sup>8</sup>. ქარგლუხის მეორე სახელისა და პირველი სათესველის ამოსაკითხავად არაფითარი მასალა არა გვაქვს. მეორე სათესველი იკითხება *კიზილფუნარ* ად, რაც *წითელ წყაროს* ნიშნავს (თ. *Kızıl* 'წითელი' + თ. *su* — 'წყარო').

37. სოფ. კინეპოსი — *سوسك* (I 406, 365; II 398, 357). კინეპოსზე ცოტაოდენი ცნობა ისევ ექ. თაყაიშვილს აქვს: „კინეპოსი პატარა სოფელია,

<sup>1</sup> აგრეთვე: *Список*, 90; *Свод*, 124 (Котик ვარიანტით).

<sup>2</sup> *Список*, 90, 91.

<sup>3</sup> *Список*, 90.

<sup>4</sup> *Свод*, 122.

<sup>5</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში, გვ. 45.—შდრ. *МАК*, XII, გვ. 89 და *Brosset, Voyage arch. Rapports...* XII, გვ. 85, 86 (ეს უკანასკნელი ექ. თაყაიშვილით მომავს).

<sup>6</sup> *J. Deny, Grammaire de la langue turque*, გვ. 85.

<sup>7</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში..., 45.

<sup>8</sup> *Список*, 90, 91.

<sup>9</sup> *Свод*, 122, 123.



კინეპოსის წყლის ვიწრო ხეობის კლდოვან ფერდობზე გაშენებული. ეტყობა აქ მონასტერი, ლავრა ყოფილა...<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილის ექსპედიცია მიემგზავრება ხოსორიდან ანძაყის წყლის ხეობით და სწორედ ანძაყიდან ჩრდილოეთით რუკაზე („ვეროპ. რუსეთის სპეტრუკა“) აღნიშნულია სოფ. Киньпос-и. ოღონდ ესაა, რომ კინეპოსი დაშორებულია თანაკის რაიონს და მე არ ვიცი რანდენად შესაძლებელია ტერიტორიულად ეს კინეპოსი ამ რაიონში შედიოდეს. კინეპოსი ნაიყენებია ოლთისიდან 32, ხოლო არტაანიდან 143 ვერსის მანძილზე მდებარეა<sup>2</sup>. კინეპოსში „დაეთრის“ დროს ყოფილა 12 მოსახლე; აქედან 5 მუალიმი. 1849 წელს კი მასში 10 კომლია<sup>3</sup>.

38. სოფ. ვალავერი **واو' اسار** და **ارار** სათესველებით — **واو' اسار** (I 406, 366; II 393, 358). რუკებზე (ხუთვერსიანი და სხვ.) თანაკის აღმოსავლეთ მონაკვეთზე **Валдавер** და **Гаваньчр** სოფლებს შუა აღნიშნულია **Вагонер**, რაც „დაეთრის“ ვალავერის გადარუსულებული ფორმა უნდა იყოს. ქართულად უნდა ყოფილიყო ვალავერი, რაც დადასტურებულია ექ. თაყაიშვილის მიერ<sup>4</sup>. ვალავერი ოლთისიდან 57, არტაანიდან კი 65 ვერსის მანძილზე მდებარეა<sup>5</sup>. ვალავერში „დაეთრის“ დროს 23 კომლია (აქედან მუსლიმი—6); შეწერილი აქვს 7 500 ახჩა გადასახადი. 1889 წელს ვალავერში ირიცხება 25 კომლი<sup>6</sup>. სოფელთან დასახლებულ სათესველთაგან პირველის სახელი შეიძლება ვანქ-ი იყოს, დანარჩენების სახელი ამოუკითხავად რჩება.

39. სოფ. **واسارما** სათესველით **حاس** (I 406, 366; II 398, 358). ამ დაწერილობის ამოკითხვაში საეჭვოა შეექვს ასო; შეიძლება ის კი არა, ციყოს<sup>7</sup>. საერთოდ ამოკითხვა არ ხერხდება. უკაცრიელი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 5 500 ახჩი. სათესველის სახელიც ვერ ამოვიკითხეთ.

40. სოფ. აგირდგომი — **اگردگوم** (I 406, 367; II 393, 359). თანაკის ნაიყის სამხრეთ ზონაში მსხვილმასშტაბიან რუკაზე „აქრაიკის“ აღმოსავლეთით ყველაგან აღნიშნულია **АГНТ КОМ** („ვეროპ. რუსეთის სპეტრუკა“), **АГНТКОМ** (ხუთვერსიანი) პუნქტი, რომელიც ჩვენი „დაეთრის“ აგირდგომია. ეს სოფელი ოლთისიდან 48 ვერსზეა, ხოლო არტაანიდან 72-ზე<sup>8</sup>. მე მიინც ვფიქრობ, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი გომია, ხოლო კომ (=კომ), აგრეთვე **АГНТ**-ში „ტ“ თანხმოვანი გადასხვაფერებული, შეიძლება გადასომბურებული ფორმები იყოს. არ ვიცი, თუ აგირდგომიდან რატომ გამოვარდა „რ“ თანხმოვანი. „დაეთრის“ აგირდგომში 7 მოსახლეა; შეწერილი აქვს 10 000 ახჩა. 1889 წლის აგირდგომში 29 კომლია<sup>9</sup>.

41. სოფ. **كركس** (?) დევირბან დერესი (?) (=წისქვილისხევი) სათესველით (?) — **اكرمن كوكس** (I 406, 367; II 398, 359) ეს დაწერილობა

<sup>1</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში..., 74.

<sup>2</sup> Список, 90, 91. <sup>3</sup> Свод, 122, 123.

<sup>4</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში..., 16.

<sup>5</sup> Список, 84, 85.

<sup>6</sup> Свод, 122, 123.

<sup>7</sup> იხ. დედანი, გვ. 342, 381 (№ 39).

<sup>8</sup> Список, 80, 81. <sup>9</sup> Свод, 124, 125.

შეიძლება *كوكو*-ადაც წავიკითხოთ<sup>1</sup>. მაშინ საფიქრებელია, რომ ეს არის *كوكو* ოკონკი ან კონკი, რომელიც კოლის გარდა<sup>2</sup> ოლთისის მხარეშიც აღნიშნულია (იხ. Кокк-ი). ამრიგად ეს კონკი-კონკი-*كوكو* უნდა იყოს, თუ ხელი არ შეგვიშალა იმ გარემოებამ, რომ Кокк-ი შემდგომ ხანებში ტაუსეერის<sup>3</sup> (= ტაოს, არის) საბოქაულოშია აღრიცხული. საერთოდ აქ აღნიშნული პუნქტის გარკვევისათვის უსათუოდ საჭიროა დამატებითი მასალა. სოფელი უკაცრიელია; შეწერილი აქვს 11 200 ახჩა გადასახადი. სათესველი თითქოს იკითხება: დ ე გ ი რ ნ ა ნ დ ე რ ე ს ი, რაც (дегирмен 'წისკელი', 'dere' ხევი) 'წისკელისხევი'ს ნიშნავს.

42. სოფ. *صاود* (I 406, 369; II 398, 359). მოხაზულობის აქ წარმოდგენილი ასოებით გააზრებაც საეჭვოა. ბოლო ასო შეიძლება *ق*-ც იყოს, *ب*-ცა და მისთანანი. უკვე გაუცაცრიელებულია; აწერია 3 000 ახჩა.

43. სოფ. ბ ა რ დ ი კ ი (?)—*باردکي* (?) (I 406, 367; II 398, 359). ეს უნდა იყოს პუნქტი, რომელიც ხუთვერსიან რუკაზე *Бардак*-ადაა აღნიშნული. *Бардак*-ი მოხსენებულია აგრეთვე სტატისტიკურ კრებულში ოლთისიდან 31, ხოლო არტაანიდან 84 ვერსის მანძილზე მდებარედ<sup>4</sup>. ჩვენი „დავთრის“ ბარდიკი(?) ო ბერდიკი უკაცრიელ სოფლადაა აღწერილი, 1889 წელს კი ბერდიკში 31 კომლი მოსახლეა<sup>5</sup>.

44. სოფ. ი ს რ ა ი ლ ი—*اسرائيل* (I 406, 367; II 398, 359). ჩვენი ამოკითხულობა რომ სწორია იქიდანაც ჩანს, რომ რუკებზე აღნიშნულია *Хыт[оп] И с р а и л*. „დავთრის“ დაწერილობაც შეიძლება ისრაილ-ად წავიკითხოთ. სტატისტიკურ კრებულებსა და სხვა წყაროებში ეს პუნქტი არ იხსენიება. 4 კომლიანი სოფელია, რომელსაც აწერია 6 000 ახჩა (იხ. კიდევ აქვე ასეთივე სახელის პუნქტი № 55).

45. სოფ. გ ა რ ლ ო ლ ი ს ი (?) — *گارغولس* (?) (I 406, 368; II 398 360). გარლოლისი თუ ქარლოლისი, შეიძლება კარლოლისიც. არც რუკებზე და არც სხვაგან არ არის მასალა ამ პუნქტს რომ შეუქი მოჰფინოს. შეიძლოა იქიანი სოფელია, რომლისგან შემოსავალი გადასახადის სახით 11 000 ახჩას უდრის. მინაწერშია ნახსენები სოფ. *گارغولس*-ი (?).

46. სოფ. *كارمورح* (I 406, 368; II 398, 360). დაწერილობის ამოსაკითხავად მასალა ჯერჯერობით არ ჩანს. უკაცრიელი სოფელია; მისგან შემოსავალი განსაზღვრულია 3 000 ახჩით.

47. ჩაირი ბ ა რ დ ი კ ი (?)—*باردکي* (?) (I 406, 368; II 398, 360). ეს სახელი უთუოდ დაკავშირებულია ზემოთ 43 ნომრით აღნიშნული სოფ.

<sup>1</sup> იხ. დედანი, გვ. 343 (№ 41) და განსაკუთრებით გვ. 381 (იგივე №).

<sup>2</sup> Список, 68; შდრ. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში... (ტონკი), გვ. 16.

<sup>3</sup> Список, 110.

<sup>4</sup> Свод, 126

<sup>5</sup> Список, 100, 101.

<sup>6</sup> Свод, 124, 125.

კარსის-ის (?) სახელწოდებასთან (იხ. ზემოთ), რომელიც რუკებზე და სხვაგანაც Бєрдлax-ადაა ცნობილი. ეს ჩაირი ამ სოფელთან ახლო მდებარეობის გამო ატარებდა, ალბათ, ამავე სოფლის სახელს. შეწერილი აქვს 5 000 ახჩა.

48. სოფ. ბ ა რ ი ქ ი (?)—كارس (?) (I 406, 368; II 398, 361). ზემოთ ჩვენ (იხ. ამავე ნაჰიეში პუნქტი №5) كرس დაწერილობაც كرس I ბარიქ-ად წავიკითხეთ, რაც საეგებით შესაძლებელია. კრს, დაწერილობის ბარიქ-ად წავითხვაც საეგებით რეალურია. რუკაზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, მხოლოდ ერთი ბ ა რ ი ქ ი ა. ორი რომ ყოფილიყო, მაშინ რაიმე განმასხვავებელი სიტყვები ექნებოდათ დართული (დიდი, პატარა და მისთანანი). ამიტომ, საფიქრებელია, რომ ეს ბ ა რ ი ქ ი კი არა, თ ა რ ი ქ ი, ფ ა რ ი ქ ი და მისთანები იყოს. ცნობები ამის შესახებ არი გვაქვს. ამ სოფელში 11 კომლია; შეწერილი აქვს 5 000 ახჩა.

49. სათესველი واورو თანაკის მოსახლეობის სარგებლობაშია (I 406, 369; II 398, 361). ეს სათესველი თანაკთან არის და მისი სახელის გაშიფრვა შეიძლება ადგილზე. ამ ობიექტიდან შემოსავალი გადასახადის სახით 7 000 ახჩითაა განსაზღვრული.

50. სათესველი ხ ო შ ი —خوش (I 407<sup>1</sup>, 369; II 398, 361). ამ დაწერილობის შესაშვ ასო დიაკრიტულნიშნინია, პირველი არა. სათესველის სახელთან (I-სა და II წიგნში) კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას, რადგანაც რუკაზე თანაკთან ახლო მე მინახავს და ჩამიწერია პუნქტი Xos-ი, რაც უთუოდ ჩვენი „დაეთრის“ خوش-ია. გარდა ამისა, Xos-ი აღრიცხულია აგრეთვე სტატისტიკურ კრებულებში: იგი მდებარეობს ოლთისიდან 37-ის, ხოლო არტაანიდან 76 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>; „დაეთრის“ ხოშში რომ მოსახლეობა არ არის, 1889 წლის ხოშში უკვე 6 მოსახლეა ნაჩვენები<sup>3</sup>.

51<sup>4</sup>. სოფ. واورو სოფ. კოსორთან (I 407, 369; II 398, 361). პირველ ასოს განმასხვავებელი ნიშანი არა აქვს და ამიტომ ამ სახელის ამოკითხვა არ ხერხდება, მოსახლეობა არაა ნაჩვენები. შეწერილი აქვს 1 000 ახჩა.

52<sup>5</sup>. სოფ. ო კ ე თ ი (?) სოფ. აგირდგომთან — اوکیت (?) (I 407, 369; II 398, 361). ამოკითხულობა პირობითია. აგირდგომთან რუკებზე ან სხვაგან ასეთი რამ აღნიშნული არაა. უკაცრიელია და შეწერილი აქვს 500 ახჩა.

53<sup>6</sup>. სათესველი ტ ა შ კ اوو სოფ. აგირდგომთან—طاش اوو (I 407, 369; II 398, 361). პირველი ნახევარი სახელის უთუოდ таš (='ქვა') სიტყვაა; მეო-

1 ე. წ. სიაში (იხ. დედანი, გვ. 381) 50 ნომრით მოცემულია სათესველი კარსის (?), ხოლო ხოში (?) მომდევნო—51-ითაა აღწერილი.

2 Сторок, 106, 107.

3 Свиз, 126, 127.

4 „სიაში“ (გვ. I 407) 51 ნომრით სოფ. ხოშ-ია აღნუსხული.

5 „სიაში“ (გვ. I 407) ამ ნომრით ზემოაღნიშნული სოფელია აღწერილი.

6 „სიაში“ (გვ. I 407) 53 ნომრით ზემოხსენებული სოფელია აღნუსხული.

რე ნახევრის ასოებიც ნათელია, მაგრამ გააზრება არ ხერხდება. აწერია 500 ახწა.

54<sup>1</sup>. სათესველი კრსს (I 407, 369; II 398, 362). ამ სათესველის სახელს ვერ ვკითხულობთ. სათესველისაგან შემოსავალი განსაზღვრულია 4 900 ახწით.

55. სოფ. ისრაილი, მეორე სახელი დილენჯიქოზ (= dilenci kcy 'დილენჯის—ქართულში დოლენჯის სოფელი — دیلنچکوزی مں کاسرا (I 407, 369; II 398, 362). ასეთი სახელით სოფელი განხილული იყო ზემოთ (აღ 44), ოღონდ ამას მეორე სახელიც აქვს. ვფიქრობ, ორივეგან ერთნაირი დაწერილობა უნდა იყოს. ადგილმდებარეობა პირველი ისრაილისა ცნობილია, ამისი არა. უკაცრიელაა და აწერია 2 000 ახწა გადასაადი.

<sup>1</sup> „სიაში“ ამ ნომრით მოცემულია ზემოაღწერილი სოფელი.

## VIII. ფ ა ნ ა კ ი ს ლ ი ვ ა

### 6 (27). ქამხისის ნაწიეგ

1. სოფ. ქამხისის რაბათი  $\text{اساس كاخخيس}$  სათესელით —  $\text{قريه اساط كاخخيس}$  (I 407, 370; II 398, 362). ეს სახელი კნთიბ ჩელებისთან უყეთესადაა ტრანსკრიბირებული —  $\text{كاخخيس}$ <sup>1</sup>. ამ პუნქტის სახელი ქიამხის-ად მაქვს დაბეჭდილი (II 398, 362).  $\text{Кхамхис}$ -ი ეწოდება მას ოფიციალურად ყველგან<sup>2</sup>; მაგრამ ქართულთან ახლო ფორმა ქამხისი უნდა იყოს. ჩვენ ზემოთ რანდენიმეჯერ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ თურქულში ხდება ნასესხები სიტყვების ველარების — ქ და გ-ს პალატალიზაცია. სწორედ ამ პალატალიზაციითაა გამოწვეული რუსულ ტრანსკრიფციაში მოცემული თურქიზებული  $\text{Кхамхис}$  ფორმა. ქართულად უთუოდ ქამხისი უნდა ყოფილიყო. კიდევ ჰეტი. ჩამხუსის სახელით ცნობილი პუნქტიც ( $\text{Чамхус}$ )<sup>3</sup> სოფ. ქამხის-ია. საქმე იმაშია, რომ თურქულ დიალექტებში (განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიისა) ეს პალატალიზებული „ქ“ თანამოვანი „ჩ“ში გადადის: ქერიმ → ჩერიმ; T. Kowalski-ს მაგალითები:  $\text{asçere} \leftarrow \text{askere}$ ,  $\text{çirçin} \leftarrow \text{çirkin}$  და სხვ. მრ.<sup>4</sup> ამგვარად, ქართული ქამხის-ი → თ. ქ'იამხის-ი → დიალექტური ჩანხის-ი. ექ. თაყაიშვილის შრომას —  $\text{МАК, XII}$ , ბოლოში 164-ე გვერდზე დართული აქვს შეცდომის გასწორება, სადაც ვკითხულობთ: На стран. 75, 85 и 87 вместо слова «Кнагнис-Алты» нужно читать «Кхамхис-Алты. Кхамхис, означая место, находящаяся под Кнагнисом. მაშასადამე. სოფელ ქამხისის ჩამხუსის გარდა რქმეგია კიდევ  $\text{Кнагнис}$ -ი; ტექსტში დაბეჭდილი  $\text{Кнагнис}$ -ი კორექტურული შეცდომაა. ქიაგმის-ალთი, რაც თურქულად 'ქიაგმისის ქეემოს', ან 'ქიაგმისის ძირს' ნიშნავს, ცალკე ადგილი ყოფილა სოფ. სოლომონ-კალა-სა და ქამხისის ქეემოს<sup>5</sup>. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ მივიღეთ ქამხისისაგან ქამხის-ი და ჩამხის-ი (ჩამხუს-ი). რაც შეეხება ქიაგმის ფორმას, მასში „გ“ თანხმოვანი „ლ“საგან უნდა იყოს წარმოშობილი რუსულ ნიადაგზე; აქვე გვაქვს, არ ვიცი რომელ ენობრივ

<sup>1</sup>  $\text{چامخيس}$ , გვ. 406.

<sup>2</sup>  $\text{Свод, 126; Список, 106.}$

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი,  $\text{МАК, XII}$ , გვ. X და 84.

<sup>4</sup> T. Kowalski,  $\text{Osmanisch-türkische Dialekte, EI, IV, გვ. 1000.}$

<sup>5</sup>  $\text{МАК, XII, 85; არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში... 28.}$

კოლექტივში გაჩენილი, მეტათეზისი—ქამხის-ი → ქამხის-ი → ქამხის-ი (Кям-гис→ქამ-ის-ი→К҃ягмис || Киагмис || Киагимис (МАК, XII, გვ. IX; ხომ არ არის ეს ქამ-ის-ი ქართული შესაძლებელი გაღმის ფორმიდან მიღებული? ქართული მდღერი თურქულში ხშირად სათანადო რიგის ყრუდ გადაღის<sup>1</sup>—გაღმის-ი→ქაღმის-ი→ქაღმისი→ქაამხის-ი?). ამრიგად, „დავთრის“ დროის ქამხისი შემდეგ თურქიზებულ იქნა ქამხის-ად, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ამ კუთხეებში მოგზაურობის დროს (1902 წ.) უკვე ჩამხუსად წარმოითქმოდა, ხოლო მისი სხვაგვარად თურქიზებული Киаг-мис-ი მეორე სახელად იყო მიჩნეული.

ქამხისის მდებარეობაზე ექ. თაყაიშვილი ამბობს: У самой подошвы горы, на которой находится крепость Соломон-Кала, недалеко от деревни, или, скорее, Кишлага Чамхус [=ქამხის-ი], на берегу речки видны развалины церкви...<sup>2</sup> სხვა ადგილას იგივე ექ. თაყაიშვილი ქამხისზე (Киагмис-ზე) წერს, რომ ის მდებარეობს ბანისწყლის ხეობაში, ფანაქის (ბანის) ჩრდილო-აღმოსავლეთით<sup>3</sup> (მე ვიტყვოდი, ჩრდილოეთით). ოლთისიდან ქამხისამდე 37 ვერსია, არტაანამდე 69<sup>4</sup>.

ქამხისი დიდი სოფელია; მასში აღრიცხულია 55 კომლი. მისგან გადასახადის სახით შემოსავალი ჩაწერილია 28 000 ახჩის რაოდენობით. ქამხისის ამავე სახელწოდების ნაპიჯეს ცენტრია. ქამხისი „დავთარში“ აღრიცხულია როგორც რაბათი. მაშასადამე, აქ უნდა ყოფილიყო ციხეც, რომელიც „დავთრის“ დროისათვის, ალბათ, უკვე გაუქმებული იყო. მოსახლეობის თვალსაზრისითაც ქამხისი დაკნინებულია; 1889 წელს ქამხისში ირიცხება მხოლოდ 28 კომლი<sup>5</sup>.

2. მამული (ჩიფთლიქი) ერთი და ერთი ნაკვეთი ვენახი... (I 407, 371; II 398, 363). ამ ჩიფთლიქზე სამი მოსახლეა; შეწერილი აქვს 376 ახჩა.

3. სოფ. ტაჯერექი ძველი ტაჯერექითურთ—تاجراج (I 407, 371, II 398, 363). რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში Теджерек-ი<sup>6</sup> გვაქვს. პირველი ხმოვანი ელიფითაა გამოხატული და იგი უსათუოდ „ა“ უნდა ყოფილიყო. Свод-ში ტეჯერექთან ერთად ტაჯერექ ვარიანტიცაა მოყვანილი<sup>7</sup>. ტეჯერექში შეზღუდვ ხანებში მომხდარი ასიმილაცია უნდა გვექონდეს. სტატისტიკურ კრებულებში აღნიშნულია ორი ტაჯერექი: Теджерек Нариманский და Теджерек Пеняжский<sup>8</sup>. „დავთრის“ ტაჯერექი: უთუოდ ფანაქის ტაჯერექს გულისხმობს; ნარიმანი „გურჯისტანის ვილაიეთში“ არ შემოდის და მდებარეობს ოლთისის სამხრეთით ოლთისის წყალზე<sup>9</sup>. ტაჯერექი ოლთისიდან 45, ხოლო არტაანიდან 62 ვერსის მანძილზეა<sup>10</sup>.

<sup>1</sup> იხ. ჩვენი: ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954, გვ. 250, 251, 252.

<sup>2</sup> МАК, XII, 84, ჩამხუსზე იხ. აგრეთვე: ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში, 29.

<sup>3</sup> იქვე, 85 (იხ. ქამხისი თანდართულ რუკაზე).

<sup>4</sup> Список, 106, 107. <sup>5</sup> Свод, 126, 127. <sup>6</sup> Список, 96; Свод, 122.

<sup>7</sup> Свод, 122. <sup>8</sup> Список, 96; Свод, 122. <sup>9</sup> იხ. თანდართული რუკა. <sup>10</sup> Список, 96, 97.

29 კომლიანი სოფელია; იხდის 22 000 ახჩას. 1889 წელს ტაჯერეკში აღრიცხულია 16 კომლი<sup>1</sup>.

4. მ ა მ უ ლ ი (ჩიფთლიქი) ერთი, ერთი წისქვილი... (I 407, 372; II 398, 364). მამულზე, რომელიც ვინმე მიკირტიჩს ეკუთვნის, 5 კომლია და მამულს აწერია 380 ახჩა გადასახადი.

5. სოფ. ფ ა ნ ჯ უ რ ე თ ი كـحالی (?) და اساد (?) სათესველით — پنجروت (I 407, 372; II 398, 365). ვფიქრობ, რომ „დაეთრის“ შემდგენელს შეცდომით აქვს რასოს შემდეგ — რომელიც حـს შემდეგ უნდა იყოს<sup>2</sup>. پنجروت-ი კი ფანჯურეთად იკითხება მაშინ, როდესაც სხვა წყაროებში ამ სოფლის სახელი ფ ა ნ ჯ უ რ ე თ-ია. ქაზისის რაიონის ჩრდილოეთ სექტორში ფ ა ნ ჯ უ რ ე თ ი ყველა დიდ რუკაზე (მათ შორის „საქ. ისტორიულ რუკაზე“) აღნიშნულია. ფანჯურეთი მდებარეობს ოლთისიდან 45, ხოლო არტაანიდან 60 ვერაის მანძილზე<sup>3</sup>. ფანჯურეთში აღრიცხულია 26 კომლი 12 900 ახჩა გადასახადით. 1889 წლის ფანჯურეთში 43 კომლია<sup>4</sup>. ფანჯურეთთან აღრიცხულია ორი სათესველი, რომელთა სახელები ვერ ამოვიკითხეთ. ექ. თაყაიშვილი ამ სოფლის სახელად პ ა ნ ჯ უ რ ე თ ს წერს<sup>5</sup>.

6. სოფ. სოლომონი — كارساس, كارسان, كارسور, ساداور და اولي سوسور სათესველებითა [და] قورقور უბნითურთ — صوغمون (I 407, 373; II 398, 365). რატომღაც ამ სოფლის სახელი „დაეთარში“ სომხური ფორმითაა მოცემული (ცნობილი შესატყვისობა ლ ← → ლ). „ივერიაში“ დაბეჭდილ ერთ კორესპონდენციაში ამ სოფლის სომხური სახელი დამახინჯებულადაა მოცემული: „პენიაკი დამ ოც ვერსზედ ისევ ჩვენს სამფლობელოში ძალიან მთავორზედ არის აშენებული ციხე, რომელსაც უწოდებენ „სოგომონ კალა“ს... ამ ციხის ახლო არის თათრის [=გამაჰმადიანებული ქართველი, ს. ჯ.] სოფელი, რომელსაც ეძახიან „სოგომონ“. სოფლიდან ორის ვერსის მანძილზე არისო, ამბობენ, ეკლესია, კლდეში გამოქვაბული“<sup>6</sup>. ექ. თაყაიშვილს, რომელიც პირადად იყო ამ სოფელში, ყველგან ქართული სახელი — სოლომონისი აქვს ჩაწერილი: „მღვიმის ეკლესია სოლომონისისა“, ჩრდილოეთის მხრით სოფ. სოლომონისისა დატულია პატარა მღვიმის ეკლესია...<sup>7</sup> ამ ეკლესიაზე დატულ 1482 წლის წარწერაზეც სოლომონისი იხსენიება<sup>8</sup>. ამ სოფელს სახელად შემდეგში, ალბათ თურქობის დროს, სოლომონ-კალა (=სოლომონის ციხე) დაკმევეია (ცნობილია სოლომონის ციხე — Солюмон-Кала<sup>9</sup>). სოლომონის მდებარეობის დასაზუსტებლად მოვიყვანოთ ექ. თაყაიშვილის სხვა მხრივაც მეტად საინტერესო ცნობა (1902 წ.): В верстах 3 к северу от

<sup>1</sup> Свод, 122, 123. <sup>2</sup> იხ. დედანი, გვ. 348.

<sup>3</sup> Список, 92, 93. <sup>4</sup> Свод, 122, 123.

<sup>5</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში..., გვ. 16.

<sup>6</sup> 2. 5-ძე, კ. ოლთი (არქეოლოგიური ცნობები), „ივერია“, 1888, № 197.

<sup>7</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში, 31.

<sup>8</sup> იქვე, МАК, XII, გვ. IX, 83.

<sup>9</sup> МАК, XII, გვ. 80; ტაბულა XIII.

Пеняка расположена на горе небольшая деревня Соломон-кала или, по армянскому произношению, Согомон-кала, населенная омусульманившимися грузинами. Теперь в деревне не более 15 домов: большая часть жителей выселилась в Турцию. Грузинский язык давно забыт, и только резко очерченный тип древних месхов, напоминающий гурийцев и аджарцев, свидетельствует о грузинском происхождении жителей этой деревни<sup>1</sup>. ექ. თაყაიშვილი 1907 წელს მეორედ იყო ამ სოფელში. რადგანაც აქ სოფლის სახელწოდებაზეა ხაზგასმით ლაპარაკი, ამ ცნობასაც მოვიყვან: „სოლომონისი, ეხლა სოლომონ-კალა. ჩრდილოეთით სოფელ პენიაკიდან და რვა ვერსის სიშორით მისგან მაღალკლდოვან მთაზე გაშენებულია სოფელი, რომლის ძველი სახელი ყოფილა სოლომონისი, ხოლო ეხლა უწოდებენ სოლომონ-კალას, ესე იგი სოლომონის ციხეს. სოფელში ეხლა 15 მოსახლე გამუსულმანებული მესხი ცხოვრობს. სხვები რუს-თათართა ომის შემდეგ 1876-1878 წლებში გადასახლებულან ოსმალეთში<sup>2</sup>. დ. ბაქრაძეც ადასტურებს, რომ აქაური XV საუკუნის წარწერის მიხედვით სოლომონ-კალას ნამდვილი ქართული სახელი სოლომონისი არისო<sup>3</sup>.

სოფ. სოლომონისში „დაეთრის“ დროს აღრიცხულია 13 მოსახლე; მათ შორის 2 მუსლიმი. შეწერილი აქვს 14000 ახჩა. 1889 წელს სოლომონ-კალაში 14 კომლია<sup>4</sup>. სოლომონისთან დასახლებულია 5 სათესველი და 1 შბანი, რომელთა სახელების ამოკითხვა ამგვამდ არ ხერხდება.

7. სოფ. ფერთევანი اوراصور სათესველით— یرتوان (I 407, 374; II 398, 366). ფერთევანი (Пертеван) ყველა რუკაზე აღნიშნულია. იგი მდებარეობს ფანჯურეთის დასავლეთით, ოლთისიდან 44, ხოლო არტაანიდან 65 ვერსის მანძილზე<sup>5</sup>. „დაეთრის“ ფერთევანში 29 მოსახლეა (აქიდან 8 მუსლიმი). 1889 წელს ფერთევანში აღრიცხულია 11 კომლი<sup>6</sup>. ფერთევანთან აღრიცხული ერთი სათესველის სახელი ამოკითხავია. სოფელ ფერთევანის კუთვნილებად არის ჩაწერილი აგრეთვე ორი იალალი — აკ-გაოლუ (Ak-göl 'თეთრი ტბა') და აკ-ფუნარი (Ak-pınar 'თეთრი წყარო').

8. მამულღი (ჩეთთლიქი) ერთი, ერთი წისკვილი... (I 407, 374; II 398, 367). მამულზე ირიცხება სამი მოსახლე 200 ახჩა გადასახადით.

9. სოფ. ყაბანი كرسكو' كارھوكك' مورموح და كرس სათესველებით — ڤان (I 407, 375; II 398, 367). ამ რაიონის დასავლეთ მონაკვეთში, ფერთევანთან ახლო და მისგან ოდნავ დასავლეთით რუკებზე (ხუთვერსიანი და სხვ.) აღნიშნულია Кабан-ი, რომელიც ოლთისიდან 43, ხოლო არტაანიდან 66 ვერსის მანძილზეა<sup>7</sup>. „დაეთრის“ დროის ყაბანი დიდი სოფელია; მასში 45 კომლია აღრიცხული (მათ შორის 2 მუსლიმი). 1889 წელს ყაბანში მხო-

<sup>1</sup> МАК, XII, გვ. 80.

<sup>2</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 29.

<sup>3</sup> Д. Бакрадзе, Историко-этнографический очерк Карсской области, ИКОИРГО, т. VII, гл. 192-202. <sup>4</sup> Свод, 122, 123. <sup>5</sup> Справк., 94, 95. <sup>6</sup> Свод, 122, 123.

<sup>7</sup> Справк., 108, 109.



ლოდ 9 კომლი მოსახლეობა ირიცხება<sup>1</sup>. ყ ა ბ ა ნ სახელწოდება ზოგან Ika-  
ნაი-ადაც<sup>2</sup> არის ჩაწერილი. მაგრამ ეს სწორი არ არის; „დავთარში“ მაშინ  
პირველი ყ ასოს შემდეგ ვაეი (و) გვექნებოდა (ن.ق.ف).

10. სოფ. ზემო اسداچوჯო სათესველი სოფელი სოჯო და სარუ მღვდლის მი-  
წით (I 407, 376; II 398, 368), 15. სოფ. ქვემო اسداچოჯო (I 407, 377; II  
399, 369). ამ დაწერილობაში ორ აღნიშნულ ასოს დიაკრიტული ნიშნები  
დასმული აქვს. ამ სახელის იდენტიფიცირება ტაოს ამ მონაკვეთში და-  
სახელებული რომელიმე პუნქტის სახელთან ჯერჯერობით მაინც არ ხერხ-  
დება. უცნობია მისი სათესველის სახელიც. სოფელში 18 კომლია აღრიცხული  
და შეწერილი აქვს 5 000 ახჩა გადასახადი. ქვემო اسداچოჯო-ი უკაცრიელი  
სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 14 998 ახჩა გადასახადი.

11. სოფ. გ ვ ა დ ი—اڭ (I 407, 376; II 398, 368). ევროპული რუ-  
სეთის სპეტრუჯაზე<sup>3</sup> ქაშხისის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთზე  
არმაშნის დასავლეთით აღნიშნულია სოფელი Г а д-ი, რომლის სახელიც,  
ფიქრობ, საესებით შეესაბამება ააგ დაწერილობას. ოღონდ უნდა იყოს  
არა Г а д, არამედ Г о д. ასე გვაქვს ჩვენ ეს სტატისტიკურ მასალათა კრებულებ-  
ში<sup>4</sup> (რუჯაზე ი-ს ნაცვლად ა კორექტურული შეცდომაა). ჩვენ ზემოთ გვქონ-  
და რიგი შემთხვევებისა, როცა ქართული სიტყვის ვა კომპლექსი „ო“ს გვა-  
ძლევს: კვანჯლა→კონჯლა (იხ.) და მისთანანი. სოფ. გ ვ ა დ ი (შეიძლება,  
კ ვ ა დ ი) ნაჩვენებია ოლთისიდან 54, ხოლო არტაანიდან 69 ვერსის მანძილ-  
ზე<sup>5</sup>. „დავთარის“ გვადში აღრიცხულია სულ 8 კომლი, რომელიც იხდის  
8 500 ახჩას. 1689 წელს გვადში ირიცხება 9 კომლი<sup>6</sup>. გ ვ ა დ ი ს თ ა ნ კ ი თ ხ-  
ვითი ნიშანი (II წიგნში) უნდა მოიხსნას.

12. მ ა მ უ ლ ი (ჩიფთლიქი) ერთი, ერთი წისქვილი... (I 407, 377; II  
398, 369). ეს მამული სოფ. გვადის ტერიტორიაზეა, სამკომლიანია და იხდის  
270 ახჩას.

13. სოფ. اسچاچ (I 407, 377; II 399, 369). ამ სახელის ამოკითხვა  
ჯერჯერობით არ ხერხდება. უკაცრიელი სოფელია, რომელსაც შეწერილი  
აქვს 4 500 ახჩა.

14. სოფ. ა ლ უ ნ დ ი' რ ი სოჯო اسچاچოჯო სათესველით—اغچوچ (I 407, 377;  
II 399, 369). არმაშნისა და გვადის აღმოსავლეთით რუჯაზე აღნიშნულია  
სოფ. Агундир-ი. ეს სოფელი საკმაოდ შორსაა ქაშხისის რაიონიდან, იგი  
უფრო თანაკის რაიონს უდგება. გარდა ამისა, ეს სოფელი უღელტეხილზე

<sup>1</sup> Свод, 128, 129,

<sup>2</sup> Свод, 128-ე გვ. Кибял ვარიანტიც არის; ასევეა აგრობ. რუსეთის სპეტრუჯაზე.

<sup>3</sup> Свод, 126. აქ Г о д იხსენიება არმაშენ, ჩახსორ და ქაშხის სოფლებთან, რაც უპევე-  
ლად მოწმობს იმას, რომ Г о д-ი—ეს არის „დავთარის“ аڭ-ი. Справк, 106. აქ წერია К о д-ი,  
რაც იმაზე მიგვითითებს, რომ შეიძლება ამ სოფლის სახელი კ ვ ა დ-იც ყოფილიყო.

<sup>4</sup> Справк, 106, 107.

<sup>5</sup> Свод, 126, 127.

მდებარეობს (კოლაში გადასასვლელზე); თან „დაეთარში“ *داغدار* || აღნუღირი გვაქვს და ამიტომ ამჟამად ჩვენ თავს შევიკავებდით „დაეთარის“ *داغدار*-ის რუკების *Աղսաღ*-თან იდენტიფიკაციისაგან. ეს სოფელი უკაცრიელია „დაეთარის“ დროს, მიწერილი აქვს ერთი სათესველი, რომლის სახელიც არ იკითხება; შეწერილი აქვს 8 500 ახჩა.

15. სოფ. ქვემო *ქაჯაქსა* (იბ. ზემოთ სოფ. № 10—ზემო *ქაჯაქსა*).

16. სათესველები *ჯაჯაქსა* და *ქაჯაქსა* (I 407, 377; II 399, 369). ამ სათესველთა სახელების ამოსაკითხავად მასალა არ არის. სათესველებს შეწერილი აქვთ გადასახადი 20 000 ახჩა.



ჩის რაოდენობით. როგორც ჩვენ „დავთრის“ II წიგნის 399-ე გვერდზე გვაქვს შენიშნული, ეს ობიექტი აქ, ე. ი. ძირითად ტექსტში ჩაიბრად არის აღწერილი, მაგრამ ე. წ. „სიაში“ (გვ. 399, № 2) მამულად (ჩიფთლიქად) იხსენიება<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, უფრო სწორია, რომ ეს ჩაიბრია, რადგანაც მამული (ჩიფთლიქი) ჰგულისხმობს მიწის ნაკვეთს, რომელიც რომელიმე სოფლის ფარგლებშია და სოფლის ნფლობელის უშუალო განკარგულებაში.

3. სოფ. ურეკი *سکور* სათესველით—*اورا* (I 407, 379; II 399, 371)-დაწერილობის მიხედვით შეიძლება ამ სოფლის სახელი ურეკიც იყოს და ურეკი-ქასო „ქ“ თანხმოვანს გადმოსცემს. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ქართული მკვეთრი თურქულში სათანადო რიგის მკვერით გადმოიცემა. ამ შემთხვევაში საესებით შესაძლებელია, რომ ქასო „გ“ს გამოხატავდეს და *اورا*-ით გადმოცემული იყოს ქართული ურეკი. მაგრამ ამ სოფლის სახელად მოსალოდნელი არ არის ურეკი, როგორც ეს „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ (1923 წ.) აღნიშნული. პუნქტის ქართული სახელი ურეკი რომ ყოფილიყო, „დავთრში“ ეწერებოდა *اورا* ან *غرا* (ქართ. „უ“ თანხმოვანი თურქულში *ق*-ით ან *غ*-ნით გადმოიცემა).

სოფ. ურეკი რუკებზე აღნიშნულია ფანასკერტის დასავლეთით. იგი მდებარეობს ოლთისიდან 49, ხოლო არტაანიდან 65 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>. „დავთრის“ დროს ურეკი დიდი სოფელია; მასში აღრიცხულია 48 კომლი, რომელთაგან შემოსავალი განსაზღვრულია 21 000 ახჩით. 1889 წელს ურეკში ითვლება 24 კომლი<sup>3</sup>. სოფელთან აღრიცხული სათესველის სახელი შეიძლება *سکور*-ი იყოს და იკითხებოდეს სკურკ-ად, სქურკ-ად. სკურგ-ად და მისთანანი.

4. სოფ. ზემო ფანასკერტი (იხ. ზემოთ სოფ. № 1—ფანასკერტის რაბათი).

5. მამული (ჩიფთლიქი) ერთი ზემოხსენებულ სოფელში.. (I 407, 380; II 399, 372). ამ მამულზე ირიცხება 4 კომლი; შეწერილი აქვს 200 ახჩა.

6. სოფ. ზემო და ქვემო ოლთათაბი *سکور*, ბალისქალა, ფინარი, *سکور* 'سکور' *سکور* და *سکور* სათესველებით — *سکور* *سکور* *سکور* (I 407, 381; II 399, 373). მსხვილმასშტაბიან რუკებზე *Джукьякар*-ისა და *Мегенк*-ის დასავლეთით, ფანასკერტის რაიონის ჩრდილოეთ მონაკვეთზე აღნიშნულია *Эгдэд*-ი. ეს სოფელი ოლთისიდან 54, ხოლო არტაანიდან 68 ვერსის მანძილზე მდებარეობს<sup>4</sup>. „დავთრის“ დროს ოლთათაბი დიდი სოფელია, რომელშიც აღრიცხულია 88 კომლი და რომელსაც შეწერილი აქვს

<sup>1</sup> იხ. დედანი, გვ. 353 და 382 (№ 2).

<sup>2</sup> *Список*, 112, 113.

<sup>3</sup> *Свод*, 128, 129.

<sup>4</sup> *Список*, 112, 113.

22 000 ახნა გადასახადი. 1889 წელს ეს სოფელი თითქმის დაცარიელებულია, მასში მხოლოდ 11 მოსახლე ირიცხება<sup>1</sup>.

სოფლის სახელწოდება ჩვენამდე მოღწეულია სხვადასხვა ვარიანტით. „დავთარში“ გვაქვს *اوغتاڭ*, რომელიც ან ოღთათაბ-ად უნდა წაეკითხოთ, ან, რადგანაც ეს ასო თურქულში მეტერ დ-საც გადმოსცემს<sup>2</sup>, ოღთათაბ-ად. რუკებზე *Огдладин-ი* (ხუთვერსიანი) და *Эгдладин-ი* („ევროპ. რუსეთის სპეცრუკა“) გვაქვს. ერთ სტატისტიკურ კრებულში *Огдладин-ია*<sup>3</sup>, მეორეში კი *Огдладин-ი* და (ვარიანტად) *Агдладин-ი*<sup>4</sup>. მე უპირატესობას ვაძლევ „დავთარის“ ვარიანტს ოღთათაბ-ს (შეიძლება ოღთათაბ-იც ყოფილიყო). „დავთარის“ დაწერილობაში ელიფი და ვაეის კომბინაცია (*او*) უთუოდ თავიიდურ „ო“ ხმოვანს გამოხატავს და ამდენად *Эгдладин* და *Агдладин* ვარიანტები აშკარად დამახინჯებული ფორმებია და უარყოფილი უნდა იქნეს ისევე, როგორც *Огдладин-ი*, რომელიც აგრეთვე ძლიერ შერყენილია. ექთაყიშვილთან ოგდადაბია, რომელიც რუსული წყაროდან უნდა იყოს აღებული<sup>5</sup>. სოფ. ოღთათაბთან დასახელებულია რვა სათესველი. ჩვენ მოვახერხეთ, ვფიქრობთ სწორად, ამოგვეკითხა მხოლოდ ორის სახელი: 1. ბალისქალა და 2. ფინარი (უქანასქელი სახელი—*كراچ* თურქულად 'წყარო'ს ნიშნავს).

7. სოფ. გეცმალი *چوور* (გგონებ, უფრო *چوور-ი*) დავითის ასულის *چاكرار* და *چاكرار* (შეიძლება *چاكرار* უფრო სწორი იყოს) სათესველებითა და *چاكرار* ჩაირის სათესველით—*كمالی* (I 407, 382; II 399, 374). ხუთვერსიან და სხვა რუკებზედაც *Мегенк-თანა* და *Джүзлякар-თანა* ახლო და მათ ჩრდილოეთით აღნიშნულია პუნქტი *Гесманлы*, რომელიც უთუოდ „დავთარში“ გეცმალად აღწერილი პუნქტია. ეს სოფელი ოღთისიდან 66, ხოლო არტაანიდან 63 ვერსის მანძილზეა<sup>6</sup>. „დავთარის“ გეცმალი 31 კომლიანი სოფელია, რომლიდანაც შემოსავალი განისაზღვრება 14 500 ახჩით. 1889 წელს კი გეცმალი 22 კომლი ირიცხება<sup>7</sup>. გეცმალი და განსაკუთრებით რუკებისა და სტატისტიკური კრებულების *Гесманлы*<sup>8</sup> უთუოდ თურქიზებული ფორმებია. მასალების უქონლობის გამო პირველადი ფორმის აღდგენა ქირს. სოფელთან დასახელებული სათესველების სახელები ამოკითხული არ არის. ამავე სოფლის მიწაწერში იხსენიება იალალი *چاكرар-ი* (წაგვიკითხავს *چاكرار* უხად), რომლის დაწერილობა საეხებით ემთხვევა ამ სოფლის აღწერისას პირველად დასახელებული სათესველისა<sup>9</sup> და ფანაკის ნაიბეში 36 ნომრით აღწერილი სოფლის<sup>10</sup> სახელის დაწერილობას, რომელიც

<sup>1</sup> Свод, 126, 127.

<sup>2</sup> J. Deny, Grammaire de la langue turque, გვ. 111, 112.

<sup>3</sup> Список, 112. <sup>4</sup> Свод, 126.

<sup>5</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოღთისში..., გვ. 71.

<sup>6</sup> Список, 108, 109.

<sup>7</sup> Свод, 126, 127. <sup>8</sup> Список, 108; Свод, 126.

<sup>9</sup> იხ. დედანი, გვ. 356 და 357, <sup>10</sup> იქვე, გვ. 341.

ჩვენ ქარგლუხ-ად გვაქვს წაკითხული. ქარგლუხ-ად წოდებულს და სოფ. გესმალთან აღწერილ სათესველსა და იალალს ალბათ ჰქონდათ ურთიერთთან რაიმე შეხების წერტილები. მაგრამ რა ტერიტორიულ ურთიერთობაშია ეს ორი უკანასკნელი პუნქტი ფანაქის ქარგლუხთან ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით.

8. სოფ. ფირდანოსი — *فيرانوس* (I 407, 383; II 399, 375). ფირდანოსი ყველა დიდ რუკაზე აღნიშნულია ფანასკერტის ნაპიჯეს უკიდურეს ჩრდილოეთ სექტორში, სოფ. გესმალთან ახლო. ეს სოფელი ოლთისიდან 68, ხოლო არტაანიდან 61 ვერსის სიშორეზე ყოფილა<sup>1</sup>. „დავთრის“ 20 კომლიანი სოფელი ფირდანოსი გადასახადს 10 000 ახჩის რაოდენობით იხდის. 1889 წლის აღწერილობის მიხედვით ამ სოფელში 43 კომლი ითვლება<sup>2</sup>.

9. სოფ. მეჭანქი *مچانک* და ურექ სათესველით — *کنک* (I 407, 384; II 399, 375). სოფლის სახელის მეჭანგ-ად წაკითხვა თითქოს უეჭველია<sup>3</sup>. ეს სახელი ემთხვევა სოფ. ჯულაქარსა და გესმალს შუა რუკებზე *Меченк*-ად აღნიშნული პუნქტის სახელს. მეჭანგი რომ წერია ამ პუნქტის სახელი, მისი გადარუსულებული ფორმა *Мечанк*-ი უნდა ყოფილიყო (ჰ თანხმოვანი რუსულში *г*-თ გადმოიცემა—ჰეგელ→*Гегель* და სხვ.). *Меченк*-ში ასიმილაცია მერე უნდა იყოს ნომხდარი. მეჭანქი (*Меченк*-ი) ნაჩვენებია ოლთისიდან და არტაანიდანაც 60 ვერსის სიშორეზე მდებარედ<sup>4</sup>. „დავთრის“ მეჭანქში 22 კომლია, რომელიც იხდის 15 433 ახჩას. 1889 წელს ამავე სოფელში მხოლოდ 12 მოსახლეა აღწერილი<sup>5</sup>.

10. სოფ. *حلان* (I 407, 384; II 399, 376). პატარა, ოთხკომლიანი სოფელია, რომლის სახელის ამოკითხვა და ლოკალიზება ჯერჯერობით არ ხერხდება. შეწერილი აქვს 18 500 ახჩა.

11. სოფ. ქარაშუთი *كاراشوت* (I 407, 385; II 399, 376). ვფიქრობ, რომ არტაანის სანჯაყში შემავალი ტყე-ნაპიჯეს 77-ე სოფლის სახელიც ასეთივე დაწერილობისაა („დავთრის“ შესაბამის ადგილებში სახელი სხვადასხვაა, მაგრამ ასოები და ასოთა თანამიმდევრობა ერთნაირი უნდა იყოს)<sup>6</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაწერილობა ქარაშუთ-ად იკითხება, რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში უფრო მეტად „ლ“ასიანი ფორმაც: *Кяляшут* (ხუთვერსიანი და ერთვერსიანი რუკები)<sup>7</sup>, *Калашут* („ევროპ. რუსეთის სპეც. რუკა“)<sup>8</sup>; *Свод*-ში *Калашут*-თან ვარიანტად მოყვანილია რაეანი ფორმაც—*Кяряшут*<sup>9</sup>. *Кяляшут* || *Кяряшут*-ი უთუოდ თურქიზებული ფორმებია (მოვი-

<sup>1</sup> *Список*, 112, 113. <sup>2</sup> *Свод*, 126, 127.

<sup>3</sup> იხ. დედანი, გვ. 357.

<sup>4</sup> *Список*, 110, 111. <sup>5</sup> *Свод*, 126, 127.

<sup>6</sup> იხ. დედანი, გვ. 358 (№ 11) და 482 (№ 77); აგრეთვე ზემოთ, გვ. 551.

<sup>7</sup> *Список*, 110.

<sup>8</sup> *Свод*, 126.

<sup>9</sup> იქვე.

კონოთ, რომ ნასესხები სიტყვების „ქ“ თურქულში პალატალდება — ქა→თურქ. ქაა<sup>1</sup>). ამ სახელის თავდაპირველი ფორმა ქარაშუთი უნდა ყოფილიყო. რიგ შემთხვევებში რ თანხმოვნის „ლ“-დ შეცვლა გაუგებარი არ იქნება, რადგან ჩემ მიერ ჩაწერილ დიალექტურ მასალაში მიწერია — güleš 'ქილაობა' ← სალიტერატურო თურქ. gülüş. ქარაშუთის ადგილმდებარეობა გარკვეულია: იგი აღნიშნულია ჯულაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთით და Kızıl-ქა-ის სამხრეთით, იგი მდებარეობს ოლთისიდან 65, ხოლო არტაანიდან 60 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>. „დავთრის“ ქარაშუთში 8 მოსახლეა; შეწერილი აქვს 11 000 ახჩა ვადასახადი. 1889 წელს კი ქარაშუთში 13 კომლია აღრიცხული<sup>3</sup>.

12. სოფ. ქაფი كاشكاف სათესველით—ბკ (I 407, 385; II 399, 377). საფიქრებელია, რომ ბკ — ქაფ (თურქული წარმოთქმით ქაფ) დაწერილობით გადმოცემულია სახელი იმ პუნქტისა, რომელიც რუკებზე (ერთ- და ხუთვერსიანი, „ევროპული რუსეთის სპეცრუკა“) და სტატისტიკურ კრებულებში აღნიშნულია Капк-ად<sup>4</sup>. უეკელია, რომ ამ სოფლის სახელი ქაფი ან კაპ-კი უნდა ყოფილიყო და თურქული აღმწერის წარმოთქმაში ბოლოკიდურ ორ ხშულ თანხმოვანთაგან ერთი დაიკარგა. ქაფი მდებარეობს მეპანქისა და გესმალის რამდენიმე აღმოსავლეთით, თანაკერტის რაიონის ჩრდილოეთ სექტორში, ოლთისიდან 63, ხოლო არტაანიდან 59 ვერსზე<sup>5</sup>. ქაფი 23 კომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 10 000 ახჩა ვადასახადი. 1889 წელს კი მასში ირიცხება 15 მოსახლე<sup>6</sup>. სოფელთან აღწერილი სათესველის სახელი შეიძლება გომქაშეთი იყოს.

13. სოფ. შუაჯულაქარი—جولاكار وسطه (I 407, 386; II 399, 377),

16. ქვემოჯულაქარი — جولاكار سفلا (I 407, 387; II 399, 378), 23. ზემოჯულაქარი—جولاكار عليا (I 407, 391; II 399, 383). ახალი ცნობების მიხედვით ამ სოფლის სახელი ასეთია: Джуклакер-ი<sup>7</sup>, Джуклакер-ი (ერთ- და ხუთვერსიანი რუკა, აგრეთვე „საქ. ისტორიული რუკა“)<sup>8</sup>; არის აგრეთვე ვარიანტი Джуклакер და Джуклакер-ი („ევროპ. რუსეთის სპეც-რუკა“). „დავთრის“ დაწერილობაში ყველგან (ექვსზე მეტი შემთხვევა) ამ სიტყვაში „ა“ ხმოვანი გამოხატულია ელიფით და ამდენად უდავოა, რომ უფრო სწორია ჯულაქარ (Джуклакер) ფორმა. Джуклакер, Джуклакяр და Джуклакер-ი უთუოდ თურქიზებული ფორმებია (ველარული თანხმოვნისა და „ლ“ს კანონზომიერი პალატალიზაცია). ოღონდ ერთი მაკლია გულს: ქართულ დაწერილობაში ამ სახელს ჯერჯერობით არ ვიცნობთ და შეიძლება ეს ჯულაქარი კი არა ქულაქარი იყოს. „დავთრის“ დროს ჯულაქარის

<sup>1</sup> J Deny, Grammaire de langue turque, გვ. 85.

<sup>2</sup> Список, 110, 111. <sup>3</sup> Свод, 126, 127.

<sup>4</sup> Список, 108; Свод, 126.

<sup>5</sup> Список, 108, 109. <sup>6</sup> Свод, 126, 127.

<sup>7</sup> Список, 108.

<sup>8</sup> აგრეთვე Свод, 126.

<sup>9</sup> იქვე.

სახელით სამი სოფელი ყოფილა: შუა, ქვემო და ზემო ჯულაკარი. XIX საუკუნის რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში ყველგან აღნუსხულია მხოლოდ ერთი ჯულაკარი. (ახალია, XVI საუკუნის ძეგლებდობათა შედეგად ეს მხარე საზოგადოდ დაკნინდა; კერძოდ ჩვენი ჯულაკარები დაცარიელდნენ. სოფ. შუა ჯულაკარი უკვე „დავთრის“ დროსვე გაუკაცრიელებულია, მაგრამ ნასოფლარს შეწერილი აქვს 3000 ახჩა; ქვემო ჯულაკარი 36 კომლიანი სოფელია, რომლისგან შემოსავალი დადგენილია 8000 ახჩის რაოდენობით; ზემო ჯულაკარში აღრიცხულია 8 კომლი და შეწერილი აქვს 5000 ახჩა. გარდა ამისა ჩვენ აქვე (ცოტათი ქვემოთ) ვნახავთ, რომ ჯულაკარების ტერიტორიიდან გამოყოფილია ცალკე საგადასახადო ერთეულებად მამულები (ჩიფთლიქები) და სათესველი (აქვე №№ 14, 15, და 17). 1889 წელს აღწერილია ერთი ჯულაკარი, რომელშიც ითვლება 22 კომლი<sup>1</sup>. ჯულაკარი რუკებზე აღნიშნულია ფანასკერტის რაიონის ცენტრალურ მონაკვეთზე სოფ. მეჰანქთან ახლოს, მის სამხრეთით, ოლთისიდან 60-ის, ხოლო არტაანიდან 65 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>.

14. ნახე ვ ა რ - მ ა მ უ ლ ი (نیم جفتک) შუა ჯულაკარში (I 407, 386; II 399, 378). მამულზე ირიცხება 6 მოსახლე; შეწერილი აქვს 275 ახჩა.

15. ნახე ვ ა რ - მ ა მ უ ლ ი (نیم جفتک) იმავე შუა ჯულაკარში (იქვე). მამულზე ბინადრობს 3 კომლი; შეწერილი აქვს 193 ახჩა.

16. სოფ. ქვემო ჯულაკარი (იხ. ზემოთ სოფ. № 13—სოფ. შუა ჯულაკარი).

17. სათესველი ۱۷-۱۸-۱۹ (?) სოფ. ქვემო ჯულაკართან (I 407, 388; II 399, 379). („დავთრის“ მეორე წიგნში 379-ე გვერდზე ამ სახელის მეორე ნაწილში მესამე — ۱۷-۱۸-۱۹ შეცდომით გამორჩენილია). სათესველს, თითქოს, რომელიღაც ეკლესიის სახელი რქმევია, მაგრამ ვერ იკითხება. ქვემო ჯულაკარის სათესველია; შეწერილი აქვს 600 ახჩა.

18. სოფ. ფ ე რ თ უ ს ი (?) — فرتوس (?) (I 407, 388; II 399, 379). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, მაგრამ ასოთა მოხაზულობის მიხედვით სავსებით დასაშვებია მისი ფ ე რ თ უ ს-ად წაკითხვა. ოღონდ ასეთი სახელით ფანასკერტის რაიონში პუნქტი არ იხსენიება. ფერთუსის სახელით პუნქტი რუკაზე აღნიშნულია ფანაჰის რაიონის უკიდურეს სამხრეთის მიჯნაზე<sup>3</sup> (ეს ფერთუსი ფანაჰის ნაპირშიც არ შედის, უფრო ოლთისისაკენაა). გარდა ამისა, სტატისტიკურ კრებულში ნაჩვენებია ფერთუსისაკენ მიმავალი გზაც (სოფ. კოთიკი, სოფ. ბარდუსი და სხვ.)<sup>4</sup> მოწმობს, რომ რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში<sup>5</sup> მოხსენებული ფ ე რ თ უ ს ი სულ სხვა პუნქტია. ჩვენი „დავთრის“ فرتوس-იც შეიძლება (ფანასკერტის) ფ ე რ თ უ ს ი

<sup>1</sup> Свод, 126, 127.

<sup>2</sup> Справк., 108, 109.

<sup>3</sup> იხ. თანდართული რუკა.

<sup>4</sup> Справк., 94, 95. <sup>5</sup> Свод, 124.



იყოს და ამგებამდ მისი კვალი არ ჩანდეს. შეიძლება ისიც, რომ ეს დაწერილობა სხვა პუნქტის გულისხმობდეს (ნერთუსი, თერთუსი და სხვ. შრ.). ამდენად ეს ამოკითხულობა საეკვოა და მას, ვიდრე ახალი მასალა არ აღმოჩნდება, კითხვითი ნიშანი უნდა დარჩეს. რეაკომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 5 000 ახჩა გადასახადი.

19. მამული (ჩიფთლიქი) და ნახევარ-წისკვილი ზემოხსენებულ სოფელში... (I 407, 388; II 399, 380). მამულში ირიცხება 4 შოსახლე; იხდიან 200 ახჩას.

20. სოფ. ქამრისი — کامریس (I 407, 386; II 399, 380). მსხვილ-მასშტაბიან რუკებზე (ერთ- და ხუთვერსიანზე, ევროპ. რუსეთის სპეც-რუკაზე<sup>1</sup>) ფანასკერტის რაიონის დისაველეთ ზონაში აღნიშნულია პუნქტი К Я М И С, რომელიც, მე გგონია, სრული შესატყვისია ჩვენი „დავთრის“ ქამრისისა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ თურქულში ქართული ვეღარული ქთანხმოვანი პალატალდება და, მაგალითად, ქა გეაძლევს ქაა's (= რუა. К Я), ხოლო „რ“ თანხმოვანი შემდგომ ხანებში გადათურქულებულ К Я М И С ფორმაში გამოეარდნლი ჩანს: ქამრის-ი → ქამრის-ი → ქიამის-ი (К Я М И С). ქამრისი А И Д О С Т პუნქტთან ახლო მდებარეობს, ოლთისიდან 57, ხოლო არტაანიდან 67 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>. „დავთრის“ ქამრისი დიდი, 58 კომლიანი სოფელია, რომლისაგან შემოსავალი განისაზღვრება 25 000 ახჩით. 1889 წელს კი ქამრისში ირიცხება 18 კომლი<sup>3</sup>. მინაწერში იხსენიება არხი, რომელიც საზი-აროა ქამრისისა და ارادس სოფლისა. ამ სოფლის სახელი არ იკითხება. ხომ არ არის ეს აქვე 31 ნომერი სოფელი მამტური — مامطری (I 408, 400; II 399, 391).

21. სოფ. ქამრასორი — کامراسور (I 307, 390; II 399, 381). საინტერესოა, რომ სწორედ ასეთი დაწერილობით დიდი არტაანის ლივს ჩრდილის ნაპიჯეში გადმოცემულია ორი სოფლის სახელი — ზემო ქამრასორი და ქვემო ქამრასორი (I 403, 458; II 394, 448)<sup>4</sup>. ადგილმდებარეობა ამ არტაანისა და ფანასკერტის ქამრასორების გარკვეული არ არის, რომე ჩვენ ვიმსჯელოთ მათ ტერიტორიულ ურთიერთობაზე (ფანასკერტის Камрасор-ი<sup>1</sup>, რომელიც რუკიდან ამომიწერია). საერთოდ ფანაკის სანჯაყის ფანასკერტის რაიონისა და დიდი არტაანის სანჯაყის ჩრდილის რაიონს შორის შეხების წერტილები შეიძლება მოიძებნოს (იხ. თანდართული რუკა). ამდენად შეიძლება ფანაკის გადმომმა ფერდობზე ფანაკის ქამრასორი იყოს, მის გადაღმა კი არტაანის ქამრასორები. შეიძლება ისიც, და ეს უფრო რეალური ჩანს, რომ ამ სახელით სოფლები ორთავე რაიონში იყო. ჩვენს ქამრასორში 18 კომლია; შეწერილი აქვს 14 000 ახჩა.

<sup>1</sup> Спассок, 110, 111. <sup>2</sup> Свод, 128, 129.

<sup>3</sup> შტრ. დედანში—გვ. 362 (№ 21) და 434, 435 (№№ 11, 12)—ამ სახელთა დაწერილობები. ამ შრომაში იხ. ზემოთ გვ. 522.

<sup>4</sup> აღნიშნული მაქვს რუკა—95.

22. სოფ. ქ ა რ მ ი რ კ მ, მეორე სახელი კიზილ-ქოჯ *راسل* და პეტრეს-ეკლესია სათესველით — *راسل و کلا بدرس* (I 407, 390; II 399, 382). როგორც აქვე შენიშნულია, ამ სოფელს მეორე სახელად ჰქვია კიზილ ქოჯ, რაც ნიშნავს 'წითელ სოფელს' (თ. *kizil* 'წითელი' და *küy* 'სოფელი'). სწორედ ამ სახელწოდების სოფელი იხსენიება რუკებზედაც და სტატისტიკურ კრებულებშიც. «ვეროპ. რუსეთის სპეცრუკაზე» მეჰანქ და ჯულაქარ სოფლების აღმოსავლეთით აღნიშნულია სოფ. *Кизил-көй* (= წ ი თ ე ლ ი ს ო ფ ე ლ ი), რომელიც უთუოდ «დაეთრის» კიზილ ქოჯ-ს შესაბამისი პუნქტია. სტატისტიკური კრებულის მიხედვით სწორედ შესაბამის კონტექსტში გვაქვს *Кизил-көй*, რომელიც ოლთისიდან 63, ხოლო არტაანიდან 69 ვერსის სიშორეზეა ნაჩვენები<sup>1</sup>. «დაეთრის» კიზილ-ქოჯ-ში აღრიცხულია 21 მოსახლე, რომელიც 8 000 ახჩას იხდის. 1889 წელს ამ სოფელში ირიცხება 35 კომლი<sup>2</sup>.

ამ სოფლის პირველ სახელად მოტანილ *کراسر* დაწერილობაში უთუოდ გამოიყოფა *کراسر* — ქარმირ სიტყვა, რომელიც სომხურად (*კასრ/ქრ*) 'წითელს' ნიშნავს და ამ სოფლის სახელის — 'წითელი სოფლი'ს პირველი შემადგენელი ნაწილია. ოლონდ არ იკითხება სახელის მეორე ორი ასოსაგან შემდგარი *კ* ნაწილი. სოფელთან დასახლებული პირველი სათესველის სახელწოდება არ იკითხება, ხოლო მეორესი სწორად, უნდა იყოს ამოცნობილი — პეტრეს-ეკლესია (სპარსული იზაფეთის წესითაა სიტყვები დალაგებული *کراسر کلا* 'ეკლესია პეტრესი'); (პეტრე სიტყვა ქართული ნათესაობითი ბრუნვის ფორმაშია). დასასრულ აქ მინაწერში (I 391, II 382) იხსენიება რომელიღაც სოფ. *کلا* (?), რომელიც, იგივე სოფ. *کراسر* არისო. ჩვენ მასალის უქონლობის გამო ვერ ვკისრულობთ ვერც პირველი და ვერც მეორე სოფლის სახელის ამოხსნას.

23. სოფ. ზ ე მ ო ჯ უ ლ ა ქ ა რ ი (იხ. ზემოთ სოფ. № 13 — შუა ჯულაქარი).

24. სოფ. ო ლ ო რ ი *امری* სათესველით — *اولور* (I 407, 391; II 399, 383). სოფ. ოლორი ყველა რუკაზე (მათ შორის „საქ. ისტ. რუკაზეც“) აღნიშნულია; იგი მდებარეობს ურექის სამხრეთ-დასავლეთით, ოლთისიდან 51, ხოლო არტაანიდან 75 ვერსის სიშორეზე<sup>3</sup>. ოლორი დიდი სოფელია; მასში 60 კომლია აღწერილი; იხდის გადასახადს 20 000 ახჩის რაოდენობით. 1889 წელს ოლორში ირიცხება 43 კომლი<sup>4</sup>. ოლორთან აღწერილი სათესველის სახელი არ იკითხება.

25. მ ა მ უ ლ ი (ჩიფთლიქი) ერთი, ერთი... წისქვილი სოფ. ოლორში მდებარე (I 407, 393; II 399, 384). მამულის მოსახლეობა შედგება ერთი კომლისაგან, რომელსაც აწერია 340 ახჩა გადასახადი.

<sup>1</sup> Спаясок, 110, 111.

<sup>2</sup> Свод, 126, 127.

<sup>3</sup> Спаясок, 112, 113.

<sup>4</sup> Свод, 128, 129.

26. სოფ. ჰ ა ე დ ო ს ი *كركاس, كركاس* და *حارسا* სათესველებით — *هاودوس* (I 407, 393; II 399, 385). რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში გეჰქეს *Айдос* („ვეროპ. რუსეთის სპეცრუკა“) და *Айдост* (ერთ- და ხუთვერსიანი რუკა)<sup>1</sup>. ამ სახელის ყველაზე უფრო სწორი „დავთრის“ ჰ ა ე დ ო ს ფორმა უნდა იყოს. დანარჩენი ზოგი (*Айдост*) გააზრებული და ზოგი კიდევ (*Айдос*) დამახინჯებული ჩანს. მდებარეობა ჰავდოს სოფლისა გარკვეულია: იგი რუკებზე აღნიშნულია სოფ. ოლთათბსა და ქაშრისის შორის და მდებარეობს ოლთისიდან 51, ხოლო არტაანიდან 68 ვერსის მანძილზე<sup>2</sup>. ჰავდოსში 28 კომლია; იხდის 13 000 ახჩას. 1889 წელს ამ სოფელში აღრიცხულია 9 კომლი<sup>3</sup>. ეს სოფელი—ჰავდოსი || აიდოსთი არ უნდა ავირიოთ *Айдост* სოფელში, რომელიც ოლთისიდან 9 ვერსზე მდებარეობს და რომელიც უფრო, თითქოს, *Авадост*-ად არის ცნობილი (იხ. *Список*, 80; *Свод*, 122 და სხვ.).

ჰავდოს სოფელთან დასახელეწული სათესველების ამოსაკითხავად მასალა ჯერჯერობით არ არის. ბოლო მინაწერში იხსენიება სათესველი *كركو*, რომელიც ასევე ამოუკითხავია.

27. სოფ. ნ ო რ ბ ე რ თ ი მოსეს, სიმურგაბ (?) და *كارهو كرك* სათესველებით *كارهو كرك-ის* გამოკლებით — *نوربرت*. (I 407, 394; II 399, 385). რუკებზე — *Нурбет* („ვეროპ. რუსეთის სპეცრუკა“, ხუთვერსიანი); სწორედ ასევეა სტატისტიკურ კრებულებში<sup>4</sup>. „საქ. ისტ. რუკაზე“ — ნორპეთი. უფრო სწორია, რა თქმა უნდა, „დავთრის“ ნორბერთი, რომელიც სომსური სახელია და ნიშნავს ნ ო რ ‘ახალი’ და ბ ე რ თ ‘ციხე’ (=ახალციხე). ნ ო რ ბ ე რ თ ი შემდეგში ქართულ (შეიძლება, თურქულ) ენობრივ კოლექტივში გადასხვაფერებული ფორმა უნდა იყოს. ნორბერთი (ნორბეტი) რუკებზე აღნიშნულია თანასკერტის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში, ოლორიდან სამხრეთ მიმართულებით საკმაოდ მოშორებით. იგი მდებარეობს ოლთისიდან 43, ხოლო არტაანიდან 83 ვერსის მანძილზე<sup>5</sup>. ნორბერთი დიდი, 53 კომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 20 000 ახჩა გადასახადი. 1889 წელს ამ სოფელში მხოლოდ 12 კომლია<sup>6</sup>. ნორბერთთან დასახელებული<sup>7</sup> სათესველიდან ორი ამოკითხულია პირობით, ორი კი არა (II წიგნში მეოთხე-სათესველის სახელი შეცდომით იყო დაბეჭდილი, რაც უნდა გასწორდეს ისე, როგორც აქაა დაბეჭდილი). ამ სოფლის მინაწერებში (I 395, II 387) იხსენიება საბამზე მიწა, რომელიც მდებარეობს სოფ. *كارهو كرك*-ში. ამ სოფლის არც სახელია ამოკითხული და არც მდებარეობა ვიცით.

28. სოფ. ს ე ე კ ა რ ი *فوسمان* და *حاجه سواس* სათესველით — *سوكر* (I 407, 396; II 399, 387). „საქ. ისტორიულ რუკაზე“ სევეარი, ხუთვერსიან რუკაზე—

<sup>1</sup> იქვე, 128; *Список*, 108.

<sup>2</sup> *Список*, 108, 109. <sup>3</sup> *Свод*, 128, 129.

<sup>4</sup> *Список*, 110; *Свод*, 128.

<sup>5</sup> *Список*, 110, 111.

<sup>6</sup> *Свод*, 128, 129.

<sup>7</sup> ასევე: *Список*, 112; *Свод*, 128.

Севкяри, „ვეროზ. რუსეთის სპეცრუკაზე“ Сивкяри-ი. ყველაზე უფრო სწორი სევეკარი უნდა იყოს, ხოლო სევეკარი II სივეკარი კი თურქიზებული ფორმებია. ფანასკერტის რაიონის სამხრეთ დასავლეთ ზონაში დიდ რუკებზე აღნიშნულია В(срхний) Сивкяри და Н(ижний) Сивкяри, რომლებიც მდებარეობენ ნორბერტის დასავლეთით, ოლთისიდან 52, ხოლო არტაანიდან 92 ვერსის მანძილზე<sup>1</sup>. „დავთარში“ სევეკარი ერთია, რომელშიც აღრიცხულია 23 კომლი და შეწერილი აქვს 8 000 ახჩა. 1889 წელს ქვემო სევეკარში ირიცხება 15 კომლი<sup>2</sup>, ზემო სევეკარი არ ჩანს.

29. სოფ. კარნავასი موحاك 'مسكوم', 'سرهاح', 'حارمره', 'سافوم', 'احاروس' اولى طاب 'مركركى' (I 407, 397; II 399, 389). რუკებზე: Карнаваз („სპეცრუკა“)<sup>3</sup>, Карнаваз (ბუთვერსიანი)<sup>4</sup>. ყველაზე უფრო სწორი ფორმაა „დავთარის“ კარნავასი; Карнаваз-ი უთუოდ გააზრებულია; ეს რომ, ვთქვათ, შავი ნავაზი ყოფილიყო, თურქს 'ساف' (ან 'سره') სიტყვის დაწერა არ შეეშლებოდა. ბოლოკიდური „ს“ თანხმოვნის გამკლერებაც მერმინდელი ამბავი უნდა იყოს. რუკებზე კარნავასი აღნიშნულია ფანასკერტის სამხრეთ სექტორში სევეკარის სამხრეთით. მდებარეობს ოლთისიდან 41, ხოლო არტაანიდან 89 ვერსზე<sup>5</sup>. ფანასკერტის ნაპიჯეში უდიდესი სოფელი კარნავასია; მასში ირიცხება „დავთარის“ დროს 152 კომლი (მათ შორის ორი მუსლიმი). აწერია 12 000 ახჩა გადასახადი. 1889 წელს კარნავასში 97 კომლია<sup>6</sup>. კარნავასს მიწერილი აქვს 9 სათესველი, რომელთა სახელები ამოკითხული არაა.

30. სოფ. აღვანიჭი (?) اغوانيك (?) (I 307, 400; II 399, 391). დაწერილობას დიაკრიტული ნიშნები არა აქვს. ამოკითხულობა პირობითია, მაგრამ უფრო შესაძლებელი. არსად არ იხსენიება. უკაცრიელი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 7 000 ახჩა.

31. სოფ. მამტური — ماطور (I 408, 400; II 399, 391). რუკებზე ვერ ვიპოვე. ამოკითხულობა სწორი უნდა იყოს. უკაცრიელი სოფელია, რომლისგან შემოსავალი განსაზღვრულია 6 000 ახჩით.

32. სოფ. ხოშვანი — خوشوان (I 408, 400; II 399, 391). მესამე شასოს განმასხვავებელი ნიშანი აქვს, მაგრამ პირველს არა. ამდენად შეიძლება ჯოშვანი ან ქოშვანიც იყოს. სამკომლიანი სოფელია, რომელსაც აწერია 2 000 ახჩა.

33. სოფ. მათაوح (I 408, 401; II 399, 392). ამ სახელის ამოსაკითხავად მასალა არა ჩანს. მოსახლეობა არ არის. აწერია 2 000 ახჩა.

<sup>1</sup> ასევე: Спясок, 112; Свод, 128.

<sup>2</sup> Спясок, 112, 113. <sup>3</sup> Свод, 128, 129.

<sup>4</sup> ასევე Карнаваз-ია—Свод, გვ. 128.

<sup>5</sup> ასევე Карнаваз-ია—Спясок, გვ. 108.

<sup>6</sup> Спясок, 108, 109.

<sup>7</sup> Свод, 128, 129.

34. სოფ. لاجر (იქვე). ამ პუნქტის შესახებ მასალა არ მოიპოვება. 12 კომლიანი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 2 000 ახჩა გადასახადი.

35. სოფ. პეტროსი სოფ. ქარაშუთან (იქვე). მითითებულია, რომ ეს სოფელი ქარაშუთან მდებარეობს (ქარაშუთი იხ. ზემოთ № 11). უკაცრიელი სოფელია; შეწერილი აქვს 1 000 ახჩა.

36. სათესველი ساس (იქვე). ამოკითხვა არ ხერხდება. შეწერილი აქვს 500 ახჩა.

37. სათესველი ساسად სოფ. ქაფქთან (სოფ. ქაფი ან ქაფქი იხ. ზემოთ № 12). შეწერილი აქვს გადასახადი 100 ახჩა.

38. სოფ. კარხისი (?) სოფ. ოლთათაბთან—حسار (იქვე). ამ სოფლის მდებარეობა მითითებულია სოფ. ოლთათაბთან (იხ. ზემოთ № 6). ამოკითხულობა პირობითია, იხდის 2 000 ახჩას.

---

## გეოგრაფიული ხასიათის მინაწერები

„დავთარში“ სამ ადგილას გვხვდება სხვა ხელით შესრულებული გვიანდელი მინაწერები, რომლებშიც მოცემულია მამულების (სოფლების) სია ან სოფლებზე შეწერილი გადასახადის ჩვენებით ახჩებში (ზოგჯერ, მაგალითად იხ. II წიგნი 450 გვ., დასახელებულია ის პირიც, ვისაც სულთანმა უბოძა ესა თუ ის სოფელი გარკვეული რაოდენობის შემოსავლით). ეს მინაწერები მოთავსებულია დედნის შემდეგ გვერდებზე: პირველი — 241 (I 262, II 257), მეორე — 382-383 (I 408-409; II 399-402) და მესამე — 446 (I 470; II 460). ერთ-ერთი ასეთი (მეორე) მინაწერის ბოლოს ნათქვამია, რომ ეს არის

რ უ ზ ნ ა მ ჯ ე 'ს პირი. მართლაც „ვრცელი დავთრებისაგან“ (دفتر مفصل) განსხვავებით, რომელშიც ამა თუ იმ სოფელზე ვრცელი ცნობებია მოცემული (მოსახლეობის რაოდენობა კომლის მიხედვით, გამოსაღებთა სახეობა და რაოდენობა და სხვ.); ასეთი რ უ ზ ნ ა მ ჯ ე ან რ უ ზ ნ ა მ ჯ ე, კაცმა რომ თქვას, „მცირე დავთარია“, რომელშიც მოცემულია მარტო სია სოფლებისა და მასზე შეწერილი გამოსაღების საერთო ჯუშალი (ზოგჯერ მამულთა მფლობელების დასახელებით). G. Flügel-თან<sup>1</sup> სწორედ ასეა დაპირისპირებული ერთმანეთ-

თან روزنامه და دفتر مفصل-ი, რომელზედაც ჩვენ უფრო ვრცლად ლაპარაკი გვაქვს IV წიგნში. სოფელთა ასეთი სია საგადასახადო ჯუშალების ჩვენებით, რომელიც ჩვენ „დავთარში“ წინ უსწრებს სოფელთა ვრცელ აღწერილობას (II, გვ. 7-21 და 393-399), სწორედ რ უ ზ ნ ა მ ჯ ე 'დ წოდებული სახეობაა ამგვარი დოკუმენტებისა.

ჩვენს შემთხვევებში ასეთი მინაწერები გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით ზუსტად დალაგებულ სიას არ იძლევა. აქ, მაგალითად და განსაკუთრებით II მინაწერში (ოლთისის ლივა), ნაჰიეები და სოფლები დასახელებულია არა მათი გეოგრაფიული განლაგებულობისდა მიხედვით, არამედ ძალიან არეულად (მზვარის ნაჰიეს მოსდევს ჩრდილისა, შემდეგ ისევ მზვარის, ბარდუსისა და სხვ.). გარდა ამისა, ამ მინაწერებში მოცემულია ისეთი ნაჰიე და სოფელი, რომელიც, მაგალითად, ოლთისის ლივანს ტერიტორიაზე არც არის (იხ. ქვემოთ ოლთისის ლივანსთან ზოგიერთი ფანაკის ნაჰიეში შემავალი სოფელი). თუ, ამის გარდა, ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენს წყაროებსა და არქივის ფონდებში ტაოს შესახებ მასალები ძალიან

<sup>1</sup> G. Flügel, Die arabischen, persischen und türkischen Handschriften der kaiserlich-königlichen Hofbibliothek zu Wien, ვენა, 1865, გვ. 467.

მცირე რაოდენობითაა დაცული, ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო მოგვეცა ამ მინაწერში დასახელებულ გეოგრაფიულ პუნქტებზე ისეთი ცნობები, რომელიც აქ მოტანილია „გურჯისტანის ვილნაეთში“ ორგანიზაციულად შემავალ სოფელთა შესახებ. ამავე მიზეზით ჯერჯერობით არ ხერხდება ოლთისის ლივნის რაიონირება. მასალების უქონლობის გამო ხშირად ამ მინაწერის გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები ამოკითხულიც არ არის, ხოლო ზოგიერთის მიმართ მოცემულია ძლიერ სქემატური ცნობები. მაგრამ მოვიგონოთ, რომ ოლთისის ლივნე ჩვენს „დაეთარიში“ მხოლოდ მინაწერშია წარმოდგენილი (რუზნანჩეთი) და „გურჯისტანის ვილნაეთში“ ორგანიზაციულად ის არც შემოდის. ოლთისის ლივნს ამ თვალსაზრისით შესწავლა მოხდება მაშინ, როცა გამოიცემა „დიდი დაეთარი“ იმ ვილნაეთისა, რომელშიც იმ ხანებში (თურქობის დროს) შედიოდა ჩვენი ოლთისი.

**მინაწერი I. ა) მამირვანის ნაშიე (ზემო)ხსენებულ ლივში<sup>1</sup> (I 262, II 257, 258).** 1. თვით მამირვანი კორდ-აგარაკ(?) და كوراك სათესველებითურთ (I 262; II 257). Hammer-თანაც Mamerewau-ია<sup>2</sup>. მაგრამ სხვაგან ეს პუნქტი ნარიმან-ად იხსენიება<sup>3</sup> (რუსულად Нариман). მდებარეობს ნარიმანი ოლთისის სამხრეთით. „ნარიმანი ბერძენების დიდი სოფელი იყო ალაბალიკ სუს [=კალმახის წყალი. თ. alabalik 'კალმახი'. ს. ჯ.] ნაბირას, რომელიც ოლთისის წყლის მეორე მარცხენა შემდინარეს წარმოადგენს“<sup>4</sup>; ...три города ...Олтис, Нариман и Артаудж...<sup>5</sup> 2. حوراك — მესამე ასო წერტილებიანია, პირველი—არა. შეიძლება ხო შ ა ქ ი იყოს. 3. كيتور — ნიწნები დაწერილია (იხ. დიდანი, გვ. 241), მაგრამ როგორ წარმოითქმოდა მინც არ ვიცით. 4. اوسخی — ოცხე. ვფიქრობ, ეს ჩვენი ახლანდელი კურორტი აბასთუმანი (ყოფ. ოცხე) არ არის. ეს უნდა იყოს ოლთისის ოცხა ან, შეიძლება ოსხა. По нижней части р. Олты-чял, из дер. Хосор, на р. Чорохе, в дер. Осыу и Ашмишен...<sup>6</sup> 5. შ ა ე შე თ ი — شيرشيت — მეორე და ღვექვესე ასოთა გარდა, ნიშანი ყველა ასოს აქვს და, თითქოს, შ ა ე შე თ ალ იკითხება, რატომ უნდა იყოს აქ მთელი შავშეთის პროვინცია, გაუგებარია. ოლთისის ახასთან ახლო მდებარე Шошан პუნქტი ეს არ არის. 6. კ ი ზ ი ლ ქ ი ლ ი ს ა (=წითელი ეკლესია) كيرك — ევროპ. რუსეთის სპეტრუკაზე<sup>7</sup> ოლ-

<sup>1</sup> ეს მინაწერი გადმოღებულია რომელიღაც სხვა წყაროდან, რომელშიც „ხეზონსენებულში“ ივულისხმება, ალბათ, ოლთისის ლივნე (მამირვანი ტერიტორიულად ოლთისთან ახლოა). ეს მინაწერი დათარიღებულია ჰიჯრის 1200 წლით (=ჩ. წ. 1786 წ.).

<sup>2</sup> GOR, II, 304-305 გვერდებს შუა ჩაკრული რუკა.

<sup>3</sup> „საქართველოს ისტორიული რუკა“ (1923 წ.), სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 71r და ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე.

<sup>4</sup> ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ., პარიზი, 1938, გვ. 18.

<sup>5</sup> Переписка грузинских царей с российскими государями (1639-1770). Петербург, 1861, გვ. XXVI.

<sup>6</sup> И. И. Стебницкий, Русско-турецкая граница в Малой Азии по берзинскому трактату 1878 года, ИКОИРГО, VII, თბილისი, 1882, გვ. 150.

თისის სანახებში Ид'ის აღმოსავლეთით აღნიშნულია Кизил-Кылиса. 7. شخب — ტაბ-შეხ (?). დაწერილობას ნიშნები ყველგან დასმული აქვს. ასეთი პუნქტი რუკებზე ან სხვა წყაროებში ვერ ვიპოვნეთ. 8. ვართანეთი وارتوت — სოფელი; აღნიშნულია მსხვილმასშტაბიან რუკებზე ბარდუსის ჩრდილო-აღმოსავლეთით. 1913 წ. ვართანეთში 16 მოსახლეა ნაჩვენები<sup>1</sup>. 9. واکصور || ვასეკსორი (?). ამ პუნქტზე ცნობები არა გვაქვს. 10. სამკარი || صقار. 1923 წ. დაბეჭდილ „საქ. ისტ. რუკაზე“ საურმეთის ჩრდილო-დასავლეთით აღნიშნულია პუნქტი სამკარი; რუსულ რუკაზე — Самикар-ია. Мокта და Боца-ს შუა. 11. მეჰანქი || مكه. ვფიქრობ, სტატისტიკური კრებულების Маянк-ი<sup>2</sup>, რუკების Мегенк-ი ეს ჩვენი მეჰანქი-ა. იგი მდებარეობს ფანასკერტის ნაჰიეში ჯულაქარსა და გესმალის შუა (სპეცრუკა). ეს ის სოფ. მეჰანქია, რომელიც ფანაქის ლივან ფანასკერტის ნაჰიეში შედის (I 407, 384; II 399, 375, აგრეთვე აქვე გვ. 584). 12. كوركي — ვფიქრობ ეს არის გორგისი ან გიორგისი („დავთარში“ გიორგ-ი ყველგან كوركي-ა). შეიძლება ამ გიორგის'ის გამოძახილი იყოს ოლთისის დასავლეთით, საკმაოდ შორს „სპეცრუკის“ Кючук-горес-ი. სხვა ცნობა არა გვაქვს.

ბ) ახა'ს ნაჰიე (ზემო)ხსენებულ ლივანში<sup>3</sup>. 1. ახა — სათესველით ძველი ახა — اءا. 1923 წელს გამოცემულ „საქ. ისტ. რუკაზე“ საურმეთის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია ახა. „სპეცრუკაზე“ Аха იდ'ის დასავლეთითაა აღნიშნული. 2. ارارس-ი, უცნობია. 3. ხენძორეთი — خنزوريت — სათესველით كىءا. ვახუშტისეულ ატლასსა და „საქ. ისტ. რუკაზე“ — ხენძორეთი. „ამ ციხეს [თორთომს] ზეით არს ხენძორეთი, დაბა დიდი და გზა არზრუმისა“<sup>4</sup> ევროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ Кетхуд'ის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღნიშნულია Ханзорек-ყлия (= ზემო „ხანზორექ“); აქ ამ პუნქტის სახელი უთუოდ დამახინჯებულია. ქართული სუფიქსის (-ეთ) ბოლოკიდური დენტალური თ-ქ. ასევე „საქ. ისტ. რუკის“ საურმეთი (ამავე ზონაში) „სპეცრუკაზე“ Саурмек-ად არის დამახინჯებული (Арисдис სამხრეთითაა). საერთოდ ცნობილია თ-ქ'ში: თეძად ← სპ. تيزاب; 'აზოტის სიმთავრე' → ქერძად-ი, تيركس — თირქეშ-ქ. ქარქაშ-ი, რუს. тачка → მეგრ. კაქკა, ტიმოთე → კიმოთე და სხვ. მაშასადამე, აქ ქართული გეოგრაფიული სახელების კანონზომიერი გადასხვაფერება გვაქვს. ხენძორეთ-ი → Ханзорек, საურმეთი → Саурмек. რუსულ რუკებზე ჩვენი დროისათვის უკვე ორი ხენძორეთია: ზემო და ქვემო. 4. كىءا-ი სათესველებით გრქ-ქილისა (= 'ლურჯი ეკლესია') და ბილდაჯორი — بىءا و كىءا (მეორე სათესველის სახელი სათანადოდ უნდა შესწორდეს II წიგნში). თვით სოფლის სახელი ამოუკითხავად რჩება.

<sup>1</sup> სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 70r.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 71r.

<sup>3</sup> აქაც უთუოდ ოლთისის ლივან ივარაუდება.

<sup>4</sup> ვახუშტი, აღწერა... 140.



ერთი სათესველის სახელი გრქ-ქილისა უნდა იყოს, ხოლო მეორესი—ბილდაჯორი. „ვეროპ. რუსეთის სპეცრუკაზე“ Аха'ს (ნაჰიეგს ცენტრი) სამხრეთით აღნიშნული პუნქტი Бялда-гор სწორედ ეს ჩვენი *اور اس*-ია. 5. *اور اس*—არ არის ამოკითხული. 6. *اسرى*—თითქოს ამირლი. ცნობები არ არის. 7. *كسغ*—შეიძლება ეს იყოს ნარიმანის ჩრდილო-დასავლეთით აღნიშნული პუნქტი Паких — *كيسغ* (სპეცრუკა), თუმცა სარაიონო ცენტრის ახა'საგან ეს შორსაა. 8. *اسرحك*—ამ სახელის ამოსაკითხავადაც ცნობა არ აღმოჩნდა.

მინაწერი II. ოლთისის ლიეა — ქეთხუთის ნაჰიეგ<sup>1</sup> (I 408-410; II 399-402).

ოლთისი იმიერ ტაოში მდებარე ძველი ქართული ქალაქია. „ქალაქი ოლთისი გაშენებულია ორივე ნაპირზე ოლთისის წყლისა“<sup>2</sup>. „მოუვიდა კაცი პატრონს ყვარყვარეს, ოლთისს აღარ დააყენეს, აზრუმს მიიყუანეს“<sup>3</sup>; „ბექა ოლთისს დადგომილიყო“<sup>4</sup> და სხვ.

1. ქეთხუთის ნაჰიეგ—*اسماص*, „სპეცრუკაზე“ ოლთისის, ნარიმანისა და ახა'ს სამხრეთით ნაჩვენებია პუნქტი Керхуда, რაც უთუოდ „დავთრის“ *اسخود*-ია. სოფლის სახელი დაწერილია დიაკრიტული ნიშნის გარეშე. შეიძლება ეს იყოს ხამას-ი.

2. *مصرور*-ის ნაჰიეგ—*كومك كومت*—II წიგნში მისრასორ(?)ადაა ამოკითხული. ვერც ნაჰიეგს და ვერც სოფლის სახელის ამოსახსნელად ცნობას ვერ მივაკვლიეთ. არ უნდა იყოს ეს არც „სპეცრუკაზე“ ახა'ს ახლო აღნიშნული Меисор-ი და არც ჰასან-კალეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე Масра. სოფლის სახელიც ამოუკითხავად რჩება.

3. მზვარის ნაჰიეგ—ფარასორი—*براصور*. მგონია, რომ ეს დაწერილობა ასე შეიძლება ამოვიკითხოთ. ოლთისის ოლქის ტაოსკერის (=ტაოსკარი) საბოკაულოში № 769 სოფლად დასახელებულია Парасор-ი<sup>5</sup>. ფარასორი „დავთარში“ ორია ნაჩვენები—ზემო და ქვემო. 1889 წელს ფარასორში 8 კომლია აღრიცხული<sup>6</sup>. I წიგნის *براصور* და II წიგნის *სრსორი* ამოკითხულობას უთუოდ ფარასორი ჯობია და ასე უნდა შესწორდეს.

4. ჩრდილის ნაჰიეგ—ერუქი *اورك* (თურქული წარმოთქმით — რურქ). ექ. თაყაიშვილი ასახელებს ერუქის წყალსა და ერუქ ანზაეს [=ანძაეის ერუქი]<sup>7</sup>. გარდა ამისა; ცნობილია კიდევ Эрюк-Кында-ი (აქვე იხსენიება Эрюк-Анзовский)<sup>8</sup>. რადგანაც ანძაეის ნაჰიეგ აქ ქვემოთ შეგვხვდება და რამდენიმე-

<sup>1</sup> ასეა დედანში დასათურებული ეს მინაწერი, მაგრამ შემდეგ თითოეული სოფლის დასახელებისას იქვე ნაჩვენებია სხვადასხვა ნაჰიეგ'ს სახელწოდებაც. ქეთხუთის ნაჰიეგ'ში შემავალი მარტო ერთი (პირველი) სოფელია დასახელებული. II წიგნის (გვ. 399) „მზვარეს რაიონი“ (კითხვითი ნიშნით) უნდა გადასწორდეს „ქეთხუთის რაიონ“-ად (ნაჰიეგ').

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში..., გვ. 46, 47.

<sup>3</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, 106. <sup>4</sup> იქვე, 109. <sup>5</sup> Свод, 126. <sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში..., 76. <sup>8</sup> Свод, 122.

ჯერაც, ამიტომ ეს უნდა იყოს „სპეტრუჯაზე“ Сеґдасор-ის აღმოსავლეთით აღნუსხული Эрх-Кубад-ი. II წიგნის ეს ადგილი შესაბამისად უნდა შესწორდეს.

5. მზვარის ნაჰიე — ارار(?) . ამოუკითხავია.

6. „ „ — اورسلور(?) „

7. „ „ ახლა რომ ვაკვირდები ამ პუნქტის სახელი كاسا, — ვასაქ-ი უფროა, ვიდრე I წიგნის اسكاس-ი და II-ის—ვეშქენი(?). ეს მით უფრო, რომ ერთ რუკაზე Khosor-ის აღმოსავლეთითა და ოლთისის ჩრდილოეთით აღნიშნულია პუნქტი Vassakh-ი<sup>1</sup>.

8. ბარდუსის ნაჰიე—რაბათი (I წიგნის اراد, აქაც და ქვემოთაც რამდენიმეჯერ, უნდა გასწორდეს اسوادს-ზე). ბარდუსი ოლთისიდან 50 ვერსზეა, მოსახლეობა ბერძნულია ნნ კომლის რაოდენობით<sup>2</sup>. „სპეტრუჯის“ მიხედვით მდებარეობს ოლთისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. დასახელებულია აგრეთვე ამ ზონისათვის Бердус-ი<sup>3</sup> და პერტუსი<sup>4</sup>. ამჟამად მე ვერ განვიხილავ საკითხს თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ბარდუსი, ბერდუსი და პერტუსი. ამ რაიონის ერთ სოფელს, ალბათ, რაბათი ერქვა.

9. ჩრდილის ნაჰიე—ზემო სიმურდონი—سموردون. ეს სოფელი „სპეტრუჯაზე“ აღნიშნულია Сеґдасор-ის ჩრდილოეთით — Самурдон-ი. გვხვდება აგრეთვე Спмирдон-ის ფორმითაც<sup>5</sup> (I წიგნის سمورد-ი უნდა გასწორდეს سمورد-ად). სიმურდონიდან ოლთისამდე 17 ვერსია, ხოლო არტაანამდე—90<sup>6</sup>.

10. არან-ის ნაჰიე — اران. ასეთი მოხაზულობის ნაჰიეს სახელი ქვემოთ რამდენიმეჯერ გვხვდება. ბოლო ასო რომ აშქარად სიანკათის ხელის ე არ იყოს, ანძავად წაიკითხებოდა (ანძავი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცნობილი ისტორიული პუნქტია). ი რ ა ნ სახელწოდება აქ არ არის მოსალოდნელი. დავტოვეთ ამოუკითხავად. სოფელი اران-ც უცნობია.

11. მზვარის ნაჰიე—اراس. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ეს იყოს სოფ. اراس || ხ ე ე ი ს კ ა რ ი (შდრ. ტაოსკარი, მუხისკარი—საქ. ისტ. რუკა<sup>7</sup>). ტერიტორიულად ოლთისის ლივანს მიუდგება თუ არა, არ ვიცი. მაგრამ ოლთისის ჩრდილოეთით კედლეთისა და სოვისწყალის აღმოსავლეთით „სპეტრუჯაზე“ აღნიშნულია პუნქტი Хевискар-ი. შეიძლება ამ ხევისკარზეა მინაწერში ლაპარაკი. ოლთისის ოლქში ხომ არის დასახელებული ისეთი პუნქტი, რომელიც ტერიტორიულად ამ უბანში არაა (სოფ. სათლელი და სხვ.).

<sup>1</sup> Nouvelle carte générale des provinces asiatiques de l'Empire Ottoman. Dressée par H. Kiepert, ბერლინი, 1884.

<sup>2</sup> Список, 82; Свод, 124; ბარდუსზე აგრეთვე: И. И. Стебницкий, Русско-турецкая граница в Малой Азии по берлянскому трактату 1878 года, ИКОИРГО, VII, თბილისი, 1882, გვ. 150-151. <sup>3</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 30v.

<sup>4</sup> ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში..., გვ. 42.

<sup>5</sup> Список, 94. <sup>6</sup> იქვე.

12. ჩრდილის ნაპიჯე — كوحاحو დიაკრიტული ნიშნები რომ ასე დავსვათ — كوحاخو, მისი წაკითხვა შეიძლება ქოჩახუ'დ. ასეთ სახელს კი თურქულ-რუსულ სინამდვილეში შეეძლო მოეცა Кочек-ი. სწორედ ამ სახელით სოფელი ცნობილია ოლთისის ოლქსა და მისსავე საბოქაულოში. Кочек-ში 1889 წ. 43 კომლია აღნუსხული<sup>1</sup>, მდებარეობს ოლთისიდან 26 ვერსზე<sup>2</sup>.

13. ბარდუსის ნაპიჯე — علكعك — სალამ-ყალეჯი. რუკებზე ასეთი სახელით პუნქტი მე ვერ ვიპოვე. მაგრამ ასეთი სახელის მატარებელი პუნქტი ცნობილია. მაგალითად, აკად. ნ. კეცხოველის მიხედვით, „...მუხიანის ხევში (წალისა და ბორჩალოს საზღვარზე) სოფ. სალამალეჯი...“<sup>3</sup> ამ სახელის სოფელი ოლთისის ოლქშიც იქნებოდა.

14. ჩრდილის ნაპიჯე — كوزخور. ვფიქრობ, რომ ეს თურქიზებული ფორმაა ქართული სახელისა კოწახური. „სპეტრუკაზე“ ოლთისის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია Козахур-ი.

15. ანძავის ნაპიჯე — اورسار. რუსულ მასალებსა და რუკებზე Анзав-ია. „სპეტრუკაზე“ კინეპოსსა და ქელგერს შუა აღნიშნულია სოფ. Анзав-ი. ანძავეზე საკმაოდ ბევრი ცნობა აქვს ექ. თაყაიშვილს<sup>4</sup> (ოღონდ აეტორი ანძავის ნაცვლად თურქიზებულ ანზავს ხმარობს). ანძავე იხსენიება „კათალიკოსის სამწყსო სამცხე-სათაბაგოს-ში: „ანძაველნი სასაფლავოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“<sup>5</sup>. სოფლის სახელი ამოუკითხავია.

16. ანძავის ნაპიჯე — რაბათი.

17. მზვარის ნაპიჯე — ფერთუსი. ასეთივე სახელწოდების სოფელი აღწერილია ფანაიკის ლივანსა და ფანასკერტის ნაპიჯეში (იხ. II 379, 399). ექ. თაყაიშვილთან ჩვენ გვაქვს პერტუსი რომელშიც „50 კომლი სომეხია, სათათრეთიდან მოსული. ამ სოფელში ორი ქართული ეკლესია ყოფილა...“<sup>6</sup> დ. ბაქრაძეც აღნიშნავს „в ущельи Бердус-чая, близ селения Пертус церковн, построенная атабеком Мзечанбуком“<sup>7</sup> („სპეტრუკაზე“ Пертус-ი ოლთისის აღმოსავლეთითაა, Орюк-ის იალაღთან ახლო).

18. არასდ'ის ნაპიჯე — براسر. „სპეტრუკაზე“ ნარიმანის სამხრეთით არის პუნქტი Арисли, რაც ჩვენი „დავთრის“ اسراس-ის უნდა ემთხვეოდეს. სოფლის სახელი براسر-ად შეიძლება გავაზროთ და Паракез-Хосор-ი კი ფიქსირებულია სტატისტიკურ კრებულებში<sup>8</sup>, მაგრამ ეს სოფელი არასდისთან არაა. რადგანაც ეს ფარაქესი ხოსოართაა განსაზღვრული, შეიძლება აქ იყო მეორე ფარაქესი.

<sup>1</sup> Свод, 122, 123. <sup>2</sup> Список, 88.

<sup>3</sup> საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935, გვ. 146.

<sup>4</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში, 76.

<sup>5</sup> Д. Бахрадзе, III'A, გვ. 80 („Анзавелн-ანძაველი — старыи род Самхс-Саатабаго“, იხ. საქმეები).

<sup>6</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში..., 43.

<sup>7</sup> Историко-этнографический очерк Карсской области, ИКОИРГО, VII, გვ. 192-202.

<sup>8</sup> Список, 12.

19. ბარდუსის ნაპიჯე—**ككج**. ამ სიტყვის ამოკითხვა **ككج** || კალმახ<sup>1</sup>ად შესაძლებელია და მაცდუნებელიც, მაგრამ ცნობილი პუნქტი **კ ა ლ მ ა ხ ი**, რა თქმა უნდა, ბარდუსის რაიონში არ არის. შეიძლება სხვა **კ ა ლ მ ა ხ ი ც იყო**.

20. ანძაეის ნაპიჯე—**ქ ე ლ გ ე რ ი** || **ككير**. ქელგერი ისაძორთან და ანძაეთან ახლო, უკანასკნელის სამხრეთითაა ნაჩვენები „სპეცრუკაზე“. ქელგერი ოლთისიდან 23 ვერსზეა<sup>1</sup>.

21. ანძაეის ნაპიჯე—**ككسكر**. შეიძლება ამ დაწერილობის მიხედვით ამ პუნქტს ერქვას **ქ ა ლ ა ქ ი ს კ ა რ ი**. სხვა მასალა არ აღმოჩნდა; ამიტომ ეს უაღრესად პირობითია.

22. ოლთისის ნაპიჯე—**سوغوس**. შეიძლება ეს იყოს **سوغوس**-ი, რაც პოლოსი<sup>2</sup>ა. **პ ო ლ ო ს ი** ჩვენებურად **პ ა ვ ლ ე**<sup>3</sup>ა. დიდი არტაანის ლივანს ჩრდილო ნაპიჯეში არსებობდა სოფელი პეტრეპავლე (II, 395); აქაც შეიძლება ყოფილიყო სოფელი პოლოსის ან პავლეს სახელით.

23. ჩრდილის ნაპიჯე—**عروك**. ეს დაწერილობა **Эрюк**-ს უდგება, მაგრამ ასეთი სახელით სოფელი ზემოთ უკვე იყო (იხ. ზემოთ № 4).

24. მზეარის ნაპიჯე—**اقطيراق** (=ქ. 'თეთრი მიწა').

25. ბარდუსის ნაპიჯე—I-სა და II წიგნში დაბეჭდილია **ارناور** და ვილდათორი (?). ახლა ვფიქრობ, რომ ამ სოფლის სახელია **ارناور** - ვ ა რ თ ა ნ უ თ ი. ვართანუთი ოლთისიდან 59 ვერსზეა<sup>2</sup>. „სპეცრუკაზე“ აღნიშნულია ბარდუსის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

26. ჩრდილის ნაპიჯე—**ادالس**.

27. მზეარის ნაპიჯე—**ფ ო ს ი ქ ი**. მდებარეობს **Чанчур**-სა და **Ахрис**-ს შუა, ბარდუსის ჩრდილოეთით. 1889 წ. მასში ნაჩვენებია 32 კომლი; იგი ოლთისიდან 38 ვერსზეა<sup>3</sup>.

28. მზეარის ნაპიჯე—მომდევნო სოფლის სახელის დაწერილობა ზუსტად ასეთივეა **سوسك**, მაგრამ ეს უნდა იყოს ნუსუნგი **سونسك**-ი. ფოსიქის სამხრეთით და ბარდუსის რამდენიმედ. ჩრდილოეთით სპეცრუკაზე აღნიშნულია **Нюсунг**-ი, რომელიც ოლთისიდან 46 ვერსზეა 38 კომლი მოსახლეობით<sup>4</sup>.

29. ჩანჩურის ნაპიჯე—**ა ბ უ ს ა რ ი** (?). II წიგნის **ჯ ა ნ უ ს ო რ ი** სწორი არ არის და უნდა გასწორდეს. შეიძლება ეს იყოს „სპეცრუკაზე“ **Поцик**-ის სამხრეთით მდებარე **Чанчур**-ი. რაც შეეხება სოფლის სახელს, ეს უნდა იყოს აბუსარი, თუმცა მესამე ნიშანი უფრო **რ** ასოა, ვიდრე **ვ**. ჩანჩურის ჩრდილოეთით „სპეცრუკაზე“ აღნიშნულია მთა აბუსარი. მის კალთებზე ან ძირში შეიძლება ამავე სახელის სოფელი იყო გაშენებული.

<sup>1</sup> Списьок, 88; Свод, 122, 123; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 70v.

<sup>2</sup> Списьок, 84; Свод, 124.

<sup>3</sup> Свод, 124; Списьок, 94; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 71v.

<sup>4</sup> Списьок, 92; Свод, 124.

30. مصر-ის ნაპიჯე—سور. ეს ნაპიჯე უკვე იყო ზემოთ (№ 2) დასახელებული. არ იკითხება აგრეთვე სოფლის სახელიც.

31. ბარდუსის ნაპიჯე—دوس (?).

32. ანძავეის ნაპიჯე—كوك ვეიქრობ, რომ ეს დაწერილობა აღნიშნავს Котик პუნქტს, რომელიც „სპეტრუჯაზე“ ანძავეთან და, განსაკუთრებით, ხუვახთან ახლოა აღნუსხული. იგი ოლთისიდან 25 ვერსზე მდებარეობს<sup>1</sup>.

33. შვეარის ნაპიჯე — داوس (?).

34. არან-ის ნაპიჯე (იხ. ზემოთ № 10)—احا (?).

35. ბარდუსის ნაპიჯე—سرف واران (?). სიტყვის მეორე ნაწილი ვერა ნუნდა იყოს.

36. შვეარის ნაპიჯე—سرف واران (?) ზემო ფერთასორი (?). II წიგნში „ზემო“ სიტყვა შეცდომით გამოჩნდებოდა. სერსორს, ვეიქრობ, ფერთასორი ჯობია, თუმცა ესეც საეჭვოა.

37. არან-ის ნაპიჯე (იხ. ზემოთ №№ 10, 34)—ارالس (?).

38. „ „ „ — خواق-ელია — ზემო ხუვახი (ასე უნდა გასწორდეს I-სა და II წიგნში). ანძავეის სამხრეთით სოფ. Котик-თან (იხ. ზემოთ № 32) „სპეტრუჯაზე“ აღნიშნულია Хувах-ი („დავთარში“ მეორე ხ თანხმობანი ჩვეულებრივად ც-ითაა გადმოცემული). ექ. თაყაიშვილის მიერ განხილული პუნქტი ხ ა ვ ა ლ ი შეიძლება ჩვენი ხუვახი იყოს: „ღმერთი გუწყალობს: და მანდა: ხ ა ვ ა ლ ს: ხარ:“<sup>2</sup>. ზემოდ დასახელებულ Н. Кierpert-ის რუკაზე ეს პუნქტი Khevak-ად არის აღნიშნული. 1923 წელს გამოცემულ „საქ. ისტ. რუკაზე“—ხუვახი<sup>3</sup>.

39. შვეარის ნაპიჯე —კასირსორი ,كاسرسور — თითქოს ამოკითხულია სწორად, მაგრამ წყაროებში ასეთი პუნქტი არ ჩანს.

40. ماله-ს თუ ملاك-ის ნაპიჯე—سك. მალასა'დაც შეიძლება წაიკითხულ იქნეს და მალაქეზ'ადაც. Сход-ის 126-ე გვერდზე გვხვდება პუნქტი Маалаке; ამდენად ეს უკანასკნელი, თითქოს, უფრო სწორია. სოფლის სახელი ნუსუნგ'ად შეიძლება წაიკითხვით და ფოსიქ'ადაც. ზემოთ ნუსუნგიც იყო (№ 28) და ფოსიქიც—(№ 27).

41. არან-ის (იხ. ზემოთ № 10) ნაპიჯე — احا თუ احا (?).

42. ჩრდილის ნაპიჯე—تارنيك || თერენეკი. ოლთისთან საკმაოდ ახლოს, აღმოსავლეთით „სპეტრუჯაზე“ აღნიშნულია Терпенк-ი. იხსენიება კიდევ Терпенк Авдостский<sup>4</sup>. Кierpert-ის რუკის Терпенек-იც ეს უნდა იყოს.

43. არან-ის ნაპიჯე—ოსხა|| اوسخا. II წიგნში ამ სახელთან კითხვითი ნიშანი უნდა მოიხსნას. „სპეტრუჯაზე“ იშხანის სამხრეთით აღნიშნულია Осха. ასეთივე პუნქტი იხსენიება აგრეთვე ი. სტებნიცკისთან: По нижней части

<sup>1</sup> Сход, 124.

<sup>2</sup> არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში..., 65.

<sup>3</sup> Список, გვ. 96.

р. Олты-чая, из дёр. Хосор, на р. Чорохе, в дер. О с х у и Ашмишен...<sup>1</sup>  
5 ვერსიან რუკაზე მთა Ашмишен-башни-ს სამხრეთით აღნიშნულია Оспа. შე-  
იძლება ამისი ქართული სახელია ოცხა.

44. ანძავეის ნაპიჯე—ო რ უ ქ ი. ასე უნდა წაეკითხოთ كراو, თუმცა ამი-  
სი წაკითხვა უფრო სწორია ურექად. ასეთი სახელის მატარებელი სოფე-  
ლი ჩვენ უკვე განვიხილეთ (იხ. ზემოთ № 4, აგრეთვე № 23). ეს ორუქი, ან  
შეიძლება, ურექი დასახელებულია ანძავეთან დაკავშირებით და აპიტომ ეს  
უნდა იყოს Эрюк-Анзав, ე. ი. ანძავეის ერუქი (რომელსაც მეორე, ე. წ. ყუ-  
ბადის ერუქისაგან განასხვავებენ).

45. ბარდუსის ნაპიჯე—რ ა ბ ა თ ი. ამ რაიონის რაბათი უკვე იყო აღ-  
წერილი (იხ. ზემოთ № 8).

46. ჩრდილის ნაპიჯე — ქ ე ი ვ ა ნ ქ ი ზემო, სიღ კიონი (?). ვფიქრობ  
სწორადაა ამოკითხული და I-სა და II წიგნების დაწერილობას დიაკრიტიუ-  
ლი ნიშნები უნდა დაესვათ. ქეივანქი ოლთისიდან 43 ვერსზეა<sup>2</sup>. სიღ 'ზემო'  
სიტყვის ამოკითხულობა საეჭვოა.

47. ჩრდილის ნაპიჯე—ქეილენქი ზემო, სიღ კიფი. რა ურთიერთობა-  
შია წინამავალი ქეივანქი (ისიღ—ზემო) ამ ქეილენქთან და ორივე კიდევ ფა-  
ნაქის ლივან ფანაქისავე ნაპიჯეში აღრიცხულ ქეილენქთან (I 406, 350; II  
397, 343). მასალების უქონლობის გამო, ჯერჯერობით უცნობია (I-სა და II  
წიგნებში № 46 და № 47 ასე გასწორდეს).

48. ბარდუსის ნაპიჯე—თუთუმუში (I-სა და II წიგნებში კითხვითი ნი-  
შანი უნდა მოიხსნას), თუთუ. ეს სოფელი „სპეცრუკაზე“ Тутмашად არის  
აღნუსხული ოლთისის დასავლეთით, სოფ. Котник-ის სამხრეთით. Н. Кле-  
pert-ის რუკაზეც—Toutmasch-ია.

49. ანძავეის ნაპიჯე—ე ქ ე ქ ი, სიღ კი. ამ სოფელს ჩვენ ვიცნობთ ქარ-  
თული კულტურის თავდადებული მოღვაწის აკად. ექ. თაყაიშვილის მეოცე-  
ბით: სოფ. ექექი მდებარეობს თორთომის ხეობის ზედა ნაწილზე, თორთო-  
მის ციხის ახლო<sup>3</sup> (I-სა და II წიგნებში კითხვითი ნიშანი მოიხსნას).

50. ბარდუსის ნაპიჯე—სოს-ი.

51. ჩრდილის ნაპიჯე—სიღ კი. I-ში სიღ კი, ხოლო II წიგნში ქელიქად  
მაქეს დაბეჭდილი, მაგრამ საეჭვოა, ჯერჯერობით მასალა არ ჩანს.

52. ჩრდილის ნაპიჯე—სიღ კიფი, ზემო ქელიქი (?).

53. ახა'ს ნაპიჯე, ოლთისის ლივან—სუ(რ)ფ სარქისი, سارکس. „სპეც-  
რუკაზე“ სოფ. ახა'ს სამხრეთით აღნიშნულია Сурп-Саркис-ი, აგრეთვე Кле-  
pert-ის რუკაზეც—Sourp Sarkis-ია.

<sup>1</sup> И. И. Стебницкий, Русско-турецкая граница в Малой Азии по берлинскому трактату 1878 года, ИКОИРГО, VII, თბილისი, 1882, გვ. 150.

<sup>2</sup> Свод, 122; Список, 88; სცია, ფ. 415, ს. 12, გვ. 70v.

<sup>3</sup> Е. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, თბილისი, 1952, გვ. 76.

54. ჩრდილის ნაპიდე—ზემო *ككرو*-ი.

55. მზეარის ნაპიდე—*اوسك*—ოშკი (?).

56. „ — აიღოსთი, *ايدوست*. დადასტურებულია *Аидост* სოფელი, რომელიც ოლთისიდან 51 ვერსზე მდებარეობს და 1889 წ. მასში ირიცხება 9 კომლი<sup>1</sup> (ოლთისის ოლქსა და ტაოსკარის საბოქალოში). ამის გარდა, გვხვდება აგრეთვე ამ ზონაში სოფლის სახელი *Авдост*-ი<sup>2</sup>, ქვემოთ აქვე შეგვხვდება კიდევ *არდოსი* (№ 66 ორჯუხის სამხრეთით არის კიდევ *Ардост*-ი, ისევე როგორც არის *Авдост*-იც). რადგანაც სამხრეთ საქართველოს ამ სექტორის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით ძლიერ მცირე მასალა გვაქვს, ჩვენ აქ ფაქტის აღნიშვნით ვკმაყოფილდებით. *Аидост*-ი *Сегдасоп*-ის სამხრეთითაა („სპეცრუკა“). *И. Киперт*-თან ხორასანის ჩრდილოეთით აღნუსხულია *Ардост*-ი. ფანასკერტის ნაპიდეშიც ფიქსირებულია სოფ. ჰანდოსი (II 399, 385).

57. [რ] *مصروصو*-ის ნაპიდე—ზემო ჩაიჩური, *چاچچو*. არქივის მასალებში აღწერილია *Чайчур*-ი, რომელნიც აღრიცხულია 23 კომლი<sup>3</sup>. ესეთივე დაწერილობის სახელთან ჩვენ კიდევ გვექნება საქმე, ოღონდ ის უნდა იყოს ბარდუსის ჩანჩური და არა ჩაიჩური (№ 75).

58. იგივე ნაპიდე—*كوقور* (?).

59. *كوك*-ის ნაპიდე—*كوسك*; || ნუსუნგად მაქვს ამოკითხული (I 409, II 401), მაგრამ *ნუსუნგი* ჩვენ უკვე გვექონდა (28, № 40). აქ შეიძლება სხვა პუნქტი იყოს, ან, შეიძლება, ესაა ნუსუნგი. საჭიროა დამატებითი მასალა.

60. მზეარის ნაპიდე — ყარა გრბეკი, *كويك* [რ]. „სპეცრუკაზე“ *Кетхуа*-ის სამხრეთ-დასავლეთით აღნუსხულია—*Кара-Горбек*, რაც საესებით ემთხვევა ამ დაწერილობას.

61. იგივე ნაპიდე — ყიზილ გრბეკი, *كويك* [რ]. რუკებზე ვერ ვიპოვე, მაგრამ ამოკითხულობა სწორი უნდა იყოს. ყარა გრბეკი თუ იყო, ყიზილ გრბეკიც უნდა ყოფილიყო.

62. მზეარის ნაპიდე—უბანი *არდგილ*-ის მიდამოში—*كواك*.

63. ბარდუსის „ — ჰასან ფაშა *كلا* (?).

64. „ „ — ვართანუთი. ოღონდ ეს პუნქტი უკვე მეორეჯერ გვხვდება (იხ. ზემოთ № 25). შესაძლებელია უფრო ეს იყოს ვართანუთი, ვიდრე 25 ნომრად განხილული.

65. ბარდუსის ნაპიდე—სელამ ცალეკე, *كلا* [რ]. ერთი ასეთი პუნქტი უკვე იყო (იხ. № 13).

66. ბარდუსის ნაპიდე—არდოსი, *كواك* (იხ. ზემოთ, № 56).

67. ჩრდილის — *كواك* (?).

<sup>1</sup> Свод, 128; Список, 108.

<sup>2</sup> სტია, ფ. 415, ს. 12, გვ. 69. <sup>3</sup> იქვე, გვ. 72.

68. შუბარის ნაპიჯე აკ-თოფრაკი (-'თეთრი მიწა').

69. ფანაკის ნაპიჯე — მითენდიერი, *میتندی*. «ორთულიდან გავემგზავრეთ დასავლეთის მხრით და გრძელი, სასტიკი თავჩალმართით ჩავეშვით საზამთრო აღგილზე, მეზრებე. მი ტ ე ნ დ ი ე რ'ად წოდებულზე<sup>1</sup>. გვხვდება ეს სოფელი სტატისტიკურ კრებულებშიც: Митиндер—ოლთისიდან 35 ვერსზე<sup>2</sup>, Митиндер-ი—1889 წ. მასში 10 მაჰმადიანთა კომლია<sup>3</sup>. ითვლება ფანაკის ნაპიჯეში, მაგრამ ფანაკის აღწერილობისას, როგორც დავინახეთ, ასეთი სოფელი არ იყო დასახლებული.

70. ბარდუსის ნაპიჯე — *اوسکی حات*, ოსკიჰათ. «სპეცრუკაზე» ბარდუსის დასავლეთით აღნიშნული პუნქტი — *Оският*-ი სწორედ ეს *اوسکی حات*-ი უნდა იყოს. I-სა და II წიგნში ეს სახელი ამოკითხული არაა, რაც ახლა სწორდება.

71. ანძავეის ნაპიჯე—სოფლის სახელი *سارووس* არ უნდა იყოს, როგორც დაბეჭდილია I-სა და II წიგნებში, არამედ *سارخ*. ეს უნდა იყოს «სპეცრუკაზე» ანძავეის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღნიშნული *Хартха* პუნქტი. *Хартха*, გრაფიკულ ნიადაგზე შერყენილი *Хардоса || Хартоса* უნდა იყოს (უხეიროდ დაწერილი *o* და *c* ასოთა გადაბმას შეეძლო *x* ასო მოეცა).

72. შუბარის ნაპიჯე — ს ე რ დ ა ს ო რ ი, *سیرداصور*. «სპეცრუკაზე» *Авдост*-ის ჩრდილოეთით აღნიშნული *Сегдасор*-ი სწორედ ეს პუნქტი უნდა იყოს. სტატისტიკურ კრებულებში ეს სახელწოდება ასეა: *Сегдасор (Сурдасор)*—9 კომლი მოსახლეობით<sup>4</sup>, *Сигдасор* — ოლთისიდან 12 ვერსის მანძილზეა<sup>5</sup>.

73. შუბარის ნაპიჯე—შეახ ჩიფთლიქ, *شخ چفتلیک*.

74. ამ ნომრის ქვეშ, შეიძლება შეცდომით, ზუსტად იგივეა გამეორებული, რაც 73 ნომრის ქვეშ იყო.

75. ბარდუსის ნაპიჯე—ზემო ჩანჩური, *چانچور علیا*. ბარდუსის ჩრდილო-დასავლეთით «სპეცრუკაზე» მართლაც აღნიშნულია პუნქტი *Чанчыр*-ი, რომელიც ჩვენი *سارخ*-ის იდენტური უნდა იყოს.

76. ანძავეის ნაპიჯე—კინეპოსი, *کینپوس*. ანძავეის ჩრდილოეთით და ძლიერ ახლო «სპეცრუკაზე» მართლაც აღნიშნულია პუნქტი *Кинепос*-ი. კინეპოსი აღრიცხულია კიდევ ფანაკის ლივსსა და ფანაკის ნაპიჯეში—სოფ. № 37. სხვა ცნობები ამაზე იხ. აქვე, გვ. 570.

77. ბარდუსის ნაპიჯე—ჩერმუქი, *چرموک*. ბარდუსის ჩრდილო-აღმოსავლეთით მართლაც «სპეცრუკაზე» აღნიშნულია პუნქტი *Чермук*-ი. ჩერმუქი ოლთისიდან 57 ვერსზეა<sup>6</sup>, 1889 წ. მასში 50 კომლი ბერძენი ცხოვრობს<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში..., გვ.39.

<sup>2</sup> Слѣсок, 92.

<sup>3</sup> Свод, 124.      <sup>4</sup> იქვე, 122, 123.      <sup>5</sup> Слѣсок, 94, 95.

<sup>6</sup> იქვე, 96.

<sup>7</sup> Свод, 124, 125; აგრეთვე: სცია, ფ. 415. ს. 12, გვ. 72r.



78. შზვარის ნაპიფე — ساسرکود (?). დაწერილობის ამოცნობა ახლა უფრო საეკვოდ მიმაჩნია.

79. შზვარის ნაპიფე — واکر-ი.

80. მისრასორის (?) ნაპიფე — والسک (შეიძლება رلسک).

81. შზვარის ნაპიფე — გუნდასორი کونداسور. ასე შაქეს ამოცნობული ეს სახელწოდება I-სა და II წიგნში, შაგრამ შესაძლებელია ეს დაწერა-ლობა کوندخور-ადაც იქნეს წაკითხული. კონდახორი კი „საპეტრუკაზე“ აღნიშნულია ოლთისიდან შორს კლარჯეთისკენ — Кларджет-ი. რადგანაც ამ ე. წ. ოლთისის ლივში დასახლებულია ისეთი პუნქტებიც, რომლებიც ტერიტორიულად სხვა ლივშია (შაგალითად, № 76 — კინეპოსი და სხვ.), შეიძლება აქ სწორედ ამ კონდახორზე იყოს ლაპარაკი. იგივე კონდახორი შეროვეჯ-რაც არის აღრიცხული იქვე.

შინაწერი III. შესამე შინაწერი სხვა ხელით შესრულებული და დათარიღებული შიჯრის 1230 წლით (=ჩე. წელთაღრიცხვის 1814 წ.) შოთავცებულია დედნის 446 გვერდზე (I 470; II 460. ორთავე ადგილას დაბეჭდილია პეტიტით). ამ შინაწერში იხსენიება სამი სოფელი, რომელიც „დავთარში“ თავთავის ადგილას ვრცლად იყო აღრიცხული:

1. ფოცხოვის ლივსა და ჩრდილის ნაპიფეში სოფ. ساعسار (?). ასეთი სოფელი კი ფოცხოვის ლივში, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ „დავთარში“ შოთავცებული ვრცელი აღწერილობით (იხ. ზემოთ გვ. 455-468), არ არის. ახლა ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეიძლება ეს ცუდად შესრულებული მოხაზულობა (იხ. დედანი, 446) ასეც გაეაზროთ: ساعسان — შაყისმანი, რაც შირველ სოფლადაა აღწერილი ფოცხოვის ხსენებულ ნაპიფეში (ცნობები მასზე იხ. ზემოთ, გვ. 455, № 1).

2. ფოცხოვის ლივსა და შზვარის ნაპიფეში სოფ. შუარწყალი (იხ. იქვე, გვ. 439, № 14).

3. ახალციხის ლივსა და უდის ნაპიფეში სოფ. სათლელი (იხ. აქვე გვ. 105, № 46).

# საძიებლები<sup>1</sup>

## ა) პირთა საძიებელი

- აბაშიძე (ყოფ. ბეგი) 280.  
აბეჯალმა კლდელი 58.  
აბუბექრი 224  
აბუელაჟი ილია 62, 206.  
აბუსერიძე ტბელი 215, 441, 461.  
აგაიანი (VI საუკ. ისტორიკოსი) 265.  
ადონასე (მეფე) 528.  
აფალიშვილი დავით 472.  
აფალიშვილი პეტრე 472.  
აფალივი (აფალიშვილი) გიორგი 471, 472.  
აფალიკო სოლომონ 471, 472.  
აქესენტი (წმინდა ბერი) 570.  
აზნაუროვი სტეფანე 463, 464  
ალათემური 529.  
ალელოვი (არლელიშვილი) სტეფანე 184, 186.  
ალექსანდრე I 195.  
ალიბეგი 466.  
ალფარსლანი 581.  
ალსაზიშვილი ილ. 188, 194, 198, 254.  
ამარტოლი გ. მ.  
ამირანაშვილი შ. მ.  
ანხვეელი თეოდორე 100.  
ანა დედოფალი 35, 121, 175, 277, 278, 344, 345, 363, 419, 440, 492.  
ანტონოვი ვართან (მამასახლისი) 291.  
არაინი 102.  
ასათიანოვი ივანე (პრაპორშჩიკი) 193.  
ასლან-ბეგი 87, 89.  
ასლანიკაშვილი ალ. 41, 306, 432, 499.  
ასლოიკი (სომეხი ისტორიკოსი) 420.  
ახვლედიანი გ. 113, 164—166, 274, 291, 341, 345, 347.  
ახვლედიანი ხ. 58, 64, 178, 319, 531.  
ახისკავე ჯაბდულ-ლაჰ ეფენდი 45.  
აჰმედ კეფიკ-ფაშა 106, 433.  
აჰმედი 87—89.  
აჰმედ ფაშა (აქარის შირშირანი) 524.  
აჰმედ ფერიდუნ-ბეი 81.  
ბაბა იბრაჰიმ ფაშა 18.  
ბაგრატ II 419.  
ბაგრატ III 335, 419.  
ბაგრატ IV 305, 419, 437.  
ბაგრატ მეფე 277.  
ბაგრატ კურაპალატი 349.  
ბაგრატ არტანუჭელი 528.  
ბალახაძე სოსო 360.  
ბარათაშვილი ი. 443.  
ბარათაშვილი ლატიფშა 98.  
ბართოლოდი ე. 43.  
ბარკალაი ა. 84.  
ბასილ ზარზმელი 24, 34, 63, 92, 101, 111, 113, 116, 172.  
ბატატა ამზიას ძე 402.  
ბაქრაძე დიმიტრი 31, 60, 94, 104, 105, 122, 132, 135, 140, 144, 186, 205—208, 221, 247, 250, 361, 390, 411, 433, 438, 442, 444, 446, 453, 455, 457, 458, 460—463, 470, 473, 474, 483, 489, 490, 491, 496, 524, 578, 581, 597.  
ბელანისშვილი იასონ 414.  
ბერიძე ვახტანგ 59, 109, 120, 126, 130, 140, 154, 156, 208, 217, 226, 231, 469, 480, 489.  
ბერიძე გერი 183.  
ბექა 67, 595.  
ბექირ-ალა თაჟულლი-ოღლი 244.  
ბექმენიშვილი ნიკო 3, 26, 31, 34, 40, 46, 53, 54, 80, 83, 89, 127, 135, 190, 278, 283, 286—288, 310, 319, 342, 345, 356, 358, 366, 403, 421, 462, 560.  
ბროსე მარი 56, 58, 64, 66—68, 70, 74, 75, 84, 85, 93, 99, 100, 118, 153, 159, 165, 166, 169, 184, 192, 200, 202, 204, 207, 208, 222, 235, 245, 247, 250, 251, 253, 254, 259, 315, 316, 343, 344, 360, 362, 363,

<sup>1</sup> საძიებლები შეადგინა ჟ. ქაჩიაშვილმა.

- 365, 370—374, 405, 411, 415, 441, 462, 478, 485, 486, 495, 504.
- ბუნიაძე 530.
- ბურჯანაძე შ. 14.
- გაბაშვილი ო. 196, 213, 261, 357, 361—364, 366.
- განი კ. 69, 166, 287, 402.
- გაფრინდაშვილი გივი 262, 373.
- გელაშვილი სოლო პაულეს ძე 483.
- გელდიემინოვი 471.
- გვერდწითელი რუსუდან 261, 263.
- გიორგი (მეფე) 361, 440.
- გიორგი მერჩულე 124, 139, 500, 517.
- გიორგი მთაწმინდელი 130.
- გიორგი ძე ბაგრატიძე 278.
- გოგინა 9.
- გოგუშვილი (უღელი მოქალაქე) 60.
- გოზალიშვილი ლახარე 531.
- გორდლევსკი ელდიმერ 305.
- გრიგოლ ხანძთელი 139, 484.
- გულ-ალ-ოღლი ეილარ (ჰაიდარ)-აღა 325.
- გურანდუხტი 277.
- გურგაძი 403, 531.
- გურგენი (ბაგრატი III მამა) 419.
- გურგენიძე ვასტანე 375.
- გურგენ კურატპალატი 528.
- გურიელი 335.
- ღადაბევი 313, 357.
- ღაღანი 335.
- ღაღი კურატპალატი 419.
- ღაქრანოვი მირზა 355.
- ღაღი 530.
- ღედისიმედი (ქაიხოსრო II ათაბაგის მეუღლე) 385, 456, 502.
- ღეიყი კ. 458.
- ღემეტრე მეფე 501.
- ღიასამიძე ნიკო 178, 188, 247, 248, 253.
- ღოლიძე ისიდორე 263.
- ღურგაროვი ი. გ. 218, 223.
- ღურსუნ-ბეგ სულეიმან-ბეგ ოღლი 99.
- ევთჳმე გრძელი (ბერი) 278.
- ერეკლე I 46, 177, 192.
- ერისთავი ლ. 4.
- ერუშნელი (ეპისკოპოსი) 535.
- ვარაზიშვილი კოკოლა 414.
- ვარაზიშვილი ლაშქარა 414.
- ვარლამოვი პეტრე 198.
- ვახუშტი (ბაგრატიონი) 31, 34, 35, 45, 50, 51, 56, 60, 70, 73, 74, 83, 84, 95, 117, 118, 127, 128, 132, 134—137, 143, 145, 149, 150, 152, 155, 159, 162, 170, 177, 181, 188—191, 195, 197, 199—201, 201, 209, 212, 222, 224, 247, 251—253, 257, 271—274, 276, 277, 279, 280, 282—285, 291, 296, 311, 314, 315, 340, 341, 344, 346, 349, 350, 363, 365, 370, 374, 377, 381, 385, 403, 411, 412, 420, 422, 423, 439, 441, 442, 446, 462, 469, 473—479, 480—488, 490—494, 496, 503, 504, 509, 523, 534, 535, 537, 538, 559, 560, 594.
- ენიმე მესხი 39, 50, 60, 68, 70, 74, 76, 80, 85, 122, 166, 167, 176, 192, 267, 347, 398.
- ზაგურსკი ლ. 45, 63, 70, 106, 212, 300, 301, 311, 319, 365, 374.
- ზარიძე შ. 268.
- ზედგინიძე გ. 178, 181—183, 193, 211, 475.
- ზისერმანი კ. 51, 53—56, 60, 61, 69, 70, 75, 91, 93—95, 97, 102, 105, 107, 113, 115, 119, 122, 124, 126, 127, 131, 137, 138, 141, 142, 153, 155, 157, 158, 168, 171, 173, 174, 182, 184, 185, 190, 195, 201—203, 211, 212, 221, 229, 232, 237, 243, 248, 253, 256, 258, 260, 262, 267, 279, 280, 289, 291, 293, 318, 360, 362, 370—372, 413, 414, 455, 460, 467.
- თამარაშვილი შ. 105.
- თამარ მეფე 162, 348, 361.
- თაყაიშვილი ექვთიმე 29, 32—35, 48, 51, 52, 58, 67, 91, 94, 99, 100, 104, 111, 121, 134, 135, 137, 139, 147, 153, 163, 168, 177, 184, 188, 189, 191, 192, 195, 198, 201, 205—208, 214, 216, 226, 243, 245, 261, 274, 275, 282, 284, 305, 309, 312, 316, 321, 326, 331, 332, 335, 346, 352, 361, 365, 371, 372, 374, 375, 377, 380—382, 385, 392, 395, 398—401, 403—407, 410, 411, 414—419, 426—430, 432, 433, 440, 441, 456, 458, 470, 478, 485, 489, 490, 504, 525, 529, 532—535, 538—540, 551, 552, 559, 551, 562, 564, 566, 568, 570—572, 575—577, 583, 593, 595—597, 599, 600.
- თუმანიანი ოვანეს 362.

- ივან ალექსანდრიჩი (საქართველოს განმგებლის თანამდებობის აღმასრულებელი) 471.
- ივანე ლიპარიტის ძე 419.
- იმნაიშვილი გრიგოლ 483.
- იმნაიშვილი ივანე 197, 442.
- ინსარიძე სტეფანე 182, 183, 193, 211, 220.
- ინგროოყვა პავლე 13, 123—125, 131, 139, 315, 350, 432, 433, 473, 474, 479, 485, 500, 517, 518, 559.
- იოანე ათაბაგი 135.
- იოანე საბანის ძე 24.
- იოვიმე აბესალომ 36.
- იოსელიანი პლატონ 266.
- ირაკლი II—იხ. ერეკლე II.
- ისარლიშვილი ლუკა (ისარლოვი) 89, 159, 261.
- ისკანდაროვი ალჟან 200.
- კვაჭაძე სარგის 21, 44, 80, 489.
- კანანოვი (ვეშაშელე) 294.
- კანანოვი ანა 297.
- კარატევეი 87.
- კასრაძე ნადია 3.
- კახიძევი—იხ. ქაჩხუივი.
- კეკელიძე კორნელი 23, 24, 34, 63, 92, 101, 102, 111, 116, 129, 172, 197, 223, 440.
- კეცხოველი გიორგი 472.
- კეცხოველი ნიკო 267, 293, 353, 597.
- კილაუზ კასიმი 69, 80.
- კონსტანტინე მეფე 30.
- კობტონაშვილი ვ. 32, 196, 217, 252, 272, 275, 309, 342, 344, 347, 379, 380, 384, 387, 392, 400, 406, 412, 415, 417.
- კოსტანაშვილი მოსე 269.
- კოხი კარლო 561.
- ლაზაროვი გირაგე (კირიაკე) 293.
- ლალა-მუსტაფა-ფაშა 147, 404, 426, 427, 470 490.
- ლაშა გიორგი 501.
- ლევტი-ოლი დავრიში 184.
- ლეონიძე გიორგი 490.
- ლეონტი შროველი 149, 150, 162, 501.
- ლიპარიტი 277, 419.
- ლიპარიტ ქვეშელი 278.
- ლობაჩევი ნ. პ. 7.
- ლომდარიძე ალექსანდრე 313.
- ლომოური თ. 31, 34, 83, 135, 403, 462, 560.
- ლომსაძე ნ. 202, 251.
- ლომსაძე შ. 354.
- ლუკას ქაიხოსრო 7.
- მაზნიაშვილი პ. 145, 207, 245, 248, 252, 254, 255, 258—260, 264, 265, 267, 270, 279, 280, 285, 293, 294, 297, 300, 301, 312, 314, 354, 373.
- მაისურაძე ილია 39, 86, 178, 191, 192, 213, 220.
- მაისურაძე შიო 360.
- მაკალათია სერგი 39, 52, 58, 173, 178, 182, 196, 201 214, 216, 239, 242, 244—246, 249, 253, 257, 259, 269, 272, 273, 275, 276, 289, 291, 296, 311, 335, 455, 495.
- მაკარ ანტიოქიელი 81.
- მამირვანის სანჯაყბეგი 18.
- მანასე ზაქარიას ძე 402.
- მანველიშვილი ანტონ 76, 90.
- მანუჩარ ათაბაგი 73.
- მანუჩარ ქაიხოსროს ძე 502.
- მარი ნიკო 25, 29, 30, 31, 58, 96, 105, 125, 143, 162, 163, 383, 438, 458, 507, 518, 532.
- მანუჩერელი 277.
- მაჰმუდი (სულთანი) 325.
- მაჰმუდ ჩაუში 537.
- მეგრელიძე ი. 253.
- მეიდან-ბეგი 86.
- მელიქიძე ეკატერინე 192.
- მელიქსეთ-ბეგი ლეონ 26, 32, 80, 251, 281, 285, 347, 348, 350—352, 361, 362, 397.
- მელიქსედეჟ (მეფე) 274.
- მელქოა ზუციშვილი 80.
- მენაბდე ლევან 278.
- მერაბიშვილი კ. 84.
- მერაბიშვილი მ. 80, 86, 90, 106.
- მესხია შოთა 549.
- მეტრეველი ელო 223.
- მეფისოვი პოლოს 122.
- მეჭენდაროვი 186.
- მეჭედ-ბეგ-ოლი დურსუნ-ბეგი 266.
- მეჭედ-ბეგ-ოლი სულეიმან-ბეგი 257.
- მეჭედ-ემინ-ბეგი 87—89.
- მირდატ ვახტანგის ძე 414.
- მოსე მუსხელი 181.
- მოსეშვილი ს. 178.
- მოსე ხონელი 96.
- მუთი-ბეგი 307, 367.
- მუსტაფა 18.
- მუსტო ალიბეგოლი 184.
- მუსხელიშვილი ლ. 67, 69, 261, 365, 441, 461.
- მუტაფოვი სიმონ 355.
- მუტაფოვი ყაზარ 355.

- ნაზაროვი თათეოზ 87.  
 ნაზაროვი ოლანჯან 193, 194.  
 ნათაძე გ. 80.  
 ნათენაძე შ. 366.  
 ნათენაძე ნიკო 93, 96, 98, 100, 106, 114, 135, 178, 189, 191, 193, 203, 228, 229, 244, 251, 257, 260, 263, 301, 310, 314, 336, 354, 356, 358, 362, 366, 367, 372, 373.  
 ნეპოერძე ი. 58, 64, 72, 93, 122, 165, 178, 319, 331, 334.  
 ნიკოლაი პავლოვიჩი (მეფე) 58.  
 ნიორაძე გიორგი 131, 132, 144, 487.  
 ნოზაძე ლიდა 494.  
 ნოლაიძელი ქ. 484.  
 ნუცმან-ბეგი 87—89.
- ოგარევი, ივაროვი (პოლოლოკოენიკი) 11, 12, 17.  
 ოდიშარია კ. 518, 519, 522, 524, 542, 543, 550.  
 ორანსკი (გენერალ-მაიორი) 4, 307.  
 ორბელიანი ვასილი 181.  
 ორბელიანი სულხან-საბა 62, 154, 252, 283, 397, 413, 442, 492.  
 ორბელიანოვი (დეკანოზი) 269.  
 ორჭონიკიძე გრიგოლ (პრაპორშჩიკი) 187, 323—325, 335.
- პაველ კარტიყაშვილი 338.  
 პაპუნა დოლენჯის ძე 9.  
 პასკეიჩი 14, 26, 531.  
 პერეპიოლკინი. 319.  
 პიეოვაროვი 345, 382.  
 პოლოვეკტოვი მიხეილი 80.  
 პორფიროვენტი კ. 405, 440.  
 პოსოშვილი პეტრეს მეუღლე 291, 295.  
 პრიკოფი (VI საუკუნე, ისტორიკოსი) 265.
- ჟორდანია თედო 278, 350.  
 ჟღენტო სერგი 119.
- ჩადე ბ. 107.  
 ჩადლოვი ვ. 386.  
 ჩამაზანი 530.  
 ჩატი (ერისთავთ-ერისთავი) 419.  
 ჩოსტომაშვილი ი. 242, 254, 266, 268, 273, 274, 280, 283, 287, 303, 304, 308—312, 321, 322, 326, 331, 335, 336, 340, 242—345, 347—350, 356, 387—390, 411, 412, 415.
- ჩუსუდან დლოფალი 274.  
 ჩუსუდანი (თმოგველის ქალი) 278.
- სანაკოევი ივანე 287.  
 სარგის მელქის ძე 506.  
 სპაკი (თბოლისის ამირა) 297.  
 სენ-მარტენი 43, 304, 305.  
 სერაიონ ზარზმელი 23, 24, 34, 63, 92, 111, 115—118, 172, 440.  
 სიმონ მეფის ასული 73.  
 სინაქსაროვი ათანასი ივანჩი 463.  
 სმირნოვი ვ. 30.  
 სტალინი ი. ბ. 118.  
 სუზდალცევა 345, 382.  
 სულა კალშახელი 419.  
 სულიმან-ბეგი 86, 87.  
 სუმბატ დავითის ძე 34, 35, 67, 177, 303, 346, 470, 525, 528—530.  
 სუსანა (დარდალანის ქვრავი) 294.
- ტაბატაძე ევგენე 68, 69, 72, 73, 178, 188, 193, 199, 202, 204, 210, 212, 214—221, 223—225, 227—232, 234—237, 239—241, 244, 247, 248, 251, 252.  
 ტაბატაძე ზაქარია 266.  
 ტერ-აუტეისიანი ს. 391.
- უკრებელიძე კოზმან 205.  
 უეაროვა (გრაფინია) 75, 95, 105, 106, 120, 153, 155, 439, 442—444, 446, 448, 449, 457, 459, 461, 462.  
 უმან-ხანი 275.
- ფამა-ხანუმი (ამეღ-ბეგის მეუღლე) 193, 269.  
 ფარვანა-ბეგი (ხერეთისის მიწრივა) 358.  
 ფარნაუზი 533.  
 ფაშა-ოღლი ამეღი (ხუმრისის მამასახლისი) 293.  
 ფხაკაძე ვ. 115.  
 ფერიდუნ-ბეგი ამეღი 81.  
 ფეჩევი იბრაჰიმ 81, 532.  
 ფრონელი ალ. 52, 64, 66, 73, 74, 90, 102, 126, 129, 179, 185, 250, 260, 361, 375, 418, 435, 436, 438, 442, 444, 446—453, 456, 458—460, 463, 509, 523, 531, 535, 541.  
 ფრაშერი შამს-ედინ სამი—43, 44, 185, 305.  
 ფუთურძე ვლადიმერ 82.

ქაიხოსრო II ათაბაგი 385.  
ქაჩხუივი აყოფ (იაკობ ქაჩხოვეი, ქაჩხოვეი)  
90, 99, 136, 173, 182, 183, 185.  
ქესიმ ქასან-ოღლი (ხუმრისის მამასახლისი)  
293.  
ჭემშ-ოღლი გრიჟორ ტერ-სიმონოვი 87, 88.  
ქრისტე 100.  
ქუთათელაძე ლილი 3.

ლაიმა (ღმერთი) 343.  
ლაშაშიძე რობერტ 61, 76.

ყვარყვარე IV (სამცხის ათაბაგი) 335.  
ყაზბეგი გ. 53, 54, 105.  
ყანდინოვი ივანე 314, 332.  
ყანდინოვი (ყანდინაშვილი) იაკობ 135, 136,  
182, 185, 313.  
ყაუხჩიშვილი სიმონ 31, 35, 69, 121, 168, 173,  
175, 265, 271, 277, 278, 343, 344, 350,  
353, 405, 419, 437, 440, 441, 469, 478,  
479, 496, 497, 501, 533, 559, 560.  
ყიფშიძე ი. 154.  
ყირქესალოვი (ყირქესალიშვილი) სტეფანე  
187, 323—325, 335.  
ყირქესალიშვილი პეტრე 321, 322, 326.  
ყიფიანი სელიმ-ალა 48.  
ყარსის ვილაფთეი 433, 498, 499.

შადიმანოვი მ. 96.  
შაქაძე ოღლი ოსმან 57.  
შანიძე აკაკი 3, 102, 105, 118, 139, 148, 154,  
158, 187, 242, 252, 259, 345, 346, 365, 442,  
497, 560.  
შამს-ედ-დინ სამი—იხ. ფრაშერი შამს-ედ-დინ  
სამი.  
შარიფ ალი-ოღლი 62.  
შარაშიძე გ. 413, 443.  
შატბერაშვილი გ. 250.  
შაჰაზ-ოღლი დურსუნ-ალა 191, 235.  
შერვაშიძე ლ. ა. 7.  
შილდელი ე. 46, 49.  
შილაზაშვილი გ. 244, 246.  
შილაქაძე ივანე 498.  
შოთა რუსთაველი 196, 216, 253, 405.

ჩანჩახ ფალელო 437.  
ჩარუხიევი მ. (ახალციხელი ანტიკვარი) 3.  
ჩელები ევლია 30, 44, 45, 47, 433, 466, 503,  
504.

ჩელები ქათიბ (პაქჩი ხალიფა) 45, 48, 81, 121,  
210, 243, 304, 305, 433, 474, 497—499,  
503, 575.

ჩილუყო მუსტაფა-ალა 463.  
ჩიქობაე არნოლდ 53, 429.  
ჩიქოვანი თეიმურაზი 282.  
ჩიქოვანი მიხეილ 194, 212, 241, 352.  
ჩუბინაშვილი ნ. 276.  
ჩუბინოვი უ. 35, 381, 385, 502.

ცაიშვილი სოლომონ 56, 126, 131, 136, 142.  
ცხაია ს. გ. 401.  
ციცარიშვილი ე. 262.  
ციციანოვი ელიზბარ 52, 137.

წახნელი ისკანდერი 93.  
წერაქუნტელი 293.  
წერეთელი აკაკი 83.  
წერეთელი გიორგი 82, 83.  
წმინდა ნინო 346.

პიკინაძე ზაქარია 68, 69, 86, 89, 242, 243, 461.

ხალიდ იაზიდის ძე 297.  
ხალაფტინი ივანე (მდივანი) 11, 12, 13, 17.  
ხარი[ს]ქ[ა]რ[ა]შვილი სიმონ 213.  
ხერხეულიძე ომან მდივანბეგი 46.  
ხეღირ ფაშა მირზიანი 47.  
ხოჯაენოვი მეღქონ 181, 310, 338, 357.  
ხოჯაენოვი ოპანჩან 463, 464.  
ხურციძე (ჩორჩანელი) 36, 87, 89, 94.

ჯავახიშვილი ივანე 3, 11, 21—24, 26, 28, 29,  
31, 33, 35, 39, 46, 47, 52—54, 61—63, 69,  
75, 82, 92, 94, 97, 116, 118, 122, 125, 129,  
133, 149, 150, 162, 163, 172, 175, 177, 243,  
248, 250, 271, 277, 278, 299, 300, 305, 316,  
343, 346, 349, 350, 363, 370, 376, 387, 404,  
411, 414, 419, 420, 426, 437, 440, 442, 443,  
461, 469, 475—479, 485, 490, 492, 497,  
500, 504, 528, 529, 532, 533, 537, 559, 581.

ჯაფარიშვილი გიორგი 472.  
ჯანაშია სიმონ 26, 46, 288, 345, 501 503.  
ჯანაშვილი მოსე 31, 129, 309, 441.  
ჯაყელი შერვან 440.  
ჯაყელი იოსებ 198.  
ჯუანშერი 414, 415.  
ჯუხრეკაშვილი ჯუსუფ-ალა 463.  
პაქი არუთენ-ალა 463.  
პაქჩი ხალიფა—იხ. ჩელები ქათიბ.

ჰამპერი 43, 127, 151, 209, 210, 304—306, 404, 412, 474, 486, 492, 493, 497, 504.  
 ჰელაგუ ყაენი 529.  
 ჰეგელი 584.  
 ცაბლ-ულ-ლაის ძე აშველი 384.  
 ცაბლინის ძე პასან 524.  
 ცაბლინის ძე ულურღუ 524.  
 ცალი ზაყიში 400.  
 ცალი ფაშა 73.  
 ცატა მუჰამედი 305.

Авалов Георгий 472  
 Авалов Соломон 472  
 Акопов Израил 388  
 Алай-Бек-заде Ариф-Бек 465, 466  
 Александр (Царь имеретинский) 82  
 Алелов Степан 191, 204  
 Асатьянов (поручик) 74, 210  
 Ахмед оглы Ибрагим 108  
 Ахмед оглы Мустафа 108  
 Ахмед оглы Раджаб 108

Бакрадзе Дм. 31, 35, 51, 56, 64, 67, 80,  
 94, 109, 130, 132, 135, 144, 156, 205,  
 217, 221, 230, 313, 316, 361—363,  
 374, 391, 411, 423, 412, 444, 455, 457,  
 461, 462, 470, 473, 477, 479, 481,  
 489, 490, 493, 503, 535, 538, 561,  
 578, 581, 597.

Бердзиншвили М. Д. 22  
 Броссе М. 82  
 Бурцев (генерал) 153, 462.

Варламов Петр 198  
 Вахушти Царевич 149, 206, 401  
 Вейденбаум Е. 126

Ган К. Ф. 115, 158, 166, 212, 215, 240,  
 254, 287, 288, 343, 346, 383, 392, 397,  
 403, 413, 474, 490, 498

Гаприндашвили Г. М. 370, 374  
 Гегель 498, 584  
 Георгий Мерчул 105, 122, 125, 532, 535  
 Гехтман Г. 190  
 Гордлевский В. А. 305

Давранов 355  
 Девинцкий В. 433, 436, 456, 458  
 Демурчев Априам 423  
 Демурчев Сехпен 423  
 Джавахишвили Ал. 190  
 Джанашвили М. Г. 309, 498

Диасамидзе Елна 140  
 Дмитриев Н. К. 45, 159  
 Долидзе В. 42  
 Дурсун-Бек 290  
 Дурсун-Бек Мамуш-оглы 269  
 Дәда-бек 311

Ермолов 472

Жордания Ф. Д. 206

Загурский Л. 45, 64, 70, 107, 122, 133,  
 136, 183, 212, 262, 300, 311, 319,  
 365, 374, 450

Зедгინიძე Ф. 178

Зиссерман К. 52, 54, 56—58, 60, 61, 69,  
 74, 75, 79, 90—93, 97—100, 102, 105,  
 114, 115, 119, 120, 122, 130, 131,  
 137, 138, 141, 146, 153, 155, 157—  
 159, 167—169, 171, 172, 174, 181,  
 185, 203, 215—217, 228, 232, 235,  
 241, 250, 253, 258, 262, 271, 279—  
 281, 283, 292, 293, 300, 334, 363,  
 369, 372, 416, 460, 465, 467

Ибн-Фадлан 9, 26

Исарлов Л. 64, 153, 261

Исмаил-оглы Ибрагим 269

Иоселлани Платон 163, 265, 305, 361, 363

Кадыр-ага 355

Казбек Г. Н. 53, 96, 105, 442

Кандинов Яков 136

Карбелашвили Л. 190

Качхоев Яков 136

Киркесалашвили (Киркесалпшылан) Петр 321

Киржесалов Степан 322, 323

Крачковский И. Ю. 26

Лала-Паша 147

Лихачев Н. П. 8

- Магазаник Д. А. 45, 345, 433, 542  
 Марр Н. Я. 25, 30, 31, 58, 96, 122,  
 125, 162, 163, 383, 392, 406, 484, 507,  
 535, 550, 559  
 Махмед Эмин-Бек 88  
 Меликсет-Бек Л. 348, 352, 403, 405, 492  
 Мзечабук атабек 597  
 Миллер Б. В. 345  
 Муравьев Н. Н. 562  
 Мухелов (полицмейстер) 290  
 Мутафов 355  
 Мутн-бек 307
- Назаров Агаджан 210
- Огарев (подполковник) 12  
 Омар Али Коса-огли 191, 202, 204  
 Орбелианов Иосиф 227, 238,  
 Орбелианов (сын Дада-Беса) 382  
 Ордженикидзе Григорий 322, 323, 388
- Паскевич 311  
 Пантюхов И. 410  
 Петров 472  
 Полиевктов М. 82
- Радде Г. 73, 107, 435, 449, 450, 481, 491  
 Радлов В. 185  
 Ростомов И. Р. 242, 245, 252, 254, 259,  
 266, 268, 273—275, 280, 283, 284,  
 287, 304, 305, 308—310, 316, 321,  
 331, 333, 335, 340, 342, 343,  
 347, 348, 356, 387—389, 415
- Саррапчи-оглы 308  
 Севортян Э. В. 98  
 Смяринов В. Д. 30, 386  
 Стебницкий И. И. 593, 596, 600  
 Сулейман Великий (султан) 382
- Такайшвили Е. С. 32, 60, 67, 102, 104,  
 109, 130, 135, 140, 141, 153, 154, 156,  
 159, 192, 206, 217, 221, 259, 261, 326,  
 335, 374, 376, 394, 395, 489, 496,  
 531, 533, 538, 600.  
 Ткешелашвили Г. И. 366.  
 Торос Тер-Давидов 272
- Уварова (графиня) 56, 58, 67, 75, 84,  
 90, 91, 95, 100, 105, 106, 122, 126,  
 130, 153,—156, 160, 165, 433, 435—  
 437, 446, 450, 455, 457, 462.  
 Успенский Ф. И. 30.  
 Халютин Ив. В. (секретарь) 12, 13  
 Химшиашвили Ахмед-бег 462  
 Чиковани М. 405.  
 Чплингаров Петрос 465, 466.  
 Шакаришвили И. 190.  
 Шанидзе Ак. 144, 288, 345.  
 Шери[ф]-бек Адчарский 534  
 Шмерлинг Рэнэ 42.  
 Эмир-оглы Кютар-Мелик 521.  
 Ата М. 404.  
 Bbinger Fr. 43.  
 Boyer P. 29, 30.  
 Brosset M. 29, 50, 56, 64, 84, 85, 99, 100,  
 118, 153, 155, 156, 184, 195, 204, 207, 211,  
 222, 226, 235, 360, 369, 381.  
 Çelebi Evliyā 42.  
 Çelebi Kātib 42, 45.  
 Deny J. 44, 45, 60, 340, 481, 507, 511, 583,  
 585.  
 Flügel G. 592.  
 Frašeri Šams-od-Din Sāmī 50.  
 Ganība 305.  
 Hammer j. v. 16, 32, 42, 44, 48, 50, 68, 38,  
 121, 243, 304, 306, 404, 466, 474, 497, 499  
 505, 532, 540, 593.  
 Hağgī Chalifa 42.  
 Hegel 498.  
 Hübschmann H. 498.  
 Kiepert H. 596, 599—601.  
 Lamouche Leon 29, 30.  
 Minadoi 305.  
 Pakalin M. Z. 89.



- Redhouse J. W. 89, 185.  
Rieu Ch. 48.
- Saint-Martin M. J. 42, 43, 50, 304.
- Wakhoucht Tsarévitch 50, 85.
- احمد رمزی 45.
81. پچوی
- چلبی اولی: 42, 47, 81, 84, 466, 497, 503,  
504, 532.
- چلبی کاتب 42, 121.
- فراشری سامی ش. 15, 44, 43, 81, 305
45. عبدالله افندی احسنهوی
404. عطا م.
81. فریدون بک
88. نعمان نک میدان بکی سلیمان بکزاده
- 305, 404. هامهر
-

## ბ) გეოგრაფიულ სხეულთა საძიებელი

- აბათუბანი 208.  
 აბათხევი 75.  
 აბასთუბანი, აბასთუმანი, აბასტუმანი, ხაბაზ-  
 თუბანი 103, 155, 162—167 109, 171, 174—  
 176, 491, 593.  
 აბასთუბნის სანჯაყი 56, 157, 170.  
 აბაშის რაიონი 86, 493.  
 აბი, აბლარი 68, 71, 74, 888, 357.  
 აბქალთა (?) 148.  
 აბლარი—იხ. აბი.  
 აბული 328, 331, 882—334.  
 აბუსარი (?) 598.  
 აგანა 270, 271, 276, 279, 280, 290.  
 აგარა 22, 58, 54, 59, 120, 127, 137, 138, 141,  
 142, 146, 148, 150, 185, 200, 201, 212,  
 216, 218, 220, 220, 227, 230, 232, 234,  
 240, 366, 871 — 373, 377, 448, 510.  
 აგარაყი—იხ. აკრაყი.  
 აგარის სასოფლო საბჭო 137, 138, 140, 371—  
 373.  
 აგირდგოში 571, 573.  
 ადაბუქი 161.  
 ადაგული 518.  
 ადიგენი 9, 85, 87, 94, 101, 103, 104, 108—  
 110, 120, 160, 161, 170, 313.  
 ადიგენის რაიონი 34, 40, 61, 70, 84, 85, 89,  
 91—95, 97, 100, 101, 103, 114—116, 119,  
 154, 155, 157, 158, 167, 168, 171—174,  
 216, 432, 445.  
 ადიგენის სასოფლო საბჭო 103, 108, 160, 161.  
 აიზანა 104, 808, 437.  
 აქალა 568.  
 აჯბერი—იხ. ამბერი.  
 აზერეთი 266, 277, 282—285, 297.  
 აზერეთის სასოფლო საბჭო 277, 283, 285,  
 297.  
 აზერბაიჯანი 443  
 აზმანა 308—310, 882, 337, 357, 360.  
 აზღურ—იხ. აწყური.  
 ათონის მონასტერი 349.  
 აიანზა 288.  
 აკამეთი 520.  
 აკ-გაოლუ (თეთრი ტბა) 578.  
 აკ-თოფრაყი 598, 602.  
 აკრაყი, აქარაყი, აგარაყი 508, 569, 571.  
 აკფინარი—იხ. აკფუნარი.  
 აკფუნარი, აკფინარი, თეთრი წყარო 527, 578:  
 აკშეჰირი— იხ. ახალქალაქი.  
 აკშეჰირის (ახალქალაქის, ახშარის) ნაიძე  
 11, 74, 281, 803, 306, 307, 313, 318, 328,  
 338, 343, 355, 359, 363, 389, 390, 424, 553.  
 აკშეჰირის ციხის რაბათი 808, 307—308, 364,  
 357.  
 აქჩაკალყე—იხ. ახალქალაქი.  
 ალი 457, 468, 459.  
 ალაბალა (ზემო, პატარა) 508, 512, 513,  
 516, 510.  
 ალაგი, ალაგური 808.  
 ალაგური—იხ. ალაგი.  
 ალათუბანი, ალაისუბანი, ალათუმანი 271,  
 276, 278, 280, 283, 292.  
 ალათუმანი—იხ. ალათუბანი.  
 ალაისუბანი—იხ. ალათუბანი.  
 ალანთა 296.  
 ალანძა—იხ. ალანძია  
 ალანძია, ალანძა 245, 254, 255, 258, 260, 300:  
 ალაქაქილისა 520, 521.  
 ალბუტი 385, 392, 401.  
 ალვადი 271.  
 ალვანა (?) 407.  
 ალთუნჯალყა, ოქროს ციხე 32, 153, 155,  
 205, 402.  
 ალთუნჯალყას ნაიძე 11, 115, 168: 155, 226,  
 313,

- ილუნუკალკას რაბათი, შოყა (მეორე სახელი) 7, 168, 154, 205.  
 ალიოსმანი 647.  
 აღის ეკლესია 544.  
 ალბაბლიკ სუ 593.  
 ალმალი—იხ. ილმალუ.  
 ალმალუ, ალმალი 860.  
 ალმონა, ალმუნა 621.  
 ალმუნა—იხ. ალმონა.  
 ალასტანი (ზემო, ქვემო) 267, 274, 275, 281, 282, 285, 290, 291.  
 ალასტნის სასოფლო საბჭო 267, 275, 281.  
 ალუსიცხე—იხ. არყისციხე.  
 ალჭა 248, 244, 250, 251, 254, 261.  
 ამალღებანი (?) 64, 65.  
 ამალღების სვეტი 276.  
 ამბროლაურის რაიონი 53.  
 აწერის შვერთებელი შტატები 190.  
 აბირლი 595.  
 ამფური 872, 373, 375.  
 ამხა 80, 100.  
 ამხერი, ავხერი 93, 88.  
 ანაეთი 262, 361, 802, 363, 367, 372, 374.  
 ანანურწმინდა (?) 166.  
 ანალუკა 250.  
 ანბარაკი 505, 518.  
 ანდა 211, 212, 221, 227.  
 ანდროპოპოლი 36.  
 ანდრიანწმინდა 72, 211, 212, 215, 217, 219 221, 225, 227, 229, 266.  
 ანი 80, 57.  
 ანისი 30.  
 ახუშირუანი 624, 525.  
 ანძავი 571, 596, 598, 599.  
 ანძავეის ნაპიჯე 595, 597—600, 602.  
 ანძავეის წყლის ხეობა 571.  
 არავალ||არავილი—იხ. არაქალი.  
 არავენი (?) 399.  
 არავეა, არუგ 267, 288—270, 281, 283, 318, 358.  
 არავეენი—იხ. არაკონი (?).  
 არავეი 492.  
 არავეის სასოფლო საბჭო 268, 283, 286, 313, 315, 318, 358.  
 არაგონი—იხ. არაკონი (?).  
 არაკალი—იხ. არაქალი.  
 არაკონი (?), არავეენი, არაკონი 818, 337.  
 არალი 84, 87, 88, 90, 88, 94, 97, 122, 178.  
 არაქალები—იხ. არაქალი.  
 არაქალი (დიდი, პატარა), არაქალები, ირკან, ირგან, არავალ||არავილი, არაკალი 328, 329, 898, 340.  
 არდავანი—იხ. არტანი.  
 არდავანის ოლქი 531.  
 არდანა, არდანაე 510, 519.  
 არდანაე—იხ. არდანა.  
 არდაპანი—იხ. არტანი.  
 არდვილი 601.  
 არდისევი 137.  
 არზენი—იხ. არძენი.  
 არზრუმი, არზრუმი 26, 28, 40, 72, 286, 309, 313, 321, 326, 327, 331, 340, 344, 354, 381, 387, 388, 412, 415, 421, 424, 594, 595.  
 არზრუმი—იხ. არზრუმი.  
 არილა (ზემო, ქვემო) 456, 482.  
 არისკა—იხ. არციკა.  
 არმაშენი 602, 563.  
 არსად'ის ნაპიჯე 597.  
 არსენაკი (ზემო, შუა, ქვემო) 808, 367.  
 არსიანის შოა 432, 440, 501, 502, 535.  
 არსიკა—იხ. არციკა.  
 არტანი, არტანისი, არტანი, არტაპანი, არდაპანი, არდაგანი 331, 412, 433, 498—498, 501, 503, 504, 508, 515, 516, 520—522, 524, 525, 529, 531.—535, 538, 543, 545, 546, 550, 551, 561—566, 568—573, 576—579, 583—590.  
 არტანის (დიდი არტანი) ლევა (საწყაი) 11, 38, 41, 85, 313, 319, 399, 430—432, 439, 463, 496, 498—503, 507, 509, 510, 515, 518, 520, 523, 526, 528, 530, 550, 552, 553, 558, 584, 587, 598.  
 არტანი კარა—504.  
 არტანი პატარა 498, 499.  
 არტანის ოკრუგი 433.  
 არტანის ოლქი 38, 504, 505, 519.  
 არტანის საბოქაულო 433.  
 არტანი—ტაო 16, 23.  
 არტანის ციხე 521.  
 არტანის წყალი—იხ. მტკვარა.  
 არტაპანი—იხ. არტანი.  
 არტანი—იხ. არტანი.  
 არტანისი —იხ. არტანი.  
 არტანის-ქევი 529.  
 არტანუჯი 106, 502.  
 არტახი 880, 370, 374—377.

- არტნის სასოფლო საბჭო 496.  
 არფა-გროლი 306.  
 არფა-ჩაი—იხ. ახურიანი.  
 არყისციხე, არხისციხე, ალყისციხე 88, 69, 80, 459, 460.  
 არყნალი 450.  
 არჩათუბანი, არკათუბანი 200.  
 არტია, არსია, არსიკა 208, 264.  
 არძენე, არზნე 107, 113, 158.  
 არხისციხე—იხ. არყისციხე.  
 არჯანა 61, 74, 75, 80.  
 არჯული 78, 215, 227.  
 ასითაბალაურ 465.  
 ასკილვანი 187.  
 ასკუნდრია—იხ. ისკუნდრიეს (?) ტბა.  
 ასპანა 347, 348, 352.  
 ასპანაური—იხ. ოსპანაური.  
 ასპინძა, ასპინძის ციხის რაბათი 38, 177, 178, 185, 188, 191, 192, 195, 198, 200—202, 348, 352.  
 ასპინძის ნაიძე 177, 211, 281, 309, 408, 482.  
 ასპინძის რაიონი 11, 40, 54, 100, 155, 177, 180, 181, 184, 185, 188, 190, 193, 194, 196, 199, 202, 205, 237, 243, 245, 248—250, 253, 254, 256, 257, 259—262, 264, 281, 289, 314, 361, 362, 368, 369, 371—375, 422, 432, 482.  
 ასპინძის სასოფლო საბჭო 177, 185.  
 ასპინძის ციხე 200.  
 ასპინძის ციხის რაბათი—იხ. ასპინძა.  
 ასპინძის-წყალი 186, 201, 205.  
 ასპინძის ქვეი 177, 195, 201, 204, 207.  
 ასფარა 319, 348, 861, 352.  
 აფეთი (დიდი, პატარა) 103, 112—115, 117.  
 აფნია 300, 357, 360, 364, 366.  
 აფხაზეთი 221.  
 აფხუ(?)წყარო 461.  
 აქარაქი—იხ. აკრაიკი  
 აქურელ (?) 446, 447.  
 აღვანიჭი 800.  
 აღზურ — იხ. აწყური.  
 აღნდირი—იხ. აღენდირი.  
 აღისხა—იხ. ახალციხე.  
 აღუნდირი, აღუნდირი 570, 580.  
 აღყაყალა, თეთრი ციხე 32, 380, 383, 385, 382, 393, 395, 396, 399—401, 531, 640.  
 აჩიკბაში—იხ. ბაშიჩიკი.  
 აძვიტა. აწყვეტი, აწყუტა 245, 248, 249, 253, 254, 258, 260.  
 აძვეტის სასოფლო საბჭო 249, 253.  
 აწყვეტი—იხ. აწყური.  
 აწყვიტა—იხ. აძვეტა.  
 აწყუტა—იხ. აწყური.  
 აწყუტყრი—იხ. აწყური.  
 აწყური, აწყვეტი, აწყუტა, აწყუტყრი, აზღური, აღზურ აწყურის ციხის რაბათი 60, 121, 122, 125—127, 130, 140, 145—148, 212, 288, 477, 502, 540.  
 აწყურის რაიონი (ნაიძე) 11, 22, 51, 54, 121, 129, 130, 134—136, 141, 150, 152, 164.  
 აწყურის სანჯაყი 136, 152.  
 აწყურის სასოფლო საბჭო 125, 126, 130, 137.  
 აწყურის ციხის რაბათი—იხ. აწყური.  
 აწყუტა—იხ. აძვეტა.  
 აქარა 82, 102, 221, 432, 440, 498.  
 აქარა-იმერეთი 144.  
 აქარისწყლის ხეობა 190.  
 ახა 593—595.  
 ახალდაბა 128, 212, 216, 220, 226, 227, 230—232, 240, 481, 485, 486, 487, 493.  
 ახალდაბა (პატარა) 486, 493.  
 ახალდაბის სასოფლო საბჭო 485, 486, 493.  
 ახალკეთი 22, 230.  
 ახალსოფელი—იხ. ახტილა.  
 ახალქალაქი, ახალქელექ, ახგლქელექ, აქარაკალბე, აკშეპირი, ახშარბი 16, 177, 241, 245, 249, 252, 268, 273, 274, 275, 280, 287, 303, 304—309, 312, 318, 319, 321, 329, 331, 332, 335, 340, 343, 344, 348, 353, 356, 357, 360, 364, 387, 388, 412, 415.  
 ახალქალაქის ლივა (სანჯაყი) 36, 54, 74, 308—305—307, 313, 320, 324, 359, 360, 369, 388—390, 424, 553.  
 ახალქალაქის შაზრა 51, 254, 275, 296, 319, 331, 379, 384, 412, 415, 417, 531.  
 ახალქალაქის რაბათი 306, 307.  
 ახალქალაქის რაიონი 40, 244, 247, 252, 267—271, 273, 275—279, 281, 283, 285—287, 297, 309—311, 317, 319, 320, 328, 329, 331—334, 357, 358, 360, 411, 413, 415, 416, 423—425.  
 ახალქალაქის საქალაქო საბჭო 252, 320, 329—331, 335.  
 ახალქალაქის წყალი 274.  
 ახალქელექ—იხ. ახალქალაქი.  
 ახალშენი, ახაშენი 85, 100, 109, 110, 182, 184, 185, 202, 521, 533, 686, 541 542, 552.

- ახალიციხე, ახელცხა, ახისხა, აღსიხა, ახგსხა, ახგსკა 4, 16, 26, 29, 37, 42, 43—50, 52, 53, 55—58, 60, 61, 63, 65—67, 74, 89, 97, 99, 105, 118, 122, 124, 126, 134, 135, 137, 138, 144, 146, 151, 153, 165, 171, 173, 177, 184, 185, 191, 196, 198, 203, 215, 217, 221, 222, 224, 225, 230, 234, 235, 243, 262, 279, 283, 300, 303, 360, 371, 372, 385, 394, 395, 398, 413, 414, 459, 461, 466, 504, 531.
- ახალიციხე-აკარის ქედი 56.
- ახალიციხის ვილაჟეთი 48, 433.
- ახალიციხის ლივა (სანჯაყი) 11, 17, 42, 51, 52, 54, 61, 67, 68, 78, 79, 84, 88, 105, 111, 118, 121, 132, 135, 150, 168, 192, 174, 177, 200, 460, 467, 492, 502, 558, 603.
- ახალიციხის მაზრა 125, 247, 432, 450.
- ახალიციხის რაიონი 34, 40, 50, 52, 53, 55—58, 60, 63, 67, 71, 72, 75, 78, 79, 118, 122, 124—126, 130, 132, 136, 137, 140, 142, 160, 212, 214, 215, 217, 219—221, 224, 226, 227, 230—232, 234, 240, 266, 432, 465, 456, 473.
- ახალიციხის საფაშო 4, 11—14, 27, 36, 37, 88, 136, 307, 323, 324, 455.
- ახალიციხის ციხის რაბათი 42, 49, 502.
- ახალიციხის წყალი (მდ.) 49, 73.
- ახას ნაპიჯე 594, 600.
- ახილა—იხ. ახტილა.
- ახელცხა—იხ. ახალიციხე.
- ახგსკა—იხ. ახალიციხე.
- ახგსხა—იხ. ახალიციხე.
- ახგლქელექი—იხ. ახალქალაქი.
- ახისხა—იხ. ახალიციხე.
- ახტილა, ახილა, ახალსოფელი, გენიქბი, ენგიქევი, იენგი-ქოე, ენგიქევი, 181, 182, 218—220, 222, 223—225, 231, 456, 543, 556.
- ახურიანი (მდ.) 30.
- ახშარი—იხ. ახალქალაქი.
- ახჩია—360, 871—373.
- ბაგრატათუბანი, ბაღრატათუბანი 298, 300.
- ბაგრატური 450.
- ბადელა 188, 460.
- ბადელის წყალი (მდ.) 22, 446.
- ბაერა 240, 252, 319, 881, 334, 531.
- ბაზმანა 455, 456.
- ბათუმის რაიონი 53.
- ბაქულიანის მთა—იხ. ბაქურიანის მთა.
- ბაქურიანი 483, 494.
- ბაქურიანის (ბაქულიანის) მთა 490, 493.
- ბაქურიანის საღაბო საბჭო 494.
- ბაქურიანის წყალი 493.
- ბალანთა 139, 288, 292, 295, 296.
- ბალის სოფელი 159.
- ბალნარი—იხ. ბენარა.
- ბალხო 269, 273.
- ბანა—იხ. ფანაქი.
- ბანაკი—იხ. ფანაქი.
- ბანისწყალი 568.
- ბანისწყლის ჭეობა 576.
- ბაქანო—იხ. ბოქანო.
- ბარალეთი, ბარალისი 243, 267—270, 278, 275, 277, 278, 286, 292.
- ბარალეთის სასოფლო საბჭო 269, 270, 273, 278.
- ბარალეთისწყალი (მდ.) 273, 274, 284.
- ბარალი (ზემო პატარა, შუა დიდი, ქვემო) 71—73, 79, 80.
- ბარალისი—იხ. ბარალეთი.
- ბარდიკი (?) 672.
- ბარდუსი, ბერდუსი, პერტუსი 586, 594, 596, 598.
- ბარდუსის ნაპიჯე 592, 596—602.
- ბარდუსის წყალი 564.
- ბარიქი (?), თარიქი, ფარიქი 602, 564, 578.
- ბარნაქი (?)—იხ. ფარნაქი.
- ბარძიშის მთა 346.
- ბასილის სოფელი—იხ. ლენისწყარო.
- ბასილქშიი (ბასილის სოფელი)—იხ. ლენისწყარო.
- ბატკანა—იხ. პატკანანი.
- ბაღდადი 500, 520, 521.
- ბაღისკალა 583, 583.
- ბაღრატათუბანი—იხ. ბაგრატათუბანი.
- ბაშაჩიკი—იხ. ბაშაჩიკი.
- ბაშაჩუხი—იხ. ბაშაჩიკი.
- ბაშაჩიკი, ბაშაჩუქი, ბაშაჩიკი, ბაშაჩუხი, აჩიკბაში 80—83.
- ბაშაჩუქი—იხ. ბაშაჩიკი.
- ბაშქევი (?) 379.
- ბებერეგ—იხ. ბებერევი.
- ბებერევი, ბებერეკ, ბებერეგ 505, 506, 518, 519.
- ბებერეკი—იხ. ბებერევი.
- ბებერაბათუნი 640, 557.
- ბედულაშენი—იხ. ბედულაშენი (?).

- ბედუელაშენი (?), ბედუელაშენი 280, 359.  
 ბეზოხ—იხ. ბუზავეთი.  
 ბეზიონი—იხ. ბუზავეთი.  
 ბეთლემი 189, 190, 205.  
 ბეთლექემი 190.  
 ბელნარა, ბენარა, ბალნარი, 61, 155, 157, 158, 159, 172.  
 ბენარა—იხ. ბელნარა.  
 ბენდენოხვარდი (?) 564.  
 ბეჯანო—იხ. ბოჯანო.  
 ბგრაღისა (?) 462.  
 ბგრდახვარ (?) 589, 540.  
 ბერდაგული 508.  
 ბერდიათუბანი 224, 225.  
 ბერდუსი—იხ. პარდუსი.  
 ბერეკაქანთუბანი(?), ბერეკითუბანი 127, 128, 152.  
 ბერეკითუბანი—იხ. ბერეკაქანთუბანი(?).  
 ბერთაყანი 262, 361, 362.  
 ბგლეთი 495.  
 ბზავეთი—იხ. ბუზავეთი.  
 ბიგთი (დიდი, პატარა). ტბეთ 139—141, 150.  
 ბილაჯორი 595.  
 ბლორძა 122—125.  
 ბნგლა—იხ. ბნგლა.  
 ბხალა, ბნგლა, ბნგლე, ბნგლო 245, 263—255, 258, 260, 261.  
 ბნგლგ—იხ. ბნგლა.  
 ბნგლო—იხ. ბნგლა.  
 ბობღიყან—იხ. ვლადიმიროვკა.  
 ბობზა 52.  
 ბოგა, ბოლა 52, 53, 55, 58, 63, 71, 80, 132, 191, 235.  
 ბოგდნოვეკა (ყოფ. ხოჯაბეგი) 34, 338, 353, 420.  
 ბოგდნოვეკის რაიონი 34, 40, 312, 320, 328, 329, 331, 332, 337, 339, 340, 342—344, 348, 351—354, 422.  
 ბოლოკლგ, ბოლაკლგ 166, 187, 478.  
 ბოვისწყარო, ბუისწყარო, ბოზლარა 188, 187.  
 ბოზალი 416, 423, 424.  
 ბოზლარა—იხ. ბოვისწყარო.  
 ბოიუქ-გიუენი 461.  
 ბოლაჯური—იხ. ბოლაჯური.  
 ბოლაჯური, ბოლაჯური, ბოლაჯური 87, 88, 89, 91, 154, 158, 354.  
 ბოლაჯურის სსოფლო საბჭო 91, 154, 158.  
 ბოლაჯური—იხ. ბოლაჯური.  
 ბოლოღის მთა 346.  
 ბოჯანო, ბეჯანო, ბაჯანო, ფოჯანო 271, 272, 276, 277, 279, 280, 283—285, 292.  
 ბორბოლა (მღ.) 67, 71.  
 ბორეა, ბურეა 374.  
 ბორქი (ზემო, ქვემო) 533, 536, 536.  
 ბორიონი 64.  
 ბორჩალო 597.  
 ბორჩალოს მანზრა 387.  
 ბორჩხა 45, 46, 214, 542, 545.  
 ბორჯომი 144, 221, 222, 474, 477, 480, 487, 490, 491.  
 ბორჯომის რაიონი 40, 127, 129, 130, 145, 288, 292, 296, 319, 478, 480, 483—486, 492—494.  
 ბორჯომის საქალაქო საბჭო 475, 477, 490.  
 ბორჯომისწყალი 222.  
 ბორჯომის-ქვეი 222.  
 ბორჯომის ხეობა, თორის ხეობა 17, 36, 112, 131, 266, 375, 469—473, 478—481, 483, 493, 495.  
 ბოსელეთი—იხ. ფესლეთი.  
 ბოსელთა—იხ. ბუსელთა.  
 ბოსელთავე—იხ. ბუსელთა.  
 ბოსთანი (?) 288.  
 ბოჭთა (ზემო, ქვემო) 100, 200, 203.  
 ბრეთი 471.  
 ბუბლოკამი—იხ. ვლადიმიროვკა.  
 ბუზავეთი, ბზავეთი, ბეზიონ, ბეზონ 328, 331, 888, 334.  
 ბუზათუბანი(?) 408.  
 ბუზალა 416, 420.  
 ბუზმარეთი (ზემო, შუა, ქვემო) 298—302.  
 ბუზმარეთის ნაიბე 11, 208.  
 ბუისწყარო—იხ. ბოვისწყარო.  
 ბულბულისციხე 495.  
 ბუნაშეთი—იხ. ბურნაშეთი.  
 ბურდოსანი (დიდი, პატარა) 596, 562, 553.  
 ბურეა—იხ. ბორეა.  
 ბურნაშეთი, ბუნაშეთი, ბუშათი 277, 283, 284, 285, 291, 294, 297.  
 ბურნაშეთის ხევი 284.  
 ბუსელთა, ბოსელთა, ბოსელთავე 142, 143.  
 ბულაშენი 252, 269, 270, 273.  
 ბუშათი—იხ. ბურნაშეთი.  
 გაგვი—იხ. ლაღვი.  
 გაეაშენი 310, 311.  
 გავეთი 369, 370, 374, 375.

- გალატა (სტამბოლის უბანი) 30.  
 განძა, განძანი 146, 203, 296, 326, 340, 342, 343, 344, 395, 396.  
 განძანი—იხ. განძა.  
 განძის სასოფლო საბჭო 343, 344.  
 გარაშენი—იხ. გერაშენი.  
 გარდივამი—იხ. კარტიკამი.  
 გარლოღისი (?) 572.  
 გარჯიო—იხ. კარჯიო.  
 გასადინი 344.  
 გასპარა 348, 352.  
 გაჩიანი (?) 428.  
 გელაქანთუბანი, გელათუბანი, გელასუბანი 128, 136.  
 გელაზორი (ზემო, ქვემო) 512, 516, 519.  
 გელათენი (?) 404.  
 გელათუბანი — იხ. გელაქანთუბანი.  
 გელასუბანი — იხ. გელაქანთუბანი.  
 გელთუბანი — იხ. კალთუბანი.  
 გელსუნდა 245, 250, 254, 287, 258, 260, 262.  
 გელციხა (?) მგლისხევი 870, 371.  
 გერაშენი, გარაშენი, გირაშენი 379, 380, 406, 408.  
 გესმალი 583—585, 594.  
 გეჭი, ქეჭი, 538.  
 გეალი 570.  
 გემბ-ბალი (ლურჯი შთა) 379, 387, 412.  
 გუდამეთი — იხ. გუდანეთი.  
 გურგელი, გურქელი, ქურგელი, კურგელი 548.  
 გირაშენი — იხ. გერაშენი.  
 გიორგეთის-ციხე — იხ. გორგათუბანი (?).  
 გიორგეთუბანი — იხ. გორგათუბანი (?).  
 გიორგიტუბანი — იხ. გორგათუბანი (?).  
 გიორგისი — იხ. გორგისი.  
 გიორგისუბანი, გორგისუბანი 408, 445.  
 გიორგისწინდა, გოგარწინდა 27, 135, 137, 142, 148, 512, 216, 220, 226, 227, 230, 232, 270, 326, 307, 368.  
 გობი — იხ. კობი.  
 გოგათუბანი — იხ. გოგეთუბანი.  
 გოგაშენი 22, 309, 310, 357, 360, 804, 366, 528, 526.  
 გოგაშენის სასოფლო საბჭო 309, 357, 364.  
 გოგეთუბანი, გოგოტუბანი, გოგათუბანი, კოკათუბანი, გოქათუბანი, ქოქათუბანი 55, 56, 85, 66, 77, 228.  
 გოგოტუბანი — იხ. გორგეთუბანი.  
 გოგოსუბანი 484.  
 გოგჩა 30.  
 გოდერზ — იხ. გოდერძი.  
 გოდერძი, გოდერზ 96, 106, 111, 112.  
 გოდერძის უღელტეხილი 102.  
 გოკია 27, 200, 267, 270, 274, 275, 281, 291, 294, 295.  
 გოკიის მდინარე — იხ. გოკიისწყალი.  
 გოკიისწყალი (გოკიის მდინარე) 267, 274, 275, 280.  
 გოლემირაზუბანი (?) 127, 128.  
 გოლისანი — იხ. გულისანი.  
 გომანი — იხ. გომი.  
 გომარლისუბანი, გომართისუბანი 476.  
 გომარეთი, გომართა 476.  
 გომართა — იხ. გომარეთი.  
 გომართისუბანი — იხ. გომარლისუბანი.  
 გომარო — იხ. გომაროტი.  
 გომაროდ — იხ. გომაროტი.  
 გომაროტი, გომაროდ, გომარო 82.  
 გომი (დიდი, პატარა), გომანი 245, 246, 248, 256, 259, 268, 283, 317, 318, 358, 378, 377, 562.  
 გომი ძველი 857.  
 გომისჩქარი 317.  
 გომნა 477.  
 გომნტეხები 317.  
 გომქაშეთი 585.  
 გონდრიო (დიდი, პატარა) 337, 422.  
 გონდრიოს სასოფლო საბჭო 337, 422.  
 გონჯას (?) ხეობა 228.  
 გორა, გორი 108, 173, 174, 505, 506.  
 გორაჯვარი (?) 464.  
 გორგათის ციხე (?) — იხ. გორგათუბანი (?).  
 გორგათუბანი (?), გორგათის ციხე (?), გიორგეთუბანი, გიორგეთის ციხე, გორგითუბანი, გურგეთციხე 178.  
 გორგამლაშე 106.  
 გორგეთუბანი, მეორე სახელი ხაჩათუბანი, გოგოტუბანი 287.  
 გორგისი, გიორგისი 594.  
 გორგისუბანი — იხ. გიორგისუბანი.  
 გორგული 107, 108, 120, 160, 161.  
 გორგოლუკა 34, 349.  
 გორვერანი (?) 885, 386.  
 გორი — იხ. გორა.  
 გორისთავი (?), კორისთავი, ქორისთავი 479.  
 გორის-შელა 872.  
 გორმაყე — იხ. ლაურმეკი (?).  
 გორჩქარი 187.  
 გორჩამალ 456.

- ეოქა 878.  
 ეოქათუბანი — იხ. გოგეთუბანი.  
 გრკ-ქილისა 594, 595.  
 გრია—იხ. გრიალი.  
 გრიალი, გრია 147, 270, 280, 370.  
 გუგუბა 430, 530, 532, 533, 538.  
 გუგუნური 103.  
 გუდათუბანი — იხ. გუდათუბანი.  
 გუდათუბანი, გუდათუბანი 164.  
 გუდანეთი (დიდი), გუდამეთი 556, 557.  
 გულაბერთი 530, 531, 554.  
 გულამეთი (დიდი, პატარა), კალამეთი 543, 555, 556.  
 გულბერთი — იხ. გულაბერთის რაბათი.  
 გულაბერთის რაბათი, გულბერთი 400.  
 გულსანი, კულსანი, გულსანი, კოლსანი 144.  
 გულსუბანი—იხ. გულსუბანი.  
 გულსწყალი — იხ. გულწყალი.  
 გულსუბანი, გულსუბანი 200.  
 გულწყალი, გულსწყალი 444, 446.  
 გუმანი (?), გომანი, ქუმანი, ჭომანი, კუმანი, კომანი 464.  
 გუმბურდო—იხ. კუმბურდო.  
 გუმბი 385.  
 გუმბურდო—იხ. კუმბურდო.  
 გუნდასორი 603.  
 გუნდი, კუნტი 200.  
 გუნდუსხევი, კუნდუსხევი 308, 399.  
 გურა 505, 518.  
 გურგეთი—იხ. გორგათუბანი (?).  
 გურგული ტყე 580.  
 გურია 23.  
 გურიის ქედი 365.  
 გურკელი, კურკელი 71, 78, 137, 188—142, 150.  
 გურჭიბეგი (ჭეშევი, პატარა) 500, 522, 525, 528, 527.  
 გურჩი ბოლაზის (საქართველოს ყელის) კეობა 31, 315.  
 გუჯარეთი 473, 490.  
 გუჯარეთის წყალი 491.  
 გუჯარეთის ხეობა 266.  
 ცაბა 470, 480—484, 491.  
 ცაგირმან დერესი (?), ცაგირმანი (წისქვილისხევი) 518, 571, 572.  
 ცადაგული 515.  
 ცადეში, ცათეში, 247, 248, 253, 416, 418, 420, 422—425.  
 ცადეშისწყალი 427.  
 ცადეშის-კევი 247.  
 ცაეთასუბანი, ცადუბანი 263.  
 ცაენია 411, 413.  
 ცაეხანდა, ცაეხანტა, ცაეხანდა, ცაეხონდა (დიდი, პატარა) 814, 316, 327, 338, 363, 364  
 ცაზლაზა—იხ. ტაძლაზა.  
 ცათეში—იხ. ცადეში.  
 ცათეიეთი—იხ. ცათეეთი.  
 ცათეეთი, ცათეიეთი 166, 176, 176.  
 ცამაელე, ცამაელია 453, 456.  
 ცამაელია—იხ. ცამაელე.  
 ცამალა—იხ. ტამალა.  
 ცანეთი—იხ. დანეთი.  
 ცანიეთი, ცანეთი 256, 284, 367, 388.  
 ცანკალი, ცამკალი 309, 367, 364.  
 ცადუბანი—იხ. ცაეთასუბანი.  
 ცაშქერატი 34.  
 ცაბეხანდა—იხ. ცაეხანდა.  
 ცაბონდა—იხ. ცაეხანდა.  
 ცაბურღა 96.  
 ცაგვარი, მტკვარი (სოფ.) 22, 127—131.  
 ცაბად—იხ. ტეზათი.  
 ცადეთუბანი (?), ცედათუბანი 435, 436.  
 ცაევა—იხ. ცევათი.  
 ცევათი, ცევა 285.  
 ცემოთა—იხ. ცემოთია.  
 ცემოთი—იხ. ცემოთია.  
 ცემოთია, ცემოთა, ცემოთი, ცემოთა 54, 141, 146, 147, 148—150.  
 ცემოთის ციხე 149, 150.  
 ცემოთის ციხის რაბათი 149.  
 ცერსელი—იხ. ცერსელი.  
 ცერსელი, ცერსელი 95, 98—98, 104, 111..  
 ცეაშხევი—იხ. ცეაშხევი.  
 ცეირი 127, 128, 145, 146, 319, 480.  
 ცეირის სასოფლო საბჭო 127, 145, 480.  
 ცეირბეჭირის ვილაჯეთი 163.  
 ცეიური—იხ. ცეიური.  
 ცეისწყარო (სათესველი) 248, 249.  
 ცეიუნჯი-ქანი—იხ. ესრაილი.  
 ცეილსკა—იხ. ცეილსკა.  
 ცეილეთი—იხ. ცეილეთი.  
 ცეილსკა—იხ. ცეილსკა.



- დილცა, დილიცა, დილისკა 252, 321, 335, 358, 417.
- დირკნა—იხ. დირკნალი.
- დირკნალი, დირკნა, ტირკნა, ტრკნა, ტგრკვნა 268, 283, 358, 359.
- დიღვირი, დიღური, დიღური (ზემო, ქვემო) 433, 436, 437, 436.
- დიღური—იხ. დიღვირი.
- დიღვიკე—იხ. დღივი.
- დიღვი, ტიღვი, ტიღვი, დღივიკე, დიღვი 23, 28, 317, 335, 337, 354, 418, 419—422.
- დიშთა—იხ. დეშთთა.
- დიშთ კილისა 33, 422.
- დოროში—იხ. დროში (?).
- დროში(?), დოროში, დრუში, დურუში 500.
- დრუში—იხ. დროში (?).
- დუღუნა (?) 530, 533.
- დუშანი—იხ. დუშანი.
- დუშანი, დუშა 840—342.
- დუშან-გარლ—იხ. დუშანის ტბა.
- დუშელია 367, 378.
- დუშანის-ტბა, დუშან გარლ 340—342.
- დუშესი ყმ.
- დურუში—იხ. დროში (?).
- დუჭბის-სერი 181.
- დუშეთის რაიონი 232.
- დღვაში 482.
- დღვაშისხევი, თვაშისხევი, თავაშისხევი, დღვაშე 470, 476, 477, 479, 486.
- დღნორი 482.
- ეკაბის ხეობა 228.
- ეკლ 61, 67, 71, 76, 90, 93, 94.
- ეკლისონი—06, 111.
- ეკნა (მონასტერი) 365.
- ეკნთა 487.
- ეკნი 800, 301,
- ეკნისქვაბი, ეკნისქობ, ეკანის-ქვაბი, ეკნის-ქვაბები 357, 364, 305, 366.
- ეკნის ქვაბები—იხ. ეკნისქვაბი.
- ეკნისქვაბის ხეობა 364, 365.
- ეკნისქობ—იხ. ეკნისქვაბი.
- ეკნისხევი 304, 365.
- ეკნე—იხ. ეკლოვერი.
- ეკრანთა—იხ. ეკრნეთი.
- ეკრანტა—იხ. ეკრნეთი.
- ეკრავი 245, 254, 259, 275, 281, 288.
- ეკრდგინეთი 478, 493,
- ეკრდისუბანი 317, 337, 418, 419, 421.
- ეკრდისევა—იხ. ვარდევარა (?) წყალი.
- ეკრდისციხე, ვარდციხე, ვარციხე, როდოპო-ლისი 205, 266, 282, 400.
- ეკრდციხე—იხ. ვარდისციხე.
- ეკრდმანა 402, 406.
- ეკრდსანი (დიდი, პატარა) 583, 534, 552, 553.
- ეკრდევარა (?) წყალი, ვარდისევა 64, 65.
- ეკრდევან 265, 267, 274, 275, 281, 282.
- ეკრნთა—იხ. ეკრნეთი.
- ეკრნთის-ქუეი 195.
- ეკრნთული 594, 598, 601.
- ეკრნეთი (დიდი, პატარა, ზემო, ქვემო), ვარნთა, ვარანტა, ვარანთა, 184, 195, 196, 245, 246, 248, 369, 370, 374, 375, 422.
- ეკრნეთის ციხე 426.
- ეკრნეთის-წყალი 195.
- ეკრციხე—იხ. ვარდისციხე.
- ეკრძია, ზედა ვარძია 31, 253, 261—263, 300, 362, 364, 368, 367, 372, 374, 375.
- ეკრძიის მონასტერი 361, 364.
- ეკრძიის ქვაბი 263.
- ეკრძიის ხეობა 263.
- ეკრძა 437, 438, 451.
- ეკრძანა 438, 434, 453, 463.
- ეკრძანი, 154, 155, 167, 171—174.
- ეკრძნის სასოფლო საბჭო 167, 171, 174.
- ეკსეკსორი (?) 594.
- ეკლავერი—იხ. ეკლოვერი.
- ეკლოვერი, ეკლავერი, ეკნე 565, 671.
- ეკლობი 212, 220, 226, 262, 230, 232, 240, 305, 377; 427, 428.
- ეკლოვანი 187, 478, 493.
- ეკიანი 300, 317, 329, 354, 364.
- ეკიანის სასოფლო საბჭო 309, 317, 329.
- ეკსლა (ზემო, ქვემო) 448, 444, 448, 462.
- ეკქარა—იხ. ვეჭარი.
- ეკქარი, ვეჭარა 545.
- ეკანის ქვაბი 261, 263.
- ეკლი 319, 331, 399, 631—533, 540, 556.
- ეკლის არხი 533, 557.
- ეკლის ციხე 531, 532.
- ეკრანა ქაქარაქი—იხ. ქაქარაქი.
- ეკლურის სასოფლო საბჭო 221.
- ეკრტაშის ნამონასტრალი 360.
- ეკრეთუბანი (?) 484.
- ეკლდთორი (?) 598.
- ეკლდმორიკე, ბუბლიკამი, ბობლიკანი კუბ-ლიკანი, პობლიკანი 348, 350—352.

- ეგნაქი 565.  
 ეგრიშუარი (?) 887.  
 ეზნობი (?) 807.  
 ეკესორი 800.  
 ეკლესიისკარი (?), ეკლესიისკარი (?) 476.  
 ელიასუბანი 807.  
 ელიაური (?) 362.  
 ელიაწმინდა 53, 56, 80.  
 ელიაწმინდის სასოფლო საბჭო 53, 56, 59, 60.  
 ელკასი, ელკეზი 112.  
 ელკეზი—იხ. ელკასი.  
 ეშპელო, იშპოლე, ინბოლე 280.  
 ენგიევევი—იხ. ახტილა.  
 ენგიევევი—იხ. ახტილა.  
 ენთელი (ზემო, ქვემო) 9, 91, 115, 154, 187, 158, 212, 220, 226, 230, 232, 240.  
 ენთელწყალი, ენთელსწყალი (ჩაირი) 226.  
 ერბოწყარი (?) 94.  
 ერემა—იხ. ერემი.  
 ერემი, ერემა, ირემი 105, 100.  
 ერთაწმინდა 326.  
 ერინჯა 308, 411, 413, 418, 420.  
 ერკოთა—იხ. ერკოტა.  
 ერკოტა, ერკოთა, ერკუტა 100, 211, 248, 261, 422.  
 ერკოტის სასოფლო საბჭო 190, 195, 248, 422.  
 ერკუტა—იხ. ერკოტა.  
 ერუკანზავი 595.  
 ერუისწყალი 595.  
 ერუქი—იხ. ურექი.  
 ერუშეთი, ორუშეთი 432, 501, 531, 533, 586, 536, 538, 541.  
 ერუშეთის ეკლესია 247, 551.  
 ერუშეთის წყალი 535.  
 ესრაელი, ისრაელი (შეორე სახელი დილენჯი-ჭიი) 572, 574.  
 ეფრემოკვა 34, 349.  
 ექეი 600.  
 ელნაქი—იხ. ილნაქი.  
 ეშმაკთუბანი 470, 474, 475.  
 ეშმაკთუბნის ხევი 479.  
 ეშთიო—იხ. ეშტია.  
 ეშტია, ეშთიო, ეშტიო, ჰეშთია 312, 820, 332, 354.  
 ეშტიის სასოფლო საბჭო 320, 332, 354.  
 ეშტიო—იხ. ეშტია.  
 ეშქუნი(?) 409.  
 ზადგარებ—იხ. ზედგარეკი.  
 ზადენ-გორა—იხ. ზადენი.  
 ზადენი, ზადენ-გორა 168, 178, 174.  
 ზაზალო, ზაზოლა 101.  
 ზაზალოს სასოფლო საბჭო 90, 101.  
 ზაზოლა—იხ. ზაზალო.  
 ზათელ(?) 419.  
 ზათხა (?) 145.  
 ზაყვი, ზაკი, ძეგვი 268, 277, 283, 289, 358, 362.  
 ზაკი—იხ. ზაკი.  
 ზაყულეთი—იხ. წუკულეთი.  
 ზალღე 424.  
 ზანა 493.  
 ზანავი (ზემო, შუა, ქვემო) 27, 88, 91, 92, 107, 108, 116, 117, 470, 478, 482—494.  
 ზანავის ეკლესია 91.  
 ზანავის სასოფლო საბჭო 92.  
 ზანაე-რეილის ქევი 490, 492.  
 ზანაზგომი—იხ. ზანასგომი.  
 ზანათი 493.  
 ზანასგომი, ზანაზგომი 511.  
 ზანდოს ტბა 174.  
 ზანზობი—იხ. სამშუბი.  
 ზარაბუქი 430, 652.  
 ზარაბუქის ხეობა 552.  
 ზარზაბი—იხ. იალალი სარწები.  
 ზარზმა 96, 101, 102, 104, 107, 109, 112, 158, 159, 172, 432.  
 ზარზმის მონასტერი, ეკლესია 22, 96, 106, 100.  
 ზართა (?) წართა 108, 110, 337.  
 ზარიშატი—იხ. ზერნიშატი.  
 ზარნიშატი—იხ. ზერნიშატი.  
 ზარუშატის ლოვა 498.  
 ზაქარწმინდა 28, 288, 802, 393, 396.  
 ზაქი, ზეგანი, ზაკი 428, 429.  
 ზაქის ეკლესია 428.  
 ზახნისსკარა—იხ. წახნისწყარო.  
 ზელა ვარძია—იხ. ვარძია.  
 ზდევენწმინდა—იხ. ზელაწმინდა.  
 ზეაშზია 476.  
 ზეგანი—იხ. ზაქი.  
 ზედაგანი 460.  
 ზელაწმინდა, ზდევენწმინდა 452, 453.  
 ზედგარეკი, ზადგარებ 588, 566.  
 ზედუბანი, ზეთუბანი 103, 118—115, 117, 130, 131, 164.  
 ზედუბნის სასოფლო საბჭო 103, 114, 115.  
 ზეთუბანი—იხ. ზედუბანი.

- ზეინდარი 440, 463.  
 ზემოკლდე—51.  
 ზემოციხე 476.  
 ზეოტა (?), ზეუტა 207.  
 ზერეონია (?) 207.  
 ზერზანა (?), ძირზანა, ძირძანა, ძირწანა 188.  
 ზერნიშატი, ზარნიშატი, ზარიშატი 414.  
 ზეუბანი—იხ. წინუბანი.  
 ზეუტა—იხ. ზეოტა(?).  
 ჴველი —იხ. ზურზელი.  
 ჴველისი—იხ. ზურზელი.  
 ჴველის სასოფლო საბჭო 181, 224.  
 ჴიკილია 52, 135, 130—138, 140, 142.  
 ჴიკილიის წყალი 143.  
 ჴიკილიის კევი 136.  
 ჴინზალი—იხ. წინწალი.  
 ჴირი—იხ. წირა.  
 ჴირიოხი—იხ. წრიოხი.  
 ჴიქეთუბანი 56.  
 ჴნახა (?) , წნახა 487.  
 ჴოვრეთ—იხ. ჴორეთი.  
 ჴორეთი, ჴოვრეთ, ძორეთ, ძოვრეთი 127, 480, 487.  
 ჴრბითი 482.  
 ჴრეზი—იხ. ჴრესკი.  
 ჴრესი—იხ. ჴრესკი.  
 ჴრესკი, ჴრეზი, ჴრესი, კიროვი 309, 317, 320, 320, 335.  
 ჴრესკის ტბა 329.  
 ჴრზველი—იხ. ჴურზველი.  
 ჴუზნა (?), წუწნა, ძუძნა, ძუწნა 487, 488.  
 ჴურზველი (ზემო, პატარა), ჴველი, ჴრზველი, ჴრზველი, ჴველისი 39, 93, 122, 177—183, 211, 228, 482.  
 ჴურზუნა—იხ. ძურძნა.  
 ჴულურთი—იხ. წყურთი.  
 ჴლასთავი (?), წყასთავი 477.  
 ჴლუღერი, 134, 135.
- თაგვეთი—იხ. თაგურეთი.  
 თაგურეთი, თაგვეთი, თაგვეთი 517.  
 თავანდელე (?) 70.  
 თავაშისხევი—იხ. დღვაშისხევი.  
 თავეთი—იხ. თაგურეთი.  
 თავეფარავან ჩაი—იხ. თავეარავანისწყალი.  
 თაეშავი 181.  
 თაეწითელი 434.
- თათლასხევი, თათულასხევი (მეორე სახელი მკედლისუბანი) 226.  
 თათალეთი 876.  
 თათალეთისწყალი 375.  
 თათულასხევი—იხ. თათლასხევი.  
 თამარაშენი 348  
 თამარსარი 517, 518.  
 თანბურაჩი 402.  
 თაფარავანი—იხ. ფარავანა.  
 თაფარავან-ჩაი—იხ. თაფარავანისწყალი.  
 თაფარავანის მდინარე—იხ. თაფარავანისწყალი.  
 თაფარავანის ტბა, ფანავრის ტბა, ფარავანი 22, 286, 341, 344, 846—352, 410—412.  
 იაფარავანისწყალი, თაფარავან-ჩაი, თაფარავანის მდინარე, თაფარავან-ჩაი 342—344.  
 თაფლახევი 215, 227.  
 რაქ-ქილისა 288.  
 თაშლიგაზლ —იხ. ტაშლიგაზლ.  
 თახთი 658.  
 თახჩა 328, 331, 333, 334.  
 თბილისი, თფილისი, ტფილისი, თბილისი 130, 180, 326, 469, 489.  
 ევედორაქანსუბანი — იხ. თევედორათუბანი.  
 თევედორათუბანი, თევედორაქანსუბანი 151, 164.  
 თეზი 271.  
 თეზ-ხარაბა 354.  
 თეთრახევი—იხ. თეთრისხევი (?).  
 თეთრისხევი (?), თეთრახევი 301.  
 თეთრი წყარო—იხ. აყფუნარი.  
 თეთრობი 267.  
 თეთრობისწყალი 267.  
 თეთრობის ხეობა 267.  
 თეთრ-ციხე—იხ. აღჯაყალა.  
 თელეთუბანი(?) 56.  
 თელოვანი 187.  
 თერთუსი—იხ. ფერთუსი(?).  
 თერფენქი 599.  
 თერჯოლის რაიონი 493.  
 თეაშისხევი—იხ. დღვაშისხევი.  
 თიანეთის რაიონი 496.  
 თიბილისი—იხ. თბილისი.  
 თისელი 54, 122, 123, 125, 126, 180, 132.  
 თისლის-წყალი 143.  
 თლილი 106.  
 თმოკვი (ზედა), თმუკ, თმბუკ, თმოკ 256, 257, 261, 262, 264, 314, 801, 362, 366—369, 374, 403.

- თმოგვის ნაბიჯი 11, 54, 232, 360—363, 365, 368, 369, 372.  
 თმოგვის ციხის რაბათი 861, 362, 366, 369.  
 თმოკ—იხ. თმოგვი.  
 თმბუკ—იხ. თმოგვი.  
 თიუკ—იხ. თმოგვი.  
 თოთხამი, ტრტხამი. 313, 315, 318, 368.  
 თოკი 245, 259, 265, 266, 275, 280, 281, 288, 289.  
 თოლერთა 260, 256—258, 264, 368.  
 თომასკერტი — იხ. ნუმასკერტის (?) ციხის რაბათი.  
 თორა (?), თორო 510.  
 თორთომი 316, 594.  
 თორი 470, 473, 478, 481, 495.  
 თორია, თორიო 320, 882, 354.  
 თორისწყალი 473, 479, 490, 491.  
 თორისხეობა — იხ. ბორჯომის ხეობა.  
 თორიო — იხ. თორია.  
 თორნისი || თურნისი—იხ. თურესი (?).  
 თორო — იხ. თორა (?).  
 თოროსხევი (დიდი, შუა, პატარა) 510, 511, 515, 516.  
 თორაღეთი 129, 130, 271, 282, 284, 397.  
 თუთაჯვარი — იხ. წყუთაჯვარი.  
 თუთუმუში 600.  
 ტულავერი (?), ნულავერი (?) 367.  
 თურესი (?), თორნისი || თურნისი, თურთისი, თურფისი 56.  
 თურთისი — იხ. თურესი (?).  
 თურფისი — იხ. თურესი (?).  
 თურქეთი 26, 41, 427, 428, 432, 433, 450.  
 თფილისი — იხ. თბილისი.  
 თხასქურტი 565.  
 თხილნარის სასოფლო საბუკო 53.  
 იაილაჯიკი 519.  
 იგნაზორი — იხ. იზნაზორი.  
 იდუმალა 135, 104, 198, 202, 203.  
 იდუმლის სასოფლო საბუკო 194.  
 იედი-ქილისა — იხ. შვიდ-ქელესია.  
 იენგი-ქოვ — იხ. ახტილა.  
 იელიტა 63, 64.  
 იზნაზორი, იძნაძორი, იგნაზორი 408, 409.  
 იბერეთი 80—82, 265.  
 იმერხევი 143.  
 იმპოლუ—იხ. ემპელო.  
 ინანკათუბანი 470, 477.  
 ინბოლუ—იხ. ემპელო  
 ინდუსა 190, 191, 193, 194, 196, 235.  
 ინთორა (ზემო, ქვემო), ინტორა 184, 187, 202.  
 ინტორა — იხ. ინთორა.  
 ინწყორა 197, 198.  
 ინწყორას-ხევი 197, 212.  
 ინჯოლა 461.  
 იორგი-ბევი 520, 527.  
 ირანი 379.  
 ირემი — იხ. ერემი.  
 ირვან — იხ. არაქალი.  
 ირიშლი 380.  
 ირკან — იხ. არაქალი.  
 ირქა 90.  
 ისაძორი 598.  
 ისკარები — იხ. სკარები.  
 ისკუნდრიეს (?) ტბა, ასკუნდრია 868, 411.  
 ისრაილი — იხ. ესრაილი.  
 ისტეფანწმინდა — იხ. სტეფანწმინდა.  
 იფნეთი 256, 259 263, 264.  
 ილნაქი, ელნაქი 506.  
 იშაგომი (?) 535.  
 იშხანი 599.  
 იძნაძორი — იხ. იზნაზორი.  
 ისტილა — იხ. ღრტილა.  
 იჭარეთი 93, 120.  
 იენიქტი — იხ. ისტილა.  
 კაგარი (ზემო, ქვემო), კაგაჩი, ყალაჩი 380, 401, 402.  
 კაგაჩი — იხ. კაგარი.  
 კათნატუ 27, 353.  
 კაკლიორი 228.  
 კალამეთი — იხ. გულამეთი.  
 კალაჯიკი (?), ყალაჯუბი 514, 567.  
 კალაჯუკის მთა 224.  
 კალინინო (ყოფ. ტროიციკოე) 349.  
 კალთუბანი, გელთუბანი 204.  
 კალმახი 598.  
 კალთუბანი 166.  
 კამაროვანი, კამროანი, კამაროანი 383, 886, 386, 392, 396, 399—401.  
 კანდახორი 510.  
 კანდრიდი, განდრიდი 514.  
 კანდურეთი — იხ. ყანდურეთი.  
 კანტიეთი 212, 220, 226, 230, 281, 232.  
 კანტიეთის სასოფლო საბუკო 212, 220, 226, 227, 230, 232, 240.

- კაბანა, ლაბანა, 70, 444, 451, 452.  
 კარაი 423.  
 კარაკუზაი — იხ. ყარაყუზაი.  
 კარა-ნეპრი — იხ. მტკვარი.  
 კარანთა 277, 287, 288.  
 კარგეთი (?) — იხ. კარყული (?).  
 კარგსოფელი (?), ხას-ქტი 560, 551.  
 კარდიგამი — იხ. კარტიკამი.  
 კარზამეთი — იხ. ქარზამეთი.  
 კართალანი 238.  
 კარისყვარი — იხ. კარყვარი.  
 კარკლანი, კარკალანი, ყარყალანი 203.  
 კარკლუხი — იხ. ქარგლუხი.  
 კარმირი, მეორე სახელი კიზილ-ქტი (წითელი სოფელი) 688.  
 კარნავასი 600.  
 კარნეთი 320, 321, 368.  
 კარნილაური (?) 450.  
 კარნუ ქალაქი 72.  
 კარტიკამი, კარდიგამი, გარდიგამი, 306, 319, 328, 331, 333, 334, 338, 351, 531.  
 კარტიკამის სასოფლო საბჭო 313, 315, 318, 328, 329, 331, 333, 334; 358.  
 კარყული (?), მეორე სახელი კარგეთი (?) 600.  
 კარწახი (დიდი, ბატარა) 410, 412, 413, 415, 416.  
 კარწახის სასოფლო საბჭო 413.  
 კარწახის ტბა — იხ. ხოზაპინის ტბა.  
 კარქიო, გარჯიო, კარხიო 607.  
 კარხიო — იხ. კარქიო.  
 კარჯვარი (?), კარისყვარი 170, 171.  
 კასირსორი 599.  
 კასპის რაიონი 553.  
 კატისხევი (?) 204.  
 კაქიო, კაჭიო 271, 276, 277, 279, 280, 283, 287.  
 კაქიოს სასოფლო საბჭო 271, 276, 279, 280, 297.  
 კახათუბანი 476.  
 კახარეთი 93, 94, 98, 529.  
 კახეთი 420, 532.  
 კაჭიო — იხ. კაქიო.  
 კვალი (?) 280.  
 კვალთახევი, კოლთახევი, კოთახევი 212, — 215, 234, 480.  
 კვანჭლა, კონჭლა 34, 00—63, 71, 80, 579.  
 კვარა 254, 261.  
 კველი — იხ. ყველი.  
 კველის ციხე — იხ. ყველის ციხე.  
 კვირიკეწმინდა 124.  
 კვეეს ციხე 405.  
 კუბი (?) 877.  
 კუხის (?) ციხე 377.  
 კუხოვანი 98, 00, 100.  
 კუამისი — იხ. ქამისის რაბათი.  
 კიზილფუნარი (წითელწყარო) 670.  
 კიზილ-ქილისა (წითელი ეკლესია) ნაო. 567, 573.  
 კიზილ-ქტი — იხ. ძალქოსი (?).  
 კიზილ-ჩახომტეკი (?) 534, 548, 654.  
 კიკიზო 98, 115, 119.  
 კილნაეი 529.  
 კომოთესუბანი, ტომოთესუბანი, კომოთისმანი 105, 455, 481—484, 400.  
 კომოთისმანი — იხ. კომოთესუბანი.  
 კომოტსმანი 491.  
 კინეპოსი 670, 571, 597, 602.  
 კინეპოსის წყლის ზეობა 571.  
 კიროვი — იხ. ზრესკი.  
 კისათიბი 212, 216, 216, 224, 225, 227, 236, 241.  
 კისათიბის სასოფლო საბჭო 227.  
 კისირის მთა 22, 800, 391.  
 კლარჯეთი 172, 303, 559, 603.  
 კლდე 25, 51—53, 67, 58, 80, 118, 132.  
 კლდის სასოფლო საბჭო 52, 57, 58, 60, 132.  
 კლდისწყარო 194.  
 კოლიანი 486.  
 კოლიანის მთა 181, 197, 490.  
 კოთახევი — იხ. კვალთახევი.  
 კოთელია 244, 208—270, 272, 273, 282—285, 294, 295, 358, 415.  
 კოთეტისა (?) — იხ. კოპენტისა (?).  
 კოთიქი 670, 586.  
 კოთისწყარო (?), კოდისწყარო, ჭლადიმი-როკა 524.  
 კოინდარი 437.  
 კოკათუბანი — იხ. გოგეთუბანი.  
 კოკეზი, ქოკეზი 90.  
 კოკისწყარო 181.  
 კოლა 422, 423, 499, 503, 572, 580.  
 კოლა-არტანი 353.  
 კოლა-ოლთისი 35.  
 კოლა'ს პროვინცია 33, 248, 553,  
 კოლთახევი — იხ. კვალთახევი.  
 კოლისანი — იხ. გულისანი.  
 კოლის საბოქაულო 433, 500.

- კომანი — იხ. გუმანი (?).  
 კომპოლა, კონპოლა 64.  
 კომპი, კომპი 520, 527, 572.  
 კონპოლა — იხ. კომპოლა.  
 კონდრაული — იხ. კონდრელი.  
 კონდრიო 419.  
 კონდურა (დიდი, პატარა) 417, 418, 421.  
 კონდურელი (?), კონდრაული 551.  
 კონჯლა — იხ. კვანჯლა.  
 კოპაძე — იხ. კოპეთი (?).  
 კოპეთი (?), კოპაძე 128, 124, 132, 133.  
 კოპენტისა (?), კოთეტისა 270.  
 კოპი, გობი 564.  
 კოპიტნარი 148, 158.  
 კორაშენი, ყორაშენი 93, 94.  
 კორღ-აგარაკ (?), 593.  
 კორდი 110.  
 კორისტაი — იხ. გორისტაი.  
 კორისტევი 878, 374.  
 კორაშეთი, კორაშენი 291, 205.  
 კოროხი — იხ. კორხი.  
 კორტანეთი 128, 477, 485, 486, 408, 494.  
 კორტანეთის ქვეი 493.  
 კორტოხი, კორტოხეთი 108.  
 კორტოხეთი — იხ. კორტოხი.  
 კორცხოლა, კარცხილო 854, 355.  
 კორხი, კოროხი 313, 814, 315, 318, 358, 428, 424.  
 კოსორო, კოსური, 562, 565, 569, 573.  
 კოსური — იხ. კოსორო.  
 კოტამახი, კოტამიხი 888, 385, 396.  
 კოტანეთი 545, 546.  
 კოტასი 875, 376, 378.  
 კოშტივეთა 453.  
 კობტის ციხის რაბათი 7, 104, 195.  
 კობტის-ქევი 194, 247.  
 კრკონი 482.  
 კრწანისი 482.  
 კუდისი (?) 148.  
 კულიკაში 22, 306, 820, 329, 335, 531.  
 კულისანი — იხ. გულისანი.  
 კულულეთი 255.  
 კუმანი — იხ. გუმანი (?).  
 კუმურღო, კუმურღი, კუმურღა, გუმურღო, გუმურღო 98, 168, 261, 309, 314, 818, 317, 329, 367.  
 კუნაპეტ[ის] ტბა (?). კუნაპეტ[ის] ტბა 246, 247.  
 კუნზულუტი 512.  
 კუნტი — იხ. გუნდი.  
 კუნაპეტ[ის] ტბა—იხ. კუნაპეტ[ის] ტბა.  
 კურავერი 408.  
 კურთ--კალჯა — იხ. შველციხე.  
 კურდიღანეში — იხ. დაღეში.  
 კურდღელათუბანი (?) 162, 166.  
 კურკელი—იხ. გურკელი.  
 კურცხანი (მღ.) 176.  
 კურცხანის ხეობა 166.  
 კუში 284.  
 ლავაში 408.  
 ლავაშის ტბა 408.  
 ლაზარეანსი 567, 568.  
 ლალური 69.  
 ლალვანა (დიდი, პატარა) 540, 547, 555.  
 ლალუსი 883, 385.  
 ლალუტი 57.  
 ლალფერაული 172.  
 ლამისხევი 445.  
 ლარები 477.  
 ლალათუბანი 278, 279, 290.  
 ლაშხევი—იხ. მლაშხევი.  
 ლეკნადი — იხ. ლეკნარის რაბათი.  
 ლეკნარის რაბათი, ლეკნადი 147, 148, 150.  
 ლელოვანი 88, 02, 93, 94, 109, 120.  
 ლელოვანის სასოფლო საბჭო 92, 95, 120.  
 ლეპისი 249, 302, 371—878.  
 ლიანის ხეობა 135.  
 ლიბანი 481, 494.  
 ლიკანი 470, 475, 477, 490, 496.  
 ლიკანის წყალი (?) 50.  
 ლიკანის ხევი 127, 475, 479.  
 ლოდობანა 215, 227.  
 ლომას მთა 469.  
 ლომატურცხი 277, 283, 285, 297.  
 ლომასათუბანი 470, 478.  
 ლომსია მთა 476.  
 ლორი 430, 608, 512, 516.  
 მაიაკოვსკის რაიონი 265.  
 მაიკეთი 288, 237.  
 მალასა, მალაქები 599.  
 მალაქა — იხ. მელანგეთი.  
 მალაქას მთა 353.  
 მალაქები — იხ. მალასა.  
 მალაჩათუბანი 470, 476.  
 მალულისხევი 288.  
 მამაწმინდა 191, 208, 204.

- მამაკიხეთი (ზემო, ქვემო), მაკიხეთი 228, 229.
- მამზარა — იხ. მამზურა.
- მამზურა (დიდი, პატარა, ზემო), მამზარა, ნამზარა, მამწეარა 336—338, 352—354, 867, 422.
- მამირვანი, ნარიმანი 576, 593, 595, 597.
- მამირვანის ნაჰიდე 593.
- მამლის ქალა 547.
- მამტური 587, 590.
- მამფუჩეთი 871.
- მამწეარა — იხ. მამზურა.
- მანიოხი 510.
- მანღალის ხეობა 224.
- მანცხეარკარი — იხ. მაცხოვრისკარი.
- მარგასტანი 262, 361, 362.
- მარღა (ზემო, ქვემო), მარღა ხეანა, 78, 74, 80, 235.
- მარღა ხეანა — იხ. მარღა.
- მარღუნი — იხ. ხოსპია.
- მარელი (ზემო, ქვემო) 89, 91, 96.
- მარელის სასოფლო საბჭო 89, 96.
- მარიაშწმინდა 84.
- მარნეულის რაიონი 158.
- მარტუნის სასოფლო საბჭო 312, 335.
- მარქარის(?) ტბა 517, 518.
- მარცვალეთი — იხ. მარც(ე)ალათუბანი.
- მარც(ე)ალათუბანი, მარცვალეთი, მარცვა-  
ლეთუბანი 440, 452.
- მაცხურათუბანი 136.
- მღარაკარა 505, 607.
- მღალსა (?) 510.
- მაყურაზი (?) , მაყურაზი 470.
- მაჩუეთი, მაპუეთი 540, 541, 552.
- მაცხოვრისკარი, მანცხეარკარი 326.
- მაქატია (დიდი, პატარა), მაქაღია 312, 313, 315, 316, 318—820, 334, 358.
- მაქატის სასოფლო საბჭო 312, 313, 315, 319, 358.
- მაქახლისწყალი 242.
- მაკიხეთი — იხ. მამაკიხეთი.
- მაპუეთი — იხ. მაჩუეთი.
- მახარათუბანი 68.
- მახარაძის რაიონი 442.
- მახარო, მახაროვანი, მახარა 23, 860.
- მახაროვანი — იხ. მახარო.
- მახვილო — იხ. მახოლუ.
- მახვილოს შთა 509.
- მახლატუბანი 136.
- მახლაურთი (?) 514.
- მახოლუ, მახვილო 170, 509.
- მაქაღია — იხ. მაქატია.
- მგელციხე, კურთკალა, მგელციხის რაბათი 32, 420, 427, 531.
- მგელციხის ნაჰიდე (რაიონი) 11, 370, 426, 427, 430, 548, 552.
- მგელციხის რაბათი — იხ. მგელციხე.
- მგლინავი 25, 34. 528—530.
- მგლისხევი 370. 371 .
- მეიდანი (დიდი) 22, 84, 85,—89, 175, 500.
- მელანგეთი (?) , მალქა 858.
- მელქუთუბანი — იხ. მელქუთაძე (?).
- მელქუთაძე (?), მელქუთუბანი, 476, 477.
- მემშვილდეტუბანი (?) 127, 128.
- მენც-ჭური — იხ. ბარალეთისწყალი.
- მერადისი—იხ. შერედისი.
- მერე — იხ. შერის ციხის რაბათი.
- მერედისი (ზემო, ქვემო), მერადისი 379, 406, 407, 400.
- მერენია — იხ. შერენისი.
- მერენის სასოფლო საბჭო 270, 287.
- მერენისი, მერენია, მერონია, მერუნია 269, 270, 278, 287, 569.
- მერესალი (?) 400.
- მერეკი (დიდი, პატარა), მარტ, მარაქი 78.
- მერია — იხ. შერის ციხის რაბათი.
- მერიეში, მარიაში 537, 539, 540.
- მერის ციხის რაბათი, მერე, მერია 422, 423, 447, 453.
- მერში 73.
- მერონია — იხ. შერენისი.
- მისხეთი 35, 80, 249, 432, 436.
- მისხეთის ქელი 144.
- მეშენეთი 93.
- მეზრელი — იხ. ფახრელი (?).
- მეჰანჭი. მეჰანჭი 584, 585, 588, 594.
- მშეთაშე 481—483.
- მზუარის მხარე 390.
- მზუარის ნაჰიდე (რაიონი) 11, 38, 41, 42, 51, 52, 54, 59, 61, 64, 93, 132, 432, 439, 461, 463, 496. 499. 504, 507, 509, 512. 515. 518, 520. 526, 550, 558, 559, 592, 595, 596—599, 601—603.
- მთისუბნის სასოფლო საბჭო 221.
- მაისნიკიანი 416, 423, 424.
- მიგზაშეთი — იხ. მუკუზაშენი.

- მოფენდიერი, შიტენდიერი 602.  
 მიღინეთი 276—277, 287.  
 მიგრანი 518.  
 მიწაჲ 34, 210, 214, 215, 226, 234.  
 მიწაჲის სასოფლო საბჭო 210, 214, 215, 226, 284.  
 მიწაშენი 522.  
 მიწდორი (დიდი, პატარა) 467, 458.  
 მიწაშხანი 261, 308, 309, 300, 365, 370, 371, მიწათუბანი, მასრათუბანი, მასხარაანთუბანი 78, 77.  
 მისრასორი (?) 595.  
 მისრასორის ნაჲიე 603.  
 მიტარბი (დიდი, პატარა) 404.  
 მიტენდიერი — იხ. მითენდიერი.  
 მიქელწმინდა 57, 326.  
 მიწ (?) 403, 465.  
 მიხრელი — იხ. მუხრული.  
 მლაშე (დიდი, პატარა) 100, 101, 106, 107, 158.  
 მლაშეთი (?) 458.  
 მლაშის სასოფლო საბჭო 101, 107, 158.  
 მლაშისხევი, მლაშხევი, ლაშხევი, ლაშხის-ხევი 74, 80, 185, 202, 203, 235.  
 მოღაგანი — იხ. მოღეგა.  
 მოღეგა, მოღაგანი, მოღეგალარი 88, 69, 271, 276, 279, 280, 284, 293, 295, 200, 297.  
 მოღეგალარი — იხ. მოღეგა.  
 მოღეგის-კევი 296.  
 მოზერეთი (?) 388.  
 მოლარათუბანი, მოლარათუბანი 224.  
 მოლითი 284, 288, 292, 296.  
 მონასტერი 22, 76, 77, 146, 178, 217, 218, 284, 495, 567.  
 მონასტრის ეკლესია 79, 217.  
 მოსეს სიმურგაბი 660.  
 მოქცევი 128, 181, 132.  
 მოლნის ეკლესია 22, 79, 80.  
 მოლობილი (?) 414.  
 მოქედლილი 445.  
 მოხე (ზემო, ქვემო), მოხერა 37, 95, 08, 99.  
 მოხერა — იხ. მოხე.  
 მოზის სასოფლო საბჭო 98, 99, 100, 115.  
 მრავალი 411, 418, 420, 423.  
 მტკვარი, 22, 49, 121, 130, 143, 146, 147, 177, 182, 186, 191, 194, 195, 197, 209, 243, 247, 249, 253, 257, 266, 274, 344, 360, 361, 363, 372, 412, 414, 422, 469, 470, 473—475, 477—480, 485—487, 490, 492—494, 500, 503, 504, 531, 540.  
 მტკვარი (სოფ.) — იხ. ღგვარი.  
 მტკვრის ხეობა 127, 259, 363, 366.  
 მუგარეთი, მულარეთი 137, 188—142.  
 მუკუზაშენი, მიგუზაშეთი 301.  
 მულარათუბანი — იხ. მორარათუბანი.  
 მუნესი, ნუნესი 541, 542, 553.  
 მურჩი — იხ. მურჯი.  
 მურჯახეთები — იხ. მურჯახეთი.  
 მურჯახეთი (დიდი, შუა, პატარა), მურჯახეთები 7, 27, 246, 312, 384, 335, 360.  
 მურჯი, მურჩი 272, 276.  
 მურჯიკინი 244, 276.  
 მუსარი, მუცარი 64, 65.  
 მუსხი, მუსხა 181, 182, 196, 215, 217, 219, 224, 231.  
 მულარეთი — იხ. მუგარეთი.  
 მუშეხი, მუშეხი 608, 567.  
 მუცარი — იხ. მუსარი.  
 მუხარეთი (?), მუჯარეთი, მუჰარეთი, მუ-კარეთი 202.  
 მუხისკარი 596.  
 მუხნარი (მუხრანი) 158.  
 მუხრანეთი 280, 289.  
 მუხრანის ხევი 597.  
 მუხრული, მიხრელი, მუხრელი 500, 564.  
 მღვიმე — იხ. ღვიმე.  
 მორიანი — იხ. ხრიანი.  
 მუშეხი — იხ. მუშეხი.  
 მცხეთა 492, 493.  
 მქედლისუბანი, ქედლისუბანი 258, 257, 263.  
 მქერჯი — იხ. ხერჯი  
 ნადარბაზი (მეორე სახელი სხალაური) 227, 436, 437, 445, 526.  
 ნადირაული 69.  
 ნავარძიები 365, 370.  
 ნაზირვანსი 563, 565.  
 ნათენათუბანი 102.  
 ნაისა 258.  
 ნამნაური 98, 106.  
 ნაოხრები — იხ. ნიოხრები.  
 ნარიშანი — იხ. ნარშანი.  
 ნარიშანი — იხ. შამიშანი.  
 ნარშანი, 145, 254, 258, 260.  
 ნასოფელი 667.



ნაკალაქევი (ზემო, ქვემო) 40, 161, 318, 314,  
361—363, 374, 533, 535—537, 538, 545,  
552.

ნაკალაქევის სასოფლო საბჭო 262, 361, 362.

ნაქურთვეი, ნაქურთვეი 155, 157, 172.

ნაქურთვეი — იხ. ნაქურდვეი.

ნახარკეთი, ნახირგედენი (?) 307, 308.

ნახირგედენი (?) — იხ. ნახარკეთი.

ნახუცვართაუბანი, ნახუცართაუბანი 476, 477.

სევეფაზი (?) 140, 147, 148.

ნერთუსი — იხ. ფერთუსი (?).

ნეძეი, ნეძე 484—486, 493.

ნეძვისხვეი 485.

სილა (ზემო, ქვემო) 208, 360—371, 373,  
375, 411.

ნიალის ველი 370, 376.

ნიალის სასოფლო საბჭო 195, 369, 370, 374,  
375.

ნიალისყური 369.

ნიალისყურის მთა 370.

ნიალისყურის ნაიძე (რაიონი) 11, 54, 332,  
361, 369, 370, 376, 377, 411.

ნიკოლაეკა — იხ. სარწები.

ნიკორწმინდა 23.

ნიობრები (ზემო, ქვემო), ნაობრები 76, 78,  
465.

ნიჯგორი, ნიჯლორი 261, 252, 281.

ნიჯლორი — იხ. ნიჯგორი.

ნორბერტი, ნორპეტი 580, 590.

ნომასკერტი — იხ. ნუმასკერტის (?) ციხის  
რაბათი.

ნორპეტი — იხ. ნორბერტი.

ნუა 128, 470, 477, 479, 487.

ნულავერი (?) — იხ. თულავერი (?).

ნუმასკერტის (?) ციხის რაბათი, ნომასკერტი,  
თომასკერტი 169, 178.

ნუსუნგი 598, 599, 601.

ოღანდა — იხ. ოღუნდა.

ოღისი, ოღისი 203, 294.

ოღრია (ზემო, ქვემო) 464, 465, 468.

ოღუნდა, ოღუნდა: 212, 220, 226, 229, 230,  
232, 240

ოღრისი ციხის რაბათი 405.

ოთა 185, 186, 188, 189, 201, 202, 204, 207.

ოთარაშენი 200, 201.

ოთის სასოფლო საბჭო 201.

ოთხთა ეკლესიათა ლავრა 33.

ოკამი 309, 310, 332, 354, 360, 500, 668.

ოკეთი (?) 473.

ოკიეთი 208.

ოკიზა, ოკირე 106—137.

ოკიზის წყალი 52, 131, 137, 138.

ოკმის სასოფლო საბჭო 309, 310, 332, 360.

ოლაღის ქვაბნი 414.

ოლავერი 313, 315, 318, 331, 358.

ოლავერის წყალი 318.

ოღდაბი — იხ. ოღდანი.

ოღდაბი — იხ. ოღდანი.

ოღდამისკევი 73, 222.

ოღდანი, ოღდამი, ოღდაბი 285, 290, 291, 295.

ოღთისი 561—573, 576—579, 583—590, 593,  
595—603

ოღთისის ლევა 18, 592, 593, 595, 596, 600,  
603.

ოღთისის ნაიძე 598.

ოღთისის ოღქი 38, 505, 572, 595, 597, 601.

ოღთისის წყალი 568, 576, 593.

ოღიანქი 284.

ოღოდა 290, 414.

ოღორი 588, 589.

ონგორა—იხ. ონღორა.

ონღორა, ონგორა, ოღორი 54, 182, 184,  
185, 186, 191, 203, 204, 211.

ონღორის სასოფლო საბჭო 184, 185.

ონჭორბევი (?) 410, 550, 568.

ორაგაზი—იხ. ორეზაქი.

ორაზაქი — იხ. ორეზაქი.

ორალი 67—69, 71, 74, 78.

ორაქაზი—იხ. ორეზაქი.

ორალაზი 544.

ორაქა—იხ. ორჭა.

ორბეხა 541, 545.

ორბევი (?) 603.

ორეზაქი, ორაზაქი, ორაქაზი, ორაგაზი 541,  
ორთული 602.

ორი ეკლესია 507.

ორლოეკა (ყოფ. ტერპენი) 34, 349.

ორმოცი 262, 253.

ორსოლა (?)—იხ. იელიტა.

ორუქი—იხ. ურგევი.

ორუშეთი—იხ. ერუშეთი.

ორფოლა 93, 122—125, 178, 190.

ორჩოკი, ორჭოხი 628, 530, 557.

ორცები—იხ. ორცევი.

ორცევი, ორცები 219, 221.

- ორკეთისწყალე 228.  
 ორკოშანი (ზემო, ქვემო) 89—91, 96, 98, 445.  
 ორკოშნის წყალი 90  
 ორხოფია 257, 258, 261.  
 ორჯა (ზემო, ქვემო), ორჯუა ორჯა, ორჯალა-  
 რი 252, 207, 268, 281, 283, 286, 289, 320,  
 328, 329, 338—340, 352, 358.  
 ორჯალარი—იხ. ორჯა.  
 ორჯოხი—იხ. ორჩოქი.  
 ორჯოხის მთა 528.  
 ორჯუა — იხ. ორჯა.  
 ოსიეთი, ოსიძე (?) 108, 104, 160, 161.  
 ოსიძე (?)—იხ. ოსიეთი.  
 ოსკერია, ოსკორია 245, 254, 258, 259, 260.  
 ოსიქათ 602.  
 ოსკორია — იხ. ოსკერია.  
 ოსმალეთი 26, 35, 38, 379, 450, 531, 578.  
 ოსპანაური, ოსპანაური 246.  
 ოქოშეთი (?) 481.  
 ოქრობაგეთი 532.  
 ოქროსციხე—იხ. ალთუნკალჯა.  
 ოქროქოთანი 551, 552.  
 ოლთადაბი — იხ. ოლთათაბი.  
 ოლთათაბი, ოლთადაბი, 22, 582, 583, 589,  
 591.  
 ოლუზტაში 481.  
 ოშორა (ზემო, ქვემო) 198—200.  
 ოშორის სასოფლო საბჭო 193, 199.  
 ოშორის-წყალი 194, 199, 203.  
 ოშორის-ხევი 194, 199.  
 ოსკორა, ჩკორა, ჩიკორა, ჭკორა 553.  
 ოცხა 600.  
 ოცხე (მღ.) 176.  
 ოცხე. ოძრახე, ოძრქე. ოცხის ციხის რაბათი  
 69, 162—167, 169, 469, 478, 593.  
 ოცხის ლევა 176.  
 ოცხის ნაპიძე 64, 75, 162.  
 ოცხის ციხის რაბათი —იხ. ოცხე.  
 ოცხის წყალი, ოძრქის წყალი 94, 118, 155,  
 163, 172, 174.  
 ოდისი—იხ. ოდისი.  
 ოძრახე—იხ. ოცხე.  
 ოძრახის ხევი, ოძრქევი 150, 168.  
 ოძრქე—იხ. ოცხე.  
 ოძრქევი — იხ. ოძრახის ხევი.  
 ოძრქის წყალი—იხ. ოცხის წყალი.  
 ოხერა, ოხორა 191, 214, 215, 234, 235, 420.  
 ოხომა (ზემო, ქვემო) 240, 241.  
 ოხორა—იხ. ოხერა.  
 ოხოლი, ოხოული, ოხოელი 487, 458.  
 ოხოული—იხ. ოხოლი.  
 ოჯორჯალი 22, 78—78, 397, 464, 468.  
 პალაკილი—იხ. ჩრდილის (ჩილდირი) ტბა.  
 პამაჯა—იხ. პამაჯი.  
 პამაჯი (ზემო, ქვემო), პამაჯა 79, 73.  
 პამაჯის სასოფლო საბჭო 72.  
 პანჭურეთი—იხ. ფანჭურეთი.  
 პაპა—იხ. ფაფა.  
 პარეხა—იხ. ფარეხა.  
 პატარა ონის სასოფლო საბჭო 221.  
 პატკანანი, პატკანა, ბატკანანი 328, 329, 308,  
 339, 340, 352.  
 პენიაკი—იხ. ფანაკი.  
 პენსილვანია 190.  
 პერტუსი—იხ. ფერტუსი (?).  
 პეტაშენი, ბეტაშენი 418, 424.  
 პეტობანი (ზემო, ქვემო), პეტუბანი, ფეტობანი-  
 438, 439, 445, 452, 454.  
 პეტრე, ბედრე 16, 474, 567.  
 პეტრე-პავლე 524—526, 598.  
 პეტრეს ეკლესია 588.  
 პეტრეს ლევა (სანჯაყი) 17, 222, 469, 474,  
 479, 489.  
 პეტრეს ნაპიძე (რაიონი) 9, 469, 474.  
 პეტრეს უღელტეხილი 121  
 პეტრეს ციხე 128, 474, 477, 481, 486, 495.  
 პეტრეს ციხის რაბათი—იხ. ყვერბილი.  
 პეტრისი 428, 429, 430.  
 პეტროსი 591.  
 პეტრუსი 564.  
 პეტუბანი—იხ. პეტობანი.  
 პოლპიკანი—იხ. ვლადიმეროკვა.  
 პოვა—იხ. ფოვა.  
 პომა—იხ. ფომა.  
 პოლოსი 598.  
 პრტენა, პტენა, ფრტენა 244, 246, 247, 252, 311.  
 პტენა—იხ. პრტენა.  
 პუბლიკანი—იხ. ვლადიმეროკვა.  
 შულულა, შულლა, ჭულლა 400, 467.  
 რაბათი 396.  
 რაკისი 216.  
 რატასანი 428—430.  
 რაფათი 380.  
 რაჟა 23, 221.  
 რევაზი—იხ. რევახისი.  
 რევახისი, რევაზი 510;

- რეხა 282, 285.  
 რეხის სასოფლო საბჭო 282.  
 რველი 470, 478, 482—494.  
 რზველი—იხ. ზურჯელი.  
 რკინის-ქევი 69.  
 რკინის-ჭერის გადასასვლელი 69.  
 რკონი 326.  
 როდიონოვკა—იხ. ფარვანა.  
 როდოპოლისი—იხ. ვარდისციხე.  
 როკეთი (?) 246, 254, 258, 260, 268, 556.  
 რუსთავი 39, 71, 194, 180, 203, 208, 239.  
 რუსთავის სასოფლო საბჭო 194, 196.
- საბადური 402—405.  
 საბგარა—იხ. საბუღარი.  
 საბზარა, საბუზარა, საბუღარა 75, 80, 155  
 167, 171, 174, 175.  
 საბუღარა—იხ. საბზარა.  
 საბუზარა—იხ. საბზარა.  
 საბუღარი (ზემო, ქვემო), საბგარა 500, 523,  
 528, 524, 527.  
 საგომო 217.  
 საგულე—იხ. საგულგლა.  
 საგულგლა, საგულე 212, 220, 226, 227, 230,  
 232, 280, 240.  
 საგულეთი (?)—იხ. საქოშეთი (?).  
 საღგერი. ქაშვეთი 112, 471, 473, 477, 481,  
 489—491.  
 საღგერის ვაკე 478.  
 საღგერის ქეობა 490.  
 საღგომი (?) 527.  
 საეგრო 23.  
 საეანელი, საეანისხევე, საეანლისხევი 404.  
 საეანეთი (?) 337.  
 საეანლისხევი—იხ. საეანელი.  
 საზანო 493.  
 საზარა 521, 522.  
 საზარე (?) 151.  
 სათელია, სათელეთე 288.  
 სათლელი, სათლეღრაბათი 105, 106, 596.  
 სათლეღრაბათი—იხ. სათლეღლი.  
 სათორნია 557.  
 სათხა 328, 329, 339, 340.  
 სათხის სასოფლო საბჭო 329, 339, 340.  
 საირმე, საირმია 88, 97.  
 საირმია—იხ. საირმე.  
 საიხვე (ზემო, ქვემო) 448, 449, 458.  
 საეანაფე ციხის რაბათი 140, 141.
- საეასრია (?) 588.  
 საეე[ქ]ელახევი 430.  
 საეეირიეე 181, 132.  
 საეეირე 127, 129, 131, 152, 239, 480, 539.  
 საეეირის-წყალი 127.  
 საეეომო, საეეომო 282, 375.  
 საეეოქაო 478, 494.  
 საეეუნდრია 37, 887.  
 საეეუნეთი—იხ. საეეუნეთი.  
 სალაშალეიქი, სალაშალეიქი 597, 601.  
 სალარჭვა (?) 837.  
 სალოშეთი, შალოშეთი 250, 280, 258, 263,  
 264, 368.  
 სამაბევი 580.  
 სამაეორო—იხ. სამახორი (?).  
 სამართე 554.  
 სამალორო—იხ. სამახორი (?).  
 სამახორი (?), სამაეორო, სამალორო 356, 356,  
 418.  
 სამგლია 528  
 სამგლია 367.  
 სამზიოსხევი, ზეამზოა, მზეთამზე, ზეცამზო  
 483, 484.  
 სამზურია (?) 447.  
 სამიხელია — იხ. სამხულა.  
 სამოთხე 542.  
 სამოქალაქო 23.  
 სამსარი (ზემო, ქვემო, დიდი), სანსარევი 278,  
 284, 288, 287, 294.  
 სამსონანსუბანი 476,  
 სამსარისწყალი 287.  
 სამყრე—იხ. სამყურე  
 სამყრო—იხ. სამყურე  
 სამყურე, სამყრე, სამყრო 93, 86, 98, 309.  
 სამყურის სასოფლო საბჭო 93—95, 98.  
 სამცხე 17, 23, 40, 102, 129, 130, 149, 150,  
 167, 168, 177, 243, 346, 432, 469, 479,  
 485, 500, 502, 558.  
 სამცხე-საათაბაგო 22, 23, 24, 26, 28, 29,  
 34—36, 45, 46, 54, 58, 89, 118, 135, 160,  
 177, 222, 248, 250, 263, 282, 411, 419,  
 421, 455, 469, 470, 477, 493, 496, 504, 531,  
 597.  
 სამწუბი, სანძობი, ზანზობი, 21, 210, 211,  
 227, 236, 237, 812, 876, 376, 378.  
 სამწუბთ-ღელე. სამწუბთხევი 332, 375, 376.  
 სამწუბთხევი—იხ. სამწუბთღელე.  
 სამხრეთ-ოსეთი 221.

- სამხულა, სამიხელია 457, 458.  
 სანზუატ(?), სანძუატ 417.  
 სანსრები—იხ. სამსარი.  
 სანძობი—იხ. სამწუხი.  
 სპიტიახში 284.  
 სარზაბი—იხ. სარწების იალალი.  
 სარკეთი (?) 378.  
 სარმანიშვილისკარი 495.  
 სარმანიშვილის ქევი 485.  
 სარნ-ალბიურ 30.  
 სარო 40, 245, 252, 253, 250, 280, 281, 293, 294.  
 სარსან(?) 124.  
 სარუხანი 481.  
 სარწები, სარწაბი, ნიკოლაევეა 505, 517.  
 სარწები (იალალი), ზარზაბი, სარზაბი 518.  
 სასროლი, სასურველი 465.  
 სასურველი—იხ. სასროლი.  
 სასხარა 545, 547, 519, 556.  
 სატივე 495  
 საურმეთი 594  
 საფარა 221, 222, 225  
 საფარის მონასტერი 79, 217, 221.  
 საქალა (?), საქალა, საგალა, საქალე, საქალე 417.  
 საქანელა 457.  
 საქაოშეთი (?), საგუშეთი (?) 362.  
 სალაშო 340, 841, 342.  
 სალაშოს ტბა 22, 340, 341, 342, 353, 411.  
 სალმრ(თი) 542, 543, 555, 557.  
 სალარძე 155, 167, 171, 174.  
 სალუნეთი—იხ. საყუნეთი.  
 საყავრისხევი, საყურისხევი 240.  
 საყვეარა 288.  
 საყუნეთი, სალუნეთი, საყუნეთი 125, 126, 487.  
 საყოშო—იხ. საყოშო.  
 საყუნეთის სასრფლო საბჭო 122, 124.  
 საყურისხევი—იხ. საყავრისხევი.  
 საქელი 88, 71, 74, 80.  
 საქელის სასოფლო საბჭო 68, 71, 74, 79.  
 საქამიასერი 119.  
 საზუდაბელი 182, 184—186, 203.  
 საჩიქე (?) 484.  
 სევეანი (ტბა) 30.  
 სევეარი 588, 590.  
 სერდასორი 602.  
 სერკეტუბანი—იხ. ცირეკანთუბანი (?).  
 სერსემი(?)—იხ. ცრცემი.  
 სესი(?) 208.  
 აფისხევი 526.  
 სეხა—იხ. სეყავი.  
 სეყა—იხ. სეყავი.  
 სეყავი, სეყა, სეხა 448, 463.  
 სეყვაზა—იხ. ცხვარა.  
 სეირი 57, 68, 80, 132.  
 სეკარები—იხ. სეკარები.  
 სემურდონი 596.  
 სინდიზგომი—იხ. სინდისგომი.  
 სინდისგომი, სინდიზგომი 510, 620.  
 სირაზგომი—იხ. სირასგომი.  
 სირასგომი, სირაზგომი 508, 511—513, 516.  
 სირგვა, სირგვი, სირქვა 271, 275—277, 279, 280, 283, 287, 362.  
 სირგვი—იხ. სირგვა.  
 სირქვა—იხ. სირგვა.  
 სიძეაჯა—იხ. ცხვარა.  
 სიხრუქა—იხ. ცხროქა.  
 სიხრუქი—იხ. ცხროქა.  
 სიჯეარა—იხ. ცხვარა.  
 სეკარები, სეკარები, სეკარები 539, 540, 556.  
 სლესა, უჯანსლესა 148—146, 150, 549.  
 სლესის ციხე 143, 144.  
 სლესის-წყალი 143.  
 სლესის-ქევი 143.  
 სმადა (დიდი, პატარა) 91, 154, 155.  
 სმარზა 110.  
 სოლომონისი—იხ. სოლომონ-კალა.  
 სოლომონ-კალა, სოლომონი, სოლომონისი 575—577, 578.  
 სომეხთუბანი—იხ. სუმეხთუბანი.  
 სორსი 543, 549, 554—557.  
 სოუქ-ბულალ 30.  
 სოლომონი—იხ. სოლომონ-კალა.  
 სპასოვკა 34, 349.  
 სტამბოლი 30, 437.  
 სტეფანწმინდა, ისტეფანწმინდა 440, 452.  
 სუთასუბანი 479.  
 სუთ-ხანე (ტრაპიზონის კარიბჭე) 30.  
 სულდა 309, 412, 415, 416, 420, 423, 424.  
 სულდის სასოფლო საბჭო 416, 423, 424.  
 სუმბახათქენ, სუმნაქათქენ 481.  
 სუმელი (?) 540.  
 სუმნაქათქენ—იხ. სუმბახათქენ.  
 სუმეხთუბანი, სომეხთუბანი 87.  
 სუ(რ)ე სარქისი 600.  
 სუხუმი, ცხუმი 117, 122.  
 სქურკი, სქურკი 567.

- სხალური—იხ. ნადარბაზი.  
 სხალთა, წყალთა 139, 816, 316.  
 სხვარა, ცხვარა, სუხარა 882, 393, 396, 416.  
 სხვილისი (ზემო, ქვემო) სუჭლისი, სულისი  
 9, 25, 28, 61, 70, 71, 80.  
 სსევილისის სასოფლო საბჭო 63, 70.  
 სხია—იხ. ცხია.
- ტაბაწყური—იხ. ტაბისყური.  
 ტაბაწყურის სასოფლო საბჭო 288, 292, 296.  
 ტაბახშელა 288, 345.  
 ტაბისყური, ტაბისყურა, ტაბაწყური 288, 292,  
 296, 341, 359, 410.  
 ტაბისყურის ტბა 292, 293, 296, 297, 341,  
 410.  
 ტაგანტა—იხ. დაგხანდა.  
 ტაგბ-შეიხი(?) 594.  
 ტალაშო—იხ. ტლაშო.  
 ტაშალა (დიდი, პატარა, ქვემო), დამალა 187,  
 188, 468, 516, 620, 541, 542, 543—556.  
 ტაშოგუკა, კაქკა 319, 348, 350—352.  
 ტაო 41, 419, 420, 502, 505, 558, 559, 565,  
 566, 579, 581, 592.  
 ტაო-არტანო 16, 23, 28.  
 ტაო-კლარქეთი 34.  
 ტაოსკარის საბოქაულო 601.  
 ტაოსკერი—იხ. ტაუსკერი.  
 ტაოს რაიონი 17.  
 ტასისკარი—იხ. ტაშისკარი.  
 ტატანისი 51, 52, 80, 132, 327.  
 ტაუსკერი, ტაოსკარი 572, 595, 596.  
 ტაშ-ქვეევი (?) 380.  
 ტაშ-ბაში (?) 380.  
 ტაშისკარი, ტასისკარი 469, 485, 486, 492, 495  
 ტაშოგუკ. თაშოგუკლ 252.  
 ტაშლი-კიშლაკი—იხ. ტაშლი-ყიშლა.  
 ტაშლი-ყიშლა, ტაშლი-კიშლაკი 263, 300.  
 ტაშ-ქვეფერი(?) 380.  
 ტაშ-ჭორღუშ სუ (ტაშ-ჭორღუშ წყალი) 391.  
 ტაძარი 100.  
 ტაძლახა (?) დაზლახა 486, 449.  
 ტაძრისი 22, 127, 128, 129—131, 540.  
 ტაძრისის მონასტერი 129.  
 ტაძრისის სასოფლო საბჭო 127, 129, 131.  
 ტაჭერეკი, ტეჭერეკი 578, 577.  
 ტბა 480—484.  
 ტბაფარაჯანი—იხ. ფარაჯანა.  
 ტბაფარაჯანი (მდ.) 343  
 ტბეთი (ზემო, ქვემო) 212, 290, 221, 223, 226,  
 227, 230, 232, 237, 240, 532.  
 ტბისყური—იხ. ტაბისყური.  
 ტემათი (ზემო, ქვემო, პატარა), დეზად 507, 508,  
 514, 515, 518.  
 ტერნისი (?), ტირნისი, დირნისი 857.  
 ტეპენიე —იხ. ორლოვკა.  
 ტეჭერეკი—იხ. ტაჭერეკი.  
 ტიბაანი 496.  
 ტიკანი (დიდი, პატარა) 544, 545, 547.  
 ტილიფი—იხ. დლიევი.  
 ტილიფის (დლიევი) წყალი 335.  
 ტიმოთისუბანი—იხ. კომოთესუბანი.  
 ტირკანა—იხ. დირკანალი.  
 ტირიკასტრონი—იხ. ყველის ციხე.  
 ტლაოში, ტალაშო 529.  
 ტობა 208, 214, 215, 234.  
 ტოლოში 9, 37, 245, 248, 250, 254, 258—261.  
 ტოლოშის სასოფლო საბჭო 245, 250, 254,  
 258, 260.  
 ტოტამი—იხ. თოთხამი.  
 ტრაპიზონი 30.  
 ტრაიბონი 212, 220, 226, 227, 230, 232, 237,  
 240.  
 ტრკანა—იხ. დირკანალი.  
 ტურცი 277, 283, 285, 297, 531.  
 ტფილისი—იხ. თბილისი.  
 ტყამლობ(?) ტყემლობ 433, 434, 518, 552,  
 554.  
 ტყემლანა, ტყემლოვანი 122, 125, 126, 130.  
 ტყემლობ—იხ. ტყამლობ.  
 ტყემლოვანი—იხ. ტყემლანა.  
 ტყე-ჭაბუხეთის ნაპიჯ (რაიონი) 11, 265, 277,  
 278, 286, 328, 359.  
 ტყისთავი (დიდი, პატარა) 514, 516, 518.  
 ტყისი 152.  
 ტყის ნაპიჯ (რაიონი) 11, 38, 41, 313, 319,  
 430—432, 499, 504, 505, 515, 525, 528, 529,  
 542, 543, 548, 550—553, 558, 559, 584.
- უბანი 200, 301.  
 უგარედი—იხ. უგარეთი.  
 უგარეთი, უგარედი 130—132, 143.  
 უდაბნო, უდაბნო 417.  
 უდაბნო—იხ. უდაბნო.  
 უღე 84—86, 88, 90, 93, 95, 101, 122, 178.  
 უღის ნაპიჯ (რაიონი) 61, 84, 97, 105, 108,  
 113, 242, 286, 354, 492, 603.  
 უღის სასოფლო საბჭო 84, 93, 97, 103.  
 უღის ციხის რაბათი 84.  
 უჯანყელისი 204.

უკან მოთილი 22, 536, 549, 566, 557.

უკანსლესა—იხ. სლესა.

უკანუბანი 549.

უკანციხე 549.

უკუჩილდირი 878.

უმწაა—იხ. უწა.

უნწა, უმწაა 155, 157, 172.

ურაველი 181, 212, 216, 217, 219, 230, 231, 233, 237.

ურაელის სასოფლო საბჭო 217, 219, 231.

ურაელისწყალი 235.

ურაელის (მდინარე) ხეობა 215, 217, 230.

ურართუ 534.

ურეკი, ორუკი, ერუკი 582, 588, 600.

ურთა 379, 381, 392, 396, 405, 407, 534.

ურთის ციხე-საყდარი 381.

ური, პური (ქაქთა ქალაქი) 501, 530, 588, 534, ფაფალა, ფაფალუ 444, 445, 547.

ურსულა—იხ. იელიტა

ურუმი 510, 517.

ურწყაუი 182.

ურეუსუბანი, ურევისუბანი, უთხისუბანი 25, 101, 102, 112, 113.

ულუხ 430.

ულაშბის სასოფლო საბჭო 221.

ულმანა, უნმანა, უქმანა, უქმანა 320, 332, 333, 364.

ულა (ზემო, ქვემო, შილა) 22, 428, 437, 445, 450, 461, 463.

ულადიბ(?) 535.

ულანერის ტბა—იხ. თაფარაენის ტბა.

ულანაკარის ციხე 504.

ულანაკეთი, ულანაკეთი 301, 362, 371, 372, 373.

ულანაკი (რაბათი), ულანაკი, ბანაკი. პენიაკი, ბანაკი 560, 562 564, 566, 568, 570, 576—578, 587, 594.

ულანაკის ლოვა (სანჯაყი) 17, 38, 500, 568, 559, 575, 581, 587, 594, 597, 600.

ულანაკის ნაჰიდე (რაიონი) 11, 38, 41, 558, 561—564, 567, 569, 571, 579, 583, 586, 587, 592, 600, 602.

ულანაკეთი—იხ. ულანაკერტის რაბათი.

ულანაკერტი—იხ. ულანაკერტის რაბათი.

ულანაკერტის ნაჰიდე (რაიონი) 11, 38, 41, 558, 559, 581, 582, 584—590, 597, 601.

ულანაკერტის რაბათი, ულანაკერტი (ზემო, ქვემო), ულანაკეთი 561, 582.

ულანაკეთი—იხ. ულანაკეთი.

ულანაკურეთი, პანაკურეთი 577.

ულარაენი—იხ. ულარაენა.

ულარაენი (ტბა)—იხ. თაფარაენის ტბა.

ულარაენის სასოფლო საბჭო 319, 348, 351, 352.

ულარაენისწყალი 321, 331, 340, 341.

ულარაენი (ციხე-ქალაქი)—იხ. ულარაენის ციხის რაბათი.

ულარაენის ციხის რაბათი, ულარაენი, ულარაენი, ულანაკარი 501—504, 505, 534, 508.

ულარასორი 595.

ულარაქესი 597.

ულარეხა (ზემო, ქვემო), პარეხა, 81, 62, 88.

ულარაენა, ულარაენე, ულარაენი, ტბაულარაენი, თაფარაენი. ულანაკრა, ულანაკარი, როდიონოვა 319, 345—352, 410, 469.

ულანაკენი—იხ. ულარაენის ციხის რაბათი.

ულაფა. პაპა 222, 475, 477, 478, 487.

ულაფალა, ულაფალუ 444, 445.

ულაფალუ—იხ. ულაფალა.

ულაფარაიუბანი(?) 127, 128.

ულაქარაშენი—იხ. ულქარაშენი.

ულახრელი (?), მახრელი, ქვაყრილი, ქვახრელი 430, 440, 463, 508, 509.

ულარაენე—იხ. ულარაენა.

ულარათასორი 599.

ულარათენი 578.

ულარათუნი (?), ნერათუნი, თერათუნი, პერატუსი 586, 587, 597.

ულარისციხე, ულარისხე 45, 65, 68, 100, 191, 196, 235, 265, 459.

ულარისხე—იხ. ულარისციხე.

ულარისხეი 208, 208.

ულარსა 135—187, 142.

ულარსათის მთა 108, 143, 146, 150, 480.

ულარსის სასოფლო საბჭო 58, 136—138, 142. ულარსლეთი (?), ბოსლეთი 148.

ულარტობანი—იხ. პეტრობანი.

ულქარაშენი, ულქარაშენი 379, 405—408.

ულქარაშენის არხი 22.

ულა 257, 281, 263, 370.

ულის ქვაბი 262, 263.

ულკლობი 532, 534, 545, 546, 555.

ულკობოვკა 413.

ულნარი 582, 583.

ულარდაროსი 584.

ულარსლათის მთა 153.

ულარსასკომი 512, 513.

ულარტე, ულარტე 107, 109, 155, 158.

ულაკა, ულაკანი, ულაკათი, ულაკთა, პოგა 146, 277, 326, 341—348, 344, 348.

ულაკანი—იხ. ულაკა.

- ფოკის ტბა 352.  
ფომა, პომა 488—435, 454.  
ფოქანო—იხ. ზოქანო.  
ფორსიეთი 288.  
ფოსიქი 598, 599.  
ფოსო 403, 538.  
ფოცხოვი 16, 105, 106, 433.  
ფოცხოვის ლივა (სანჯაყი) 1, 17, 54, 76—78, 106, 432, 436. 439—441, 444, 448—450, 455, 458, 461, 463, 465, 467, 500, 509, 539, 603.  
ფოცხოვის ნაჰიე 445.  
ფოცხოვის პროვინცია 41.  
ფოცხოვის საბოქაულო 433, 456.  
ფოცხოვის წყალი (მდ.) 49, 63, 67, 89, 174, 380, 461.  
ფოცხოვის-ქევი 432, 461, 462.  
ფრტენა—იხ. პრტენა.  
ფრუტი 390, 396.  
ფუქათა—იხ. ფოკა.  
ფულატე—იხ. ფლატე.  
ფუნდული (?) 460.  
ფურული 379.  
ფულა 218, 219, 228.  
ფულურაწყალი 231.  
ფუმულეთი (დიდი, ზემო, ქვემო), ფურლულე. თი (?) 536, 537, 544.  
ფურჩლულეთი — იხ. ფუმულეთი.  
ფხერო, ხერო 154, 157.  
ფხეროს სასოფლო საბჭო 154..
- ქეთარნაგები, ქართანაქევი 427, 428, 430.  
ქათამქანთუბანი 114.  
ქალაქშენი 514.  
ქალაქისკარი 598.  
ქალის-წყალი 447.  
ქამარბელი — იხ. ქანარბელი.  
ქამარზა (?) 470, 484.  
ქამრასორი (ზემო, ქვემო) 522, 526, 587.  
ქამრისი 587, 589.  
ქამხისის რაბათი, ქამხისი, ჩამხისი, კიაგ-მისი 575, 576.  
ქანარბელი, ქამარბელი 396, 410, 411, 415. 416, 420, 424.  
ქანარბელის ნაჰიე (რაიონი) 11, 236, 247, 337, 385, 393, 394, 396, 397, 410, 411, 420, 421, 539.  
ქარაშეთი, მეორე სახელი ქირფაშენი, 551, 584, 585, 591.
- ჭარგლუხი. კარკლუხი 670, 584.  
ჭარელის რაიონი 53.  
ქარზამეთი, კარზამეთი 500, 369, 370, 874, 375, 411.  
ქარზამეთის მონასტერი 374.  
ქარზამეთისწყალი 372.  
ქარზამეთის-ქევი 374.  
ქართაბი 369.  
ქართანაქევი — იხ. ქეთარნაგები.  
ქართაშენი (?) 204, 295, 801.  
ქართლი (შიდა, ზემო) 419, 469, 470, 485. 491, 815.  
ქარქათვლი (?) , ქარქათული 547, 540.  
ქარქათული — იხ. ქარქათელი.  
ქარწაბი — იხ. ქარცები.  
ქარცები, ქარწაბი, ქიარსიფ 308—810, 332, 360.  
ჩაღი, ქაფქი, კაპი 585.  
ჩაშეთი — იხ. სადგერი.  
ჩაშეთის ნაჰიე 11, 474, 489.  
ჩაქარაული 34, 112.  
ჩაქთა ქალაქი — იხ. ური.  
ჩაქის-ციხე, ქაქის-ციხის რაბათი, შეითან-კალა 32, 381, 402—405, 531.  
ჩაქის ციხის რაბათი — იხ. ქაქის-ციხე.  
ქევაქის (?) — იხ. ქევაკენი.  
ქეივანქი 600.  
ქეიღენქი (ზემო) 600.  
ქეიღევანქი 584, 600.  
ქელგერი 597, 598.  
ქესაზოკორდი (?). ბუმუქტუნე 519.  
ქესასი — იხ. ქევაკენი.  
ქეაბი — იხ. ქეაბისხევი.  
ქეაბისხევი, ქეაბი. ქეაბნი 127, 144, 145.  
ქეაბიჯარი, ქეაბისჯარი, 27, 104, 105.  
ქეაბლიანი, ქობლიანი 156.  
ქეაბლიანის ნაჰიე (რაიონი) 11, 111, 113, 118, 164.  
ქეაბლიანის სანჯაყი 320.  
ქეაბლიანის (ქობლიანის) ხეობა 24, 85, 88, 89, 116—118.  
ქეაბნი — იხ. ქეაბისხევი.  
ქევაკათა — იხ. ქევაკენი.  
ქევაკენი, ქევაკათა. ქევაქის (?), ქეაქის (?), ქეხასი 24, 34, 385, 808—395, 397—399, 410.  
ქეაქის (?) — იხ. ქევაკენი.

- კეკელი — იხ. ფახრელი (?).  
 კეახრელი — იხ. ფახრელი (?).  
 ქველი — იხ. ყველი.  
 ქვიშხეთი 469, 494, 495.  
 ქვიშხეთის სასოფლო საბჭო 495.  
 კვაიხისის რაიონი 11, 38, 41, 558, 559, 567, 575, 577.  
 ქიარსიფ — იხ. ქარცები.  
 კილდა 311, 314, 364.  
 კილერტა, კილერტა, კილერტან 263, 418, 419.  
 ჭიშკრეთი 128, 404.  
 ჭიშკრეთის ქვეი 493, 494.  
 ჭინჭორკალი 507, 508, 510, 515—517.  
 ჭირმანი 500, 524, 526, 526.  
 ჭირფაშენი — იხ. ქარაშეთი;  
 ჭიქინეთი 168—171—173.  
 ჭობლიანისწყალი 67, 84, 95, 100, 101, 103, 107, 109, 111, 118, 120, 155, 160.  
 ჭობლიანის ხეობა — ქვაბლიანის ხეობა.  
 კომანი — იხ. გუმანი (?).  
 კომპი 586.  
 კორეთი 22, 112, 182—184, 408.  
 კორეთი (?). კორია, კორნა კორბა, კორფა, 108, 139.  
 კორისთავი — იხ. გორისთავი.  
 კოჭათუბანი — იხ. გოგეთუბანი.  
 კოჭები — იხ. კოყები.  
 კოლასი 379.  
 კოჩახუ 597.  
 კუთაისის ციხე 503.  
 კუმანი — იხ. გუმანი (?).  
 კუნსალა — იხ. ჭუნცალა (?).  
 კუნცა, კუნცა 245, 249, 253, 254, 258, 260, 371.  
 კუნცალა (?), კუნსალა 880.  
 კურდოვანი, ჭურდევანი, კურტევანი, კურტოვანი 200.  
 კურდოსანი 237, 238.  
 კურგელი — იხ. გურგელი.  
 კიცა 282.  
 ჭამხისი — იხ. ჭამხისის რაბათი.  
 რაბანა — იხ. ლვინია.  
 რადალა — იხ. ყადალა.  
 რადო 277, 283, 285, 297.  
 რადოს მთა 149, 150, 170.  
 რამზა, ყამზა 190, 192, 487.  
 რართა — იხ. ყართა.  
 რაურმეკი (?), ლორმაკე, ლორმაკე, ყაურმა, გორმაკე, ლორმაკე 312, 328, 330, 331.  
 რაღვი, გავვი (ზედა) 95, 104, 106, 111, 114, 117.  
 რვარძელი (?) 486, 436.  
 რველი 114.  
 რვიმე, მღვიმე, ლუმე 446, 449.  
 რვინია, ლვინია, რაბანა 444, 446.  
 რვინისწყარო, მერორე სახელი ბასილის სოფელი, ბასილჭირი 400.  
 რთის(?)უბანი 444.  
 რვინია — იხ. ლვინია.  
 რირტილა — იხ. ლრტილა.  
 რობიეთი 177, 180, 181, 183, 211.  
 რორთუბანი, ხორთუბანი 103, 114, 115, 117, 164.  
 რორმაკე — იხ. ლაურმეკი (?).  
 რორომა — იხ. ლრომა.  
 რორმე 27, 83, 98.  
 რორათუბანი 165.  
 რრელი 210, 214, 215, 217, 224, 226, 226, 234.  
 რრმა — იხ. ლრომა.  
 რრმანი (?), რრმა (?) 221, 445.  
 რრომა, რრმა, ლრომა 215, 227, 228, 241.  
 რრტილა, ლრტილა, ხრტილა, იხტილა 25, 28, 117, 270, 277, 278, 286, 287, 326.  
 რულალისი 310.  
 რუმე — იხ. ლვიმე.  
 რუმეთი (?) 512.  
 ყაბანი 22, 578, 579.  
 ყადალა, რადალა 424.  
 ყაზახის მარზა 387.  
 ყაზვინი 385.  
 ყალაფხი — იხ. კალაჯიკი (?).  
 ყალნუ მთა 560.  
 ყამარვანი 380.  
 ყამზა — იხ. რამზა.  
 ყამზისწყალი 197.  
 ყამიშულ 555.  
 ყანდურეთი, კანდურეთი 544.  
 ყანობარი — იხ. ყანუბარი (?).  
 ყანობილი — იხ. ყანუბარი (?).  
 ყანუბარი (?), ყანობარი, ყანობილი, ყანობი-რი 162, 166, 167, 175, 198, 197.  
 ყარათუბანი 93, 95, 102, 109, 120, 164.  
 ყარალათუბანი (?) 481.



- ყარა-ყალა, შავ-ციხე 379, 383, 392, 396, 560.  
 ყარაყუზაი, კარაყუზაი 150.  
 ყარაჩინარის შთა (პატარა) 22, 540.  
 ყართა, ღართა 186, 187—189, 913, 204, 303, 308, 309, 332, 366, 412.  
 ყარსი 296, 414.  
 ყარსის ლიეა 498.  
 ყარსის ოლქი 224, 433.  
 ყარყალანი — იხ. კარკლანი.  
 ყაურმა — იხ. ლაურმეჭი (?).  
 ყალარი — იხ. კაგარი.  
 ყალიზმანის ლიეა 499.  
 ყერძელი 485.  
 ყველი (ზემო), კველი, ქველი 22, 432, 410, 441, 447, 448.  
 ყველის მონასტერი 22, 440, 441, 441, 447, 448.  
 ყველის ციხე, კველის ციხე, ტიროკასტრონი 440, 447.  
 ყვერბილი, პეტრეს ციხის რაბათი 128, 481, 480, 487.  
 ყვერბილის ხევი 127, 479, 486.  
 ყვიბ-სი 128, 470, 477, 478, 493.  
 ყვიზისის სასოფლო საბჭო 478, 492, 493.  
 ყიზილ გრბეჭი 601.  
 ყიზილ-ვერანა (?) 380.  
 ყიზილ-ყალა 207.  
 ყირხ-ბულაღი 305, 335.  
 ყოიუნდარა — იხ. ყოიუნი.  
 ყოიუნ-დერე — იხ. ყოიუნი.  
 ყოიუნი, ყოიუნ-დერე, ყოიუნდარა 300, 301.  
 ზორაველი 379.  
 ზორაშენი — იხ. კორაშენი.  
 ზორსი 267.  
 ზონყარა (?) 430, 548.  
 ზრუსოფელი — იხ. ყურსოფელი (?).  
 ჯრულელისთავი — იხ. ყურღელი თავი.  
 ჯღდრა (ზემო, ქვემო), ყუღდრო 437, 480.  
 ჯღდრო — იხ. ყუღდრა.  
 ჯუზაბეთის ციხე 367.  
 ჯუთარმელიჭი 531.  
 ჯულალისი 68, 71, 74, 422.  
 ჯულუბი, ლულუბი 107, 108.  
 ჯუნღალი (?) 77, 467, 468.  
 ჯურა — იხ. ყურა.  
 ჯურათუბანი 56, 77.  
 ჯური, ყურა 39, 189, 183, 185.  
 ჯურსოფელი (?), ყურსოფელი 484.  
 ჯურულაური, ყურულარი 516.  
 ჯურღელი თავი, ყრულელის თავი 484.  
 ჯაღდენი 509, 510.  
 ჯაღდენი, შოდირვანი 200, 261.  
 ჯაღლა 371.  
 ჯაღშეთი 105, 106, 163, 303, 432, 438, 440, 448, 503, 504, 507, 518, 532, 593.  
 ჯაღშეთის მდინარე 503.  
 ჯაღ-ციხე — იხ. ყარაყალა.  
 ჯაღ-წყალი 477, 478, 490.  
 ჯაითუმანი — იხ. შუათუმანი.  
 ჯალოშეთი — იხ. სალოშეთი.  
 ჯაორი 340, 350.  
 ჯაორის შთა 349.  
 ჯაორის ციხე (ქოროლი) 349.  
 ჯაორის წყალი 349.  
 ჯატბერდის ეკლესია 58.  
 ჯაპაზიზფინარი 521.  
 ჯეითან-ყალა — იხ. ქაქის-ციხე.  
 ჯეიხ ჩიფთლქ 602.  
 ჯემკამელი (?) 433, 434.  
 ჯეიდ-ეკლესია, იედიქილისა 22, 388, 289.  
 ჯირაზი 524, 525.  
 ჯოლასწყალი 301.  
 ჯოდირვანი — იხ. ჯადრევანი.  
 ჯოლა. შულაა 801.  
 ჯოლავერი, შორაველი, შულავერი 91, 154, 158.  
 ჯოლოთა—იხ. შორითა.  
 ჯორაბადი, შორათადი 51.  
 ჯორაველი — იხ. შოლავერი.  
 ჯორაპანი — იხ. შორითა.  
 ჯორაპნის მარა 475.  
 ჯორაშეთი 234.  
 ჯორეთა — იხ. შორითა.  
 ჯორითა, შორეთა, შორეთი, შოლოთა, შორაპანი, ტაქი, ტაჭი, ჭაიტა, 22, 204—208.  
 ჯორეთის (შორაპნის) მონასტერი 51, 205—208.  
 ჯოღლათუბანი, შულლათუბანი, შულათუბანი 483.  
 ჯოყა — იხ. ალთუნყალას რაბათი.  
 ჯუაღლე — იხ. შუატყე.  
 ჯუათუბანი, შაითუმანი 417, 418.  
 ჯუარწყალი 27, 430.  
 ჯუატყე. შუაღლე 801, 302.  
 ჯუაუბანი 462.  
 ჯუდიღითუბანი (?) 127, 128.  
 ჯულავერი — იხ. შოლავერი.  
 ჯურღო 55, 58, 65, 66, 71, 137, 142.

- ჩაღსმან (?) 440.  
 ჩაისი, ჩაისთარი 396, 397, 416, 688, 539.  
 ჩაისთარი — იხ. ჩაისი.  
 ჩაისუბნის სასოფლო საბჭო 53.  
 ჩაქიდულა 70.  
 ჩამარდო 877.  
 ჩამდრა — იხ. ჩამძვარალა.  
 ჩამდურა — იხ. ჩამძვარალა.  
 ჩამძვარალა (დიდი), ჭამშურალა, ჩანდურა, ჩამდრა, ჩამდურა 25, 252, 320, 328, 335, 379, 303, 384, 886, 387—390.  
 ჩამხისი — იხ. ქამხისის რაბათი.  
 ჩანგლი 35.  
 ჩანდურა — იხ. ჩამძვარალა.  
 ჩანუჩურის ნაჰიე 598.  
 ჩანჩაბური — იხ. ჩანჩაფური.  
 ჩანჩაფური, ჩანჩაბური 100, 101.  
 ჩანჩაბი, კანჯაბი 456.  
 ჩანჩური, ჩაჩური (ზემო) 601, 602.  
 ჩარსორი — იხ. ჩისხორი.  
 ჩაქვისთავი (შთა) 190.  
 ჩაქიუხერი (?), ჩახიური 407.  
 ჩანჩაური — იხ. ქაქნაური.  
 ჩახომტევი (?) 648.  
 ჩახსორი — იხ. ჩისხორი.  
 ჩუენეთი, კუენეთი 408.  
 ჩუარინა — იხ. ხორენია.  
 ჩუარბუჯი, ჭარბუჯი, ჩარბუქ 137, 162, 163, 167, 602.  
 ჩითახევი, ჩირთახევი 480.  
 ჩითახევის მონასტერი (მწვეანე მონასტერი) 480.  
 ჩიკორა — იხ. ოჩკორა.  
 ჩილდირი 16, 32, 34, 304, 379, 531.  
 ჩილდირის (ჩარდირის) ელიაშეთი 47, 48, 50, 499, 503.  
 ჩილდირის საბოქაულო 433.  
 ჩიშლი ჩაირი 543.  
 ჩირთახევი — იხ. ჩითახევი.  
 ჩისხორი, ჩახსორი, ჩარსორი 562, 608.  
 ჩიტისწყარო (?), ბიდწყარო 488, 453, 454.  
 ჩიფთლიქი 296.  
 ჩიქიურეთი — იხ. ჩიხირეთი.  
 ჩიხირეთი, ჩიქირეთი 566.  
 ჩიხორიში 191, 192.  
 ჩკორა — იხ. ოჩკორა.  
 ჩობან-ქოზი 648.  
 ჩოთი, ჭოთი, ჭოთისკლდე 640.  
 ჩოლეთი, კოლეთი 873, 378.  
 ჩორჩანი 87, 88, 92, 81, 116, 117, 216.  
 ჩორჩანის სასოფლო საბჭო 94, 154.  
 ჩორჩენი 446, 448, 450, 481, 452.  
 ჩორჩისი (?), კორჩისი? 87.  
 ჩორჩო, ზეჩორჩო 212, 218.  
 ჩორჩოსწყალი 216.  
 ჩოფაშენი, კობაშენი 87, 98, 285.  
 ჩოლუბანი — იხ. კოლუბანი.  
 ჩოჩოვეთი — იხ. კოქოვეთი (?).  
 ჩოჩონი, კოკონი 284.  
 ჩოხტა, ჩოხთა 135, 187, 138.  
 ჩრდილის (ჩილდირის) ლივა 17, 32, 236, 293, 379—382, 386—390, 393, 396, 397, 410, 416, 420, 426, 430, 548.  
 ჩრდილის მხარე 390.  
 ჩრდილის ნაჰიე (ჩაიონი) 38, 41, 62, 67, 69, 76—78, 80, 174, 217, 390, 432, 437, 439, 455, 460, 467, 468, 499, 500, 504, 505, 515, 520, 525, 526, 533, 540, 552, 553, 558, 559, 587, 592, 595, 597—601.  
 ჩრდილის ტბა (პალაკაციო) 28, 380, 381, 383—385, 387, 390, 391, 392, 395—398, 406—408, 410, 411, 414.  
 ჩრდილის ტბის არხი 22.  
 ჩრდილის (ჩილდირის) ციხის რაბათი 378, 380, 382, 402, 404, 405.  
 ჩუნჩხა — იხ. ჩუნჩხელი (?).  
 ჩუნჩხათი — იხ. ჩუნჩხელი (?).  
 ჩუნჩხეთი (?) — იხ. ჩუნჩხელი (?).  
 ჩუნჩხელი (?), ჩუნჩხეთი (?) 59.  
 ჩუნჩხელი, ჩუნჩხეთი (?), ჩუნჩხა, ჩუნჩხათი, 244, 248, 247, 250, 252, 311.  
 ჩუნჩხის სასოფლო საბჭო 244, 247, 311.  
 ჩურჩუტო, ჩურჩუტა 64, 107, 174.  
 ჩხიკეთა 139.  
 ჩხოროწყუე 119.  
 ცაბაურთა 139.  
 ცემი — იხ. ცრეკვი.  
 ცემი პატარა 494.  
 ცერეკვი — იხ. ცრეკვი.  
 ცივი 228.  
 ციეწყარო 181.  
 ცერეკაანთუბანი (?), სერეკეთუბანი 484.  
 ციხისუბანი 98.  
 ციხისქვარი 478, 479.  
 ციხისქვარის სასოფლო საბჭო 478.

- ცრემი, სერსემი (?), ცერცემი, ცეცი, ცე-  
 მი 481—484.  
 ცუნქის-კევი 197.  
 ცხაიას რაიონი 190, 493.  
 ცხეკნელა 260, 251.  
 ცხაჯა, სიძეჯა, სეჯეჯა, სიჯეჯა 84, 65.  
 379.  
 ცხია, სხია 282.  
 ცხრაყარო 31, 119.  
 ცხროქა, სიხრუქი, სიხრუქა 23, 24, 34, 116—  
 118.  
 ცხუმი — იხ. სუხუმი.  
 ძაღოსი (?), მეორე სახელი კიზილ-ქიზი (წი-  
 თელი სოფელი) 609.  
 ძეგვი — იხ. ზაკვი.  
 ძველი გომი — იხ. გომი.  
 ძინძალი 379.  
 ძინძე, ძინწა, წინწა 101, 102, 118.  
 ძინწა — იხ. ძინძე.  
 ძირზანა — იხ. ზერზანა (?).  
 ძირი — იხ. წირა.  
 ძირძანა — იხ. ზერზანა (?).  
 ძირწანა — იხ. ზერზანა (?).  
 ძორეთი — იხ. ზორეთი.  
 ძორეთი, ზორეთი, ზორეთი 136, 144, 145,  
 146, 183.  
 ძორეთ — იხ. ზორეთი.  
 ლერძანა, ზურზუნა 29, 122, 379, 381, 382,  
 384, 390, 396, 404, 408.  
 ძუძანა — იხ. ზუზანა (?).  
 ძუწანა — იხ. ზუზანა (?).  
 წალკა 26, 282, 597.  
 წალკის რაიონი 282, 288.  
 წამალუბანი, წამალანთუბანი 53, 59.  
 წარბასთუბანი, წარბასთუბანი 70, 77, 84, 89,  
 91, 96, 98, 102, 103, 491.  
 წართა — იხ. ზართა (?).  
 წაღველი — იხ. ნაღვერი.  
 წაღვერი, წაღველი, შოღლათუბანი 470, 481,  
 483, 484, 491.  
 წაღვერის საღაბო საბჭო 481—484.  
 წახანი 165, 188—173, 496.  
 წახანწორა — იხ. წახნისწყარო.  
 წახნის სასოფლო საბჭო 168, 171, 172.  
 წახნისწყალი 168.  
 წახნისწყარო, წახანწორა, ზახნისყარა 168,  
 170—178.  
 წერაქუნტა 260, 261, 289.  
 წითელსათიბი, წინსათიბი 460, 451.  
 წინსათიბი — იხ. წითელსათიბი.  
 წინუბანი, ზეუბანი 51, 54, 57, 72, 76, 78,  
 113, 126, 135, 187, 138, 140—142, 208,  
 480, 487.  
 წინუბნის შინგარული წყლები 140, 142.  
 წინუბნის წყლის ზეობა 132.  
 წინწა — იხ. ძინძე.  
 წინწალი (ზემო, შუა, ქვემო), ზინწალი 24,  
 29, 381, 888, 384, 390, 808, 396, 399, 517.  
 წირა, ძირი, ზირი 55, 57, 202.  
 წირიობი — იხ. წრიობი.  
 წისკვილისხევი 505, 608,  
 წმინდაელია 505, 608, 645, 546.  
 წმინდამარიანე 512.  
 წმინდაუბანი 162, 166.  
 წნახა — იხ. ზნახა (?).  
 წნისი 54, 80, 80, 80, 132.  
 წნისის მონასტერი 132.  
 წნისის-ქევი 60, 132.  
 წონდა — იხ. წუნდა.  
 წობტები — იხ. წობტევი.  
 წობტევი, წობტევი 134, 137, 141, 142.  
 წრე 160, 161,  
 წრიობი, წირიობ, ზირიობ 117, 138—142, 147.  
 წუკულეთი, ზაკულეთი 104.  
 წუნდა, წონდა 803, 365, 374, 403, 534.  
 წურმანი (ზემო, შუა, ქვემო) 542, 543, 544,  
 წურწყაბ, წურწყუმა 448, 457, 481, 462.  
 წურწყუმა — იხ. წურწყაბ.  
 წულრეთ — იხ. წყრეთი.  
 წუწანა — იხ. ზუზანა (?).  
 წყალბილა (მდ.) 68.  
 წყალბილი 75—78, 184, 190, 196, 312,  
 465—467.  
 წყალბილის სასოფლო საბჭო 75, 78, 465.  
 წყალმეტრთხევი 258.  
 წყალციხე 67.  
 წყაროკეთილი 157.  
 წყაროსთავი 385, 394—396, 398, 414, 415,  
 420.  
 წყასთავი — იხ. ზღასთავი (?).  
 წყისე (ზემო, ქვემო) 27, 88, 81, 101.    ა  
 წყორზა — იხ. წყორძა.  
 წყორძა, წყორზა, 181, 209, 214,—218, 217,  
 219, 223, 224, 228, 231, 237.  
 წყურთი, ზულურთ. წულრეთ, წუურთა 40.,  
 60, 55, 57, 80, 118.

- წყარეთის სასოფლო საბჭო 50, 55, 57.  
წყუთაქვარი. თუთაქვარი, წყურთაქვარი 171, 172, 174.  
წყურთა—იხ. წყრუთი.  
წყურთაქვარი—იხ. წყუთაქვარი.
- ჰაბორია (ზემო, ქვემო), ჰაბორია 10, 443, 448, 447, 458.  
ჰალა (ზემო), ჰალა 80, 85, 118, 119, 191, 214, 215, 222, 234, 235, 380, 385, 394—396, 398, 899, 400, 470, 475, 477, 478, 479, 487, 563.  
ჰალა (მდ.) 400.  
ჰანჯანათუბანი—იხ. ჯაჰანათ (?) უბანი.  
ჰარალი (ზემო, ქვემო) 460, 461.  
ჰართლის სასოფლო საბჭო 232.  
ჰარლის რაბათი—იხ. ჰარლის ციხე.  
ჰარლისციხე, ჰარლის რაბათი 461.  
ჰარული—იხ. კიხარულა.  
ჰაჰარაჰი (ზემო, ქვემო), ქვექერეჰი, ჰაჰარაჰი 38, 191, 200, 210, 214, 215, 226, 234, 235.  
ჰაჰარაჰი ვერანა 151.  
ჰაჰარაჰის ნაჰიფე (რაიონი) 11, 54, 209, 211, 212, 222, 234, 235, 238, 239, 286, 369, 376, 478.  
ჰაჰარაჰის სანჯაყი 71, 79, 178, 209, 224, 237, 312.  
ჰაჰარაჰის ციხის რაბათი 209.  
ჰაჰარაჰის-ქვეი 209.  
ჰაჰკა—იხ. ტამბოეკა.  
ჰაჰკარი 261, 804, 366, 367.  
ჰაჰნაური. ჩაჰნაური 359.  
ჰელა 119.  
ჰერულსწყალი 283.  
ჰევერეჰი—იხ. ჰაჰარაჰი.  
ჰეჰლა 117—118.  
ჰეჰლის სასოფლო საბჭო 97, 119.  
ჰეჰრები 473.  
ჰეინთა—იხ. ჰეინტა.  
ჰეინტა, ჰეინთა, ჰინტა 34, 68, 57, 152, 444, 446, 449.  
ჰიდალაური—იხ. ჰიდალაური.  
ჰიდალაჰე 112.  
ჰილანა, ჰილოენა 433—436, 445, 449, 452.  
ჰილოენა—იხ. ჰილენა.  
ჰინჰრობი—იხ. ჰინჰრობი.  
ჰიხარულა, ჰხარულა, ჰარული 288, 291, 292, 296.
- ჰიხელი 178, 174.  
ჰიხელის ტბა 174.  
ჰკორა—იხ. ოჩკორა.  
ჰობისხევი 127, 128, 145, 470, 470—481.  
ჰობარეთი 178, 180, 161, 211, 223, 224, 228, 240, 286.  
ჰობარეთის წყალი 274.  
ჰობარეთის-ქვეი 224.  
ჰობოძე—იხ. ჰაბურე.  
ჰოლდა—იხ. ჰოლდა.  
ჰოლთა—იხ. ჰოლდა.  
ჰომა 448.  
ჰორატი—იხ. ჰორტი.  
ჰოროზი (მდ.) 45, 46, 316, 503, 560.  
ჰორტი, ჰორატი 397, 398.  
ჰოლაუბანი, ჩოლაუბანი, კოლაჰანთუბანი 127, 128.  
ჰოჰები (ზემო, ქვემო) კოჰი, ჰოჰები 232, 233, 373.  
ჰოჰი—იხ. კოჰები.  
ჰოჰოვეთი (?), ჩოჰოვეთი 299, 300.  
ჰუნთელი 446, 446.  
ჰუეათუბანი (?)—იხ. ჰუეათუბანი.  
ჰულაყარი—იხ. ჰულაყარი.  
ჰულე, ჰულეზი, ჰულევი 22, 103, 108, 110, 158.  
ჰულეზი—იხ. ჰულე.  
ჰულევი—იხ. ჰულე.  
ჰულელა (მდ.) 108.  
ჰულეს ეყლესია 22, 156.  
ჰოჰულაჰე—იხ. ჰოჰულაჰე (?).  
ჰხარული—იხ. კიხარულა.
- ხეალი—იხ. ხეჯახი.  
ხეეთი 411—413, 417, 420, 423.  
ხეეთის სასოფლო საბჭო 411, 413, 416.  
ხეი, ხეჰი 68, 71, 74, 79, 312.  
ხემაში (დიდი, პატარა) 420, 431, 548, 552.  
ხანაჰი (ზემო, შუა, პატარა), ხანახი 538 616, 546, 557.  
ხანახი—იხ. ხანაჰი.  
ხანდო 267, 275, 279, 280, 281, 282, 284, 294.  
ხანისწყალი 265.  
ხანისწყლის ხეობა 81.  
ხანჩალი (დიდი, პატარა) 868, 354.  
ხანჩალის სასოფლო საბჭო 27, 353.

- ლ. ნჩერიძეს ტბა, ხანკლის ტბა 22, 858, 354.  
 ლ. ნჭაური 208.  
 ხანჭალის ტბა—იხ. ხანჩერიძეს ტბა.  
 ხარაბა(?) 208.  
 ხარაზან-ტაშირი 557.  
 ხარაი(?) 424.  
 ხარიანი 206.  
 ხარსაზაულ 457.  
 ხაროსმანი (დიდი) 540.  
 ხარჭამი 155, 167, 168, 171, 174.  
 ხაზ. ქარი—ეხ. კარგსოფელა(?).  
 ხაქი—იხ. ხაკი.  
 ხაქიზა—იხ. ხეჭიზა.  
 ხაშურის რაიონი 485, 495.  
 ხაიათბანი—იხ. გორგეტბანი.  
 ხეჯა შარდა 74, 80, 84, 91.  
 ხეილოშა, კულოშა 101, 192.  
 ხეილოშის-ხევი 192.  
 ხეილოშის ველესია 192.  
 ხევა—იხ. ხეთოთი.  
 ხევაშენი 156—157, 172.  
 ხევაშენის სასოფლო საბჭო 155, 157, 172.  
 ხევახი, ხევალი 599.  
 ხევისკარი 596.  
 ხელეენი (?) (ზემო, ქვემო) 800.  
 ხენძორეთი, ხენძორეთი 594.  
 ხეთოთი, ხეთეთი. ლაეთეთი, ხევა 181, 215, 217, 219, 224, 220, 231, 250, 459, 402—464.  
 ხეოსმანი, ხესმან 400.  
 ხერენკი, ხერენკი. მხერეკი 518, 519.  
 ხერთვისი 16, 106, 106, 184, 243, 250, 252, 258, 261, 280, 366, 411.  
 ხერთვისის ლივა (სანჩაყი) 225, 242, 243, 206, 299, 422, 502.  
 ხერთვისის ნაბიჯე (რაიონი) 11, 242, 256, 258, 368, 422.  
 ხერთვისის სასოფლო საბჭო 243, 261.  
 ხერთვისის უბანი 36.  
 ხერთვისის ციხის რაბათი 242, 264, 502.  
 ხერო—იხ. ფხერო.  
 ხერხეში 189.  
 ხეჭიზა, ხაქიზა 235, 220, 240, 369, 376.  
 ხიდეთი 122, 123.  
 ხიდისქვარი—იხ. ხიდქვარი.  
 ხიდურეთი 202.  
 ხიდქვარი, ხიდისქვარი, ხიდოქვარი 200, 270.  
 ხიზა 201.  
 ხიზაბაგრა 40, 246, 246, 249, 254, 255, 259, 261, 281, 289, 291, 295.  
 ხიზაბაგრის ეკლესია 254.  
 ხიზაბაგრის სასოფლო საბჭო 259, 281, 289.  
 ხინგირი 369, 270, 377.  
 ხინგირისწყალი 370, 376, 377.  
 ხმელი-ტბა 269.  
 ხოდაბენი 85.  
 ხოდაბენი 560.  
 ხოზაბირი—იხ. ხორბოლა.  
 ხოზაბოლა—იხ. ხორბოლა.  
 ხოზაბინი, ხოზაბენი 410, 417, 420.  
 ხოზაბინის ტბა. კარწახის, ქანარბელის ტბა 396, 397, 410, 413, 415, 417, 428.  
 ხომა (ზემო, ქვემო), ხემა 64, 55, 65.  
 ხომალწყალი 54.  
 ხონ: 89, 98, 96.  
 ხონამისი—იხ. ხუნამისი.  
 ხორანისწყალი 320.  
 ხორბოლა, ხოზაბოლა, ხოზაბირი 207.  
 ხორენია (დიდი, პატარა), ჭვარინა, ჩვარინა, კვარინა, ჭვარინა, ჭვარნი 36, 310, 312, 320—328, 331, 334, 356, 389, 390.  
 ხორენია დიდი (მღ.) 22, 358.  
 ხორთუბანი—იხ. ღორთუბანი.  
 ხორიკეთი 307.  
 ხოსიტაშვილების ქალა 366.  
 ხოსორი 571, 597.  
 ხოსპია (ზემო, ქვემო), შარდუნი, ხოსპიო 310, 311, 312, 328, 334, 387, 356.  
 ხოსპიო—იხ. ხოსპია.  
 ხოშაქი 593.  
 ხოშვანი, ჭოშვანი, კოშვანი 600.  
 ჯოში 573.  
 ჯოშურეთი. მეორე სახელი ჩულურეთი(?) 536, 528.  
 ხოხაშეთი—იხ. ხოხაშენი.  
 ხოხაშენი(?), ხეხაშენი, ხოხაშეთი 470, 487.  
 ხოჭაბეგო—იხ. პოგდანოვეკა.  
 ხოჭვენის ლივა 498.  
 ხრიანი, მღრიანი 212, 220, 226, 227, 230, 232, 287.  
 ჭრტილა—იხ. ღრტილა.  
 ჭულგუმო (ახალი), ჭულგუმა 250, 252, 306, 311, 310, 320, 331, 332, 335, 348, 351, 352, 358, 531.  
 ჭულოს რაიონი 53.  
 ჭუმა—იხ. ხომა.  
 სუმრისი 202, 293, 296.  
 ხუნამისი, ხონამისი 460, 464.  
 ხუნძორეთი—იხ. ხენძორეთი.

- ზურმიგი 330.  
 ზურო, ზურა 97, 98, 104.  
 ზუსმან—იხ. ხეოსმანი.  
 ზუხაშენი—იხ. ხოხაშენი.
- ჯაბიეთი—იხ. ჯაბოეთი.  
 ჯაბოეთი, ჯაბიეთი 187, 188, 189.  
 ჯაბოეთის წყალი, 187.  
 ჯაბოეთის-ქევი 189  
 ჯაბორია—იხ. კაბორია.  
 ჯაბურე, კობოძე, ჯობოძე, კაბუძე, ჯაბუძე 182.  
 ჯაეხეთი 23, 26—28, 40, 207, 243, 249, 274—  
 277, 279, 282, 284, 285, 293, 296, 300,  
 303, 304, 306, 308, 310, 313, 319, 338,  
 342, 351, 357, 360, 363, 364, 366, 387—  
 390, 403, 411, 414, 415, 417—421, 499,  
 525, 558.  
 ჯაეხეთის ზეგანი 259, 267.  
 ჯალა—იხ. ქალა.  
 ჯამასპი—იხ. ჯანაზი.  
 ჯანაზი (დიდი, პატარა), ჯამასპი 379, 380,  
 383, 884, 385, 388, 396.  
 ჯანაზის ნაპიჯე (რაიონი) 11, 379, 380, 381,  
 386, 387, 390, 393—396, 399, 416.  
 ჯანჯლა 271, 272, 287, 290.  
 ჯარჯა 400.  
 ჯაყი ზელა 455, 456, 462.  
 ჯაყისმანი 135, 455, 456, 459, 461, 503, 603.  
 ჯაყისმანის სასოფლო საბჭო 461.  
 ჯაყის რაბათი—იხ. ჯაყისციხე.  
 ჯაყის ციხე, ჯაყის რაბათი 380, 455, 456, 459.  
 ჯაყისწყალი (მდ.) 22, 152, 441, 446, 456.  
 ჯაჭანთ (?) უბანი, ჯანჯანათუბანი, კანჯანათ-  
 უბანი 234, 235.
- ჯაჭარაქი—იხ. კაჭარაქი.  
 ჯაჭუნი (ზემო, შუა, ქვემო) 487, 441, 449.  
 ჯვარის მონასტერი 96.  
 ჯვარისხევი (ზემო, ქვემო) 541, 542.  
 ჯვარწყალა (?) 457.  
 ჯიგრაშენი 812, 328, 331, 355, 405, 406.  
 ჯიგრაშენის სასოფლო საბჭო 312, 328, 331.  
 ჯიდალაური, კიდალაური 514.  
 ჯინდა—იხ. კვინტა.  
 ჯინჯრობი (ზემო, ქვემო), კინჯრობი 500, 528,  
 524, 526.  
 ჯობოძე—იხ. ჯაბურე.  
 ჯოლა 201.  
 ჯოლა, კოლა, კოლოა 257, 281—263,  
 361, 362, 374.  
 ჯორახეთი 78.  
 ჯოჯები—იხ. ქოჯები.  
 ჯოჯორთა 428, 430, 431.  
 ჯუეათუბანი, ქუეათუბანი (?) 175.  
 ჯულაქარი (ზემო, შუა, ქვემო), ქულაქარი  
 584, 585, 586, 588, 594.  
 ჯულა, ჯულულა, ქულულა 75, 77, 78, 465.  
 ჯუმათელი, ჯუმატელი 443, 456, 457, 462.  
 ჯულაანი 496.  
 ჯულულა—იხ. ჯულა.  
 ჯუჭულაძე(?) , ქუჭულაძე 110.
- პედოსი, აიდოსტი 589, 601.  
 პასან-კალე 595.  
 პეშთია—იხ. ეშტია.  
 პეჭი—იხ. გეჭი.  
 პური—იხ. ური.  
 აენი კალჯე—იხ. ახალციხე.
- აბაზ ტუমান—სმ. Аббас-Туман  
 Абастуманское ущелье 163.  
 Абатубан 238  
 Аббас-Туман, Абасс-Туман, Абаз-туман 165  
 Аб-бетекანი—სმ. Аблар.  
 Аблар (речка) 320.  
 Аблар Р. Д., Аб-бетекანი 310, 338.  
 Або 74.
- Абул Большой и Малый 332, 333.  
 Авазана, Авазан 104, 366.  
 Авдост 589, 601.  
 Авхер, Ахмер 98.  
 Агана. Акана 271  
 Агара, Акара, Акарь 54, 126, 227, 238, 239,  
 372.  
 Агаранун дараси 177.



- Артанудж 593.  
 Архает Бузрук—см. Мурджахети.  
 Арчы — см. Джарджа.  
 Арчшан — см. Орчашан.  
 Арюк — см. Арагва.  
 Аскилвана, Аскилуан, Аскиливана, Аскиливан 187.  
 Аскиливана — см. Аскилвана.  
 Аскилуан — см. Аскилвана.  
 Аскиливан — см. Аскилвана.  
 Аспара Р. Д. 351.  
 Аспиндза 177, 197.  
 Аспиндзис-цкали 207.  
 Аспиндзский санджак 191, 204.  
 Ахла 594, 595.  
 Ахалаба Р. Д. 240, 375, 485, 486.  
 Ахалакал 254, 259, 303, 307, 311, 314, 316, 318, 331, 332, 336, 338, 340, 350, 354, 356, 363, 380, 382, 387, 412, 418.  
 Ахалакальский район 268.  
 Ахалакальский санджак 4, 320, 322, 374, 388.  
 Ахалакальский участок 177, 272, 287, 318, 356.  
 Ахалакачка 260.  
 Ахалкез — см. Ахалкет.  
 Ахалкет, Ахалкез 239.  
 Ахалцих, Ахальсик 44, 70, 74, 95, 111, 136, 197, 218, 316, 374, 441, 455.  
 Ахалцикский округ 73.  
 Ахалцихский пашалык 36, 37, 323, 388.  
 Ахалцикский уезд 100, 125, 126, 473.  
 Ахальсик — см. Ахалцих.  
 Ахашен 184, 521.  
 Ахалсепели — см. Ахтила.  
 Ахмер—см. Авхер.  
 Ахрис 598.  
 Ахтила, Ахалсепели 219, 223.  
 Ахция Р. Д. 371.  
 Ахшаар Рабат Кала 306, 307.  
 Ацхвер — см. Ацхури.  
 Ацхури, Ацхвер 60, 121, 130, 139, 147, 473.  
 Ачара—см. Аджара.  
 Ачерул Р. Д. — см. Чикарула.  
 Ашмишен 593, 600.  
 Ашмишен-баши (гора) 600.—
- Бавро — см. Бурва.  
 Багидзор (гора) 184.  
 Багрякатуи 540.  
 Бадела, Баделан, Бодила, Бодела, Патила 450.  
 Бадели, см. Бадела.  
 Баджара Р. Д. 545.  
 Бадла, Бадела 106, 133, 432.  
 Баклико 314.  
 Бала — см. Пала.  
 Баладжур — см. Болажурь.  
 Баланджур — см. Болажурь.  
 Баланта, Паланта 296.  
 Балха 283.  
 Бамадж — см. Памаж.  
 Бана — см. Псняк.  
 Банисхев — см. Ванисхев.  
 Банисхел — см. Ванисхев.  
 Баралет, Биралес 273.  
 Бардина — см. Пртема.  
 Бардус-чай 564.  
 Барик, Варык 562.  
 Барунет 176.  
 Баткана — см. Паткана.  
 Бахтана — см. Паткана.  
 Башаки — см. Башачик.  
 Башакич — см. Башачик.  
 Башачик, Башакич, Башаки, Ббшачик, Пашачюки 82.  
 Баш-шурагел 25.  
 Бдала — см. Кадала.  
 Бедашен 416.  
 Бежано — см. Божано.  
 Бззал — см. Бозал.  
 Бзуван — см. Бузавет.  
 Белнара — см. Бенара.  
 Бенара, Беннара, Белнара 158, 159.  
 Бера(?) 248.  
 Бердус 596.  
 Бердус-чай 597.  
 Бердык 572, 573.  
 Берекитубань—см. Перкетубань.  
 Берк 536.  
 Беркитубань — см. Пертикатубань.  
 Бертубан — см. Петобань.  
 Бетекнали — см. Паткана.  
 Бетколашен, Петкулашен 289.  
 Бети (патара) 137, 139, 140.  
 Бикабар 146.  
 Бикат убан 114.



- Бикрашен — см. Пекрашен.  
 Билда-гор 595.  
 Бинала — см. Бнела.  
 Биралес — см. Баралет.  
 Блага, Булаг (гора) 390, 391.  
 Бнела, Бинала, Бнола 253, 254.  
 Бнола — см. Бнела.  
 Бобликан 351.  
 Бога, Бока 52.  
 Богдат 521.  
 Бодела — см. Бадела.  
 Бодила — см. Бадела.  
 Бодокладе, Буда-кладе, Будукылды 175.  
 Бозал, Безал, Бузала 423, 424.  
 Божано, Бежано, Позано 271, 272.  
 Бока — см. Бога.  
 Бокта (суфла и улия), Бокта Р. Д. 199, 200.  
 Бокта-башни 201.  
 Болажурь, Буладжор, Буладжур, Баладжур, Баланджур 90.  
 Боран 337.  
 Боржом, Борджом 222.  
 Боржомское ущелье 471.  
 Бороз 64.  
 Борсиет, Персует 233.  
 Борчалинский уезд 391.  
 Борчка 45.  
 Боселта — см. Буселтава.  
 Бостана — 236.  
 Бокта — см. Бокта.  
 Боца 594.  
 Бошачик — см. Башачик.  
 Брал — см. Бурали.  
 Брдине — см. Пртена.  
 Буга — см. Пуга.  
 Буда-кладе — см. Бодокладе.  
 Будукылды — см. Бодокладе.  
 Бузавет, Пзавет, Безуван 333, 334.  
 Бузала — см. Бозал.  
 Бузарет, Пузарет 299.  
 Бун-цхаро 187.  
 Букта-схора 281.  
 Булаг — см. Блага.  
 Буладжор — см. Болажурь.  
 Буладжур — см. Болажурь.  
 Бурали (кучик, улия, суфла), Буран (кучик, улия), Брал, Брали 71, 72.  
 Буран — см. Бурали.  
 Бурва, Бавро 4, 374.  
 Бурдосан 525.  
 Бурнашен, Бурнашет 284, 285.  
 Бурнашет — см. Бурнашен.  
 Буселтава Р. Д., Боселта, Мусель-тави, Мусел-тава 142, 143.  
 Бутубан — см. Петобань.  
 Ваговер 571.  
 Валисон, Валисун 95.  
 Валисун — см. Валисон.  
 Валэ 72, 107.  
 Ван 299.  
 Ванискоб, Ванис-ком 365.  
 Ванис-ком — см. Ванискоб.  
 Ванисхел, Ванисхов, Ванисхел, Банисхел 364, 365.  
 Ванисхел — см. Саванлихели.  
 Варанта, Варента 246, 289.  
 Варгав 289.  
 Варевани 265, 269.  
 Варента — см. Варанта.  
 Варзна — см. Вардзна.  
 Вардзна, Варзна 438.  
 Вардасан — см. Вардосан.  
 Вардисан — см. Вардосан.  
 Вардосан, Вардасан, Вардисан 532.  
 Вардисцихе, Вардис-цихе, Вардись-цыхе. 265, 266.  
 Варнадав 250.  
 Варнет Большой 195, 196, 374.  
 Вартис убань 418.  
 Вартмана 405.  
 Вархона, Вархан 434.  
 Вархане 155.  
 Варык — см. Барик.  
 Вахла 443.  
 Вачнан 309.  
 Вашлоби, Вашлоб 227, 232, 238, 239, 377.  
 Веран Чечерек 151.  
 Вераннакалакев — см. Накалакеви.  
 Велл, Вель 532, 534.  
 Вель — см. Велл.  
 Габурна — см. Чаборна.  
 Гавашен, Коташен 310, 311.  
 Гавет — см. Хавет.  
 Гавети 374.  
 Гагв, Гаов, Гаго, Зедагав Р. Б. 111.  
 Гаго — см. Гагв.  
 Гад, Год 579.

- Гамза — см. Қамза.  
 Ганза, Қандза. Қанзанн, Қанза 343.  
 Гаов — см. Гагв.  
 Гарта — см. Карта.  
 Гахәретили-қадис-цкали 193.  
 Гвели, Гома 114.  
 Гвиме, Гуме, Гома 445.  
 Гвинна, Гинна 444.  
 Гег-Даг 417.  
 Гедис-су 143.  
 Гедж 536.  
 Гек 373.  
 Геласубан — 123.  
 Гельсунда — см. Гелсунда  
 Гелсунда, Гельсунда 257.  
 Георгисубан 438.  
 Георгитубан — см. Гоготубан.  
 Георгн цминда, Коркачминда 27, 137.  
 Герашен 406.  
 Гертвис — см. Хертвисн.  
 Гесманлы 583.  
 Гинна — см. Гвинна.  
 Гинчнан 428.  
 Гиоргитубань — см. Гоготубан.  
 Гирдула — см. Ихтила.  
 Гобнет 180, 183.  
 Говель — см. Квель.  
 Гоготубан Ур., Гиоргитубань, Георгитубан,  
 Коркотубан 237.  
 Гогюба 532, 533.  
 Годерзи, Годерс, Годерц, Кодерзи 111, 112.  
 Годерс — см. Годерзи.  
 Годерц — см. Годерзи.  
 Голя-верды — см. Гюляберт.  
 Голянк 284.  
 Гом Большой и Маленький, Ком 255, 256,  
 317, 318, 373.  
 Гома — см. Гвели.  
 Гома — см. Гвиме.  
 Гоманет 363.  
 Гомаро, Комаро 92.  
 Год — см. Гад.  
 Гора Р. Д. 168.  
 Гораджуар — см. Гориджвар.  
 Горас мера — см. Горис мела.  
 Горашен — см. Курашет.  
 Горгал—см. Горгил.  
 Горгил, Горгал 138.  
 Горгул, Коркул, Коргуль, Корколь 108,  
 109.  
 Горза, Гурза 27, 93.  
 Гориджвар, Гораджуар 464.  
 Горийский уезд 375, 486.  
 Горилубан 176.  
 Горшмаке — см. Каурма.  
 Горис мела, Горас мера 372.  
 Горисхев — см. Корисхев.  
 Гор маке — см. Каурма.  
 Гормаки — см. Каурма.  
 Гортубан, Гортубань 114, 115.  
 Госман — см. Хеосман.  
 Грия Р. Д., Крбал 279, 280.  
 Грома, Гиррома 218, 227.  
 Гручун 184.  
 Гручунис-тапа (гора) 184.  
 Гуданеты Р. Д. 557.  
 Гулеб — см. Кулеб.  
 Гульгума 320.  
 Гулис-убань—см. Гулусубан.  
 Гулулят — см. Кулулет.  
 Гулусубан, Гулис-убань, Гулисубани 290.  
 Гумбурдо — см. Кумурдо.  
 Гуме — см. Гвиме.  
 Гумурдо — см. Кумурдо.  
 Гунаджвал—см. Квабисджварн.  
 Гунд, Кунт, Кюнт 299.  
 Гуней джвал — см. Квабисджварн.  
 Гундусхев, Кундусхев, Кундус хев 399.  
 Гурджи-богаз 31.  
 Гурза — см. Горза.  
 Гурня 524.  
 Гупель 124.  
 Гюляберт, Голя-верды 530, 531, 534.  
 Гюней кючюк (гора) 196.  
 Гюргюн (гора) 196.  
 Гюрджибек 522.  
 Даба 481.  
 Давдасубань — см. Давитубан.  
 Давитубан, Давдасубань 263.  
 Дагирманкей, Дагирман 505—507.  
 Дадаш — см. Дадеш.  
 Дадашен 500.  
 Дадеш, Дадаш, Куридадеш 422.  
 Дангал, Данкала, Танкал 357.  
 Данед — см. Данет.  
 Данет, Данед, Даниет, Таниед, Тажет 261,  
 264, 368.  
 Даниет—см. Данет.  
 Даниети(?) -су 255.

- Данкала — см. Дангал.  
 Дареск — см. Зреск.  
 Даш-керпи 391.  
 Лахвანда малая, Тахунта Р. Д., Ур. 307, 314.  
 Дгвари, Дугар, Дукварь, Тгвар 127.  
 Дева, Деват 285.  
 Лепат — см. Дева.  
 Ледаминда — см. Зедаминда.  
 Демотис-цихе, Демотская крепость 141, 149.  
 Демотская крепость — см. Демотис-цихе.  
 Леркиал, Теркинали, Тыркна, Тркина 358.  
 Дерсель — см. Дерцел.  
 Дерцел, Дерсель, Дерсел 96, 97.  
 Дегроб — см. Тегроб.  
 Дехис 152.  
 Джабиет (ручье) 187, 189.  
 Джабиет Р. Д., Джабует, Холунет 187, 189.  
 Джабиетин-дараси 189.  
 Джабует — см. Джабиет.  
 Джабур — см. Джабуре.  
 Джабуре, Джабур, Чапур[е] 132.  
 Джавахетское плоскогорье 259.  
 Джагисман-су 455.  
 Джаджарани — см. Чачарани.  
 Джаджун В., Ср. и Н., Жажун, Чачун, Чучуни 437.  
 Джаихур — см. Чакнахвер.  
 Лжакара (гора) 106.  
 Джаки 455.  
 Лжакисманн, Джагисман 455.  
 Джала (хребет) 391.  
 Джала — см. Чала.  
 Джамбаз — см. Джанбаз.  
 Джамбаз-и кучик, Джамбаз-и Бузурк, Джамбаз В. и Н. 384, 385.  
 Джанджабур — см. Чанчабур.  
 Джанджа, Джанджа, Чанчага 272.  
 Джарджа, Харчь, Арчь 400.  
 Джарис-хев, Джебарис-хев 541.  
 Джахиос 569.  
 Джварина — см. Хорения.  
 Джгула — см. Жугула.  
 Джебарис-хев — см. Джарис-хев.  
 Джерма 257.  
 Дживарины — см. Хорения.  
 Джиграшен, Джикрашен, Джерашен 312, 406.  
 Джджор 500.  
 Джинджироб 523.  
 Джоджорта, Чорчоба 428.  
 Джореп, Чореп, Чуреп 134.  
 Джорджиз — см. Джорджис.  
 Джорджис, Джорджиз 97.  
 Джот Кая Р. Д. 549.  
 Джуватубан 175.  
 Джугла — см. Жугула.  
 Джулакар — см. Джулякар.  
 Джулга — см. Жугула.  
 Джулякар, Джулякяр, Джулакар 582, 583, 585.  
 Джулякяр — см. Джулякар.  
 Джуматель-Вахла 443.  
 Дзеро 215, 234.  
 Дзвели Далеинсцкаро 248.  
 Дзир — см. Зир.  
 Дзврет 145.  
 Дигашен. — см. Тикашен.  
 Дидихеура (речка) 199.  
 Дид-Чарал — см. Чарали.  
 Дикашен — см. Тикашен.  
 Дилиска 252.  
 Дилсхур — см. Тбисхური.  
 Дилиф, Тилиф 421, 422.  
 Дилка улия и суфла 263.  
 Димушя, Дитуня 148.  
 Диреск — см. Зреск.  
 Дирка Завел — см. Дирка Звел.  
 Дирка Звел, Дирка Завел 109.  
 Дитуня — см. Димушя.  
 Дмала-убан 59.  
 Дорт-килиса 500.  
 Дугар — см. Дгварн.  
 Дугел 399.  
 Дукварь — см. Дгварн.  
 Дум — см. Дума.  
 Дума, Дум, Тума, Туман 340 — 342.  
 Дунес 96.  
 Дчулеби — см. Чулеби.  
 Егерминда 368.  
 Еддыкилиса 288.  
 Еклепатель, Екленачех 415.  
 Елпасаубан 367.  
 Елкез — см. Анкас.  
 Елчак — см. Ольчак.  
 Еиги-кей 505.  
 Еников 218, 219.

- Ентел Бүзурк, Ентель Суфла и Улия 154, 259.  
 Еркан Б. и К. — см. Аракал.  
 Жажун — см. Джаджун.  
 Жугула, Джугла, Джулга, Джугла 77, 467.  
 Забит-Ахджа (საბიტახეშა) 284.  
 Зален Р. Д. 173.  
 Задгерех 565, 566, 571.  
 Зазало 101.  
 Зак, Заки 428, 429.  
 Закар-эминда — см. Закариминда.  
 Закариминда, Закар-эминда, Закар Цминда, Закерэын 28, 393, 396.  
 Закерэын — см. Закариминда.  
 Залдо 424.  
 Занави Сагирь, Занави хлбирь, Занав улна, Занав и Сат, Занови, Заново 27, 92, 100, 494.  
 Занда — см. Зандо.  
 Зандо, Занда (озеро) 174.  
 Занэолун сун 227.  
 Занэолун дараси 227.  
 Зарабюк 428, 429, 552.  
 Зарбастубан — см. Царбастубан.  
 Зарзма 154, 156.  
 Зарэмский монастырь 35, 99, 100, 156.  
 Зарта 103, 337.  
 Зарушад, Заришад 414.  
 Эгудир 134.  
 Зебута 297.  
 Зеганская церковь 429.  
 Зедагагв — см. Гагв.  
 Зедат Могви, Тамик 362.  
 Зедациминда, Дедациминда 452, 453.  
 Зедачаг 456.  
 Зейдара — см. Зейндао.  
 Зейндар, Зейндара, Зиндара, Зендара, Сенндари 449.  
 Зетубань — см. Зеубань.  
 Зеубань, Зетубань 131.  
 Зиглашен — см. Зигляшен.  
 Зигляшен, Зиглашен 511.  
 Зир, Дзир 57.  
 Зира — см. Цира.  
 Зирбония 297.  
 Зирлана 138.  
 Зикла 146.  
 Зиндара — см. Зейндар.  
 Зинза — см. Зипзи.  
 Зинзал, Зунзал-и Сат, Зунпал-и суфла., Цинцал 29, 381, 382, 384, 396.  
 Зипзи, Зипза 101, 113.  
 Зинубань 113.  
 Зокум 357.  
 Зрес (озеро) 329.  
 Зреск, Зреска, Дареск, Диреск 329.  
 Зреска — см. Зреск.  
 Зрэвели, Рэвели, Зурзел, Зурзель 178—180, 211.  
 Зунта — см. Цунда.  
 Зурзел — см. Эрзели.  
 Зурзуна 29, 380—382, 391, 396, 403, 405.  
 Ивлита, Илда 63, 64.  
 Игназор 409.  
 Игнаки — см. Эгнаки.  
 Ид 594.  
 Иджарет 120.  
 Илда — см. Ивлита.  
 Имеретия 486.  
 Импола Р. Кр., Инбола, Инубола 236.  
 Инбола — см. Импола.  
 Индокосман 417.  
 Индула 194.  
 Индумаль 194.  
 Инпула-су 234.  
 Интора 186.  
 Ипторис-икали 186.  
 Инубола — см. Импола.  
 Инцора, Инцхора 197, 198.  
 Инцхора — см. Инцора.  
 Инчгор — см. Нижгор.  
 Иолчак — см. Олчак.  
 Ипнет, Ифнет — 259.  
 Иреми, Эрема 106.  
 Ирка 90.  
 Искондория гол 353.  
 Искраил (хутор) 572.  
 Ифнет — см. Ипнет.  
 Ихтила, Гирдула, Охтали (?) 278, 290.  
 Ичдилисцкаро 253.  
 Кабан 579.  
 Кабинчвар, Капичувар 27.  
 Кагач, Султаниие 402.

- Кадала, Бдала 424, 425.  
 Кадала-су (речка) 424.  
 Каджис-цихе, Шейтан-кала 32, 403—405.  
 Казв-Пощов 433.  
 Казахский уезд 391.  
 Каклар Р. Д., Каклинус 228.  
 Какорбель — см. Канарбель.  
 Калабойны (гора) 199.  
 Калашут, Кляшут, Кяряшут 584.  
 Калиссахтомела 180.  
 Калис-шкал 447.  
 Калтубашь (пустошь) 294.  
 Камарян, Камроани 385, 396.  
 Камароани, Коркаком 401.  
 Камбола — см. Комбола.  
 Камза, Гамза 193.  
 Камроани — см. Камарван.  
 Капак — см. Карав.  
 Канарбель, Карнабель, Кянарбель, Какор-  
 бель 410, 411.  
 Канза — см. Ганза.  
 Канзани — см. Ганза.  
 Кандза — см. Ганза.  
 Кандуреты — см. Киндиреты.  
 Кандраул, Кондраул, Кондороул 551.  
 Канин-су 186.  
 Канубар Р. Д. и Ур. 196, 197.  
 Канубарис-хевн 197.  
 Капан 451, 452.  
 Капин-кая (гора) 249.  
 Капичувар — см. Кабичвар.  
 Капк 585.  
 Карав, Капак 423.  
 Кара-Гюбек 601.  
 Кара-кала 382, 396, 505.  
 Карамал — см. Каратал.  
 Каранаваз — см. Карнаваз.  
 Кара-Нехри — см. Кура.  
 Каранта 287.  
 Карасал (гора) 262.  
 Кара-су 403.  
 Каратал, Карамал 409.  
 Каратубашь, Харатуманн 95.  
 Караул-тапаси (гора) 177.  
 Карзамети 374.  
 Карзаметис-цкали 374.  
 Карзаметская церковь 374.  
 Карзапет — см. Карцеб.  
 Карзах — см. Карцах.  
 Карзахское озеро — см. Карцахское озеро.  
 Карзеб — см. Карцеб.  
 Кариджвари, Карис-джвари, 170, 171.  
 Карис-джвари — см. Кариджвари.  
 Каркала — см. Каркалани.  
 Каркалани, Каркала, Киркал 203.  
 Карнабель — см. Канарбель.  
 Карнабельское озеро — см. Карцахское озеро.  
 Карнаваз, Каранаваз 590.  
 Карпет 310.  
 Каринота 253.  
 Карсская область 374.  
 Карта, Гарта 188, 308, 309.  
 Карталани 238.  
 Карталиния 486.  
 Картанакев, Картанакет 427—430.  
 Картанакет — см. Картанакев.  
 Картап 369.  
 Карташен, Карпашен, Керпашен 301.  
 Карпашен — см. Карташен.  
 Карцах, Карзах 410, 412, 416, 418, 423.  
 Карцахское, Карзахское, Карнабельское,  
 Хозапниское озеро 387, 410, 412, 417,  
 418.  
 Карцеб, Карзеб, Карзапет, 308, 310.  
 Карчела (гора) 199.  
 Катамыс — см. Котамых.  
 Катисхев, Сичанхев 294.  
 Каурма, Гормаке, Горимаке, Гормаки 330,  
 331.  
 Качетия 486.  
 Качварисцкаро 253.  
 Качиа — см. Качио.  
 Качио, Кочно, Качиа, Кочия 276, 280.  
 Кашветская церковь 489.  
 Кашоети 489.  
 Каялугун-башн (гора) 256.  
 Кваб — см. Квабини.  
 Квабини — см. Квабни.  
 Квабисхев — см. Квабни.  
 Кваблианис-цкали, Коблианка 155, 160.  
 Кваблианское, Коблианское устье 94, 156.  
 Квабни, Квабини, Кваб, Кобихев, Ква-  
 бисхев 144—146, 149.  
 Квабисджвари, Кобичувари, Гуней джвал,  
 Гунаджвал 104, 105, 115.  
 Квабискири (речник) 251.  
 Ква-каши, Кегас, Кевхас 394—398, 416.  
 Квали, Кували 289.

- ჯვალთახე, კოლთახე 213.  
 კვანდჯა, კუადჯიგა, კოჩხა, კოჩგა,  
 კონდჯა, კვანდლიგა 60, 61, 63.  
 კვანდლიგა — სმ. კვანდჯა.  
 კვარშა 254.  
 კველ-რბილი 486, 487.  
 კველი Н. и Ср., კველე, გოველი 441.  
 კველე — სმ. კველი.  
 კვირიკეცმინდა, კურკა 124, 125.  
 კასავაზენი (როდნიკი) 180.  
 კეხას — სმ. კვა-კაში.  
 კეგას — სმ. კვა-კაში.  
 კეივანკ 564.  
 კელერტა — სმ. კილერტა.  
 კერიჩხანა (რუჩე) 152.  
 კერკედა (გორა) 190.  
 კერკედან — სმ. კერკედაი.  
 კერპაშენ — სმ. კარპაშენ.  
 კეხსირ-დაგ — სმ. კყსყრ-დაგ.  
 კეტხუდ 594, 595, 601.  
 კეხვან — სმ. კეხოვან.  
 კეხოვან, კეხოვანი, კეხვან 99, 100.  
 კეჩეკ 597.  
 კიამგის-ალტი — სმ. კყამხის.  
 კიამრასორ 587.  
 კიზილ-კილისა 594.  
 კიზილ-სუ 218.  
 კიკიბო 115.  
 კილდა — სმ. კილდე.  
 კილდე, კილდა, მილდა 57, 400.  
 კილერტა — სმ. კილერტა.  
 კილერტა, კილერტა, კელერტა 418, 419.  
 კილისა ზარზიმა — სმ. კილისა ზარზიმა.  
 კილისა ზარზიმა, კილისა ზარზიმა 109.  
 კიმოტის-მანი, ტიმოტისმანი 481, 491.  
 კინდირეთი, კანდურეთი 544.  
 კინეპოს 571, 602.  
 კინზა-ტამალ — სმ. კინზოტამალ.  
 კინზოტამალ, კინზოტამალ, კინზა-ტამალ 509.  
 კინზოტამალ — სმ. კინზოტამალ.  
 კირკალ — სმ. კარკალანი.  
 კირტაშენ 295.  
 კირპაშენ, კირპაშენ 551.  
 კირიაშენ — სმ. კირპაშენ.  
 კისატიბ 218.  
 კიშლადარ 254.  
 კობიხე — სმ. კვაბნი.  
 კობიჩუვარ — სმ. კვაბისდჯვარი.  
 კობლიანკა — სმ. კვაბლიანის-ცკალი.  
 კობლიანსკოე უღელსე — სმ. კვაბლიანსკოე  
 უღელსე.  
 კოდამუხ — სმ. კოტამუხ.  
 კოდამუხ — სმ. კოტამუხ.  
 კოდერზი — სმ. გოდერზი.  
 კოჯახურ 597.  
 კოინდარ 437.  
 კოკატუბანი 65.  
 კოკაშენ — სმ. ჩაჩკარ.  
 კოკია 27, 267.  
 კოლესა 144.  
 კოლკონს 568.  
 კოლ-სუი (რუჩე) 249.  
 კოლთახე — სმ. კვალთახე.  
 კომ — სმ. გომ.  
 კომარო — სმ. გომარო.  
 კომბოლა, კამბოლა 64.  
 კომკ, კონკ, კონგ 520, 536, 572.  
 კონგ — სმ. კომკ.  
 კონდახორ 603.  
 კონდჯა — სმ. კვანდჯა.  
 კონდოროული — სმ. კანდრაული.  
 კონდრაული — სმ. კანდრაული.  
 კონკ — სმ. კომკ.  
 კონოსცკარო 409.  
 კონსტანტინოპოლი 561.  
 კონჩალ — სმ. ხანჩალისკოე ტბა.  
 კონჩხა — სმ. კვანდჯა.  
 კოპადე (სელო) 125.  
 კორაველი — სმ. კურაველი.  
 კორაშენ 94.  
 კორგული — სმ. გორგული.  
 კორდოსანი (გორა) 233.  
 კორეტი, კორეტი, კორიეტი 183, 184, 408.  
 კორეტი — სმ. კორეტი.  
 კორიეტი — სმ. კორეტი.  
 კორიდჯვარ 167.  
 კორისხევი, გორისხევი 373, 374.  
 კორკაქომ — სმ. კამაროანი.  
 კორკა მლახა, კორკა მულახა 106.  
 კორკა მულახა — სმ. კორკა მლახა.  
 კორკაჩმინდა — სმ. გეორგი მინდა.  
 კორკოლი — სმ. გორგული.  
 კორკოტუბანი — სმ. გოგოტუბანი.  
 კორკული — სმ. გორგული.  
 კოროხ — სმ. კორხ.  
 კორსხალი, კურსხალი, კურცხალი, კორც-კა-  
 ლა რ. დ. 355.  
 კორტა 139.  
 კორტაშანი — სმ. კურდოსანი.

- Кортох 103.  
 Корх, Курх, Корох 315, 423.  
 Корц-кала — см. Корсхало.  
 Косур 562.  
 Котамухе — см. Котамых.  
 Котамых, Кодамых, Котамухе, Катамыс, Кодамух 383, 396.  
 Котасн, Годас 375, 376, 427, 429, 552.  
 Коташен — см. Гавашен.  
 Котелня 269.  
 Котик 570, 599, 600.  
 Котис — см. Кудис.  
 Кохта Р. кр. 195.  
 Коцахури (гора) 190.  
 Кочно — см. Качно.  
 Кочия — см. Качно.  
 Крбал — см. Грия.  
 Ксанское ущелье 486.  
 Куаджнга — см. Кванджга.  
 Кубан 464.  
 Кудис, Котис 143.  
 Кудра 460.  
 Кулакур касим 80.  
 Кулеб, Гулеб 108.  
 Кулеша — см. Хулеша.  
 Кунантит 270.  
 Куликам 320.  
 Кулулет, Гулулт 255.  
 Кулулетхев 250.  
 Кумурдский храм 316.  
 Кумурдо, Кумурта, Кумурда, Гумбурдо, Гумурдо 316, 317.  
 Кумурта — см. Кумурдо.  
 Кундусхев — см. Гундусхев.  
 Кунзулут 512.  
 Кунса — см. Кунца.  
 Кунт — см. Гунд.  
 Кунца, Кунса 253.  
 Кур Р. Д. 182, 183.  
 Кура 32, 60, 126, 145, 149, 207, 242, 251, 252, 254, 257, 259, 260, 403, 405, 426, 427, 429, 473, 504, 534, 552.  
 Куравел, Коравел 408.  
 Курашет, Горашен 295.  
 Куратубан 56.  
 Курдосани, Корташан 337.  
 Куридадеш — см. Дадеш.  
 Куримамацминда — см. Мамацминда.  
 Курка — см. Кврикецминда.  
 Куркареты (урочище) 191, 204.  
 Курсхало — см. Корсхало.  
 Курт-кала — см. Мгел-шхе.  
 Курх — см. Корх.  
 Курцхало — см. Корсхало.  
 Кызыл-кей 585, 588.  
 Кысыр-даг, Кессир-даг (хребет) 390, 391.  
 Кюнт — см. Гунд.  
 Кюрд-кей 408.  
 Кючух-горгес 594.  
 Кяляшут — см. Калашут.  
 Кямис 587.  
 Кямхис, Кямгис-Алты, Чамхус 575, 576.  
 Кяпар бель — см. Капарбель.  
 Кяркилух, Кяркялух 570.  
 Кяркядан, Керкедан 544, 545, 547.  
 Кяркялух — см. Кяркилух.  
 Кяряшут — см. Калашут.  
 Лагатубань 279.  
 Лаваш-Гель 408.  
 Лалутн 57.  
 Лашхев — см. Млашхев.  
 Лашхев — см. Млашхев.  
 Лваш 408.  
 Лекмеца-су 196.  
 Лекна 147, 150.  
 Лелюс 383.  
 Лепис 4, 374.  
 Липкаш 475.  
 Лома — см. Пома.  
 Ломатурих 277.  
 Мазмянтцаро (родник) 248.  
 Майкет, Мокет Р. Д., 236.  
 Малазар, Малазор 290.  
 Малазор — см. Малазар.  
 Малай дардис — см. Тадрис.  
 Малака — см. Маланкит.  
 Малакез 599.  
 Маланкит, Малака Ур. 353.  
 Малулисхев 225, 238.  
 Мамацминда, Куримамацминда 191, 203, 204.  
 Мамачхе — см. Мамачхел.  
 Мамачхел, Мамачхе, Мамачхели 219, 228, 229, 237.  
 Мамачхели — см. Мамачхел.  
 Мамзара малая 336, 337.  
 Мамучель 371.  
 Мандинет — см. Мейдан.

- Манк — см. Меганк.  
 Мантох 510.  
 Марадис — см. Мередис.  
 Мараки Бузрюк — см. Марк.  
 Марда Верхняя и Нижняя 74.  
 Марела — см. Марил.  
 Мариам Зминда — см. Мариам Цминда.  
 Мариам Цминда, Мариам Зминда 64.  
 Марил суфла и улиа, Марела 91.  
 Марк Бузург и Кучик, Мараки Бузрюк 73.  
 Марслатубан — см. Маривалетубани.  
 Маривалет — см. Маривалетубани.  
 Маривалетубани, Маривалет, Марслатубани, 446, 452.  
 Масра 595.  
 Махаро, Махоро 350.  
 Махвило 170.  
 Махилос мта 170.  
 Махоро — см. Махаро.  
 Мачивет — см. Мачует.  
 Мачует, Мачивет 541.  
 Мгел-цихе, Курткала 32, 426, 427, 429.  
 Меганк — см. Мегенк.  
 Мегенк, Меганк, Манк 582—584, 594.  
 Межеда и кучик, Межедна Бузрук 312.  
 Межедна Бузрук — см. Межеда.  
 Меидань — см. Мейдан.  
 Мейдан, Меидань, Мандиет 86, 176.  
 Мейдан чапры (луг) 176.  
 Мейрам 537.  
 Менасор 595.  
 Мере (крепость), Мера, Мери, Рабат кала  
 Мере 436, 442, 443.  
 Мередис, Марадис, Мередиси 407.  
 Мередиси — см. Мередис.  
 Мередис-цкали (речка) 407.  
 Меренна — см. Мерення.  
 Мерення, Меренна 270.  
 Мери — см. Мере.  
 Мериет 439.  
 Мериес 569.  
 Мера — см. Мере.  
 Мепис, Мипис 464.  
 Мепис-цкаро (ручье) 200.  
 Мжедлисубан, Чедлисубани, Мжедлисубань, Мжетлисубань 256, 257.  
 Мжетлисубань — см. Мжедлисубан.  
 Микел Цминда — см. Микель Цминда.  
 Микель Цминда, Микел Цминда 57, 393.  
 Милда — см. Килде  
 Мипиет 277.  
 Мининос Цхаро 197.  
 Мипис — см. Мепис.  
 Миражхан — см. Мирашхан.  
 Мирашхан, Миражхан, Мирошхан, 360.  
 Мирошхан — см. Мирашхан.  
 Митендер — см. Митиндер.  
 Митиндер, Митендер 602.  
 Михрель — см. Мухрель.  
 Млаша — см. Млаше-и Бозорг.  
 Млаше-и Бозорг, Млаша, Мулаша, Мула-  
 сая кучик 101.  
 Млашинев, Лашинев, Лашкев 202.  
 Модегалар — см. Модыга.  
 Модыга, Мутакан, Модыга, Модегалар 296.  
 Модыга — см. Модыга.  
 Мокта 594.  
 Моларатубань, Муларатубань 224.  
 Монастер, Монастерь, 148, 176.  
 Мохе, Мухей улиа, Мохей 99.  
 Мохей — см. Мохе.  
 Муравал, Муравал 413.  
 Мтисцхали (ручье) 180.  
 Муга — см. Пуга.  
 Мугарет 138.  
 Мугвашен — см. Мукузашен.  
 Музгашен — см. Мукузашен.  
 Муксель 131.  
 Мукузашен, Мугвашен, Музгашен 301.  
 Муларатубань — см. Моларатубань.  
 Муласай кучик — см. Млаше-и Бозорг.  
 Мулаша — см. Млаше-и Бозорг.  
 Мулашель 453.  
 Мурджахети, Мурджахет Сат, Мурха-  
 хет, Архахет Бузурук 27, 335.  
 Мурджахет Сат. — см. Мурджахети.  
 Мурджикань, Мурчкань, Мурткан 244.  
 Мурж — см. Мурч.  
 Мурткан — см. Мурджикань.  
 Мурхахет — см. Мурджахети.  
 Мурч, Мурж, Мурчь 272.  
 Мурчь — см. Мурч.  
 Мурчкань — см. Мурджикань.  
 Мусел-тава — см. Буселтава.  
 Мусель-тави — см. Буселтава.  
 Мутакан — см. Модыга.  
 Мухарет 292.  
 Мухари 80.  
 Мухей улиа — см. Мохе.



- Мухрашен 286.  
 Мухрель, Михрель 563.  
 Мушех 563.
- Нагебо 227.  
 Наванебс 79.  
 Назырван — см. Назирванс.  
 Назирванс, Назырван 567.  
 Нанса, Нариса 258.  
 Накалакеви, Веранинакалакев 313, 538, 551, 552.  
 Накурда 157.  
 Наняур (гора) 184.  
 Наохреби, Неохрев, Ниохреб, 75.  
 Нариман 593.  
 Нариса — см. Нанса.  
 Нахаркет 307, 308.  
 Нацаргора 269.  
 Недэви Квемо и Земо 485.  
 Неохрев — см. Наохреби.  
 Нпала Р. Д. 370.  
 Ниджгор — см. Ницгор.  
 Ницгор, Ниджгор, Иицгор, Иичгор, Ницгор 251.  
 Никлоб — см. Пиклоб.  
 Никос-тави 147.  
 Ниохреб — см. Наохреби.  
 Ницгор — см. Ницгор.  
 Норлет 589.  
 Нюсунг 598.
- Огавербо 157.  
 Огдабад — см. Огдадаб.  
 Огдадаб, Эгдадаб, Огдабад, Огдада, Агдадаб 582, 583.  
 Озрахе — см. Оцхе.  
 Оджорджал, Орджожал, Орджолджал 76.  
 Одис 294.  
 Одриа, Удриа Улия 465.  
 Одунда — 229.  
 Окнет 227, 238, 239.  
 Окиза 135, 136, 145.  
 Окочилдირи 376.  
 Окробагети 532.  
 Окро-Котан 552.  
 Окрос-цихе 32, 94, 153.  
 Окушен 431.  
 Олдан Р. Д. 291.  
 Ольчак, Иолчак, Елчак, Ольчек 528.  
 Олода 414.
- Олтис 593.  
 Олти-чай (р.) 593, 600.  
 Олук 236.  
 Онгора, Онкора, Ангора 185, 186, 191, 202.  
 Онкора — см. Онгора.  
 Опча 172.  
 Орагаз Большой, Малый, Оругаз 544, 547.  
 Оракол — см. Аракел.  
 Орамуа — см. Аракула.  
 Орал, Ораль 71, 388.  
 Орацхаро — см. Урицхави.  
 Орбула 122.  
 Орбуха Р. Д. 545.  
 Орджа — см. Орджуа.  
 Орлжалар — см. Орджуа.  
 Орджожал — см. Оджорджал.  
 Орджожун — см. Орчашан.  
 Орджуа, Орджуна, Оржуа, Орджа, Орджалар 267, 268, 328.  
 Орджува — см. Орджуа.  
 Оржуа — см. Орджуа.  
 Орзани — см. Ардэне.  
 Ормош, Ормоц, Ормус 252, 253.  
 Ормус — см. Ормош.  
 Оругаз — см. Орагаз.  
 Орук — см. Арагва.  
 Орушет 535.  
 Ортули (родник) 372.  
 Орхония, Орхобиа, Орхубиа 257.  
 Орхубиа — см. Орхония.  
 Орцеп 231.  
 Орчашан, Орджошун, Арчешан 89.  
 Орук 597.  
 Оснет, Ошера 104.  
 Оският 602.  
 Оскорня 260.  
 Оспинаур 289.  
 Осха 593, 599.  
 Ота 201, 205, 207.  
 Отрашен, Отрошан (гора) 201.  
 Отрошан — см. Отрашен.  
 Охем улия и сухла, Охома 240, 241.  
 Охеро, Охера, Охура 234, 429.  
 Охома — см. Охем.  
 Охтали (?) — см. Ихтила.  
 Охура — см. Охеро.  
 Оцхе, Оцзрахе 163.  
 Оцхис-хевн 163.  
 Ошора Верхняя и Нижняя 199, 200.  
 Ошера — см. Оснет.

- Пала, Бала, Пола 436.  
 Палакацино (озеро) — см. Чилдирское озеро.  
 Паланта — см. Баланта.  
 Памаж улия и суфла, Памач, Памачи, Бамадж 72.  
 Памач — см. Памаж.  
 Панак — см. Пеняк.  
 Папанет — см. Таталеты.  
 Патила — см. Баделли.  
 Паткана, Пахтана, Баткана, Бахтана, Бетекнали 338, 339.  
 Паракез-хосор 597.  
 Парасор 595.  
 Парвана, Порвана большая, малая 345, 348.  
 Парахай — см. Пареха.  
 Пареха орта, средняя, Парахай улия, Порохай улия 61, 93.  
 Партиза (овраг) 248.  
 Пала — см. Пна.  
 Папанет — см. Таталеты.  
 Папало — 444.  
 Пахтана — см. Паткана.  
 Пашачюки — см. Башачик.  
 Пзавет — см. Бузавет.  
 Пекрашен, Бикрашен 408.  
 Пекях 595.  
 Пеняк, Панак, Бана 561, 578.  
 Пересихе — см. Перисихе.  
 Периска 45.  
 Перисихе, Пересихе, Персихали 190, 191.  
 Перкетубань, Берекитубань 152.  
 Перняк 568.  
 Перса 136.  
 Персатхевн 204.  
 Персия 39.  
 Персует — см. Борснет.  
 Пертеван 578.  
 Пертикатубан, Беркитубань 225.  
 Перцихали — см. Перисихе.  
 Петкулашен — см. Бетколашен.  
 Петобань, Петубань, Бутубан, Бертубан 106, 438, 439.  
 Петра-Павла 524.  
 Петрес — см. Петриси.  
 Петресихе 474.  
 Петриси, Петрес 429, 430.  
 Петрус 597.  
 Петубань — см. Петобань.  
 Пна, Пня, Пала 261, 262.  
 Пиклоб, Никлоб 534.  
 Пня — см. Пна.  
 Плате 158.  
 Пога — см. Фока.  
 Повнсахара, Повнсахаро 186, 187.  
 Повнсахаро — см. Повнсахара.  
 Позано — см. Божано.  
 Пола — см. Пала.  
 Пома, Лома 433.  
 Пона пуари (родник) 190.  
 Порвана — см. Парвана.  
 Порохай — см. Пареха.  
 Посик 598.  
 Посковский санджак 436, 441, 462.  
 Посховское ушелье 436.  
 Посхов-чай, Поцховка 436, 443, 447, 460.  
 Поцхов 105, 433, 455.  
 Поцховка — см. Посхов-чай.  
 Пртена, Бардина, Брдине 244.  
 Прут, Пурут 390.  
 Пуга, Фуга, Муга, Буга 218, 219, 220.  
 Пузмарет — см. Бузмарет.  
 Пурут — см. Прут.  
 Путуратубан, Путура Тубан 151.  
 Пушхулеты Р. Д. 537, 544.  
 Пхеро 157.  
 Рабат (Чилдирский Рабат), Ирабат 32, 403—405.  
 Рабат кала Мере — см. Мере.  
 Рабат чаг, Рабат Чах 456.  
 Радас — см. Ратассан.  
 Ракис 216.  
 Ратассан, Радас 428.  
 Ргвели 494.  
 Рзвели — см. Эрзвели.  
 Рокет, Рукет 245.  
 Ругетис цвери (гора) 197.  
 Рукет — см. Рокет.  
 Сабадур 194.  
 Сабгара 523.  
 Сабгузара — см. Сабзара.  
 Сабзара, Сабузара, Сабудара, Сабгузара 80, 174.  
 Сабузара — см. Сабзара.  
 Сабудара — см. Сабзара.  
 Сабудей, Сабудай 448.

- Саванлисхеви, Ванისхев 494.  
 Савшуа 423.  
 Сагамоголи 342.  
 Сагля — см. Сагуле.  
 Сагобарис-цхара 262.  
 Сагора — см. Сухара.  
 Сагорис-сери 184.  
 Сагубара 250, 253.  
 Сагула — см. Сагуле.  
 Сагуле, Сагула, Сагля, Сакуркле 227, 238, 239, 240.  
 Сагунет — см. Сахунет.  
 Садгерц 112, 472, 481, 490.  
 Саджике 464.  
 Садзели, Сазели, Сазил, Сазал 68.  
 Садорварс(?)-хеви 180.  
 Сажипопие 250.  
 Сазаре 151, 522.  
 Сазал — см. Садзели.  
 Сазели — см. Садзели.  
 Сазил — см. Садзели.  
 Саирме — см. Саирма.  
 Саирма, Саирме 97.  
 Саиха, Саихо 448.  
 Саихве 449.  
 Саиболо — см. Сакуркисхев.  
 Сайхола — см. Самхулия.  
 Сакадже 478.  
 Саказреби — см. Спкяреб.  
 Саканале 140, 141.  
 Сакарауло (гора) 199, 253.  
 Сакаре — см. Сакпре.  
 Сакарвис-хеви — см. Сакуркисхев.  
 Сакатия 253.  
 Сакгильгель — см. Самкигель.  
 Сакдриссери 248.  
 Сакварике — см. Саквирике.  
 Саквелахеви, Саклисхеви 430.  
 Саквирике, Сакварике, Сакурки, Сакурка 131, 132.  
 Сакпра — см. Сакире.  
 Сакпре, Сакаре, Сакпрь, Сакпра 459, 539, 540.  
 Сакирь — см. Сакире.  
 Саклисхеви — см. Саквелахеви.  
 Сакობоло 447, 448.  
 Сакочави 478.  
 Сакунети — см. Сахунет.  
 Сакурка — см. Саквирике.  
 Сакурки — см. Саквирике.  
 Сакуркисхев, Сакарвис-хеви, Саиболо 240.  
 Сакуркле — см. Сагуле.  
 Сал, Саль 452, 454.  
 Саларджа 337.  
 Салгори — см. Самкре.  
 Салитан 257.  
 Самамбек Р. Д. 536.  
 Саматев 553.  
 Самаخور — см. Самкуро.  
 Самашунет 423.  
 Самгори — см. Самкре.  
 Самзуб, Санзуб, Санзоп, Сумзап 210, 227, 238, 239, 332.  
 Самелля 367.  
 Самирдон, Спмирдон 596.  
 Самисхар — см. Самсар.  
 Самихели — см. Самхулия.  
 Самкигель, Сакгильгель 447.  
 Самкре, Самхре, Салгори, Самгори 95.  
 Самкуро, Самаخور 355, 356, 413, 414.  
 Самсар Большой и Малый, Салисхар 287.  
 Самсоп, Сансут 376.  
 Самутка Р. Д. 542.  
 Самхили — см. Самхулия.  
 Самхобела 180.  
 Самхре — см. Самкре.  
 Самхулия, Самхлия, Самихели, Сайхола, Айхола 457, 458.  
 Самцхе-Саатабаго 135.  
 Самыкар 594.  
 Санамоглы 500.  
 Санзоп — см. Самзуб.  
 Санзуб — см. Самзуб.  
 Сансут — см. Самсоп.  
 Сапikli 250.  
 Сарван-швилги (деревня) 375.  
 Саркет, Саркиет 378.  
 Саркиет — см. Саркет.  
 Саро 259.  
 Сарухен 431.  
 Сасхари, Сосхара 545, 549.  
 Сатлель — см. Сатлели.  
 Сатлели, Сатлель 105, 106, 238.  
 Саторе (гора) 186.  
 Саунети — см. Сахунет.  
 Саурмек 594.  
 Сахудабель 184, 202.  
 Сахунет, Саунети, Сагунет, Сакунети 126  
 Сача — см. Седжав.  
 Сачире 257.

- Сачхикве (гора) 199.  
 Сгалмирисхов — см. Цхалмертхев.  
 Сваниети Вольная 489.  
 Свьерь 58.  
 Сегдасор, Сигдасор, Сырдасор 596, 601, 602.  
 Севкяр, Сивкяр Верхн. и Нижн. 590.  
 Седжа — см. Седжав.  
 Седжав, Седжа, Серджас, Сеча, Сача, Цека 448, 453, 480.  
 Сеиндари — см. Зейндар.  
 Сейдиверан 505.  
 Серджас — см. Седжав.  
 Сеча — см. Седжав.  
 Слеса — см. Слесо.  
 Слесо Р. кр., Слеса, Силис с Махлоу 143—145.  
 Смада, Смадай Кучик и Бузурк 154.  
 Смадай Кучик — см. Смада.  
 Смарда 110.  
 Сигдасор — см. Сегдасор  
 Сигнот 500.  
 Сивкяр — см. Севкяр.  
 Сияреб, Саказреби 539.  
 Силис с Махлоу — см. Слесо.  
 Смирдон — см. Самирдон.  
 Синдизгем 520.  
 Сиразгем 511.  
 Сиргв малый, Сирк, Сирква, 276.  
 Сирикетубань, Сорокетубань 434.  
 Сирк — см. Сиргв.  
 Сирква — см. Сиргв.  
 Сис 298.  
 Сихалта — см. Схалта.  
 Сихара — см. Сухара.  
 Сихручь 115.  
 Сичанхев — см. Катисхев.  
 Соганлуг (хребет) 391.  
 Согомон-Кала—см. Соломон-Кала.  
 Соломон-Кала, Согомон-Кала 576, 577, 578.  
 Сомхития 486.  
 Сомхитубань, Сумухтубань, Сомхтубан 97.  
 Сомхтубань — см. Сомхитубань.  
 Сорокетубань — см. Сирикетубань.  
 Сосхара — см. Сасхара.  
 Сурп-Саркис 600.  
 Степан-цминда 393.  
 Суванет 337.  
 Суд (სტამბოლის უბანი) 30.  
 Сульда 416.  
 Султанийе — см. Кагач.  
 Сумзап — см. Самзуб.  
 Сумухтубань — см. Сомхитубань.  
 Сунджакул, Сунджаткуль 431.  
 Сунджаткуль — см. Сунджакул.  
 Сунта — см. Цунда.  
 Сусан — 141.  
 Сувлис — см. Схвилиси.  
 Сухара, Сихара, Сагора 65, 382, 387, 396.  
 Сухлис улия — см. Схвилиси.  
 Схалта, Сихалта 316.  
 Схальмуртхев — см. Цхалмертхев.  
 Схвилиси, Сухлис улия, Суфлис 28, 70.  
 Сырдасор — см. Сегдасор.  
 Табет сухла и улия, Тибет 220.  
 Таванхур 571.  
 Тавасхур, Тхасхор 565.  
 Тавтава (гора) 257.  
 Тавшавис мта 181.  
 Тадриси, Малай дардис 129, 130.  
 Тазар, Тазарь 109.  
 Тазарь — см. Тазар.  
 Таз Илджа — см. Таэлиджай.  
 Таэлиджай, Таэ Илджа 435.  
 Тажед — см. Данет.  
 Тамала 453, 542.  
 Тамалка (речка) 188.  
 Тамик — см. Зедат Могви.  
 Танендан 544, 551.  
 Таниед — см. Данет.  
 Тапкал — см. Дангал.  
 Таталеты, Папалети, Папанет 375.  
 Татбет 175.  
 Татли-пуар (родник) 184, 236.  
 Тарасхев — см. Торосхев.  
 Тарнес — см. Торнес.  
 Тахтакраи 500.  
 Тэхунта — см. Дахванда.  
 Ташбаши (гора) 251.  
 Таш-пуари (родник) 188.  
 Тбисгора (курган) 248.  
 Тбисхури, Диллсхур, Тобшхури 288.  
 Тгвар — см. Дгвари.  
 Тебат, Тибет, Тобат 507.  
 Теджерек Нарманский, Теджерек Пенякский 576.

- Теджерек Пенякский — см. Теджерек  
 Нарманский.  
 Телиль — см. Тлили.  
 Тепаншмида 449.  
 Теркнали — см. Деркнал.  
 Терпенк Авдостский 599.  
 Тетрисхев 301.  
 Тетроб, Детроб 267.  
 Тетр-цихе — см. Агджакала.  
 Тибет — см. Табет.  
 Тизне (речка) 177.  
 Тикал Верхн., Нижн., Больш. и Малець.  
 544.  
 Тикашен, Дигашен, Дикашен, Тогдашен 330.  
 Тилили — см. Тлили.  
 Тилиф — см. Дилиф.  
 Тимотисмани — см. Кимотисмани.  
 Тира — см. Цира.  
 Тиркес — см. Тирнес.  
 Тирнес, Тиркес 357.  
 Тисель 130.  
 Тисельский монастырь 130.  
 Ткемлана 125, 126, 133.  
 Тлиль — см. Тлили.  
 Тлили, Тлиль, Тилили, Телиль, 73, 106,  
 107.  
 Тоба 214.  
 Тобан 456.  
 Тобат — см. Тебат.  
 Тобицхури — см. Тбисхурл.  
 Тогдашен — см. Тикашен.  
 Ток 269, 280, 281.  
 Толерина — см. Толерта.  
 Толерипа — см. Толерта.  
 Толерта, Толерина, Толерипа 250.  
 Толош 250.  
 Томелия 373.  
 Тори 473.  
 Торнсхали 473.  
 Торня — 332.  
 Торнес, Тарнес, Торнис 55.  
 Торнис — см. Торнес.  
 Торосхев Верх. и Нижн., Тарасхев 510.  
 Требон, Тиребу 212.  
 Триалетский хребет 473.  
 Тркина — см. Деркнал.  
 Тума — см. Дума.  
 Туман — см. Дума.  
 Тумангель (озеро) 341, 342.  
 Турнх — см. Турх.
- Турнх — см. Турх.  
 Туршия 39, 212, 323, 388, 439, 578.  
 Турикаб — см. Цурикаб.  
 Туркум — см. Цурикаб.  
 Турнх, Турнх, Турнх 277.  
 Тутаджвари — см. Цухта джвари.  
 Тутехеви 199.  
 Тхасхор — см. Тавасхур.  
 Тхлатубан 227, 231, 238, 239.  
 Тхис(?)цкаро 248.  
 Тцнннн-цкали 60.  
 Тцннннский монастырь 60.  
 Тцунда — см. Цунда.  
 Тцундская церковь 363.  
 Тыркина — см. Деркнал.  
 Убан 299.  
 Угарет 130, 131.  
 Угуз 431.  
 Угурзташи 431.  
 Уданбо 417.  
 Уджмана, Учмана, Ужмана 354.  
 Удрня — см. Одрна.  
 Укаикулис 204.  
 Уканхевн 190.  
 Улаверд 318.  
 Ур — см. Ури.  
 Уравел 215, 218, 231.  
 Уравелька (речка) 215, 219, 223.  
 Ури, Ур 534.  
 Уртхис-убан, Утквисубан 102.  
 Урцак — см. Урцхавн.  
 Урцхавн, Урцак, Р. Д. Орацкаро 133.  
 Уска 466.  
 Утквисубан — см. Уртхис-убан.  
 Фахрель 508, 509.  
 Фока, Пога, Бока 343, 344.  
 Фуга — см. Пуга.  
 Фундух-хух [Фундух лух?] — (гора) 260.  
 Хавет, Гавет 411.  
 Хак 79.  
 Хакиза — см. Хекиза.  
 Халунет — см. Джабнет.  
 Хамаш 430.  
 Ханак, Ханах Верхн., Средн. и Нижн. 545.  
 Ханах — см. Ханак.  
 Ханджали — см. Ханчальнское озеро.  
 Ханджаур, Ханджавур 298.  
 Ханзорек-улия 594.

- Ханкир 377.  
 Ханчали Б. и М. 353.  
 Ханчали-гель — см. Ханчалынское озеро.  
 Ханчалынское озеро, Ханчали-гель, Кончал, Ханджалы 353, 354.  
 Хараки 424.  
 Харатумани — см. Каратубань.  
 Харджам 168.  
 Харзум — см. Чихарула.  
 Харнан 295.  
 Харп-цоцола (гора) 196.  
 Харншеванисгверди (гора) 250.  
 Харман таласи (гора) 218.  
 Хартоса — см. Чардоса.  
 Хартха — см. Чардоса.  
 Харчь — см. Джарджа.  
 Харьосман 546.  
 Хас-кей 550.  
 Хева 250.  
 Хеват — см. Хеоти.  
 Хевашен 156.  
 Хевискар 596.  
 Хевоть — см. Хеоти.  
 Хекиза, Хакиза 239.  
 Хелеван, Челеван улла, Чилван улия 399.  
 Хеоти, Хевоть, Хеват, Хавет, 105, 218, 230, 463.  
 Хеосман, Госман 460.  
 Хертвиси, Хиртус, Гертвис, Хертыс 105, 242, 243, 252, 254, 259, 313.  
 Хертвисский санджак 183, 245, 255, 259, 260, 290.  
 Хертвисское ущелье 363.  
 Хертыс — см. Хертвиси.  
 Херхен — см. Херхем-кала.  
 Херхем-кала, Херхен 169.  
 Хидети 122.  
 Хидурети 204.  
 Хиза 264.  
 Хингир-дараси 196.  
 Хиртус — см. Хертвиси.  
 Хозабун — см. Хозапни.  
 Хозапни (урочище), Хозабун 410, 417, 423.  
 Хозапнское озеро — см. Карцахское озеро.  
 Холема — см. Хулеша.  
 Хома (пустошь) 54, 55.  
 Хомка (речка) 54.  
 Хона, Хуна 96.  
 Хонамис — см. Хунамис.  
 Хонамус — см. Хунамис.  
 Хоракет — см. Хорикет.  
 Хорзул — см. Чихарула.  
 Хорена — см. Хорення.  
 Хорення Б. и М., Джварина, Чварина, Бузрук и Кучик, Джваринны, Хорена 321—327, 356.  
 Хорикет, Хоракет, Чуракет 367.  
 Хосор 593, 600.  
 Хоспио, Хоспня 311, 356.  
 Хоспня — см. Хоспио.  
 Хош 573.  
 Хошурети 538.  
 Хриал — см. Хриан.  
 Хриан, Хриал 237.  
 Хувах 599.  
 Хузбула 297.  
 Хулиш, Хулиша, Холема, Кулиша 192.  
 Хулиша — см. Хулеша.  
 Хумрис, Чумрит, Чамрит 293.  
 Хунамис, Хонамус, Хонамис 459.  
 Хуро, Хора 97.  
 Цагвели 481, 483.  
 Царбастубан, Зарбастубан 102, 103.  
 Цахан, Цадган 169.  
 Цгорза — см. Цкордза.  
 Цегнел Р. Д., Цигнела 250, 251.  
 Цека — см. Седжав.  
 Церакунта Р. Д. 261.  
 Церакунта-баши (гора) 260.  
 Цигнела — см. Цегнел.  
 Цинис — см. Цинси.  
 Цинсатиб, Цин-Сатиб 451.  
 Цинубань 296.  
 Цинубанские мин. воды 140.  
 Цинубанская речка 138, 139.  
 Цира, Цыра, Зира, Тира 55, 202.  
 Цирнох — см. Црпих.  
 Цискилат-хеви (овраг) 193.  
 Цискилат-хевис-цкали 193.  
 Цихеджвари (хребет) 391.  
 Цихи-гверда (гора) 194.  
 Цихиджвари, Цихидзвари, Чехиджвар-478.  
 Цихидзвари — см. Цихиджвари.  
 Цихио — см. Цхия.  
 Цхия — см. Цхия.

- Цкал-мерткელი — см. Цхалмертхев.  
 Цкаростави (монастырь) 415.  
 Цкарос-тави (деревня) 426, 427.  
 Цкисе — см. Цхисе.  
 Цкордза, Цхорза, Цгорза 217, 218.  
 Цкурта джвар — см. Цхута джвар.  
 Цминдагеоргис-сери (гора) 248.  
 Цниси, Цниис, Цниисы 60, 137, 139.  
 Цохтеп 142.  
 Цре 161.  
 Цриохи, Цирнох 60, 137, 139.  
 Црумал — см. Цурмал.  
 Цугрут — см. Цхрути.  
 Цунда, Зунта, Сунта, Тцунда 307, 363.  
 Цурбел-дараси 196.  
 Цургут — см. Цхрути.  
 Цурмал Верхн. и Нижн., Црумал 542, 543.  
 Цурцакб, Турцукм, Турцакб 462.  
 Цхаростави 32.  
 Цхалмертхев (ручье) 250, 258.  
 Цхалмертхев, Сгалмирсхев, Схальмурт-хев, Цкал-мерткели 258.  
 Цхалтбили 466.  
 Цхал-штელი 136.  
 Цхисе, Цыхисе, Цкисе 27, 91.  
 Цхия (кишляк), Цихня, Цихно, Шихна 282.  
 Цхорза — см. Цкордза.  
 Цхурут — см. Цхрути.  
 Цхрута Джвари — см. Цхута джвари.  
 Цхрути, Цхрут, Цхурут, Цургут, Цугрут 50, 51, 55.  
 Цхута джвар, Цкурта джвар, Цхрута Джвари, Тутаджвари 170—172, 174.  
 Цыра — см. Цира.  
 Цыхисе — см. Цхисе.  
 Чабашен — см. Чобашен.  
 Чабнай суфла — см. Чаборня.  
 Чаборня Верхн., Нижн. и Средн., Чапорня, Габурна, Чабнай суфла 447.  
 Чабур 240.  
 Чанс, Чанз 416.  
 Чанчур — см. Чанчур.  
 Чакнавхер, Джанхур 407.  
 Чакидула 79.  
 Чала, Джала 119, 394, 400, 401.  
 Чалдир, Чилдир гол 391, 393, 400, 401.  
 Чалдыр, Чилдыр 382, 417.  
 Чалдырский санджак 387.  
 Чалис-икаро (родник) 180.  
 Чамардо — см. Чомардо.  
 Чамдра — см. Чамзрал.  
 Чамдзврала — см. Чамзврал.  
 Чамзврал Бузрук, Чамдзврала, Чандура, Чамдра 386—389.  
 Чамнкара (родник) 233.  
 Чамриш — см. Хумрис.  
 Чамхус — см. Кямхис.  
 Чандура — см. Чамзврал.  
 Чанчабур, Чанчабуры, Джанджабур 100, 101.  
 Чанчабуры — см. Чанчабур.  
 Чанчабур — см. Чачнабур.  
 Чанчур, Чанчур 598, 601, 602.  
 Чапорня — см. Чаборня.  
 Чалур[е] — см. Джабуре.  
 Чараль — см. Чарали.  
 Чарали улия, Чараль, Дид-Чарали 461, 465.  
 Чардоса, Хартоса, Хартха 602.  
 Чартипискали 199.  
 Чахомта Р. Д. 548.  
 Чахсор, Чисхор 563.  
 Чахту 424.  
 Чачараки, Чечерекн, Джаджараки 209.  
 Чачка — см. Чачкар.  
 Чачкар, Чачка, Кокашен 364.  
 Чачла, Чечла 119.  
 Чачнабур, Чанчабур 359.  
 Чачун — см. Джаджун.  
 Чашина, Чашиня 371.  
 Чашиния — см. Чашина.  
 Чвантель — см. Чуантель.  
 Чварина — см. Хорения.  
 Чедлисубани — см. Мжедлисубак.  
 Челеван улия — см. Хелеван.  
 Чермюк-суи (ручье) 255.  
 Чехиджвар — см. Цихиджвари.  
 Чечерекн — см. Чачараки.  
 Чечерекский санджак 71, 216, 227, 229, 230.  
 Чечла — см. Чачла.  
 Чигдара (гора) 236.  
 Чиколар 505.  
 Чикора 553.  
 Чилван улия — см. Хелеван.  
 Чилвана, Чильвана 435.  
 Чилдирский рабат — см. Рабат.  
 Чилдирский участок 380, 382.

- Чилдыр — см. Чалдыр.  
 Чилдырский хребет 391, 417.  
 Чимличанр 505.  
 Чихарула, Чхарула, Ачерул Р. Д., Харзум,  
 Хорзул 291, 292.  
 Чихель 174.  
 Чихерет — см. Чихпрет.  
 Чихпрет, Чихерет 555.  
 Чкоронун дараси (ушьелье) 177.  
 Чобанкей 500.  
 Чобарет — см. Чубашен.  
 Чобаретская гора 177.  
 Чобашен, Чобашень, Чабашен, Чопашин  
 98, 285, 286.  
 Чолет 372.  
 Чолда, Чольда, Чолта 262.  
 Чольда — см. Чолда.  
 Чолта — см. Чолда.  
 Чомардо, Чамардо 372, 375, 377.  
 Чопахел, Чопахель 78.  
 Чопашин — см. Чобашен.  
 Чореп — см. Джореп.  
 Чорох (р.) 593, 600.  
 Чорчан 94.  
 Чорчван — см. Чорчован.  
 Чорчо, Чурчо, 216.  
 Чорчован, Чорчван 451.  
 Чорчо дараси (ушьелье) 216.  
 Чорчол Р. Д. 234.  
 Чорчола — см. Джоджорта.  
 Чорчута — см. Чурчუто.  
 Чочсби Р. Д. и Ур. 232.  
 Чочолари 120.  
 Чуантель, Чувантель, Чвантель 445.  
 Чубашен, Чобарет, Чурашья, 285, 286.  
 Чуванет 466.  
 Чувантель — см. Чуантель.  
 Чулеби, Дчулеби, Чулэ 153, 156.  
 Чулэ — см. Чулеби.  
 Чумрит — см. Хумрис.  
 Чумчел — см. Чунчел.  
 Чунта 56.  
 Чунчхел, Чунчхель 246.  
 Чунчел, Чумчел 59.  
 Чуракет — см. Хорикет.  
 Чурашен — см. Чубашен.  
 Чуреп — см. Джореп.  
 Чурук-су 524.  
 Чурчута — см. Чурчუто.
- Чурчუто, Чорчута, Чурчута 168, 174.  
 Чучуни — см. Джаджун.  
 Чхарула — см. Чихарула.  
 — Шарата — см. Шгорта.  
 Шавари — см. Шавери.  
 Шаварзигаль — см. Шуарцхал.  
 Шавери, Шавари, Шавар Большой и Ма-  
 ленький 349, 350.  
 Шадеван 509.  
 Шадреван, Шодреван, Шндреван, Шедри-  
 ван, Шедровани 260.  
 Шайлашет — см. Шалошет.  
 Шайтан-кала — см. Каджис-цихе.  
 Шаки 500.  
 Шалошет, Шалошет-пуар, Шаплашет 256.  
 Шалошетское ушьелье 256.  
 Шалошет-пуар — см. Шалошет.  
 Шараф 500.  
 Шедриван — см. Шадреван.  
 Шедривани — см. Шадреван.  
 Шельвашет 255.  
 Шнда Каргли 473.  
 Шндреван — см. Шадреван.  
 Шндреван дараси (ушьелье) 260.  
 Шиканет, Шикалет 464.  
 Шихиа — см. Цихя.  
 Шоварьцкал — см. Шуарцхал.  
 Шодреван — см. Шадреван.  
 Шок, Шока, Шуга 153.  
 Шола, Шало, Шулай 301.  
 Шулавер — см. Шолавер.  
 Шолаверь — см. Шолавер.  
 Шоланун-суи 301.  
 Шолота — см. Шорота.  
 Шораланский монастырь 206.  
 Шорети — см. Шорота.  
 Шоретис-цихе — см. Шорота.  
 Шорота, Шарата, Шорети, Шолота,  
 Шоретис-цихе 51, 205, 207.  
 Шошан 593.  
 Шуагорануп дараси 177.  
 Шуадхе — см. Шуатхе.  
 Шуатха — см. Шуатхе.  
 Шуатхе, Шуатха, Шуадхе, Шуватхе 302.  
 Шуарцхал, Шуварцхал, Шуацкал, Шоварь-  
 цкал, Шаварзигаль 27, 439.  
 Шуацкал — см. Шуарцхал.  
 Шуварцхал — см. Шуарцхал.  
 Шуватхе — см. Шуатхе.



- Шуга — см. Шок.  
 Шолавер, Шулавер, Шолаверь 158.  
 Шурашен — см. Шурошет.  
 Шурогистин(?) таласи 233.  
 Шурошет, Шурашен 215, 234.
- Эгдадаб — см. Огдадаб.  
 Эгнаки, Игнаки 566.  
 Эгнос 567.  
 Эказор — см. Эясор.  
 Экасор — см. Эясор.  
 Эясор, Эказор, Экасор 569.  
 Эрема — см. Иреми.  
 Эрво царо 106.  
 Эрзерум 316.  
 Эрнджа 416.  
 Эрхота 190.  
 Эрюк 598.  
 Эрюк Анзов — см. Эрюк Анзовский.  
 Эрюк Анзовский, Эрюк Анзов 595, 600.  
 Эрюк-Кубад 595, 596.  
 Эштия 320, 330.
- Abas-Touman, 165.  
 Achalkelek, Achalkalaki, Archikelek,  
 Akhal-Kalaki 305, 315.  
 Achiska, Abisha, Abiska, Akheskheh,  
 Akhiska || Akhiskha, Achesska, Akhisk-  
 hab, Achaldschik, Akhaltzikh, Akhal-  
 Eikh, Akhaltsikh, Acheltscha, Akalzich,  
 Abiska 29, 42—45, 48, 49, 214.  
 Adigueni 159.  
 Adrianopolis, Edirne 29.  
 Agara 371, 373.  
 Akhachen 184.  
 Akhal-Daba 486.  
 Akhal-Tziche 118.  
 Ak ova 30.  
 Akschehr 306.  
 Alindja 255.  
 Altun-kala, Althoun-Qala 32, 153.  
 Arali 93.  
 Ardehan, Ardahan, Erdehan, Ardehan  
 Kebir, Ardehan Bujuk 497, 499, 504,  
 505.  
 Ardost 601.  
 Arghissaha 68.  
 Artakh 369, 373.  
 Asghur, Atskhur, Atzgar, Atsar, Atskur  
 121.
- Baschatschuk, Açuk-bas, Açuk-bas 81, 83.  
 Bedre 474, 486.  
 Bekre Chatun 540.  
 Bijelopolje 30.  
 Borčka, 45, 46, 214.  
 Bordjom 226.  
 Bojano 285.  
 Bouchati 284.  
 Bouchatis Tsq[ali] 284.  
 Brusa, Bursa 29.  
 Dchoulebi, Dchulewi, Dchoula 156.  
 Dchwiuta 56.  
 Dliv 28.  
 Doucha (= Douma) 341.  
 Dukar, Dukiar 127.  
 Ćarmtik 162.  
 Chadschrek, Dchadcharaki 210.  
 Chaori 349.  
 Chartwis, Gertwissy, Chartos 243.  
 Chawcheti 504.  
 Childir 48.  
 Cholothan, Sholothan 204, 207  
 Chorapani 207.  
 Clde 118,  
 Cokhta 195.  
 Constantsa, Küstendze 29.  
 Philippopoli, Felibe 29 .  
 Gandza 343.  
 Gersacgöli 412.  
 Ghavet 411.  
 Ghrel 222, 225.  
 Gogoth-Oubani 66.  
 Gomi 373.  
 Gürci boğarı 315.  
 Yeni köy 218.  
 Intora 186.  
 Intsqora 197.  
 Intsqoris-Tsqali 197.  
 Kars 499.  
 Kazan 30.  
 Khabazth-Ouban 165.  
 Khizabawra 245, 315.  
 Khorchi, Khprkh 314, 315.  
 Khosor 596,  
 Koblianka 155,  
 Koulicha 192.  
 Kotol 30.  
 Kwichkethi 495.

- Makhara 350.  
 Mamerewan 593.  
 Marda, Ouria Marda, Djanianth-Marda 74.  
 Meidani, Didi Meidani, Oude 84, 85.  
 Mirachcan 360.  
 Mlachis-khewi, Lachkhis khew 235.  
 Modegã 296.  
 Mokhe 99.  
  
 Niala, Canton Nialis-Qour 370.  
 Nidjgor 251.  
 Nuskha 181.  
  
 Ochora-Zemo, Ochora-kwemo 198.  
 Oldam 222, 225, 291.  
 Orderije 466.  
 Ouravelka 215.  
  
 Phanacari 504.  
 Phanascet 372.  
 Pharawani, ou Phanawari 346.  
 Phoca 344.  
  
 Qvelis-Tsikhé 441.  
  
 Safara 226.  
 Sasdzlo 68.  
 Senaw, Sinaw 492, 493.  
 Sirgo 276  
 Skhwili 70.  
 Süd-hane 30.  
 Sülis 28.  
 Sourp Sarkis 600.  
 Swéri 58.  
  
 Taidj 204, 207.  
 Terpenek 599.  
 Teufelschloss 32, 404.  
 Tioumouk. Zeda Thmogwi 362.  
 T'outmasch 600.  
 Tsakhan 169.  
 Tschajarakri 151.  
 Tschildir 48.  
 Tsnisis tsqali 118.  
 Tsounda 363.  
 Tsqaros-Thaw 415.  
 Tsqrouti 50, 118.  
 Tzikhis-Djouar 478.  
  
 Vassakh 596.  
  
 Wale, Wele—67, 532.  
 Wanis-Kwabi 365.  
 Warenta, Warnetha, Warneti 195, 373, 374  
 Warnetis-tsqal 195.  
  
 Zeda-Wardzia 360.  
 Zweli 211.  
  
 Ախլի Բևեթ 304.  
  
 ზოკია 267.  
  
 ზერძიკი 162, 163.  
  
 Γαλατος 30.  
  
 το Καξτρον το κερξιον 405.  
  
 Γοδόρολις 265.

შეცდომების ბასწორება

გვ.	სტრ.		არის	უნდა იყოს
	ზემ.	ქვემ.		
12	8		Халютин.	Халютин.
27		5	Капшугар	Капшугар
30		9	თარგმნი	თარგმნის
58		8	გ. ბროსეს	მ. ბროსეს
80	7		მ. შერებაშვილი	მ. შერაბიშვილი
87		1	კობაშენი	ჩოღაშენი
121	1	შენიშენა	کاتب چلبی	کاتب چلبی
157		9	قل	قسل
220	1	შენიშენა	შემოსევიან	შემოსევიან
277		14	ლომსტურცხი	ლომატურცხი
444		7	باپالو	پاپالو
466	16		orderije	Orderije
481	11		سرشی	سرسمی

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

გამომცემლობის რედაქტორები: გ. გოგიავა

ტექნედაქტორი: ა. თოდუა

კორექტორი: ჯ. ქაჯაია

ასოთამწეობები: ა. თოდუა, მ. გარსოშვილი, ც. დოლიძე

გადაეცა წარმოებას 3.3.1958; ანაწყოების ზომა  $7 \times 11$ ;

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.9.1958; ქალაქის ზომა  $70 \times 108 \frac{1}{16}$

ქალაქის ფურცელი 20; საბეჭდი ფურცელი 54,8;

საავტორო ფურცელი 49,43; სადრიცხო-საგამომცემლო ფურცელი 50,5;

შეკვეთა 16 485; უე 00968; ტირაჟი 1000

ფასი 35 მან.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა

თბილისი, ა. წერეთლის ქ. 16/5.